

გერმანიის  
ფედერალური საკონსტიტუციო  
სასამართლოს გადაწყვეტილებები

იურგენ შვაბე  
ჰამბურგის უნივერსიტეტის  
საჯარო სამართლის პროფესორი

სამეცნიერო რედაქტორები  
კონსტანტინე კუბლაშვილი  
თევდორე ნინიძე  
ბესო ლოლაძე  
ქეთევან ერემაძე

სტილისტური რედაქტორები  
ზაზა ბზიშვილი  
თინათინ ქორქაშვილი

მთარგმნელი  
ეთერ ჩაჩანიძე

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორის იურგენ შვაბეს მიერ გამოცემული კრებულის "გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები" [Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts] ქართულ თარგმანს. თარგმანი და რედაქტირება შესრულებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გერმანიის ძირითადი კანონის ქართული თარგმანი მომზადებულია კავშირი "იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის" მიერ. კრებული დაბეჭდილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით.

- © იურგენ შვაბე, 2011
- © საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011
- © საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2011
- © გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2011

წინამდებარე გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე [www.giz.de/law-caucasus](http://www.giz.de/law-caucasus)

ISBN 978-9941-9181-7-9





# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>1. ზოგადი ნაწილი</b>	
ა) ნორმის განმარტება	1
E – 8, 28	1
E – 11, 126	2
E – 40, 88	4
ბ) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისა და გამოყენების შემოწმება	5
E – 18, 85	5
E – 43, 130	7
გ) ნორმათა არაკონსტიტუციურობის შედეგები	10
E – 1, 14	10
E – 21, 12	10
დ) ძირითადი უფლებები ვალდებულებების განსაკუთრებულ პირობებში	11
E – 33, 1 (სასჯელის აღსრულება)	11
<b>2. გერმანიის ძირითადი კანონის პირველ მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 45, 187 (სამუდამო პატიმრობა)	15
<b>3. გერმანიის ძირითადი კანონის მ-2 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით</b>	
E – 6, 32 (ელფესის გადაწყვეტილება)	17
E – 34, 238 (გადაწყვეტილება ფარული აუდიოჩანანერის შესახებ)	20
E – 99, 185 (ჰელნვაინის გადაწყვეტილება)	22
E – 96, 56 (მამის ვინაობის გამხელა)	28
E – 101, 361 (მონაკოს პრინცესა კაროლინე)	32
E – 106, 28 (სატელეფონო მიყურადება)	37
<b>4. გერმანიის ძირითადი კანონის მ-2 მუხლის მ-2 პუნქტთან დაკავშირებით</b>	
E – 16, 194 (ლიქვორის ამოღება)	43
E – 52, 214 (დაცვა იძულებითი აღსრულებისგან)	44
E – 19, 342 (წინასწარი პატიმრობა)	45
E – 20, 45 (წინასწარი პატიმრობა)	49
<b>5. გერმანიის ძირითადი კანონის მ-3 მუხლთან დაკავშირებით</b>	
ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი:	51
E – 26, 302	52
E – 10, 234	52
E – 9, 338 (მეანი)	52
ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი:	54
E – 48, 327 (გვარი)	54
გ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი:	56
E – 39, 334 (ექსტრემისტები)	56
დ) თანასწორობის პრინციპის საწინაარმდეგო უპირატესობა:	57
E – 8, 28	57

<b>6. ბერმანის ძირითადი კანონის მე-4 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 32, 98 (განსაცდელში მიტოვება)	59
E – 24, 236 (ძველმანების აქცია)	62
E – 33, 23 (ფიცის დადების იძულება)	65
E – 93, 1 (ჯვარი)	69
E – 104, 337 (შეხიტა)	77
E – 105, 279 (ოშო)	84
E – 108, 282 (თავსაფარი)	88
<b>7. ბერმანის ძირითადი კანონის მე-5 მუხლთან დაკავშირებით</b>	
<b>ა) აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება</b>	94
E – 7, 198 (გადანყვეტილება ლუთის საქმეზე)	97
E – 12, 113 (გადანყვეტილება შმიდის საქმეზე)	100
E – 25, 256 ("ბლინკფური")	106
E – 44, 197	108
E – 93, 266 ("ჯარისკაცები არიან მკვლელები")	115
E – 103, 44 (სასამართლო ტელევიზია)	122
<b>ბ) რადიომუწყებლობის თავისუფლება</b>	122
E – 12, 205 (გერმანიის ტელევიზია)	122
E – 57, 295 (ზაარლანდის ტელემაუწყებლობის კანონი)	124
E – 73, 118 (ქვემო საქსონიის მიწის კანონი რადიომუწყებლობის შესახებ)	130
E – 35, 202 (ლებახი)	131
<b>გ) ხელოვნების თავისუფლება</b>	135
E – 30, 173 (გრიუნდგენის "მეფისტო")	135
<b>8. ბერმანის ძირითადი კანონის მე-6 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 6, 55	138
E – 47, 46 (სექსუალური აღზრდა)	140
E – 105, 313 (კანონი ქორწინების გარეშე რეგისტრირებული თანაცხოვრების შესახებ)	143
<b>9. ბერმანის ძირითადი კანონის მე-7 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 52, 223 (სასკოლო ლოცვა)	147
<b>10. ბერმანის ძირითადი კანონის მე-8 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 69, 315 (ბროკდორფი)	151
E – 85, 69 (სასწრაფო შეკრება)	164
<b>11. ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით</b>	
E – 19, 303	166
E – 42, 133	169
E – 50, 290 (მონანილეობა გადანყვეტილების მიღებაში)	170
E – 92, 365 I (კანონი შრომის ხელშეწყობის შესახებ)	175
<b>12. ბერმანის ძირითადი კანონის მე-12 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 7, 377 (გადანყვეტილება აფთიაქების შესახებ)	179
E – 39, 210	189
E – 11, 30 (სადაზღვევო სისტემაში დასაქმებული მედიცინის მუშაკი)	190
E – 13, 97 (ხელობა)	192
E – 19, 330 (საცალო ვაჭრობა)	198

E – 53, 135 (შოკოლადი პაეროვანი ბრინჯით)	201
E – 95, 173 (გამაფრთხილებელი წარწერა თამბაქოს ნაწარმზე)	203
E – 33, 303 (Numerus clausus)	207
E – 98, 169 (პატიმრის შრომა)	214
E – 102, 197 (კაზინოს საქმიანობის ნებართვა)	218
E – 105, 252 (გლიკოლი)	223
<b>13. ბერმანის ძირითადი კანონის მ-13 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 32, 54	228
E – 103, 142 (ბინის ჩხრეკა)	234
E – 109, 279 (ფარული აუდიო ჩანაწერი)	238
<b>14. ბერმანის ძირითადი კანონის მ-14 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 38, 348 (კანონი ქირავნობის სამართლის გაუმჯობესების შესახებ)	245
E – 14, 263 (ფელდმიულე)	247
E – 21, 73 (კანონი უძრავი ქონების ბრუნვის შესახებ)	250
E – 46, 325 (იძულებითი აუქციონი)	253
E – 52, 1 (მცირე საბაღე ნაკვეთი)	255
E – 58, 300 (ხრემის მოპოვება)	262
E – 68, 361 (ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა)	274
E – 100, 226 (ძეგლთა დაცვა)	277
<b>15. ბერმანის ძირითადი კანონის მ-16 და მ-16ა მუხლებთან დაკავშირებით</b>	
E – 74, 51	284
E – 80, 315	287
E – 81, 142	288
E – 94, 49	290
<b>16. ბერმანის ძირითადი კანონის მ-19 მუხლის მ-3 პუნქტთან დაკავშირებით</b>	
E – 21, 362	294
E – 31, 314	295
<b>17. ბერმანის ძირითადი კანონის მ-19 მუხლის მ-4 პუნქტთან დაკავშირებით</b>	
E – 10, 264	296
E – 24, 33	297
E – 35, 382 (უცხო ქვეყნის მოქალაქე)	298
E – 37, 150	303
E – 84, 34 (საგამოცდო შეფასება)	304
E – 104, 220 (საექსტრადიციო პატიმრობა)	307
<b>18. ბერმანის ძირითადი კანონის მ-20 მუხლთან დაკავშირებით</b>	
ა) ფედერაციის ერთგულება	310
E – 12, 205 (გემანიის ტელევიზია)	310
ბ) სოციალური სახელმწიფო	312
E – 40, 121	312
E – 59, 231	313
E – 100, 271	313

გ) დემოკრატია	
E – 44, 125 (საზოგადოებასთან ურთიერთობა)	316
დ) სამართლებრივი სახელმწიფო	319
აა) კანონისმიერი დათქმა და გათვალისწინება	319
E – 8, 274	319
E – 9, 137	320
E – 17, 306	323
E – 48, 210	325
E – 49, 89 (კალკარი)	327
ბბ) კანონისა და სამართლის სავალდებულობა	331
E – 34, 269 (სორაია)	331
გგ) კანონის უკუქცევითი ძალა	334
E – 30, 367	334
<b>21. ბერმანიის ძირითადი კანონის 21-ე მუხლთან დაკავშირებით</b>	
პარტიათა დაფინანსება	338
E – 8, 51	338
<b>22. ბერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 1, 184	340
E – 2, 124	340
<b>23. ბერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 4, 412	344
E – 42, 237	346
<b>24. ბერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 18, 112 (ექსტრადიცია)	347
<b>25. ბერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლთან დაკავშირებით</b>	
ა) სასამართლო მოსმენა	350
E – 9, 89	350
E – 41, 246	352
E – 25, 158	353
E – 107, 395	355
ბ) სისხლისსამართლებრივ ნორმათა განსაზღვრულობა და უკუქცევითი ძალის აკრძალვა	359
E – 14, 174	359
E – 32, 346	362
E – 26, 41 (ხულიგნობა)	363
E – 25, 269 (ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება)	364
E – 92, 1 I (მჯდომარე აქცია)	367
E – 105, 135 (ქონებრივი სასჯელი)	370
<b>21. ბერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლთან დაკავშირებით</b>	
E – 105, 239	377
E – 113, 348	380
E – 114, 339	385
E – 113, 63	386
E – 113, 273	393

## ქალბატონებო და ბატონებო,

თქვენს წინაშეა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, რომელიც, ჩემი აზრით, გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ნორმათა შინაარსისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის გასაცნობად საუკეთესო გამოცემაა. თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ ამ კრებულის ქართულად თარგმნა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო და დღეს განსაკუთრებული სიხარულით ვწერ შესავალს კრებულის ქართული გამოცემისათვის.

პირველად ამ კრებულს ჯერ კიდევ 1995 წელს გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში გავეცანი და მას შემდეგ ეს წიგნი ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ გერმანიის პრაქტიკის შესწავლისას ჩემი ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო გახდა. 1999 წელს კრებულის ახალი გამოცემა შევიძინე და უკვე იმ დროიდან ვფიქრობდი მის ქართულად თარგმნაზე. სამწუხაროდ, ეს "ფიქრი" საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ 2007 წელს უკვე საქართველოს უზენაეს სასამართლოში დავინწყეთ აქტიური მუშაობა ამ საკითხზე. თავდაპირველად დავუკაშირდით კრებულის ავტორს, ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ იურგენ შვაბეს, რომელმაც, საქართველოს კონსტიტუციისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, კრებულის სპეციალური ვარიანტი მოგვანოდა, 2008 წლიდან კი ქალბატონმა ეთერ ჩაჩანიძემ გადანყვეტილებათა თარგმნა დაიწყო. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ორივე მათგანს, რადგან მათ გარეშე კრებულის ქართული გამოცემა დღის სინათლეს ნამდვილად ვერ იხილავდა. სხვა რომ არა, ბატონ პროფესორს მადლობა თუნდაც ასეთი კრებულის შექმნისათვის ეკუთვნის, ეთერ ჩაჩანიძეს კი – ურთულესი კონსტრუქციის გერმანული წინადადებებისა და იურიდიული ტერმინების თითქმის უშეცდომოდ თარგმნისათვის. 2009 წლიდან თარგმნილი მასალის რედაქტირება დაიწყო, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო (რაც ძირითადად უზენაესი სასამართლოს ძალიან დატვირთულ სამუშაო გრაფიკს უკავშირდება) გაჭიანურდა, თუმცა, როგორც ამბობენ, დასასრული ყველაფერს აქვს და დღეს კრებული სრული სახით თქვენს წინაშეა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში თავმოყრილია 1950-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა ის ძირითადი, ე.წ. "გზამკვლევი" გადაწყვეტილება, რომლებითაც შთამბეჭდავად არის ახსნილი და განმარტებული გერმანიის კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შინაარსი. ამასთან, კრებულის მთავარი ღირსება და, შეიძლება ითქვას, უპირატესობა სხვა მსგავს გამოცემებთან შედარებით ისიც არის, რომ მასში მოცემულია გადანყვეტილებათა არა სრული ტექსტი, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, სადაც ნორმათა შინაარსის განხილვა და მათი განმარტება ხდება. სწორედ ამით არის ეს კრებული ძალიან მოსახერხებელი, რადგან ნებისმიერ თემაზე მუშაობისას ძალიან სწრაფად და მარტივად შეიძლება სასურველი დებულების მოძებნა და მის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა. დარწმუნებული ვარ, თითოეული მკითხველისათვის ძალიან საინტერესო და იმპერდოულად სასიამოვნო იქნება კონსტიტუციის ნორმათა ნათელი, მკაფიო და ლოგიკური განმარტებების ნაკითხვა, რომლებმაც განავითარეს და დიდწილად ჩამოაყალიბეს კიდევ გერმანიის თანამედროვე კონსტიტუციური წესრიგი და სამართლებრივი სისტემა.

საყურადღებოა ისიც, რომ კრებულზე დაყრდნობით შესაძლებელია გერმანიის ძირითადი კანონის სხვადასხვა დებულების შედარება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის ნორმებთან და იმის გაანალიზება, თუ როგორ არის განმარტებული ესა თუ ის ნორმა ჩვენთან და გერმანიაში; როგორ იყენებენ მას პრაქტიკაში საერთო სასამართლოები და გერმანულის მსგავსია თუ არა ჩვენი პრაქტიკა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სასამართლო დარბაზებში სატელევიზიო, აუდიო- და ვიდეოჩანაწერების აკრძალვასთან დაკავშირებული გადანყვეტილება (E 103, 44), რომელიც პირდაპირ ეხმიანება ჩვენს დღევანდლობას. ასეთი აკრძალვა გერმანიაში 1965 წლიდან მოქმედებს და, ალბათ, ყველასათვის საინტერესო იქნება გაეცნოს იმ განმარტებებსა და დასაბუთებას, რის მიხედვითაც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის აუცილებლობას ინფორმაციის თავისუფლების მიმართ და ეს ნორმა კონსტიტუციის შესაბამისად აღიარა.

ზემოაღნიშნული და უამრავი სხვა გადანყვეტილების აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცემა ძალიან დაეხმარება ყველას, ვინც სამართლის სფეროში საქმიანობს, დანყებული მოსამართლეებიდან - დამთავრებული სტუდენტებით.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ ენაზე კრებული შეიქმნა საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თანამშრომლობით, ხოლო მისი გამოცემა შესაძლებელი გახდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს გერმანელ პარტნიორებს. ასევე დიდი მადლობა ეკუთვნის ყველა იმ ადამიანს, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებდა და თვეების განმავლობაში მუშაობდა კრებულზე. ესენი გახლავთ: სამეცნიერო რედაქტორები - პროფესორი თევდორე ნინიძე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები - ბატონი ბესო ლოლაძე და ქალბატონი ქეთევან ერემაძე, ასევე სტილისტები - ზაზა ბზიშვილი და თინათინ ქოქრაშვილი. მათი შრომის შედეგად ქართულენოვან იურიდიულ ლიტერატურას ფასდაუდებელი წიგნი შეემატა.

პატივისცემით,  
კონსტანტინე კუბლაშვილი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულის ქართული თარგმანის გამოცემა მნიშვნელოვანი სიახლეა არა მარტო ქართველი იურისტებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. საქართველო წარმოადგენს რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ნაწილს, სისტემისა, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ კულტურას განსაზღვრავს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ზოგადად გერმანულ იურიდიულ მეცნიერებას სამართლებრივი აზროვნების ჭრილში უდიდესი დატვირთვა გააჩნია. ამასთანავე, მისი გავლენა, რა თქმა უნდა, კონკრეტულად საქართველოზეც აისახება.

თანამედროვე ქართული სამართლებრივი სივრცე გერმანიაში დამკვიდრებული ფასეულობების გავლენით ჩამოყალიბდა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული სამართლებრივი ინსტიტუტებისა და მათი კომპონენტების გამოკვეთილი მსგავსება გერმანულ სამართლებრივ კონსტრუქციებთან. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის წვლილი ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარებაში მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე დამკვიდრებული საბაზისო ღირებულებების გადმოცემით არ შემოიფარგლება. პოსტსაბჭოთა საქართველოს კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გერმანულმა მეცნიერებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კოდიფიკაციის პროცესში.

გერმანულ სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა ქართველი იურისტებისათვის უმნიშვნელოვანეს გამოცდილებას წარმოადგენს და მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს. დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს, რომლებიც თავის დროზე სამართლის გერმანულ სკოლას ეზიარნენ და მიღებული გამოცდილება გამოიყენეს როგორც საკანონმდებლო ბაზის მომზადებისას, ასევე საქართველოს კონსტიტუციის შემმუშავებელ სახელმწიფო კომისიაში საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად, ქართული და გერმანული სამეცნიერო წრეების თანამშრომლობა კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცესაც მოიცავს. ამასთანავე, გერმანელი მეცნიერები მონეული იყვნენ სპეციალისტებად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებში, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება, ხშირად ვხვდებით მითითებას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტული ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების მასშტაბს, რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს. თუმცა სასამართლო ამა თუ იმ პრობლემატური საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებს ასევე საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უცხოურ სასამართლო პრაქტიკას აღნიშნულ კონტექსტში. კონსტიტუციის განმარტება სპეციფიკურ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ძირითად კანონში ვხვდებით სხვადასხვა ზოგად დებულებას, რომელიც აბსტრაქციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. შესაბამისად, კონსტიტუციის დებულებათა სათანადო ინტერპრეტაცია მოითხოვს გარკვეული სამართლებრივი პრინციპების მხედველობაში მიღებას. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს უცხოური პრაქტიკის გათვალისწინების მართებულობას. გარდა იმისა, რომ შესაბამის ქვეყნებში დაგროვილია მდიდარი გამოცდილება

სამართლის სფეროში, საქართველოში დამკვიდრებული სამართლებრივი კონსტიტუციები მათ კონსტიტუციებში მოცემული დებულებების მსგავსია. აქედან გამომდინარე, უცხოური სასამართლო პრაქტიკა საქართველოში კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაციის მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა სასამართლო აქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო გამოცდილება, გარკვეულწილად აისახა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რიგ აქტებში. კონსტიტუციით რეგლამენტირებული ადამიანის ძირითადი უფლება უნივერსალურ ღირებულებას წარმოადგენს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია. ეს გარემოება მეტყველებს კონკრეტული საქმეების განხილვისას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების სასარგებლოდ, რადგან აღნიშნულმა ორგანომ არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, კერძოდ კი 1951 წლიდან, ფასდაუდებელი სამუშაო გასწია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. ამას ადასტურებს ასევე გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები გამოიყენა. 2004 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში განიხილებოდა პროგრამა „60 წუთის“ წამყვანის, აკაკი გოგიჩაიშვილის სარჩელი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ზემოაღნიშნულ გადაცემაში საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფა. სასამართლომ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებების გამორკვევის კონტექსტში გამოიყენა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „აზრის“ ცნების განმარტება. ამავე საქმეზე სასამართლომ მიუთითა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე აზრის თავისუფლების დაცულ სფეროსა და მისი შეზღუდვის კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

2006 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში (№ 1/3/393, 397) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები სასამართლო დაცვის უფლებასთან და მის ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ასევე სასამართლოს მიერ 2007 წელს გამოტანილი გადაწყვეტილება (საქმეზე №1/1/374, 379). ამ საქმეზე მნიშვნელოვანი განმარტებები ეხებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას. გამოყენებულ იქნა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ეხებოდა ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების სამართლიან დაბალანსებასა და აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებათა მნიშვნელობას. ამგვარად, გერმანიის, როგორც დასავლური დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი სახელმწიფოს როლი სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესია. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში გერმანული გამოცდილების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში მოსარჩელე მხარე იყენებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად (მაგ., №3/2/416 საქმეზე).

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან, საბოლოო ჯამში, ემსახურება დაინტერესებული საზოგადოების ცნობიერების ამაღ-



ლებას სამართლის სფეროში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ თვალსაზრისით საკუთარი როლი და დატვირთვა გააჩნია. დასავლური დემოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა საფუძველზე დამკვიდრებული სტანდარტების გამოყენება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის პროგრესულობის გარანტს.

**გიორგი პაპუაშვილი**  
საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს თავმჯდომარე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ამონარიდების თარგმანს. თარგმანი შესრულებულია პროფ. იურგენ შვაბეს მიერ შედგენილი კრებულის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, უკვე მრავალი წლის განმავლობაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კლასიკურ კრებულს წარმოადგენს.

საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურ მართლმსაჯულებებს შორის არსებული ყველა განსხვავების მიუხედავად, სტუქტურულ დონეზე ამ სისტემებს შორის მრავალი საერთო არსებობს: როგორც საქართველო, ისე გერმანია აღიარებს ჯერ კიდევ ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს (1920) მიერ ჩამოყალიბებულ მართლმსაჯულებათა გამიჯვნის მოდელს, რომლის სულის ჩამდგმელი ჰანს კელზენი იყო. ამ მოდელის მიხედვით კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას ახორციელებს ორგანიზაციულად დამოუკიდებელი "კონსტიტუციური მართლმსაჯულების სპეციალიზირებული სასამართლო". საპირისპირო მოდელს წარმოადგენს აშშ-ში დამკვიდრებული ერთიანი მოდელი, რომელშიც საერთო განსჯადობის უმაღლესი სასამართლო, როგორც უზენაესი სასამართლო, იმედროულად უფლებამოსილია, ინდივიდუალური სარჩელის ფარგლებში კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე შეამოწმოს კანონები და ადმინისტრაციული აქტები.

ამავე დროს, საქართველოს და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოები თავის საქმიანობაშიც ნაწილობრივ ერთგვაროვანი გამოწვევების წინაშე დგანან. საკონსტიტუციო სასამართლოები ახდენენ ტექსტის განმარტებას, რომელიც - მისი მატერიალური შემადგენელის გარდა - უნდა პასუხობდეს სამ პრინციპს: კონსტიტუცია უნდა იყოს სტაბილური, ის ღია უნდა იყოს სამომავლო განვითარებისთვის და უტოვებდეს სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების მონაწილეებს საკმარის თავისუფალ სივრცეს განვითარებისთვის. როგორც საქართველოს, ისე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა კონსტიტუციის ამგვარი ფუნქციური პირობის შენარჩუნება. ის, თუ როგორ ახერხებს ამას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, შეგვიძლია ვნახოთ წინამდებარე კრებულში მოცემულ გადაწყვეტილებებში, რომლებიც საკმაოდ ფართო, მაგრამ ამავე დროს ნათელ წარმოდგენას ქმნიან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულის თარგმანს ქართულ ენაზე, პროექტი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა, წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ევროპული კონსტიტუციური მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის განვითარებაში და ვისურვებდი, რომ ნაშრომმა კპოვოს დაინტერესებული მკითხველი როგორც მოსამართლეთა და ადვოკატთა, ისე მეცნიერთა და სახელმწიფო მოხელეთა შორის.

**პროფ. დოქტ. ანდრეას ფოსკულე**  
გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო  
სასამართლოს თავმჯდომარე

## ზოგადი ნაწილი

### ა) ნორმის განმარტება

#### E – 8, 28

მოსამართლეს არა აქვს უფლება, კანონს, რომელიც ფორმულირებისა და შინაარსის მიხედვით ერთმნიშვნელოვანია, „კონსტიტუციის შესაბამისი“ განმარტების (Verfassungskonforme Auslegung) გზით საპირისპირო მნიშვნელობა მიანიჭოს.

#### პირველი პალატის 1958 წლის 11 ივნისის განჩინება - BvL 149/52 –33 -

... კანონის ფორმულირებისა და მისი ნარმოშობის ისტორიის მიხედვით, ერთმნიშვნელოვანი ნება მაშინაც არ უნდა ითვალისწინებდეს მოსამართლისათვის ასპარეზის მინიჭებას დამატებითი განმარტებების გასაკეთებლად, როდესაც სასამართლოს მიზანია, ეს დაასაბუთოს ნორმის „კონსტიტუციასთან შესაბამისობის“ განმარტების მოვალეობით.

თუმცა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1953 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით (იხ: BVerfGE 2, 266 [282]) დაადგინა, რომ „ორაზროვნების შემთხვევაში საჭიროა ნორმის კონსტიტუციური განმარტება“, მაგრამ იმავდროულად მიუთითა, რომ ყოველივე აღნიშნულის ფარგლებში „აუცილებელია მთლიანად კანონის მიზნის გათვალისწინება“. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია კანონის შეზღუდული განმარტება, რომელიც იმდენად შეესაბამება კანონმდებლის ნებას, რამდენადაც კონსტიტუციურია. საბოლოოდ ამ გადაწყვეტილებამ კანონმდებლის განზრახვიდან ძალაში ის მაქსიმუმ დატოვა, რაც კონსტიტუციის მიხედვით იყო შესაძლებელი; ამასთან, არ განხილულა ის საკითხი, ხომ არ გასცდა კანონმდებლის განზრახვა ზემომითითებულს.

მოცემული შემთხვევისათვის არ არის არსებითი საკითხის გადაწყვეტა, თუ ზოგადად, რამდენად აძლევს კონსტიტუციური განმარტების მოვალეობა მოსამართლეს უფლებას, რომ შეზღუდოს ან დამატების გზით გააფართოოს კანონმდებლის ნება. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1953 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით (იხ: BVerfGE 2, 336 [340, 341]) იმ შემთხვევებისათვის აღიარა ასეთი უფლებამოსილება, როდესაც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ პოზიტიური ნორმით, რომელიც შეესაბამება კანონის ფორმულირებას. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ასეთი კონსტიტუციური განმარტება არსებით საკითხებში გასცდეს ან შეცვალოს საკანონმდებლო მიზნები, რაც მოცემულ შემთხვევაში ასე იქნებოდა. ცვლილებათა კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ერთმნიშვნელოვანია. ლანდის უმაღლესი სასამართლოს მიერ განზრახული „კონსტიტუციური განმარტება“ კი კანონის ცალსახა ფორმულირებას ზუსტად საპირისპირო მნიშვნელობას მიანიჭებდა. ამით სასამართლო ჩაერეოდა არა მხოლოდ კანონმდებლის, არამედ – ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაშიც, ვინაიდან გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხოლოდ მის (ფედერალური

საკონსტიტუციო სასამართლოს) უფლებამოსილებას განეკუთვნება გერმანიის ძირითად კანონთან (აქ: მე-3 მუხლთან) აშკარად შეუსაბამო კანონის (რომელიც გამოიცა ძირითადი კანონის მოქმედების პერიოდში) არაკონსტიტუციურად გამოცხადება.

## E – 11. 126

წინარეკონსტიტუციური ნორმა მხოლოდ მაშინ არის ასახული კონსტიტუციის შემდგომი დროის კანონმდებლის ნებაში, როდესაც კანონმდებლის მიერ ასეთი ნორმის დადასტურების ნება ობიექტურად გამომდინარეობს თვითონ კანონიდან, ან კანონის ცვლილების შემთხვევაში – შეცვლილი და უცვლელად დატოვებული ნორმების მჭიდრო შინაარსობრივი კონტექსტიდან.

### მეორე პალატის 1960 წლის 17 მაისის განჩინება - 2 BvL 11/59, 11/60 -

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნორმები, რომლებიც გამოიცა გერმანიის ძირითადი კანონის ამოქმედებამდე, კერძოდ, 1949 წლის 24 მაისამდე (ე.წ. წინარეკონსტიტუციური კანონები), ზოგადად, არ ექვემდებარება შემოწმებას, ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით (იხ: BVerfGE 2, 124 [128]; იხ: BVerfGE 2, 124 [128]; 4, 331 [341]; 10, 129 [131]).

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1957 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების მიხედვით, ამ პრინციპიდან გამონაკლისია ის წინარეკონსტიტუციური ნორმები, რომლებიც კანონმდებელმა ძირითადი კანონის ამოქმედების შემდეგ „გაითვალისწინა თავისი ნების ფარგლებში“ (იხ: BVerfGE 6, 55 [65]; და ასევე: 7, 282 [290]; 8, 210 [213]; 9, 39 [46]; 10, 129 [132]; 10, 185 [191]).

აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთების წინააღმდეგ არსებობს გარკვეული ეჭვი (...).

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლო მაშინაც მიაკუთვნებს მნიშვნელობას საკანონმდებლო პროცესში მონაწილე ორგანოთა ნებას, როდესაც ეს ნება კანონში პირდაპირ არ არის გამოხატული. თუმცა, ამგვარი მიდგომა არ ჩანს 1957 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებაში. ასეთი მოსაზრება ასევე შეუთავსებელი იქნებოდა კანონის განმარტების მეთოდებისა და მიზნის თავად ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღიარებულ პრინციპებთან.

მაშინ, როდესაც „სუბიექტური“ თეორია გადამწყვეტად მიიჩნევს „კანონმდებლის“, ე.ი. კანონის ავტორის ისტორიულ ნებასა და მის მოტივაციას, „ობიექტური“ თეორიის მიხედვით, რომელმაც სასამართლო პრაქტიკასა და მოძღვრებაში უფრო და უფრო დიდი აღიარება ჰპოვა, განმარტების საგანია თვითონ კანონი ანუ კანონმდებლის მიერ კანონში ობიექტურად გამოხატული ნება. „სახელმწიფო ლაპარაკობს არა კანონის შემუშავებაში მონაწილეთა პირადი გამონათქვამების“, არამედ – მხოლოდ თვითონ კანონის საშუალებით. კანონმდებლის ნება ემთხვევა კანონის ნებას (იხ: გუსტავ რადბრუხი: სამართლის ფილოსოფია, მე-4 გამოცემა, 1950 წ. გვ. 210).

განმარტების აღნიშნულ მიზანს ემსახურება განმარტებანი კანონის სიტყვა-სიტყვითი (გრამატიკული), მისი კონტექსტის (სისტემური), კანონის მიზნის (თელეო-

ლოგიური), კანონის დოკუმენტური მასალებისა და მისი წარმოშობის (ისტორიული) მიხედვით.

კანონმდებლის ობიექტურ ნებაში ჩასანვდომად დაშვებულია განმარტების ყველა აღნიშნული მეთოდის გამოყენება. ისინი კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს. იგივე ვრცელდება კანონის ობიექტური მასალების გამოყენებაზე, რამდენადაც ეს მასალები გამოსადეგია კანონის ობიექტური შინაარსის გამოკვლევისათვის. „თუმცა, კანონის მომზადებისას გამოყენებული მასალები მისი განმარტებისათვის მხოლოდ გარკვეული ზომიერებითა და სიფრთხილით ანუ, ძირითადად, დამხმარე მასალების სახითა და ფუნქციით უნდა იქნეს გამოყენებული“ (RGZ 128, 111). აღნიშნული ინფორმაციების საფუძველზე არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ერთმანეთს უთანაბრდება საკანონმდებლო ინსტანციების შეხედულებები და კანონის ობიექტური შინაარსი. ნორმის განმარტებისას კანონმდებლის ნება მხოლოდ იმდენად შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, რამდენადაც თვითონ კანონში მოიძებნება მისი სათანადოდ განსაზღვრული საფუძველი და გამოხატულება (იხ. მაგალითად: BGH LM №3 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლთან დაკავშირებით).

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1952 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნა (იხ: BVerfGE 1, 299 [312]), რომ კანონის ნორმის განმარტებისათვის გადამწყვეტია კანონმდებლის მოცემულ ნორმაში გამოხატული ობიექტური ნება, ისე, როგორც იგი გამომდინარეობს კანონის ფორმულირებიდან და მისი კონტექსტიდან; ხოლო წარმოშობის ისტორიას ნორმის განმარტებისათვის მხოლოდ მაშინ ენიჭება მნიშვნელობა, „როდესაც იგი ადასტურებს განმარტების ზემოხსენებული მეთოდებით გამოვლენილი პრინციპების სისწორეს ან აღმოფხვრავს ეჭვებს, რომლებიც ვერ გაქარწყლდებოდა მისი გამოყენების გარეშე“. 1959 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (იხ: BVerfGE 10, 234 [244]) ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული პრინციპები კიდევ ერთხელ დაადასტურა.

2. „კანონმდებლის ნება“ არის კანონში ობიექტურად გამოხატული ნება. კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ნორმა მხოლოდ მაშინ აისახება კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედი კანონმდებლის ნებაში, როდესაც კანონმდებლის მიერ ასეთი ნორმის დადასტურების მიზანი ობიექტურად გამომდინარეობს თვითონ კანონიდან, ან კანონის ცვლილებების შემთხვევაში – შეცვლილი და უცვლელად დატოვებული ნორმების მჭიდრო საგნობრივი კავშირიდან ანუ კონტექსტიდან. ამასთან, გადამწყვეტი არ არის საკანონმდებლო ორგანოს ნევრთა მოტივაცია და შეხედულებები, თუ ისინი კანონში არ ასახულა.

მაშასადამე, დადასტურებად არ მიიჩნევა, როდესაც კანონმდებელი ძირითადი კანონის ამოქმედებამდე მოქმედ ნორმას დროებით არ ცვლის ან არ აუქმებს. არც კანონმდებლის მიერ წინარეკონსტიტუციური კანონის ცალკეული დებულების ცვლილებისა და სხვა დებულების ხელუხლებლად დატოვების საფუძველზე ივარაუდება, რომ კანონმდებელმა შეამონმა და დაადასტურა სხვა დანარჩენი ნორმები. მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფედერალური კანონმდებლის მიერ განხორციელებული წინარეკონსტიტუციური კანონის ნებისმიერი ცვლილება ამ კანონს გადააქცევს კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებულ კანონად, ვინაიდან ამით კანონმდებელი აცხადებს, რომ იგი კანონის შეუცვლელ ნაწილს მიიჩნევს კონსტიტუციურად, სინამდვილეს არ შეესაბამება. განსაკუთრებით დიდი მოცულობის მქონე კანონის შემთხვევაში შეუძლებელია, გამოვიდეთ იმ ირეალური ვარაუდიდან, რომ კანონმდებელმა ცალკეული ცვლილებების ფარგლებში შეამონმა და დაადასტურა მთლიანი კანონის კონსტიტუციურობა.

იმისათვის, რომ ნინარე კონსტიტუციური ნორმა იქცეს კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებულ ნორმად, კანონმდებელმა მისი დადასტურების კონკრეტული ნება კანონში უნდა გამოავლინოს. ეს კი, მაგალითად, ის შემთხვევაა, როდესაც ძველი ნორმა ხელახლა გამოიცემა კანონად, როდესაც ახალი ნორმა მოუთითებს ძველ, ნინარეკონსტიტუციურ ნორმაზე, ან როდესაც მწირი და მისი მცირე მოცულობის გამო საკმაოდ თვალსაჩინო სამართლებრივი სფერო საფუძვლიანად იცვლება კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ და შეცვლილი და შეუცვლელი ნორმების მჭიდრო შინაარსობრივი კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელმა შეუმონმებლად არ დატოვა ძველი, შეუცვლელი ნორმები.

## E – 40, 88

1. საერთო სასამართლოებს, რომლებიც საქმეებს არსებითად განიხილავენ, შეუძლიათ მიმდინარე კანონების განმარტება და გამოყენება. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კი მოვალეა, მიმდინარე კანონების განმარტებისათვის სავალდებულოდ დაადგინოს კონსტიტუციური სამართლიდან გამომდინარე მასშტაბები და ფარგლები.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამართლის ცალკეული ნორმის „კონსტიტუციური განმარტების“ ფარგლებში გამოთქვამს აზრს, რომ აღნიშნული ნორმის გარკვეული ინტერპრეტაცია არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს, მაშინ არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია, კონსტიტუციურად მიიჩნიოს ინტერპრეტაციის ასეთი შესაძლებლობა.

### მეორე პალატი 1975 წლის 10 ივნისის განჩინება - 2 BvR 1018/74 -

... ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და დროებით არ იყენებს მას შევსებულების განმავლობაში, არ არის ვალდებული, მიიღოს განსაკუთრებული ზომები ამ პერიოდში შეტყობინების თუ უწყების შესაძლო ჩაბარებასთან დაკავშირებით. მოქალაქეს უნდა პქონდეს იმის რწმენა, რომ მისი მოთხოვნა ვადის აღდგენასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდება, თუ მას სახლში შევსებულების გამო არყოფნის პერიოდში ფოსტაში დეპონირების გზით ჩაბარდება დაჯარიმების განკარგულება და მან, იმის გამო, რომ არ იცოდა ამის შესახებ, გააცდინა გასაჩივრების ვადა.

ლანდის სასამართლომ ბერლინის უმაღლესი სასამართლოს 1974 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში სასამართლო უწყების ჩაბარების პირველ მცდელობასთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრინციპებიდან გადახვევა და ამით ვერ გაითვალისწინა აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის სავალდებულოობა.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 31-ე მუხლი ითვალისწინებს ყველა სასამართლოსთვის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სავალდებულოობას. როდესაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო რომელიმე ნორმას მიიჩნევს ბათილად ან მოქმედად, ამ გადაწყვეტილებას, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აქვს კანონის ძალა. თუმცა, იმავე

კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ასევე სხვა შემთხვევებშიც აქვს ისეთი სავალდებულო ხასიათი და შედეგი, რომელიც სცდება ცალკეული შემთხვევის ფარგლებს, ვინაიდან მისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილებში კონსტიტუციის განმარტების შესახებ განხილული და ჩამოყალიბებული პრინციპები სავალდებულოა სასამართლოებისათვის ნებისმიერი ნორმის განმარტებისას (იხ: BVerfGE 19, 377 [391]; 20, 56 [87]; 24, 289 [297]).

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 31-ე მუხლი იმდენად ანიჭებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ხასიათს, რამდენადაც ამას მოითხოვს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მცველისა და ინტერპრეტატორის, ფუნქცია. შესაბამისად, სავალდებულო ხასიათი ვრცელდება სამოტივაციოს მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ეხება კონსტიტუციის განმარტებასა და გამოყენებას. იგი არ მოიცავს მხოლოდ კანონთა განმარტებასა და გამოყენებას, ვინაიდან კანონების განმარტება და გამოყენება არის საგნობრივად განსჯადი საერთო სასამართლოების პრეროგატივა. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კი ვალდებულია, სავალდებულოდ დაადგინოს საერთო კანონების განმარტებისათვის კონსტიტუციური სამართლიდან გამომდინარე მასშტაბები და ფარგლები. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სამართლის ცალკეული ნორმის „კონსტიტუციური განმარტების“ ფარგლებში გამოთქვამს აზრს, რომ აღნიშნული ნორმის გარკვეული ინტერპრეტაცია არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს, მაშინ არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია, კონსტიტუციურად მიიჩნიოს ინტერპრეტაციის ასეთი შესაძლებლობა. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველა სასამართლოსათვის სავალდებულოა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების ფარგლებში სავალდებულო ინსტანციის, ვერდიქტი/გადაწყვეტილება ნორმისა თუ კანონის არაკონსტიტუციურობის შესახებ.

## **ბ) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისა და გამოყენების შემოწმება**

### **E – 18, 85**

**სასამართლოს გადაწყვეტილებების გადამოწმება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ**

#### **პირველი პალატის 1964 წლის 10 ივნისის განჩინება**

3. თუ პატენტთან დაკავშირებული საქმეების განმხილველი ფედერალური სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართალი შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლს, განსახილველი რჩება საკონსტიტუციო საჩივრის ძირითადი საკითხი, კერძოდ: დაარღვია თუ არა პატენტთან დაკავშირებული საქმეების განმხილველმა ფედერალურმა სასამართლომ კანონის განმარტებისა და გამოყენების გზით საკუთრების უფლება.

ა) კანონის, განსაკუთრებით კი ძირითადი დათქმების, განმარტებისა და გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს ძირითადი კანონის ღირებულებათა მასშტაბები. თუ სასამართლო არ ითვალისწინებს აღნიშნულ მასშტაბებს, მაშინ იგი, როგორც საჯარო ხელისუფლების სუბიექტი, არღვევს ძირითადი კანონის იმ ნორმებს, რომლებიც არ გაითვალისწინა; შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო საჩივრის საფუძველზე (იხ: BVerfGE 7, 198 [207]; 12, 113 [124]; 13, 318 [325]).

საკონსტიტუციო საჩივრის დანიშნულებასა და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებულ ამოცანებთან შეუსაბამო იქნებოდა ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, როგორც საკასაციო ინსტანციისათვის, მიემართათ სასამართლო გადაწყვეტილებების შეუზღუდავი სამართლებრივი გადამონშების მიზნით, იმ საფუძველით, რომ მცდარი სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა, ეხებოდეს პირის ძირითად უფლებას. პროცესის წარმოება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, კანონის განმარტება და მისი გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ ამისათვის განსჯად სასამართლოთა პრეროგატივას, რაც არ ექვემდებარება გადამონშებას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ; მხოლოდ სასამართლოს მიერ სპეციფიკური კონსტიტუციური სამართლის დარღვევის შემთხვევაში შეუძლია ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, ჩაერიოს საკონსტიტუციო საჩივრის საფუძველზე (იხ: BVerfGE 1, 418 [420]). სპეციფიკური კონსტიტუციური სამართალი არ მიიჩნევა დარღვეულად, როდესაც გადაწყვეტილება ობიექტურად მცდარია საერთო სამართლის მიხედვით; სასამართლოს შეცდომა სწორედ ძირითად უფლებათა გაუთვალისწინებლობაში უნდა მდგომარეობდეს.

თუმცა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევის შესაძლებლობათა არეალი ყოველთვის მკაფიოდ არ არის განსაზღვრული; მოსამართლეს თავისი შინაგანი რწმენის ფარგლებში უნდა ჰქონდეს გარკვეული სივრცე/ასპარეზი, რომელიც საშუალებას აძლევს მას, გაითვალისწინოს ცალკეული შემთხვევის განსაკუთრებული გარემოებები. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული კანონის ფარგლებში ე.წ. სუბსუმციის<sup>1</sup> პროცესი არ ექვემდებარება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამონშებას, ვიდრე თვალსაჩინო არ გახდება შეცდომა განმარტებისას, რომელიც განპირობებულია ძირითადი უფლების მნიშვნელობის პრინციპულად მცდარი შეფასებით, განსაკუთრებით კი – ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ფარგლებთან დაკავშირებით და ამასთან, აღნიშნული შეცდომა სათანადო მნიშვნელობისაა კონკრეტული შემთხვევისათვის თავისი მატერიალური დატვირთვის კუთხით. ძირითადი უფლების დარღვევა ჯერ კიდევ არ არის სახეზე, როდესაც მოსამართლის მიერ საერთო კანონის გამოყენება გამოიწვევს ისეთ შედეგს, რომლის „მართებულობაც“ სადავოა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეჭვქვეშ დგას მოსამართლის შეფასებანი ურთიერთსაინააღმდეგო ინტერესების ურთიერთშეფარდების ფარგლებში, ვინაიდან ერთი ან მეორე მხარის ინტერესები მეტად გაითვალისწინა.

ბ) გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ გასაჩივრებული განჩინება, ზემოთ აღნიშნული გაგებით, არღვევს ძირითად უფლებას.

<sup>1</sup> სუბსუმცია ნიშნავს კანონის აბსტრაქტული ფაქტობრივი ელემენტების გამოყენებასა და მორგებას კონკრეტულ შემთხვევაზე ანუ ორიდულ კვალიფიკაციას.



1. პოლიტიკური პაექრობის ფარგლებში გამოთქმული ისეთი მოსაზრების შინაარსის დადგენისას, რომელიც არის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 187-ა მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის საფუძველი, ამ შინაარსის დასადგენად გამოყენებული ასპექტები და მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს.
2. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა შესაბამისი სასჯელით გათვალისწინებული ჩარევის დიდი ინტენსიურობის შემთხვევებში სრულად ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გადამოწმებას.

### პირველი პალატის 1976 წლის 7 დეკემბრის განჩინება

მომჩივნის წინააღმდეგ საქმე აღიძრა პოლიტიკური ცილისწამებისათვის (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 187-ა მუხლები). ლანდის სასამართლომ მომჩივანს შეუფარდა ფულადი ჯარიმა 2000 გერმანული მარკის ოდენობით. ამასთან, სასამართლომ თანამოსარჩელეს მიაკუთვნა უფლება, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოეყვეცნებინა მომჩივნის ხარჯზე.

თუმცა, ლანდის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თანამოსარჩელის სამსახური დაკავებული იყო არა მხოლოდ გერმანელი გლეხების დასახლებით, არამედ – პოლონელი გლეხების თავიანთი მიწებიდან გაძევებით. ამას გარდა, სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ თანამოსარჩელემ პოლონელები ერთხელ პარაზიტებსაც შეადარა. მაგრამ, სასამართლოს აზრით, მომჩივანი თანამოსარჩელეს ფარული ფორმით ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი მონაწილეობდა პოლონელების განადგურებაში. სასამართლოს აზრით, სწორედ ასე იკითხება პროკლამაცია, მისი კონტექსტიდან გამომდინარე.

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია.

#### I

1. საკონსტიტუციო საჩივარი მიმართულია სისხლის სამართლის საქმეზე საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც განსჯადი სასამართლოების გადაწყვეტილებები, ავტომატურად არ ექვემდებარება კონსტიტუციურ-სამართლებრივ შემოწმებას: სასამართლო წარმოების ორგანიზაცია, ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა და შეფასება, კანონის განმარტება და მისი გამოყენება ცალკეულ შემთხვევაში, ზოგადად, არ ექვემდებარება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმებას; მხოლოდ სასამართლოს მიერ სპეციფიკური კონსტიტუციური სამართლის დარღვევის შემთხვევაში შეუძლია ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევა საკონსტიტუციო საჩივრის გზით (იხ: BVerfGE 18, 85 [92]). ასეთი დარღვევა შესაძლოა, მდგომარეობდეს ასევე იმაშიც, რომ საერთოდ არ გათვალისწინებულა ან მცდარად იქნა გათვალისწინებული ძირითად უფლებათა გავლენა და მნიშვნელობა სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის ფარგლებში. აღნიშნულის ფარგლებში კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმების მასშტაბის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ძირითადი უფლების შეზღუდვის ინტენსიურობა: რაც უფრო მეტად და ღრმად ეხება განაჩენი მსჯავრდებულის ძირითადი უფლების სფეროს, მით უფრო მკაცრი მოთხოვნები ვრცელდება ამ

ჩარვეის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით და მით უფრო ფართოა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი გადამონმების შესაძლებლობები (იხ: BVerfGE 42, 143 [148] -DGB-).

მაშინაც, როდესაც ხდება მხოლოდ ფულადი ჯარიმის შეფარდება, წინამდებარე ხასიათის შემთხვევებისათვის სასჯელი, როგორც სანქცია კრიმინალური მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მიმართ, ბევრად უფრო ინტენსიურია, ვიდრე სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დაკისრება რაიმე ქმედების განხორციელებასთან ან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულს ემატება ისიც, რომ საკონსტიტუციო საჩივარში მითითებული ჩარევა ძირითად უფლებაში საკმაოდ მასშტაბურია: როდესაც მომჩივნას „ფარულად“ გამოთქმული დადგენილი მოსაზრების სახით ლანდის სასამართლო მიაწერს ისეთ გამონათქვამს/განცხადებას, რომელიც მას არ გაუკეთებია და როდესაც მას იმავდროულად შეეფარდება სასჯელი, ასეთ შემთხვევებში მოცემულია ინტენსიური ჩარევა, რომელიც აუცილებლად ეხება ძირითადი უფლებით დაცული პიროვნული სფეროს ბირთვს. მომჩივნის ინდივიდუალური აზრის გამოხატვის უფლების გარდა, ზოგადად, აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებისათვის არსებითად მასშტაბურია აღნიშნული უარყოფითი შედეგები და გავლენა (იხ: BVerfGE 42, 143 [156]), ვინაიდან სახელმწიფოს ამგვარი ქმედება გავლენას ახდენს თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი ინფორმაციისა და აზრის ჩამოყალიბების თავისუფლების არსზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის განხილვით, გამოვლინდა თუ არა შეცდომა გასაჩივრებული გადანყვეტილებების შემთხვევაში, რაც განპირობებულია ძირითადი უფლების მნიშვნელობისა და განსაკუთრებით კი - მისი დაცვის მექანიზმის მასშტაბის პრინციპულად მცდარი შეფასებით (იხ: BVerfGE 18, 85 [93]). მოცემულ შემთხვევაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა ასევე დეტალურად შეამოწმოს: აღნიშნული გადანყვეტილებების ფარგლებში ფაქტობრივი ელემენტების დადგენისას და შეფასებისას, ასევე კანონის განმარტება-გამოყენებისას დაირღვა თუ არა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი აზრის გამოხატვის თავისუფლება.

2. გამონათქვამებთან დაკავშირებული დელიქტების შემთხვევებში შესაძლებელია, საქმის განმხილველმა სასამართლომ ჯერ კიდევ ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისას დაუშვას ამდაგვარი დარღვევები, როდესაც გამოსაკვლევი და დასადგენია წერილობითი გამონათქვამის შინაარსი და როდესაც ამ გამონათქვამს მიეცემა ისეთი დატვირთვა, რომელიც საერთოდ ან საკმარისი დამაჯერებლობით არ გამომდინარეობს მისი ფორმულირებიდან. ასეთ შემთხვევაში „ფაქტი“ არის თვითონ სასამართლოში წარდგენილი ტექსტი, რომლის შინაარსი უნდა დადგინდეს ინტერპრეტაციის საშუალებით. თუ გამონათქვამი მიზნად ისახავს აზრის ჩამოყალიბების პროცესზე გავლენის მოხდენას, მაშინ ის ასპექტები და მასშტაბები, რომლებსაც სასამართლო იყენებს თავისი ინტერპრეტაციისათვის, უნდა შეესაბამებოდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივ გარემოებათა და ელემენტთა დადგენის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გადამონმებას ხელს არ უშლის ისეთი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ჩვეულებრივ სავალდებულოა საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტები და გარემოებები.

ლანდის სასამართლოს განაჩენი გამოტანილია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით; შესაბამისად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ასევე შეუსაბამოა ლანდის უმაღლესი სასამართლოს განჩინება, რომლითაც იგი არ აკმაყოფილებს ლანდის სასამართლოს განაჩენის მიმართ აღძრულ საკასაციო საჩივარს.

1. მომჩივნის პროკლამაცია შეიცავს ფაქტების მტკიცებასა და შეფასებას, რომლებიც მიმართული და ამასთან, სათანადოდ იყო გარკვეული აზრის ჩამოყალიბებისათვის. აქ საუბარია საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო პაექრობაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და ღირსების დაცვის ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის (იხ: BVerfGE 7, 198 [212]; 12, 113 [127]; 24, 278 [282]; 42, 163 [170]). აღნიშნულის გარდა, ლანდის სასამართლოს გადანყვეტილებაში არ ჩანს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ძირითად უფლებას მისაღები გადანყვეტილებისათვის. შესაბამისად, ლანდის სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში არა თუ მცდარად განსაზღვრა გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მასშტაბი, არამედ თავისი გადანყვეტილების ფარგლებში საერთოდ არ გაითვალისწინა აზრის გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება.

2. ლანდის სასამართლომ მიერ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობას ეფუძნება იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომელიც საფუძვლად უდევს სასჯელის შეფარდებას.

ლანდის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მხრიდან უნდა ევარაუდა ფარული განცხადებების გავრცელების ფაქტი. აღნიშნული ვარაუდის მიხედვით, პროკლამაციებში ღიად ჩამოყალიბებულ და მითითებულ ფაქტებს, რომლებიც უშუალოდ არ ეხებოდა თანამოსარჩელის წარსულს, არ გააჩნდა „რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა“: მოხსენებები SS-ისა და პოლიციის მიერ საჯარო დახვრეტების, „ლიკვიდირებული“ პოლონელების ზრდადი რიცხვისა და პოლონური ინტელიგენციის განადგურების შესახებ, სასამართლოს აზრით, და მომჩივნის რეპლიკისაგან განსხვავებით, არ ემსახურებოდა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას. სწორედ აქედან გამომდინარეობს პროკლამაციის ინტერპრეტაცია, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების საფუძველს.

აღნიშნული მოსაზრება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ლანდის სასამართლოს გადანყვეტილება ეფუძნება იმას, რომ ღირსების დაცვის ინტერესები მოცემულ შემთხვევაში მოითხოვს „ფართო განმარტებას“. ამით იგი ხელმძღვანელობს იმ მასშტაბით, რომ მომჩივანს მართლაც ჰქონდა განზრახული იმ ფარული განცხადების გავრცელება, რომელიც ბრალად შეეარცხა. ასეთი მასშტაბი კი არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლს, ვინაიდან იგი ეფუძნება ოდენ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სახით ნორმირებული ღირსების დაცვას და ამასთან, სრულიად არ ითვალისწინებს თვითონ აზრის გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ უზრუნველყოფას. მართალია, არ შეიძლება ღირსების დაცვის მნიშვნელობის შეუფასებლობა და გაუთვალისწინებლობა, მაგრამ ასევე საჭიროებს გათვალისწინებას აზრის გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება, რომელიც იზღუდება მხოლოდ პირადი ღირსების უფლებით; ყოველივე ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ პაექრობაზე, რაც

დაუშვებელს ხდის გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის ასპექტით მხოლოდ ღირსების დაცვის არსებითად გათვალისწინებას.

## გ) ნორმათა არაკონსტიტუციურობის შედეგები

### E – 1.14

5. სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც აუქმებს კანონს, აქვს არა მხოლოდ კანონის ძალა (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი), არამედ იგი, თავისი არსებითი მოტივაციით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ასევე საუაღდებულოა ფედერაციის ყველა კონსტიტუციური ორგანოსათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ იმავე შინაარსის ფედერალური კანონი ვეღარ მიიღება.
6. თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ გამოცემული კანონი ბათილია ძირითად კანონთან არსებული წინააღმდეგობის საფუძველზე, აღნიშნული კანონი თავიდანვე ბათილად ჩაითვლება.

მეორე პალატის 1951 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება  
- 2 BvG 1/51 -

### E – 21.12

ბრუნვის გადასახადის შესახებ გერმანიის მოქმედი კანონის ფარგლებში, საკონკურენციო ნეიტრალიტეტის ნაკლებობას „ერთპროფილიან“ და „მრავალპროფილიან“ საწარმოთა შორის კანონმდებელი უნდა შეეგუოს ბრუნვის გადასახადთან დაკავშირებული, უკვე დაწყებული და კანონმდებლის მიერ სათანადო ვადაში გასატარებელი რეფორმის დასრულებამდე.

პირველი პალატის 1966 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება 1966 წლის  
4 და 5 ივლისის ჩატარებული ზეპირი განხილვის საფუძველზე  
- 1 BvR 320/57, 70/63 -

... აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრუნვის გადასახადის შესახებ გერმანიის მოქმედი კანონი იმდენად არ შეესაბამება თვითონ კანონმდებლის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეულ საგადასახადო თანასწორობას, რამდენადაც იგი „ერთპროფილიანი“ და „მრავალპროფილიანი“ საწარმოების გარე ბრუნვას უპირობოდ უთანაბრებს ერთმანეთს. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მოცემული დროისათვის ვერ მოხდება ვერც კანონის ბათილად ცნობა და ვერც ძირითადი უფლების დარღვევის დადგენა. იგივე ვრცელდება მომჩივნების მიერ გასაჩივრებულ კონსტიტუციის სხვა დარღვევებზეც, ვინაიდან ეს დარღვევებიც, ძირითადად, იმავე მოსაზრებებით არის არგუმენტირებული და დასაბუთებული.

ფედერაციის შემოსავლებისა და ასევე სანარმოთა თვითღირებულებისათვის, აგრეთვე ფასის ზოგადი ფორმირებისა და ჩამოყალიბებისათვის ბრუნვის გადასახადის შესახებ გერმანიის კანონს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა; აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მოცემული დროისათვის კანონის მხოლოდ იმ მიზეზით ბათილად გამოცხადება, რომ განსაკუთრებულ, თუნდაც მნიშვნელოვან ჯგუფებს უთანასწოროდ მოექცნენ სხვა ჯგუფებთან შედარებით; აღნიშნული, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნებოდა მარტივ შემთხვევებში, მაგრამ მოცემულ ვითარებაში დადგებოდა აბსოლუტურად გაუმართლებელი შედეგი, კერძოდ, ის, რომ შეუსაბამოდ ფართო მოქმედების სფეროს მასშტაბით ძალას დაკარგავდა კანონი, რომელსაც საერთოდ არ ეხება მოცემულ შემთხვევაში განსახილველი საკითხი. მომჩივნებს არც მოუთხოვიათ მთელი კანონის ბათილად ცნობა.

ასევე გამორიცხულია კანონის იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომელიც მნიშვნელოვნია მოცემულ შემთხვევაში განხილული უთანასწორობის კუთხით. ბათილობის ამგვარი შეზღუდვა მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი. პრაქტიკაში კი ვერ მოიძებნება ფორმულირება, რომელიც ფართომასშტაბური საგადასახადო ობიექტის შემთხვევაში ერთმანეთისაგან სამართლებრივად გამოიწვევდა კანონის ბათილ და მოქმედ ნაწილებს...

მეორე მხრივ, ერთპროფილიანი სანარმოსათვის, როგორცაა მომჩივანი, მოცემულ სიტუაციაში არ არის სრულიად მიუღებელი კანონის მოქმედება კიდევ გარკვეული დროის მანძილზე...

მართალია, არსებულ ვითარებაში ბრუნვის გადასახადის შესახებ გერმანიის კანონი, თავისი არასრულყოფილი სახით, ინარჩუნებს ძალასა და მოქმედებას, მაგრამ რაც შეეხება მისი მოქმედების გაგრძელებას, განსაკუთრებით კი - „ერთპროფილიანი“ და „მრავალპროფილიანი“ სანარმოების გარე ბრუნვის ურთიერთგათანაბრებასთან დაკავშირებით, აქ მის მოქმედებას უკვე განსაზღვრული აქვს შესაბამისი ვადები.

## დ) ძირითადი უფლებები ვალდებულებების განსაკუთრებულ პირობებში<sup>2</sup>

### E – 33, 1

#### 1. პატიმართა ძირითადი უფლებებიც შესაძლებელია, შეიზღუდოს მხოლოდ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე.

<sup>2</sup> „ვალდებულების განსაკუთრებული პირობები“ გერმანულ სამართლებრივ სივრცეში ეწოდება მოქალაქის განსაკუთრებულ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. დემოკრატიის ფარგლებში, თუმცა, გამორიცხულია იძულება/თვითგანკარგვის შეზღუდვა, მაგრამ აქაც არსებობს ისეთი სფეროები, სადაც ასეთი იძულება/თვითგანკარგვის შეზღუდვა გამართლებულია ისევე დემოკრატიული პრინციპებით (მაგ: ციხეები, ფსიქიატრიული კლინიკები, პოლიცია, სამხედრო). მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევებში მოქალაქე ნებაყოფლობით ამბობდა უარს ძირითადი უფლებების განხორციელებაზე და იყო არა საზოგადოების, არამედ სახელმწიფოს ნევრი, მისი შემადგენელი ნაწილი, რომელიც არ სარგებლობდა ამ უფლებებით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1972 წლის გადაწყვეტილების შემდეგ (იხ: BVerfGE 33, 1) ვალდებულების განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ადამიანებზეც ვრცელდება ძირითადი უფლებების მოქმედება. მართალია, შესაძლებელია ამ უფლებების შეზღუდვა, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი და სავალდებულოა კონკრეტული სფეროს მიზნების შესასრულებლად. მაშასადამე, ვალდებულების განსაკუთრებული პირობები, მისი ტრადიციული გაგებით, გერმანულ სამართლებრივ სივრცეში დღეისათვის უკვე აღარ არსებობს.

2. პატიმართა ძირითად უფლებებში განხორციელებული ისეთი ჩარევები, რომლებსაც არ გააჩნია კანონიერი საფუძველი, მიღებულ უნდა იქნეს გარკვეული გარდამავალი ვადის ფარგლებში.
3. პატიმართა ძირითადი უფლებების შეზღუდვა მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აუცილებელია გერმანიის ძირითადი კანონის ღირებულებათა სისტემაში შემავალი საზოგადო მიზნების განხორციელებისათვის.
4. სასჯელალსრულების კანონის ამოცანაა, გაავლოს ზღვარი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პატიმრის აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებას, ასევე სასჯელალსრულების მონესრიგებელი და გონიერული სისტემის აუცილებელ მოთხოვნებსა და ინტერესებს.

### მეორე პალატის 1972 წლის 14 მარტის განჩინება

მომჩივანი არის პატიმარი. 1967 წლის 24 დეკემბერს მან X-ს მიმართა წერილით, რომელშიც იგი განიხილავდა სასჯელალსრულების დაწესებულების ხელმძღვანელის, დოქტორ ს-ის (რომელიც უნდა შეცვლილიყო) პიროვნებას, ასევე ხელმძღვანელობაში ცვლილებების გამომწვევ, მისი აზრით, გადამწყვეტ საკითხებს. ამასთან, იგი მკვეთრად უარყოფითად და დამამცირებლად მოიხსენიებდა დოქტორ ს-ს.

1967 წლის 27 დეკემბერს წერილი შეაჩერა შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელმა, მასში გადმოცემული შეურაცხყოფელი განცხადებებისა და ასევე იმის გამო, რომ იქ განხილული იყო სასჯელალსრულების დაწესებულების ისეთი საქმეები და საკითხები, რომლებიც პატიმარს პირადად საერთოდ არ ეხებოდა. აღნიშნული შეჩერების სამართლებრივ საფუძვლად დასახელდა DVollzO—ის<sup>3</sup> 155-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მომჩივანი საკონსტიტუციო საჩივრის მეშვეობით ასაჩივრებს გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

მისი განცხადებით, სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ პატიმართა წერილების შემონეშვა არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლით გარანტირებულ მიმონერის საიდუმლოებას. ამას გარდა, მომჩივანი მიიჩნევს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს ეწინააღმდეგება წერილის შეჩერება იმ საფუძველით, რომ იგი შეიცავს შეურაცხყოფელ განცხადებებს ან განიხილავს სასჯელალსრულების დაწესებულებაში არსებულ პირობებს. მომჩივნის აზრით, ძირითადი უფლებები მოქმედებს ასევე პატიმრებისათვის და ძირითადი კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მათი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის მეშვეობით, რომელიც მუხლობრივად უნდა ასახელებდეს შეზღუდულ ძირითად უფლებას. მოცემულ შემთხვევაში კი, მომჩივნის განცხადებით, ასეთი კანონი არ არსებობს.

საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია.

### I

პატიმრების ძირითადი უფლებების შეზღუდვაც ასევე შესაძლებელია მხოლოდ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე.

<sup>3</sup> სამსახურბრივი და საალსრულებო წესდება - ადმინისტრაციული ნორმა, რომელიც არ წარმოადგენს არც პარლამენტის მიერ გამოცემულ ნორმას და არც კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ დებულებას.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და ასევე მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებებით გათვალისწინებულია თავისუფლების შეზღუდული და შეუზღუდავი აღკვეთის შესაძლებლობა მოსამართლის განაჩენის საფუძველზე, რომელიც გამოტანილია სისხლისსამართლებრივი ნორმის გამოყენებით და შესაბამისი საპროცესო წესების გათვალისწინებით; ამასთან, ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული წამების [არაადამიანური მოპყრობის] აკრძალვის გარდა, არ შეიცავს მითითებებს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის აღსრულების ფორმასთან დაკავშირებით. როდესაც საქმე ეხება ძირითადი უფლებების შეზღუდვას, აქ უკვე კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები განსაზღვრავს, რომ აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე (ამ მიმართებით იხ: გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი). თითქოსდა ლოგიკური დასკვნა, რომ კანონმდებელი აქედან გამომდინარე ვალდებულია, აქამდე ძირითადად ადმინისტრაციული ნორმების მეშვეობით მონესრულებული სასჯელაღსრულების სფეროსათვის მიიღოს შესაბამისი კანონი, საწყის ეტაპზე, ძირითადი კანონის ამოქმედების შემდეგ, არ განხილულა სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში. აქ საუბარი იყო მხოლოდ „ვალდებულების განსაკუთრებული პირობების“ სამართლებრივ ინსტიტუტზე და ეს მოიაზრებოდა პატიმართა ძირითადი უფლებების თავისებურ, იმპლიციტურ შეზღუდვად. სასჯელაღსრულების კანონი ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ მიიჩნეოდა სავალდებულოდ, კონსტიტუციიდან გამომდინარე...

2. დღევანდელი თვალსაწიერიდან აღნიშნული მიდგომა აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სასჯელაღსრულების, როგორც „ვალდებულების განსაკუთრებული პირობების“, ტრადიციული სტრუქტურა უშვებდა იმას, რომ პატიმართა მიმართ ძირითადი უფლებების მოქმედება შემსუბუქებულიყო ყოველად გაუმართლებელი ბუნდოვანებით.

გერმანიის ძირითადი კანონი არის ღირებულებებზე დამოკიდებული სისტემა/წესრიგი, რომელიც ყოველი სამართლის უმაღლეს მიზნად აღიარებს თავისუფლებისა და ადამიანის ღირსების დაცვას; თუმცა, მასში გათვალისწინებული ადამიანი არ არის თვითგაღმერთებული ინდივიდი, არამედ იგი წარმოადგენს საზოგადოებაში მცხოვრებ პიროვნებას, რომელიც მრავალგზის პასუხისმგებელია ამ საზოგადოების წინაშე (იხ: BVerfGE 12, 45 [51]; 28, 175 [189]). გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი აცხადებს ძირითადი კანონების უშუალო სავალდებულოობას კანონმდებლობისთვის, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისათვის. აღნიშნულ პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა სასჯელაღსრულების სფეროში ძირითად უფლებათა შესაბამისი მიხედულებითა თუ შინაგანი რწმენით შეზღუდვის შესაძლებლობა. ძირითად უფლებათა შეზღუდვა მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აუცილებელია გერმანიის ძირითადი კანონის ღირებულებათა სისტემაში შემავალი საზოგადო მიზნის განხორციელებისათვის და როდესაც იგი ხორციელდება ამისათვის დადგენილი, შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფორმით. მაშასადამე, პატიმრების ძირითადი უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე, რომელიც გვერდს ვერ აუვლის შეძლებისდაგვარად ვინროდ ჩამოყალიბებულ და შეზღუდულ ზოგად პრინციპებს.

## II

სასჯელაღსრულების დანესებულების მიერ მომჩივნის წერილის შემონმებით არ დარღვეულა გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

1. მიმონერის საიდუმლოების ძირითადი უფლება იცავს მოქალაქეთა შორის მიმონერას, რათა საჯარო ხელისუფლება ამ მიმონერის შინაარსს ვერ გაეცნოს. სასჯელალსრულების დანესებულების შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომლის კონტროლი ნერილზე, რომლის გაგზავნაც პატიმარს სურდა სასჯელალსრულების დანესებულების ფარგლებს გარეთ მყოფი ადრესატისათვის, წარმოადგენს პატიმრის მიმონერის საიდუმლოების ძირითად უფლებაში ჩარევას.

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, მიმონერის საიდუმლოების ძირითადი უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე. მომჩივნის წერილი კი შეჩერდა შესაბამის ადმინისტრაციულ აქტზე (სამსახურებრივი და საალსრულებო წესდება) მითითებით. ეს წესდება წარმოადგენს ლანდების იუსტიციის მინისტრთა ადმინისტრაციული ბრძანების მსგავს ურთიერთშეთანხმებას, რითაც იგი ვერ აკმაყოფილებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნებს. ამასთან, იგი არც გამომდინარეობს კანონიდან.

3. თუმცა, ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ დროსა და შემთხვევაში ვერ დგინდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. კონსტიტუციურ კანონმდებელს ძირითადი კანონის გამოცემისას გააზრებული ჰქონდა სასჯელალსრულების სფეროს მოქველებული სისტემა და ვერ მოიძებნება ვერც ერთი მინიშნება იმ ვარაუდისათვის, რომ კანონმდებელს, გერმანიის ძირითადი კანონის ამოქმედებისთანავე უნდა გამოეცა კანონი სასჯელალსრულების შესახებ. ძირითადი კანონით განმტკიცებული ღირებულებათა სისტემა მხოლოდ კანონმდებელს ავალებს სასჯელალსრულების სისტემის მონესრიგებას სათანადო დროის განმავლობაში. იმ საკითხის შეფასებისას კი, გასულია თუ არა აღნიშნული სათანადო ვადა და დაარღვია თუ არა ამით კანონმდებელმა გერმანიის ძირითადი კანონის მოთხოვნები, გასათვალისწინებელია ასევე, რომ უახლოეს წარსულშიც კი, ვალდებულების განსაკუთრებული პირობების სამართლებრივ ინსტიტუტზე მითითებით, ფართოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ სასჯელალსრულების სისტემის ფარგლებში საყოველთაოდ შეზღუდულია პატიმართა ძირითადი უფლებები და რომ საქმე ეხება იმპლიციტურ/არაპირდაპირ შეზღუდვებს, რომლებიც არ საჭიროებს ფორმალური კანონით სპეციალურ გათვალისწინებას. ამგვარი მოქველებული მოსაზრება კი მხოლოდ მოგვიანებით და თანდათანობით შეიცვალა შეხედულებით, რომ გერმანიის ძირითადი კანონი, როგორც ღირებულებების ობიექტური სისტემა ძირითად უფლებათა ძლიერი და ფართოდ დამცავი მექანიზმით, რომლის განხორციელებაც სავალდებულოა მთელი საჯარო ხელისუფლებისათვის, არ დაუშვებს პირთა გარკვეული ჯგუფებისათვის ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმის შეზღუდვას...

ასეთ ვითარებაში გარკვეული გარდამავალი პერიოდისათვის მანამ უნდა იყოს მისაღები ისეთი ჩარევები პატიმართა ძირითად უფლებებში, რომლებსაც არ გააჩნია კანონიერი საყრდენი, სანამ კანონმდებელს არ ექნება შესაძლებლობა, ძირითადი უფლებების დღევანდელი მნიშვნელობიდან და გაგებიდან გამომდინარე, გამოსცეს კანონი სასჯელალსრულების შესახებ, სადაც, შესაბამისად, მკაცრად იქნება განსაზღვრული ჩარევის ფაქტობრივი წინაპირობები. ამასთან, ასევე საინტერესო და გასათვალისწინებელი გარემოებაა უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილების ვადის გასვლაც, რაც ასევე აღნიშნა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ (იხ: BVerfGE 15, 337 [352] და 25, 167 [185, 188]). აქედან გამომდინარეც, შესაძლებელია თუნდაც 1973 წლის შემოდგომამდე არსებული, თუმცა, კონსტიტუციის დღევანდელ გაგებასთან შეუთავსებელი მდგომარეობის აქცეპტირება.



4. ზემოთ აღნიშნული, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ვადაში დასაშვებია პატიმართა ძირითადი უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლოები, ისევე როგორც დღემდე, ვალდებული არიან ცალკეული, კონკრეტული ჩარევის შემთხვევაში შეამოწმონ (მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს კანონი სასჯელალსრულების შესახებ), რამდენად დასაშვებია ძირითადი უფლების შეზღუდვა. ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აუცილებელია სასჯელალსრულების სისტემის გამართული და სათანადო დონეზე ფუნქციონირებისათვის. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სასჯელალსრულების მიზანი და დანიშნულება.

### III

ყოველივე ზემოთ მითითებულისაგან განსხვავებით, დარღვეულია პატიმრის აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლება, ვინაიდან წერილის შეჩერება მოხდა მისი ნაწილობრივ შეურაცხმყოფელი შინაარსის საფუძველზე...

არ არსებობს კანონი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს აძლევს უფლებას, შეაჩერონ ისეთი წერილების გავრცელება, რომელთა შეურაცხმყოფელ შინაარსთან დაკავშირებით მათ შეიტყვევს ჩატარებული შემოწმების შედეგად, რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს პატიმართა შესაძლო გაქცევისა თუ მათი მხრიდან კრიმინალური აქციების თავიდან აცილებას. აღნიშნული მიზანი (მხოლოდ გაქცევისა და კრიმინალური აქციების აღკვეთა) მოქმედებს მაშინაც, როდესაც საქმე ეხება იუსტიციის სისტემის წარმომადგენლის მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ განცხადებებსა თუ მოსაზრებებს, სანამ კანონით არ განისაზღვრება რაიმე სხვა ალტერნატივა და შესაძლებლობა. იუსტიციის სისტემის წარმომადგენლებსაც აქვთ უფლება, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უპასუხონ ამგვარ შეურაცხყოფას...

არ არსებობს კანონი (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით) სასჯელალსრულების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს და გაამართლებს პატიმართა იმ წერილების შეჩერებას, რომლებიც შეურაცხმყოფელი შინაარსისაა, ან განიხილავს სასჯელალსრულების დანესებულებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, რომლებიც საერთოდ არ ეხება პატიმარს. ასეთი ღონისძიებები არც აუცილებლად არის მიჩნეული სასჯელალსრულების სისტემის გამართული და სათანადო დონეზე ფუნქციონირებისათვის. თავისუფლების აღკვეთის გონივრული განხორციელება აუცილებლად არ მოითხოვს სასჯელალსრულების დანესებულებასა თუ მის პერსონალთან დაკავშირებით პატიმრებისათვის საკუთარი (ბუნებრივია, ხშირად უარყოფითი და მტრული) მოსაზრების გამოხატვის ნებისმიერი შესაძლებლობის შეზღუდვას.

### გერმანიის ძირითადი კანონის პირველ მუხლთან დაკავშირებით:

#### E – 45. 187

1. მკვლელობისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილი), ქვემოთ მოყვანილი თეზისების მიხედვით, შესაბამეა გერმანიის ძირითად კანონს.

2. შესაბამისი კვლევების შედეგების დღევანდელი მდგომარეობით არ დგინდება, რომ მუდმივი პატიმრობის აღსრულება, სასჯელაღსრულების შესახებ გერმანიის კანონის ნორმების შესაბამისად და ასევე შეწყალების პრაქტიკის გათვალისწინებით, აუცილებლად იწვევს გამოუსწორებელ ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ზიანს, რომელიც ლახავს ადამიანის ღირსებას (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი).
3. ადამიანის ღირსების შესაბამისი სასჯელაღსრულების წინაპირობები მოიცავს იმას, რომ პირს, რომელსაც მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა, ჰქონდეს შანსი, რომ როდესმე გახდება თავისუფალი. ამასთან, საკმარისი არ არის მხოლოდ შეწყალების შესაძლებლობა; სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ კანონით განისაზღვროს მუდმივი პატიმრობის შეჩერების წინაპირობები და შესაბამისი პროცედურები.

**პირველი პალატის 1977 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება**  
- BvL 14/76 -

სისხლის სამართლის სფეროში, სადაც სამართლიანობას ნაყენებული აქვს უმაღლესი და უმკაცრესი მოთხოვნები, გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს სასჯელის არსს და ბრალისა და მისი საზღაურის ურთიერთმიმართებას. „Nulla poena sine culpa“-ს პრინციპი<sup>4</sup> სარგებლობს კონსტიტუციური პრინციპის რანგით (იხ: BVerfGE 20, 323 [331]). ნებისმიერი სასჯელი უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავეის ბრალეულობის ადეკვატური და შესაბამისი (იხ: BVerfGE 6, 389 [439]; 9, 167 [169]; 20, 323 [331]; 25, 269 [285]). ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპი, პირველ რიგში, ნიშნავს სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის აკრძალვას (იხ: BVerfGE 1, 332 [348]; 6, 389 [439]). დამნაშავე არ შეიძლება გახდეს დანაშაულთან ბრძოლის ობიექტი მისი კონსტიტუციურად დაცული სოციალური ადგილისა და პატივისცემის მოთხოვნის უფლებათა დარღვევით (იხ: BVerfGE 28, 389 [391]). ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური არსებობის ძირითადი წინაპირობები უნდა იქნეს შენარჩუნებული. აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან და სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან, განსაკუთრებით სასჯელაღსრულებისათვის, გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საარსებო მინიმუმი, რომელიც განაპირობებს ადამიანის ღირსების შესაფერის არსებობას. ადამიანის ღირსების ამგვარ გაგებასთან შეუსაბამო იქნებოდა სახელმწიფოს უფლება, იძულებით აღუკვეთოს ადამიანს თავისუფლება და ამასთან, არ დაუტოვოს ოდესმე მაინც თავისუფლების მიღწევის შეგრძნების რაიმე შანსი.

... როდესაც მსჯავრდებული, მისი პიროვნული განვითარების მიუხედავად, იძულებულია, დათმოს თავისუფლების მოპოვების ყველანაირი იმედი, ამ დროს შეხება ხდება მის ადამიანურ ღირსებასთან. იმისათვის, რომ მუდმივი პატიმრობის აღსრულება ადამიანის ღირსების კუთხით იმ ფორმით იქნეს უზრუნველყოფილი, რაც შეესაბამება კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს, არ არის საკმარისი მხოლოდ შეწყალების ინსტიტუტი.

<sup>4</sup> არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე.

**გერმანიის ძირითადი კანონის  
მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით:**

**E – 6, 32**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-11 მუხლი არ ეხება ქვეყნიდან გამგზავრების [ქვეყნის დატოვების] თავისუფლებას.
2. ქვეყნიდან გამგზავრების [ქვეყნის დატოვების] თავისუფლება, როგორც მოქმედების ზოგადი თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება, უზრუნველყოფილია გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, კონსტიტუციური წესრიგის მასშტაბით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში.
3. კონსტიტუციური წესრიგი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, არის კონსტიტუციურ – სამართლებრივი წესრიგი/სისტემა ანუ ყველა იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ფორმალურადაც და მატერიალურადაც შეესაბამება კონსტიტუციას.
4. ყველას შეუძლია საკონსტიტუციო საჩივრის გზით პრეტენზია განაცხადოს, რომ მისი მოქმედების შემზღუდველი სამართლებრივი ნორმა არ განეკუთვნება კონსტიტუციურ წესრიგს.

პირველი პალატის 1957 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება  
- 1 BvR 253/56 -

**ვილჰელმ ელფის საკონსტიტუციო საჩივართან დაკავშირებით**

მომჩივანმა 1953 წელს მიონხენგლადბახის საპასპორტო ადმინისტრაციულ ორგანოში შეიტანა განცხადება თავისი სამგზავრო პასპორტის ვადის გაგრძელების თაობაზე, რაზეც მას 1953 წლის 6 ივნისს რაიმე დასაბუთების გარეშე, საპასპორტო სისტემის შესახებ გერმანიის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 290) მითითებით, უარი განუცხადეს.

... ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სისტემატიკიდან გამომდინარე აუცილებელია – როგორც დასაბუთებულია წერილობით მასალებში – რომ ქვეყნიდან თავისუფალი გამგზავრების [ქვეყნის დატოვების] უფლება მოიაზრებოდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-11 მუხლის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, ქვეყნიდან გამგზავრების [ქვეყნის დატოვების] თავისუფლება, როგორც ზოგადი მოქმედების უფლების ერთ-ერთი გამოვლინება, სარგებლობს ძირითადი უფლების სათანადო დამცავი მექანიზმით (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი).

2. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1954 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაში (იხ: BVerfGE 4, 7 [15]) ღიად დატოვა საკითხი: მოიაზრება თუ არა პიროვნების თავისუფალი განვითარების მცნებაში ადამიანის მოქმედების უფლება ფართო მნიშვნელობით, ან შემოიფარგლება თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი მხოლოდ ისეთი მოქმედების თავისუფლების დაცვით, რომლის გარეშეც ადამიანს საერთოდ არ შეუძლია საკუთარი პიროვნების განვითარება.

ა) არ შეიძლება გერმანიის ძირითადი კანონი „პიროვნების თავისუფალ განვითარებაში“ გულისხმობდეს პიროვნების მხოლოდ იმ ბირთვის განვითარებას, რომე-

ლიც განაპირობებს მას, როგორც გონიერ, მორალურ არსებას, ვინაიდან გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეიძლება ენინააღმდეგებოდეს აღნიშნული განვითარება მორალურ ნორმებს, სხვა ადამიანთა უფლებებსა და თუნდაც თავისუფალი დემოკრატიული წყობილების კონსტიტუციურ წესრიგს. სწორედ შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია ინდივიდის, როგორც ერთი მთლიანი საზოგადოების წევრისათვის, მიუთითებს იმაზე, რომ გერმანიის ძირითადი კანონი მე-2 მუხლის პირველ პუნქტში გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას ფართო შეცნობით.

ამასთან, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ზეანულოვანი ფორმულირება გახდა იმის საფუძველი, რომ აღნიშნული ნორმა წარმოჩენილიყო განსაკუთრებით – გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის ჭრილში და, აქედან გამომდინარე, მიჩნეულიყო ადამიანის კონსტიტუციური ხედვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნორმად. ამით სხვა არაფერია ნათქვამი, თუ არა ის, რომ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლი განეკუთვნება კონსტიტუციის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც დომინირებს მე-2 მუხლზეც, ისევე, როგორც – გერმანიის ძირითადი კანონის ყველა სხვა დებულებაზეც. სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ძირითად უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მოქმედების ზოგად თავისუფლებას. კანონმდებლის მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლის ფარგლებშიც მე-2 მუხლის თავდაპირველი ფორმულირება – „ყველას შეუძლია განახორციელოს თავისთვის სასურველი ქმედება“ – შეიცვალა ამჟამად მოქმედი ვერსიით, განაპირობებული იყო არა სამართლებრივი, არამედ – ენობრივი მიზეზებითა და მოსაზრებებით. საეარაუდოდ, თეორია იმის შესახებ, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი მიზნად ისახავს მხოლოდ პიროვნების ბირთვული სფეროს დაცვას, წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ მეორე წინადადების ბოლოს მოქალაქის პიროვნული განვითარების ფარგლებად გათვალისწინებულია ასევე კონსტიტუციური წესრიგი. მცდელობამ, რომ აღნიშნული ცნება (რომელიც სხვა ადგილასაც გვხვდება გერმანიის ძირითადი კანონში) განმარტებულიყო ყოველთვის ერთგვაროვნად, განაპირობა ტენდენცია, კონსტიტუციურ წესრიგში დაენახათ კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის უფრო ვიწრო, შეზღუდული ვერსია, საიდანაც გამომდინარეობდა აუცილებელი და სავალდებულო დასკვნა, რომ კონსტიტუციურად დაცულია არა ადამიანის მოქმედების, არამედ – პიროვნების ზემოთ აღნიშნული ბირთვული სფეროს განვითარებისა და დაცვის უფლება.

მოქმედების ზოგად თავისუფლებასთან ერთად, რომელსაც უზრუნველყოფს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, ძირითადი კანონი იცავს ადამიანის თავისუფლებას გარკვეულ ცხოვრებისეულ სფეროებში მოღვაწეობასა და საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს ის სფეროებია, რომლებიც, ისტორიული გამოცდილების მიხედვით, განსაკუთრებით ინტენსიურად არის სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის ობიექტი. მათთან მიმართებით ძირითადი კანონი, შესაბამისი კანონისმიერი დათქმების გათვალისწინებით, ერთმანეთისაგან მიჯნავს, თუ რა მოცულობით შეიძლება ჩარევა ცალკეულ სფეროში. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ცხოვრებისეული სფერო არ არის დაცული ძირითადი კანონით, მაშინ პირს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მისი თავისუფლების შეზღუდვის გასაჩივრება შეუძლია გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი კანონისმიერი დათქმის არსებობა, ვინაიდან კონსტიტუციური წესრიგის მეშვეობით პიროვნების თავისუფალი განვითარების შეზღუდვიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ ჩარევის განხორციელების მასშტაბი.

ბ) როდესაც (როგორც ზემოთ მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტში აღინიშნა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი პიროვნების თავისუფალი გან-

ვითარებით უზრუნველყოფს მოქმედების ზოგად თავისუფლებას, რომლისთვისაც (იმ შემთხვევაში, თუ არ არღვევს სხვის უფლებებსა და მორალის ნორმებს) სავალდებულოა მხოლოდ კონსტიტუციური წესრიგი, აღნიშნული ცნება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გულისხმობდეს ზოგად სამართლებრივ წესრიგს, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ და ფორმალურ ნორმებს ანუ რომელიც უნდა იყოს სხვა არაფერი, თუ არა კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი.

გ) ლიტერატურაში ხშირად გამოითქმის უკმაყოფილება იმის გამო, რომ აღნიშნული მოსაზრებით „აზრს კარგავს“ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლება, რადგან იგი ექვემდებარება ზოგად კანონისმიერ დათქმას. ამასთან, ვერ ხდება იმის გათვალისწინება, რომ გერმანიის ძირითადი კანონის ამოქმედების შემდეგ საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ ვრცელდება უფრო მეტი შეზღუდვა, ვიდრე გათვალისწინებული იყო გერმანიის 1919 წლის კონსტიტუციით. გერმანიის ძირითადი კანონით შეიქმნა და ჩამოყალიბდა ღირებულებებზე აგებული სისტემა, რომელიც ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას. აღნიშნულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს თვითგანკარგვის უფლება და ადამიანის ღირსება საზოგადოებაში (იხ: BVerfGE 2, 1 [12];, 5, 85 [204]). ამ სისტემის უმაღლესი პრინციპები დაცულია კონსტიტუციის ცვლილებებისაგან (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი და მე-20 მუხლები და 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი). კონსტიტუციური მოვალეობების დარღვევა გამორიცხებულია. კონსტიტუციური მართლმსაჯულება ახორციელებს ზედამხედველობას კანონმდებლის მიერ მისთვის სავალდებულო კონსტიტუციური მასშტაბების გათვალისწინებასა და დაცვაზე. კანონები მხოლოდ იმით არ არის „კონსტიტუციური“, რომ გამოიცა ფორმალური მოთხოვნების დაცვით. ისინი ამასთანავე მატერიალური თვალსაზრისითაც უნდა შეესაბამებოდეს თავისუფალი, დემოკრატიული წყობილების, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ღირებულებათა სისტემის, უმაღლეს პრინციპებს და ასევე კონსტიტუციის დაუნერგელ, ელემენტარულ პრინციპებსაც, განსაკუთრებით კი – სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს. აქედან გამომდინარე, კანონი, პირველ რიგში, არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის ღირსებას, რომელიც, გერმანიის ძირითადი კანონის მიხედვით, უმაღლესი ღირებულებაა, ასევე არ უნდა ზღუდავდეს ადამიანის აზრის, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას, რომ ყოველივე ეხებოდეს აღნიშნულ უფლებათა არსობრივ შინაარსს და დანიშნულებას (გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი). აქედან გამომდინარეობს, რომ თითოეულ პიროვნებას კონსტიტუციით გარანტირებული და დაცული აქვს ცხოვრების ორგანიზების სფერო, რომელიც წარმოადგენს ადამიანური თავისუფლების უკანასკნელ ხელშეუვალ სივრცეს და ამასთან, არ ექვემდებარება რაიმე ჩარევას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. კანონი, რომელიც გაითვალისწინებდა აღნიშნულ სივრცეში ჩარევას, ვერ იქნებოდა „კონსტიტუციური წესრიგის“ შემადგენელი ნაწილი; ასეთი კანონი ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა აღიაროს ბათილად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქის მოქმედების ზოგადი თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ყველა ამ მოთხოვნას და, რაც მთავარია, არის „კონსტიტუციური წესრიგის“ შემადგენელი ნაწილი. კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ზემოთ ნათქვამი ნიშნავს შემდეგს: ყოველ ადამიანს შეუძლია საკონსტიტუციო საჩივრის გზით პრეტენზია განაცხადოს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მოქმედების შემზღუდველი კანონი არ განეკუთვნება კონსტიტუციურ წესრიგს,

ვინაიდან (ფორმალური ან შინაარსობრივი კუთხით) იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ცალკეულ დებულებასა თუ ზოგადკონსტიტუციურ პრინციპებს, რის გამოც დაირღვა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მისი ძირითადი უფლება<sup>5</sup>.

## **E – 34, 238**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ასევე სამართლებრივ პოზიციებს, რომლებიც საჭიროა პიროვნების განვითარებისათვის. აღნიშნული გარკვეულწილად მოიცავს უფლებას საკუთარ ფოტოსურათსა და წარმოქმულ სიტყვაზე. აქედან გამომდინარე, თითოეულს შეუძლია თვითონ განსაჯოს, თუ ვინ უნდა მოისმინოს მისი სიტყვა და ასევე ვისი თანდასწრებით შეიძლება მისი ხმის ჩანაწერის მოსმენა.
2. თუმცა, ზემოთ ნათქვამი არ გამორიცხავს იმას, რომ საზოგადოების უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევებში (მაგ. სისხლის სამართალში) ბრალდებულის კანონიერი ინტერესი ხმის ფარული ჩანაწერის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით უკან იხევს.

შეორე პალატის 1973 წლის 31 იანვრის განჩინება

- BvR 454/71 -

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება ფარულად დამზადებული აუდიოჩანაწერის გამოყენების დასაშვებობას გამოძიების ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს მომჩივნის წინააღმდეგ გადასახადის დამალვის, თაღლითობისა და ოფიციალური დოკუმენტის გაყალბების ეჭვის საფუძველზე.

1. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი მყარი პრაქტიკით აღიარა, რომ გერმანიის ძირითადი კანონი თითოეულს ანიჭებს საკუთარი პირადი ცხოვრების მონაცემების ხელშეუვალ სფეროს, რომელიც სრულიად თავისუფალი და დაცულია სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევებისაგან (იხ: BVerfGE 6, 32 [41]; იხ: BVerfGE 6, 32 [41]; 389 [433]; 27, 1 [6]; 344 [350]; 32, 373 [378]; 33, 367, 376). აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც გულისხმობს ცალკეული ინდივიდის ინტიმური სფეროს [მისი პირადი ცხოვრების ძირითადი ბირთვის] დაცვას, ეფუძნება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების შინაარსისა და მასშტაბის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ძირითადი ნორმის მიხედვით, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და ყოველი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მოითხოვს მის დაცვასა და გათვალისწინებას. ამას გარდა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასევე შეუძლებელია მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების არსთან შეხება (იხ: BVerfGE 27, 344 [350]; 32, 373 [379]). არც საყოველთაო უპირატესი ინტერესების არსებობის შემთხვევაში დაიშვება პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ

<sup>5</sup> იგივე ვრცელდება ასევე ყველა ძირითადი უფლების მიმართ.

სფეროში ჩარევა; აქ არ ხდება თანაზომიერების პრინციპის მიხედვით ინტერესთა ურთიერთშეფარდება.

თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების აბსოლუტური დაცვა არ მოიცავს პირადი ცხოვრების მთლიან სფეროს (იხ: BVerfGE 6, 389 [433]; 27, 344 [351]; 32, 373 [379]). საზოგადოებაში მცხოვრები, მოღვაწე და საზოგადოების წინაშე ვალდებული მოქალაქისათვის მისაღები უნდა იყოს ის სახელმწიფო ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება საყოველთაო უპირატესი ინტერესების ფარგლებში თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით, თუ აღნიშნული ზომები არ ეხება პირადი ცხოვრების მოწყობის აბსოლუტურად დაცულ და ხელშეუვალ სფეროს...

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი თითოეულს ანიჭებს პიროვნული განვითარების უფლებას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სხვა ადამიანების უფლებებს, კონსტიტუციურ ნესრიგსა და მორალის ნორმებს. აღნიშნული ძირითადი უფლება იცავს ასევე სამართლებრივ პოზიციებს, რომლებიც საჭიროა პიროვნების განვითარებისათვის. ეს გარკვეულწილად მოიცავს უფლებას საკუთარ ფოტოსურათსა და წარმოქმულ სიტყვაზე. აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანს შეუძლია თავად განსაჯოს, თუ ვინ უნდა მოისმინოს მისი სიტყვა და ასევე განსაჯოს, თუ ვისი თანდასწრებით შეიძლება მისი ხმის ჩანანერის მოსმენა.

5. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანი არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა აბსოლუტურად დაცულ პირად სფეროში, აუდიო ჩანანერის გამოყენება დაიშვება, თუ იგი გამართლებული და დასაბუთებულია უპირატესი საყოველთაო ინტერესების არსებობით, რაც წინამდებარე შემთხვევაში არ დასტურდება.

ა) გერმანიის ძირითადი კანონი პიროვნების თავისუფალ განვითარებას ანიჭებს მალალ რანგს. ამ უფლების შემზღვეველი სახელმწიფო ღონისძიებები [გამონაკლისის სახით] დასაშვებია მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით. მეორე მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონი ასევე მალლა აყენებს ეფექტური მართლმსაჯულების მოთხოვნილებებსაც. აქედან გამომდინარე, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც არაერთხელ გაუსვა ხაზი ეფექტური სისხლის-სამართლებრივი დევნისა და დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელ მოთხოვნებს (იხ: BVerfGE 19, 342 [347]; 20, 45 [49]; 144 [147]), ასევე სისხლის სამართლის პროცესებში, დამნაშავეთა დაკავებისა და უდანაშაულოთა განტვირთვის მიზნით, შეძლების-დაგვარად სრულყოფილ ჭეშმარიტების გამორკვევასთან დაკავშირებულ საზოგადო ინტერესებს (იხ: BVerfGE 32, 373 [381]); სასამართლომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე აგებული საზოგადოების არსებით ამოცანად შეაფასა მძიმე დანაშაულთა ეფექტური გამოძიება და გახსნა (იხ: BVerfGE 29, 183 [194]) და მიუთითა მოქმედი მართლმსაჯულების მნიშვნელობაზე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სამართლიანობის განხორციელება.

კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი უფლება პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მოთხოვნები შესაძლოა, ერთმანეთს მრავალგზის დაუპირისპირდეს. ამ დაპირისპირება-დაძაბულობისას ბალანსის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, რომ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი ჩარევების საზომად და კორექტორად ყოველთვის იქნეს გამოყენებული გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამცავი ნორმა (იხ: BVerfGE 19, 342 [347]; 20, 45 [49]; 144 [147]), რაც იმას ნიშნავს,

რომ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გამოირკვეს და დადგინდეს, ამ მაღალი კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე პრინციპებიდან კონკრეტულ შემთხვევაში რომელია უფრო მეტად მნიშვნელოვანი.

## E – 99, 185

ზოგადი პიროვნული უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის პირველი პუნქტი) ცალკეულ ადამიანს იცავს მისი მცდარი მიკუთვნებისაგან გაერთიანებებისა და ჯგუფებისადმი, თუ ეს მიკუთვნება მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნებისა და საზოგადოებაში მისი რეპუტაციისათვის.

ზოგადი პიროვნული უფლების დაცვას არ შეესაბამება ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული განცხადებებით [ამა თუ იმ გაერთიანების წევრობასთან დაკავშირებით] დაზარალებულ ადამიანს არ ეძლევა შესაძლებლობა, სასამართლოს მეშვეობით დაუპირისპირდეს ასეთ განცხადებებს იმის მითითებით, რომ შესაბამისი ინფორმაციის გამავრცელებელმა პირმა პროცესზე შესაბამისი ფაქტებით დაადასტურა მის მიერ გაკეთებული განცხადება.

პირველი პალატის 1998 წლის 10 ნოემბრის განჩინება  
- 1 BvR 1531/96 -

### სარეზოლუციო ნაწილი:

მაინის ფრანკფურტის ლანდის უმაღლესი სასამართლოს 1996 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება მომჩივნის სარჩელის დაუკმაყოფილებლობით არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მის ძირითად უფლებას. გადაწყვეტილება ამ ნაწილში ცხადდება გაუქმებულად და საქმე უნდა დაუბრუნდეს ლანდის უმაღლეს სასამართლოს.

შესენის ლანდმა [ფედერალურმა ერთეულმა] მომჩივანს უნდა აუნაზღაუროს საკონსტიტუციო საჩივართან დაკავშირებული საჭირო ხარჯები.

### საფუძვლები:

ა

საკონსტიტუციო საჩივარი უპირისპირდება უარს სამოქალაქო სარჩელზე, რომელიც აღძრული იყო რეპუტაციის შემლახველი განცხადებებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით.

ბ

მომჩივანი (გ. ჰელნვაინი), ცნობილი ავსტრიელი ხელოვანი, რომელიც ცხოვრობს გერმანიაში, 1972 წლიდან დაკავებული იყო Scientology-ს [სექტა, რომლის მიმართაც მეტად კრიტიკული განწყობაა გერმანიაში] მოძღვრების გაცნობით და ესწრებოდა ამ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ კურსებსაც. 1975 წლიდან იგი სხვადასხვა უურნალში შოიხსენიეს, როგორც Scientology-ს მიმდევარი ან სხვა ფორმით დაუკავშირეს ამ ორგანიზაციას...



## II

მომჩივანი საკონსტიტუციო საჩივრით ეწინააღმდეგება მისი პირადი უფლების დარღვევას (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით).

მისი განცხადებით, იგი არ არის Scientology-ს მიმდევარი; მას არ მიუღია სასულიერო პირისათვის აუცილებელი განათლება და თვითონაც არასდროს მიიჩნევდა თავს ასეთად. ჟურნალ „Cerebrity“-ის 262-ე გამოშვებაში დაბეჭდილი სტატია, მომჩივნის განცხადებით, არის არა ინტერვიუ, არამედ – რეკლამა. მისთვის არ მიუმართავთ შეკითხვებით სტატიის თაობაზე და მას არც თანხმობა გამოუთქვამს მის დაბეჭდვასთან დაკავშირებით. მართალია, მომჩივანი 70-80-იან წლებში ეცნობოდა Scientology-ს მოძღვრებასთან დაკავშირებულ ლიტერატურას და ასევე ესწრებოდა მათ მიერ შეთავაზებულ კურსებს, მაგრამ მან შემდგომში დაკარგა ინტერესი ამ მოძრაობის მიმართ და სხვა საკითხებით დაკავდა. 1992 წლიდან იგი სასამართლოს მეშვეობით ცდილობდა, თავი დაეცვა Scientology-ს მიმდევრობასთან დაკავშირებით გავრცელებული განცხადებებისაგან.

მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ნებადართულია მის შესახებ მცდარი შინაარსის განცხადებების გავრცელება, რაც მისთვის გამოყენებში მონაწილეობისა და პროფესიული საქმიანობის აკრძალვის ტოლფასია, რადგან მომჩივანს, გავრცელებული ბრალდებების გამო, გერმანიაში აღარ აძლევენ შეკვეთებს...

ამას გარდა, მან, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა მის წინააღმდეგ გავრცელებული მოსაზრებების გასაქარწყლებლად. მომჩივანმა გერმანიის Scientology-ს ეკლესიისაგან მოითხოვა და მიიღო კიდევ სწორი განმარტებები მისი ამ ორგანიზაციაში წევრობასთან დაკავშირებით; მომჩივნის განცხადებით, იგი მეტს ვერაფერს ილონებს.

## ბ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მომჩივნის საჩივრის დაუკმაყოფილებლობით არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად უფლებას. თუმცა, საკონსტიტუციო საჩივარი მიმართულია მთლიანად გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაგრამ დაკმაყოფილების ნაწილში იგი არ ტვირთავს მომჩივანს. რადგან საკონსტიტუციო საჩივარი არ შეიცავს დამატებით განმარტებებს, მისი მოთხოვნა განიმარტება ისე, რომ იგი ეხება გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელიც ზღუდავს მომჩივნის უფლებებს (იხ: BVerfGE 1, 14 [39]; 7, 99 [105]; 68, 1 [68]).

## I

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეხება მომჩივნის ძირითად პიროვნულ უფლებებს.

1. ზოგადი პიროვნული უფლებები თავის დაცვას ავრცელებს რაიმე ჯგუფისადმი ადამიანის მცდარი მიკუთვნების შემთხვევაშიც, თუ ეს მიკუთვნება მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნებისათვის და უარყოფითად აისახება მის საზოგადოებრივ რეპუტაციაზე.

ძირითადი უფლება იცავს პიროვნების იმ ელემენტებს, რომლებიც არ არის განსაკუთრებული თავისუფლებების გარანტიის საგანი, მაგრამ პიროვნებისათვის თავიანთი კონსტიტუციური მნიშვნელობით ამ თავისუფლებების ტოლფასია (იხ: BVerfGE 54, 148 [153] და ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). აქ ასევე მოიაზრება ცალკეული ადამიანის სოციალური აღიარება. აქედან გამომდინარე, პი-

როვნული უფლებები გულისხმობს ასევე პირის დაცვას ისეთი განცხადებებისაგან, რომლებმაც შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის საზოგადოებრივ რეპუტაციაზე. ამგვარი განცხადებები საფრთხეს უქმნის გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ვინაიდან მათ შესაძლოა, გამოიწვიონ პირის რეპუტაციის შეზღუდვა, მისი სოციალური კონტაქტების შეზღუდვა და თვითშეფასების განცდის დაქვეითება. თუმცა, აღნიშნული უფლების დამცავი მექანიზმი ცალკეულ ადამიანს არ ანიჭებს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ იგი საზოგადოებაში წარდგენილი და დახასიათებული იყოს ისე, როგორც თვითონ ხედავს საკუთარ თავს ან ისე, როგორც მას უნდა, რომ ხედავდნენ საზოგადოების სხვა წევრები. მაგრამ პირი დაცულია მისი ისეთი მცდარი, დეგრადირებული წარდგენისა და დახასიათებისაგან, რომელიც არსებითაა მისი პიროვნული განვითარებისათვის (იხ: BVerfGE 97, 125 [148]; 97, 391 [403]).

გარკვეულ ჯგუფებთან ან გაერთიანებებთან კავშირი კი, ძირითადად, მნიშვნელოვნად მიიჩნევა პიროვნების განვითარებისათვის. თუ ვინმე მათ შემადგენლობაში შედის დაბადების ან გარკვეული სოციალიზაციის გზით, მაშინ ასეთ ნევრობას განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ხოლო თუ პირი ნებაყოფლობით გახდა რომელიმე გაერთიანების წევრი, ეს მეტყველებს მისი ამ ორგანიზაციის მიზნებსა და საქმიანობასთან იდენტობის მაღალ ხარისხზე, რამაც შესაძლოა, შეიძინოს პიროვნების ჩამოყალიბებისათვის განმსაზღვრელი ძალა და გავლენა. ცალკეული ადამიანი მის გარშემო მყოფი პირებისაგან მეტ-ნაკლებად ფასდება იმ ორგანიზაციისა და ჯგუფის ფონზე, რომელთანაც დაკავშირებულია იგი. მისი რეპუტაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და თავისებურებებზე, იგი დამოკიდებულია ასევე იმ ჯგუფის შეფასებაზე, რომელსაც მიეკუთვნება (იხ: BVerfGE 93, 266 [299]). აღნიშნული განსაკუთრებით მოქმედებს იმ ჯგუფებსა და გაერთიანებებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია შესაბამისი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულებების გარშემო; ყოველივე უფრო გამძაფრებულია, როდესაც საქმე ეხება ისეთ დაჯგუფებებს, რომლებიც არ განეკუთვნება ტრადიციულ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ ჯგუფთა რიცხვს, არამედ წარმოადგენს უმცირესობათა პოზიციებს და რომელთა მიმართ საზოგადოება კრიტიკულად და უარყოფითად არის განწყობილი.

2. გასაჩივრებული გადანყვეტილება არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებას.

ბუნებრივია, უარყოფითი გავლენის მქონე განცხადებებისაგან დაცვა უშუალოდ ვრცელდება მესამე პირების წინააღმდეგ. ზოგადი პიროვნული უფლებების პირდაპირი მოქმედებაც დაკავშირებულია მხოლოდ სახელმწიფოსთან. მაგრამ სახელმწიფო, ძირითადი უფლებების მოქმედებიდან გამომდინარე, ვალდებულია, დაიცვას ცალკეული ადამიანი მის პიროვნებასთან დაკავშირებით მესამე პირების ქმედებით გამოწვეული საფრთხისაგან (იხ: BVerfGE 73, 118 [2011]; 97, 125 [146]). თუ სასამართლოები იყენებენ ისეთ ნორმებს, რომლებიც ემსახურება პირის ზემოთ აღნიშნულ დაცვას, მათ უნდა გაითვალისწინონ ძირითად უფლებათა მითითებები, ხოლო თუ არ გაითვალისწინებენ, მაშინ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრითა და მისი მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, სახეზეა არა მხოლოდ ობიექტური კონსტიტუციური ნორმის დარღვევა, არამედ ასევე – პირის სუბიექტური ძირითადი უფლების დარღვევაც (იხ: BVerfGE 7, 198 [206]).

სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ნებადართულად მიიჩნევენ პიროვნებისათვის მნიშვნელოვან გამონათქვამებს, რომელთა სანინაალმდეგოდაც იგი განმარტავს, რომ ეს გამონათქვამები მცდარია, არღვევენ პიროვნულ უფლებებს. ასეთი დარღვევა მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მომჩივნის სარჩელზე უარის თქმით, რომელიც მან აღძრა ისეთი გამონათქვამებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელთა მიხედვითაც, იგი არის Scientology-ს დაჯგუფების წევრი და ამ ორგანიზაციის სასულიერო პირი. მომჩივანზე გავრცელებულმა ბრალდებებმა Scientology-სთან მისი მჭიდრო კავშირის შესახებ შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს მის საზოგადოებრივ რეპუტაციაზე. მოცემულ შემთხვევაში ეს კიდევ უფრო მოსალოდნელია, ვინაიდან ამ ორგანიზაციის მიმართ საზოგადოების განწყობა მეტად კრიტიკული, სადავოა და იგი ხშირად ყოფილა სახელმწიფოს მხრიდან გაფრთხილებებისა და კრიტიკული სტატიების ადრესატი. არც ის არის გამორიცხული, რომ განცხადებები Scientology-ს ორგანიზაციაში მომჩივნის აქტიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, გაართულებს მის შემოქმედებით მოღვაწეობას, ვინაიდან შესაძლოა, ყოველივე ეს უარყოფითად აისახოს მომჩივნის რეპუტაციაზე, რაც გამოიწვევს მისი შეკვეთებისა და, აქედან გამომდინარე, შემოსავლების შემცირებას.

## II

გასაჩივრებული გადაწყვეტილება არღვევს მომჩივნის ზოგადპიროვნულ უფლებებს.

1. თუმცა, აღნიშნული უფლებები არ არის უზრუნველყოფილი შეუზღუდავად. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს უფლებები შეზღუდულია კონსტიტუციური წესრიგით, რაც ასევე მოიცავს სხვათა უფლებებს. ასეთ უფლებებს განეკუთვნება ასევე აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით და რომელიც, ზოგადი პიროვნული უფლებების მსგავსად, არ არის შეუზღუდავად უზრუნველყოფილი. აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შეზღუდულია კანონითა და ადამიანის პიროვნული ღირსების ძირითადი უფლებით. მომჩივნის მიერ ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძველია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის პირველი ნაწილი, 823-ე მუხლის მე-2 ნაწილი და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი, რომლითაც თავისი გადაწყვეტილების ფარგლებში იხელმძღვანელა ლანდის უმაღლესმა სასამართლომ. ხოლო აზრის თავისუფალი გამოხატვის ინტერესები გამოხატულებას ჰპოვებს, პირველ რიგში, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლში (იხ: BVerfGE 12, 113 [125]; 93, 266 [290]), რომელიც კანონიერი ინტერესების განხორციელებისას, ღირსების შემლახველი გამონათქვამების შემთხვევაში, გამორიცხავს სისხლის-სამართლებრივი სასჯელის დაკისრებას და მიუთითებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

მითითებული ნორმების განმარტება და გამოყენება წარმოადგენს კომპეტენტური სასამართლოების საქმეს. თუმცა, მათ თავიანთი ინტერპრეტაციისას უნდა გაეთვალისწინებინათ შესაბამისი ძირითადი უფლებები, რათა სამართალგამოყენების საფეხურზეც უზრუნველყოფილიყო მათი, როგორც ღირებულებათა განმსაზღვრელი ნორმების არსი (იხ: BVerfGE 7, 198 [205]). აღნიშნული, ერთი მხრივ, მოითხოვს შესაბამისი განცხადების მეშვეობით პიროვნების უფლების შელახვის სიმძიმისა და, მეორე მხრივ, გამონათქვამებისაგან თავის შეკავებით გამოწვეული აზრის გამოხატვის უფლების შეზღუდვის ურთიერთშეფარდებას.

ამ ურთიერთშეფარდების შედეგები წინასწარ ვერ განისაზღვრება ზოგადად და აბსტრაქტულად, ვინაიდან ისინი დამოკიდებულია ცალკეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებაზე. მაგრამ მართლმსაჯულებაში დროთა განმავლობაში გამოვლინდა და დამკვიდრდა ცალკეული ზოგადი წესი. მაგალითად, შეფასებებისას აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებას უმთავრესად აღემატება პიროვნული უფლებების დაცვა, როდესაც გამონათქვამი წარმოადგენს ადამიანის ღირსებაზე თავდასხმას, შეურაცხმყოფელ კრიტიკას ან ფორმალურ შეურაცხყოფას (იხ: BVerfGE 93, 266 [293]). ფაქტების მტიკციებისას ურთიერთშეფარდება დამოკიდებულია გამონათქვამის სიმართლის შემცველობაზე. განცხადებები, რომლებიც შეესაბამება სინამდვილეს, ძირითადად, უნდა იყოს მიღებული და აქცეპტირებული (მიუხედავად იმისა, უარყოფით გავლენას ახდენს ისინი პირზე, თუ არა), ხოლო მცდარი, არასწორი განცხადებები კი — არა (იხ: BVerfGE 97, 391 [403]).

თუმცა, მითითებული ფორმულა საჭიროებს დიფერენცირებას. ისეთი განცხადებების შემთხვევაშიც, რომლებიც შეესაბამება სინამდვილეს, შესაძლოა, პიროვნულმა უფლებებმა და ინტერესებმა გადასწონოს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ასეთი შემთხვევებია, მაგალითად, როდესაც განცხადებები ეხება ინტიმურ, პირად და კონფიდენციალურ საკითხებს და რომელთა გავრცელებაც ვერ გამართლდება საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესების საფუძველით (იხ: BVerfGE 34, 269 [281]; 66, 116 [139]), ან როდესაც არსებობს საფრთხე, რომ ეს განცხადებები გამოიწვევს ისეთ პიროვნულ ზიანს, რომელიც არ არის სიმართლის გავრცელების ინტერესის ადეკვატური (იხ: BVerfGE 35, 202 [232]; 97, 391 [403]).

მცდარი ფაქტების გავრცელებისათვის, როგორც წესი, არ არსებობს გამამართლებელი საფუძველი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი განცხადებები ავტომატურად გამოირიცხება აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების დაცვის სფეროდან. მართალია, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ არასწორი ინფორმაცია აზრის გამოხატვის თავისუფლების კუთხით არ წარმოადგენს კანონით დასაცავ სიკეთეს (იხ: BVerfGE 54, 108 [219]), მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების დამცავი მექანიზმი არ ვრცელდება მხოლოდ შეგნებულად დამახინჯებული ფაქტების გავრცელებისა და ასევე — იმ ცნობების გავრცელების შემთხვევებში, რომელთა სიმცდარეც თავიდანვე ნათელი და დადგენილია. ყველა სხვა დანარჩენი გამონათქვამი, რომელიც დაკავშირებულია აზრის გამოხატვასთან, სარგებლობს ძირითადი კანონის დამცავი მექანიზმით, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში შესაძლოა, გამოვლინდეს მათი სიმცდარე (იხ: BVerfGE 61, 1 [8]; 90, 1 [15]; 90, 241 [254]).

გამონათქვამის სინამდვილის შემცველობა, როგორც აღინიშნა, გადამწყვეტია ზემოთ მითითებული ურთიერთშეფარდებისას (იხ: BVerfGE 94, 1 [8]). მცდარი შინაარსის განცხადებებისას აზრის გამოხატვის თავისუფლება, ძირითადად, დგას პიროვნული უფლებების უკან. მაგრამ ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხშირად განცხადების გავრცელების მომენტისათვის სიმართლე არ არის გარკვეული და იგი ვლინდება დისკუსიისა თუ სასამართლოში მიმდინარე პროცესის შედეგად (იხ: BVerfGE 97, 125 [149]). ყველა ისეთი განცხადებისათვის კი, რომელიც შესაძლოა შემდგომში მცდარად გამოვლინდეს, შესაბამისი სანქცია რომ გაითვალისწინონ, სერიოზული საფრთხის წინაშე დადგებოდა კომუნიკაციის პროცესი, ვინაიდან უსაფრთხო და არასაარისკო საუბარი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დანამდვილებით დადგენილ სიმართლეზე. ყოველივე კი ძირითადი უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით უარყოფით ეფექტს გამოიწვევდა, რაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული, აზრის გამოხატვის თავისუფლების საფუძველების შესაბამისად (იხ: BVerfGE 43, 130 [136]).

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სასამართლოების პრაქტიკაში არსებობს გარკვეული ბალანსის ჩამოყალიბების მცდელობები აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და პიროვნულ უფლებებს შორის. აღნიშნული მცდელობები მდგომარეობს იმაში, რომ ნეგატიური გამონათქვამების გამაერცვლებლებს ეკისრებათ შესაბამისი სათადარიგო ვალდებულებები ინფორმაციების მოკვლევა-გამორკვევასთან დაკავშირებით, რომლებიც მედიის წარმომადგენლებისათვის უფრო მკაცრია, ვიდრე – კერძო მოქალაქეებისათვის. ამგვარი ვალდებულებების განსაზღვრის წინააღმდეგ არ არსებობს კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოსაზრებები (იხ: BVerfGE 12, 1113 [130]). პირიქით, აღნიშნული ვალდებულებები შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს ზოგადი პიროვნული უფლებებიდან გამომდინარე დაცვის ვალდებულების გამოხატულებად. კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით კი მხოლოდ ის არის მნიშვნელოვანი, რომ არ მოხდეს სიმართლის გავრცელების ვალდებულების გადაჭარბება და ამით თავისუფალი კომუნიკაციის პროცესის (რომელსაც მოიაზრებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი) გართულება (იხ: BVerfGE 54, 208 [219]; 61, 1 [8]; 85, 1 [15, 17]).

ურთიერთშეფარდება დამოკიდებულია ზემოთ აღნიშნული სათადარიგო ვალდებულებების შესრულებაზე. ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და „ციდან მოტანილი“ განცხადებების შემთხვევაში აზრის გამოხატვის თავისუფლება ვერ გადასწონის პიროვნულ უფლებებს. ამას გარდა, ასევე არსებითია სათადარიგო ვალდებულებების მასშტაბის შესაბამისობა კონსტიტუციურ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია სათადარიგო ვალდებულებები და მოგვიანებით მაინც დგინდება, რომ განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ იგი მიიჩნევა მისი გავრცელების მომენტისათვის მართლზომიერად, რაც იმას ნიშნავს, რომ არ იქნება გათვალისწინებული არც რაიმე სანქცია და არც მისი გასაჩივრება, ან ზიანის ანაზღაურების დაკისრება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, არ არსებობს ლეგიტიმური ინტერესი, რომ სიმცდარის დადგენისა თუ გამოვლენის შემდეგ შენარჩუნებულ იქნეს ასეთი ინფორმაციით გამოხატული პოზიცია (იხ: BVerfGE 97, 125 [149]). თუ არსებობს იმის საშიშროება, რომ აღნიშნულის მიუხედავად, მცდარი ინფორმაცია მაინც გავრცელდება (იხ: BGH, NJW (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი) 1986, გვ. 2503 [2505]), შეიძლება მცდარი განცხადების ავტორს დაეკისროს ასეთი ქმედებისაგან თავის შეკავება. ხოლო თუ კვლავ გრძელდება განცხადებით გამოწვეული შეზღუდვები, მაშინ პირს შეუძლია, მოითხოვოს მისი შინაარსის შესწორება (იხ: BVerfGE 97, 125 [149]).

ვინაიდან ხშირად ძალიან რთულია ფაქტების შესახებ გაკეთებული განცხადების სისწორის დადგენა, სამოქალაქო სასამართლოებმა სხვა პირზე უარყოფითი ინფორმაციების გამაერცვლებელ პირს ასევე დააკისრეს განმარტების ტვირთი, რომელიც მისგან მოითხოვს თავისი განცხადების ფაქტებით დადასტურებას (იხ: BGH, NJW (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი) 1974, გვ. 1710 [1711]).

არც აღნიშნულის წინააღმდეგ არსებობს კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოსაზრებები, თუ არ მოხდება განმარტების ტვირთის მიმართ წაყენებული მოთხოვნების გადაჭარბება აზრის გამოხატვის თავისუფლების ხარჯზე. სწორედ ამგვარი გადაჭარბება გააკრიტიკა ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბაიერის (Bayer) აქციონერების საქმეში (იხ: BVerfGE 85, 1), რომელსაც ეყრდნობოდა ლანდის უმაღლესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში. თუ ადამიანები აერცვლებენ ინფორმაციას ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის მათი პირადი გამოცდილების საგანი, მაშინ განმარტების ვალდებულების შესრულებისათვის საკ-

მარისია მითითება არასადავო სტატიებზე, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, აზრთა ინდივიდური გაცვლის ფარგლებში ფაქტობრივად ვერ გამოიყენება პრესით გავრცელებული ისეთი სტატიები, რომლებიც შეიცავენ უარყოფით ინფორმაციებს სხვა პირებზე, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა აზრის ჩამოყალიბების პროცესისათვის (იხ: BVerfGE 85, 1 [22]).

მაგრამ განმარტების ვალდებულების შესრულება ვერ გამოორიცხავს სიმართლის გამორკვევის საჭიროებას. აქ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს განმარტებისა და მტკიცების სტადიები. ფაქტებით დადასტურებული განცხადებაც შეიძლება იყოს მცდარი. აქედან გამომდინარე, ზოგადი პიროვნული უფლებები მოითხოვს, რომ პირს, რომლის მიმართაც გაკეთდა უარყოფითი განცხადებები, განმარტების ვალდებულების შესრულებაზე მითითებით არ ეთქვას უარი, რომ მან სასამართლო წარმოების ფარგლებში იდაოს განცხადების შინაარსთან დაკავშირებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს არაფერი აქვს სათქმელი განმარტების ტვირთის ფარგლებში დასადასტურებლად მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით [მათ გასაქარწყლებლად], შესაძლებელია, გავრცელებული ინფორმაცია ჩაითვალოს ნამდვილად. სხვა დანარჩენ შემთხვევებში კი საჭიროა განცხადების სინამდვილის შემცველობის გამორკვევა, რამდენადაც ამისათვის მოცემულია შესაბამისი საპროცესო წინაპირობები.

აღნიშნული მოქმედებს იმ შემთხვევებშიც, როდესაც გავრცელებული ფაქტები მოპოვებულია პრესაში დაბეჭდილი ინფორმაციის საშუალებით. ბაიერის (Bayer) საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებიდან განსხვავებული რამ არ გამომდინარეობს. აღნიშნულ საქმეში გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა იმიტომ, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების დარღვევით გადააჭარბა განმარტების ტვირთის მოთხოვნების განსაზღვრას და გავრცელებული განცხადებები ავტომატურად გაუტოლა მცდარ განცხადებებს. აქედან კი არ გამომდინარეობს, რომ სიმართლე თუ სიცრუე უმნიშვნელოა და რომ მოსარჩელეს, რომელიც მოპასუხისაგან ითხოვს შესაბამისი ქმედებისაგან თავის შეკავებას, აღარ აქვს უფლება, თავის მხრივ განმარტოს პრესით გავრცელებული ინფორმაციის სიმცდარე და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს კიდევ იგი.

2. მოცემულ შემთხვევაში ზოგადი პიროვნული უფლებების ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ლანდის უმაღლესი სასამართლო...

ლანდის უმაღლესი სასამართლოს განსაკუთრებით უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ თითოეულის პიროვნულობის გამოხატულება ასევე მოიცავს მისი შეხედულებების შეცვლასა და მის ახლებურ ორიენტაციას. ასეთ შემთხვევებში პირს შეუძლია მესამე პირებს მოსთხოვოს, რომ მათ გაითვალისწინონ და პატივი სცენ პირის შეცვლილ თვითშეგნებას, ვინაიდან იმ ორგანიზაციასთან მას კავშირი აღარ აქვს და, შესაბამისად, მის ამ ორგანიზაციაში წევრობასა და კავშირებზე ისაუბრონ მხოლოდ წარსულ დროში.

შენიშვნა: მომჩივანმა უარი განაცხადა თავის სამოქალაქო სარჩელზე.

## E – 96, 56

1. იმ საკითხთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ქორწინებისგარეშე შობილ შვილს დედის მიმართ შამის ვინაობის გამხელის მოთხოვნის უფლება, რაიმე შედეგი არ არის გათვალისწინებული არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნ-

ქვითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებისა და არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ფარგლებში.

2. სასამართლოებს, დედისა და შვილის ურთიერთდაპირისპირებული ძირითადი უფლებების ურთიერთშეფარდებისას სამოქალაქო-სამართლებრივ კლასიკულათა გამოყენების ფარგლებში (როგორც არის, მაგალითად, სასამართლოს მიერ უპირატესად მიჩნეული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1618ა-ე მუხლი), მიკუთვნებული აქვთ მოქმედების საკმაოდ ფართო ასპარეზი.

## პირველი პალატის 1997 წლის 6 მაისის განჩინება

- 1 BvR 409/90 -

ა

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება საკითხს, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია ვალდებული დედა, თავის სრულწლოვან, ქორწინებისგარეშე დაბადებულ შვილს მისცეს ინფორმაცია მისი ბიოლოგიური მამის ვინაობასთან დაკავშირებით.

ბ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია.

ი

მომჩივნისათვის სასამართლოს მეშვეობით იმის დაკისრება, რომ მან დაასახელოს ის მამაკაცები, რომლებთანაც ჩასახვის სავარაუდო პერიოდისათვის ჰქონდა სქესობრივი კავშირი, ზღუდავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით დაცულ მომჩივნის პირადი ცხოვრების სფეროს.

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან და პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, ზოგადი პიროვნული უფლებები იცავს პირადი ცხოვრების სფეროს და მისი არსებითი პირობების შენარჩუნებას (იხ: BVerfGE 54, 148 [153]; 79, 256 [268]). აღნიშნული უფლებები ასევე მოიცავს პირადი და ინტიმური ცხოვრების პატივისცემის უფლებას (იხ: BVerfGE 89, 69 [82]). აქ მოიაზრება ოჯახი, პირადი და ასევე სქესობრივი ურთიერთობები შესაბამის პარტნიორთან (იხ: BVerfGE 27, 344 [350]). ამას გარდა, ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ცალკეული ადამიანის უფლებას, თვითონ გადანყვიტოს, თუ რა ფორმითა და ვისთან გაამხელს იგი ინფორმაციას თავის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 65, 1 [43]).

2. მაგრამ ზოგადი პიროვნული უფლება არ არის უზრუნველყოფილი შეუზღუდავად. როდესაც არ ხდება ჩარევა პირადი ცხოვრების მონაცემების აბსოლუტურად დაცულ და ხელშეუვალ სფეროში, ცალკეულმა პირმა უნდა მიიღოს ისეთი შეზღუდვები, რომლებიც ხორციელდება საყოველთაო უპირატესი ინტერესებიდან ან მესამე პირთა კონსტიტუციურად დაცული ინტერესებიდან და უფლებებიდან გამომდინარე – თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გამოყენების საფუძველზე (იხ: BVerfGE 65, 1 [44]).

მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა ჩარევა პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ და ხელშეუხებელ სფეროში, ვინაიდან მოთხოვნილია ინფორმაცია იმ ურ-

თიერთობის შესახებ, რომლის ნაყოფიც გახლავთ მომჩინის ქალიშვილი და რომლის პირად ცხოვრებასაც არსებითად ეხება აღნიშნული ინფორმაცია.

## II

ლანდის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1618ა მუხლსა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს, მე-2 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-14 მუხლის პირველ პუნქტს, რაც, თუმცა, არ წარმოადგენს დაუშვებელ სამართალგანვითარებას, მაგრამ ლანდის სასამართლომ სათანადოდ ვერ შეაფასა საკუთარი მოქმედების ასპარეზი, რომელიც მიკუთვნებული აქვთ შესაბამისად უფლებამოსილ და კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული (უფლების დაცვის) ვალდებულებებისა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ამოცანის შესრულებისათვის.

1. ...

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1618ა მუხლის საფუძველზე დედის მიმართ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის უფლების დადგენით ლანდის სასამართლოს არ გადაუღახავს დაუშვებელი სამართალგანვითარების ზღვარი. მან განიხილა უმაღლესი სასამართლო პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც უარი ეთქვა მოზარდთა და ახალგაზრდულ საქმეთა და სხვა სახელმწიფო სამსახურების მოთხოვნას ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1618ა მუხლის განმარტებისას გაითვალისწინა ამ ნორმის წარმოქმნის ისტორია. სასამართლოს მოსაზრებები ლოგიკური და გასაგებია და არ გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი ობიექტურად არ იყო მზად, დაქვემდებარებოდა კანონსა და სამართალს, არამედ სასამართლომ კანონის გამოყენების ფუნქციიდან გადაინაცვლა კანონის განმსაზღვრელის ფუნქციაში (იხ: BVerfGE 87, 273 [280]).

2. თუმცა, გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება არღვევს მომჩინის პიროვნულ უფლებას, ვინაიდან ლანდის სასამართლომ სათანადოდ ვერ შეაფასა მისთვის მიკუთვნებული ფართო ასპარეზი ინტერესთა ურთიერთმიუყარდებისას.

ა) იმ საკითხთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ქორწინებისგარეშე შობილ შვილს დედის მიმართ მამის ვინაობის გამხელის მოთხოვნის უფლება, რაიმე შედეგი არ არის გათვალისწინებული არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებისა და არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ფარგლებში. მოცემულია თუ არა ასეთი მოთხოვნის უფლება, ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე (უფლების დაცვის) ვალდებულებათა განხორციელების ფარგლებში უნდა გადაწყვიტოს კანონმდებელმა ან სასამართლომ.

თუმცა, ზოგადი პიროვნული უფლება ასევე მოიცავს საკუთარი წარმომავლობის ცოდნის უფლებას, მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის პირველი პუნქტი არ ითვალისწინებს აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების უფლებას, არამედ იცავს მოქალაქეებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ამგვარი ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისაგან (იხ: BVerfGE 79, 256 [269]).

არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ქორწინებისგარეშე დაბადებული შვილის თანასწორ-უფლებიანობა ბიოლოგიური მამის ვინაობის ცოდნის თვალსაზრისით, რომლის მი-



მართაც მას შეუძლია ალიმენტისა და მემკვიდრეობითი სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულება. ქორწინებაში და ქორწინებისგარეშე დაბადებული შვილების სრულ თანასწორობას აქ უკვე გამორიცხავს ის გარემოება, რომ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს, კანონმდებლობის მიხედვით, ჰყავს კანონიერი მამა, რომელიც სავალდებულო არ არის, მისი ბიოლოგიური მამა იყოს.

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან და პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეობს სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება პიროვნების განვითარებისათვის არსებითი პირობებისა და გარემოებების შექმნასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 54, 148 [153]; 79, 256 [268]):

ძირითადი უფლებებიდან, ერთი მხრივ, უშუალოდ გამომდინარე პირველადი დაცვის უფლებები, რომლებიც გულისხმობს მოქალაქეების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევებისაგან და, მეორე მხრივ, ამ უფლებათა ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე (უფლების დაცვის) ვალდებულებები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან იმდენად, რამდენადაც დაცვითი უფლებები ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ქმედების განხორციელებას, ხოლო ვალდებულებები მოცემულია კონკრეტული განსაზღვრის გარეშე. ის, თუ როგორ შეასრულებენ სახელმწიფო ორგანოები აღნიშნულ ვალდებულებას, უნდა გადაწყდეს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში (იხ: BVerfGE 46, 160 [164]). აღნიშნული ვრცელდება არა მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობა, რომ მოხდეს ძირითადი კანონით გათვალისწინებული დაცვის უზრუნველყოფა, არამედ ისეთ შემთხვევებზეც, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა ძირითადი უფლება და როდესაც მიიჩნევა, რომ სახელმწიფოს შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს ევალება ამ უფლებათა ურთიერთშეფარდება და იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინება, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს უფლების დაცვის მოვალეობის შესაბამისი ფორმით შესრულებას.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავისი მუდმივი პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნავს, რომ უფლებათა დაცვის კონცეფციის შექმნა და მისი ნორმატიული უზრუნველყოფა არის კანონმდებლის ამოცანა, რომელიც იმ შემთხვევებშიც სარგებლობს შეფასებისა და მოქმედების ასპარეზით, როდესაც იგი ვალდებულია, მიიღოს ზომები ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის დასაცავად (იხ: BVerfGE 88, 203 [262]).

იგივე წესი მოქმედებს, როდესაც სამოქალაქო სასამართლოები, იმ მიზეზით, რომ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს კანონმდებლის გადაწყვეტილება, სამართალგანვითარებისა და განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების განმარტების გზით ასრულებენ უფლებათა დაცვის ვალდებულებას (იხ: BVerfGE 84, 212 [226]) ან აღნიშნული ვალდებულება უნდა შეასრულოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთმა შესაბამისმა ორგანომ (იხ: BVerfGE 46, 160 [164]). ძირითადი უფლებებიდან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამომდინარეობს კონკრეტული ნორმის ვალდებულება. მონესრიგების ასპარეზი უმთავრესად მოცემულია იქ, სადაც საუბარია ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ ძირითად უფლებებზე და განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი ძირითადი უფლების დაცვა ავტომატურად იწვევს მეორე პირის ძირითადი უფლების შეზღუდვას. ასეთ შემთხვევებში უფლებათა ურთიერთშეფარდება, პირველ რიგში, არის შესაბამისად უფლებამოსილი და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს პრეროგატივა და ფუნქცია.

მსგავსი მოთხოვნები გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტიდან კანონმდებლის მიმართ, რომლებიც სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ მოქმედი სამართლის გამოყენებისას. მართალია, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს ქორწინებისგარეშე და ქორწინებაში

დაბადებული შეილები მიმართ თანაბარ მოპყრობას, თუ მათი განსაკუთრებული სიტუაციის გამო, არ არსებობს უთანასწორო მოპყრობის გამამართლებელი მიზეზი [საფუძველი], მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება სრული თანასწორობა, ვინაიდან ქორწინებაში დაბადებულ შეილებთან დაკავშირებული ნორმები არ არის ორიენტირებული იმაზე, თუ ვინ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა, არამედ გამომდინარეობს დედის ქორწინებიდან. თუმცა, მეორე მხრივ, ამ შემთხვევებში, წინამდებარე საქმის მსგავსად, დედა არ დგას ამგვარ ინტერესთა კონფლიქტის წინაშე.

გ) ლანდის სასამართლომ ვერ გააცნობიერა მისთვის მიკუთვნებულ უფლებათა ურთიერთშეფარდების ასპარეზი. თუმცა, სასამართლომ ქორწინებისგარეშე დაბადებული ქალიშვილისათვის ინფორმაციის მიღების მოთხოვნის უფლება დაადგინა არა პირდაპირ გერმანიის ძირითადი კანონის, არამედ - სამოქალაქო კოდექსის ნორმის საფუძველზე, მაგრამ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1618 მუხლის გამოყენებისას იხელმძღვანელა ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის კონსტიტუციით დაცული ინტერესით, რომელიც მხოლოდ ძალიან შეზღუდულ ფარგლებში უშვებს ურთიერთშეფარდებას დედის ინტერესებთან. ლანდის სასამართლოს მიერ გადამწყვეტად შეფასებული კითხვა: „თუ ვინ არის პასუხისმგებელი სხვადასხვა ინტერესის დაპირისპირებაზე“, გამორიცხავს მეორე მხარის საპირისპირო ინტერესების სათანადო გათვალისწინების შესაძლებლობას, ვინაიდან შვილი არასოდეს არ არის პასუხისმგებელი მშობლებს შორის მისი ჩასახვით გამოწვეულ დაპირისპირებაზე.

ინტერესთა კონკრეტული ურთიერთშეფარდებისასაც ლანდის სასამართლომ მხოლოდ მეტად მცირე ასპარეზი დაინახა. მართალია, მან აღიარა, რომ მომჩივანს აქვს ინტერესი, არ დაასახელოს იმ მამაკაცების ვინაობა, რომლებთანაც მას ჰქონდა კავშირი ბავშვის ჩასახვის სავარაუდო პერიოდში, მაგრამ საბოლოოდ სასამართლომ აღნიშნულ გარემოებას არ მიანიჭა არსებითი დატვირთვა, ვინაიდან დედისა და ასევე შესაბამისი მამაკაცების ინტერესებთან შედარებით, მან, ყოველგვარი კონკრეტული ურთიერთშეფარდების გარეშე, შვილის ინტერესები მიიჩნია პრივილეგიურად.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ გამოირიცხება ის გარემოება, რომ ლანდის სასამართლო თავისი ასპარეზის სრულად ამონურვის შემთხვევაში სხვა შედეგებამდე მივიდოდა.

## **E – 101, 361**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი პიროვნული უფლებით დაცული პირადი ცხოვრების სფერო არ არის შეზღუდული საცხოვრისით. თითოეულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ფოტოგაშუქების გარეშე იმოძრაოს აშკარად განცალკევებულ ადგილებში.
2. ზოგადი პიროვნული უფლება არ არის უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების კომერციალიზაციის ფარგლებში. პირადი ცხოვრების სფეროს ფოტოგადაღებებისაგან დაცვა გამოირიცხება ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი თავად გამოსახავს თანხმობას ისეთი საკითხების საჯაროდ გაშუქებაზე, რომლებიც ჩვეულებრივ მიიჩნევა ადამიანის პირად საქმედ.
3. მშობლების ან მშობლის შემთხვევაში გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მეშვეობით კიდევ უფრო გაძლიერებულია ზოგადი პიროვნული უფლებით გათვალისწინებული დაცვა, თუ საქმე ეხება ისეთი ფოტოების გამოქვეყნებას, რომლებზეც ასახულია ბავშვებისადმი მშობლიური მზრუნველობა.

4. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პრესის თავისუფლება ასევე მოიცავს გასართობ პუბლიკაციებსა და მათ დასურათებას, რაც, ძირითადად, ასევე ვრცელდება ისეთი ფოტოების გამოქვეყნებაზე, რომლებზეც ასახულია საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანების ყოველდღიური თუ პირადი ცხოვრება.

პირველი პალატის 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება

- 1 BvR 653/96 -

საფუძვლები:

ა

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება პოპულარული ადამიანების ფოტოების გამოქვეყნებას, რომლებზეც ასახულია მათი ყოველდღიური და პირადი ცხოვრება.

ი

1. მოპასუხე, შპს „ბურდა“, გამოსცემს ჟურნალებს „Freizeitrevue“ და „Bunte“. აღნიშნულ ჟურნალებში სხვადასხვა ტექსტთან ერთად გამოქვეყნდა ფოტოები, რომლებზეც გამოსახული იყო მომჩივანი, მონაკოს პრინცესა კაროლინა, რომელმაც აღძრა სარჩელი გამოქვეყნებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით...

ა) ლანდის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი საფრანგეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ჟურნალებში ფოტოების გამოქვეყნების ნაწილში. სხვა დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს აზრით, საფრანგეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანიაში მომჩივანს არ ჰქონდა ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება...  
... უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ საკასაციო საჩივარს უარი უთხრა...

ბ

საკონსტიტუციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია.

ი

გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებები ეხება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მომჩივნის ზოგადპიროვნულ უფლებას.

1. ზოგადი პიროვნული უფლების დაცვა ვრცელდება ასევე მესამე პირების მიერ გამოსახულებების გავრცელებაზე.

ა) ძირითადი უფლების ამოცანაა, უზრუნველყოს პიროვნულობის ის ელემენტები, რომლებიც არ წარმოადგენს კონსტიტუციით გათვალისწინებული განსაკუთრებული თავისუფლებების საგანს, მაგრამ თავიანთი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება მათ (იხ: BVerfGE 54, 148 [153]; 99, 185 [193]). მათი უზრუნველყოფის აუცილებლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ თანამედროვე საფრთხეების საფუძველზე, რომლებიც ემუქრება ადამიანის პიროვნულ განვითარებას და რომლებიც უმთავრესად მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებისა და წინსვლის გამოვლინებაა (იხ: BVerfGE 54, 148 [153]; 65, 1 [41]).

ბ) იმ ფოტოების გამოქვეყნების უფლება, რომლებზეც ადამიანი გამოსახულია ყოველდღიურ ან პირად სიტუაციებში, განისაზღვრება საკუთარი ფოტოგამოსახულების უფლებისა და პირადი ცხოვრების სფეროს გარანტიის მასშტაბით, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პიროვნული უფლების დაკონკრეტებას.

ა) მომჩივნის მოსაზრებისაგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის პირველი პუნქტი არ ითვალისწინებს საკუთარი თავის წარმოდგენის ზოგად და ყოვლისმომცველ უფლებას...

როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალგზის აღნიშნა, ზოგადი პიროვნული უფლება თითოეულს არ მიაკუთვნებს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ იგი სხვა ადამიანებმა ისე წარმოადგინონ, როგორც თვითონ ხედავს საკუთარ თავს ან როგორც ეს მის სურვილსა და წარმოდგენებს შეესაბამება (იხ: BVerfGE 82, 236 [269]; 97, 125 [149]; 97, 391 [403]; 99, 185 [194]). ასეთი მასშტაბური და ფართო დაცვა არა მხოლოდ გადააჭარბებდა დაცვის მიზანს, რომელიც მდგომარეობს პიროვნების განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან აცილებაში, არამედ ასევე ჩაერეოდა მესამე პირთა უფლებებსა და თავი-სუფლებებში.

მომჩივანი არ ენინააღმდეგება სადავო ფოტოებზე მისი წარმოდგენის ფორმას, მაგრამ სურს იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიძლებოდა ამ ფოტოების გადაღება და გამოქვეყნება, ვინაიდან იგი იმ მომენტისათვის არ იყო დაკავებული თავისი ოფიციალური ფუნქციების შესრულებით, არამედ საზოგადოებაში იმყოფებოდა პირად და ყოველდღიურ ამპლუაში. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი გამომდინარეობს ზოგადი პიროვნული უფლების იმ ნაწილიდან, რომელიც იცავს პირის უფლებას საკუთარ ფოტოგამოსახულებაზე და ასევე - მისი პირადი ცხოვრების სფეროს.

ბ) უფლება საკუთარ ფოტოგამოსახულებაზე (იხ: BVerfGE 34, 238 [246]; 35, 202 [220]; 87, 334 [340]; 97, 228 [268]) პირისათვის ითვალისწინებს გავლენის მოხდენისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, როდესაც საქმე ეხება მისი ფოტოებისა თუ ჩანახატების დამზადებასა და გამოყენებას სხვა პირების მიერ. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სიტუაციაში მომზადდა ეს მასალა: პირად და ყოველდღიურ ამპლუაში, თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფარგლებში. დაცვის კანონიერი ინტერესი (იხ: BVerfGE 34, 238 [246]) განსაკუთრებით განპირობებულია იმ საფრთხით, რომ გარკვეულ სიტუაციაში დამზადებული ადამიანის გამოსახულება კონტექსტიდან განცალკევდეს, დაფიქსირდეს შესაბამისი თარიღითა და მონაცემებით და მოხდეს გაურკვეველი ჯგუფებისათვის მისი რეპროდუქცია. დღევანდელი ფოტოტექნიკის მიღწევებთან ერთად, რაც შესაძლებელს ხდის ფოტოგადაღებას დიდი დისტანციიდან და უახლესი მიღწევების შედეგად - სატელეფონური დამორებიდანაც კი, მატულობს ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობები და შესაბამისი საფრთხეები.

საკუთარ ფოტოგამოსახულებაზე უფლების სხვადასხვა ასპექტს შორის მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ასპექტი, რომელიც მოიცავს გარკვეული ფოტოების დამზადებასა და მათ გავრცელებას ფართო საზოგადოებაში. აქ საქმე არ ეხება მანიპულირებულ ფოტოებსა და კონტექსტის შეცვლით გამონეულ გაყალბებებს, რომელთა მიმართაც, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით გაძლიერებულია კანონისმიერი დაცვა. მომჩივანი აცხადებს, რომ ფოტოები, რომლებზეც თვითონ არის გამოსახული, მართლაც შეესაბამება რეალობას, მაგრამ მას არ სურს, რომ იგი ასეთ სიტუაციაში იყოს ასახული ფოტოზე და ამ სახით წარსდგეს ფართო საზოგადოების წინაშე, ვინაიდან, მისი აზრით, ასეთი ფოტოები მომჩივნის პირადი ცხოვრების ნაწილია.

გ) საკუთარ ფოტოგამოსახულებაზე უფლებისაგან განსხვავებით, პირადი ცხოვრების სფეროს დაცვა, რომელიც ასევე გამომდინარეობს ზოგადი პიროვნული უფლებიდან, არ არის დაკავშირებული და ორიენტირებული პირის სპეციფიკურ გამოსახულებაზე, არამედ შეზღუდულია თემატურად და სივრცობრივად. იგი, ერთი მხრივ, მოიცავს ცხოვრების ისეთ მხარეებს, რომლებიც, მათი ინფორმაციული შემცველო-

ბის გამო, მიჩნეულია ტიპურად „პირადად“, ვინაიდან მათი საზოგადო განხილვა და წარდგენა ითვლება უხერხულად, სამარცხვინოდ ან ინვევს გარშემო მყოფთა უარყოფით რეაქციებს. ასეთებია, მაგალითად, დღიურის ჩანაწერები (იხ: BVerfGE 80, 367), კონფიდენციალური საუბარი მეუღლეებს შორის (იხ: BVerfGE 27, 344), სექსუალური ცხოვრება (იხ: BVerfGE 47, 46; 49, 286), სოციალურად გაუმართლებელი ქმედება (იხ: BVerfGE 44, 353) ან ავადმყოფობები (იხ: BVerfGE 32, 273).

მეორე მხრივ კი, დაცვა ვრცელდება იმ სივრცეზე, სადაც ადამიანს შეუძლია საკუთარ თავთან განმარტობა, დასვენება და მოდუნება (იხ: BVerfGE 27, 1 [6]). მართალია, აღნიშნული სფეროც მოიცავს შესაძლებლობას, რომ პირის ქმედება არ იყოს განსაზღვრული საზოგადოებისათვის და მესამე პირების ან საზოგადოების მიერ ამ ქმედების თვალთვალი ან მათთვის მისი წარმოდგენა, სულ მცირე, უხერხული იქნებოდა ან გამოიწვევდა უარყოფით შედეგებს; მაგრამ აქ უმთავრესად საუბარია ისეთ სივრცეზე, სადაც პირს აქვს შესაძლებლობა, იმოქმედოს ყოველგვარი საზოგადო თვალთვალის, ყურადღებისა და, შესაბამისად, ყოველგვარი თვითკონტროლის გარეშე. ასეთი „თავშესაფარი“ რომ არ არსებობდეს, მაშინ ადამიანს დაემუქრებოდა ფსიქიკური გადატვირთვის საფრთხე, ვინაიდან მას მოუწევდა პერმანენტულად გაეკონტროლებინა, რა შთაბეჭდილებას ახდენს თავის გარემოსა და გარშემო მყოფებზე და იქცევა თუ არა სწორად. ასეთ შემთხვევაში მას არ ექნებოდა განმარტობისა და განტვირთვის შესაძლებლობა, რაც აუცილებელია ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები აქვთ ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც მათი რანგის, რეპუტაციის, თანამდებობის, გავლენის, განსაკუთრებული უნარ-ჩვევებისა თუ მათ მიერ განხორციელებული საქმეების გამო, არიან საზოგადო აღიარების ობიექტები. ის, ვინც ნებისთ თუ უნებლიეთ გახდა საზოგადოებისათვის საინტერესო და ცნობილი პირი, არ კარგავს საზოგადო მეთვალყურეობისაგან თავისუფალი პირადი ცხოვრების უფლებას. იგივე ვრცელდება დემოკრატიული გზით არჩეულ თანამდებობის პირებზეც, რომლებიც, თუმცა თავიანთი თანამდებობის გამო, პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საზოგადოების წინაშე და, აქედან გამომდინარე, შესაბამის ფარგლებში უნდა ითმინონ კიდევ საზოგადოების ყურადღება, მაგრამ ეს არ უნდა გავრცელდეს პირად ცხოვრებაზე, თუ იგი, რა თქმა უნდა, არ ეხება მათ საქმიანობას.

აღიარებულია, რომ დაცულ სფეროს, ზემოთ აღნიშნულის შეცნობით, წარმოადგენს საცხოვრებელი ტერიტორია. თუმცა, ადამიანის პიროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ეს სფერო თავიდანვე შეიზღუდოს საცხოვრისით, ვინაიდან იმ ფუნქციების შესრულება, რომლებსაც ემსახურება ასეთი დაცვა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ სრულდება საცხოვრებელი სახლის გალავანთან ან მიწის ნაკვეთის საზღვართან. ადამიანის თავისუფალი პიროვნული განვითარება შეფერხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი მხოლოდ საკუთარი სახლის ფარგლებში შეძლებდა საზოგადოების ცნობისმოყვარეობისათვის თავის არიდებას. საზოგადო მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი დამლღელი, ფუნქციურად დატვირთული და მედიის მიერ მრავალმხრივ გაშუქებული ცხოვრებისაგან განტვირთვა, ძირითადად, შესაძლებელია ისეთ იზოლირებულ მიდამოებში, როგორცაა, მაგალითად, საკურორტო ზონები. აქედან გამომდინარე, ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საზოგადოების მეთვალყურეობის გარეშე მოახერხოს მოძრაობა ბუნების ნიაღში ან ისეთ ადგილებში, რომლებიც აშკარად მონყვეტილია ფართო მასებს. აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება ფოტო- თუ ვიდეოგადაღების ისეთ ტექნიკაზე, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც ტერიტო-

რიული დისტანცია პრობლემას არ წარმოადგენს და გადასაღებ ობიექტს არც კი ძალუძს ყოველივეს შემჩნევა.

ის, თუ სად გადის პირადი ცხოვრების დაცული სფეროს ზღვარი პირის საცხოვრისის ფარგლებს გარეთ, ვერ განისაზღვრება ზოგადად და აბსტრაქტულად, იგი განიხილება იმ ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელსაც შეარჩევს ცალკეული ადამიანი დასვენებისა და სიმშვიდის მოსაპოვებლად. აქ მთავარია, პირმა იპოვოს ან შეიქმნას ისეთი ვითარება, სადაც მას ექნება გონივრული და ლოგიკური ვარაუდის შესაძლებლობა, რომ იგი თავისუფალია საზოგადოების მეთვალყურეობისაგან, რაც ასევე შესამჩნევია მესამე პირებისთვისაც.

მოცემულია თუ არა გარე სამყაროსაგან იზოლირების ნინაპირობები, უნდა შეფასდეს კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. პირმა ერთსა და იმავე ადგილას შეიძლება, გარკვეულ სიტუაციაში თავი მიიჩნიოს იზოლირებულად, ხოლო სხვა დროსა და ვითარებაში კი — არა. არც ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა ნიშნავს ყოველთვის იზოლაციას. აქ საუბარია საკითხზე, აქვს თუ არა პირს გონივრული ვარაუდის უფლება, რომ იგი განცალკევებულია საზოგადოებისაგან. ასეთი ვარაუდის უფლება კი არ ექნება, თუ იგი ამისათვის შეარჩევს ისეთ ადგილებს, სადაც ხალხმრავლობაა, რაც ასევე დასაშვებია იყოს ჩაკეტილ სივრცეშიც.

ხალხმრავალ ადგილებში თავიდანვე გამოირიცხება პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის ნინაპირობების არსებობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და პირველი მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, ვინაიდან არ მიიჩნევა მოცემულად იზოლირებისა და განცალკევების მოთხოვნილება და, შესაბამისად, არც მისი კონსტიტუციური დაცვის საჭიროება, რაც გამომდინარეობს ადამიანის პიროვნული განვითარების ინტერესებიდან. პირი ვერც ისეთი საქციელით აქცევს ასეთ ადგილს პირადი ცხოვრების სფეროდ, რომელიც ჩვეულებრივ არ არის მისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის საგანი. მაშასადამე, არა მისი კონკრეტული საქციელი ან თანმხლები პირები, არამედ ადგილმდებარეობის კონკრეტული დროისათვის არსებული, შესაბამისი ობიექტური მონაცემები განსაზღვრავს, შეიძლება იყოს თუ არა საუბარი პირადი ცხოვრების სფეროზე.

საზოგადოებისაგან პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის ნინაპირობები ასევე გამოირიცხება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც პირი თავად გამოხატავს თანხმობას ადამიანის პირად საქმედ მიჩნეული საკითხების საჯაროდ გაშუქებაზე. მაგალითად, როდესაც პირი აფორმებს ექსკლუზიურ ხელშეკრულებას მისი პირადი ცხოვრების გაშუქებასთან დაკავშირებით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა არ არის უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების კომერციალიზაციის ფარგლებში, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს არა აქვს უფლება, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს თავისი პირადი ცხოვრების ესა თუ ის სფერო. მაგრამ იგი ასეთ შემთხვევებში აღარ სარგებლობს აღნიშნული სფეროს კონსტიტუციური დაცვის უფლებით...

დღ) იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს პირადი ცხოვრების დაცვა მშობლებისა და შვილების ოჯახური ურთიერთობისათვის, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. თუმცა, აღიარებულია, რომ ბავშვებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული დაცვა, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ უნდა ჩამოყალიბდნენ პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებად (იხ: BVerfGE 24, 119 [144]; 57, 361 [383]). აღნიშნული დაცვა ასევე ვრცელდება იმ საფრთხის მიმართ, რომელიც მომდინარეობს მედიის მხრიდან ბავშვებთან და მათი ფოტოების გამოყენებასთან დაკავშირებული ინტერესებიდან, რამაც შესაძლოა, მოზრდილებთან შედარებით მე-

ტად შეუძლებელი ხელი მათ პიროვნულ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ბავშვების შემთხვევაში საზოგადოების მეთვალყურეობისაგან თავისუფალი სივრცე უფრო მკაცრად უნდა იქნეს დაცული, ვიდრე – ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში.

ბავშვების პიროვნულ განვითარებაზე, პირველ რიგში, პასუხისმგებლები არიან მშობლები. როდესაც ბავშვების აღზრდა დამოკიდებულია ჯანსაღ ურთიერთობებზე, მათ მიმართ გათვალისწინებული განსაკუთრებული კონსტიტუციური დაცვა ავტომატურად არ აისახება მამის ან დედის სასარგებლოდ (იხ: BVerfGE 76, 1 [44]; 80, 81 [91]). სპეციფიკური მშობლიური მიდგომა ბავშვების მიმართ ასევე მოიაზრება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დაცვის სფეროში. ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის მექანიზმი კიდევ უფრო ძლიერდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, რომლებიც ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ მან უზრუნველყოს ბავშვების ცხოვრებისეული პირობების შექმნა, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელი განვითარებისათვის და რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით სარგებლობს სწორედ მშობლიური ზრუნვა (იხ: BVerfGE 54, 148 [153]; 57, 361 [382]; 80, 81 [90]).

ის, თუ რაში გამოიხატება პიროვნების დაცვის გაძლიერება ცალკეულ შემთხვევაში გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მეშვეობით, ვერ განისაზღვრება ზოგადად და აბსტრაქტულად. მართალია, დაცვის კანონიერი ინტერესი ძირითადად მოცემული არ იქნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობლები თავიანთ შეილებთან ერთად შეგნებულად ექცევიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მაგალითად, როდესაც ისინი ერთობლივად მონაწილეობენ საზოგადო ღონისძიებებში. ასეთ შემთხვევებში ისინი თვითონ ინვევენ საზოგადოების ყურადღებასა და მის შედეგებს. მაგრამ რიგ შემთხვევებში ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის მექანიზმი მოქმედებს მშობლისა და შვილის სპეციფიკური ურთიერთობის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია არ იყოს მოცემული ტერიტორიული განცალკევების წინაპირობები.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ზღუდავს მომჩივნის ზოგად პიროვნულ უფლებას. ვინაიდან გამოსახულებებზე ვრცელდება აღნიშნული ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმი, სასამართლოს მიერ მომჩივნის სურვილის წინააღმდეგ მათი გამოქვეყნების შესაძლებლობის დადგენა წარმოადგენს აღნიშნული დაცვის შეზღუდვას, რისი გათვალისწინებაც მომჩივანს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს კერძო-სამართლებრივი დავების ფარგლებშიც (იხ: BVerfGE 7, 198 [207]).

## II

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს...

### E – 106, 28

1. სატელეფონო საუბრების საიდუმლოების დაცვა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი) ვრცელდება კერძო კომპანიების სატელეკომუნიკაციო დანადგარებზე.
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი აწესებს (დაცვით) უფლებას სახელმწიფოს მიერ ტელეკომუნიკაციის შინაარსისა და დამატებითი

ცნობების შესახებ ინფორმაციის მოპოვების წინააღმდეგ და ასევე ავალებს სახელმწიფოს ისეთი დაცვის უზრუნველყოფას, რომ მესამე პირებისათვის ველარ იყოს ხელმისაწვდომი მიმდინარე კომუნიკაცია.

3. წარმოთქმულ სიტყვაზე უფლება, როგორც გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი პიროვნული უფლების ნაწილი, იცავს მოსასმენი ხელსაწყოების გამოყენებისაგან, რომელსაც საუბრის ერთ-ერთი მონაწილე მიაწვდის მესამე პირს, რომელიც არ მონაწილეობს საუბარში. გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი კი არ მოიცავს აღნიშნულ დაცვას.
4. წარმოთქმული სიტყვის უფლების განხორციელება ასევე შეუძლია კერძო სამართლის იურიდიულ პირსაც.
5. სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში მოწმეთა ისეთი ჩვენების შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება მესამე პირთა სატელეფონო საუბრის უკანონო მოსმენას.

პირველი პალატის 2002 წლის 9 ოქტომბრის განჩინება  
- 1 BvR 1611/96, 1 BvR 805/98 -

#### საფუძვლები:

ა

ერთ წარმოებად გაერთიანებული საკონსტიტუციო საჩივრები ეხება სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში მოწმეთა ჩვენების გამოყენებას ისეთ სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით, რომლებსაც მოწმეები უსმენდნენ სპეციალური მოსასმენი აპარატურის დახმარებით, რის შესახებაც მხოლოდ საუბრის ერთი მხარე იყო ინფორმირებული...

ბ

საკონსტიტუციო საჩივრები დასაშვები და დასაბუთებულია. მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არ არღვევს მომჩივნების ძირითად უფლებას სატელეფონო საუბრის საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მაგრამ სასამართლოებმა სათანადოდ არ გაითვალისწინეს მომჩივანთა ზოგადი პიროვნული უფლება, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოხატულია წარმოთქმულ სიტყვაზე ძირითადი უფლების სახით.

1

მოწმეების მიერ სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ინფორმაციები არ იყო მოპოვებული სატელეფონო საუბრის საიდუმლოების დარღვევით. ამ ჩვენებებზე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, არ ვრცელდება სასამართლოში მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოყენების აკრძალვა...

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი არ იცავს საუბრის პარტნიორის მიერ მესამე პირისათვის მიწოდებული სასმენი მოწყობილობის გამოყენებისაგან...

ვინაიდან გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი იცავს მხოლოდ ინფორმაციათა გადამცემ [კავშირის უზრუნველმყოფელ] მოწყობილობას,



მისი დაცვის სფერო არ იზღუდება, როდესაც საუბრის ერთ-ერთი პარტნიორი თავისი გავლენისა და პასუხისმგებლობის მასშტაბით მესამე პირისათვის უზრუნველყოფს სატელეკომუნიკაციო დანადგარის ხელმისაწვდომობას. მართალია, მოცემულ შემთხვევაში იყენებენ ინფორმაციათა გადამცემ [კავშირის უზრუნველყოფელ] მონ-ყობილობას კომუნიკაციის ხელმისაწვდომობისათვის, მაგრამ ასეთ შემთხვევებში არ არის რეალიზებული გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საფრთხე, ვინაიდან აქ საუბარია არა ინფორმაციათა გადამცემი [კავშირის უზრუნველყოფელი] სატელეკომუნიკაციო დანადგარისადმი ნდობის შელახვაზე, არამედ – საუბრის პარტნიორთან დაკავშირებული პიროვნული იმედების გაცრუებაზე.

## II

მონმეების დაკითხვითა და მათი ჩვენებების გამოყენებით სასამართლოებმა დაარღვიეს მომჩივანთა წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებული, კონსტიტუციით დაცული უფლება, როგორც მათი ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი ნაწილი...

ა) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ძირითადი კანონი საკუთარ ფოტოგამოსახულებაზე პირის უფლებასთან ერთად ასევე იცავს უფლებას წარმოთქმულ სიტყვაზე (იხ: BVerfGE 34, 238 [246]; იხ: BVerfGE 54, 148 [154]). აღნიშნული უფლება უზრუნველყოფს სხვა პირებთან კომუნიკაციისას ადამიანის მიერ საკუთარი თავის წარმოჩენისა თუ წარმოდგენის დამოუკიდებლად განკარგვას (იხ: BVerfGE 54, 148 [155]). ამ უფლების დაცვა მოიცავს კომუნიკაციისას საკუთარი შეხედულებების შესაბამისი მოქმედებისა და საუბრის შესაბამის პარტნიორზე მორგების შესაძლებლობას. ძირითადი უფლება მოიცავს იმის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებას, მხოლოდ საუბრის პარტნიორისათვის უნდა გახდეს ცნობილი კომუნიკაციის შინაარსი, თუ ასევე – პირთა გარკვეული ჯგუფის ან საზოგადოებისათვის (იხ: BVerfGE 54, 148 [155]). მამასადამე, ე.წ. თვითგანკარგვის უფლება ვრცელდება იმ პირთა არჩევაზე, რომლებმაც უნდა მიიღონ ინფორმაცია საუბრის შინაარსთან დაკავშირებით.

აღნიშნული თვითგანკარგვის უფლება გამოხატულებას ჰპოვებს ადამიანის შესაძლებლობასა და უფლებამოსილებაში, თვითონ გადაწყვიტოს, ჩაინერონ თუ არა მისი ხმა და სიტყვა აუდიოჩანენერი საშუალებების გამოყენებით და შემდეგ იყოს თუ არა ხელმისაწვდომი ეს ჩანაწერი მესამე პირებისათვის (იხ: BVerfGE 34, 238 [246]). ძირითადი უფლება იცავს ადამიანთა კომუნიკაციას ისეთი ქმედებებისაგან, როდესაც პირის მიერ წარმოთქმული სიტყვები, გაუაზრებელი ან თავშეუკავებელი გამონათქვამები, საუბრისას ჩამოყალიბებული და განვითარებული დროებითი მოსაზრება და მხოლოდ შესაბამის კონტექსტში გასაგები ფორმულირება გამოიყენება სხვა კონტექსტსა და სხვა მიმართებით, რათა განცხადების შინაარსით, გამოხატვის ფორმითა თუ ჟღერადობით მოხდეს დაპირისპირება მოსაუბრესთან. აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონი იცავს ადამიანს მისი თანხმობის გარეშე დამზადებული ფარული ჩანაწერისა და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ამ ჩანაწერის გამოყენებისაგან...

ძირითადი უფლება იცავს არა მხოლოდ სიტყვის ზემოთ აღნიშნული გამოყენებისაგან, არამედ ასევე – იმ თვითგანკარგვის უფლების დარღვევისაგან, რომლის მიხედვითაც, პირმა თვითონ უნდა განსაჯოს და გადაწყვიტოს, თუ ვისთვის უნდა იქნეს ხელმისაწვდომი კომუნიკაციის შინაარსი. აღნიშნული დაცვა ასევე მოქმედებს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც საუბრის ერთი პარტნიორი მეორისაგან ფარულად საუბარში მსმენელად რთავს მესამე პირს ან ნებას აძლევს მას, უშუალოდ იმონანი-

ლეს კომუნიკაციის პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრე ისე იქცევა, რომ მისი სიტყვები დიდი გარჯის გარეშე შესაძლოა, მოისმინოს ადამიანთა განუსაზღვრელმა რაოდენობამ, მაშინ იგი ვეღარ განაცხადებს პრეტენზიას მესამე პირების მიერ მისი საუბრის მოსმენასთან დაკავშირებით. ასეთი შემთხვევებია, როდესაც, მაგალითად, პირი ვერ შენიშნავს მის სიახლოვეს მყოფ არასასურველ მსმენელებს ან ვერ გათვლის თავისი საუბრის უღერადობას. აქ გადამწყვეტია, შეუძლია თუ არა პირს, მოცემული პირობებისა და გარემოებების საფუძველზე ჰქონდეს იმის გონივრული მოლოდინი, რომ მის საუბარს მესამე პირები არ უსმენენ (იხ: BVerfGE 101, 361 [384]).

ბ) უფლება წარმოთქმულ სიტყვაზე არ არის პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის იდენტური, რომელიც ასევე ეფუძნება ზოგად პიროვნულ უფლებას (იხ: BVerfGE 101, 361 [382])...

... წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებული უფლების დაცვა არ არის შეზღუდული განსაკუთრებული შინაარსითა და ტერიტორიით, იგი ეხება მხოლოდ კომუნიკაციის უშუალო ხელმისაწვდომობის დამოუკიდებლად განკარგვას [ე.წ. თვითგანკარგვის უფლებას], მაგალითად, როგორცაა აუდიოჩანაწერის დამზადებასა ან კომუნიკაციაში მესამე პირის ჩართვასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, აღნიშნული უფლების დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პირადულია საუბრის შინაარსი ან დასახელებულია თუ არა საუბარში კონფიდენციალური თარიღები და მონაცემები.

უმეტესად შეუძლებელია საუბრის მიმართულების პროგნოზი. შესაძლებელია, ისეთი საუბარიც კი, რომელიც თავიდან თითქოს შემოფარგლული იყო საქმიანი და ნაკლებად პირადი საკითხების განხილვით, გადაიზარდოს კონფიდენციალურ, პირად საუბარში. კომუნიკაციის მონაწილის თვითგანკარგვის უფლება მოიცავს საუბრისათვის ახალი დატვირთვისა და შინაარსის მიცემის შესაძლებლობას ისე, რომ ამისათვის არ იყოს სავალდებულო კომუნიკაციის ფარგლებში საკუთარი მიუკერძოებლობის დაკარგვა. აღნიშნული უფლება ასევე საშუალებას აძლევს მოსაუბრეს, განეწყოს კომუნიკაციის შესაძლო შედეგებისათვის. თუ მისთვის ცნობილი იქნებოდა, რომ საუბარს უსმენს მესამე პირი, ისე, რომ სამართლებრივი დავის შემთხვევაში საუბართან დაკავშირებით მოიპოვებდნენ შესაბამის მტკიცებულებას, მაშინ მოსაუბრე ექნებოდა შესაძლებლობა, თავი შეეკავებინა სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე განცხადებებისაგან ან მეტი სიფრთხილით მოჰქიდებოდა მათ ან სულაც ეზრუნა იმაზე, რომ ამ საუბართან დაკავშირებით თვითონაც მოეპოვებინა მტკიცებულებები. კომუნიკაციის პარტნიორზე მორგების, კომუნიკაციის ფარგლებში საკუთარი ინტერესებისა და მოცემული სიტუაციის შესაბამისად მოქმედების ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობები პირს ერთმევა მაშინ, როდესაც იგი გავლენას ვერ ახდენს იმის განსაზღვრაზე, თუ ვისთვის უნდა იყოს უშუალოდ ხელმისაწვდომი მისი საუბარი...

3. საერთო სასამართლოების მიერ მონშეთა ჩვენებების შეგროვება და გამოყენება წარმოადგენს წარმოთქმული სიტყვის უფლების დაცვის სფეროში ჩარევას.

ა) როგორც პირველმა, ასევე მეორე მომჩივანმაც გამოიყენა თავისი თვითგანკარგვის უფლება საუბრის ადრესატის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მათი კომუნიკაცია არ იყო განკუთვნილი პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, არამედ მათ სურდათ ესაუბრათ თავიანთ კონტრაპენტებთან, რათა შეეთანხმებინათ ხელშეკრულების შესრულების არსებითი საკითხები, კერძოდ: პირველი მომჩივნის შემთხვევაში — ნაკლთან დაკავშირებული მოთხოვნები, ხოლო მეორე მომჩივნის შემთხვევაში — კომპენსაციასთან დაკავშირებული საკითხები. საუბრის პარტნიორებმა არ გაითვა-

ლისწინეს მომჩივანთა თვითგანკარგვის უფლება და მესამე პირებს მალულად მისცეს საუბრის მოსმენის შესაძლებლობა.

ა) კომუნიკაციის მიმდინარეობის კანონისმიერი დაცვის საკითხი, ლანდის სასამართლოს მოსაზრებებისაგან განსხვავებით, არ არის დამოკიდებული არც საუბრის შინაარსის კონფიდენციალურობაზე და არც იმაზე, მიაჩნდა თუ არა საუბრის მონაწილეს აღნიშნული საუბარი კონფიდენციალურად (იხ: ზემოთ გ II ა)

ბ) წარმოთქმულ სიტყვაზე უფლების დაცვის სფერო არ იქნებოდა დარღვეული, მომჩივანს თანხმობა რომ განეცხადებინა მესამე პირის მიერ მისი საუბრის მოსმენაზე...

სასამართლოების ვარაუდი, რომ მოცემულ შემთხვევებში არ არსებობდა აღნიშნული თანხმობის საჭიროება ან ასეთი თანხმობა კონკლუდენტურად გამომდინარეობს მოცემული გარემოებებიდან, უსაფუძვლოა...

(ბ) თანამედროვე პირობებში სასმენ დანადგართა სიმრავლე და გავრცელება არ ნიშნავს იმას, რომ პირმა ყოველთვის უნდა ივარაუდოს მათი საყოველთაო გამოყენება მესამე პირების მიერ. ტელეფონზე დამონტაჟებული პარალელური სასმენი საშუალებები, როგორცაა მიკროფონი [ე.წ. სპიკერფონი] და დამატებითი ყურმილი, ემსახურება სხვადასხვა მიზანს. ეს საშუალებები მოსაუბრეს აძლევს ტექნიკურ შესაძლებლობას, გააფართოს კომუნიკაციის პარტნიორთა წრე. მიკროფონის საშუალებით კი პირს შეუძლია ისაუბროს ისე, რომ თავისუფალი ჰქონდეს ორივე ხელი და მოიძიოს საბუთები ან გააკეთოს ჩანიშვნები ისე, რომ ამისათვის არ დასჭირდეს საუბრის შეწყვეტა.

სასამართლოებს არ დაუდგენიათ, შესაძლებელია თუ არა ეს საშუალებები ფარულად გამოიყენონ მესამე პირებმა საუბრის მოსმენის მიზნით. ისეთ სამსახურებრივ სიტუაციებშიც კი, სადაც საუბრებს ხშირად ისმენენ მესამე პირები, დარღვევად ჩაითვლება საუბრის პარტნიორის თანხმობის არარსებობა, ვინაიდან საუბრის მოსმენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციიდან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ პირი აუცილებლად უნდა მოელოდეს მისი საუბრისას მესამე პირების მიერ ამ შესაძლებლობის გამოყენებას და თავისი დუმილით კონკლუდენტურად თანხმობას აცხადებს ამაზე...

4. მომჩივანთა ზოგად პიროვნულ უფლებებში ჩარევა არ არის კონსტიტუციურად გამართლებული.

ა) ზოგადპიროვნული უფლება არ არის უზრუნველყოფილი ყოველგვარი დათქმის გარეშე. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, უფლება შეზღუდულია კონსტიტუციური ნესრიგით, რომელიც ასევე მოიცავს სამოქალაქო საპროცესო ნორმებს მონმის დაკითხვასა (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე და მომდევნო მუხლები) და მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლი). სწორედ აღნიშნულ ნორმებს ეფუძნება მომჩივნების მიერ გასაჩივრებული სასამართლო მოქმედებები (მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება).

გამართლებულია თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ზოგადი პიროვნული უფლებისა, რომელიც ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა გამოყენებას, და მეორე მხრივ, მისი გამოყენების მომხრე კანონიერი ინტერესის ურთიერთშეფარდებაზე (იხ: BVerfGE 34, 238 [248]; 80, 367 [373]).

ა) გერმანიის ძირითადი კანონი და განსაკუთრებით მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით დამკვიდრებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. გერმანიის ფედერა-

ლურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა სისხლისსამართლებრივი დევნისა და დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის დიდი მნიშვნელობა და ასევე საზოგადოების ინტერესი სისხლის სამართლის პროცესში შეძლებისდაგვარად სრულყოფილი ჭეშმარიტების გამორკვევასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი – მძიმე დანაშაულთა ეფექტური გამოძიებისა და გახსნის მიმართ (იხ: BVerfGE 34, 238 [248]; 80, 367 [375]). ასევე სამოქალაქო პროცესშიც, სადაც მხარეები კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დაობენ თავიანთ უფლებებსა და სამართლებრივ პოზიციებზე, საყოველთაო სიკეთის მნიშვნელოვანი წინაპირობებია ფუნქციონირებადი მართლმსაჯულების შენარჩუნება და მატერიალურად სწორი გადაწყვეტილებებისაკენ მისწრაფება. ჭეშმარიტების დასადგენად სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ მხარეების მიერ შემოთავაზებული მტკიცებულებები ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარის განცხადება ამა თუ იმ გარემოებასა თუ ფაქტთან დაკავშირებით არსებითა და საჭიროებს დამტკიცებას. სწორედ ამას ითვალისწინებს ასევე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი და ძირითადი უფლების მსგავსი უფლება სასამართლო მოსმენაზე (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ბ) თუმცა, მხოლოდ საზოგადო ინტერესი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროში ფუნქციონირებად და ეფექტურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი, რომ ინტერესთა ურთიერთშეფარდებისას ყოველთვის გამოვიდეთ ზოგადპიროვნულ უფლებასთან დაპირისპირებული ინტერესის პრივილეგიიდან. მტკიცებულებების შეგროვების მიმართ არსებული ინტერესის დაცვა, ზოგადპიროვნული უფლების დარღვევისა და შეზღუდვის მიუხედავად, გამართლებული უნდა იყოს დამატებითი ასპექტებით. სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნა (იხ: BVerfGE 34, 238 [248]; 80, 367 [380]). სამოქალაქო სამართალწარმოებაშიც არსებობს ისეთი სიტუაციები, როდესაც მტკიცებულებათა შეგროვებასთან დაკავშირებულ ინტერესს მხარის უფლების განხორციელებისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული მოცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულების წარმომდგენი პირი იმყოფება გამოუვლად ან აუცილებელი მოგერიების მსგავს სიტუაციაში (იხ: BGHZ — გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების სამოქალაქო სამართალში 27, 284 [289]). მაგალითად, ხმის ფარული ჩანაწერების დამზადება ანონიმური ზარების ავტორის ვინაობის დასადგენად, რომელიც სხვა სახელით აცნობს პირს თავს, რათა მისთვის უსაფრთხოდ და თავისუფლად განახორციელოს ცილისწამება (BGH — გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, NJW — ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი, 1982, გვ. 277). აღნიშნულის მაგალითია ასევე შანტაჟისა და მუქარის ავტორის დადგენა (BGHZ 27, 284 [290]). სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში იმ შემთხვევაშიც ხდება ზოგად პიროვნულ უფლებაში ჩარევის სამართლიანობის საწინააღმდეგო ინტერესთან თუ უფლებასთან ურთიერთშეფარდება, როდესაც აღნიშნული ჩარევის განმახორციელებლის მიზანი მტკიცებულების მოპოვებისას იყო მის პროფესიულ არსებობაზე კრიმინალური თავდასხმის თავიდან აცილება, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი ან ძალზე რთული განსახორციელებელი იქნებოდა სხვა საშუალებებითა და ფორმით (BGH, NJW 1994, გვ. 2289 [2292]). ზემოთ მითითებული მაგალითებისაგან განსხვავებით, მტკიცებულების ამ გზით (ფარული მოსმენა) მოპოვების დასაბუთებისათვის

არ არის საკმარისი სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლის უზრუნველყოფის ინტერესი...

**გერმანიის ძირითადი კანონის  
მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით:**

**E – 16, 194**

ზურგის ტვინის სითხის ამოღებისას, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81ა მუხლის მიხედვით, ფიზიკური [ჯანმრთელობის] ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება მოითხოვს, რომ განზრახული ჩარევა იყოს დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური.

**პირველი პალატის 1963 წლის 10 ივნისის განჩინება  
- 1 BvR 790/58 -**

... საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის მოსამართლემ მოითხოვა ბრალდებულისათვის სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება, რათა დადგენილიყო მისი შერაცხადობა. სასამართლოს ექიმს ამბულატორიული გამოკვლევის შემდეგ გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულს აღენიშნებოდა ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება, რის გასარკვევადაც იგი საჭიროდ მიიჩნევა სისხლის ანალიზს და ასევე ტვინისა და ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევას. აღნიშნული სითხის ამოღება ხდება სპეციალური, გრძელი ნემსის ჩხვლეტით ხერხემლის არეში – ზედა ნელის (ე.წ. ზურგის ტვინის პუნქცია), ან კისრის არეში – თავის ქალასა და კისრის ზემო მალას შორის (ე.წ. კეფის პუნქცია). ვინაიდან მომჩივანმა უარი განაცხადა ზემოხსენებული გამოკვლევების ჩატარებაზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81ა მუხლის საფუძველზე 1958 წლის 11 სექტემბრის განჩინებით დაანესა გამოკვლევების განხორციელება ქ. მიუნხენის ნევროლოგიურ კლინიკაში.

ტვინისა და ზურგის ტვინის სითხის ამოღება სპეციალური, გრძელი ნემსით წარმოადგენს მნიშვნელოვან ოპერაციულ ჩარევას ანუ ასევე – ჩარევას ფიზიკური [ჯანმრთელობის] ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების სფეროში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. მართალია, ასეთი ჩარევა, მისი ყველანაირი ნესის დაცვით ჩატარების შემთხვევაში, არ არის საშიში, მაგრამ მაინც მოსალოდნელია ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებები ტკივილისა და გულის რევის შეგრძნების სახით. ასეთი ჩივილები, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სავარაუდოა ზურგის ტვინის პუნქციის აღების შემთხვევათა 10 პროცენტში; განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ტვინისა და ზურგის ტვინის სითხის ამოღებამ შესაძლოა, გამოიწვიოს სერიოზული გართულებებიც...

მოსამართლემ ტვინისა და ზურგის ტვინის სითხის ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ისევე როგორც ადამიანის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევის სხვა შემთხვევებში, მაშინაც კი უნდა გაითვალისწინოს თანაზომიერების პრინციპი საშუალებასა და მიზანთან მიმართებით, როდესაც საზოგადო ინტერესი დანაშაულის გახსნასთან დაკავშირებით გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს განსაკუთრებული პრინციპიდან, კერძოდ, კანონიერების პრინციპიდან (გერმანიის

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის საფუძველზეც ზოგადად გამართლებულია ბრალდებულის თავისუფლებაში ჩარევა. საზოგადოებრივი ინტერესი მით უფრო არასაკმარისი და არადადამაკმაყოფილებელი წინაპირობაა, რაც უფრო მძიმე და მასშტაბურია ჩარევა თავისუფლების სფეროში. შესაბამისად, მიზანსა და საშუალებას შორის თანაზომიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ რამდენად დიდი დატვირთვა აქვს იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომლის გამოძიებასაც ემსახურება ზემოხსენებული ჩარევა. ეს განსაკუთრებით ეხება გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე და 81ა მუხლებით ნებადართულ სერიოზულ საშუალებებს, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ბრალდებულის შერაცხადობის საკითხის გარკვევის მიზნით. პრინციპი კანონის ისეთი გამოყენების შესახებ, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ძირითადი უფლების არსი და დანიშნულება, ასეთ შემთხვევებში მოითხოვს, რომ განზრახული ჩარევა იყოს დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური და პირდაპირპროპორციული, რათა არ მოხდეს ისე, რომ დანაშაულის გამოძიების შედეგებმა მეტად „დაამძიმოს“ დამნაშავე, ვიდრე – მოსალოდნელმა სასჯელმა. მაშასადამე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, სამართალმ ცალკეულ შემთხვევაში კანონით დაშვებული საშუალების გამოყენებისას იგი უნდა შეამოწმოს გადაჭარბების აკრძალვის პრინციპის თვალთახედვით და მისი გათვალისწინებით...

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება წვრილმან სამოქალაქო დაპირისპირებას, რომლის გამოც მოსალოდნელია მხოლოდ მცირედი სასჯელი ან სულაც შესაძლოა წარმოების შეწყვეტაც მისი არც თუ ისე მაღალი სამართლებრივი მნიშვნელობის საფუძველზე. ხოლო ტვინისა და ზურგის ტვინის სითხის ამოღება, ორივე შესაძლო სფეროსა და ფორმის გათვალისწინებით, არც თუ ისე უმნიშვნელო ჩარევაა ადამიანის ჯანმრთელობაში. წვრილმანი სამოქალაქო დაპირისპირების გამო კი ბრალდებულის მიმართ მისი ნების წინააღმდეგ ამგვარი ჩარევის განხორციელება არ არის გამართლებული.

## **E – 52, 214**

ძირითადი უფლების (აქ: გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის) გავლენა აღსრულების პროცესისაგან თავის დაცვის წარმოებაზე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 765ა მუხლის მიხედვით.

### **პირველი პალატის 1979 წლის 3 ოქტომბრის განჩინება**

მომჩივანი ასაჩივრებს თავის მიერ ნაქირავეები ბინიდან სავარაუდო გამოსახლებას იძულებითი აღსრულების გზით... იგი განმარტავს, რომ 1975 წლიდან, სხვა შემთხვევებთან ერთად, მათ შორის თვითმკვლელობის სამგზის სერიოზული მცდელობის გამო, პერმანენტულად იმყოფებოდა სტაციონარში სამკურნალოდ. მისი აზრით, დეპრესიული მდგომარეობა, მიმდინარე მკურნალობის მიუხედავად, მაინც გრძელდება იმავე ინტენსიურობითა და სიმძიმით. იძულებითი გამოსახლების გზით ბინის დაკარგვის შემთხვევაში მომჩივნისაგან მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური რეაქციები და სასიცოცხლო საფრთხე...

კონსტიტუციური საჩივარი დასაშვებია და დასაბუთებული. გასაჩივრებული განწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის

პირველი წინადადებითა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებებს.

1. მართალია, ზოგადი სამართლის საქმეა და უპირველესად საერთო სასამართლოების გადასანყვეტია, მოცემულია თუ არა იძულებითი აღსრულების შეწყვეტის ან გრძელი ვადით შეჩერების წინაპირობები, მაგრამ საერთო სასამართლოებსაც აქვთ საკონსტიტუციო სამართლისა და ძირითად უფლებათა გავლენის გათვალისწინების ვალდებულება; ხოლო ის, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად იქნა გათვალისწინებული ყოველივე ზემოხსენებული, უნდა შეამოწმოს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ.

ძირითად უფლებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე კონსტიტუციური პრინციპები ვრცელდება შესაბამის საპროცესო კანონმდებლობაზეც და განსაკუთრებით – იძულებითი აღსრულების წარმოების ფარგლებში (იხ: BVerfGE 42, 64 [73]; 46, 325 [333]; 49, 220 [225]). აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება თანაზომიერების კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპს (იხ: BVerfGE 31, 215 [222]; 31, 275 [290]; 42, 263 [295])...

იმ შემთხვევაში, თუ მოვალისა და კრედიტორის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესთა ურთიერთშეფარდება მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოვალის სიცოცხლიდან და ჯანმრთელობიდან გამომდინარე ინტერესები, რომლებიც უპირისპირდება იძულებითი აღსრულების წარმოებას, აშკარად და არსებითად გადასწონის იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ემსახურება სახელმწიფო სააღსრულებო მოქმედება და ღონისძიება, მაშინ შესაძლოა, რომ ამ შედეგის გაუთვალისწინებლობა და სახელმწიფოს მიერ ამგვარი ჩარევის განხორციელება არღვევდეს თანაზომიერების პრინციპს და ასევე – გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ მოვალის ძირითად უფლებას (იხ: BVerfGE 44, 353 [373]; BVerfGE 51, 324).

პირველ რიგში, სააღსრულებო სასამართლოების მოვალეობაა, წარმოების სტრუქტურის ჩამოყალიბებისას მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას, რათა შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს კონსტიტუციის დარღვევა სააღსრულებო ღონისძიებებისა და მოქმედებების მეშვეობით, რაც შესაძლოა, გულისხმობდეს მოვალის მიერ შემოთავაზებული მტკიცებულებების ზედმინეწით განხილვას, რომლებშიც მითითებულია მისი ძირითადი უფლებების დარღვევის საფრთხეზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საფრთხე, რომელიც სერიოზულად ემუქრება ძირითად უფლებებს და გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მათ არსებით შელახვას, განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს ძირითადი უფლებების დარღვევის ტოლფასად (იხ: BVerfGE 49, 89 [141]; BVerfGE 51, 324). სახელმწიფო ორგანოების ამოცანაა, შეძლებისდაგვარად შეამცირონ და შეზღუდონ ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხე. ამ ასპექტით, სააღსრულებო სასამართლოებში წარმოება უნდა წარიმართოს აღნიშნული კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმის სრული გათვალისწინებით.

წინამდებარე შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ და ასევე ლანდის სასამართლომ თავიანთი წარმოების სტრუქტურის ფარგლებში სათანადოდ არ გაითვალისწინეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე თანაზომიერების პრინციპისა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური [ჯანმრთელობის] ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის მოთხოვნები.

თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მიხედვით, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისი გამოყენების საფუძველზე პატიმრობიდან განთავისუფლება შესაძლებელია ასევე გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დაპატიმრების ბრძანების შემთხვევებშიც.

### პირველი პალატის 1965 წლის 15 დეკემბრის განჩინება

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილი:<sup>6</sup>

„ბრალდებულის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე, 212-ე ან 220ა-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეუბნით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ, აღმკვეთ ღონისძიებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პატიმრობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამის საფუძველი არ არსებობს ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით“.

აღსანიშნავია, რომ განივრცო გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობისაგან განთავისუფლების შემთხვევები... არა მხოლოდ გაქცევის საშიშროების არსებობისას, არამედ ფაქტებისა და კვალის დაფარვის, ასევე რეციდივის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შეჩერება, როდესაც შეიძლება წინასწარი პატიმრობის მიზნის განხორციელება ნაკლებად ხელმყოფი და მკაცრი საშუალების გამოყენებით. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლში არ არის მოხსენიებული გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

შესაბამისად, საკითხი, არის თუ არა შესაძლებელი დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შეჩერება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გამოიცა მხოლოდ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით, სადავოა, როგორც სამართლებრივი ლიტერატურის, ასევე – ლანდის უმაღლესი სასამართლოების პრაქტიკის ფარგლებშიც.

მომჩივანი, 76 წლის პენსიონერი, აღმირალი ბრალდებულია მკვლელობისათვის. მას ბრალი ედება იმაში, რომ 1944 წელს, გერმანიის საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშედ ტოკიოში ყოფნისას, გასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები, რომლებიც ბრანდერებით გადაჰყავდათ გერმანიაში, შესაბამისი საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში ჩასაძირად გაეწირათ. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით ჰამბურგის ლანდის სასამართლოს მიერ 1965 წლის 9 აგვისტოს გამოცემული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე მომჩივანი 1965 წლის 11 აგვისტოს დააპატიმრეს...

მომჩივანი აცხადებს, რომ მან ხუთი წლის განმავლობაში იცოდა მის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების შესახებ, რასაც ყოველთვის ყოველმხივ ხელს უწყობდა. იგი საზოგადოებაში სარგებლობს დიდი პატივისცემით და მზად იყო, შეესრულებინა სასამართლოს ყველა მითითება, რომელსაც აუცილებლად გაითვალისწინებდა პატიმრობის თავიდან ასაცილებლად.

<sup>6</sup> გერმანიის აქტუალური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია.

1. წინასწარი პატიმრობის სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში თვალსაჩინო ხდება გარკვეული წინააღმდეგობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და 104-ე მუხლით უზრუნველყოფილ ცალკეული პირის პირადი თავისუფლების უფლებასა და წარმატებული, შედეგიანი სისხლის-სამართლებრივი დევნის მოთხოვნებს შორის. სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოებისათვის სავარაუდოდ დამნაშავეს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე მისი დაპატიმრების უპირობო აკრძალვის შემთხვევაში ხშირად შეუძლებელი იქნებოდა მძიმე დანაშაულებრივი ქმედებების სწრაფი და სამართლიანი დასჯა და მათზე ადეკვატური რეაგირება. მეორე მხრივ კი, ადამიანისათვის პიროვნული თავისუფლების აღკვეთა მისი საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების გზით წარმოადგენს ისეთ უარყოფით ღონისძიებას, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი, მის მიერ კანონით დასჯადი ქმედების ჩადენის გამო. აღნიშნული ღონისძიების გათვალისწინება იმ პირის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, დასაშვებია მხოლოდ მკაცრად შეზღუდულ გამონაკლის შემთხვევებში. აღნიშნული გამომდინარეობს ასევე ზოგადი უდანაშაულობის პრეზუმფციიდან, რომელიც ბრალდებულის მიმართ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევებშიც გამორიცხავს სასჯელის დაკისრებამდე მის მიმართ ისეთი ზომის მიღებას, რომელიც უტოლდება თავისუფლების აღკვეთას. თუმცა, აღნიშნული უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არის სიტყვა-სიტყვით დამკვიდრებული გერმანიის ძირითად კანონში, მაგრამ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი პრინციპებიდან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გათვალისწინებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიტიურ სამართალში.

სამართლებრივი სახელმწიფოსათვის თანაბარი მნიშვნელობის მქონე პრინციპებს შორის არსებული კონფლიქტის სათანადო მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის მოსაზრებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად და მიზანშეწონილად მიჩნეულ თავისუფლების შეზღუდვებს, როგორც საპირისპირო პოლუსი, მუდმივად უპირისპირდება ჯერ კიდევ არამსჯადრებული ბრალდებული პირის თავისუფლების მოთხოვნის უფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობა, მისი გათვალისწინებისა და განხორციელების კუთხით, უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს; თავისუფლებაში ჩარევა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, ერთი მხრივ, არსებობს საფუძვლიანი და კონკრეტული ეჭვი ეჭვმიტანილის უდანაშაულობასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრიობის ლეგიტიმური მოთხოვნა დანაშაულის სწრაფად და სრულყოფილად გამოვლენასა და დამნაშავეს დასჯასთან დაკავშირებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი სხვა საშუალებებით და საჭიროებს ეჭვმიტანილის დაპატიმრებას. ზოგადად გამოირიცხება სხვა მიზნების განხორციელება წინასწარი პატიმრობის საშუალებით, კერძოდ, აღნიშნული ინსტიტუტით სასჯელის ფორმის მიხედვით არ შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვა, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს მატერიალური სისხლის სამართალი.

2. ...

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რანგისაა. იგი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და შეიძლება ითქვას - თვით ძირითად უფლებათა ზოგადი არსიდან, რომლებიც, როგორც მოქალაქის თავისუფლების მოთხოვნის უფლების

გამოხატულება სახელმწიფოს მიმართ, შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი და გარდაუვალია საზოგადო ინტერესების დასაცავად. პიროვნული თავისუფლების ძირითადი უფლების შემთხვევაში აღნიშნული ასევე გამომდინარეობს იმ განსაკუთრებული მნიშვნელობიდან, რომლითაც სარგებლობს სწორედ ეს ძირითადი უფლება, როგორც მოქალაქის ზოგადი სამართლებრივი სტატუსისა და განვითარების შესაძლებლობების ფუნდამენტი და რომელსაც ძირითადი კანონი აღიარებს იმით, რომ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში პირის თავისუფლებას ანიჭებს „ხელშეუხებლობას“...

3. მოსამართლემ მასზე დაქვემდებარებული ურთიერთშეფარდებისას ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ წინასწარი პატიმრობის უმთავრესი მიზანი და გამამართლებელი საფუძველია სისხლის სამართლის საქმის სათანადოდ მონესრიგებული წარმოებისა და შემდგომი სასჯელალსრულების უზრუნველყოფა; თუ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი აღარ არის საჭირო ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული მიზნის შესრულებისათვის მაინც, მაშინ მისი გათვალისწინება, ძალაში დატოვება ან განხორციელება არათანაზომიერი და, ზოგადად, დაუშვებელია. ჩგაქცევის, ფაქტებისა და კვალის დაფარვის წინაპირობები (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 ნაწილი) აშკარად ემსახურება ზემოთ აღნიშნულ მიზანს. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პატიმრობის საფუძველი, კერძოდ, რეციდივის საშიშროება, მართალია, გარკვეულწილად სცდება ამ მიზნის ფარგლებს, ვინაიდან იგი ითვალისწინებს საზოგადოების დაცვას შესაძლო, სამომავლო დანაშაულებისაგან ანუ საკმარისად მიიჩნევს პრევენციულ ასპექტს პირის წინასწარი დაპატიმრებისთვის, მაგრამ გამართლებულია იმით, რომ აქ საქმე ეხება მოსახლეობის განსაკუთრებულად დაუცველი ნაწილის დაცვას სავარაუდო მძიმე დანაშაულისაგან; ასევე უფრო მიზანშეწონილია აღნიშნული დაცვის დაქვემდებარება ჯერ კიდევ წინა დანაშაულით დაკავებული სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოსათვის, ვიდრე – პოლიციისათვის.

ზემოთ მითითებულისაგან განსხვავებით, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის ახალი მე-4 ნაწილი უნდა აღძრავდეს ეჭვს, თუ იგი ისე განიმარტება, რომ ამ ნორმით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით არსებული საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ავტომატურად, ანუ ყველანაირი დამატებითი წინაპირობების შემონმების გარეშე, შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის შეფარდება. ამ ნორმის ასეთი განმარტება არ იქნებოდა გერმანიის ძირითადი კანონის შესაბამისი. თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ მოსამართლე გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას გამუდმებით უნდა ითვალისწინებდეს წინასწარი პატიმრობის მიზნებს. ვერც მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ვერც (ჯერ კიდევ დაუდგენელი) ბრალეულობის სიმძიმე ვერ გაამართლებს ბრალდებულის დაპატიმრებას. ასევე არ არის საკმარისი მოსახლეობის მეტ-ნაკლებად დასაბუთებული და სავარაუდო აღელვებისაგან დაცვა, რომლის მიხედვითაც, საზოგადოება ვერ აიტანს, როდესაც „მკვლელი“ დაუსჯელია. აქაც სავალდებულოა ისეთი გარემოებების არსებობა, რომელთა შესაბამისადაც დასაბუთდება, რომ თუ ბრალდებულს არ დააპატიმრებენ, მაშინ საფრთხე დაემუქრება დანაშაულის დროულ გამოვლენასა და დასჯას. შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევაში საკმარისი იყოს არსებული გარემოებებიდან გამომდინარე გაქცევის, ფაქტებისა და კვალის დაფარვის საშიშროებაზე მითითება, რომელიც ვერ დასაბუთდება „შესაბამისი ფაქტებით“. ასევე შესაძლებელია, რომ

წინასწარი პატიმრობის შეფარდებისათვის საკმარისი იყოს სერიოზული საფრთხე ბრალდებულის მიერ მსგავსი დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებით. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული იმავე მუხლის მე-2 ნაწილთან. ამ შემთხვევაში იგი გამართლებდა იმით, რომ მე-4 ნაწილში, აღნიშნული დანაშაულების სიმძიმის გათვალისწინებით, უფრო უნდა შემსუბუქდეს იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პატიმრობის საფუძვლების მკაცრი წინაპირობები, რათა გამოირიცხოს საშიში დამნაშავეების მიმალვისა და ამით სასჯელისათვის თავის არიდების საფრთხე.

4. თანაზომიერების პრინციპის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლი. იგი ავალდებულებს მოსამართლეს, რომ გაქცევის, ფაქტებისა და კვალის დაფარვის და რეციდივის საშიშროების საფუძველზე ყოველი დაპატიმრებისას შეამოწმოს, ხომ არ არის შესაძლებელი წინასწარი პატიმრობის მიზნის განხორციელება თავისუფლების ნაკლებად შემზღვეველი საშუალებების გამოყენებით. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა შეწყდეს წინასწარი პატიმრობის აღსრულება. თანაზომიერების პრინციპის ზოგად მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული განმარტებების მიხედვით, დაპატიმრებისაგან თავის შეკავება შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაპატიმრების ბრძანება ეფუძნება გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილს. არც გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ფორმულირება და არც ნორმის დანიშნულება სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც არ კრძალავს დაპატიმრების ბრძანების დაყრდნობას გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილზე. ეს იქნებოდა არათანაბარი შედეგი და ასევე შეუსაბამო თანაზომიერების პრინციპთან, როდესაც გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით გაქცევის, ფაქტებისა და კვალის დაფარვის საფრთხის არსებობისას შესაძლებელია, რომ, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, ბრალდებულის მიმართ, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის მიხედვით, არ იქნეს გათვალისწინებული წინასწარი პატიმრობა, ხოლო, მეორე მხრივ, გაქცევის, ფაქტებისა და კვალის დაფარვის მცირედი საფრთხის არსებობისას მის მიმართ არ იქნეს განხილული სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლებიც ასევე გამართლებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნებით. იმ შემთხვევაში, თუ დაპატიმრების ბრძანების გაუქმება საფრთხეს შეუქმნიდა სისხლის სამართლის წარმოების განხორციელებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელი და საკმარისი იქნებოდა წინასწარი პატიმრობის შეჩერება გარკვეული ვალდებულებების გათვალისწინების ხარჯზე, მოსამართლე არ უნდა იყოს იძულებული, დაანესოს წინასწარი პატიმრობის გაგრძელება.

## E – 20, 45

წინასწარი პატიმრობა, რომელიც აღემატება 5 წელს, არაკონსტიტუციურია, როდესაც მისი ხანგრძლივობა განპირობებულია ისეთი გაჭიანურებით, რომლის თავიდან აცილებაც იყო შესაძლებელი

წინასწარი პატიმრობის სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში თვალსაჩინო ხდება გარკვეული წინააღმდეგობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და 104-ე მუხლით უზრუნველყოფილ ცალკეული პირის პირადი თავისუფლების უფლებასა და წარმატებული, შედეგიანი სისხლისსამართლებრივი დევნის მოთხოვნებს შორის. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ამ თანაბარი მნიშვნელობის მქონე პრინციპებს შორის არსებული კონფლიქტის სათანადო მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის მოსაზრებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად და მიზანშეწონილად მიჩნეულ თავისუფლების შეზღუდვებს, როგორც საპირისპირო პოლუსი, მუდმივად უპირისპირდება ჯერ კიდევ არამსჯავრდებული ბრალდებული პირის თავისუფლების მოთხოვნის უფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავისუფლებაში ჩარევა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრიობის ლეგიტიმური მოთხოვნა – დანაშაულის სწრაფად და სრულყოფილად გამოვლენასა და დამნაშავეის დასჯასთან დაკავშირებით – ვერ იქნება უზრუნველყოფილი სხვა საშუალებებით და საჭიროებს ექვემდებარების დაპატიმრებას (იხ: BVerfGE 19, 342 [347])...

2. თანაზომიერების აღნიშნული პრინციპი, რომელიც კონსტიტუციურ-სამართლებრივი რანგისაა წინასწარი პატიმრობის შემთხვევებში, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი გათვალისწინების, არამედ ასევე – მისი ხანგრძლივობის პერიოდში. განსაკუთრებით არსებითია, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა არ იყოს შეუსაბამო სავარაუდოდ მოსალოდნელი სასჯელის ხანგრძლივობასთან. თუმცა, მიუხედავად მოსალოდნელი სასჯელისა, თანაზომიერების პრინციპი გარკვეულ ზღვარს უწესებს წინასწარი პატიმრობის ინსტიტუტს. აღნიშნულს შეესაბამება გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი, ვინაიდან იგი ითვალისწინებს, რომ წინასწარი პატიმრობის აღსრულების ვადა იმავე დანაშაულის საქმეზე სასამართლო განჩინების გამოტანამდე არ შეიძლება აღემატებოდეს 6 თვეს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გამოძიების განსაკუთრებული სირთულეებისა თუ მასშტაბურობის ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, შეუძლებელია განაჩენის დროული გამოტანა და, შესაბამისად, გამართლებულია წინასწარი პატიმრობის გაგრძელება. მაშასადამე, აღნიშნული ნორმა გამონაკლისებს უშვებს მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში; ამასთან, ნორმის ფორმულირებისა და მისი წარმოშობის ისტორიის მიხედვით, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განსაკუთრებული გამონაკლისი გარემოებები ვინაოდ უნდა განიმარტოს. ის, თუ რა მნიშვნელობა მიაკუთვნა კანონმდებელმა წინასწარი პატიმრობის გაგრძელებას 6 თვეზე მეტი ვადით, გამომდინარეობს ასევე იქიდან, რომ მან ამ გადაწყვეტილების მიღება გადააბარა ლანდის უმაღლეს სასამართლოს (იხ: BGH NJW — გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო, ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი, 1966. გვ. 924).

საკითხი, კერძოდ, ანესებს თუ არა ძირითადი კანონი, როგორც ამას მომჩივანი აცხადებს, წინასწარი პატიმრობისათვის აბსოლუტურ ზღვარს, რომლის მიხედვითაც გარკვეული კალენდარული ვადის გასვლის შემდეგ აკრძალულია წინასწარი პატიმრობის გაგრძელება, მოცემულ შემთხვევაში არ საჭიროებს განხილვა-გადანწყევტას. ყოველ შემთხვევაში, წინასწარი პატიმრობის გაგრძელება ისეთი

<sup>7</sup> იხ: წინა გადაწყვეტილება (E-19, 342).

ხანგრძლივობით, რომელიც ზედმეტად უჩვეულოდ აჭარბებს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვადას, მაშინ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს, როდესაც გადაჭარბება გამოწვეულია სისხლის სამართლის ორგანოებისა და სასამართლოების მხრიდან იმ შესაძლო და მოსალოდნელი ზომების გაუტარებლობით, რომელთა განხორციელებაც საჭირო იყო შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებების დროულად დასრულებისათვის. სისხლის სამართლის საქმის სათანადო დონეზე წარმოებისა და შემდგომი სასჯელაღსრულების უზრუნველსაყოფად წინასწარი პატიმრობა ველარ იქნება მიჩნეული აუცილებლად, როდესაც მისი ხანგრძლივობა გამოწვეულია გამოძიების ისეთი გაჭიანურებით, რომლის თავიდან აცილებაც იყო შესაძლებელი.

მოცემულ შემთხვევაში მომჩივნის წინააღმდეგ გამოძიება ჩატარდა ზემოთ აღნიშნული გაჭიანურების გარეშე.

### **გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლთან დაკავშირებით:**

ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი:

### **E – 26, 302**

#### **მეორე პალატის 1969 წლის 9 ივლისის განჩინება - 2 BvL 20/65 -**

საშემოსავლო გადასახადის შესახებ 1961 წლის 15 აგვისტოს კანონის (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, I გვ. 1254) 23-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურ შემოწმებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია შტუტგარტის ფინანსური სასამართლოს 1965 წლის 23 ნოემბრის განჩინება (I 952/63).

კანონმდებლისათვის სავალდებულოა საგადასახადო თანასწორობის პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან (იხ: BVerfGE 13, 181 [202]). აღნიშნული ძირითადი უფლების ნორმის გამოყენება დაფუძნებულია ცხოვრებისეული გარემოებების ურთიერთშედარებაზე, რომლებიც თანაბარია მხოლოდ ცალკეული და არა – ყველა ელემენტის მიმართ. ის, თუ მოსაწესრიგებელი ცხოვრებისეული გარემოებების რომელი ელემენტებია არსებითი, უნდა გადანყვიტოს კანონმდებელმა (BVerfGE). საგადასახადო წყაროების მოძიებისას კანონმდებელს აქვს მოქმედების ფართო ასპარეზი, რომელიც მთავრდება იქ, სადაც მოწესრიგებული საკითხებისადმი თანასწორი ან უთანასწორო მიდგომა შეუსაბამოა სამართლიანობის პრინციპზე ორიენტირებულ მიდგომასთან ანუ სადაც არ არსებობს თანასწორობის ან უთანასწორობის ლოგიკური საფუძველი. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებას ექვემდებარება მხოლოდ საკანონმდებლო თავისუფლების გარე ზღვრის დაცვა (თვითნებობის აკრძალვა) და არა იმ საკითხების განხილვა, იპოვა თუ

არა კანონმდებელმა კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მიზანშეწონილი, ყველაზე გონივრული და ყველაზე სამართლიანი გამოსავალი.

## **E – 10, 234**

ამნისტიის გარემოებათა კონსტიტუციურ გამიჯვნასთან დაკავშირებით

### **პირველი პალატის 1959 წლის 15 დეკემბრის განჩინება - 1 BvL 10/55 -**

კანონმდებელი ამნისტიის შესახებ კანონის გამოცემისას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არ არის ვალდებული, ამნისტია ერთნაირად გაითვალისწინოს ყველა დანაშაულებრივი ქმედებისათვის. მას მხოლოდ არა აქვს უფლება, ცალკეული დელიქტური სახეობების მიმართ მთლიანად გამორიცხოს ამნისტია, არამედ გარკვეული გარემოებები ასევე უნდა დაუქვემდებაროს განსაკუთრებულ გამონაკლის დებულებებს. ის, თუ რა დელიქტების შემთხვევაშია განსაკუთრებით დიდი, საყოველთაო ინტერესი ნეიტრალიზაციასთან დაკავშირებით, კანონმდებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ასევე მის მიხედვლევაზე დამოკიდებული, თუ რა მასშტაბით გაითვალისწინებს ამნისტიას ასეთი დანაშაულისათვის. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეამონმებს ამნისტიის შესახებ კანონს იმ კუთხით, არის თუ არა მასში გათვალისწინებული დებულებები აუცილებელი ან მიზანშეწონილი; სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმის დადგენა, გადააჭარბა თუ არა კანონმდებელმა მისთვის მიკუთვნებული ფართო ასპარეზის ფარგლებს.

ამნისტიის შესახებ კანონის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე ზოგადი თანასწორობის უფლების დარღვევასთან, როდესაც ამკარაა, რომ კანონმდებლის მიერ გამოცემული განსაკუთრებული დებულება არ არის ორიენტირებული თანასწორობის იდეაზე; ანუ, როდესაც მათთან დაკავშირებით ვერ მოიძებნება გონივრული მოსაზრებები, რომლებიც გამომდინარეობს თვითონ საკითხის ბუნებიდან ან სხვაგვარად მანც მიიჩნევა ლოგიკურად.

## **E – 9, 338**

### **პირველი პალატის 1959 წლის 16 ივნისის განჩინება - 1 BvR 71/57 -**

ბებიქალის საკონსტიტუციო საჩივართან დაკავშირებით... ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 1956 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების წინააღმდეგ

1956 – I C 198. 54 -.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკონსტიტუციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

## საფუძვლები:

მას შემდეგ, რაც მომჩივანს 1951 წლის 12 თებერვალს შეუსრულდა 71 წელი, მას აეკრძალა ბები საქალად მუშაობის გაგრძელება, დარღვევის დასჯადობაზე მი-  
თითებით...

მომჩივანი განმარტავს:

დაირღვა გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, ვინაი-  
დან იგივე ფაქტობრივი ელემენტი, კერძოდ, მშობიარობის მიღება, სხვაგვარად არის  
მონესრიგებული ექიმებისათვის. მათთვის, ყოველგვარი ლოგიკური მიზეზის არსე-  
ბობის გარეშე, არ არის გათვალისწინებული ასაკობრივი ზღვარი. თუ ივარაუდება,  
რომ 70 წლის ასაკში საგრძნობლად იკლებს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი  
შესაძლებლობები, მაშინ ასაკობრივი შეზღუდვა განსაკუთრებით ექიმებზე უნდა ვრ-  
ცელდებოდეს, ვინაიდან, მართალია, მშობიარობის ნორმალური მიმდინარეობისას  
ექიმისა და ბები საქალის საქმიანობა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ გარ-  
თულებების შემთხვევებში სწორედ ექიმი იწყებს მოქმედებას, რის გამოც მას ბევრად  
დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს  
მოსაზრებისაგან განსხვავებით, მომჩივანი მიიჩნევს, რომ ექიმისა და ბები საქალის  
საქმიანობა, რომელიც მოიცავს მშობიარობის მიღებას, ერთმანეთისაგან არ გან-  
სხვავდება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ექიმს ამისათვის სხვა განათლება აქვს  
მიღებული, ვინაიდან მას არანაირი გავლენა არა აქვს ექიმის ფიზიკურ და გონებრივ  
შესაძლებლობებზე...

იმ შემთხვევაში, როდესაც ასაკობრივი ზღვარი მოიცავს მთელ პროფესიულ საქ-  
მიანობას და უკვე ამით ეხება მთლიანად პროფესიის სტრუქტურას, შეიძლება ასევე  
ცალკეული პროფესიის მთლიანი სურათის გათვალისწინებაც. ეს მით უფრო მართე-  
ბულია, რაც უფრო ღრმად და გადამწყვეტად იმოქმედებდა ერთი პროფესიის ფარ-  
გლებში მოქმედი ნორმა მეორე პროფესიის სტრუქტურაზე, ვინაიდან ეს სტრუქტუ-  
რები სოციალურად და სამართლებრივად ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმ  
შემთხვევაში, თუ მხოლოდ ამგვარი „ხელგაშლილი“ და ფართო განხილვის შედეგად  
დადგინდება თანასწორობის ვალდებულება, მაშინ კანონმდებლის მხრიდან თანასწო-  
რობის პრინციპის დარღვევად ჩაითვლება ის, რომ მან ერთი და იგივე საკითხი ერთი  
პროფესიის შემთხვევაში სხვაგვარად მოაწესრიგა, ხოლო მეორესთან მიმართებით კი  
— სხვაგვარად. თუმცა, ზოგადად, იმდენად ძლიერია დიფერენცირებული მიდგომის  
კონსტიტუციურობის პრეზუმფცია, რომ მცდარია თავდაპირველად ცალკეული შე-  
მთხვევების ფარგლებში „მსგავსებების“ განხილვით დაწყება, რათა შემდეგ შემომ-  
დეს, მიუხედავად ამ „მსგავსებისა“, არის თუ არა მთლიანობაში საკითხები ერთმა-  
ნეთისაგან იმდენად განსხვავებული, რომ ამით გამართლებული იყოს კანონმდებლის  
არათანასწორი მიდგომა.

სწორედ ასეთი ვითარებაა მოცემულ შემთხვევაში. ექიმის გარდა, მკურნალობას-  
თან დაკავშირებული სხვა პროფესიები გამოირიცხება ბები საქალის პროფესიასთან  
შედარებისათვის. მართალია, ექიმისა და ბები საქალის პროფესია, ორივე „თავისუფა-  
ლი პროფესიაა“, მაგრამ საფუძვლიანად განსხვავდება მათი სტრუქტურები. ექიმის  
პროფესია, როგორც თავისუფალი პროფესია, ვითარდებოდა დიდი ხნის განმავლო-  
ბაში; მისი პროფესიული სტატუსი დღესაც განპირობებულია ამ განვითარებით. მას  
ახასიათებს საკუთარი პასუხისმგებლობისა და რისკის განსაკუთრებული მასშტაბი  
როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე თვით პროფესიული მოვალეობის შეს-  
რულების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრუქტურის ცალკეულ  
საფუძვლებს, როგორცაა, მაგალითად, განსაკუთრებული აკადემიური განათლების

საზოგადოებრივი შეფასება, შესაძლოა, აღარ პქონდეს უნიტდებური მნიშვნელობა, მაგრამ თვითონ პროფესიის სტატუსსა და ხასიათს ცვლილება არ განუცდია. ასაკობრივი ზღვრის დანესება შეუძლებელი იქნებოდა ასაკობრივი უზრუნველყოფის გათვალისწინების გარეშე. ეს გავლენას მოახდენდა მთლიანად პროფესიაზე და შეცვლიდა მის სტრუქტურას.

ზემოთ აღნიშნულისაგან არსებითად განსხვავდება ბებიაქალის პროფესია: იგი შედარებით ცოტა ხნის წინ გამოეყო რენვის სამართალს და ჩამოყალიბდა „თავისუფალ“ პროფესიად, რომლის ფარგლებშიც თავიდანვე ნათელი და გაცხადებული იყო ასაკობრივი ზღვრის გათვალისწინების განზრახვა. ამასთან, კანონით არის შემცირებული ეკონომიკური რისკი როგორც პროფესიული საქმიანობის პერიოდისათვის, ასევე – მისი უუნარობის შემთხვევაშიც. პროფესიის შესრულება-განხორციელება ექვემდებარება მკაცრ რეგლამენტაციას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ბებიაქალის საქმიანობას: სამუშაო განანესი ანესრიგებს სამუშაო პრინციპებს და ავალდებულებს ბებიაქალს, სამსახურებრივი ქმედებისას დეტალურად და ზედმინევენით გაითვალისწინოს თავისი პროფესიის სახელმძღვანელო მითითებანი. რეგულარული გამოცდებისა და სავალდებულო კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეობის გზით მონმდება და ღრმავდება ბებიაქალის ცოდნა. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროფესიის ნარმომადგენლებზე ვრცელდება მუდმივი ზედამხედველობა და კონტროლი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მათი პროფესიული მოვალეობის უშუალო განხორციელებას.

ყოველივე ეს მხოლოდ გრადაციით არ განსხვავდება ექიმის პროფესიისაგან. ბებიაქალის პროფესიის მთლიანი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი და პომოგენური ასაკობრივი ზღვარი, რომელიც ცალკეულ ბებიაქალს უწესებს, თუ როდის აღარ არის დამაკმაყოფილებელი და საკმარისი მისი პროფესიული შესაძლებლობები, სტრუქტურულად უცხოა ექიმის პროფესიისათვის. ამ პროფესიას უფრო შეესაბამება კონკრეტულ შემთხვევებში პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარის ჩამორთმევა კონკრეტული პირებისათვის, რასაც მოჰყვება შესაბამისი შედეგები.

## ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი:

### E – 48, 327

გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს ენიანალმდეგება ის გარემოება, რომ ყველა წყვილს, რომელმაც იქორწინა 1953 წლის პირველი აპრილიდან 1976 წლის 30 ივნისამდე, ეკრძალება (ქალი) მეუღლის ქალიშვილობის გვარის მიღება ქორწინების გვარის სახით.

### პირველი პალატის 1978 წლის 31 მაისის განჩინება - BvR 683/77 -

(1896 წლის 18 აგვისტოს) გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის მიხედვით, ქორწინებისას ქალი იღებდა ქმრის გვარს.

მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1953 წლის 18 დეკემბერს თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ გერმანიის ძირითადი



კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი არის მოქმედი კანონი და რომ ძირითადი კანონის 117-ე მუხლის თანახმად, საოჯახო და ქორწინების სამართლის ყველა შეუსაბამო სანინალმდეგო ნორმა ძალადაკარგულად ცხადდება 1953 წლის 31 მარტის შემდეგ (იხ: BVerfGE 3, 225 [239]), კანონმდებელმა ამ პერიოდამდე მოქმედი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლი შეცვალა თანასწორობის შესახებ 1957 წლის 18 ივნისის კანონით (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 609), რის შედეგადაც ქალებმა მიიღეს უფლება, ქორწინების გვარისათვის დაერთოთ მათი ქალიშვილობის გვარი (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის მე-2 წინადადება). უცვლელი დარჩა ის, რომ ქორწინებისა და ოჯახის გვარი მოდიოდა მამაკაცისაგან (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის პირველი წინადადება).

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის პირველი წინადადების ძველი რედაქცია არ შეესაბამებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს. ის ნორმა, რომლის მიხედვითაც ქორწინებისა და ოჯახის გვარი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მამაკაცის გვარი, გამორიცხავდა ქალის ქალიშვილობის გვარის გათვალისწინებას ქორწინებისა და ოჯახის გვარად. როგორც უკვე აღნიშნა, მხოლოდ მამაკაცისაგან „მოდიოდა“ ოჯახის გვარი. ამით ქორწინებისა და ოჯახის გვარის საკითხს აწესრიგებდა კანონი, რომელიც ყოველივე ამას მხოლოდ მეუღლის სქესს უკავშირებდა. აღნიშნული ნორმით ირღვეოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქალის ძირითადი უფლება. ქალის ამგვარი დისკრიმინაცია ვერ აღმოიფხვრა მისი ქალიშვილობის გვარის საოჯახო გვარზე დართვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. მაშინ, როდესაც მამაკაცი არც უფლებამოსილი და არც ვალდებული იყო, რომ ქორწინება რაიმე ფორმით აესახა თავის გვარში, ქალის გვარი ქორწინების შედეგად აუცილებლად იცვლებოდა. განსაკუთრებით აშკარა იყო ქალის მიმართ უთანასწორო მოპყრობა ქორწინებაში დაბადებული შვილების გვარის განსაზღვრისას, ვინაიდან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1616-ე მუხლის მიხედვით, მათ უნდა მიეღოთ მხოლოდ და მხოლოდ მამის გვარი.

2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის ძველი რედაქციის პირველი წინადადებით გათვალისწინებული უთანასწორობა მეუღლეებს შორის ვერც ბიოლოგიური თუ ფუნქციური ურთიერთსხვაობით იქნება გამართლებული. არც ოჯახის წევრთა თანასწორობა და ერთიანობა ირღვევა, როდესაც ოჯახისა და ქორწინების გვარი არ ემთხვევა მამაკაცისას. არ არსებობს ისეთი არსებითი განსხვავებები ქალსა და მამაკაცს შორის, რომელთა საფუძველზეც სავალდებულო იქნებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის ძველი რედაქციის პირველ წინადადებაში ჩამოყალიბებული ნორმების გათვალისწინება (იხ: BVerfGE 10, 59 [8]; 15, 337 [343]; 21, 329 [343]; 31, 1 [4]; 39, 169 [185]).

ის მოსაზრება, რომ ოჯახის ერთიანობა და ერთსულოვნება გამოიხატებოდა მამაკაცის გვართ, წარსულში სასამართლო პრაქტიკაში დასაბუთებული იყო იმით, რომ მამაკაცი წარმოადგენდა ოჯახს მის ფარგლებს გარეთ, ხოლო მის ფარგლებში ასრულებდა ისეთ მოვალეობებსა და ამოცანებს, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდა ქალის მოვალეობებისაგან... ოჯახის წარმოდგენა მხოლოდ მამაკაცის მიერ მაშინაც მიიჩნევა მართებულად, როდესაც მარტო იგი ეწევა პროფესიულ საქმიანობას, ხოლო ქალი ზრუნავს ბავშვების აღზრდასა და ოჯახის მეურნეობაზე, რომ არაფერი ითქვას ისეთ ოჯახებზე, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს. ქალის სამუშაო პროცესში უფრო აქტიურად ჩართვამ თანდათანობით შეცვალა ტრადიციული მოსაზრებები, რომ ოჯახურ მოვალეობათა ბუნებრივ გადანაწილებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ქალი დასაქმებულია ოჯახს გარეთ და არ შემოიფარგლება ბავშვებსა და ოჯახზე ზრუნვით.

3. თანასწორობის პრინციპი მოცემულ შემთხვევებში არც სხვა კონსტიტუციური პრინციპით იზღუდება (იხ: BVerfGE 10, 59 [80]).

აღნიშნული მოცემული იქნებოდა იმ შემთხვევაში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი რომ მოითხოვდეს ოჯახის ერთიანობის ნიშნისა და მაჩვენებლის შენარჩუნებას, ისე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო გერმანიის სა-მოქალაქო კოდექსის 1355-ე მუხლის პირველი წინადადებით ოჯახისა და ქორწინების გვართან დაკავშირებით. მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირ-ველი პუნქტი არ მოიცავს თაობათა დიდი ოჯახების დაცვას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით ოჯახი არის ერთ ჭერქვეშ გაერ-თიანებული ორგანიზმი, რომელიც, როგორც წესი, შედგება მშობლებისა და მათი შვილებისაგან...

### გ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი:

#### **E – 39, 334**

#### მეორე პალატის 1975 წლის 22 მაისის განჩინება - BvL 13/73 -

გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, არ შეიძლე-ბა „პოლიტიკური შეხედულებების გამო ვინმეს პრივილეგირება ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება“. აღნიშნული ფორმულირება აკონკრეტებს გერმანიის ძი-რითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზოგადი თა-ნასწორობის პრინციპს და ამასთან, კრძალავს პოლიტიკური შეხედულებების გამო პირის დისკრიმინაციასა თუ პრივილეგიას. თუმცა, აღნიშნული არ ამსუბუქებს და არც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფო მოხელის ერთგულების მოვალეობას და მისგან გამომდინარე შედეგებს:

პირველ რიგში, არ არის მართებული, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის აკრძალვა მიმართული იყოს მხოლოდ გარკვეული პოლიტიკუ-რი შეხედულებებისა და მოსაზრების „ქონასთან“, აღნიშნული ნორმა ასევე მოიაზრე-ბს ამ პოლიტიკური შეხედულებების სიტყვითა და საქმით გამოხატვასაც, ვინაიდან საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებებისა და შეხედულებების სიტყვიერი და ქმედითი გამოხატვა არის განსაკუთრებულ ძირითად უფლებათა, კერძოდ, სხვადასხვაგვარი თავისუფლების უფლებების დაცვის საგანი, რომლებიც მოიცავენ ასევე ქმედებასაც (ანუ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4, მე-5, მე-8 და მე-9 მუხლები). ყველა აღნიშნულ ნორმას ახლავს თავისი შეზღუდვების აღწერა, რომლებიც პრაქტიკაში ვერ იმოქმედებდა და ვერც კანონმდებლის მიერ რეალიზდე-ბოდა, ამ ყველაფერს ხელს რომ უშლიდეს და ეწინააღმდეგებოდეს გერმანიის ძირი-თადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ აკრძალვას არ გააჩნია აბსოლუტური ძალა. თავის-თავად საგულისხმოა, რომ არ შეიძლება აკრძალული და დაუშვებელი იყოს ის გა-რემოება, რომ რელიგიურ სასწავლებელში მასწავლებელი შეირჩეს მისი რწმენისა თუ აღმსარებლობის მიხედვით, ან გოგონათა სასწავლებლის დირექტორის თანამ-

დებობის დაკავებისას მდებარეობითი სქესის კანდიდატებს მიენიჭათ უპირატესობა ან გერმანიის მოქალაქეს უარი ეთქვას გარკვეულ ადგილას დასაქმებაზე იმ მოტივით, რომ იგი გაიზარდა საზღვარგარეთ და ამის გამო სრულყოფილად ვერ ფლობს გერმანულ ენას. აღნიშნული ზღვრის ანუ ფარგლების დასაბუთება შესაძლებელია იმით, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი მიზნად ისახავს მხოლოდ „გამიზნული“ დისკრიმინაციისა და პრივილეგიების აკრძალვას და არა ისეთი არახელსაყრელი თუ ხელსაყრელი გარემოებებისა და პირობების დაუშვებლად აღიარებას, რომლებიც წარმოადგენს სულ სხვაგვარი მიმართულებითა და მიზნებით ჩამოყალიბებული ნორმის შედეგს (მაგალითად: ნორმები მომავალი დედების ან კონსტიტუციური ნესრიგის დასაცავად და ა.შ.); ანუ საუბარია შედეგებზე, რომლებიც, მოკლედ რომ ვთქვათ, გამომდინარეობს თვითონ საკითხისა თუ „საქმის ბუნებრიდან“ (იხ: BVerfGE 7, 155 [170]).

და ბოლოს, არ შეიძლება კონსტიტუციის ნორმის იზოლირებული განმარტება; იგი უნდა განიმარტოს მთლიანად, კონსტიტუციის კონტექსტიდან გამომდინარე (იხ: BVerfGE 19, 206 [220]; 30, 1 [19]; 33, 23 [29]). ამ მიმართებით და თვალთახედვით, ბუნებრივია, გამორიცხულია, რომ იგივე კონსტიტუცია, რომელიც გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ ვაიმარის რესპუბლიკის დემოკრატიასთან დაკავშირებული მწარე გამოცდილებების შედეგად ჩამოაყალიბა მებრძოლი დემოკრატიის გამოხატულებად, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის სახით აღნიშნულ სახელმწიფოს გადასცემს ხსენებული პრინციპების მტრებსა და მოწინააღმდეგეებს (იხ: BVerfGE 30, 1 [20]; 28, 36 [49]; 13, 46 [49]).

**დ) თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგო უპირატესობა:**

## **E – 8, 28**

2. თუ კანონი, რომელიც, თავისი მიზნებისა და შინაარსის მიხედვით, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ანაზღაურებისა და თანამდებობრივი სარგოების განმსაზღვრელს და ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს საჯარო მოხელეთა გარკვეულ ჯგუფს, სასამართლოს არა აქვს უფლება, დამატებითი ან განვრცობითი ახსნა-განმარტების საშუალებით ამ კანონით გათვალისწინებული ანაზღაურება მიაკუთვნოს მითითებული ჯგუფის წარმომადგენელ საჯარო მოხელეს...
3. თუ კანონმდებელი გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის დარღვევით უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ ჯგუფებს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ბათილად ცნოს აღნიშნული უპირატესობა ან დაადგინოს, რომ ცალკეული ჯგუფების გაუთვალისწინებლობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მაგრამ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლება, განაგრძოს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უპირატესობანი ასევე იმ ჯგუფებზე, რომლებსაც კანონი არ ითვალისწინებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეჭვგარეშეა, რომ კანონმდებელი გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის გაანალიზების შემდეგ თვითონ გამოსცემდა ამგვარ ნორმას.

**პრობლემა:** კანონის გამოწვევის ნორმის საშუალებით ანაზღაურების საერთო მომატების შესაძლებლობისაგან თანასწორობის პრინციპის დარღვევით ერთ-ერთი ჯგუფი გამოირიცხა. იყო თუ არა შესაძლებელი უფლების შემზღუდავი გამოწვევის ნორმის ბათილად ცნობა?

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი განკარგულების კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შემონახვისას, რომელიც თავისი შემზღუდავი ფორმულირების მეშვეობით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის დარღვევით, პოლიტიკურ პარტიათა მხოლოდ ერთ ჯგუფს ანიჭებდა შეღავათებს, ბათილად ცნო განკარგულების მხოლოდ შემზღუდავი ნაწილი (BVerfGE 6, 273) ისე, რომ განკარგულების ძალაში დარჩენილი ნაწილის მიხედვით, შეღავათები ყველა პარტიაზე ვრცელდებოდა. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე იყო განსაკუთრებული გარემოებების საგანი: როდესაც კანონმდებელი გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის დარღვევით უპირატესობას ანიჭებს პირთა ერთ გარკვეულ ჯგუფს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თანასწორობას ვერ აღადგენს იმით, რომ კანონმდებლის მაგივრად თვითონ ჩამოაყალიბებს კანონის ტექსტს, რომელშიც გაითვალისწინებს მანამდე გაუთვალისწინებელ პირთა ჯგუფებს, ვინაიდან შესაძლებელია, რომ კანონმდებელს გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 პუნქტის მოქმედების სფეროს სწორად შეცნობის შემთხვევაში თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ გამოეცა მსგავსი ნორმები. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყევტილება, რომელიც გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლიდან, შეძლებისდაგვარად უნდა იცავდეს და ითვალისწინებდეს კანონმდებლის ქმედების თავისუფლებას. აღნიშნულის განხორციელება ასევე შესაძლებელია ისეთი კანონის შემთხვევაშიც, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი უფლების დარღვევით ზღუდავს პირთა გარკვეულ ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ბათილად აცხადებს შეზღუდვის განმსაზღვრელ ნორმას და ამით იგი კანონმდებელს უტოვებს აღნიშნული ნორმის ახლებურად ჩამოყალიბების თავისუფლებასა და შესაძლებლობას. მაგრამ თუ კანონი გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭებით ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლს, მაშინ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ბათილად აცხადებს უპირატესობის განმსაზღვრელ ნორმას ან ადგენს, რომ პირთა გარკვეული ჯგუფის გაუთვალისწინებლობა (ანუ კანონმდებლის მიერ შესაბამისი ქმედებისაგან თავის შეკავება) ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ორივე შემთხვევაში კანონმდებლის განსასჯელი იქნება, თუ ნორმის როგორი ახლებური ფორმულირებით გაითვალისწინებდა იგი სათანადოდ თანასწორობის პრინციპს. სხვა შემთხვევაში კი 1957 წლის 21 თებერვლის განჩინების მსგავსი გადანყევტილება, რომელიც ნაწილობრივ აბათილებს განკარგულებას (BVerfGE 6, 273), დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი თვითონაც გაითვალისწინებდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის შინაარსს და უცვლელად განაგრძობდა კანონს, მე-3 მუხლის მიხედვით, ყველა გასათვალისწინებელ ჯგუფზე. აღნიშნული გადანყევტილების (განჩინების) შემთხვევაში მოცემულად მიიჩნევა ასეთი ვარაუდის შესაძლებლობა. აქ საუბარია განკარგულებაზე, რომლის მიმართ არსებობდა ეჭვი: ხომ არ ისახავდა მიზნად ყველა პარტიის გათვალისწინებას უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონი [კანონი, რომელიც წარმოადგენს განკარგულების საფუძველს] (BVerfGE 6, 281); ივარაუდება, რომ განკარგულების გამოცემაზე უფლებამოსილმა ფედერალურმა მთავრობამ პო-

ლიტიკური პარტიებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა დაუშვა ფორმალური მიზეზებით, კერძოდ, ტექნიკური პროცედურების გამარტივების და არა იმ მიზნით, რომ კანონით გაეთვალისწინებინა პარტიათა მხოლოდ ვინრო წრე.

ასეთი ან მსგავსი წინაპირობები არ არის მოცემული წინამდებარე შემთხვევაში.

## **გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით:**

### **E – 32, 98**

რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლების გავლენა დახმარების აღმოუჩენლობის გამო (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი<sup>8</sup>) სასჯელის შეფარდებისას.

### **პირველი პალატის 1971 წლის 19 ოქტომბრის განჩინება**

მომჩივანი გახლავთ პროტესტანტული საძმოს რელიგიური გაერთიანების წევრი. მისი მეუღლეც აღნიშნული გაერთიანების წევრი იყო. მომჩივნის მეუღლემ, რომელსაც მეოთხე მშობიარობის შემდეგ აღენიშნებოდა სისხლნაკლებობა, ექიმის რეკომენდაციის მიუხედავად, უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციასა და, განსაკუთრებით, სისხლის გადასხმაზე. ავადმყოფის მეუღლემ არ მოახდინა მასზე რაიმე ზეგავლენა, რათა დაეყოლიებინა იგი, გაეთვალისწინებინა ექიმის რჩევები. შესაბამისად, პაციენტს არ უმკურნალეს, რის შედეგადაც იგი, ბოლომდე საღ გონებაზე მყოფი, გარდაიცვალა.

...უღმის ლანდის სასამართლომ მომჩივანს, დახმარების აღმოუჩენლობის დანაშაულის გამო, 1965 წლის 14 იანვრის განაჩენით შეუფარდა ფულადი ჯარიმა – 200 გერმანული მარკის ოდენობით, რასაც შეიძლებოდა ჩანაცვლებოდა 10-დღიანი პატიმრობა.

ლანდის სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

... ექიმმა შენიშნა, რომ პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მომჩივანსა და მის ავადმყოფ მეუღლეს შესთავაზა პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. ამასთან, ექიმმა ცხადად განმარტა, რომ საავადმყოფოში მოთავსებისა და მკურნალობის გარეშე ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მაშინ მომჩივანმა ექიმს განუცხადა, რომ მისი მეუღლე საავადმყოფოში მკურნალობის გარეშეც გამოჯანმრთელდებოდა, თუ ისინი ღმერთს მიენდობოდნენ და რწმენაში განმტკიცდებოდნენ; მისი განმარტებით, ორივენი მორწმუნე ადამიანები არიან და ნასწავლი აქვთ, რომ დაიჯერონ ღმერთის სიტყვა და მიენდონ მას. მომჩივნის განცხადებით, იგი მეუღლის საავადმყოფოში მოთავსების წინააღმდეგი იყო. თუმცა, ამის შემდეგ მომჩივანი მივიდა თავის მეუღლესთან და უთხრა, რომ გადაწყვეტილების მიღებას მას მიანდობს და რომ შესაბამისი სურვილის შემთხვევაში მას თავისუფლად შეეძლო საავადმყოფოში დანოლა; მაგრამ იქვე დასძინა, რომ საეკლესიო კრება ამასთან დაკავშირებით სხვა მოძღვრებას შეიცავდა, კერძოდ, წმინდა წერილში ნათქვამია: „თუ ვინმე ავად გახდა, მოიხმოს

<sup>8</sup> დღევანდელი 323-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

თავისთან თავისი ტომის უზუცესები, რომლებიც ილოცებენ მისთვის და მხურვალე ლოცვა დაეხმარება ავადმყოფს." საპასუხოდ ავადმყოფმა განაცხადა, რომ იგი უარს ამბობდა ჰოსპიტალიზაციაზე. სამაგიეროდ ითხოვდა მრევლიდან ერთ-ერთი სულიერი ძმის მოხმობას, რომელიც მათთან ერთად ილოცებდა. ასეც მოხდა, პაციენტის თხოვნა შესრულდა. მოკლე დროის შემდეგ მომჩივნის მეუღლე გარდაიცვალა.

## I

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს საკონსტიტუციო საჩივრის ფარგლებში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებისა და განაჩენების სრულყოფილი შემონგება სამართლებრივ შეცდომებთან დაკავშირებით (BVerfGE 7, 198 [207]; 17, 302 [304]; 18, 85 [92]). ნინამდებარე შემთხვევაში უნდა შემონდეს მხოლოდ საკითხი: ითვალისწინებს თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილებები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის „გ“ ქვეუნქტით გათვალისწინებული სასჯელის განმარტებისას და შეფარდებისას ძირითად უფლებათა გავლენას მითითებულ ნორმაზე.

## II

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შემონგების საფუძველზე დგინდება, რომ მოხდა მომჩივნის რწმენისა და აღმსარებლობის ძირითად უფლებაში (გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი) დაუშვებელი ჩარევა...

2. სახელმწიფოში, სადაც უმაღლეს ღირებულებად ითვლება ადამიანის ღირსება, და სადაც თითოეულის მიერ საკუთარი თავის თავისუფალი განკარგვის უფლება მიიჩნევა საზოგადოების ფუძემდებლურ ღირებულებად, რელიგიის თავისუფლება თითოეულ პირს მიაკუთვნებს ყოველგვარი სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალ სამართლებრივ სივრცეს, სადაც მას აქვს შესაძლებლობა, მოიწყოს საკუთარი ცხოვრება ისე, როგორც ეს მის შეხედულებებს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, რელიგიის თავისუფლება მეტია, ვიდრე – რელიგიური ტოლერანტობა ანუ რელიგიური გამოვლინებისა და არარელიგიური შეხედულებების თმენა (BVerfGE 12, 1 [3]). მამასადაამე, რელიგიის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ რწმენის ან ურწმუნოების თავისუფლებას, არამედ ასევე – ე.წ. გარეგან თავისუფლებასაც, რაც მოიაზრებს რწმენის მანიფესტაციას, გამოხატვასა და გავრცელებას (იხ: BVerfGE 24, 236 [245]). ეს ასევე გულისხმობს ცალკეული ადამიანის უფლებას, იმოქმედოს თავისი რწმენისა და რელიგიური მოძღვრების და ამ რწმენიდან გამომდინარე შინაგანი შეხედულებებისა და მონოდების შესაბამისად. ამასთან, რელიგიის თავისუფლება არ იცავს მხოლოდ იმ შეხედულებებს, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი რელიგიური ლიტერატურისა და მოძღვრების იმპერატიული დოგმებიდან, არამედ რელიგიის თავისუფლება ვრცელდება იმ რელიგიურ შეხედულებებზეც, რომლებიც კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციისათვის ითვალისწინებს შესაბამის რელიგიურ მიდგომასა და რეაგირებას, თუმცა ამას აქვს არა სავალდებულო, მაგრამ სასურველი რეაგირების ხასიათი და მიჩნეულია საუკეთესო და ყველაზე ადეკვატურ საშუალებად, რათა რელიგიური მიდგომით გადაილახოს და დაიძლიოს ესა თუ ის ცხოვრებისეული სიტუაცია და სირთულე. სხვაგვარი შეხედულებითა და განმარტებით, რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლება სრულყოფილად ვერ რეალიზდება.

3. რელიგიის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი.

ა) თუმცა, იგი არ ექვემდებარება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ხელშეუვალად აცხადებს რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას (იხ: BVerfGE 12, 1 [4]). აღნიშნული ნორმა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით წარმოადგენს სპეციალურ ნორმას (lex specialis). მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, რწმენის თავისუფლება შეზღუდულია სხვა პირთა უფლებების, კონსტიტუციური წესრიგის, მორალსა და ზნეობასთან დაკავშირებული ნორმების მეშვეობით, შეუსაბამო იქნებოდა გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულ და აღიარებულ სუბსიდიარობასთან, რომელიც არსებობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტსა და ცალკეული თავისუფლებების სპეციალურ უფლებებს შორის (იხ: BVerfGE 6, 32 [36]; 23, 50 [55]).

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თავისუფლების გარანტია, როგორც ყველა დანარჩენი ძირითადი უფლება, გამომდინარეობს ძირითად კანონში გათვალისწინებული იმ ადამიანის ხედვიდან, რომელიც, როგორც სრულიად დამოუკიდებელი პიროვნება, თავისუფლად ვითარდება საკუთარ სოციალურ გარემოში, კერძოდ, საზოგადოებაში. ძირითადი კანონით აღიარებული მიმართება – კავშირი ინდივიდისა თავის საზოგადოებასთან – იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ უკიდურესი ზღვარი გაეცლოს ძირითად უფლებებსაც, რომლებიც ყველანაირი დათქმის გარეშე უზრუნველყოფილი და გარანტირებული. მაგრამ რწმენის თავისუფლების, ისევე როგორც ხელოვნების თავისუფლების ფარგლები (იხ: BVerfGE 30, 173 [193]), შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ კონსტიტუციით. ვინაიდან რწმენის თავისუფლება არ შეიცავს რაიმე დათქმას მიმდინარე კანონმდებლობისათვის, მისი შეზღუდვა დაუშვებელია საერთო-სამართლებრივი სისტემის ან განუსაზღვრელი დათქმისა თუ კლავშულის მეშვეობით, რომლებიც, ყოველგვარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მიმართებისა და სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე, შესაძლო საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს არსებობისათვის ესოდენ მნიშვნელოვან სიკეთეებს. რწმენის თავისუფლების გარანტიის ფარგლებში გასათვალისწინებელი კონფლიქტი დაძლეულ უნდა იქნეს ღირებულებათა კონსტიტუციური სისტემისა და ძირითად ღირებულებათა სისტემის ერთიანობის გათვალისწინებით. რწმენის თავისუფლება, როგორც კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემის ნაწილი, მიკუთვნებულია ტოლერანტობის პრინციპს და განსაკუთრებული მიმართება ახასიათებს გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ ადამიანის ღირსებასთან, რომელიც, როგორც უზენაესი ღირებულება, დომინირებს მთელ კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემაში (იხ: BVerfGE 6, 32 [41]; 27, 1 [6]; იხ. ასევე: BVerfGE 30, 173 [193]).

ზემოთ აღნიშნული მიზეზები და საფუძვლები გამოორიცხავს გარკვეული რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე ან რწმენის საფუძველზე განხორციელებული ქმედებებისა თუ გამოვლინებების უპირობო დაქვემდებარებას იმ სანქციებისადმი, რომლებსაც სახელმწიფო ითვალისწინებს (რწმენიდან გამომდინარე მოტივაციის მიუხედავად) ამგვარი ქმედებებისათვის. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლების გავლენა მოცემულ შემთხვევაში ისე მძაფრად არის გამოხატული, რომ შეუძლია გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს სანქციების სახეობასა და მასშტაბურობაზე. სისხლის სამართლისათვის ამას შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

ვინც კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გადაწყვეტილებას რაიმე ქმედების განხორციელებასა ან მისგან თავის შეკავების თაობაზე იღებს საკუთარი რწმენის, რელიგიური შეხედულებების საფუძველზე, შესაძლოა კონფლიქტში აღ-

მოჩნდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ და გაბატონებულ მორალურ შეხედულებებსა და მათზე დაფუძნებულ სამართლებრივ ვალდებულებებთან. თუ იგი თავისი ქმედებით ასრულებს ტრადიციულად დამკვიდრებული დანაშაულის წინაპირობებსა და ფაქტობრივ ელემენტებს, მაშინ გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უნდა დაისევას შეკითხვა: ამართლებს და შეესაბამება თუ არა საერთოდ სახელმწიფოს მიერ დასჯის განხორციელების აზრსა და დანიშნულებას სასჯელის დაკისრება იმ შემთხვევაში, როცა მოცემულია განსაკუთრებული გარემოებები. ამგვარი დამნაშავე არ უპირისპირდება სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემას სამართლებრივი შეგნების ნაკლებობის გამო; მასაც ასევე სურს სასჯელით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაცვა. მაგრამ იგი მოქცეულია ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, სადაც საერთო სამართლებრივი სისტემა ეწინააღმდეგება მის პირად რელიგიურ მრწამსს და იგი თავს გრძნობს ვალდებულად, ასეთ შემთხვევაში მიჰყვეს რწმენის, როგორც უფრო უზენაესის, პრინციპებსა და მცნებებს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადანყვეტილება ობიექტურადაც მიუღებელია საზოგადოებაში დამკვიდრებული და გაბატონებული ღირებულებების გამო, იგი მაინც არ არის იმდენად დასაძრახისი, რომ გამართლებული იყოს პირის დასჯა საზოგადოების ხელთ არსებული ყველაზე მწვავე იარაღით — სისხლის სამართლით. სისხლისსამართლებრივი სასჯელი (განურჩევლად მისი ოდენობისა და სიმკაცრისა) მოცემულ შემთხვევაში, არც ერთი ასპექტის გათვალისწინებით (დასჯა, პრევენცია, დამნაშავის რესოციალიზაცია), არ არის ადეკვატური სანქცია. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საჯარო ხელისუფლებათა ვალდებულებამ — მაქსიმალური ზღვრის ფარგლებში პატივისცემა გამოიჩინონ სერიოზული რელიგიური შეხედულებების მიმართ — უნდა გამოიღოს შემდეგი შედეგი: ისეთ შემთხვევებში მაინც, როდესაც კონკრეტულ კონფლიქტს საერთო შეხედულებების მიხედვით არსებულ და დამკვიდრებულ სამართლებრივ ვალდებულებასა და რელიგიურ მცნებას შორის პირი მიჰყავს სულიერ დილემამდე, სისხლის სამართლის სანქციების გამოყენება და სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრება, რომელიც პირს დაასჯამს სამართალდამრღვევის დამლას, აღიქმება გადაჭარბებულ და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ღირსების შემლახველ სოციალურ რეაქციად.

4. აღნიშნული პრინციპების განხილვისა და გამოყენების შედეგად დადგინდა, რომ ლანდის სასამართლოსა და ლანდის უმაღლეს სასამართლოს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის განმარტებისას და გამოყენებისას თვალსაწიერიდან გამორჩათ გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის გავლენის შესაძლებლობები და შედეგები. მომჩივანს არ შეიძლება დაბრალდეს, რომ მან თავისი საკუთარი რელიგიური მრწამსის წინააღმდეგ არ გადაარწმუნა თავისი მეუღლე იმავე რელიგიური შეხედულებების დათმობაში.

## **E – 24, 236**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ძირითადი უფლება არ ვრცელდება მხოლოდ ეკლესიების, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებების მიმართ, იგი ვრცელდება ასევე იმ გაერთიანებების მიმართაც, რომლებმაც მიზნად გაიხადეს, თუმცა, არა ყოველმხრივი, მაგრამ ნაწილობრივი მზრუნველობა მათი წევრების რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ ცხოვრებაზე.



2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს ასევე საეკლესიო თუ რელიგიური მიზნებისათვის საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებას. იგივე შეიძლება ითქვას ასევე ჩვეულებრივი რელიგიური ცხოვრების ფარგლებში მოქცეული მხარდამჭერი მოქმედებების, მაგალითად, როგორცაა საეკლესიო კათედრის რეკლამა, განხორციელების შესახებაც.

პირველი პალატის 1968 წლის 16 ოქტომბრის განჩინება  
- 1 BvR 241/66 -

ლანდის ახალგაზრდული კათოლიკური მოძრაობის საკონსტიტუციო საჩივრის საქმეზე...

1965 წლის დასაწყისში მომჩივანმა მთელი გერმანიის მასშტაბით გამართა აქცია სახელწოდებით „საკუჭნაო“. აღნიშნული აქციის ფარგლებში გროვდებოდა მეორადი ტანისამოსი, ე.წ. ძველმანები და მაკულატურა. შეგროვებული საქონელი მომჩივანმა შემდეგ მთლიანად მიჰყიდა ერთ საბითუმო, მსხვილ მოვაჭრეს, რის შედეგადაც მიიღო რამდენიმე მილიონი გერმანული მარკა. ამონაგები განკუთვნილი იყო ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ახალგაზრდების დასახმარებლად. ცალკეული აქციების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა საეკლესიო კათედრის განცხადებებით კათოლიკურ ტაძრებში და ასევე პრესის საშუალებით.

... ლანდის სასამართლომ მომჩივანს აუკრძალა ქ. ბრაიტენბრუნში საქველმოქმედო აქციის მომზადება კათოლიკური ეკლესიის კათედრის მიერ განხორციელებული რეკლამის მეშვეობით.

რელიგიური შეხედულებების ხელშეშლელი განხორციელების უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი) მოქცეულია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ცნებაში (გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი). აღნიშნული ცნება (მიუხედავად იმისა, საუბარია რელიგიურ თუ არარელიგიურ, ან რელიგიისაგან თავისუფალ, მსოფლმხედველობრივ შეხედულებებზე) მოიცავს არა მხოლოდ რწმენისა თუ ურწმუნოების შინაგან უფლებას ანუ რწმენის აღიარებას, გასაიდუმლოებას, დამალვას, რწმენის შეცვლას, არამედ ასევე – კულტივისტური ქმედების, რეკლამისა და პროპაგანდის თავისუფლებას (იხ: BVerfGE 12, 1 [3]). შესაბამისად, რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების უფლება რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ვრცელდება ცალკეულ ადამიანსა და ასევე რელიგიურ ან მსოფლმხედველობრივ გაერთიანებებზე (BVerfGE 19, 129 [132]). რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების უფლება ყველაზე გვიან, ვაიმარის კონსტიტუციიდან დაწყებული, მოიაზრება აღმსარებლობის თავისუფლებაში...

ვინაიდან „რელიგიის გამოვლენასა და რეალიზებას“ არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველა რელიგიისა და აღმსარებლობისათვის, აღნიშნული ცნება მის ისტორიულ შინაარსთან მიმართებით უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს.

აღნიშნულის მიხედვით, რელიგიის გამოვლენასა და რეალიზებაში მოიაზრება არა მხოლოდ კულტივისტური მოქმედებები და გამოვლინებები, არამედ ასევე – რელიგიურ წეს-ჩვეულებათა პატივისცემა, როგორებიცაა: წირვა-ლოცვა, საქველმოქმედო ღონისძიებები, მონაწილეობა რელიგიურ საიდუმლოებებში, მსვლელობები, საეკლესიო დროშების გამოფენა, ზარების რეკვა, ასევე რელიგიური აღზრდა, არარელიგიური და ათეისტური ზეიმები, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ცხოვრების სხვა გამოვლინებები და გამოსატყულებები.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ძირითადი უფლება არ ვრცელდება მხოლოდ ეკლესიების, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებების მიმართ. იგი ასევე ვრცელდება იმ გაერთიანებების მიმართაც, რომლებმაც მიზნად გაიხადეს, თუმცა, არა ყოველმხრივი, მაგრამ ნაწილობრივი მზრუნველობა თავიანთი წევრების რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ ცხოვრებაზე.

მომჩინის მიერ ჩატარებული რელიგიური და საქველმოქმედო ღონისძიებები და ასევე ამ მიზნით გაკეთებული ეკლესიის კათედრის განცხადებები მიეკუთვნება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რელიგიის გამოვლენისა და რეალიზების დაცვის სფეროს.

იმის შეფასებისას, თუ ცალკეულ შემთხვევაში რა უნდა იქნეს მიჩნეული რელიგიისა თუ საკუთარი მსოფლმხედველობის გამოვლენად და რეალიზებად, თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, თუ როგორ ესმით თავიანთი დანიშნულება თუ ფუნქცია თვითონ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ გაერთიანებებს ანუ მათი თვითშეგნება. თუმცა, რელიგიურად ნეიტრალური სახელმწიფო მოვალეა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნებები განმარტოს ნეიტრალური, საყოველთაო, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი მოსაზრებებისაგან დამოუკიდებელი ასპექტებით (BVerfGE 10, 59 [84]; 12, 45 [54]; 19, 1 [8]; 19, 226 [238]; 19, 268 [278]). მაგრამ იქ, სადაც პლურალისტურ საზოგადოებაში სამართლებრივი სისტემა საკულტო თავისუფლების წინაპირობად მიიჩნევს რელიგიურ ან მსოფლმხედველობრივ თვითშეგნებას, სახელმწიფო შეზღუდვად ეკლესიისათვის, ასევე რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებებისათვის მინიჭებულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, თუ იგი რომელიმე მსოფლმხედველობრივი ან რწმენისმიერი გამოვლენების საფუძველზე რელიგიის თავისუფალი რეალიზების უფლების განმარტებისას არ გაითვალისწინებდა მათ თვითშეგნებას (BVerfGE 18, 385 [386]).

კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების თვითშეგნების მიხედვით, რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების უფლება არ მოიცავს მხოლოდ რწმენისა და ღვთისმსახურების სფეროებს, იგი მოიცავს აგრეთვე მსოფლიო მასშტაბით განვრცობისა და განვითარების თავისუფლებას, მათი რელიგიური ამოცანების შესაბამისად...

„საკუჭნაოს“ აქციის – როგორც რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების უფლების – ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების შეფასებისათვის, თუმცა, არაარსებითი, მაგრამ აღსანიშნავი განცხადებებია ის, რომ საქველმოქმედო აქციაზე მუშაობის მიზნით მონაწილეთა ოთხმოცდაათმა პროცენტმა შეაჩერა და გადადო თავისი საკუთარი საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ლანდის სასამართლოს შეფასებით, რომელიც მნიშვნელოვანია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, აქცია თავისი ფორმითა და მასშტაბით დასაშვები იყო და არ არის გამორიცხული, რომ ძველმანების „ბიზნესის“ უკუსვლა განაპირობა საერთო ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილებამ, ბიზნესის ამ სექტორში მისაღები უნდა ყოფილიყო თუნდაც საქველმოქმედო აქციით გამოწვეული ცვლილებები. თავისუფალი კონკურენციული ეკონომიკის პირობებში არ არსებობს ბიზნესმენის კონსტიტუციით დაცული უფლება საქმიანი ბრუნვის მოცულობის შენარჩუნებასა და დამატებითი შემოსავლების შექმნის უზრუნველყოფაზე.

შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მომჩინის აქცია იყო რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების ნაწილი, მაშინ ლანდის სასამართლოს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ამ ძირითადი უფლების გავლენა და მისი შედეგ-

ბი კათედრის რეკლამის შეფასებაზე, რომელიც შეფასდა, როგორც „ამორალური კონკურენტული მოქმედება“...

კონკურენტული მოქმედების „ამორალურობის“ ცნების განმარტებისას ლანდის სასამართლო ვალდებული იყო, თავის შეფასებებში გაეთვალისწინებინა კონკურენციის განსაკუთრებული ფორმა და სახეობა მენარმესა და რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების უფლების ფარგლებში მოქმედ კონკურენტებს შორის. მას უნდა შეეფასებინა უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე, როგორცაა რელიგიის თავისუფალი გამოვლენისა და რეალიზების უფლება და პერსპექტივიდან და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით არ მიეჩნია იგი ამორალურად. ვინაიდან ლანდის სასამართლომ მომჩივანი ამ შემთხვევაში არ გაამართლა, მისი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

### **E – 33, 23**

1. ღმერთისადმი მონოდების გარეშე განხორციელებულ ფიცს, კანონმდებლის წარმოდგენით, არა აქვს რელიგიური ან სხვა სახის ტრანსცენდენტული მიმართება და დატვირთვა.
2. რელიგიური შეხედულება, რომელიც უარს აცხადებს ღმერთისადმი მონოდების გარეშე მონმის ფიცის დადებაზე, დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით.
3. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი, კონსტიტუციის შესაბამისად, უნდა განიმარტოს ისე, რომ რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლებაც ასევე მოიაზრებოდეს ფიცის დადებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძვლებს შორის.

### **მეორე პალატის 1972 წლის პირველი აპრილის განჩინება - 2 BvR 75/71 -**

დიუსელდორფის ლანდის სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესზე მონმის სტატუსით ჩვენება მისცა მომჩივანმა – პროტესტანტმა მღვდელმა. რწმენისა და სინდისის თავისუფლების ძირითად უფლებაზე მითითებით მან უარი განაცხადა დაედო მონმის ფიცი, ვინაიდან მას, იესო ქრისტეს მთაზე ქადაგებიდან (მათეს სახარება 5, 33-37) გამომდინარე, ეკრძალება ყოველგვარი ფიცის დადება. 1965 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით დიუსელდორფის ლანდის სასამართლომ, გერმანიის ძირითადი კანონის 140-ე მუხლსა და გერმანიის რაიხის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუციის 136-ე მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით, ფიცის დადებაზე უარი უსაფუძვლოდ მიიჩნია და მომჩივანს დააკისრა ადმინისტრაციული სასჯელი – 20 გერმანული მარკის ოდენობით; თანხის მაგიერ გათვალისწინებულ იქნა ასევე 2-დღიანი დაკავების შესაძლებლობა. ამას გარდა, მომჩივანს დაეკისრა მისი მხრიდან უარის თქმით გამოწვეული ხარჯები.

დიუსელდორფის ლანდის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრული საჩივარი.

საკონსტიტუციო საჩივრით მომჩივანი უპირისპირდება დიუსელდორფის ლანდის სასამართლოსა და ლანდის უმაღლესი სასამართლოს განჩინებებს და მიუთითებს,

რომ დაირღვა გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დაცული რწმენისა და სინდისის ძირითადი უფლება.

დასაშვები საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია.

თუმცა, მონმის ფიცი, თუ იგი გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დადებულია რელიგიასთან მიმართების გარეშე, გერმანიის ძირითადი კანონის ღირებულებათა სისტემის თანახმად, წარმოადგენს ჩვენების სისწორის მიწიერ დადასტურებას, ყველანაირი რელიგიური თუ ტრანსცენდენტული დატვირთვისა და მიმართების გარეშე. მომჩივნის საწინააღმდეგო რელიგიური შეხედულებები და მისი რწმენა დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით. აქედან გამომდინარე, მომჩივანი უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა ფიცის დადებაზე; თავისი ძირითადი უფლების გამოყენებისათვის არ შეიძლება მას დაეკისროს ადმინისტრაციული სასჯელი და ხარჯების ანაზღაურება...

მომჩივნის რწმენა, რომლის ფარგლებშიც გაუგებარია კონსტიტუციის ამგვარი შეფასება და ასევე ჩვეულებრივი კანონის დებულებები და რომლის მიხედვითაც, დღევანდელი ფიცი, თუნდაც რელიგიური მიმართების გარეშე, მთაზე ქადაგების შინაარსის შესაბამისად, წარმოადგენს აკრძალულ ქმედებას, დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლებით. მომჩივანი უარს არ აცხადებს მონმის ფიცის დადებაზე „კანონიერი საფუძელის“ გარეშე გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით და მას, შესაბამისად, არ შეიძლება თუნდაც არაპირდაპირ, ეერძოდ – ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრებით, ხელი შეეშალოს მოიქცეს ისე, როგორც ეს მის რელიგიურ მრწამსს შეესაბამება.

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რწმენის თავისუფლება ადამიანს ანიჭებს სამართლებრივ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც ეს შეესაბამება მის რელიგიურ შეხედულებებს (BVerfGE 12, 1 [3]). აქ მოიაზრება არა მხოლოდ რწმენის ან ურწმუნოების (მინაგანი) თავისუფლება, არამედ ასევე – ცალკეული ადამიანის უფლებაც, თავისი ქმედება მთლიანად შეუსაბამოს რწმენას, მის რელიგიურ მოძღვრებას და იმოქმედოს თავისი შინაგანი მრწამსის შესატყვისად (BVerfGE 32, 98 [106]). მსოფლმხედველობრივი და რელიგიური ნეიტრალურობის სახელმწიფოსათვის სავალდებულო პრინციპიდან (BVerfGE 18, 385 [386]; 19, 206 [216]; 24, 236 [246]), ასევე ეკლესიათა და აღმსარებლობის პარიტეტის პრინციპებიდან (BVerfGE 19, 1 [8]; 24, 236 [246]) გამომდინარეობს, რომ რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის რაოდენობრივმა უპირატესობამ და სოციალურმა მნიშვნელობამ არ შეიძლება რაიმე როლი ითამაშოს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, როგორც გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ადამიანური ღირსების ერთ-ერთი სპეციფიკური გამოხატულება, განსაკუთრებით იცავს ცალკეულ, იშვიათ რელიგიურ მიმდინარეობებს, რომლებიც იხრება ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებების მოძღვრებათაგან. სახელმწიფოს ეკრძალება, პრივილეგია მიაკუთვნოს გარკვეულ რელიგიურ მიმდინარეობებს (BVerfGE 19, 206 [216]) ან შეაფასოს თავის მოქალაქეთა რწმენა თუ ურწმუნოება (BVerfGE 12, 1 [4]).

გერმანიის ძირითადი კანონით გარანტირებული რწმენის თავისუფლების უფლება არ იზღუდება არც ზოგადი სამართლებრივი სისტემისა და არც სხვადასხვა სიკეთის ურთიერთშეფარდების განუსაზღვრელი დათქმის საფუძველზე. აღნიშნული უფლების ფარგლებს შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ თვითონ კონსტიტუცია, ძირითადი კანონის ღირებულებათა სისტემის საფუძველზე და ამ ღირებულებათა ერ-

თიანობის გათვალისწინებით (BVerfGE 12, 1 [4]; 32, 98 [108]). ამას გარდა, რწმენის თავისუფლების მჭიდრო კავშირი ადამიანის ღირსებასთან, როგორც ძირითადი კანონის სისტემის უმაღლეს ღირებულებასთან, გამორიცხავს რელიგიური შეხედულებიდან გამომდინარე ღონისძიებებისა და ქმედების სახელმწიფოს იმ სანქციებისადმი ავტომატურად დაქვემდებარებას, რომლებსაც იგი ითვალისწინებს ამგვარი ქმედებისათვის, მიუხედავად რელიგიური მოტივაციისა და მიმართებისა (BVerfGE 32, 98 [108]). ისეთი სახელმწიფოსათვის, რომელიც თავის უზენაეს კონსტიტუციურ ღირებულებად აღიარებს ადამიანის ღირსებას და ყველანაირი კანონისმიერი დათქმისა და შელახვის გარეშე უზრუნველყოფს რწმენისა და სინდისის თავისუფლების დაცვას, დამახასიათებელია, რომ იგი სექტანტებსა და ე.წ. აუტსაიდერებსაც აძლევს ნებას, თავისუფლად და შეუზღუდავად გამოამყლავნონ თავიანთი პიროვნება, სუბიექტური რელიგიური შეხედულებების შესაბამისად, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სხვა ღირებულებებს და მათი მოქმედებები არ წარმოშობს საგრძნობ შეზღუდვებს სხვა მოქალაქეთა ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის.

2. ა) მომჩივანი ბიბლიიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული საკუთარი რელიგიური შეხედულების საფუძველზე უარს აცხადებს მონმის ფიცის დადებაზე. იგი განმარტავს, რომ მისი რელიგიური მრწამსის მიხედვით, ყველანაირი ფიცის დადება ღვთის სიტყვით არის აკრძალული. მომჩივნის შეხედულებით, თვითონ ფიცის დადების აქტი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას და ფიცის დარღვევის შემთხვევაში წარმოადგენს მაგიური შეხედულებების შესაბამის და მსგავს თვითკრულულის აქტს. ამასთან დაკავშირებით ბიბლია შეიცავს ამ მოსაზრების გარკვეულ წყაროს (მათეს სახარება 5, 33-37) და ასევე აისახება ახალი თეოლოგიური მიმდინარეობის ერთ-ერთი განშტოების მოძღვრებაში. ამიტომაც არ შეიძლება აღნიშნული გაუთვალისწინებელი დარჩეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში. სახელმწიფოს ეკრძალება, შეაფასოს თავისი მოქალაქეების რელიგიური შეხედულებები და გამოაცხადოს ისინი „სწორად“ ან „არასწორად“.

ბ) მომჩივნის უარი ფიცის დადებაზე სცდება სახელმწიფოსათვის პრინციპულად ხელმიუწვდომელი რწმენის შინაგან სამყაროს და ეწინააღმდეგება იმ მოვალეობას, რომელიც სახელმწიფომ, მართლმსაჯულების ეფექტურობის ინტერესებიდან გამომდინარე, დააკისრა ყველა თავის მოქალაქეს. კანონმდებელი, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, მონმის ფიცს მიიჩნევს სიმართლის გამოვლენის აუცილებელ ღონისძიებად და სხვა საპროცესო კანონებისაგან განსხვავებით (იხ: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლი), გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით მონმის მიერ ფიცის დადებას ანიჭებს სავალდებულო ხასიათს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი სამართალი მომჩივნისაგან მოითხოვს ფიცის დადებას, თუმცა, მისი ე.წ. ზემდგომი ძირითადი უფლება, რომლის მიხედვითაც, მომჩივანს უფლება აქვს, თავისი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, უარი თქვას ფიცის დადებაზე და არაპირდაპირი იძულების, კერძოდ, ადმინისტრაციული სასჯელის გზით არ გახდეს იძულებული, განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მის რელიგიურ მრწამსს, არ არის შეზღუდული ძირითადი კანონის ღირებულებათა სისტემაში არსებული ფარგლებით.

ამგვარი შეზღუდვა არც გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლისა და გერმანიის ძირითადი კანონის 140-ე მუხლის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარეობს. კავშირი, რომელიც არსებობს ძირითად კანონში გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციიდან გადმოტანილ ამ ნორმასა და რწმენის თავისუფლების დღევანდელ ძირითად უფლებას შორის, არ ამართლებს ლანდის უმაღლესი სასამართლოს გასაჩივრებულ განჩი-

ნებაში გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით გამოტანილ დასკვნას, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია ნებისმიერი ადამიანის იძულება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში არარელიგიური ფიცის დადების გამო. (კონსტიტუციურმა)<sup>9</sup> კანონმდებელმა რწმენისა და სინდისის თავისუფლების საკითხი გადანყვიტა გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის ეკლესიასთან დაკავშირებული მუხლის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე და ყველანაირი კანონისმიერი დათქმის გარეშე შეიტანა იგი კონსტიტუციის დასაწყისში მოთავსებულ, უშუალოდ სავალდებულო ძირითად უფლებათა კატალოგში (იხ: BVerfGE 19, 206 [219]; 24, 236 [246]). აქედან გამომდინარე, გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლი, წარსულთან შედარებით, უნდა განიმარტოს რწმენისა და სინდისის თავისუფლების (გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 135-ე მუხლი) ბევრად უფრო გაძლიერებული მნიშვნელობის რაკურსში. იგი გადაფარულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მაღალი შიდა მნიშვნელობითა და დატვირთვით მთელ კონსტიტუციურ უფლებათა სისტემაში. ის, თუ გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის პირველი პუნქტის გაგებით გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თავისუფლების უფლებასთან მიმართებით მისივე დანესებული რომელი ვალდებულება შეიძლება განახორციელოს სახელმწიფომ იძულებითი ზომების გამოყენებით, ძირითადი კანონის უზენაესობის გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლების კონსტიტუციით გამართლებულ შეზღუდვას და დაბრკოლებას, რომელიც მოწმის ფიცის დადებისას გამორიცხავს მომჩივნის რელიგიური შეხედულებების გათვალისწინებას, არ წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის 56-ე მუხლი და 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლებიც ავალდებულებს გერმანიის პრეზიდენტსა და ასევე სხვა კონსტიტუციურ ორგანოებს, დადონ სამსახურებრივი ფიცი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს შესაბამისი კონსტიტუციური თანამდებობის დაკავებისთან დაკავშირებით მიღებული თავისუფალი გადანყვიტისგან. ეს თანამდებობა დაკავშირებულია სახელმწიფოს უშუალო და განსაკუთრებულად გამოხატული ფორმით წარმოდგენასთან და, შესაბამისად, წინაპირობად ითვალისწინებს არჩეული პირის სრულ იდენტიფიცირებას კონსტიტუციით დამკვიდრებულ და გარანტირებულ ღირებულებებთან. ყოველივე ამისაგან განსხვავებით კი, ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია მისცეს ჩვენება და კანონის მოთხოვნების თანახმად, დადოს ფიცი თავისი ჩვენების სისწორესთან დაკავშირებით. ფიცის დადების ვალდებულება შესაძლებელია განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული იძულების ზომებით (იხ: გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლები). ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აწესებს ისეთი მოწმის მიერ ფიცის დადებას, რომელიც, თავისი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგება აღნიშნულ აქტს, სახეზეა კონფლიქტი, რასაც ვერაფრით აარიდებს თავს მოწმედ მოწვეული პირი. ასევე აღნიშნული პრინციპული ურთიერთსხვაობაც მოწმის ფიცსა და სამსახურებრივ ფიცს შორის გამორიცხავს ფიცის ორივე ფორმისა და სახეობისადმი ერთგვაროვან მიდგომას...

გ) მომჩივანს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით შეუძლია მოითხოვოს, რომ გათავისუფლდეს ფიცის დადების ვალდებულებისაგან, ვინაიდან აღნიშნული ქმედება მას ეკრძალება თავისი რელიგიური

<sup>9</sup> გერმანიაში ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონსტიტუციურ კანონმდებელს და ე.წ. ჩვეულებრივ კანონმდებელს.

შეხედულებებიდან გამომდინარე, ამით არ ირღვევა საზოგადოების კონსტიტუციური რანგის ინტერესები და მესამე პირთა ძირითადი უფლებები...

სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესი მოქმედ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახულია და ნაწილია გერმანიის ძირითადი კანონით და-მკვიდრებული ღირებულებებისა (იხ: გერმანიის ძირითადი კანონის 92-ე მუხლი) და რომელიც, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი მართლმსაჯულება საბოლოოდ ემ-სახურება ძირითად უფლებათა დაცვას, სათანადოდ უნდა შეფასდეს. იგი არ შეი-ზღუდება ცალკეულ შემთხვევაში მონმის მიერ ფიცის დადების ვალდებულების სანი-ნაალმდგომ რელიგიურ შეხედულებასთან შერიგებითა და მისი აღიარებით. არ არის სავალდებულო, რომ კანონმდებლის მიერ სიმართლის გამორკვევის საშუალებად აღიარებული და აუცილებელი მონმის ჩვენების სისწორე დადასტურდეს მხოლოდ და მხოლოდ ფიცის ფორმით, კერძოდ, ფორმულირების „ვფიცავ...“ გამოყენებით<sup>10</sup>...

სანამ კანონმდებელი გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კანონის დონეზე რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინა-რე, არ მოაწესრიგებს მონმის ფიცის დადებაზე უარის თქმას, რწმენისა და სინდი-სის თავისუფლების ძირითადი უფლება სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო ნორმების ფარგლებში გამოაუღენს თავის უშუალო და საჭიროების შემთხვევაში – კორექტულ მოქმედებასა და გაუღენას (BGHSt 19, 323 [330]). აქედან გამომდინა-რე, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი, კონსტიტუციის შესაბამისად, უნდა განიმარტოს ისე, რომ „კანონიერი საფუძველი“, რომელიც ამართლებს ფიცის დადებაზე უარის თქმას, მოიცავს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ჩა-მონათვალს (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60-63-ე მუხლისა და 66-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), არამედ ასევე – გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ ძირითად უფლებასაც, როგორც ფიცის დადების ვალდებულებისაგან განთავისუფლების ერთ-ერთ საფუძველს (იხ: BVerfGE 25, 296 [305]).

## E – 93, 1

1. ჯერის ან ჯვარცმის გამოსახულების განთავსება ისეთი საჯარო სკოლის საკლასო ოთახებში, რომელიც არ წარმოადგენს რელიგიურ სასწავლებელს, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს.
2. ბავარიის სახალხო სკოლათა განაწესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ნინა-დადება არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს და ბათილია.

პირველი პალატის 1995 წლის 16 მაისის განჩინება  
- 1 BvR 1087/91 -

ა

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება ჯერის ან ჯვარცმის გამოსახულების განთავსე-ბას სკოლის ოთახებში.

<sup>10</sup> გერმანიის აქტუალური სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და 155-ე მუხლი.

ბავარიის სახალხო სკოლათა 1983 წლის 21 ივნისის განაწესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადების მიხედვით, საჯარო სკოლების ყველა საკლასო ოთახში ჯვარი უნდა იყოს განთავსებული.

## B

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია.

## II

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს პირველი და მე-2 მომჩივნების შე-  
მთხვევაში – გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-6  
მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ ძირითად უფლებე-  
ბს, ხოლო მე-3 და მე-5 მომჩივნების შემთხვევაში – ძირითადი კანონის მე-4 მუხლის  
პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად უფლებას. აღნიშნული გადაწყვეტი-  
ლებები ეფუძნება ბავარიის სახალხო სკოლათა განაწესის მე-13 მუხლის პირველი  
პუნქტის მე-3 წინადადებას, რომელიც, თავის მხრივ, შეუსაბამოა გერმანიის ძირი-  
თად კანონთან და ბათილია.

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი იცავს რწმენის  
თავისუფლებას. შესაბამისად, ცალკეული ადამიანის გადაწყვეტილება რომელიმე რწ-  
მენის თაობაზე მისი პირადი საქმეა და არა – სახელმწიფოსი. სახელმწიფოს არა აქვს  
უფლება, დაავალდებულოს პირი, იყოს რომელიმე რელიგიის მიმდევარი ან აუკრ-  
ძალოს მას იგი. რწმენის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ რწმენის ქონისა თუ  
არქონის თავისუფლებას, არამედ ასევე – საკუთარი რელიგიური შეხედულებების  
მიხედვით ცხოვრებისა და მოქმედების თავისუფლებას (იხ: BVerfGE 32, 98 [106]).  
რწმენის თავისუფლება განსაკუთრებით გულისხმობს მონაწილეობას საკულტო მო-  
ქმედებებში, რასაც ითვალისწინებს ესა თუ ის რელიგია, ან რომლის მეშვეობითაც  
ჰპოვებს იგი თავის გამოხატულებას. აქედან გამომდინარეობს ასევე პირის თავისუ-  
ფლება, არ მონაწილეობდეს მისთვის მიუღებელი რელიგიის რიტუალურა თუ საკულ-  
ტო მოქმედებებში. ეს თავისუფლება ასევე მოიცავს სიმბოლოებს, რომელთა მეშ-  
ვეობითაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს რწმენა ან რელიგია. გერმანიის ძირითადი  
კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცალკეულმა ადამიანმა უნდა  
გადაწყვიტოს, თუ რომელ რელიგიურ სიმბოლოებს აღიარებს და რომელს უარყო-  
ფს. თუმცა, ცალკეულ ადამიანს ისეთ საზოგადოებაში, რომელიც ასპარეზს აძლევს  
სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებას, არა აქვს უფლება, იზოლირებული იყოს სხვა  
რელიგიური შეხედულებებისაგან, რიტუალებისა თუ რელიგიური სიმბოლოებისაგან.  
აღნიშნულისაგან უნდა განვასხვაოთ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ისეთი ვითარება,  
როცა ცალკეული ადამიანი, ყველანაირი საწინააღმდეგო ზომების მიღების გარეშე,  
იმყოფება ერთი რელიგიის, მისი რიტუალებისა და სიმბოლოების გავლენის ქვეშ.  
აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი  
მოქმედებს განსაკუთრებით ისეთ ცხოვრებისეულ სფეროებში, რომლებიც საზოგა-  
დოების მიერ კი არ არის ორგანიზებული, არამედ იმყოფება სახელმწიფოს მზრუნვე-  
ლობისა და მეურვეობის ქვეშ (იხ: BVerfGE 41, 29 [49]). აღნიშნულს ასევე ეხმაურება  
გერმანიის ძირითადი კანონის 140-ე მუხლი და გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის  
136-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად კრძალავენ ადამიანის  
იძულებას, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ღონისძიებებში.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, თუმცა, არ იზღუდე-  
ბა მხოლოდ იმით, რომ სახელმწიფოს ეკრძალება ცალკეული ადამიანის ან რელიგიური



გაერთიანებების რწმენაში, რელიგიურ შეხედულებებში, რელიგიურ მოქმედებებსა და გამოვლინებებში ჩარევა. აღნიშნული ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ცალკეული ადამიანისათვის ისეთი სამოქმედო სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება პიროვნების განვითარება მსოფლმხედველობრივ-რელიგიურ სფეროში (იხ: BVerfGE 41, 29 [49]) და დაიცვას ისინი სხვა ან კონკურენტ რელიგიურ შეხედულებათა მიმდევრების მხრიდან გამოვლენილი შევიწროებისა და შესაძლო თავდასხმისაგან. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ცალკეულ ადამიანსა და რელიგიურ გაერთიანებებს არ მიაკუთვნებს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოხატოს და გამოავლინოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეიტრალურობის პრინციპი სხვადასხვა რელიგიისა და აღმსარებლობის მიმართ. სახელმწიფო, სადაც ერთმანეთის გვერდით არსებობს სხვადასხვა და ასევე დაპირისპირებული რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულებები, მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფას მოახერხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი თვითონ იქნება ნეიტრალური რწმენისა და რელიგიის საკითხებში. შესაბამისად, მას არა აქვს უფლება, თვითონ შეუქმნას საფრთხე თავისი საზოგადოების რელიგიურ მშვიდობიანობას. აღნიშნული მცნება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის გარდა, ასევე გამოხატულია ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით, 33-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 140-ე მუხლით, ასევე – გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებითა და 137-ე მუხლის პირველი პუნქტით. დასახელებული ნორმები ეწინააღმდეგება სახელმწიფო-ეკლესიური სამართლებრივი ფორმების შემოღებას და კრძალავს გარკვეული რელიგიური შეხედულებების პრივილეგიისა და სხვა რელიგიის მიმდევართა მარგინალიზაციას (იხ: BVerfGE 19, 206 [216]; 24, 236 [246]; 33, 23 [28] და ასევე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა). ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა რაოდენობრივ უპირატესობას ან სოციალურ მნიშვნელობას (იხ: BVerfGE 32, 98 [106]). სახელმწიფო ვალდებულია, სხვადასხვა რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ გაერთიანებებთან მოპყრობისას იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპით (იხ: BVerfGE 19, 1 [8]; 19, 206 [216]; 24, 236 [246]). ასევე იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფო თანამშრომლობს ასეთ გაერთიანებებთან ან მხარს უჭერს მათ, არ შეიძლება მოხდეს იდენტიფიკაცია გარკვეულ რელიგიურ გაერთიანებასთან (იხ: BVerfGE 30, 415 [422]).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან ერთად, რომელიც მშობლებისათვის უზრუნველყოფს მათი შვილების აღზრდასა და მოვლა-პატრონობას, როგორც მათ ბუნებრივ უფლებას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს შვილების რელიგიური და მსოფლმხედველობრივი კუთხით აღზრდასაც. მშობლების პეროგატივაა, გადასცენ თავიანთ შვილებს ის შეხედულებები რწმენისა თუ მსოფლმხედველობის საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ სწორად მიაჩნიათ (იხ: BVerfGE 41, 29 [44, 47]). აქედან გამომდინარეობს ასევე მშობლების უფლება, მოარიდონ შვილები ისეთ რელიგიურ შეხედულებებს, რომლებსაც ისინი მცდარად ან საზიანოდ მიიჩნევენ.

2. აღნიშნული ძირითადი უფლების სფეროში ერევა ბავარიის სახალხო სკოლათა განაწესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადება და ასევე – გასაჩივრებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეყრდნობა ამ ნორმას.

ა) ბავარიის სახალხო სკოლათა განაწესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადება ითვალისწინებს ბავარიის სახალხო სკოლების ყველა საკლასო ოთახში ჯვრის განთავსებას. საქმის განმხილველი სასამართლოების განმარტებით, ჯვრის

ცნება მოიცავს ჯვარს მაცხოვრის გამოსახულებითა და ასევე – მის გარეშე. შესაბამისად, ნორმის შემოწმებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მნიშვნელობა თუ გამოვლინება. თუმცა, დროებითი სამართლებრივი დაცვის განცხადებაში მომჩივნებმა მოითხოვეს მხოლოდ ჯვარცმის გამოსახულების მოხსნა. მაგრამ უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ აღნიშნული შესაძლოა, ასევე გულისხმობდეს ჯვრებსაც მაცხოვრის გამოსახულების გარეშე და ამ გავრცობილი გაგებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, არ დააკმაყოფილა განცხადება.

ზოგადი სასკოლო ვალდებულების ფონზე და ამ ვალდებულებასთან ერთად საკლასო ოთახში განთავსებული ჯვარი გაკვეთილების მიმდინარეობისას ინვეეს მოსწავლეთა კონფრონტაციას ამ რელიგიურ სიმბოლოსთან, მათ მიერ საწინააღმდეგო ზომების მიღების, კერძოდ - თავის არიდების შესაძლებლობის გარეშე, რითაც ისინი იძულებულნი ხდებიან, ისწავლონ „ჯვრის ქვეშ“. ამით განსხვავდება საკლასო ოთახებში ჯვრების განთავსება სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებათა სიმბოლოების ყოველდღიურ ცხოვრებაში უხვად არსებული კონფრონტაციისაგან. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ეს კონფრონტაცია არ მომდინარეობს სახელმწიფოსაგან, არამედ გახლავთ საზოგადოებაში სხვადასხვა რელიგიური შეხედულებებისა და რელიგიური გაერთიანებების არსებობისა და გავრცელების შედეგი; და ამას გარდა, მას არ ახასიათებს თავის არიდების შეუძლებლობის იმავე დონე.

თუმცა, ცალკეულ ადამიანს არც ქუჩის პლაკატებზე, საჯარო ტრანსპორტსა თუ შენობებში განთავსებულ რელიგიურ სიმბოლოებთან შეხების შემთხვევაში აქვს არჩევნის ანუ თავის არიდების შესაძლებლობა, მაგრამ ასეთი შეხება, როგორც წესი, ნუთიერი; თუნდაც უფრო ხანგრძლივი შეხებისას ასეთი კონფრონტაცია არ არის აუცილებლობის შემთხვევაში სანქციებით განხორციელებადი ზენოლისა და იძულების შედეგი.

ხანგრძლივობისა და ინტენსიურობის მიხედვით, ჯვრის გავლენა საკლასო ოთახებში უფრო მაღალია, ვიდრე – სასამართლო დარბაზებში. თუმცა, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ პირი იძულებულია, სამართლებრივი დავა წარმართოს ჯვრის ქვეშ, რაც არანაირად არ შეესაბამება და უფრო მეტიც – ეწინააღმდეგება მის რელიგიურ მრწამსსა და შეხედულებებს, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა და მოცემულად მიიჩნია რწმენის ძირითადი უფლების დარღვევა პროცესის ებრაელი მონაწილის შემთხვევაში, რომელმაც ეს ყველაფერი აღიქვა, როგორც სახელმწიფოს იდენტიფიკაცია ქრისტიანულ სარწმუნოებასთან (იხ: BVerfGE 35, 366 [375])...

ბ) ჯვარი წარმოადგენს გარკვეული რელიგიური შეხედულების გამოხატულებას. იგი არ არის დასაველური კულტურის პროდუქტი, რომელზეც მათ შორის ქრისტიანობამაც მოახდინა გავლენა.

თუმცა, საუკუნეების განმავლობაში მრავალი ქრისტიანული ტრადიცია გარდაიქმნა საზოგადოების ზოგადკულტურულ ღირებულებად, რომელსაც ვერც ქრისტიანობის მონინააღმდეგეები და კრიტიკოსები აუვლიან გვერდს, როგორც თავიანთ ისტორიულ მემკვიდრეობას. მაგრამ აღნიშნულისაგან უნდა განვასხვაოთ ქრისტიანული რელიგიის სპეციფიკითა და შინაარსით დატვირთული რეკვიზიტები, მთელი თავისი რიტუალური განხორციელებითა და სიმბოლური გამოხატულებით. სახელმწიფოს მიერ ამ მიმდინარეობების მიმართ მხარდაჭერის გამოვლენა, რასაც მესამე პირი ასევე აღიქვამს სახელმწიფოსთან ურთიერთობისას, წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მოსაზრება უკვე გამოთქვა არარელიგიური სკოლების ქრისტიანული ხა-

სიათის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში და დაადგინა, რომ ქრისტიანობისადმი მიმხრობა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი დაკავშირებულია კულტურულ და საგანმანათლებლო ფაქტორთან, როგორც დასავლეთის ისტორიის ნაწილთან და არა – როგორც ქრისტიანობის რელიგიურ მრწამსთან. მხოლოდ ასეთი ფორმაა ლეგიტიმური არაქრისტიანთა მიმართ ქრისტიანობისადმი, როგორც ისტორიული და კულტურული მოვლენისადმი, მიმხრობაში (იხ: BVerfGE 41, 29 [52]).

ჯვარი დღესაც წარმოადგენს ქრისტიანული სარწმუნოების სპეციფიკურ სიმბოლოს. უფრო მეტიც — ჯვარი ქრისტიანობის მთავარი განსახიერებაა. იგი არის სიმბოლო ზეარაკად შეწირული ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვებისაგან დახსნისა, იმპედროულად ჯვარი წარმოადგენს ქრისტეს მიერ ეშმაკისა და სიკვდილის დაძლევისა და მისი სამყაროზე გამეფების სიმბოლოს. აქ ერთობლივადაა ტანჯვა და ტრიუმფი. შესაბამისად, მორწმუნე ქრისტიანისათვის ჯვარს სხვადასხვა რელიგიური დატვირთვა აქვს, რის გამოც იგი ხდება თაყვანისცემის საგანი. რომელიმე შენობასა თუ დარბაზში ჯვრის განთავსება დღემდე მეტყველებს მფლობელის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. არაქრისტიანისა და ათეისტისათვის კი ქრისტიანული რელიგიის ფარგლებში, მისი დღევანდელი და ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჯვარი აღიქმება შესაბამისი სარწმუნოებისა და მისი მისიონერული გავრცელების სიმბოლოდ. ქრისტიანული თვითშეგნებისათვის შეურაცხყოფელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ ჯვარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შინაარსის მსგავსად, მიჩნეულიყო მხოლოდ დასავლური ისტორიისა და კულტურის გამოხატულებად ან მხოლოდ – საკულტო ნიშნად, ყოველგვარი რელიგიური მიმართებისა და დატვირთვის გარეშე. ჯვრის რელიგიური მიმართება ასევე ნათლად იკვეთება ბავარიის სახალხო სკოლათა განაწესის მე-13 მუხლის პირველ ნაწილში.

გ) საკლასო ოთახში ჯვრის განთავსების შემთხვევაში არ შეიძლება მისი მოსწავლეებზე ზეგავლენის უარყოფა, რასაც ადგილი აქვს გასაჩივრებულ განწყვეტილებებში.

თუმცა, მართალია ის, რომ საკლასო ოთახებში ჯვრების განთავსებით არ ხდება მოსწავლეთა იძულება რაიმე სახის იდენტიფიკაციასთან ან გარკვეული პატივისცემის გამოხატვასა და ქცევის გარკვეულ ფორმასთან დაკავშირებით. ასევე ჯვრის არსებობის ფაქტიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი გავლენას ახდენს ჩვეულებრივი გაკვეთილის შინაარსზე ან გაკვეთილი აგებულია იმ სარწმუნოებისა და ღირებულებების მიხედვით, რომლის სიმბოლოსაც იგი წარმოადგენს. თუმცა, ამით არ ამოიწურება ჯვრის ზეგავლენის ფარგლები. სასკოლო აღზრდა ემსახურება არა მხოლოდ ძირითადი კულტურული მეთოდებისა და შემეცნებითი უნარის განვითარებას, არამედ მან ასევე უნდა განავითაროს და დახვეწოს მოსწავლეთა ემოციური, აფექტური შესაძლებლობები და პოტენციალი. სასკოლო სისტემა ემსახურება იმას, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პიროვნულ და მრავალმხრივ განვითარებას და განსაკუთრებული გავლენა მოახდინოს მათ სოციალურ ქცევასა და ცხოვრებაზე. ამ მიმართებით საკლასო ოთახში განთავსებული ჯვარი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მას აქვს მონოდეპენდენტი ხასიათი და თითქოს მიუთითებს მის მიერ სიმბოლიზირებული სარწმუნოების სამაგალითობასა და მიმზიდველობაზე, ასევე მოუწოდებს მისი მიმდევრობისაკენ. ეს ყველაფერი კი ხდება იმ ადამიანების მიმართ, რომელთა შეხედულებები, მათი ახალგაზრდული ასაკის გამო, ჯერ კიდევ არამყარია და ჯერაც გამოსამუშავებელი აქვთ კრიტიკის უნარი, არა აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიციები და რომლებიც, აქედან გამომდინარე, ადვილად ექცევიან მენტალური გავლენის ქვეშ (BVerfGE 52, 223 [249]).

არც გასაჩივრებული გადანყვეტილებები აყენებენ ექვევმ ჯვრის მომწოდებელ ხასიათსა თუ ძალას. თუმცა, ისინი იმავდროულად გამორიცხავენ არაქრისტიანი მოსწავლეებისათვის მის სპეციფიკურ და ქრისტიანული რელიგიიდან გამომდინარე მნიშვნელობას. ქრისტიანი მოსწავლეებისათვის კი, ამ გადანყვეტილებების მიხედვით, ჯვარი მათი რელიგიური შეხედულებების გამოხატულებაა. მსგავსი მოსაზრება აქვს ბავარიის პრემიერ-მინისტრს, იგი მიიჩნევს, რომ ჯვარს ჩვეულებრივი გაკვეთილების ფარგლებში მხოლოდ არასპეციფიკური სიმბოლური დატვირთვა აქვს, რომელიც სასკოლო ლოცვისას და რელიგიის გაკვეთილის მიმდინარეობისას გადაიქცევა რწმენის სპეციფიკურ სიმბოლოდ.

3. რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია ყოველგვარი დათქმის გარეშე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული უფლება მიუწვდომელია ნებისმიერი შეზღუდვისათვის. მაგრამ ასეთი შეზღუდვა თვითონ კონსტიტუციიდან უნდა გამომდინარეობდეს. ისეთი შეზღუდვების ფორმულირება, რომელსაც საფუძველი არ მოეპოვება კონსტიტუციაში, არ წარმოადგენს კანონმდებლის ფუნქციას. მითითებულ შემთხვევაში კი არ არის მოცემული კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც გაამართლებდა რწმენის თავისუფლებაში ჩარევას.

ა) ამგვარი საფუძველი არ გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან. თუმცა, აღნიშნული ნორმა სახელმწიფოს აკისრებს აღმზრდელობით ფუნქციას (იხ: BVerfGE 34, 165 [181]). სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ ორგანიზება გაუწიოს სასკოლო განათლებას და ააგოს სასკოლო შენობები, არამედ ასევე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღმზრდელობითი მიზნების დადგენასა და განათლების პროცესის წარმართვაში. ამასთან, სახელმწიფო დამოუკიდებელია მშობლებისაგან (BVerfGE 34, 165 [182]; 47, 46 [71]). აქედან გამომდინარე, შესაძლოა წარმოიშვას არა მხოლოდ სკოლებისა და ოჯახების კონფლიქტი, არამედ გარდაუვალია, რომ სკოლაში მოხდეს მოსწავლეებისა და მათი მშობლების სხვადასხვაგვარი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულებების განსაკუთრებით ინტენსიური შეჯახება.

ეს კონფლიქტი, ყოველგვარი დათქმის გარეშე უზრუნველყოფილი ძირითადი უფლების სხვადასხვა მფლობელს შორის და ასევე ამ ძირითად უფლებასა და კონსტიტუციით დაცულ სხვა სიკეთებს შორის, უნდა ამოიხსნას ე.წ. „პრაქტიკული კონკორდანტის“<sup>11</sup> პრინციპით, რომელიც მოითხოვს, რომ დაპირისპირებული სამართლებრივი პოზიციებიდან არ იყოს პრივილეგირებული არც ერთი პოზიცია, არამედ მოხდეს მათი მაქსიმალური გათანაბრება (იხ: BVerfGE 28, 243 [260]; 41, 29 [50]; 52, 223 [247, 251]).

ეს გათანაბრება არ მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რომ მან გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებისას მთლიანად უარი თქვას ყველანაირ რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ ტენდენციებზე. იმ სახელმწიფოსაც, რომელიც სრულად უზრუნველყოფს რწმენის თავისუფლებას და ამით ასრულებს რელიგიური და მსოფლმხედველო-

<sup>11</sup> „პრაქტიკული კონკორდანტის“ პრინციპი გერმანიის საკონსტიტუციო სამართალში დაამკვიდრა კონრად პესემ და იგი აღიარებულია ყველა სამართლებრივ წრესა თუ სფეროში. აღნიშნული პრინციპი გამოიყენება კონსტიტუციურ ნორმათა კოლიზიისას და ნიშნავს ოპტიმალური კონსენსუსის პოვნას ამ ნორმებს შორის. კონრად პესეს განმარტებით, კონკორდანტის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: „კონსტიტუციით დაცული სამართლებრივი სიკეთეები პრობლემის ამოხსნის ფარგლებში ისე უნდა დაუქვემდებარდეს ერთმანეთს, რომ თითოეული მათგანი იყოს რეალური... ორივე სამართლებრივ სიკეთეს უნდა განესაზღვროს თავისი ფარგლები, რათა შესაძლებელი იყოს მათი ოპტიმალური შედეგისა და მოქმედების მიღწევა“.

ბრივი ნეიტრალიზაციის ვალდებულებას, არ შეუძლია განაგდოს და უარყოს კულტურის მემკვიდრეობით გადმოცემული და ისტორიულად დამკვიდრებული ღირებულებები, რომლებსაც ეყრდნობა საზოგადოებრივი ერთიანობა და რაზეც ასევე დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ თავისი მოვალეობებისა და ამოცანების შესრულება. ამ ღირებულებების ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ და ეკლესიამ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეფასდება მათი დღევანდელი მემკვიდრეობა. აღნიშნულთან მჭიდროდ დაკავშირებული ტრადიციების, გამოცდილებებისა და ქცევის ნიმუშების მიმართ არ შეიძლება სახელმწიფო იყოს გულგრილი. ეს განსაკუთრებით მოქმედებს სკოლების მიმართ, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ტრადიციული კულტურული საფუძვლების გავრცელებას და განახლებას. ამას გარდა, სახელმწიფოს, რომელიც ვალდებულია მშობლებს, რომ შვილები მიაბარონ სახელმწიფო სკოლებში, უფლება აქვს გაითვალისწინოს იმ მშობლების ინტერესები და რელიგიის თავისუფლება, რომლებსაც სურთ თავიანთი შვილების რელიგიური აღზრდა. გერმანიის ძირითადმა კანონმა გაითვალისწინა ეს ინტერესები და მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დაუშვა სახელმწიფო რელიგიური და მსოფლმხედველობრივი სკოლები. ასევე გათვალისწინებულია რელიგიის გაკვეთილი სასკოლო პროგრამაში (გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი) და ამას გარდა, ქმნის სივრცეს რელიგიური შეხედულებების აქტიური გამოხატვისა და განხორციელებისათვის (იხ: BVerfGE 41, 29 [49]; 52, 223 [240]).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პლურალიზმურ საზოგადოებაში რთულია საჯარო სკოლის ფორმირებისას ყველა აღმზრდელობითი შეხედულების სრულად გათვალისწინება. ასევე შეუძლებელია რელიგიის თავისუფლების დადებითი და უარყოფითი მხარეების უპრობლემო განხორციელება ერთსა და იმავე სახელმწიფო ინსტიტუციის ფარგლებში. აქედან გამომდინარეობს, რომ ცალკეულ ადამიანს სკოლის ფარგლებში არ შეუძლია, შეუზღუდავად მიუთითოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე.

ტოლერანტობის პრინციპის გათვალისწინებით, რელიგიის თავისუფლების დადებითი და უარყოფითი მხარეებს შორის არსებული გარდაუვალი დაძაბულობის დაძლევა ლანდის კანონმდებლის პრეროგატივაა, რომელიც ვალდებულია, საჯარო ნების ჩამოყალიბების პროცესში მოიძიოს ყველასათვის გარკვეულ დონეზე მისაღები კომპრომისი. თავისი დებულებების ჩამოყალიბებისას კანონმდებელს შეუძლია ორიენტირება მოახდინოს იმაზე, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლი, ერთი მხრივ, უშეგებს სასკოლო განათლების ფარგლებში რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ გავლენას, ხოლო, მეორე მხრივ კი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლი მოითხოვს სასკოლო ფორმისა და სტრუქტურის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ტენდენციების მაქსიმალურ გამორიცხვას. ორივე ნორმა აღქმული უნდა იყოს ერთიანობაში და ინტერპრეტაციისას უნდა მოხდეს მათი ურთიერთშეთავსება, ვინაიდან სწორედ ამ ორი ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების უერთიერთგათანაბრება [კონკორდანტი] ამართლებს და შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონით მიღებულ გადანყვეტილებას (იხ: BVerfGE 41, 29 [50]).

ზემოთ აღნიშნულიდან გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საჯარო სახალხო სკოლების სტრუქტურის განსაზღვრისას ლანდის კანონმდებელს არ ეკრძალება ქრისტიანული ტენდენციების შემოღება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მშობელს, რომელიც შვილის აღზრდისას გვერდს ვერ აუვლის ასეთ სკოლებს, არ სურს მისი რელიგიური აღზრდა. წინაპირობაა, რომ ასეთ შემთხვევებში საუბარი უნდა იყოს ძალადობის ელემენტების გარდაუვალ მინიმუმზე, რაც ხაზგასმით იმას ნიშნავს, რომ სკოლას არა აქვს უფლება, თავის ამოცანას

რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ სფეროში მოქედოს მისიონერულად და რაიმე სავალდებულო ხასიათი მინიჭოს ქრისტიანულ სარწმუნოებას. შესაბამისად, ქრისტიანობის აღიარება უკავშირდება მხოლოდ კულტურული და საგანმანათლებლო ფაქტორის აღიარებას და არა მისი, როგორც რელიგიის, მრწამსს. ქრისტიანობა, როგორც კულტურული მოვლენა, მოიცავს ასევე სხვა რელიგიებისა და მოსაზრებების მიმართ ტოლერანტობის იდეას. მათი კონფრონტაცია ქრისტიანულ სამყაროსთან იმდენად არ იწვევს არაქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლებში დისკრიმინაციის შეგრძნებას, რამდენადაც საუბარია არა სარწმუნოების გავრცელებასა და პროპაგანდაზე, არამედ – რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ სივრცეში პიროვნების ავტონომიის განხორციელებაზე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად (იხ: BVerfGE 41, 29 [51] ; 41, 65 [85]). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების მოთხოვნით, კონსტიტუციურად ცნო ბავარიის კონსტიტუციის 135-ე მუხლის მე-2 წინადადება გაერთიანებულ ქრისტიანულ სკოლასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 41, 65 [66 და 79]) და ქრისტიანული ხასიათის არარელიგიურ სკოლასთან მიმართებით განმარტა, რომ იგი არ წარმოადგენდა რელიგიურ სასწავლებელს (იხ: BVerfGE 41, 29 [62]).

ჯვრების განთავსება საკლასო ოთახებში სცდება სკოლის რელიგიური და მსოფლმხედველობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელ ზღვარს. როგორც უკვე დადგინდა, ჯვარს ვერ ჩამოერთმევა თავისი სპეციფიკური მიმართება ქრისტიანულ მრწამსთან და ვერ გადაიქცევა დასავლური კულტურის საერთო მონაპოვრად. იგი არის სიმბოლო ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი ბირთვისა, რომელმაც, თუმცა, მრავალმხრივი როლი ითამაშა განსაკუთრებით დასავლური სამყაროს ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ არის საზოგადოების ყველა წევრის სულიერი საზრდო, არამედ იგი უარყოფილია საზოგადოების მრავალი წევრის მიერ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ჯვრის განთავსება საჯარო – სავალდებულო სკოლის საკლასო ოთახებში ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლს იმდენად, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ არის საუბარი ქრისტიანულ სასწავლებელზე.

ბ) ჯვრის განთავსება არც ქრისტიანი მშობლებისა და მოსწავლეების პოზიტიური რელიგიური თავისუფლებიდან გამომდინარეობს. პოზიტიური რწმენის თავისუფლება ერთნაირად ვრცელდება ყველა მშობელსა და მოსწავლეზე, მათ შორის – არაქრისტიანებზეც. აქედან გამომდინარე, კონფლიქტი შეუძლებელია მოგვარდეს უმრავლესობის პრინციპის გათვალისწინებით, ვინაიდან რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლება სწორედ უმცირესობათა განსაკუთრებულ დაცვას ისახავს მიზნად. ამას გარდა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ძირითადი უფლების მფლობელებს შეუზღუდავად არ მიაკუთვნებს სახელმწიფო ინსტიტუციების ფარგლებში თავიანთი რელიგიური შეხედულებების გამოვლენა-განხორციელების მოთხოვნის უფლებას. თუ სკოლა, კონსტიტუციის შესაბამისად, რელიგიის გაკვეთილებზე სასკოლო ლოცვასა და სხვა რელიგიური ღონისძიებების ფარგლებში საკმარის სივრცესა და ასპარეზს ანიჭებს ზემოთ აღნიშნულ უფლებებს, ასეთი ღონისძიებები უნდა აიგოს ნებაყოფლობის პრინციპზე და სხვა მოსაზრებების მქონე ადამიანებს მათთვის მისაღები ფორმით უნდა აძლევდეს ამგვარი ცერემონიებისათვის თავის არიდების შესაძლებლობას. აღნიშნული მოთხოვნები არ არის დაცული საკლასო ოთახებში ჯვრების განთავსებისას, რომლის არსებობასა და დატვირთვას თავს ვერ აარიდებს განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანი. და ბოლოს, „პრა-

ქტიკული კონკორდანტის" პრინციპს ეწინააღმდეგება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის განცდების სრული იგნორირება იმისათვის, რომ ქრისტიანი მოსწავლეებისათვის, რელიგიის გაკვეთილისა და სხვა აღნიშნული ნებაყოფლობითი რელიგიური ღონისძიებების გარდა, ჩვეულებრივი გაკვეთილიც მიმდინარეობდეს მათი რწმენის სიმბოლოს ქვეშ.

**მოსამართლეების: ბ-ნი ზაიდელის, ბ-ნი ზიოლნერისა და  
ქ-ნი ჰაახის განსხვავებული აზრი პირველი პალატის 1995 წლის 16 მაისის  
განჩინებასთან დაკავშირებით:  
- 1 BvR 1087/91 -**

არ ვეთანხმებით პალატის უმრავლესობის აზრს, რომლის მიხედვითაც, ბავარიის სახალხო სკოლათა განაწესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადება ყველა საკლასო ოთახში ჯვრის განთავსებასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს...

**E – 104, 337**

1. არაგერმანელი მორწმუნე მუსლიმანი ყასბის საქმიანობა, რომელსაც სურს ცხოველების დაკვლა [ებრაული და მუსლიმანური სარწმუნოებებისათვის დამახასიათებელი წესით] გამაყუჩებელი საშუალებების გარეშე, რათა შესაძლებლობა მისცეს თავის მომხმარებლებს, მათი რელიგიური შეხედულებების შესაბამისად, იკვებონ ამგვარი ტექნოლოგიით დაკლული ცხოველის ხორციით, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით უნდა შეფასდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით.
2. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმების თვალთახედვით ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის პირველი პუნქტი და იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მუსლიმან ყასბებს შეეძლოთ განსაკუთრებული (გამონაკლისი ხასიათის) ნებართვის მიღება ზემოთ აღნიშნული ფორმით ცხოველთა დაკვლისათვის.

**პირველი პალატის 2002 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება  
- 1 BvR 1783/99 -**

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემას ცხოველთა განსაკუთრებული წესით დაკვლისათვის, კერძოდ, საუბარია თბილისისხლიანი ცხოველების დაკვლაზე, წინასწარ გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენების გარეშე...

... ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4 მუხლი:

(1) თბილისისხლიანი ცხოველის დაკვლა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისხლის გამოშვებამდე მოხდება ცხოველის გაყუჩება.

(2) პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი არ მოქმედებს, თუ:

1. ....

2. შესაბამისად უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გასცა განსაკუთრებული ნებართვა გამაყურებლის გარეშე ცხოველის დაკვლასთან დაკავშირებით; ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ ისეთი საჭიროების შემთხვევაში აქვს განსაკუთრებული ნებართვის გაცემის უფლება, როდესაც საქმე ეხება გარკვეული რელიგიისა და სარწმუნოების მიმდევრების ინტერესების დაკმაყოფილებას ამ კანონის მოთხოვნების ფარგლებში, რომელთა მრწამსითაც საეალდებულოა ცხოველის ამ ფორმით დაკვლა ან რომელთაც რწმენა უკრძალავს სხვა სახით დამუშავებული ცხოველის ხორცის მიღებას...

## II

მომჩივანი არის თურქეთის მოქალაქე და მისი გადმოცემის თანახმად, რაც საქმეში არ არის სადავო, ასევე – ღრმად მორწმუნე და სუნიზმის მიმდევარი მუსლიმანი. იგი უკვე 20 წელია ცხოვრობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ჰესენში ამუშავებს ხორცეულის მალაზიას, რომელიც 1990 წელს მამისაგან გადმოიბარა. თავისი მუსლიმანი მომხმარებლის მომსახურებისათვის იგი 1995 წლის სექტემბრის დასაწყისამდე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსაგან იღებდა განსაკუთრებულ ნებართვას ცხოველების გამაყურებლის გარეშე დაკვლის თაობაზე, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის შესაბამისად. ცხოველებს იგი კლავდა თავის სანარმოში ექიმ-ვეტერინარის მეთვალყურეობით. შემდგომ პერიოდში - 1995 წლის სექტემბრის დასაწყისიდან, მომჩივანმა არაერთხელ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებული ნებართვის გაცემის მოთხოვნით, მაგრამ – უშედეგოდ.

## ბ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია, თუმცა, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის პირველი და მე-2 ალტერნატივაც შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს. მაგრამ გასაჩივრებული გადანყევტილებები, რომლებიც ეფუძნება აღნიშნულ ნორმებს, არ შეიცავს მყარ პოზიციას კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონმების ფარგლებში.

## I

1. განხილვისა და შემონმების მასშტაბი გახლავთ, პირველ რიგში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი. მომჩივანმა, როგორც ღრმად მორწმუნე სუნიტმა მუსლიმანმა, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამაყურებელი საშუალების გამოყენების ვალდებულების გამონაკლისის სახით მიიღო განსაკუთრებული ნებართვა, რათა მას თავისი, როგორც ყასბის, საქმიანობის განხორციელებისას მუსლიმანი მომხმარებლისთვის მიენოდებინა გაყურების გარეშე დაკლულ ცხოველთა ხორცი, როგორც ამას მათი რელიგია მოითხოვს. მომჩივნის მიერ ამგვარი ხორცით საკუთარი თავის უზრუნველყოფა ამჯერად მეორეხარისხოვანია. ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა შეამონმეს მომჩივნის მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, ეხება მომჩივნის, როგორც ყასბის, პროფესიულ საქმიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი არის თურქეთის და არა – გერმანიის მოქალაქე, აღნიშნული საქმიანობა არ არის დაცული გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით. ამ შემთხვევაში დამცავი ნორმაა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რაც გამომდინარე-



ობს გერმანიის მოქალაქეების მიმართ მოქმედი მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ სუბსიდიარულად მოქმედი მე-2 მუხლის პირველი პუნქტის სპეციალური ურთიერთმიმართებიდან (იხ: BVerfGE 78, 179 [196]). ცხოველთა გამაყურებელი საშუალებების გამოყენების გარეშე დაკვლა მომჩინისათვის არ არის თავისთვის და თავისი მუსლიმანი მომხმარებლისათვის მხოლოდ ხორცის მოპოვებისა და მომზადების საშუალება. იგი, მომჩინის განმარტებების მიხედვით, რასაც არც გასაჩივრებელი გადანყევტილებები აყენებენ ეჭვქვეშ, წარმოადგენს მისი რელიგიური მრწამსის გამოხატულებასაც, რომელიც მომჩინისათვის, როგორც ღრმად მორწმუნე სუნიტი მუსლიმანისათვის, მოიცავს ასევე ცხოველების რელიგიური და მისთვის სავალდებულო წესით დაკვლის მოვალეობას. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა რელიგიური წესით დაკვლა შესაძლებელია არ წარმოადგენდეს რელიგიური შეხედულებების განხორციელების აქტს, ნიშანდობლივია ის, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიის თავისუფლების დაცვა ძლიერდება და ფართოვდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლების სპეციალური და განსაკუთრებული დატვირთვით.

2. ის სამართლებრივი პოზიცია, რომელიც აღნიშნულიდან გამომდინარე გააჩნია მომჩივანს მისი, როგორც ყასბის, საქმიანობასთან მიმართებით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხოლოდ კონსტიტუციურ ნორმათა სისტემის ფარგლებშია უზრუნველყოფილი. აქ იგულისხმება ნორმები, რომლებიც ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს (იხ: BVerfGE 6, 32 [36]; 96, 375 [397]; და ასევე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა). მატერიალური თვალსაზრისით, ზემოთ აღნიშნულის წინაპირობაა თანაზომიერების პრინციპის დაცვა და მის ფარგლებში რელიგიის თავისუფლების გათვალისწინება.

## II

ზემოთ აღნიშნულ მასშტაბებსა და მოთხოვნებს აკმაყოფილებს ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის პირველი პუნქტი, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივასთან ერთად.

1. თუმცა, აღნიშნული ნორმა ერევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დაცვის სფეროში, როდესაც იგი ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის გამონაკლისის სახით ითვალისწინებს გამაყურებელი საშუალებების გამოყენების გარეშე ცხოველთა დაკვლის შესაძლებლობას მუსლიმანი ყასბის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, თუმცა, მხოლოდ – ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივით გათვალისწინებული შეზღუდული წინაპირობების არსებობისას. მაგრამ მითითებული ჩარევა არ არის დასაძრახი, ვინაიდან იგი სათანადოდ არის დასაბუთებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

ა) ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მიზანია, ადამიანების მიერ ცხოველების, როგორც სულიერი არსებების მიმართ არსებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაიცვას მათი სიცოცხლე და კეთილდღეობა. არავის აქვს უფლება, ყოველგვარი გონივრული საფუძვლის გარეშე, ცხოველს მიაყენოს ტყივილი, ტანჯვა ან ზიანი (ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის პირველი მუხლი). ცხოველთა დაცვის ეთიკურად დასაბუთებულ მიზანს (იხ: BVerfGE 36, 47 [56]; 48, 376 [389]; 101, 1 [36]) ასევე ემსახურება ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის პირველი პუნქტი,

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივასთან ერთად. კანონმდებელს იმ პრინციპის შემოღებით, რომლის მიხედვითაც, თბილისისხლიანი ცხოველებისთვის სისხლის გამოშვებამდე სავალდებულოა მათი გაუტკივარება, სურდა ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული კანონის ძირითადი კონცეფციის აღნიშნულ სფეროზე განვრცობა, რაც ამგვარი ნორმის ყოველად ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს, რომელიც ასევე მისაღებია მოსახლეობის ფართო წრეებისათვის.

ბ) ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის პირველი პუნქტი, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივასთან ერთად, ასევე აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

აა) ნორმა, რომელიც ცხოველთა დაკვლას უკავშირებს ეთიკურ სანყისებზე ჩამოყალიბებულ ცხოველთა დაცვის პრინციპებს, აუცილებელი და მიზანშეწონილია ზემოთ დასახელებული მიზნის მისაღწევად.

კონსტიტუცია კანონმდებელს ანიჭებს საკანონმდებლო მიზნების განხორციელებისათვის შერჩეული საშუალებების შეფასების შესაძლებლობას მათი საჭიროებისა და მიზანშეწონილობის მხრივ. იგივე ეხება კანონის ნორმის ფაქტობრივი საფუძვლების შეფასებასაც. ამ მიმართებით მოცემულ შემთხვევაში არ ივარაუდება, რომ აღნიშნული შეფასებები მცდარია. მართალია, არსებობს მოსაზრებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს იმ თეორიას, რომ გამაყურებელი საშუალებების გამოყენებით ცხოველთა დაკვლა ცხოველს ბევრად ნაკლებ ტკივილს აყენებს, ვიდრე – ამ საშუალებების გარეშე, მაგრამ, როგორც ჩანს, მეცნიერება ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ მისულა საბოლოო დასკვნამდე...

ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის ალტერნატივის საფუძველზე განსაკუთრებული ნებართვის გაცემის წინაპირობაა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს რელიგიური გაერთიანების წევრების ინტერესი, რომლებსაც მათი სარწმუნოებით ეკრძალებათ არარელიგიური წესით დაკლული ცხოველის ხორცის ჭამა. რადგანაც კანონი მისი კონცეპტუალური პრინციპის გამონაკლისს მხოლოდ ასეთი წინაპირობების არსებობისას უშვებს, შესაბამისად, ვინაროდება შესაძლო გამონაკლისების რაოდენობა. ისეთი რელიგიის შემთხვევაში, როგორიც ისლამია, ემატება ისიც, რომ გერმანიაში მოქმედი მუსლიმანების ცენტრალური საბჭოს განმარტებების თანახმად, ისლამი თავად მოითხოვს ცხოველთა მაქსიმალურად ჰუმანური გზით დახოცვას. ისლამის წესების თანახმად, ცხოველი რელიგიური წესით ისე უნდა დაიკლას, რომ იგი რაც შეიძლება მალე მოკვდეს და მისი ტანჯვა, ნამების ყველანაირი სახის გამორიცხვით, დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე. შესაბამისად, აქედან გამომდინარეც შეეძლო კანონმდებელს ჩათვალა, რომ ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივით გათვალისწინებული გამონაკლისი წარმოადგენს ეთიკურ პრინციპებზე აგებულ, ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის აუცილებელ და მიზანშეწონილ საშუალებას.

ბბ) განსახილველი ნორმა (ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის პირველი პუნქტი, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა) თანაზომიერია აღნიშნული პრინციპის ვინაო გაგებითაც. ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის პირველ პუნქტთან, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივასთან დაკავშირებულ ძირითად უფლებათა დაცვის სფეროში ჩარევის სიმძიმისა და ამ ჩარევის საფუძვლების გადაუდებელი აუცილებლობის, ასევე მნიშვნელობის ურთიერთშეფარდების შედეგად მიჩნეულ იქნა, რომ დაინტერესებული პირისათვის შესაძლებელი, ხელმისაწვდომი და მისაღებია (იხ: BVerfGE 90, 145

[173]; 101, 331 [350]), რომ მან მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში და შესაბამისი განსაკუთრებული ნებართვის საფუძველზე დაკლას თბილისისხლიანი ცხოველები, გამაყურებელი საშუალებების წინასწარი გამოყენების გარეშე.

(1) მუსლიმანი ყასბის პროფესიის თავისუფლების ძირითად უფლებაში ჩარევა განსაკუთრებულია თავისი სიმძიმით. გამოწვევის დათქმის გარეშე მორწმუნე მუსლიმანებისათვის შეუძლებელი იქნებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყასბის საქმიანობის განხორციელება. ისინი უნდა შემოიფარგლონ რელიგიური წესით დაკლული ცხოველის იმპორტული ხორცის ან ჩვეულებრივი მეთოდით (გამაყურებელი საშუალებებით) დაკლული ცხოველის ხორცის გაყიდვით, თუ მათ საერთოდ ენდომებათ თავიანთი საქმიანობის ამ სახით გაგრძელება და არ შეეცდებიან, მომჩინის მსგავსად, სხვა საქმეს მოჰქიდონ ხელი და ამით იზრუნონ შემოსავლისა და თავის რჩენის სხვა, ახალ წყაროზე. ზემოთ მოყვანილი გადანყვეტილებიდან ნებისმიერი მათგანი დაკავშირებულია დიდ ცვლილებებსა და მასშტაბურ შედეგებთან....

აკრძალვა არ ეხება მხოლოდ მუსლიმან ყასბებს, იგი ეხება ასევე მათ მომხმარებლებსაც. როდესაც ისინი დაინტერესებულნი არიან რელიგიური წესით დაკლული ცხოველის ხორცის ყიდვით, ამკარაა, რომ ეს მათი რელიგიური მრწამსის შედეგია, რომლის მიხედვითაც, მათ ეკრძალებათ სხვა სახის ხორცის ჭამა. მათგან იმის მოთხოვნა, რომ საერთოდ უარი თქვან ხორცის ჭამაზე, ყოველად შეუსაბამო იქნებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამკვიდრებული ჭამის კულტურის წესებსა და ტრადიციებთან, რომელთა მიხედვითაც, ხორცი არის ფართოდ გავრცელებული საკვები, რომელზეც არანებაყოფლობით უარის თქმა თითქმის შეუძლებლად არის მიჩნეული. თუმცა, ერთი შეხედვით, თითქოს იმპორტული ხორცის შესყიდვის შესაძლებლობამ უნდა გადაჭრას ეს პრობლემა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არ იქნებოდა პირადი კონტაქტი ხორცის დამამუშავებელთან (ყასბთან), რაც გარკვეული ნდობის ჩამოყალიბების საწინდარია, რათა პირი დარწმუნდეს, რომ ხორცი, რომელსაც იგი მიირთმევს, მართლაც ისლამის მოთხოვნების შესაბამისად არის დამუშავებული.

(2) მუსლიმანი ყასბებისა და მათი ასევე მორწმუნე მომხმარებლებისათვის მოსალოდნელ ზემოთ აღნიშნულ შედეგებს უპირისპირდება ის გარემოება, რომ ცხოველთა დაცვა არის საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვა და მათი ინტერესების გათვალისწინება, რასაც ქვეყნის მოსახლეობაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს...

ეს დაცვა, პირველ რიგში, უზრუნველყოფილია ცხოველთა დაცვის შესახებ გერმანიის კანონით.

თუმცა, იგი აღნიშნული კანონით არ არის იმ სახით რეალიზებული, რომ ცხოველის კეთილდღეობის ნებისმიერი შეზღუდვა იყოს კანონით აკრძალული. კანონის ძირითადი მიზანი და პრინციპია, რომ ცხოველს არ მიაყენონ ტკივილი, ტანჯვა ან ზიანი ყოველგვარი გონივრული საფუძვლის გარეშე (ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის პირველი მუხლი და ასევე BVerfGE 36, 47 [57]; 48, 376 [389]). აქედან გამომდინარე, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონი არა მხოლოდ მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში ითვალისწინებს გამოწვევის იმ პრინციპისაგან, რომ ცხოველები უნდა დაკლან მხოლოდ გამაყურებელი საშუალებების გამოყენების შემდეგ...

სწორედ ეს გამოწვევის გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც წარმომავლობა და საზოგადოების მიერ აქცეპტირებული საფუძვლები ამართლებენ გამაყურებელი საშუალებების სავალდებულო გამოყენების გამომრიცხავ გამოწვევის, კანონმდებელმა ეთიკის მოთხოვნებისა და მიზნების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული ცხოველთა

დაცვის შესაბამისად მიზანშეწონილად მიიჩნია გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენების ვალდებულებისაგან გადახვევა.

(3) აღნიშნული გარემოებების საფუძველზე თბილისისლიანი ცხოველის დაკვლის წინ გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენების ვალდებულების გამონაკლისი ვერ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საუბარია იმაზე, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელი იყოს ძირითადი უფლებით დაცული რელიგიური ელფერის მქონე პროფესიის განხორციელება და, მეორე მხრივ, საკვებთან დაკავშირებული რელიგიური წესების შესრულება პროფესიის განმარტების მომხმარებელთა მიერ. ამგვარი გამონაკლისის არარსებობის შემთხვევაში არსებითად შეილახებოდა იმ პირთა ძირითადი უფლებები, რომლებიც მიზნად ისახავენ რელიგიური წესით დაცული ცხოველის ხორცის რელიზაციას, როგორც პროფესიას და ყოველგვარი კონსტრუქციურ-სამართლებრივი გამართლების გარეშე, ცალმხრივად მიენიჭებოდა უპირატესობა ცხოველთა დაცვას. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია ისეთი ნორმა, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს როგორც შესაბამისი ძირითადი უფლებების დაცვას, ასევე – ცხოველთა დაცვის ეთიკურ მიზნებსა და პრინციპებს.

ა) ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა თავისი იდეით შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს. ნორმის მიზანია, ისლამისა და ებრაული სარწმუნოებების მიმდევრების კვებასთან დაკავშირებული წესებიდან გამომდინარე, დაუშვას რელიგიური წესით ცხოველთა დაკვლა განსაკუთრებული ნებართვის საფუძველზე. გამონაკლისი ნებართვის გარდა, რელიგიური წესით ცხოველის დაკვლასთან დაკავშირებული საჯარო კრიტიკისა და უკმაყოფილების საპასუხოდ, დაკვლა დაშვებულ იქნეს სახლებსა და სხვა კერძო ფართებში (იხ: BTDruks 10/5259, გვ. 32, I 2a №3). ამას გარდა, ასევე შესაძლებელია დამატებითი დებულებებით განისაზღვროს, რომ ცხოველები ასცდნენ იმ ტანჯვასა და ტკივილს, რომლის აცილებაც შესაძლებელია. როგორც უკვე აღნიშნა, მოცემული ნორმის მიზანია, დაიცვას და გაითვალისწინოს მუსლიმანთა და ებრაელთა ძირითადი უფლებები ისე, რომ თვალთახედვიდან არ გამორჩეს და არ უგულებელყოს ეთიკის ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული ცხოველთა დაცვის ძირითადი პრინციპები და ვალდებულებები. ყოველივე ეს საკმარისად ითვალისწინებს მომჩივნის უფლებებსაც.

ბ) თუმცა, ვითარება სხვაგვარი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის შინაარსი ისე იქნებოდა გაგებული, როგორც იგი ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმარტა 1995 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებაში (BVerwGE 99, 1). სასამართლომ წინამდებარე შემთხვევაში არ მიიჩნია მოცემულად ნორმის ფაქტობრივი ელემენტები, ვინაიდან მისი განმარტებით, სუნიტური ისლამი, რომლის მიმდევარიც გახლავთ მომჩივანი, და ასევე მთლიანად ისლამი არ კრძალავს გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენებით დაცულ ცხოველთა ხორცის მიღებას (BVerwGE 99, 9). სასამართლოს აზრით, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა მოითხოვს შესაბამისი რელიგიის იმ წესების ობიექტურ დადგენას, რომლებიც სავალდებულოდ კრძალავს გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენებით დაცული ცხოველის ხორცის მიღებას. ხოლო რაც შეეხება პირის ინდივიდუალურ ხედვას, რომელიც ეფუძნება მხოლოდ სუბიექტურ, თუნდაც სავალდებულოდ აღქმულ რელიგიურ შეხედულებას, სასამართლოს განმარტებით, შეუსაბამოა კანონის მოთხოვნებსა და შინაარსთან (BVerwGE 99, 4).

ზემოთ აღნიშნული განმარტებები არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტე-

ბით დაცული ძირითადი უფლებების მნიშვნელობასა და მოქმედების მასშტაბს. ამ განმარტებების მიხედვით, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა არ ითვალისწინებს პირის რელიგიურ შეხედულებებს, რის შედეგადაც იგი გამოუყენებელი და ცარიელი ნორმაა მუსლიმანებისათვის. ამით გამოირიცხება იმ ყასბის პროფესიული საქმიანობა, რომელსაც, საკუთარი და თავისი მომხმარებლის სარწმუნოების წესებიდან გამომდინარე, სურვილი აქვს, ცხოველები დაკლას თავიანთი რელიგიური წესით, რათა უზრუნველყოს ისლამის მოთხოვნებით დამუშავებული ხორცის მიწოდება. ყოველივე აღნიშნული შეუსაბამოდ ტვირთავს და აზარალებს შესაბამის დაინტერესებულ პირებს, რადგან ცალმხრივად ითვალისწინებს მხოლოდ ცხოველთა დაცვის მოთხოვნებსა და ინტერესებს. ზემოთ აღნიშნული განმარტებების მიხედვით, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივა იქნებოდა არაკონსტიტუციური.

გ) აღნიშნული შედეგი შესაძლოა, თავიდან ავიცილოთ ნორმის ფაქტობრივი ელემენტების: „რელიგიური გაერთიანების“ და „სავალდებულო წესების“ განმარტებით, რაც ასევე ემსახურება და შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტებისა და მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გაგებას...

ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის შეცნობით რელიგიური გაერთიანება ასევე დაჯგუფებები ისლამური რელიგიის ფარგლებში, რომელთა რელიგიური მიმართულება განსხვავდება სხვა ისლამური დაჯგუფებებისა და გაერთიანებების შეხედულებებისაგან. ამგვარი განმარტება შეესაბამება კონსტიტუციას და განსაკუთრებით კი – გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს. იგი ასევე შეესაბამება ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის შინაარსს და კანონმდებლის სურვილს, რომლის მიზანია, ეს ნორმა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ ებრაელ მოქალაქეებზე, არამედ ასევე – ისლამისა და მისი სხვადასხვა დაჯგუფების მიმდევრებზე.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები არაპირდაპირ გავლენას ახდენს „სავალდებულო წესების“ განმარტებაზეც, რომლებიც უკრძალავს რელიგიური გაერთიანების წევრებს გამაყურებელი საშუალებების გამოყენებით დაკლული ცხოველის ხორცის მიღებას. მოცემულია თუ არა აღნიშნული წინაპირობა [ნორმის ფაქტობრივი ელემენტი] კონკრეტულ შემთხვევაში, ეს არის განსაკუთრებული ნებართვის გამცემი შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსა და დავის შემთხვევაში – სასამართლოს განსახილველი და გადასაწყვეტი. თუმცა, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისეთი სარწმუნოების შემთხვევაში, როგორც ისლამია, სადაც არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრება რელიგიური წესით ცხოველის დაკვლის ვალდებულებასთან დაკავშირებით, შემონიშნება არ უნდა გამომდინარეობდეს მთლიანად ისლამის ან მისი სუნიტური და შიიტური განშტოებების რელიგიური ზოგადი წესებიდან. სავალდებულო წესებისა თუ ნორმების არსებობის საკითხი უნდა გადაწყდეს ამგვარ რელიგიურ გაერთიანებაში არსებული, კონკრეტული რელიგიური დაჯგუფების ფარგლებში (იხ: (BVerwGE 112, 227 [236])).

ამასთან, საკმარისია, როდესაც პირი, რომელსაც ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის საფუძველზე სურს განსაკუთრებული ნებართვის მიღება, სრულყოფილად და ლოგიკურად განაცხადებს, რომ მათი ერთობლივი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინა-

რე, სავალდებულოა მხოლოდ გამაყუჩებელი საშუალებების გამოყენების გარეშე დაკლული ცხოველის ხორცის მიღება (იხ: BVerfGE 94, 82 [87]). ამგვარი განცხადებისა და განმარტების შემდეგ სახელმწიფო, რომელსაც არა აქვს უფლება, არ გაითვალისწინოს რელიგიური გაერთიანების ამგვარი შეხედულება და პრინციპი (იხ: BVerfGE 24, 236 [247]), ვალდებულია, თავი შეიკავოს ასეთი რელიგიური მოსაზრებებისა და ნორმების შეფასებისაგან (იხ: BVerfGE 33, 23 [30]). მას ასევე არ შეუძლია რელიგიური ნორმის „სავალდებულო“ ხასიათის უარყოფა გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის ფარგლებში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ რელიგია, როგორც წესი, იცნობს ისეთ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებს და გაგებით ეკიდება მათი ადრესატის ანუ მორწმუნე ადამიანის რთულ მდგომარეობას და, შესაბამისად, მისი ადგილსამყოფლის მიხედვით უმსუბუქებს მას თავისი სარწმუნოების დაცვას იმით, რომ უფლებას აძლევს, მიიღოს ამ ტერიტორიაზე გავრცელებული და დამასახიათებელი საკვები. სახელმწიფომ განმცხადებელს, ძირითადად, უნდა მისცეს განსაკუთრებული ნებართვა, თუ, რა თქმა უნდა, სხვა რაიმე მიზეზით არ გამოირიცხება მისი გაცემა. ამასთან, დამატებითი დებულებების საფუძველზე და მათი შესრულების შემონმების გზით, ასევე განმცხადებლის შესაბამისი ცოდნისა და უნარის შემონმებისას, რაც დაკავშირებულია დაკვლის რელიგიური მეთოდის ფლობასთან, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული უნდა იყოს ცხოველთა დაცვის ინტერესები და მოთხოვნები (იხ: BVerwGE 112, 227 [236])...

### III

1. ადმინისტრაციულ ორგანოთა და სასამართლოების გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებას. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და ასევე ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა ვერ დაინახეს ცხოველთა დაცვის შესახებ კანონის მე-4ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 ალტერნატივის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განმარტების აუცილებლობა, რის საფუძველზეც გამაყუჩებელი საშუალებების გარეშე ცხოველთა დაკვლის ამკრძალავი ნორმის გამოწვევის დებულების გამოყენებისას შეუსაბამოდ შეზღუდეს აღნიშნული ძირითადი უფლება...

## E – 105, 279

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული რელიგიისა და მსოფლმხედველობის თავისუფლების ძირითადი უფლება არ იცავს ამ უფლების მფლობელებს იმისგან, რომ სახელმწიფომ, მისმა ორგანოებმა საჯაროდ და ასევე კრიტიკულად იმსჯელონ მათზე, ასევე მათ მიზნებსა და საქმიანობაზე. თუმცა, ამგვარი მსჯელობის დროს დაცული უნდა იქნეს სახელმწიფოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობის ვალდებულება და, აქედან გამომდინარე, ასეთი განხილვა უნდა მიმდინარეობდეს თავდაჭერილი, ფრთხილი ფორმით. სახელმწიფოს ეკრძალება ცილისმწამებლური, დისკრიმინაციული, ყალბი და დემაგოგიური განცხადებების გავრცელება რომელიმე რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ გაერთიანებაზე.
2. გერმანიის ფედერალური მთავრობა მისი, როგორც სახელმწიფოს მმართველის ფუნქციიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, ყველა იმ სფეროში წარმართოს საინ-

ფორმაციო საქმიანობა, სადაც მას აკისრია ზოგადსახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა, რომლის გათვალისწინებისა და შესრულებისათვის მას ეხმარება შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

პირველი პალატის 2002 წლის 26 ივნისის განჩინება  
- 1 BvR 670/91 -

### საფუძვლები:

ა

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება გერმანიის ფედერალური მთავრობის განცხადებებს მოძრაობა „რაჯნიშ ჩანდრა მოჰან“-ის და მისი გაერთიანებების შესახებ...

ბ

საკონსტიტუციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. შემონემების შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით არ არის დასაგმობი ის გარემოება, რომ გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ „ომო“-მოძრაობისა და მისი წევრი გაერთიანებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას გამოყენებული გამონათქვამები: „სექტა“, „ახალგაზრდული რელიგია“, „ახალგაზრდული სექტა“ და „ფსიქო-სექტა“ საერთო სასამართლომ საქმის განხილვისას არ შეაფასა უარყოფითად. ხოლო რაც შეეხება უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგი გაუმართლებელია იმდენად, რამდენადაც ასევე კონსტიტუციურად იქნა მიჩნეული ისეთი შეფასებები, როგორცაა: „დესტრუქციული“, „ფსევდორელიგიური“ და ბრალდებები ამ გაერთიანებების წევრთა მანიპულირებასთან დაკავშირებით.

ი

ამდენად, გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს.

1. მომჩივნები არიან აღნიშნული ძირითადი უფლების ადრესატები. ამის სანაწილმდეგოდ არ მეტყველებს ის გარემოება, რომ ისინი, როგორც რეგისტრირებული კავშირი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არიან იურიდიული პირები. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რელიგიისა და მსოფლმხედველობის თავისუფლების ძირითადი უფლება ვრცელდება ადგილობრივ იურიდიულ პირებზეც, თუ მათი მიზნები უკავშირდება რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი შეხედულებების მხარდაჭერასა და ხელშეწყობას (იხ: BVerfGE 19, 129 [132]; 24, 236 [247]; 99, 100 [118])...

2. რელიგიისა და მსოფლმხედველობის თავისუფლების ძირითადი უფლება, ცალკეული ადამიანის რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების პირადი და საჯარო გამოხატვის თავისუფლების გარდა, მოიცავს ასევე ადამიანების უფლებას, გაერთიანდნენ საერთო რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი მოსაზრებების გარშემო (იხ: BVerfGE 53, 366 [387]; 83, 341 [355]). ამგვარი ღირებულებებით შეკავშირებული გაერთიანება უფლებამოსილია, ეწეოდეს რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ საქმიანობას, გამოავლინოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები, გაავრცელოს თავისი მსოფლმხედველობა და ხელი შეუწყოს მათ მხარდაჭერას (იხ: BVerfGE 19, 129 [132]; 24, 236 [246]; 53, 366 [387]). დატულია ასევე საკუთარი რელიგიისა და რელიგიური შეხედულებების პროპაგანდისა და სხვა რელიგიის მიმდევრების გადმობირების უფლება (BVerfGE 12, 1 [4]; 24, 236 [245]).

აღნიშნული თავისუფლების მნიშვნელობა და მასშტაბურობა განსაკუთრებულ გამოხატულებას ჰპოვებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 140-ე მუხლით, ასევე გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებითა და 137-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებაში, იყოს ნეიტრალური რელიგიური და მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და შეხედულებების მიმართ და, თავის მხრივ, არ შეუქმნას საფრთხე საზოგადოების რელიგიურ მშვიდობიანობას (იხ: BVerfGE 19, 206 [216]; 93, 1 [16]; 102, 370 [383]). გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი იცავს რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ გაერთიანებებს ცილისწამებისაგან, ასევე დისკრიმინაციული და ყალბი შეფასებებისაგან. თუმცა, სახელმწიფო და მისი ორგანოები არ არიან ვალდებული, თავი შეიკავონ ამგვარი საკითხების განხილვისაგან. ნეიტრალურ სახელმწიფოსაც არ ეკრძალება, საერო კრიტიკიუმებით შეაფასოს რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი დაჯგუფებების ფაქტობრივი ქმედებები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთ ქმედებას საფუძვლად უდევს რელიგიური მოტივი (იხ: BVerfGE 102, 370 [394]).

სახელმწიფო პასუხისმგებლობის ორგანოებს ასევე თავისთავად აკრძალული არა აქვთ პარლამენტის, საზოგადოებისა და დაინტერესებული მოქალაქეების ინფორმირება რელიგიურ და მსოფლმხედველობრივი დაჯგუფებებსა და მათ საქმიანობაზე. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული რელიგიისა და მსოფლმხედველობრივი თავისუფლების ძირითადი უფლება არ იცავს ამ უფლების მფლობელებს იმისაგან, რომ სახელმწიფომ და მისმა ორგანოებმა საჯაროდ და ასევე კრიტიკულად იმსჯელონ მათზე, მათ მიზნებსა და საქმიანობაზე. სახელმწიფოს ეკრძალება მხოლოდ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ საკითხთა მონესრიგება, ცალკეულ პირთა და რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ გაერთიანებათა შეხედულებებში, მოქმედებებსა და გამოვლინებებში მიკერძოებული ჩარევა (იხ: BVerfGE 93, 1 [16]; 102, 370 [394]). მას არა აქვს უფლება, ერთი მხრივ, პრივილეგიები მიანიჭოს გარკვეულ შეხედულებებს, მაგალითად – მათთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციის გზით და, მეორე მხრივ, დისკრიმინაცია გაუწიოს სხვა მოსაზრებებს – მათი მარგინალიზაციისა და შევიწროების მეშვეობით.

3. ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს სრულად არ შეესაბამება და არ ითვალისწინებს გერმანიის ფედერალური მთავრობის შეფასებები, რომელთა შესახებაც უნდა ემსჯეულა საოლქო სასამართლოს.

ა) აა) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს შეიძლება დავეთანხმოთ იმ მიმართებით, რომ ისეთი გამონათქვამები „ოშო“-მოძრაობის მიმართ, როგორცაა „სექტა“, „ახალგაზრდული რელიგია“, „ახალგაზრდული სექტა“ და „ფსიქო-სექტა“, არ არის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუმართლებელი. აღნიშნული გამონათქვამები ჯერ კიდევ არ ეხება რელიგიისა და მსოფლმხედველობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს. ისინი არ შეიცავს ცილისწამებულ და დისკრიმინირებად ელემენტებს, არამედ შემოიფარგლება საქმიანობიდან გამომდინარე ინფორმაციული ხასიათის შეფასებებით შესაბამისი გაერთიანებების მიმართ, რითაც იჩენს თავშეკავებას, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფოსა და მისი ორგანოებისათვის რელიგიურ/მსოფლმხედველობრივი ნეიტრალობის პრინციპის თანახმად...

ბ) ხოლო აღნიშნულისაგან განსხვავებით, ისეთი შეფასებების გამოყენება, როგორცაა „დესტრუქციული“ და „ფსევდორელიგიური“, ასევე გაერთიანების წევრებით მანიპულაციების ბრალდება არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებულ მომჩინის უფლებას, რელიგიური და მსო-



ფლმზედველობრივი კუთხით ნეიტრალურ და თავშეკავებულ მოპყრობაზე. თუმცა, ამით არ არის მოცემული ძირითადი უფლების დარღვევის ტიპური ნიშნები. აღნიშნულის მიხედვით, ძირითადი უფლების დარღვევად ითვლება სამართლებრივი ძალისა თუ ხასიათის მოვლენა, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამოცემული და საჭიროების შემთხვევაში იძულებით განხორციელებული ვალდებულებითა თუ აკრძალვით უშუალოდ და მიზანმიმართულად იწვევს ძირითადი უფლებებით დაცული თავისუფლების შეზღუდვას. წინამდებარე შემთხვევაში შესაფასებელი გამონათქვამების სახით არც ერთი ასეთი ელემენტი არ არის მოცემული...

თუმცა, ეს არ ენიშნავს იმას, რომ მოცემული სახის გამონათქვამები და შეფასებები შემონმდეს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით. გერმანიის ძირითადი კანონი ძირითადი უფლებების დაცვას მათი ხელყოფისაგან არ ხდის დამოკიდებულს შეზღუდვის ცნებაზე და არც შინაარსობრივად განმარტავს მას. ამ გამონათქვამებმა მომჩივნებზე მოახდინეს არაპირდაპირი ფაქტობრივი გავლენა. ამგვარი შეფასებები, რომლებიც ზღუდავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 პუნქტის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცულ ძირითად უფლებას, შესაძლებელია არ იყოს დაუშვებელი და გაუმართლებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალთახედვით, თუ ისინი სათანადოდ დასაბუთებულია თვითონ კონსტიტუციიდან გამომდინარე და მის საფუძველზე.

გ) მოცემულ შემთხვევაში ეს ასე არ არის. თუმცა, გერმანიის ფედერალური მთავრობა თავისი გამონათქვამებით მოქმედებდა საკუთარი საინფორმაციო საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში (აა), მაგრამ ამით შეუსაბამოდ და არათანაზომიერად შეიზღუდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებიდან გამომდინარე მომჩივნების ძირითადი უფლება (ბბ).

აა) გერმანიის ფედერალური მთავრობა უფლებამოსილი იყო, პარლამენტისა და საზოგადოებისათვის მიენოღებინა ინფორმაცია „ოშო“-მოდრაობისა და მისი წევრი გაერთიანებების, ასევე მათი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. ამ ფუნქციის განხორციელებისას იგი მოქმედებდა მისი, როგორც სახელმწიფოს მმართველის, კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც, ყოველგვარი დამატებითი კანონისმიერი გათვალისწინების გარეშე, გამომდინარეობს კონსტიტუციიდან.

(1) (ა) ფედერალური მთავრობის მიერ ამგვარი ინფორმაციების გაცემის უფლებამოსილება გამომდინარეობს მთავრობის ამოცანიდან, რომლის მიხედვითაც იგი ვალდებულია, თავისი საზოგადო საქმიანობის ფარგლებში ასევე შეეხოს აქტუალურ, სადავო და საზოგადოებისათვის ძალზე საინტერესო საკითხებს...

ბბ) „ოშო“-მოდრაობის შეფასება „დესტრუქციულად“ და „ფსევდორელიგიურად“, ასევე მის მიმართ გამოთქმული ბრალდება, რომ გაერთიანების წევრები საზოგადოებისაგან დახურულად მანიპულირებენ, როგორც ნეიტრალობის პრინციპის სანინალმდეგო მოსაზრებები, ვერ მიიჩნევა გამართლებულად კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასების ფარგლებში. აღნიშნული შეფასებები გაუმართლებელი და შეუსაბამოა ასევე თანაზომიერების პრინციპის მასშტაბებითაც...

ამგვარი განცხადებები და ბრალდება წარმოადგენს მომჩივნების მიმართ განხორციელებულ ცილისწამებას. აქედან გამომდინარე, მისაღებია მომჩივნების მოსაზრება, რომ ეს შეფასებები რეალურ საფრთხეს უქმნის მათ, რაც გამოიხატება ძველი წევრების შესაძლო ჩამოშორებასა და ახლების სავარაუდო ნაკლებობაში, ასევე – ფინანსური დახმარების დაკარგვაში. გერმანიის ფედერალურ მთავრობას არ წარმოუდგენია და არც სხვაგვარად გამოვლენილა საკმარისად მნიშვნელოვანი და კონკრეტული ფაქტებითა და გარემოებებით დასაბუთებული მიზეზები, რომლებიც, მიუხედავად

გერმანიის ფედერალური მთავრობის თავშეკავების ვალდებულებისა, გაამართლებდა მის შეფასებებსა და გამონათქვამებს...

## E – 108, 282

1. მასწავლებლებისათვის სკოლაში და გაკვეთილზე თავსაფრის ტარების აკრძალვას, ბადენ-ვიურტემბერგის ლანდზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, არა აქვს სათანადოდ განსაზღვრული კანონიერი საფუძველი.
2. რელიგიური პლურალიზმის მატების ტენდენციით გამორჩეული საზოგადოებრივი განვითარება შესაძლებელია კანონმდებლისათვის იყოს სკოლაში რელიგიური გამოვლინებების ფარგლების ახლებული განსაზღვრისა და მონესრიგების საფუძველი.

მეორე პალატის 2003 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება  
- 2 BvR 1436/02 -

### საფუძვლები:

ა

მომჩივანი ითხოვს დასაქმებას ბადენ-ვიურტემბერგის ლანდის ერთ-ერთ სკოლაში. საკონსტიტუციო საჩივარი ეხება სკოლის სამმართველოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მომჩივანს უარი ეთქვა, გამოსაცდელი ვადით დაენყო ბადენ-ვიურტემბერგის რომელიმე სკოლაში პედაგოგად მუშაობა. უარი დასაბუთდა იმით, რომ ამ ქალბატონის მონაცემები არ შეესაბამებოდა პედაგოგიური საქმიანობის მოთხოვნებს, ვინაიდან მას ჰქონდა განზრახვა, სკოლაში და გაკვეთილზე თავსაფარი ეტარებინა. აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე დაადასტურა ადმინისტრაციულმა სასამართლომ....

ბ

დასაშვები საკონსტიტუციო საჩივარი საფუძვლიანია. გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

თავსაფრის ტარება მოცემულ შემთხვევაში მიუთითებს იმაზე, რომ მომჩივანი არის ისლამის მიმდევარი ანუ მუსლიმანი. რელიგიასთან პირადი იდენტიფიკაციის ამგვარი გამოვლინების მიჩნევა პედაგოგიური საქმიანობისა და პროფესიისათვის შეუსაბამო თვისებად არღვევს მომჩივნის უფლებას საჯარო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობასა (გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და ასევე მის ძირითად უფლებას რელიგიის თავისუფლებაზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). მითითებული დარღვევა სახეზეა ყოველგვარი აუცილებელი და სათანადოდ განსაზღვრული კანონიერი საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, მომჩივანს საჯარო სამსახურზე უარი ეთქვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით გაუმართლებელ პირობებში.

II

1. გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი გერმანიის ყველა მოქალაქისათვის თანაბრად ხელმისაწვდომს ზღის ნებისმიერ საჯარო საქმიანობას, მისი შესაძლებლობების, უნარისა და პროფესიული დონის მიხედვით.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, სხვა ძირითად უფლებებთან გათანაბრებული უფლება, შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი სამსახურის სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით (იხ: BVerfGE 7, 377 [397]; 39, 334 [369]), უზრუნველყოფს პროფესიის არჩევის თავისუფლების მასშტაბს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი). გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ითვალისწინებს საჯარო სამსახურში დასაქმების მოთხოვნის უფლებას (იხ: BVerfGE 39, 334 [354]; BVerfGE 68, 109 [110]). საჯარო სამსახურის დაკავება (დაშვება, რომელიც იმავდროულად მოიცავს პროფესიის არჩევის თავისუფლებასაც) შესაძლებელია, შეიზღუდოს დასაშვებობის სუბიექტური მოთხოვნებითა და წინაპირობებით (იხ: BVerfGE 39, 334 [370])...

2. საჯარო მოხელისათვის იმ ვალდებულების დაკისრება, რომ მან, როგორც მასწავლებელმა, სკოლაში და გაკვეთილზე არ უნდა გამოავლინოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები და მიმდევრობა თავისი სარწმუნოებით გათვალისწინებული ტანისამოსის ტარებით, ზღუდავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დამკვიდრებულ რელიგიის ინდივიდუალურ თავისუფლებას. აღნიშნული ვალდებულება დაინტერესებულ პირს აყენებს არჩევნის წინაშე: ან განახორციელოს მისთვის სასურველი საქმიანობა ან დაიცვას მის მიერ სავალდებულოდ მიჩნეული რელიგიური წესები ჩაცმულობასთან დაკავშირებით.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს რწმენის, სინდისისა და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების თავისუფლებას, ხოლო მე-2 პუნქტი კი — რელიგიური შეხედულებების შეუფერხებელ გამოვლენასა და განხორციელებას. ამ ნორმის ორივე პუნქტი მოიცავს ერთიან და საკმაოდ ფართო მნიშვნელობის ძირითად უფლებას (იხ: BVerfGE 24, 236 [245]; 32, 98 [106]; 44, 37 [49]; 83, 341 [354]). იგი არ მოიცავს რწმენისა თუ რწმენის უარყოფის მხოლოდ შინაგან თავისუფლებას, არამედ მოიცავს ასევე რწმენის გამოვლენისა და გავრცელების თავისუფლებასაც (იხ: BVerfGE 24, 236 [245]). აქ ასევე მოიაზრება ცალკეული ადამიანის უფლება, იმოქმედოს თავისი რწმენის შესაფერისად და თავისი მოქმედება წარმართოს საკუთარი რელიგიური მოძღვრებისა და შეხედულებების შესაბამისად. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ამა თუ იმ სარწმუნოების იმპერატიულ ნორმებს, არამედ ასევე — რელიგიურ შეხედულებებს, რომლებიც განსაზღვრავს გარკვეულ ქმედებებს, შესაბამისი ცხოვრებისეული სიტუაციებისა და სირთულეების დაძლევის მიზნით (იხ: BVerfGE 32, 98 [106]; 33, 23 [28]; 41, 29 [49]).

3. მოცემულ შემთხვევაში ჩარევა მოხდა ასევე გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის სფეროშიც, რომლის მიხედვითაც, საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს აღმსარებლობაზე (პირველი წინადადება); არ შეიძლება ვინმემ ზიანი განიცადოს რომელიმე რელიგიის ან მსოფლმხედველობისადმი მიკუთვნებისა თუ არმიკუთვნების გამო (მე-2 წინადადება). აქედან, გამოირიცხება რაიმე კავშირი საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობასა [დაკავების შესაძლებლობასა] და პირის აღმსარებლობას შორის. გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი, პირველ რიგში, მიმართულია უთანასწორო მოპყრობის წინააღმდეგ, რაც უშუალო კავშირშია რომელიმე რელიგიის მიმდევრობასთან. ამას გარდა, აღნიშნული ნორმა კრძალავს პირისათვის საჯარო სამსახურის დაკავების აკრძალვას იმ მიზეზით, რომელიც შეუსაბამოა გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცულ რწმენის თავისუფლებასთან (იხ: BVerfGE 79, 69 [75]). თუმცა, ეს არ გამოირიცხავს ისეთი სამსახურებრივი ვალდებულებების დაკისრებას, რომლებიც იჭრება საჯარო მოხე-

ლებებისა და კანდიდატების რელიგიური თავისუფლების სფეროში და ამით მკაცრად მორწმუნე კანდიდატებისათვის ართულებს ან გამორიცხავს საჯარო სამსახურის დაკავების შესაძლებლობას, მაგრამ ასეთი ჩარევა ექვემდებარება სამართლებრივი დასაბუთების მკაცრ მოთხოვნებს, რაც ძალაშია ყოველგვარი დათქმის გარეშე მოქმედი რწმენის თავისუფლების შეზღუდვისას. ამას გარდა, ამგვარი შეზღუდვებისა და სამსახურებრივი ვალდებულებების დასაბუთებისას და ასევე მათი პრაქტიკაში განხორციელებისას მკაცრად გასათვალისწინებელია სხვადასხვა რწმენის მიმდევართა თანასწორობის პრინციპი.

4. ა) მომჩივნის მიერ სკოლაში და გაკვეთილზე თავსაფრის ტარების შესაძლებლობა დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლებით. თვითონ მომჩივანი თავსაფრის ტარებას აღიქვამს, როგორც მისი რელიგიიდან გამომდინარე ვალდებულებას, რაც არ გამხდარა სადავო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებით. ამრიგად, თავსაფრის ტარების წესის შესრულება მისთვის არის საკუთარი რელიგიური შეხედულების გამოხატვა. ამ საკითხთან მიმართებით არ არის არსებითი და გადამწყვეტი იმ სადავო საკითხის განხილვა, თუ რამდენად მოითხოვს ისლამი მისი მიმდევარი ქალებისაგან თავსაფრის ტარებას. მართალია, ადამიანის ნებისმიერი ქმედება არ შეიძლება მხოლოდ მისი სუბიექტური აღქმისა და შეხედულების საფუძველზე იქნეს მიჩნეული განსაკუთრებულად დაცული რწმენის თავისუფლების გამოვლენად, მაგრამ თითოეულის მიერ საკუთარი რწმენის თავისუფლების გამოვლენად აღქმული და გაცხადებული ქმედების შეფასებისას აუცილებელია შესაბამისი რელიგიური გაერთიანებისა თუ დაჯგუფების თვითშეგნების გათვალისწინება (იხ: BVerfGE 24, 236 [247]). ქალებისათვის საზოგადოებაში თავსაფრის ტარების ვალდებულება, როგორც ისლამის რელიგიის დამკვიდრებული და გავრცელებული წესი, ლოგიკურად და მისაღებად თავსდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დაცვის სფეროში (იხ: BVerfGE 83, 341 [353]), რაც ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით გამართლეს საერთო სასამართლოებმა.

ბ) იმის ვარაუდი, რომ მომჩივანი ვერ აკმაყოფილებს პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე მოთხოვნებს, ვინაიდან მას სამსახურებრივი განაწესის სანინაალმდეგოდ სურს, რომ სკოლაში და გაკვეთილზე ატაროს თავსაფარი, რაც აშკარად გამოხატავს მის მიერ ისლამის მიმდევრობას და ის გარემოება, რომ მას ყოველივე ამის საფუძველზე უარი ეთქვა საჯარო საქმიანობის განხორციელებაზე, შესაბამისი იქნებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან იმ შემთხვევაში, თუ მომჩივნის მიერ რწმენის თავისუფლების გამოვლენასა და გამოხატვას დაუპირისპირდებოდა იმავე, თანაბარი კონსტიტუციური რანგის სამართლებრივი სიკეთე და, შესაბამისად, სათანადო კანონიერი საფუძველი ექნებოდა რელიგიის თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვას. ამგვარ სამართლებრივ სიკეთედ შესაძლოა, განხილულიყო სახელმწიფოს მიერ აღზრდის ვალდებულება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი), რომელიც უნდა შესრულდეს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალიობის ვალდებულების დაცვით, ასევე – მშობელთა მიერ შვილების აღზრდის უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) და სასკოლო ბავშვების ნეგატიური რწმენის თავისუფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი).

აა) გერმანიის ძირითადი კანონი მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით და ასევე გერმანიის ვაი-

მარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებითა და 137-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლებიც უკავშირდება ისევ გერმანიის ძირითადი კანონის 140-ე მუხლს, სახელმწიფოს, როგორც ყველა თავისი მოქალაქის სამშობლოს, აკისრებს მსოფლმხედველობრივი და რელიგიური ნეიტრალურობის ვალდებულებას. ის სახელმწიფოს უკრძალავს სახელმწიფო-რელიგიურ-სამართლებრივი ფორმების შემოღებას, გარკვეული რელიგიებისადმი პრივილეგიის მინიჭებას და ასევე განსხვავებული შეხედულებების მიმდევრების დისკრიმინაციას (იხ: BVerfGE 19, 206 [216]; 24, 236 [246]; 33, 23 [28]; 93, 1 [17]). ასევე დაუშვებელია, სახელმწიფომ თავისი იდენტიფიკაცია მოახდინოს ერთ რომელიმე რელიგიურ გაერთიანებასთან (იხ: BVerfGE 30, 415 [422]; 93, 1 [17]). გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული თავისუფალი სახელმწიფო გამოირჩევა თავისი ტოლერანტობით მსოფლმხედველობრივ და რელიგიურ შეხედულებათა მრავალფეროვნების მიმართ და ამას იგი აფუძნებს ადამიანის ისეთ თვითშეგნებაზე, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების საკუთარი თვითგანკარგვისა და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპებიდან (იხ: BVerfGE 41, 29 [50]).

სახელმწიფოსთვის სავალდებულო რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალობა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დისტანციის ნარმოქმნელი გარემოება. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს ღია და ყველა რელიგიის მიმართ თანაბრადმოცველ და მხარდამჭერ პოზიციას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები უზრუნველყოფს ასევე რელიგიური შეხედულებების აქტიური განხორციელებისა და გამოხატვის სივრცეს და რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ სფეროში პიროვნების ავტონომიის რეალიზების შესაძლებლობას (იხ: BVerfGE 41, 29 [49]; 93, 1 [16]). სახელმწიფოს არა აქვს უფლება, მიზანმიმართულად იმოქმედოს რომელიმე პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი მიმართულებითა და კუთხით, ან მისგან ან მისი სფეროდან ამკარად თუ კონკლუდენტურად გამომდინარე ღონისძიებებით მოახდინოს თავისი იდენტიფიკაცია რომელიმე სარწმუნოებასა ან მსოფლმხედველობასთან და ამით თვითონ შეუქმნას საფრთხე რელიგიურ მშვიდობას საზოგადოებაში (იხ: BVerfGE 93, 1 [16]). რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალობის პრინციპი სახელმწიფოს ასევე უკრძალავს რომელიმე რელიგიური გაერთიანების მრწამსისა და მოძღვრების შეფასებას (იხ: BVerfGE 33, 23 [29]).

ზემოთ აღნიშნული გამომდინარეობს და ეფუძნება სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების დამკვიდრებულ გაგებას, რაც ასევე ასახულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და განსაკუთრებით ეხება სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ არსებულ სავალდებულო სკოლის სფეროს, სადაც მისი ბუნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ მიკუთვნებული რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ წარმოდგენებს (BVerfGE 41, 29 [49]; 52, 223 [241]). აქედან, საჯარო სკოლის სტრუქტურის ჩამოყალიბებისას არ არის აკრძალული ქრისტიანული მიმართებები; მაგრამ სკოლა ასევე ღია უნდა იყოს სხვა მსოფლმხედველობრივი და რელიგიური მიმდინარეობებისა და შეხედულებებისათვის (იხ: BVerfGE 41, 29 [51]; 52, 223 [236]). სწორედ ამგვარი ღია დამოკიდებულებითა და პოზიციით ინარჩუნებს გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული თავისუფალი სახელმწიფო თავის რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ ნეიტრალობას (იხ: BVerfGE 41, 29 [50]). ხოლო ისეთი დაძაბულობის შემთხვევაში, როგორც იქმნება სხვადასხვა რელიგიისა და მსოფლმხედველობის მიმდევრების შვილების ერთობლივი აღზრდისას, ტოლერანტობის პრინციპის, როგორც ადამიანის ღირსების (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი) ერთ-ერთი გამოხატულების

გათვალისწინებით, საჭიროა სათანადო ბალანსის ძიება (იხ: BVerfGE 41, 29 [63]; 52, 223 [247, 251]; 93, 1 [21]; იხ. ასევე ქვეპუნქტი დდ)).

ბბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ნი-  
ნადადება მშობლებისათვის უზრუნველყოფს თავიანთი შვილების მოვლისა და  
აღზრდის ბუნებრივ უფლებას და გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის  
პირველ და მე-2 პუნქტებთან ერთად ასევე მოიცავს მშობლების მიერ შვილე-  
ბის აღზრდას რელიგიური და მსოფლმხედველობრივი კუთხითაც. შესაბამისად,  
პირველ რიგში, მშობლების საქმეა, მიანოდონ შვილებს მათთვის მისაღები რე-  
ლიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებები (იხ: BVerfGE 41, 29 [44,  
47]; 52, 223 [236]; 93,1 [17]). აღნიშნულს შეესაბამება ასევე შვილებისათვის იმ  
რელიგიური მოსაზრებებისა და შეხედულებების თავიდან არიდების უფლება,  
რომლებსაც მშობლები მცდარად ან საზიანოდ მიიჩნევენ (იხ: BVerfGE 93, 1  
[17]). თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არ ამკვი-  
დრებს მხოლოდ და მხოლოდ მშობლის აღმზრდელობით უფლებას. მშობლებთან  
ერთად დამოუკიდებელ და შესაბამის სფეროში მათთან გათანაბრებულ აღმზრ-  
დელად გვევლინება ასევე სახელმწიფო, რომელსაც გერმანიის ძირითადი კანო-  
ნის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით ევალება სასკოლო განათლების კონტროლი  
და ზედამხედველობა და რომელიც სკოლის ფარგლებში საკუთარ აღმზრდელო-  
ბით ფუნქციას ასრულებს (იხ: BVerfGE 34, 165 [183]; 41, 29 [44]). საკითხი, თუ  
ცალკეულ შემთხვევაში როგორ უნდა შესრულდეს სახელმწიფოსათვის დაკის-  
რებული ამოცანა და განსაკუთრებით, რა მასშტაბითა და მოცულობით არის  
დასაშვები სკოლებში რელიგიური მიმართებები, ექვემდებარება და უნდა გა-  
დაიჭრას გერმანიის ძირითადი კანონითა და განსაკუთრებით – ძირითადი კანო-  
ნის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ლანდების მიერ  
სასკოლო განათლების სტრუქტურის განსაზღვრის ფარგლებში (იხ: BVerfGE 41,  
29 [44, 47]; 52, 223 [242]).

გგ) და ბოლოს, მომჩივნის მიერ სკოლაში და გაკვეთილზე თავსაფრის ტა-  
რების მეშვეობით საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამოვლენის თავისუ-  
ფლების მოთხოვნა უპირისპირდება მოსწავლეთა ნეგატიური რწმენის უფლე-  
ბას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები,  
რომლებიც თანაბრად იცავს რწმენის თავისუფლების ნეგატიურ და პოზიტიურ  
გამოვლინებებს, უზრუნველყოფს ასევე პირის იმ რელიგიური ცერემონიალე-  
ბისა და ქმედებებისათვის თავის არიდების თავისუფლებას, რომლებსაც იგი  
არ იზიარებს. ეს ასევე ვრცელდება სიმბოლოებსა და კულტებზე, რომლებიც  
წარმოადგენს შესაბამისი რელიგიისა თუ სარწმუნოების გამოხატულებას. გერ-  
მანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლი ცალკეულ ადამიანს ანდობს იმის გა-  
დანყევტას, თუ რომელი რელიგიური სიმბოლოებია მისთვის სათაყვანო და რო-  
მელი – მიუღებელი. თუმცა, ისეთ საზოგადოებაში, რომელიც უზრუნველყოფს  
სხვადასხვა რელიგიური შეხედულებისა და მიმდინარეობის „თანაცხოვრებას“,  
ცალკეულ ადამიანს არა აქვს უფლება, სრულად აარიდოს თავი სხვა სარწ-  
მუნოების გამოვლინებებს, საკულტო ქმედებებსა და რელიგიურ სიმბოლოებს.  
მაგრამ ამისაგან უნდა განვასხვაოთ სახელმწიფოს მიერ ხელოვნურად შექმნილი  
სიტუაცია, როცა ცალკეული ადამიანი, ყოველგვარი თავის არიდების შესაძლე-  
ბლობის გარეშე, მოქცეულია გარკვეული სარწმუნოების, იმ ქმედებებისა და  
სიმბოლოების გავლენის ქვეშ, რომელთა მეშვეობითაც ეს რელიგია ჰპოვებს თა-  
ვის გამოხატულებას (იხ: BVerfGE 93, 1 [15]). აქედან გამომდინარე, გერმანიის  
ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებული

თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ცხოვრებისეულ სფეროში, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოების თვითგანკარგვის საგანს, არამედ იმყოფება სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ (იხ: BVerfGE 41, 29 [49]); აღნიშნული ამყარებს გერმანიის ძირითადი კანონის 140-ე მუხლითა და გერმანიის ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც, აკრძალულია ადამიანის იძულება რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

დღ) გერმანიის ძირითადი კანონი ლანდებს [ფედერალურ ერთეულებს] საკმაო თავისუფლებას ანიჭებს სასკოლო განათლების სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში. გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლი საჯარო სკოლების მსოფლმხედველობრივ-რელიგიური კუთხით მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას ლანდებისათვის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას ითვალისწინებს, სასკოლო განათლების ზედამხედველი ორგანოების საქმიანობისა და მითითებების ფარგლებში (იხ: BVerfGE 41, 29 [44]; 52, 223 [242]). ერთი მხრივ, მასწავლებლების პოზიტიური რწმენის თავისუფლებასა და სახელმწიფოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობის ვალდებულებას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, მშობლების აღმზრდელობით უფლებასა და მოსწავლეების რწმენის ნეგატიურ თავისუფლებას შორის არსებული დაძაბულობის განეიტრალება, ტოლერანტობის პრინციპის გათვალისწინებით, ევალება ლანდის დემოკრატიულ კანონმდებელს, რომელიც ვალდებულია, ნების ჩამოყალიბების საჯარო პროცესში გამოავლინოს ყველასათვის მისაღები კომპრომისი. თავისი ნორმების შემუშავებისას მან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგით: ერთი მხრივ, სასკოლო განათლების ფარგლებში გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლი, მშობელთა აღმზრდელობითი უფლებების გათვალისწინებით, უშვებს რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ გამოვლინებებსა და გავლენას და, მეორე მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, სასკოლო განათლების სახეობისა და ფორმის შერჩევისას მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს მსოფლმხედველობრივი და რელიგიური ზენოლა. გერმანიის ძირითადი კანონის ეს ნორმები უნდა ჩაითვალოს ერთ მთლიანობად, მათი ინტერპრეტაცია და მოქმედების სფერო უნდა შეუთავსდეს ერთმანეთს. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ცალკეულ ლანდს შეუძლია შეიმუშაოს განსხვავებული ნორმები, ვინაიდან ოქროს შუალედის ძიებისას შესაძლებელია სასკოლო ტრადიციების, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სარწმუნოებისა და მათი მეტ-ნაკლებად ძლიერი და ღრმა რელიგიური ფესვების გათვალისწინება (იხ: BVerfGE 41, 29 [50]; 93, 1 [22]).

ზემოთ აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა გაეცეს პასუხი შეკითხვას, თუ რა მასშტაბითა და მოცულობით შეიძლება დაეკისროთ პედაგოგებს, მათი სკოლაში წარდგომისა და ქმედების კუთხით, სახელმწიფოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობის პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები, მათი ინდივიდუალური ძირითადი უფლების, კერძოდ, რწმენის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე.

5. პედაგოგების მიერ სკოლაში და გაკვეთილზე რელიგიური და მსოფლმხედველობრივი მიმართებების შემოტანამ და დამკვიდრებამ შეიძლება შეზღუდოს სახელმწიფოს მიერ ნეიტრალურობის პრინციპის დაცვით განსაზოციელებელი აღმზრდელობითი ფუნქცია, მშობელთა აღმზრდელობითი უფლებები და მოსწავლეთა რწმენის ნეგატიური თავისუფლება. აღნიშნული, როგორც მინიმუმი, ქმნის მოსწავლეებზე ზეგავლენისა და მშობლებთან კონფლიქტის შესაძლებლობას, რაც იწვევს სკოლაში მშვიდობიანი ვითარების დარღვევას. ამით კი, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებას. ასეთი შედეგი

შეიძლება გამოინვიოს მასწავლებლის რელიგიით განპირობებულმა ტანსაცმელმა, რომელიც აღიქმება მისი რელიგიური შეხედულებების გამოვლინებად. თუმცა, აქ საუბარია აბსტრაქტულ საფრთხეებზე. იმისათვის, რომ მასწავლებლის ჩაცმულობით გამოწვეული ამგვარი სავარაუდო და შესაძლო საფრთხე ან კონფლიქტი და არა უკვე განხორციელებული კონკრეტული ქმედება, რომელიც აღიქმება ზეგავლენის მოხდენის მცდელობად და მოსწავლეების მიმართ მისიონერული ამოცანების განხორციელებად, შეფასდეს საჯარო მოხელის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევად და მისი საჯარო სამსახურში დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორად, სავალდებულოა სათანადოდ განსაზღვრული კანონიერი საფუძველი, ვინაიდან ეს შეფასება დაკავშირებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით უპირობოდ და ყოველგვარი დათქმის გარეშე გათვალისწინებული ძირითადი უფლების შეზღუდვასთან. ნინამდებარე შემთხვევაში კი ასეთი საფუძველი არ არის მოცემული....

6. შესაბამისი ლანდის კანონმდებლის ნებაზე დამოკიდებული ზემოთ აღნიშნული კანონიერი საფუძვლის შექმნა, რითაც შესაძლებელია სკოლებში რელიგიური მიმართებებისა და გამოვლინებების დასაშვები მასშტაბის ახლებური მონესრიგება კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით. ამ საკითხების მონესრიგებისას კანონმდებელი ვალდებულია, სათანადოდ გაითვალისწინოს და დაიცვას პედაგოგებისა და მოსწავლეების რწმენის თავისუფლება, მშობელთა აღმზრდელობითი უფლებები და ასევე - სახელმწიფოს მსოფლმხედველობრივი და რელიგიური ნეიტრალობის ვალდებულება....

ბ

გადანყვეტილება მიღებულია ხუთი ხმით სამის ნინააღმდეგ...

**გერმანიის ძირითადი კანონის  
მე-5 მუხლთან დაკავშირებით:**

**ა) აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება**

**E – 7, 198**

1. ძირითადი უფლებები, პირველ რიგში, არის მოქალაქეთა დამცავი უფლებები სახელმწიფოს ნინააღმდეგ; მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები ამკვიდრებს და განასახიერებს ასევე ღირებულებათა ობიექტურ სისტემას, რომელიც, როგორც კონსტიტუციური გადანყვეტილება, მოქმედებს სამართლის ყველა სფეროში.
2. სამოქალაქო სამართალში ძირითადი უფლებების იურიდიული მოცულობა და შინაარსი გამოხატულია არაპირდაპირ, კერძო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. აღნიშნული, პირველ რიგში, გადმოცემულია სავალდებულო ნორმებით და მოსამართლისათვის კი განსაკუთრებით ზოგადი დათქმების მეშვეობით არის რეალიზებული.
3. სამოქალაქო საქმეთა განმხილველმა მოსამართლემ შესაძლოა, დაარღვიოს ძირითადი უფლებები (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის



- კანონის 90-ე მუხლი), თუ იგი ვერ შეიცნობს და ჩასწვდება ძირითადი უფლებების გავლენას სამოქალაქო სამართალზე. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებს ამონებს მხოლოდ ამგვარ დარღვევებზე და არა – ზოგადად სამართლებრივ ხარვეზებზე.
4. სამოქალაქო ნორმებიც შესაძლოა, იყოს „ზოგადი კანონი“ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.
  5. თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, აზრის გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, „ზოგადი კანონის“ ცნება უნდა განიმარტოს სწორედ ამ მნიშვნელობის კუთხითა და ფონზე.
  6. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლება იცავს არა მხოლოდ აზრის გამოხატვას, არამედ ასევე საკუთარი აზრის გამოხატვის მეშვეობით – სულიერ და გონიერ შემოქმედებასაც.
  7. აზრის გამოხატვა, რომელიც შეიცავს მოწოდებებს ბოიკოტისადმი, ავტომატურად არ ენიშნაღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ ნორმებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლის გაგებით; იგი საქმის ყველა გარემოების ურთიერთშეფარდებისას შესაძლოა, კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული იყოს აზრის გამოხატვის თავისუფლების საფუძველზე.

#### პირველი პალატის 1958 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება

საქმე: პალატის დირექტორის – ერიხ ლიუთის საკონსტიტუციო საჩივარი ჰამბურგის ლანდის სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

..... ჰამბურგის ლანდის სასამართლომ 1951 წლის 22 ნოემბერს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

„მოპასუხეს სასამართლოს მიერ დასადგენი ფულადი ჯარიმის ან პატიმრობის სასჯელის თავიდან ასაცილებლად დაეკისროს შემდეგი ქმედებებისაგან თავის შეკავება:

1. გერმანული კინოთეატრებისა და კინოგაქირავეების ფირმების მფლობელებისათვის მოწოდება, რომ მათ პროგრამაში არ ჩასვან პირველი მოსარჩელის მიერ პროდუცირებული და მე-2 მოსარჩელის მიერ ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასაქირაველად მიღებული ფილმი „უკვდავი საყვარელი“;

2. გერმანელი მყურებლისათვის მოწოდება, არ ნახონ აღნიშნული ფილმი<sup>12</sup>.

ლანდის სასამართლო მომჩივნის ბოიკოტის შემცველ მოწოდებებში ხედავს ამორალურობას.

ლანდის სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო ხელისუფლების აქტია, რომელიც გამოხატულია სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული ფორმით და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არღვევდეს მომჩივნის ძირითად უფლებას, თუ ეს უფლება გასათვალისწინებელი იყო გადაწყვეტილების მიღებისას.

გადაწყვეტილება უკრძალავს მომჩივანს ისეთ განცხადებებს, რომელთა მეშვეობითაც მან შესაძლოა, სხვებზე მოახდინოს გავლენა იმ თვალსაზრისით, რომ მათ გაიზიარონ მომჩივნის აზრი რეჟისორ ჰარლანის კონოსამყაროში გამოჩენასთან დაკავშირებით და მისი ფილმების მიმართ გამოამყვანონ ისეთივე დამოკიდებულება. ობიექტურად ეს ნიშნავს მომჩივნის აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლების

12 ფილმი გადაღებულია რეჟისორ ვაიტ ჰარლანის მიერ, რომელსაც გადაღებული აქვს ანტისემიტური ფილმი „Jud Süß“.

შეზღუდვას. ლანდის სასამართლო თავის გადანყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ იგი მომჩივნის განცხადებებს მიიჩნევს დელიქტურ ქმედებად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლის გაგებით მოსარჩელების წინააღმდეგ და, შესაბამისად, ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე მომჩივანს აკისრებს ზემოთ აღნიშნული ქმედებებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას. ამგვარად, ლანდის სასამართლოს მიერ მოსარჩელების სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მიყვავართ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამდე. თუმცა, საჯარო ხელისუფლების აქტით გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლების დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი უფლების დამამკვიდრებელი ნორმა იმდენად დიდ გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართლის გამოყენებულ ნორმებზე, რომ შეუძლებელია მისი ასახვა და დასაბუთება სასამართლო გადანყვეტილებაში.

ზოგადად საკითხი, თუ რამდენად ახდენს გავლენას ძირითადი უფლებები სამოქალაქო სამართალზე და რაში უნდა მდგომარეობდეს ეს გავლენა ცალკეულ შემთხვევაში, დისკუსიების საგანია (აქტუალურ დისკუსიებთან დაკავშირებით იხ.: Laufke Heinrich Lehmann-ის საიუბილეო კრებულში, 1956, Band I, S. 145 (ტომი I, გვ. 145) და Dürig Nawiasky-ის საიუბილეო კრებულში, 1956, S. 157 ff. - გვ. 157-დან). აღნიშნულ დავაში უკიდურესი პოზიციები გამოიხატება, ერთი მხრივ, იმ მოსაზრებაში, რომ ძირითადი უფლებები მიმართულია მხოლოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ – განმარტებებში, რომელთა მიხედვითაც ძირითადი უფლებები, განსაკუთრებით მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებები, ასევე მოქმედებს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც ნებისმიერი პირის მიმართ. თუმცა, ვერც ერთი მოსაზრება ამ ორი ექსტრემალური პოზიციიდან ვერ დაეყრდნობა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. მოცემულ შემთხვევაშიც არ არსებობს იმის მასშტაბური განხილვის აუცილებლობა, თუ რამდენად მოქმედებს ძირითადი უფლებები მესამე პირების მიმართ. სწორი და განონასწორებული შედეგების მიღებისთვის საკმარისია შემდეგი:

ეჭვგარეშია, რომ ძირითადი უფლებების პირველადი დანიშნულებაა, დაცვას თითოეული მოქალაქე საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან; ამგვარად, ძირითადი უფლებები წარმოადგენს მოქალაქეების სახელმწიფოსაგან თავდაცვის უფლებას. აღნიშნული გამომდინარეობს ძირითადი უფლებების იდეის ისტორიული განვითარებიდან და იმ ისტორიული მოვლენებიდან, რამაც გამოიწვია სახელმწიფოების მიერ ძირითადი უფლებების დამკვიდრება და ასახვა თავიანთ კონსტიტუციებში. იგივე დანიშნულება აქვს გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებსაც, რომელიც ძირითადი უფლებების კანონის პირველ თავში განთავსებით ხაზს უსვამს ადამიანისა და მისი ღირსების უპირატესობას სახელმწიფოს ძალაუფლების წინაშე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ისიც, რომ კანონმდებელმა ამ უფლებების დასაცავად გაითვალისწინა განსაკუთრებული სამართლებრივი საშუალება, საკონსტიტუციო საჩივარი, რომელიც შეიძლება აღიძრას მხოლოდ საჯარო ხელისუფლების აქტების წინააღმდეგ.

მაგრამ ასევე მართებულია მოსაზრება, რომ გერმანიის ძირითადი კანონი, რომელიც სრულიადაც არ არის ნეიტრალური თავისი ღირებულებების მხრივ (იხ: BVerfGE 2, 1 [12]; 5, 85 [134, 197]; 6, 32 [40]), ძირითადი უფლებების ნაწილში ასევე ამკვიდრებს ღირებულებათა ობიექტურ სისტემას და სწორედ აქ არის გამოხატული ძირითადი უფლებების მოქმედებისა და გავლენის პრინციპული გაძლიერება. ეს ღირებულებათა სისტემა, რომლის ეპიცენტრია სოციალური საზოგადოების ფარგლებში

ბში თავისუფლად განვითარებული პიროვნება და ადამიანის ღირსება, როგორც პრინციპული კონსტიტუციური გადაწყვეტილება, უნდა მოქმედებდეს სამართლის ყველა სფეროში. აქედან იღებს მიმართულებებსა და იმპულსებს კანონმდებლობა, ადმინისტრაცია და მართლმსაჯულება. ამგვარად, აღნიშნული ასევე თავისთავად გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართალზეც. სამოქალაქო სამართლის არც ერთი ნორმა არ შეიძლება ენიხაღმდეგებოდეს ამ კონსტიტუციურ გადაწყვეტილებას, არამედ ყველა ნორმა უნდა განიმარტოს მის ფარგლებში და ამ უფლებების გათვალისწინებით. ძირითადი უფლებების, როგორც ობიექტური სამართლებრივი ნორმების, სამართლებრივი დანიშნულება სამოქალაქო სამართალში იკვეთება ამ სამართლებრივი სფეროს უშუალოდ მომცავი, დომინირებადი ნორმების საშუალებით. ისე, როგორც ახალი ნორმები უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი კანონით გათვალისწინებულ და დანერგილ ღირებულებათა სისტემას, ასევე ხდება ძველი, არსებული ნორმების აღნიშნულ სისტემაზე მორგება და მასთან შესაბამისობაში მოყვანა. სწორედ ამ სისტემიდან გამომდინარეობს მისი კონსტიტუციური დატვირთვა, რაც განაპირობებს მის განმარტებას. დავა კერძო პირებს შორის ისეთ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც ეყრდნობა სწორედ იმ ნორმებს, რომლებზეც დიდია ძირითად უფლებათა გავლენა, მატერიალურ-სამართლებრივადაც და პროცესუალურადაც მიიჩნევა სამოქალაქო-სამართლებრივ დავად. შესაბამისად, ხდება სამოქალაქო სამართლის ნორმების განმარტება და გამოყენება, თუმცა ეს განმარტება უნდა შეესაბამებოდეს საჯარო სამართალს ანუ იყოს კონსტიტუციური.

ძირითადი უფლებების მასშტაბების გავლენა განსაკუთრებით იკვეთება კერძო სამართლის იმ ნორმების მიმართ, რომლებიც მოიცავს ვალდებულებით სამართალს და ამით ემსახურება ფართო გაგებით საჯარო წესრიგის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას. კერძოდ, ეს იმ პრინციპების მატარებელი ნორმებია, რომლებიც საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე, ასევე სავალდებულოა ცალკეულ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისას და რომლებიც შესაბამისად არ მოიაზრება კერძო ნების გამოვლენის ფარგლებში. ამ ნორმებს თავიანთი მიზნიდან გამომდინარე ე.წ. ნათესაური კავშირი აქვს საჯარო სამართალთან, რომლის მიმართ მათ აქვთ დამატებებისა და განვრცობის ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციიდან აქ განსაკუთრებულად გამოკვეთილი უნდა იყოს კონსტიტუციური სამართლის გავლენა. მართლმსაჯულებას ამ გავლენის რეალიზებისათვის, პირველ რიგში, აქვს „საერთო, ზოგადი დათქმები“ [ე.წ. გენერალური დათქმები], რომლებიც, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლის მსგავსად, ადამიანის ქმედების შესაფასებლად მიუთითებს ისეთ მასშტაბებსა და კრიტერიუმებზე, როგორიცაა მორალი, ზნეობა, რომელიც სცდება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის, არამედ, საერთოდ – სამართლებრივ სფეროს.

## **E – 12, 113**

კანონიერი ინტერესი ვრცელდება აგრეთვე პრესაში გავრცელებულ საინფორმაციო მოსაზრებებზე, რომლებიც თავისი არსით მსგავსია ე.წ. პრესთავდასხმებისა და ასევე გავლენა აქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები; გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი).

ლანდის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის)  
საკონსტიტუციო საჩივრის საქმეზე

1954 წლის 17 მარტს მომჩივანმა ქალაქ შტუტგარტის "Allgemeine Zeitung"-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც რედაქციამ დაასათაურა შემდეგნაირად: „რაც უფრო მაღალია ჩექმა...“ და დაურთო ქვესათაური „გამალიზიანებელი ლიტერატურის მეშვეობით ფული უკეთ კეთდება“. ამონარიდი სტატიიდან:

„თქვენ მეკითხებით, თუ რას ვფიქრობ ჩემ შესახებ ჟურნალ "Spiegel"-ში დაბეჭდილ სტატიაზე.

... ვისი მოგონილია ეს სიცრუე, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ იგი "Spiegel"-მა გაავრცელა. ძალზე ხშირია სიმართლის გამიზნული გამრუდება, რაც გამომდინარეობს ინფორმაციის ხელმიუწვდომლობიდან. აღნიშნული წარმოადგენს პუბლიცისტიკის ისეთ უანრს, რომელიც პოლიტიკის სფეროში იგივეა, რაც პორნოგრაფია – მორალის სფეროში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი მათგანი ღიად შეიძლება ნაიკითხო. ეს არის ე.წ. გამალიზიანებელი, მიმზიდველი ლიტერატურა, რომელიც, როგორც ჩანს, საჭიროა ცივილიზაციის ფარგლებში. ამასთან, გადამწყვეტია ქუსლის სიმაღლე. ხოლო ყოველივეს შედეგად მიღებულ ხარისხთან დაკავშირებით კი მოვიშველიებ კარლ კრაუზის სიტყვებს:

„რაც უფრო მაღალია ჩექმა, მით უფრო მაღალია ქუსლიც“.

„Botnanger Rundschau“-ში გამოქვეყნებული სტატიის საფუძველზე 1954 წლის 20 ივნისს ჟურნალ „Spiegel“-ის შესაბამის რუბრიკაზე პასუხისმგებელმა რედაქტორმა და იმავე წლის 23 ივლისს ასევე გამომცემელმაც აღძრეს სარჩელი მომჩივნის წინააღმდეგ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის გამო. ... მომჩივანს გეტინგენის ლანდის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეურაცხყოფის გამო დაეკისრა 150 მარკის გადახდა ან სანაცვლოდ – ერთკვირიანი პატიმრობა. მოსარჩელებს დაუდასტურდათ გამოქვეყნების უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია.

სასამართლო, რომელიც განიხილავს შეურაცხყოფის საქმეს, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლითა და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული პატივის დამცავი დებულებების სახით იყენებს ე.წ. ჩვეულებრივ სამართალს, რაც, ზოგადად, გამორიცხავს აღნიშნული სამართლის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გადამონმებას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გადაწყვეტილებები შესაძლებელია, შემონმდეს მხოლოდ იმ კუთხით, მოხდა თუ არა პატივის დამცავი დებულებების გამოყენებისას მთლიანი კანონის მორგება გერმანიის ძირითადი კანონის ღირებულებათა სისტემისა და ნესრიგის გათვალისწინებით და აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის შედეგად ხომ არ დაირღვა მოპასუხის ძირითადი უფლებები. მოცემულ შემთხვევაში ეს ასეც მოხდა. გეტინგენის ლანდის სასამართლოსა და ცელეს ლანდის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მომჩივნის ძირითად უფლებას, ვინაიდან ეს გადაწყვეტილებები არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების კონსტიტუციურ-სამართლებრივ მნიშვნელობას და, აქედან გამომდინარე, შეუსაბამოდ აფასებს აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების გავლენას პატივის დამცავი ნორმების განმარტებასა და გამოყენებაზე.

1. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პალატამ 1958 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებაშიც (იხ: BVerfGE 7, 198 [207]) განმარტა, რომ დამოკიდებულება აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითად უფლებასა და მის შემზღვეველ „საერთო სამართალს“ შორის არ უნდა იქნეს მიჩნეული ძირითადი უფლების მოქმედების ცალმხრივ შეზღუდვად ამ კანონების ფარგლებში და საფუძველზე. აქ ადგილი აქვს „ურთიერთმიმართებასა და ურთიერთგავლენას იმ გაგებით, რომ საერთო კანონები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა, ერთი მხრივ, ითვალისწინებს შეზღუდვებს ძირითადი უფლებების მიმართ, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნული კანონი განიმარტება თავისუფალი დემოკრატიის ფარგლებში ძირითადი უფლებების, როგორც ძირითადი ღირებულებების განმსაზღვრელის, მოქმედებიდან და გავლენიდან, რაც თავისთავად იწვევს ამ კანონების ძირითად უფლებათა შემზღვეველი ბუნებისა და მოქმედების თავის მხრივ შეზღუდვას.“ გერმანიის ძირითადი კანონი აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითად უფლებას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. როგორც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პალატას არაერთხელ აღუნიშნავს თავის გადაწყვეტილებებში, აზრის თავისუფალი გამოხატვა, როგორც პიროვნებისა და ინდივიდუალობის უშუალო გამოხატულება, ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ძირითადი უფლებაა, რაც მას განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. ამას გარდა, აღნიშნულ ძირითად უფლებას თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აქვს განსაკუთრებული ფუნქცია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ინტელექტუალურ, გონებრივ ბრძოლასა და იდეების, ინტერესების გაცვლას, რასაც ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს აღნიშნული სახელმწიფო სისტემის ფუნქციისათვის (იხ: BVerfGE 5, 85 [205]; 7, 198 [208]). მხოლოდ თავისუფალი საჯარო დისკუსია საყოველთაოდ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, რაც თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხორციელდება სხვადასხვა და სხვადასხვაგვარად მოტივირებული, თავისუფლად და შეუზღუდავად გამოსატული „პლურალისტული“ მოსაზრებებით – სიტყვა-პასუხის ფორმატში. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება თითოეულ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ამ საჯარო დისკუსიაში. პრესა, რადიოსა და ტელევიზიასთან ერთად, არის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი; აქედან, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განსაკუთრებულად იცავს პრესის თავისუფლებას.

აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების დიდი მნიშვნელობა და გავლენა განსაკუთრებულად უნდა იქნეს გათვალისწინებული პატივისა და აზრის თავისუფალი გამოხატვის ურთიერთშეფარდებისას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის გაგებით, მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ასპექტები. უზენაესი ფედერალური სასამართლო ითვალისწინებს აღნიშნულ მოსაზრებებს, როდესაც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის გამამართლებელ საფუძველს აფასებს აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების გამოხატულებად, მისი გამოყენებისას ითვალისწინებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მნიშვნელობას (იხ: BGHSt 12, 287 [293]) და როდესაც იგი [უზენაესი ფედერალური სასამართლო], თავისი ადრინდელი პრაქტიკისაგან განსხვავებით, პრესის მეშვეობით საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებას დემოკრატიულ სახელმწიფოში აღიარებს, როგორც მისი ფუნქციური, კანონიერი ინტერესის განხორციელებას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის გაგებით (იხ: BVerfGE 31, 308 [312])...

2. წინამდებარე შემთხვევაში სასამართლოებმა გარემოებები შეაფასეს მხოლოდ პირადი ღირსების დაცვისა და ღირსების შელახვით გამოწვეული მოთხოვნებისა და საგანგებო ინტერესების კუთხით, პრესის მეშვეობით გამოხატული და გაშუქებული ბრძოლისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, როგორც მისი შემადგენელი ელემენტის, თავისებურების შეფასების გარეშე.

... ჟურნალმა "Spiegel"-მა თავის მკითხველს სრული სიმართლის ნიღბით განზრახ შესთავაზა ნაწილობრივი სიმართლე.

მომჩივნის განმარტებების მიხედვით, მისი სტატიის ხასიათი განაპირობა ჟურნალ "Spiegel"-ის პუბლიკაციის ფორმამ და იმის საჭიროებამ, რომ იგი თავისი კომენტარით დაპირისპირებოდა ამ სტატიის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე. თუ ჟურნალი "Spiegel"-ი თავისი პუბლიკაციის ფარგლებში აცხადებდა, რომ მომჩივანმა სათანადოდ არ ისაუბრა დასაბუთებული ეჭვის თაობაზე, მაშინ საჯარო დისკუსიის ფარგლებში მოსალოდნელი და მისაღები უნდა იყოს ის გარემოება, რომ "Spiegel"-ი გააკრიტიკეს ზემოთ აღნიშნული მოსაზრების გავრცელების გამო. მაშასადამე, ჟურნალმა "Spiegel"-მა თავად გამოიწვია საკუთარი პუბლიკაციის უარყოფითი შეფასება (იხ: BGHSI 12, 287 [294]) და უნდა მიეღო კიდევ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეფასება აისახებოდა მის იმიჯზე. ლანდის სასამართლოს მიერ მომჩივნისათვის მიანიჭებული უფლებამოსილება მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების „საქმიან და ობიექტურ განხილვასთან“ დაკავშირებით, არ არის საკმარისი ჟურნალ "Spiegel"-ში დაბეჭდილი ვოლგას სტატიის იმ გავლენის მიმართ, რაც ამ პუბლიკაციამ მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე. ვინაიდან სტატია თავის ძირითად ეფექტს უნდა უმადლოდეს არა სიცრუეს, არამედ – ფაქტების დამალვასა და აქცენტების გადატანას, საკმაოდ რთული იყო საპირისპირო მოსაზრებების წარდგენა და ფაქტობრივად გამოირიცხა რეიტინგული ჟურნალის პუბლიკაციის გავლენისა და მისი შედეგების გადალახვა და გადაფარვა.

და ბოლოს: თუ სასამართლოები არ დაუშვებენ მომჩივნის მიერ ჟურნალ "Spiegel"-ის პუბლიკაციის შეფასებას მკითხველის ინტერესის გამაღიზიანებელ და გამახალისებელ საშუალებად და მის შედარებას პორნოგრაფიის მსგავს გამოხატულებებთან, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გამომდინარეობს შემდეგიდან: მომჩივანს კანონიერი ინტერესი გააჩნდა მხოლოდ თავისი პატივის დაცვასთან დაკავშირებით, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის გაგებით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის გავლენა, რომელიც ასევე ვრცელდება აღნიშნულ ნორმაზე, მოითხოვს, რომ მომჩივნის მოსაზრებები შეფასდეს საზოგადოებისათვის შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგ განხორციელებულ საწინააღმდეგო შეტევად და აღიარებულ იქნეს მისი კანონიერი ინტერესი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობაზე. ვინაიდან სასამართლოს გადანყვეტილებები არ ეყრდნობა ზემოთ აღნიშნული საკითხების შემოწმებას, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დარღვევულად მიიჩნევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებას.

## **E – 25, 256**

პოლიტიკური მოტივებით ბოიკოტის მონოდეტები პრესის ერთ-ერთი ორგანოს წინააღმდეგ, რომელიც ეკონომიკური ზენოლის საშუალებებით უნდა განხორციელდეს, არ არის დაცული აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლებით და ეწინააღმდეგება პრესის თავისუფლების ძირითად უფლებას.

მომჩივანი იყო, ძირითადად, ჰამბურგის ტერიტორიაზე გავრცელებული, ყოველკვირულ გაზეთ "Blinkfuer"-ის გამომცემელი და მთავარი რედაქტორი. გაზეთის დამატებით საინფორმაციო გვერდზე იბეჭდებოდა დასავლეთ და ცენტრალური გერმანიის და ასევე ბერლინის აღმოსავლეთ სექტორის რადიოსა და ტელევიზიის პროგრამები.

გამომცემლობები: Axel Springer & Sohn KG, Hammerich & Lesser KG და Die Welt Verlags-GmbH (შემდგომში – მოპასუხეები) მოცემული შემთხვევისათვის წარმოადგენდნენ ათი, საკმაოდ რეზონანსული გაზეთის გამომცემლებს. 1961 წლის აგვისტოს ბოლოს მოპასუხეებმა ჰამბურგის ჟურნალ-გაზეთით მოვაჭრე ყველა სუბიექტს დაუგზავნეს შემდეგი შინაარსის წერილი:

*ძვირფასო კოლეგა,*  
*იმ მოურიდელებმა ძალმომრეობამ, რომელიც გაბატონებულია აღმოსავლეთ ბერლინისა და მთელი მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ, მთელ მსოფლიოში აღშფოთება გამოიწვია. ჩვენი ძმებისა და დების წინააღმდეგ განხორციელებული სამართალდარღვევებისა და იძულებითი ღონისძიებების ჯაჭვი უწყვეტია. ჩვენ, ვინც გერმანიის თავისუფალ ნაწილში ვიმყოფებით, არ გვაქვს უფლება, შევეგუოთ ყოველივეს და მხოლოდ მდუმარე რისხვით, მაგრამ შესაბამისი მოქმედებისა და რეაგირების გარეშე, ვიკითხოთ ყოველდღიურად ასეთი უსამართლობის შესახებ. თითოეულის მოვალეობაა, დაიცვას თავისუფლება საკუთარ სფეროში. ბოლო დროს განვითარებული განსაკუთრებული მოვლენები გერმანიაში მოქმედი ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სუბიექტებისგანაც მოითხოვს მკაფიო გადანყვეტილებებს. უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გავლენის მქონე პირები რადიოსა და ტელევიზიას იყენებენ პროპაგანდის ინსტრუმენტად. ხშირია ისეთი ფილმებისა და გასართობი გადაცემების თვითნებური შეწყვეტა, რომლებიც, პროგრამაში მითითებული დახასიათებიდან გამომდინარე, არაპოლიტიკური ხასიათისაა და მათ ნაცვლად აწყობენ SED-ის (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია) პროპაგანდისტების გამოსვლების ტრანსლაციას. აღნიშნულ გამოსვლებში ჩვენ მიმართ ენევიან მდაბიო ცილისმნამებლური კამპანიას და აყალბებენ ბერლინში განვითარებულ მოვლენებს.*

*ყოველივე ამის ფონზე წარმოუდგენელია, რომ კიდევ არსებობენ სპეკულანტები, რომლებიც თანხმდებიან აღმოსავლეთ ზონის პროგრამების დაბეჭდვას და ამით პანკოვიდან [ქ. ბერლინის ერთ-ერთი რაიონი] – სიცრუის გავრცელებას. ჩვენი ხალხისათვის ასეთი ძნელბედობის ჟამს ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე იმ სუბიექტებმა, რომლებსაც აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, თავი უნდა შეიკაფონ ისეთი გაზეთების გავრცელებისაგან, რომლებიც დღესაც აცხადებენ მზადყოფნას დაბეჭდონ აღმოსავლეთის ზონის რადიო და სატელევიზიო პროგრამები. ასეთებია: "Bildfunk", "Fernsehprogramme" და "Lotto-Toto-Express"-ი. გამომცემლები Axel Springer-ი და Die Welt-ი დარწმუნებულები არიან, რომ მათი კლიენტთა დიდი უმრავლესობა გაიზიარებს ამ მოსაზრებებს და იმოქმედებს მათ შესაბამისად. ამასთან, ჩვენი განზრახვა ნამდვილად არ არის ის, რომ წინდახედულ ადამიანებს თავიანთი ქმედების გამო წარმოექმნათ რაიმე დანაკლისი. აქედან გამომდინარე, თუ გამოჩნდებიან ისეთი მოვაჭრე სუბიექტები, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში ორიენტირებული იქნებიან მოგებაზე და, შესაბამისად, თავიანთი სავაჭრო ობიექტებით გააგრძელებენ „უღბრიხტის“ პროპაგანდას, მაშინ ზემოთ აღნიშნული გამომცემლობები გადაამონ-*

მებენ, თუ რამდენად შესაძლებელი და გამართლებული იქნება ასეთ მოვაჭრეებთან საქმიანი ურთიერთობების გაგრძელება.

მოცემულ სიტუაციაში თქვენ გაიგებთ აღნიშნული მიმართვის საჭიროებას. იმოსათვის, რომ მოახერხოთ თქვენი კლიენტების სათანადო ფორმით ინფორმირება, თქვენი ბიზნესად მოვაჭრე პარტნიორი მოგანვდით ბროშურებს/სარეკლამო ფურცელს (იხ. თანდართული ნიმუში). უჩვენეთ საზოგადოებას ქმედებით, რომ თქვენ, როგორც ყურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სუბიექტებს, გააზრებული და შეგნებული გაქვთ საკუთარი პასუხისმგებლობა გერმანელი მკითხველის წინაშე.

საუკეთესო სურვილებით,  
გამომცემლობა Axel Springer  
გამომცემლობა Die Welt

აღნიშნულ მიმართვას თანდართული პქონდა შემდეგი შინაარსის სარეკლამო ფურცლის ნიმუში: არაავითარი აღმოსავლეთის პროგრამები!

პოლიტიკურად დაძაბული დრო ყველასაგან მოითხოვს მკაფიო და კატეგორიულ გადანყვეტილებებს. გერმანიის ყურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სექტორმა უკვე მიიღო გადანყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მისი ეროვნული ვალია, დროებით აღარ გაავრცელონ ისეთი გაზეთები, რომლებიც ბეჭდავენ აღმოსავლეთ ზონის რადიო და სატელევიზიო პროგრამებს.

აღმოსავლეთის რადიო და ტელემაუწყებლები იქცნენ პროპაგანდის ინსტრუმენტად. ჩვენ მიმართ ხორციელდება მდაბიო ცილისწამება და ბერლინში განვითარებული მოვლენების უსირცხვილო გაყალბება. ხდება მაღალი დონის გასართობი გადანყვეტილებისა და ძველი ფილმების ჩვენების თვითნებური შეწყვეტა SED-ის (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია) პროპაგანდისტების გამოსვლების ტრანსლაცია და გაავრცელების მიზნით. გერმანიის ყურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სექტორმა იცის, თუ რა უნდა გააკეთოს: იგი არ არის მზად, იქცეს ინსტრუმენტად „ულბრიხტ“-ის ხელში.

არსებობს ბევრი სხვა, კარგი პროგრამული ჟურნალი, რომელიც სრულყოფილად მოგანვდით ინფორმაციას რადიოსა და ტელევიზიის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ნებისმიერ დროს სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას. მაგრამ ისეთი ჟურნალ-გაზეთებისათვის, რომლებიც ბეჭდავენ აღმოსავლეთის პროგრამებს, დღეიდან ადგილი აღარ გვაქვს. გთხოვთ, გაგებით მოეკიდოთ აღნიშნულ გარემოებას.

პატივისცემით  
ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი

მომჩივანი აცხადებს, რომ მოპასუხეები მას უნევენ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, ვინაიდან მათი მიმართვები შეიცავს ბოიკოტის მონოდეტებს მომჩივნის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც მან აღძრა აღიარებითი სარჩელი, რომ მოპასუხეებს ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ჰამბურგის ლანდის სასამართლომ და ლანდის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილეს აღნიშნული მოთხოვნა, რაზეც მოპასუხემ აღძრა საკასაციო საჩივარი. უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ 1963 წლის 10 ივლისის გადანყვეტილებით (იურიდიული ჟურნალები: NJW 1964, გვ. 29, JZ 1964, გვ. 95) გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, არ დააკმაყოფილა სარჩელი და მომჩივანს დააკისრა სამართლებრივი დავის ხარჯების გადახდა.

უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილების წინააღმდეგ მომჩივანმა შეიტანა საკონსტიტუციო საჩივარი, რომელშიც მიუთითებს, რომ მის მიმართ



დაირღვა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია.

საერთო სასამართლოში მიმდინარე საქმე წარმოადგენდა სამოქალაქო-სამართლებრივ დავას, რომელიც უნდა გადაწყდეს კერძო სამართლის ნორმების მიხედვით. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის ძირითად უფლებათა ნაწილში დამკვიდრებული ობიექტურ ღირებულებათა სისტემა ვრცელდება აღნიშნული ნორმების განმარტებაზე, რამდენადაც ეს ნორმები განიმარტება კონსტიტუციურ-სამართლებრივ კონტექსტში (იხ: BVerfGE7, 198 [205]). გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში კონსტიტუციური სამართალი მნიშვნელოვანია დარღვევის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დადგენისათვის. აქ, ერთი მხრივ, უნდა შემოწმდეს, რამდენად მოიცავს აზრის თავისუფლების უფლება ბოიკოტის შემთხვევებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, უნდა განიხილოს, რამდენად შეუძლია მომჩივანს მოითხოვოს პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების განხორციელება. უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მოპასუხის მხარისთვის სათანადოდ ვერ შეაფასა აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლების მასშტაბი; მომჩივნის მხარისთვის კი მან არ გააანალიზა პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება.

1. უზენაესი ფედერალური სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეების მიმართვა გარკვეული გაზეთების გავრცელებისაგან თავის შეკავების შესახებ და მითითება თანამშრომლობის შესაძლო შეწყვეტასთან დაკავშირებით გამართლებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების საფუძველზე, რითაც სასამართლომ ზედმეტად განავრცო აღნიშნული ძირითადი უფლების დაცვის მასშტაბი.

მოპასუხეთა მონოღება ყურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სექტორისადმი, განურჩევლად იმისა, თუ რა მოტივაცია უდევს საფუძველად, წარმოადგენს ბოიკოტისაკენ მონოღებას. მოპასუხეთა ეკონომიკური სტატუსისა და ყურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სუბიექტების მიმართ განხორციელებული თანამშრომლობის შეწყვეტასთან დაკავშირებული მითითებების მიხედვით მიიჩნევა, რომ ამ მონოღების საფუძველზე შესაძლებელია, ადრესატებს ჩამოერთვათ თავისუფალი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა.

ბოიკოტისაკენ მონოღება, რასაც საფუძველად უდევს გარკვეული აზრის გავრცელება, განსაკუთრებით მაშინ არის დაცული გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, როდესაც იგი გამოიყენება ისეთი აზრობრივი ბრძოლის საშუალებად, რომელიც არსებითად ეხება საზოგადოების ინტერესს. ანუ საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საქმე ეხება არა პირად უთანხმოებებს, არამედ – საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მოთხოვნებზე ზრუნვას (იხ: BVerfGE7, 198 [212]). ბოიკოტისაკენ მონოღება იმ შემთხვევაშიც მოიაზრება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დაცვის ქვეშ, როდესაც მომწოდებელი ბოიკოტირებულ პირთან იმყოფება პროფესიულ, კომერციულ თუ სხვა კონკურენტულ ურთიერთობაში, ვინაიდან ეს სიტუაცია ჯერ კიდევ არ გამოორიცხავს ზემოთ აღნიშნული აზრობრივი ბრძოლის არსებობას. თუ ბოიკოტისაკენ მომწოდებელი ფლობს გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობას, მაშინ შესაძლებელია ამ საფუძველით ბოიკოტისკენ მონოღებასა და მის მიერ აზრის გამოხატვა-გავრცელებას მიენიჭოს განსაკუთრებული დატვირთვა. თუმცა, აღნიშნული საფუძველით ბოიკოტი ჯერ კიდევ არ მიიჩნევა დაუშვებლად, ვინაიდან კონსტიტუციის თანახმად, ეკონომიკური უპირატესობის მქონე პირსაც აქვს უფლება, წარმართოს აზრობრივი ბრძოლა.

თუმცა, ბოიკოტისაკენ მომწოდებლის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. ბოიკოტისაკენ მოწოდება მაშინ არ არის დაცული აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებით, როდესაც იგი არ ეყრდნობა მხოლოდ გონებრივ არგუმენტებს ანუ არ იზღუდება განმარტებებისა და მოსაზრებების დამაჯერებლობით, არამედ იყენებს ისეთ საშუალებებს, რომლებიც მოწოდების ადრესატს ართმევს შესაძლებლობას, გადანყვეტილება მიიღოს სრული შინაგანი თავისუფლების საფუძველზე და ყოველგვარი ეკონომიკური ზენოლის გარეშე. ასეთი ზენოლის შემთხვევებია, როდესაც ემუქრებიან ან აძლევენ მითითებებს შესაძლო ზარალთან დაკავშირებით, ასევე იყენებენ სოციალურ და ეკონომიკურ დამოკიდებულებას, როდესაც აღნიშნულის შედეგად ბოიკოტისაკენ მოწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გონებრივი დისკუსიისა და განხილვის თავისუფლება არის აუცილებელი წინაპირობა თავისუფალი დემოკრატიის არსებობისათვის, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის უზრუნველყოფილი ისეთი საკითხების საჯარო განხილვა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების საგანს და ასევე სახელმწიფო მნიშვნელობის მატარებელია (იხ: BVerfGE 5, 85 [205]; BVerfGE 7, 198 [212, 219]; 20, 162 [174]). ეკონომიკური ზენოლის განხორციელება, რომელიც პირისათვის დიდი ზარალის მომტანია და ემსახურება აზრისა და ცნობების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი გავრცელების დაბრკოლებას, ეწინააღმდეგება შანსთა თანასწორობას აზრის ჩამოყალიბების პროცესში. იგი ასევე ეწინააღმდეგება აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების აზრსა და არსს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აზრთა გონებრივი ბრძოლა.

მოპასუხეთა ქმედების აღნიშნული კრიტერიუმებით შეფასება მეტყველებს იმაზე, რომ უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ზედმეტად განავრცო აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების დაცვის ფარგლები...

მოპასუხეთა მიერ ბოიკოტისაკენ მოწოდებისას გამოყენებული საშუალებები არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ ძირითად უფლებას. მოპასუხეებს თავიანთი მოსაზრება აღმოსავლეთ ბლოკის რადიო და სატელევიზიო პროგრამების დაბეჭდვასა და საზოგადოებაში გავრცელებასთან დაკავშირებით რომ გაეგრძელებინათ მათ მიერ გამოცემულ გაზეთებში და მათ მიერ შესაბამისი ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ მოწოდებული ბოიკოტი შეზღუდულიყო მხოლოდ თავიანთი მკითხველებით, მაშინ აღნიშნული ქმედება ვერ გამტყუნდებოდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეები, რომლებმაც გაითავისეს საზოგადოებრივი ინტერესები, მიმართავენ იმ ხალხს, ვინც უნდა ყოფილიყო ამ განცხადებების ადრესატი და ვისაც უშუალოდ ეხებოდა ეს მოწოდება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მათი წერილობითი მიმართვა ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სუბიექტებისადმი არ იყო ადეკვატური საშუალება, რომ გამართულიყო მსჯელობა აღმოსავლეთ ბლოკის რადიო და სატელევიზიო პროგრამების გამოქვეყნების დასაშვებობასა და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს ადრესატები, ეკონომიკური ან სამართლებრივი თვალსაზრისით, დამოკიდებულნი იყვნენ მოპასუხეებზე...

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივი გარემოებები არსებითად განსხვავდება ე.წ. „ლუთის“ (Lüth) გადანყვეტილებისაგან (BVerfGE 7, 198). პალატის დირექტორის – ლუთის მოწოდებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, ვერც უშუალოდ და ვერც რაიმე სხვა ფორმით ვერ შეზღუდავდა ფილმის რეჟისორ ჰარლანის, როგორც ხელოვანისა თუ პიროვნების, განვითარებას, ვინაიდან

ლუთს არ გააჩნდა ზენოლის რაიმე საშუალება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დატვირთვას შესძენდა მის მონოდებებს. მას შეეძლო მხოლოდ ყურადღება გაემახვილებინა მისი მონოდებების ადრესატთა პასუხისმგებლობის გრძნობასა და ზნეობრიობაზე, ხოლო გადანყვეტილების მიღება, გაითვალისწინებდნენ თუ არა მის მონოდებებს, ეს ლუთის მონოდებების ადრესატთა პრეროგატივა იყო. აღნიშნულისაგან განსხვავებით კი მოპასუხეების მიერ მითითებული თანამშრომლობის [მონოდების] შეწყვეტა, ბაზარზე მათი განსაკუთრებული ადგილის გათვალისწინებით, შესაძლოა საგრძნობლად საზიანო და საარსებო მნიშვნელობის ყოფილიყო...

რაც შეეხება აღმოსავლეთ ბლოკის რადიო და სატელევიზიო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რომლის შეფერხებაც სურდათ მოპასუხეებს მათი წერილობითი მიმართვის შინაარსის შესაბამისად, მომჩივანს, პრესის თავისუფლების მიხედვით ქმონდა ამის უფლება. მართალია, უზენაესი ფედერალური სასამართლოც არ მიიჩნევს აკრძალულად ჟურნალ "Blinkfuer"-ის მიერ აღნიშნული პროგრამების გავრცელებას, მაგრამ სასამართლო აქედან გამომდინარე არ უპირისპირებს მოპასუხეთა მიერ განხორციელებულ აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითად უფლებას მომჩივნის პრესის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს ზემოთ აღნიშნული პროგრამების დაბეჭდვის უფლებას. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება მოპასუხეთა აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლება, ხოლო მომჩივნის მხარეს კი – „სამართლებრივი სიკეთე, რომელიც დაცულია სამოქალაქო სამართლის ნორმებით“. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ვერ შეიცნო პრესის თავისუფლების მნიშვნელობა მომჩივნის მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციის ფარგლებში.

თუმცა, პრესის ორგანოებს სხვა პირების მიერ აზრის თავისუფალი გამოხატვის განხორციელების მიმართ, ზოგადად, იმ შემთხვევაშიც არ შეუძლიათ მიუთითონ პრესის თავისუფლებაზე, როდესაც მათ ადგებათ ეკონომიკური ზარალი. აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებისა და პრესის თავისუფლების მიზანია თავისუფალი დემოკრატიის ფარგლებში თავისუფალი გონებრივი პროცესებისა და აზრის ჩამოყალიბების დაცვა, რაც არ მოიცავს ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფას. მაგრამ თავისუფალი პრესის ინსტიტუტის დასაცავად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პრესის ორგანოთა დამოუკიდებლობა ეკონომიკური უპირატესობის მქონე ჯგუფთა მიერ არაადეკვატური საშუალებებით განხორციელებული ჩარევების მიმართ, პრესსაქმიანობის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და საკუთარი პროდუქციის გავრცელების მიზნით (BVerfGE 20, 162 [175]). აღნიშნულიდან გამომდინარე, პრესის თავისუფლების მიზნის განხორციელება, რომელიც მდგომარეობს თავისუფალი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების გამარტივებასა და უზრუნველყოფაში, მოითხოვს პრესის დაცვას ისეთი მცდელობებისაგან, რომელთა განზრახვაა თავისუფალი აზრის კონკურსის გამორიცხვა ეკონომიკური ზენოლის გზით.

ყოველკვირეულ ჟურნალ "Blinkfuer"-ის მიმართ განხორციელებული ბოიკოტი ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ, კონსტიტუციით დაცულ და უზრუნველყოფილ თავისუფლებას, ვინაიდან იგი, ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე სუბიექტების მიერ აღნიშნული ჟურნალის გავრცელების შეჩერების გზით, მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ბლოკის რადიო და სატელევიზიო პროგრამების დაბეჭდვის შეფერხებასა და ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციების „ჩამორთმევას“. მომჩივანი კი, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო ამ საქმიანობაზე. მოპასუხეების

ქმედება, პრესაქმიანობის თავისუფლების პრინციპის სანინაალმდეგოდ, მიზნად ისახავდა ინფორმაციების გავრცელების შეუღღუღევას ეკონომიკური საშუალებების გამოყენებით.

## E – 44, 197

### მორე პალატის 1977 წლის 2 მარტის განჩინება სარეზოლუციო ნაწილი:

საკონსტიტუციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

#### საფუძვლები:

ა - I

მომჩივანი 1976 წლის პირველი იანვრიდან იხდის სავალდებულო სამსახურს ფედერალურ ჯარში.

1976 წლის 13 ნოემბერს „კომუნისტურ სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა იმედინგენის (Immendingen) ყაზარმის ჯარისკაცების შემდეგი შინაარსის განცხადება, რომელიც მიმართული იყო კაიზერშტულის (Kaiserstuhl) მოსახლეობისადმი:

„ჩვენ, იმედინგენის ჯარისკაცები, სოლიდარობას ვუცხადებთ თქვენს მტკიცე პროტესტს ვილში (Wyhl) ატომური ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ბევრი ჩვენგანის საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების პირობებს საფრთხეს უქმნის უკვე აშენებული და მშენებარე ატომური ელექტროსადგურები. ბროკდორფში დაეინახეთ, რომ სახელმწიფო, პოლიციისა და სამხედრო ძალების გამოყენებით, ცდილობდა ატომური კონცერნების მოგებაზე ორიენტირებული კერძო ინტერესების გატარებას ხალხის ნების წინააღმდეგ. პოლიცია და დაცვის სამსახური დემონსტრანტებს რეზინის ხელკეტებით, წყლის ჭავლით, მომწამლავი გაზითა და ცხენების საშუალებით გაუსწორდა. სამშენებლო ტერიტორია, საკონცერტრაციო ბანაკების მსგავსად, შემოიღობა გაღავენითა და მავთულის ღობით. ასევე მოიყვანეს გერმანული ნაგაზებიც. ვილშიც ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოს აქაც განზრახული აქვს მოსახლეობის პროტესტი დაასრულოს სამხედრო ძალების ჩარევით. სამშენებლო ტერიტორიაზე შეინიშნებოდნენ ფედერალური ჯარისა და საზღვრის დაცვის წარმომადგენლები. ჩვენ, ჯარისკაცები, ვაცხადებთ, რომ არავის მივცემთ უფლებას, გამოგვიყენოს ასეთ ბინძურ საქმეში. თქვენ კი მოგიწოდებთ, რომ დაუპირისპირდეთ ლანდის მთავრობის განზრახვას და თავად დაიკავოთ სამშენებლო ტერიტორია. არანაირი ელექტროსადგური ვილში და არც – სხვაგან!

2 დღის განმავლობაში ოცდაათმა ჯარისკაცმა ანუ იმედინგენის 4./292 ნაწილის ჯარისკაცთა უმრავლესობამ მოაწერა ხელი ამ სოლიდარულ მიმართვას“.

1976 წლის 29 ნოემბერს იმედინგენის მოტორიზებული ქვეითი ბატალიონის მეთაურმა მომჩივანს სასამართლოს თანხმობის საფუძველზე შეუფარდა დისციპლინური პატიმრობა 14 დღის ვადით. დისციპლინური სასჯელი შემდეგნაირად არის დასაბუთებული:

„იგი 1976 წლის ნოემბრის დასაწყისში (ზუსტი დღის დაკონკრეტება შეუძლებელია) იმედინგენის ობერფელდებელ შრაიბერის სახელობის ყაზარმაში ცდილობდა პოლიტიკური გავლენა მოეხდინა სხვა ჯარისკაცზე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჯარისკაცს მოუწოდებდა, გამოეხატა პროტესტი ვილში ატომური ელექტროსადგუ-

რის მშენებლობის თაობაზე და ეს პროტესტი დაეფიქსირებინა თავისი ხელმოწერით იმედინგენისყაზარმის ჯარისკაცების სოლიდარულ მიმართვაზე. ამას გარდა, მან იზრუნა იმაზეც, რომ აღნიშნულმა მიმართვამ თავისი ხელმოწერებით მოიარა მთელი ნაწილის ჯარისკაცები“.

საკონსტიტუციო საჩივარი დაუსაბუთებელია. დისციპლინური სასჯელი დაუშვებლად არ ერევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებაში. ასევე არ არის დარღვეული სხვა ძირითადი უფლებები.

1. ბატალიონის მეთაურის ბრძანებით დისციპლინური სასჯელის დაკისრების შესახებ და სამხედრო სასამართლოს განჩინებით მომჩივანს ბრალი ედება ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევაში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სამსახურის ტერიტორიაზე აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება შეზღუდულია განსაკუთრებული გუნდური წესებით თავისუფალ დროსაც კი. ჯარისკაცი ვალდებულია მოიქცეს ისე, რომ სამსახურის საერთო წესებს სერიოზულად არ შეუშალოს ხელი; მას განსაკუთრებით ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის პროპაგანდა სიტყვიერი მიმართვის, წერილების გავრცელებისა თუ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში მუშაობის გზით. არ შეიძლება საფრთხე შეექმნას ურთიერთობების ცემას.

ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს.

თუმცა, აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების განსაკუთრებული არსისა და მნიშვნელობის საფუძველზე თავისუფალი დემოკრატიის ფარგლებში ივარაუდება, რომ სიტყვის თავისუფლება მოიცავს ყველა სფეროს (იხ: BVerfGE 7, 198 [208]; 12, 113 [124]), მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონის მე-17 „ა“ მუხლის მიხედვით, სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებისა და მოთხოვნების ფარგლებში (ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 წინადადება) და ფედერალური ჯარის ფუნქციონირების შენარჩუნების მიზნით (იხ: BVerfGE 28, 282 [292]), შესაძლებელია და დასაშვებია ჯარისკაცებისათვის სხვა უფლებებთან ერთად, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე, ასევე შეიზღუდოს აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლება.

გასაჩივრებული დისციპლინური სასჯელი არ წარმოადგენს კონსტიტუციის დარღვევას. ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება, რომელიც საფუძველად უდევს სამხედრო სასამართლოს განჩინებას, არ ზღუდავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებას კონსტიტუციით დაშვებული მასშტაბის გადაჭარბებით.

ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის მიზანია, ალაგმოს და გამორიცხოს ისეთი ქმედება, რომელიც ჯარისკაცს თავისუფალ დროს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩართავს პოლიტიკურ დისკუსიებსა და განხილვაში. ნორმის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ჯარისკაცი ყაზარმაში არ ცხოვრობს იზოლირებულად, რის შედეგადაც მას საკუთარი პირადი სფეროს დაცვა მხოლოდ არსებითად გართულებულ პირობებში შეუძლია. იგი სხვა ჯარისკაცთა პოლიტიკური აქტიურობის ე.წ. მსხვერპლია, ვინაიდან არ ძალუძს, თავი აარიდოს მას. მის ძირითად უფლებას პირადი ცხოვრებისეული სფეროს აუცილებელი დაცვის შესახებ (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილი და მე-2 მუხლის პირველი ნაწილი) და მის მოთხოვნას, თავი აარიდოს გარე სამყაროს ხმაურს (იხ: BVerfGE 6, 32 [41]; 27, 1 [6]), ასეთ ვითარებაში თავიდანვე განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება. ამდენად, ეს უფლებები

საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ვერ განიხილება მხოლოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თვალთახედვით და ვერ განიმარტება მხოლოდ აღნიშნული ძირითადი უფლების „აქტიურ“ განხორციელებაზე არსებული ინტერესის საფუძველზე. სამხედრო სფერო, თავისი განსაკუთრებული პირობებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, კრძალავს პირის ნების სანინალმდევოდ მის აზროვნებასა და სამყაროზე გავლენის მოხდენას და ითხოვს ყველას კანონიერი ინტერესების თანასწორ გათვალისწინებას. აქედან, დასაშვებია ფედერალური ჯარის ტერიტორიებზე თავისუფალ დროსაც ისე შეიზღუდოს ჯარისკაცების პოლიტიკური საქმიანობა და აქტიურობა, რომ გამოირიცხოს მათ შორის შესაძლო დისკუსიები. ბუნებრივია, აღნიშნულ შეზღუდვას არანაირი შეხება არა აქვს მომჩივნის თავისუფლებასთან, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მას თავისუფალ დროს, ფედერალური ჯარის ტერიტორიებს გარეთ, თავისუფლად შეუძლია პოლიტიკური მოღვაწეობა და თავისი პოლიტიკური შეხედულებების პროპაგანდა.

### **მოსამართლე დოქტორ როტმანის განსხვავებული აზრი:**

მე არ ვეთანხმები პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებას. დისციპლინური სასჯელი არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებას.

აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა თავისუფალი დემოკრატიის ფარგლებში მოითხოვს ჯარისკაცთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის ისეთ განმარტებას, რომელიც არ შემოიფარგლება აბსტრაქტული საფრთხით, არამედ ითვალისწინებს ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევაში ნორმით გათვალისწინებული სიკეთისა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ურთიერთმიუყარდებას. სხვა შემთხვევაში ცნება „მოქალაქე მუნდირში“ მოგონებად იქცევა.

მომჩივნის ქმედება გახლდათ მისი წვლილი საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო და მწვავე საკითხთან დაკავშირებულ გონებრივ დისკუსიაში. აქედან გამომდინარე, დისციპლინური სასჯელი აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებას ეხება მის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს თავისუფალი და ღია პოლიტიკური პროცესის წინაპირობას (იხ: BVerfGE 42, 163 [170]) და რომელშიც მომჩივანსაც, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯარისკაცია, აქვს მონაწილეობის უფლება...

ეუერთდები ჩემი კოლეგის, დოქტორ როტმანის განსხვავებულ აზრს.

მოსამართლე, დოქტორი გაიგერი

ეუერთდები ჩემი კოლეგის, დოქტორ როტმანის განსხვავებულ აზრს.

მოსამართლე პირში

### **E – 93, 266**

**აზრის თავისუფალი გამოხატვისა და პატივის დაცვასთან დაკავშირებით ჯარისკაცების შესახებ მიღებული კოლექტიური გადაწყვეტილებების შემთხვევაში**

საფუძვლები:

ა

ერთ წარმოებად გაერთიანებული საკონსტიტუციო საჩივრები ეხება სისხლის-სამართლებრივ სასჯელებს ფედერალური ჯარისა და ცალკეული ჯარისკაცების შეურაცხყოფის გამო, რაც გამოიხატა ისეთი გამოთქმებით, როგორცაა: „ჯარისკაცები არიან მკვლელები“ ან „ჯარისკაცები არიან პოტენციური მკვლელები“.

ბ

საკონსტიტუციო საჩივრები დასაბუთებულია. გასაჩივრებული გადანყვეტილებები სათანადო მასშტაბით არ ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ მომჩივანთა ძირითად უფლებას.

1

1. გამონათქვამები, რომელთა საფუძველზეც დაისაჯნენ მომჩივნები, დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით.

კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა უფლებას ანიჭებს ნებისმიერ პირს, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი აზრი სიტყვიერი, წერილობითი ფორმით, ასევე – სურათის მეშვეობით.

აღამიანის აზრი, ფაქტებისაგან განსხვავებით, დატვირთულია აზრის გამოთქმელის სუბიექტური დამოკიდებულებით გამონათქვამის საგნის მიმართ (იხ: BVerfGE 90, 241 [247]). აზრი შეიცავს მისი გამოთქმელის შეფასებას გარემოებებთან, იდეებსა თუ პიროვნებებთან დაკავშირებით. ამგვარ პირად მოსაზრებებზე ვრცელდება ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმი. სწორედ ამიტომ მოქმედებს მისი დაცვა იმის მიუხედავად, მოსაზრება რაციონალურია თუ ემოციური, დასაბუთებულია თუ უსაფუძვლო, აღიქმება სასარგებლოდ თუ საზიანოდ, ძვირფასად თუ უფასურად (იხ: BVerfGE 30, 336 [347]; 33, 1 [14]; 61, 1 [7]). ამასთან, უფლების დაცვის სფერო ვრცელდება არა მხოლოდ გამონათქვამის შინაარსზე, არამედ – მის ფორმაზეც. ის, რომ მოსაზრება პოლემიკურია ან შეურაცხმყოფელი, არ არის საკმარისი საფუძველი ზემოთ აღნიშნული დაცვის გამოსარიცხად (იხ: BVerfGE 54, 129 [138]; 61, 1 [7]). ამას გარდა, დაცულია ასევე მოსაზრების გახმაურების ადგილისა და დროის შერჩევა. აზრის გამოთქმელს აქვს არა მხოლოდ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის, არამედ ასევე – იმ პირობების შერჩევის უფლება, რომლებზეც იგი იმედებს ამყარებს თავისი აზრის ყველაზე უკეთ გავრცელებისა და გახმაურების თვალთახედვით.

იმ გამონათქვამების შემთხვევაში, რომელთა საფუძველზეც მომჩივნებს ჯარიმა დაეკისრათ, საქმე ეხება აზრის გამოხატულებას, რომელიც მუდმივად დაცულია ძირითადი უფლებით. მათი მოსაზრებები, რომ ჯარისკაცები არიან მკვლელები ან პოტენციური მკვლელები, არ იყო მიმართული კონკრეტული ჯარისკაცების წინააღმდეგ და არ გულისხმობდა იმას, რომ ცალკეულმა ჯარისკაცმა წარსულში ჩაიდინა მკვლელობა. მომჩივნებმა ამ განცხადებებით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ჯარისკაცებისა და, საერთოდ, ჯარისკაცის პროფესიის მიმართ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აიძულებს ადამიანს მეორე ადამიანის მოკვლას.

აღნიშნულის მსგავსად სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოც ემყარებოდა იმას, რომ საქმეში მოცემული იყო არა ფაქტების მტკიცება, არამედ – შეფასებები.

2. სწორედ ამგვარი მოსაზრებების დასჯა წარმოადგენს ჩარევას აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების დაცვის სფეროში.

3. თუმცა, აზრის გამოხატვის თავისუფლება არ არის უზრუნველყოფილი ყოველგვარი დათქმის გარეშე. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იგი იზღუდება საერთო კანონებით გათვალისწინებული ნორმებით, ასევე – დებულებებით ახალგაზრდობის დაცვის შესახებ და პირად პატივთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმებით. ასეთ ნორმებს განეკუთვნება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი, რომელიც საფუძვლად უდევს გასაჩივრებულ გადანყევილებებს. იმისათვის, რომ სათანადოდ დაასაბუთოს და გაამართლოს დაკისრებული სასჯელი, სამართლებრივი ნორმა უნდა შეესაბამებოდეს გერმანიის ძირითად კანონს და ამას გარდა, შესაძლებელი უნდა იყოს მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით განმარტება და გამოყენება (იხ: BVerfGE 7, 198 [208]) და იხ. ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა).

## II

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის წინააღმდეგ არ მოიპოვება რაიმე კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოსაზრება.

1. სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული დებულება შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილს.

ა) ნორმა, პირველ რიგში, იცავს პიროვნების პატივს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა და პირველი მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში, ზოგადპიროვნული უფლების საფუძველზე, პიროვნების პატივზე ვრცელდება ძირითადი უფლებების დაცვის სფერო (იხ: BVerfGE 54, 148 [153]). მისი დარღვევა შესაძლებელია აზრის გამოხატვით. აქედან გამომდინარე, ადამიანის პატივი, როგორც აზრის გამოხატვის გამართლებული შეზღუდვა, პირდაპირ არის გათვალისწინებული გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით.

თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ კანონმდებელს ყოველთვის შეუძლია აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვა, პიროვნების პატივის ინტერესებიდან გამომდინარე (იხ: BVerfGE 7, 198 [208]).

ბ) როგორც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარეობს, იმავე კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება არა მხოლოდ პირებზე, არამედ – ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა უწყებებზეც, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ადმინისტრაციის ფუნქციებს. აქედან გამომდინარე, ნორმა ვერ გამართლებს პიროვნების პატივის თვალსაზრისით, ვინაიდან სახელმწიფო დანესებულებებს არც „პიროვნული“ პატივი გააჩნიათ და არც ზოგადპიროვნული უფლებები. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი, როგორც სახელმწიფო დანესებულებათა დამცავი ნორმა, მიიჩნევა ზოგად კანონად გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით.

აქ მოიაზრება ყველა კანონი, რომელიც არ კრძალავს აზრის ქონას, მის გავრცელებას, არამედ ემსახურება სამართლებრივი სიკეთის დაცვას ყოველგვარი კონკრეტული აზრის არსებობისაგან დამოუკიდებლად (იხ: BVerfGE 7, 198 [209]) და იხ. ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). ასეთი ნორმაა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლიც. საზოგადოების მხრიდან აღიარების მინიმალური ზღვრის მიღწევის გარეშე სახელმწიფო ორგანოები ვერ შეასრულებენ თავიანთ ამოცანებს.



შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, იყონ დაცული ისეთი ვერბალური თავდასხმისაგან, რომელიც ცდილობს აღნიშნული წინაპირობის მოშლას (იხ: BVerfGE 28, 191 [202]). ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი, რომელიც ასპარეზს ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისათვის და რომლის მნიშვნელობაც უფრო იზრდება, როდესაც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი გამოიყენება საჯარო დაწესებულებებისა და არა – პირადი პატივის დასაცავად.

2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი არც განუსაზღვრელ ნორმას წარმოადგენს და ამით იგი არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილს. თუმცა, ეს მუხლი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი დანაშაულის ელემენტად ასახელებს შეურაცხყოფას, ამ ცნების ყოველგვარი დეტალური განმარტებისა და აღწერის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონის გავლენის ქვეშ მოქცეული სისხლისსამართლებრივი ნორმისათვის შესაძლოა ამგვარი განსაზღვრება არ იყოს საკმარისი, მაგრამ შეურაცხყოფის ცნება, ასწლიანი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში, შინაარსობრივად იმდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სასამართლოებს ხელთ აქვთ მითითებული ცნების გამოყენებისა და განმარტების ზუსტი ინსტრუმენტი, ხოლო ნორმის ადრესატისათვის კი ნათელია, თუ როდის უნდა ელოდოს იგი დასჯას შეურაცხყოფის საფუძვლით (იხ: BVerfGE 71, 108 [104]). კოლექტიურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებული გაურკვეველი საკითხები არ ეხება ნორმით გათვალისწინებულ განსაზღვრებებს.

### III

სისხლის სამართლის კანონთა განმარტება და გამოყენება სისხლის სამართლის სასამართლოების პრეროგატივაა. თუმცა, როდესაც საქმე ეხება კანონებს, რომელთა საფუძველზეც აზრის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, სათანადოდ გასათვალისწინებელია შეზღუდული ძირითადი უფლება, რათა დაცული იყოს მისი, როგორც ღირებულების განსაზღვრული ნორმის, მნიშვნელობა სამართალგამოყენების დონეზეც (იხ: BVerfGE 7, 198 [208]).

1. ნორმის განმარტების საფეხურზე გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება მოითხოვს შესაბამისი ნორმების შემადგენელ ფაქტობრივ ელემენტთა ფარგლებში აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და იმ სამართლებრივი სიკეთის ურთიერთშეფარდებას, რომლის სასარგებლოდაც შეიზღუდა იგი. ზემოთ აღნიშნულს არ შეესაბამება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის ისეთი განმარტება, რომლის მიხედვითაც, შეურაცხყოფის ცნება სცდება პატივისა და საჯარო დაწესებულებების მიერ უფლების დაცვის მოთხოვნებს (იხ: BVerfGE 71, 162 [181]) ან აზრის თავისუფლებისათვის არ ითვალისწინებს არანაირ ასპარეზს (იხ: BVerfGE 43, 130 [139]). გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ასევე კრძალავს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის ისეთ განმარტებას, რომელიც ავრცელებს შიშის სინდრომს ძირითადი უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით და რომელსაც მიყვავართ იქამდე, რომ სანქციების შიშით არც დასაშვები კრიტიკა გამოიხატება (იხ: BVerfGE 43, 130 [136] და იხ. ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა).

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის განმარტებისას განსაკუთრებით ნათელი და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება არსებითა თავისუფალი დემოკრატიული სისტემისა და წესრიგისათვის (იხ: BVerfGE 7, 198 [208]). შესაბამისად, კანონიერი ინტერესი არ შეიძლება

არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირმა თვითონ მისცა საბაზი მის მიმართ შესაბამისი გამონათქვამის წარმოთქმისათვის ან როდესაც პირი თავს იცავს პირადი შეურაცხყოფისაგან. ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი მონაწილეობს საზოგადოებისათვის ან პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების საჯარო განხილვა-დისკუსიაში (იხ: BVerfGE 12, 113 [125, 127]). აღნიშნული განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლისა და შემდეგი მუხლების ნორმები პატივის დაცვის შესახებ ვრცელდება არა პირებზე, არამედ – სახელმწიფო დანესებულებებზე. მაშინ ეს ნორმები ემსახურება არა პირადი პატივის დაცვას, არამედ ორიენტირებულია საზოგადო აღიარების მიღწევაზე, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ სახელმწიფო დანესებულებებმა შეძლონ თავიანთი ფუნქციების შესრულება. თუ აღნიშნული დაცვის მიზანი კოლიზიაში მოდის აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან, ამ უკანასკნელის მნიშვნელობა განსაკუთრებულად უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან მითითებული ძირითადი უფლება წარმოიშვა სწორედ კრიტიკის დაცვის აუცილებელი საჭიროებიდან და აქ მისი მნიშვნელობა არსებითია.

2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის გამოყენების დროს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება მოითხოვს იმ შეზღუდვის გაანალიზებასა და ურთიერთშეფარდებას, რომელიც ემუქრება, ერთი მხრივ, პიროვნულ პატივს და, მეორე მხრივ, აზრის გამოხატვის თავისუფლებას, რომლის ფარგლებშიც აუცილებელია ყველა არსებითი გარემოების გათვალისწინება (იხ: BVerfGE 7, 198 [212] და იხ. ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). შეუძლებელია აღნიშნული ურთიერთშეფარების შედეგის წინასწარი გათვალისწინება, ვინაიდან იგი დამოკიდებული და ორიენტირებულია ცალკეულ შემთხვევაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში ჩამოყალიბდა მთელი რიგი შეხედულებებისა, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული ურთიერთშეფარების და ანალიზის კრიტერიუმებს.

აზრის გამოხატვის თავისუფლება გადადის მეორე პლანზე, როდესაც, მაგალითად, პირის გამონათქვამი ეხება მეორე პირის ღირსებას. ეს პრინციპი, რომელიც დამკვიდრებულია ხელოვნების თავისუფლებასთან მიმართებით (იხ: BVerfGE 75, 369 [380]), ასევე მოქმედებს აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, ვინაიდან ადამიანის ღირსება, როგორც ყველა ძირითადი უფლების საფუძველი და საძირკველი, არ იზომება არც ერთ კონკრეტულ ძირითად უფლებასთან ურთიერთშეფარების ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ არა მხოლოდ ცალკეული ძირითადი უფლება, არამედ ყველა მათგანი წარმოადგენს ადამიანის ღირსების პრინციპის დაკონკრეტებას, ყოველთვის სავალდებულოა ზედმიწევნით დასაბუთდეს, რომ ძირითადი უფლების გამოყენებას მივყავართ ადამიანის ხელშეუხებელ ღირსებამდე.

აღნიშნულის მსგავსად, ასევე ისეთი შეურაცხყოფელი განცხადებების გაკეთების შემთხვევაში, როდესაც პირს ფორმალურად შეურაცხყოფენ ან დაამცირებენ, აზრის გამოხატვის თავისუფლება გადადის პატივის დაცვის უკან (იხ: BVerfGE 61, 1 [12]). აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე მისი შემზღუდველი გავლენიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მეტად ვიწროდ განმარტა სასამართლო მართლმსაჯულებაში დამკვიდრებული დამამცირებელი კრიტიკის ცნება, რომლის მიხედვითაც, გადაჭარბებული და აგრესიული კრიტიკა ჯერ კიდევ არ მიიჩნევა დამცირებად. დამცირებად მიიჩნევა ისეთი გამონათქვამი, რომელიც სცდება საქმესთან ან რაიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიას და მიზნად ისახავს ადამიანის შეურაცხყოფასა და ცი-

ლისნამებას. აღნიშნული უნდა სცდებოდეს პოლემიკასა და მძაფრ კრიტიკას და მიმართული იყოს პიროვნული დამცირებისაკენ (იხ: BVerfGE 82, 272 [283]). აქედან გამომდინარე, შეურაცხმყოფელი კრიტიკა იშვიათად გვხვდება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ მალალია საზოგადოების დაინტერესება და ძირითადად შემოიფარგლება პირადი დაპირისპირებებით (იხ: BGH [უზენაესი ფედერალური სასამართლო] NJW [ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი] 1974 გვ. 1762). იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არასწორად შეაფასებს ამა თუ იმ გამონათქვამს და მიიჩნევს მას ფორმალურ შეურაცხყოფად ან დამცირებად, რის შედეგადაც აუცილებლობას აღარ წარმოადგენს ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების კონკრეტული ურთიერთშეფარდება, მაშინ კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით დაშვებული იქნება არსებითი შეცდომა, რომელიც გამოიწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას, თუ იგი წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების საფუძველს (იხ: BVerfGE 82, 272 [281]).

თუ გამონათქვამი არც ადამიანის ღირსებაზე თავდასხმას [ღირსების შელახვას] წარმოადგენს და არც დამცირებას, მაშინ ურთიერთშეფარდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის შელახვის ხარისხს. ამასთან, ფაქტების მტკიცებისაგან განსხვავებით, არ არის არსებითი, საფუძვლიანია თუ არა კრიტიკა ან „სწორია“ თუ არა შეფასება (იხ: BVerfGE 66, 116 [151]; 68, 226 [232]). აქ მნიშვნელოვანია, თუ რა მიზნით განხორციელდა აზრის გამოხატვის თავისუფლება: კერძო დისკუსიის ფარგლებში, საკუთარი ინტერესების გასათარებლად, თუ ისეთ საკითხთან მიმართებით, რომელიც არსებითად ეხება საზოგადოების ინტერესებს. თუ სადავო გამონათქვამს „წელილი შეაქვს“ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ასეთ შემთხვევებში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მუდმივი პრაქტიკიდან გამომდინარე, ვრცელდება პრეზუმცია სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ (იხ: BVerfGE 7, 198 [208, 212]; 61, 1 [11]). აღნიშნული პრაქტიკიდან გადახვევა საჭიროებს დასაბუთებას, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს აზრის გამოხატვის არსებით მნიშვნელობას დემოკრატიისათვის, რაც წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული პრეზუმციის საფუძველს.

3. ნებისმიერი გამონათქვამის სამართლებრივი შეფასების წინაპირობაა მისი აზრის სწორად გაგება და შეცნობა. თუ გამონათქვამის საფუძველზე სასჯელის შეფარდებისას არ არის მოცემული აღნიშნული წინაპირობა, არსებობს საშიშროება, რომ აიკრძალოს დასაშვები გამონათქვამი. ამას გარდა, ასევე შესაძლებელია, რომ ამგვარმა მიდგომამ უარყოფითად იმოქმედოს, ზოგადად, აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე, ვინაიდან ამა თუ იმ აზრისა თუ გამონათქვამის ავტორები თავიანთი ფორმულირების სხვაგვარი გაგების საფუძველზე უნდა ელოდონ შესაბამის სიხლის-სამართლებრივ სანქციებს (იხ: BVerfGE 43, 130 [136]). ვინაიდან ჯერ კიდევ გამონათქვამის შეცნობის ეტაპზე მიიღება მის დასაშვებობასთან დაკავშირებული წინასწარი გადაწყვეტილება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება შეიცავს მოთხოვნებს არა მარტო ძირითად უფლებათა შემზღუდევი კანონების განმარტება-გამოყენებასთან, არამედ – სადავო გამონათქვამების განმარტება-გაგებასთან დაკავშირებითაც.

აღნიშნული შეცნობის მიზანია გამონათქვამის აზრის ობიექტური დატვირთვის გამოვლენა. აქედან გამომდინარე, აქ გადამწყვეტი არ არის არც გამონათქვამის ავტორის სუბიექტური განზრახვა და არც მისი ადრესატის სუბიექტური გაგება, არამედ მთავარია ის დატვირთვა, ის აზრი, თუ როგორ გაიაზრებს გამონათქვამს მიუკერძოებელი და მისი სწორად გაგები საზოგადოება. ამასთან, არსებითია გამონათქვამის სიტყვა-სიტყვითი შინაარსი. თუმცა, იგი მთლიანად არ ამონუ-

რავს მის აზრს, არამედ იმდენად არის განპირობებული ასევე კონტექსტითა და თანმხლები გვერდითი მოვლენებით, რამდენადაც ადრესატისათვისაც შესამჩნევია იყო ისინი. აქედან გამომდინარე, რაიმე გამონათქვამის ნაწილის იზოლირებული განხილვა არ შეესაბამება აზრის ჯეროვანი გამოკვლევისა და გამოვლენის მოთხოვნებს (იხ: BVerfGE 82, 43 [52]). ამასთან, სასამართლო, ბუნებრივია, არ არის ვალდებული, განიხილოს ისეთი ალტერნატივები, რომლებსაც რაიმე არსებითი კავშირი არა აქვთ გამონათქვამის სიტყვიერ ფორმულირებასა და გარემოებებთან. ხოლო თუ ფორმულირება ან გარემოებები უშვებს გამონათქვამის არაშეურაცხმყოფელ გაგებას, მაშინ ბრალმდებელი განაჩენი, რომელიც არ ითვალისწინებს ამ გარემოებას, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას. ამასთან, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ გარკვეულ სიტყვებსა თუ ცნებებს შესაძლებელია სხვადასხვა კომუნიკაციურ ურთიერთობებში ჰქონდეთ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა. აქ სხვა სიტყვებთან ერთად ასევე იგულისხმება იურიდიული ცნებები, რომლებსაც იურიდიული ტერმინოლოგიის ფარგლებში სხვა მნიშვნელობა აქვთ, ხოლო ჩვეულებრივ სასაუბრო ენაში კი - სხვა. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით ასევე არსებითი შეცდომაა, როდესაც პირს შესაბამისი სასჯელი დაეკისრება გამონათქვამის სპეციფიკური ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით, მაშინ, როდესაც იგი განხორციელდა ჩვეულებრივ სასაუბრო კონტექსტში (იხ: BVerfGE 7, 198 [227]; 85, 1 [19]).

მოთხოვნები, რომლებსაც გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება უკავშირებს გამონათქვამის აზრის შეცნობას, ექვემდებარება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმებას განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ძირითად უფლებებში მეტად ინტენსიურ ჩარევას, რაც მოცემულია სისხლის სამართლის გამამტყუნებელ განაჩენში.

აღნიშნულს ყოველთვის ხაზს უსვამდა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავისი იურისდიქციის ფარგლებში (იხ: BVerfGE 43, 130 [136]; 54, 129 [36]; 61, 1 [6, 9]; 82, 43 [50]; 82, 272 [280]; 85, 1 [13]), რითაც მას არ გადაუხვევია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმების ფარგლებთან დაკავშირებული მუდმივი სასამართლო პრაქტიკიდან (იხ: BVerfGE 18, 85 [92]; 85, 248 [257]), ვინაიდან გამონათქვამის საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრების შემთხვევებშიც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ იმას, გაითვალისწინეს თუ არა სასამართლოებმა აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების მნიშვნელობა და მასშტაბი. სხვა დანარჩენი საკითხების განხილვა ისევ და ისევ რჩება საერთო სასამართლოების განსჯადობის სფეროში. გამონათქვამებთან დაკავშირებით დელიქტები [იგულისხმება საქმეები, რომლებიც აღძრულია პირის გამონათქვამის საფუძველზე] – ეს არის ისეთი საკითხები, რომლებმაც უნდა გაარკვიონ, გაკეთდა თუ არა მართლა კონკრეტული გამონათქვამი, რა ფორმულირების იყო, ვისგან მომდინარეობდა და რა პირობებში გამოითქვა იგი (იხ: BVerfGE 43, 130 [137]). მოსამართლის განსხვავებული აზრის ფარგლებში დაფიქსირებული განმარტებები, რომლებიც „გადახრილია“ მუდმივი სასამართლო პრაქტიკიდან, არ ქმნის იმის საფუძველს, რომ არსებული პრაქტიკა შეიცვალოს და აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს.

#### IV

ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად არ აკმაყოფილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები...

#### VI

წინამდებარე ოთხი შემთხვევიდან არც ერთ მათგანში არ არის გამორიცხული შემდეგი: გამონათქვამის სხვაგვარი გაგებისა და განმარტების განხილვის შემთხვევაში რომ გაეთვალისწინებინათ განსხვავება მთელი მსოფლიოს ჯარისკაცებისა და ფედერალური ჯარის ჯარისკაცების მიმართ შეურაცხმყოფელ განცხადებებს შორის და კონსტიტუციურად განემარტათ დამამცირებელი კრიტიკის ცნება, სასამართლოები სხვა შედეგებამდე მივიდოდნენ. აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და საქმეები დაუბრუნდეს ქვემდგომ სასამართლოს. თუმცა, ამით არც მომჩივანთა გამართლება მოხდება და არც ცალკეულ ჯარისკაცთა შეურაცხყოფა ცხადდება დასაშვებად ფორმულირებით: „ჯარისკაცები არიან მკვლელები“. ამ შემთხვევაში სავალდებულოა ცალკეული გამონათქვამის თავიდან შეფასება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება პირველ, მე-3 და მე-4 საკონსტიტუციო საჩივრების გამო გამოტანილ იქნა ხუთი ხმით სამის წინააღმდეგ, ხოლო მე-2 საკონსტიტუციო საჩივრის გამო — ერთხმად.

### **E – 103, 44**

1. ინფორმაციის წყაროს გახსნის ანუ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის უფლება არ გამომდინარეობს არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლებიდან და არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული რადიომალუწყებლობის თავისუფლებიდან. საინფორმაციო წყაროს ხელმისაწვდომობისა და ამ ხელმისაწვდომობის პირობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ინფორმაციის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი. მხოლოდ ინფორმაციის საჯაროობის შემთხვევაშია შესაძლებელი, განხორციელებული ჩარევა შეეხოს ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის სფეროს.
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლება მოიცავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ უფლებას ინფორმაციის მოპოვების თაობაზე, როდესაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროს დაქვემდებარებული საინფორმაციო წყარო სამართლებრივი ნორმების მიხედვით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციად, მაგრამ სახელმწიფო ხელს უშლის მის ხელმისაწვდომობას.
3. სამართალწარმოება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს. მათი საჯარო ხელმისაწვდომობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებელი სამართალწარმოების მოწესრიგების მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
4. სასამართლო სხდომებზე აუდიო, ვიდეო და რადიოჩანაწერების აკრძალვა სამართალწარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლის საუფძველზე შეესაბამება კონსტიტუციას.

საფუძვლები:

ა

საკონსტიტუციო საჩივრები ეხება სატელევიზიო გადაღებების დასაშვებობის საკითხს სასამართლო პროცესების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების გამოცხადების დროს.

I

სასამართლო პროცესთა საჯაროობასა და მედიის მეშვეობით მათ გაშუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები საერთო სასამართლოებისათვის გათვალისწინებულია სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლის მე-2 წინადადებით. აღნიშნული ნორმა შემდეგი შინაარსისაა:

„საქმის განმხილველ სასამართლოში მიმდინარე პროცესი, გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გამოცხადების ჩათვლით, საჯაროა. აკრძალულია ხმის, სატელევიზიო და რადიოჩანაწერებისა და ასევე აუდიო-ვიდეოჩანაწერების დამზადება სასამართლო სხდომის შინაარსის საჯარო გავრცელებისა თუ გამოქვეყნების მიზნით“.

მე-2 წინადადება, რომელშიც გათვალისწინებულია აკრძალვა, კანონს დაემატა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 1964 წლის 19 დეკემბრის ცვლილებათა კანონის საფუძველზე (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1067, 1080). სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული აკრძალვის განხორციელება, სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 176-ე მუხლის მიხედვით, დაევალა სხდომის თავმჯდომარეს...

II

საკონსტიტუციო საჩივრები არ არის დასაბუთებული. სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლის მე-2 წინადადება და ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 55-ე მუხლი შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მე-2 წინადადებებს და ასევე – სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებს...

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება იცავს რადიოს მეშვეობით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას. ტელერადიომუყუყებლობის თავისუფლება, ისევე როგორც იმავე ნორმით გათვალისწინებული პრესის თავისუფლება, მოიცავს საქმიანობას ინფორმაციის მოპოვების სტადიიდან მისი გავრცელების ჩათვლით (იხ: BVerfGE 10, 118, [121]; 91, 125, [134] და ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). ინფორმაციის პრინციპულად შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა მედიის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, თავისუფალი დემოკრატიის ფარგლებში განახორციელონ მათზე დაკისრებული ფუნქციები. ძირითადი უფლების სფეროში შემავალი ინფორმაციის გავრცელება ტელერადიოს მეშვეობით მოიცავს მსმენელისა თუ მაცურებლისთვის ამა თუ იმ მოვლენის აკუსტიკური და ოპტიკური, სრული თუ არასრული ფორმით, პირდაპირი გადაცემისა თუ მოგვიანებით გაშუქების სახით ინფორმაციის მიწოდებას. მედიის სპეციალურ საშუალებებსა და შესაძლებლობებში ასევე მოიაზრება ჩამწერი და გადამღები აპარატების გამოყენება (იხ: BVerfGE 91, 125, [134]).

რამდენადაც მედიის წარმომადგენლები სარგებლობენ საყოველთაოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, აღნიშნული ხელმისაწვდომობა დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ტელე-რადიომაუწყებლობის თავისუფლებით, რაც ზუსტად მსგავსი და იდენტურია მოქალაქეების სტატუსისა. რაც შეეხება ჩამწერი/გადამღები და გადამცემი აპარატების გამოყენებას მაუწყებლობის საშუალებით ინფორმაციის საჯარო გავრცელების მიზნით, ეს უკვე დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ტელე-რადიო-მაუწყებლობის სპეციალური თავისუფლებით. თუმცა, არც ზემოხსენებული უფლებებისა და არც, ზოგადად, ინფორმაციის თავისუფლების დაცვის სფერო არ მოიცავს ინფორმაციის წყაროს გახსნის ანუ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის უფლებას. ამ მხრივ ტელე-რადიო-მაუწყებლობის თავისუფლება არ სცდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებს, რომელიც უზრუნველყოფს და იცავს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეზღუდვებისაგან.

მხოლოდ საყოველთაო საჯაროობის შემთხვევებში არის შესაძლებელი, რომ შესაბამისი ჩარევა ეხებოდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების დაცვის სფეროს. აღნიშნული ხელმისაწვდომობის შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ წარმოადგენს ჩარევას ძირითად უფლებებში. ინფორმაციის წყარო საყოველთაოდ ხელმისაწვდომია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სათანადო და განსაზღვრულია იმისათვის, რომ ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა ჯგუფს მიაწოდოს ინფორმაცია (იხ: BVerfGE 17, 71, [83]; 90, 27, [32] და ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). სათანადო ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს ინფორმაციის ყველა სუბიექტი, მათ შორის – მოვლენებიც. მაგრამ ძირითადი უფლება უზრუნველყოფს მხოლოდ ინფორმაციის შეუფერხებლად მიღებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროდან (იხ: BVerfGE 66, 116, [137]). მაშასადამე, ძირითადი უფლება მოიცავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროს დაქვემდებარებული საინფორმაციო წყარო სამართლებრივი ნორმების მიხედვით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციად, მაგრამ სახელმწიფო ხელს უშლის მის ხელმისაწვდომობას. საინფორმაციო წყაროს ხელმისაწვდომობასა და ამ ხელმისაწვდომობის პირობებთან დაკავშირებით გადანყვეტილებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით იღებს შესაბამისი ინფორმაციის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი. ამ უფლებამოსილების განხორციელება მესამე პირების მიმართ არ წარმოადგენს შეზღუდვას გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით. იგი განისაზღვრება ზოგადი ნორმებით, კერძოდ: კერძო პირების შემთხვევაში — სამოქალაქო სამართლის, ხოლო სახელმწიფოს შემთხვევაში — საჯარო სამართლის ნორმებით. ზემოთ აღნიშნულ უფლებამოსილ პირს შეუძლია სხვადასხვაგვარი ფორმით განხორციელოს თავისი უფლებამოსილება, მაგალითად, გაითვალისწინოს შენობაში შესვლის გადასახადი ან დასჯერდეს თანხმობას კონცერტზე ფოტოგადაღებების მომზადების თაობაზე. ასევე სახელმწიფოც, როდესაც მას აკისრია მითითებული უფლებამოსილება, მის ფარგლებში განსაზღვრავს ხელმისაწვდომობის ფორმასა და მოცულობას.

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი განსაზღვრავს სახელმწიფო საქმიანობის ხელმისაწვდომობის ფორმას და ამით – აღნიშნული საინფორმაციო წყაროს გახსნის მასშტაბს, მაშინ ეს მასშტაბი წარმოადგენს ასევე ინფორმაციის თავისუფლების უფლების დაცვის სფეროს. თუ მედიის წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომია

შესაბამისი ინფორმაცია, მაგრამ ამასთან, ინფორმაციის მოპოვება სამართლებრივი ნორმების დაცვით გათვალისწინებულია აუდიო-სატელევიზიო და რადიოჩანაწერების დამზადებისა და გავრცელების გამორიცხვით, ამ შემთხვევაში ძირითადი უფლება არ არის დარღვეული.

თუ შეზღუდული საინფორმაციო წყარო გაიხსნება სპეციალურად ტელე-რადიო-მაუწყებლობის მიერ დამუშავებისათვის, მაშინ შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობა დამოკიდებულია იმაზე, მოიცავს თუ არა ასეთ შეზღუდვას ხელმისაწვდომობის განსაზღვრის უფლება [ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილება] ისე, რომ აღარ იყოს საჭირო მისი შემონგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ხოლო თუ კონსტიტუციური სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილიყო შეუზღუდავად, მაშინ ინფორმაციის თავისუფლების ან ტელე-რადიომაუწყებლებისათვის აუდიოსატელევიზიო და რადიოჩანაწერების დამზადებისა და გავრცელების გამორიცხვის შემთხვევებში ტელე-რადიომაუწყებლობის თავისუფლების სუბიექტებს შეუძლიათ აღნიშნული დარღვევის [შეზღუდვის] გასაჩივრება.

2. სამართალწარმოება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს. მათი საჯარო ხელმისაწვდომობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებელი სასამართლო წარმოების მოწესრიგების მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და კონსტიტუციური მითითებების, განსაკუთრებით კი – სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და პიროვნების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით. სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლი საერთო სასამართლოებისათვის აწესებს მართლმსაჯულების საჯაროობის პრინციპს ...

აღნიშნულის მიხედვით, სასამართლო სხდომები ხელმისაწვდომია ყველასათვის, თუ გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული. ეს უფლება ასევე ვრცელდება მედიის წარმომადგენლებზეც. მათ აქვთ უფლება, დაესწრონ პროცესებს და მიღებული ინფორმაციები გაავრცელონ პრესის, ტელე-რადიო თუ სხვა ელექტრონული მედიის საშუალებით. მაგრამ კანონის მიხედვით, სასამართლოს საჯაროობა არის დარბაზის საჯაროობა. სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა, სასამართლო სხდომის შინაარსის საჯარო გავრცელებისა და თუ გამოქვეყნების მიზნით, ხმის, სატელევიზიო და რადიოჩანაწერებისა და ასევე აუდიო-ვიდეოჩანაწერების დამზადებასთან დაკავშირებით გამორიცხავს გადამღები და ჩამწერი საშუალებების დახმარებით მიღწეულ ე.წ. არაპირდაპირ მედია-საჯაროობას. აქედან გამომდინარე, ფედერაციის კანონმდებელმა გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და დაადგინა, რომ პროცესის საყოველთაო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მხოლოდ მათ მიმართ, ვინც მზადაა, დაესწროს სასამართლო სხდომას ამისათვის სპეციალურად განკუთვნილ სივრცეში. სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი თავიდანვე ითვალისწინებს ინფორმაციის წყაროს მხოლოდ შეზღუდულ გახსნას ზემოთ აღნიშნული შეცნობით. აქ საუბარი არ არის შეზღუდვის კანონზე გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით ...

ბ) კონსტიტუციიდან გამომდინარე, კანონმდებელი არ იყო ვალდებული, შეექმნა ისეთი ნორმა, რომელიც დაუშვებს გამონაკლისებს.

აა) სამართალწარმოების ორგანიზების სამართალში დამკვიდრებული ზეპირი განხილვის საჯაროობის პრინციპი არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ასევე შეესაბამება დემოკრატიის ზოგადი საჯაროობის პრინციპს (იხ: BVerfGE 70, 324, [358]). მაგრამ საჯაროობის კონსტიტუციუ-



რი პრინციპი არ არის უზრუნველყოფილი გამონაკლისების გარეშე (იხ: BVerfGE 4, 74, [94]); საჯაროობა საყოველთაო კეთილდღეობის აუცილებელი მოთხოვნებისა და საჭიროების საფუძველზე შესაძლოა, სრულად ან ნაწილობრივ გამოირიცხოს იქ, სადაც იგი უზრუნველყოფილია კონსტიტუციით (იხ: BVerfGE 70, 324, [358]). საჯაროობის პრინციპი თავისთავად არაფერს ამბობს იმ პირობებსა და ვითარებაზე, რომელშიც დაშვებულია საჯაროობა.

ზეპირ განხილვათა საჯაროობის პრინციპი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეფუძნება ხანგრძლივ ტრადიციას, რომელსაც ფესვები ჯერ კიდევ განმანათლებლობის ეპოქაში აქვს...

სასამართლო სხდომათა საჯაროობას, ერთი მხრივ, ჰქონდა სამართალწარმოების გარანტიის ფუნქცია, რომელსაც უნდა დაეცვა წარმოების მონაწილე და განსაკუთრებით — ბრალდებული სისხლის სამართლის საქმის წარმოებებში, საზოგადო/საჯარო ზედამხედველობის გარეშე განხორციელებული ფარული მართლმსაჯულებისაგან. მეორე მხრივ კი, გამომდინარეობს იქიდან, რომ „ხალხი, საკუთარი უფლებების დასაცავად ჩათვლიდა თავს ვალდებულად, გამოცხადებულიყო სასამართლოში“ (იხ: von Feuerbach, Betrachtungen über die Öffentlichkeit und Mündlichkeit der Gerichtspflege, 1821, Neudruck 1969, Bd. 1, S. 180). მაშასადამე, ხალხის სამართლებრივ პოზიციად მიიჩნეოდა სასამართლოებში წარმოებათა მიმდინარეობის გაცნობა და სასამართლოების მეშვეობით მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების საზოგადოების კონტროლისადმი დაქვემდებარება პროცესებზე დასწრების გზით. ორივე ეს ასპექტი მოცემულია სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის ფარგლებში და ასევე არსებითაა დემოკრატიისათვის...

ბბ) სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპები საჭიროებს კანონის მეშვეობით დეტალურ ჩამოყალიბებას. იგივე ვრცელდება ასევე სასამართლოს საჯაროობის წინაპირობებისა და პირობების განსაზღვრაზე. ამ საკითხების განსაზღვრისა და კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს სასამართლოს საჯაროობის ფუნქცია და ასევე – სხვადასხვა ინტერესი. პროცესები იმართება საჯაროდა, მაგრამ არა – საჯაროობისათვის [საზოგადოებრიობისათვის]. ზეპირ განხილვათა საჯაროობამ ხელი უნდა შეუწყოს სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფას. სასამართლოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია არის ზედამხედველობის წინაპირობა აღნიშნული მიზნის განხორციელების ფარგლებში.

მაგრამ საქმის განმხილველი სასამართლოს პროცესების შეუზღუდავ საჯაროობას უპირისპირდება მნიშვნელოვანი ინტერესები. ასეთ ინტერესებს განეკუთვნება სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა პიროვნული უფლებები (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილი და მე-2 მუხლის პირველი ნაწილი), პროცესის მონაწილეთა მოთხოვნა სამართლიან წარმოებაზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი, აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე: BVerfGE 57, 250, [274]; 89, 120, [129]), ასევე – მართლმსაჯულების ფუნქციაუნარიანობა, განსაკუთრებით კი – სიმართლის გამორკვევისა და სამართლიანობის აღდგენის შეუფერხებელი განხორციელება (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 33, 367, [382]; 77, 65, [76])...

კანონმდებელი, კონსტიტუციიდან გამომდინარე, არ იყო ვალდებული, მაგრამ იყო უფლებამოსილი, საჯაროობა შეეზღუდა სასამართლო დარბაზში წარმოდგენილი პირებით. ამ ფორმით შეზღუდული საჯაროობა შეესაბამება სამართალწარმოებათა საჯარო კონტროლთან დაკავშირებულ სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესებს და ასევე – დემოკრატიის პრინციპის ფარგლებში დანერგილ მოთხოვნას ინფორმაციის

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის. სასამართლოს საჯაროობის სამართლებრივი სახელმწიფოს კომპონენტები ემსახურება ფორმალური და მატერიალური სამართლის დაცვას და ამ მიზნით სამართლებრივი სისტემის საქმიანობის გაცნობას. აღნიშნულის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის მიღწევა, რომ იუსტიციის წარმომადგენლებს არ გაუჩნდეთ ე.წ. „შინაურულობის“ შეგრძნება და არ მოხდეს სამართალწარმოების დაჩქარებისა თუ გამარტივების მიზნით საპროცესო გარანტიების, ფაქტობრივად და სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იგნორირება. საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირები ნეიტრალური მათხრობის წინაშე უნდა აკმაყოფილებდნენ მიუკერძოებლობის მოთხოვნებს. ის, თუ რამდენად სათანადოა პროცესის მონაწილეთა ქმედება, რამდენად შესაბამისია მოსამართლის მიერ შერჩეული ფორმულირებები [სიტყვა-პასუხი], ხმის ტონალობა, მოთმინება, გაძლება, ლოიალურობა თუ სიმკაცრე ამა თუ იმ სიტუაციისას, შესაძლებელია ყველაზე უკეთ სწორედ დამსწრეებმა შეაფასონ.

ზემოთ აღნიშნულის მსგავსად, დემოკრატიის პრინციპის ფარგლებში დამკვიდრებული მოთხოვნა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით ინფორმაციათა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მოიცავს სასამართლო დარბაზის საჯაროობას. მედიას გზა ხსნილი აქვს სასამართლო დარბაზისაკენ. ტელე-რადიოჟურნალისტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო პროცესებში და შემდეგ მოახსენონ საზოგადოებას მათ შესახებ, რითაც კანონი საკმარისად და სათანადოდ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დღეისათვის საზოგადოებას, პირველ რიგში, სწორედ მედიის საშუალებით მიეწოდება ინფორმაცია. მედიაც, ძირითადად, განიხილავს და აშუქებს მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომელთა მიმართაც საკმაოდ დიდია საზოგადოების დაინტერესება. ასეთი საკითხების რიგში უმეტესად არ მოიაზრება სასამართლო პროცესები. როგორც უცხოეთის გამოცდილება გვიჩვენებს (სადაც დაშვებულია სასამართლო პროცესების ტრანსლაცია), საზოგადოებისათვის საკმაოდ საინტერესო პროცესების შემთხვევებშიც კი მედია იჩენს მხოლოდ მცირე დაინტერესებას სხდომის სრული სახით ან მისი უმთავრესი ნაწილის ტრანსლაციასთან დაკავშირებით. სამართალწარმოებათა მსვლელობა არ არის ორიენტირებული მედიის ინტერესებზე. პროცესის მიმდინარეობა ფორმალურია. მისთვის დამახასიათებელი საფუძვლიანობა და ხშირი გამეორებები, ინტერესთა თუ უფლებათა ურთიერთმეფარდების შესახებ მსჯელობა და რეალობის თანდათანობითი რეკონსტრუქცია არ არის „მორგებული“ მედიის ინდუსტრიის განსაკუთრებულ დრამატულ მოთხოვნილებებზე. აქედან გამომდინარე, მედია, ძირითადად, დაინტერესებულია მოკლე მოხსენებებითა და ინფორმაციით, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინტერესის გაღვიძებას.

დღ) სასამართლო წარმოების ორგანიზების შესახებ გერმანიის კანონის 169-ე მუხლით გათვალისწინებული ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები, ჩამწერ თუ გადამცემ საშუალებათა აბსოლუტური აკრძალვით გამოირიცხება მხოლოდ სინქრონისა და ორიგინალი ფოტოებისა თუ გამოსახულების დამზადება/ჩანერა, გამოყენება და დამუშავება. ტელე-რადიომართულებლობას არა აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს თავისი მოხსენებების ვიზუალიზაცია სხდომის დარბაზში გადაღებული კადრების მეშვეობით. აღნიშნული, პირველ რიგში, ეხება ტელევიზიას. ჩანახატების გაკეთება, საერთო სასამართლოებსა და სამართლებრივი ლიტერატურის ფარგლებში არსებული მოსაზრებების თანახმად, შესაძლებელია, თუ იგი არ არის გამოირიცხული მანდატურის მიერ გატარებული ღონისძიებების საფუძველზე...

ე) სასამართლოს საჯაროობის შეზღუდვა სასამართლო პროცესების აუდიო, ტელე- და რადიოჩანაწერების დამზადების აკრძალვის გზით ითვალისწინებს და შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნილებებს (1), ასევე – სამართლიანი სამართალწარმოების უზრუნველყოფის, სიმართლის დადგენისა და სამართლიანობის აღდგენის (2) მოთხოვნებს.

(1) პიროვნების ზოგადსამართლებრივ სისტემაში აღიარებული დაცვის მოთხოვნასა და უფლებას სამართალწარმოების ფარგლებში ენიჭება კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა. აღნიშნული, არა მხოლოდ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა და განსაკუთრებული ინტენსიურობით, ვრცელდება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებებზე, სადაც ბრალდებული და მონმე, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, უნდა გაუმკლავდნენ ემოციურად დატვირთულ სიტუაციას სასამართლო დარბაზში და ამ გზით ასევე წარსდგენენ საზოგადოების წინაშე. ინფორმაციები უმეტესად გროვდება სახელმწიფო სასამართლოების დახმარებითა და საჭიროების შემთხვევაში – იძულებითი საშუალებების გამოყენების გზით. აღნიშნულის დაფიქსირება აუდიო- და გამოსახულების რეჟიმში და ასევე მისი გამოყენება სატელევიზიო გადაცემის ფორმატში კიდევ უფრო აძლიერებს ჩარევას პიროვნულ უფლებებში. პროცესის კონტექსტს მონყვეტილი მასალის გავრცელებამ შესაძლოა, გამოიწვიოს საკმაოდ მძაფრი და სავალალო შედეგები, თუ გავითვალისწინებთ სასამართლოს წინაშე წარდგომის საჯარო გაშუქების სამარცხვინო ეფექტსა და დატვირთვას, ან იმ გარემოებას, თუ როგორ შეუძლია ხელი შეუშალოს პირის რესოციალიზაციის პროცესს საზოგადოებისათვის წარსულში ჩატარებული პროცესის შეხსენებამ მისი გაშუქების გზით (იხ: BVerfGE 35, 202, [219, 226]).

ამის გარდა, ასევე არსებობს მოვლენათა შინაარსობრივი დატვირთვის შეცვლის მალალი რისკი, როდესაც ხდება ჩანაწერების დამონტაჟება, მათი სხვაგვარი დამუშავება და ასევე სხვა შინაარსობრივ კონტექსტში გამოყენება. სწორედ ამგვარი საფრთხეების თავიდან აცილებას ემსახურება ჩანაწერებისა და გადაღებების აკრძალვა (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 65, 1).

(2) აუდიო და ვიდეოგადაღების შესაძლებლობა ასევე უნდა გამოირიცხოს სამართლიანი სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე და სიმართლის დადგენისა და სამართლიანობის აღდგენის შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით. მედიის მიერ სრულად [ჩამწერი და გადამღები საშუალებების გამოყენებით] გაშუქებული სასამართლო პროცესი გამობატავს სასამართლოს სახეცელილ სურათს. ადამიანთა უმრავლესობა სხვაგვარად იქცევა, როდესაც ისინი მედიის ყურადღების ქვეშ ექცევიან. ამასთან, ზოგი თავს გრძნობს მეტად კომფორტულად, ხოლო ზოგი კი — შებოჭილად. ასეთ შემთხვევებში სამართალწარმოების სამართლიანობას განსაკუთრებულად დიდი საფრთხე ექმნება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, როდესაც ბრალდებულსა და მონმეებს, მედიის, ტელე თუ აუდიომეთვალყურეობის გამო, უჭირთ ისეთ საკითხებზე საუბარი, რომლებიც არსებითია რეალობის გამოსარკვევად და სიმართლის დასადგენად. აქ იგულისხმება, მაგალითად, ინტიმურ, უხერხულ ან სულაც სამარცხვინო ფაქტებსა და მოვლენებზე საუბარი. ჭეშმარიტების გამორკვევას იმ შემთხვევაშიც ემუქრება საფრთხე, როდესაც პროცესის მონაწილეები ცდილობენ, თავიანთი ქმედება მოარგონ და შეუსაბამონ მედიის განსაკუთრებულ მოთხოვნებსა და მათი მხრიდან – სასურველ ეფექტებს.

აღნიშნულის გარდა, გადამღები ჯგუფის სასამართლო დარბაზში საქმიანობა გავლენას ახდენს პროცესის გარეგნულ მხარეზეც. თუმცა, შესაძლებელია სამართალწარმოების შინაარსსა და მიმდინარეობაზე უარყოფითი გავლენის შემცირება სათანადო ზომების გატარებით, მაგალითად, მხოლოდ ერთი გადამღები ჯგუფის

დაშვებით, ტელევიზიის თანამშრომელთა რიცხვის შეზღუდვით ან კამერებისათვის შესაბამისი ადგილების მიჩენით, ახლო მანძილიდან გადაღების ან ბრალდებულისა და მონმეების გადაღების აკრძალვით, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებებით ვერ მოხდება შეზღუდვებისა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება...

ტელე-რადიოჩანაწერებისა და გადაღების დაშვება არც პროცესის მონაწილეთა თანხმობის შემთხვევაშია მიზანშეწონილი. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილია ასეთი თანხმობა, უნდა გადაწყდეს: უპირისპირდება თუ არა მართლმსაჯულების ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები და პრინციპები აუდიო-, ტელე- და რადიოჩანაწერებსა და გადაღებას. კანონმდებელს აქვს უფლება, ეფუძნებოდეს იმას, რომ მართლმსაჯულების პრინციპები უმეტეს შემთხვევაში გადასწონის სხვა არსებულ ინტერესებს...

### გ) რადიომაუწყებლობის თავისუფლება

#### E – 12. 205

გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლი მოითხოვს ისეთი კანონების მიღებას, რომელთა მეშვეობითაც რადიომაუწყებლობის ორგანიზება მოხდება ისე, რომ ყველა ანგარიშგასანევ ძალას ექნება გავლენა მათ ორგანოებში და ერთიანი პროგრამის ფარგლებში შეძლებს თავისი სიტყვის თქმას და ასევე ერთიანი პროგრამის შინაარსისათვის სავალდებულოდ გახდის ძირითად პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შინაარსობრივი განონსანორებულობის, ობიექტურობისა და ურთიერთპატივისცემის მინიმალურ დონეს.

მეორე სენატის 1961 წლის 28 თებერლის გადაწყვეტილება  
1960 წლის 28, 29 და 30 ნოემბრის ზეპირი განხილვის საფუძველზე  
- 2 BvG 1, 2/60 -

... რადიო, ისევე როგორც პრესა, არის თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის აუცილებელი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება გავლენა საზოგადოებრივ აზრზე და რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. რადიო უფრო მეტია, ვიდრე – საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი „საშუალება“; იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის შექმნის მნიშვნელოვან „ფაქტორს“. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში ეს თანამონაწილეობა არ შემოიფარგლება ახალი ამბების გაშუქებით, პოლიტიკური კომენტარებითა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის პოლიტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი გადაცემებით; საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება ასევე რადიოპიესების, მუსიკალური ნომრების, სხვა პროგრამებისა და ნამუშევრების მეშვეობით. ნებისმიერ რადიოპროგრამას, მისი გადაცემების არჩევანიდან და ფორმიდან გამომდინარე, გააჩნია გარკვეული ტენდენცია, როდესაც საქმე შეეხება გადაწყვეტილების მიღებას იმაზე, თუ რა არ უნდა გაშუქდეს, რა არ აინტერესებს მსმენელს, რისი უგულებელყოფა შეიძლება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესს და როგორ გაფორმდეს და მიენოდოს გადაცემული მასალა.

ასეთი მიდგომისას ნათელი ხდება, რომ რადიომაუწყებლობისათვის – როგორც პრესის გვერდით არსებული და, სულ მცირე, ისევე მნიშვნელოვანი, აუცილებელი მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ფაქტორისათვის – პრესაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური თავისუფლება. აღნიშნული მკაფიოდ არის გამოხატული გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებაში, რომელიც პრესის თავისუფლებასთან ერთად უზრუნველყოფს ასევე „რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას“.

თუმცა, ზემოთ არაფერი თქმულა იმ გზასთან დაკავშირებით, რომლის მეშვეობითაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ზოგადად, რადიომაუწყებლობისა და განსაკუთრებით კი – რადიოს საშუალებით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება, რათა შესრულდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები. აქ მნიშვნელოვანია ის თავისებურება, რითაც რადიო განსხვავდება პრესისაგან. მართალია, მცდარია, რომ შეუზღუდავადაა შესაძლებელი გამომცემლობების, სტამბებისა და გაზეთების დაფუძნება და შენახვა, მაგრამ განსხვავება პრესასა და რადიოს შორის მდგომარეობს იმაში, რომ გერმანულ პრესაში შედარებით მრავლად არის დამოუკიდებელი და თავისი ტენდენციებით, პოლიტიკური ელფერით ან მსოფლმხედველობით ერთმანეთთან კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ხოლო რადიომაუწყებლობის სფეროში კი როგორც ტექნიკური მიზეზების, ასევე, რადიომაუწყებლობის ორგანიზების უჩვეულოდ მაღალი ფინანსური დანახარჯების გამო, აღნიშნული საქმიანობის სუბიექტების რიცხვი შედარებით დაბალი უნდა იყოს.

რადიომაუწყებლობის სფეროს ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი ხასიათი მოითხოვს განსაკუთრებულ ღონისძიებებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლით უზრუნველყოფილი რადიომაუწყებლობის თავისუფლების განსახორციელებლად და შესანარჩუნებლად. ამ მიზანს ემსახურება პრინციპი, რომლის მიხედვითაც არის ორგანიზებული მოქმედი რადიომაუწყებლები: რადიოგადაცემების გაშვების მიზნით კანონის საფუძველზე იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას ან ექვემდებარება მხოლოდ შეზღუდულ სახელმწიფო სამართლებრივ კონტროლს; ამ იურიდიული პირის კოლეგიალური ორგანოები შედგენილია პარიტეტულ სანყისებზე, სადაც წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი თუ საზოგადოებრივი ჯგუფი; მათ აქვთ უფლება, აკონტროლონ ძალები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პროგრამის განსაზღვისათვის და გამოასწორონ მათი შეცდომები იმ თვალსაზრით, რომ დაცული იყოს კანონით გათვალისწინებული პრინციპები რადიომაუწყებლობით ყველა დაინტერესებულის შესატყვის მონაწილეობასთან დაკავშირებით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ასეთი გარანტიებით უზრუნველყოფილ ინსტიტუციას არსებულ ტექნიკურ პირობებში ფედერალური ერთეულის მასშტაბით მიენიჭება რადიომაუწყებლობის მონოპოლია; მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლიდან არ გამომდინარეობს აღნიშნული ინსტიტუციისათვის ლანდში ასეთი მონოპოლიის მიკუთვნების აუცილებლობა.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლი რადიომაუწყებლობის თავისუფლების უზრუნველსაყოფად არ მოითხოვს ლანდების ტელე-რადიომაუწყებლობის კანონებში ასახულ და ფედერალურ კანონებში გადმოტანილ ფორმას. პირველ რიგში, გერმანიის ფედერალური კონსტიტუცია არ მოითხოვს, რომ რადიომაუწყებლები აუცილებლად იყვნენ საჯარო სამართლის დანესებულებები. კერძო სამართლის უფლებაუნარიან საზოგადოებასაც შეუძლია იყოს ასეთი სუბიექტი, თუკი იგი საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუციის მსგავსად, თავისი სტრუქტურული ფორმით

სათანადოდ უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი ძალის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვასა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების ხელშეუხებლობას. კონსტიტუციიდან გამომდინარე, ასეთი საზოგადოების წინააღმდეგ არ არსებობს რაიმე მოსაზრება, თუკი შესაბამისი კანონით მოხდება რადიომაუნყებლობის საეციფიკური მიზნებისა და განსაკუთრებით კი – მისი ინსტიტუციონალური თავისუფლების უზრუნველყოფელი საზოგადოების განსაკუთრებული ფორმის გათვალისწინება და თუ ყველა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად მოქმედი საზოგადოება, რომლის საქმიანობაც მოიცავს რადიოგადაცემების ორგანიზებას, დაექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას, ბანკებისა და სადაზღვევო კონტროლის მსგავსად.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლი მოითხოვს, რომ აზრის ჩამოყალიბების აღნიშნული თანამედროვე ინსტრუმენტი არ უნდა იყოს არც სახელმწიფოს და არც რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ხელში. რადიომაუნყებლები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყველა ანგარიშგასანეე ძალას შეეძლოს გავლენა მოახდინოს მათი ორგანოების ფარგლებში და მონაწილეობა მიიღოს მათ პროგრამებში. პროგრამების შინაარსის მიმართ სავალდებულოა ისეთი ძირითადი პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ შინაარსობრივი განონასწორებულობის, ობიექტურობისა და ურთიერთპატივისცემის მინიმალურ დონეს. ყოველივეს უზრუნველყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზატორული და საგნობრივი პრინციპები, ზოგადად, სავალდებულოდ დამკვიდრებულია კანონით. აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლი მოითხოვს ასეთი კანონების გამოცემას.

## **E – 57, 295**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კერძო რადიოგადაცემებისათვის მოითხოვს საკანონმდებლო მონესრიგებას, რომელიც, რადიომაუნყებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, ითვალისწინებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ეს აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადაცემის სიხშირისა და რადიოგადაცემების ორგანიზებისათვის საჭირო მასშტაბური დაფინანსების გამო, თანამედროვე მიღწევებისა და განვითარების შედეგად, არ არის შექმნილი რადიომაუნყებლობისათვის საჭირო – თავისებური, განსაკუთრებული სიტუაცია.
2. საკითხები, რომლებიც უნდა მოანესრიგოს კანონმდებელმა, მოიცავს ასევე გადანყეტილებას რადიომაუნყებლობის სისტემის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებთან დაკავშირებით. შესაბამისი სისტემური მოდელის საფუძველზე კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს ნაციონალური პროგრამების არსებითი შესატყვისობა აზრთა არსებულ მრავალფეროვნებასთან. ამას გარდა, მისი ამოცანაა, სავალდებულოდ განსაზღვროს ძირითადი პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს შინაარსობრივი ბალანსის, ობიექტურობისა და ურთიერთპატივისცემის მინიმალურ სტანდარტს. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ასევე შეზღუდული სახელმწიფო ზედამხედველობა, მოანესრიგოს კერძო რადიოგადაცემათა მონყობა-ორგანიზების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები და იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ვერ იქნება ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისათვის, განსაზღვროს შერჩევის კრიტერიუმები. საჭირო არ არის იმ საკითხის გადანყეტა, უნდა მოანესრიგდეს თუ არა კანონით კერძო რადიომაუნყებლობის დაფინანსება.

3. დებულებები, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი ზაარლანდის ლანდის კერძო გერმანულენოვანი რადიოგადაცემების ორგანიზებასთან დაკავშირებით, ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოყალიბებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს; შესაბამისად, აღნიშნული ნორმები ბათილია.

### პირველი სენატის 1981 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება 1981 წლის 24 მარტის ზეპირი განხილვის საფუძველზე

სამართალწარმოების საგანია საკითხის განხილვა: შეესაბამება თუ არა ძირითად კანონს ზაარლანდის ლანდის კერძო გერმანულენოვანი რადიოგადაცემების ორგანიზებასთან დაკავშირებული კანონის ნორმები.

ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კერძო რადიო-გადაცემებისათვის მოითხოვს საკანონმდებლო ნორმას, რომელიც ითვალისწინებს რადიომაუწყებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

1. ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით კონსტიტუციურ-სამართლებრივად გარანტირებული რადიომაუწყებლობის თავისუფლება მისი ქმედითობის უზრუნველსაყოფად მოითხოვს საკანონმდებლო ჩამოყალიბებას. ეს გამომდინარეობს უზრუნველყოფის ამოცანიდან და თავისებურებიდან.

ა) რადიომაუწყებლობის თავისუფლება, ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სხვა გარანტიებთან ერთად, ემსახურება მსგავს ამოცანას, კერძოდ: თავისუფალი, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას მრავლისმომცველი და არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებითა და პოლიტიკური მოსაზრებების გადმოცემით – შეზღუდული ფორმით, რომელიც ასევე გულისხმობს ინფორმაციას და მოსაზრების ნებისმიერ გავრცელებას ფართო გაგებით (იხ: BVerfGE 12, 205 [260] – გერმანიის ტელევიზია; 31, 314 [326] — ბრუნის გადასახადი; 35, 202 [222] – ლენახი). აზრის თავისუფალი ჩამოყალიბება მიმდინარეობს კომუნიკაციის პროცესში. იგი, ერთი მხრივ, წინაპირობად ითვალისწინებს აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ – გამოხატული აზრის გაცნობისა და საკუთარი თავის ინფორმირების თავისუფლებას. ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი აზრის გამოხატვის, აზრის გავრცელებისა და ინფორმაციის თავისუფლებას უზრუნველყოფს, როგორც ადამიანის ძირითად უფლებებს და ამით იმავდროულად ცდილობს ამ პროცესის კონსტიტუციურ დაცვას. შესაბამისად, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა ანებს სუბიექტურ უფლებებს; ამასთან კავშირში იგი ახდენს აზრის თავისუფლების, როგორც საერთო – სამართლებრივი წესრიგის ობიექტური პრინციპის ნორმირებას, სადაც სუბიექტური და ობიექტური სამართლებრივი ელემენტები განაპირობებს და ამყარებს ერთუროს (იხ: BVerfGE 7, 198 [204] – Lüth).

რადიომაუწყებლობა გახლავთ აზრის თავისუფალი ჩამოყალიბების კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცული პროცესის „საშუალება“ და „ფაქტორი“ (იხ: BVerfGE 12, 205 [260]). აქედან გამომდინარე, რადიომაუწყებლობის თავისუფლება უპირველესად არის იმგვარი თავისუფლება, რომელიც ემსახურება აზრის ჩამოყალიბების თავისუფლების სუბიექტურ და ობიექტურ-სამართლებრივ ელემენტებს: იგი, თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის პირობებში, წარმოადგენს ამ თავისუფლების აუცილებელ განვრცობასა და გამყარებას; ის ასევე ემსახურება რადიოს მეშვეობით თავისუფალი და მრავლისმომცველი აზრის ჩამოყალიბების უზრუნველყოფას.

მითითებული ამოცანა განსაზღვრავს რადიომაუწყებლობის თავისუფლების თავისებურებასა და მნიშვნელობას:

თავისუფალი, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება რადიოს მეშვეობით, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს რადიოს თავისუფლებას სახელმწიფოს ბატონობისა და გავლენისაგან, რაც რადიომაუწყებლობის თავისუფლებას, სხვა კლასიკურ თავისუფლებათა უფლებების მსგავსად, ანიჭებს დაცვით მნიშვნელობას. თუმცა, ამით ჯერ კიდევ არ არის გარანტირებული ის მთავარი, რაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ვინაიდან სახელმწიფო ჩარევებისაგან თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია რადიოს მეშვეობით თავისუფალი და მრავლისმომცველი აზრის ჩამოყალიბება. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ნეგატიური ნორმის ჩამოყალიბება, არამედ საჭიროა იმ პოზიტიური ნებსრიგის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ აზრთა მრავალფეროვნების შეძლებისდაგვარად ფართო და სრულყოფილ გამოხატვას რადიოს მეშვეობით და ამ გზით მრავლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს შესაბამისი მატერიალური, ორგანიზაციული და პროცესუალური ნორმებისა და წესების გამოცემას, რომლებიც ორიენტირებულია რადიომაუწყებლობის თავისუფლების ამოცანებზე და, შესაბამისად, სათანადო ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად.

ბ) ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმა ექვემდებარება საკანონმდებლო დათქმას (იხ: BVerfGE 47, 46 [78]; 49, 89 [126]):

აუცილებელი გადანყევტილებები არის არსებითი, ვინაიდან ისინი, თანამედროვეობის ინდივიდუალური და საზოგადო ცხოვრებისათვის რადიომაუწყებლობის საქმიანი მნიშვნელობის მიუხედავად, ძირითადი უფლებებისათვის რელევანტურ სფეროში მიიღება და მნიშვნელოვანია ძირითად უფლებათა განხორციელებისათვის (იხ: BVerfGE 47, 46 [79]). სახელდობრ, აქ თავმოყრილია ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივი პოზიცია, რომლებიც შესაძლოა კოლიდირებდეს ერთმანეთთან. აქ საუბარია, ერთი მხრივ, ინფორმაციის თავისუფლებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე ფართო და სინამდვილესთან შესაბამისი ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პირთა აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე, რომლებიც ქმნიან პროგრამებს ან გადაცემებში გამოდიან სიტყვიტ. კანონმდებლის პრეროგატივაა სწორად ასეთი კოლიზიების დაბალანსება და ურთიერთგათანაბრება.

აღნიშნული საკანონმდებლო დათქმა არის (ლანდის) საპარლამენტო დათქმა (იხ: BVerfGE 47, 46 [79]), კერძოდ: რადიომაუწყებლობის თავისუფლებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები უნდა განსაზღვროს პარლამენტმა; მას არა აქვს უფლება, ასეთი გადანყევტილებების მიღება მიანდოს აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაბამისი ზოგადი უფლებამოსილების მინიჭების გზით და არც არაპირდაპირი ფორმით, როდესაც ასეთი უფლებამოსილება, მართალია, არ არის გამოკვეთილად გათვალისწინებული, მაგრამ არასაკმარისად განსაზღვრული ნორმების საფუძველზე ასეთ საკითხებს ფაქტობრივად აწესრიგებს აღმასრულებელი ხელისუფლება. ამ საკითხების გადაჭრა-გადაწყვეტა ასევე არ შეიძლება დაექვემდებაროს ორგანიზატორთა წესდებას თუ სახელმეკრულებო დებულებას.

ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე ამოცანა, რადიომაუწყებლობის თავისუფლების სამართლებრივ ფორმირება-ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, არ მოიკავს ძირითადი უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებას. ასეთი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, იმავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები შესაძლებელია, შეიზღუდოს კანონის ნორმებით, ასევე – მოზარდთა დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დანაწესებითა და პიროვნული პატივის მომწესრიგებელი ნორმებით.



თუ როგორ სურს კანონმდებელს თავისი ამოცანის განხორციელება, მისი გადასაწყვეტია. ძირითადი კანონი მას არ უნებს რადიომაუწყებლობის ორგანიზების რომელიმე კონკრეტულ ფორმას. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის გარემოება, რომ ზემოთ წარმოდგენილი მასშტაბითა და გავებით უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი, ფართო და სინამდვილესთან შესაბამისი აზრის ჩამოყალიბება, სადაც აღმოფხვრილი და თავიდან აცილებული იქნება შეზღუდვები და არასწორი განვითარება. კანონმდებელმა განსაკუთრებულად უნდა უზრუნველყოს, რომ რადიოს არ მართავდეს ერთი ან ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფი, რომ ყველა ანგარიშგასანევ საზოგადოებრივ ძალას მიეცეს სიტყვა რადიოს პროგრამების ფარგლებში და ხელშეუხებელი იყოს ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება (იხ: BVerfGE 12, 205 [262]; 31, 314 [325]).

გ) კანონის დონეზე მოწესრიგების აუცილებლობა მოცემულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადაცემის სიმწირისა და რადიოგადაცემების ორგანიზებისათვის საჭირო მასშტაბური დაფინანსების გამო, თანამედროვე მიღწევებისა და განვითარების შედეგად, არ არის მოცემული რადიომაუწყებლობის თავისებური, განსაკუთრებული ვითარება. ასეთი განსაკუთრებული ვითარებიდან გამომდინარეობს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის პრაქტიკაში (იხ: BVerfGE 12, 205 [261]; 31, 314 [326]); თუ რა უნდა მოქმედებდეს ასეთი სიტუაციის არარსებობისას, ღიად არის დარჩენილი (იხ: BVerfGE 31, 314 [326]). ამ შემთხვევაშიც ვრცელდება რადიომაუწყებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით კანონის დონეზე შესაბამისი ღონისძიებების გატარების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულება. თუმცა, შესაძლებელია ასეთი ღონისძიებები სხვა მასშტაბებითა და მიმართულებებით საჭირო გახდეს რადიომაუწყებლობის მხოლოდ მცირე სუბიექტებით შეზღუდვის გარდაუვალი სიტუაციის არსებობისას და გამოინვიოს სხვა საშუალებების გამოყენების აუცილებლობაც, ვიდრე ისეთი ვითარებისას, როდესაც არ არსებობს ასეთი შეზღუდვები. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ზემოხსენებულ გამონაკლის შემთხვევებზეც ვრცელდება რადიომაუწყებლობის თავისუფლების კანონიერი ზომებით უზრუნველყოფის აუცილებლობა.

არსებული შეზღუდვების გამორიცხვის შემთხვევაშიც ვერ იქნება უზრუნველყოფილი ის, რომ რადიოპროგრამები კონკურენციის განსაკუთრებულ პირობებში მთლიანად შეესაბამებოდეს რადიომაუწყებლობის თავისუფლების მოთხოვნებს. თუმცა, აღნიშნული შესაძლოა, გამართლებული იყოს იმ არგუმენტით, რომ ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდება შეზღუდული მრავალფეროვნება. მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებლობაზე. პრესის შემთხვევაში ისტორიულმა განვითარებამ გამოიწვია არსებული თანაფარდობა, რომლის ფარგლებშიც პრესის მეშვეობით ფართო ინფორმაციის გავრცელებისათვის საკმარისია არსებულის უზრუნველყოფა, კერძო რადიომაუწყებლობის სფეროში შეუძლებელია ასეთი ვითარებიდან გამოსვლა და ამით ხელმძღვანელობა. ამასთან, ასევე არ არის გარკვეული, მართლაც მიეცემა თუ არა სიტყვა „ერთიანი პროგრამის“ ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს ან მათი და სასულიერო-რელიგიური მოძრაობების მნიშვნელოვან ნაწილს; ანუ მართლაც ჩამოყალიბდება თუ არა ე.წ. „აზრის ბაზარი“, სადაც ყოველგვარი შემოკლების გარეშე იქნება გამოსატყუარი არსებულ აზრთა მრავალფეროვნება. ამასთანავე, ანგარიშგასანევია, რომ ისეთი მნიშვნელობის საშუალების შემთხვევაში, როგორც რადიომაუწყებლობაა, არსებობს აზრის ძალაუფლების კონცენტრაციისა და მისი საზოგადოებრივ აზრზე ცალმხრივი გავლენის მოხდენის მიზნით ბოროტად გამოყენების საშიშროება. ამგვარ სიტუაციაში რადიომაუწყებლობის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არ იქნებო-

და საკმარისი ის, რომ გამორიცხულიყო მხოლოდ სახელმწიფო ჩარევა და რადიო-მაუწყებლობა დათმობოდა ძალთა თავისუფალ ჭიდილს. მით უფრო, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული არასწორი განვითარების გამოსწორება მხოლოდ მნიშვნელოვანი სირთულეების დაძლევისაა შესაძლებელი.

კანონმდებლის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ არსებობდეს ერთიანი არჩევანი, რომლის ფარგლებშიც გამოხატული იქნება თავისუფალი დემოკრატიისათვის საჭირო ფუძემდებლურ აზრთა მრავალფეროვნება. აუცილებელია, რომ გასაერცვლებელი აზრი მიენოდოს საზოგადოებას და პირებმა, რომლებიც ფლობენ მაუწყებლობისა და ფინანსურ საშუალებებს, მომეტებული ჩარევა არ განახორციელონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

ბუნებრივია, აღნიშნულის სრულად და რეალურად მიღწევა არ არის შესაძლებელი; მაგრამ უნდა არსებობდეს, სულ მცირე, საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კანონით მონესრიგებული რადიომაუწყებლობის სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბდება ამგვარი დაბალანსებული მრავალფეროვნება.

2. საკითხი, თუ რა ცალკეულ მოთხოვნებს ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონი კერძო რადიომაუწყებლობის კანონით მონესრიგებასთან დაკავშირებით, წინამდებარე სამართალწარმოების ფარგლებში არ საჭიროებს ამომწურავ განხილვას. ეს განსაკუთრებით ეხება კერძო რადიოგადაცემათა დაფინანსების, როგორც არსებითი საკითხის, კანონით მონესრიგების აუცილებლობას, ვინაიდან დაფინანსების საკითხმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პროგრამების ჩამოყალიბებასა და მედიის სხვა საშუალების, მაგალითად, პრესის მდგომარეობაზე.

ა) ყოველ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ მოსაწესრიგებელ არსებით საკითხებში შედის გადაწყვეტილების მიღება რადიოს სისტემის ძირითად მიმართულებებზე. კერძო რადიოს დაფუძნება საჭიროებს კანონიერ საფუძველს და პარლამენტის გადაწყვეტილებას. აღნიშნული ასევე ვრცელდება დროსა და სივრცეში შეზღუდულ საცდელ მაუწყებლობებზე, ვინაიდან ისინი ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების თვალსაზრისით. თუმცა, აქ კანონმდებელს ბევრად ფართო ასპარეზი აქვს, რადგან ისინი ემსახურება გამოცდილების შეძენას (იხ: BVerfGE 54, 173 [202]).

ბ) თუმცა, კანონმდებელს არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ ამ ძირითადი გადაწყვეტილებით.

ასევე საჭიროა კანონის დებულებები, რომლებიც განსაზღვრული სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ რადიოს არ მართავდეს ერთი ან ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფი და პროგრამათა საერთო ბაღეში სიტყვა მიეცეს ყველა არსებულ კომპეტენტურ ძალას.

როდესაც კანონმდებელი მიიღებს გადაწყვეტილებას ერთ-ერთი ორგანიზაციული სისტემის (მაგალითად, „შიდაპლურალისტური“) სასარგებლოდ, აუცილებელი ხდება საქმიანი და არსებულ აზრთა მრავალფეროვნების შესაბამისი და საზოგადოებრივი ძალების გამათანაბრებელი ნორმები და ასევე იმ ორგანოს ეფექტური გავლენის გათვალისწინება, რომელშიც წარმოდგენილია აღნიშნული ძალები.

კანონმდებელს ასევე შეუძლია სხვა ორგანიზაციული ფორმის არჩევა, თუ იგი სათანადო ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოფს, რომ ნაციონალურ პროგრამათა ერთობლიობა რეალურად შეესაბამებოდეს არსებულ აზრთა მრავალფეროვნებასა და სხვადასხვაობას. იმ შემთხვევაში, თუ მას ამასთანავე სურს რადიომაუწყებლობის თავისუფლების დამკვიდრება და შენარჩუნება გარე (ე.წ. „გარეპლურალისტური“) მრავალფეროვნების გზით, იგი ამ ფორმის არჩევის დროსაც ვერ ასცდება ნორმების გათვალისწინების ვალდებულებას; თავისუფლების უზრუნველყოფა კვლავაც არის მისი პასუხისმგებლობის საგანი (იხ: ზემოთ, პუნქტი 1 „გ“)...

გ) ყოველივე აღნიშნულის გარდა, კანონმდებელმა სავალდებულოდ უნდა განსაზღვროს, ზოგადად, პროგრამების ძირითადი მიმართულებები და პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს შინაარსობრივი ბალანსის, ინფორმაციათა, საქმიანობისა და ურთიერთპატივისცემის მინიმალურ სტანდარტს (იხ: BVerfGE 12, 205 [263]). ორგანიზატორთა [იგულისხმება რადიოპროგრამების ორგანიზატორები] „შიდაპლურალისტური“ სტრუქტურის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება თითოეული ორგანიზატორის პროგრამების ერთობლიობაზე, ხოლო „გარეპლურალისტური“ მოდელის ფარგლებში ცალკეულ ორგანიზატორს არ ეკისრება ბალანსის დაცვის მოვალეობა; თუმცა, ისინი ვალდებული არიან გაავრცელონ საქმიანი, ფართო და სინამდვილის შესაბამისი ინფორმაცია, დაიცვან ურთიერთპატივისცემის მინიმალური სტანდარტი. ამას გარდა, ყველა ორგანიზატორისათვის სავალდებულოა გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები, სახელდობრ კი, მოზარდთა დაცვასთან დაკავშირებული ნორმები.

დ) კერძო რადიომაუწყებლობის აუცილებელ კანონიერ ნორმებს ასევე განეკუთვნება შეზღუდული სახელმწიფო ზედამხედველობის ნორმირება, რომელიც გულისხმობს მხოლოდ რადიომაუწყებლობის თავისუფლების უზრუნველსაყოფად გამოცემული ნორმების შესრულების კონტროლს (იხ: BVerfGE 12, 205 [262]).

ე) თუმცა, რადიომაუწყებლობის ნებისმიერი ფორმის არჩევისას გარდაუვალია იმის წინასწარი შემოწმება, დაცულია თუ არა კერძო რადიომაუწყებლის საქმიანობის დანებისას ან ახალი ორგანიზატორის დამატებისას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები და პრინციპები. თუ კანონმდებელი თავის არჩევანს შეაჩერებს რადიომაუწყებლობის ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც მოიცავს კერძო რადიოს, მან უნდა გაითვალისწინოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს ასეთი შემონმებისა და საჭიროების შემთხვევაში – ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომობის [იგულისხმება ნებართვის გაცემა] საკითხის შემოწმებასა და გადაწყვეტას გაითვალისწინებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი წარმოების გზით. ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული წარმოება, ზოგადი წინაპირობების შემოწმების გარდა, მაგალითად, როგორცაა ქმედუნარიანობა ან განმცხადებლის კომპეტენტიურობა, პირველ რიგში, უნდა ემსახუროდეს რადიომაუწყებლობის თავისუფლების უზრუნველყოფას, რომლის საფუძველზეც საერთოდ არსებობს ასეთი წარმოების კონსტიტუციური აუცილებლობა.

ნებართვის გაცემისა თუ მასზე უარის თქმის წინაპირობების განსაზღვრა კი კანონმდებლის კომპეტენციაა. აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის კერძო რადიომაუწყებლობის ორგანიზების უფლების გადაცემა მას ეკრძალება საპარლამენტო დათქმის საფუძველზე (იხ: ზემოთ 1 „ბ“).

სწორედ აღნიშნული დათქმა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოითხოვს კანონმდებლისაგან, თვითონ განსაზღვროს სახელმწიფო ღონისძიებებისათვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი სფეროს ფარგლები. კანონი უნდა ახდენდეს ადმინისტრაციის საქმიანობის შინაარსობრივ ნორმირებას და არ შეიძლება შემოიფარგლოს ზოგადი პრინციპების განსაზღვრითა და ჩამოყალიბებით (იხ: BVerfGE 52, 1 [41] – მცირე საბაღე ნაკვეთები). იგივე ვრცელდება ნებართვაზე უარის თქმის შემთხვევებზეც.

ვ) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გავრცელების მოცემული საშუალებები არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ყველა კანდიდატისათვის იქნეს უზრუნველყოფილი კერძო რადიოგადაცემების ორგანიზების ხელმისაწვდომობა, აღნიშნული საქმიანობის ხელ-

მისანვდომობასთან დაკავშირებული წესები ასევე უნდა მოიცავდეს ნორმებს კანდიდატთა შერჩევის შესახებ (გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი).

ასე რომ, საკითხის მოწესრიგება, თუ ვინ უნდა სარგებლობდეს რადიო-პროგრამათა ორგანიზების შესაძლებლობებით, არ უნდა დაექვემდებაროს შემთხვევითობას ან ძალების თავისუფალ თამაშს. ასევე არ არის საკმარისი, გადაწყვეტილების მიღების მინდობა აღმასრულებელი ხელისუფლების თავისუფალ, ვალდებულებებით შეუზღუდავ მიხედვლებაზე. აღნიშნული შეუსაბამო იქნებოდა კანონის დათქმასთან (იხ: BVerfGE 33, 303 [345]) — ნუმერუს კლაუზუსი). კანონმდებელმა თვითონ უნდა განსაზღვროს წინაპირობები ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა თუ მასზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამასთან, მან უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი სამართალწარმოების შესაძლებლობა, რომლის მეშვეობითაც, საჭიროების შემთხვევაში, გადაწყდება აღნიშნული საკითხი. თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება არ არის რთული ისეთი სისტემის ფარგლებში, სადაც შესაძლებელია საეთერო დროის განაწილება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ არის საკმარისი და კანონმდებელმა გადაწყვეტილება მიიღო ისეთი სისტემის სასარგებლოდ, რომელიც ითვალისწინებს სრული პროგრამებისათვის თითო ორგანიზატორზე ლიცენზიის გაცემას, მან უნდა განსაზღვროს კანდიდატთა შერჩევის პრინციპები, რომლებიც ყველა კანდიდატისათვის უზრუნველყოფს თანაბარ შანსს (იხ: BVerfGE 33, 303 [345]); ხოლო ამ შანსის რეალიზების შესაძლებლობა უნდა განისაზღვროს ობიექტური და ინდივიდუალური კრიტერიუმებით (იხ: BVerfGE 43, 291 [316]).

## E – 73, 118

1. ა) რადიოს ორმაგი სისტემის ფარგლებში, რომელიც გერმანიის ლანდების უმრავლესობაში მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონების საფუძველზე ჩამოყალიბდა, „საარსებო ნყაროს“ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუციები, რომელთა პროგრამებიც აღწევს თითქმის მთელ მოსახლეობამდე და რომლებსაც შეუძლიათ მაყურებლისათვის შინაარსობრივად ფართო სპექტრის პროგრამების შეთავაზება. ზემოთ აღნიშნული მოიცავს დემოკრატიული ნყობილების რადიომაუწყებლობის არსებით ფუნქციებს და ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას. სწორედ მასში ჰპოვებს გამართლებას საჯარო-სამართლებრივი რადიომაუწყებლობა და მისი თავისებურებები. ამოცანები, რომლებიც დგას მის წინაშე, აუცილებელს ხდის მათი შესრულების ტექნიკური, ორგანიზატორული, პერსონალური საკადრო და ფინანსური წინაპირობების უზრუნველყოფას.
- ბ) ვიდრე საჯარო-სამართლებრივი რადიომაუწყებელი ეფექტურად უზრუნველყოფს ზემოთ აღნიშნული ამოცანების განხორციელებას, არ არის მიზანშეწონილი კერძო რადიომაუწყებლის პროგრამული შემოთავაზებისა და თანაბარი მრავალფეროვნების მიმართ საჯარო-სამართლებრივი რადიოს მსგავსი მაღალი მოთხოვნების წაყენება. ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაატაროს კანონმდებელმა, უნდა ემსახურებოდეს კერძო რადიომაუწყებლობის ფარგლებში თანაბარი მრავალფეროვნების მაქსიმალური მაჩვენებლის მიღწევასა და უზრუნველყოფას. ზედამხედველობის გარე ორგანოებისა და სასამართლოების მიერ აღნიშნული მრავალფეროვნების უზრუნველყოფის კონტროლის განსახორციელებლად საკმარისია საყოველთაო სტანდარტი, რომელიც მოიცავს აზრთა მრავალფეროვნე-

ბის არსებით წინაპირობებს: ყველანაირი აზრის წარმომდგენის, ასევე უმცირესობების შესაძლებლობას, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები კერძო რადიო-მაუწყებლობის ფარგლებში და გამოირიცხოს ცალკეული ორგანიზაციისა თუ პროგრამების მიერ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე ცალმხრივი და აშკარად არათანაბარი გავლენა, სახელდობრ, გაბატონებული აზრის პრივილეგიის წარმოშობის თავიდან აცილება. კანონმდებლის ამოცანაა, უზრუნველყოს აღნიშნული ძირითადი სტანდარტების განხორციელება შესაბამისი მატერიალური, ორგანიზატორული და პროცესუალური ნორმებისა და წესების გათვალისწინებით.

2. როგორც წესი, რადიომაუწყებლობის თავისუფლების აღნიშნული და ასევე სხვა წინაპირობების გათვალისწინებისათვის საკმარისია კერძო, სარეკლამო საშუალებებით დაფინანსებული რადიოს კონცეფცია, რომელიც, ზოგადი მინიმალური წინაპირობების გარდა, ასევე მკაფიოდ ითვალისწინებს თანაბარი მრავალფეროვნებისა და პროგრამების ბალანსს და რომელიც პროგრამების შინაარსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიანდობს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ, კომპეტენტურ საზოგადოებრივ ძალებს დაქვემდებარებულ ორგანოს და გაატარებს ეფექტურ ნორმატიულ ღონისძიებებს რომელიმე პრივილეგიური აზრის ჩამოყალიბებისა და კონცენტრაციის წინააღმდეგ.
3. ...

პირველი სენატის 1986 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება  
1986 წლის 3 ივნისის ზეპირი განხილვის საფუძველზე  
- BvF 1/84 -

ტელე-რადიომაუწყებლობის შესახებ ქვემო საქსონიის ლანდის 1984 წლის 23 მაისის კანონის ძირითად კანონთან შესაბამისობასთან დაკავშირებულ საქმეზე. განმცხადებელი: დოქტორი ჰანს-იოხენ ფოგელი, გერმანიის პარლამენტის წევრი და პარლამენტის [ბუნდესტაგის] სხვა 200 წევრი.

**E – 35. 202**

1. რადიო ან ტელედაწესებულებები ყველა გადაცემის მომზადებისას, ძირითადად, მოქმედებენ გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დაცვით. რადიომაუწყებლობის თავისუფლება მოიცავს როგორც მასალების შერჩევას, ასევე მათი წარმოდგენის ფორმას, რომელიც გულისხმობს ეთერში გაშვების ფორმასაც. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რადიომაუწყებლობის თავისუფლება კონფლიქტშია სხვა სამართლებრივ სიკეთებთან, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს კონკრეტული გადაცემის მიღმა მდგარ ინტერესებს, გადაცემის ორგანიზებასა და მიღწეულ ან სავარაუდო ეფექტსა და შედეგებს.
2. ხელოვნების სფეროში საავტორო უფლებათა შესახებ კანონის 22-ე და 23-ე მუხლები მოიცავს საკმარის სივრცეს ინტერესთა ურთიერთშეფარდებისათვის, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გარანტირებულ რადიომაუწყებლობის თავისუფლებას და, მეორე მხრივ კი — გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნ-

ქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პიროვნული უფლებების დაცვას.

ამასთან, ვერც ერთი აღნიშნული კონსტიტუციური ღირებულება ვერ ისარგებლებს ზოგადი უპირატესობით, აქ შედეგები განისაზღვრება ცალკეულ შემთხვევაში – პიროვნული თავისუფლების შელახვისა და ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული საზოგადოების ინტერესის ურთიერთშეფარდების საფუძველზე.

3. მძიმე დანაშაულების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებისას დამნაშავის პიროვნული უფლებების მიმართ პრიორიტეტულია საზოგადოების ინტერესი, თუმცა, ხელშეუვალი პიროვნული სფეროს დაცვის გარდა, ასევე სავალდებულოა თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც, ყოველთვის არ არის დასაშვები დამნაშავის სახელის დასახელება, მისი გამოსახვა ან იდენტიფიცირების სხვაგვარი საშუალებები.

თუმცა, პიროვნების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვა არ უშვებს, რომ ტელევიზია, აქტუალური ინფორმაციის გავრცელების გარდა, მაგალითად, დოკუმენტური ფილმის ფორმითა და საშუალებით დროში შეუზღუდავად დაკავდეს დამნაშავის პიროვნებითა და მისი პირადი ცხოვრებით.

დაუშვებელია მოგვიანებით ინფორმაციის გავრცელება, თუ მისი საშუალებით შესაძლებელია არსებითად ახალი ან დამატებითი ზიანი მიადგეს დამნაშავეს და საფრთხე შეექმნას მის რესოციალიზაციას. დამნაშავის რესოციალიზაციას საფრთხე ემუქრება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის განთავისუფლების შემდეგ ან მის განთავისუფლებამდე მოკლე დროის მონაკვეთში ეთერში გავა მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული ისეთი გადაცემა, რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიკაცია.

### პირველი სენატის 1973 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება - BvR 536/72 -

1945 წელს დაბადებული მოსარჩელე იყო მძიმე დანაშაულის, ე.წ. ლებახის ჯარისკაცთა მკვლელობის მონაწილე. აღნიშნულ საქმეს განიხილავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო<sup>13</sup>.

კონსტიტუციური სარჩელი აღძრულია მოსარჩელის განცხადებაზე უარის თქმის გამო, რომლითაც იგი ითხოვდა, რომ სასამართლოს გამოეცა განკარგულება, რითაც გერმანიის მეორე სატელევიზიო არხს აეკრძალებოდა (ZDF) არხის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის გაშვება, რომელშიც გამოსახული ან მოხსენიებულია კონსტიტუციური სარჩელის ავტორი.

რადიო და ტელევიზია, პრესის მსგავსად, განეკუთვნება მასობრივი კომუნიკაციის იმ აუცილებელ საშუალებათა რიცხვს, რომელთა ამოცანაა როგორც ხალხისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთდაკავშირება და ამ უკანასკნელთა კონტროლი, ასევე საზოგადოების ინტეგრაცია ყველა ცხოვრებისეულ სფეროში. ეს საშუალებები მოქალაქეებს აწვდის აქტუალურ და ფართო ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების, სახელმწიფო პროცესებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. მათი მეშვეობით იქმნება და მიმდინარეობს საჯარო, საზოგადო დისკუსია, რაც ხორციელდება აზრთა სხვადასხვაობის ნარმოდგენა-გაშუქებისა და ცალკეული და ურთიერთ-

<sup>13</sup> გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 3 პროფესიონალი მოსამართლისა და 6 ნაფიცი მსაჯულისაგან.

განსხვავებული საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის საზოგადო აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის მინიჭების გზით. ამას გარდა, რადიო და ტელევიზია არის საზოგადოებრივი აზრისა და ნების ჩამოყალიბების პერმანენტული პროცესის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი (იხ: BVerfGE 12, 113 [125]; 12, 205 [260]). რადიომაუწყებლობის თავისუფლება, მისი განსხვავებული სახელწოდების მიუხედავად, თავისი არსით არ განსხვავდება პრესის თავისუფლებისაგან; იგი თანასწორად ვრცელდება წმინდა ინფორმაციულ, ასევე სხვა სახისა და ფორმატის გადაცემებზე. ინფორმაციისა და აზრის გავრცელება, საინფორმაციო გამოშვებისა და პოლიტიკური კომენტარების გარდა, ასევე შესაძლებელია სატელევიზიო დადგმებისა და მუსიკალური გადაცემების გზით; ნებისმიერ რადიოპროგრამას, გადაცემათა შერჩევის, აგრეთვე ორგანიზების მეშვეობითა და სახით, გააჩნია აზრის განმსაზღვრელი ეფექტიც (იხ: BVerfGE 12, 205 [260]; 31, 314 [326]).

რადიომაუწყებლობის თავისუფლება ასევე არ უშვებს გადაცემების თავისთავად ურთიერთგანსხვავებას, მათ მიღმა მდგომი ინტერესებისა და შეხედულებების ხარისხის მიხედვით. თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ „სერიოზულ“, კომპეტენტურ კერძო ან საზოგადოებრივ ინტერესს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე საბოლოოდ გამოიწვევდა სახელმწიფო უწყებების მიერ შეფასებებსა და მართვას, რაც ძირითადი უფლების არსის საწინააღმდეგო იქნებოდა (იხ: BVerfGE 25, 296 [307]; 34, 269, 282).

აქედან გამომდინარე, ტელე ან რადიოუწყების ნებისმიერი გადაცემა, როგორც წესი, სარგებლობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული დაცვით, მიუხედავად იმისა, საუბარია პოლიტიკურ გადაცემებზე, საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხების კრიტიკულ განხილვებსა თუ რადიოდადგმებზე, კაბარეს სტილის პროგრამებსა თუ სხვა გასართობ გადაცემებზე. ანუ კონსტიტუციური გარანტიის ჩარევა არ არის დამოკიდებული კონკრეტულ გადაცემასთან დაკავშირებული „კანონიერი“ თუ „ლეგიტიმური“ ინტერესის დასაბუთებაზე ცალკეულ შემთხვევაში. რადიომაუწყებლობის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ წარმოდგენილი მასალების შერჩევას, არამედ ასევე – მათი წარმოდგენის ფორმის არჩევასა და გადანაცვლებას იმის შესახებ, თუ არსებული მრავალფეროვანი არჩევნიდან რომელი სახის გადაცემებით უნდა გაშუქდეს ისინი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რადიომაუწყებლობის თავისუფლება კონფლიქტშია სხვა სამართლებრივ სიკეთებთან, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს კონკრეტული გადაცემის მიღმა მდგომ ინტერესებს, გადაცემის ორგანიზებასა და მიღწეულ ან სავარაუდოდ მოსალოდნელ ეფექტსა და შედეგებს. რადიომაუწყებლობის თავისუფლებისა და მის მიღმა მდგომი ცალკეული მოქალაქეების, ჯგუფებისა და საზოგადოების ინტერესების შესაძლო კონფლიქტს კონსტიტუცია აწესრიგებს კანონმდებლობაზე მითითებით; გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, რადიოგადაცემათა ორგანიზება ექვემდებარება კანონისმიერ შეზღუდვებს. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, არ შეიძლება სხვა სამართლებრივი სიკეთეების მიმართ ზემოთ აღნიშნული სიფრთხილის საჭიროების ფარგლებში სიმტკიცე დაკარგოს რადიომაუწყებლობის თავისუფლებამ; რადიომაუწყებლობის თავისუფლების შემზღუდველი კანონები, თავის მხრივ, უნდა განიმარტოს კონსტიტუციური გარანტიის ასპექტით და საჭიროების შემთხვევებში თვითონვე შეიზღუდოს რადიომაუწყებლობის თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფის მიზნით (იხ: BVerfGE 20, 162 [176]; 7, 198 [208]). ეს კი საჭიროებს ცალკეულ შემთხვევაში ერთმანეთთან დაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეების ზოგად და კონკრეტულ ურთიერთშეფარდებას.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, კანონთა რიცხვს განეკუთვნება ასევე ხელოვნების სფეროში საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ 1907 წლის 9 იანვრის კანონის 22-ე და 23-ე მუხლები, რომლებსაც ეფუძნება გასაჩივრებული გადაწყვეტილებები...

წინარე საქმის მსგავსი კონფლიქტის შემთხვევებში, ერთი მხრივ, მოქმედებს ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ხელოვნების სფეროში საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ კანონის 22-ე და 23-ე მუხლების სატელევიზიო გადაცემებზე გამოყენებით არ შეიძლება რადიომაუნყებლობის თავისუფლების ზედმეტად შემცირება. მეორე მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით კი, ეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევებია, როდესაც რადიომაუნყებლობის თავისუფლების შეზღუდვა, თავის მხრივ, ემსახურება მაღალი კონსტიტუციური ღირებულების დაცვას. მისი გამოსახვისა და გამოსახულების დემონსტრირების წინააღმდეგ მიმართული პირის ინტერესი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელოვნების სფეროში საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ კანონის 23-ე მუხლის ფარგლებში, უშუალოდ ძლიერდება პიროვნული უფლებების დაცვის კონსტიტუციური გარანტიით.

გამოსავალი აღნიშნული კონფლიქტიდან უნდა ემყარებოდეს იმ მოსაზრებას, რომ კონსტიტუციური ნების თანახმად, ზემოთ აღნიშნული ორივე კონსტიტუციური ღირებულება წარმოადგენს ძირითადი კანონით გათვალისწინებული თავისუფალი, დემოკრატიული წყობილებისა და წესრიგის არსებით შემადგენელ ნაწილს, რის შედეგადაც არც ერთი მათგანი არ სარგებლობს ზოგადი უპირატესობით. ძირითადი კანონით გათვალისწინებული ადამიანი, პიროვნება და მასთან – შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაცია და სტრუქტურა მოითხოვს როგორც ინდივიდის დამოუკიდებლობას, ასევე თავისუფალი ცხოვრებისეული კლიმატის უზრუნველყოფას, რაც დღევანდელ დღეს წარმოადგენელია თავისუფალი კომუნიკაციის გარეშე. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად უნდა დაბალანსდეს ორივე კონსტიტუციური ღირებულება. ხოლო თუ აღნიშნული ბალანსის მიღწევა შეუძლებელია, ცალკეული შემთხვევის თავისებურებებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, უნდა გადაწყდეს, თუ რომელი ინტერესი იქნება პრიორიტეტული მოცემულ შემთხვევაში. ამასთან, ორივე ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური ღირებულება უნდა განიხილებოდეს ადამიანის ღირსებასთან, როგორც კონსტიტუციური ღირებულებების ცენტრალურ ლერძთან, კავშირში.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, თუმცა, შესაძლებელია, რომ რადიომაუნყებლობის თავისუფლებისათვის პიროვნული უფლებების საფუძველზე ჩამოყალიბებული მოთხოვნებიდან გამომდინარეობდეს შემზღუდველი ეფექტი, მაგრამ საჯარო დემონსტრირების მეშვეობით განხორციელებული „პიროვნულობის“ შეზღუდვა არ შეიძლება არ იყოს თავისუფალი კომუნიკაციისათვის ამ დემონსტრირების მნიშვნელობის ადეკვატური. ამას გარდა, კონსტიტუციურ ღირებულებათა სავალდებულო ურთიერთშეფარდებისას უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, შესაბამისი გადაცემის მეშვეობით პიროვნულ სფეროში ჩარევის ინტენსიურობის გათვალისწინება, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა შეფასდეს და შემოწმდეს გადაცემის მიღმა არსებული კონკრეტული ინტერესი, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისი დაკმაყოფილება პიროვნული უფლებების დაცვის სფეროში ყოველგვარი ან ასეთი მასშტაბური ჩარევის გარეშე...

მოცემულ შემთხვევაში არ არის არსებითი და გადამწყვეტი იმის განხილვა, არის თუ არა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ცდილობს რეალური მოვლენების რეალურ ასახვას, ხელოვნების ნიმუში გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. თუმცა, ამ კონსტიტუციური ნორმის გამოყენების შემთხვევაშიც გასათვალისწინებელი იქნება, რომ შემოქმედების თავისუფლება, მიუხედავად იმისა,



რომ მასზე არ ვრცელდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები, არ დგას გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ პიროვნული უფლებების დაცვაზე მალლა (იხ: BVerfGE 30, 173 [193]).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლით გათვალისწინებულ პირის ძირითად უფლებებს და ისინი უნდა გაუქმდეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

## დ) ხელოვნების თავისუფლება

### E – 30, 173

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება არის კონსტიტუციური ღირებულების განმსაზღვრელი ფუძემდებლური ნორმა, რომელიც აწესრიგებს ხელოვნების სფეროსა და სახელმწიფოს ურთიერთობას. ის ამავდროულად უზრუნველყოფს ინდივიდუალური თავისუფლების უფლებას.
2. ხელოვნების თავისუფლების გარანტია ეხება არა მხოლოდ ხელოვნების დარგში საქმიანობას, არამედ ასევე – ხელოვნების ნიმუშთა გავრცელება-შეთავაზებას.
3. ხელოვნების თავისუფლების უფლებით სარგებლობს ასევე წიგნის გამომცემელიც.
4. ხელოვნების თავისუფლების მიმართ არ ვრცელდება არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტითა და არც მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების პირველი ნახევრით გათვალისწინებული შეზღუდვები.
5. კონფლიქტი ხელოვნების თავისუფლების გარანტიასა და კონსტიტუციით დაცულ პიროვნულ სფეროს შორის უნდა გადაწყდეს გერმანიის ძირითადი კანონით დამკვიდრებული ღირებულებათა სისტემისა და წესრიგის მასშტაბებით; ამასთან, სავალდებულოა გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადამიანის ღირსების განსაკუთრებული პრიორიტეტულობა.

### პირველი სენატის 1971 წლის 24 თებერვლის განჩინება

კონსტიტუციური სარჩელი შეტანილია გარდაცვლილი მსახიობისა და რეჟისორის – გუსტაფ გრიუნდგენსის ნაშეილები ვაჟის განცხადების საფუძველზე მოსარჩელი-სათვის კლაუს მანის წიგნის „მეფისტო. ერთი კარიერის რომანი“ გამრავლების, გავრცელებისა და გამოქვეყნების აკრძალვის წინააღმდეგ.

აეტორმა, რომელიც 1933 წელს გაიხიზნა გერმანიიდან, წიგნი გამოაქვეყნა 1936 წელს ამსტერდამში, Querido-ს გამომცემლობაში. მისი გარდაცვალების შემდეგ რომანი 1949 წელს აღმოსავლეთ ბერლინში გამოსცა გამომცემლობა „Aufbau“-მ.

რომანი აღწერს ნიჭიერი მსახიობის – ჰენდრიკ ჰოფგენის აღმავალ კარიერას, რომელიც უარს ამბობს საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებზე და წყვეტს ყველანაირ ადამიანურ და ეთნიკურ კავშირებს, რათა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის რეჟიმის მეთაურებთან გარიგების გზით გაიკეთოს კარიერა ხელოვნების დარგში. რო-

მანი წარმოადგენს და ასახავს იმ ფსიქიკურ, სულიერ და სოციალურ წინაპირობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის მსახიობის კარიერის აღმავლობას.

რომანის მთავარი პერსონაჟის – ჰენდრიკ ჰოფგენის პროტოტიპი გახლდათ მსახიობი გუსტაფ გრიუნდგენსი.

### III

გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება ხელოვნებას, მეცნიერებასთან, კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ანიჭებს თავისუფლებას. თავისუფლების გარანტიის დამკვიდრებით გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება, მისი ფორმულირებიდან და არსიდან გამომდინარე, მოიცავს ხელოვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მომწესრიგებელ, კონსტიტუციური ღირებულების მქონე ძირითად ნორმას. ამასთან, აღნიშნული ნორმა ყველა იმ პირისათვის უზრუნველყოფს ინდივიდუალური თავისუფლების უფლებას, რომელიც მოღვაწეობს ამ სფეროში.

1. ხელოვნების სფერო უნდა განისაზღვროს მისი არსისა და მისთვის დამახასიათებელი თავისებური სტრუქტურული მახასიათებლების საფუძველზე. სწორედ მათგან უნდა გამომდინარეობდეს ხელოვნების ცნების კონსტიტუციური განმარტება. ხელოვნების სფეროში საქმიანობის ძირითადი ასპექტია თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ფორმის საშუალებითა და ენით უშუალოდ არის გამოხატული ხელოვანის შთაბეჭდილებები, გამოცდილებები და განცდები. მთლიანად შემოქმედებითი მოღვაწეობა არის ცნობიერი და ქვეცნობიერი მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც რაციონალურად ვერ აიხსნება. შემოქმედებით პროცესში ჩართულია ინტუიცია, ფანტაზია და ხელოვანის ოსტატობა; ეს არის ხელოვანის პიროვნების უშუალო და თანაც ყველაზე უშუალო გამოხატულება.

ხელოვნების თავისუფლების გარანტია თანაბრად ვრცელდება ხელოვნების ნაწარმოებებისა და მათი წარმოების ანუ შემოქმედების სფეროზე. ორივე სფერო წარმოადგენს განუყოფელ მთლიანობას. ხელოვნების ნაწარმოების გასაცნობად არ არის საკმარისი მხოლოდ ხელოვანის მოღვაწეობა, ამისათვის საჭიროა ასევე მისი შეთავაზებისა და წარმოდგენის შესაძლებლობის შექმნა. სწორედ ეს სფერო, სადაც საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილია ხელოვნების ნიმუშის ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს იმ ნიადაგს, რომელზეც აღმოცენდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელოვნების თავისუფლების გარანტია...

3. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება ითვალისწინებს ხელოვნების სფეროში მოღვაწეობის თავისუფლების გარანტიას. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ურთიერთობების დამყარება ხელოვანსა და საზოგადოებას შორის, ხელოვნების თავისუფლების გარანტია იცავს ასევე იმ პირებს, რომლებიც ემსახურებიან ამ კონტაქტების დამყარებას...

4. ხელოვნება, ყოველგვარი დათქმის გარეშე, არის უზრუნველყოფილი გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების მეშვეობით.

მის მიმართ არ გამოიყენება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები (როგორც ამას მართებულად აღნიშნავს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოც), რომლებიც ვრცელდება იმავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების

მიმართ. მე-5 მუხლით გათვალისწინებული სფეროების სისტემური გამიჯვნიდან გამომდინარე, მისი მე-3 პუნქტი პირველი პუნქტის მიმართ მიიჩნევა სპეციალურ ნორმად (*lex specialis*) და, აქედან გამომდინარე, კრძალავს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების განვრცობასა და გამოყენებას მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სფეროებზე. ასევე, არ არის შესაძლებელი, მაგალითად, ნიგნიდან ცალკეული ნაკვესების ამოღება და მათი მიჩნევა აზრის თავისუფალ გამოხატვად მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, რომელზეც ვრცელდება მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შექმნის ისტორიაც არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კონსტიტუციის ავტორს სურდა ხელოვნების თავისუფლების გათვალისწინება აზრის გამოხატვის თავისუფლების ქვემდგომ უფლებად...

ასევე უარსაყოფია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ხელოვნების თავისუფლება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეზღუდულია სხვა პირთა უფლებებით, კონსტიტუციური ნესრიგითა და ზნეობის განმსაზღვრელი ნორმებით. ეს შეხედულება არ შეესაბამება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავის მუდმივ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის სუბსიდიარობას ცალკეულ თავისუფლებათა სპეციფიკის მიმართ (იხ: BVerfGE 6, 32 [36]; 9, 63 [73]; 9, 73 [77]; 9, 338 [343]; 10, 55 [58]; 10, 185 [199]; 11, 234 [238]; 21, 227 [234]; 23, 50 [55]), რომელიც არ უშვებს მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი დათქმების განვრცობას სპეციალური ძირითადი უფლებებით დაცულ და მოწესრიგებულ ცხოვრებისეულ სფეროებზე. იმავე მოსაზრებით გამოირიცხება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, როგორც განმარტების ნების, გამოყენება იმავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების არსის ინტერპრეტაციის მიზნით.

5. მეორე მხრივ კი, თავისუფლების უფლება შეუზღუდავად არ არის უზრუნველყოფილი. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით გარანტირებული თავისუფლება, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებები, გამომდინარეობს ძირითადი კანონით დამკვიდრებული ადამიანის ხედვიდან და სტატუსიდან, რომლის მიხედვითაც, ადამიანი არის საკუთარ თავზე პასუხისმგებელი, იგი თავისუფლად ვითარდება სოციალური თანაცხოვრებისა და საზოგადოების ფარგლებში (იხ: BVerfGE 4, 7 [15]; 7, 198 [205]; 24, 119 [144]; 27, 1 [7]). მაგრამ როდესაც აღნიშნული ძირითადი უფლება არ ექვემდებარება არანაირ დათქმას, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელოვნების თავისუფლების ფარგლები უნდა განისაზღვროს კონსტიტუციით. ვინაიდან ხელოვნების თავისუფლება კანონმდებლისათვის არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას, მისი შეზღუდვა არ არის დაშვებული არც კანონმდებლობით და არც – რომელიმე განუსაზღვრელი კლასულით, თუ მას არ გააჩნია კონსტიტუციური საფუძველი და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე გარანტიები იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა, წარმოექმნას სახელმწიფოსათვის აუცილებელ სიკეთეებს. ხელოვნების თავისუფლების გარანტიის ფარგლებში წარმოქმნილი კონფლიქტი უნდა გადაიჭრას გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებულ ღირებულებათა სისტემის მასშტაბებით, ამ ღირებულებათა სისტემის ერთიანობის გათვალისწინებითა და კონსტიტუციის განმარტების საფუძველზე. ხელოვნების თავისუფლება, როგორც გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებულ ღირებულებათა სისტემის ნაწილი, მიკუთვნებული და დაქვემდებარებულია გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლით გარანტირებულ ადამიანის ღირსე-

ბაზე, რომელიც, როგორც უმაღლესი ღირებულება, დომინირებს მთელ ღირებულებათა სისტემაზე (იხ: BVerfGE 6, 32 [41]; 27, 1 [6]). მშაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, ხელოვნების თავისუფლება, შესაძლოა, აღმოჩნდეს კონფლიქტში კონსტიტუციით დაცულ პიროვნულ სფეროსთან, ვინაიდან ხელოვნების ნიმუში შესაძლოა, ასევე მოქმედებდეს სოციალურ დონეზეც...

#### IV

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, სათანადოდ გაითვალისწინეს თუ არა ზემოთ აღნიშნული პრინციპები საერთო სასამართლოებმა გარდაცვლილი გუსტავ გრიუნდგენისა და მისი ნაშეილები ვაჟის გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით დაცული პიროვნული სფეროსა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით გარანტირებული ხელოვნების თავისუფლების ურთიერთშეფარდებისას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სენატში ხმები თანაბრად გაიყო. მსჯელობის შედეგად, „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადების მიხედვით, ვერ დადასტურდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით დაირღვა გერმანიის ძირითადი კანონი.

#### გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლთან დაკავშირებით:

#### E – 6, 55

5. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არის არა მხოლოდ „კლასიკური ძირითადი უფლება“, რომელიც ემსახურება ქორწინებისა და ოჯახის სპეციფიკური პირადი სფეროსა და ინსტიტუტების დაცვას, არამედ, ამას გარდა, იგი არის ასევე ძირითადი ნორმა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებას კონსტიტუციური ღირებულებების მიმართ და ვრცელდება ოჯახისა და ქორწინების მთლიან სფეროსთან დაკავშირებულ კერძო და საჯარო სამართალზე. აღნიშნული ნორმა, სულ მცირე, იმდენად წარმოადგენს კანონმდებლისათვის სავალდებულო კონსტიტუციურ სამართალს, რამდენადაც იგი თვითონ კრძალავს ოჯახისა და ქორწინების შეზღუდვას სახელმწიფოს მხრიდან ხელის შემშლელი ჩარევების საშუალებით. მეუღლეებისადმი არათანასწორი მოპყრობა „საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ 1951 წლის 17 იანვრის კანონის (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, I, გვ. 33) 26-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საშემოსავლო გადასახადის გზით წარმოადგენს სწორედ სახელმწიფოს ასეთ ხელისშემშლელ ჩარევას.
6. ქალის და მამაკაცის თანასწორობა მოიაზრებს ასევე, რომ ქალს აქვს შესაძლებლობა, იმავე სამართლებრივი უფლების გამოყენებით გამოიმუშაოს ნებისმიერი მამაკაცის მსგავსი საბაზრო-ეკონომიკური ღირებულების შემოსავალი.

#### პირველი სენატის 1957 წლის 17 იანვრის განჩინება

წინამდებარე საქმეში გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მეუღლეებს თავიანთი საგადასახადო ტარიფის გაერთიანების შედეგად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ექმნებათ არახელსაყრელი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან შედარებით...

გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არის კონსტიტუციური ღირებულების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმა. იგი ოჯახსა და ქორწინებას, როგორც ადამიანების ყველანაირი სახის თანაცხოვრების ძირითად, ბირთვულ უჯრედს, რომლის მნიშვნელობაც ვერ შეედრება ვერც ერთი სახის ადამიანურ კავშირს, უქვემდებარებს სახელმწიფო წესრიგის მიერ განსაკუთრებულ დაცვას.

აქ, პირველ რიგში, საუბარია დებულებაზე კლასიკური ძირითადი უფლების გაგებით, რომელიც ნაცისტური გერმანიის დროის გამოცდილებებიდან გამომდინარე, ემსახურება პირადი ცხოვრების სპეციფიკური ფორმის, კერძოდ: ოჯახისა და ქორწინების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულებითი ღონისძიებებისაგან. ნაცისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო აბსოლუტივიზმისაგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონი ამ სფეროშიც აღიარებს ადამიანის დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას.

უდავოა, რომ ოჯახისა და ქორწინების უფლებების კონსტიტუციური აღიარება ასევე მოიცავს ორივე ცხოვრებისეული წყობილების უზრუნველყოფას ანუ არის ამ ინსტიტუტთა გარანტი. ამ კუთხით იგი უზრუნველყოფს ქორწინებისა და ოჯახის მხოლოდ არსებით სტრუქტურას, ისე, რომ სამართლებრივ სინამდვილეში მისი მოქმედება გამოიხატება საოჯახო და ქორწინების სამართლის ნორმატიული საფუძვლის კონსტიტუციურ უზრუნველყოფაში.

თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სამართლებრივი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული ფუნქციებით. ისევე, როგორც მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი სხვა კონსტიტუციური ნორმები, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ასრულებს ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთმანეთში გარდამავალ სხვადასხვა ფუნქციას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ამოცანაა, გამოავლინოს კონსტიტუციური ნორმის, და განსაკუთრებით, ძირითადი უფლების სხვადასხვა ფუნქცია. ამასთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნორმის ისეთ განმარტებას, რომელიც „ყველაზე მეტად აელენს და ხაზს უსვამს შესაბამისი ნორმის იურიდიულ ძალას“.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაცია აღნიშნული პრინციპით აჩვენებს, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ კონსტიტუციურ აღიარებას და არის არა მხოლოდ აღნიშნული ინსტიტუტების გარანტი, არამედ ასევე წარმოადგენს ძირითად ნორმას, რომელიც არის კონსტიტუციური ღირებულებების განმსაზღვრელი სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება და ვრცელდება ოჯახისა და ქორწინების მთლიან სფეროსთან დაკავშირებულ კერძო და საჯარო სამართალზე.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, თავისი ფორმულირების მიხედვით, სახელმწიფოსაგან მოითხოვს ოჯახისა და ქორწინების დაცვას. უკვე ამგვარი ფართო ფორმულირება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მისი, როგორც ოჯახსა და ქორწინებასთან დაკავშირებული სამართლის ძირითადი ნორმის სტატუსზე. მხოლოდ ამგვარი შეცნობა და განმარტება შეესაბამება სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ პრინციპს და ამართლებს აღნიშნული ნორმის განთავსებას კონსტიტუციის ძირითად უფლებათა ნაწილში...

„საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ 1951 წლის კანონის 26-ე მუხლის კონსტიტუციური შეფასებისათვის განმსაზღვრელია გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, როგორც აქტუალური დამცავი ნორმის, მოქმედება, ვინაიდან მეუღლეებისათვის ერთიანი საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინება არღვევს ინდივიდუალური დაბეგვრის პრინციპს და იწვევს ქორწინებაში მყოფი პირის დისკრიმინაციას, რაც წარმოადგენს ქორწინებაში უხეშ ჩარევას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ „საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ 1951 წლის კანონის 26-ე მუხლი ნარმოადგენს ქორწინებაში მყოფი პირების მადისკრიმინირებელ ნორმას და ამით, ქორწინების ინსტიტუტის საზიანოდ, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გადანაცვლებას კონსტიტუციურ ღირებულებებთან დაკავშირებით.

## **E – 47, 46**

1. ინდივიდუალური სექსუალური აღზრდა, პირველ რიგში, მოიაზრება მშობლების ბუნებრივი აღმზრდელობითი უფლების ფარგლებში გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მექანიზმით; თუმცა, სახელმწიფო მისი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მოვალეობის საფუძველზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი) უფლებამოსილია, განახორციელოს სკოლაში მოსწავლეთა სექსუალური აღზრდა.
2. სკოლაში სექსუალური აღზრდა ღია უნდა იყოს ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ღირებულებისათვის; ამასთან, იგი უნდა ითვალისწინებდეს მშობლების ბუნებრივ აღმზრდელობით უფლებასა და უფლებას, მათ რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს, რამდენადაც ეს შეხედულებები მნიშვნელოვანია სექსუალური აღზრდის კონტექსტში.
3. ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვისას სექსუალურ აღზრდაზე, როგორც გაკვეთილზე, რომელიც არ ნარმოადგენს სპეციალობასა და სასკოლო დისციპლინას, არ ვრცელდება მშობლის თანხმობის აუცილებლობა.
4. მაგრამ მშობლებს აქვთ სკოლაში სექსუალური აღზრდის შინაარსსა და მეთოდურ-დიდაქტიკურ მიდგომასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული მიღების მოთხოვნის უფლება.
6. საკანონმდებლო ნორმის დათქმა კანონმდებელს ავალდებულებს, თვითონ მიიღოს გადანაცვლება სკოლებში სექსუალური აღზრდის შემოღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია მხოლოდ ბიოლოგიური და სხვა ფაქტების შესახებ ინფორმაციის მინოდებაზე.

პირველი სენატის 1977 წლის 21 დეკემბრის განჩინება  
- 1 BvL 1/75, 1 BvR 147/75 -

წინამდებარე საქმეში წამოჭრილი კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების შემოწმების მასშტაბია გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება (მშობლების აღმზრდელობითი უფლება), გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი (სახელმწიფოსათვის გაცემული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო დავალება) და გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი (ბავშვის პიროვნული უფლება).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ბავშვის მოვლასა და აღზრდას ასახელებს, უპირველეს ყოვლისა, „მშობლების ბუნებრივ უფლებად და მათ მოვალეობად“, რომლის განხორციელებასაც თვალყური უნდა ადევნოს სახელმწიფომ. მშობლებს ეკისრებათ „უფლება და მოვალეობა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საკუთარი შეხედულებებისამებრ, თავისუფლად წარმართონ საკუთარი შეილების მოვლა და აღზრდა.

მშობლების თავისუფალი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ მოეციდებიან ისინი აღნიშნულ პასუხისმგებლობას, სახელმწიფოს ჩარევებისაგან დაცულია ძირითადი უფლებით" (იხ: BVerfGE 31, 194 [204]; ასევე: BVerfGE 4, 52 [57]; 7, 320 [323]; 24, 119 [138, 143]).

სექსუალური აღზრდის მიმართ მშობლის აღმზრდელობით უფლებასთან დაკავშირებული განათებისა და კულტურის მინისტრთა კონფერენციის (KMK) რეკომენდაციები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ: „სექსუალური აღზრდა, პირველ რიგში, არის მშობლების ფუნქცია“. მართლაც, არსებობს საფუძვლიანი მოსაზრებები, რომ ინდივიდუალური სექსუალური აღზრდა, უპირატესად, იყოს მშობელთა პრეროგატივა და მიეკუთვნოს მათ ბუნებრივ უფლებებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. სექსუალურ საკითხებში გარკვევა, უმჯობესია, მოხდეს ოჯახის ფარგლებში, შინაურულ, დაცულ ატმოსფეროში...

თუ ვიხელმძღვანელებთ ზემოთ აღნიშნულით, უპირველესად საკითხავია, აქვს თუ არა სახელმწიფოს სკოლაში სექსუალური აღზრდის უფლება და თუ აქვს — რა მასშტაბითა და ფარგლებში. განათებისა და კულტურის მინისტრთა კონფერენციის რეკომენდაციები ამასთან დაკავშირებით განმარტავს: „სკოლა, მასზე დაკისრებული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მოვალეობის საფუძველზე, ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს სექსუალურ აღზრდაში“. სახელმწიფოსათვის დაკისრებული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ამოცანის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი (იხ: BVerfGE 34, 165 [181]). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით (იხ: BVerfGE 34, 165 [182]), გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს სასკოლო ზედამხედველობა მოიცავს სკოლების ორგანიზებას იმ მიზნით, რომ შემუშავდეს და ჩამოყალიბდეს ისეთი სასკოლო სისტემა, რომელიც ყველა ახალგაზრდა მოქალაქისათვის, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი განათლების მიღების საშუალებას. აქ სახელმწიფოს ფუნქციებში მოიაზრება არა მხოლოდ სკოლის ორგანიზაციული მონაწილეობა, არამედ ასევე — განათლების პროგრამებისა და მიზნების შინაარსობრივი განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, სკოლაში სახელმწიფოს მშობლებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია საკუთარი აღმზრდელობითი მიზნების განსაზღვრა-განხორციელება. სკოლისათვის დაკისრებული მოვალეობა ბავშვების აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებით მშობლის აღმზრდელობითი უფლების თანასწორია. არც ერთ მათგანს არ ენიჭება აბსოლუტური პრიორიტეტი მეორის მიმართ. სამართლებრივ ლიტერატურაში წარმოდგენილი ერთ-ერთი მოსაზრებისაგან განსხვავებით, სკოლის აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის გადაცემით. სახელმწიფოს აღნიშნული ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე გულისხმობს თითოეული ბავშვის საზოგადოების სრულყოფილ, პასუხისმგებლობით აღსავსე წევრად ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, სკოლის ფუნქციები მოიცავს აღმზრდელობით სფეროსაც. მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვის ინდივიდუალური სექსუალური აღზრდა უნდა განხორციელდეს ოჯახურ ატმოსფეროში, მაგრამ, მეორე მხრივ, გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ სექსუალური ცხოვრება მოიცავს მრავალნაირ საზოგადოებრივ კომპონენტს. სექსუალური ქცევა არის ზოგადი, საზოგადოებრივი და სოციალური ქცევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვერ აეკრძალება, ახალგაზრდა ადამიანის სექსუალური აღზრდა მიიჩნიოს მისი აღზრდის არსებით

ნანილად. აქვე მოიაზრება ასევე ბავშვების გაფრთხილება და დაცვა სექსუალური საფრთხეებისაგან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს რაიმე კონსტიტუციური მოსაზრება იმის საწინააღმდეგოდ, რომ სახელმწიფომ ადამიანის სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები გაითვალისწინოს სასკოლო პროგრამაში...

სკოლაში განხორციელებული სექსუალური აღზრდა ეხება ასევე გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ბავშვის უფლებებს.

გერმანიის ძირითადი კანონი ინტიმურ და სექსუალურ სფეროს მოიაზრებს ადამიანის პირად ცხოვრებად და მასზე ავრცელებს მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დაცვას. ძირითადი კანონის აღნიშნული ნორმები ადამიანს ანიჭებს უფლებას, თვითონ განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სქესობრივ საკითხებთან დაკავშირებით. მაშასადამე, იგი თვითონ განსაზღვრავს საკუთარ დამოკიდებულებას სქესობრივი კავშირის მიმართ და ასევე, თუ რა ფარგლებში და რა მიზნებით არის მისთვის მისაღები ზეგავლენის მოხდენა მის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე. ხოლო თუ დამოკიდებულება სქესობრივი საკითხების მიმართ დაცულია კონსტიტუციით, მაშინ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან და პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე უფლებით ასევე უნდა სარგებლობდეს თითოეული მოზარდი. სკოლაში განხორციელებული სექსუალური აღზრდა, მისი ფორმიდან გამომდინარე, შესაძლოა, შეეხოს მოზარდის ინტიმურ სფეროს. მოზარდი არ არის მხოლოდ მშობლებისა და სახელმწიფოს აღზრდის ობიექტი, იგი თავიდანვე და ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მეტად ხდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით დაცული დამოუკიდებელი პიროვნება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით მოზარდებში არის შესაძლებელი, არასწორმა პედაგოგიურმა მიდგომამ სქესობრივი და სექსუალური საკითხების სფეროში გამოიწვიოს დარღვევები, მძიმე შეფერხებები და პათოლოგიები მათი განვითარების მხრივ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სკოლაში სექსუალური აღზრდის მიღების საკითხი არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მშობლების აღმზრდელობით უფლებას, მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ ბავშვის პიროვნულ უფლებასა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფოს აღმზრდელობით და საგანმანათლებლო ამოცანას შორის არსებული წინააღმდეგობის საგანი...

ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობის საფუძველზე წარმოქმნილი კოლიზიების სამართლებრივ შეფასებას საფუძველად უნდა დაედოს ის გარემოება, რომ, ზოგადად, სექსუალური აღზრდა უფრო მეტად არის მშობლების, ვიდრე – სასკოლო სექტორის პრეროგატივა...

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პრაქტიკის ფარგლებში სამი გადაწყვეტილების მიმართ განიხილა კანონისმიერი მონესრიგების საკითხი სკოლასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 34, 165 [192]; BVerfGE 41, 251 [259]; BVerfGE 45, 400 [417]), სადაც იგი განმარტავს:

სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპები ავალდებულებს კანონმდებელს, რომ მან თვითონ მიიღოს სასკოლო სისტემასთან დაკავშირებული არსებითი გადაწყვეტილებები და არ მიანდოს ამ გადაწყვეტილებების მიღების უფლე-



ბამოსილება სკოლის ადმინისტრაციას. აღნიშნული განსაკუთრებით მოქმედებს ძირითადი უფლებების განხორციელების სფეროში...

ზემოთ წარმოდგენილი სამართლებრივი მოსაზრების მნიშვნელოვან ნივთსებად მიიჩნევა ის გარემოება, რომ საკანონმდებლო ნორმის დათქმა სწყდება მოძველებულ ფორმულებს (თავისუფლებასა და საკუთრების უფლებაში ჩარევა) და, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისი ფუნქციიდან გამომდინარე, ეყრდნობა ახალ ფუნდამენტს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია ამ სამართლებრივი ინსტიტუტის მასშტაბისა და ფარგლების ახალი განსაზღვრა ...

სკოლის შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კავშირს ძირითად უფლებებთან. ზღვარი სახელმწიფოს აღმზრდელობით ამოცანას (გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი), მშობელთა უფლებასა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) და ბავშვის პიროვნულ უფლებებს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის პირველი პუნქტი) შორის ხშირად არ არის მკაფიო და, შესაბამისად, რთულად დასადგენია. თუმცა, მათ მონიშნასა და დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ძირითად უფლებათა განხორციელებისათვის. შესაბამისად, ამ ფუნქციის შესრულება კანონმდებლის ამოცანაა.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია მოითხოვს სექსუალური აღზრდის ყველა ნიუანსის ფორმალური კანონით მონესრიგებას, როგორც ეს ჰამბურგის დირექტივების შემთხვევაშია მოცემული (იხ: BVerfGE 41, 251 83 [265]). პირველ რიგში, საუბარია პარლამენტის მიერ სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის სათანადოდ განსაზღვრასა და აღწერაზე. საჭიროა სიფრთხილე სავალდებულო მიზნების განსაზღვრისა და ამ მიზნებიდან გამომდინარე, გაკვეთილის ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებული მითითებების კანონში დაფიქსირებისას. ამგვარი განმსაზღვრელი ხასიათის დებულებები ყოველთვის უნდა გადამოწმდეს იმ კუთხით, რჩება თუ არა პედაგოგიური თავისუფლებისათვის საკმარისი სამოქმედო სფერო, აქვს თუ არა პედაგოგს ის თავისუფალი ასპარეზი, რომელიც ესაჭიროება მას თავისი პედაგოგიური საქმიანობის სათანადოდ – პასუხისმგებლობით შესრულებისათვის. აქედან გამომდინარე, კანონისმიერი დათქმა არ ვრცელდება სწავლისა და სწავლების მეთოდების ცალკეული საკითხის დეტალურ მონესრიგებაზე. ასეთი დეტალები არც ექვემდებარება ნორმატიულ მონესრიგებას, ვინაიდან ამ კუთხით შესაძლებელი უნდა იყოს გაკვეთილის „მორგება“ ცალკეულ სიტუაციასა და კონკრეტულ გარემოებაზე.

## **E – 105. 313**

2. კონსტიტუციურ-სამართლებრივად საეჭვო არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც გერმანიის ფედერალური მთავრობა ან ბუნდესტაგი ერთ მატერიას გადაანაწილებს რამდენიმე კანონზე იმის გამოსარიცხად, რომ ბუნდესრატმა არ ჩაშალოს ისეთი ნორმების გამოცემა, რომელთა მიღებაზეც არ ვრცელდება მისი თანხმობის აუცილებლობა.
3. ერთი სქესის წარმომადგენელთათვის რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღება არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით ქორწინების ინსტიტუტის განსაკუთრებული დაცვა ხელს არ უშლის კანონმდებელს, გაითვალისწინოს ერთი სქესის წარმომადგენელ წყვილთათვის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მსგავსია ან

მიახლოებულია ქორწინებასთან. ქორწინების ინსტიტუტს არ ემუქრება შეზღუდვისა და შევიწროების საფრთხე ისეთი ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც მორგებულია იმ ადამიანებზე, ვისაც არ შეუძლიათ დაქორწინება.

4. გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სხვადასხვა სქესის წარმომადგენელი წყვილებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში, არ არის ხელმისაწვდომი რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის სამართლებრივი ინსტიტუტი.

**პირველი სენატის 2002 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება**  
**- BvF 1/01, 1 BvF 2/01 -**  
**სარეზოლუციო ნაწილი:**

2001 წლის 16 თებერვლის კანონი „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, I გვ. 266) 2001 წლის .11 დეკემბრის რედაქციით (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, I გვ. 3513) შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

**საფუძვლები:**

ა

წარდგინებები ნორმათკონტროლის თაობაზე ეხება „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ 2001 წლის 16 თებერვლის კანონის (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, I გვ. 266, ძალაში შევიდა 2001 წლის პირველ აგვისტოს) შესაბამისობას გერმანიის ძირითად კანონთან.

ი

კანონის მიზანია ერთი სქესის წარმომადგენელ წყვილთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა და მათთვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ თავიანთი პარტნიორობა მოაქციონ სამართლებრივ ჩარჩოში. სწორედ ამისათვის შეიქმნა რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის საოჯახო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს...

ბ

წარდგინებები უსაფუძვლოა. კანონი „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

იი

კანონი „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ მატერიალურადაც კონსტიტუციურია. იგი შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ახალი ინსტიტუტის შემოღება და მისთვის შესაბამისი იურიდიული ფორმის მინიჭება არ ეწინააღმდეგება არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ ქორწინების უფლებას და არც – აღნიშნული მუხლით ნორმირებული ქორწინ-

ნების ინსტიტუტის გარანტიას. რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ინსტიტუტი ასევე შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, როგორც კონსტიტუციური ღირებულების განმსაზღვრელ ძირითად ნორმას.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, როგორც ძირითადი უფლება, იცავს ადამიანის თავისუფლებას, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია იქორწინოს თავისივე ამორჩეულ პარტნიორზე (იხ: BVerfGE 31, 58, [67]; 76, 1, [42]). ქორწინების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უფლებას არ ეხება კანონი „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“...

ბ) კანონმდებელს რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის შემოღებით არ დაურღვევია კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნა ქორწინების ინსტიტუტის გათვალისწინებასა და დაცვასთან დაკავშირებით (ქორწინების ინსტიტუტის გარანტია, იხ: BVerfGE 10, 59, [66]; 31, 58, [69]; 80, 81, [92]); კანონის მონესრიგების საგანი არ არის ქორწინება.

აა) თვითონ გერმანიის ძირითადი კანონი არ შეიცავს ქორწინების ცნების განმარტებას, არამედ მას მოიაზრებს ადამიანური თანაცხოვრების განსაკუთრებული ფორმის წინაპირობად. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური დაცვის განხორციელება მოითხოვს სამართლებრივ ნორმას, რომელიც ჩამოაყალიბებს და განსაზღვრავს, თუ თანაცხოვრების რომელი ფორმა სარგებლობს ქორწინებისათვის გათვალისწინებული კონსტიტუციური დაცვით. ქორწინების ფორმისა და შინაარსის განსაზღვრისას კანონმდებელს ფართო, თავისუფალი ასპარეზი აქვს (იხ: BVerfGE 31, 58, [70]; 36, 146, [162]; 81, 1, [6]). თუმცა, კანონმდებელმა ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგებისას უნდა გაითვალისწინოს ის ძირითადი სტრუქტურული პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტიდან, ძირითადი უფლებით გარანტირებული თავისუფლების დანიშნულებიდან და ასევე - სხვა კონსტიტუციური ნორმებიდან (იხ: BVerfGE 31, 58, [69]). ქორწინების არსი, რომელიც ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ძირითადი კანონის მეშვეობით, ყველანაირი ცვლილებების მიუხედავად, მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა ხანგრძლივი თანაცხოვრების მიზნით, რომელიც ეფუძნება თავისუფალ ნებას, რომელშიც ასევე მონაწილეობს სახელმწიფო (იხ: BVerfGE 10, 59, [66]; 29, 166, [176]; 62, 323, [330]) და სადაც მამაკაცი და ქალი ერთიანდებიან, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები (იხ: BVerfGE 37, 217, [249]; 103, 89, [101]). მათ თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება თავიანთი თანაცხოვრების ორგანიზებასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 39, 169, [183]; 48, 327, [338]; 66, 84, [94]).

ბბ) ზემოთ აღნიშნული დაცვა არ ვრცელდება რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ინსტიტუტზე. იგი ქორწინებისაგან განსხვავდება პარტნიორთა სქესით. რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობა არ არის ქორწინება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შეცნობით. იგი უფლებებს ანიჭებს ერთი სქესის წევრებს. კანონმდებელი ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოთხოვნებს, როდესაც იგი ზემოთ აღნიშნულ პირებს აძლევს მათი პიროვნების უკეთესი განვითარების შესაძლებლობას და ამცირებს მათ დისკრიმინაციას.

გგ) კანონმდებლის მიერ გამოცემული კანონი „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ არ ეხება ქორწინებას, როგორც ინსტიტუტს, მისი კონსტიტუციურ-სამართ-

ლებრივი სტრუქტურული პრინციპების კუთხით. არ იცვლება მისი სამართლებრივი ფუნდამენტი, შენარჩუნებულია და ძალაშია ყველა ნორმა, რომელიც ქორწინებას ანიჭებს სამართლებრივ ჩარჩოს და ითვალისწინებს მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს. ინსტიტუტის გარანტიიდან არ გამომდინარეობს ერთი სქესის წყვილებისათვის სამართლებრივად მსგავსი პარტნიორობის შემოღების აკრძალვა, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ ქორწინებას.

დ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულება არ ამოიწურება მხოლოდ ქორწინების არსებითი სტრუქტურის უზრუნველყოფით, არამედ იგი არის სავალდებულო ხასიათის კონსტიტუციური ღირებულების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმა, რომელიც მოითხოვს და ითვალისწინებს ოჯახისა და ქორწინების მთლიან სფეროსთან დაკავშირებულ კერძო და საჯარო სამართლის დაცვას სახელმწიფოს ჩარევებისაგან (იხ: BVerfGE 6, 55, [72]; 55, 114, [126]). აღნიშნული დაცვის უზრუნველსაყოფად, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ამოცანაა, არ მოიძუქმდოს არაფერი ისეთი, რაც ზიანს მიაყენებს ან სხვაგვარად შეზღუდავს ქორწინებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ამ ინსტიტუტს შესაბამისი და ადეკვატური ზომების გატარებით (იხ: BVerfGE 6, 55, [76]; 28, 104, [113]; 53, 224, [248]; 76, 1, [41]; 80, 81, [92]; 99, 216, [231]). კანონმდებელს არ დაურღვევია ეს მოვალეობები.

აა) მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ" კანონი არც ზიანს აყენებს ქორწინებას და არც სხვაგვარად ზღუდავს მას. ის განსაკუთრებული დაცვა, რომელსაც ქორწინების მიმართ ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, კრძალავს ქორწინების დისკრიმინაციას თანაცხოვრების სხვა ფორმებთან შედარებით (იხ: BVerfGE 6, 55, [76]; 13, 290, [298]; 28, 324, [356]; 67, 186, [195]; 87, 234, [256]; 99, 216, [232]).

(1) ასეთი დისკრიმინაცია კი არ ხორციელდება იმით, რომ „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ" კანონი ერთი სქესის წყვილებს აძლევს შესაძლებლობას, იცხოვრონ რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ფარგლებში, სადაც მათი უფლება-მოვალეობები მსგავსია ქორწინების ფარგლებში განსაზღვრული უფლება-მოვალეობებისა.

თუმცა, კანონმდებელმა რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ახალი ინსტიტუტის სამართლებრივი შედეგები ფაქტობრივად გადმოიწერა ქორწინებისთვის გათვალისწინებული დებულებებიდან, მაგრამ ამით არ ხორციელდება ქორწინებაში მყოფი მეუღლეების დისკრიმინაცია. ქორწინების ინსტიტუტს არ ემუქრება შეზღუდვისა და შევიწროების საფრთხე ისეთი ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც მორგებულია იმ ადამიანებზე, ვისაც არ შეუძლიათ ქორწინება...

ბბ) კანონმდებელს რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის შემოღებით არც ქორწინების ხელშეწყობის მოვალეობა დაურღვევია. კანონი ქორწინებას არ უზღუდავს აქამდე არსებულ ხელშეწყობას, არამედ იგი მხოლოდ სამართლებრივ დაცვას უქვემდებარებს თანაცხოვრების სხვა ფორმას და მასთან მიმართებით ითვალისწინებს უფლება-მოვალეობებს.

გგ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქორწინების კონსტიტუციური დაცვა კანონმდებელს არ უკრძალავს, მიანიჭოს ქორწინებას პრივილეგია თანაცხოვრების სხვა ფორმებთან შედარებით (იხ: BVerfGE 6, 55, [76]). თუმცა, თანაცხოვრების სხვა ფორმებთან შედარებით ქორწინების ხელშეწყობის მოვალეობის შესრულების ფარგლებში მისი პრივილეგიების და-

საშეუბრძოლად არ გამომდინარეობს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს მოთხოვნას თანაცხოვრების სხვა ფორმების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვერ გაითვალისწინა მოსამართლე შაასმა თავის განსხვავებულ აზრში, სადაც იგი ქორწინების ხელშეწყობის მოვალეობას იმედროულად მიიჩნევს თანაცხოვრების სხვა ფორმების დისკრიმინაციის მოთხოვნად. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ქორწინებას პრივილეგიას ანიჭებს მხოლოდ მისთვის გათვალისწინებული კონსტიტუციური დაცვით და ავალდებულებს კანონმდებელს, სათანადო ზომების გატარებით ხელი შეუწყოს მას. თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს თანაცხოვრების სხვა ფორმების დისკრიმინაციის მოთხოვნა ...

## გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლთან დაკავშირებით:

### E – 52, 223

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი სკოლის სუვერენიტეტის საფუძველზე რელიგიურ სკოლებში მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, დაუშვან თუ არა რელიგიის გაკვეთილის გარდა ნებაყოფლობითი ლოცვის რიტუალის ჩატარება.
2. სასკოლო ლოცვის რიტუალი არც იმ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, როდესაც ერთი მოსწავლე ან მისი მშობლები ეწინააღმდეგებიან მის ჩატარებას; მათი ძირითადი უფლება რწმენის ნეგატიურ თავისუფლებაზე არ ირღვევა, თუ მათ შეუძლიათ თავისუფლად და ყოველგვარი იძულების გარეშე მიიღონ გადაწყვეტილება ლოცვაში მონაწილეობისა თუ არმონაწილეობის თაობაზე.
3. როდესაც მოსწავლეს, ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეუძლია უარი თქვას ლოცვაში მონაწილეობაზე, გამონაკლისის სახით არ არის დაცული ტოლერანტობის პრინციპის წინაპირობა, კერძოდ – ნებაყოფლობითობა.

პირველი სენატის 1979 წლის 16 ოქტომბრის განჩინება

- 1 BvR 647/70 da 7/74 -

ერთ სამართალწარმოებად გაერთიანებული კონსტიტუციური სარჩელები ეხება საჯარო სკოლაში სასკოლო ლოცვის რიტუალის დასაშეუბრძოლად საკითხს, რასაც ეწინააღმდეგებიან ერთი მოსწავლის მშობლები.

|

1. აღნიშნულის საფუძველზე წამოჭრილი კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების შემონების მასშტაბია, პირველ რიგში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისპირველი წინადადება (მშობლების აღმზრდელობითი უფლება), გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები (რწმენისა და რელიგიური ცხოვრების თავისუფლება) და ასევე გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი (სახელმწიფოსათვის დაკისრებული აღმზრდელობითი

და საგანმანათლებლო ფუნქცია). გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება მშობლებს ანიჭებს უფლებას და მოვალეობას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საკუთარი შეხედულებებისაშებრ, თავისუფლად წარმართონ თავიანთი შვილების მოვლა და აღზრდა, რასთან დაკავშირებითაც მშობლები სარგებლობენ პრივილეგიით სხვა აღმზრდელობით სუბიექტებთან შედარებით (იხ: BVerfGE 24, 119 [138, 143]; 47, 46 [69]). აქ ასევე მოიაზრება მშობლების უფლება შვილების რელიგიურ აღზრდასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 41, 29 [44]).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები მოიცავს მშობლების უფლებას, მიაწოდონ თავიანთ შვილებს მათ მიერ სწორად მიჩნეული რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულებები (იხ: BVerfGE 41, 29 [47]).

მეორე მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი სასკოლო აღზრდასთან დაკავშირებით სახელმწიფოსათვის ითვალისწინებს აღმზრდელობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ვალდებულებას (იხ: BVerfGE 34, 165 [181]). სახელმწიფოს აღნიშნული ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს ლანდების პრეროგატივას (იხ: BVerfGE 6, 309 [355]), მოიცავს არა მხოლოდ სკოლის ორგანიზებას, არამედ ასევე – განათლების პროგრამისა და მიზნების შინაარსობრივ განსაზღვრას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს სკოლაში, მშობლებისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია, განახორციელოს საკუთარი აღმზრდელობითი მიზნები (იხ: BVerfGE 34, 165 [182]; 47, 46 [71]). სახელმწიფოს აღმზრდელობითი ფუნქცია მშობელთა აღმზრდელობითი უფლების თანასწორია და დამოუკიდებელია მისგან; არც ერთ მათგანს არ ენიჭება აბსოლუტური პრივილეგია მეორის მიმართ (იხ: BVerfGE 41, 29 [44]; 47, 46 [72]).

2. სასკოლო ლოცვის რიტუალის საკითხი თუ პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს უფრო ფართო თვალთახედვით, კერძოდ: თუ საერთოდ, რამდენად არის დამკვეთი საჯარო სავალდებულო სკოლებში რელიგიური კონტექსტის არსებობა და არის თუ არა ვალდებულებული სახელმწიფო, გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სადაც ერთმნიშვნელოვნად და გამოკვეთილად არის გარანტირებული რელიგიის გაკვეთილი, გამორიცხოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი მოსაზრებები და მიმართულებები არარელიგიური სკოლების ორგანიზებისას.

აღნიშნული საკითხი ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა 1975 წლის 17 დეკემბრის განჩინებათა ფარგლებში ბადენისა (იხ: BVerfGE 41, 29 [44]) და ბავარიის სკოლებთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 41, 65 [77]).

სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის აკრძალული ქრისტიანული კონტექსტის გათვალისწინება საჯარო სკოლების ორგანიზებისას, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების კანონიერ აღმზრდელთა უმცირესობას, რომელიც გვერდს ვერ აუვლის ასეთ სკოლას, შესაძლოა, არ სურდეს თავიანთი შვილების რელიგიური აღზრდა. მაგრამ სკოლა არ უნდა ჩამოყალიბდეს მისიონერულ დანესებულებად და იგი არ შეიძლება სავალდებულო ფორმით ავრცელებდეს ქრისტიანული რელიგიის არსსა და შეხედულებებს. სკოლა ღია უნდა იყოს ასევე სხვა რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებებისა და ღირებულებებისათვის. ასეთი სკოლის აღმზრდელობითი მიზანი, რელიგიის გაკვეთილის ფარგლებს გარეთ (რომელზე დასწრებაც არ შეიძლება იძულებით), არ შეიძლება იყოს ფიქსირებული ქრისტიანობაზე. ჩვეულებრივ გაკვეთილებზე ქრისტიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დასაშვებობა, პირველ რიგში, მოიცავს არა ქრისტიანობის, როგორც რელიგიური ჭეშმარიტების, არამედ როგორც კულტურული და საგანმანათლებლო ფენომენისა და ფაქტორის

აღიარებას, ისე, როგორც ეს აღიარებული და დამკვიდრებულია დასავლეთ ევროპის ისტორიაში. აქ ასევე მოიაზრება სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა მიმართ ტოლერანტობის პრინციპი ...

3. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრინციპების დაცვის შემთხვევაში არ არის დაუშვებელი საჯარო სავალდებულო სკოლებში რელიგიური მიმართებების გათვალისწინება, ხოლო რაც შეეხება სასკოლო ლოცვას, იგი კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მისაღებია იმ შემთხვევაში, როდესაც მისი განხორციელება არ სცდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ და სკოლების ორგანიზებასთან დაკავშირებით ლანდებისათვის (ფედერალური ერთეულებისათვის) მიკუთვნებულ ფარგლებს და ამასთან, არ ენიშნა დამატება კონსტიტუციის სხვა პრინციპებს, განსაკუთრებით კი – დაინტერესებულ პირთა გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს...

ა) ისეთი სასკოლო ლოცვა, რომელიც არის წინარე კონსტიტუციური სარჩელების დავის საგანი, წარმოადგენს ქრისტიანულ რელიგიურ ფუნდამენტზე დაფუძნებულ ეკუმენისტურ მიმართვას ღმერთისადმი.

სასკოლო ლოცვა, როგორც აღმსარებლობის გამოხატვის აქტი, რომელიც ტარდება რელიგიის გაკვეთილის ფარგლებს გარეთ, არ არის ზოგადი სასკოლო პროგრამის ნაწილი. იგი არ წარმოადგენს არც სასკოლო დისციპლინას და არც მოსწავლეებისათვის ცოდნის მიწოდებას, მაგრამ მის ფარგლებში ასევე გამოიციხულია სკოლის მხრიდან მოსწავლეებზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა, აქ საუბარია მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად განხორციელებულ რელიგიურ ქმედებაზე. ამით სასკოლო ლოცვა არ მოიაზრება ქრისტიანობის კულტურული და საგანმანათლებლო ღირებულებების გავრცელება-მიწოდებად, რომელსაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ქრისტიანულ სკოლებში ზოგადი გაკვეთილის ფარგლებში (იხ: BVerfGE 41, 29 [52]). თუმცა, ასეთი სკოლების დასაშვებობიდან ავტომატურად არ გამომდინარეობს ასევე სასკოლო ლოცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი დასაშვებობაც.

ბ) როგორც ზემოთ აღინიშნა, სასკოლო ლოცვა არ არის სავალდებულო დისციპლინათა ანუ სასკოლო პროგრამის ნაწილი. მისი ჩატარება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 140-ე მუხლისა და ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, უნდა იყოს აბსოლუტურად ნებაყოფლობითი. ეს ვრცელდება არა მხოლოდ მოსწავლეებზე, არამედ – ყველა იმ კლასის პედაგოგზეც, სადაც ტარდება სასკოლო ლოცვა (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადება).

...

მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო ლოცვა არ არის სკოლის სავალდებულო პროგრამისა და დისციპლინების ნაწილი, იგი ყველა ზემოთ დასახელებული ფორმით რჩება სახელმწიფოს მოწესრიგებას დაქვემდებარებულ სასკოლო ღონისძიებად. აღნიშნული განსაკუთრებით მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც სასკოლო ლოცვა მასწავლებლის ინიციატივით ტარდება გაკვეთილის დროს.

გ) როდესაც სახელმწიფო ზემოთ აღნიშნული შეცნობით სასკოლო ლოცვას, როგორც რელიგიურ სავარჯიშოსა და ერთ-ერთ „სასკოლო ღონისძიებას“ უშვებს რელიგიის გაკვეთილის ფარგლებს გარეთ, ამით იგი ხელს უწყობს ქრისტიანული შეხედულებების და, შესაბამისად, ისეთი რელიგიური ელემენტის გავრცელებას სკოლაში, რომელიც სცდება ქრისტიანობის კულტურული და საგანმანათლებლო ფაქტორის აღიარებიდან გამომდინარე რელიგიურ მიმართებებს (იხ: BVerfGE 41, 29 [52]). თა-

ვისი ეკუმენისტური ფორმით ლოცვა გამოხატავს ისეთ რელიგიურ ჭეშმარიტებას, რომლის არსია ის, რომ ღმერთი ლოცვისას წარმოთქმულს მიუგებს ადამიანს. თუმცა, ამ რელიგიური ელემენტის დაშვება სავალდებულო სკოლაში, მონაწილეობის ნებაყოფლობის დაცვით, კვლავ რჩება ლანდების შემოქმედებით თავისუფლებაში, რომელიც ლანდებს, როგორც სასკოლო სუვერენიტეტის მატარებლებს, მინიჭებული აქვთ ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც სხვაგვარად მოაზროვნეთა ძირითადი უფლება, ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, შესატყვისობის უზრუნველსაყოფად შეფასებაში არის მოქცეული.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლი ითვალისწინებს არა მხოლოდ რწმენის თავისუფლებას, არამედ ასევე – ამ რწმენის საჯარო აღიარებასა და გამოხატვას (იხ: BVerfGE 32, 98 [106]; 33, 23 [28]; 41, 29 [49]); გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები უზრუნველყოფს აქტიური რელიგიური მოქმედების სივრცეს.

თუ სახელმწიფო საჯარო სკოლებში დაუშვებს სასკოლო ლოცვას, იგი ამით ახორციელებს მისთვის გერმანიის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებულ სასკოლო სისტემის ორგანიზების ფუნქციას იმგვარად, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ამის სურვილი, შეუძლიათ, თუმცა უფლისადმი მიმართვის ზოგადი და ეკუმენისტური შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც გამოხატონ თავიანთი რელიგიური შეხედულებები და რწმენა...

სასკოლო ლოცვის დაშვებით განხორციელებულ ამ ე.წ. რელიგიის პოზიტიურ თავისუფლებას სახელმწიფომ თავიდანვე უნდა გაუთანაბროს იმ დანარჩენი მოსწავლეებისა და მშობლების რელიგიის ე.წ. ნეგატიური თავისუფლება, რომლებიც უარს ამბობენ სასკოლო ლოცვაზე. ასეთ შემთხვევებში აღნიშნული გათანაბრება მიიღწევა სასკოლო ლოცვაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობის ნებაყოფლობითობის გარანტიით ...

## II

თუ ზემოთ აღნიშნული განმარტებებისა და მოსაზრებების მიხედვით, არ არსებობს სასკოლო ლოცვის სანაღმდეგო კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოსაზრებები, შესაძლოა შემთხვევა, როდესაც მოსწავლე ან მისი მშობლები ეწინააღმდეგებიან სკოლაში ლოცვის რიტუალის შესრულებას, სხვაგვარად შეფასდეს.

1. პესენის ლანდის უმაღლესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ერთი მოსწავლის წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი არ უნდა იქნეს დაშვებული სასკოლო ლოცვა, რათა არ მოხდეს მოსწავლის იძულება, ლოცვაში მონაწილეობაზე უარის თქმით საჯაროდ გამოხატოს და გამოაპყაროს თავისი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულებებით განპირობებული უარყოფა ამ რელიგიის მიმართ. დუმილის უფლების ამგვარი განვრცობა, რომლის მიხედვითაც იგი ირღვევა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება პირის იძულება, გამოხატოს თავისი აზრი და შეხედულება, არამედ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას სხვა პირთა რელიგიურ ქმედებებთან დაკავშირებით, არ მოიაზრება და არ არის დაცული რელიგიის ნეგატიური თავისუფლების ძირითადი უფლებით...

3. განსხვავებული აზრის მქონე მოსწავლის ან მისი კანონიერი აღმზრდელის პროტესტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევდა სასკოლო ლოცვის აკრძალვას, როდესაც არ იქნებოდა უზრუნველყოფილი ამ მოსწავლის უფლება, სასკოლო ლოცვაში მონაწილეობის თაობაზე თავისუფლად და ყოველგვარი იძულების გარეშე მიეღო გადაწყვეტილება. როგორც ნესი, სკოლებში დაცული და უზრუნველყოფილია აღნიშნული უფლება.



ა) არსებობს ლოცვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგი შესაძლებლობები: მოსწავლეს შეუძლია, არ შევიდეს საკლასო ოთახში ლოცვის დროს; მას შეუძლია, ლოცვის დასრულების შემდეგ შევიდეს ოთახში ან მის დაწყებამდე დატოვოს იგი; მაგრამ მას ასევე შეუძლია, დარჩეს ლოცვის დროს ოთახში და არ წარმოთქვას იგი; ამასთან, მოსწავლე, სხვებისაგან განსხვავებით, შესაძლოა იჯდეს.

ბ) აუცილებელია იმის აღიარება, რომ ლოცვაში მონაწილეობაზე უარის თქმის ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მოსწავლის საქციელი გამორჩეული და ხაზგასმულია სკოლაში ლოცვის რიტუალის ჩატარებისას. ეს კი განსაკუთრებით მძაფრდება, როდესაც კლასში მხოლოდ ერთი განსხვავებული აზრის მქონე მოსწავლეა: იგი ამ შემთხვევაში ყველა მისი თანაკლასელისაგან განსხვავებულად იქცევა. მისი ქმედების გამორჩეულობა და ხაზგასმულობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მძიმე და საზიანო მოსწავლისათვის, როდესაც ეს ძალაუფლებურად იწვევს მის იზოლაციასა და გარიყვას მოსწავლეთა წრიდან და მის დისკრიმინაციას.

4. თუმცა, ითვლება, რომ, როგორც წესი, უმთავრესად ლოცვაში მონაწილეობაზე უარის თქმა არ იწვევს მოსწავლის გამოყოფასა და იზოლაციას დაწარჩენი მოსწავლეებისაგან. სასკოლო ლოცვის ჩატარების პირობების, ასევე მასწავლებლის შესაბამისი ამოცანებისა და სკოლებში რეალურად არსებული სიტუაციის შეფასების საფუძველზე მიიჩნევა, რომ უმთავრესად არ არის სავერაუდო და მოსალოდნელი მოსწავლის დისკრიმინაცია ლოცვაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო.

## გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლთან დაკავშირებით:

### E – 69, 315

1. მოქალაქის უფლება, შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელების საშუალებით მონაწილეობდეს პოლიტიკური აზრისა და ნების ჩამოყალიბების პროცესში, წარმოადგენს დემოკრატიული თანაცხოვრებისა და დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ ელემენტს. თავისუფლების უფლების ეს ფუნდამენტური მნიშვნელობა კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ძირითად უფლებათა შემზღვეველი ნორმების გამოცემისას, ხოლო სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა — ამ ნორმების განმარტებისას და გამოყენებისას.
2. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის ნორმა ღია ცის ქვეშ დაგეგმილ ღონისძიებათა წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულებისა და მათი დაშლის ან აკრძალვის წინაპირობების შესახებ (მე-14 და მე-15 მუხლები) იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს, თუ მათი განმარტებისას და გამოყენებისას გაითვალისწინებენ, რომ:
  - ა) სპონტანურ დემონსტრაციებზე არ ვრცელდება რეგისტრაციის ვალდებულება და, შესაბამისად, მისი გაუთვალისწინებლობა არ წარმოშობს შეკრების დაშლის ან აკრძალვის უფლებამოსილებას;
  - ბ) შეკრების დაშლა ან აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სხვა თანასწორი სამართლებრივი სიკეთების დასაცავად, როდესაც ამ სიკეთებს ემუქრება უშუალო საფრთხე; ამასთან, ასევე მკაცრად უნდა იყოს დაცული თანაზომიერების პრინციპი.

3. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, იხელმძღვანელონ მშვიდობიანად ჩატარებული დემონსტრაციების მაგალითითა და გამოცდილებით, გამოავლინონ კეთილგანწყობა შეკრებების მიმართ და სათანადო საფუძვლის გარეშე არ გადაუხვიონ აპრობირებულ გამოცდილებას. რაც უფრო დიდია შეკრების ორგანიზატორების მზაობა, შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ, მით უფრო მაღალია ბარიერი, ამ ღონისძიებებში ჩაერიონ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები, საჯარო წესრიგისათვის საფრთხის შექმნის თავიდან აცილების მიზნით.
4. თუ არ არის მოსალოდნელი, რომ დემონსტრაცია მიიღებს არამშვიდობიან ფორმას და განვითარებას ან ორგანიზატორები და მათი თანამოაზრეები მიზნად ისახავენ მის ასეთ განვითარებას ან, სულ მცირე, ემხრობიან მაინც მას, მაშინ დემონსტრაციის თითოეული მშვიდობიანი მონაწილის მიმართ დაცულია შეკრების კონსტიტუციურად გარანტირებული თავისუფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსალოდნელია, რომ ცალკეულმა პირებმა ან უმცირესობამ მშვიდობიანი გზიდან გადაუხვიოს. ასეთ შემთხვევაში მთლიანი დემონსტრაციის აკრძალვა პრევენციული მიზნით დაკავშირებულია როგორც საფრთხის პროგნოზირებისა და გათვლის, ასევე – გონივრულად გამოსაყენებელი ყველა იმ საშუალების ამონაწერის მკაცრ სავალდებულო წინაპირობებთან, რომლებიც შესაძლებელს გახდის, რომ მშვიდობიან დემონსტრანტებს თავიანთი ძირითადი უფლება განეხორციელებინათ.
5. ადმინისტრაციული სასამართლოები ვალდებული არიან, ჯერ კიდევ დროებით სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებებშიც ინტენსიური შემოწმების გზით გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ დემონსტრაციის აკრძალვის დაუყოვნებელი აღსრულება, როგორც წესი, იწვევს ძირითადი უფლების განხორციელების საბოლოო შეფერხებას.

პირველი სენატის 1985 წლის 14 მაისის განჩინება  
- 1 BvR 233, 341/81 -

#### საფუძვლები:

ა

კონსტიტუციური სარჩელები შეეხება ბროკდორფში ატომური ელექტროსადგურის განთავსების წინააღმდეგ დაგეგმილი დემონსტრაციების აკრძალვას. საჩივრების ძირითადი საგანია დემონსტრაციათა გენერალური აკრძალვის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ დადასტურებული დაუყოვნებელი აღსრულება, რომელიც შესაბამისად უფლებამოსილმა ლანდრატმა პრევენციულად გამოსცა განკარგულების სახით. დემონსტრაციის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის კონსტიტუციური საფუძვლად, აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად, ასევე განიხილება შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლება:

#### მე-8 მუხლი:

(1) ყველა გერმანელს აქვს უფლება, წინასწარი რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე შეიკრიბოს მშვიდობიანად და შეიარაღების გარეშე.

(2) ღია ცის ქვეშ მოქალაქეების შეკრებასთან დაკავშირებით აღნიშნული უფლება შესაძლებელია, შეიზღუდოს კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე.

უფრო დეტალურ ნორმებს შეიცავს 1953 წლის 24 ივლისის გამოცემული და 1978 წლის 15 ნოემბერს განახლებული გერმანიის კანონი მოქალაქეთა შეკრებისა

და სახალხო მსვლელობების შესახებ (გერმანიის კანონი მოქალაქეთა შეკრების შესახებ) (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1789). კანონი პირველი მუხლით ყველა პირს ანიჭებს უფლებას, ორგანიზება გაუწიოს საჯარო შეკრებებსა და მსვლელობებს ან მონაწილეობა მიიღოს ასეთ ღონისძიებებში. კანონის მე-3 თავი შეიცავს ნორმებს „ღია ცის ქვეშ საჯარო შეკრებასა და მსვლელობასთან დაკავშირებით“:

#### მუხლი 14

(1) მან, ვისაც განზრახული აქვს ღია ცის ქვეშ საჯარო შეკრების ან მსვლელობის ორგანიზება, აქციის გამოცხადებამდე 48 საათით ადრე ამის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამისად უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს დემონსტრაციისა თუ მსვლელობის თემის მითითებით.

(2) რეგისტრაციისას უნდა მიეთითოს, თუ ვინ არიან პასუხისმგებლები შეკრების ან მსვლელობის ჩატარებაზე.

#### მუხლი 15

(1) უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, აკრძალოს შეკრება ან მსვლელობა ან ნებართვის გაცემა დამოკიდებული გახადოს შესაბამისი დამატებითი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მომენტისათვის არსებული გარემოებების მიხედვით, დემონსტრაციისა თუ მსვლელობის ჩატარების შემთხვევაში უშუალო საფრთხე ექმნება საჯარო წესრიგს ან უსაფრთხოებას.

(2) ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, დაშალოს შეკრება ან მსვლელობა, თუ იგი არ არის რეგისტრირებული, ან დარღვეულია რეგისტრაციის წესები, ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკისრებული ვალდებულებები, ან თუ მოცემულია აკრძალვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები.

(3) აკრძალული ღონისძიება უნდა დაიშალოს.

### ბ

კონსტიტუციური შემონმების მასშტაბია შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლი).

1. საერთო სასამართლოების წარმოებებში გასაჩივრებული ნორმებითა და მათ საფუძველზე გატარებული ღონისძიებებით მოსარჩელეს შეეზღუდა დაგეგმილი დემონსტრაციების ჩატარების თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლით. აღნიშნული ნორმა, უბრალო თავყრილობებისა და გასართობი ღონისძიებებისაგან განსხვავებით, იცავს შეკრებებსა და მსვლელობებს, როგორც ერთობლივ და კომუნიკაციისაკენ მიმართულ აქციას. მითითებული დაცვა არ არის შეზღუდული მხოლოდ ისეთი ღონისძიებებით, სადაც მიმდინარეობს დებატები არგუმენტების მოხმობით, იგი მოიცავს ერთობლივი ქმედების მრავალნაირ ფორმას არავერბალური გამოხატვის საშუალებების ჩათვლით. მათ შორის ასევე მოიაზრება დემონსტრაციის ხასიათის მქონე საშუალებები და ფორმები, რომელთა შემთხვევაშიც შეკრების თავისუფლების უფლება გამოიყენება აზრის პომპეზური და ხმაურიანი ფორმით გამოხატვის მიზნით. ვინაიდან საერთო სასამართლოების წინარე წარმოებების მასალები არ შეიცავს არანაირ მითითებასა და საფუძველს იმის ვარაუდისათვის, რომ დაუშვებელი იყო შეძახილების, გამოსვლების, სიმღერებისა თუ ტრანსპარანტების საშუალებით გარკვეული აზრის გამოხატვა, აღარ არის საჭირო

შემომდგეს, თუ მოცემულ ვითარებაში რის საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი დემონსტრაციის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლთან ერთად, კონსტიტუციური შემონმების მასშტაბად და საფუძვლად ასევე აზრის გამოხატვის ძირითადი უფლების განხილვა-გათვალისწინება.

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლი ძირითადი უფლების სუბიექტებს დაშვავი უფლების სახით ანიჭებს ღონისძიების ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის განსაზღვრის უფლებას და იმავდროულად კრძალავს სახელმწიფოს მხრიდან იძულებას, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობასთან ან მონაწილეობის აკრძალვასთან დაკავშირებით. თუნდაც მხოლოდ ამ დანიშნულების გამო, ზემოთ აღნიშნული ძირითადი უფლება თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებაში იმსახურებს განსაკუთრებულ რანგს; სხვა პირებთან ერთად შეუფერხებელი შეკრების უფლება ყოველთვის ითვლებოდა თავდაჯერებული მოქალაქის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ქმედუნარიანობის სიმბოლოდ და გამოვლინებად. პოლიტიკური ღონისძიებების მიმართ აღნიშნული თავისუფლების გარანტია იმავდროულად არის ისეთი პრინციპული გადანყვეტილების განსახიერება, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცდება სახელმწიფოს მხრიდან ჩარევებისაგან დაცვას და შეუფერხებელი პიროვნული განვითარების სფეროს ნაწილია. ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში ტრადიციულად დამკვიდრებული შეკრების თავისუფლება წარსულშიც იყო ხალხის სუვერენიტეტის გამოხატულება და იგი, შესაბამისად, მოიაზრებოდა პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის დემოკრატიულ უფლებად.

ა) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, რომლის ფარგლებშიც ჯერ არ განხილულა შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, აზრის გამოხატვის თავისუფლება დიდი ხანია ითვლება დემოკრატიული წყობილებისა და თანაცხოვრების აუცილებელ და ძირითად ფუნქციურ ელემენტად. იგი მიიჩნევა ადამიანის პიროვნულობის უშუალო გამოხატულებად და ერთ-ერთ ყველაზე კეთილშობილ უფლებად დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უფლებათა შორის, ვინაიდან სწორედ აზრის გამოხატვის უფლება უზრუნველყოფს მუდმივ ინტელექტუალურ მსჯელობას, დისკუსიას და აზრთა შერკინებას, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების სასიცოცხლო ელემენტს (იხ: BVerfGE 7, 198 [208]; 12, 113 [125]; 20, 56 [97]; 42, 163 [169]). თუ შეკრების თავისუფლება მოიაზრება აზრის კოლექტიური მანიფესტაციის თავისუფლებად, მაშინ ამ თავისუფლების მიმართაც მოქმედებს ზემოთ აღნიშნული შეფასება-განმარტებები. ყოველივე ამას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ დემონსტრაციის შემთხვევებში უკანა პლანზე გადადის არგუმენტირების მომენტი, რომელიც, როგორც წესი, დამახასიათებელია და განსაზღვრავს აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებას. როდესაც დემონსტრანტი თავისი ფიზიკური პრეზენტაციით, სრულიად ღიად, საჯაროდ და ყოველგვარი მედია-საშუალებების გარეშე გამოთქვამს საკუთარ აზრს, ამით მისი პიროვნება უშუალოდ ვითარდება. დემონსტრაციები, იდეალურ შემთხვევაში, წარმოადგენს შეხედულებებისა და მოსაზრებების ფიზიკურ გამოხატვასა და სააშკარაოზე გამოტანას, რომლის მონაწილეებიც, ერთი მხრივ, ერთობლივად ხედავენ საკუთარი მოსაზრების დადასტურებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ერთობლიობის მხოლოდ ფიზიკური პრეზენტაციით, მათი გამოსვლის ფორმით, ერთმანეთთან ურთიერთობით ან დროისა და ადგილის შერჩევით საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს. იმის საფრთხე, რომ შესაძლებელია აზრის ამგვარი მანიფესტაციების დემაგოგიური გამოყენება და მათი

ენ. ემოციონალიზაცია არასასურველი მიმართულებით, ისევე უმნიშვნელოა შეკრების თავისუფლების ფარგლებში, როგორც აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლების მიმართ.

ბ) შეკრების თავისუფლების ძირითადი მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ ჩანს ცხადად, როდესაც დემოკრატიული თანაცხოვრებისა და ნყობილების ფარგლებში გათვალისწინებულია ნების ჩამოყალიბების თავისებურება. გერმანიის კომუნისტური პარტიის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში თავისუფალი, დემოკრატიული ნყობილების თაობაზე ნათქვამია, რომ არსებული და ისტორიულად ქცეული სახელმწიფო, საზოგადოებრივი მიმართულებები და პირობები ექვემდებარება და საჭიროებს გაუმჯობესებას; ამით, სასამართლოს აზრით, დასახულია მუდმივი და ამოუწურავი ამოცანა, რომელიც უნდა ამოიხსნას და შესრულდეს მუდმივად განახლებული გადაწყვეტილებების მიღების გზით (იხ: BVerfGE 5, 85 [197]). ასეთი გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების გზა არის "trial and error"-ის პროცესი, რომელიც მუდმივი ინტელექტუალური მსჯელობისა და დისკუსიის, ურთიერთკონტროლისა და კრიტიკის მეშვეობით უზრუნველყოფს სწორი პოლიტიკური ხაზის არსებობასა და ბალანსს სახელმწიფოში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის (იხ: BVerfGE 12, 13 [125]). ამ გადაწყვეტილების ტენდენციას აგრძელებს ასევე პარტიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ დემოკრატიის ფარგლებში პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება უნდა მომდინარეობდეს ხალხისგან და მიმართული იყოს სახელმწიფო ორგანოებისაკენ და არა – პირიქით; მოქალაქის უფლება – მონაწილეობდეს პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში, გამოიხატება არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობაში, არამედ ასევე – იმ მუდმივ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენაში, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა მიმდინარეობდეს თავისუფლად, ღიად, შეუზღუდავად და, როგორც ნესი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად (იხ: BVerfGE 20, 56 [98]).

ამ პროცესში მოქალაქეები სხვადასხვაგვარი ინტენსიურობით მონაწილეობენ. დამოინანსებლებს ან მასმედიას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა, მაშინ, როდესაც ცალკეული მოქალაქე ამ მხრივ საკმაოდ უძლურია. ისეთ საზოგადოებაში, სადაც მედიის ხელმისაწვდომობა და მათი საშუალებით საკუთარი აზრის გამოხატვის შანსი უზრუნველყოფილია მხოლოდ პირთა შეზღუდული ნრისათვის, ცალკეულ ადამიანს, პარტიებსა და კავშირებში მონაწილეობისა და განევრების გარდა, რჩება მხოლოდ კოლექტიური ზეგავლენის შესაძლებლობა შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებისა და დემონსტრაციების გზით. შეკრების თავისუფლების უფლების შეუფერხებელი განხორციელება მიმართულია არა მხოლოდ პოლიტიკური უძღურების შეგრძნებისა და ასევე სახელმწიფოს უძღურებისა და უმოქმედობის საშიში ტენდენციების წინააღმდეგ, არამედ ეს უფლება იმიტომაც ემსახურება საყოველთაო ინტერესებს, რომ მხოლოდ ყველა ვექტორის სათანადო განვითარებისა და გაძლიერების შემთხვევაშია შესაძლებელი პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ძალთა ბალანსის მიღწევა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეთა შეკრებები ლიტერატურაში მიჩნეულია დემოკრატიული ნყობილებისა და გამჭვირვალობის არსებით ელემენტად: „მოქალაქეთა შეკრებები ... წარმოშობს პოლიტიკურ პროცესებზე საჯარო ზეგავლენის შესაძლებლობას პლურალისტური ინიციატივებისა და ალტერნატივების განვითარების ან კრიტიკისა და პროტესტის გამოხატვის მიზნით ...; ეს ღონისძიებები შეიცავს ჯერ კიდევ თავდაპირველი – შეუბოჭავი და დაუოკებელი, უშუალო დემოკრატიის ელემენტებს, რომლებიც საჭიროა პოლიტიკური რუტინის თავიდან ასაცილებლად“...

დემონსტრაციული პროტესტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც წარმომადგენლობითი ორგანოები დროულად ვერ ამჩნევენ, ან სხვა ინტერესების გათვალისწინებისა და მათთვის ანგარიშის განევის გამო, ვერ ახდენენ რეაგირებას შესაძლო დარღვევებზე (იხ: BVerfGE 28, 191 [202]). ლიტერატურაში ასევე ხაზგასმულია წარმომადგენლობითი ორგანოებისა და სისტემის შეკრებათა სტაბილიზატორის ფუნქცია და აღნიშნულია, რომ იგი ხელს უწყობს და შესაძლებელს ხდის უკმაყოფილებისა და კრიტიკის საჯაროდ გამოხატვას. ამით ეს ღონისძიებები ქმნის წინასწარი გაფრთხილების მექანიზმს პოლიტიკისა და პოლიტიკოსების მიმართ, დროულად წარმოაჩენს მანკიერებებს, უკმაყოფილებისა და აღელვების პოტენციალს, ინტეგრაციის დეფიციტს, რაც შესაძლებელს ხდის ოფიციალური პოლიტიკის კურსის შესწორებას.

## II

მოქალაქეთა შეკრებასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებსაც ეფუძნება საერთო სასამართლოების წინარე წარმოებები, იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს კონსტიტუციის მოთხოვნებს, თუ ისინი განიმარტება და გამოიყენება შეკრების თავისუფლების ძირითადი მნიშვნელობისა და დანიშნულების გათვალისწინებით.

1. მიუხედავად მისი მაღალი რანგისა, შეკრების თავისუფლება არ არის შეუზღუდავად უზრუნველყოფილი. გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ უფლებას „მშვიდობიან და უიარაღო შეკრებასთან“ დაკავშირებით (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ III ა) პუნქტი) და ღია ცის ქვეშ გამართულ შეკრებებს იმავდროულად უქვემდებარებს კანონის დათქმას. ამით კონსტიტუცია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ღია ცის ქვეშ შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელება, გარე სამყაროსთან მჭიდრო შეხების გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ მონესრიგებას, რათა, ერთი მხრივ, შეიქმნას ამ უფლების განხორციელების რეალური წინაპირობები, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადოდ იქნეს დაცული შესაძლო საპირისპირო ინტერესები.

მაშინ, როდესაც ვაიმარის კონსტიტუციის 123-ე მუხლი გარკვევით განსაზღვრავდა, რომ შეკრებები ღია ცის ქვეშ შესაბამისი კანონის საფუძველზე შეიძლება დაექვემდებაროს წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულებას, ხოლო საჯარო უსაფრთხოებისათვის უშუალო საფრთხის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია, იგი აიკრძალოს, გერმანიის ძირითადი კანონი შემოიფარგლება კანონის შეუზღუდავი დათქმით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითადი უფლების მოქმედება შეზღუდულია და ვრცელდება იმ სფეროზე, რომელსაც კანონმდებელი განსაზღვრავს ამ უფლების არსის გათვალისწინების შედეგად. აქ ვრცელდება იგივე მოსაზრებები, რაც – აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რომელიც კონსტიტუციის ფორმულირების მიხედვით, მართალია, იზღუდება კანონით, მაგრამ მისი მნიშვნელობა კანონით არ შეიძლება შემცირდეს (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: BVerfGE 7, 198 [207]; იხ. ასევე: BVerfGE 7, 377 [404]).

ნებისმიერი შეზღუდვის ფორმულირებისას და განსაზღვრისას კანონმდებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლში განსაზღვრებული კონსტიტუციური გადაწყვეტილება. მას შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლების შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ სხვა თანასწორი სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მიზნით და თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით.

როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლოები განმარტავენ და იყენებენ კანონმდებლის მიერ ნორმირებული ძირითადი უფლების შემზღუდველ კანონს, ვრცელდება იგივე პრინციპები და ვალდებულებები, რაც – აზრის გა-

მოხატვის თავისუფლების შემზღვეველი ნორმების განმარტებისას (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: BVerfGE 7, 198 [208]; 60, 234 [240]; შეკრების უფლებასთან დაკავშირებით იხ.: BVerwGE (გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო) 26, 135 [137]). შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება შესაძლოა წარმოიშვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც დემონსტრანტი ამ უფლების განხორციელებისას არღვევს ან ზღუდავს მესამე პირთა სამართლებრივ პოზიციებს. ასეთი ჩარევების შემთხვევებშიც სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, ძირითად უფლებათა შემზღვეველი კანონები განმარტონ თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მათი პრინციპული მნიშვნელობისა და აღნიშნულების მიხედვით და შესაბამისი ზომების გატარებისას შემოიფარგლონ მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებიც მართლაც აუცილებელია სხვა სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: BVerfGE 65, 1 [43]).

2. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის ნორმებიდან, რომლებიც კანონმდებელმა გამოსცა გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული კანონის დათქმის საფუძველზე, წინარე საერთო სასამართლო წარმოებებისათვის არსებითია მხოლოდ მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულება და მე-15 მუხლში ჩამოყალიბებული წინაპირობები შეკრების დაშლასთან ან მის აკრძალვასთან დაკავშირებით...

ა) მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულება, როგორც შეკრების თავისუფლების დასაშვები შეზღუდვა, ცალსახად იყო აღნიშნული ვაიმარის კონსტიტუციაში. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს მოსაზრებით, იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ ზღუდავს მოქალაქეთა შეკრების ძირითად უფლებას (იხ.: BVerwGE (გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო) 26, 135 [137]). უმაღლესი ფედერალური სასამართლოც და გავრცელებული იურიდიული სწავლებაც შეზღუდვას მიიჩნევს კონსტიტუციურად. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ზემოთ აღნიშნულს დაეთანხმება იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის ვალდებულება არ მოქმედებს და ვრცელდება გამოჩაკლისების გარეშე და თუ მისი დარღვევა ავტომატურად არ წარმოშობს შეკრების აკრძალვის ან მიმდინარე ღონისძიების დაშლის უფლებამოსილებას.

რეგისტრაციის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ღია ცის ქვეშ დაგეგმილ აქციებზე, ვინაიდან ასეთი აქციები, მათი გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ ზომებს. მათი წინასწარი რეგისტრაციის შედეგად ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეძლოს იმის ვარაუდი და განჭვრეტა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, ერთი მხრივ, ღონისძიების შეუფერხებელი ჩატარებისათვის, მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული თუ სხვა ზომების გატარების კუთხით, და, მეორე მხრივ, რა არის გასათვალისწინებელი მესამე პირთა და ასევე საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით. გავრცელებული შეხედულებების თანახმად, წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულება უქმდება სპონტანური დემონსტრაციების შემთხვევაში, რომელთა ჩატარების საჭიროება წარმოიშვება რაიმე აქტუალური მოვლენის და საფუძვლის გამო.

ასეთი დემონსტრაციები უზრუნველყოფილია გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლით. მათ მიმართ არ ვრცელდება მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის ნორმები, თუ მათი გათვალისწინება ხელს უშლის სპონტანური დემონსტრაციის მიზანს. სპონტანური შეკრების უფლების აღიარება, შემზღვეველი ნორმების გაუთვალისწინებლობის მიუხედავად, გამომდინარეობს იქიდან, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, ზოგადად, უზრუნ-

ველყოფს "რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე" შეკრების უფლებას. ის გარემოება, რომ ეს უფლება, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ექვემდებარება კანონით შეზღუდვას, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი შეზღუდვის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი უფლების გამორიცხვა შეკრების გარკვეული სახეობების მიმართ. ასეთი წინაპირობების არსებობისას პირველ პუნქტში გარანტირებული თავისუფლება აუქმებს წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულებას.

სპონტანურ დემონსტრაციათა ასეთი შეფასება ემყარება იმას, რომ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის ნორმები უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლების კუთხით და მისი არსისა და დანიშნულების გათვალისწინებით. მოქალაქეთა შეკრებისა და მსვლელობის დასაშვებობას ამკვიდრებს არა მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონი, არამედ – ძირითადი კანონი. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ამ უფლების შეზღუდვებს, რამდენადაც არსებობს მათი აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულების დარღვევა ავტომატურად არ იწვევს ლონისძიების აკრძალვას ან მის დაშლას ...

თუ წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულება არ მოქმედებს გამონაკლისების გარეშე და მისი დარღვევა ავტომატურად არ იწვევს ლონისძიების დაშლასა და აკრძალვას, მაშინ შეუძლებელია იმის ვარაუდი, რომ მნიშვნელოვანი საყოვლთაო ინტერესიდან გამომდინარე და ამ ინტერესით გამართლებული რეგისტრაციის ვალდებულება არ არის თანაზომიერი ...

ბ) მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-15 მუხლის შემთხვევაშიც დადებითია კონსტიტუციური შემოწმების შედეგი. ამ ნორმის მიხედვით, განსჯად ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, აკრძალოს შეკრება ან მსვლელობა ან ნებართვის გაცემა დამოკიდებული გახადოს შესაბამისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ადმინისტრაციული ნებართვის გაცემის საკითხის განხილვის მომენტისათვის არსებული გარემოებების საფუძველზე სავარაუდოა, რომ დემონსტრაციისა თუ მსვლელობის ჩატარების შემთხვევაში უშუალო საფრთხე ექმნება საჯარო წესრიგს ან უსაფრთხოებას.

მოსარჩელებიც და სამოქალაქო ინიციატივის კავშირიც გამოთქვამენ გარკვეულ ეჭვებს შეზღუდვის განმსაზღვრელი ფორმულირების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, კერძოდ – ფორმულირების „საჯარო წესრიგის ან უსაფრთხოების საფრთხის“ თაობაზე, რომელიც, მათი აზრით, მით უფრო პრობლემატურია, რამდენადაც გადანაცვლებულია ჩარევის ანუ უფლების შეზღუდვის შესახებ წარმოადგენს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოებისა და სააღსრულებო პოლიციის კომპეტენციას. ზემოთ აღნიშნული ცნებები, სათანადო სიზუსტით არის განსაზღვრული პოლიციის სამართლის ნორმებით, როგორც ეს მართებულად აღნიშნა შინაგან საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა. აღნიშნულის მიხედვით „საჯარო უსაფრთხოების“ ცნება მოიცავს ცენტრალური სამართლებრივი სიკეთების დაცვას, მაგალითად, როგორცაა: თითოეული ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პატივი, ღირსება, საკუთრება, ქონება და ასევე – სამართლებრივი სისტემისა და სახელმწიფო დანესებულებათა ხელშეუხებლობა. საჯარო უსაფრთხოებას საფრთხე ექმნება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია ზემოთ მითითებული სამართლებრივი სიკეთების შელახვა. „საჯარო წესრიგი“ გულისხმობს დაუნერელი წესების ერთობლიობას, რომლის დაცვაც აუცილებელია გავრცელებული სოციალური და ეთიკური შეხედულებების საფუძველზე და რომლებიც, აქედან გამომდინარე, მიჩნეულია



გარკვეულ ტერიტორიაზე მონესრიგებული ადამიანური თანაცხოვრების აუცილებელ წინაპირობად.

თუმცა, მხოლოდ ზემოთ აღნიშნული განმარტებები ვერ უზუნველყოფს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამის გამოყენებას. კონსტიტუციური შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია ორი სახის შეზღუდვა, რომლებიც მოცემულია თვითონ კანონში და რომელთა შედეგია ის, რომ შეკრების აკრძალვა და დაშლა შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს იმ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ემუქრება ელემენტარულ სამართლებრივ სიკეთეებს; ამასთან, ამ შეზღუდვების განსახორციელებლად არ იქნება საკმარისი მხოლოდ საჯარო წესრიგის საფრთხის არგუმენტი და საფუძველი.

შეკრების აკრძალვის ან დაშლის, როგორც უკიდურესი საშუალებების, გამოყენების წინაპირობაა უფრო მსუბუქი საშუალებების ამონურვა, მაგალითად, როგორცაა დამატებითი ვალდებულებების გათვალისწინება (იხ: BVerwGE 64, 55). აღნიშნული გამომდინარეობს თანაზომიერების პრინციპიდან. ძირითადი კანონით დაცული შეკრების თავისუფლება სხვა უფლებას ადგილს უთმობს მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფლების დანიშნულების გათვალისწინებით განხორციელებულ სამართლებრივ სიკეთეთა ურთიერთშეფარდების შედეგად გამოვლინდება, რომ ეს შეზღუდვა აუცილებელია სხვა თანასწორი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ინტერესი ვერ გაამართლებს და დაასაბუთებს თავისუფლების უფლების შეზღუდვას. მაგალითად, დაუშვებელია, მხოლოდ სატრანსპორტო მოძრაობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, დემონსტრაციის აკრძალვა. ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ვალდებულებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება როგორც სატრანსპორტო მოძრაობა, ასევე – დემონსტრაციის შეუფერხებლად მიმდინარეობა პარალელურ რეჟიმში.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ძირითადი უფლების სფეროში ჩარევის უფლებამოსილება შეზღუდულია ასევე იმით, რომ მოქალაქეთა შეკრების აკრძალვა და დაშლა დასაშვებია მხოლოდ საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის „უშუალო საფრთხის“ არსებობისას. საფრთხის უშუალოობის მოთხოვნა, პოლიციის სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, ავინრობს გათვალისწინებულ ჩარევის წინაპირობებს. ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია საფრთხის პროგნოზირება. მართალია, პროგნოზი ყოველთვის შეიცავს სავარაუდო შეფასებას, მაგრამ აუცილებელია ამ ვარაუდის საფუძვლის წარმოჩენა და დასაბუთება. შეკრების თავისუფლების განსაკუთრებული პრინციპული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, მით უფრო კი პრევენციული აკრძალვების გათვალისწინების შემთხვევაში, საჭიროზე უფრო ნაკლებად კატეგორიული და მკაცრი მოთხოვნები გაითვალისწინოს საფრთხის პროგნოზირებასთან დაკავშირებით. საკითხი, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი პროგნოზი, სასამართლოს შეფასების საგანია, ვინაიდან ეს უმთავრესად დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის გარემოებებზე. მთლიანობაში კი მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-15 მუხლი იმ შემთხვევაში შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლს, თუ მისი განმარტებისა და გამოყენებისას უზუნველყოფილი იქნება ის, რომ მოქალაქეთა შეკრების აკრძალვა და დაშლა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საზოგადო სიკეთეების დაცვის მიზნით, თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გათვალისწინების საფუძველზე და იმ შემთხვევებში, როდესაც ამ სამართლებრივ სიკეთეებს ემუქრება უშუალო და მოცემული გარემოებების მიხედვით – სავარაუდო საფრთხე.

კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის ნორმები ასევე ვრცელდება მასობრივ დემონსტრაციებზეც. თუმცა, მათი გამოყენებისას საჭიროა იმ გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება, რომელიც დაგროვდა და აპრობირებულია ასეთი დემონსტრაციების მშვიდობიანად ჩატარების მცდელობის ფარგლებში.

1. საერთო სასამართლოს წინარე წარმოებების ფარგლებში მომზადებული მოხსენებების მიხედვით, ისეთი ღონისძიებების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფა, როგორცაა 1981 წლის ბონის მშვიდობიანი დემონსტრაცია, 1979 წლის „გორლებენ ტრექსი“ ან „სამხრეთ გერმანიის ცოცხალი ჯაჭვი“ შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით. სამართლებრივი ვითარების დროული განსაზღვრა გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ ორივე მხარეს გამოირიცხოს პროვოკაცია და აგრესია, რომ ორგანიზატორებმა მონაწილეებს მოუწოდონ მშვიდობიანი ქმედებებისა და აგრესორების იზოლირებისაკენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა (მაგალითად, პოლიციისაგან თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის გზით) გამოიჩინონ თავშეკავება და თავი აარიდონ გადაჭარბებულ რეაგირებას; საჭიროა კონტაქტის დროულად დამყარება, რათა ორივე მხარემ გაიცნოს ერთმანეთი, გაცვალონ ინფორმაციები და შეძლებისდაგვარად მიაღწიონ მშვიდობიან ურთიერთობას, რაც მათ გაუიოლებს გაუთვალისწინებელ კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავებას.

არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის განხილვას, გამომდინარეობს თუ არა აღნიშნული გამოცდილების გაზიარებისა და გათვალისწინების მოვალეობა უფლების დაცვის ვალდებულებიდან, რომელიც, გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, ეკისრება სახელმწიფო ორგანოებს და მიზნად ისახავს იმას, რომ მათ ხელი შეუწყონ შეკრებებისა და მსვლელობების ჩატარებას და ასევე უზრუნველყონ შეკრების ძირითადი უფლების შეუფერხებელი განხორციელება. ყოველი შემთხვევისათვის გასათვალისწინებელია უახლესი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მიხედვითაც, ძირითადი უფლებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური სამართლის ჩამოყალიბებაზე, არამედ ასევე აწესებს მასშტაბებს ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველყოფი ორგანიზაციული და საპროცესო საკითხების მონესრიგებისა და არსებული ნორმების ძირითადი უფლებების არსთან შესაბამისი გამოყენების კუთხით (იხ: BVerfGE 53, 30 [65, 72]; შემდგომი პერიოდებიდან იხ. ასევე: BVerfGE 56, 216 [236] და 65, 76 [94]; 63, 131 [143]; 65, 1 [44, 49]). არ არსებობს რაიმე არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ აღნიშნული პრაქტიკა და გამოცდილება ასევე გამოყენებულ იქნეს შეკრების ძირითადი უფლების მიმართ, მით უმეტეს, როდესაც შეკრების თავისუფლება მოიცავს არსებით ორგანიზატორულ და პროცესულურ საკითხებს...

... მოქალაქეთა შეკრების ძირითადი უფლება, როგორც თავისუფლების უფლება, არ შეიცავს მითითებებს შეკრებების ან მსვლელობების შინაარსობრივ განვითარებასა და ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, იგი შინაარსობრივი მხარის მონესრიგების უფლებას უტოვებს ღონისძიების ორგანიზატორებს და შემოიფარგლება ორგანიზაციასთან დაკავშირებული მითითებებით. სახელმწიფო ორგანოების მიმართ წაყენებული მოთხოვნა, მშვიდობიანად ჩატარებული მასობრივი დემონსტრაციის მაგალითების გათვალისწინებით, შეკრებების ხელშეწყობასა და ამ გამოცდილებიდან მხოლოდ სათანადო მიზეზებისა და საფუძვლის არსებობის შემთხვევაში გადახვევასთან დაკავშირებით, შეესაბამება თავისუფლების უფლების კონსტიტუციური განხორციელების მცდელობასა და მიზანს. აღნიშნული გამოცდილების გაზიარების მოვალეობა კონსტიტუციურად გამართლებულია იმ არგუმენტიც, რომ იგი, შეკრებების

აკრძალვისა და დაშლის სახით ძირითადი უფლების დაცვის სფეროში ჩარევასთან შედარებით, ნარმოადგენს უფრო მსუბუქ სამუალებას. რაც უფრო მეტად ეცდებიან სახელმწიფო ორგანოები, დემონსტრაციები მშვიდობიანად ჩატარდეს და ხელს შეუწყობენ ამას, მით უფრო გამართლებული და კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ეჭვგარეშე იქნება მოქალაქეთა შეკრების აკრძალვა თუ დაშლა მათი მცდელობების გაუმართლებლობის შემთხვევებში.

დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოების მიმართ ნაყენებული მოთხოვნების იმდენად განვრცობა, რომ ამით საფუძვლიანი ცვლილება განიცადოს პოლიციის ფუნქციამ, რაც მდგომარეობს საფრთხის თავიდან აცილებაში. ასევე დაუშვებელია დემონსტრაციების ორგანიზატორების მიმართ ისეთი მოთხოვნების ნაყენება, რომლებიც შეცვლიდა დემონსტრაციების კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი და სახელმწიფო გაელენისაგან თავისუფალი ღონისძიების სახეს, რის შედეგადაც პოლიტიკური აზრისა და ნების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობისა და მოქალაქეთა თვითშეგნების გამოხატვის აღნიშნული ფორმა დაკარგავდა თავის მნიშვნელობას. ყოველივე ეს კი არ ხდება ღონისძიების ორგანიზატორებისაგან არამშვიდობიანი ქმედების და მესამე პირთა ინტერესების შელახვისაგან თავის შეკავების მოთხოვნისას.

აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ძირითად უფლებათა უზრუნველყოფის პრინციპიდან, რომელიც ჰარმონიაში უნდა იყოს სხვა პირთა ძირითად უფლებებთან...

2. სამოქალაქო ინიციატივის ფედერალური კავშირის მოსაზრებებისაგან განსხვავებით, კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს მოთხოვნა, სპონტანური დემონსტრაციების მსგავსად, მასობრივი დემონსტრაციების წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ (მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლი).

თუმცა, 1953 წლის კანონი მოქალაქეთა შეკრების შესახებ ორიენტაციას ახდენს ტრადიციულ, მკაცრად ორგანიზებულ ღონისძიებებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიცვალა როგორც მათი სუბიექტების, ისე მათი ჩატარების კუთხით. ყველანაირი ორგანიზაციული გაერთიანების გარეშე ცალკეული ჯგუფები, ნაწილობრივ სხვადასხვა მიზნითა და მიმართულებით, ერთიანდებიან კონკრეტული საკითხების გარშემო, მაგალითად, როგორცაა გარემოს დაცვა ან მშვიდობის უზრუნველყოფა. ისინი ერთობლივად უწევენ ორგანიზებას დემონსტრაციებს. ვინაიდან აღნიშნულ ღონისძიებათა ყველა მონაწილე მათი მომზადებისა და ჩატარებისას სარგებლობს თანასწორი უფლებებით, კანონის ნარმოადგენა ასეთი ღონისძიებების ჩატარებასა და მართვასთან დაკავშირებით ზუსტად ველარ შეესაბამება არსებულ ვითარებას...

კანონმდებლის პრეროგატივაა, გაითვალისწინოს ამგვარი ცვლილებები და განავითაროს მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის ნორმები. სანამ ასეთი მოდიფიკაცია არ განხორციელებულა, მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის დებულებები მიიჩნევა არასრულყოფილად და გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა სცდება შეკრების ისეთ ფორმებს, რომლებიც მონესრიგებულია 1953 წლის კანონით და ვრცელდება თანამედროვე ღონისძიებებზეც. მაგრამ აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს მასობრივი დემონსტრაციების შემთხვევაში წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულების გაუქმებას, არამედ ამ დროს იცვლება რეგისტრაციის ფუნქცია:

საჯაროობისა და საზოგადოებრივი დისკუსიის მეშვეობით, რომელიც წინ უსწრებს მრავალრიცხოვან დემონსტრაციას, ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინფორმირება ამ დემონსტრაციის დროისა და ადგილის შესახებ. თუმცა, ასეთი ღონისძიებების

რეგისტრაციას აქვს სხვა დანიშნულებაც, კერძოდ: მასობრივი დემონსტრაციებისას უმთავრესად ითვალისწინებენ დამატებით ვალდებულებას, რომლის ფარგლებშიც საჭიროა ამ ვალდებულების ადრესატის არსებობა. ამას გარდა, რეგისტრაციის საშუალებით შესაძლებელია მხარეებს შორის კონტაქტის დამყარება და დიალოგისა და კოოპერაციის წარმოება, რომლისთვისაც ადმინისტრაციული ორგანო მზად უნდა იყოს ზემოთ განხილული მოსაზრებების გამო და რომელიც ასევე მიზანშეწონილია დემონსტრაციის ორგანიზატორებისათვის, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი დიალოგისას უკვე წინასწარ იკვეთება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები და შესაძლო კონფლიქტები. ამას გარდა, ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობა ეძლევა, უფრო ზედმიწევნით და დაზუსტებით განსაზღვროს საფრთხის პროგნოზი და რეაგირების შესაძლებლობები. მასობრივი დემონსტრაციის ორგანიზატორებისა და წესრიგის დამცავი უწყებების მიერ მისი სათანადოდ მომზადება ამცირებს დემონსტრაციის არამშვიდობიანი განვითარების საშიშროებასაც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კი, აუცილებელია წინასწარი რეგისტრაციის ვალდებულების ძალაში დატოვება...

3. მასობრივი დემონსტრაციების შემთხვევებშიც აქტუალურია საკითხი, რომელიც ასევე განიხილება საერთო სასამართლოების წინარე სამართალწარმოებათა ფარგლებში, კერძოდ: თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია გამართლებული დემონსტრაციის ცალკეული წევრის ან უმცირესობათა მიერ წესრიგის დარღვევის გამო დემონსტრაციის აკრძალვა ან მისი დაშლა მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის საფრთხეზე მითითებით.

ა) კონსტიტუცია ამკვიდრებს მხოლოდ „მშვიდობიანი და უიარალო შეკრების“ უფლებას. მშვიდობიანობის მოთხოვნით, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა „პაულს-კირხე“ კონსტიტუციაში და შემდეგ ასევე – ვაიმარის კონსტიტუციაშიც, გამოხატულია ის, რაც გამომდინარეობს შეკრების თავისუფლების ბუნებიდან, როდესაც იგი გამოიყენება აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებად. წინამდებარე შემთხვევა, როდესაც დაუშვეს ძალადობა, არ იძლევა ზუსტი გამიჯვნის შესაძლებლობას ჯერ კიდევ დასათმენ და არამშვიდობიან ქმედებებს შორის. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიების მონაწილე იმ შემთხვევაში იქცევა არამშვიდობიანად, როდესაც იგი ძალას იყენებს სხვა პირებისა თუ საგნების მიმართ. აღნიშნული ქმედების აღმოფხვრისკენ უნდა იყოს მიმართული შესაბამისი სამართლებრივი სისტემა. სწორედ ეს წარმოადგენს შეკრების თავისუფლების, როგორც პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის საშუალების, უზრუნველყოფის წინაპირობას... დემონსტრანტების მხრიდან კი უფრო მეტად უნდა იყოს მოსალოდნელი მშვიდობიანი ქმედება, ვინაიდან ეს მათ ხელს აძლევს, რადგან ძალადობრივი კონფრონტაციის შემთხვევაში ისინი ექვემდებარებიან სახელმწიფო ძალაუფლებას, რაც ხელს უშლის მათი მიზნების განხორციელებას.

ბ) მოქალაქეთა შეკრების აკრძალვა მასობრივი დემონსტრაციების შემთხვევებშიც არ წარმოშობს განსაკუთრებულ პრობლემებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ პროგნოზის საფუძველზე დიდია ალბათობა, რომ აქციის ორგანიზატორები ან მათი თანამოაზრეები მიზნად ისახავენ ძალადობას ან, სულ მცირე, დაუშვებენ მაინც ასეთ ქმედებებს აქციის მონაწილეების მხრიდან. ასეთი დემონსტრაცია მიიჩნევა არამშვიდობიანად და მასზე, შესაბამისად, არ ვრცელდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის გარანტიები. აქედან გამომდინარე, ასეთი აქციის აკრძალვა ან დაშლა არ შეიძლება არღვევდეს ამ მუხლით უზრუნველ-

ყოფილ ძირითად უფლებას. ასევე, ნათელია სამართლებრივი ვითარება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დემონსტრაციის ორგანიზატორებისა და მათი თანამოაზრეების ქმედება მშვიდობიანია, მაგრამ წესრიგის დარღვევის საფრთხე მომდინარეობს სხვა აქციის (კონტრ-დემონსტრაციის, ხელის შემშლელი აქციის) მონაწილეების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ხელის შემშლელთა წინააღმდეგ და მხოლოდ განსაკუთრებული, საგანგებო ვითარების დროს არის შესაძლებელი თვითონ დემონსტრაციის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინება.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის მოსალოდნელი კოლექტიური უკმაყოფილება, მაშინ არც იმის საფრთხე არსებობს, რომ დემონსტრაცია მთლიანად მიიღებს ძალადობრივ და ბუნტის სახეს (შეადარეთ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი) ან საშიშროება, რომ აქციის ორგანიზატორები და მათი თანამოაზრეები მიზნად ისახევენ მის ამგვარ განვითარებას (შეადარეთ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი) ან სულ მცირე, დაუშვებენ მაინც ასეთ ქმედებებს. ასეთ შემთხვევებში დემონსტრაციის თითოეული მშვიდობიანი მონაწილის მიმართ დაცულია შეკრების კონსტიტუციურად გარანტირებული თავისუფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსალოდნელია ან სახეზეა ცალკეული პირების ან უმცირესობის მხრიდან გარკვეული „გადახვევები მშვიდობიანი გზიდან“. ცალკეულ პირთა არამშვიდობიანი ქმედება რომ იწვევდეს მთლიანი აქციისა და არა მხოლოდ წესრიგის დამრღვევთა მიმართ შეკრების ძირითადი უფლების გამორიცხვას, მაშინ ამით ასეთ პირებს ხელთ ექნებოდათ დემონსტრაციათა ე.წ. „გარდაქმნისა“ და მათთვის, აქციის სხვა მონაწილეების ნების საწინააღმდეგოდ, მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მინიჭების საშუალება. მაშასადამე, აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი დემონსტრაციის აკრძალვა, ვინაიდან ყველა აქციის შემთხვევაში უმთავრესად მოცემულია ცალკეულ პირთა თუ ჯგუფთა არასამშვიდობო განწყობა.

მაშასადამე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა ასევე უნდა მოქმედებდეს ძირითადი უფლების შემზღვეველი სამართლებრივი ნორმების მიმართ. ძირითადი უფლების უზრუნველყოფა, რომელზეც ვრცელდება კანონის დათქმა, არ გამორიცხავს იმას, რომ საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით, მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე, მთელი დემონსტრაციის წინააღმდეგ გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციული ზომები აქციის აკრძალვის ჩათვლით; მაგრამ ასეთი ჩარევის აუცილებლობის შემთხვევაში უპირატესი და უმჯობესია უკვე შემდგარი აქციის დაშლის საშუალების გამოყენება, რათა მის მონაწილეებს თავიდანვე წინასწარ არ ჩამოერთვათ მათი ძირითადი უფლების განხორციელების შანსი და ორგანიზატორებს მიეცეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ არამშვიდობიანი მონაწილეების იზოლაცია. მთლიანი ღონისძიების პრევენციული აკრძალვა, უმცირესობის მხრიდან მოსალოდნელი დარღვევების გამო (შეკრების თავისუფლების ოპტიმალური დაცვის ვალდებულებიდან და ამ ვალდებულების საფუძველზე წარმოქმნილი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე), დასაშვებია მხოლოდ საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას და მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-15 მუხლის კონსტიტუციასთან შესაბამისი გამოყენების შემთხვევებში. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალი ალბათობის არსებობას საფრთხის პროგნოზირების ფარგლებში და მშვიდობიანი დემონსტრანტების ძირითად უფლებათა უზრუნველყოფის ყველა სათანადო საშუალების ამონურვას (მაგალითად, შეკრების აკრძალვის კონცენტრირებით

მხოლოდ რომელიმე შეზღუდულ ტერიტორიაზე და ა.შ.). მთლიანი დემონსტრაციის აკრძალვა, როგორც უკიდურესი საშუალება, ითვალისწინებს ყველა ნაკლებად მკაცრი საშუალების გამოყენების უშუალოდ (მაგალითად, როგორცაა მშვიდობიანი დემონსტრანტებთან კოოპერაციის გზით საფრთხის თავიდან აცილების მცდელობა) ან მათი გამოყენების შეუძლებლობას და ამასთან, ეს შეუძლებლობა გამოწვეული უნდა იყოს დემონსტრანტების მიზეზით. თუ არსებული გარემოებების გათვალისწინებითა და საფუძველზე დემონსტრაცია წინასწარ აკრძალვება, მასობრივი დემონსტრაციის შემთხვევაში, სადაც მოსალოდნელია უმთავრესად მშვიდობიანი ადამიანების მონაწილეობა, მიზანშეწონილია ამ ადმინისტრაციული ღონისძიების წინასწარი გამოცხადება შესაბამისი ვადის მითითებით, რათა არსებობდეს შესაძლებლობა, რომ გათვალისწინებული ვადის ფარგლებში განიხილონ შესაძლო, სავარაუდო საფრთხეები და განსაზღვრონ სათანადო, სანინააღმდეგო საშუალებები.

## E – 85. 69

1. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლი გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის თვალსაზრისით ისე უნდა განიმარტოს, რომ სასწრაფო შეკრების რეგისტრაცია მოხდეს მაშინვე, როგორც კი გაჩნდება ამის შესაძლებლობა.
2. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი სასწრაფო შეკრების შემთხვევებშიც შეესაბამება კანონისმიერი განსაზღვრის მოთხოვნებს (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

### პირველი სენატის 1991 წლის 23 ოქტომბრის განჩინება - 1 BvR 850/88 -

მოსარჩელე დაჯარიმდა ღია ცის ქვეშ გამართული არარეგისტრირებული შეკრების გამო, რასაც იგი ასაჩივრებს კონსტიტუციური სარჩელით.

... მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული შეკრების რეგისტრაციის 48 – საათიანი ვადის განსაზღვრა მის გამოცხადებამდე არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ...

მაგრამ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლი საჭიროებს შეზღუდვას. ნორმის ფორმულირების მიხედვით, რეგისტრაციის ზემოხსენებული ვადა ვრცელდება ღია ცის ქვეშ გამართულ ყველა შეკრებაზე. თუმცა, როგორც უკვე ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, აღნიშნული არ შეიძლება მოქმედებდეს სპონტანური შეკრებების მიმართ. იგი გულისხმობს ისეთ შეკრებებს, რომლებიც იმართება მომენტალური საჭიროების საფუძველზე და შესაბამისი ორგანიზატორების გარეშე. ასეთ შემთხვევებში ფაქტობრივად შეუძლებელია რეგისტრაცია. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვალდებულების ამ შემთხვევებზე განვრცობა იქნებოდა სპონტანური შეკრებების აკრძალვის ტოლფასი, რაც ასევე შეუსაბამოა გერმანიის ძირითადი კანონით გარანტირებულ შეკრების ძირითად უფლებასთან (იხ: BVerfGE 69, გვ. 350).

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, თუ რა ხდება სასწრაფო შეკრების შემთხვევებში. აქ მოიაზრება ისეთი შეკრებები, რომლებიც, სპონტანური შეკრებებისაგან განსხვავებით, წინასწარ არის დაგეგმილი და რომლებსაც ასევე ჰყავს ორგანიზატორები, მაგრამ მათი რეგისტრაცია მოქალა-

ქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვადის დაცვით საფრთხეს უქმნის დემონსტრაციის მიზნებს. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის ამ შემთხვევებზე განერცობაც იქნებოდა სასწრაფო შეკრებების აკრძალვის ტოლფასი, რაც ასევე შეუსაბამოა გერმანიის ძირითადი კანონით გარანტირებულ შეკრების ძირითად უფლებასთან.

სპონტანური შეკრებებისაგან განსხვავებით, სასწრაფო შეკრებების შემთხვევაში პრობლემატური და შეუძლებელია არა თვითონ რეგისტრაცია, არამედ – მისი ვადის დაცვა. აქედან გამომდინარე, ამ შეკრებებისას საჭიროა არა საერთოდ რეგისტრაციის ვალდებულების გაუქმება, არამედ – შეკრების ამ ფორმისათვის შესაფერისი რეგისტრაციის შემოკლებული ვადის გათვალისწინება. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლის კონსტიტუციური განმარტების მიხედვით, სასწრაფო შეკრების რეგისტრაცია უნდა მოხდეს მამინვე, როგორც კი გაჩნდება ამის შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა კი, როგორც წესი, მოცემულია სასწრაფო შეკრების ჩატარებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებისას, ან არაუგვიანეს – მისი გამოცხადებისას.

აღნიშნული განმარტებების მიხედვით, შეკრების ძირითად უფლებას არ ემუქრება შეზღუდვის საფრთხე. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლის კონსტიტუციური განმარტებით (რომელიც არ ცვლის კანონის ფორმულირებას) გამონვეული საფრთხე, რომ სასწრაფო შეკრების პოტენციური ორგანიზატორები, სანქციების შიშით, უარს იტყვიან სასწრაფო შეკრების ჩატარებაზე, უმნიშვნელოა. იგი არ იწვევს ნორმის კონსტიტუციურ განმარტებაზე უარის თქმას და აღნიშნულის სანაცვლოდ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლის ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად (გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ) გამოცხადებას.

არსებობს მოსაზრება, რომ მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლი საჭიროებს კონსტიტუციურ განმარტებას, რაც მასთან დაკავშირებულ სანქციას, კერძოდ: მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტს ართმევს თავის კატეგორიულობას. მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლი არ ავრცობს, არამედ ავიწროებს დასჯად ქმედებათა წრეს. სპონტანური შეკრებებისათვის გამოირიცხება რეგისტრაციის ვალდებულება. სასწრაფო შეკრებებისათვის კი მცირდება რეგისტრაციის ვადა. უკანასკნელ შემთხვევებში სასჯელი ვერ დაეყრდნობა კანონით გათვალისწინებული ვადის გაცდენას. მნიშვნელოვანი რჩება მხოლოდ გაცდენილი რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა ამის შესაძლებლობა. აღნიშნული არ ნიშნავს ნორმისათვის ახალი ფაქტობრივი ელემენტის დამატებას, არამედ გულისხმობს არსებული ელემენტის, კერძოდ, ვადასთან დაკავშირებული ნორმის შემსუბუქებას. მაგრამ ნორმა საკმარისი სიმკვეთრით გამოხატავს, რომ შეკრებები, რომელთა შემთხვევაშიც შეუძლებელია მოქალაქეთა შეკრების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვადის დაცვა, არ თავისუფლდება რეგისტრაციის ვალდებულებისაგან. ამით ნორმის ადრესატისთვის ნათელია რეგისტრაციის ვალდებულების შეუსრულებლობის დასჯადობა გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისი სათანადოობითა და სიზუსტით.

**E – 19, 303**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი კოალიციის წევრებისათვის უზრუნველყოფს უფლებას, მონაწილეობა მიიღონ კოალიციის კონსტიტუციურად დაცულ საქმიანობაში.
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი იცავს კოალიციის საქმიანობის ძირითად სფეროს თანამშრომლების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.
3. პროფკავშირების საბჭოს არჩევნების წინ განხორციელებული რეკლამა კონსტიტუციურად დაცულია ასევე სამუშაო ადგილას და სამუშაო დროს.

მეორე სენატის 1965 წლის 30 ნოემბრის განჩინება  
- 2 BvR 54/62 -

მოსარჩელე არის საჯარო მოხელე. იგი ზედამხედველად მუშაობს გერმანიის რკინიგზაში, კერძოდ, ქ. დორტმუნდის მთავარ სადგურში. მოსარჩელე არის გერმანიის რკინიგზელთა კავშირის წევრი. თანამშრომლების წარმომადგენლობის არჩევნების წინ, 1960 წლის 15 და 16 თებერვალს, თავისუფალ დროს, ქ. დორტმუნდის მთავარი სადგურის ტერიტორიაზე მოსარჩელე არიგებდა სააგიტაციო ბროშურებს, სადაც გაკრიტიკებული იყო გერმანელ საჯარო მოხელეთა კავშირის საჯარო მოხელეთა ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც მწვავე საკითხებთან დაკავშირებით ითვალისწინებდა კომპრომისებსა და დათმობებს. ბროშურის შინაარსის მიხედვით, გერმანიის რკინიგზის თანამშრომლებს უნდა აერჩიათ გერმანელ რკინიგზელთა კავშირის წევრი და უნდობლობა გამოეცხადებინათ გერმანელ საჯარო მოხელეთა კავშირის კანდიდატისათვის. მოსარჩელემ ერთი ბროშურა თავის თანამშრომელ „E“-ს გადასცა და, ვინაიდან იგი გერმანელ საჯარო მოხელეთა კავშირის წევრი იყო, დასძინა: „ნახე, როგორ მუშაობს თქვენი კავშირი“. „E“-მ სააგიტაციო ბროშურა გადასცა გერმანიის რკინიგზის ინსპექტორ „W“-ს, რომელიც იმავდროულად იყო მისი პროფკავშირის ადგილობრივი დანაყოფის თავმჯდომარე. „W“ ამ დროს საკონტროლო ჩამოვლაზე იყო. მან უსაყვედურა მოსარჩელეს მისი საქციელის გამო და განაცხადა, რომ პროკლამაციების გავრცელება დაუშვებელია სამსახურებრივი განაწესის მიხედვით.

ქ. დორტმუნდის მთავარი სადგურის კადრების განყოფილების უფროსის დისციპლინური განკარგულების საფუძველზე მოსარჩელე დაჯარიმდა 5 გერმანული მარკის ოდენობით, 1954 წლის 11 ნოემბერს გერმანიის რკინიგზის მთავარი ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე გამოცემული „გერმანიის რკინიგზის მოხელეების სამსახურებრივი განაწესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების დარღვევის გამო, რომლის შინაარსია:

„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება არ შეიძლება შეიზღუდოს პიროვნული წინააღმდეგობის, განსაკუთრებით კი – პოლიტიკური, რელიგიური და პროფკავშირთან დაკავშირებული შეხედულებების საფუძველზე.“

გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი კოალიციის წევრებისათვის უზრუნველყოფს უფლებას, მონაწილეობა მიიღონ კოალიციის კონსტიტუციურად დაცულ საქმიანობაში. აქ ასევე მოიაზრება თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ სამუშაო ადგილას სააგიტაციო საქმიანობის განხორციელებაც.



გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ყველა პროფესიის წარმომადგენლისათვის ანუ საჯარო მოხელეებისათვისაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს კოალიციების ჩამოყალიბების უფლებას, არამედ ითვალისწინებს ასევე, რომ სპეციფიკური კოალიციური საქმიანობით ემსახურონ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების რეალიზებას, კერძოდ: ხელი შეუწყონ და დაიცვან სამუშაო და ეკონომიკური პირობები (იხ: BVerfGE 4, 96 [101, 106]; 17, 319 [333]; 18, 18 [26]). გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს თითოეულის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს კოალიციის სპეციფიკურ საქმიანობაში – იმ სფეროში, რომელიც კონსტიტუციურად დაცულია კოალიციისათვის (იხ: BVerfGE 17, 319 [333]; იხ: ასევე ვენგლერი — Wengler, Kampfmaßnahmen im Arbeitsrecht, 1960 წ., გვ. 47 და ფედერალურ საჯარო მოხელეთა შესახებ გერმანიის კანონის 91-ე მუხლი).

კოალიციის თავისუფლების ძირითადი უფლება იცავს კოალიციის მხოლოდ იმ საქმიანობას, რომელიც ემსახურება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მიზნებს.

თუ თანამშრომელთა საბჭოს საქმიანობის უმთავრესი მიზანია სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ხოლო თანამშრომელთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული პროფკავშირის საქმიანობა შესაბამისი კომპეტენციებისა და უფლებამოსილების მინიჭებით ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია კანონით ან წარმოადგენს თანამშრომელთა ინტერესების ეფექტური დაცვისა და გატარების აუცილებელ წინაპირობას, მაშინ პროფკავშირების საქმიანობაც თანამშრომელთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებით ემსახურება სამუშაო პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას. აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ პროფკავშირები სამუშაო პირობებზე გავლენის მოხდენას ცდილობენ არა უშუალოდ, არამედ – თანამშრომელთა საბჭოებისა და მათი არჩევის მეშვეობით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი არ ითვალისწინებს ასეთ გამიჯვნას; იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს, თუ როგორ ახერხებენ კოალიციები სამუშაო და ეკონომიკური პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას - უშუალოდ თუ არაუშუალოდ.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი კოალიციებს ანიჭებს უფლებას, სატარიფო ხელშეკრულებებით განსაზღვრონ სამუშაო და ეკონომიკური პირობები (იხ: BVerfGE 4, 96, [106]; 18, 18, [26]). სადავოა, იცავს თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტია კოალიციათა ისეთ საქმიანობას, რომელიც სატარიფო ხელშეკრულებებისაგან განსხვავებული სახით ემსახურება სამუშაო და ეკონომიკური პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1964 წლის 14 აპრილის განჩინებაში (იხ: BVerfGE 17, 319, [333]) ლიად დატოვა აღნიშნული საკითხი. თუმცა, თანამშრომელთა წარმომადგენლობის სფეროში კოალიციის საქმიანობასთან დაკავშირებით პასუხი დადებითი უნდა იყოს.

კოალიციის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული კოალიციათა საქმიანობის სფეროს დადგენა შესაძლებელია მხოლოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის სპეციალური ნუსის მიხედვით; მოცემულ შემთხვევაში არ განიხილება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი (იხ: BVerfGE 6, 32, [37]; 9, 73, [77]; იხ. ასევე: JZ იურიდიული ჟურნალი) 1964, 373, [374]). თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მასშტაბის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მისი ისტორიული განვითარება (იხ: BVerfGE 4, 96, [101, 106, 108]; 18, 18, [28]) ...

კოალიციის თავისუფლებას ჩამოერთმეოდა მისი ისტორიული დანიშნულება, თუკი კოალიციათა საქმიანობა თანამშრომელთა წარმომადგენლობის კუთხით არ

იქნებოდა დაცული გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით (იხ: BVerfGE 4, 96, [102, 106]).

თუ კოალიციათა საქმიანობა თანამშრომელთა წარმომადგენლობის სფეროში შედის გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დაცვის სფეროში, კონსტიტუციით ასევე დაცული უნდა იყოს კოალიციის სარეკლამო საქმიანობა თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ. სწორედ თანამშრომელთა საბჭოების ამოცანაა სამუშაო პირობების დაცვა და გაუმჯობესება. აღნიშნულით კი, კოალიციებისათვის გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამშრომელთა საბჭოების არჩევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა...

თანამშრომელთა საბჭოს საარჩევნო კამპანია, რომელიც ამართლებს და შეესაბამება ასეთი არჩევნების არსსა და დანიშნულებას, ვერ იწარმოება სამუშაო ადგილის კარს მიღმა, ამომრჩევლის პირად სივრცეში. სწორედ ამიტომაც არის კონსტიტუციურად დაცული თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ პროფკავშირის წევრთა სააგიტაციო საქმიანობა სამუშაო დროსა და ადგილას.

ამგვარი საარჩევნო კამპანიის დანიშნულება დაიკარგება იმ შემთხვევაშიც, თუ კოალიციის ან მისი წევრებისათვის აიკრძალებოდა კონკურენტი კოალიციის გაკრიტიკება. საარჩევნო კამპანია წარმოუდგენელია აზრთა სხვადასხვაობის გარეშე. თუმცა, თავიდან ვერ იქნება აცილებული პროფკავშირთა სხვა წევრების უარყოფითი რეაქცია საწინააღმდეგო ან კრიტიკული აზრის გამოხატვაზე.

თუმცა, თანამშრომელთა წარმომადგენლობის სფეროში პროფკავშირების საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებების ზუსტი განსაზღვრა და მონესრიგება კანონმდებლის პრეროგატივაა (იხ: BVerfGE 4, 96, [107]; 18, 18, [27]). ასეთი დეტალური მონესრიგებისას კანონმდებელს შეუძლია, გაითვალისწინოს საჯარო სამსახურის ამოცანები, მისი განსხვავებული ფორმა კერძო სექტორთან მიმართებით და ასევე – საჯარო სამსახურის ცალკეული სექტორის თავისებურებანი (იხ: BVerfGE 17, 319, [334]). აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის გარეშე შესაძლებელია განისაზღვროს, რომ თანამშრომელთა წარმომადგენლობის სფეროში დაუშვებელია კოალიციათა ისეთი საქმიანობა, რომელიც ხელს უშლის სამუშაოს – სამსახურებრივი ამოცანებისა და მოვალეობების განხორციელებას და არღვევს წესრიგს სამუშაო ადგილას. ასევე, დასაშვებია გარკვეული პირობებისათვის, მაგალითად, სამსახურის ხელმძღვანელისათვის, სხვა მოხელეებისათვის – მათი ფუნქციების მიხედვით ან თანამშრომელთა წარმომადგენლობის წევრებისათვის, დაწესდეს შეზღუდვები თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ, მათ საარჩევნო – სააგიტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით. მოცემული სამართალწარმოების ფარგლებში არ განიხილება, თუ რა მასშტაბის შეიძლება იყოს ეს შეზღუდვები. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი თანამშრომელთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებითაც იცავს კოალიციის საქმიანობის მხოლოდ ძირითად სფეროს (იხ: BVerfGE 4, 96, [106, 108]; 17, 319, [333]; 18, 18, [27]). აღნიშნული ძირითადი სფერო შელახულია და გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი დარღვეულია, როდესაც თანამშრომელთა საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული სარეკლამო საქმიანობის მიმართ დაწესდება ისეთი შეზღუდვები, რომლებიც არ გამომდინარეობს საქმის არსიდან ანუ, რომლებიც არ არის საჭირო თანამშრომელთა საბჭოს თავისუფალი არჩევნების არსისა და მიზნის, სამსახურებრივი ამოცანების, სამუშაო წესრიგის ან მოხელეთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (იხ: BVerfGE 18, 18, [27]). ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, არ არის გამართლებული თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ პროფკავშირის წევრების სააგიტაციო საქმიანობის ზოგადი აკრძალვა.

ყველა ადამიანისა და ყველა პროფესიისათვის გარანტირებული კოალიციის თავისუფლების ძირითადი უფლება ასევე ვრცელდება საჯარო მოხელეებზე (იხ: ფედერალურ საჯარო მოხელეთა შესახებ გერმანიის კანონის 91-ე მუხლი). თუმცა, საჭიროა შემონმდეს, ხომ არ იყო შესაძლებელი და განხორციელებული მომჩივნისათვის აღნიშნული ძირითადი უფლების შეზღუდვა. ძირითადი უფლების ამგვარი შეზღუდვები შესაძლოა, გამართლებული იყოს გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით. ამ ნორმის მიხედვით, დასაშვებია ძირითად უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომელთა საჭიროება და აუცილებლობა გამომდინარეობს საჯარო მოხელის კონკრეტული სამსახურებრივი ურთიერთობიდან (ფედერალურ საჯარო მოხელეთა შესახებ გერმანიის კანონის მე-2 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში არ არის ნათელი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საჭირო და აუცილებელი მოსარჩელის — ფედერალური რკინიგზის ზედამხედველის, როგორც პროფკავშირის წევრის, სააგიტაციო საქმიანობის შეზღუდვა მისი, როგორც საჯარო მოხელის კონკრეტული სამართლებრივი სტატუსიდან და ურთიერთობიდან გამომდინარე (იხ. ასევე: საჯარო მოხელეთა სამართლის ურნალი „Bayerischer Dienststrahof“ 1962, 396 [397]).

ზემოთ აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ არ არის შესაძლებელი საჯარო მოხელეებისათვის ზოგადად აიკრძალოს სამუშაო ადგილას თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ სხვა კოალიციების წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო საქმიანობა, ვინაიდან ასეთი აკრძალვა ეწინააღმდეგება და არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლო ისეთი ზოგადი ნორმის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება ამ ძირითად უფლებას, განმარტების მეშვეობით ჩამოაყალიბებს ზემოხსენებულ შეზღუდვას. სწორედ ასე მოიქცა ფედერალური დისციპლინური პალატა, რომლის გადაწყვეტილებაც ეფუძნება განმარტებას, სადაც არ არის გათვალისწინებული გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მასშტაბი და მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს პალატის განჩინება და დისციპლინური განკარგულება, რომელიც დამტკიცებულია აღნიშნული განჩინებით.

## **E – 42, 133**

- 3. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი არ იცავს კოალიციის მიერ სამუშაო ადგილას განეულ სააგიტაციო საქმიანობას საყოველთაო პოლიტიკური არჩევნების წინ**

**პირველი სენატის 1976 წლის 28 აპრილის განჩინება  
- 1 BvR 71/73 -**

პროფკავშირის მიერ მოწოდების ფურცლების დარიგება მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ არ მოიაზრება კონსტიტუციით განსაკუთრებულად დაცულ კოალიციის საქმიანობის სფეროში (გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი), რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე.

მართალია, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილია კოალიციების თავისუფლება, თვითონ განსაზღვრონ, თუ რა ფორმით სურთ თავიანთი თავ-

ნამშრომლების სამუშაო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მაგრამ მათი საქმიანობა განსაკუთრებულ კონსტიტუციურ დაცვას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არის სპეციფიკური და დამახასიათებელი კოალიციებისათვის (იხ: BVerfGE 17, 319 [333]; BVerfGE 18, 18 [26]). ამასთან, კონსტიტუციური დაცვა მოიცავს ასევე საქმიანობას, რომელიც სცდება სამუშაო და ეკონომიკური პირობების ორგანიზება-მონერსიგებას სატარიფო ხელშეკრულებების მეშვეობით (იხ: BVerfGE 19, 303 [313]). ის საკითხი, თუ რამდენად ვრცელდება იგივე კოალიციის პოლიტიკურ საქმიანობაზე, არ საჭიროებს გადწყვეტას მოცემული წარმოების ფარგლებში, ვინაიდან ნათელია, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი არ იცავს კოალიციის მიერ საერთო პოლიტიკური არჩევნების წინ სააგიტაციო საქმიანობას.

არჩევნების ხასიათსა და დანიშნულებას, რომელიც მდგომარეობს ფედერაციაში, ლანდებში, ოლქებსა და თემებში ხალხის წარმოდგენასა და მათი ინტერესების დაცვაში (გერმანიის ძირითადი კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება), არ შეესაბამება ცალკეული ჯგუფების სააგიტაციო საქმიანობის მიმართ განსაკუთრებული კონსტიტუციური დაცვის გათვალისწინება. გერმანიის ძირითადი კანონით დამკვიდრებული საპარლამენტო დემოკრატია გულისხმობს ყველა იმ პოლიტიკური ძალის პრინციპულ თანასწორობას, რომელიც ცდილობს არჩევნებისას გავლენა მოახდინოს ხალხის ნების ჩამოყალიბებაზე, განურჩევლად იმისა, ეს ძალები წარმოდგენილია ჯგუფებისა თუ ცალკეული ადამიანების სახით.

აღნიშნული პრინციპული თანასწორობის გამოძახილია საყოველთაო პოლიტიკური არჩევნების წინ ყველა სააგიტაციო საქმიანობის თანასწორი დაცვა, როგორც ეს გარანტირებულია გერმანიის ძირითადი კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებითა და მე-5 მუხლით. იმის ვარაუდი, რომ ცალკეული ჯგუფების სააგიტაციო საქმიანობა სცდება ზემოთ აღნიშნული დაცვის ფარგლებს და სარგებლობს განსაკუთრებული კონსტიტუციური დაცვით, გამოიწვევდა ასეთი ჯგუფების პრივილეგიას, რაც შეუსაბამო იქნებოდა საპარლამენტო დემოკრატიის ძირითად პრინციპთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილი დაცვა, რომელიც ეხება კოალიციისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საქმიანობას, არ შეიძლება მოიცავდეს კოალიციის სააგიტაციო საქმიანობას საყოველთაო პოლიტიკური არჩევნების წინ. ასეთი ქმედებები არც კოალიციის დაცული საქმიანობის „ძირითადი სფეროს“ ნაწილია (BVerfGE 4, 96 [108]; 19, 303 [321]; 28, 295 [303]). საყოველთაო არჩევნების წინ კოალიციების სააგიტაციო საქმიანობა, ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით, არც მეტად არის კონსტიტუციურად დაცული და არც – ნაკლებად.

## **E – 50, 290**

საწარმოს მმართველობის საკითხებში დასაქმებულთა თანამონაწილეობის შესახებ გერმანიის 1976 წლის 4 მაისის კანონით [შემდეგში: თანამონაწილეობის შესახებ გერმანიის კანონი] გათვალისწინებული გაფართოებული თანამონაწილეობის პრინციპი შეესაბამება კანონით განსაზღვრული საზოგადოებების, მონილეებისა და დამსაქმებელთა კოალიციების ძირითად უფლებებს.

კონსტიტუციური სარჩელებისა და ასევე ლანდის სასამართლოს წარდგინების მიხედვით, გერმანიის კანონი თანამონაწილეობის შესახებ მიჩნეულია შეუსაბამოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილ კოალიციის თავისუფლებასთან. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების თანახმად, ძირითადი უფლება არის სატარიფო ავტონომიის ინსტიტუტისა და მისი წინაპირობების გარანტი, რაც გულისხმობს: კოალიციების თავისუფალ დაფუძნებას, მონინაალმდეგე მხარისაგან დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას არა მხოლოდ დასაქმებულთათვის, არამედ - დამსაქმებლებისთვისაც ...

ასევე გაცხადებულია, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს ეწინააღმდეგება და არღვევს გერმანიის კანონი თანამონაწილეობის შესახებ, ვინაიდან კანონი გზას უხსნის სოციალური მონინაალმდეგის დამსაქმებელთა კავშირებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რითაც უხეშად ეხება დამსაქმებელთა კოალიციების არსსა და დანიშნულებას, ზღუდავს მათ ფუნქციონარიანობას და განსაკუთრებით კი - მათ ბრძოლისუნარიანობას; ეს ყველაფერი კი აუქმებს უზრუნველყოფილი სატარიფო სისტემის ფუნქციას.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ფორმულირებისა და მისი ისტორიული განვითარების მიხედვით, კოალიციის თავისუფლება, პირველ რიგში, არის თავისუფლების უფლება. იგი ითვალისწინებს და უზრუნველყოფს გაერთიანების თავისუფლებას სამუშაო და ეკონომიკური პირობების ხელშეწყობის მიზნით და ამ მიზნის ერთობლივი განხორციელების თავისუფლებას (იხ: BVerfGE 4, 96 [106]; 38, 386 [393]); ორივე შემთხვევაში მონაწილეები გადაწყვეტილებებს უნდა იღებდნენ თვითონ, ყოველგვარი სახელმწიფო ზეგავლენის გარეშე, თავისუფლად და საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე. უზრუნველყოფის ელემენტები დაფუძნებისა და განვრების თავისუფლება, გაერთიანების დატოვების ან მასში არგანევრების თავისუფლება, ასევე - კოალიციის, როგორც ასეთის, დაცვა (იხ: BVerfGE 4, 96 [101]; 19, 303 [312, 319]; 28, 295 [304]) და მისი უფლება კოალიციური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც ემსახურება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მიზნებს (იხ: BVerfGE 19, 303 [312]; 28, 295 [304]).

ზემოთ აღნიშნული თავისუფლება მოიცავს სატარიფო ხელშეკრულებების გაფორმებასაც, რომელთა მეშვეობითაც კოალიციები, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ძირითადად სახელმწიფო ზეგავლენის გარეშე, ანესრიგებენ განსაკუთრებით ხელფასსა და სხვა მატერიალურ სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს ისეთ სფეროში, რომელიც მაქსიმალურად გათავისუფლებულია სახელმწიფო მონესრიგების სფეროსაგან (იხ: BVerfGE 44, 322 [340]); მაშასადამე, კოალიციის თავისუფლება ემსახურება სამუშაო ცხოვრების სათანადოდ მონესრიგებულ სისტემას (იხ: BVerfGE 4, 96 [107]; იხ. ასევე: BVerfGE 18, 18 [27]). კოალიცია, როგორც სატარიფო ხელშეკრულების მხარე, დაფუძნებული და ორგანიზებული უნდა იყოს თავისუფლებისა და სანარმოთაშორისი ურთიერთობისა და შეკავშირების საფუძველზე (იხ: BVerfGE 18, 18 [28]). ამას გარდა, მისი სტრუქტურა იმდენად დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომ კოალიციამ შეძლოს თავისი წევრების ინტერესების გატარება შრომისა და სოციალური სამართლის სფეროში (იხ: BVerfGE 4, 96 [107]; 18, 18 [28]). იგი ასევე სავალდებულოდ უნდა მიიჩნეოდეს მოქმედ სატარიფო სამართალს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი კოალიციებს უტოვებს არჩევის უფლებას, თუ

რომელი საშუალებებით მიაჩნიათ მათ უმჯობესად თავიანთი მიზნის განხორციელება (იხ: BVerfGE 18, 18 [29, 32]).

კოალიციის თავისუფლება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილ გაერთიანების თავისუფლებაზე მეტად საჭიროებს ზუსტ განსაზღვრასა და ფორმულირებას კანონმდებლობის მიერ. აღნიშნული გამოიხატება არა მხოლოდ სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ნორმათა კომპლექსის შექმნაში, რომლებიც საჭიროა კონსტიტუციურად გარანტირებული თავისუფლების განხორციელებისათვის, არამედ იმ სფეროების მნიშვნელობიდან და მრავალრიცხოვანიდან გამომდინარე, რომლებსაც ეხება კოალიციის საქმიანობა ეკონომიკური და სოციალური სისტემის ფარგლებში. ასევე აუცილებელია კანონისმიერი ნორმები, რომლებიც კოალიციის თავისუფლებას ფარგლებს დაუნესებს; მით უფრო, რომ უზრუნველყოფის საგანი დაკავშირებულია ცვალებად ეკონომიკურ და სოციალურ პირობებთან, რომლებიც უფრო მეტად უნდა უშვებდეს მოდიფიკაციებისა და განვითარების შესაძლებლობას, ვიდრე – სხვა თავისუფლების უფლებათა შემთხვევებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავისი მუდმივი პრაქტიკის ფარგლებში ეყრდნობა იმას, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი კოალიციის თავისუფლებას იცავს მხოლოდ მის ძირითად ნაწილში (იხ: BVerfGE 19, 303 [321]; 28, 295 [304]; 38, 281 [305]; 38, 386 [393]); ძირითადი უფლება დაცულ პირებსა და კონსტიტუციური რანგის არმქონე გაერთიანებებს ანიჭებს შინაარსობრივად შეუზღუდავ სამოქმედო ასპარეზს (იხ: BVerfGE 38, 386 [393]); ხოლო კანონმდებლის ამოცანაა, განსაზღვროს კოალიციის თავისუფლების მასშტაბი კოალიციის უფლებამოსილების კონკრეტული ფორმულირებისა და დეტალური მონესრიგების გზით. ამასთან, მას შეუძლია გაითვალისწინოს მოსანესრიგებელი საკითხის სპეციფიკა და განსაკუთრებული მოთხოვნები. თუმცა, კოალიციის საქმიანობის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია სხვა სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად. ნორმები, რომლებიც არ არის გამართლებული აღნიშნული საფუძვლით, უხეშად ეხება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ კოალიციის საქმიანობის ძირითად სფეროს (იხ: BVerfGE 19, 303 [321]; 28, 295 [306]).

ზემოთ აღნიშნული ასევე ვრცელდება სატარიფო ავტონომიის უზრუნველყოფაზე. იგი ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს იმ სპეციფიკას, რომელიც სატარიფო ხელშეკრულებათა სისტემამ შეიძინა გერმანიის ძირითადი კანონის ძალაში შესვლისას მოქმედი კანონით ტარიფის შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, იგი კანონმდებელს დეტალური ფორმულირებისათვის უტოვებს ფართო სამოქმედო ასპარეზს (იხ: BVerfGE 20, 312 [317]) და ამით ქმნის შესაძლებლობას, რომ სატარიფოუნარიანობის წინაპირობები ისე მოერგოს შესაბამის საზოგადოებრივ რეალობას, რომ კოალიციებმა შეძლონ თავიანთი ამოცანების შესრულება. მაგრამ ძირითადი უფლება უკრძალავს კოალიციის თავისუფლებას, სატარიფოუნარიანობა დამოკიდებული გახადოს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც არ არის აუცილებელი საგნის არსიდან ანუ სამუშაო ცხოვრების მონესრიგებისა და მშვიდობიანობის საყოველთაო ინტერესიდან გამომდინარე (იხ: BVerfGE 18, 18 [27]). აღნიშნულის მიხედვით, კანონმდებელს არ ეკრძალება ტარიფის შესახებ ხელშეკრულებათა სისტემის ადეკვატური განვითარება; მისი უფლებამოსილების ზღვარი გადის კოალიციის თავისუფლების კონსტიტუციურად დაცულ ძირითად სფეროზე, რომელიც არის ტარიფის შესახებ კანონით მონესრიგებული და დაცული ხელშეკრულებათა სისტემის გარანტი, ხოლო მისი პარტნიორი უნდა იყოს თავისუფლად შექმნილი

კოალიცია გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შეცნობით (იხ: BVerfGE 4, 96 [108]; იხ. ასევე: BVerfGE 38, 281 [305]).

თანამონაწილეობის შესახებ გერმანიის კანონის მე-7, 27-ე, 29-ე და 31-ე მუხლები არ ერევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ კოალიციის თავისუფლების ძირითად სფეროში. აღნიშნული ნორმები არ ეხება არც დაფუძნებისა და განევრების უფლებებს და არც კოალიციური საქმიანობის თავისუფალი და დამოუკიდებელი განხორციელების გარანტიას. ისინი ტარიფის შესახებ ხელშეკრულებათა სისტემის ფარგლებში არც კანონსაწინააღმდეგო ფორმით ითვალისწინებენ სამუშაო და ეკონომიკური პირობების ხელშეწყობის დამატებით სახეობას და არც მოწინააღმდეგე მხარის დამოუკიდებლობის პრინციპს ზღუდავენ დაუშვებელი ფორმით. ასევე, არ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ თანამონაწილეობის შესახებ გერმანიის კანონის ზემოთ აღნიშნული ნორმები გამოიწვევს სატარიფო ავტონომიის ფუნქციაუნარიანობის დაკარგვას.

კოალიციების დაფუძნების, მათში განევრების, არგანევრებისა თუ კოალიციის დატოვების თავისუფლებას არ ეხება გასაჩივრებული ნორმები. იგივე ვრცელდება დამსაქმებელთა კოალიციებზეც ...

მაშასადამე, გასაჩივრებული და შემონმებას დაქვემდებარებული დებულებების შესაბამისობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტთან შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ძირითადი უფლებით გათვალისწინებულ ტარიფის შესახებ ხელშეკრულებათა სისტემის უზრუნველყოფას.

თუმცა, აღნიშნულიც აგრძელებს თავის არსებობას ყოველგვარი სამართლებრივი ცვლილებების გარეშე. როდესაც გერმანიის კანონი თანამონაწილეობის შესახებ ტარიფული სისტემის პარალელურად ავითარებს სამუშაო და ეკონომიკური პირობების ხელშეწყობის ერთ-ერთ საშუალებას, კერძოდ, დასაქმებულთა თანამონაწილეობას საწარმოს მმართველობის საკითხებში, ეს ხელს არ უშლის და არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს.

როგორც ზემოთ ნარმოჩნდა, ძირითადი უფლება არ მოიცავს ტარიფის შესახებ ხელშეკრულებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის სისტემის გარანტიებს მისი დღევანდელი ფორმით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ვერც იმ გაგებით განიმარტება, რომ ნორმა ტარიფულ სისტემას ითვალისწინებს სამუშაო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ერთადერთ შესაძლებლობად და ფორმად. ასეთი მიდგომა ვერ შეეთავსებოდა კოალიციის თავისუფლების არსს და მის ისტორიულ განვითარებას, რასაც ამ ინსტიტუტის განმარტებისას აქვს არსებითი მნიშვნელობა.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, როგორც თავისუფლების უფლება, მიზნად ისახავს, სახელმწიფო ნორმისაგან თავისუფალი სივრცის ფარგლებში უზრუნველყოს, რომ მონაწილეებმა საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღონ გადაწყვეტილება, თუ როგორ სურთ მათ სამუშაო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა. ის, რომ აღნიშნული მიზნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ტარიფის შესახებ ხელშეკრულებების გზით, ნორმის ფორმულირებიდან არ იკვეთება და ამასთან, ასეთი მიდგომა იქნებოდა თავისუფლების შეზღუდვა. სამუშაო ცხოვრებისა და პირობების მოწესრიგება და მოგვარება, რაც არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიზანი, შესაძლებელია სხვადასხვა გზით, კერძოდ, არა მხოლოდ ინტერესთა დაპირისპირების, კონფლიქტებისა და ბრძოლის ფორმატში, რაც დამახასიათებელია ტარიფული სისტემისათვის, არამედ ასევე – შეთანხმებისა და თანამშრომლობის გზითაც, რომელიც არ გამორიცხავს და ითვალისწინებს კონფლიქტებსაც და მათი

მოგვარების საკითხებსაც. ასეთ ალტერნატივასაც გააჩნია მონესრიგებისა და მოგვარების პოტენციალი...

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია: არის თუ არა საკმარისად და სათანადოდ დაცული თანამონაწილეობისა და ტარიფის შესახებ ხელშეკრულებათა პარალელური არსებობისას ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეების დამოუკიდებლობა იმ შინაარსით, რომ ისინი, მათი მთლიანი სტრუქტურულიდან გამომდინარე, არ არიან დამოკიდებულნი მონინაალმდევე მხარეზე, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ, ეფექტურად და წარმატებულად წარმოადგინონ და დაიცვან თავიანთი წევრების ინტერესები შრომისა და სოციალური სამართლის სფეროში.

ერთმნიშვნელოვნად ვერ განისაზღვრება და დადგინდება, თუ რა მასშტაბით უშვებს თანამონაწილეობის შესახებ გერმანიის კანონი დამსაქმებელთა კოალიციებზე პროფკავშირების გავლენის შესაძლებლობას. სამართლებრივი ნორმირების გათვალისწინებით, ამგვარი გავლენის შესაძლებლობა არ არის თავისთავად საგულისხმო; თუმცა, იგი ვერც სრულად გამოირიცხება. მონინაალმდევე მხარის მიერ დამსაქმებელთა კოალიციის დამოუკიდებლობის შეზღუდვა, რაც შესაძლოა გამოიწვიოს ზემოთ აღნიშნულმა შესაძლებლობამ, არ ეხება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ძირითად ასპექტს.

დამსაქმებელთა კოალიციების მოთხოვნა მათ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მათი წევრი სანარმოების ინტერესებს. სწორედ ეს ინტერესებია სავალდებულო ამ სანარმოთა წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისათვის. ისინი ვალდებულნი არიან, ყველანაირი შესაძლო პიროვნული თუ ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად, განახორციელონ თავიანთი ფუნქციები სანარმოს ინტერესების ფარგლებში (იხ: სააქციო საზოგადოებათა შესახებ გერმანიის კანონის 93-ე მუხლი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ გერმანიის კანონის 43-ე მუხლი, კოოპერატივების შესახებ გერმანიის კანონის 34-ე მუხლი); აღნიშნული ვრცელდება ასევე თანამონაწილეობის შესახებ გერმანიის კანონის 33-ე მუხლით სავალდებულოდ გათვალისწინებულ დირექტორთა მოადგილეებზე. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს. იგივე უნდა ვრცელდებოდეს იმ ამოცანათა მიმართ, რომლებიც ეკისრებათ წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს სატარიფო სისტემის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური შემონემა უნდა ეფუძნებოდეს იმას, რომ იმ სანარმოების წარმომადგენლები, სადაც მოცემულია ზემოთ აღნიშნული თანამონაწილეობა, დამსაქმებელთა კოალიციებსა და მათ ორგანოებში მოქმედებენ იმ სამართლებრივი ვალდებულების შესაბამისად, რომელიც მათ უკრძალავს მონინაალმდევე მხარის ინტერესების აღქმას. ამ შემონემა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მონაწილეთა მხრიდან არამართლზომიერი ქმედება. თუმცა, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევაში საეჭვო და გასარკვევი იყოს საკითხი, თუ რა შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ ვალდებულებას. ვერ გამოირიცხება ის გარემოება, რომ აღნიშნულთან დაკავშირებული ურთიერთსანიშნაალმდეგო მოსაზრებები განპირობებულია მონაწილეთა ცხოვრებისეული გამოცდილებებით და, შესაბამისად, შესაძლოა უფრო ახლოს იდგეს ან მონილებს, ან დასაქმებულების მხარესა და პოზიციებთან...

იმ სანარმოთა მნიშვნელობის გათვალისწინებითაც, სადაც მოცემულია თანამონაწილეობა, დასაქმებულთა და პროფკავშირთა ზეგავლენა სუსტდება დამსაქმებელთა გაერთიანებებსა და კავშირებზე. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დამსაქმებელთა გაერთიანებებს მიეკუთვნება სანარმოებიც, სადაც არ არის მოცემული თანამონაწილეობა. ასეთ ვითარებაში შესაძლოა დასაქმებულთა გავლენის მასშტაბი დამსაქმებელთა გაერთიანებებსა და მათ კავშირებში იყოს ბევრად მცირე,



ვიდრე – თანამონაწილეობის პრინციპის გამტარებელი სანარმოების შემთხვევაში. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამსაქმებელთა კოალიციებს სანესდებო სამართლის მეშვეობით ხელთ უპყრიათ დასაქმებულთა და პროფკავშირის მხრიდან შესაძლო ზეგავლენის შემცირებისა და გამორიცხვის საშუალება.

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ შემორჩენილი ზეგავლენის შესაძლებლობა პრინციპულ საფრთხეს არ უქმნის დამსაქმებელთა კოალიციების დამოუკიდებლობას მათი მონინალმდებლების მხრიდან და, აქედან გამომდინარე, შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს.

## **E – 92, 365 I**

1. შრომის ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის 116-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს. იმ შემთხვევებისათვის, როდესაც აღნიშნული ნორმების შედეგად წარმოიშევა ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეების სტრუქტურული უთანასწორობა, რომელიც ხელს უშლის სამუშაო და ეკონომიკური პირობების თაობაზე სათანადოდ დაბალანსებული შეთანხმების მიღწევას და რომელიც ვერც სასამართლო პრაქტიკით სწორდება, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ღონისძიებები სატარიფო ავტონომიის დასაცავად.
2. კოალიციის თავისუფლების ძირითადი უფლება სამართლებრივმა სისტემამ იმ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს ზუსტად, როდესაც საქმე ეხება ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე სუბიექტებს. ამასთან, კანონმდებელს აქვს ფართო სამოქმედო ასპარეზი. იმის შეფასება, დარღვეულია თუ არა თანასწორობა ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს შორის და რა გავლენას ახდენს ესა თუ ის ნორმა ძალთა გადანაწილებაზე, წარმოადგენს კანონმდებლის კომპეტენციას.

პირველი სენატის 1995 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება  
- 1 BvF 2/86 და 1, 2, 3, 4/87 და 1 BvR 1421/86 -

### **საფუძვლები:**

ა

განცხადებები ნორმატიული კონტროლის თაობაზე და საკონსტიტუციო საჩივარი აღძრულია შრომის ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის ახალი ნორმების წინააღმდეგ, რომელიც ეხება გაფიცვის დროს შრომის ფედერალური სამსახურის მიერ შესაბამისი მომსახურების განწევას.

ი

1. შემონებმას დაქვემდებარებული ნორმები აწესრიგებს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას გაიცემა ხელფასის სანაცვლო თანხა (მოკლევადიანი სამუშაო დახმარება), როდესაც იმავე სექტორში, მაგრამ სხვა სატარიფო რეგიონში მომუშავენი რეგიონალურად შეზღუდული გაფიცვის შედეგად დროებით ვერ ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას. შრომის ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის 416-ე მუხლის მე-3 პუნქტი გამორიცხავს აღნიშნული მოთხოვნის უფლებას, თუ ასეთ დასაქმებულებს წაეყენებათ იმავე სახისა და მოცულობის მოთხოვნები და გაფიცვის შედეგები, ყველა წინასწარი ვა-

რადიო, ასევე გათვალისწინებული იქნება მათ რეგიონშიც („პარტიციპაციის პრინციპი“). ნორმის მე-5 და მე-6 პუნქტები შეიცავს დამატებით პროცესუალურ მონესრიგებას.

ა) შემონგებას დაქვემდებარებული ნორმების გამოცემამდე არსებული სამართლებრივი ვითარების საფუძველზე იმ გაფიცებისას, რომლებშიც მონანილეობდა მომჩივანი, „არასაბრძოლო“ რეგიონებში გაიცემოდა მოკლევადიანი სამუშაო დახმარება, რაშიც კანონმდებელმა დაინახა შრომის საკითხებთან დაკავშირებული ფედერალური უწყების ნეიტრალურობის დარღვევა გაფიცვის დროს...

## 8

განცხადებები ნორმატიული კონტროლის შესახებ და კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებელია. შემონგებას დაქვემდებარებული ნორმა, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი ვითარებით არ არღვევს მოსარჩელის კოალიციურ თავისუფლებას და შეესაბამება ასევე გერმანიის ძირითად კანონს, თუმცა, მხოლოდ – ნორმის ნანილობრივ კონსტიტუციური განმარტების შემთხვევაში.

## 1

დასაქმების ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის 116-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი ნინადადების მე-2 ქვეპუნქტი არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს. თუმცა, აღნიშნული ნორმა ზღუდავს პროფკავშირების კოალიციის თავისუფლებას, მაგრამ იგი იმავდროულად იცავს იმ ზღვარს, რომელიც მითითებული აქვს კანონმდებელს მისი მონესრიგების უფლებამოსილების ფარგლებში.

1. ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლება, პირველ რიგში, არის თავისუფლების განმსაზღვრელი უფლება. იგი თითოეულს ანიჭებს იმის უფლებას, რომ შექმნას გაერთიანება სამუშაო და ეკონომიკური პირობების ხელშეწყობის მიზნით და სხვა ადამიანებთან ერთად იღვანოს ამ მიზნის განხორციელებისათვის. ამასთან, მონანილეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, გადანყვეტილებები მიიღონ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე.

მაგრამ ამით ასევე დაცულია საკუთრივ გაერთიანების უფლება, რაც გულისხმობს სპეციფიკური კოალიციური საქმიანობის მეშვეობით გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას (იხ: BVerfGE 50, 290 [367]). იმ საშუალებათა შერჩევის პრეროგატივას, რომლებიც კოალიციებს სათანადოდ და ადეკვატურად მიაჩნიათ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი თვითონ კოალიციებს ანიჭებს. ძირითადი უფლებით ასევე დაცულია გაფიცვის ღონისძიებები, როგორც კოალიციური საქმიანობა, რომელიც ეხება ტარიფის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას.

გაფიცვის ღონისძიებები იმდენად მოიაზრება კოალიციის თავისუფლებაში, რამდენადაც ასეთი ზომები აუცილებელია ეფექტიანი და ფუნქციონარული სატარიფო ავტონომიის უზრუნველსაყოფად (იხ: BVerfGE 84, 212 [224]; 88, 103 [114]).

ბ) კოალიციის თავისუფლების ძირითადი უფლება სამართლებრივმა სისტემამ ზუსტად უნდა განსაზღვროს, როდესაც საქმე ეხება ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს, ანუ ურთიერთსანიანაღმდეგო ინტერესების მქონე სუბიექტებს. ტარიფის შესახებ ხელშეკრულების ორივე მხარე თანაბრად სარგებლობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაცვით, თუმცა, მისი განხორციელებისას ისინი დგანან ერთმანეთის პირისპირ. მხარეები ასევე

იმდენად არიან დაცული სახელმწიფო ჩარევებისაგან, რამდენადაც, თავიანთი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების განხორციელების მიზნით, იყენებენ ისეთ საბრძოლო საშუალებებს, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ მონინააღმდეგე მხარესა და საზოგადოებაზე. ზემოთ აღნიშნული დაცვა საჭიროებს კოორდინირებულ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ურთიერთსაწინააღმდეგო ძირითად უფლებათა პოზიციების ერთმანეთის პარალელურად არსებობას. საბრძოლო საშუალების გამოყენება წინაპირობად ითვალისწინებს გარკვეული სამართლებრივი პირობების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ დაცული იქნება, როგორც თავისუფლების უფლების მიზანი და დანიშნულება, ასევე – მისი მიმართება კონსტიტუციური წესრიგისადმი (იხ: BVerfGE 88, 103 [115]).

ასეთი საკითხების მონესრიგებისას კანონმდებელს მინიჭებული აქვს ფართო სამოქმედო ასპარეზი. გერმანიის ძირითადი კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს ძირითადი უფლების ურთიერთსაპირისპირო პოზიციები. იგი არც საბრძოლო პირობების ოპტიმიზაციას ითხოვს. ძირითადად, თვითონ ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული საბრძოლო მეთოდების შერჩევა და მორგება ცვალებად პირობებსა და საშუალებებზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო წინააღმდეგობის განევა და დაბალანსებული სატარიფო გადანყვეტილებებისა და შეთანხმებების მიღწევა. მეორე მხრივ, კანონმდებელს, საყოველთაო კეთილდღეობისა თუ დარღვეული პარიტეტის აღდგენის მიზნით, შეუძლია შეცვალოს აღნიშნული ბრძოლის პირობები (იხ: BVerfGE 84, 212 [228]).

გ) კანონმდებლის თავისუფალი სამოქმედო ასპარეზის ზღვარი გადის გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ობიექტურ არსზე. სატარიფო ავტონომია უნდა იყოს დაცული, როგორც სფერო, სადაც სატარიფო ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, ყოველგვარი სახელმწიფო ზეგავლენის გარეშე, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე იმოქმედონ (იხ: BVerfGE 50, 290 [367]). არ შეიძლება, რომ მათ ქმედუნარიანობას შეექმნას საფრთხე.

კოალიციებს უნდა შეეძლოთ მათთვის კონსტიტუციურად განსაზღვრული მიზნის მიღწევა, რაც მდგომარეობს თავიანთი წევრების სამუშაო და ეკონომიკური პირობების დაცვასა და ხელშეწყობაში, განსაკუთრებით კი – ტარიფის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების მეშვეობით. ტარიფის შესახებ ხელშეკრულების სისტემა სწორედ იმაზეა მორგებული, რომ კოლექტიური ქმედებების გზით გაათანაბროს თითოეული დასაქმებულის სტრუქტურული დაქვემდებარება პრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას და ამით შესაძლებელი გახადოს მაქსიმალურად დაბალანსებული შეთანხმებების მიღწევა ხელფასებსა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სატარიფო ავტონომია ფუნქციონირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს შორის შეძლებისდაგვარად მოცემულია ძალთა თანაფარდობა ანუ – პარიტეტი (იხ: BVerfGE 84, 212 [229]). აქედან გამომდინარე, ნორმა იმ შემთხვევაში ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს, როდესაც ტარიფის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას აღარ არის დაცული ხელშეკრულების ერთი მხარის ინტერესები, პოზიცია და უნარი, აწარმოოს ეფექტური ბრძოლა მეორე მხარის წინააღმდეგ და ასევე, შეზღუდულია მისი კოალიციური საქმიანობა, ხოლო ამ შეზღუდვის მასშტაბი და მოცულობა არ არის აუცილებელი ძირითად უფლებათა ორმხრივი პოზიციების დაბალანსებისა და გაათანაბრებისათვის (იხ: BVerfGE 84, 212 [228]).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტიდან არ გამომდინარეობს ის კონკრეტული მასშტაბები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეთა შორის ძალების გადანაწილების შეფასება...

დ) საკითხის შეფასებისას, არის თუ არა შესაბამისი ნორმებით დაცული პროფკავშირების უნარი, წარმართოს შედეგიანი და ეფექტური ბრძოლა, გადამწყვეტია კანონმდებლის შეფასებები. დასაქმებულთა კოალიციის საბრძოლო უნარი და ძალა დამოკიდებულია რიგ ფაქტორთა ერთობლიობაზე, რომელიც არ ექვემდებარება ცალკეულ განხილვას და ძნელი შესაფასებელია მათი ეფექტურობის თვალსაზრისით. ამასთან, რთულად შესაცნობი და გამოსავლენია კოალიციისათვის არსებული შესაძლებლობები დაპირისპირების განსაკუთრებული ფორმების მეშვეობით შეცვლილ პირობებსა და გარემოებებზე მორგებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში კანონმდებელს ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა გადამწყვეტი ფაქტორების სათანადო შეცნობისა და შეფასებისათვის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავისი მოსაზრებით ვერ დაიკავებს კანონმდებლის ადგილს. შესაბამისად, კონსტიტუციურობის ზღვარი დარღვეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ შეფასება მცდარია, ან როდესაც გასაჩივრებული ღონისძიება თავიდანვე მიმართული იყო ძალთა არსებული ბალანსის დარღვევის ან არსებული უთანასწორობის გამყარება-გამძაფრებისკენ.

ე) შეფასება, რომელსაც კანონმდებელი თავდაპირველად აკეთებს სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ბრძოლის საკითხის მონესრიგებისას, შესაძლოა მოგვიანებით არ აღმოჩნდეს არსებული ვითარების შესაბამისი. შემდეგში ცვლილებებისა და განვითარების შედეგად შესაძლოა, გაქარწყლდეს თავდაპირველი ლოგიკური ვარაუდი და ასევე, არ გამართლდეს თავდაპირველი მოლოდინი. აქედან გამომდინარე, შეიძლება თავის დროზე კონსტიტუციურად დასაშვებმა ნორმამ მოგვიანებით გამოიწვიოს სატარიფო ავტონომიის ფუნქციონირების დარღვევა. ასეთი განვითარება იმდენად საჭიროებს შესწორებას, რამდენადაც გამოვლენილია სტრუქტურული უთანასწორობები, რომლებიც ხელს უშლის დაბალანსებული და თანაბარი შეთანხმებების მიღწევას სამუშაო და ეკონომიკური პირობების დაცვასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებით და რომელთა კორექტურაც შეუძლებელია კანონმდებლობისათვის მიკუთვნებულ ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში კანონმდებელი ვალდებულია, გაატაროს კოალიციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (იხ: BVerfGE 25, 1 [13]; 49, 89 [130]; 50, 290 [335]).

2. ზემოთ აღნიშნული მასშტაბების გათვალისწინებითა და მიხედვით, დადებითაა გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასება.

ა) კანონმდებლის მიერ შერჩეული ნორმის პრინციპი შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს.

მან გამოსცა ასეთი ნორმა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოკლევადიანი ფულადი სამუშაო დახმარების გზით პროფკავშირების სასიკეთოდ მოხდებოდა ჩარევა საგაფიცვო ღონისძიებებში და ამით მათი ბრძოლისუნარიანობა ამალღდებოდა. შრომის ფედერალური სამსახურის ნეიტრალურობა დაირღვეოდა მაშინ, როდესაც მოკლევადიანი სამუშაო დახმარება გაიცემოდა გაფიცვის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში და როდესაც მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ამ საწარმოებში დასაქმებულებიც ისარგებლებდნენ გაფიცვით მიღწეული შედეგებით. ახალ ნორმას საფუძვლად უდევს პრინციპი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს გაფიცვისას ხელფასის განაცდურის რისკის გათვალისწინება და იმ დასაქმებულთა მიერ საკუთარ თავზე აღება, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ გაფიცვის ღონისძიებაში, მაგრამ დაინტერესებულნი არიან გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულთა წარმატებებით, ვინაიდან ასეთი შედეგები, სავარაუდოდ, აისახება ასევე მათ სასიკეთოდ.

ზემოთ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. თანამონაწილეობა არის ლოგიკური და მისაღები კრიტერიუმი, რომ ხელფასის განაცდურის რისკმა უმუშე-

ვართა დაზღვევის სფეროდან გადმოინაცვლოს იმ დასაქმებულთა პასუხისმგებლობის სფეროში, რომელთა ინტერესებიც ემთხვევა გაფიცვაში უშუალოდ მონაწილე კოლეგებისას. როგორც აღინიშნა, ლოგიკური და გამართლებულია ეს დამთხვევა მიჩნეულ იქნეს მოკლევადიანი სამუშაო დახმარების გაუცემლობის საფუძველად.

ბ) ფაქტობრივი თვალსაზრისით, კანონმდებელი ხელმძღვანელობდა ვარაუდით, რომ მეტალის ინდუსტრიაში არსებული მჭიდრო პროდუქციული კავშირის გამო მოსარჩელისათვის მარტივად იქნებოდა შესაძლებელი, ერთ სატარიფო ზონაში გაფიცვის საშუალებით გამოეწვია მნიშვნელოვანი პროდუქციული დარღვევები სხვა რეგიონებშიც.

აღნიშნულ ვარაუდს კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს მოსარჩელე. ამას გარდა, იგი დასტურდება 1984 წლის გაფიცვით...

გ) კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება კანონმდებლის შეფასება, რომლის თანახმადაც, შრომის ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის 116-ე მუხლის ძველმა ვერსიამ გამოიწვია პარიტეტის გადანაცვლება ამ ნორმის განმარტების ფარგლებში, რომელიც მას მიანიჭა სოციალურმა სასამართლო პრაქტიკამ სახელფასო რისკებთან დაკავშირებული შრომით-სამართლებრივი მართლმსაჯულების საფუძველზე. ასეთ რთულ და კომპლექსურ ფაქტობრივ გარემოებებს კანონმდებელი აფასებს თავისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფარგლებში, რომელიც მას აკისრია საყოველთაო კეთილდღეობის დაცვის მიზნით.

არ არის მოცემული მოსაზრებები და გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შემონმებას დაქვემდებარებული ნორმა იმდენად ზღუდავს სატარიფო ავტონომიის ფუნქციონირებას, რომ აღნიშნული ამართლებს და ასაბუთებს მოსარჩელისა და განმცხადებლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ეჭვებსა და პროტესტს...

აქედან გამომდინარე, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი კუთხით გაურკვეველია, გამოიწვევს თუ არა გასაჩივრებული ნორმა სამომავლო გაფიცვებისას ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეების საბრძოლო უნარის უთანასწორობას, რაც შეუძლებელს გახდის შედეგების დაგვარად თანაბარ პირობებში მოლაპარაკებების წარმართვასა და შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას. თუ ასეთი შემთხვევა მოხდება, მაშინ კანონმდებელი ვალდებული იქნება, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სატარიფო ავტონომიის დასაცავად; მაგრამ ვიდრე ასეთი დარღვევა არ არის სახეზე, ისევე და ისევე სასამართლოების ამოცანად რჩება მოქმედი წესების განმარტება და გამოყენება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის კუთხითა და შესაბამისად.

## გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლთან დაკავშირებით:

### E - 7, 377

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით, სამენარჩეო თავისუფლების გათვალისწინებით, არ ხდება მისი, როგორც საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის, ობიექტური პრინციპის პროკლამაცია, არამედ გათვალისწინებულია ცალკეული ადამიანის ძირითადი უფლება, რომლის მიხედვითაც, მას შეუძლია ნებისმიერი დაშვებული საქმიანობის პროფესიის სახით განხორციელება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი არ შეესაბამება ტრადიციულ ან სამართლებრივად ფიქსირებულ „წარმოდგენებს პროფესიის შესახებ“.

2. ცნება „პროფესია“, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, ვრცელდება პროფესიებზეც, რომლებიც მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს პრეროგატივაა. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლი პროფესიებისათვის, რომლებიც განეკუთვნება „საჯარო სამსახურს“, ითვალისწინებს ფართო მასშტაბის განსაკუთრებულ ნორმებს.
3. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი, ასევე – დამოკიდებული ფორმით და როდესაც მისი განხორციელების ორივე ფორმას გააჩნია საკუთარი სოციალური დატვირთვა, მაშინ ერთ-ერთი მათგანის არჩევა და ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა წარმოადგენს პროფესიის არჩევას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.
4. კანონმდებლის მიერ შესაბამისი საკითხის მონესრიგების უფლებამოსილების გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შინაარსი და მოცულობა სათანადოდ განისაზღვრება განმარტებით, რომელიც შეესაბამება და ითვალისწინებს ძირითადი უფლების არსსა და მის მნიშვნელობას სოციალურ ცხოვრებაში.
5. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული კანონმდებლის უფლებამოსილება ვრცელდება პროფესიის განხორციელებასა და მის არჩევაზე, თუმცა – სხვადასხვა ინტენსიურობით. აღნიშნული ნორმა განპირობებულია პროფესიის განხორციელების ასპექტით და, შესაბამისად, პროფესიის არჩევის თავისუფლებაში ჩარევაც შესაძლებელია მხოლოდ ამ კუთხით. შინაარსობრივად იგი მით უფრო თავისუფალია, რაც უფრო მეტად არის დაკავშირებული მხოლოდ პროფესიის განხორციელებასთან; ხოლო რაც უფრო მეტად ეხება ეს ნორმა პროფესიის არჩევის თავისუფლებასაც, მით უფრო ვიწრო და შეზღუდულია კანონმდებლის უფლებები.
6. აღნიშნული ძირითადი უფლების დანიშნულებაა, დაცვას ინდივიდის თავისუფლება, ხოლო კანონმდებლის მიერ საკითხის მონესრიგების დათქმამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ერთობლივი ინტერესების სათანადო გათვალისწინება. ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილების საჭიროებიდან კანონმდებლის მიერ განსაკუთრებული ჩარევებისათვის გამომდინარეობს შემდეგ პრინციპთა დიფერენცირების მოთხოვნა:
  - ა) პროფესიის განხორციელების თავისუფლება შესაძლებელია შეიზღუდოს, როდესაც აღნიშნული გამართლებული და მიზანშეწონილია საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე გონივრული მოსაზრებებით; ძირითადი უფლების დამცავი მექანიზმი შეზღუდულია გადაჭარბებული, შეუსაბამო და, აქედან გამომდინარე, არაკონსტიტუციური ვალდებულებების დაკისრებით.
  - ბ) პროფესიის არჩევის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს განპირობებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადო სიკეთეების დაცვის აუცილებლობით. იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია აღნიშნული ჩარევა, კანონმდებელმა უნდა შეარჩიოს ჩარევის ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს ძირითად უფლებას.
  - ა) თუ პროფესიის არჩევის თავისუფლება იზღუდება შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინების გზით, მაშინ უნდა მოხდეს დიფერენცირება სუბიექტურ და ობიექტურ წინაპირობებს შორის: სუბიექტურ კრიტერიუმებზე (განსაკუთრებით კი განათლებაზე) ვრცელდება თანაზომიერების პრინციპი იმ შეცნობით, რომ ისინი, პროფესიის სათანადო განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს გადაჭარბებული. ობიექტური წინაპირობების გათვალისწინების საჭიროება განსაკუთრებით

მკაცრად უნდა დასაბუთდეს; ძირითადად, აღნიშნული ღონისძიება შესაძლებელია გამართლდეს მხოლოდ საფუძვლიანი ან სავარაუდო საფრთხით, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საყოველთაო სიკეთის წინააღმდეგ.

- დ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმა ყოველთვის უნდა განხორციელდეს იმ „საფეხურზე“, სადაც ყველაზე ნაკლებია ჩარევა პროფესიის არჩევის თავისუფლებაში. კანონმდებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადასვლა შემდეგ „საფეხურზე“, როდესაც იგი დამაჯერებლად განმარტავს, რომ არ არის შესაძლებელი მოსალოდნელი საფრთხის აღმოფხვრა წინა „საფეხურის“ (კონსტიტუციური) საშუალებების დახმარებით.
7. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, გაითვალისწინა თუ არა კანონმდებელმა მისი უფლებამოსილების ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები; თუ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესიის არჩევის თავისუფლება შეიზღუდა ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინების გზით, მაშინ სასამართლოს ასევე შეუძლია შეამოწმოს, განპირობებულია თუ არა ეს შეზღუდვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საყოველთაო სიკეთის დაცვის აუცილებლობით.
8. სააფთიაქო სამართლის სფეროში კონსტიტუციას შეესაბამება მხოლოდ ადგილის შერჩევის თავისუფლება, რომელიც მოიაზრება, როგორც ობიექტური შეზღუდვების არარსებობა.

### პირველი სენატის 1958 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება აფთიაქების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი:

(1) აფთიაქისათვის საექსპლუატაციო ნებართვის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) აფთიაქის გახსნა მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების მიზნით წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს და

ბ) ივარაუდება, რომ უზრუნველყოფილია მისი ეკონომიკური საფუძველი და მისი გახსნა საფრთხეს არ შეუქმნის მეზობლად მდებარე აფთიაქებს იმ მხრივ, რომ მათი ეკონომიკური საფუძვლის შერყევის გამო აღარ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი წინაპირობები ამ აფთიაქების სათანადო ექსპლუატაციისათვის.

ნებართვა შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ვალდებულებასთან, რომ, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ბალანსის ინტერესებიდან გამომდინარე, აფთიაქი გაიხსნას გარკვეულ კონკრეტულ ტერიტორიაზე.

ობერბაიერნის მთავრობის გადაწყვეტილება შემდეგნაირად ასაბუთებს მოსარჩელის განცხადებაზე უარს როგორც აფთიაქების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან, ასევე „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით:

განცხადებაში მითითებული აფთიაქის გახსნა არ წარმოადგენს საზოგადო ინტერესს. აღნიშნულ ტერიტორიაზე სულ დაახლოებით 6000 ადამიანი საჭიროებს მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რისთვისაც სავსებით საკმარისია უკვე არსებული ერთი აფთიაქი. საზოგადო ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, აფთიაქის გახსნა დაიშვება მხოლოდ იქ, სადაც უფრო დიდი რაოდენობის მოსახლეობაა მედიკამენტებით უზრუნველსაყოფი. ეკონომიკურად სუსტი აფთიაქები უფრო მარტივად გასცემენ მედიკამენტებს შესაბამისი რეცეპტის გარეშე და ასევე, „დიდსულოვნები“ არიან კანონით აკრძალული საძილე საშუალებების გაცემისას.

ამას გარდა, მოცემულ შემთხვევაში არც აფთიაქის ეკონომიკური საფუძველი იქნებოდა მყარი, ვინაიდან არსებული მასშტაბებისა და სტანდარტების მიხედვით, ერთი აფთიაქი უნდა აკმაყოფილებდეს 7000-8000 მოსახლეს, რათა შედლოს ფუნქციონირება. შესაბამისად, განმცხადებლები თვითონაც უნდა იქნენ დაცულნი იმისაგან, რომ მათ არ გახსნან ისეთი აფთიაქი, რომელიც ფინანსურად ვერ იარსებებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ აღნიშნული აფთიაქის გახსნით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების გარდა, იმდენად შეიზღუდება არსებული აფთიაქის ეკონომიკური საფუძველი, რომ აღარ იქნება უზრუნველყოფილი მისი სათანადო ექსპლუატაციის წინაპირობები.

#### IV

კითხვა, შეესაბამება თუ არა სააფთიაქო კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს, მოითხოვს აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმის მნიშვნელობის გააზრებას.

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი იცავს მოქალაქის თავისუფლებას თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროში: იგი თითოეულ ადამიანს ანიჭებს უფლებას, „პროფესიის“ სახით მოეიღოს ყველა იმ საქმიანობას ანუ აქციოს იგი მისი ცხოვრების უზრუნველყოფის საფუძვლად, რომლისთვისაც მას თავი მიაჩნია შესაფერისად.

... ცნება „პროფესია“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი ვრცელდება არა მხოლოდ ყველა იმ პროფესიაზე, რომელიც წარმოდგენილია ტრადიციულად ან თუნდაც სამართლებრივად ფიქსირებული „შეხედულებებით პროფესიის შესახებ“, არამედ ცალკეული ადამიანის მიერ თავისუფლად შერჩეულ ისეთ არატიპურ (ნებადართულ) საქმიანობაზეც, რომელმაც შესაძლებელია განაპირობოს ახალი და მყარი პროფესიების წარმოქმნა (იხ: BVerfGE 2, 89 [92]; 4, 250 [254])...

ბ) თუ თავად კონსტიტუციიდან გამომდინარე შევაფასებთ კანონმდებლის მიერ ძირითადი უფლების სფეროში ჩარევის შესაძლებლობებს, მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი პუნქტის ფორმულირება შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჩარევა, ზოგადად, დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ პროფესიის განხორციელებასთან მიმართებით, ხოლო პროფესიის არჩევის თავისუფლება არ უნდა ექვემდებარებოდეს განსაკუთრებულ ნორმებს კანონის დონეზე. თუმცა, არ შეიძლება აღნიშნული იყოს ნორმის აზრი, ვინაიდან ცნებები — პროფესიის „არჩევა“ და „განხორციელება“ ისე ვერ განცალკევდება ერთმანეთისაგან, რომ თითოეული მათგანი მოიცავდეს და გამოხატავდეს ერთ ცხოვრებისეულ ეტაპს, რომელიც არასოდეს გადაკვეთს მეორეს. პროფესიული საქმიანობის დაწყება წარმოადგენს პროფესიის განხორციელების დასაწყისს, ასევე აღნიშნული ქმედებით (და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ აღნიშნული ქმედებით) — პროფესიული არჩევნის გაკეთებასაც; პროფესიის შენარჩუნებისა და მისი განხორციელების დასრულების ნება იმავდროულად წარმოადგენს პროფესიის არჩევის აქტსაც. აქედან გამომდინარე, ორივე ცნება სხვადასხვა კუთხითა და ასპექტით მოიცავს „პროფესიული საქმიანობის“ ერთიან კომპლექსს.

ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური ნორმისა და ცნებების განმარტება, რომლის მიხედვითაც, კანონმდებელს ეკრძალება პროფესიის არჩევის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა, არ შეიძლება იყოს სწორი. ასეთი განმარტება არ იქნებოდა ცხოვრებისეული სინამდვილისათვის შესაბამისი და ამიტომ სამართლებრივადაც გაუგებარ შედეგებს გამოიწვევდა. პროფესიის განხორციელების პირდაპირ მომწესრიგებელი ნორმა, ძირითადად, მაშინ არის დასაშვები, თუ იგი ირიბად ზემოქმედებას ახდენს



პროფესიის არჩევის თავისუფლებაზეც. ეს, პირველ რიგში, სახეზეა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული საქმიანობის დანაშაულებების ხდება გარკვეული წინაპირობების გათვალისწინება ანუ როდესაც პროფესიის განხორციელება დამოკიდებული ხდება შესაბამის ნებართვაზე. ის გარემოება, რომ გერმანიის ძირითადი კანონი სრულად არ გამოორიციხავს ნებართვის საჭიროებას, გამოხატულია 74-ე მუხლის მე-19 ქვეპუნქტით, სადაც განსაზღვრულია ნებართვასთან დაკავშირებული კომპეტენცია გარკვეულ პროფესიებთან მიმართებით. ასევე ნორმის შექმნის ისტორიაც მიანიშნებს იმაზე, რომ, მართალია, ერთი მხრივ, ზოგადად, სასურველი იყო პროფესიის ხელმისაწვდომობის ნებართვის საფუძველზე შეზღუდვების თავიდან აცილება, მაგრამ, მეორე მხრივ, არც არსებული შეზღუდვების ცნობა იყო სასურველი დაუშვებლად... უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის კანონმდებელმა აქ ვერ შეძლო პრობლემების სრული შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური მოგვარება; მან შეარჩია ისეთი ფორმულირება, რომელიც ეხმაურება და აგრძელებს სამენარმეო სამართლისათვის დამახასიათებელ გამიჯვნას სამენარმეო საქმიანობის „არჩევასა“ და „განხორციელებას“ შორის, ხოლო სხვა დანარჩენი საკითხების მოგვარება „უმეტესწილად“ დაუქვემდებარა კანონს...

შესაბამისად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ნარმოადგენს („პროფესიის თავისუფლების“) ერთიან ძირითად უფლებას იმ შეცნობით, რომ მისი მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმის დათქმა „თავისი არსით“ ვრცელდება როგორც პროფესიის განხორციელებაზე, ასევე – პროფესიის არჩევაზე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ კანონმდებლის უფლებები შინაარსობრივად თანაბარი მოცულობისაა პროფესიული საქმიანობის ორივე აღნიშნულ „ფაზასთან“ მიმართებით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი გამოხატავს კონსტიტუციის ნებას, რომ პროფესიის არჩევა უნდა იყოს „თავისუფალი“ და რომ შესაძლებელია პროფესიული საქმიანობის მონესრიგება. აღნიშნულს შეესაბამება ნორმის მხოლოდ ერთი განმარტება, რომლის მიხედვითაც მიიჩნევა, რომ მისი უფლებამოსილება თანაბარი შინაარსობრივი ინტენსიურობით არ ვრცელდება ორივე „ფაზაზე“ და რომ კანონმდებელი მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო მეტად ერევა იგი თავისი ნორმებით პროფესიის არჩევის თავისუფლებაში.

აღნიშნული განმარტება შეესაბამება ასევე კონსტიტუციის ფუნდამენტურ შეხედულებებსა და ადამიანის კონსტიტუციურ ხედვას (იხ: BVerfGE 2, 1 [12]; 4, 7 [15]; 6, 32 [40]). პროფესიის არჩევა უნდა იყოს ცალკეული ადამიანის თვითგანკარგვისა და თავისუფალი ნების გამოვლენის აქტი. იგი მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს საჯარო ხელისუფლების ჩარევებისაგან. პროფესიული საქმიანობის გზით კი ადამიანი უშუალოდ ერთვება სოციალურ ცხოვრებაში; აქ შესაძლებელია მისთვის სხვა ადამიანებისა და საყოველთაო ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდვების გათვალისწინება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი: ნორმის უფლება ვრცელდება როგორც პროფესიის განხორციელებაზე, ასევე – მის არჩევაზეც. თუმცა, ეს ნორმა განპირობებულია პროფესიის განხორციელების ასპექტითა და საფუძველით და პროფესიის არჩევის თავისუფლებაში ჩარევაც შესაძლებელია მხოლოდ ამ კუთხით. შინაარსობრივად იგი მით უფრო თავისუფალია, რაც უფრო მეტად არის დაკავშირებული მხოლოდ პროფესიის განხორციელებასთან; ხოლო რაც უფრო მეტად ეხება აღნიშნული ნორმა პროფესიის არჩევის თავისუფლებასაც, მით უფრო ვიწრო და შეზღუდულია კანონმდებლის უფლებები.

გ) რაც შეეხება მისი ფართო კომპეტენციის შინაარსს, აქ, პირველ რიგში, განსაკუთრებით პროფესიის არჩევის თავისუფლებასთან მიმართებით, გასარკვევია ცნება

„მონესრიგების“ არსი. იგი არ შეიძლება ნიშნავდეს, რომ კანონმდებელს აღნიშნულ სფეროში უფრო ფართო ასპარეზი აქვს, ვიდრე ზოგადად – კანონისმიერი დათქმის შემთხვევებში და რომ მას უფრო დიდი მოცულობით შეუძლია პროფესიის მთლიანი სფეროს მონესრიგება და, შესაბამისად, ძირითადი უფლების შინაარსის ახლებური ჩამოყალიბება. ამგვარი მიდგომა გააუფასურებდა ძირითად უფლებას, ვინაიდან მისი არსის განსაზღვრა მთლიანად დაექვემდებარებოდა კანონმდებლის მიხედულებას, რომლისთვისაც, თავის მხრივ, სავალდებულოა ძირითადი უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი). ეს კი იქნებოდა შეუსაბამო სწორედ ამ ძირითადი უფლების მნიშვნელობასთან, შეუთავსებელი – გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ და განსაკუთრებულად ხაზგასმულ (პლეონასტურ) პროფესიის არჩევის თავისუფლებასთან და წინააღმდეგობაში – ძირითადი უფლებების განმსაზღვრელი კონსტიტუციის ნაწილის მთლიან, ერთიან ტენდენციებთან, რომლისთვისაც, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1957 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებაში მოყვანილი განმარტებების თანახმად (იხ: BVerfGE 6, 32 [40]), უცხოა „ცარიელი“ ძირითადი უფლებები ძველი შეცნობით.

მოცემულ შემთხვევაშიც მოქმედებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1957 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით (იხ: BVerfGE 7, 198 [208]) დამკვიდრებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, როდესაც კანონმდებელი „მოძრაობს“ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, იგი ვალდებულია, მისი მონესრიგების საფუძვლად და მასშტაბად გაითვალისწინოს შესაბამისი ძირითადი უფლების მნიშვნელობა სოციალური წყობილების ფარგლებში. კანონმდებელი კი არ განსაზღვრავს ძირითადი უფლების შინაარსს, არამედ პირიქით, შესაძლოა, ძირითადი უფლების არსიდან გამომდინარეობდეს საკანონმდებლო უფლებამოსილების შინაარსობრივი შეზღუდვები. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტიც „აბმაურებს“ ძირითადი კანონის მკაფიო მატერიალურ გადაწყვეტილებას კონსტიტუციურ ღირებულებასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია ერთ კონკრეტულ და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სფეროზე; აქედან გამომდინარე, კანონმდებელი აქ არ არის ისეთი თავისუფალი, როგორც, მაგალითად, თანასწორობის ზოგადი პრინციპის გამოყენებისას, რომელიც საჯარო ხელისუფლებისათვის წარმოადგენს სავალდებულო ზოგად პრინციპს, რომლის კონკრეტული შინაარსიცა და არსიც კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს განსაკუთრებული ცხოვრებისეული სფეროებისა და საკითხების ფარგლებში მოქმედი სამართლებრივი მოსაზრებების გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, „მონესრიგება“ არ გულისხმობს, რომ კანონმდებელს არც ერთ შემთხვევაში არა აქვს ძირითადი უფლების შეზღუდვის უფლება. იგი, თავის მხრივ, შეიცავს ზღვრის დადგენის შესაძლებლობასაც. თუმცა, ცნება „მონესრიგება“ მიუთითებს იმაზე, რომ კონსტიტუციურმა კანონმდებელმა გარკვეული დატვირთვა მიანიჭა მას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენა მისთვის ჩვეული ტერმინოლოგია, როგორცაა „შეზღუდვა“, „ჩარევა“. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ კონსტიტუციურმა კანონმდებელმა აქ უფრო ძირითად უფლებაში მოცემული ზღვრისა და ფარგლების დაკონკრეტებაზე იფიქრა და არა – შეზღუდვებზე, რომელთა შედეგადაც კანონმდებელი თავად განსაზღვრავს და განკარგავს ძირითადი უფლების შინაარსს და გარედან შეავიწროებს ძირითადი უფლების ბუნებრივ, რაციონალური მოსაზრებებიდან გამომდინარე მოქმედების სფეროს.

დ) ძირითადი უფლების დანიშნულებაა, დაიცვას ინდივიდის თავისუფლება, ხოლო კანონის ნორმის დათქმამ უნდა უზრუნველყოს საყოველთაო ინტერესების

სათანადო გათვალისწინება. ცალკეული ადამიანის მოთხოვნის უფლება პროფესიის თავისუფლად არჩევასთან დაკავშირებით მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ მისი უფლება პროფესიის არჩევის თავისუფლებაზე; ხოლო საყოველთაო ინტერესების დაცვა მით უფრო აუცილებელი ხდება, რაც უფრო მაღალია დანაკლისი და საფრთხე, რომელთა წინაშეც დგას საზოგადოება პროფესიის სრულიად თავისუფალი განხორციელებიდან გამომდინარე. სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ამ ორივე ლეგიტიმური მოთხოვნის თანაბარი გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში მათი სხვადასხვაგვარი და უმეტესად – ურთიერთსანიშნავი ინტერესების მნიშვნელობათა სათანადო და ზედმინევი ურთიერთშეფარდების გზით. თუ აღნიშნული ურთიერთშეფარდებისას გამოვლინდება, რომ, ძირითადი კანონის ზოგადი მოდელიდან გამომდინარე, ადამიანის პიროვნული თავისუფლება წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას და ადამიანი პროფესიის არჩევის დროსაც უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გარდაუვალი საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე.

კანონმდებლის ჩარევასთან მიმართებით ყოველივე ამის მიხედვით კონსტიტუციიდან გამომდინარეობს დიფერენცირების მოთხოვნა, რომლის შემადგენელი პრინციპებიც ხასიათდება შემდეგნაირად:

პროფესიის განხორციელების თავისუფლება შესაძლებელია ნორმის მეშვეობით შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზანშეწონილია საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე გონივრული მოსაზრებების გამო. ხოლო პროფესიის არჩევის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს განპირობებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადო სიკეთეების დაცვის აუცილებლობით; ანუ: როდესაც საუბარია ისეთი სიკეთეების დაცვაზე, რომლებიც სათანადო ურთიერთშეფარდების შედეგად პრიორიტეტულია ცალკეული ადამიანის თავისუფლების მოთხოვნასთან მიმართებით და როდესაც მათი დაცვა შეუძლებელია სხვა გზით, კერძოდ, ისეთი საშუალებებით, რომლებიც საერთოდ ან უფრო ნაკლებად ზღუდავს პროფესიის შერჩევის თავისუფლებას. იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია აღნიშნული ჩარევა, კანონმდებელმა უნდა შეარჩიოს ჩარევის ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს ძირითად უფლებას.

შესაბამისად, ნორმის უფლებამოსილების მოცულობის ფარგლებში ჩნდება სხვადასხვა „საფეხური“.

ყველაზე თავისუფალია კანონმდებელი მაშინ, როდესაც იგი მიმართავს მხოლოდ პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნორმას, რომელიც საერთოდ არ ეხება პროფესიის არჩევის თავისუფლებას და განსაზღვრავს, თუ კონკრეტულად რა ფორმითა და რა გზით უნდა განხორციელონ ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლებმა თავიანთი საქმიანობა. აქ შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს მიზანშეწონილობის ასპექტები; მათი მეშვეობით უნდა შემოწმდეს, თუ რა ვალდებულებები უნდა დაეკისროთ შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლებს, რათა შესაძლებელი გახდეს საზოგადოებისათვის დანაკლისისა და საფრთხის თავიდან არიდება. ასევე, პროფესიის განვითარებისა და ამით ამ პროფესიის წარმომადგენელთა სოციალური მაჩვენებლების ამაღლების საფუძვლითაც შესაძლებელია პროფესიის განხორციელების თავისუფლების შემზღუდველი გარკვეული ნორმების გამართლება. ძირითადი უფლების დამცავი მექანიზმი შეზღუდულია გადაჭარბებული, შეუსაბამო და, აქედან გამომდინარე – არაკონსტიტუციური ვალდებულებების დაკისრებით; ამ გამონაკლისების გარდა, მოცემულ შემთხვევაში განსახილველი პროფესიის თავისუფლების შეზღუდვა

მტკივნეულად არ ეხება ძირითადი უფლების სუბიექტს, ვინაიდან იგი უკვე დაუფლებულია პროფესიისა და ხელშეუხებელია მისი განხორციელების უფლება.

აღნიშნულისაგან განსხვავდება ნორმა, რომელიც პროფესიული საქმიანობის დაწყებას დამოკიდებულს ხდის გარკვეული წინაპირობების შესრულებაზე და ამით ეხება პროფესიის არჩევის თავისუფლებას. ასეთი ნორმა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია განსაკუთრებული მნიშვნელობის საყოველთაო სიკეთის დაცვაზე, რომელიც დგას ცალკეული ადამიანის თავისუფლებაზე წინ. ამასთან, სასამართლო პრაქტიკაშიც და სამართლებრივ ლიტერატურაშიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ სუბიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც ეხება განათლებას და ობიექტურ წინაპირობებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო პროფესიის კანდიდატის კვალიფიკაციასთან და რომლებზეც მას არ შეუძლია რაიმე ზეგავლენის მოხდენა.

სუბიექტური წინაპირობების გათვალისწინება არის პროფესიის მთლიანი სურათის სამართლებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილი. ისინი პროფესიისაკენ მიმავალ გზას უხსნის მხოლოდ გარკვეული (ძირითადად ფორმალური) ფორმით კვალიფიციურ კანდიდატებს. ამგვარი შეზღუდვა ლეგიტიმურია თვითონ საქმით. მრავალი პროფესია მოითხოვს გარკვეულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ფართო გაგებით), რომელთა შექმნაც შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული განათლების საფუძველზე და რომ ამგვარი პროფესიით მუშაობა შეუძლებელი ან შეუსაბამოა სათანადო ცოდნის გარეშე ან სულაც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებას. კანონმდებელი აკონკრეტებს და ფორმალურ სახეს ანიჭებს მხოლოდ გარკვეული ცხოვრებისეული სიტუაციის მიხედვით საჭიროებას; ცალკეულ ადამიანს სავალდებულო ფორმალური განათლებით უწევს იმით დაკავება, რითიც იგი ისედაც უნდა დაკავებულიყო სასურველი პროფესიის არჩევის შემდეგ, თუ მას ექნებოდა აღნიშნული პროფესიის სათანადოდ განხორციელების სურვილი. შესაბამისად, თავისუფლების ასეთი შეზღუდვა ადეკვატური საშუალებაა შესაძლო დანაკლისებისა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამას გარდა, იგი დასაშვებია იმიტომაც, რომ ყველასათვის საერთოა და ყველასათვის წინასწარ არის ცნობილი, რომ პირმა წინასწარ, პროფესიის არჩევამდე განსაზღვროს, თუ რამდენად შეუძლია მას გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება და აქედან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით. აქ გასათვალისწინებელია თანაზომიერების პრინციპი, რომ ზემოთ აღნიშნული სუბიექტური წინაპირობები, პროფესიის სათანადოდ განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, არ იყოს გადაჭარბებული.

სხვაგვარად არის საქმე პროფესიის ხელმისაწვდომობის ობიექტური წინაპირობების განსაზღვრისას, რომელთა შესრულებაც არ ექვემდებარება ცალკეული ადამიანის გავლენის სფეროს. ასეთი მოთხოვნები ეწინააღმდეგება ძირითადი უფლების არსსა და დანიშნულებას, ვინაიდან მისთვისაც, ვინც აღნიშნული წინაპირობების შესრულების საფუძველზე რეალურად გააკეთა პროფესიული არჩევანი, შეიძლება მაინც არ იყოს ხელმისაწვდომი ეს პროფესია. თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა მით უფრო ძლიერია და მტკივნეული დაინტერესებული პირისათვის, რაც უფრო ხანგრძლივი და სპეციალიზებულია მისი წინასწარი განათლება ანუ, რაც უფრო მკვეთრი და აშკარა იყო პირის განათლებით განპირობებული კონკრეტული პროფესიის არჩევის ფაქტი.

ვინაიდან გაურკვეველია, თუ რა საფრთხე უნდა შეუქმნას საზოგადოებას პროფესიულად და მორალურად მაღალ დონეზე მდგარი კვალიფიციური კანდიდატის მიერ ამა თუ იმ პროფესიით მუშაობამ, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვასა და სასურველ მიზანს შორის ურთიერთკავშირის ნათლად და დამაჯერებლად წარმოჩენა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში

განსაკუთრებით დიდია არასაფუძვლიანი და საქმესთან ნაკლები კავშირის მქონე მოტივაციათა მოშეუღლები საფრთხე; უპირველეს ყოვლისა კი ივარაუდება, რომ პროფესიის ხელმისაწვდომობის ამგვარი შეზღუდვა ემსახურება შესაბამის პროფესიაში დასაქმებულ პირთა დაცვას კონკურენციისაგან. ეს არის არგუმენტი, მოტივაცია, რომელიც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაამართლებს პროფესიის არჩევის თავისუფლებაში ჩარევას. პროფესიულად და მორალურად კვალიფიციური კანდიდატის ამგვარი უხეში და რადიკალური საშუალებებით შესაბამისი პროფესიის დაუფლები-საგან ბლოკირება, გარდა იმისა, რომ შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს თანასწორობის პრინციპს, შესაძლოა, ასევე უხეშად არღვევდეს ცალკეული ადამიანის თავისუფლების მოთხოვნის უფლებასაც. აქედან გამომდინარეობს, რომ თავისუფლების ასეთი ფორმით შეზღუდვის დასაბუთების მიმართ ვრცელდება განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები; ანუ აღნიშნული ღონისძიებების ლეგიტიმაცია შესაძლებელია მხოლოდ საფუძვლიანი ან რეალურად სავარაუდო საფრთხით, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საყოველთაო სიკეთის წინააღმდეგ. საზოგადოებრივ ინტერესთა განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნები, პროფესიის სოციალურ პრესტიჟზე ზრუნვა მისი მიმდევრების რაოდენობის შემცირების გზით არ არის საკმარისი არგუმენტაცია და საფუძველი მოცემულ შემთხვევაში.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმა უნდა განხორციელდეს ყოველთვის იმ „საფეხურზე“, სადაც ყველაზე ნაკლებია ჩარევა პროფესიის არჩევის თავისუფლებაში. კანონმდებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადასვლა შემდეგ „საფეხურზე“, როდესაც იგი დამაჯერებლად განმარტავს, რომ არ არის შესაძლებელი მოსალოდნელი საფრთხის აღმოფხვრა წინა „საფეხურის“ (კონსტიტუციური) საშუალებების დახმარებით...

5. ძირითადი უფლების გათვალისწინებიდან გამომდინარე, შეზღუდვები საკითხის კანონმდებლის მიერ მოწესრიგებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს მატერიალურ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც, პირველ რიგში, მიმართულია თვითონ კანონმდებლისაკენ. მათი დაცვის ზედამხედველობა კი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას (ობიექტური წინაპირობების) „უკანასკნელ საფეხურზე“ განხორციელებული პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში, ამონმებს, ემუქრება თუ არა საფრთხე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საყოველთაო სიკეთეს და ემსახურება თუ არა თავისუფლების შემზღუდველი ნორმა ასეთი საფრთხის აღმოფხვრას ანუ შესწევს თუ არა მას ამის ძალა. გარდა ამისა, სასამართლო ამონმებს, თუ რამდენად აუცილებელი და გარდაუვალი იყო შესაბამისი საყოველთაო სიკეთის დასაცავად სწორედ ასეთი ჩარევის განხორციელება ანუ, ხომ არ შეეძლო კანონმდებელს აღნიშნული დაცვის უზრუნველყოფა წინა „საფეხურზე“ გათვალისწინებული ნორმების საშუალებით...

უკანასკნელი მიმართულებით სასამართლო კონტროლის განხორციელების წინააღმდეგ აღინიშნა, რომ, თითქოს, იგი სცდება სასამართლოს კომპეტენციას. ამ მოსაზრების თანახმად, სასამართლოს არ შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად აუცილებელი და ადეკვატურია ესა თუ ის საკანონმდებლო ღონისძიება, ვინაიდან მას არ შეუძლია იცოდეს, არსებობს თუ არა სხვა ეფექტური საშუალებები, რომლებიც „რეალიზებადია“ კანონმდებლისათვის; აღნიშნული ზედამხედველობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია ყველა მოსაწესრიგებელი ცხოვრებისეული სფერო, სიტუაცია და ასევე – კანონმდებლობის პოლიტიკური შესაძლებლობები. ეს მოსაზრება, რომლის მიზანია, უმთავრესად პრაქტიკული ასპექტების საფუძველზე მჭიდრო ფარგლები დაუნესოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს,

როგორც ზედამხედველის ფუნქციას, თეორიული თვალსაზრისით ეყრდნობა იდეას, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ამგვარი ფართო ზედამხედველობითი უფლებამოსილების განხორციელებით იჭრება კანონმდებლის სფეროში და ამით არღვევს სახელმწიფო ძალაუფლების დაყოფის პრინციპს.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება ამ მოსაზრებას.

სასამართლოს აკისრია კანონმდებლის წინაშე ძირითადი უფლებების დაცვის ფუნქცია. თუ რომელიმე ძირითადი უფლების განმარტება კანონმდებელს უწესებს ფარგლებს, მაშინ სასამართლოს უნდა შეეძლოს ამ ფარგლების დაცვის კონტროლი; მას არა აქვს უფლება, უარი თქვას აღნიშნული ამოცანის შესრულებაზე, თუ არ სურს ძირითად უფლებათა პრაქტიკული გაუფასურება და მისთვის გერმანიის ძირითადი კანონით მინიჭებული ფუნქციისათვის მთავარი აზრისა და დანიშნულების დაკარგვა.

ამ მიმართებით ხშირად გაცხადებული მოთხოვნა, რომ კანონმდებელს უნდა შეეძლოს არჩევნის გაკეთება რამდენიმე თანაბრად ადეკვატურ საშუალებას შორის, სცდება და ვერ პასუხობს მოცემული პრობლემების არსს. მოთხოვნა გამომდინარეობს ისეთი ძირითადი უფლების შემთხვევიდან, რომელიც, თავის მხრივ, არ მოიცავს დაცვის სფეროების საფეხურებრივ სისტემას (იხ: BVerfGE 2, 266). ასეთ შემთხვევებში კანონმდებელი (გარკვეულ ფარგლებში) თავისუფალია, გააკეთოს არჩევანი რამდენიმე თანაბარ საშუალებას შორის, ვინაიდან ყველა ეს საშუალება ერთნაირად ეება ერთი ძირითადი უფლების ერთიან არსს და არა – დაცვის სხვადასხვა საფეხურზე „განლაგებულ“ არსს.

მაგრამ, როდესაც საუბარია ისეთ ძირითად უფლებაზე, რომელიც თავის წიაღში შეიცავს ძლიერ და ნაკლებად ძლიერ დაცვასდაქვემდებარებულ სფეროებს, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადამოწმება, განთავსებულია თუ არა ამა თუ იმ ნორმის წინაპირობები იმ საფეხურზე, სადაც ყველაზე ძლიერია თავისუფლების დამცავი მექანიზმი. მაშასადამე, შესაძლებელი უნდა იყოს იმის შემოწმება, იქნებოდა თუ არა საკმარისი საკანონმდებლო ზომების გატარება წინა საფეხურებზე ანუ, იყო თუ არა „აუცილებელი და გარდაუვალი“ განხორციელებული ჩარევა. თუ კანონმდებელს აქაც მიეცემთ სრულ თავისუფლებას, გააკეთოს არჩევანი ისეთ „თანაბრად ადეკვატურ საშუალებებს შორის“, რომლებიც განეკუთვნება სხვადასხვა საფეხურს, ამას შესაძლებელია მოჰყვეს ის, რომ უმთავრესად გამოყენებულ იქნეს ძირითადი უფლების ყველაზე მეტად შემზღუდველი საშუალება, ვინაიდან ასეთი ზომები, თავიანთი მყისიერი ეფექტურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით შედეგიანია დასახული მიზნების სწრაფად განხორციელების თვალსაზრისით. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის შედეგი იქნებოდა ასევე ის, რომ ასეთი საშუალებები განხორციელდებოდა ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, რითაც აღარ იქნებოდა დაცული გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფილი თავისუფლება...

არ არის სადავო ის გარემოება, რომ სახალხო ჯანმრთელობა წარმოადგენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სიკეთეს, რომლის დაცვის მიზნითაც შესაძლებელია დასაბუთდეს და გამართლდეს ცალკეული ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა; ასევე უდავოა, რომ მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა სათანადო დონეზე აუცილებელი და გარდაუვალია სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად...

## VI

მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე განმარტებების მიხედვით, კანონმდებელმა სათანადოდ და რეალურად ვერ ასახა აფთიაქთა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით აღქმული საფრთხე, რომ ამის საფუძველზე გამართლებულიყო პროფესიის არჩევის

თავისუფლების ყველაზე მწვავე შეზღუდვა, კერძოდ, კვალიფიციურ კანდიდატთა გამორიცხვა, რითაც მათ ხელი შეეძალათ აფთიაქარის პროფესიით მუშაობაში...

სააფთიაქო კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, როგორც განიმარტა, ენი-ნალმდეგება კონსტიტუციას. აქედან გამომდინარე, ობერბაიერნის მთავრობის გა-დანყევტილებები, რომლებიც ეყრდნობა აღნიშნულ ნორმას, არღვევს გერმანიის ძი-რითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოსარჩელის ძირითად უფლებას, რაც ინვევს მათ ბათილად ცნობას. სასამართლოს გადანყე-ტილებასი უნდა დაფიქსირდეს სააფთიაქო კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (როგორც მისი პირველი წინადადების, ასევე პირველ წინადადებასთან წინააღმდე-გობასი მყოფი მე-2 წინადადების ჩათვლით) ბათილობა (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტი და მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება).

## **E – 39, 210**

### **პირველი სენატის 1975 წლის 19 მარტის განჩინება - 1 BvL 20, 21, 22, 23, 24173 -**

ეკონომიკური დასაქმების სფეროში პროფესიის განხორციელებასთან დაკავში-რებული ნორმების შემონებისას გასათვალისწინებელია, რომ გერმანიის ძირითა-დი კანონი კანონმდებელს ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნებისა და მათ განსახორ-ციელებლად შესაბამისი საშუალებების განსაზღვრისათვის უქმნის შეფასებისა და მოქმედების ასპარეზს (იხ: BVerfGE 4, 7 [15]). კანონმდებელს ასევე უფლება აქვს, ეკონომიკურ-პოლიტიკური ზომების გატარებით კორექტივი შეიტანოს „ძალთა თა-ვისუფალ თამაშში“. კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონება, უპირველესად, მდგომარეობს იმაში, იყო თუ არა კანონმდებელი კანონის მიღების მომენტში სათა-ნადოდ და სწორად ინფორმირებული არსებული ფაქტობრივი ვითარების თაობაზე. კანონმდებელს უფრო ფართო ასპარეზი აქვს, შეაფასოს საზოგადოებისათვის მო-სალოდნელი საფრთხეები. მაშინაც, როდესაც საკანონმდებლო საქმიანობისას შესა-ძლოა, ნაადრევი იყოს საყოველთაო სიკეთის საფრთხეზე საუბარი, კანონმდებელს არ ეკრძალება, მიიღოს პრევენციული ხასიათის ზომები, თუ მისი წარმოდგენები, მისივე უმოქმედობის შემთხვევაში სავარაუდო საფრთხესთან დაკავშირებით, იმდე-ნად არ ეწინააღმდეგება ეკონომიკურ კანონებს ან პრაქტიკულ გამოცდილებას, რომ შეუძლებელია მათ საფუძველზე ზემოთ აღნიშნული პრევენციული ღონისძიებების გატარება (იხ: BVerfGE 4, 7 [15]; 38, 61 [87]). აქ გადამწყვეტია მხოლოდ ის გარე-მოებები და ვითარება, რომელთა შეფასებაც კანონმდებელს შეეძლო კანონის მომ-ზადების ეტაპზე (იხ: BVerfGE 25, 1 [12]). იმ შემთხვევაში, თუ მან გამოიყენა მის ხელთ არსებული ინფორმაციის მოპოვების საშუალებები, მისაღებია ეკონომიკური განვითარების თაობაზე დაშვებული ცდომილებები.

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შემონების ფარგლებში უნდა გა-ატაროს საზოგადოების ინტერესები და ასევე, დაიცვას საამისოდ საჭიროდ მიჩნეუ-ლი ღონისძიებებისა და ცალკეული ადამიანის თავისუფალ მოღვაწეობასთან დაკა-ვირებული ძირითადი უფლების ურთიერთშეფარდება...

გაერთიანების შეზღუდვა ასევე წარმოადგენს საკანონმდებლო მიზნების განხორციელების ადეკვატურ და აუცილებელ საშუალებას. საშუალება მაშინ

არის ადეკვატური, როდესაც მისი დახმარებით შესაძლებელია შედეგის მიღწევა. საშუალება აუცილებელია, როდესაც კანონმდებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, აერჩია იმავე ეფექტურობის მქონე, მაგრამ ძირითადი უფლების ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიება (იხ: BVerfGE 30, 292 [316]). ამა თუ იმ ღონისძიების საჭიროების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისათვის გადამწყვეტია, ჰქონდა თუ არა კანონმდებელს იმის უფლება, ევარაუდა, რომ გატარებული ღონისძიებით შესაძლებელი იქნებოდა მისი წარმოდგენების შესრულება. ფედერალურ სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარყოს ის, რომ კანონმდებელმა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება შეაფასა სწორად და დასაბუთებულად, როდესაც, კანონის გამოცემის მომენტში არსებული შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების საშუალებების საფუძველზე, შესაძლებელი იყო კანონმდებლის მიერ შერჩეული ღონისძიების არამიზნობრიობისა და შეუსაბამობის დადგენა. აქედან გამომდინარე, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული აღნიშნული პრინციპების გამოყენების საფუძველზე ძალზე იშვიათად და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი, ობიექტური მიზანშეწონილობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, საკანონმდებლო ღონისძიების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დადგენა (იხ: BVerfGE 30, 250 [263]). შესაბამისი ღონისძიების აუცილებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კანონმდებელს ისეთი ღონისძიებების შერჩევისას და ტექნიკური უზრუნველყოფისას, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური წყობილებისა და მართვისათვის, მინიჭებული აქვს საკმაოდ ფართო ასპარეზი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალსახად დგინდება, რომ მოცემულია სხვა, ამა თუ იმ უფლებისა თუ ინტერესის ნაკლებად ხელმყოფი საშუალება, კანონის ნორმა ჩაითვლება გადაჭარბებული ტვირთის დამკისრებლად და აქედან გამომდინარე – არაკონსტიტუციურად (იხ: BVerfGE 37, 1 [21]).

## **E – 11, 30**

სადაზღვევო სისტემაში დასაქმებულ მედიცინის მუშაკთა საქმიანობის მომწესრიგებელი მოქმედი ნორმები, რომელთა მიხედვითაც, შესაბამისი მოთხოვნების შემთხვევაში იქმნება საექიმო ვაკანსია, რომელსაც იკავებს მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, იმდენად ზღუდავს სხვა ექიმების მიერ საკუთარი პროფესიის განხორციელების უფლებას, რომ აღნიშნული ნორმა თავისი ინტენსივობით მეტად ახლოა პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვასთან. შესაბამისი მასშტაბების გათვალისწინებით (იხ: BVerfGE 7, 377 [407]), აღნიშნული ნორმა არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს.

### **პირველი სენატის 1960 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება**

- 1 BvR 216/51 -

თუ სადაზღვევო სისტემაში საქმიანობა „თავისუფალი ექიმის“ პროფესიის განხორციელების მხოლოდ ერთი განსაკუთრებული სახეობაა ანუ, თუ სადაზღვევო სისტემაში მიღება იმავდროულად არ წარმოადგენს „სადაზღვევო სისტემაში დასაქმებული ექიმის“ განსაკუთრებულ პროფესიაში მიღებას, მაშინ საქმე ეხება ნორმას



„თავისუფალი ექიმის“, როგორც ერთიანი პროფესიის, შესახებ. იგი უნდა განიმარტოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1958 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების (BVerfGE 7, 377) გაგებით.

აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემომნებისას გასათვალისწინებელია, რომ პროფესიის აღსრულებასთან დაკავშირებულ ნორმათა ფარგლებში მოცემულია შესაძლებლობათა ფართო არჩევანი, რომელიც შეესაბამება კანონმდებლის მიერ საკითხის მონესრიგების თავისუფლების ამა თუ იმ ხარისხს. თუმცა, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმების მიმართ უფრო თავისუფალია, ვიდრე – დასაშვებობის საკითხების მონესრიგებისას. მაგრამ დიფერენციაციის ზოგადი პრინციპი (იხ: BVerfGE 7, 377 [403]) მოქმედებს ასევე პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმების მიმართ. კანონმდებელი შინაარსობრივად მით უფრო თავისუფალია, რაც უფრო მეტად ეხება მხოლოდ პროფესიის განხორციელების საკითხებს, ხოლო მისი თავისუფლება მით უფრო მეტად იზღუდება, რაც უფრო მეტად ეხება პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლებას. ასეთ შემთხვევებშიც სავალდებულოა ცალკეული ადამიანის უფლების შეზღუდვის მასშტაბისა და საყოველთაო აუცილებლობიდან გამომდინარე ნორმის საჭიროების ურთიერთშეფარდება. რაც უფრო მეტად იზღუდება პროფესიის არჩევის თავისუფლება, მით უფრო მკაცრია მოთხოვნები საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც უნდა გამართლდეს ადამიანის თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა.

იმ შემთხვევაში, თუ ექიმი სადაზღვევო სისტემაში დაშვების გარეშე, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმატებით ვერ განახორციელებს თავის პროფესიას, მაშინ მოქმედი ნორმის შედეგი, რომელიც პირის მიღებას დამოკიდებულს ხდის რალაც სქემატურ რაოდენობრივ შესაბამისობასა და მოთხოვნილებაზე, რომელზეც თვითონ კანდიდატს რაიმე გავლენა არა აქვს, შინაარსობრივად უახლოვდება „დასაშვებობის ობიექტურ კრიტერიუმებს“ (იხ: BVerfGE 7, 377 [406]). იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ გამოწვეული და განპირობებულია საზოგადოების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესებით, რომელთა დაცვაც შეუძლებელია სხვა საშუალებებით. ორმხრივ ინტერესთა ურთიერთშეფარდებისას გადამწყვეტია იმის შეფასების შედეგები, გადაჭარბებულია თუ არა პროფესიის თავისუფლების შეზღუდვა, ვინაიდან იგი არ არის განპირობებული და აუცილებელი დიდი და ფაქტობრივად გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

გერმანიის ფედერალური მთავრობა და ლანდების მთავრობები აცხადებენ, რომ ყველა რეგისტრირებული ექიმის დაშვება სადაზღვევო სისტემაში იმდენად დასწევდა აღნიშნულ სისტემაში უკვე დასაქმებული ექიმების შემოსავალს, რომ მათი უმრავლესობა ველარ შეძლებდა ამ შემოსავლით არსებობას. ყოველივე ეს გამოიწვევდა ექიმების მწვავე კონკურენციულ ბრძოლას, პროფესიული მორალის დაქვეითებას, მრავალფეროვანი საქმიანობის განხორციელებას და ასევე, რაც შეიძლება მეტი მენდიკამენტების გამოწერისა და ბიულეტენების გაფორმებისადმი მომეტებულ მზაობას. სადაზღვევო სისტემაში დასაქმებულ ექიმთა ეკონომიკური შეჭირვება წარმოშობდა იმდენად ძლიერ პოლიტიკურ ზენოლას, რომ აუცილებელი გახდებოდა სადაზღვევო სისტემაში დასაქმებულ ექიმთა ანაზღაურებისა და, შესაბამისად, სადაზღვევო პრემიის ზრდა. საბოლოო ჯამში ყველა რეგისტრირებული ექიმის დაშვება სადაზღვევო სისტემაში იმდენად „დაანეებოდა“ საზოგადოებას, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა მისი არსებობის საკითხი.

დასკვნა: მოქმედი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი მოთხოვნებისა და ვაკანსიების რაოდენობის არსებობას, ერთი ვაკანტური ადგილის გამოცხადებასა და ერთი კანდიდატის მიღებას, ინვეეს სხვა დანარჩენი ექიმების მიერ თავიანთი პროფესიის თავისუფლად განხორციელების უფლებაში უხეშ ჩარევას. მეორე მხარეს კი არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რომ მწვავე და სავალდებულო საზოგადოებრივი ინტერესები, რომელთა განხორციელება და დაცვა არ არის შესაძლებელი სხვა საშუალებებით, მოითხოვს სწორედ ასეთ ნორმას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს.

## **E – 13. 97**

1. ხელოსნური საქმიანობისათვის სავალდებულო მონაწილის შინაარსი შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.
2. დასაშვებობის სუბიექტური წინაპირობები გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სიკეთეების დაცვას. ამასთან, დაცვას შესაძლებელია საჭიროებდეს არა მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული სიკეთეები, არამედ – ისეთი ღირებულებებიც, რომლებიც გამომდინარეობს კანონმდებლის განსაკუთრებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიზნებიდან, მაგალითად, როგორცაა ხელოსნის პროფესიული დონისა და ფუნქციის შენარჩუნება და მთლიანად სამრეწველო ეკონომიკის უზრუნველყოფა მომავალი თაობით.
3. კანონმდებელი თავისუფალია პროფესიების, განხრების დანესებასა და ამით აღნიშნულ სფეროში პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვაში. ამასთან, მას აქვს სტანდარტიზაციისა და უნიფიცირების უფლება, რის ფარგლებშიც ვალდებულია, მხოლოდ გარკვეულნიღად გაითვალისწინოს სპეციალიზაციის ტენდენციები.
4. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებს შეესაბამება ის გარემოება, რომ ხელოსანთა საქმიანობის შესახებ კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისი ნებართვის გაცემას ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუსაბამოდ იზღუდება პირის უფლება მისთვის შესაბამისი მონაწილის წარდგენის, კერძოდ, საოსტატო გამოცდების ჩაბარების ვალდებულებაზე მითითებით.

**პირველი სენატის 1961 წლის 17 ივლისის განჩინება**

- 1 BvL 44/55 -

ხელოსანთა საქმიანობის 1953 წლის 17 სექტემბრის დებულების პირველი მუხლის, მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-8 მუხლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონეშების საქმეზე

ხელოსანთა საქმიანობის დებულების პირველი მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი რენვა, როგორც მუდმივი საქმიანობა, ნებადართულია იმ პირებისათვის, რომლებიც ირიცხებიან სარენაო მწარმოებელთა სიაში.

ხელოსანთა საქმიანობის დებულების პირველი და მე-7 მუხლები შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

## I

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ სააფთიაქო საქმიანობასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებაში (იხ: BVerfGE 7, 377) ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას. აღნიშნულის მიხედვით თითოეულს უფლება აქვს, „პროფესიის“ სახით განახორციელოს ყველა ის საქმიანობა, რისთვისაც მას თავი მიაჩნია შესაფერისად; მას უნდა შეეძლოს, თავისუფლად აირჩიოს საქმიანობა, რომლისთვისაც თავს „მონოდებულად“ გრძნობს და ცხოვრების შემოსავლის წყაროდ გაიხადოს იგი. აქედან, აღნიშნული ძირითადი უფლება არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული თავისუფალი პიროვნული განვითარების უფრო მასშტაბური უფლების განსაკუთრებული სახეობა. თუმცა, ყველა ეს უფლება პარმონიაში უნდა იყოს საზოგადოების ინტერესებთან, რომლებიც შესაძლოა, უპირისპირდებოდეს ამ უფლების შეზღუდვად განხორციელებას. ასეთი შესაძლებლობა გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებაში კანონმდებლისათვის გათვალისწინებული ნორმის უფლებამოსილებიდან, რომლის ფარგლებიც სააფთიაქო საქმიანობასთან დაკავშირებული გადანყვეტილების შემთხვევაში გამოვლინდა თვითონ ძირითადი უფლების მიზნიდან. აღნიშნულ გადანყვეტილებაში განვითარებული ე.წ. „საფეხურების თეორია“ არის პროფესიის თავისუფლებაში საყოველთაო კეთილდღეობის დაცვით განპირობებული ჩარევისას თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გამოყენების შედეგი. თეორია გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ გერმანიის ძირითადი კანონის სისტემაში თავისუფალი პიროვნება წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას, რომ ამ ღირებულებას პროფესიის არჩევისას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური თავისუფლება, რომელიც შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გარდაუვალია საყოველთაო კეთილდღეობისათვის. თავისუფლების აღნიშნული პრეზუმფციიდან გამომდინარეობს დიფერენციაცია პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნორმებსა და ისეთ ნორმებს შორის, რომლებიც ზღუდავს პროფესიის არჩევის თავისუფლებას, სადაც, თავის მხრივ, არსებობს განსხვავება პროფესიის დაუფლების სუბიექტურ და ობიექტურ კრიტერიუმებს შორის. აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარეობს ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც, დაშვებული და გამართლებულია შეზღუდვები მხოლოდ იმ საფეხურზე, სადაც, სხვა საფეხურებთან შედარებით, მინიმალურად იზღუდება ცალკეული ადამიანის პროფესიის თავისუფლება.

პროფესიის თავისუფლების კონკრეტული, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად სავალდებულოა საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის დაპირისპირებული ინტერესების ურთიერთმიუყარდება. ამასთან, ზოგადად, უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს თავისუფლების უფლებას; თუმცა, მოსამართლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება, არ გაითვალისწინოს კანონმდებლის მოსაზრებები და შეფასებები, რომლებმაც, კანონმდებლის აზრით, წარმოქმნა შესაბამისი შეზღუდვის აუცილებლობა, როდესაც აღნიშნული მოსაზრებები და განმარტებები არ არის მყარი გერმანიის ძირითადი კანონის მასშტაბებთან მიმართებით.

## II

გადანყვეტილება ხელოსანთა საქმიანობის დებულების დანართში გათვალისწინებული საქმიანობის რენვის სანარმოს ფორმით განხორციელებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს პროფესიის არჩევის აქტს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შეცნობით...

## III

შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის სავალდებულობა არის სუბიექტური კრიტერიუმი: ამით ხელოსნის პროფესიის განხორციელება დამოკიდებული ხდება სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ქონაზე. ამ კვალიფიკაციის შეძენა ცალკეულ ადამიანს შეუძლია შესაბამისი განათლების მიღების გზით, რომელიც სრულდება განსაკუთრებული გამოცდით.

პროფესიის დაუფლების სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვას, ვინაიდან, პრინციპული თვალსაზრისით, აღნიშნული წინაპირობებიც ზღუდავს ცალკეული ადამიანის თავისუფლებას, როდესაც ითვალისწინებს პირის მიერ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთის წარდგენას, რომლის მიხედვითაც, მან გაიარა გარკვეული ხანგრძლივობის სწავლების კურსი და ჩააბარა განსაკუთრებული გამოცდა.

აქ დაცვა ვრცელდება არა მხოლოდ „აბსოლუტურ“ ანუ საყოველთაოდ აღიარებულ და ყოველგვარი პოლიტიკისაგან დამოუკიდებელ, საყოველთაო ღირებულებებზე (მაგალითად, როგორცაა სახალხო ჯანმრთელობა). კანონმდებელს პროფესიასთან დაკავშირებული ნორმების საფუძვლად შეუძლია მიიჩნიოს ისეთი საზოგადოებრივი ინტერესებიც, რომლებიც არ არის წინასწარ „ფორმულირებული“, მაგრამ გამომდინარეობს მისი ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებიდან და წარმოდგენებიდან; ანუ ეს არის ისეთი ინტერესები, რომლებსაც კანონმდებელი ანიჭებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების რანგს. ასეთ შემთხვევებში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ მიზეზით ვერ „დაგმობს“ პროფესიასთან დაკავშირებულ ნორმებს, რომ სადავოა ის პოლიტიკური მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ. ამ მხრივ სასამართლო შეზღუდულია იმის შემომწმობით, წარმოადგენს თუ არა ის საზოგადოებრივი ინტერესები, რომელთა დაცვასაც ემსახურება ასეთი ხასიათის ნორმა, იმდენად მაღალი რანგის საზოგადოებრივ ფასეულობას, რომ გამართლებული იყოს ამ საფუძვლით პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვა. ამასთან, კანონმდებლის მოსაზრებები, სასამართლოს დასკვნით, შესაძლებელია მიუღებელი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აშკარად მცდარია ან შეუსაბამოა ძირითადი კანონით დამკვიდრებულ ღირებულებათა სისტემასთან.

## IV

ხელოსანთა საქმიანობის დებულების ნორმა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შემონშების ობიექტია, ემყარება შემდეგ პრინციპულ მოსაზრებას: იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია საზოგადოების დაინტერესება ხელოსნობის დონის, მისი ფუნქციონირების შენარჩუნებისა და მთლიანად – სარენაო მეურნეობაში დასაქმებული მომავალი თაობის მიმართ, რომ არ შეიძლება ხელოსნის პროფესია ნებისმიერი პირისათვის თავისუფლად იყოს ხელმისაწვდომი. ხელოსანთა საქმიანობის დებულების ეს პრინციპული მოსაზრება არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

1. ფედერალურმა კანონმდებელმა ხელოსნის საქმიანობა და ხელოსნები მიიჩნია სარენაო ეკონომიკის ერთ-ერთ არსებით სახალხო-სამეურნეო განმტობად და საშუალო ფენის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ნაწილად. ლანდების კონსტიტუციების შესაბამისად, რომელთა უმრავლესობაც სარენაო საქმიანობის დაცვასა და ხელშეწყობას მიიჩნევს ეკონომიკური პროგრამის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად, კანონმდებელს სურდა აღნიშნული სექტორის მთლიანად დაცვა და ხელშეწყობა; იმავდროულად, მისი სურვილი იყო ეკონომიკის ამ დარგისათვის მომავალი თაობის მომზადების უზრუნველყოფა. კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის შემოღება კანონმდებელმა მიიჩნია აღნიშნული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად.

... კანონმდებლისათვის არ იყო არსებითი ხელოსნის პროფესიის არასათანადოდ განხორციელებიდან გამომდინარე საფრთხის (მაგალითად: მშენებლობის, ავტოშეკეთებისა და ელექტროინსტალაციების სექტორში) თავიდან აცილება; მისთვის არსებითი იყო ინტერესი – შენარჩუნდეს მთლიანად ხელსაქმის დონე და მისი ფუნქციონირება...

3. მოსაზრებები, რომლებითაც კანონმდებელი ასაბუთებს საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს სარენაო საქმიანობის შენარჩუნებისა და განვითარებისადმი, არ სცდება ძირითადი კანონით დაშვებულ და კანონმდებლის უფლებამოსილებაში შემავალ ეკონომიკურ, სოციალურ, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფარგლებს. აღნიშნული არ ენიშნავს დასაბუთებას არც კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს და არც – მის განსაკუთრებულ ღირებულებებს. მეორე მხრივ კი, ეს მოსაზრებები შესაძლებელია დასაბუთდეს ჩვენი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების გამოცდილებისა და ფაქტების მეშვეობით...

## V

მაშასადამე, თუ კანონმდებელმა სარენაო საქმიანობის მაღალი დონის შენარჩუნება დასაბუთებულად მიიჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სიკეთედ, მაშინ სრულად უნდა იქნეს განხილული საკითხი: რამდენად ენიჭება მას პრიორიტეტი ცალკეული ადამიანის თავისუფლების მოთხოვნის მიმართ და თუ ენიჭება, ხომ არ გადააჭარბა ზღვარს დებულების ნორმამ ძირითადი უფლების შეზღუდვისას. პროფესიული თავისუფლების ძირითადი უფლების შინაარსის მიხედვით, თითოეულს პროფესიის არჩევისას უნდა მიენიჭოს იმდენი თავისუფლება, რამდენიც შესაძლებელია საზოგადოების კანონიერ ინტერესთა გათვალისწინებით. სხვაგვარად: პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას აუცილებლად მოითხოვს მნიშვნელოვანი საზოგადო ინტერესების დაცვა. სავალდებულოა ბალანსი საყოველთაო კეთილდღეობასა და მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვებს შორის. ეს ნიშნავს, რომ სააფთიაქო საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით, თავდაპირველად უნდა შემოწმდეს, იძულებული იყო თუ არა საერთოდ კანონმდებელი, მიზნის მისაღწევად შეეზღუდა პროფესიის არჩევის თავისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ შეზღუდულიყო პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმებით. ასევე, განხილულ უნდა იქნეს, თუ რამდენად ადეკვატური საშუალებაა მის მიერ შემოღებული კრიტერიუმის საყოველთაო ღირებულებების დასაცავად და გადაჭარბებით და შეუსაბამოდ ხომ არ ზღუდავს იგი ცალკეულ ადამიანს. ამ მიმართებით წარმოდგენილი კანონმდებლის მოსაზრებები ინტერესთა ურთიერთშეფარდებასთან დაკავშირებით არ შეიძლება დაგმოს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, თუ არ არის ამკარა, რომ ეს მოსაზრე-

ბები გამომდინარეობს მცდარი ფაქტობრივი წინაპირობებიდან ან ენინაალმდეგება კონსტიტუციას.

1. კანონმდებელს შეეძლო სახელოსნოების მფლობელთა საქმიანობისა და მათი პროფესიული დონის დაცვა და ხელშეწყობა მიენდო „ეკონომიკურ ძალთა თავისუფალი თამაშისათვის“ იმ მოსაზრებით, რომ თავისუფალი კონკურენცია თვითონ გარიყავდა არაფუნქციონირებად ან ნაკლებად უნარიან ძალებს და ასეთი „თვითგადარჩევის“ გზით გამოვლინდებოდნენ უნარიანი ძალები. აღნიშნული მიზნის გაყარება შესაძლებელი იქნებოდა პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმების შემოღებით, მაგალითად: ხელოსნის პროფესიის თავისუფალი ხელმისაწვდომობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა, რომ ოსტატის ნოდება მიენიჭებინათ შეზღუდულად, მხოლოდ სანარმოთა იმ მფლობელებისათვის, რომლებიც ჩააბარებდნენ შესაბამის საოსტატო გამოცდას. ამის შედეგად საზოგადოება მიიღებდა მინიშნებას ოსტატის ნანარმის ხარისხობრივ უპირატესობაზე. მომავალი თაობის აღზრდაც შეიძლებოდა ნარმართულიყო ოსტატთა ხელმძღვანელობით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი პატარა დიპლომის შემთხვევაში. ხელოსანთა ტექნიკური და ეკონომიკური გადამზადება, რასაც ხელოსანთა საქმიანობის დებულება ავალებს ხელოსანთა პალატასა და კორპორაციებს, შესაძლებელი იქნებოდა განვრცობილიყო სხვადასხვა და მრავალმხრივი ღონისძიებების საშუალებით.

თუ მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა საკმარისად არ მიიჩნია აღნიშნული შესაძლებლობები, ამას აქვს ლოგიკური საფუძველი. ყოველ შემთხვევაში ეს საფუძველი არ არის აშკარად მცდარი, ვინაიდან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმები და განსაკუთრებით „ეკონომიკურ ძალთა თამაში“ მოქმედებას იწყებს მაშინ, როდესაც პირი უკვე შეუდგება დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას. ეს ნორმები არ უზრუნველყოფს პროფესიაში არაკვალიფიციური ძალების შეჭრას. ხოლო სანამ ეს ძალები გამოიდევნებიან ან სათანადო პროფესიულ საფეხურზე ავლენ, შესაძლებელია მომხმარებლებსაც (უხარისხო შესრულებით) და ამ პროფესიის წარმომადგენლებსაც (წარმატებული სანარმოების ბლოკირებით, ხელის შეშლითა და, საერთოდ, ხელოსნის საქმიანობის იმიჯის დაქვეითებით) მიადგეთ მძიმე ზიანი. სწორედ ასეთი გართულებების თავიდან აცილება იყო კანონმდებლის მიზანი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ პროფესიის არჩევის ეტაპზე უნდა მიიღოს თავისუფლების შემზღუდველი ზომები, რათა თავიდანვე ხელი შეუშალოს პროფესიაში შეუფერებელი და არაპროფესიონალი ძალების მოსვლას, მაშინ შენინაალმდეგება გამორიცხებულია იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლის ღონისძიებები არ სცდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს და განსაკუთრებით – ითვალისწინებს თანაზომიერების პრინციპს.

2. ხელოსანთა შესახებ დებულება პროფესიის თავისუფალი განხორციელების სუბიექტურ კრიტერიუმად ითვალისწინებს პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის დამადასტურებელ მონმობას, რომელიც გაიცემა გარკვეული მოსამზადებელი კურსების გავლისა და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. აღნიშნული, მე-4 პუნქტში მოყვანილი განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, წარმოადგენს კანდიდატის პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. აქ სრული მოცულობით ვრცელდება სააფთიაქო საქმიანობასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებაში ჩამოყალიბებული განმარტებები (BVerfGE 7, 377 [406]), რომელთა მიხედვითაც, ამგვარი შეზღუდვები ლეგიტიმურია თვითონ საქმის შინაარსით. სახელოსნო საქმიანობა ითვალისწინებს შესაბამის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელთა შეძენაც შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური თეორიული და

პრაქტიკული განათლების მიღებით. ეს არის მხოლოდ თვითონ საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე კვალიფიკაციასთან დაკავშირებული წინაპირობების დაკონკრეტება, როდესაც კანონმდებელი დეტალურად განსაზღვრავს საჭირო ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს და მათი შეძენისა და დაუფლების ფორმას. თუ ასეთი პროფესია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ იმ პირისათვის, რომელმაც შეიძინა მისი სათანადოდ შესრულებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ამით კანდიდატს მოეთხოვება და ეკისრება მხოლოდ ის, რისი მოვალეობის შეგრძნებაც თვითონვე უნდა ჰქონდეს განვითარებული, თუ შერჩეულ პროფესიას პასუხისმგებლობით მოეკიდება. აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება ისეთი პროფესიის მიმართ, როგორცაა ხელოსნის პროფესია, სადაც სანარმოს მფლობელი, ძირითადად, თვითონ ნარმართავს საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მის პიროვნულ კვალიფიკაციასა და უნარ-ჩვევებს. ნორმა, რომელიც მისგან ითხოვს მხოლოდ აღნიშნული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მონმობას, იმდენად მორგებულია ამ პროფესიათა განსაკუთრებულ მოთხოვნილებებსა და თავისებურებებზე, რომ მასთან დაკავშირებულ თავისუფლების შეზღუდვას ცალკეული ადამიანი არც აღიქვამს შეზღუდვად, ხოლო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან შედარებით აღნიშნული ჩარევა ნაკლებად მნიშვნელოვანია...

4. თავისუფლების შეუსაბამო შეზღუდვა, შესაძლოა, მოცემული იყოს დებულების დანართის სახით, სადაც პროფესიის არჩევის თავისუფლება შეზღუდულია ხელოსნის საქმიანობის მხოლოდ აქ განსაზღვრული განშტოებებით. ცალკეულ ადამიანს ამით არა აქვს შესაძლებლობა, პროფესიად აირჩიოს აღნიშნულ დანართში გათვალისწინებული დარგის ნაწილი და თუნდაც ამ გზით შეიმციროს შესაბამისი სწავლადანათლების ხანგრძლივობა და ინტენსიურობა. მას, ვისაც სურს სამკერვალო ან მექანიკოსის საქმიანობის მხოლოდ ერთ ნაწილში სპეციალიზაცია, შეუძლია განაცხადოს, რომ სავალდებულო გათვალისწინებული განათლების პროგრამით, რომელიც სრულდება შესაბამისი გამოცდით, მას მეტი მოეთხოვება, ვიდრე – ეს მისი პროფესიისათვის არის საჭირო.

თუმცა, კანონი, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვერ მიიჩნევა არაკონსტიტუციურად. კანონმდებელს უფლება აქვს, სამართლებრივად დაადასტუროს გარკვეული პროფესიული დარგები, რაც აღიარებულია სააფთიაქო საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაშიც. იგი ამას სხვაგვარად ვერ მოახერხებს, თუ არ გააერთიანა რამდენიმე, ერთმანეთის მსგავსი საქმიანობა ერთ პროფესიაში. ის, თუ რამდენად საკმარისია კანონმდებლის მიერ განხორციელებული პროფესიის დარგობრივი დაყოფა, ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. ზოგადად, არ შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელს აქ რაიმე ასპარეზი უნდა ჰქონდეს; იგი ვალდებულია, განსაზღვროს ტიპოლოგიები და ამასთან, უფლება აქვს, გამოვიდეს საშუალო დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებიდან.

თუ აღნიშნული ნორმა მთლიანობაში არ ამახინჯებს შესაბამისი პროფესიის სფეროში ფაქტობრივად არსებულ, დამკვიდრებულ და გავრცელებულ ვითარებას, მაშინ მისაღებია ის მცირედი „გადაჭარბება“ კვალიფიკაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც ასევე მოცემულია ბევრ სახელმწიფო საგანმანათლებლო და საგამოცდო განაწესში. ამასთან, თავისუფლების აღნიშნული „არასაჭირო“ შეზღუდვა გარკვეულწილად კომპენსირებულია პროფესიული შანსების ზრდითა და სოციალური სტატუსის ამაღლებით...

## VI

ზოგადი თანასწორობის პრინციპი არ ირღვევა იმით, რომ იმ პროდუქციის ინდუსტრიული წარმოებისათვის, რომლის დამზადებაც შესაძლებელია ხელითაც, არ არის სავალდებულო კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონმობა.

თუ კანონმდებელი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობის სახით ითვალისწინებს სუბიექტურ კრიტერიუმებს, იგი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არ არის ვალდებული, პროფესიებს თანასწორად მიუდგეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ცალკეულ დარგებსა და სამუშაოებს შორის გარეგნული მსგავსება აღინიშნება. პირიქით, კანონმდებელს შეუძლია, პროფესიასთან დაკავშირებული ნორმების ფარგლებში, სხვადასხვა პროფესიულ სფეროთა განსაკუთრებული პირობებისა და მათი სოციალური სტრუქტურის მიხედვით, დიფერენცირება მოახდინოს ამ ნორმათა მოცულობისა და სახეობის გათვალისწინებით (BVerfGE 9, 338 [350]). აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ შეიძლება თანასწორობის ზოგადი პრინციპის დარღვევად იქნეს მიჩნეული ის გარემოება, რომ საქმიანობა, რომელიც მისი ინდუსტრიული განხორციელების შემთხვევაში გათავისუფლებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებისაგან, მისი ხელით შესრულების შემთხვევაში ითვალისწინებს აღნიშნული კვალიფიკაციის დადასტურების აუცილებლობას.

სახელოსნო საწარმო, ინდუსტრიული საწარმოსაგან განსხვავებით, პატარა მოცულობისაა. მისთვის დამახასიათებელია საწარმოს მესაკუთრის პირადი მონაწილეობა სახელოსნო საქმიანობაში; შესაბამისად, მისი პიროვნული კვალიფიკაცია გადამწყვეტია საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ინდუსტრიული საწარმოს მესაკუთრე პირადად არ მონაწილეობს პროდუქციის წარმოებაში, იგი შემოიფარგლება ძირითადად კომერციული ან ტექნიკური ხელმძღვანელობითა და მართვის ფუნქციით. ამგვარი სტრუქტურული სხვაობა ამართლებს იმ გარემოებას, რომ საარწაო საქმიანობის მხოლოდ უშუალო განხორციელება ექვემდებარებოდეს სამუშაოს შემსრულებელი პირის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონმობის წარდგენის ვალდებულებას.

## **E – 19. 330**

გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს არ შეესაბამება ნებისმიერი სახის საქონლით საცალო ვაჭრობის დაწყებისათვის (გარდა საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული საქონლისა) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონმობის მოთხოვნა.

### **პირველი სენატის 1965 წლის 14 დეკემბრის განჩინება - 1 BvL 14/60 -**

საცალო ვაჭრობისათვის სავალდებულოა ნებართვა (საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი), რომელიც საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით არ გაიცემა, როდესაც:

1. არც თვითონ მენარმე, არც მისი კანონიერი წარმომადგენელი და არც საწარმოს მართვის უფლებამოსილი პირი არ ფლობს შესაბამისი კვალიფიკაციის დამამონმებელ საბუთს;

2. არსებობს ფაქტები, რომელთა საფუძველზეც დგინდება პირველ პუნქტში გათვალისწინებულ პირთა მიერ საწარმოს მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ხარვეზი.



საცალო ვაჭრობის შესახებ კანონი საცალო ვაჭრობის ფარგლებში განასხვავებს შემდეგ ჯგუფებს:

- საცალო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით, საკვები პროდუქტების შესახებ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,
- საცალო ვაჭრობა მედიკამენტებითა და დამხმარე სამედიცინო საშუალებებით (გარდა მედიცინის სახელმწიფო მოხელეთა კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებებისა) და
- საცალო ვაჭრობა ყველა დანარჩენი სახის საქონლით (შემდეგში: ზოგადი საცალო ვაჭრობა).

საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით საცალო ვაჭრობისათვის საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, ზოგადი საცალო ვაჭრობისაგან განსხვავებით, მოითხოვს საქონლის განსაკუთრებულ ცოდნას. შესაბამისი კვალიფიკაციის მონმობა გაიცემა იმათზე, ვინც ვაჭრობის ნებისმიერ დარგში ჩააბარებს ვაჭრის თანაშემწის გამოცდას და ექნება იმავე სექტორში ორწლიანი მუშაობის გამოცდილება (საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი). აუცილებელი კვალიფიკაცია მოცემულად მიიჩნევა ასევე, როდესაც პირს აქვს, სულ მცირე, 5-წლიანი გამოცდილება ვაჭრობის სექტორში, აქედან 2 წელი კი ნამუშევარი აქვს მმართველ პოსტზე (საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). დაბოლოს, ისეთი კანდიდატებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, კანონი ითვალისწინებს მათი კვალიფიკაციის განსაკუთრებული საგამოცდო ნესით დამონმებას (საცალო ვაჭრობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი).

კანონი საცალო ვაჭრობის განხორციელების შესახებ, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, ანესრბებს არა პროფესიის განხორციელებას, არამედ – მის ხელმისაწვდომობას კანდიდატებისათვის. სათანადო კვალიფიკაციის ვალდებულება წარმოადგენს სუბიექტურ კრიტერიუმს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შეცნობით (იხ: BVerfGE 7, 377 [406]). ამით საცალო მოვაჭრის პროფესიის ხელმისაწვდომობა დამოკიდებული ხდება გარკვეულ ცოდნაზე, რომლის შეძენაც შესაძლებელია განსაკუთრებული კურსების გავლით და, როგორც წესი, შესაბამისი გამოცდის ჩაბარებით.

სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება გამართლებულია მხოლოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთის დაცვის მიზნითა და საფუძვლით. ეს კრიტერიუმები მტიკენეულად ზღუდავს პროფესიის არჩევის თავისუფლებას, ვინაიდან ისინი კანდიდატს არ აძლევს არჩეული პროფესიის განხორციელების შესაძლებლობას, სანამ იგი არ წარადგენს მონმობას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს გარკვეული ვადის განმავლობაში შემსწავლელი კურსების გავლასა და შესაბამისი გამოცდის ჩაბარებას (იხ: BVerfGE 13, 97 [107])...

მომხმარებლის, როგორც საცალო მოვაჭრის კლიენტის, დაცვა ჯანმრთელობის ან ეკონომიკური ზიანისაგან შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესად, რომელმაც შეიძლება გაამართლოს სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება. თუმცა, აღნიშნული მიზნისთვის შეუსაბამოა შერჩეული საშუალება.

საცალო მოვაჭრე საქონლის დისტრიბუციის მეშვეობით მონაწილეობს მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში. მისი სახალხო-სამეურნეო ფუნქციაა, მოიძიოს საქონელი, მოათავსოს სანაყობში და რეგულარულად მიანოდოს იგი კერძო მომხმარებელს. საქონლის გადამუშავება და დამუშავება („მანიპულაცია“) აქ უკანა პლანზე იწევს, ეს საქმიანობა უმთავრესად გადაიბარეს პროდუქციულმა და მსხვილმა სავაჭრო სანარ-

მოებმა; საცალო ვაჭრობა, ძირითადად, დაკავებულია გამოყენებისათვის მზა მოხმარების საქონლის გაყიდვით.

მომხმარებლის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, როდესაც საქმე აქვს არაკვალიფიციურ მოვაჭრესთან, რომელიც ვაჭრობს საკვები პროდუქტებით, შედიკამენტებითა და მსგავსი საქონლით. მაგრამ ასეთი საქონლით ვაჭრობაზე ვრცელდება განსაკუთრებული წესები, რომელთა შემონმებაც მოცემულ შემთხვევაში არ არის ინტერესის საგანი. ზოგადი საცალო ვაჭრობა კლიენტების ჯანმრთელობას, ძირითადად, არ უქმნის საფრთხეს. თუმცა, აღნიშნულისაგან განსხვავებით, არ არის გამოირიცხული ეკონომიკური საფრთხის არსებობის შესაძლებლობა, როცა, მაგალითად, საცალო მოვაჭრე შეიძენს დეფექტურ საქონელს, არ შეინახავს მას სათანადოდ ან კლიენტს არ გაუწევს საჭირო და საკმარის კონსულტაციას. ეს საფრთხე შესაძლებელია, გამოირიცხოს ან შემცირდეს, თუ საქონლით მოვაჭრეს თავისი სპეციფიკური სექტორისათვის მოეთხოვება სპეციალური კვალიფიკაცია. თუმცა, კანონი არ ითხოვს ასეთი კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობას, არამედ საკმარისად მიიჩნევს ზოგადად ვაჭრობის დარგში შეძენილ კვალიფიკაციას, რომელიც შესაძლოა, პირს გააჩნდეს სრულიად სხვა სექტორში მუშაობით.

ბ) ამკარაა, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ განსაზღვრულ კრიტერიუმთა შემოღება, პირველ რიგში, ემსახურება თვითონ პროფესიის წარმომადგენელთა ინტერესებს, პროფესიის ხარისხისა და ფუნქციონირების შენარჩუნებასა და სოციალურ სტატუსს. თუმცა, კანონმდებელმა ამ ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისას სათანადო ყურადღება არ მიაქცია ზღვარს, რომელსაც მას უწესებს თანაზომიერების პრინციპი...

აღნიშნული სცდება საჭიროების ფარგლებს, როდესაც კანონმდებელი ყველა საცალო მოვაჭრისაგან მოითხოვს საკმაოდ მაღალი დონის კვალიფიკაციას ვაჭრობის სფეროში, რაც გულისხმობს ერთი და იმავე განათლების მიღებასა და ერთი და იმავე გამოცდის ჩაბარებას; და ეს ყოველივე გათვალისწინებულია პროფესიის განხორციელების დანყების აუცილებელ წინაპირობად. თუ კანონმდებელი თვლის, რომ ვაჭრობის ცალკეულ სფეროში არსებული ვითარება მართლაც საჭიროებს ამგვარი კრიტერიუმების შემოღებას, მან ზედმიწევნით უნდა განმარტოს და დაასაბუთოს მოსალოდნელი საფრთხე. ასეთ შემთხვევებშიც კანონმდებელი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეცადოს, რომ არსებული საფრთხე აღმოფხვრას პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმებით. ხოლო პროფესიის არჩევის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გარანტირებულ თავისუფლებას არ შეესაბამება ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხის საფუძვლით პროფილაქტიკურად ავრცელებს საგრძნობ შეზღუდვებს მთელ პროფესიაზე.

ზრუნვა მთელი პროფესიის ხარისხის, მისი ფუნქციონირებისა და სოციალური სტატუსის შენარჩუნებისათვის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს სუბიექტურ კრიტერიუმთა გათვალისწინების გამამართლებელი საფუძველი. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული დაადასტურა ხელოსნის საქმიანობის ფარგლებში (BVerfGE 13, 97). ხელოსნის პროფესიის ფუნქციონირებისა და ხარისხის შენარჩუნება წარმოადგენს საზოგადოების დიდი დაინტერესების საგანს, ვინაიდან, პირველ რიგში, სწორედ ამ პროფესიის ფარგლებში ხდება სამრეწველო ეკონომიკის სხვა დარგებისათვის, განსაკუთრებით კი – ინდუსტრიული საწარმოებისათვის მომავალი თაობის მომზადება. შესაბამისად, ხელოსნის პროფესიის დაცვის მიზნით, კანონმდებელს უფლება აქვს, გასცდეს პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნორმებს და მოითხოვოს შედარებით უფრო მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი საოსტატო გამოცდის სახით. თუმ-

ცა, მსგავსი პირობები არ არის მოცემული საცალო ვაჭრობის დარგში, სადაც, ერთი მხრივ, არც საქონლის გადამუშავება ხდება და არც მისი დამუშავება. შესაბამისად, აქ მენარმის პირადი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის მიმართ საჭირო არ არის ასეთი მაღალი მოთხოვნების წაყენება. მეორე მხრივ კი, საცალო ვაჭრობა მოიცავს სხვადასხვა სახისა და მოცულობის სანარმოს, დაწყებული – საცალო სავაჭრო ავტომატებით და დამთავრებული – დიდი უნივერსალით. მაშასადამე, „საცალო ვაჭრობის“ შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საზოგადო ინტერესზე მონოდება სათანადოდ ვერ გაამართლებს ძირითად უფლებათა შეზღუდვებს. აღნიშნული პროფესიების მეტად განსხვავებული პოზიცია და ფუნქცია ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ხდება ასევე სამართლის განვითარების სფეროში. ხელოსნის პროფესიის ფარგლებში ძველ სამართლებრივ ტრადიციას წარმოადგენს კვალიფიკაციის მონმობა და საოსტატო გამოცდა, მაშინ, როდესაც საცალო ვაჭრობის სფერო ყოველთვის თავისუფალი იყო ყოველგვარი სამართლებრივი შეზღუდვებისაგან.

## **E – 53, 135**

**მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისაგან დაცვის სამართლის სფეროში ნორმასთან დაკავშირებული მოთხოვნების თაობაზე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით**

### **პირველი სენატის 1980 წლის 16 იანვრის განჩინება - 1 BvR 249/79 -**

კონსტიტუციური სარჩელის საგანია საკითხი: რამდენად შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს ისეთი საკვები პროდუქტის ბრუნვის აბსოლუტური აკრძალვა, რომელიც შესაძლებელია შეეშალოს შოკოლადში.

საერთო სასამართლოებში განხილული სარჩელის საგანი იყო სეზონური ტკბილეული პროდუქტები, მაგალითად, როგორცაა „თოვლის კაცისა“ და „სააღდგომო კურდღლის“ ტკბილი ფიგურები, რომლებიც დამზადებულია ჰაეროვანი ბრინჯისაგან, ხოლო „გლაზურისთვის“ გამოყენებულია სოიის ცხიმის, შაქრისა და კაკაოს ფხენილისაგან მომზადებული მასა.

კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებულია.

1. კაკაოს პროდუქციის შესახებ განანესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი იმდენად არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ წინადადებას, რამდენადაც იგი თავის ნორმებში დასახელებულ საკვებ პროდუქტებს უქვემდებარებს ბრუნვის აბსოლუტურ აკრძალვას.

აღნიშნული წესი ანესრიგებს პროფესიის განხორციელებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი ასეთი საკითხი წესრიგდება მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე. მაშასადამე, თუ რომელიმე პროფესიის განხორციელებას ანესრიგებს განანესი, მაშინ იგი უნდა გამომდინარეობდეს გერმანიის ძირითად კანონში გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან და თავისი შინაარსით უნდა იყოს ამ უფლებამოსილების შესატყვისი. მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იგი გამართლებული უნდა იყოს საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე გონი-

ვრული მიზეზებით, ხოლო შერჩეული საშუალებები კი უნდა იყოს ადეკვატური და აუცილებელი დასახული მიზნის მისაღწევად; ამასთან, ეს შეზღუდვა პირისათვის არ უნდა იყოს შეუსაბამო (იხ: BVerfGE 46, 120 [145]). კაკაოს პროდუქციის შესახებ განაწესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს აღნიშნულ ნინაპირობებს.

საკვებ და პირველადი მოხმარების პროდუქტთა შესახებ გერმანიის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება, რომელსაც ეყრდნობა ზემოთ აღნიშნული ნორმა, აკმაყოფილებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის პირველი და მე-2 ნინადადებების მოთხოვნებს...

თუმცა, ნორმა, რომელიც შეარჩია განაწესის ავტორმა, ეწინააღმდეგება აუცილებლობის პრინციპს და, შესაბამისად, არათანაზომიერია.

იმ საკითხის შემონგებისას, არის თუ არა პროფესიის განხორციელების მომწესრიგებელი ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა თანაზომიერი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის თავისუფალი ასპარეზი, რომელიც მინიჭებული აქვს კანონმდებელს და უფლებამოსილების მიკუთვნების შემთხვევაში - ასევე განაწესის ავტორსაც, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში. ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების განსაზღვრისას და მათი განხორციელებისას გერმანიის ძირითადი კანონი ითვალისწინებს შეფასებისა და მოქმედების თავისუფალ ასპარეზს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია „ძალთა თავისუფალი თამაშის“ კორექცია ისეთი ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ-პოლიტიკურ მართვასთან. შესაბამისად, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, კაკაოს პროდუქციის შესახებ განაწესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ მაშინ არის მიუღებელი, თუ გამოვლინდება, რომ მან გადააჭარბა ზემოთ აღნიშნული თავისუფალი ასპარეზის საკმაოდ ფართო მასშტაბს (იხ: BVerfGE 46, 246 [257]). ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს დადასტურებული ის გარემოება, რომ დასახული მიზნის მისაღწევად მოცემული იყო და არის ასევე სხვა, ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები (იხ: BVerfGE 39, 210 [231]). მოცემულ შემთხვევაში კი ეს ასეა.

საკვებ პროდუქტთა შესახებ სამართლებრივი ნორმების ამოცანაა, მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, თავიდან აიცილოს სხვადასხვა პროდუქტის ერთმანეთში არევა და უზრუნველყოს მომხმარებელთა დაცვა ჯანმრთელობისათვის სახიფათო მოვლენებისაგან, რაც საკმარისად მკაფიოდ არის გამოვლენილი საკვებ და პირველადი მოხმარების პროდუქტთა შესახებ გერმანიის კანონის მე-8 და მე-17 მუხლებში. კაკაოს პროდუქციის შესახებ განაწესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ემსახურება მხოლოდ მომხმარებელთა დაცვას ცდომილებისაგან. საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული დაცვა უდავოდ გონიერული მიზეზია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გამართლებული იყოს პროფესიის განხორციელების შეზღუდვა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ადეკვატურია არა მხოლოდ პროდუქტის შესატყვისის დახასიათების ვალდებულება, არამედ – ბრუნვის აკრძალვა. თუმცა, პროდუქტის ბრუნვიდან ამოღება ერთ-ერთი ყველაზე შემზღუდველი და მძაფრი საშუალებაა მომხმარებლის ცდომილებისა და პროდუქტთა ერთმანეთში არევისაგან დასაცავად. როგორც წესი, ასეთი საფრთხის თავიდან აცილება და დაძლევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მძაფრი საშუალებითაც, მაგალითად, როგორცაა პროდუქტის ზუსტი დასახელებისა და დახასიათების ვალდებულება. მართალია, მომხმარებლისათვის პროდუქტის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ხშირად განაპირობებს არა პროდუქტის დასახელებისა და დახასიათების ზედმინეწი შესწავლა, არამედ, უმეტესწილად, საქონლის ვიზუალური მხარე (იხ: BVerfGE 46, 246 [260]), მაგრამ ეს არ არის საკმა-

რისი, რომ „უყურადღებო“ მომხმარებლის დასაცავად აუცილებლად იქნეს მიჩნეული კაკოს პროდუქციის შესახებ განანესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახეობის საკვები პროდუქტის საყოველთაო აკრძალვა. აკრძალვა, რომლის საფუძველზეც კონკურენციის ფარგლებში პრივილეგია ენიჭება შოკოლადის ნაწარმს, გაუმართლებელია სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე. მართალია, რიგ შემთხვევებში (მაგალითად, რძის ნაწარმისა და მარგარინზე დამზადებული პროდუქციის ერთმანეთში არევის საშიშროებისას) სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი ფუნქციონირების შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელს აქვს უფლება, გაცდეს მომხმარებელთა დაცვის უშუალო მიზანს; მაგრამ წინამდებარე შემთხვევაში არ არსებობს ისეთი სამართლებრივი ინტერესი ანუ საფუძველი, რომელიც გაამართლებდა ან დაასაბუთებდა ისეთი შეზღუდვის აუცილებლობას, რომელიც სცდება მომხმარებლის დაცვას პროდუქტთა ერთმანეთში არევისაგან. აქედან გამომდინარე, საკითხი უნდა მოწესრიგდეს ისეთი საშუალებებით, რომლებიც აუცილებელია მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნის მისაღწევად კი საკმარისია პროდუქტის ზუსტი დასახელებისა და დახასიათების ვალდებულების გათვალისწინება.

## **E – 95, 173**

იმ საკითხის გამო, თუ რამდენად შეესაბამება ძირითად უფლებებს ვალდებულება, რომელიც გულისხმობს თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე მონევით გამონეულ შესაძლო საფრთხეზე მითითებას

### **მეორე სენატის 1997 წლის 22 იანვრის განჩინება - 2 BvR 1915/91 - საფუძვლები:**

კონსტიტუციური სარჩელები დაუსაბუთებელია.

## **II**

მომხმარებლის გაფრთხილების ვალდებულება ეხება მხოლოდ თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლებსა და მოვაჭრებს თავიანთი საქონლის მიმოქცევის და არა – აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესში მონაწილეობის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ეს ვალდებულება უნდა განიხილებოდეს და შემოწმდეს არა აზრის გამოხატვის თავისუფლების (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი), არამედ – პროფესიის თავისუფლების მასშტაბითა და კუთხით (გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი). მოსარჩელებს, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტზე (იხ: BVerfGE 30, 292 [312]; 50, 248 [256]). მათი პროფესიული პრეზენტაცია, პროდუქციის რეკლამის ჩათვლით, წარმოადგენს პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელსაც იცავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი (იხ: BVerfGE 85, 248 [256]; GRUR 1996, გვ. 899 [902]). სახელმწიფოს ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავს პროფესიულ საქმიანობას, წარმოადგენს ჩარევას პროფესიის განხორციელების თავისუფლებაში (იხ: BVerfGE 30, 292 [312]), თუმცა, არ აღინიშნება ძირითადი უფლების დარღვევა.

1. ა) აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი) ეკონომიკური რეკლამის ფარგლებში

იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს მოთხოვნის საფუძველი, როდესაც რეკლამა არის შემფასებელი, აზრის ჩამოყალიბებელი შინაარსის ან შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც ემსახურება აზრის ჩამოყალიბებას (იხ: BVerfGE 71, 162 [175]). მოცემულ შემთხვევაში ეს ასე არ არის. როდესაც თამბაქოს მწარმოებლებს ევალება სახელმწიფოსმიერი გაფრთხილებების გავრცელება, ამით სახელმწიფო ახორციელებს თავის მოთხოვნას წარმოებულ შეფუთვებზე, რითაც იგი თვითონ რეკლამას არ ზღუდავს. აქედან, სახელმწიფოს აღნიშნული აქტი ეხება არა მენარმეების მხრიდან აზრის ჩამოყალიბებასა და გამოხატვას, არამედ – მათ მიერ თავიანთი პროფესიის განხორციელებას.

ვითარება სხვაგვარი იქნებოდა, რომ არ იყოს აშკარა და მკაფიო, რომ აღნიშნული გაფრთხილებები არის სხვისი აზრის გამოხატულება და ეს მითითებები თავად მწარმოებლებს ენერებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი უფლების სუბიექტი იძულებული იქნებოდა სხვისი აზრი თავისი სახელით გაეცვლებინა, მაშინ იგი შეეხებოდა აზრის გამოხატვის თავისუფლებას (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი). თუ რეკლამის ადრესატს დარჩება შთაბეჭდილება, რომ თამბაქოს მწარმოებელი საკუთარი ინიციატივით ავრცელებს გაფრთხილებებს, მაშინ შემონების მასშტაბი იქნება აზრის გავრცელების თავისუფლება. მაგრამ თუ აღნიშნულისაგან განსხვავებით, აშკარაა, რომ თამბაქოს პროდუქციის შეფუთვებზე განთავსებული მოსაზრება სხვას ეკუთვნის, და თუ გაფრთხილებების გავრცელება წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის კომერციული მიმოქცევის ზოგად მოთხოვნას, მაშინ ეს ვალდებულება ანესრიგებს პროფესიის განხორციელებას.

ბ) ზემოთ აღნიშნული განმარტებებიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა აზრის გამოხატვის თავისუფლებას არ ეხება გასაჩივრებული ნორმა. გაფრთხილებების განთავსება პროდუქციაზე ემსახურება სხვისი აზრის გავრცელებას, ეხება ყველა სანარმოს, რომლებიც დაკავებულია სიგარეტის კომერციული მიმოქცევით და არ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ, თითქოს, სანარმოები საკუთარი ინიციატივით ავრცელებენ ასეთ განცხადებებს.

გაფრთხილებები უნდა შეფასდეს აშკარად სხვისი აზრის გამოხატულებად და გადმოცემად. მათი შინაარსის მიხედვით, ევროგაერთიანების ჯანდაცვის სამინისტროების აზრით, მოწვევა ინვესტ ავთვისებიან სიმსივნეებს, გულისა და სისხლძარღვების დაავადებებს...

2. აქედან გამომდინარე, მენარმეთა ვალდებულება გამაფრთხილებელი მითითებების პროდუქციაზე განთავსებასთან დაკავშირებით, ექვემდებარება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დაცვას.

ა) პროფესიის განხორციელების თავისუფლებაში ჩარევა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, საჭიროებს კანონიერ საფუძველს, რომელიც აკმაყოფილებს კონსტიტუციის მოთხოვნებს ძირითადი უფლებების შემზღვეველი კანონების მიმართ. კანონიერი საფუძველი მხოლოდ მაშინ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს, როდესაც იგი გამართლებული და დასაბუთებულია საყოველთაო კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკმარისი საფუძველით და ასევე, ითვალისწინებს თანაზომიერების პრინციპს ანუ, როდესაც შერჩეული საშუალება ადეკვატური და აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად და როდესაც ჩარევის სიმძიმისა და მისი გამამართლებელი საფუძველის მნიშვნელობის ურთიერთშეფარდებისას გამოვლინდება, რომ დაცულია ადეკვატურობის ზღვარი (იხ: BVerfGE 76, 196 [207]).

ბ) მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ზემოთ აღნიშნული წინაპირობები.

დადგენილება თამბაქოს პროდუქციის მარკირების შესახებ ამ შემთხვევაში იყენებს სახელმწიფოს ავტორიტეტს და, აქედან გამომდინარე, იმსახურებს განსაკუთრებულ სამართლებრივ ნდობას. სახელმწიფოს სუვერენული უფლებით ამგვარი სარგებლობა, რა თქმა უნდა, კონსტიტუციურია, ვინაიდან გაფრთხილების შინაარსი სრულად შეესაბამება მეცნიერების შედეგებს. ჯანმრთელობის საფრთხეზე მითითება შედის სუვერენულ ფუნქციებსა და ამოცანებში და აღნიშნული ღონისძიება აკმაყოფილებს პროფესიის განხორციელების თავისუფლების მოთხოვნებს.

თამბაქოს პროდუქციის მარკირების შესახებ დადგენილების სამართლებრივი საფუძველია საკეები და პირველადი მოხმარების პროდუქტების შესახებ გერმანიის კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

აა) გამაფრთხილებელი მითითებების გავრცელება ემსახურება მონევით გამონეული საფრთხეებისაგან დაცვას. საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ მონევა მავნებელია ჯანმრთელობისათვის.

ამასთან, მედიცინის დღევანდელი მონაცემების მიხედვით, დადგენილი და დადასტურებულია, რომ მონევა იწვევს ავთვისებიან სიმსივნეებს, გულისა და სისხლძარღვების ანუ სასიკვდილო დაავადებებს და საფრთხეს უქმნის არამწვეველი ადამიანების ჯანმრთელობასაც...

ბბ) ჯანმრთელობის აღნიშნულ საფრთხეებზე მითითება ნარმოადგენს სახელმწიფოს ლეგიტიმურ ამოცანას. სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკას აქვს უფლება, საზოგადოება გააფრთხილოს მედიცინის მიერ დამტკიცებულ მძიმე საფრთხეებთან დაკავშირებით და მომხმარებლებს გააგებინოს, რომ აქტიური მონევა ვნებს მწველს, ხოლო პასიური – ასევე სხვა ადამიანებსაც. სიტყვიერად გამოხატული გამაფრთხილებელი მითითებები მოუწოდებს ადრესატს, ჯანმრთელობის საკითხიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს შესაბამისი პროდუქციის ყიდვისას. მაშასადამე, სახელმწიფოს ეს საქმიანობა მიზნად ისახავს მოსახლეობის დაცვას ჯანმრთელობის საფრთხისაგან.

გგ) კანონმდებელს შეეძლო განხორციელებული ღონისძიება ადეკვატურად მიეჩნია სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მიზნებიდან გამომდინარეც. აღნიშნული ადეკვატურობის შეფასება სწორედ მისი პრეროგატივაა (იხ: BVerfGE 25, 1 [12, 17]; 30, 292 [317]). თუმცა, დღევანდელი მონაცემებით, ყველანაირი გამაფრთხილებელი მითითებების მიუხედავად, სიგარეტის მოხმარება მატულობს. 1994 წელს გერმანიაში სიგარეტის მოხმარება გაიზარდა 3%-ით და მიაღწია 131,1 მილიარდ სიგარეტს (იხ: პარენბერგის ჩვენი დროების ლექსიკონი [Harenberg: Lexikon der Gegenwart], 1996, 1995; საძიებელი სიტყვა: მონევა). მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონმდებლის ვარაუდი, რომ გამაფრთხილებელი მითითებები ხელს შეუშლის სიგარეტის მოხმარების ზრდას, სავსებით კონსტიტუციურია. აღნიშნული მითითებებით შესაძლებელია იმის მიღწევა, რომ მომხმარებელმა აღარ მოიხმაროს თამბაქო გაუაზრებლად და დაუფიქრებლად.

გამაფრთხილებელი მითითებების კონკრეტული ფორმულირებაც აკმაყოფილებს ადეკვატურობის მოთხოვნებს. განცხადებები მონევასა და სიმსივნეების, ასევე სხვა დაავადებების გამომწვევ მიზეზებსა და სხვა პირთა ჯანმრთელობის დაზიანებას შორის კაუზალური კავშირის შესახებ სრულად შეესაბამება მეცნიერულ მონაცემებსა და კვლევის შედეგებს. მითითებებიდან არ გამომდინარეობს ის, რომ მონევა სხვადასხვა დაავადების გამომწვევი ერთადერთი მიზეზია და რომ არამწვევლები დაცულნი არიან ზემოთ აღნიშნული დაავადებების რისკისაგან; არამედ ეს გაფრთხილებები მათში გამოყენებული ცნების – „იწვევს“ ზოგადი გაგებით მიანიშნებს ტიპურ

და განზოგადებულ კაუზალურ კავშირზე მოწვევასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის. გაფრთხილების მეშვეობით ადამიანისთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ მოწვევისათვის თავის დანებების შემთხვევაში ქრება ჯანმრთელობის გაუარესების მნიშვნელოვანი რისკიც.

დღ) გაფრთხილება აუცილებელიც არის. მოწვევისაგან გამონეული საფრთხეები-საგან დაცვის უფრო უმტიკინეულო შესაძლებლობა არც არსად არის განმარტებული და არც – თვალსაჩინო...

აღნიშნული გაფრთხილების გარდა, სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმირების ფარგლებში შესაძლებელია, განხორციელებულიყო რეკლამის აკრძალვა, თამბაქოს დაუფიქრებელი მოწვევის შეზღუდვის მიზნით. ასევე, შესაძლებელია დამატებითი ვალდებულებების გათვალისწინება (მაგალითად, თამბაქოს ნაწარმის ახალგაზრდებზე მიყიდვის აკრძალვა). აღნიშნულ ალტერნატივათა შორის გასაჩივრებული ნორმა ყველაზე მსუბუქი საშუალებაა.

ეე) თამბაქოს ნაწარმის გამაფრთხილებელი მითითებებით მარკირების ვალდებულება არც შესაბამისობის ფარგლებს სცდება. პროფესიის განხორციელების ძირითად უფლებაში აღნიშნული ჩარევა არ არის მასშტაბური. თამბაქოს ინდუსტრიისათვის კვლავაც ნებადართულია სარეკლამო საქმიანობა. შეზღუდვის შერჩეული საშუალება (სიტყვიერი ზემოქმედება მომხმარებელზე გამაფრთხილებელი მითითებებით) არის მოქმედების ფორმა, რომელიც არ ეხება საქონლის ბრუნვას მოთხოვნა-მიწოდების მეშვეობით და მომხმარებლისათვის აცნობიერებს მხოლოდ იმას, რაც მისთვის აქტუალური სამედიცინო მონაცემების საფუძველზე ისედაც უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ფფ) ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელება კერძო ორგანიზაციებისა და ფინანსების დახმარებით ასევე შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს (იხ: BVerfGE 68, 155 [170]). სიგარეტის კოლოფების გამაფრთხილებელი მითითებებით მარკირების ვალდებულება გამართლებულია თამბაქოს მწარმოებლისა და მოვაჭრის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სიახლოვით თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული საფრთხეებისაგან თავის დასაცავად, რასაც აქტიურად უჭერენ მხარს ეს სანარმოები.

### III

გასაჩივრებული ნორმები არ არღვევს მოსარჩელების გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს.

1. გამაფრთხილებელი მითითებებით მარკირების ვალდებულება, მართალია, ამცირებს მოსარჩელეთა მოგების შანსებს, მაგრამ არ ეხება საკუთრების სამართლით დაცულ უფლებებს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი იცავს მხოლოდ სამართლებრივ პოზიციებს, რომლებიც სამართლის სუბიექტს უკვე მინიჭებული აქვს (იხ: BVerfGE 20, 31 [34]; 30, 292 [334]) ანუ იგი, ზოგადად, არ მოიცავს სამომავლო შანსებსა და შემოსავლების შესაძლებლობებს (იხ: BVerfGE 30, 292 [335]; 45, 272 [296]; 68, 193 [223]).

### IV

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე გამოირიცხება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამენარმეო დისპოზიციური თავისუფლების დარღვევა. გასაჩივრებული ნორმა ეხება მოქმე-



დების თავისუფლებას პროფესიის სამართლის სფეროში, რომელიც სპეციალურად არის უზრუნველყოფილი გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლით. შესაბამისად, არ არის მართებული საკითხის გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მასშტაბით შემონგება (იხ: BVerfGE 70, 1 [32]).

## E – 33, 303

1. კონკრეტულ ფაკულტეტზე უმაღლესი სწავლების დამწყებთათვის აბსოლუტური, მთელი საგანმანათლებლო რესურსების ამომწურავი შეზღუდვების კონსტიტუციურ-სამართლებრივ შემონგებასთან დაკავშირებით (აქ: აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსი<sup>14</sup> მედიცინის სტუდენტთათვის).
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული უფლება პროფესიისა და საგანმანათლებლო დაწესებულების თავისუფალ არჩევასთან დაკავშირებით, ზოგადი თანასწორობისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებთან ერთად წარმოშობს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უფლებას. ეს უფლება შესაძლებელია, შეიზღუდოს კანონით ან კანონის საფუძველზე.
3. გარკვეულ ფაკულტეტებზე სწავლის დამწყებთათვის უმაღლეს სასწავლებელში დაშვების აბსოლუტური შეზღუდვების გათვალისწინება კონსტიტუციურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:
  - ა) ეს შეზღუდვები არ ცვდება აუცილებლობის ფარგლებს და გათვალისწინებულია მთელი საგანმანათლებლო რესურსების ამომწურავი;
  - ბ) აბიტურიენტთა შერჩევა და განაწილება მიმდინარეობს სათანადო კრიტერიუმების საფუძველზე, სადაც ყველა აბიტურიენტს აქვს ერთნაირი შანსი და ასევე მაქსიმალურადაა გათვალისწინებული განათლების მიღების ადგილის ინდივიდუალური შერჩევის შესაძლებლობა.
4. დაშვების აბსოლუტური შეზღუდვების დანესების წინაპირობებისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ არსებითი გადანყვეტილებები კანონმდებელმა თითონ უნდა მიიღოს. შესაძლებელია, უმაღლეს სასწავლებლებს გარკვეულ ფარგლებში მიენიჭოს შემდგომი კონკრეტული საკითხების მონესრიგების უფლებამოსილება.
5. უნივერსიტეტის შესახებ 1969 წლის 25 აპრილის ჰამბურგის კანონის მე-17 მუხლი იმდენად არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს, რამდენადაც კანონმდებელმა არ გაითვალისწინა დებულებები დაშვების აბსოლუტური შეზღუდვების შემთხვევაში შესარჩევი კრიტერიუმების ფორმასა და რანგთან დაკავშირებით.

პირველი სენატის 1972 წლის 18 ივლისის გადანყვეტილება  
- 1 BvL 32/70 da 25/71 -

ჰამბურგისა და მიუნხენის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებზე დაშვებასთან დაკავშირებით მიმდინარე ორ სამართალწარმოებაში საქმის გან-

<sup>14</sup> ე.წ. ნუმერუს კლაუზუსი (numerus clausus) მიღებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გარკვეულ (უფრო პრესტიჟულ) ფაკულტეტებზე უმაღლესი სწავლების მსურველთათვის და გულისხმობს დასაშვები აბიტურიენტების რაოდენობრივ/პროცენტულ შეზღუდვას.

მხილველი ადმინისტრაციული სასამართლოები ითხოვენ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვებულებას იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ლანდის სამართლის გარკვეული ნორმები უმაღლეს სასწავლებელში დაშვების შეზღუდვასთან დაკავშირებით (ე.წ. ნუმერუს კლაუზუსი) გერმანიის ძირითად კანონს.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონმების საგანია მხოლოდ მთელი საგანმანათლებლო რესურსების ამონურვის შედეგად დაწესებული აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსი გარკვეული ფაკულტეტების დამწყები სტუდენტებისათვის. აღნიშნული შემონმების ფარგლებში არ განიხილება ადგილობრივი და სტრუქტურული შეზღუდვები, რომლებიც მიმართულია მხოლოდ კონკრეტული უნივერსიტეტის შერჩევაზე, ან ისეთი შეზღუდვები, რომლებიც ეხება უკვე მიღებულ, მაღალი სემესტრის სტუდენტებს. ამ შეზღუდვებისაგან აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსი განსხვავდება თავისი განსაკუთრებული შედეგებით. ნუმერუს კლაუზუსი იწვევს იმას, რომ აბიტურიენტთა მეტნაკლებად დიდ რაოდენობას უწევს უმაღლესი განათლების დაწყების მეტნაკლებად დიდი ვადით გადავადება. ფაკულტეტის მიმართ დიდი მოთხოვნების არსებობისას და, შესაბამისად, ხანგრძლივი ლოდინის შემთხვევაში ამგვარი შეზღუდვები ზღუდავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, არამედ მან შეიძლება გამოიწვიოს ისიც, რომ აბიტურიენტმა უარი თქვას თავდაპირველ გეგმებსა და ზრახვებზე და დათმოს ისინი. ამასთან, სოციალურად სუსტ აბიტურიენტებს არა აქვთ სოციალურად ძლიერ აბიტურიენტთა მსგავსი შესაძლებლობები და საშუალება, რომ შეძლონ ხანგრძლივი დროით მოცდა ან საზღვარგარეთ მიიღონ უმაღლესი განათლება.

## I

1. ფაკულტეტზე დაშვების შეზღუდვების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონმების მასშტაბია (რაც ასევე გავრცელებულია სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში) გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ყველა გერმანელის უფლება საგანმანათლებლო დაწესებულების თავისუფალ არჩევასთან დაკავშირებით.

აღნიშნული უფლების გერმანიის ძირითად კანონში შეტანისას და ასევე, მისი თავდაპირველი განმარტებისას პირველ პლანზე იდგა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი მიიჩნეოდა განათლების სფეროში თავისუფლების შეზღუდვებისაგან ცალკეული ადამიანის თავის დასაცავ უფლებად. შესაბამისად, საპარლამენტო საბჭოს მთავარ კომიტეტში მიმდინარე კონსულტაციებისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყოველ შემთხვევაში აუცილებელი იყო სხვადასხვა უნივერსიტეტს შორის არჩევის გაკეთებისა და ამით განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ლექტორებთან მრავალმხრივი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რომ ცალკეული ლანდის უნივერსიტეტებში არ მოხდეს მხოლოდ იმ კონკრეტული ლანდის სტუდენტების დაშვება. ამით მართლაც აღწერილია ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმის ერთ-ერთი ნაწილობრივი ასპექტი, რომელიც მაშინაც უნდა იქნეს ნაწილობრივ გათვალისწინებული, როდესაც მთლიანი საგანმანათლებლო რესურსების ამონურვის შედეგად გარდაუვალი ხდება კანდიდატთა გეგმიანი გადანაწილება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო რესურსების სრული ამონურვისას თავს იჩენს საგანმანათლებლო დაწესებულების თავისუფალი არჩევის უფლების შემდეგი არსებითი ასპექტი, რომელიც ეფუძნება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიის არჩევის თავისუფლებას. განათლება, როგორც ნესი, წარმოადგენს პროფესიის დაუფლების წინა საფეხურს, ორივე ერთად კი — ცხოვრე-

ბაში ინტეგრირების შემადგენელი ნაწილია. აღნიშნულის შესაბამისად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, არაერთხელ აღნიშნულა, რომ ერთმანეთისაგან განუყოფელია არა მხოლოდ იქ გათვალისწინებული ცნებები, კერძოდ: პროფესიის არჩევა და მისი შემდგომი განხორციელება და არა მხოლოდ ეს ცნებები ქმნიან პროფესიული საქმიანობის კომპლექსს, როგორც ცხოვრებისეული აქტივობის საფუძველს, არამედ – პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი სტრუქტურა და წესრიგი ასევე მოიცავს ნორმებს პროფესიისათვის მიღებული განათლების შესახებ (იხ: BVerfGE 7, 377 [401, 406]). ამ ურთიერთმიმართებიდან გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოიტანა მართებული დასკვნა, რომ განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვები არ უნდა ემსახუროდეს პროფესიის არჩევისას რაიმე ზეგავლენის მოხდენას (JZ - იურიდიული ჟურნალი 1963, გვ. 675; იხ. ასევე BVerfGE 6, 13 და 7, 287). გარდა ამისა, აღნიშნულ მჭიდრო კავშირს მივყავართ დასკვნამდეც, რომ ისეთი პროფესიების შემთხვევებში, რომლებიც მოითხოვს განსაკუთრებულ მომზადებასა და სწავლა-განათლებას, მაგალითად, როგორცაა ექიმის პროფესია, სავალდებულო განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვები უნდა ექვემდებარებოდეს ისეთსავე მკაცრ გადამონმებას, როგორც თვითონ – პროფესიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შემთხვევებში.

ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმი საგანმანათლებლო სფეროში არ ამოწურება საჯარო ხელისუფლების ჩარევებისაგან თავისუფლების ტრადიციული დაცვის ფუნქციით. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალგზის განმარტა, რომ ძირითადი უფლებები, როგორც ობიექტური ნორმები, იმავდროულად აფუძნებს ღირებულებათა სისტემასა და წესრიგს, რომელიც, როგორც პრინციპული კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადანყვებილება, ვრცელდება და სავალდებულოა სამართლის ყველა სფეროსათვის. შესაბამისად, ძირითადი უფლებები არ არის მხოლოდ სახელმწიფოსაგან მოქალაქეთა თავდაცვის უზრუნველყოფელი უფლებები (იხ: BVerfGE 21, 362 [372]).

რაც უფრო მეტად უთმობს სახელმწიფო ყურადღებას მოქალაქეთა სოციალურ უზრუნველყოფასა და კულტურის განვითარებას, სახელმწიფოსა და მოქალაქის დამოკიდებულებაში ტრადიციული პოსტულატის პარალელურად, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოსაგან მოქალაქის თავისუფლების დაცვას, მით უფრო მეტად აქტუალურია მოთხოვნა სახელმწიფოს ქმედებებში მონაწილეობის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნული განვითარება განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული განათლების სფეროში, რომელიც პროფესიის არჩევასთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად, ამ მიმართებით მაინც სცდება მას: პროფესიის თავისუფლება, გარდა გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის განსაკუთრებულ ნორმებს დაქვემდებარებული საჯარო სამსახურისა (იხ: BVerfGE 7, 377 [398]; 17, 371 [379]), უმეტესად ხორციელდება კერძო პროფესიულ და სამუშაო სისტემაში და ძირითადად მიმართულია საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებისეული რიტმისა და მიმდინარეობის დაცვაზე ანუ პროფესიის არჩევასა და განხორციელებასთან დაკავშირებული თავისუფლების უზრუნველყოფაზე, რომელიც დაცული იქნება ყოველგვარი იძულებებისა და აკრძალვებისაგან. ამისაგან განსხვავებით, საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევის თავისუფლება თავისი ბუნებით გულისხმობს სასწავლო დაწესებულების ხელმისაწვდომობას. თავისუფლების უფლება აზრს მოკლებული იქნებოდა მისი განხორციელების ფაქტობრივი წინაპირობის არსებობის გარეშე. უმაღლეს სასწავლებელთა ორგანიზაციის საერთო პრინციპების შესახებ გერმანიის კანონის პროექტი ყველა გერმანელისათვის ითვალისწინებს მის მიერ არჩეული უმაღლესი

განათლების მიღების შესაძლებლობას, თუ მას ექნება შესაბამისად საჭირო კვალი- ფიკაცია.

ამ უფლების აღიარება არ არის დამოკიდებული კანონმდებლის შეხედულებაზე. ამასთან, არსებითი არ არის, სახელმწიფო ქმედებებში ზემოთ აღნიშნული თანამონაწილეობის უფლება წარმოიშვება თუ არა იქიდან, რომ სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო არის კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემის კონსტიტუციურ რეალობაში რეალიზების გარანტი (იხ: BVerwGE - გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო 27, 360 კერძო სკოლების დაფინანსებასთან დაკავშირებით). იმ შემთხვევაშიც, თუ მიიჩნევა, რომ თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოში ადმინისტრაციისათვის თანამონაწილეობის უფლების მინიჭებისა და მისი მოცულობის საკითხი ექვემდებარება კანონმდებლის ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არ საჩივრდება, აღნიშნული დანებებულებების ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, თუ სახელმწიფომ შექმნა ისინი, მაინც გამომდინარეობს თანასწორობის პრინციპისა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ურთიერთმიმართებიდან და ასევე – სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იქ, სადაც სახელმწიფომ (როგორც განათლების სფეროში) ისარგებლა ფაქტობრივი მონოპოლიით და სადაც (როგორც აკადემიური პროფესიების შესწავლის სფეროში) სახელმწიფო ქმედებებში მონაწილეობა წარმოადგენს ძირითადი უფლებების განხორციელების აუცილებელ წინაპირობას. თავისუფალ სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში აღარ შეიძლება სახელმწიფო ორგანოებმა განსაჯონ პრივილეგირებულია წრის საკუთარი შეხედულებისამებრ შემცირება და მოქალაქეთა გარკვეული ნაწილისათვის ამ პრივილეგიების ჩამორთმევა, მით უფრო, რომ ეს არის ზეგავლენის მოხდენა პროფესიის არჩევისას. განხილულ სფეროში სახელმწიფოს ფუნქციაა იმის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერ ზრდასრულ მოქალაქეს ჰქონდეს უფლება, გამოიყენოს ამგვარი ცხოვრებისეული შანსი. მაშასადამე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და ასევე სოციალური სახელმწიფოს პრინციპი შესაბამისი სუბიექტური წინაპირობების დამაკმაყოფილებელი მოქალაქისათვის უზრუნველყოფს მის მიერ არჩეული უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უფლებას.

2. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული ხელმისაწვდომობის უფლება თავიდანვე უნდა შეიზღუდოს განათლების მიღების არსებული შესაძლებლობების გამოყენების მოთხოვნით. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ჰამბურგის ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც თავის განჩინებაში ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების გაფართოების ვალდებულებას და ასევე, რომ აბიტურიენტთათვის აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსის გათვალისწინება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმავდროულად კანონით ნათლად მოხდება აღნიშნული ვალდებულების გარკვეულ ვადაში შესრულების აღიარება. ამ მოსაზრებების ფარგლებში არასრულყოფილად არის განხილული ისეთი საკითხები, რომლებიც არსებითაა მოცემულ შემთხვევაში ძირითადი უფლებების დაცვისათვის:

ხელმისაწვდომობის აბსოლუტური შეზღუდვების პრობლემატიკაში არსებობს მოსაზრება, რომ არსებული რესურსები არ არის საკმარისი, რათა ყველა დამსახურებული კანდიდატი დაკმაყოფილდეს ადგილით უმაღლეს სასწავლებელში. კონსტიტუციური ხედვა თავიდანვე რომ შეიზღუდოს იმით, რაც არსებული და მოცემულია, მაშინ იგი გვერდს აუვლიდა სირთულეების ძირითად ბირთვს. მაშინ, როდესაც სოციალური სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი თანამონაწილეობის უფლების მინიჭებისას, კერძოდ, ფინანსური შეღავათებისას, როდესაც შესაძლებლობები შეზღუდულია მხოლოდ არსებული სახსრებით და მათი სათანადო გადანაწილებით,

გარკვეულ წილად მაინც არის შესაძლებელი შეზღუდვის უარყოფითი შედეგების დაძლევა და გამოსწორება. აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსის გათვალისწინება ინვეზის მწვავე უთანასწორობას, როდესაც კანდიდატთა ერთი ნაწილი იღებს ყველაფერს, ხოლო მეორე ნაწილი (ყოველ შემთხვევაში განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებაზე) – არაფერს. თუ დაუკმაყოფილებელ კანდიდატთა რაოდენობა აღემატება კანდიდატთა საერთო რაოდენობის ნახევარს, როგორც ეს სამედიცინო ფაკულტეტის შემთხვევაში მოხდა, მაშინ კონსტიტუციურად დაცულ ხელმისაწვდომობის მოთხოვნის უფლებას ემუქრება გაუფასურების საფრთხე. ასეთი მწვავე შედეგების გამო აღარ არის სადავო, რომ აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსი დგას კონსტიტუციურობის ზღვარზე. ვინაიდან ამ მძაფრი შედეგების გადალახვა გრძელვადიანი პერსპექტივით შესაძლებელია მხოლოდ რესურსების გაფართოების გზით, საკითხავია, ხომ არ გამომდინარეობს კონსტიტუციური ღირებულების სისტემიდან და სახელმწიფოს მიერ განათლების მონოპოლიის გამოყენებიდან ობიექტური სოციალურ-სახელმწიფოებრივი კონსტიტუციური დაკვეთა სხვადასხვა ფაკულტეტზე საკმარისი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის შესახებ. უნდა დავეთანხმოთ თუ არა ამ კითხვას და წარმოშობს თუ არა ეს კონსტიტუციური დაკვეთა მოქალაქისათვის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველს სასწავლო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით, ვერ გადაწყდება წინამდებარე შემთხვევის ფარგლებში, ვინაიდან კონსტიტუციურ-სამართლებრივი შედეგები განიხილება ამ კონსტიტუციური დაკვეთის დარღვევის აშკარა შემთხვევებში. ამგვარი დარღვევა კი არ მიიჩნევა მოცემულად სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეობის უფლებები თავიდანვე არ არის შეზღუდული მხოლოდ არსებული მარჯვენალებით, მათზე მაინც ვრცელდება ე.წ. შესაძლებლობის ფარგლების დათქმა, რაც გულისხმობს იმას, რისი მოთხოვნაც შეუძლია ცალკეულ მოქალაქეს თავისი საზოგადოებისაგან. აღნიშნული, პირველ რიგში, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში უნდა შეაფასოს კანონმდებელმა, რომელმაც ასევე უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების სხვა მოთხოვნილებებიც და გერმანიის ძირითადი კანონის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უნდა დააკმაყოფილოს საერთო-ეკონომიკური ბალანსის მოთხოვნები. კანონმდებლის პრეროგატივაა, უმაღლეს სასწავლებელთა მონყობისა და პრიორიტეტების შესახებ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, თუმცა მან აქვე უნდა გაითვალისწინოს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა აშენება და გაფართოება, გერმანიის ძირითადი კანონის 91ა<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, განეკუთვნება ფედერაციისა და ლანდების მიერ ერთობლივად განსახორციელებელ ამოცანათა კატეგორიას. ამ გადაწყვეტილების ფარგლებში შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოებს მოუწევთ, ერთი მხრივ, ორიენტირება სასწავლო ადგილებზე მოთხოვნილების გამოკვეთილ ტენდენციებზე, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა, კონსტიტუციური დავალება არ მოიცავდეს ვალდებულებას, ყველა კანდიდატისათვის ნებისმიერ დროს მისთვის სასურველ ფაკულტეტზე ადგილის მიკუთვნებასთან დაკავშირებით, რითაც უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციები დამოკიდებული ხდება ცვალებად და სხვადასხვა ფაქტორით განპირობებულ ინდივიდუალურ მოთხოვნებზე. აღნიშნული მიგვიყვანდა თავისუფლების ცნების მცდარ გაგებამდე, რომელიც ვერ აცნობიერებს იმას, რომ პიროვნული თავისუფლება ხანგრძლივი ვადით ვერ განხორციელდება განონასწორების გარეშე და რომ შეუზღუდავი სუბიექტური მოთხოვნილებებისადმი მიდრეკილება საზოგადოების ხარჯზე არ შეესაბამება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. გერმანიის ძირითადი კანონი, როგორც ეს არაერ-

თხელ აღნიშნა ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მოქმედების ზოგად თავისუფლებასთან მიმართებით (იხ: BVerfGE 4, 7 [15]; 8, 274 [329]; 27, 344 [351]), ინდივიდსა და საზოგადოებას შორის დაძაბულობას წყვეტს პირის საზოგადოებაზე დამოკიდებულებისა და მისი მთლიანობასთან დაკავშირების კუთხით; აქედან გამომდინარე, თითოეულმა უნდა მიიღოს და აღიაროს თავისი მოქმედების თავისუფლების ის შეზღუდვები, რომლებსაც კანონმდებელი ზოგადი შესაბამისობის ფარგლებში საჭიროდ მიიჩნევს და ითვალისწინებს სოციალური თანაცხოვრების მხარდაჭერისა და გაუმჯობესებისათვის, თუმცა – იმ პირობით, რომ ამ ყველაფერთან ერთად პირმა შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა.

აღნიშნული მოსაზრებები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სახელმწიფოს საქმიანობაში მონაწილეობის უფლებების სფეროში, სადაც თანასწორობის ცნებაში ასახულ სოციალურ პრინციპთან აბსოლუტურად შეუსაბამო იქნებოდა შეზღუდულ საჯარო საშუალებათა უპირატესი გამოყენება მოსახლეობის ერთი, პრივილეგიური ნაწილისათვის და სხვა საზოგადო მნიშვნელობის ინტერესებისა და მოთხოვნების უგულებელყოფა. შესაბამისად, კანონმდებელს ვერ აეკრძალება, ორიენტირებული იყოს სხვადასხვა პროფესიის ფარგლებში დამატებითი ძალების აქტუალურ მოთხოვნაზე, თუ შეუძლებელია სტრუქტურულ კონსულტაციებისა და უმაღლესი განათლების საკითხების განხილვის საშუალებებით დააკმაყოფილოს და ერთმანეთთან დააახლოვოს ინდივიდუალური მოთხოვნა და საზოგადოებრივი საჭიროების მოთხოვნები.

ამ მასშტაბების გათვალისწინებით, არ ვლინდება კონსტიტუციის დარღვევა. არც ერთი სახელმწიფო ორგანო არ უარყოფს საჭირო და აუცილებელი ზომების სწრაფად გატარების ვალდებულებას. უმაღლეს სასწავლებელთა მშენებლობის ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის მე-2 მუხლი ნათლად აღიარებს და ითვალისწინებს, რომ გერმანიის ფედერაციამ და ლანდებმა ერთობლივი ამოცანის შესრულებისას „ის კეთილმონყობა და მშენებლობა უნდა დაუქვემდებარონ სამეცნიერო უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტების რაოდენობის, სიდიდისა და ადგილმდებარეობის კუთხით ურთიერთდაკავშირებული ერთიანი სისტემის შექმნას, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება კვლევისა და უმაღლესი განათლების მიღებისათვის საჭირო ადგილების საკმარისი რაოდენობა“. რაც შეეხება ამ ვალდებულების შესრულებას, გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, დღევანდელი პრობლემები გამომწვეულია არა მხოლოდ ობიექტური სირთულეებით, არამედ ასევე იმიტაც, რომ ვერ მოხერხდა განათლების სისტემის რეკლამის მეშვეობით გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისი და ადეკვატური ზომების გატარება უმაღლეს სასწავლებელთა კეთილმონყოფისა და უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში. თუმცა ნარსულში არსებული სახსრების საკმაოდ დიდი ნაწილი მოხმარდა სწორედ სამედიცინო ფაკულტეტის კეთილმონყოფას განსაკუთრებული საშუალებებით...

3. თუ ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან გამომდინარე, კანონით ნათლად აღიარებული ვალდებულება საგანმანათლებლო რესურსების გარკვეულ ვადებში გაფართოებასთან დაკავშირებით დღეისათვის არ წარმოადგენს აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსის კონსტიტუციურ-სამართლებრივ წინაპირობას, მაშინ უფრო კატეგორიულია მოთხოვნა, რომ არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა შესაძლებელია, შეიზღუდოს მხოლოდ ძალიან მკაცრი ფორმალური და მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

ა) ის, რომ აბიტურიენტის უმაღლეს სასწავლებელში მისთვის სასურველ ფაკულტეტზე მიღების მოთხოვნის უფლება, როდესაც იგი ეყრდნობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს, შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდ-

ვას, გამომდინარეობს იმავე ნორმის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმის დათქმიდან, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულების თავისუფალი არჩევის უფლებასაც, რაზეც მისი შექმნის ისტორიაც მეტყველებს...

გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის უკვე განხილული ერთიანობიდან გამომდინარეობს, რომ ნორმის დათქმა ვრცელდება არა მხოლოდ პროფესიის განხორციელებაზე, არამედ – პროფესიის არჩევასა (იხ: BVerfGE 7, 377 [402]) და, შესაბამისად, პროფესიის არჩევის წინა ეტაპზეც, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევაზე. თუ ხელმისაწვდომობის მოთხოვნის უფლება მიიჩნევა ზემოთ განხილულ მონაწილეობის უფლებად, მაშინ მისი შეზღუდვაუნარიანობა გამომდინარეობს შემდეგიდან: მონაწილეობის უფლებები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოკიდებულია არსებულ შესაძლებლობებზე ანუ მათზე ვრცელდება შესაძლებლობის დათქმა და, შესაბამისად, ისინი საჭიროებს მონესრიგებას.

ბ) უმაღლეს სასწავლებელში დაშვების უფლების ზემოთ მოყვანილი განმარტებების მიხედვით, ზოგადად დასაშვები შეზღუდვები კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია მხოლოდ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე...

იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეზღუდვის უფლება გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმის დათქმიდან, აღნიშნული ფორმალური მოთხოვნა გამომდინარეობს უშუალოდ ამ ძირითადი უფლებიდან. თუკი იქ აღნიშნული პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმები საჭიროებს კანონიერ საფუძველს, მაშინ ისინი მით უფრო სავალდებულო ხდება საგანმანათლებლო სასწავლებლების თავისუფალი არჩევის შეზღუდვების შემთხვევებში, რამაც შესაძლოა, გავლენა იქონიოს პროფესიის არჩევის თავისუფლებაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებულ უმაღლეს სასწავლებელში დაშვების მოთხოვნის უფლება მიიჩნევა ზემოთ აღნიშნულ თანამონაწილეობის უფლებად, შედეგი მაინც არ იცვლება. ამასთან, შეიძლება იმ საკითხის ღია დატოვება, ვრცელდება თუ არა სამართლებრივი სახელმძიფოს პრინციპები, კანონის დათქმისა და სახელმძიფოს ქმედების კანონიერების შესახებ ჩარევის განხორციელებასთან ერთად, აღმინისტრაციის იმ საქმიანობაზე, რომელიც მოიცავს საზოგადო ამოცანების შესრულების მიზნით მოქალაქეებისათვის შესაბამისი ვალდებულებების დაკისრებას (იხ: BVerfGE 8, 155 [167]); აქ კანონმდებელმა, როგორც ინსტანციამ, რომლის გადაწყვეტილებაზეც არის დამოკიდებული ოფერტი, თვითონ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც რესურსების სიმწირის გამო, მძიმე უთანასწორობის პირობებში, უნდა შეიზღუდოს პრივილეგიებულთა წრე.

გ) მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით ზემოთ განხილული მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რომ დაშვების აბსოლუტური შეზღუდვების მიმართ ვრცელდება მკაცრი მოთხოვნები. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. სტადიათა თეორიის მიხედვით (იხ: BVerfGE 7, 377 [401]; 30, 292 [315]), გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმის უფლება მით უფრო მეტად არის შეზღუდული, რაც უფრო მეტად ეხება იგი პროფესიის არჩევის თავისუფლებას. ვინაიდან განათლების პროფილის შერჩევაზე დამოკიდებულია იმავდროულად სამომავლო პროფესიის არჩევა და გარკვეული ფაკულტეტისათვის საგანმანათლებლო რესურსების ამონურვაზე დაფუძნებული აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსი უტოლდება დაშვების ობიექტურ კრიტერიუმებს სტადიათა თეორიის (იხ: BVerfGE 7, 377 [407]) გაგებით, მისი გათვალისწინება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,

როდესაც ამკარა, დასაბუთებული ან სავარაუდო მძიმე საფრთხე ემუქრება საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიკეთეს და როდესაც მკაცრად არის დაცული თანაზომიერების პრინციპი. ამასთან, აუცილებელია ისეთი გვერდითი შედეგები, როგორცაა, მაგალითად, სხვა ფაკულტეტებზე აბიტურიენტთა გადანაცვლება და საზღვარგარეთ გამგზავრება. თანამონაწილეობის უფლებიდან კი, რომელიც ორიენტირებულია თანასწორობის პრინციპზე, გამომდინარეობს უფრო მკაცრი მოთხოვნები და წინაპირობები, ვინაიდან აბიტურიენტთა დაშვების წინამდებარე ფორმის შეზღუდვები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ცხოვრებისეული შანსების გადანაწილებასთან.

დღეისათვის არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში აბიტურიენტთათვის აბსოლუტური ნუმერუს კლაუზუსის დანესება კონსტიტუციურია მხოლოდ იმ შემთხვევაში:

(1) როდესაც მისი გათვალისწინება ხდება უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში ყველა არსებული, საჯარო სახსრებით შექმნილი საგანმანათლებლო რესურსის სრული ამონურვის ფონზე (ამასთან დაკავშირებით იხ: პუნქტი II)

(2) და როდესაც აბიტურიენტთა შერჩევა და განაწილება მიმდინარეობს სათანადო კრიტერიუმების საფუძველზე, სადაც ყველა აბიტურიენტს აქვს ერთნაირი შანსი და ასევე მაქსიმალურადაა გათვალისწინებული განათლების მიღების ადგილის ინდივიდუალური შერჩევის შესაძლებლობა (ამასთან დაკავშირებით იხ: პუნქტი III)...

## **E – 98, 169**

1. გერმანიის ძირითადი კანონი ავალდებულებს კანონმდებელს, შეიმუშაოს რესოციალიზაციის ეფექტური კონცეფცია, რომელზეც უნდა ააგოს სასჯელალსრულება. აღინიშნული ვალდებულების შესრულებისას მას ენიჭება საკმაოდ ფართო სამოქმედო ასპარეზი.
2. ა) სასჯელალსრულების ფარგლებში პატიმრის მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია რესოციალიზაციის ეფექტური საშუალება, როდესაც შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის აღიარებული. აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსებში, იგი გულისხმობს პატიმრისათვის, მისთვის ხელმისაწვდომი და საგრძნობი სარგებლის სახით, რეგულარული სამუშაოს პრიორიტეტების გაზიარებასა და ჩვენებას, რომელიც შესაძლოა მან განახორციელოს მომავალში – არადანაშაულებრივი და პატიოსანი ცხოვრებისას.
- ბ) კანონით გათვალისწინებული რესოციალიზაცია სავალდებულო სამუშაოს განხორციელების მეშვეობით, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ ან უმთავრესად ფინანსურ ანაზღაურებას, მხოლოდ მაშინ აკმაყოფილებს კონსტიტუციით გათვალისწინებული რესოციალიზაციის იდეას, როდესაც შესაძლებელია პატიმრისათვის განკუთვნილი ანაზღაურებით, მისი ოდენობიდან გამომდინარე, მისთვის ცხადი გახდეს ის გარემოება, რომ მუდმივი სამუშაო თავის რჩენის მიზანშეწონილი და გონივრული საშუალებაა.
3. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი დასაშვებ იძულებით სამუშაოს ზღუდავს ისეთი ორგანიზაციებით ან საქმიანობით, სადაც სასაჯელალსრულების ორგანოს თანამშრომლები ინარჩუნებენ საჯარო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათთვის დაქვემდებარებულ პატიმარზე.



### საფუძვლები:

ა

ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოქცეული კონსტიტუციური სარჩელები და ნორმათა კონტროლთან დაკავშირებული სამართალწარმოება ეხება სავალდებულო სამუშაოს მოცულობას სასჯელალსრულების ფარგლებში, მითითებული სამუშაოს შესრულებისათვის ანაზღაურების დაწესებას და პატიმრებისა და პრევენციული პატიმრების სოციალურ სადაზღვევო სტატუსს.

ბ

1

1. კონსტიტუციის მოთხოვნების მიხედვით, სასჯელალსრულების სისტემა უნდა ემსახუროს პატიმრის რესოციალიზაციის მიზანს. ნებისმიერ პატიმარს აქვს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება, მოითხოვოს, რომ მისთვის ყველანაირი აღმჭურველი ღონისძიებების შეფარდებისას გათვალისწინებულ იქნეს ზემოთ აღნიშნული მიზანი და დაკმაყოფილდეს კონსტიტუციის მოთხოვნები.

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში კი, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება განსაზღვრავს პირის ინდივიდუალური ცხოვრების პირობებსა და მიმდინარეობას, რესოციალიზაციის პრინციპს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული პრინციპი ჩამოაყალიბა იმ სამართლებრივი საზოგადოების თვითმეგნების საფუძველზე, რომელიც ადამიანის ღირსებას ცენტრალურ ადგილს მიაკუთვნებს საკუთარი ღირებულებების სისტემაში და რომლისთვისაც სავალდებულოა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. პატიმარს უნდა ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი და სურვილი. მან მომავალში უნდა შეძლოს თავისუფალ საზოგადოებაში პატიოსანი ცხოვრება დანაშაულის ჩადენის გარეშე, ამ საზოგადოების მიერ მიცემული შანსებით სარგებლობა და მასში არსებული რისკების საკუთარ თავზე აღება. ამას გარდა, რესოციალიზაცია ემსახურება თვითონ საზოგადოებასაც, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია, რომ დამნაშავემ აღარ განიცადოს რეციდივი და განმეორებით აღარ დააზიანოს თანამოქალაქეები და საზოგადოება (იხ: BVerfGE 35, 202 [235] - ლებახი)...

2. რესოციალიზაციის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი სახელმწიფო ხელისუფლების ყველა განშტოებისათვის სავალდებულოა. პირველ რიგში, იგი ეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელსაც მართებს სასჯელალსრულების ნორმატიული მონესრიგება (იხ: BVerfGE 33, 1 [10]). იგი ავალდებულებს კანონმდებელს, შექმნას და ჩამოაყალიბოს რესოციალიზაციის ეფექტური კონცეფცია და მასზე აავსოს სასჯელალსრულება. რესოციალიზაციის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი ასევე მნიშვნელოვანი და სავალდებულოა ადმინისტრაციისა და სასამართლო ხელისუფლებისათვის, როდესაც საქმე შეეხება განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების ან ძირითადი პრინციპების განმარტებას, ან როდესაც კანონმდებელი სასჯელალსრულების ორგანოს ანიჭებს სამართლებრივი შედეგის განსაზღვრის უფლებამოსილებას.

3. რესოციალიზაციის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი კანონმდებელს არ განუსაზღვრავს რესოციალიზაციის რომელიმე კონკრეტულ კონცე-

ფციას, არამედ ეფექტური კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის მას ანიჭებს საკმაოდ ფართო ასპარეზს. კანონმდებელმა მისთვის ხელმისაწვდომი კვლევებისა და მათი შედეგების გამოყენებით, როგორცაა ანთროპოლოგია, კრიმინოლოგია, სოციალური თერაპია და ეკონომიკა, უნდა მიიღოს ისეთი ნორმები, რომლებიც, ხარჯებთან დაკავშირებული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება სახელმწიფოს სხვა ამოცანების რანგსა და გადაუდებელ აუცილებლობას (იხ: BVerfGE 82, 60 [80]; 90, 107 [116]; 96, 288 [305]).

4. სასჯელალსრულების ფარგლებში პატიმრისათვის დაკისრებული სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაშია რესოციალიზაციის ეფექტური საშუალება, როდესაც შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის აღიარებული. აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსურ მხარეში, იგი გულისხმობს პატიმრისათვის ხელმისაწვდომი და საგრძნობი სარგებლის სახით რეგულარული სამუშაოს პრიორიტეტების გაზიარებასა და ჩვენებას, რომელიც მან შესაძლოა, განახორციელოს მომავალში – არადაწაშლებრივი, დამოუკიდებელი და პატიოსანი ცხოვრების პერიოდში. როდესაც პატიმარს შეუძლია, განახორციელოს პირადად მის მიერ მიზანშეწონილად და სასარგებლოდ მიჩნეული საქმიანობა, კანონმდებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიჩნიოს, რომ პატიმრისათვის სავალდებულო სამუშაოს დაკისრება ეფექტური საშუალებაა მისი დესოციალიზაციის წინააღმდეგ. ამ დროს პატიმარი აღნიშნული ვალდებულებითა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებით იღებს დადებით პირად გამოცდილებას მუშაობასთან დაკავშირებით.

ა) რესოციალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, მოთხოვნა სამუშაოს სათანადოდ აღიარებასთან დაკავშირებით ვრცელდება მხოლოდ იმ პატიმრებზე, რომლებსაც გაუნანილდათ შესაბამისი სამუშაო ან რომლებსაც დაეკისრათ დამხმარე საქმიანობა (სავალდებულო სამუშაო), ხოლო განსაკუთრებული მასშტაბები ვრცელდება იმ პატიმრებზე, რომლებსაც მიეცათ განათლების მიღების, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ან მომზადება-გადამზადების სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის (იხ: სასჯელალსრულების შესახებ გერმანიის კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი) ან საშუალო სკოლის<sup>15</sup> დამთავრების (იხ: სასჯელალსრულების შესახებ გერმანიის კანონის 38-ე მუხლი) შესაძლებლობა ან დაკავებულები არიან სამუშაო თერაპიის ფარგლებში (იხ: სასჯელალსრულების შესახებ გერმანიის კანონის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

ბ) მუშაობა სასჯელალსრულების ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ამზადებს პირს თავისუფლების პირობებში სამუშაო ცხოვრებისათვის, როდესაც მისი შრომა ფასდება ანაზღაურების სახით. თუმცა, შესრულებული სამუშაოსათვის განკუთვნილი სარგებლის გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად. დაფასება არ არის მხოლოდ მონეტებთან დაკავშირებული კონცეფცია. თანამედროვე საზოგადოება ორიენტირებულია იმაზე, რომ ნებაყოფლობით შესრულებულმა ან განანილებულმა სამუშაომ, ფინანსური ანაზღაურების გარდა, მოიპოვოს აღიარების სხვა ფორმები. მაგრამ საერთო ჯამში აღნიშნული აღიარება უნდა იყოს სათანადო და შესაბამისი. სასჯელალსრულების ფარგლებში ფულად ანაზღაურებასთან ერთად, ან მის სანაცვლოდ, შესაძლებელია პატიმრის სოციალური დაზღვევის საკითხების მონესრიგება ან დახმარება ვალების დაფარვისას. კანონმდებელს სასჯელალსრულებისა და პირის განთავისუფლებასთან დაკავშირებული

<sup>15</sup> გერმანიაში საშუალო სკოლა გულისხმობს 8 კლასის განათლებას, რომლის დასრულების შემდეგ შესაძლებელია პროფესიის შესწავლა.

საკითხების მონესრიგებისას, კერძო ინიციატივების გათვალისწინებითაც, შეუძლია ჩამოაყალიბოს სავალდებულო სამუშაოს აღიარების ახლებური ფორმები. ამას გარდა, მას შეუძლია სამუშაოს სათანადო აღიარება გამოხატოს იმგვარად, რომ პატიმარს შესრულებული სამუშაოს ხარჯზე შეეძლოს პატიმრობის ვადის შემცირება ან შემსუბუქება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საერთო ან სოციალური პრევენციის მიზნებს.

5. კანონით გათვალისწინებული რესოციალიზაცია სავალდებულო სამუშაოს შესრულების მეშვეობით, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ ან უმთავრესად ფინანსურ ანაზღაურებას (იხ: სასჯელაღსრულების შესახებ გერმანიის კანონის 43-ე მუხლი), მხოლოდ მაშინ აკმაყოფილებს კონსტიტუციით გათვალისწინებული რესოციალიზაციის იდეას, როდესაც შესაძლებელია პატიმრისათვის განკუთვნილი ანაზღაურებით, მისი ოდენობიდან გამომდინარე, მისთვის ცხადი გახდეს ის გარემოება, რომ მუდმივი სამუშაო თავის რჩენის მიზანშეწონილი და გონივრული საშუალებაა. თუმცა, კანონმდებელს იმის შეფასებისას, თუ რა არის სათანადო და შესაბამისი ანაზღაურება, შეუძლია გაითვალისწინოს სასჯელაღსრულების ტიპური პირობები და მისი საკმაოდ დიდი დისტანცია ბაზართან.

აქედან გამომდინარე, კანონმდებელი აღნიშნული საკითხების მოგვარებისას სარგებლობს მოქმედების ფართო ასპარეზით...

ბ) იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი აირჩევს ფინანსური ანაზღაურების სისტემას, მას, ზოგადად, არ ეკრძალება პირისათვის (ნაწილობრივ) საპატიმრო ხარჯების დაკისრების გათვალისწინებაც. აღნიშნული ხარჯების (საცხოვრებელი და მოვლა-პატრონობა) დაკისრებას არ ეწინააღმდეგება სამუშაოს სათანადო ანაზღაურების პრინციპი. მაგრამ რესოციალიზაციის პრინციპი პატიმრისათვის ტიპურ სიტუაციაში მოითხოვს ხარჯების დაფარვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ინტერესისა და პატიმრის ეკონომიკური ინტერესის დაბალანსებას. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს ისეთი ნორმის მიღების საჭიროება, რომლის მიხედვითაც, საპატიმრო ხარჯების დაკისრების შემთხვევაში მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს ისე, რომ პატიმარს მიღებული შემოსავლიდან დარჩეს გარკვეული თანხა.

II

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი თავის რესოციალიზაციის კონცეფციაში გაითვალისწინებს პატიმრის სავალდებულო მუშაობას, მან ამ სავალდებულო სამუშაოს განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი. კონსტიტუციის ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება დასაშვებ იძულებით სამუშაოს ზღუდავს ისეთ ორგანიზაციებსა ან საქმიანობაზე, სადაც სასაჯელაღსრულების ორგანოს თანამშრომლები ინარჩუნებენ საჯარო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათთვის დაქვემდებარებულ პატიმარზე.

კონსტიტუციის მიმღები კანონმდებელი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილების გათვალისწინებისას, ეყრდნობოდა სასაჯელაღსრულების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოს ტრადიციულ სახეობებს, თუმცა, ამას გარდა, სასაჯელაღსრულების ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს პროფესიული დასაქმებაც, რაც ხელს შეუწყობდა პატიმრის რესოციალიზაციას, ვინაიდან აღნიშნულ დარგში გატარებულ ზომებს, რომლებიც აპრობირებული და გამართლებული იყო წარსულში, არ უნდა გამოეცალოს სამართლებრივი საფუძველი (იხ: BVerfGE 74, 102 [115]; ასევე, დამატებითი

განმარტებები გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის წარმოშობის ისტორიასთან დაკავშირებით; და იხ. ასევე: BVerfGE 83, 119 [126]).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იძულებითი სამუშაოს აკრძალვის გამოწვევის შინაარსი ნათელია სასაჯელალსრულების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების ტრადიციული ფორმებიდანაც. მათი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ტრადიცია ეფუძნება იმ პრინციპს, რომ პატიმრები მუშაობენ სასაჯელალსრულების ორგანოს საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობითა და მათი ზედამხედველობით. საეკონომიკურ-სამუშაოს ტრადიციულ გაგებასა და სურათს არ შეესაბამება ის ვითარება, როდესაც სამუშაოს შესრულების მიზნით ხდება პატიმრების დაქვემდებარება მე-სამე პირებზე...

## E – 102, 197

1. ოფიციალური კაზინოს მუშაობა წარმოადგენს პროფესიის განხორციელებას გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, რამდენადაც ეს საქმიანობა არ არის აკრძალული კანონით და ხელმისაწვდომია კერძო საწარმოებისათვის.
2. ზემოთ აღნიშნული პროფესიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვები დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ისინი ემსახურება საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაცულია თანაზომიერების პრინციპი.
3. ბადენ-ვიურტემბერგის ლანდის კაზინოს საქმიანობასთან დაკავშირებული 1995 და 1996 წლების ნორმები ქ. ბადენ-ბადენსა და ქ. კონსტანციაში ოფიციალური კაზინოს ფლობასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროფესიის არჩევის თავისუფლების ძირითად უფლებას, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებს თანაზომიერების პრინციპს.

პირველი სენატის 2000 წლის პირველი ივლისის განჩინება  
- 1 BvR 539/96 -

საფუძვლები:

ა

კონსტიტუციური სარჩელი ეხება ბადენ-ვიურტემბერგის ლანდის კაზინოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლის ნორმებს ოფიციალური კაზინოს ფლობასთან დაკავშირებით.

ბ

1. კაზინოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართალი გერმანიაში მიეკუთვნება საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის სამართალს. გერმანიის ძირითადი კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აღნიშნული სფერო წარმოადგენს მხოლოდ ლანდების განსაკუთრებულ საკანონმდებლო კომპეტენციას...

ვინც ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის გარეშე საზოგადოდ მართავს აზარტულ თამაშებს ან ამ მიზნით გამოყოფს შენობა-დანადგარებს, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის მიხედვით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით.

2. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღეისათვის მოქმედებს 46 ოფიციალური კაზინო. ექვსი მათგანი, როგორც სახელმწიფო საწარმო, ეკუთვნის ბავარიის ლანდს, ოცდახუთ კაზინოს ამუშავებენ საზოგადოებები, რომელთა წილებიც სრულად წარმოადგენს შესაბამისი ლანდის ქონებას და თხუთმეტი მათგანი ეკუთვნის კერძო მფლობელებს...

კერძო სექტორს დაქვემდებარებული კაზინოების შემთხვევაშიც ლანდი ფართოდ მონაწილეობს ამ საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში. კერძო მენარმეები ... ძირითადად იბეგრებიან ბრუტო შემოსავლის 80%-ის ოდენობით...

მიუხედავად ამისა, ოფიციალური კაზინოს რაოდენობის შემცირების საფუძველზე, ბაზარზე წარმოქმნილი დეფიციტის გამო, კერძო კაზინოების მფლობელებს საკმაოდ სოლიდური მოგება რჩებათ, რომელიც შეფასებულია ბრუტო შემოსავლის 20%-ის ოდენობით...

## II

1. მოსარჩელები შპს-ს სამართლებრივი ფორმითა და სტატუსით ამუშავებენ კაზინოებს ბადენ-ბადენსა და კონსტანციაში. ამასთან, ბადენ-ვიურტემბერგის ლანდზე მხოლოდ ეს ორი კერძო კაზინო მუშაობს. 1995 წელს მიღებული კანონით (ცვლილებათა კანონით) აიკრძალა კერძო კაზინოები.

## ბ

კონსტიტუციური სარჩელები დასაბუთებულია. გასაჩივრებული ნორმები არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

## I

შემომების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მასშტაბია გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიის თავისუფლების ძირითადი უფლება. იგი, პროფესიის თავისუფლად განხორციელებასთან ერთად, იცავს პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლებასაც. პროფესია მოიცავს ყველა საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია შემოსავალზე, გრძელდება გარკვეული ვადით და ემსახურება საარსებო პირობების შექმნასა და შენარჩუნებას. პროფესიის ამგვარი ფართო ცნება, რომელიც არ არის ორიენტირებული პირებზე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც (იხ: BVerfGE 97, 228 [252]). პროფესიის თავისუფლების ძირითადი უფლება მათთვისაც უზრუნველყოფს საქმიანობის დაწყების, გაგრძელების ან დასრულების უფლებას (იხ: BVerfGE 44, 105 [117]; 84, 133 [146]).

ჩარევები აღნიშნულ უფლებაში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, რომელიც ვრცელდება იმ ზომებზეც, რომლებიც ეხება პროფესიის არჩევის თავისუფლებას (იხ: BVerfGE 7, 377 [399]; 86, 28 [40]), დაშვებულია მხოლოდ კანონის ნორმის საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს კონსტიტუციის მოთხოვნებს ძირითადი უფლებების შემზღვეველ კანონებთან დაკავშირებით. აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნები დაკმაყოფილებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ნორმა გამოიცა შესაბამისი კომპეტენციის საფუძველზე და ფარგლებში, გამართლებულია საყოველთაო სიკეთიდან გამომდინარე საფუძველებით, რომლებიც სათანადოდ ითვალისწინებს შესაბამისი საქმიანობის სახეობას, კონკრეტული ჩარევის ინტენსიურობას და შეესაბამება თანაზომიერების პრინციპს (იხ: BVerfGE 95, 193 [214]).

წინამდებარე კანონი არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მასშტაბებს.

1. კანონის ნორმების შედეგია, რომ კაზინოს საქმიანობის შესახებ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ბადენ-ბადენსა და კონსტანცაში კაზინოს ამუშავების ნებართვა გაიცემა მხოლოდ ისეთ კერძო სამართლის სანარმოებზე, რომელთა წილები სრულად უშუალოდ ან არაპირდაპირ ეკუთვნის ბადენ-ვიურტემბერგის ლანდს...

ა) ყოველივე ეხება პროფესიის არჩევის თავისუფლებას და გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის დაცვის სფეროს, რაც გაითვალისწინა ლანდის კანონმდებელმა. ოფიციალური კაზინოს მუშაობა წარმოადგენს პროფესიის განხორციელებას გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, რამდენადაც აღნიშნული საქმიანობა არ არის აკრძალული კანონით და ხელმისაწვდომია კერძო სანარმოებისათვის (იხ: BVerfGE 96, 302). ეს საქმიანობა, მისი სახეობიდან გამომდინარე, მოიცავს ხანგრძლივ ვადას. ამას გარდა, კაზინოს მფლობელი მენარმის საქმიანობა ორიენტირებულია მოგებაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საარსებო პირობების შექმნისა და შენარჩუნებისათვის. ამდენად, სახეზეა პროფესიის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნების ელემენტები...

ბ) ცვლილებათა კანონი ერევა ზემოთ აღნიშნულ უფლებაში, ვინაიდან ამ ცვლილების შედეგად სანარმოებს, რომლებიც, როგორც მოსარჩევეების სანარმოებს, რომლებიც სრულად არიან კერძო დაქვემდებარებაში, აღარ აქვთ შანსი, მიიღონ ნებართვა ბადენ-ბადენსა და კონსტანცაში კაზინოს მუშაობაზე. რამდენადაც პროფესიის ხელმისაწვდომობა აქ არ არის დამოკიდებული მენარმეთა კვალიფიკაციაზე ან სხვა კრიტერიუმებზე, რომლებზეც ნებართვის მიღების მსურველებს შეუძლიათ რაიმე ზემოქმედების მოხდენა, აღნიშნული ნორმა მიიჩნევა პროფესიის ხელმისაწვდომობის ობიექტურ წინაპირობად (იხ: BVerfGE 7, 377 [406]; 11, 168 [183]).

ძირითადი უფლებების ამგვარი შეზღუდვა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აუცილებელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთის დადასტურებული და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად (იხ: BVerfGE 7, 377 [408]; 11, 168 [183]). თუმცა, ასეთი ინტენსიური დაცვა ვრცელდება მხოლოდ ისეთ პროფესიებზე, რომლებსაც თავიანთი სახეობისა და მათი დაუფლების ფაქტობრივი შესაძლებლობების კუთხით არ ახასიათებთ ატიპური და განსაკუთრებული თავისებურებანი. ასეთ პროფესიას არ წარმოადგენს კაზინოს საქმიანობა. ამ საქმიანობას, პირიქით, ახასიათებს ისეთი თავისებურებები, რომლებიც გავლენას ახდენს ძირითად უფლებათა შემონემაზე, უფრო სწორად – განაპირობებს მას. კაზინოს საქმიანობა თავისთავად არის არასასურველი საქმიანობა, რასაც სახელმწიფო უშვებს, რათა ამ გზით შეზღუდოს არალეგალური თამაშები, მისცეს ადამიანებს საშუალება, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ფორმით დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები აზარტული თამაშის მიმართ და ამით დაიცვას თამაშის ბუნებრივი მოთხოვნილებები კრიმინალური გამოძალებებისაგან (იხ: BVerfGE 28, 119 [148]). ამასთან, საგრძობლად არის შეზღუდული ლეგალურ კაზინოთა რაოდენობა, რაც გამართლებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით...

კაზინოს „ბაზრის“ ზემოთ აღნიშნული თავისებურებები ვერ იქნებოდა სათანადოდ გათვალისწინებული, თუ სახელმწიფო კაზინოს მფლობელის პროფესიის არჩევის თავისუფლებას შეზღუდავდა მხოლოდ იმ წინაპირობით, რომელიც ეფუძნება საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიკეთეების დაცვისა და მათ მიმართ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებას. ბაზრის სიმცი-

რე და პროფესიული საქმიანობის სახეობის თავისებურება მოითხოვს სახელმწიფო კანონმდებლისათვის უფრო ფართო ასპარეზის მინიჭებას, ამ საკითხების მონესრიგების მიზნით. ძირითადი უფლების ეფექტური დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე კი საჭიროდ მიიჩნევა, რომ აღნიშნული პროფესიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა დამოკიდებული იყოს იმაზე, რომ ერთ, კონკრეტულ შემთხვევაში დაგეგმილი შეზღუდვა ემსახურებოდეს საზოგადოების მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუმცა, ამგვარი შეზღუდვაც მკაცრად უნდა ითვალისწინებდეს თანაზომიერების პრინციპს.

გ) ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ საზომით ცვლილებათა კანონი კონსტიტუციურ-სამართლებრივად არ არის გამართლებული.

აა) მართალია, ეს საკითხი მონესრიგდა ყველანაირი შესაბამისი კომპეტენციების დაცვით (იხ: BVerfGE 28, 119 [144]) და იგი ასევე ემსახურება მნიშვნელოვან საყოველთაო მიზნებს. ცვლილებათა კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღნიშნულის მიზანია ინფორმირების, კონტროლისა და ზემოქმედების უფრო მასშტაბური და ინტენსიური შესაძლებლობების შექმნით მოსახლეობისათვის იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც მას ემუქრება, საზოგადოდ, აზარტული თამაშებით გატაცებით...

განმარტებითი ბარათის მიხედვით, გარდა ამისა, კანონი მიზნად ისახავდა კაზინოს შემოსავლების დიდი ნაწილის გამოყენებას საზოგადოებრივი მიზნების შესრულებისათვის ანუ აზარტული თამაშებიდან მიღებული მოგების გამოყენებას საყოველთაო ღირებულებებისათვის...

ბბ) მაგრამ გასაჩივრებული ნორმა ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

(1) თუმცა, ნორმა სათანადოა ბადენ-ბადენსა და კონსტანცაში მომუშავე კაზინოებისათვის ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად...

(2) მაგრამ კანონი არ არის აუცილებელი დასახელებული მიზნის მისაღწევად, კერძოდ: ბადენ-ბადენისა და კონსტანცის კაზინოების შემოსავლების დიდი ნაწილის გამოყენებისათვის საერთო-საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. კერძო მენარმეებისათვის კაზინოს საქმიანობის აბსოლუტური აკრძალვის ნაცვლად შესაძლებელი იყო სხვა საშუალებების გათვალისწინებაც, რომლებიც სათანადო იქნებოდა დასახელებული მიზნის მისაღწევად და ნაკლებად დატვირთავდა ამ სანარმოთა მფლობელებს (იხ: BVerfGE 83, 1 [18]). მაგალითად, შესაძლებელი იყო კაზინოებისათვის მოგების გადასახადის ისეთი გაზრდა, რომ ეკონომიკურობის პრინციპის მიხედვით კაზინოს სათანადო წარმოებისათვის საჭირო თანხების გათვალისწინებით, მიღწეულიყო კანონმდებლის მიერ მიზნად დასახელებული და სასურველი მასშტაბი დამატებითი გადასახადისა და შემოსული მოგების ბრუტო მაჩვენებლის სამართლიანი განაწილების კუთხით. ასევე შეიძლებოდა სხვა, უფრო მსუბუქი საშუალებების გამოყენებაც...

რაც შეეხება კანონის მიზანს საფრთხის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, ზოგადად, ვერ იქნება უარყოფილი გასაჩივრებული ნორმის აუცილებლობა. კანონმდებელს ძირითად უფლებათა დარღვევების მსგავს შემთხვევებშიც აქვს შეფასებისა და პროგნოზირების ასპარეზი, როგორც ეს მართებულად აღნიშნა ლანდის მთავრობამაც თავის დასკვნაში. საკითხის მონესრიგებისათვის განზრახული საშუალებების შეფასებისას და შერჩევისას ასპარეზი განსაკუთრებით ფართოა და მოიცავს კანონის ნორმირების შემდგომი შედეგების პროგნოზსაც. ასეთი პრეროგატივის შედეგად კი საყოველთაო სიკეთის დაცვისათვის, კერძოდ იმ საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რაც დაკავშირებულია ოფიციალური კაზინოს მუშაობასა და იქ სტუმრობასთან, კანონმდებლის მიერ საჭიროდ და აუცილებლად მიჩნეული საშუალებები მხოლოდ იმ

შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად, თუ კანონმდებლისათვის ცნობილი ფაქტებისა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე დგინდება, რომ იმ შეზღუდვების გზით, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში მოიაზრებოდა გატარებული მასშტაბური შეზღუდვის უფრო მსუბუქ ალტერნატივად, შესაძლებელი იყო ზუსტად იმავე ეფექტის მიღწევა და დაინტერესებულ პირთა ნაკლები დატვირთვა და შევიწროება.

აღნიშნული კი სათანადო სიზუსტით ვერ დადგინდება ქ. ბადენ-ბადენისა და კონსტანცის ტერიტორიაზე კაზინოს საქმიანობის მიმართ...

... ერთმნიშვნელოვნად ვერ გამოირიცხება, რომ კაზინოს კონტროლი და თამაშისადმი ლტოლვის შეზღუდვა უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება, თუ ქ. ბადენ-ბადენსა და კონსტანციაში კაზინოები მოექცევა მხოლოდ საჯარო სუბიექტების ხელში.

მოლოდინი, რომ სახელმწიფოს შიდა კონტროლი, რომელსაც იგი განახორციელებს საკუთარ კაზინოებში ყველა საბიუჯეტო- და სამენარმო-სამართლებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე – გარედან განხორციელებული კონტროლი კერძო დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოებზე, ვერ გაქარწყლდება, ვინაიდან არ არსებობს მისი გამომრიცხავი ემპირიული გამოცდილება, და შედეგები. იგივე ვრცელდება იმ მოსაზრების მიმართაც, რომ სახელმწიფო კაზინოების თამაშის წესები ბევრად უფრო ეფექტურია საფრთხის თავიდან აცილების თვალსაზრისით, ვიდრე – კერძო კაზინოების შემთხვევაში, ვინაიდან აქ განსაზღვრულია უფრო დაბალი ფინანსური თანამონაწილეობა მოთამაშეების მხრიდან და კაზინოს მუშაობა ექვემდებარება უფრო მკაცრ პერსონალურ და საათობრივ შეზღუდვებს. ყოველივე ამის საფუძველზე ლანდის კანონმდებელს შეეძლო ევარაუდა, რომ გასაჩივრებული ნორმის გათვალისწინებით, იგი გააუმჯობესებდა იმ საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებლად უშუალო კავშირშია კაზინოს მუშაობასთან.

(3) ცვლილებათა კანონის პირველი მუხლი კი, რამდენადაც იგი ეფუძნება სამეურნეო წესრიგის დამკვიდრების პოლიტიკას, თავისი მასშტაბური შედეგების გამო იმ საწარმოებისათვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაზინოს საქმიანობის შესახებ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებს, არ არის თანაზომიერი ვინრო შეცნობით. აქ აღარ არის დაცული შესაბამისობის ზღვარი ჩარევის მასშტაბურობასა და მის გამამართლებელ საფუძველებს შორის (იხ: BVerfGE 75, 284 [298]).

ცვლილებათა კანონით განხორციელებული ჩარევა პროფესიის არჩევის თავისუფლებაში მასშტაბურია...

ძირითად უფლებაში ჩარევის სიმძიმე და მასშტაბურობა გამომდინარეობს ცვლილებათა კანონით გამოწვეული შედეგებიდან. აღნიშნული ნორმა ყველას უკრძალავს კაზინოს მენარმის პროფესიის არჩევას, ვისაც ქ. ბადენ-ბადენისა და კონსტანცის ტერიტორიაზე სურს კერძო სათანამშო დანესტებულების ამოქმედება, ვინაიდან მას უკვე წართმეული აქვს შანსი, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული პროფესიის განსახორციელებლად ჩატარებულ კონკურსში. ასეთი შანსის სრული გაქრობა არ არის ადეკვატური და სათანადო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბადენ-ვიურტემბერგის ლანდზე არსებული კერძო კაზინოები ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ყოველგვარი გართულების გარეშე და შესაძლებელია ითქვას – სამაგალითოდაც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ არ მომხდარა ისეთი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა, მიჩნეულიყო კაზინოს საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხეების გამომწვევ მიზეზად...

... ცალკეული პირის უფლებაში ჩარევის მასშტაბურობა ვერ გამართლდება და გათანაბრდება საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობების გაუმჯობესების



მცდელობასთან, მით უფრო, რომ ეს გაუმჯობესება არ არის იმდენად ეფექტური და პერსპექტიული, რომ გაამართლოს ძირითადი უფლების შეზღუდვის ასეთი სიმძიმე...

## **E – 105, 252**

1. ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციების სახელმწიფოსათვის მიწოდება არ ზღუდავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ კონკურსანტთა ძირითად უფლებას, თუ ზეგავლენა კონკურენციისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებზე ხორციელდება საბაზრო პირობების დარღვევის გარეშე, სახელმწიფოს ინფორმირების შესახებ კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ამოცანის არსებობა და კომპეტენციათა სისტემის დაცვა, ასევე – ინფორმაციის სისწორესა და ობიექტურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინება.
2. გერმანიის ფედერალური მთავრობა, მისი სახელმწიფოს მართვის ფუნქციიდან გამომდინარე, უფლებამოსილია წარმართოს საინფორმაციო საქმიანობა ყველგან, სადაც მას აკისრია სახელმწიფო პასუხისმგებლობა, რომელიც შესაძლოა, შესრულდეს და განხორციელდეს ინფორმაციითა დახმარებით.

პირველი სენატის 2002 წლის 26 ივნისის განჩინება  
- Az: 1 BvR 558/91 -

სარეზოლუციო ნაწილი:  
კონსტიტუციური სარჩელები არ დაკმაყოფილდეს.

მოტივაცია:

ა

ერთი საქმის ფარგლებში გაერთიანებული კონსტიტუციური სარჩელები ეხება საკითხს: დაირღვა თუ არა ლეინის ქარხნების მფლობელ მოსარჩელეთა ძირითადი უფლებები, როდესაც ჯანმრთელობის, ახალგაზრდობისა და ოჯახურ საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სია, სადაც ჩამოთვლილი იყო Diethynglykol-ის (დიეთინის გლიკოლის) შემცველი ლეინოები, მათ შორის – ზემოთ აღნიშნული ქარხნების წარმოებულნიც....

ბ

საკონსტიტუციო საჩივრები დაუსაბუთებელია. დიეთილენგლიკოლის შემცველი ლეინოების სიის გამოქვეყნება და გასაჩივრებული გადანყვეტილებები არ არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, მე-3 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოსარჩელეთა ძირითად უფლებებს.

ი

მოსარჩელებს არ შეეზღუდათ გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით დაცული ძირითადი უფლება...

2. არსებული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თავისუფლება ვრცელდება ცალკეული პირისა თუ სანარმოს პროფესიულ ქმედებაზე (იხ: BVerfGE 32, 311 [317]). მაგრამ ზემოთ აღნიშნული ძირითადი უფლება არ იცავს ბაზარზე სწორი და პროფესიულად გამართლებული ინფორმაციების გავრცელებას, რომლებიც შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ბაზრის მონაწილეთა საკონკურენტო ქმედებისათვის. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც ინფორმაციის შინაარსმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ცალკეულ საკონკურენტო პოზიციაზე. თუმცა, გერმანიის ფედერალური მთავრობა ვალდებულია, დაიცავს საინფორმაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი წესები და მოთხოვნები...

ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმი არ მოიცავს დაცვას კონკურენტის განმსაზღვრელ ფაქტორებში ჩარევისაგან. იგი განსაკუთრებით არ ითვალისწინებს კონკურენტის ფარგლებში წარმატების მოთხოვნისა და სამომავლო შემოსავლების უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლებას (იხ: BVerfGE 24, 236 [251]; 34, 252 [256]). საკონკურენტო პირობები და აქედან გამომდინარე, ბრუნვაც და შემოსავლებიც დამოკიდებულია მუდმივ ცვლილებათა რისკზე, რომელიც, თავის მხრივ, გამომწვეულია ბაზრის პირობებით.

ბ) ბაზარზე მოქმედმა სანარმომ უნდა შეძლოს „დადგეს“ კომუნიკაციის და ამით მისი პროდუქციისა და ქმედების ხარისხის კრიტიკის წინაშე...

გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი არ ითვალისწინებს სანარმოს უფლებას, სხვებმა ისე წარადგინონ და დაახასიათონ იგი, როგორც თვითონ სურს საკუთარი თავისა თუ პროდუქციის დანახვა და წარდგენა...

გ) კონკურენტის საფუძველი და წინაპირობა არის ბაზრის მონაწილეების მიერ რაც შეიძლება მეტი ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან საბაზრო ფაქტორებთან. მხოლოდ ბაზრის მონაწილეთა ინფორმაციის თავისუფლება აძლევს მათ შესაძლებლობას, საკუთარ ინტერესებზე ორიენტირების საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღონ ბაზარში მონაწილეობის პირობებთან, განსაკუთრებით კი – საქონლისა და მომსახურების მიწოდება-მოთხოვნასთან დაკავშირებით. შესაბამისი ინფორმაციების ხელმისაწვდომობა არაპირდაპირ ემსახურება ბაზრისათვის შეთავაზებული პროდუქციის ხარისხისა და მრავალფეროვნების გაუმჯობესებასაც.

... თუმცა, ბაზარი, როგორც მექანიზმი, არ ითვალისწინებს იმას, რომ მუდმივად გარანტირებული იქნება სათანადო ან მაღალი ინფორმაციული დონე. ხშირად ბაზარზე არსებული და ხელმისაწვდომი ინფორმაცია არასრულია. ისინი, რიგ შემთხვევებში, ვრცელდება ფრაგმენტულად. ამასთან, ბაზარზე ხელმისაწვდომ ყველა ინფორმაციას არ გააჩნია თანაბრად ხელსაყრელი წინაპირობები, რათა ადრესატებმა მიიღონ და, შესაბამისად, გადაამუშაონ იგი. ბაზრის მუშაობის პრინციპის ხელშემწყობი ფაქტორია, როდესაც საქმიანობის შემთხვევაში სახელმწიფო ინფორმაციებიც თავიანთი განსხვავებული პერსპექტივით დაემატება არსებულ საინფორმაციო ბაზარს ან, როდესაც ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა უპირატესი საინფორმაციო შესაძლებლობები გათანაბრდება ზემოთ აღნიშნული ინფორმაციების მეშვეობით...

ე) ბაზართან დაკავშირებული სახელმწიფო ინფორმაციები არ ზღუდავს ბაზრის მონაწილეთა ძირითადი უფლებების უზრუნველყოფას მანამ, სანამ ზეგავლენა კონკურენტისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებზე ხორციელდება საბაზრო პირობების დარღვევის გარეშე, სახელმწიფოს ინფორმირების შესახებ კანონის

მიხედვითა და გათვალისწინებით. კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ამოცანის არსებობასა და კომპეტენციის სისტემის დაცვას (აა), ასევე – ინფორმაციის სისწორესა და ობიექტურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებას (ბბ).

აა) სახელმწიფოს ინფორმაციის გავრცელება გულისხმობს მოქმედი უწყების ამოცანასა (1) და კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებას (2).

(1) თუ შესაძლებელია მთავრობის ან ადმინისტრაციის ამოცანათა განხორციელება საჯარო ინფორმაციების მეშვეობით, მაშინ ამ ამოცანის აღწერა და მიკუთვნება მოიცავს საინფორმაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოსილებასაც.

აღნიშნული მოცემულია მთავრობის მიერ სახელმწიფოს მართვისას. სახელმწიფოს მართვა მოიცავს დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლეგიტიმაციის მიღწევას და ადმინისტრაციის საქმიანობის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობას კონკრეტული საჯარო ამოცანების შესასრულებლად. სახელმწიფოს მართვის ფუნქცია არ ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობის საშუალებებისა და კანონის აღსრულებასა და იმპლემენტირებაზე მიმართულების მიმცემი ზემოქმედების გზით, არამედ იგი სრულდება საზოგადოებაში ინფორმაციების გავრცელებითაც...

ზემოთ აღნიშნული შეცნობით სახელმწიფოს მართვა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების კონფლიქტების მოგვარების გამართიერების ფუნქციით, არამედ მოიცავს ასევე მოულოდნელად წარმოქმნილი გამონევეების წინაშე წარდგომას, კრიზისებზე სწრაფ და სათანადო რეაგირებას და მოქალაქეებისათვის ორიენტირებისას დახმარების განწევას. აგრარულ და სასურსათო სექტორებში აქტუალურმა კრიზისებმა თვალსაჩინო გახადა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯაროდ ხელმისაწვდომ, მთავრობის ავტორიტეტივით აღჭურვილ სანდო ინფორმაციებს ამგვარ დაძაბულ პირობებში სიტუაციის სათანადო მართვისათვის. თუ მთავრობა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში თავს აარიდებს თავისი ფუნქციების შესრულებას, კერძოდ, მოქალაქეების ორიენტაციასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას განმარტებების, კონსულტაციებისა და რეკომენდაციების საშუალებით და შემოიფარგლება მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებით ან დაუცდის სახელმწიფოს სხვა ორგანოების მიერ ადმინისტრაციული ზომების გატარებას, მაშინ სახელმწიფოს მოაკლდება კრიზისების მართვისა და მოგვარების სწრაფი, ეფექტური და მესამე პირთა უფლებების ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი ელემენტი. ამასთან, მთავრობის დუმილს მრავალი მოქალაქე შეაფასებს იმედის გაცრუებად, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ლეგიტიმაციის დაკარგვა.

(2) კომპეტენციათა სისტემა ასევე გასათვალისწინებელია საინფორმაციო საქმიანობისას. ფედერალურ დონეზე უფლებამოსილების საკითხები ფედერალურ კანცლერს, ფედერალურ მინისტრებსა და ფედერალურ მთავრობას, როგორც კოლეგიურ ორგანოს, შორის მონესრიგებულია გერმანიის ძირითადი კანონის 65-ე მუხლით. აღნიშნულის გარდა, გასათვალისწინებელია კომპეტენციათა ფედერალური გადანაწილება ლანდებსა და ფედერაციას შორის (იხ: BVerfGE 44, 125 [149]). ამასთან, გადანყვეტილება კომპეტენციებთან დაკავშირებით დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მიეკუთვნება შესაბამისი ამოცანა — ლანდებს თუ ფედერაციას, ან არსებობს თუ არა პარალელური კომპეტენციები.

სახელმწიფოს მართვის ფუნქცია და საინფორმაციო საქმიანობა, როგორც ამ ფუნქციის განუყოფელი ნაწილი, არის საერთო-სახელმწიფოებრივი პასუხისმგე-

ბლობის გამოხატულება. საკანონმდებლო და ადმინისტრაციული კომპეტენციებისაგან განსხვავებით, ფედერალური მთავრობის სახელმწიფოს მართვის კომპეტენციასთან დაკავშირებით, გერმანიის ძირითადი კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებებსა და ნორმებს. მაგრამ ძირითადი კანონი კონკლუდენტურად გამომდინარეობს აღნიშნული კომპეტენციებიდან, მაგალითად, ფედერალური მთავრობის შემადგენლობასა და ამოცანებთან დაკავშირებული ნორმებიდან (გერმანიის ძირითადი კანონის 62-ე მუხლიდან), ასევე – ფედერალური მთავრობის ვალდებულების განსაზღვრისას, რომლის მიხედვითაც მას ევალება ბუნდესტაგისა და მისი კომიტეტების ინფორმირება; იგივე ეხება მთავრობისა და მისი წევრების ვალდებულებას, პასუხი გასცენ ბუნდესტაგის შეკითხვებს და მიანოდონ დეპუტატებს მათი მანდატით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ინფორმაცია (იხ: BVerfGE 13, 123 [125]; 57, 1 [5]; 67, 100 [129]). გერმანიის ფედერალური მთავრობა, სახელმწიფოს მართვის ფუნქციიდან გამომდინარე, უფლებამოსილია საინფორმაციო საქმიანობაზე ყველგან, სადაც მას აკისრია სახელმწიფო პასუხისმგებლობა, რომელიც, შესაძლოა, განხორციელდეს ინფორმაციათა დახმარებით. ამგვარი პასუხისმგებლობის ნიშნები და წინაპირობები გამომდინარეობს სხვა კომპეტენციებიდან, მაგალითად, საკანონმდებლო კომპეტენციებიდან და ასევე – კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივისაგან დამოუკიდებლად.

ფედერაცია განსაკუთრებით უფლებამოსილია სახელმწიფო მმართველობაზე მაშინ, როდესაც ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია უცხო ქვეყნებთან ან რომლებიც გამოირჩევა რეგიონალური ხასიათით და ამ დროს პრობლემათა ეფექტური გააზრება და გადაჭრა საჭიროებს მთავრობის საინფორმაციო საქმიანობას ფედერალური მასშტაბით. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ფედერალურ მთავრობას შეუძლია დაკავდეს ამ მოვლენებით, წარუდგინოს ინფორმაცია მათ შესახებ პარლამენტსა და საზოგადოებას და შეაფასოს ისინი. პრობლემის მოგვარებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობას შეუძლია გამოცეს რეკომენდაციები ან გაფრთხილება.

გერმანიის ძირითადი კანონის 30-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ფედერალური მთავრობის აღნიშნული უფლებამოსილება, იმავდროულად ანესრიგებს სხვა საკითხსაც ლანდებთან მიმართებით. ფედერალური მთავრობის საინფორმაციო საქმიანობის მომცველი კომპეტენციისათვის არ არის გადამწყვეტი გერმანიის ძირითადი კანონის 83-ე და მისი მომდევნო მუხლები, ვინაიდან მთავრობის საქმიანობა არ წარმოადგენს ადმინისტრირებას აღნიშნული მუხლების გაგებით. ფედერალურ მთავრობას სახელმწიფოს მართვის ფარგლებში არ გააჩნია ადმინისტრაციული ზომების საშუალებით კანონთა აღსრულების უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, ფედერალური მთავრობის საინფორმაციო საქმიანობას არ მოიცავს ისეთი ნორმები, როგორცაა: პროდუქტთა უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-8 მუხლი, მედიკამენტთა შესახებ კანონის 69-ე მუხლის მე-4 პუნქტი ან ხელსაწყოების უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-9 მუხლი, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებს კანონის აღსრულების ფარგლებში ანიჭებს საზოგადოების ინფორმირებისა და გაფრთხილების უფლებამოსილებას.

ფედერალური მთავრობის ინფორმაციის კომპეტენცია არ მთავრდება იქ, სადაც კრიზისის დაძლევისათვის დამატებით განიხილება სახელმწიფოს სხვა ორგანოების ქმედება, თავიანთი შესაბამისი კომპეტენციებიდან გამომდინარე, როგორცაა, მაგალითად, ლანდის მთავრობები მათი სახელმწიფოს მმართველობის ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, ან პოლიციის მეშვეობით საფრთხის თავიდან აცილების შემთხვევები და ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი ზომების

გატარება. დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ფედერალური მთავრობის საინფორმაციო საქმიანობა რომ შეზღუდულიყო კრიზისის დაძლევის ყველა სხვა, მნიშვნელოვანი საკითხით და არ გავრცობილიყო მითითებებზე გარკვეულ მოვლენათა საშიშროების შესახებ. ინფორმაციის სრულყოფილება არის მისი დამაჯერებლობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და წინაპირობა. ფედერალური მთავრობის პრობლემისათვის შესაბამისი და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს სხვა ორგანოების კომპეტენციების გადამკვეთი საინფორმაციო საქმიანობა არ არის პრობლემატური, კომპეტენციათა ფედერალური გადანაწილების ასპექტის გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული ქმედება არც ლანდის მთავრობის საინფორმაციო საქმიანობას გამორიცხავს ან ზღუდავს და არც ადმინისტრაციულ ორგანოებს ართმევს იმის უფლებას, რომ შეასრულონ თავიანთი ადმინისტრაციული ამოცანები.

ბბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი არ იცავს სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტს შინაარსობრივად სწორი, ობიექტურობის პრინციპის გათვალისწინებითა და სათანადო თავშეკავებით ფორმულირებული ინფორმაციის გავრცელებისაგან.

ინფორმაციის შინაარსობრივი გამართულობა წარმოადგენს ბაზარზე გამჭვირვალეობისა და ამით მისი ფუნქციონირების ხელშეწყობის წინაპირობას. სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტი განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას შესაძლებელია, უფლებამოსილი იყოს გაავრცელოს ინფორმაცია მაშინაც, როდესაც, მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად გარკვეული მისი მართებულობა. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო საინფორმაციო საქმიანობის მართლზომიერება დამოკიდებულია იმაზე, ინფორმაციის გავრცელებამდე იყო თუ არა ზედმინევნიტ გამოკვლეული მოცემული ფაქტობრივი გარემოებები შესაძლებლობის ფარგლებში და უზრუნველყოფილია თუ არა, მაგალითად, ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროების გამოყენებით, მონაწილეთა მოსმენით არსებული გარემოებებისათვის შესაბამისი მაქსიმალური მართებულობა. თუ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ეჭვქვეშ რჩება გარკვეული გარემოებების საკითხი, მაშინ სახელმწიფო იმ შემთხვევაში ინარჩუნებს ინფორმაციის გავრცელების უფლებამოსილებას, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ბაზრის მონაწილეები ინფორმირებული იყვნენ მათი ქმედებისათვის ძალზე მნიშვნელოვან გარემოებებზე, მაგალითად, როგორიცაა მომხმარებელთა რისკი და ა.შ. ასეთ შემთხვევებში გამართლებული და მიზანშეწონილი იქნება, ბაზრის მონაწილეებს მიეთითოთ ინფორმაციის მართებულობასთან დაკავშირებით არსებულ გაურკვეველობებზე, ვინაიდან ამ გზით მათ ექნებათ საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ, თუ როგორ მიუდგნენ ამ გაურკვეველობებს...

3. ზემოთ აღნიშნული მასშტაბებისა და განმარტებების მიხედვით, უსაფუძვლოა პრეტენზიები დიეთილენგლიკოლის შემცველი ღვინოების გამოქვეყნებული სიის მიმართ. სიის გამოქვეყნება არ ატარებს უფლების შეზღუდვის ხასიათს. დიეთილენგლიკოლის შემცველი ღვინოების სიის გამოქვეყნება უდავოდ უტყუარი მონაცემებით არ ზღუდავს მოსარჩელის ძირითად უფლებას პროფესიის თავისუფალ განხორციელებასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი არ ეხება დიეთილენგლიკოლისაგან თავისუფალი ღვინით ვაჭრობის შანსებსა და შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში მთავრობამ გაითვალისწინა და დაიცვა თავისი საინფორმაციო საქმიანობის სამართლებრივი ზღვარი და ფარგლები...

**E – 32, 54**

1. გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული „ბინის“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს: იგი ასევე მოიცავს სამუშაო, სანარმო და სავაჭრო სათავსებს.
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნებების – „ჩარევის და შეზღუდვის“ განმარტება უნდა შეესაბამებოდეს, ერთი მხრივ, კერძო საცხოვრებლისა და, მეორე მხრივ, სამუშაო, სანარმო და სავაჭრო სადგომის დაცვიდან გამომდინარე სხვადასხვა ასპექტს.

**პირველი სენატის 1971 წლის 13 ოქტომბრის განჩინება  
- 1 BvR 280/66 -**

... გერმანიის ხელოსანთა დებულების მე-17 მუხლით გათვალისწინებული ინფორმირებისა და დათვალიერების უფლება ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

**მუხლი 17**

(1) სახელოსნოს სახით რეგისტრირებული ან რეგისტრაციის მსურველი სანარმოები ვალდებული არიან, ხელოსანთა პალატას მიანოდონ რეგისტრაციისათვის საჭირო ინფორმაცია მათი სანარმოს საქმიანობის სახეობისა და მოცულობის, ასევე სანარმოში პროფესიით თუ არაპროფესიით დასაქმებულ პირთა რაოდენობის, სანარმოს მესაკუთრისა და დირექტორის სახელოსნო გამოცდებში მონაწილეობის თაობაზე.

(2) ხელოსანთა პალატის წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის შევიდნენ, დაათვალიერონ და შეამოწმონ ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული პირის ნაკვეთი და სამუშაო სადგომი. ინფორმაციის გაცემაზე ვალდებულმა პირმა უნდა ითმინოს აღნიშნული ზომების გატარება. ამით ხდება საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების (გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი) შეზღუდვა...

მოსარჩელები არიან სწრაფი ქიზმენდის სანარმო მესაკუთრეები, რომლებიც წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელით პირდაპირ უპირისპირდებიან ხელოსანთა დებულების ნორმებს. ისინი მოითხოვენ ხელოსანთა დებულების მე-17 მუხლის... არაკონსტიტუციურად, კერძოდ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლთან შეუსაბამოდ ცნობას.

მოსარჩელები დასაშვებად მიიჩნევენ კონსტიტუციურ სარჩელს, ვინაიდან თავიანთი განმარტებების მიხედვით, მათ მოცემულ დროში და უშუალოდ ეხებათ გასაჩივრებული ნორმები; მათი განცხადებით, იგივე ვრცელდება ხელოსანთა დებულების მე-17 მუხლის მიმართ, ვინაიდან ამ ნორმიდან გამომდინარე, მოსარჩელები ყოველთვის შეიძლება ელოდონ ხელოსანთა პალატის წარმომადგენლის გამოჩენას, სანარმოების ტერიტორიაზე მის შემოსვლასა და დათვალიერება-შემოწმებას.

აღნიშნული ნორმების ფორმულირება და მათი მიზანი იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ნებადართულია მხოლოდ სამუშაო-საექსპლუატაციო სადგომსა და არა – სანარმოს მესაკუთრის კერძო საცხოვრებელ სადგომში შესვლა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა პრეტენზიები უსაფუძვლო იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ „ბინის“ ცნებაში არ მოიაზრებოდეს სამუშაო და საექსპლუატაციო სადგომები, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის გაგებით.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, რომელსაც იზიარებს გერმანიის ფედერალური იუსტიციის მინისტრი, ვერ დაეთანხმება ფედერალური სასამართლო...

3. ფედერალური იუსტიციის მინისტრის მიერ მხარდაჭერილი ბინის ცნების განმარტება აშკარად განპირობებულია იმ მოსაზრებითაც, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის განვრცობა სამუშაო და საექსპლუატაციო ფართებზე ხელს შეუშლიდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამეურნეო, სამუშაო და საგადასახადო ზედამხედველობის ფარგლებში ამ ტერიტორიების დათვალიერების უფლებას, ვინაიდან ამგვარი უფლებამოსილება აღარ მოიაზრებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვებით. ეს მოსაზრება გამართლებულიც რომ იყოს, დამაფიქრებელია, როდესაც ძირითადი უფლების მოქმედების სფერო განიმარტება მასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე და შემდეგი არგუმენტებით: ვინაიდან ძირითადი უფლების ფართო განმარტების შემთხვევაში შეზღუდვების დანესება დაკავშირებულია პრაქტიკულ სირთულეებთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მის ვინრო განმარტებას, რომლის შემთხვევაშიც შეზღუდვები იქნებოდა განუსაზღვრელი. ძირითადი უფლების მოქმედების განსაზღვრისას, უპირველესად, უნდა დადგინდეს მისი მატერიალური, არსებითი დანიშნულება; მხოლოდ ამის შემდეგ, პრინციპული თავისუფლების პრეზუმფციის, თანაზომიერებისა და დასაშვებობის კონსტიტუციური პრინციპების გათვალისწინებით, უნდა დანესდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით გამართლებული და მიღებული შეზღუდვები. ფედერალური იუსტიციის მინისტრის მიერ დანახული საფრთხე პრაქტიკულ სირთულეებთან დაკავშირებით შესაძლებელია, გადაილახოს ზემოთ აღნიშნული ნორმისა და ცნების დიფერენციული განმარტებით.

4. ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული დაცვის განვრცობა სამუშაო ფართებზე, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ ასეთი ობიექტების „ჩხრეკა“ ძირითადად შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამართლის გადანყვეტილებით.

(მე-2 პუნქტი) ფედერალური იუსტიციის მინისტრი აღიარებს, რომ ზემოთ აღნიშნულ სათავსებთან მიმართებით მოქმედებს იგივე დაცვითი ნორმები, რაც საცხოვრებელი სადგომის შემთხვევაში და მისი აზრით, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში და მათ შორის – გერმანიაშიც, დაუშვებელია მოსამართლის წინასწარი განკარგულების გარეშე საექსპლუატაციო და სამუშაო სათავსების ჩხრეკა. თუმცა, აღნიშნული შედეგი ვერ იქნება სათანადოდ გარანტირებული, ბინის ცნების ვინრო განმარტებით.

მოცემულ შემთხვევაში ვერ გადანყდება „ჩხრეკის“, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნების, განვრცობის საკითხი (იხ: BVerwGE 28, 285), ვინაიდან წინამდებარე საქმისათვის მნიშვნელოვანი და განსახილველი ღონისძიებები, როგორცაა სახელოსნო საქმიანობიდან გამომდინარე შესაბამის სადგომებში შესვლისა და დათვალიერების უფლებები, არ წარმოადგენს ჩხრეკას.

ბ) ბინის პრინციპული ხელშეუხებლობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში იმით არის გარანტირებული, რომ „ჩარევა და შეზღუდვები“, რომლებიც არ წარმოადგენს „ჩხრეკას“, შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ გარკვეული და მკაფიოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. ვინრო გაგებით საცხოვრებელი ბინების შემთხვევაში დასაშვები ჩარევების ამგვარი მკაცრი შეზღუდვა შესაბამემა მოქალაქის პირადი ცხოვრების აუცილებელი დაცვის პრინციპს. თუმცა, მეტად შორს მიდის, როდესაც ფედერალური იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები „მათი არსიდან გამომდინარე ითვალისწინებენ (მხოლოდ) საცხოვრებელ სადგომებს“, ვინაიდან როგორც „ეპიდემიასთან ბრძოლის“, ასევე „სა-

ფრთხეში მყოფი მოზარდების დაცვის მიზნით“ (უმეტესად იგულისხმება მოზარდთა მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები) შესაძლებელია, საქმის არსიდან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელი იყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამუშაო და საექსპლუატაციო ფართებში შესვლა. თუმცა, მართლაც შესაძლებელია გაურკვეველად იქნეს მიჩნეული, წარმოადგენს თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების სფეროს სამუშაო სადგომებზე განვრცობა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მთელი რიგი კანონების საფუძველზე მინიჭებული სამუშაო ფართებზე კონტროლის განხორციელების მიზნით შესვლის უფლებისათვის სათანადო კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს. მართალია, გარკვეულ შემთხვევებში ზემოთ აღნიშნული უფლების საფუძველზე განხორციელებული ჩარევა გამართლდება „საზოგადოებრივი ნესრიგისა და უსაფრთხოებისათვის გადაუდებელი საფრთხის თავიდან აცილების“ მიზნით, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ამ პრინციპის ფართო განმარტების შემთხვევა, რომელიც ვრცელდება უშუალო საფრთხის თავიდან აცილებაზე, რაც ასევე საფუძველად დაედო გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1964 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებას (BVerfGE 17, 232 [251]). ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკური, სამუშაო და საგადასახადო ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს ენიჭებათ უფლება, შევიდნენ სამუშაო და საექსპლუატაციო სადგომებში, რათა მათ, სანარმოს მესაკუთრის მიერ შესაბამისი ინფორმაციების მიწოდების ვალდებულებიდან გამომდინარე, შეამოწმონ საბუღალტრო ნიგენები და აქტები ან დაათვალიერონ საქონელი და დანადგარები, ამგვარი ღონისძიებების განხორციელების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, ნორმის ტრადიციული განმარტებით, იქნებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის უკვე გაუმართლებელი გადაჭარბება. მეორე მხრივ, მართებულია მინისტრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი დათვალიერების უფლებები წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური ზედამხედველობის აუცილებელ ინსტრუმენტს. მათი დანიშნულება და მნიშვნელობა კერძო სანარმოთა ეკონომიკური მართვის სფეროში მატულობს მეტი საჯარო-სამართლებრივი მართვის ელემენტების შემოღებითა და აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური კონტროლის დახვეწითა და ინტენსიურობით.

ფედერალური იუსტიციის მინისტრის მოსაზრებით, საპარლამენტო საბჭოს განზრახვას არ შეადგენდა ადმინისტრაციული ორგანოების სადგომში შესვლისა და მისი დათვალიერების (მისთვის უკვე ნაცნობი) უფლებების აღმოფხვრა. მინისტრის აზრით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის ფორმულირებისას „შეგნებულად არ მოხდა“ აღნიშნული შემთხვევების (უფლებების) გათვალისწინება. მინისტრის მოსაზრებების შესაბამისად, კანონმდებელი ძირითადი კანონის ამოქმედებისას ყოველთვის გამომდინარეობდა იქიდან, რომ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი არ გამორიცხავს ზემოთ აღნიშნული დათვალიერების უფლების განხორციელებას. ამ უფლებათა მოქმედების დაყრდნობას ჩვეულებით სამართალზე მინისტრი მართებულად უარყოფს. ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე ძირითადი უფლებების შეზღუდვას პრინციპულად ეწინააღმდეგება თვითონ კანონმდებლის მიერ ცალკეული ძირითადი უფლების არსთან შეთავსებული შეზღუდვების გათვალისწინება.

გ) ამგვარ ვითარებაში გამართლებული და მიზანშეწონილია ისეთი ვრცელი განმარტება, რომელიც სათავეს იღებს „ჩარევიდან და შეზღუდვებიდან“ და აღნიშნულ ცნებებს განმარტავს ისე, რომ ყოველივე შეესატყვისება ძირითადი უფლების დამცავ ნორმას და შეესაბამება კანონმდებლის ნებას, მაგრამ იმავდროულად სათანადოდ გაითვალისწინებს თანამედროვე სახელმწიფოს მართვის საჭიროებას და მასთან დაკა-



ემირებულ ზომებს. აღნიშნული განმარტება ემყარება იმას, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის სამუშაო და საექსპლუატაციო სადგომებზე განვრცობის შემთხვევაში მაინც სხვადასხვაგვარია სამართლებრივი დაცვის საჭიროება „კერძო ტერიტორიას“ მიკუთვნებული ფართების მიმართ. ამ ფართებს შორის სამუშაო და საექსპლუატაციო ობიექტებისათვის, მათი მიზნებიდან გამომდინარე, დამახასიათებელია „გარე სამყაროსთან“ უფრო ღია დამოკიდებულება; აღნიშნული ობიექტების ერთ-ერთი დანიშნულებაა სოციალური კონტაქტების დამყარება. ამ გაგებით მესაკუთრე სათავეებს აღარ გამოყოფს თავისი პირადი ინტიმური სფეროს ფარგლებიდან, რომელშიც მოიაზრება ბინა ვინრო გაგებით. ადამიანის მოთხოვნილებას, თავი აარიდოს გარე სამყაროს ხმაურს, პირადი ცხოვრების ხელის შემშლელ გარემოებებს და მიაშუროს ისეთ ადგილს, სადაც იგი განავითარებს და „იპოვის“ საკუთარ თავს, შეესაბამება ის გარემოება, რომ „ჩარევის და შეზღუდვების“ განმარტება საკმაოდ მკაცრად უნდა განისაზღვროს, როდესაც იგი დაკავშირებულია ბინასთან ვინრო გაგებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ განმარტებით გათვალისწინებულ საცხოვრებელ სადგომში შესვლისა და დათვალიერების უფლება გამოირიცხება, ვინაიდან ამ შემთხვევაში მთლიანად მოქმედებს და ვრცელდება ძირითადი უფლების დამცავი მექანიზმი და ცალკეული ადამიანისათვის უზრუნველყოფს „გარე სამყაროს ხმაურისაგან დასვენების“ უფლებას (BVerfGE 27, 1 [6]). ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ასეთ სადგომებში მიმდინარეობს პროფესიული ან სამუშაო საქმიანობა.

მხოლოდ სამუშაოდ ან სანარმოსათვის განკუთვნილი სადგომების შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული დამცავი მექანიზმი სუსტდება ამ ობიექტების მიზნობრიობიდან გამომდინარე, რასაც თვითონ მესაკუთრის სურვილის შესაბამისად უნდა აკმაყოფილებდნენ და ემსახურებოდნენ ეს ობიექტები. საქმიანობა, რომელსაც მესაკუთრე ამ სათავეებში ეწევა, მიმართულია გარე სამყაროსკენ და შესაბამისად, შესაძლებელია ეხებოდეს სხვა პირთა და საზოგადოების ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც ევალებათ აღნიშნული ინტერესების დაცვა, უფლებამოსილნი არიან, ადგილზე გააკონტროლონ ასეთი საქმიანობა და ამ მიზნით, ისარგებლონ აღნიშნულ ტერიტორიებზე შესვლის უფლებით. ასეთი მიზანმიმართული ქმედება არ წარმოადგენს საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ხელყოფას და, შესაბამისად, სანარმოს მესაკუთრეც ადმინისტრაციული ორგანოების შესვლას მისი სანარმოს ტერიტორიაზე ძირითადად არ აღიქვამს თავისი საცხოვრებლის უფლების შეზღუდვად. მისი ფსიქოლოგიური პროტესტი შეიძლება მიმართული იყოს თვითონ დათვალიერებისა და შემონმების ფაქტის წინააღმდეგ, რომელიც მას ზედმეტად, შემანუხებლად და არასათანადოდ მიაჩნია, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის შესვლას აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელიც, მესაკუთრისავე ნების თანახმად, მისი დანიშნულებისამებრ, ღიაა გარე სამყაროსათვის, სანარმოს მესაკუთრე არ აღიქვამს თავისი ძირითადი უფლების დარღვევად.

შესაბამისი ნორმის არასრულყოფილებიდან გამომდინარე, იუსტიციის მინისტრის მსგავსად, თუ მივიჩნევთ, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი „თავიდანვე“ არ უნდა მოიცავდეს სამუშაო ობიექტებზე შესვლისა და მათი დათვალიერების უფლებებს, შესაძლოა, უსაფუძვლო არ იყოს იმის ვარაუდი, რომ საპარლამენტო საბჭოც ამ „მიუკერძოებელი“ მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა. კანონმდებლის პრეროგატივაა, შეამოწმოს, თუ რამდენად საჭიროებს ძირითადი კანონის ეს ნორმები ახლებურად ჩამოყალიბებას, მისი ნების უფრო მკვეთრი გამოხატვის მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლოა, მიეთითოს ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკაზე (იხ. ასევე BVerfGE 32, 54 [73]), რომლის

მიხედვითაც, ჩხრეკის ცნებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო ორგანოების მიერ გარკვეული პირების, საგნების ან ფაქტების გამიზნული ძებნა ისეთი რამის პოვნის მიზნით, რომლის შესახებაც ბინის მესაკუთრეს არ სურს ინფორმაციის გაცემა.

ბინის ჩხრეკა, მოძრავი ნივთების პოვნისა და მათი იძულებითი აღსრულების ფარგლებში დაყადაღების მიზნით, წარმოადგენს ჩხრეკას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით.

სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნორმის ფორმულირება ერთმნიშვნელოვანია და არ საჭიროებს დამატებით განმარტებას, გარდა იმისა, რომ ჩხრეკის ღონისძიებების ჩატარება ექვემდებარება მოსამართლის მიერ შესაბამისი განკარგულების გაცემას. ამასთან, არ ხდება არანაირი ფორმის დიფერენცირება ჩხრეკის სხვადასხვა სახეობასა და გამოყენების სფეროს შორის.

ძირითადი უფლების დაცვითი მექანიზმის მიზანიც მეტყველებს აღნიშნულის სიტყვა-სიტყვით განმარტებაზე. თუმცა, იძულებითი აღსრულების ფარგლებში ჩატარებული ჩხრეკისას ამ ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენების საშიშროება ნაკლებია, ვიდრე – სხვა შემთხვევებში, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება ჩხრეკის ამგვარ ღონისძიებებზე. სახელმწიფო ორგანოთა ძალისმიერი შეჭრა ბინაში და მისი ჩხრეკა ნიშნავს პირის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას. ისევე, როგორც პირის თავისუფლების ელემენტარული ძირითადი უფლების შემთხვევაში (იხ: გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება), საცხოვრებელი ბინის (ვინრო გაგებით) შემთხვევაშიც ძლიერდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი დამცავი მექანიზმი, რის შედეგადაც იგი შეესაბამება მოქალაქის პირადი ცხოვრების აუცილებელი პატივისცემის ძირითად პრინციპს (BVerfGE 32, 54 [73]). იგი ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან. ცალკეულ პირს საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზე (BVerfGE 32, 54 [73]) გარანტირებული უნდა ჰქონდეს „გარე სამყაროს ხმაურისაგან დასვენების“ უფლება (BVerfGE 27, 1 [6]). აქედან გამომდინარე, ჩხრეკით განხორციელებული ხელყოფა (ჩარევა) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნეიტრალური, მოსამართლის დამოუკიდებლობით აღჭურვილი ინსტანცია გადაამოწმებს, არსებობს თუ არა აღნიშნული ჩარევისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

ძირითადი კანონის ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების პრიორიტეტის დასახაზუთებლად შესაძლებელია გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შექმნის ისტორიაზე დაყრდნობაც...

როდესაც მიიჩნევა, რომ გარკვეული გარემოებები მოიაზრება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმის ფორმულირებაში, ხოლო ეს ნორმა, თავისი შინაარსის მიხედვით, არ „ერგება“ მოცემულ გარემოებებს, ვინაიდან კანონმდებელს ცოტა განსხვავებული გარემოებები ჰქონდა გათვალისწინებული, ამ შემთხვევაში არ განიხილება ნორმის განმარტების ე.წ. „ტელეოლოგიური მეთოდის“ გამოყენებით ასეთი „დაფარული ხარვეზის“ შევსება. განმარტების ამგვარი შეზღუდული ვერსიის გამოყენებას ეწინააღმდეგება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „შეთანხმებლობის შემთხვევებში უნდა შეიჩრეს განმარტების ის ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს და განავითარებს ძირითადი უფლების განმსაზღვრელი ნორმის იურიდიული მოქმედების ძალას“ (BVerfGE 6, 55 [72]; 32, 54

[71]; 39, 1 [38]). ბინის ხელშეუხებლობა არის ის ძირითადი უფლება, რომელიც ცალკეული ადამიანისათვის, მისი ადამიანური ღირსებიდან და თავისუფალი პიროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს „ელემენტარულ საცხოვრებელ სივრცეს“ (BVerfGE 42, 212 [219]). ყველანაირი ჩხრეკა, მათ შორის – გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 758-ე მუხლით გათვალისწინებული ჩხრეკა, რომელსაც ატარებს სასამართლო აღმასრულებელი, თავისი ბუნებით წარმოადგენს პირის ძირითადი უფლებით დაცულ საცხოვრებელ სფეროში მასშტაბურ ჩარევას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლება ყველაზე ძლიერ მოქმედებს მაშინ, როდესაც ყველა სახის ჩხრეკა დამოკიდებულია მოსამართლის გადანყვეტილებაზე.

ყველაზე ძლიერი იურიდიული მოქმედების მიღწევის პრინციპიდან გამომდინარე, განმარტებას, რომელიც ზუსტად მისდევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირებას, შეესაბამება მისი, როგორც დამცავი მექანიზმის, დანიშნულებას და შეესატყვისება აღნიშნული ნორმის შექმნის ისტორიას, ვერ დაუპირისპირდება და გააბათილებს ზემოთ მოყვანილი საწინააღმდეგო მოსაზრებები...

ასევე, არ არის გასაზიარებელი ის სამართლებრივი მოსაზრება, რომ ყველა სააღსრულებო ქმედება დაკავშირებულია მოსამართლის გადანყვეტილებასთან და მიიჩნევა მის მიერ დაწესებულად. მოსამართლის გადანყვეტილებით, რომელიც ეხება თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრებას, ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი ჩხრეკის თაობაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი აღსასრულებლად მიექცევა. ვალდებულების შესრულების დადგენა სასამართლოს მიერ ავტომატურად არ იწვევს ბინის ჩხრეკას ნივთების დაყადაღების მიზნით, ვინაიდან მოვალეს შეუძლია, ნებაყოფლობით შეასრულოს სასამართლოს გადანყვეტილება, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე. კრედიტორიც თავისუფალია იმის გადანყვეტილას, თუ რა ზომებს მიმართავს იგი სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე. სააღსრულებო წარმოებას სწორედ მისი დავალება უსწრებს წინ, რომელსაც იგი სასამართლო აღმასრულებელს გადასცემს. აღნიშნულ წარმოებაში კი, როგორც წესი, მოსამართლე აღარ არის ჩართული.

კონსტიტუციური რანგის ნორმის სავალდებულობის მიმართ ბათილია ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც, მოსამართლის ჩარევა სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, ჩხრეკის ღონისძიებების განხორციელებისას, გამოიწვევს მოსამართლის მძიმე სამუშაო დატვირთვასა და ფუჭ გარჯას...

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლო აღმასრულებლებს ჩხრეკის ჩატარების უფლების გამოყენებისას აქამდე უფლებამოსილებისთვის არ გადაუჭარბებიათ.

მაგრამ ამას ვერ მიენიჭება მაღალი სამართლებრივი მნიშვნელობა, ზემოთ განმარტებული გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, მოსამართლემ უნდა მიიღოს გადანყვეტილება ჩხრეკასთან დაკავშირებით (თუ გაჭიანურება თვითონ არ წარმოადგენს საფრთხეს). აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპის განმარტების გზით შესწორება, ზემოთ მითითებული მიზეზებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანას.

... გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი არის უშუალოდ მოქმედი და გამოყენებადი ნორმა (იხ: BVerfGE 3, 225 [239] გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით; BVerfGE 10, 302 [329] გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებას-

თან დაკავშირებით). გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 758-ე მუხლს გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ავსებს იმ მიმართებით, რომ ჩხრეკისათვის სავალდებულოა მოსამართლის განკარგულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაჭიანურება თავად წარმოადგენს საფრთხეს.

## E – 103, 142

1. ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მცნება – „გაჭიანურება თავად წარმოადგენს საფრთხეს“ ვინროდ უნდა განიმარტოს. ჩხრეკის თაობაზე სასამართლო განკარგულების გაცემა არის წესი, ხოლო არასასამართლო განკარგულებისა კი — გამონაკლისი.
- ბ) გაჭიანურება, როგორც საფრთხე, უნდა დასაბუთდეს ფაქტებით, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ შემთხვევასთან. აქ არ არის საკმარისი სპეკულაციები, პიპოთეტური მოსაზრებები ან კრიმინალური გამოცდილებიდან გამომდინარე, საქმესთან კავშირის არმქონე ვარაუდები.
2. სასამართლოები და სისხლის სამართლის ორგანოები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ზომა, რათა საქმეთა ყოველდღიური სიმრავლის პირობებშიც დაცული და გარანტირებული იყოს მოსამართლის კონსტიტუციით გათვალისწინებული განსჯადობა.
3. ა) გაჭიანურების, როგორც საფრთხის, ცნების განმარტება და გამოყენება ექვემდებარება შეუზღუდავ სასამართლო კონტროლს. თუმცა, სასამართლო ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს არასასამართლო ორგანოების იმ მდგომარეობას, როდესაც მათ განსაკუთრებულ სიტუაციებში და სიტუაციიდან გამომდინარე არსებულ ფარგლებში უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები.
- ბ) გაჭიანურების, როგორც საფრთხის, ვარაუდის სასამართლო გადამოწმების წინაპირობაა ის, რომ გადაწყვეტილების შედეგიც და მისი საფუძვლებიც, ჩხრეკის განხორციელებასთან ერთად, დაუყოვნებლივ, დროის უშუალოდ ერთ მონაკვეთში, უნდა აისახოს საგამოძიებო დოკუმენტებში.

მეორე სენატის 2001 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება  
- 2 BvR 1444/00 -

საფუძვლები:

ა - I

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ბინის ხელშეუხებლობას. ამით იგი ცალკეული ადამიანისათვის, მისი ადამიანური ღირსებიდან და თავისუფალი პიროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს „ელემენტარულ საცხოვრებელ სივრცეს“ (BVerfGE 42, 212 [219]). თავისი საცხოვრებლის ფარგლებში ადამიანს უფლება აქვს, მოსწყდეს გარე სამყაროს ხმაურს (BVerfGE 51, 97 [107]). ჩხრეკა წარმოადგენს პირის ძირითადი უფლებით დაცულ საცხოვრებელ სფეროში მასშტაბურ ჩარევას (BVerfGE 51, 97 [107]; 96, 27 [40]). აღნიშნული ჩარევის სიმძლავრესა და პირადი საცხოვრებელი სივრცის დაცვის მნიშვნელობას შეესაბამება ის, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება ჩხრეკის განხორციელებას ძირითადად უქვემდებარებს სასამართლო განკარგულებას.

ა) დათქმა მოსამართლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს გასატარებელი ღონისძიებების კონტროლს დამოუკიდებელი და ნეიტრალური ინსტანციის მეშვეობით (BVerfGE 57, 346 [355]; 76, 83 [91]). გერმანიის ძირითადი კანონი გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსამართლეები, პირადი და პროფესიული დამოუკიდებლობისა და მათი კანონისადმი მორჩილების შესაბამისად (გერმანიის ძირითადი კანონის 97-ე მუხლი), ცალკეულ შემთხვევაში ყველაზე ეფექტურად და გარანტირებულად დაიცავენ პირის უფლებებს (BVerfGE 77, 1 [51]). სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, რომელსაც პროკურატურა საკუთარი პასუხისმგებლობით აწარმოებს (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლი), გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებული ბრალდების ორგანოსა და სასამართლოს გამიჯვნის შესაბამისად, სასამართლო არის ამ პროცესში არამონანიღე მესამე პირი, რომელიც მხოლოდ პროკურატურის განცხადების საფუძველზე იწყებს მოქმედებას (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი). ისეთი ზომების გატარებისას, როგორცაა ჩხრეკა და პირის დაპატიმრებაც, რაც ძირითადად ხორციელდება პირის წინასწარი მოსმენის გარეშე, სასამართლოს ჩართვის განსაკუთრებული მიზანი და დანიშნულებაა პირის ინტერესთა სათანადო გათვალისწინება (BVerfGE 9, 89 [97]).

მოსამართლემ საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა შეამონმოს გასატარებელი, დაგეგმილი ღონისძიება; მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ზედმინევით იყოს დაცული და მოცემული ჩხრეკის შემთხვევებისათვის გათვალისწინებული, კონსტიტუციიდან და სხვა კანონებიდან გამომდინარე წინაპირობები (BVerfGE 9, 89 [97]; 57, 346 [355]). სასამართლოს, როგორც სისხლის სამართლის ორგანოების ზედამხედველ ორგანოს, ჩხრეკის შესახებ დადგენილების სათანადო ფორმულირებით ევალება, შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს, რომ პირის ძირითად უფლებაში ჩარევა ექვემდებარებოდეს შესაბამის განსაზღვრებებსა და კონტროლს. ჩხრეკის დადგენილება ისე უნდა აღწერდეს ბრალდების ფაქტს, რომ ამით ნათელი და გარკვეული იყოს ის ზღვარი, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი იძულების ღონისძიება. აღნიშნული პირს აძლევს იმის საშუალებას, რომ თვითონაც გააკონტროლოს ჩხრეკის მიმდინარეობა და მისი სამართლებრივი შესაძლებლობების ფარგლებში წინ აღუდგეს გარკვეულ შესაძლო გადახვევებსა და გადახრებს (BVerfGE 42, 212 [220]). აღნიშნულ საკითხებში მოსამართლის ჩარევის დათქმა ემსახურება გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების გაძლიერებულ უზრუნველყოფას (BVerfGE 57, 346 [355]).

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ორგანოს, ძირითადი უფლების გამყარების მიზნით, პრაქტიკულად უზრუნველყონ მოსამართლის ჩარევის დათქმა. მითითებული დათქმის მოქმედების დეფიციტი უნდა აღმოფხვრან სასამართლოებმა, ცალკეულმა გამომძიებელ-მოსამართლემ, ასევე – გამომძიებელ-მოსამართლისადმი მიმართვასა და საქმეთა განაწილებაზე უფლებამოსილმა პრეზიდენტებმა და სისხლის სამართლის ორგანოებმა. ამასთან, სასამართლოს ორგანიზაციულ უზრუნველყოფასა და გამომძიებელ-მოსამართლის სამართლებრივ სტატუსზე პასუხისმგებელი ლანდისა და ფედერალური ორგანოები, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე, ვალდებული არიან, შექმნან პრაქტიკაში მოქმედი და ეფექტური პრევენციული ხასიათის სასამართლო კონტროლის განხორციელების წინაპირობები. ლიტერატურაში საუბარია სისხლის სამართლის ორგანოებისა და განსაკუთრებით, პოლიციის მიერ დაჩქარების კომპეტენციისა და უფლებამოსილების ექსცესური და გაუმართლებლად გადაჭარბებული გამოყენების ტენდენციებისა და სასამართლოს კონტროლის ნაკლოვანებებზე (იხ: *Nelles*, *Kompetenzen und Ausnahmekompetenzen der Strafprozessordnung*; *Schäfer* in: *Löwe-Rosenberg, StPO*; *Schnäbele* in: *Gefahr im*

Verzug, Tagung der neuen Richtervereinigung ). აღნიშნული განმარტებით, ხარვეზის მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ გამომძიებელ-მოსამართლეს, პირველი ინსტანციის სასამართლოების არასაკმარისი სამტატო ერთეულებით უზრუნველყოფის გამოც, აქვს დიდი დატვირთვა, რაც განაპირობებს იმას, რომ განსაკუთრებით რთული საქმეების შემთხვევაში იგი ვერ ახერხებს სრულად გაეცნოს საქმის გარემოებებს და ხშირად არ ფლობს საჭირო ცოდნას სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ხარვეზებს ვერ აღმოფხვრის მხოლოდ განსჯადი მოსამართლე. თავისი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება, რომლის მიხედვითაც, მან საჭირო დრო უნდა დაუთმოს ჩხრეკასთან დაკავშირებული განცხადების შემოწმებას და გაერკვიოს საქმის გარემოებებსა და საჭირო სპეციფიკურ საკითხებში, შეუძლია მხოლოდ საქმეთა შესაბამისი გადანაწილების, სასამართლოს საკმარისი მოსამართლეებითა (პერსონალით) და საჭირო ნივთებით უზრუნველყოფის, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობისა და ასევე, სისხლის სამართლის ორგანოების მხრიდან საქმესთან დაკავშირებით მისი სრულყოფილი ინფორმირების პირობებში.

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე მდგომარეობს საქმის გაჭიანურებაში, ჩხრეკის განკარგულება შეუძლიათ გასცენ კანონით გათვალისწინებულმა სხვა ორგანოებმაც. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი ჩხრეკის დროს ამის უფლება აქვთ პროკურატურასა და მის დამხმარე მოხელეებს (სასამართლო სისტემის შესახებ კანონის 152-ე მუხლი).

ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირება და სისტემატიკა ადასტურებს, რომ ჩხრეკის სასამართლო განკარგულების გაცემა უნდა იყოს წესი, ხოლო არასასამართლო განკარგულებისა კი - გამონაკლისი...

აა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მცნება - „გაჭიანურება თავად წარმოადგენს საფრთხეს“ ვინროდ უნდა განიმარტოს არა მხოლოდ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ არასასამართლო განკარგულება გამონაკლისს წარმოადგენს, არამედ ასევე - მოსამართლის ჩარევის დათქმის, როგორც ძირითადი უფლების გამამყარებლისა და უზრუნველყოფის ფუნქციიდან გამომდინარეც. იმავე შედეგამდე მივყავართ იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, უპირატესობა ენიჭება ძირითადი უფლების განმარტების იმ ფორმას, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს და განავითარებს მისი მოქმედების ძალას (BVerfGE 51, 97 [110]). გაჭიანურების საფრთხედ მიჩნევა იწვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების მოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას.

როდესაც სისხლის სამართლის ორგანოები გასცემენ ჩხრეკის განკარგულებას, ამით გამოირიცხება პრევენციული კონტროლი დამოუკიდებელი და ნეიტრალური ინსტანციის მეშვეობით. მაშინ, როდესაც მოსამართლე გასცემს ჩხრეკის განკარგულებას, ჩხრეკის წინაპირობების არსებობას ჯერ ამონიშნავს პოლიცია, რომელიც შესაბამისი განცხადებით მიმართავს პროკურატურას, შემდეგ - პროკურატურა, რომელიც, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიტანს განცხადებას შესაბამისი განკარგულების მისაღებად და ბოლოს აღნიშნულ წინაპირობებს ამონიშნავს გამომძიებელ-მოსამართლე. გაჭიანურების საფრთხედ მიჩნევის შემთხვევაში მითითებულ შემთხვევას აწარმოებენ მხოლოდ პოლიცია და პროკურატურა. თუმცა, პოლიცია და პროკურატურა არ სარგებლობენ დამოუკიდებ-

ბლობით და მათგან, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას, რაც ძირითადად გამოიხატება დანაშაულზე ეჭვის გაჩენისას ფაქტობრივ გარემოებათა გამოძიება-დადგენაში (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები და 163-ე მუხლის პირველი პუნქტი), არ შეიძლება მოსალოდნელი იყოს მკაცრი ნეიტრალურობა, როგორც ეს მოსამართლის შემთხვევაშია მოსალოდნელი და გათვალისწინებული.

ბბ) ცხადია, რომ გაჭიანურების, როგორც საფრთხის, საკითხის გადანყევტისას თვალსაწიერიდან არ უნდა იქნეს გამორჩენილი კონსტიტუციით გათვალისწინებული საქმის დაჩქარების კომპეტენციის მიზანი. აღნიშნული კომპეტენცია არასასამართლო ორგანოებს აძლევს ჩარევის შესაძლებლობას, როდესაც სხვაგვარად საფრთხე ემუქრება მტკიცებულებებს.

შესაბამისად, გაჭიანურება მხოლოდ მაშინ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საფრთხედ, როდესაც მოსამართლის წინასწარი განკარგულების მიღებამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ჩხრეკის შედეგს (BVerfGE 51, 97 [11]). სისხლისსამართლებრივი ჩხრეკისას, რომელიც ხორციელდება მტკიცებულებების მოსაპოვებლად (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ალტერნატივა, 103-ე მუხლის პირველი და მე-2 ალტერნატივა), საქმის დაჩქარების კომპეტენცია საშუალებას აძლევს სისხლის სამართლის ორგანოებს, თავიდან აიცილონ მტკიცებულებათა დაკარგვა.

აღნიშნული შეესაბამება სამართალწარმოებისა და სამართალგამოყენების კონსტიტუციურ-სამართლებრივ უზრუნველყოფას, რაც, ბრალდებულის უფლებების ჯეროვანი დაცვის შედეგად, ასევე ვრცელდება სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესზეც (BVerfGE 77, 65 [76]). მაშასადამე, სისხლის სამართლის ორგანოებმა ისე დროულად უნდა მიიღონ გადანყევტილება – მოცემულია თუ არა ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე მტკიცებულებათა დაკარგვის საშიშროება, რომ შესაძლებელი იყოს ამ საშიშროების აღმოფხვრა.

ბ) საქმის დაჩქარებისას სისხლის სამართლის ორგანოების განსჯადობის კონცეფციის შედეგია, რომ ამ ორგანოებს თვითონ უნევთ გადანყევტილების მიღება იმის შესახებ, მოცემულია თუ არა მათი განსჯადობის წინაპირობები. აღნიშნული გარდაუვალია იმ შემთხვევებში, როდესაც გაჭიანურება საფრთხეს წარმოადგენს, თუმცა, აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება განსაკუთრებული ფაქტობრივი და სამართლებრივი ზომების გატარების აუცილებლობა, რომელთა მეშვეობითაც პრაქტიკაში უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციით გათვალისწინებული მოსამართლის განსჯადობა.

აა) სისხლის სამართლის ორგანოებმა, გამომძიებელ-მოსამართლეებმა და სამართლოს ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთობლივად უნდა უზრუნველყონ, რომ საქმეთა ყოველდღიური სიმრავლის პირობებშიც დაცულ იქნეს კონსტიტუციით გათვალისწინებული „უფლებამოსილების განაწილება“, კერძოდ – მოსამართლის განსჯადობა.

ბბ) სპეკულაციები, ჰიპოთეტური მოსაზრებები ან კრიმინალისტური გამოცდილებიდან გამომდინარე, საქმესთან კავშირის არმქონე ვარაუდები კონკრეტულ შემთხვევებში არ არის საკმარისი, რომ მათზე დაყრდნობით გაჭიანურება მიჩნეულ იქნეს საფრთხედ. გაჭიანურება, როგორც საფრთხე, უნდა დადასტურდეს ფაქტებით, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ შემთხვევასთან. ამასთან, მხოლოდ მტკიცებულებათა დაკარგვის შესაძლებლობა არ არის საკმარისი. სამართლებრივი თვალსაზრისით, გაჭიანურება მაშინაც არ არის საფრთხე, როდესაც სისხლის სამართლის ორგანოები თვითონ გამოიწვევენ და შექმნიან მის წინაპირობებს. მათ არა აქვთ უფლება, იმდენ ხანს არ მიმართონ გამომძიებელ-მოსამართლეს შესაბამისი განცხადებით, სანამ მართლა არ დადგება მტკიცებულებათა დაკარგვის საფრთხე და ამით

აარიდონ თავი კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოსამართლის განსჯადობას. სწორედ აქ მთავრდება მათი თავისუფალი ასპარეზი გამოძიების კრიმინალისტური და ტაქტიკური მოსაზრებების მიხედვით წარმართვასთან დაკავშირებით (Kleinknecht/Meyer-Goßner, StPO – კლაინკნეხტ/მაიერ-გოსნერი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 44-ე გამოცემა, 1999, 161-ე მუხლი, ნომერი 7, 163-ე მუხლი, ნომერი 47).

სისხლის სამართლის ორგანოები ჩხრეკის განხორციელებამდე ყოველთვის უნდა ცდილობდნენ, მიიღონ ინსტანციურად და ფუნქციურად განსჯადი მოსამართლისაგან შესაბამისი განკარგულება. მხოლოდ ისეთ გამონაკლის, საგანგებო სიტუაციებში, როდესაც ამგვარი მცდელობისათვის საჭირო დრო საფრთხეს უქმნის ჩხრეკის შედეგს, შეუძლიათ არსებული საფრთხის (გაჭიანურება, როგორც საფრთხე) საფუძველზე თვითონ გასცენ ეს განკარგულება ისე, რომ აღარ ეცადონ გამომძიებელ-მოსამართლისაგან მის მიღებას. გაჭიანურება, როგორც საფრთხე, ვერ დასაბუთდება იმ აბსტრაქტული მითითებებით, რომ მოსამართლე განკარგულებას ჩვეულებრივ ვერ გასცემს გარკვეულ დრომდე ან გარკვეული დროის მონაკვეთში. აღნიშნულ მითითებებს ენიშნა აღმდგეგმა და ეხმაურება სასამართლოების კონსტიტუციით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მათ, თუნდაც მორიგეობის დანესების გზით, უნდა უზრუნველყონ გამომძიებელ-მოსამართლის ხელმისაწვდომობა...

## E – 109, 279

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, გერმანიის ძირითად კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ 1998 წლის 26 მარტის (BGBl I – გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, გვ. 610) კანონის რედაქციით (გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი), შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტს.
2. გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული ადამიანის ღირსება მოიცავს პირისათვის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცული ძირითადი სივრცის აღიარებას. ამ სივრცეში დაუშვებელია ჩარევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით (გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი) აკუსტიკური თვალთვალის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება თანაზომიერების პრინციპით გათვალისწინებულ, ერთი მხრივ, ბინის ხელშეუხებლობისა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის პირველი პუნქტი) და, მეორე მხრივ, სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესთა ურთიერთშეფარდებას.
3. აკუსტიკური თვალთვალის ყველა შემთხვევაში არ ირღვევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადამიანის ღირსების არსი.
4. ბინის თვალთვალის უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმა უნდა მოიცავდეს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის გარანტიებს და ასევე შეესაბამებოდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ფაქტობრივ ელემენტებსა და კონსტიტუციის სხვა მოთხოვნებს.
5. თუ საცხოვრებელ ბინაზე ამგვარი უფლებამოსილების საფუძველზე მიმდინარე აკუსტიკური თვალთვალის ფარგლებში მოიპოვებენ ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც განეკუთვნება პირის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეს, თვალთვალი უნდა შეწყდეს, ხოლო აღნიშნული ინფორმაცია – ნაიშალოს; გამორიცხულია ამგვარი ინფორმაციის გამოყენება ნებისმიერი სახით.



6. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნების განხორციელების ფარგლებში ბინის აკუსტიკური თვალთვალის შესახებ სრულად არ აკმაყოფილებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს ადამიანის ღირსების დაცვის (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი), სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპის, კერძოდ, თანაზომიერების პრინციპის განხორციელების, ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი) და პირის სამართლებრივი მოსმენის უფლების (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი) კუთხით.

პირველი სენატის 2004 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება  
- 1 BvR 237/98, 1 BvR 1084/99 -

საფუძვლები:

ა

კონსტიტუციური სარჩელები უპირისპირდება უშუალოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 – მე-6 პუნქტებს და ასევე გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ბინების აკუსტიკური თვალთვალი...

ა) მოსარჩელებს აქვთ უშუალოდ კანონის ნორმების წინააღმდეგ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება...

კონსტიტუციური სარჩელი, გამონაკლისის სახით..... შესაძლოა, უპირისპირდებოდეს კანონს იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს არ შეუძლია სასამართლო ინსტანციების ამონურვა იმ მიზეზით, რომ მოცემულ საქმეზე ეს ინსტანციები არ არსებობს (იხ. BVerfGE 67, 157 [170]), ან მან არ იცოდა მიღებული ზომის შესახებ (იხ. BVerfGE 100, 313 [354]). აღნიშნული გარემოებების არსებობისას პირს შეუძლია, ისარგებლოს კონსტიტუციური სარჩელის ინსტრუმენტით უშუალოდ კანონის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ისეთ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი უფლება შესაძლოა, დაირღვეს უშუალოდ კანონის მეშვეობით, ყოველგვარი აღმასრულებელი აქტის გარეშე (იხ. BVerfGE 30, 1 [16]; 67, 157 [169]; 100, 313 [354]).

ბ

კონსტიტუციური სარჩელები ნაწილობრივ არის საფუძვლიანი. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში განხორციელებული კონსტიტუციის ცვლილება შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გასაჩივრებული ნორმები სრულად არ შეესაბამება ძირითად კანონს.

ი

კონსტიტუციის ცვლილების შედეგად მიღებული ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი კონსტიტუციურია...

3. კანონმდებელმა გაითვალისწინა ის მატერიალურ-სამართლებრივი ზღვარი, რომელსაც ითვალისწინებს ძირითადი კანონი.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს კონსტიტუციის ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ეხება გერმანიის ძირითადი კანონის პირვე-

ლი და მე-20 მუხლებით გათვალისწინებულ პრინციპებს. აქ მოიაზრება ადამიანის ღირსების პატივისცემისა და დაცვის პრინციპი (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი) და ასევე ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის აღიარება, როგორც ყველანაირი ადამიანური თანაცხოვრების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველი (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მომდევნო ძირითად უფლებებზე მითითებით, მათი უზრუნველყოფაც ზოგადად არ ექვემდებარება კანონმდებლის შეზღუდვებს, ვინაიდან ისინი აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენენ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სისტემის არსებობისა და შენარჩუნებისათვის (იხ: BVerfGE 84, 90 [121]).

ასეთივე არსებითია გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში ასახული სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ძირითადი ელემენტები.

გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი წარმოადგენს ნორმას ვინრო განმარტებით, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისს, რაც კანონმდებელს არ აფერხებს, მოახდინოს აღნიშნული ძირითადი უფლებების პოზიტიურ-სამართლებრივი ფორმულირების მოდიფიკაცია სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (იხ: BVerfGE 84, 90 [120]; 94, 49 [102]). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, პატივი სცეს და გაითვალისწინოს კანონმდებლის უფლება ცალკეული ძირითადი უფლების შეცვლასთან, შეზღუდვასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით, თუ იგი არ შეეხება გერმანიის ძირითადი კანონის პირველი და მე-20 მუხლებით დამკვიდრებულ პრინციპებს. ცალკეული ძირითადი უფლებების პოზიტიურ-სამართლებრივი ფორმულირების სათანადო საფუძვლებიდან გამომდინარე, მოდიფიკაცია კანონმდებელს არ ეკრძალება (იხ: BVerfGE 94, 49 [103]). ის, თუ ცალკეული ძირითადი უფლების რა ნაწილი მოიაზრება პირველი მუხლის პირველი პუნქტის უზრუნველყოფის ფარგლებში, უნდა დადგინდეს ცალკეული ძირითადი უფლების განმარტების გზით.

კონსტიტუციის ცვლილებები არ იზომება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოქალაქეთა ძირითადი უფლებების არსის დაურღვევლობის გარანტიით, ვინაიდან ეს გარანტია მოქმედებს მხოლოდ „მიმდინარე“ და არა – კონსტიტუციური კანონმდებლის მიმართ<sup>16</sup>. თუმცა, აღნიშნული არსის ოდნავი შეხებაც, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, ცალკეულ შემთხვევაში იმავდროულად შესაძლოა, ზღუდავდეს გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ ადამიანის ღირსების უზრუნველყოფელ ნაწილს – თითოეული ძირითადი უფლებისა. მაგრამ უფლების არსი არ შეიძლება გაიგივდეს ძირითადი უფლების ადამიანის ღირსების დამცავ არსთან. ცალკეულ შემთხვევაში არსებული შესაძლო დამთხვევა არ ცვლის იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციის ცვლილება, რომელიც ზღუდავს ძირითად უფლებას, იზომება გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული ძირითადი უფლების ადამიანის ღირსების დამცავი შინაარსით.

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი შეესაბამება პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადამიანის ღირსების გარან-

<sup>16</sup> საქართველოსაგან განსხვავებით, გერმანიის სამართლებრივი სისტემა და ასევე ტერმინოლოგია იცნობს ასეთ განსხვავებას „მიმდინარე“ და კონსტიტუციურ კანონმდებელს შორის.

ტიას. ადამიანის ღირსების მასშტაბი, სპეციფიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სადაც შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი, საჭიროებს დაკონკრეტებას. საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალი, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, ყოველთვის და ავტომატურად არ ენიანალმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და პირველი მუხლის პირველი პუნქტის ადამიანის ღირსების დამცავ არსს. თუმცა, ბინის თვალთვალის განხორციელების ფორმამ შესაძლოა, გამოიწვიოს ისეთი სიტუაცია, სადაც ილახება ადამიანის ღირსება. აღნიშნულს ცალსახა სამართლებრივი ღონისძიებებით უპირისპირდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელსაც ემატება კონსტიტუციის სხვა ნორმათა განმარტებით მიღებული მითითებები. აქედან გამომდინარე, ბინის აკუსტიკური თვალთვალის კონსტიტუციით, კერძოდ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება არ ენიანალმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტს, ვინაიდან ნორმა უნდა შეიცავდეს იმის გარანტიას, რომ ცალკეულ შემთხვევაში დაცული იქნება ადამიანის ღირსება. გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება მოიცავს მხოლოდ ნორმებს, რომლებმაც უნდა გაითვალისწინონ ამგვარი გარანტია...

ადამიანის ღირსება არ ილახება იმით, რომ ვინმე ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ადრესატი; მაგრამ იგი ილახება მაშინ, როდესაც მიღებული ღონისძიების ფორმიდან გამომდინარე, პირის პიროვნული ხარისხი დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ეს ის შემთხვევებია, როდესაც საჯარო ხელისუფლება არ ავლენს პატივისცემას იმ ღირებულების მიმართ, რომელიც ყველა ადამიანს აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია. ასეთი ღონისძიების გატარება დაუშვებელია, თუნდაც იგი ემსახურებოდეს სისხლისსამართლებრივი საქმიანობის ეფექტურობასა და ჭეშმარიტების დადგენას.

ამასთან, სახელმწიფოს საიდუმლო ქმედება ავტომატურად არ იწვევს აბსოლუტურად დაცული პატივისცემის მოთხოვნის უფლების დარღვევას. თუ ვინმე ხდება დაკვირვების ობიექტი, ეს ავტომატურად არ ნიშნავს მისი, როგორც ადამიანის, ღირებულების უპატივცემულობას. მაგრამ დაკვირვებების წარმოებისას დაცული უნდა იქნეს პირის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცული ძირითადი სივრცე (აღნიშნულის გარანტიებთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 6, 32 [41]; 27, 1 [6]; 32, 373 [378]; 34, 238 170); 80, 367 [373]). სახელმწიფოს ამ სივრცეში ჩარევით დაირღვეოდა თითოეული ადამიანისათვის ხელშეუხებლობის გარანტიით მინიჭებული საკუთარი, უკიდურესად პირადი საკითხებისა და სფეროს მოგვარებისა და განვითარების თავისუფლება. ვერც საზოგადოების დიდი დაინტერესება გაამართლებს პირის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში ჩარევას (იხ: BVerfGE 34, 238 [245]).

(2) ადამიანის ღირსების დაცვა დაკონკრეტებულია ასევე გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად უფლებაში. საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან და ამავე დროს – კონსტიტუციით დაცულ პრინციპთან, რომლის მიხედვითაც, სავალდებულოა მოქალაქის პირადი, „უკიდურესად პიროვნული“ განვითარების სფეროს პატივისცემა და აღიარება. ცალკეული ადამიანის უფლება, მოშორდეს გარე სამყაროს ხმაურს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, პირველ რიგში, მის საცხოვრებელ ბინაში (იხ: BVerfGE 75, 318 [328]; იხ. ასევე: BVerfGE 51, 97 [110]).

პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში პიროვნების განვითარება მოიცავს მისი შინაგანი პროცესების – შეგრძნებების, გრძნობების, უკიდურესად პირადი სახის შეხედულებებისა და გამოცდილებების გამოხატვის შესაძლებლობას იმ განცდისა და შიშის გარეშე, რომ სახელმწიფო უწყებები ყველაფერს ისმენენ. ეს დაცვა ვრცელდება გრძნობების გამოხატვაზე, გაუცნობიერებელი მოვლენებისა და პროცესების, ასევე სექსუალურ გამოხატულებებზე. ზემოთ აღნიშნული განვითარების შესაძლებლობის წინაპირობაა ის, რომ ცალკეული ადამიანი ფლობდეს ამისათვის ხელსაყრელ და საჭირო სივრცეს. კონფიდენციალური კომუნიკაციისათვისაც საჭიროა ისეთი ტერიტორიული სივრცე, რომელზეც უკიდურესად პირადი ცხოვრების მონაცემების საფუძვლით ვრცელდება სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვა, რომელსაც მოქალაქეები ნდობით ეკიდებიან. აღნიშნული სივრცე უმეტეს შემთხვევაში ის კერძო საცხოვრებელი ბინაა, რომლის კარიც შესაძლოა, სხვებისათვის დაიხუროს. ცალკეულ ადამიანს, რომელსაც აქვს ამგვარი სივრცე, შეუძლია მარტო, თავისთვის ყოფნა და საკუთარი პიროვნების საკუთარივე მასშტაბებით განვითარება. ამ შემთხვევაში ბინა, როგორც პირის „უკანასკნელი თავშესაფარი“, არის ადამიანის ღირსების დაცვის საშუალება. ზემოთ აღნიშნული არ გულისხმობს ბინის მთლიანი ფართის აბსოლუტურ დაცვას, არამედ მოიცავს პირის ქმედების აბსოლუტურ დაცვას, თუ ეს ქმედება წარმოადგენს პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში მისი პიროვნების განვითარება-გამოხატულებას.

(3) აღნიშნული დაცვა არ შეიძლება შემცირდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებთან თანაზომიერების პრინციპის მიხედვით განხორციელებული ურთიერთშეფარდებით (იხ: BVerfGE 34, 238 [245]; იხ. ასევე: BVerfGE 75, 369 [380]; 93, 266 [293]). მართალია, ყოველთვის იარსებებს განსაკუთრებით მძიმე კრიმინალური ფორმები და გამოვლინებები, ასევე შესაბამისი ეჭვები და საეჭვო სიტუაციები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეფექტურობა, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის ინტერესი, გამოჩნდეს უფრო მნიშვნელოვანად, ვიდრე – ბრალდებულის ადამიანური ღირსების დაცვა, მაგრამ ამგვარი მიდგომა და შეფასება სახელმწიფოს ეკრძალება გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტითა და 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

ბბ) საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალი, სისხლისსამართლებრივი დევნის გახორციელების მიზნით, მხოლოდ მაშინ ლახავს ადამიანის ღირსებას, როდესაც უგულებელყოფილია პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცული ძირითადი სივრცე.

მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის გარემოება პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეს, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა იგი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უკიდურესად პირადი ხასიათის ანუ დამოკიდებულია ასევე იმაზეც, თუ რა ფორმითა და ინტენსიურობით ეხება იგი საკუთარი ინიციატივით სხვა პირთა სივრცეს ან საზოგადოების ინტერესებს (იხ: BVerfGE 80, 367 [374]). აქ გადამწყვეტია ცალკეული შემთხვევის თავისებურებები (იხ: BVerfGE 34, 238 [248]; 80, 367 [374]).

გადამწყვეტია, მოცემულია თუ არა ისეთი სიტუაცია, სადაც კონკრეტული მაჩვენებლების მიხედვით ან, როგორც წესი, ყოველგვარი საწინააღმდეგო მოსაზრებების გარეშე ივარაუდება პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში ჩარევა, მაგალითად, უკიდურესად შინაგანი გრძნობების ან სექსუალური გამოხატულებების თვალთვალი.

გკ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალის უფლებამოსილება არ ენიშნა დამდებებს გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და პირველი მუხლის პირველ პუნქტს, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მხოლოდ სამართლებრივი ნორმების მიღებისა და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ზომების გატარების შესაძლებლობას, რომელთა მეშვეობითაც დაცული უნდა იქნეს ზემოთ აღნიშნული ზღვარი...

კანონმდებელმა, მოცემული ცვლილების გატარებისას მოსამართლის მიერ თვალთვალის ზომების მიღების თაობაზე დადგენილებით, პროცესუალურად დამატებით უზრუნველყო კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების დაცვა. ამასთან, მან გაითვალისწინა, რომ დადგენილება გაიცემა მოსამართლეთა 3-კაციანი შემადგენლობით და მისი მოქმედება შეზღუდულია შესაბამისი ვადით...

გ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ მის საფუძველზე მიღებული კანონი ბინის მოსმენით ინფორმაციების მიღებას გამოირიცხავდეს იქ, სადაც საგამოძიებო ღონისძიება წარმოადგენს შეჭრას გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით დაცულ პირადი ცხოვრების განვითარება-გამოვლენის ხელშეუხებელ სივრცეში.

დ) აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი სამართლებრივი ნორმების მიღება, რომლებიც, ნორმათა გამჭვირვალებობის პრინციპის გათვალისწინებით, იქნება იმის გარანტი, რომ საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალი არ გამოიწვევს ადამიანის ღირსების შელახვას...

(3) საცხოვრებელ ბინაში არასაჯაროდ წარმოქმნილი სიტყვის მოსმენა, პიროვნების პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში ჩარევის დაცვის მიზნით, უნდა აიკრძალოს იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი ბინაში იმყოფება მარტო ან ისეთ პირთა გარემოცვაში, რომლებთანაც ამ პირს აქვს განსაკუთრებული, პირადი ცხოვრების ძირითად სივრცესთან დაკავშირებული, ნდობით აღჭურვილი ურთიერთობა (ასეთებია, მაგალითად, ოჯახის წევრები ან სხვა უახლოესი, განსაკუთრებით სანდო ადამიანები) და არ არსებობს კონკრეტული ეჭვი ან მოლოდინი, რომ ასეთი საუბრები უშუალოდ დაკავშირებული იქნება დანაშაულთან. თუმცა, პირის ყველა საუბარი უახლოეს, განსაკუთრებით სანდო ადამიანებთან რეალურად არ მიეკუთვნება მისი პირადი ცხოვრების ძირითად სივრცეს, მაგრამ ადამიანის ღირსების დაცვის ეფექტურობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ასე ივარაუდება. მიყურადების ღონისძიებები გამოირიცხება იქ, სადაც მოსალოდნელია აბსოლუტურად დაცული საუბრების მოსმენა...

საცხოვრებელი ბინის მოსმენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად დამკვეთულია, უნდა შემოიფარგლოს გარკვეული სასაუბრო სიტუაციებით, რომლებიც, სავარაუდოდ, მოიცავს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან შინაარსსა და ინფორმაციებს. საჭიროების შემთხვევაში, სათანადო წინასწარი გამოძიებით, რომელიც სრულიად არ ეხება პიროვნების პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეს, შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალის შეზღუდვა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებით. დაუშვებელია პირის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში ჩარევით დადგინდეს, რომ მოპოვებული ინფორმაცია აღნიშნულ სფეროსთან არის დაკავშირებული.

პირის „24-საათიანი“ დაკვირვება, როგორც წესი, დაუშვებელია იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევებში დიდია ალბათობა, რომ მოისმინება ასევე უკიდურესად პირადი

საუბრებიც. ღირსება ილახება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადამიანზე დაკვირვება გრძელვადიანია და იმდენად მასშტაბური, რომ რეგისტრირებულია მისი თითქმის ყველა მოძრაობა, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს პიროვნების ინდივიდუალურ პორტრეტს (აღნიშნულ საფრთხესთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 65, 1 [42])...

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების დაცვამ შესაძლოა, წარმოქმნას იმის აუცილებლობა, რომ უარი ეთქვას ავტომატური ჩანაწერების საშუალებით საცხოვრებელი ბინის მოსმენას, რათა ყოველი მომენტი სათვის შესაძლებელი იყოს საგამოძიებო ღონისძიების შეჩერება.

იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელ ბინაზე დაკვირვების ფარგლებში შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც არის ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი, ხელშეუხებელი სივრცის ნაწილი, დაკვირვება უნდა შეწყდეს და შესაძლო ჩანაწერები განადგურდეს. აკრძალულია მოპოვებული ინფორმაციების გამოყენება და გადაცემა...

## II

კანონით საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალის შესახებ, კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 „გ“ მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილება და ასევე, ნორმები მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 „დ“ მუხლის მე-3 პუნქტი), საკმარისად არ ითვალისწინებენ გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით, მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით წაყენებულ მოთხოვნებს – პირადი ცხოვრების ხელშეუხებელი სივრცის დაცვის, სისხლის სამართლის დანაშაულთა კატალოგის სტრუქტურირებისა და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინების კუთხით. ამით გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმები მხოლოდ ნაწილობრივ არის კონსტიტუციური...

კანონმდებელმა კანონში პირადი ცხოვრების ძირითად სივრცესთან დაკავშირებით, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით, საკმარისად ვერ დააკონკრეტა სავალდებულო ამკრძალავი ნორმები, რომლებიც ეხება აღნიშნულ შემთხვევებში დაკვირვებისა და ინფორმაციის მოპოვების აკრძალვას...

კანონმდებელმა გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 „დ“ მუხლის მე-3 პუნქტში ასევე საკმარისად ვერ იზრუნა იმის უზრუნველყოფაზე, რომ დაკვირვება უნდა შეწყდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელად წარმოიქმნება სიტუაცია, რომელიც მიეკუთვნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ ძირითად სივრცეს. ასეთ შემთხვევებში პირზე დაკვირვების გაგრძელება კანონსაწინააღმდეგოა.

გგ) ასევე არ არის საკმარისად მონესრიგებული ის საკითხი, რომ გამორიცხულია პირის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეში ჩარევით მოპოვებული ინფორმაციების გამოყენება და რომ ასეთ შემთხვევაში უნდა განადგურდეს უკვე მოპოვებული მონაცემები...

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალი არ ეხება პირის პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სივრცეს, ქმედებისა თუ ნორმის კონსტიტუციურობის წინაპირობაა თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში ნაწილობრივ დეტალურად არის განერილი. აღნიშნულ მოთხოვნებსა და წინაპირობებს სრულად ვერ აკმაყოფილებს გასაჩივრებული ნორმები. ისინი, მართალია, ემსახურებიან ლეგიტიმურ მიზანს აა) და ასევე, სათანადოდ (ბბ) და საჭიროდ (გგ) მიიჩნევიან ამ მიზნის განხორციელებისათვის, მაგრამ კანონმდებელმა გერმანიის

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლში მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე შეზღუდვა, რაც გათვალისწინებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით (დდ)...

#### IV

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლით საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალისათვის გათვალისწინებული ნორმები, დაკვირვების ობიექტების ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტსა და 103-ე მუხლის პირველ პუნქტს...

### გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლთან დაკავშირებით:

#### E – 38. 348

#### მეორე სენატის 1975 წლის 4 თებერვლის განჩინება - 2 BvL 5/74 -

ქირაევნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ გერმანიის 1971 წლის 4 ნოემბრის კანონის (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1745) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-2 მუხლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონგების საქმეზე. მაინის ფრანკფურტის ლანდის უმაღლესი სასამართლოს 1974 წლის 21 იანვრის განჩინება საქმის შეჩერებისა და კონსტიტუციური წარდგინების შესახებ.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

ქირაევნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ გერმანიის 1971 წლის 4 ნოემბრის კანონის (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1745) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და მე-2 მუხლი შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

აღნიშნული ნორმა შემდეგი შინაარსისაა:

#### მუხლი 6

#### საცხოვრებელი ფართის მიზნობრიობის შეცვლის აკრძალვა მუხლი პირველი

(1) იმ თემებში, სადაც განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას სათანადო პირობებით, ლანდის მთავრობები უფლებამოსილნი არიან, გამოსცენ განკარგულება იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი ფართი სხვა პირებს სხვა მიზნებისათვის გადაეცეთ მხოლოდ ლანდის მთავრობის შესაბამისი სამსახურის სპეციალური ნებართვის საფუძველზე. საცხოვრებელი

ფართის მიზნის შეცვლა სახეზეა მაშინაც, როდესაც იგი მუდმივად გამოიყენება სხვა პირთა დროებითი განთავსებისათვის, განსაკუთრებით კი – ოთახის კომერციული გაქირავების ან საძინებელი ადგილების მოსაწყობად. ნებართვა საჭირო არ არის, როდესაც საუბარია საცხოვრებელი ფართის დამხმარე ფართად, მაგალითად, სააბაზანოდ, გადაკეთებაზე...

ქირავნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ გერმანიის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება შესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე (იხ: BVerfGE 6, 32 [43]) პრინციპს ადმინისტრაციის კანონიერების შესახებ.

როდესაც ფედერალური კანონმდებელი ... ითვალისწინებს რეპრესიულ აკრძალვას ამ აკრძალვისაგან განთავისუფლების დათქმით, ამით იგი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებზე, რომ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა, წარმოიშვას კონფლიქტი საქმიდან გამომდინარე გამართლებულ აკრძალვასა და თანაზომიერებისა და გადაჭარბების აკრძალვის პრინციპებს შორის. აღნიშნული პრინციპები, გამომდინარეობს რა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, სავალდებულოდ დგას ყოველგვარი სახელმწიფო მოქმედების წესებზე მაღლა (იხ: BVerfGE 23, 127 [133]; BVerfGE 35, 382 [400]). ქირავნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ კანონის მე-6 მუხლი არ ითხოვს ყოველი საცხოვრებელი ბინისა თუ ფართის დანიშნულების ყოველ მიზეზგარეშე დაცვას, არამედ ადმინისტრაციას ანიჭებს შესაძლებლობას, ნებართვის მეშვეობით, ცალკეულ შემთხვევაში გამოიყენოს და გაითვალისწინოს თანაზომიერების პრინციპი.

ქირავნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ გერმანიის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლს.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ავალდებს კანონმდებელს, დაადგინოს საკუთრების შინაარსი და ფარგლები, ამასთან, მოახდინოს იმ სოციალური მოდელის რეალიზება, რომლის ნორმატიული ელემენტებიც გამომდინარეობს, ერთი მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული კერძო საკუთრების აღიარებიდან და, მეორე მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის სავალდებულო შინაარსიდან (BVerfGE 37, 132 [149]). საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნება, ზოგადად, მოიცავს საკუთრების საგნის თავისუფალი განკარგვის უფლებას (BVerfGE 26, 215 [222]). საცხოვრებელი ფართის დანიშნულების შეცვლის რეპრესიული აკრძალვა, რომელიც ითვალისწინებს ამ აკრძალვისაგან განთავისუფლების დათქმას, ზღუდავს ზემოთ აღნიშნული თავისუფალი განკარგვის უფლებას. თუმცა, ამგვარი აკრძალვის კანონის ძალით მიღების უფლებამოსილება, როგორცაც ითვალისწინებს ქირავნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ გერმანიის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, მოცემულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული დავალებით.

კერძო საკუთრების გამოყენების საყოველთაო კეთილდღეობაზე მორგება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი) მიზნად ისახავს იმ



მოქალაქეთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებასაც, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საკუთრების ამგვარი საგნების გამოყენებაზე (BVerfGE 37, 132 [40]). აღნიშნული დამოკიდებულება წარმოშობს სოციალურ კონტექსტსა და საკუთრების ამ საგნების განსაკუთრებულ სოციალურ ფუნქციას. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქებში, ვერ ახერხებს საკუთარი სახსრებით საკუთარი საცხოვრებლის შექმნას და ამიტომ მთლიანად დამოკიდებულნი არიან გასაქირავებელ ბინებსა და მათ არსებობაზე.

მოსახლეობის საყოველთაო და საკმარისი უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართითა და სათანადო პირობებით უშუალოდ ემსახურება ცალკეული ადამიანისა თუ ოჯახებისათვის უკიდურესად აუცილებელი საცხოვრებლის შექმნას. თუ ამგვარი უზრუნველყოფა განსაკუთრებული საფრთხის წინაშეა, როგორც ამას ქირავნობის სამართლის გაუმჯობესებისა და ქირის ფასის მატების შეზღუდვის, ასევე საინჟინრო და არქიტექტურული სამუშაოების მონესრიგების შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განკარგულების გამოცემისათვის ითვალისწინებს, ეს, შესაბამისად, მრავალი ადამიანისათვის ნიშნავს არასაკმარისი საცხოვრებელი ფართის ქონას. ის სოციალური მიმართება, რაც საცხოვრებელს თავისთავად გააჩნია, ამ შემთხვევაში არსებითად ძლიერდება. ასეთ სიტუაციაში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, საქმის არსიდან გამომდინარე, სწორი და საზოგადო კეთილდღეობაზე ორიენტირებული ღონისძიებაა საცხოვრებელი ფართის დანიშნულების შენარჩუნება მისი მიზნობრიობის შეცვლის ზოგადი აკრძალვით. თუმცა, აღნიშნულის წინაპირობაა მესაკუთრის კანონიერი ინტერესების სათანადოდ დაცვა. მესაკუთრე იღებს დამატებით შემოსავალს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის, დამატებითი ხარჯების ან ურთიერთშეთანხმებული ქირის ოდენობით (იხ: BVerfGE 37, 132 [14]), ამას გარდა, მას აქვს შესაძლებლობა, განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიღოს განსაკუთრებული ნებართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად უქმდება მხოლოდ განკარგვაზე უფლებამოსილი პირის შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ და მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი საკუთრების მომტვიანანად გასხვისების ნებისმიერი შანსი. თუმცა, აღნიშნული შესაძლებლობა, საცხოვრებელი ფართის დეფიციტის პირობებში, კონსტიტუციურ-სამართლებრივად არ არის დაცული.

## **E – 14, 263**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, რომელიც მდგომარეობს საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრაში, კანონმდებელმა კერძო საკუთრების სასარგებლოდ უნდა გაითვალისწინოს ის ღირებულებებიც, რომლებიც საფუძვლად უდევს გერმანიის ძირითად კანონს. მან ასევე უნდა გაითვალისწინოს სხვა კონსტიტუციური ნორმები, განსაკუთრებით კი – თანასწორობის პრინციპი, პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლება და სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები.
2. სააქციო კანონის ნორმები, მათი ამბივალენტური ხასიათიდან გამომდინარე, გერმანიის ძირითად კანონს არ ეწინააღმდეგება მხოლოდ იმიტომ, რომ არ გამოორიციხავს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემულია მისი თავიდან აცილების ეფექტური საშუა-

ლებები. ასეთი საშუალებები მოცემულია პარტნიორთა ხმების უმრავლესობით სანარმოს გარდაქმნის დროს, ვინაიდან იმის გამო, რომ იგი აკმაყოფილებს ფორმალურ წინაპირობებს, არ არის გათავისუფლებული ბოროტად გამოყენებისათვის გასაჩივრების შესაძლებლობისაგან.

პირველი სენატის 1962 წლის გადაწყვეტილება  
- 1 BvL 16/60 -

სარეზოლუციო ნაწილი:

კორპორაციების გარდაქმნისა და სამთო სამართლის პროფკავშირის შესახებ 1956 წლის 12 ნოემბრის კანონის (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 844) მე-15 მუხლი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს სააქციო საზოგადოების ქონების გადაცემას ისეთი სააქციო საზოგადოებისათვის, რომელიც ფლობს სანესდებო კაპიტალის სამ მეოთხედზე მეტს<sup>17</sup>, შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

საქმის განმხილველმა სასამართლომ პარტნიორთა ხმების უმრავლესობით სანარმოს გარდაქმნა მიიჩნია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ, ვინაიდან გაუქმდა უმცირეს აქციათა მფლობელი აქციონერის ზოგადად ხელშეუხებელი სააქციო უფლება.

აქცია აქციონერს, გარდა საზოგადოებაში მონაწილეობის უფლებისა, ასევე ანიჭებს ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნებს მოგებაში მონაწილეობასა და რიგ შემთხვევებში – ახალი ემისიის აქციებზე. აქედან გამომდინარე, ის არის კორპორაციული სამართლით განსაზღვრული საკუთრება.

როგორც ქონებრივი უფლება (იხ: BVerfGE 4, 7 [26]), ის სარგებლობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დაცვით.

საქმის განმხილველი სასამართლო მართებულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ კორპორაციების გარდაქმნისა და სამთო სამართლის პროფკავშირის შესახებ კანონის მე-15 მუხლი თვითონ წარმოადგენს ჩამორთმევას გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით, ან – კონფისკაციის ნებართვას. ქონების კონფისკაცია ყოველთვის უნდა მომდინარეობდეს სახელმწიფოსაგან ან სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმებითა და უფლებებით აღჭურვილი სანარმოსაგან. როდესაც კანონმდებელი საერთო კრებას ზოგადად ანიჭებს უფლებას, რომ პარტნიორთა ხმების უმრავლესობით გადაწყვიტოს სანარმოს გარდაქმნის საკითხი, ამით იგი ითვალისწინებს არა კონფისკაციის, არამედ – აქციონერთა შორის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების გადანაცობის უფლებამოსილებას.

სარეგისტრაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხარე პარტნიორთა ხმების უმრავლესობით სანარმოს გარდაქმნის რეგისტრაციის შესახებ არ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ აქციათა უმცირესობის მფლობელთა საკუთრების ხელყოფას. რეგისტრაცია არ არის უფლების დამამკვიდრებელი აქტი, იგი იმის დასტურია, რომ რეგისტრაციას ხელს არ უშლის არანაირი სამართლებრივი დაბრკოლება.

საერთო კრებისათვის გარდაქმნის უფლებამოსილების მინიჭებაც არ წარმოადგენს „კანონით გათვალისწინებულ კონფისკაციას“, ვინაიდან კორპორაციების გარ-

<sup>17</sup> ეფექტი: დანარჩენი ერთი მეოთხედის მფლობელი აღარ მონაწილეობს გარდაქმნილ სააქციო საზოგადოებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდაქმნის შედეგად იგი გაძევებულ იქნა სანარმოდან, თუმცა – შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ.

დაქმნისა და სამთო სამართლის პროფკავშირის შესახებ კანონი უშუალოდ არ ზღუდავს არსებულ უფლებებს, არამედ გარდაქმნის შემთხვევებში იგი ზოგადად ერთმანეთისაგან მიჯნავს უმრავლესობასა და უმცირესობას სააქციო საზოგადოებაში; ამგვარი ნორმა თავისთავად არ წარმოადგენს კონფისკაციას.

შესაბამისად, კორპორაციების გარდაქმნისა და სამთო სამართლის პროფკავშირის შესახებ კანონის მე-15 მუხლის კონსტიტუციურობის შემონგების მასშტაბს საკუთრების კუთხით წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

საკუთრება, ისევე როგორც თავისუფლება, არის ელემენტარული ძირითადი უფლება; მისი აღიარება წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის ერთ-ერთ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ღირებულებას სოციალური სახელმწიფოსათვის. საკუთრება ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია კერძო ქონებრივი სფეროების გასამიჯნად. შესაბამისად, იგი საჭიროებს განსაკუთრებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კანონმდებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, განსაზღვროს საკუთრების შინაარსი და შეზღუდვები. კანონმდებლის აღნიშნული უფლებამოსილება, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების ფორმულირების მიხედვით, არ არის შეზღუდული. თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ ნებისმიერი კანონის ნორმები ამა თუ იმ ცნების შინაარსსა და შეზღუდვებთან დაკავშირებით კერძო საკუთრების სასარგებლოდ უნდა ითვალისწინებდეს იმ ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გერმანიის ძირითად კანონს (იხ: BVerfGE 1, 264 [276]; 4, 219 [240]) და ასევე უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის სხვა ნორმებს, განსაკუთრებით – თანასწორობის პრინციპს, პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითად უფლებასა და სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს.

აქციის სახით განსახიერებული საკორპორაციო-სამართლებრივი საკუთრების არსი არ არის აუცილებლად დაცული უმრავლესობის გადაწყვეტილებებისაგან...

სააქციო საზოგადოების პარტნიორთა ხმების უმრავლესობით საწარმოს გარდაქმნის ძირითადი და უმთავრესი შემთხვევებია გარდაქმნა კონცერნის ფარგლებში, როდესაც უფრო ძლიერი სააქციო საზოგადოება იყენებს პარტნიორთა ხმების უმრავლესობით საწარმოს გარდაქმნის ინსტრუმენტს, რათა უმცირესობათა გამორიცხვასთან ერთად მთლიანად გადაიბაროს საწარმო.

კონცერნის ეკონომიკურ-სოციალური შეფასებები ორმხრივია. ეკონომიკური და ფინანსური გავლენის ერთობასა და თანხვედრას, ერთი მხრივ, თავისი საფრთხეც მოჰყვება, ხოლო, მეორე მხრივ, იქმნება რაციონალიზებისა და პროდუქციის გაიარების შესაძლებლობა, რაც სასურველი და მწვავე საერთაშორისო კონკურენციის გათვალისწინებითაც კი აუცილებელი და გარდაუვალი მოელენაა. მოქმედი ეკონომიკური და საგადასახადო სამართალი აღიარებს კონცერნებს, თუმცა, დეტალურად არ აწესრიგებს მის სამართლებრივ მიმართებებს...

ზოგადად, კონცერნების დაშვება გულისხმობს მათი სამენარმეო თავისუფლების აღიარებას, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კორპორაციის ფარგლებში კანონმდებელმა აქციათა უმცირესობის მფლობელების წილობრივ და თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შეიძლება აღნიშნულ სამენარმეო თავისუფლებას მიანიჭოს უპირატესობა. აქედან გამომდინარე, საუბარია იმაზე, შეიძლება თუ არა კანონმა უპირატესობა მიანიჭოს „კონცერნის ინტერესებს“ და დააყენოს ცალკეული საზოგადოების ინტერესებზე მაღლა...

მოცემულ შემთხვევაში ... არ დგინდება აღნიშნული კანონის ნორმის არაკონსტიტუციურობა. კანონმდებელმა შესაძლოა, საყოველთაო კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან და მოსაზრებებიდან გამომდინარე დააყენა აქციების უმცირესობათა მფობელების საკუთრების დაცვა უმრავლესობის ინტერესების უკან, რაც მდგომარეობს კონცერნის ფარგლებში სამენარმეო ინიციატივის თავისუფალ განვითარებასა და რეალიზებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ეყრდნობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითადი უფლებების მნიშვნელობათა ურთიერთმეფარდებას კონცერნზე დამოკიდებული საზოგადოების ფარგლებში...

კანონმდებლის ამგვარი შეფასების დასაშვებობის წინაპირობაა საზოგადოებიდან გარიყული უმცირესობის კანონიერი ინტერესების დაცვა. აქ, ერთი მხრივ, იგულისხმება ის, რომ არსებობს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან თავის დასაცავი ეფექტური სამართლებრივი საშუალებები; მეორე მხრივ კი, წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ უმცირესობას ეკონომიკურად სრულად აუნაზღაურდეს თავისი სამართლებრივი პოზიციის დაკარგვა. აღნიშნული წინაპირობები კი დაკმაყოფილებულია პარტნიორთა ხმების უმრავლესობით სანარმოს გარდაქმნის შემთხვევებში.

## **E – 21, 73**

1. კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრას (გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება).
2. მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.
3. აღნიშნული ნორმის საფუძველზე ნებართვის გაცემაზე არ უნდა ითქვას უარი მხოლოდ იმ საფუძველით, რომ შემქმნისათვის სამართლებრივი გარიგება წარმოადგენს ინვესტიციას.

### **პირველი სენატის 1967 წლის 12 იანვრის განჩინება - 1 BvR 169/63 -**

მოსარჩელემ, პროფესიით ადვოკატმა, პროფესორმა და სანარმოს კონსულტანტმა, 290 000 მარკად შეიძინა 34 ჰექტარი სატყეო ნაკვეთი. შესაბამისად, უფლებამოსილმა სოფლის მეურნეობის ადმინისტრაციულმა ორგანომ, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ 1961 წლის 28 ივლისის (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1091) კანონზე დაყრდნობით, უარი განაცხადა ნებართვის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ შემქმნი არც მეტყვევა და არც ფერმერი. ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნა, რომ გამყიდველს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ნებართვის გარეშე შეეძლო ტყის მიყიდვა ნორდრაინ-ვესტფალენის ლანდის სახელმწიფო სატყეო ადმინისტრაციისათვის.

მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნებართვა არ გაიცემა იმ შემთხვევებში, როდესაც გასხვისება იწვევს მიწის არაჯანსაღ განაწილებას. თავისი მატერიალური შინაარსის მიხედვით, აღნიშნული ნორმა შეიცავს სოფლისა და სატყეო მეურნეობის მიწების გასხვისებისა და შექმნის უფლებების კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვას. შესაბამისად, საქმე ეხება საკუთრების ცნებისა და სამართ-

ლებრივი ინსტიტუტის განმსაზღვრელ ნორმას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა მოიაზრება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის დაცვის სფეროში და მისი კონსტიტუციურობის საზომიც ძირითადი კანონის მე-14 მუხლია.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მოთხოვნით, საკუთრების შინაარსი და შეზღუდვები უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა. ასეთი კანონი ფორმალურად და მატერიალურად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას (BVerfGE 14, 263 [278]).

მოსარჩელის პრეტენზიები მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ფორმალურ გაფორმებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი არ არის მიუღებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით (BVerfGE 3, 225 [243]; 13, 153 [161]). არ არის არსებითი იმ საკითხზე მსჯელობა და გადაწყვეტა, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დაყოფა რამდენიმე, სპეციალურ ფაქტობრივ ელემენტად. ის, თუ რა გზას აირჩევს კანონმდებელი ნორმის შემადგენელი ფაქტობრივი ელემენტის განსაზღვრისას ანუ დასჯერდება ერთ ცნებას, რომელიც დაფარავს სხვადასხვა შესაძლო შემთხვევათა წრეს, თუ ცალ-ცალკე, ვინაშენ ფორმულირებული ფაქტობრივი ელემენტებით მოაწესრიგებს შესაბამის საკითხს, მის მიხედულებაზეა დამოკიდებული. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა შეამოწმოს, თუ რამდენად დაიცვა და გაითვალისწინა კანონმდებელმა მისთვის კონსტიტუციით განსაზღვრული ფარგლები, რაც მოცემულ შემთხვევაში დადებითად შეფასდა.

განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების ზოგადი დასაშვებობა კანონმდებელს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, რომლის მიხედვითაც, ნორმა უნდა ჩამოაყალიბოს ისე, რომ იგი შესაბამებოდეს ნორმის სიცხადისა და სასამართლოს მიერ მისი განსჯადობის (Justiziabilität)<sup>18</sup> პრინციპებს. მისი წინაპირობები და შინაარსი ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ პირები, რომლებსაც იგი ეხება, ჩასწვდნენ სამართლებრივ მდგომარეობას და შეძლონ თავიანთი ქმედების შესაბამისი განსაზღვრა. ამას გარდა, ადმინისტრაციის კანონიერების პრინციპი მოითხოვს, რომ კანონმდებელმა თვითონ განახორციელოს საკუთრების ცნების შემადგენელი, ცალკეული არსებითი უფლებამოსილებისა და ვალდებულების შინაარსობრივი ნორმირება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ნორმა იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის პროცედურის მატერიალურ საფუძველსა და შესაბამისად – მისი კანონიერების საზომს. კანონმდებელს არა აქვს უფლება, ადმინისტრაციის მიხედულებას მიანდოს აღნიშნული საკითხის მონესრიგება. აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების მომწესრიგებელი და განმსაზღვრელი სამართლის სფეროში გასხვისებასა და შეძენასთან დაკავშირებული შეზღუდვები თუ დაბრკოლებები უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან; დაუშვებელია, რომ ისინი განსაზღვროს ადმინისტრაციამ ან თვითონ სასამართლოებმა, თავიანთი შეხედულებების შესაბამისად. წინამდებარე შემთხვევაში მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჯერ კიდევ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

<sup>18</sup> Justiziabilität — გერმანული სამართლის მიხედვით, ნორმა იმდენად ნათლად უნდა განსაზღვრავდეს თავისი მოწესრიგების სფეროს, რომ შესაძლებელი იყოს სასამართლოს მიერ მისი გამოყენება.

მოსარჩელეს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ ნორმით გათვალისწინებული ნაკლებად დაზუსტებული მცნების – „მინის არაჯანსაღი განაწილების“ გამოყენება გარკვეული მიმართებით ეჭვს ბადებს. მაგრამ კანონის მიზანი, მისი ნორმებისა და კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განმარტების შინაარსობრივი ურთიერთმიმართება იძლევა ნორმების მიზნისა და შინაარსის ზუსტი შეცნობისა და გაგების შესაძლებლობას და ქმნის ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების მიერ რაიმე გაურკვეველი ცნების თვითნებურ გამოყენებას...

მინის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მისი სწორი განმარტების შემთხვევაში, თავისი მატერიალური შინაარსითაც შეესაბამება კონსტიტუციას.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით კანონმდებლისათვის გათვალისწინებული დავალება, საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრასთან დაკავშირებით, არ მოქმედებს შეუზღუდავად. იგი უნდა ითვალისწინებდეს და შეესაბამებოდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ საკუთრების გარანტიის ძირითად არსს და ასევე – კონსტიტუციის სხვა ნორმებს (BVerfGE 14, 263 [278]; 18, 121 [132]).

გერმანიის ძირითადი კანონი, მოსარჩელის მოსაზრებისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს იმას, რომ სამეურნეო ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც სხვა „კაპიტალის“ შემთხვევებში. ის გარემოება, რომ მინა შეუცვლელია და ამასთან, არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად იქნეს მინდობილი თავისუფალი ძალების გაუთვალისწინებელ თამაშსა და ცალკეულ პირთა მიხედულებებს; სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მინასთან მიმართებით მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებას და გამოხატვას, ვიდრე – სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მინა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთებსა და ღირებულებებს; სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული როგორც მოძრავი საქონელი. შესაბამისად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებიდან არ გამომდინარეობს კანონმდებლის ვალდებულება, ყველა ლიკვიდური ქონებრივი სიკეთე დაუქვემდებაროს ერთსა და იმავე სამართლებრივ პრინციპებს. ასევე არ არის მართებული, რომ ხდება ფულადი კაპიტალის დისკრიმინაცია სასოფლო და სატყეო მეურნეობის მიწებში ინვესტირებული კაპიტალის მიმართ.

გერმანიის ძირითადი კანონი კანონმდებელს საკუთრების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისათვის ანიჭებს საკმაოდ ფართო ასპარეზს. აღნიშნულის მიხედვით, საკუთრება წარმოშობს არა მარტო ვალდებულებებს, არამედ იმასაც, რომ „მისი გამოყენება უნდა ემსახურობდეს საყოვლთაო კეთილდღეობას“. ის, რომ აღნიშნული ფორმულირებისას საკონსტიტუციო კანონმდებელი, უპირველეს ყოვლისა, მინის გამოყენებას გულისხმობს, ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს საპარლამენტო საბჭოს შესაბამისი მასალებიდან (ParlRat, 8. Sitzung des Grundsatzausschusses, Sten.Prot. S. 62). საკუთრების სოციალურად გამართლებული გამოყენების მცნება არ არის მხოლოდ კონკრეტული მესაკუთრისათვის განკუთვნილი დავალება. პირველ რიგში, ეს არის ინსტრუქცია კანონმდებლისათვის, რათა მან საკუთრების მცნების შინაარსის განსაზღვრისას გაითვალისწინოს საყოველთაო კეთილდღეობა. ეს კი არის საკუთრების ისეთი სისტემის უარყოფა, სადაც ცალკეული ადამიანის ინდივიდუალურ-

რი ინტერესი პრივილეგიურია საზოგადოების ინტერესებთან მიმართებით. სწორედ ღირებულებათა ამ სისტემის ფარგლებში მოქმედებს მინის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი, როდესაც იგი კრძალავს მინის ისეთი ფორმით გასხვიებას, როცა მინის არაჯანსაღი განაწილება ხდება ზემოთ მოყვანილი განმარტებების შეცნობით...

მიუხედავად იმისა, რომ მინის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმავდროულად არის კონსტიტუციასთან შესაბამისი ნორმაც, მისი გამოყენება უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიერ წინამდებარე გასაჩივრებულ განჩინებაში მანც ვერ გამართლდება.

უზენაესი ფედერალური სასამართლო თავისი პრაქტიკის ფარგლებში მართებულად ემყარება იმას, რომ მინის ნაკვეთთან დაკავშირებული ბრუნვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი ვინროდ უნდა განიმარტოს. აქ გადამწყვეტია, არსებობს თუ არა მოთხოვნა სხვა საწარმოებში სასოფლო და სატყეო მეურნეობის მიწებთან დაკავშირებით და დასაშვებად მიიჩნევს მინის ისეთი პირების მიერ შესყიდვას, რომლებიც არც ფერმერები არიან და არც მეტყევეები, მაშინ, როდესაც ფერმერები და მეტყევეები არ არიან დაინტერესებული ამ ნაკვეთის შესყიდვით. თუმცა, უზენაესი ფედერალური სასამართლო ისეთ შემთხვევებში აღარ ეყრდნობა ნორმის ასეთ შეზღუდულ განმარტებას, როდესაც ნაკვეთის შესყიდვა წარმოადგენს მხოლოდ „კაპიტალის დაბანდებას“. მინის შეძენის ასეთი შემთხვევები სასამართლოსათვის არის მინის არაჯანსაღი განაწილების მაგალითი, „მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, გასხვიებული ნაკვეთი გამოყენებულ იქნეს აგრარული სტრუქტურის გასაუმჯობესებლად“. ზემოთ აღნიშნული კანონი მართლაც ამ შინაარსის რომ იყოს, მაშინ იგი არ იქნებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისი.

კანონით გათვალისწინებული საკუთრებასთან დაკავშირებული ვალდებულებები გამართლებული უნდა იყოს მონესრიგებული საკითხით და გამომდინარეობდეს კიდევ მისგან; აღნიშნული ვალდებულება არ შეიძლება სცდებოდეს იმ დაცვის მექანიზმს, რომელსაც ემსახურება თვითშესწორება. აღნიშნული ზღვარი დაირღვეოდა იმ შემთხვევაში, რომ მინის გასხვიება აკრძალულიყო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ნაკვეთის შეძენა მყიდველისათვის იქნებოდა კაპიტალის დაბანდება. უზენაესი ფედერალური სასამართლო მცდარად მიიჩნევს გადამწყვეტ საკითხად მინის შემძენის მოტივაციას და არა იმ საკითხს, რაც მართლაც უნდა იყოს არსებითი, კერძოდ, საუბარია იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს და რა შედეგებს გამოიწვევს აგრარული სტრუქტურისათვის სამართლებრივი გარიგება. შემძენის პერსპექტივა და მისი მოტივაცია არ არის საკუთრებასთან დაკავშირებული ვალდებულების გამამართლებელი ასპექტი. დაცვის მექანიზმი, რომელსაც ემსახურება მინის ნაკვეთის ბრუნვებთან დაკავშირებული სამართალი, არ ითვალისწინებს მსგავს შეზღუდვებს.

## **E – 46, 325**

საკუთრების გარანტიის მნიშვნელობის შესახებ იძულებითი აღსრულების ნორმების გამოყენებისას ისეთ შემთხვევებში, როდესაც მაქსიმალური შემოთავაზებული ფასი ბევრად დაბალია ნაკვეთის ღირებულებაზე

კონსტიტუციური სარჩელი მიმართულია იმის წინააღმდეგ, რომ გაშენებული ნაკვეთი იძულებითი აღსრულების ფარგლებში ისე მიეკუთვნა მაქსიმალური ფასის შემთავაზებელ პირს, რომ შეთავაზებული თანხა (10.500,- მარკა) ბევრად ნაკლები იყო ნაკვეთის ლირებულებაზე (95.000,-) და აუქციონზე ნივთის შემძენის მიერ საკუთრების უფლების შეძენის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე არ შემონმბებულა, იყო თუ არა მოცემული და გათვალისწინებული აღსრულების წინაპირობები და მოთხოვნები.

წინამდებარე შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული წარმოება არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ მოსარჩელის ძირითად უფლებას, რომლის დამცავი მექანიზმი ასევე მოიცავს სამართალწარმოების წარმართვას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით.

..... საკუთრების გარანტიის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში:

აღნიშნული გულისხმობს მესაკუთრის ხელში საკუთრების კონკრეტული არსის გარანტიას (იხ: BVerfGE 24, 367 [400]; 38, 175 [181]). კონსტიტუციურ-სამართლებრივად მისი ფუნქციაა, ცალკეულ პირს შეუნარჩუნოს ძირითადი უფლება – სუბიექტის თავისუფალი სივრცე ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში და ამით შესაძლებლობა მისცეს პიროვნული განვითარებისა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის გამოვლენისათვის (იხ: BVerfGE 31, 229 [239]). აღნიშნული გარანტიის ფუნქცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალურ – ქონებრივი სამართლის ჩამოყალიბებაზე, არამედ ასევე – შესაბამის საპროცესო სამართალზეც. უშუალოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარეობს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, მითითებული ძირითადი უფლების დარღვევისა თუ ხელყოფის შემთხვევებში პირისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვა (იხ: BVerfGE 24, 367 [401]; 35, 348 [361]; 27, 132 [141, 148]). ყოველივე ეს მოიცავს ასევე „სამართლიანი სამართალწარმოების“ მოთხოვნის უფლებასაც, რაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მიეკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს გამოვლინებებს (იხ: BVerfGE 24, 367 [400]; იხ: BVerfGE 38, 105 [111]; 40, 95 [99]; 46, 202). აღნიშნული მოქმედებს იძულებითი აღსრულების წარმოების ფარგლებშიც, როდესაც სახელმწიფო, კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მასშტაბურად ზღუდავს მოვალის კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებას. ამგვარი შეზღუდვა, თუმცა, გამართლებულია, რამდენადაც იგი ემსახურება კრედიტორის დასაბუთებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ იმავდროულად აუცილებელია მოვალის ინტერესების დაცვაც, რაც გულისხმობს მოვალის შესაძლებლობას, მოითხოვოს სამართლებრივი დაცვა ისეთ შემთხვევებში და ისეთი ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია მისი საკუთრების შეუსაბამოდ დაბალ ფასად გაყიდვისაკენ.

წინამდებარე შემთხვევებისათვის ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს საპროცესო ნორმების კონსტიტუციური გამოყენების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საკუთრების უფლებების შეძენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა მიღებული იყოს არა აუქციონზე, არამედ – უფრო მოგვიანებით, რათა მოსარჩელეს შესაძლებლობა ჰქონოდა, ესარგებლა აღსრულებისაგან თავის დაცვის გათვალისწინებული საშუალებებით.



1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქონების ჩამორთმევის იმ ნორმებისაგან გამიჯვნასთან დაკავშირებით, რომლებიც გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, განსაზღვრავენ საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს.
2. ნორმების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური და საზოგადოებრივი პირობებისა და ვითარების ცვლილებები.
3. საბაღე მინის ნაკვეთის კერძო მეიჯარეებისათვის ხელშეკრულების მოშლის უფლებამოსილების გამორიცხვა საბაღე მინის ნაკვეთის სამართლის მოქმედი დებულებების ფარგლებში (ვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების აკრძალვა, ფასის სავალდებულობა) არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.
4. საბაღე მინის ნაკვეთის სამართლით გათვალისწინებული დათქმა საბაღე მინის ნაკვეთებზე გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების მოშლისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონით დამკვიდრებულ სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებსა და წინაპირობებს.

**პირველი სენატის 1979 წლის 12 ივნისის განჩინება**  
- 1 BvL 19/76 -

განსახილველია საკითხი: რამდენად კონსტიტუციურია ის გარემოება, რომ მცირე საბაღე ნაკვეთებზე გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების მოშლა კერძო მეიჯარეებს შეუძლიათ მხოლოდ საგანგებოდ შეზღუდული წინაპირობების შემთხვევაში.

საქმის წარმოებას წინ უსწრებს სამართლებრივი დავა მცირე საბაღე ნაკვეთზე გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის თაობაზე.

სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას ბავარიის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დროებით შეაჩერა საქმის წარმოება და ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა წარდგინებით: შეესაბამება თუ არა მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებული 1969 წლის 28 ივნისის სამართლებრივი დებულების (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1013) ცვლილებათა კანონის მე-2 მუხლი, ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულების პირველი მუხლი და 1944 წლის 15 დეკემბრის რედაქციის ნორმები მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებით (რეგონული საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 347) გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლს.

მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი სამართლებრივი სისტემა სრულად არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

**I**

ზოგადი სამართლის ნორმების მიხედვით, უნდა დავეყრდნოთ შემდეგ სამართლებრივ ვითარებას:

მცირე საბაღე-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა გამოიყენებოდეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

აღნიშნულ ნორმებს ეწინააღმდეგება 1944 წლის ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულებითა და 1969 წლის მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებული სამართლებრი-

ვი დებულების ცვლილებათა კანონით გათვალისწინებული, თავისუფალი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა. აღნიშნული დებულებები შეიცავენ ერთმანეთთან დაკავშირებულ, იძულებითი სამართლებრივი ნორმების ზოგადად მოქმედ სისტემას. შინაარსობრივად ისინი ანესრიგებენ მიიჯარისა და მოიჯარის უფლება-მოვალეობებს ხელშეკრულების მოშლის შემთხვევებში.

დებულებათა აღნიშნული სისტემა განპირობებულია შემდეგი პრინციპებით: იჯარის ხელშეკრულებები, ძირითადად, არ ექვემდებარება მოშლას (ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულების პირველი მუხლის პირველი წინადადება); მოშლა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად განერილ და განსაზღვრულ შემთხვევებში (ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულების ცვლილებათა კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი); ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მიიჯარე ვალდებულია, მიიჯარეს გადაუხადოს კომპენსაცია და საჭიროებისამებრ უზრუნველყოს სხვა მინის ნაკვეთით (ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულების მე-3 მუხლი, მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულების ცვლილებათა კანონის მე-3 მუხლი). ვადიანი ხელშეკრულებები ითვლება განუსაზღვრელი ვადით გაფორმებულად (ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება), ხოლო მისი მოშლისათვის საჭიროა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა (მცირე საბაღე ნაკვეთებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულების ცვლილებათა კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი)...

## II

მცირე საბაღე-სამეურნეო მიწების სამართლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ნორმების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისას ლანდის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებებიდან: ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობის ფაქტობრივი გამორიცხვა, საიჯარო ქირასა და ნებართვასთან დაკავშირებულ დათქმასთან ერთად, იმდენად მასშტაბურად ზღუდავს მესაკუთრის კონსტიტუციურად დაცულ სამართლებრივ პოზიციას, რომ საკუთრების უფლების ძირითადი არსისაგან ფაქტობრივად აღარაფერი რჩება. სასამართლოს მოსაზრებით, ნორმას პრაქტიკულად საკუთრების ჩამორთმევამდე მიჰყავს საქმე. უფლების შეზღუდვის ინტენსიურობიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ნორმა ვეღარ ჩაითვლება შინაარსისა და შეზღუდვების განმსაზღვრელად გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს კონფისკაციად, რაც არაკონსტიტუციურია იმიტომ, რომ არ ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონით დადგენილ მოთხოვნას კომპენსაციასთან დაკავშირებით.

სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

1. კონფისკაცია, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ცალკეული მოქალაქის საკუთრების საკითხებში ჩარევას. მისი მიზნებიდან გამომდინარე, ეს ჩარევა მიმართულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცული და უზრუნველყოფილი, კონკრეტული სუბიექტური სამართლებრივი პოზიციების სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევისაკენ (BVerfGE 38, 175 [180]; 45, 297 [326]).

წინამდებარე შემთხვევაში მცირე საბაღე-სამეურნეო ნაკვეთებზე გაფორმებული ხელშეკრულებების მოშლის შეზღუდვა არ წარმოადგენს საკუთრების კანონით

გათვალისწინებულ ჩამორთმევას ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ასევე გამოორიცხება კანონის ძალით საკუთრების ჩამორთმევის ფაქტიც: კანონის ძალით საკუთრების ჩამორთმევა სახეზეა, როდესაც კანონი, უშუალოდ ძალაში შესვლითა და ყოველგვარი აღმასრულებელი აქტის გარეშე, თვითონ ართმევს ან ზღუდავს იმ ინდივიდუალურ უფლებებს, რომლებიც, აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე მოქმედი სამართლის ნორმების მიხედვით, მიეკუთვნებოდა პირთა განსაზღვრულ ჯგუფს ან ჯგუფებს (BVerfGE 45, 297 [325]).

აღნიშნულისაგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება „შინაარსის განსაზღვრაში“ გულისხმობს კანონმდებლის მიერ უფლებებისა და ვალდებულებების ზოგად და აბსტრაქტულ განსაზღვრებას იმ სამართლებრივი სიკეთეების მიმართ, რომლებიც კონსტიტუციის გაგებით მიჩნეულია საკუთრებად. აღნიშნული ახდენს ისეთი ობიექტურ-სამართლებრივი ნესების ნორმირებას, რომლებიც კანონის ამოქმედებით სამომავლოდ განსაზღვრავს საკუთრების უფლების „შინაარსს“. ამგვარი ნორმების კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დადებითად შეფასებისათვის არ არის საკმარისი ის გარემოება, რომ ისინი გათვალისწინებულია ფორმალური კანონით; აღნიშნულთან დაკავშირებით გადამწყვეტია ის, რომ კანონი მატერიალური კუთხითაც უნდა შეესაბამოდეს გერმანიის ძირითად კანონს (BVerfGE 21, 73 [79]; 24, 367 [389]; 23, 112 [118]; 37, 132 [140]; 42, 263 [305]). იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონსტიტუციიდან გამომდინარე ფარგლების გადაჭარბება, მაშინ ზემოთ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული ნორმა კარგავს ძალას და იგი არ წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კონფისკაციას. ნორმები გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გაგებით და კონფისკაცია იმავე მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით მხოლოდ მაშინ არის ძალაში, როდესაც ისინი შეესაბამება კონსტიტუციის შესაბამის ნორმებს. კონსტიტუციის სანინააღმდეგო შინაარსის ნორმა შეუძლებელია გადაკეთდეს კონფისკაციად და კონსტიტუციის დარღვევა „განიკურნოს“ კანონით გაუთვალისწინებელი კომპენსაციის გზით.

2. როდესაც აღნიშნულის მიხედვით, კონსტიტუცია ერთმანეთისაგან ერთმნიშვნელოვნად მიჯნავს საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განმსაზღვრელ ნორმებს კანონით გათვალისწინებული კონფისკაციისაგან, ეს არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, მომავალში მიღებული ნორმების საფუძველზე, მოხდეს იმ უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომლებიც გამომდინარეობდა აღნიშნული ნორმების ამოქმედებამდე მოქმედი კანონიდან (იხ: BVerfGE 25, 112 [121]). ახალი ობიექტურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ინდივიდუალურ სამართლებრივ პოზიციებში ამგვარი ჩარევა შესაძლოა მოიცავდეს კონფისკაციასაც, რომელიც დასაშვებია იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული და გათვალისწინებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები (იხ: BVerfGE 31, 275 [284, 292]; 45, 297 [330]).

წინამდებარე საქმეში არ არის ასეთი ვითარება...

გერმანიის ძირითადი კანონიდან გამომდინარე, განსახილველია მხოლოდ საკითხი: აკმაყოფილებს თუ არა 1944 წლის ხელშეკრულების მომლის დაცვის დებულება და 1969 წლის ცვლილებათა კანონი იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ძირითადი კანონი ავრცელებს მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ნორმებზე.

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული დავალების – საკუთრების ცნების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრის – შესრულებისას კანონმდებელი დგას შემდეგი ამოცანის წინაშე: მან უნდა მოახერხოს ისეთი სოციალური მოდელის რეალიზება, რომლის ნორმატიული ელემენტებიც, ერთი მხრივ, გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით აღიარებული კერძო საკუთრებიდან და, მეორე მხრივ – იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური პრინციპიდან. საკუთრების გამოყენება იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საყოველთაო კეთილდღეობასაც (BVerfGE 37, 132 [140]; 38, 348 [370]).

კანონმდებელმა გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმების შემუშავებისას თანაბრად უნდა გაითვალისწინოს კონსტიტუციურ-სამართლებრივად გარანტირებული სამართლებრივი პოზიციისა და საკუთრების უფლების რეალიზების სოციალურად სამართლიანი სისტემის ურთიერთმიმართების ორივე ელემენტი, რომლებსაც მოიცავს გერმანიის ძირითადი კანონი; მან უნდა მოახერხოს დაინტერესებულ პირთა კანონიერი ინტერესების სამართლიანი გათანაბრება და დაბალანსება. რომელიმე მხარის უპირატესობა ან ცალმხრივი დისკრიმინაცია არ შეესაბამება კონსტიტუციურ-სამართლებრივ წარმოდგენებს სოციალურ ასპექტთან მჭიდროდ დაკავშირებული კერძო საკუთრების შესახებ (BVerfGE 37, 132 [140]). ასეთ მიდგომას ასევე შეესაბამება თანაზომიერების კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი. საყოველთაო კეთილდღეობა არის არა მარტო საფუძველი, არამედ იმავდროულად – მესაკუთრის უფლებების შეზღუდვების ზღვარი. იმისათვის, რომ ასეთი შეზღუდვები მისაღები იყოს კონსტიტუციური თვალსაზრისით, მათი მონესრიგების სფეროდან გამომდინარე, შეზღუდვები უნდა იყოს აუცილებელი, ხოლო ფორმულირება კი - სათანადო და შესაბამისი. შეზღუდვები და მესაკუთრის უფლებამოსილება არ შეიძლება სცდებოდეს იმ დამცავი მექანიზმის ზღვარს, რომელსაც ემსახურება შესაბამისი ნორმა (იხ: BVerfGE 21, 150 [155]; 25, 112 [117]; 37, 132 [141]).

ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ მასშტაბს ყოველთვის და ყველანაირი მიმართებით უნდა ჰქონდეს ერთნაირი დატვირთვა. ნორმები, რომლებიც მოქმედებს საომარ და საგანგებო სიტუაციებში, შესაძლებელია, სახეცვლილ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პირობებში კონსტიტუციურ-სამართლებრივადაც სხვაგვარად შეფასდეს. თუმცა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა ყოველ შემთხვევაში მოითხოვს საკუთრების არსის შენარჩუნებას (BVerfGE 42, 263 [295]) და გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპის დაცვას (BVerfGE 34, 139 [146]; 37, 132 [143]; 42, 263 [305]).

ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს არ შეესაბამება მოცემულ შემთხვევაში განსახილველი ნორმები. წინამდებარე ნორმის ელემენტების კომბინაცია იწვევს კერძო მეიჯარის გადაჭარბებულ, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიისათვის შეუსაბამო დატვირთვას. ამას გარდა, ნებართვის გაცემის დათქმა ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს.

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით უზრუნველყოფილი საკუთრება, მისი სამართლებრივი შინაარსის მიხედვით, ხასიათდება საკუთრების ნივთზე მესაკუთრის მიერ კერძო გამოყენების უფლებითა და ზოგადი, ძირითადი განკარგვის უფლებამოსილებით. საკუთრების საგანი მესაკუთრისათვის გამოსადეგი უნდა იყოს მისი კერძო ინიციატივის საფუძველად და

საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროში შემავალ კერძო ინტერესებთან მიმართებით (BVerfGE 50, 290).

ძირითადი კანონით გარანტირებული ამგვარი სამართლებრივი პოზიცია შელახულია იმით, რომ იჯარის ხელშეკრულების მოშლა, ზოგადად, არ არის დასაშვები ანუ აკრძალვა მოქმედებს როგორც პრინციპი. კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ვითარების განხილვისას გაცხადდა, რომ შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული გამონაკლისის მომწესრიგებელი და განმსაზღვრელი ნორმის შემადგენელი ფაქტობრივი ელემენტები იმდენად ვინროდ არის ჩამოყალიბებული, რომ მცირე საბალე-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის კერძო მეიჯარეს ფაქტობრივად აღარ რჩება შანსი, ოდესმე თავისუფლად განკარგოს თავისი საკუთრება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ არსებობას საფრთხე ემუქრება, შესაძლებელია ხელშეკრულების მოშლა, რაც, თავის მხრივ, ისევ ექვემდებარება არსებით შეზღუდვებს და დაკავშირებულია კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასთან. ამით თავისუფალი გადაწყვეტილების საფუძველზე გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება სარგებლობს მისი არსებობის შეუზღუდავი დაცვით მაშინაც კი, როდესაც იგი დადებულია გარკვეული ვადით. მეიჯარეს იმ შემთხვევაშიც არ შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, როდესაც იგი მოიჯარეს სამაგიეროდ სხვა ნაკვეთს და კომპენსაციას სთავაზობს.

ძირითადი კანონითა და უფლებით გარანტირებული ზოგადი განკარგვის უფლებამოსილება მოიცავს მესაკუთრის თავისუფლებას, გაასხვისოს თავისი საკუთრება. საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული მოქმედების თავისუფლების ეს ელემენტარული შემადგენელი ნაწილი, რომლის შეზღუდვაც შესაძლებელია მხოლოდ საკმაოდ გართულებული წინაპირობების შემთხვევაში (BVerfGE 26, 215 [222]), ასევე არსებითად არის შელახული ზემოთ აღნიშნული კანონის ნორმებით...

კანონი, თუმცა, პირდაპირ არ კრძალავს გასხვისებას, მაგრამ მისი ნორმების საფუძველზე ეს შესაძლებლობა, ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, არარეალიზებადია. ამგვარი შეზღუდვა კი ერთმნიშვნელოვნად ეხება ძირითადი კანონით დაცულ საკუთრების არსს. კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისას გადაწყვეტი არ არის ის, რომ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს გასხვისების აკრძალვას, თუ ეს ცალკეული ნორმების აუცილებელი პრაქტიკული შედეგია.

მეიჯარის კონსტიტუციურად გარანტირებული სამართლებრივი პოზიცია იზღუდება იმით, რომ მან ხელშეკრულების მოშლამდე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსაგან უნდა მიიღოს ნებართვა, რომლის ფარგლებშიც განიხილება, ხომ არ ეხება ხელშეკრულების მოშლა საზოგადოებრივ ინტერესებს

3. ნორმების აღნიშნული სისტემა მხოლოდ მაშინ იქნებოდა მისაღები, როდესაც იგი გამართლებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე საფუძვლებით და ამასთან, ასევე შეესაბამება თანაზომიერების პრინციპს. ამგვარი საფუძვლები წინამდებარე შემთხვევაში არ არის მოცემული.

ა) საყოველთაო კეთილდღეობის საწყისებზე კერძო საკუთრების გამოყენების კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოსტულატი მოიცავს იმ თანამოქალაქეთა ინტერესებისა და მოთხოვნის გათვალისწინებას, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საკუთრების საგნის გამოყენებასა და მოხმარებაზე. კონსტიტუციით ინიცირებული და კანონმდებლის მიერ რეალურად გასათვალისწინებელი მესაკუთრის შეზღუდვის მასშტაბი და მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობით არის დაკავშირებული საკუთრების ობიექტი სოციალურ კონტექსტთან და სოციალურ ფუნქციასთან. რაც უფრო მეტად არის ცალკეული პირი დამოკიდებული უცხო საკუთრების გამოყენებაზე, მით უფრო ფართოა კანონმდებლის მოქმედების არეალი; ეს არეალი

ვინროვდება, როდესაც აღნიშნული შემთხვევა ან საერთოდ, ან კი მხოლოდ მცირე დოზითა და მოცულობით გვხვდება (BVerfGE 42, 263 [294]). მაშასადამე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი არ ამართლებს და არ ითვალისწინებს კერძო-სამართლებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებულ შეზღუდვებს, რომლებიც არ გამომდინარეობს სოციალური საჭიროებიდან (BVerfGE 37, 132 [141]).

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ განწყვეტილებაში (BVerfGE 21, 37 [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მიწობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის მიხედულებისათვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადო ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში.“ მიწა, რომელიც გამოიყენება მცირე საბალე-სამეურნეო დანიშნულებით, ასევე არსებითი სოციალური ფუნქციის მატარებელია ზემოთ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის გაგებით...

თუ მცირე საბალე-სამეურნეო ნაკვეთი, კანონმდებლის თავდაპირველი ჩანაფიქრით, წარმოადგენდა მხოლოდ ბოსტანს ან ხეხილის ბაღს, საიდანაც პირი მოსაეღის სახით იღებდა საბალე-სამეურნეო პროდუქციას, დღეს ეს, პირველ რიგში, მოიაზრება საცხოვრებელ ნაკვეთად. აქვე ყურადსაღებია ის ფაქტორიც, რომ მცირე საბალე-სამეურნეო ნაკვეთთან დაკავშირებული სარგებელი და მისი მოხმარება წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების საგანს. მასობრივი ინდუსტრიალიზაციის პირობებში, როცა მრავალი ადამიანი დატვირთულია ცალმხრივად და ერთფეროვნად, მცირე საბალე-სამეურნეო ნაკვეთს, დატვირთვის დაბალანსებისა და განტვირთვის მიზნით შესაძლოა, ჰქონდეს დიდი სოციალური მნიშვნელობა ხალხის გაჯანსაღების თვალსაზრისით და ხელი შეუწყოს ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ როგორც სტრუქტურული ცვლილებები გვიჩვენებს, თუმცა, მცირე საბალე-სამეურნეო მიწის ფლობა მეზღუდებისათვის მეტად ღირებულია, მაგრამ აღარ აქვს ეგზისტენციალური დანიშნულება. ხელშეკრულების მოშლის სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლეგიტიმაციისას სოციალური ფუნქციის ამგვარი ცვლილება არ შეიძლება გაუთვალისწინებელი დარჩეს. მართალია, შესაძლოა ცალკეული მოიჯარის დაინტერესება, ფლობდეს მცირე საბალე-სამეურნეო ნაკვეთს, იყოს ღიდი და დასაბუთებული, მაგრამ არ შეიძლება იგი ისეთივე დამოკიდებული იყოს უცხო საკუთრებით სარგებლობაზე, როგორც ეს მიჩნეულია ბინით სარგებლობის შემთხვევაში, ვინაიდან ბინა ადამიანური ყოფა-ცხოვრებისა და პირადი ცხოვრების შესაძლებლობის აუცილებელი წინაპირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ბინა დამქირავებლისათვის ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე – მცირე საბალე-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მოიჯარისათვის, მოქმედი სამართალი მეზღუდეს ანიჭებს უკეთეს და უფრო ძლიერ სამართლებრივ პოზიციას, რაც არ შეესაბამება ორივე მხარის კანონიერი ინტერესების სამართლიანი გათანაბრებისა და დაბალანსების პრინციპს. ამჟამად მოქმედი სისტემა ცალმხრივად იცავს მოიჯარის უცილობლად გასათვალისწინებელ ინტერესებს მცირე საბალე-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, მეიჯარის ინტერესებისა და მოთხოვნილებების სათანადო გათვალისწინების გარეშე. ამასთან, აღნიშნული სისტემა უშვებს იმას, რომ შეიზღუდოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების არსი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მესაკუთრემ მოიჯარეს, თავისუფლად გაყიდვადი ფასიანი ქალაქების საფუძველზე, დაუთმო ნაკვეთი, რომელზეც თვითონაც არის დამოკიდებული. მოიჯარის კანონიერი ინტერესების დაცვა არ მოითხოვს ამგვარ შეზღუდ-

ვებს. მოიჯარის სამართლებრივი პოზიციის ცალმხრივი სიმძლავრე არ შეესაბამება თანაზომიერების კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპს...

გ) ზემოთ აღნიშნულის გარდა, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების მოშლის დამცავი ნორმების მოქმედებას არსებითად აძლიერებს ნორმები იჯარის ფასთან დაკავშირებით...

მაშინ, როდესაც ბალი, ძირითადად, განსაზღვრულია თავისუფალი დროის გასატარებლად და დასასვენებლად, ძნელად გასამართლებელია ის გარემოება, რომ მეიჯარემ მეზალეს, მაგალითად, 300მ<sup>2</sup>-ის ფართის ნაკვეთი მუდმივი გამოყენებისათვის გადასცეს თვეში 2,5 მარკის ფასად. ასევე, საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე მოიჯარეებიც სარგებლობენ იჯარის ფასის სავალდებულოობითა და ხელშეკრულების მოშლის დამცავი ნორმებით. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე თავისუფალი დროის გატარების სხვა საშუალებებსაც გამოიყენებს, მაშინ იგი ვალდებულია, გადაიხადოს შესაბამისი საბაზრო ფასი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სულ მცირე, საკითხავი მაინც არის, შეესაბამება თუ არა იჯარის ფასის სავალდებულოობა გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპს; თუმცა, ამ საკითხს მოცემულ შემთხვევაში მეტად აღარ ჩაუღრმავდებოთ.

დ) ზემოთ აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, მცირე საბალე-სამეურნეო ნაკვეთების მომწესრიგებელი სამართლის ნორმათა სისტემა, მისი ამჟამინდელი ფორმით, სადაც, ერთი მხრივ, არ არის დაშვებული ხელშეკრულების ხანგრძლივობის შეზღუდვა გარკვეული ვადით, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად ვიწროდ არის განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობები და იმავდროულად ითვალისწინებს უჩვეულოდ დაბალ იჯარის ფასს, სცდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებასა და მოთხოვნებს, საკუთრების ცნების შინაარსის განსაზღვრა-ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ის, თუ როგორ აღმოფხვრის კანონმდებელი ასეთ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ეჭვებს, მისი გადასაწყვეტია. აღნიშნული ასევე მოიცავს წინამდებარე განმარტებებში განუხილველ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში უნდა იქნეს გათვალისწინებული უვადო ხელშეკრულებების ფარგლებში ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძვლად, პირად საჭიროებასა და გამოყენებასთან ერთად, ასევე მესაკუთრის ინტერესები ნაკვეთის სხვაგვარ გამოყენებასთან დაკავშირებით.

4. ხელშეკრულების მოშლის დაცვის დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მცირე საბალე ნაკვეთებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულების ცვლილებათა კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების მოშლისათვის სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვა. აღნიშნული წესები ხელშეკრულების მოშლის უფლებას დამატებით ზღუდავს კიდევ იმით, რომ ხელშეკრულების მოშლას, შესაძლებელია, იმ შემთხვევაშიც შეეშალოს ხელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, როდესაც მოცემულია მოშლის საფუძველი...

ოფიციალური დასაბუთების მიხედვით, ნებართვის დათქმის მიზანია, ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკრეტულ შემთხვევაში შეამოწმოს, აქვს თუ არა ადგილი შეხებას „საჯარო ინტერესებთან“, როდესაც საუბარია ხელშეკრულების მოშლაზე.

ნებართვის დათქმა ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს. ადმინისტრაციის კანონიერებისა და ხელისუფლების დაყოფის პრინციპების მიხედვით, კანონის შესრულება აღმასრულებელი ხელისუფლების ამოცანაა. კანონმდებლისათვის კი აქედან გამომდინარეობს სახელმწიფო ზომების გასატარებლად

განკუთვნილი სამართლებრივი სფეროს გამიჯვნის საჭიროება. კანონი უნდა ახდენდეს ადმინისტრაციის საქმიანობის შინაარსობრივ ნორმირებას და არ შეიძლება შემოიფარგლოს ზოგადი პრინციპების გათვალისწინებითა და დანერგვით (BVerfGE 21, 73 [79]). აღნიშნულის გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ძირითად უფლებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნორმები, მათი წინაპირობებისა და შინაარსის თვალსაზრისით, იმდენად მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ დაინტერესებული პირისათვის ნათელი და გასაგები იყოს სამართლებრივი ვითარება, რათა მან შეძლოს საკუთარი ქმედების შესაბამისად მორგება თუ გათვალისწინება BVerfGE 21, 73 [79]. თუ კანონმდებელი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ძირითადი უფლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებას წინ უნდა უსწრებდეს ნებართვის გაცემის საკითხის განხილვის პროცედურა, მაშინ ამ პროცედურის მომწესრიგებელი ნორმებიდანვე უნდა გამომდინარეობდეს ის, თუ რა წინაპირობების არსებობისას გაიცემა ნებართვა და რა შემთხვევაში შეიძლება მის გაცემაზე უარის თქმა (იხ: BVerfGE 20, 150 [157]; 21, 73 [79]). იმავე მოთხოვნებს ითვალისწინებს ასევე გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიც. სასამართლო კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც სასამართლოებს ხელთ აქვთ ისეთი სამართლებრივი მასშტაბები, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას და რომელთა მიხედვითაც სასამართლოებმა უნდა მიიღონ თავიანთი გადაწყვეტილებები. აღნიშნული პრინციპების თანახმად, ნებართვის დათქმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ვინაიდან თვითონ კანონიდან არ გამომდინარეობს, თუ რა საჯარო ინტერესებით არის გამართლებული ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები.

## **E – 58, 300**

1. ა) კონფისკაციის ღონისძიების მართლზომიერებასთან დაკავშირებული დავისას უფლებამოსილი ადმინისტრაციული სასამართლო ვალდებულია, აღნიშნული ღონისძიებების მართლზომიერება შეამოწმოს სრული მოცულობით. ეს მოიცავს იმის დადგენას, ითვალისწინებს თუ არა კანონი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ზემოთ აღნიშნული ღონისძიება, ნორმებს გასაცემი კომპენსაციის ფორმასა და მოცულობასთან დაკავშირებით.
- ბ) კონფისკაციის ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში საერთო სასამართლოებს ევალებათ შეამოწმონ, გაიცა თუ არა კონკრეტულ ვითარებაში პირზე (არსებული) კანონის ნორმებით გათვალისწინებული კომპენსაცია (იხ: BVerfGE 46, 268 [285]).
2. იმ შემთხვევაში, თუ პირი მის წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებას აღიქვამს კონფისკაციად, მას მხოლოდ მაშინ შეუძლია კომპენსაციის სასარჩელო გზით მოთხოვნა, როდესაც არსებობს შესაბამისი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველი. თუ ასეთი საფუძველი მოცემული არ არის, მაშინ პირმა უნდა მიმართოს შესაბამის განსჯად სასამართლოს ამგვარი ხელყოფის აქტის გაუქმების მოთხოვნით.
3. ნაკვეთის მესაკუთრის სამართლებრივი პოზიციის განსაზღვრისას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, სამოქალაქო კოდექსისა და საჯარო-სამართლებრივი კანონის ნორმებს აქვთ თანაბარი ძალა.
4. გერმანიის ძირითად კანონს შეესაბამება ის გარემოება, რომ წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონი, ფუნქციონალური წყალგადამუშავების



და განსაკუთრებით კი – საზოგადო წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, მინისქვეშა წყლების საკითხის მონესრიგებას ითვალისწინებს მინის ნაკვეთის საკუთრებისაგან გამიჯნული საჯარო-სამართლებრივი გამოყენების სისტემის ფარგლებში.

**პირველი სენატის 1981 წლის 15 ივლისის განჩინება**  
**- 1 BvL 77/78 -**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის 1<sup>ა</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლი შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

იგივე ვრცელდება მე-17 მუხლზე იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ნორმა არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას მე-8 მუხლით გათვალისწინებული თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით, როდესაც წყლის მოხმარება წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის ამოქმედებისას მოქმედი ლანდის სამართლის მიხედვით განხორციელდა მინის ნაკვეთზე არსებული საკუთრების უფლების საფუძველზე.

**საფუძვლები:**

მოცემულ შემთხვევაში საუბარია საკითხზე: შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას ის გარემოება, რომ ნაკვეთის მესაკუთრეობა არ წარმოშობს ამ მიწაში გამაველი გრუნტის წყლებით სარგებლობის უფლებას და ეს უფლება დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობაზე.

გრუნტის წყლების გამოყენების წინაპირობები გამომდინარეობს წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის 1<sup>ა</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან, მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებიდან, ასევე – იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან და მე-6 მუხლიდან. აღნიშნული ნორმები შემდეგი შინაარსისაა:

**მუხლი 1<sup>ა</sup>**

(1) – (2)

(3) მინის საკუთრება არ მოიცავს:

1. ისეთი წყლებით სარგებლობის უფლებას, რომელთა მოხმარებისთვისაც ამ კანონით ან ლანდის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ნებართვა ან თანხმობა,
2. მინისზედა წყალსაცავის მონყობის უფლებას.

**მუხლი 2**

**ნებართვისა და თანხმობის სავალდებულოობა**

(1) წყლების მოხმარებისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვა (მე-7 მუხლი) ან თანხმობა (მე-8 მუხლი), თუ ამ კანონით ან ამ კანონის ფარგლებში გამოცემული მინით სარგებლობის შესახებ ნორმებით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული.

(2) ...

### მუხლი 3 სარგებლობა

(1) ამ კანონის მიზნებისათვის სარგებლობად მიიჩნევა:

1. — მე-4<sup>ა</sup> მუხლი...

5. გრუნტის წყლებში ნივთიერებათა შერევა.

6. გრუნტის წყლების ამოღება.

(2) სარგებლობად ასევე მიიჩნევა:

1. გრუნტის წყლების დაგროვება, მისი დონის დანევა და მიმართულების შეცვლა შესაბამისი დანადგარების მეშვეობით.

2. ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც მოსალოდნელია წყლის ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური შემადგენლობის მუდმივი ან არსებითი საზიანო ცვლილება.

(3) ზომები, რომლებიც გატარებულია მიწისზედა წყალსაცავის მოსაწყობად, არ წარმოადგენს სარგებლობას.

### მუხლი 6

#### ნებართვის ან თანხმობის გაცემაზე უარი

ნებართვა და თანხმობა არ გაცემა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სარგებლობისას, საყოველთაო კეთილდღეობისათვის, განსაკუთრებით კი საზოგადო წყალმომარაგებისათვის მოსალოდნელია საფრთხე, რომლის აღმოფხვრა და კომპენსაცია შეუძლებელია დამატებითი გადასახადების ან საჯარო სამართლის კორპორაციის ღონისძიებების (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი) საფუძველზე.

### მუხლი 7

#### ნებართვა

(1) ნებართვა პირს ანიჭებს გასაჩივრებას დაქვემდებარებულ უფლებამოსილებას, განსაზღვრული მიზნით, სახეობისა და მასშტაბის მიხედვით, ასევე განსაზღვრული ფორმით — წყლებით სარგებლობასთან დაკავშირებით; შესაძლებელია ნებართვის მოქმედებისათვის ვადის გათვალისწინება.

(2) ...

### მუხლი 8

#### თანხმობა

(1) თანხმობა პირს ანიჭებს უფლებას სახეობისა და მასშტაბის მიხედვით განსაზღვრული ფორმით წყლებით სარგებლობასთან დაკავშირებით...

(2) - (4)...

(5) თანხმობა გაცემა გარკვეული ვადით, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა, აღემატებოდეს ოცდაათ წელს.

(6) ...

## II

1. სასამართლო წარმოების მოსარჩელე მიუწესტერის ჩრდილოეთ მხარეში ეწევა ხრემის მოპოვება-გადამუშავებას. ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შესაბამისი დანადგარი, მისი საკუთრებაა. 1936 წლიდან სანარმო ახორციელებს სილისა და ხრემის ამოღებასა და დამუშავებას ორ მოსაზღვრე მცირე ნაკვეთზე, რომლებიც მოსარჩელემ ამ მიზნით იჯარით აიღო სხვა ფერმერისაგან. ამასთან, აღნიშნული სამუშაოები სიღრმეზე გრუნტის წყლებამდე აღწევს.

ნაკვეთი, რომელზეც მიმდინარეობს მოპოვების სამუშაოები, განთავსებულია ქ. რაინეს მიერ აღმართული წყლის საქაჩი ქვესადგურის დაცვის ზონაში – „III A“. წყალ-დამცავი ზონა განისაზღვრა 1973 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებით, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ნაკვეთი 1968 წლის 6 თებერვალს დაექვემდებარა დროებით დაცვას.

1965 წლის თებერვალში მოსარჩელემ მოითხოვა, წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის შესაბამისად, მისთვის ნებართვის გაცემა ხრეშის მოპოვების გასაგრძელებლად. 1973 წლის ოქტომბერში ადმინისტრაციულმა ორგანომ მას უარი უთხრა ნებართვის გაცემაზე და თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ სამუშაო ტერიტორია მხოლოდ 120 მეტრით იყო დაშორებული წყლის საქაჩი სადგურის ჭიდან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო, რომ სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილ დაბინძურებას შეეღწია ჭის დანადგარებში და საფრთხე შეექმნა საზოგადო წყალმომარაგებისათვის. მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარუმატებელი აღმოჩნდა. ზემოთ მითითებული ნებართვის გაცემის თაობაზე მან სარჩელი არ აღძრა.

ასევე უარი ეთქვა მოსარჩელეს შესაბამისი კომპენსაციის გაცემაზე, რასთან დაკავშირებითაც, მან ნორდრაინ-ვესტფალენის ლანდის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა სარჩელი შესაბამისი და სათანადო კომპენსაციის მიკუთვნების მოთხოვნით. მისი მითითებით, უარი სველი ხრეშის მოპოვებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მის მოქმედ საწარმოსა და ასევე, მის საკუთრებასთან მიმართებით წარმოადგენდა ხელმყოფ ჩარევას. ამასთან, მეიჯარის, როგორც მესაკუთრის, შესაძლო უფლებები კომპენსაციასთან დაკავშირებით დაეთმო მოსარჩელეს.

ლანდის სასამართლომ სარჩელი, მისი საფუძვლიდან გამომდინარე, გამართლებულად მიიჩნია. მის წინააღმდეგ მიმართული სააპელაციო საჩივარი წარუმატებელი აღმოჩნდა.

2. მოპასუხე ლანდის საკასაციო საჩივრის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ წარმოება დროებით შეაჩერა და ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა კითხვით: შესაბამება თუ არა წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის 1<sup>o</sup> მუხლის მე-3 პუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 მუხლი 1976 წლის 16 ოქტომბრის რედაქციით (გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 3017) გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებას იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ნორმები ანესრიგებს საკუთრების ცნების შინაარსს გრუნტის წყლებთან დაკავშირებით.

3. ა) მოქალაქეს, რომელიც არის უფლების ხელმყოფი ჩარევის ობიექტი, არა-აქტუალური და არაარსებითი განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, უფლება აქვს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადებისა და გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოებს, რომლებიც ვალდებული არიან, ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით სრული მოცულობითა და მასშტაბით შეამოწმონ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მართლზომიერება (იხ: BVerfGE 32, 195 [197]). ამასთან, მათი აღნიშნული კომპეტენცია სცდება საერთო სასამართლოების კომპეტენციებს. გარდა იმისა, რომ მათ უნდა შეამოწმონ: შესაბამება თუ არა ჩარევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ წინაპირობებსა და თანაზომიერების პრინციპს (იხ: BVerfGE 24, 367 [404]), ამასთანავე, ადმინისტრაციულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმის განხილვას: გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიება კონსტიტუციური საფუძვლიდან. ეს განხილვა

ასევე გულისხმობს იმის შემონახვას, ითვალისწინებს თუ არა კანონი, რომლის საფუძველზეც გატარდა ზემოთ აღნიშნული ღონისძიება, ნორმას კომპენსაციის ფორმასა და ოდენობასთან დაკავშირებით. ვინაიდან კანონი, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, არაკონსტიტუციურია, ადმინისტრაციულ სასამართლოებს არა აქვთ მისი გამოყენების უფლება; ისინი მოვალენი არიან, გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კითხვით მიმართონ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის მოქმედებასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 25, 112 [114]; 51, 193 [210]; 52, 1 [14]). თუ ეს ნორმა გამოცხადდება არაკონსტიტუციურად, მაშინ უნდა გაუქმდეს მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, ვინაიდან იგი არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ პირის ძირითად უფლებას...

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 წინადადებით გათვალისწინებულ სამართალწარმოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმდინარეობს საერთო სასამართლოებში, ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე გამომდინარეობს შემდეგი: იმ შემთხვევაში, თუ პირი მის წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებას აღიქვამს კონფისკაციად, მას მხოლოდ მაშინ შეუძლია კომპენსაციის სასარჩელო გზით მოთხოვნა, როდესაც არსებობს შესაბამისი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველი. თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, მაშინ მან ადმინისტრაციულ სასამართლოში უნდა მოითხოვოს ადმინისტრაციული აქტის გაუქმება. თუმცა, მას არ შეუძლია აქტის გასაჩივრების შესაძლებლობის გამოყენების გარეშე მოითხოვოს კომპენსაცია, რომელსაც კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს პირის მოთხოვნას, შესაბამისი კანონისმიერი საფუძვლის არარსებობის გამო.

აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ პირს არა აქვს არჩევნის უფლება იმას შორის: დაუპირისპირდება კომპენსაციის შესახებ კანონისმიერი ნორმის არარსებობის საფუძველით მართლსაწინააღმდეგო „კონფისკაციას“, თუ პირდაპირ მოითხოვს კომპენსაციას, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში მის სარჩელს კომპენსაციასთან დაკავშირებით „ემუქრება“ წარუმატებლობა. პირი, რომელიც არ სარგებლობს მისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული შესაძლებლობით, განახორციელოს თავისი უფლება კონსტიტუციური მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით, ვეღარ მოითხოვს სახელმწიფოსაგან ფულადი თანხის მიღებას შესაძლო, მის მიერ ინტერპრეტირებული უფლების ხელყოფის საფუძველზე...

## II

1. ძირითადი კანონის მასშტაბითა და საფუძველზე ნორმის შემონახვისას უნდა დავეყრდნოთ იმას, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის ფარგლებში კანონმდებელს სამ რიგად შეუძლია, გამოსცეს საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტისათვის არსებითი ნორმები.

საკუთრება, როგორც ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთის მიკუთვნება მისი ერთ-ერთი სუბიექტისათვის, სამართლებრივ ცხოვრებაში რეალიზაციისათვის საჭიროებს სამართლებრივ გაფორმებას. აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კანონმდებელს ავალებს საკუთრების ცნების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრას. ასეთი ნორმები ზოგადად და აბსტრაქტულად განსაზღვრავს მესაკუთრის უფლება-მოვალეობებს ანუ საკუთრების „შინაარსს“ (იხ: BVerfGE 52, 1 [27]). კანონმდებელი ამით ობიექტური სამართლის

დონეზე ქმნის ისეთ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც აფუძნებს და აყალიბებს მესაკუთრის სამართლებრივ პოზიციას; ეს დებულებები შესაძლოა, იყოს კერძო-სამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი.

ამას გარდა, კანონმდებელს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, აქვს შესაძლებლობა, კანონის საფუძველზე შეზღუდოს შესაბამისი კრიტერიუმებით განსაზღვრულ პირთა წრის ის უფლებები, რომლებიც მათ მართლზომიერად მოიპოვეს მოქმედი კანონების საფუძველზე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად (ლეგალური კონფისკაცია-BVerfGE 24, 367 [395]; 45, 297 [325]; 52, 1 [27]).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, კანონმდებელს ასევე შეუძლია, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიანიჭოს ცალკეული პირის კონკრეტული საკუთრების ჩამორთმევის უფლებამოსილება. კონფისკაცია კანონის საფუძველზე (ადმინისტრაციული კონფისკაცია) საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს აღმასრულებელ აქტს, რომელიც, ლეგალური კონფისკაციისაგან განსხვავებით, საჩივრდება სამართლებრივი საშუალებებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრებისსამართლებრივი სხვადასხვაგვარი ნორმები, კონსტიტუციის მიხედვით, უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვაგვარ მოთხოვნებსა და დასაშვებობის წინაპირობებს, რაც არ ვრცელდება მხოლოდ შინაარსსა და კონფისკაციაზე. კონფისკაციის ზემოთ აღნიშნული ორივე ფორმა, სრულყოფილი და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციური უზრუნველყოფის მიზნით, თვითნებურად ვერ ჩაენაცვლება ერთმანეთს (იხ: BVerfGE 24, 367 [401]; 45, 297 [331, 333]). ამას გარდა, არც მათი შედეგები არის იდენტური, ვინაიდან უფლების ხელყოფა დგება სხვადასხვა მომენტში (იხ: BVerfGE 45, 297 [326]).

წინამდებარე განჩინებაში გამოთქმული სამართლებრივი შეხედულებისაგან განსხვავებით, ლეგალური და ადმინისტრაციული კონფისკაცია გამოირჩევა ერთმანეთს: სამართლებრივი პოზიცია, რომელიც კანონმდებელმა უკვე გააუქმა, ადმინისტრაციული აქტის მეშვეობით ხელმეორედ ველარ გაბათილდება. ერთსა და იმავე ნორმას არ შეუძლია, გაითვალისწინოს ლეგალური კონფისკაცია და იმავდროულად ადმინისტრაციული ორგანოს მიაკუთვნოს კონფისკაციის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში კი ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის ამოქმედებით გაუქმებულია სასამართლოს მიერ ნავარაუდები, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება, არ შეიძლება წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის მე-6 მუხლზე დაყრდნობით განმეორებით ჩამოერთვას სამოქალაქო კოდექსის ზემოთ აღნიშნული ნორმით მიკუთვნებული უფლება.

შინაარსის განსაზღვრა, ლეგალური კონფისკაცია და ადმინისტრაციული კონფისკაცია – სამი სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელთაც გერმანიის ძირითადი კანონი მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისაგან. თუმცა, აღნიშნული არ გამოირჩევა იმის შესაძლებლობას, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე გამოცემული ახალი ნორმით იმავდროულად განხორციელდეს ლეგალური კონფისკაცია – იქიდან გამომდინარე, რომ იგი ითვალისწინებს იმ უფლებების ჩამორთმევასა და ხელყოფას, რომლებსაც პირი ასრულებდა ძველი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე (იხ: BVerfGE 45, 297 [332]; 52, 1 [28]).

აღნიშნული სისტემის მიხედვით, გასაჩივრებული ნორმები არ წარმოადგენს კონფისკაციის განმსაზღვრელ ნორმებს; აქ არც აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებაა გათვალისწინებული სველი ხრემის მოპოვებით დაკავებული მესაკუთრის უფლებებში ჩარევასთან დაკავშირებით და არც კანონის საფუძველ-

ზე კონფისკაციას აქვს ადგილი. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების შეცნობით.

2. იმის შემომხება, არის თუ არა რაიმე სამართლებრივი ღონისძიება კონფისკაცია, პირველ რიგში, მოითხოვს დადგენას, ჰქონდა თუ არა პირს უფლებაში ჩარევის მომენტისათვის ჩამორთმევადი სამართლებრივი პოზიცია (იხ: BVerfGE 25, 112 [121]; 29, 348 [360]).

ა) აღნიშნულის მიმართ საქმის განმხილველი სასამართლო გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებებიდან: მინის საკუთრება მოიცავს ასევე გრუნტის წყლებს და ჩათვლება მინის მასაში, რომელზეც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვრცელდება მინის მესაკუთრის უფლებები. საკითხი, არის თუ არა გრუნტის წყალი ნივთი, სასამართლოს აზრით, არ საჭიროებს განხილვას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსათვის გადამწყვეტი იყო ის, რომ მინის საკუთრება მოიცავს მინის ნაკვეთზე გამდინარე წყლის განკარგვის უფლებამოსილებასაც. სასამართლოს აზრით, წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონით გათვალისწინებული საჯარო-სამართლებრივი ნორმები ზღუდავს „მინის საკუთრების შემადგენელ უფლებამოსილებას გრუნტის წყლების თავისუფალ განკარგვასთან“ დაკავშირებით.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ იზიარებს აღნიშნულ სამართლებრივ მოსაზრებებს.

რაიხის 1871 წლის კონსტიტუციის მიხედვით, რომლის მოქმედების დროსაც გამოიცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მაშინდელი კანონმდებლისათვის არ არსებობდა არც შესაბამისი შესაძლებლობა და არც იმის განზრახვა, რომ ამომწურავად მოენესრიგებინა გრუნტის წყლებისა და მინის საკუთრების სამართლებრივი ურთიერთმიმართება. თუმცა, კანონმდებელს ჰქონდა უფლება, გამოეცა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები ანუ ისეთი ნორმები, რომლებიც ანესრიგებს მოქალაქეთა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ იგი არ იყო უფლებამოსილი, გამოეცა ისეთი ნორმები, რომლებიც მოაწესრიგებდა მესაკუთრის ურთიერთობებს საზოგადოებასთან (იხ: BVerfGE 42, 20 [28]). რამდენადაც მოცემული იყო სივრცე კერძო-სამართლებრივი ნორმებისათვის, გერმანიის შესაბამისი კანონმდებლობა ლანდებს ერთმნიშვნელოვნად მიაკუთვნებდა წყალთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების მონესრიგებას...

შესაბამისად, ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის მოცემულ შემთხვევაში, შემონახვას დაქვემდებარებული ნორმებით მოხდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი პოზიციის კონფისკაციური და კონფისკაციას დაქვემდებარებული ხელყოფა ან აღნიშნული ნორმების გამოყენებით – ამ სამართლებრივი პოზიციის ჩამორთმევა. იმის განხილვას, ფლობდა თუ არა საერთო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების მოსარჩელე, მინის კანონმდებლობის მიხედვით, წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის ამოქმედებისას მსგავს სამართლებრივ პოზიციას, მოგვიანებით მიეუბრუნდებით.

ბ) სასამართლოს წარდგინება ასევე ეფუძნება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, მინის საკუთრება მიჩნეულ უნდა იქნეს პრინციპულად ყველა შესაძლო, ეკონომიკური და სამეურნეო თვალსაზრისით გამართლებული სარგებლობის მომცველ უფლებად, რომლის შინაარსიც განპირობებულია სამოქალაქო სამართლით და განსაკუთრებით კი – სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლით. ყოველივე გამოიხატება იმითაც, რომ სასამართლო საკუთრებაზე მსჯელობს „გერმანიის ძირითადი კანონის

მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებისა და სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლის გაგებით“.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონის საჯარო-სამართლებრივი ნორმები ზღუდავს მესაკუთრის მიერ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ნივთის განკარგვის კერძო-სამართლებრივ უფლებებს და, შესაბამისად, წარმოადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვას. წინამდებარე განჩინებაში მითითებულია, რომ წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონი იწვევს „ჩარევას პირის პირადი ცხოვრების სფეროში“ და ამით პოტენციურად იწვევს ასევე კონფისკაციასაც. ხოლო გადაწყვეტილება შესაბამისი ღონისძიების ხელმყოფ ბუნებასთან დაკავშირებით დამოკიდებულია ჩარევის ინტენსიურობაზე, ასევე – მის „ფორმასა და სიმძიმეზე“.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვერც ამ მოსაზრებებს გაიზიარებს.

სამართლებრივი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლში ფორმულირებული მინის ცალკეული მესაკუთრის სამართლებრივი პოზიცია უფლების ხელმყოფი სახით იზღუდება წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონის ზოგადი ნორმებით, უკავშირდება ვაიმარის რაიხის კონსტიტუციასთან მიბმულ მოსაზრებას, რომ კონფისკაცია მიჩნეულად ჩაითვალოს ყველა იმ შემთხვევაშიც, როდესაც „მესაკუთრის უფლება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლის შესაბამისად, თავისუფლად განკარგოს ნივთი, იზღუდება მესამე პირის სასარგებლოდ“ (RGZ 116, 268 [272]; BGHZ 6, 270 [276] - წინამდებარე განჩინება გვ. 14). აღნიშნული მოსაზრება, რომელიც ორიენტირებულია საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივი სისტემის უპირატესობაზე საჯარო-სამართლებრივი ნორმების მიმართ, არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკუთრების ცნების შემეცნებისას აუცილებელია ორიენტაცია თვითონ კონსტიტუციაზე: აღნიშნული ცნების არსი უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციიდან. ზოგადი კანონმდებლობის<sup>19</sup> ნორმების საფუძველზე, რომლებიც კონსტიტუციაზე დაბალი რანგისაა, შეუძლებელია როგორც საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნების ჩამოყალიბება, ასევე კერძო-სამართლებრივი პოზიციების საფუძველზე – კონკრეტული საკუთრების უზრუნველყოფის ფარგლები დადგენა და განსაზღვრა.

გერმანიის ძირითადი კანონი კანონმდებელს ავალებს საკუთრების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ითვალისწინებს როგორც კერძო, ასევე საჯარო ანუ საყოველთაო ინტერესს. აღნიშნული დავალების შესრულების დროს იგი დგას ორმაგი ამოცანის წინაშე: მან, ერთი მხრივ, კერძო სამართალში (BVerfGE 42, 20 [30]) უნდა შექმნას მოქალაქეთა შორის სამართლებრივი ბრუნვისა და სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (მაგალითად: საკუთრების გადაცემასა და დატვირთვისთან დაკავშირებით, სამეზობლო სამართალი, კომპენსაციასთან დაკავშირებული ნორმები მესამე პირთა მიერ საკუთრების ხელყოფის შემთხვევებში); ხოლო, მეორე მხრივ, (უმეტესად) საჯაროსამართლებრივი მოწესრიგებისა და ნორმების ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს საჯარო მოთხოვნილებები და ინტერესები, სადაც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მინის ყოველი მესაკუთრე. თუ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ ჩვეულებისამებრ გამოიყენება სუბიექტური კერძო სამართლის ცნება, მესაკუთრის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოზიციის განსაზღვრისას თანაბრად მოქმედებს სამოქალაქო სამართლისა და საჯაროსამართლის ნორმები. საკუთრების

<sup>19</sup> გერმანიის ყველა კანონი გარდა კონსტიტუციისა.

სამოქალაქო-სამართლებრივი მოწესრიგება არ წარმოადგენს საკუთრების ცნების შინაარსისა და შეზღუდვების ამომწურავ გადაწყვეტასა და მოწესრიგებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის ფარგლებში არანაირი უპირატესობა არ ენიჭება საკუთრების მომწესრიგებელ კერძო-სამართლებრივ ნორმებს იმ საჯარო-სამართლებრივ ნორმებთან მიმართებით, რომლებიც აწესრიგებს საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

ის, თუ რა კონკრეტული უფლებები აქვს ცალკეულ მესაკუთრეს გარკვეული მომენტისათვის, გამომდინარეობს საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი და განმსაზღვრელი, აღნიშნულ დროს მოქმედი ყველა ნორმის ერთობლიობიდან. თუ ამ ნორმების საფუძველზე გამოვლინდება, რომ მესაკუთრეს არა აქვს ესა თუ ის უფლებამოსილება, მაშინ აღნიშნული უფლება არ იგულისხმება მისი საკუთრების უფლებაში. ის, თუ როგორ მოახერხებს კანონმდებელი ასეთი უფლების გამორიცხვას, საკანონმდებლო მეთოდისა და ტექნიკის საკითხია (იხ: BVerfGE 49, 382 [393]).

საკუთრების შინაარსის განმსაზღვრელი ყველა კონსტიტუციური კანონის ერთობლიობიდან გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით უზრუნველყოფილი საკუთრების არსის საგანი და მისი მოცულობა და ის საკითხიც, თუ როდის არის სახეზე კომპენსაციის ვალდებულების გამომწვევი უფლების ჩამორთმევა.

3. ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ა) გასაჩივრებული ნორმები არ ანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მინის მესაკუთრისათვის კონსტიტუციურად დაცული უფლების ჩამორთმევის უფლებამოსილებას. აღნიშნული ნორმები ზოგადად აწესრიგებს მინის საკუთრებისა და გრუნტის წყლების ურთიერთმიმართებასა და დამოკიდებულებას, ასევე განსაზღვრავს ცალკეული ნაკვეთის მესაკუთრის სამართლებრივ პოზიციას ამ სამართლებრივ სფეროში. წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონის ობიექტურ-სამართლებრივი ნორმების მიხედვით (გარდა მოცემული შემთხვევისათვის უმნიშვნელო და არაარსებითი გამოწვევებისა), მინის მესაკუთრეს არა აქვს უფლება, მინის ნაკვეთით სარგებლობის ფარგლებში გააღწეოს მოახდინოს გრუნტის წყლებზე. შესაბამისად, კანონის გამოყენების შედეგად მას არ ჩამოერთმევა აღნიშნული უფლება. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული კონფისკაციის შემთხვევად არ ჩაითვლება წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე უარის თქმა ხრემის მოპოვების ნებართვის გაცემაზე. აღნიშნული წესის გამოყენება მხოლოდ აქტუალურს ხდის კანონმდებლის მიერ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მიხედვით შემუშავებულ ნორმას. იგი მხოლოდ ახმოვანებს საკუთრების უფლების განხორციელების ფარგლებში მესაკუთრისათვის განსაზღვრულ და დადგენილ შეზღუდვებს...

ბ) დროის ფაქტორის გათვალისწინებით მოქმედებს წყლის მოხმარებასთან დაკავშირებული ის საჯარო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონის ძალაში შესვლით. მოცემულ შემთხვევაში კი არ არის სახეზე ლეგალური კონფისკაცია ძველ კანონთან შედარებით, რომელიც (მაგალითად, როგორც წყალმომარაგების შესახებ პრუსიული კანონი) მინის მესაკუთრეს ანიჭებდა წყლით სარგებლობის უფლებას. კანონი მხოლოდ ობიექტურ-სამართლებრივ დონეზე, ფედერაციის მასშტაბით, ერთგვაროვნად ახლებურად აწესრიგებს მინის საკუთრების შინაარსს გრუნტის წყლებთან მიმართებით. ხოლო ობიექტური სამართლის ამგვარი ცვლილება არ იწვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინ-



ნებუღი გარანტიით დაცული კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის ჩამორთმევას და, შესაბამისად, არც – კონფისკაციას.

ლეგალური კონფისკაციის პრობლემატიკა ობიექტური სამართლის ცვლილებების ნამოიჭრება მაშინ, როდესაც ხდება ძველი კანონით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების გამოყენება, ხოლო ცვლილებით – ამ უფლების ჩამორთმევა. მოცემულ შემთხვევაში ნამოიჭრილ სამართლებრივ საკითხთან მიმართებით (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 81-ე მუხლი), კერძოდ, ნარმოადგენს თუ არა წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონი „სარგებლობის ძველი უფლებების“ კონფისკაციას, ჯერ განსახილველია საკითხი: შეესაბამება თუ არა აღნიშნული ობიექტურ-სამართლებრივი ნესები კონსტიტუციას (იხ: BVerfGE 31, 275 [285]; 51, 193 [207]). თუ ამ ნორმათა კონსტიტუციურობა უარყოფილი იქნება, მაშინ მნიშვნელობას დაკარგავდა ასეთი შემთხვევებისათვის დადგენილი გარდამავალი დებულებები.

### III

შემდეგი შემონმების საფუძველზე დადგინდა, რომ გასაჩივრებული ნორმები დასაშვები ფორმით განსაზღვრავს საკუთრების ცნების შინაარსსა და შეზღუდვებს.

1. კანონმდებელი ვალდებულია, მისთვის გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით დაკისრებული ამოცანის შესრულებისას, რომელიც მდგომარეობს საკუთრების ცნების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრაში, გაითვალისწინოს როგორც კერძო საკუთრების კონსტიტუციური აღიარება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების სახით, ასევე – იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური პრინციპი (იხ: BVerfGE 37, 132 [140]; 52, 1 [29]). მესაკუთრის უფლებების შეზღუდვისას კანონმდებელი, თავის მხრივ, ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებზეც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა თავის პრაქტიკაში.

წინამდებარე შემთხვევაში მნიშვნელოვანია საკითხის გარკვევა: დარღვეულია თუ არა საკუთრების გარანტია იმით, რომ გრუნტის წყლებით სარგებლობის უფლება პრინციპულად გამოყოფილია მიწის საკუთრებისაგან და დაქვემდებარებულია საჯარო-სამართლებრივ სისტემას.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლიდან არ გამომდინარეობს მიწის მესაკუთრისათვის გრუნტის წყლების სამართლებრივი დაქვემდებარებისა და მიკუთვნების უფლება, რომელიც განპირობებულია მიწის საკუთრებისა და გრუნტის წყლების ბუნებრივი კავშირით; კანონმდებელი ძირითადი კანონის შესაბამისი ნორმების შექმნისას არ არის ვალდებული და შებოჭილი „ნიეთის ბუნებიდან“ გამომდინარე საკუთრების ცნების ფორმულირებით (იხ: BVerfGE 31, 229 [248]).

თუმცა, კერძო საკუთრების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, უზრუნველყოფა და განხორციელება (იხ: BVerfGE 20, 351 [355]; 24, 367 [389]) კრძალავს ისეთი სფეროების კერძო სამართლისათვის ჩამოშორებას, რომლებიც განეკუთვნება ქონებრივი სამართლის სფეროში კონსტიტუციით დაცული საქმიანობის ელემენტარულ არსს და ასევე – ამით გამონეულ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების მასშტაბის გაუქმებას ან არსებით შემცირებას. მაგრამ აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთე, კონსტიტუციის ძალით მიკუთვნებული და დაქვემდებარებული, უნდა იყოს კერძო-სამართლებრივი განკარგვისათვის (იხ: BVerfGE 24, 367 [389]). სამართლებრივი ინსტიტუტის განხორციელება და დაცვა ხელშეუხებელია, როდესაც საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთე, საყოველთაო კეთილდღეობის

უზრუნველყოფისა და შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, დაექვემდებარება არა კერძო-სამართლებრივ, არამედ – საჯარო-სამართლებრივ სისტემას (იხ: BVerfGE 24, 367 [389]).

2. კანონის ნორმების წინააღმდეგ წარმოდგენილი არგუმენტები გამომდინარეობს იქიდან, რომ გრუნტის წყლები, კონსტიტუციის ძალით, სამართლებრივად უნდა მიეკუთვნოს მინის საკუთრებას.

ა) უპირველეს ყოვლისა, მცდარია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, წყლის მიმოქცევის რეჟიმის მოწესრიგების შესახებ კანონის ნორმები აზრს აკარგინებს მინის საკუთრებას, ვინაიდან ეს მთლიანად ექვემდებარება „ტოტალურ სოციალურ ვალდებულებას“. მინის საკუთრება, იქიდან გამომდინარე არ არის მოკლებული კერძო სარგებლობისა და ზოგადი განკარგვის ნიშნებს (იხ: BVerfGE 37, 132 [140]; 50, 290 [339]; 52, 1 [31]), რომ მესაკუთრეს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის საფუძველზე აქვს უფლება, გამოიყენოს ან სხვა რაიმე გავლენა მოახდინოს გრუნტის წყლებზე. ტრადიციულად, მინის ნაკვეთის მესაკუთრის სარგებლობის უფლება, პირველ რიგში, მოიცავდა ნაკვეთის ზედაპირს, ხოლო მინის წიაღში არსებული ნივთიერებების მოპოვების, გამოყენებისა თუ გადამუშავების უფლება ყოველთვის ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ შეზღუდვებს. თვითონ ნაკვეთის განკარგვისა და მათი სარგებლობის უფლება მრავალმხრივ დაკავშირებულია კონსტიტუციურ შეზღუდვებთან (იხ. მაგალითად: BVerfGE 21, 73 [83]; 25, 112 [117]). მინის ნაკვეთის გონივრულად გამოყენების შესაძლებლობა ყოველ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ ნაკვეთში შესაძლებელია გრუნტის წყლების ამოღება და მოვლა ან იმაზე, რომ ნაკვეთში მესაკუთრემ „ბრძოლით უნდა მოიპოვოს“ გრუნტის წყლები. მინის საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიიდან არ გამომდინარეობს სარგებლობის იმ შესაძლებლობათა მოთხოვნის უფლება, რომლებიც მესაკუთრეს ყველაზე მეტ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.

ბ) გასაჩივრებული ნორმები არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს არღვევს.

აა) არ არის მართებული მოსაზრება, რომ დარღვეულია ტვირთის თანაბარი გადანაწილების პრინციპი იმით, რომ პირს, რომელსაც „შემთხვევით“ შეეხო პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა, ასევე დაეკისრა ამ ჩარევით გამოწვეული ტვირთი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემაზე უარით პირს უარი ეთქვა სარგებლობის უფლების მიკუთვნებაზე ანუ პრივილეგიის მინიჭებაზე, რაზეც მას არ გააჩნია კანონისმიერი მოთხოვნის უფლება და, შესაბამისად, არ დაკისრებია რაიმე ტვირთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის კუთხით განსახილველია არსებითი საკითხი: ირღვევა თუ არა თანასწორობის პრინციპი, როდესაც მინის მესაკუთრე, მის ნაკვეთთან ახლოს მდებარე წყალსაქარ ქვესადგურზე მითითებით, ვერ მიიღებს გრუნტის წყლებით სარგებლობის ნებართვას, მაშინ, როდესაც სხვა მესაკუთრეებს, რომელთა ნაკვეთებიც არ არის განლაგებული წყალსაქარ ქვესადგურის მახლობლად, შეუძლიათ თავიანთ ნაკვეთებზე ხრემის მოპოვება. ამ შეკითხვას შეიძლება გაეცეს მხოლოდ უარყოფითი პასუხი, ვინაიდან აშკარაა, რომ თვითნებურად არ აკრძალულა გრუნტის წყლებით სარგებლობა თანასწორობის პრინციპის გაგებით. მოცემულ შემთხვევაში ნებართვა არ გაიცა იმიტომ, რომ გრუნტის წყლების მოხმარებას შეეძლო საფრთხე შეექმნა საზოგადო წყალმომარაგებისათვის. მოცემული შემთხვევა პრინციპულად განსხვავდება მოხმარების სხვა შემთხვევებისაგან, სადაც მოსალოდნელი არ არის საყოველთაო უარყოფითი შედეგები. აქედან გამომდინარე, არ დაუშვიათ კონსტიტუციის სანი-

ნააღმდეგო უთანასწორო მოპყრობა, როდესაც ერთ შემთხვევაში გაიცა ნებართვა, ხოლო სხვა შემთხვევაში არ გაიცა...

## დ

საერთო სასამართლოში საქმის განხილვის ფარგლებში დადგენილია, რომ მოსარჩელე 1936 წლიდან დაკავებული იყო ხრემის მოპოვებით. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი დავის გადაწყვეტა, შესაძლებელია, დამოკიდებული იყოს იმაზეც, ჩამოერთვა თუ არა წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის ამოქმედებით მოსარჩელეს უშუალოდ კონსტიტუციით დაცული ის სამართლებრივი პოზიცია, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე. ამისათვის საჭიროა, შემოწმდეს როგორც ძველი კანონის, ისე წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის მე-17 მუხლის გარდამავალი დებულება.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს იმას, რომ მესაკუთრეს წყალმომარაგების შესახებ პრუსიული კანონის მოქმედების დროს სამართლებრივი ნორმების საფუძველზე არ ეკრძალებოდა ხრემის მოპოვება და რომ მისთვის ძველი კანონით მინიჭებული და მის მიერ განხორციელებული უფლება მოქცეული იყო საკუთრების უფლების უზრუნველყოფის დაცვის ქვეშ. ძირითადი უფლების არსთან შეუსაბამო იქნებოდა სახელმწიფოსთვის იმ უფლებამოსილების მინიჭება, რომ მან ერთი ხელის მოსმითა და ყოველგვარი გარდამავალი ნორმების გარეშე აღმოფხვრას და აკრძალოს მინის ნაკვეთის სარგებლობის ისეთი სახეობები, რომელთა განხორციელებისათვის საჭირო იყო საკმაოდ მასშტაბური ინვესტიციების გაღება. ასეთი ამკრძალავი ნორმა მყისიერად გააუფასურებდა განუღებულ სამუშაოს, გაღებულ ხარჯებსა და კაპიტალს. იგი შეარყევდა რწმენას და ნდობას სამართლებრივი სისტემის სტაბილურობის მიმართ, რაც გარდაუვალი და აუცილებელია ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში საკუთარი პასუხისმგებლობით ცხოვრების მოწყობისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისათვის...

კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით არ არის დასაგმოში ის გარემოება, რომ წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონი ძველი კანონით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების მფლობელებისათვის არ ითვალისწინებს აღმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის მოთხოვნის უფლებას და არც – კომპენსაციის ვალდებულებას.

მოსარჩელის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების განხორციელებიდან არ გამომდინარეობს იმის გარანტია, რომ ეს უფლებამოსილება შეუზღუდავად იარსებებს მომავალშიც, ან რომ მისი ხელყოფა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კონფისკაციის გზით. გერმანიის ფედერალურ სასამართლოს თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ უმსჯელია იმაზე, რომ გარკვეული სამართლებრივი სფეროს ახლებური მონესრიგებისას კანონმდებელი არ დგას ალტერნატივის წინაშე, რომლის მიხედვითაც, ან უნდა მოახდინოს ძველი სამართლებრივი პოზიციების დაკონსერვება და ან მათი ჩამორთმევა – კომპენსაციის სანაცვლოდ. კანონმდებელს შეუძლია, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების ფარგლებში, სათანადო და შესაბამისი გარდამავალი დებულებების საშუალებით, შეცვალოს არსებული სამართლებრივი პოზიციები და უფლებები, როდესაც მოცემულია საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე საფუძველები, რომლებიც იმსახურებს პრივილეგიურ მიდგომას კანონიერი და კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი უფლების მიმართ ჩამოყალიბებული ნდობისადმი...

წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება პირს ანიჭებდა ... შესაძლებლობას, კანონის ამო-

ქმედებიდან 5 წლის განმავლობაში, ყოველგვარი ნებართვისა და თანხმობის გარეშე, ესარგებლა ძველი უფლებებით. იქიდან გამომდინარე, რომ წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონი მისი გამოცხადებიდან 31 თვის შემდეგ შევიდა კანონიერ ძალაში, დაინტერესებულ პირებს თითქმის 8 წელი ჰქონდათ საიმისოდ, რომ „მორგებოდნენ“ ახალ სამართლებრივ ვითარებას. აღნიშნული ვადა გრძელდებოდა, თუ პირი მის გასვლამდე შეიტანდა შესაბამის განცხადებას ნებართვის ან თანხმობის გაცემის თაობაზე. ასეთ შემთხვევებში ნებართვის გარეშე ძველი უფლებებით სარგებლობის უფლებამოსილება წყდებოდა აღნიშნული განცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ზემოთითხილებულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს წყლის მიმოქცევის რეჟიმის მონესრიგების შესახებ კანონის გამოცემიდან ჩვიდმეტი წლის განმავლობაში შეეძლო სველი ხრემის შეუფერხებელი მოპოვება...

მაშასადამე, სველი ხრემის მოპოვებასთან დაკავშირებული გარდამავალი ნორმა წარმოადგენს მისი მონესრიგების სფეროსათვის შესაბამის დებულებას, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთა ინტერესებსა და მოთხოვნებს.

## **E – 68, 361**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ საკუთრების უფლების გარანტიას შეესაბამება ის გარემოება, რომ კანონმდებელმა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში გამჭირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელება დამოკიდებული გახადა ქირავნობის ურთიერთობის დასრულების მიმართ მის კანონიერ ინტერესზე (პირადი საჭიროება).
2. პირადი საჭიროების შეფასებაზე საკუთრების უფლების გარანტიის ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

### **პირველი სენატის 1985 წლის 8 იანვრის განჩინება - 1 BvR 792, 501/83 -**

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლი აწესრიგებს სოციალური ქირავნობის სამართლის მთავარ ნაწილს, კერძოდ, საცხოვრებელ ფართზე ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის საკითხებს. აღნიშნული ნორმით გამჭირავებლის მიერ ქირავნობის ურთიერთობის მოშლა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას გააჩნია ამ ურთიერთობის დასრულების კანონიერი ინტერესი. ნორმა შემდეგი შინაარსისაა:

#### **564ბ მუხლი**

(1) საცხოვრებელ ფართზე დადებული ხელშეკრულების მოშლა გამჭირავებელს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ქირავნობის ურთიერთობის დასრულების მიმართ გააჩნია კანონიერი ინტერესი.

(2) ასეთი კანონიერი ინტერესი მოცემულია, როდესაც:

1. დამჭირავებელი ბრალეულად და არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

2. თავად გამქირავებელს, ან მისი ოჯახის წევრებს საცხოვრებლად ესაჭიროებათ გაქირავებული ფართი (...);

3. გამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელებით კარგავს ქონების ეკონომიკურად მომგებიანი გასხვისების შესაძლებლობას, რაც მას არსებითად აზარალებს.

(3) ...

(4) ისეთი ქირავნობის ურთიერთობის შემთხვევებში, როდესაც გამქირავებელი თვითონ ცხოვრობს ქირავნობის ობიექტში, რომელიც მოიცავს არაუმეტეს ორ საცხოვრებელ ბინას, გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის მიუხედავად.

(5) - (6)...

## I

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლი ხელშეკრულების ვადის გათვალისწინებით მოშლის უფლების განხორციელებას დამოკიდებულს ხდის იმაზე, არსებობს თუ არა კანონიერი ინტერესი ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისთვის. აღნიშნული ნორმა ზოგადად და აბსტრაქტულად ანესრიგებს მესაკუთრის მიერ გამქირავებული საცხოვრებელი ბინის განკარგვის უფლებამოსილებას, რითაც იგი განსაზღვრავს საკუთრების ცნების შინაარსსა და შეზღუდვებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით (იხ: BVerfGE 52, 1 [27]; 58, 300 [330]). კანონმდებელი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული დავალების შესრულებისას, დგას შემდეგი ამოცანის წინაშე: მან უნდა მოახდინოს სოციალური მოდელის რეალიზება, რომლის ნორმატიული ელემენტები გამომდინარეობს, ერთი მხრივ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით კერძო საკუთრების კონსტიტუციური აღიარებიდან და, მეორე მხრივ, იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო ძირითადი პრინციპიდან (იხ: BVerfGE 25, 112 [117]; იხ: BVerfGE 52, 1 [29]). კონსტიტუციის მიხედვით, კერძო საკუთრების სამართლებრივი არსი მდგომარეობს საკუთრების ობიექტით კერძო სარგებლობასა და მისი ზოგადი განკარგვის უფლებაში (იხ: BVerfGE 31, 229 [240]), ამასთან, საკუთრების ობიექტის მოხმარება „იმავედროულად უნდა ემსახურებოდეს საყოველთაო კეთილდღეობას“. აღნიშნულის წინაპირობაა, რომ საკუთრების ობიექტი მოიაზრება სოციალურ კონტექსტში და სოციალური ფუნქციით (იხ: BVerfGE 37, 132 [140]). ამასთან, კანონმდებლის უფლებამოსილება საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრასთან დაკავშირებით მით უფრო დიდია, რაც მეტად არის დაკავშირებული საკუთრების ობიექტი ზემოთ აღნიშნულ სოციალურ კონტექსტსა და ფუნქციასთან. აქ გადამწყვეტია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოსაზრება, რომ სარგებლობა და განკარგვა არ უნდა რჩებოდეს მესაკუთრის სფეროში, არამედ უნდა ეხებოდეს ასევე იმ პირების მოთხოვნილებებსაც, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საკუთრების ობიექტით სარგებლობაზე (იხ: BVerfGE 50, 290 [340]). აღნიშნული წინაპირობის გათვალისწინებით, გერმანიის ძირითადი კანონის პრინციპი საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებული სარგებლობის შესახებ მოიცავს ასევე იმ არამესაკუთრეთა ინტერესების მხედველობაში მიღებას, რომლებიც საჭიროებენ საკუთრების ობიექტით სარგებლობას მათი თავისუფლების უზრუნველსაყოფად და საკუთარი პასუხისმგებლობით სხვადასხვა ცხოვრებისეული საკითხის გადასაწყვეტად (იხ: BVerfGE 50, 290 [140]). მიუხედავად იმისა, რომ საკუთრება შეიძლება დაექვემდებაროს მასშტაბურ შეზღუდვებს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადა-

დებით გათვალისწინებული საკუთრების არსის გარანტია, ყველა შემთხვევაში, მოითხოვს საკუთრების ძირითადი არსის შენარჩუნებას (იხ: BVerfGE 37, 132 [141]; იხ. ასევე BVerfGE 58, 137 [148])...

გამქირავებლის მიერ საცხოვრებელ ფართზე დადებული ხელშეკრულების თავისუფალი მოშლის უფლების შეზღუდვა, კანონიერი ინტერესის არსებობის აუცილებლობით, წარმოადგენს საკუთრების უფლებიდან გამომდინარე თავისუფალი განკარგვის უფლებამოსილების დასაშვებ შეზღუდვას. ბინის საკუთრების სოციალური ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ არის უზრუნველყოფილი შეუზღუდავად და მიიჩნევა დამქირავებლის ცენტრალურ ცხოვრებისეულ საკითხად. მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს შესაძლებლობა, საკუთარი ძალებით შეიქმნას საკუთარი საცხოვრებელი და დამოკიდებულია ბინის ქირაობაზე (იხ: BVerfGE 38, 348 [370]).

თუ გავითვალისწინებთ დამქირავებლისათვის ბინის შეცვლით გამოწვეულ მაღალ ხარჯებსა და უსიამოვნებებს – პირადი, ოჯახური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, გამართლებულად მოგვეჩვენება დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების მოშლის შეზღუდვა იმ შემთხვევებზე, როდესაც მას გააჩნია კანონიერი ინტერესი ქირავნობის ურთიერთობის დასრულებასთან დაკავშირებით. ეს შეზღუდვა იცავს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ერთგულად და პატიოსნად შემსრულებელ დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების თვითნებური მოშლისა და საცხოვრებელი ბინის დაკარგვისაგან. ხელშეკრულების თვითნებური, უსაფუძვლო მოშლის გამორიცხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივად ჯერ მარტო იმიტომ არ შეიძლება იყოს მიუღებელი, რომ საკუთრების უფლებამოსილების ამგვარი განხორციელება და გამოვლინება საცხოვრებელზე დამოკიდებული პირებისათვის, ბინის სოციალური კონტექსტისა და ფუნქციის გათვალისწინებით, არ სარგებლობს კონსტიტუციური დაცვით. ამასთან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლი არ ითვალისწინებს კერძო-სამართლებრივი უფლებების გადაჭარბებულ და საკუთრების სოციალური ფუნქციისათვის არასათანადო და შეუსაბამო შეზღუდვას. ნორმა არ ერევა საკუთრების ძირითად არსში. მესაკუთრის კანონიერი მოთხოვნილებები განპირობებულია იმით, რომ მას, პირადი საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს, დაასრულოს ქირავნობის ურთიერთობა, რამდენადაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლის მე-4 ნაწილი დამქირავებელს, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამქირავებელი და დამქირავებელი სარგებლობენ ერთი საცხოვრებელი ფართით, ანიჭებს ხელშეკრულების მოშლის უფლებას, კანონიერი ინტერესის არსებობის მიუხედავად. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა სათანადოდ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა, დამქირავებლის გარდა, დამქირავებლისთვისაც წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანს. ამასთან, ასევე ხელუხლებელი რჩება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლით გათვალისწინებული დამქირავებლის უფლება, მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას დაასრულოს ქირავნობის ურთიერთობა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 553-ე მუხლი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ კანონმდებელმა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 564ბ მუხლის გამოცემისას სათანადოდ გაითვალისწინა როგორც დამქირავებლის, ასევე – დამქირავებლის ინტერესები. მაშასადამე, არ ხდება ცალმხრივი პრივილეგირება ან დისკრიმინაცია, რაც შეუსაბამო იქნებოდა კონსტიტუციურ წარმოდგენებთან სოციალური ფუნქციით დატვირთული კერძო საკუთრების შესახებ (იხ: BVerfGE 37, 132 [141])...

1. ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს, არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტს, თუ აღნიშნული ნორმები არ გამოორიციხავს მესაკუთრის არათანაზომიერ დატვირთვას და არ ითვალისწინებს რაიმე ღონისძიებებს საკუთრების მსგავსი შეზღუდვების თავიდან ასაცილებლად.
2. კომპენსაციასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებში ემსახურება თანაზომიერების პრინციპის დაცვას, არ არის საკმარისი მოცულობის იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოიფარგლებიან იმით, რომ პირს მიაკუთვნებენ მხოლოდ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული საკუთრების არსის გარანტია მოითხოვს, რომ, პირველ რიგში, გათვალისწინებულ იქნეს ღონისძიებები მესაკუთრის არათანაზომიერი დატვირთვის რეალურად თავიდან ასაცილებლად, რომლებიც იმავდროულად მაქსიმალურად შეძლებენ საკუთრების კერძო სარგებლობის შენარჩუნებას.
3. ისევე, როგორც კანონმდებელს ევალება საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების ნორმატიულ დონეზე განსაზღვრისას, შეუსაბამო შეზღუდვებისა და დატვირთვის შემთხვევებისათვის, გაითვალისწინოს შესაბამისი კომპენსაციის ფორმა და მოცულობა, ასევე ადმინისტრაცია ვალდებულია საკუთრების შეზღუდვების გამოყენებისას, იმავდროულად თუნდაც პრინციპის დონეზე, გადაწყვიტოს გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელი კომპენსაციის საკითხი. ამისათვის სათანადო წინაპირობების შექმნა ევალება კანონმდებელს.
4. რაინლანდ-ჰვალციის ძეგლთა დაცვის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკუთრების გარანტიას.

პირველი სენატის 1999 წლის 2 მარტის განჩინება  
- 1 BvL 7/91 -

საფუძვლები:

სამართალწარმოება ეხება საკითხს: რამდენად შეესაბამება საკუთრების კონსტიტუციურ გარანტიას ის გარემოება, რომ კანონმდებელი ძეგლის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ ითხოვს მესაკუთრის ინტერესების გათვალისწინებას.

I

რაინლანდ-ჰვალციის ლანდში კულტურულ ძეგლებად ითვლება „საგნები წარსულიდან“, რომელთა შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა წარმოადგენს საზოგადოებრივი, კულტურულ-ისტორიული ინტერესის საგანს (კულტურის ძეგლთა დაცვის ლანდის კანონის მე-3 მუხლი). კულტურის ძეგლის ლიკვიდაცია შეიძლება ნებადართული იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის ფარგლებში (მე-13 მუხლის პირველი პუნქტი). ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი რჩება მესაკუთრის ინტერესები:

- (1) კულტურული ძეგლი შეიძლება მხოლოდ ნებართვის საფუძველზე იქნეს  
1. დანგრეული, დაშლილი ან ლიკვიდირებული,

2. გადაკეთებული ან სხვაგვარად სახეცვლილი,
3. მუდმივად იერცვლილი,
4. გადატანილი მისი პირვანდელი ადგილიდან. პირველი ქვეპუნქტის შემთხვევებში ნებართვის გაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საყოველთაო კეთილდღეობის სხვა მოთხოვნები გადასწონის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის ინტერესებს; ამასთან, სავალდებულოა გამომწმდეს, ხომ არ არის შესაძლებელი საყოველთაო კეთილდღეობის მოთხოვნების სხვაგვარი უზრუნველყოფა.

(2) - (6) ...

ლანდმა მესაკუთრეს იმ შემთხვევაში უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, როდესაც მას, ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ღონისძიების გამო, აღარ შეუძლია პირვანდელი დანიშნულებით ისარგებლოს თავისი ნაკვეთით და ამასთან, არსებითად იზღუდება მისი საერთო ეკონომიკური სარგებლოუნარიანობა (31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება). კანონი იმ შემთხვევაშიც ითვალისწინებს სათანადო კომპენსაციას, როდესაც ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ღონისძიება „სხვა ფორმით ინვესტ კონფისკაციის შედეგს“ (31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება).

## II

1. საერთო სასამართლოში განხილული საქმის მოსარჩელე – ინდუსტრიული საწარმო, რომელიც არის სააქციო საზოგადოება (შემდგომში: მოსარჩელე), გასული საუკუნის დასასრულს დირექტორთა საცხოვრებელი სახლის სტატუსით აშენებული ვილის მესაკუთრეა, მისი ფართი შეადგენს 950 მ<sup>2</sup>-ს...

1983 წელს ვილა ფორმალურად დაექვემდებარა ძეგლთა დაცვას...

3. ძეგლთა დაცვას დაქვემდებარებასთან ერთად, ქვემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელის განცხადება ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების შესატყვისი ლიკვიდაციის ნებართვის გაცემის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს აზრით, საყოველთაო კეთილდღეობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ არსებობდა მიზეზები, რომლებიც გამართლებდა ასეთი ნებართვის გაცემას. კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იქნება გათვალისწინებული ის, რომ ვერ მოიძებნა შენობის გამოყენების რაიმე შესაძლებლობა და მისი შენახვა, რაც, ხარჯების ოდენობიდან გამომდინარე, მესაკუთრისათვის ეკონომიკურად ნამგებია იყო.

ადმინისტრაციული საჩივარიც და სარჩელიც წარუმატებელი აღმოჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეაჩერა სამართალწარმოება და მიმართა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს კითხვით: ხომ არ ეწინააღმდეგება კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის 1978 წლის 23 მარტის კანონის (კანონთა და სხვა ნორმატიულ აქტთა მაცნე, გვ. 159) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კონსტიტუციას, ვინაიდან იგი ითვალისწინებს, რომ: „პირველი ქვეპუნქტის შემთხვევებში ნებართვის გაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საყოველთაო კეთილდღეობის სხვა მოთხოვნები გადასწონის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის ინტერესებს“ (კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება).



მოცემულ შემთხვევაში შემონმებას დაქვემდებარებული ნორმა არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტს.

1. კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ნინადადება ეხება საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს, რომლებიც უნდა შეფასდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და არა – მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. კონფისკაციით სახელმწიფო ეხება ცალკეული პირის საკუთრებას. კონფისკაცია გამიზნულია იმისათვის, რომ გარკვეული საჯარო ამოცანების შესასრულებლად განხორციელდეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ნინადადებით დაცული კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევა.

აღნიშნული ხორციელდება ან კანონის მეშვეობით, რომელიც პირთა გარკვეულ წრეს ართმევს საკუთრების უფლებას (ლეგალური კონფისკაცია), ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე გამოცემული აღმასრულებელი აქტით (ადმინისტრაციული კონფისკაცია) (იხ: BVerfGE 52, 1 [27]; 58, 300 [330]).

ნინამდებარე შემთხვევაში არ არის მოცემული ასეთი ნინაპირობები. არც კულტურის ძეგლთა დაცვის ლანდის კანონის ის ნორმა, რომელიც ანებს ნებართვის სავალდებულოობას დაცული ძეგლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით და არც ნებართვის გაცემაზე უარს არ წარმოადგენს კონფისკაციას გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. აღნიშნული ნორმა პირს არ ართმევს მესაკუთრის კონკრეტულ უფლებასა და პოზიციას გარკვეული საზოგადო ამოცანების შესრულების მიზნით, იგი ზოგადად და აბსტრაქტულად ზღუდავს იმ ნაკვეთით სარგებლობის შესაძლებლობებს, რომელზეც განთავსებულია კულტურის ძეგლი, ხოლო ნებართვის გაცემაზე უარის შესახებ გამოცემული აქტი ახდენს აღნიშნული შეზღუდვის რეალიზაციას. ამით კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ნინადადება განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ნინადადების გაგებით. ნორმის ამგვარ მიკუთვნებას შესაბამისი საფუძვლისათვის მნიშვნელობა არა აქვს უფლების სუბიექტის შეზღუდვისა და დატვირთვის ინტენსიურობის განხილვისა და შეფასებისათვის. აღნიშნული მიკუთვნება ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩარევა, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირისათვის გაიგივებული ან მიმსგავსებულია კონფისკაციასთან (იხ: BVerfGE 83, 101 [211]).

ვინაიდან, აქედან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს შემონმებას დაქვემდებარებული ნორმის შესაბამისობის საკითხი გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან, ამ საკითხთან მიმართებით არ გამოიყენება და არ განიხილება მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ნინადადებით გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიხედვითაც, უფლების ჩამორთმევის განმსაზღვრელი ნორმები ასევე უნდა ითვალისწინებდნენ კომპენსაციის ფორმასა და მოცულობას. ასევე არ გამოიყენება და განიხილება არც მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 ნინადადებით გათვალისწინებული ნორმა სამართლებრივ საშუალებებთან დაკავშირებით.

2. კანონმდებელმა, საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრისას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ნინადადების შინაარსის შეცნობით, სათანადოდ უნდა დააბალანსოს და გაუთანაბროს ერთმანეთს მესაკუთრის კანონიერი ინტერესები და საყოველთაო კეთილდღეობის მოთხოვნები. ამასთან, იგი უნდა მოქმედებდეს კონსტიტუციის ყველა დანარჩენი ნორმის შესაბამისად; კანონმდებელმა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოს თანაზომიერების კონსტიტუ-

ციური პრინციპი და გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი თანასწორობის პრინციპი. საყოველთაო კეთილდღეობა არის არა მხოლოდ საფუძველი, არამედ, ამასთანავე, საკუთრებასთან მიმართებით დაწესებული შეზღუდვების ზღვარი. მესაკუთრის უფლებამოსილების შეზღუდვა არ შეიძლება გასცდეს იმ დაცვითი მექანიზმის მიზანს, რომლის საფუძველზეც და რომლის განსახორციელებლადაც შეიქმნა შესაბამისი ნორმა. ამასთან, დაუშვებელია საკუთრების გარანტიის ძირითადი არსის გაუფასურება. აღნიშნული გულისხმობს როგორც კერძო სარგებლობას ანუ საკუთრების ობიექტის მიკუთვნებას ერთი სუბიექტისათვის, რომლისთვისაც იგი, როგორც პირადი ინიციატივის საფუძველი, უნდა იყოს სარგებლის მომტანი, ასევე მოიცავს საკუთრების საგნის ზოგადი განკარგვის უფლებას.

კანონმდებლის უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს ზემოთ აღნიშნული საკითხების მონესრიგებას, თავის მხრივ, ექვემდებარება სხვადასხვაგვარ შეზღუდვას. როდესაც საკუთრება უზრუნველყოფს ცალკეული პირის პირად თავისუფლებას ქონებრივ-სამართლებრივი სფეროს ფარგლებში, ის სარგებლობს განსაკუთრებული დაცვით (იხ: BVerfGE 42, 263 [294]; 50, 290 [340]; 70, 191 [201]; 95, 64 [84]). ამისაგან განსხვავებით, კანონმდებლის უფლებამოსილება მით უფრო „შორს მიდის“, რაც უფრო ძლიერია საკუთრების ობიექტის სოციალური ფუნქცია და კონტექსტი; ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის თავისებურებასა და ფუნქციას (იხ: BVerfGE 53, 257 [292]).

მესაკუთრის უფლებების შეზღუდვა ზემოთ აღნიშნული საფუძველით, როგორც საკუთრების სოციალური კონტექსტისა და ფუნქციის გამოხატულება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი), ძირითადად, არ ითვალისწინებს კომპენსაციას. თუ კანონმდებელი საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრისას სცდება ზემოთ მითითებულ საზღვრებს, მაშინ კანონის ნორმას არა აქვს ძალა (იხ: BVerfGE 52, 1 [27]), ხოლო ამ ნორმის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვები არის მართლსაწინააღმდეგო და მათგან თავის დაცვა შესაძლებელია პირველადი სამართლებრივი დაცვის გზით. თუმცა, კონსტიტუციის საფუძველზე აღნიშნული ნორმები ვერ გამოიწვევს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას (იხ: BVerfGE 58, 300 [320]).

## II

ზემოთ აღნიშნული პრინციპების მიხედვით, კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტს.

1. ნორმა, რომელიც, სხვა ლანდების ძეგლთა დაცვის კანონებისაგან განსხვავებით, არ მოიცავს მესაკუთრის ინტერესების გათვალისწინებას, გარკვეულ შემთხვევებში არათანაზომიერად ძლიერად ზღუდავს მის უფლებებს.

ა) კულტურულ ძეგლთა დაცვის კანონით მონესრიგება არის ლეგიტიმური საქმე, ხოლო ძეგლთა მოვლა-პატრონობა კი – საზოგადოების მაღალი რანგის ამოცანა, რომელიც ამართლებს და ასაბუთებს შეზღუდვებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებების გაგებით.

ბ) რაც შეეხება კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნებართვის დათქმას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სათანადო და აუცილებელია კანონის მიზნის მისაღწევად...

გ) ნორმის გამოყენებაც არ იწვევს მესაკუთრის არათანაზომიერ დატვირთვას ვინაო გაგებით. დაცული ძეგლის მიმართ საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილება შესაძლებელია ნაკვეთისა და შენობის იმ მესაკუთრისათვის ვალდებულების დაკისრებით, რომლის საკუთრებაც განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული

სოციალურ ფუნქციასთან. აღნიშნული სოციალური ვალდებულება გამომდინარეობს კონკრეტული სიტუაციიდან, კერძოდ, ნაკვეთის მდებარეობიდან და მისი თავისებურებებიდან.

შენობის ლიკვიდაციის აკრძალვის შედეგად არ იზღუდება ძეგლით სარგებლობა. ძეგლთა დაცვის მაღალი რანგისა და გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების გათვალისწინებით, მესაკუთრე ზოგადად უნდა მოელოდეს მისთვის ნაკვეთის უფრო რენტაბელური გამოყენების აკრძალვას.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი არ იცავს საკუთრებით ყველაზე მომგებიან სარგებლობას (იხ: BVerfGE 91, 294 [310]).

დ) სხვაგვარად არის საქმე, როდესაც აღარ არსებობს დაცული ძეგლის გამოყენების შესაძლებლობა. ასეთი შემთხვევა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც სარგებლობის თავდაპირველი სახეობა ველარ გრძელდება პირობების ცვლილების გამო და ვერ ხერხდება ძეგლით სხვაგვარად სარგებლობის რეალიზება. ისეთი მესაკუთრეც კი, რომელიც საკმაოდ დადებითად არის განწყობილი ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, კერძო სარგებლობის ფუნქციას თავის ნაკვეთთან მიმართებით სრულად გაუქმებულად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ვერ შეძლებს ნაკვეთის გონივრულ გამოყენებას და ვერც მის გასხვისებას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ძეგლის შენარჩუნების კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას, მაშინ უფლება ადვილად გარდაიქმნება ტვირთად, რომელიც მესაკუთრემ უნდა იკისროს მხოლოდ საზოგადოების ინტერესის სახელითა და საფუძვლით, ყოველგვარი პირადი სარგებლის გარეშე. ამ პირის სამართლებრივი პოზიცია მიახლოებულია ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც იგი აღარ იმსახურებს „საკუთრების“ წოდებას. ასეთ შემთხვევებში აღარ არის მესაკუთრისათვის შეთავსებადი და გამართლებული შენობის ლიკვიდაციის აკრძალვა. თუ კანონმდებლის აზრით, საყოველთაო კეთილდღეობა მოითხოვს ძეგლის შენარჩუნებას, როგორც ეს ხშირად ხდება დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე კულტურის ძეგლების შემთხვევაში, მაშინ ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კონფისკაციის (კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი) გზით.

მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია ღიად დარჩეს საკითხი, თუ სად გადის შეუთავსებლობის ზღვარი და რა მოცულობით ეხება მესაკუთრეს მოცემულ საქმეში განსახილველი ნორმა შესაძლებლობის ზღვრის გადაჭარბებით. კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების არაკონსტიტუციურობა გამომდინარეობს ჯერ კიდევ იქიდან, რომ ნორმა არ გამორიცხავს მესაკუთრეთა არათანაზომიერ დატვირთვასა და შეზღუდვას და არ ითვალისწინებს რაიმე ზომას საკუთრების ამგვარი შეზღუდვების თავიდან ასაცილებლად.

2. შენობის ლიკვიდაციის აკრძალვის არათანაზომიერებას არ ცვლის კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება. აღნიშნული ე.წ. სალვატორული<sup>20</sup> დათქმის მიხედვით, ლანდმა იმ შემთხვევაში უნდა გაიღოს სათანადო კომპენსაცია, როდესაც ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ღონისძიება, თუმცა, ხელუხლებელს ტოვებს თავდაპირველი სარგებლობის სახეობასა და უფლებას (პირველი წინადადება), მაგრამ „სხვა ფორმით ინვესტს კონფისკაციის შედეგს“. თუმცა, კანონმდებელს შეუძლია, საკუთრების შინაარსის განმსაზღვრელი ნორმის დაუშვებელი შედეგები

<sup>20</sup> სალვატორი (სალვატორული) გერმანულ ენაში ნიშნავს მხსნელს.

თავიდან აიცილოს კომპენსაციასთან დაკავშირებული ღონისძიებებით (ა), მაგრამ კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ვერ შეასრულებს ამ ფუნქციას, ვინაიდან ნორმა არ აკმაყოფილებს (გ) კომპენსაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების წინაპირობებს (ბ).

ა) საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც შეუთავსებელი იქნებოდა, მაგრამ კანონმდებელი მათ დაუკავშირებდა კომპენსაციის ღონისძიებებს, გამონაკლისის სახით იქნებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი.

აა) კანონმდებელს, ზოგადად, არ ეკრძალება პრობლემატურ შემთხვევებშიც განახორციელოს საკუთრების შემზღუდველი ღონისძიებები, რომლებიც მას, საყოველთაო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნია, თუ იგი კომპენსაციასთან დაკავშირებული ზომების განსაზღვრით მოახერხებს მესაკუთრის არათანაზომიერი და უთანასწორო შეზღუდვების თავიდან აცილებას და სათანადოდ გაითვალისწინებს მის კანონიერ ნდობას (იხ: BVerfGE 55, 137 [149]; 79, 174 [192]; 83, 201 [212]). აღნიშნული ბალანსის მეშვეობით, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია კონსტიტუციური დასაშვებობის მიღწევა, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განმსაზღვრელი აღნიშნული სახის ნორმები მიჩნეული იქნება არათანაზომიერად და უთანასწოროდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით.

ბბ) დაბალანსებასა და კომპენსაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ზოგადად, არ წარმოადგენს კონსტიტუციურად დასაშვებ საშუალებას, რათა საკუთრების დაუშვებელი შეზღუდვები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტთან. ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს, კომპენსაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გარეშეც უნდა იცავდეს საკუთრების ძირითად არსს და შეესაბამებოდეს თანასწორობის პრინციპს (იხ: BVerfGE 79, 174 [198]). იქ, სადაც კანონის გამოყენება, გამონაკლისის სახით, იწვევს მესაკუთრის შეუსაბამო შეზღუდვას, შესაძლებელია, თანაზომიერების პრინციპის დასაცავად და უთანასწორობის მსხვერპლის გასაწესიერებლად და დასაბალანსებლად გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების საკითხი.

გგ) კომპენსაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები ეფექტური ვერ იქნება მაშინ, როდესაც ტექნიკური ან ადმინისტრაციული და ასევე, ფინანსური საშუალებებით შეუძლებელია ისეთი ბალანსის მიღწევა, რომელიც შეესაბამება თანაზომიერების პრინციპს და ამით მდგრადია გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განხორციელებული შემონემების მიმართ. ასეთი მდგომარეობა აღნიშნულ სფეროში შესაძლოა, შეიქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც ძეგლის შენარჩუნება მოცემულ სიტუაციაში უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე – მესაკუთრის კანონიერი მოთხოვნები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას და როდესაც ეს ინტერესი არ არის წმინდა ფინანსური ხასიათის. ასეთი განსაკუთრებული შემთხვევებისათვის კანონი განსაკუთრებული ნორმის ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს ძეგლის ლიკვიდაციის შესაძლებლობას, რათა სრულად შეესაბამებოდეს საკუთრების გარანტიას.

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების სფეროში გამოცემული საკომპენსაციო ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აღნიშნული ნორმები საჭიროებს კანონიერ საფუძველს. საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრა, როგორც წესი, კანონმდებლის პრეროგატივაა. იგი ვალდებულია, დაიცვას შინაარსის განმსაზღვრელი კანონებისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ფარგლები, ხოლო სავალდებულო აკრძალვის დაწესებისას არ უნდა ენდოს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ან სასამართლოები თავიდან აიცილებენ საკუთრების გარანტიის დარღვევებს შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებებისა თუ ფულადი კომპენსაციის გზით. თუ კომპენსაციასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება უნდა იქნეს გათვალისწინებული, მაშინ აღნიშნული, პარლამენტის საბიუჯეტო უფლების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს კანონის მეშვეობით.

ბ) საკომპენსაციო ნორმები, რომლებსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში ევალება თანაზომიერების პრინციპის დაცვა, არ არის საკმარისი მოცულობის იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოიფარგლება იმით, რომ პირს მიაკუთვნებს მხოლოდ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული საკუთრების არსის გარანტია მოითხოვს, რომ, პირველ რიგში, გათვალისწინებულ იქნეს ზომები მესაკუთრის არათანაზომიერი შეზღუდვის რეალურად თავიდან ასაცილებლად და საკუთრების კერძო სარგებლობის ფუნქციის შესანარჩუნებლად. ამისათვის კანონმდებელს შეუძლია ისარგებლოს გარდამავალი, გამონაკლისი და შემამსუბუქებელი დებულებებითა და ასევე, სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური ინსტრუმენტებით. თუ ცალკეულ შემთხვევაში ამგვარი ბალანსი შეუძლებელია, ან თუ ეს დაკავშირებულია შუსაბამო ღონისძიებებთან, მაშინ ასეთი შემთხვევებისათვის შესაძლებელია, განისაზღვროს ფინანსური კომპენსაცია ან მესაკუთრეს მიეკუთვნოს სახელმწიფოსაგან ძეგლის საბაზრო ფასად შესყიდვის მოთხოვნის უფლება.

გ) ისევე, როგორც საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების ნორმატიულ დონეზე განსაზღვრისას კანონმდებელს ევალება, შეუსაბამო შეზღუდვებისა და დატვირთვის შემთხვევებისათვის გაითვალისწინოს შესაბამისი კომპენსაციის ფორმა და მოცულობა, ასევე ადმინისტრაცია ვალდებულია, საკუთრების შეზღუდვების გამოყენებისას, იმავდროულად – თუნდაც პრინციპის დონეზე, გარკვეულ შემთხვევებში გადაწყვიტოს აუცილებელი კომპენსაციის საკითხი (ჰერმესი, Hermes, NVwZ 1990, გვ. 733).

მესაკუთრემ, რომელიც არათანაზომიერად მიიჩნევს ადმინისტრაციულ აქტს, რომლის საფუძველზეც მას შეეზღუდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლება, უნდა გაასაჩივროს ეს აქტი ადმინისტრაციული საჩივრით. თუ აღნიშნულის შედეგად შენარჩუნდება აქტის მოქმედება, მაშინ მას აღარ შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების ფარგლებში (იხ: BVerfGE 58, 300 [324]). აქედან გამომდინარე, პირმა უნდა გადაწყვიტოს, მიიღებს იგი საკუთრების შეზღუდვის განმსაზღვრელი უფლების ხელმყოფ აქტს, თუ გაასაჩივრებს მას. ეს გადაწყვეტილება მან გონივრული გააზრების საფუძველზე შესაძლებელია, მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა იცის, ეკუთვნის თუ არა მას კომპენსაცია. არ შეიძლება იმის მოლოდინი, რომ დაინტერესებული პირი სხვა, დამოუკიდებელი წარმოების ფარგლებში, სავარაუდოდ – მოსალოდნელი კომპენსაციის მიღების იმედით, დაეთანხმება იმ ადმინისტრაციული აქტის შენარჩუნებას, რომელსაც იგი შეუსაბამოდ მიიჩნევს გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებულ საკუთრების გარანტიასთან. ადმინისტრაციულმა

სასამართლოებმაც უნდა იცოდნენ, თუ რა გზით მოხდება გარკვეულ შემთხვევაში შეუსაბამო შეზღუდვის კომპენსაცია, რათა ამომწურავად შეაფასონ საკუთრების უფლების ხელმყოფი ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია, კომპენსაციასთან დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები განავრცოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ საკუთრების შეზღუდვის განმახორციელებელი ადმინისტრაციული აქტი იმავდროულად მოიცავდეს გადაწყვეტილებას უფლებაშეზღუდული მესაკუთრისათვის შესაძლო კომპენსაციის მიკუთვნების შესახებ; ფინანსური კომპენსაციის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პრინციპის დონეზე ანუ მოთხოვნის უფლების არსებობა-არარსებობის შესახებ.

გ) კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული სალვატორული დათქმა არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს. კლაუზულა არც იმას ითვალისწინებს, რომ საკუთრების არაკონსტიტუციური ხელყოფა, პირველ რიგში, აცილებული უნდა იყოს გამონაკლისი და შემამსუბუქებელი ნორმებისა და ასევე ადმინისტრაციული და ტექნიკური ღონისძიებების გზით და არც ადმინისტრაციულ წარმოებას ანესრიგებს იმგვარად, რომ ზემომითითებული ფორმით იქნეს გათვალისწინებული პირის კანონიერი ინტერესები და მისთვის სამართლებრივი დაცვის სათანადო უზრუნველყოფა. უკვე აღნიშნული დასკვნების შედეგადაც მიიჩნევა, რომ იგი არ წარმოადგენს სათანადო კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს, რათა დაბალანდეს კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ ლანდის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე განხორციელებული არათანაზომიერი ჩარევა მესაკუთრის უფლებებში. რჩება თუ არა ნორმას, მისი ფორმულირებიდან, სისტემატიკიდან და კანონმდებლის ნებიდან გამომდინარე, მოწესრიგებისა და გამოყენების სხვა სფერო იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნორმა არც კონფისკაციის კომპენსაციის საფუძველს წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების გაგებით და არც კომპენსაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებად მიიჩნევა, საკუთრების ცნების შინაარსისა და შეზღუდვების კანონის დონეზე განსაზღვრის ფარგლებში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, უნდა გადაწყვიტონ შესაბამისად უფლებამოსილმა სასამართლოებმა...

**გერმანიის ძირითადი კანონის  
მე-16 და მე-16<sup>1a</sup> მუხლებთან დაკავშირებით:**

**E – 74, 51**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული თავშესაფრის მოთხოვნის ძირითადი უფლება, თავისი აღწერილობითი ნაწილიდან (ნორმის აღწერილობითი ელემენტებიდან) გამომდინარე, ერთ-ერთ წინაპირობად ითვალისწინებს კაუზალურ კავშირს დევნასა და ქვეყნიდან გაქცევას შორის. ძირითადი უფლების განვრცობა გაქცევის შემდეგ დამდგარ გარემოებებზე

შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაშვებული და გამართლებულია თავშესაფრის გაცემის არსისა და მიზნის მიხედვით, რაც შეესაბამება კანონმდებლის ნორმირების სურვილს.

2. გაქცევის შემდეგ დამდგარ სუბიექტურ გარემოებებზე, რომლებიც თავშესაფრის მიღების კანდიდატმა სამშობლოს დატოვების შემდეგ თვითონ შექმნა (გაქცევის შემდეგ დამდგარი გარემოებები, რომლებიც პირმა თავად გამოიწვია), თავშესაფრის მიღების უფლება გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენს ჯერ კიდევ სამშობლოში არსებული და განხორციელებული შეხედულებების გამოხატულებასა და გარკვეულ გაგრძელებას.

## მეორე სენატის 1986 წლის 26 ნოემბრის განჩინება - 2 BvR 1058/85 -

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება საკითხს: რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ვრცელდება თავშესაფრის მიღების ძირითადი უფლება გაქცევის შემდეგ დამდგარ გარემოებებზე.

### I

მომჩივანი (დევნილთა ორგანიზაცია განის დემოკრატიული მოძრაობის წევრი) მიუთითებს მისი განაში დაბრუნების შემდეგ მოსალოდნელ დევნაზე იმ გარემოებების გამო, რომლებიც მან თვითონვე წარმოშვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნისას (ე.წ. გაქცევის შემდეგ დამდგარი სუბიექტური გარემოებები). ასეთ ვითარებაში თავშესაფრის უფლების მიკუთვნება განიხილება მხოლოდ განსაკუთრებულ (და ძალზე მკაცრი მასშტაბებით დადგენილ) გამოწვევების შემთხვევებში (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო BVerfGE 9, 174 [181]; 38, 398 [402]; 64 [59]), ვინაიდან გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული თავშესაფრის მიღების ძირითადი უფლება არ მოიცავს თავად შექმნილი გარემოებების საფუძველზე გამოწვეული პოლიტიკური დევნისაგან დაცვას.

1. ნორმის არსი ვერ განისაზღვრება მხოლოდ მისი მოკლე ფორმულირების საფუძველზე („პოლიტიკურ დევნილებს აქვთ თავშესაფრის მოთხოვნის უფლება“), მისი სრული შინაარსი და მნიშვნელობა, ფორმულირების გარდა, გამომდინარეობს საკითხის მონესრიგების ტრადიციისა და მისი შექმნის ისტორიის ერთობლიობიდან.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული წესი დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლით აღიარებულ თავშესაფრის ინსტიტუტთან. აღნიშნულ ნორმაში უნდა მოქცეულიყო ყველაფერი ის, რაც თავდაპირველად თავშესაფარსა და თავშესაფრის უფლებაში მოიაზრებოდა და ჩამოყალიბებული იყო როგორც ინდივიდუალური სუბიექტური (და სასარჩელო გზით განხორციელებადი) ძირითადი უფლება. ამასთან, არ იყო საუბარი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის შექმნაზე, არამედ საერთაშორისო სამართალში დაფუძნებული სამართლებრივი ცნების თავისუფალი სახელმწიფოებრივი მიხედულების/რწმენის საფუძველი უნდა შეცვლილიყო ძირითადი უფლების სტატუსით, კერძოდ, თავშესაფრის მაძიებლის მოთხოვნის უფლებით (იხ. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო BVerfGE 54, 341 [356]; ასევე, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო BVerfGE 67, 184 [185]).

ა) თავშესაფრის სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც იგი თავდაპირველად იყო ცნობილი და გამოყენებული, წინაპირობად ითვალისწინებდა (მოსალოდნელ) დევნასა და ქვეყნიდან გაქცევას შორის კაუზალური კავშირის არსებობას...

ბ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების ამგვარად განსაზღვრული შინაარსი არ ეწინააღმდეგება იმ ჰუმანურ ჩანაფიქრს, რომელიც საფუძვლად უდევს თავშესაფრის მინიჭების უფლებას (იხ. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო BVerfGE 54, 341 [360]), არამედ გარკვეულწილად უერთდება მას. ამ ჰუმანური იდეის მიზანია, შეიფაროს და უზრუნველყოს პირის დაცვა, რომელიც იმყოფება გამოუვალ მდგომარეობაში, რაც აშკარად მოცემულია პოლიტიკური დევნილების შემთხვევაში, რომლებიც საკუთარი თავისუფლების, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად იძულებულნი არიან, გაიქცნენ სამშობლოდან ან სხვა ქვეყნიდან, სადაც ცხოვრობენ. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გაქცევის შემდეგ დამდგარ გარემოებებთან მიმართებით, მათი წარმოქმნის მომენტისათვის არ არსებობს გამოუვალ მდგომარეობა.

თავშესაფრის გაცემის არსის განვრცობა გაქცევის შემდეგ დამდგარ გარემოებებზე მხოლოდ პირობითად იქნებოდა ჰუმანური მიზნების შესატყვისი, ვინაიდან ამით თავშესაფრის მიღების უფლება გადაიქცეოდა ქვეყანაში შემოსვლის (იმიგრაციის) ზოგად უფლებად, რის შედეგადაც ნებისმიერი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, ნებისმიერი ნაკლებად სარისკო დევნის პროვოცირებით, მისთვის საკმაოდ სტაბილური ადგილიდან შეძლებდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამკვიდრებული ძირითადი უფლების „იძულებით“ მოპოვებას. ხოლო თავშესაფრის სამართლებრივი ინსტიტუტის ამგვარი განვრცობით ზემოთ აღნიშნული ჰუმანური განზრახვა არამცთუ გამყარდება და დადასტურდება, არამედ – გაუფასურდება.

2. ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან გამომდინარეობს შემდეგი: გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული თავშესაფრის გაცემის ძირითადი უფლება, თავისი აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარე, წინაპირობად ითვალისწინებს დევნასა და ქვეყნიდან გაქცევას შორის კაუზალური კავშირის არსებობას. ნორმა, მისი საფუძვლიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს პოლიტიკური დევნილისათვის თავშესაფრის მინიჭებასა და მისი დაცვის უზრუნველყოფას. უფლების განვრცობა გაქცევის შემდეგ დამდგარ გარემოებებზე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაშვებული და გამართლებულია თავშესაფრის გაცემის არსითა და მიზნით, რაც შეესაბამება კანონმდებლის ნორმირების სურვილს.

ა) ამ თვალსაზრისით განხილვა თავშესაფრის მინიჭების საკითხი გაქცევის შემდეგ დამდგარი ე.წ. ობიექტური გარემოებების შემთხვევაში, რომლებიც გამოწვეულია სამშობლოში მიმდინარე პროცესებითა და მოვლენებით, თავშესაფრის მაძიებელი პირისაგან დამოუკიდებლად.

ბ) „ა“ პუნქტში, აღნიშნულისაგან განსხვავებით, გაქცევის შემდეგ დამდგარი სუბიექტური გარემოებების შემთხვევაში, რომლებიც პირმა გამოიწვია თავისი ინიციატივით ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ, დიდი სიფრთხილეა საჭირო...

... თავშესაფრის მიღების უფლების გავრცელება განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად გამოწვეული გაქცევის შემდეგ დამდგარი გარემოებები წარმოადგენს ჯერ კიდევ სამშობლოში არსებული და განხორციელებული შეხედულებების გამოხატულებასა და გარკვეულ გაგრძელებას. ასევე, თუ ეს გარემოებები არის მკაფიოდ გამოხატული და პიროვნების განმაპირობებელი ცხოვრებისეული სტილისა და შეხედულებების გამოვლინება და ლოგიკური შედეგი.



განსახილველი საკითხისათვის კი, სადაც საქმე გვაქვს საემიგრაციო-პოლიტიკურ საქმიანობასა და ემიგრანტთა ორგანიზაციის წევრობასთან, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოირიცხება თავშესაფრის მიკუთვნების აქტუალურობა.

გ) ასევე, მხედველობიდან არ შეიძლება გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ნინადადებით გათვალისწინებული თავშესაფრის უფლება არ არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნისა თუ დეპორტაციისაგან თავის დაცვის ერთადერთი სამართლებრივი საშუალება. ის, რომ პირს არ ეკუთვნის თავშესაფარი, არანაირად არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მან, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ კანონის საფუძველზე, რომელიც საკმაოდ ფართო ასპარეზს ანიჭებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებს, მიიღოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნის სხვა სტატუსი. იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდოა პოლიტიკური თუ სხვა საფუძველით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესაბამისი სტატუსის მიღება, მიუხედავად იმისა, გამოირიცხა თუ არა თავშესაფრის უფლება, ყველა ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობა ღიაა. ხოლო სამშობლოში დეპორტაციისას, როდესაც პირს იქ პოლიტიკური დევნა ემუქრება, ან ასეთი პირის სხვა ქვეყანაში დეპორტაციისას, როდესაც ივარაუდება, რომ ამ ქვეყნიდან იგი გაიგზავნება თავის სამშობლოში, ყველა უცხოელისათვის მოქმედებს 1951 წლის 28 ივლისის ყენეის დეენილთა კონვენციის 33-ე მუხლის (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე BGBl. 1953 II გვ. 559), 1965 წლის 28 აპრილის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლისა (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე BGBl. 1952 II S. (გვ.) 353) და 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე BGBl. 1952 II გვ. 686) დამცავი ნორმები. ეს ნორმატიული და, გარკვეულწილად, საერთაშორისო სამართლით დამკვიდრებული სამართლებრივი ვალდებულებები თავისთავად გამოიყენება ასევე გაქცევის შემდეგ დამდგარ გარემოებებზე, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად გამოირიცხება თავშესაფრის მოთხოვნის უფლება.

## E – 80, 315

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ნინადადების მიხედვით, პოლიტიკური დევნა ძირითადად სახელმწიფოებრივი დევნაა.
2. დევნა მხოლოდ მაშინ არის პოლიტიკური, როდესაც იგი, ცალკეული პირის მიმართ მისი პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების, ან სხვებისგან განმასხვავებელი თვისებების გამო, გამოხატულია უფლებებში ისეთი ინტენსიური ჩარევით, რის შედეგადაც პირი გარიყულია სახელმწიფოებრივი ერთიანობის მშვიდობიანი წესრიგიდან (სტრუქტურებიდან).
3. ასევე იმ ქმედებათა სახელმწიფოებრივი დევნა, რომლებიც, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს პოლიტიკურ შეხედულებათა რეალიზაციას პრაქტიკაში, ძირითადად, შესაძლოა იყოს პოლიტიკური დევნა მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო თავისი ქმედებით იცავს არსებით სამართლებრივ სიკეთეს ან თავის პოლიტიკურ თვითმყოფადობას. აღნიშნული მოვლენების მიმართ პოლიტიკური დევნის გამოსარიცხად საჭიროა განსაკუთრებული დასაბუთება.
4. სახელმწიფოს მხრიდან დევნის წინაპირობაა მის მიერ თავისი ტერიტორიის ეფექტური გაკონტროლება, რის შედეგადაც სახელმწიფო ძალისმიერად პრიორიტეტულ

ორგანიზმად წარმოსდგება ცალკეული პირის წინაშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო ომის შემთხვევაში გამოირიცხება პოლიტიკური დევნის შესაძლებლობა, ვინაიდან ამ დროს სახელმწიფო ერთმანეთთან მეზობლ მოქალაქეებს შორის გვევლინება სამოქალაქო ომის ერთ-ერთ მხარედ და მას, როგორც წესრიგის დამამყარებელ ძალას, აღარ შესწევს აღნიშნული ტერიტორიის გაკონტროლების უნარი. ამ მდგომარეობის იდენტიურია პარტიზანული ომებით გამოწვეული კრიზისული სიტუაციებიც. თუმცა, ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებრივი ძალები წარმართავენ ომს, რომელიც მიმართულია საპირისპირო მხარეს მოქმედ პირთა (რომლებიც აკმაყოფილებენ პოლიტიკური თავშესაფრის მიღებისათვის გათვალისწინებულ წინაპირობებს) ფიზიკური განადგურებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ აღარ სურთ ან აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა, ან არ მონაწილეობენ საბრძოლო ოპერაციებში, ასევე, როდესაც სახელმწიფოს მოქმედებები მიზნად ისახავს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის (რომლებიც აკმაყოფილებენ პოლიტიკური თავშესაფრის მიღებისათვის გათვალისწინებულ წინაპირობებს) ფიზიკურ განადგურებას ან ეთნიკური, კულტურული თუ რელიგიური თვითმყოფადობის წგრევას, ეს არის პოლიტიკური დევნა.

5. ა) ვინც მხოლოდ რეგიონული (ერთი ან რამდენიმე რეგიონის ფარგლებში) პოლიტიკური დევნის მსხვერპლია, გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა პოლიტიკურ დევნილად, თუ იგი ამ დევნის შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში ანუ, როდესაც მას თავისი სამშობლოს სხვა რეგიონებშიც არ შეუძლია თავშესაფრის პოვნა (შიდასახელმწიფოებრივი თავშესაფრის ალტერნატივა).
- ბ) შიდასახელმწიფოებრივი თავშესაფრის ალტერნატივა ითვალისწინებს იმას, რომ თავშესაფრის მაძიებელი გარკვეულ ოლქებში საკმარისად დაცულია პოლიტიკური დევნისაგან და მას აქ არც სხვა რაიმე საშიშროება ემუქრება, რომელიც თავისი ინტენსიურობითა და სიმძიმით პოლიტიკური დევნის გამომწვევი უფლებების შეზღუდვის იდენტიურია, თუმცა, შესაძლოა, ხასიათითა და შინაარსით განსხვავებული იყოს თავდაპირველი საშიშროებისაგან.

## E – 81, 142

1. ნამება მხოლოდ მაშინ მოიაზრება თავშესაფრის უფლებაში, თუ იგი ხდება თავშესაფრის უფლების განმსაზღვრელი წინაპირობების საფუძველზე ან ამ ნიშნების გამო უფრო მძაფრად გამოიყენება.
2. თავშესაფარს ვერ მოითხოვს ის, ვინც მიზნად ისახავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან სამშობლოში შესრულებული ტერორისტული აქტების განხორციელების ან მხარდაჭერის შესაძლო ფორმებით გაგრძელებას.

მე-2 სენატის 1989 წლის 20 დეკემბრის განჩინება  
- BvR 958/86 -

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება საკითხის განხილვას: ეკუთვნის თუ არა თავშესაფარი პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელიც თავის სამშობლოში მხარს უჭერდა ტერორისტულ საქმიანობას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აგრძელებს ტე-

რორისტული საქმიანობის ხელშეწყობას, ხოლო ამჟამად თავის ქვეყანაში პოლიციის ან სამხედრო ძალების მხრიდან ემუქრება ნაშების საფრთხე.

სენატმა თავის გადაწყვეტილებაში უკვე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული თავდაცვის ზომებიც შესაძლოა, იყოს თავშესაფრის უფლების დამადასტურებელი გარემოება. მაშასადამე, პოლიტიკური დევნა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, არ გამოირიცხება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ სახელმწიფო სისხლისსამართლებრივი სანქციებით ებრძვის სეპარატისტულ ან პოლიტიკურ-რევოლუციურ საქმიანობას და ამით იცავს მის არსებით სამართლებრივ სიკეთეს ან თავის პოლიტიკურ თვითმყოფადობას. იმისათვის, რომ ამგვარ ღონისძიებებს არ მიენიჭოთ პოლიტიკური დევნის ხასიათი და ელფერი, საჭიროა დამატებითი, ობიექტურ გარემოებებთან დაკავშირებული კრიტერიუმები.

ერთ-ერთი ასეთი კრიტერიუმია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვა. კრიმინალურ სამართალდარღვევათა სახელმწიფოებრივი დევნა, კერძოდ კი - იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებიც მიმართულია სხვა მოქალაქეების სამართლებრივ სიკეთეთა წინააღმდეგ, არ წარმოადგენს „პოლიტიკურ დევნას“ არც იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია შესაბამისი პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ შეხედულებების საფუძველზე. პოლიტიკური დევნა გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ობიექტური გარემოებები მიანიშნებენ იმაზე, რომ ამა თუ იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დევნა არ წარმოადგენს იმ პოლიტიკური შეხედულებების შევინროებას, რომლებიც საფუძველად უდევს ამ ქმედებას, არამედ არის დანაშაულის იმ კრიმინალური კომპონენტების წინააღმდეგ მიმართული დევნა, რომელთა დასჯაც სახელმწიფოს პრაქტიკისათვის დამახასიათებელი და ჩვეულია. პოლიტიკური დევნა ისეთ შემთხვევებშიც ვერ გამოირიცხება, როდესაც პირის მიმართ გამოვლინდება უფრო მძაფრი რეაგირება, ვიდრე ეს მიღებულია იდენტური და მსგავსი საშიშროების (არაპოლიტიკური) დანაშაულებრივი ქმედებებისას (იხ.: BVerfGE 80, 315 [336-დან])...

თუმცა, არაადამიანური მოპყრობა, როგორცაა ნაშება, არ მოიაზრება გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში ამ ნორმის სიტყვა-სიტყვითი გაგებით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხდება თავშესაფრის უფლების განმსაზღვრელი წინაპირობების საფუძველზე ან ამ წინების გამო უფრო მძაფრია მისი გამოყენება ანუ, როდესაც ნაშება აშკარად მიმართულია პირის დანაშაულებრივი ქმედების პოლიტიკური კომპონენტების წინააღმდეგ, მაშინ იგი მჭიდრო კავშირშია პირის პოლიტიკურ ორიენტაციასთან და, შესაბამისად, შეიცავს თავშესაფრის უფლების დამახასიათებელ ელემენტებსა და წინაპირობებს. აღნიშნულ შემთხვევაში ნაშება გამოწვეულია პირის მიერ პოლიტიკურ-სამართლებრივი სიკეთისადმი დაპირისპირებით და, შესაბამისად, ამ გზით გამოაშკარავებული საფრთხით - სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და მისი პოლიტიკური საფუძველების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, მოცემულად უნდა ჩაითვალოს დევნის პოლიტიკური ხასიათი, თავშესაფრის უფლება შესაძლოა, გამოირიცხოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების სხვა მორიგი საფუძველით (ზღვრული ელემენტით). ამგვარი ზღვრული ელემენტი მოცემულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავშესაფრის მადიებელი თავის პოლიტიკურ შეხედულებებს ახორციელებს ტერორისტული საშუალებებით. პოლიტიკური ბრძოლის ამგვარ ფორმას, საერთაშორისო-სამართლებრივი წესრიგის (სისტემის) შესაბამისად, გმობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ტერორიზმის მოგერიებას ან თავიდან აცილებას, არ წარმოადგენს პოლიტიკურ დევნას, თუ ეს ღონისძიებები

მიმართულია აქტიური ტერორისტის, მისი თანამონაწილის (სისხლისსამართლებრივი გაგებით) ან იმ პირის წინააღმდეგ, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს ამ საქმიანობაში, მაგრამ მოსამზადებელ სტადიაზე ტერორისტული საქმიანობის მხარდაჭერა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებშიც შესაძლოა, სახეზე იყოს თავშესაფრის უფლების განმსაზღვრელი ელემენტების შემცველი დევნა, როდესაც დამატებითი გარემოებები, თუნდაც დევნის განსაკუთრებული ინტენსიურობა, მეტყველებს ასეთ ვარაუდზე.

ზემოთ აღნიშნულისაგან დამოუკიდებლად მიიჩნევა შემდეგი: თავშესაფრის უფლების ფარგლებში არ მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც საუბარია ტერორისტული საქმიანობისათვის ახალი საბრძოლო პლატფორმის ძიებაზე, საიდანაც გაგრძელდება ტერორისტული აქტიურობის განხორციელება ან მხარდაჭერა. მაშასადამე, თავშესაფარს ვერ მოითხოვს ის, ვინც მიზნად ისახავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან სამშობლოში შესრულებული ტერორისტული აქტების განხორციელების ან მხარდაჭერის შესაძლო ფორმებით გაგრძელებას. ასეთი პირი არ ეძებს დაცვასა და მშვიდობას, რომელთა უზრუნველყოფაც საფუძვლად უდევს თავშესაფრის უფლებას. თავშესაფრის უფლების ძირითადი იდეა არის იმ პირისათვის თავშესაფრის მინიჭება, რომელიც პოლიტიკური დევნის მიზეზით იმყოფება მისთვის გამოუვალ მდგომარეობაში (BVerfGE 74, 51 [64]). სიცოცხლისა და არსებობისათვის საშიში პოლიტიკური ბრძოლა უნდა დასრულდეს; პოლიტიკური დევნილი დაცვით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმ საერთაშორისო სამშვიდობო სისტემის ფარგლებში, საიდანაც გამორიყა იგი დევნის განმხორციელებელმა სახელმწიფომ.

## **E – 94, 49**

1. ა) გერმანიის ძირითად კანონში ცვლილებათა შესახებ 1993 წლის 28 ივნისის კანონით კანონმდებელმა შექმნა საფუძველი დევნილთა დაცვის ევროპის ერთიანი წესის დამკვიდრების გამარტივებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს დატვირთვის გადანაწილებას ამ სისტემაში მონაწილე სახელმწიფოებს შორის.
- ბ) კანონმდებელი სამართლებრივად თავისუფალია ძირითად უფლებათა ჩამოყალიბებასა და ცვლილებასთან დაკავშირებით, იგი ფედერალური საკონსტიტუციო სამართლოსათვის აწესებს შესაბამის მასშტაბს, ოღონდ ხელშეუხებელი უნდა დარჩეს გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საზღვრები. თავშესაფრის ძირითადი უფლება არ მოიაზრება გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში. ის, თუ რა არის მისი მონესრიგების სფერო და რა შედეგები აქვს ამას გერმანიის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, დამოუკიდებლად უნდა განისაზღვროს.
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ზღუდავს მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მონესრიგების სფეროს, სახელდობრ, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ პირთა ჯგუფს. კერძოდ, პირი, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების გაგებით უსაფრთხო ქვეყნიდან მიაშურებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, არ საჭიროებს მის მიმართ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლების განხორციელებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ვინაიდან მას აღნიშნულ (მესამე) ქვეყანაშიც შეეძლო ესარგებლა პოლიტიკური თავშესაფრით.

3. ევროგაერთიანების თითოეული წევრი სახელმწიფო უშუალოდ კონსტიტუციის ძალით მიიჩნევა უსაფრთხო მესამე სახელმწიფოდ.
4. ა) კანონის თანახმად (გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება), უსაფრთხო მესამე სახელმწიფოდ მიჩნევისათვის სავალდებულოა ყენევის დევნილთა კონვენციისა (GFK) და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (EMRK) გამოყენების უზრუნველყოფა, რაც განსაკუთრებულ წინაპირობებად ითვალისწინებს სახელმწიფოს ორივე კონვენციაზე მიერთებას და უცხო ქვეყნის მოქალაქის შესაძლო დევნის განმახორციელებელ სახელმწიფოში დეპორტაციისაგან თავის შეკავებას, სანამ წინასწარ არ შეამოწმებს, ემუქრება თუ არა პირს აღნიშნულ ქვეყანაში დევნა, ყენევის დევნილთა კონვენციის 33-ე მუხლის მიხედვით, ან ნამება, არაადამიანური ან დამამცირებელი დასჯა ან მოპყრობა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით.
- ბ) კანონმდებელს საკმარისი ასპარეზი აქვს სახელმწიფოების უსაფრთხო მესამე სახელმწიფოდ კვალიფიცირებისათვის, თუმცა, მისი შეფასება უნდა იყოს მისაღები და აღიარებული.
5. ა) უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც უნდა განწესდეს მესამე სახელმწიფოში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ვერ მოსთხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს ან სხვა მძიმე ხელყოფისაგან დაცვას იმ განცხადებების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც, აღნიშნული პირი თავის სამშობლოში თითქოს ვერ იმყოფება სტაბილურ, უსაფრთხო ვითარებაში, ვინაიდან კონკრეტულად მის (ცალკეულ) შემთხვევაში — ნორმატიული გარანტიების მიუხედავად — თითქოსდა ირღვევა ყენევის დევნილთა კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები. შესაბამისად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მესამე სახელმწიფოს უსაფრთხოების შესახებ ნორმატიული გარანტიის კონცეფციის მიხედვით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არც ის მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციები განიხილება, რომელზე დაყრდნობითაც, ჩვეულებრივ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ დეპორტაციისაგან თავის დაცვა (განსაკუთრებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტი და 53-ე მუხლი).
- ბ) თუმცა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ვალდებულია, უზრუნველყოს პირის დაცვა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 53-ე მუხლით გათვალისწინებული პირის დეპორტაციის ხელშემშლელი ნორმები (ბარიერები) ეფუძნება ისეთ გარემოებებს, რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელია კონსტიტუციური თუ კანონისმიერი ნორმატიული გარანტიის კონცეფციის ფარგლებში თავისი განსაკუთრებულობისა და თავისებურობის გამო და რომლებიც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავიდანვე სცდება ამგვარი კონცეფციის საზღვრებს.
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიაღწიოს მისი დეპორტაციისა თუ მესამე სახელმწიფოში დაუყოვნებელი განწესების დამაბრკოლებელი გამონაკლისი მიზეზების არსებობის შემონმებას, თუ გარკვეული გარემოებების საფუძველზე აშკარაა, რომ ამ პირის შემთხვევაში მოცემულია ის განსაკუთრებული გამონაკლისი, რაც არ არის მოქცეული და გათვალისწინებული ნორმატიული გარანტიის კონცეფციაში. აღნიშნული გარემოების დასაბუთება დაკავშირებული უნდა იყოს მკაცრ მოთხოვნებთან.
6. ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება მიმართავს არა მხოლოდ კანონმდებელს, არამედ – ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებსაც: ქვეყანაში ყოფნისა და ცხოვრების აღმკვეთ ღონისძიებებს არ

უნდა გააჩნდეთ სუსპენზიური ძალა. სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებები ამგვარი ღონისძიებების აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებით, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ბ) თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადების მოწესრიგების სფერო არ სცდება ნორმატიული გარანტიის კონცეფციის ფარგლებს.

მეორე სენატის 1996 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება

- 2 BvR 1938, 2315/93 -

მოტივაცია/საფუძვლები:

||

გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის ცვლილება არ სცდება იმავე კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებს. კანონმდებელმა აღნიშნული მუხლის ცვლილებისას ასევე გაითვალისწინა გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნები.

1. ა) გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს კონსტიტუციის ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ეხება იმავე კანონის პირველი და მე-20 მუხლებით გათვალისწინებულ პრინციპებს. აღნიშნული აკრძალვა არ მოიცავს მხოლოდ პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპს ადამიანის ღირსების დაცვისა და პატივისცემის შესახებ. ასევე გასათვალისწინებელია იმავე მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებული აღიარება, რომლის მიხედვითაც, ადამიანთა ხელშეუვალი უფლებები წარმოადგენს ადამიანთა ერთობის (თანამეგობრობის), მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს. აღნიშნული ნორმისა და იმავე მუხლის მე-3 პუნქტის ურთიერთმიმართებიდან, რომელიც მიუთითებს შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებზე, გამომდინარეობს, რომ სხვა დანარჩენი უფლებების განხორციელებაც იმდენად არ ექვემდებარება შეზღუდვას, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სისტემის არსებობისა და შენარჩუნების აუცილებელ წინაპირობას. ასევე გასათვალისწინებელია სამართლებრივი და სოციალური სახელმთაფოს პრინციპების ძირითადი ელემენტები, რომლებიც ასახულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში. თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითხოვს მხოლოდ მათ ხელშეუხებლობას. აღნიშნული ნორმა არ უკრძალავს კანონმდებელს ამ უფლებათა პოზიტიურ-სამართლებრივი გამოვლინების მოდიფიკაციას სათანადო საფუძველით (იხ. BVerfGE 84, 90 [120]).

ბ) კონსტიტუციის ყველა სხვა ნორმის მსგავსად, თავშესაფრის ძირითადი უფლებაც დგას ცვლილებების გამტარებელი კანონმდებლის დისპოზიციის წინაშე (გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და მე-2 პუნქტი). კონსტიტუციაში ცვლილებათა გამტარებელი კანონმდებლისათვის [ე.წ. კონსტიტუციური კანონმდებლისათვის] გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით დანესებული ზღვარი, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია გერმანიის ძირითადი კანონის პირველი და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული პრინციპების შეხება, არ ირღვევა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს პოლიტიკური თავშესაფარი ეძლევათ არა თავშესაფრის ძირითადი უფლების განხორციელების გზით. თუმცა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პოლიტიკური დევნილების მიმართ განმარტა, რომ თავშესა-

ფრის ძირითად უფლებას საფუძველად უდევს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, საფრთხე შეუქმნას ან შელახოს ადამიანის სხეული, სიცოცხლე ან პიროვნული თავისუფლება ისეთი მიზეზების საფუძველზე, რომლებიც კავშირშია მის პოლიტიკურ თუ რელიგიურ ორიენტაციასა ან ისეთ ნიშან-თვისებებთან, რომლებსაც პირი არ ფლობს (იხ. BVerfGE 80, 315 [333]; იხ. ასევე BVerfGE 54, 341 [357]; 76, 143 [157]). ზემოთ აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს, რომ თავშესაფრის ძირითადი უფლება არის გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მონესრიგების სფერო. ის, თუ რა არის მისი მონესრიგების სფერო და რა შედეგები აქვს ამას გერმანიის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, დამოუკიდებლად უნდა განისაზღვროს.

თუ კონსტიტუციაში ცვლილებების გამტარებელ კანონმდებელს არ ეკრძალება, გააუქმოს თავშესაფრის უფლება (როგორც ასეთი), მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16ა მუხლის ნორმა, რომელიც მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით ზღუდავს აღნიშნული ძირითადი უფლებით გათვალისწინებულ პირთა ჯგუფს, მე-3 პუნქტით კი – საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მონესრიგების სფეროს, ხოლო მე-2 პუნქტის მე-3 და მე-4 წინადადებებით ცვლის გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის გარანტიას და ბოლოს, მე-5 პუნქტით ქმნის ევროპის ფარგლებში დევნილთა დაცვის უზრუნველყოფის საფუძველს – საერთაშორისო-სამართლებრივი შეთანხმებებით, არ სცდება კონსტიტუციის დასაშვები ცვლილების ფარგლებს.

გ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-16ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება შეიცავს პირის ქვეყანაში ყოფნა-ცხოვრების დასრულების (ალკეეთის) განსაკუთრებულ ნებს მისი უსაფრთხო მესამე სახელმწიფოდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოსვლის შემთხვევაში. აღნიშნულის შედეგად ხდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მოდიფიკაცია. შესაძლოა, ღიად დარჩეს იმ საკითხის განხილვა, ხდება თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლში თავმოყრილი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით ინდივიდუალური სამართლებრივი დაცვის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შეუცვლელად აღიარება (იხ. BVerfGE 30, 1 [39]). გერმანიის ძირითადი კანონის მე-16ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება ყველა შემთხვევაში არ ეხება ამგვარ პრინციპს. აღნიშნული მოქმედებს იმ მიმართებით, რომ უცხოელი, თუმცა სხვა ზედამხედველი ინსტანციის მიერ ყოველგვარი წინასწარი შემონგების გარეშე, დაუყოვნებლივ განწესდება უსაფრთხო მესამე სახელმწიფოში, მაგრამ ამ ღონისძიებებს საფუძველად უდევს და წინ უსწრებს ნორმატიული გარანტიები აღნიშნულ მესამე ქვეყანაში ჟენევის დევნილთა კონვენციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ.

2. რაც შეეხება გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნას, კონსტიტუციის ცვლილებისა - და მოცემულ შემთხვევაში კი გერმანიის ძირითადი კანონის მე-16ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადებით მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მოდიფიკაციისა – თვითონ ძირითად კანონში თვალსაჩინოობასთან დაკავშირებით, აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულად მიიჩნევა გერმანიის ძირითად კანონში მე-16ა მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადების ჩამატებით.

**E – 21, 362**

1. ძირითადი უფლებები არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, თუ ისინი ასრულებენ საჯარო ფუნქციებსა და ამოცანებს; შესაბამისად, აღნიშნული პირები ვერ ისარგებლებენ საკონსტიტუციო საჩივრით (საკონსტიტუციო საჩივრის შეტანის უფლებით).

პირველი სენატის 1967 წლის 2 მაისის განჩინება  
- 1 BvR 578/63 -

ვესტფალენის ლანდის სადაზღვევო დანესებულების საკონსტიტუციო საჩივრის საქმეზე.

მომჩივანი არის საჯარო სამართლის უფლებაუნარიანი დანესებულება, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფოს ე.წ. არაპირდაპირ ადმინისტრაციას. შესაბამისად, მისი უფლებაუნარიანობის საკითხი გადაწყდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ასევე ვრცელდება ადგილობრივ იურიდიულ პირებზეც. აღნიშნული მუხლის ზუსტი ფორმულირების მიხედვით, მიიჩნევა, რომ იურიდიული პირები ზოგადად არიან ძირითად უფლებათა მატარებლები, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, რამდენად შეესაბამება საკონსტიტუციო საჩივრით გათვალისწინებული ძირითადი უფლება თავისი არსით საჩივრის წარმდგენ პირს. სწორედ ამგვარია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კერძო სამართლის ადგილობრივ იურიდიულ პირთა მიმართ. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მოცემული შემთხვევისათვის შესაბამისად მიუჩნევა ძირითადი უფლებები, მათ შორის წინამდებარე საქმეში - გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები (იხ. BVerfGE 3, 383 [390]; 4, 7 [12 და 17]).

შეუძლებელია ზემოაღნიშნული პრაქტიკისა და ასევე ამ პრაქტიკის ფარგლებში გამოვლენილი შედეგების პირდაპირ გადატანა საჯარო სამართლის ადგილობრივ იურიდიულ პირებზე. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს მხოლოდ „იურიდიულ პირებზე“, ამით იგი ერთმანეთს არ უთანაბრებს საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. „ძირითად უფლებათა არსი“, რომელიც ნორმის შინაარსის მიხედვით გადამწყვეტია, დასაწყისშივე იწვევს გამიჯვნას ამ ორ ჯგუფს შორის.

ძირითადი უფლებების ღირებულებათა სისტემა გამომდინარეობს ცალკეული ადამიანის, როგორც ფიზიკური პირის, ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებიდან. ძირითადი უფლებები, პირველ რიგში, იცავენ ცალკეული ადამიანის თავისუფლებას სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შეზღუდვებისა თუ ხელყოფისაგან. ამასთან, აღნიშნული უფლებები უზრუნველყოფენ საზოგადოებაში ცალკეული ადამიანის თავისუფალი და აქტიური მონაწილეობის წინაპირობების გამყარებას. სწორედ ამგვარი პრინციპული წარმოდგენა უდევს საფუძვლად გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებასა და გამოყენებას. აღნიშნული



მდგომით იურიდიული პირები მხოლოდ მაშინ მოიაზრებიან ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, თუ მათი ჩამოყალიბება და საქმიანობა არის ფიზიკურ პირთა თავისუფალი განვითარების გამოხატულება და განსაკუთრებით კი, თუ უფლებათა განვრცობა საჭირო და გამართლებულია იურიდიული პირის მიღმა მდგომი ადამიანების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკეპტიკურია მდგომა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების სფეროში საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე ძირითად უფლებათა განვრცობის მიმართ. თუ ძირითად უფლებებს საფუძვლად უდევს ცალკეული ადამიანის ურთიერთობა საჯარო ხელისუფლებასთან, მაშინ შეუსაბამო იქნება, რომ თვითონ სახელმწიფო იყოს ძირითადი უფლებებით მოსარგებლე, ვინაიდან შეუძლებელია იგი იყოს ძირითად უფლებათა ადრესატიც და სუბიექტიც (იხ. BVerfGE 15, 256 [262]).

ეს მოსაზრება მოქმედებს არა მხოლოდ იმ შემთხვევის დროს, როდესაც სახელმწიფო უშუალოდ ჩნდება ასპარეზზე (როგორც ფედერალური, თუ რომელიმე ლანდის ხელისუფალი), არამედ იმ შემთხვევის დროსაც, როდესაც სახელმწიფო თავისი ამოცანების შესასრულებლად სარგებლობს დამოუკიდებელი სამართლებრივი წარმონაქმნით...

თუ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი უფლებები და, შესაბამისად, საკონსტიტუციო საჩივარი, როგორც სამართლებრივი საშუალება, არ გამოიყენება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ, მაშინ უნდა მოქმედებდეს სხვა რამ, როდესაც, მაგალითად, გამონაკლის შემთხვევებში უფლების სუბიექტი უშუალოდ მიეკუთვნება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს. ამ საფუძვლით გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლების განვრცობა უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებზე მათი უფლებაუნარიანობისაგან დამოუკიდებლად (იხ. BVerfGE 15, 256 [262]); აღნიშნული ძირითადი უფლების ფორმულირებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი განვრცობა იმ დანესებულებებზე, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მეცნიერებასთან, კლევასა და სწავლებასთან. შესაბამისად, ხდება ეკლესიებსა და საჯარო სამართლის გაერთიანების სტატუსის მქონე სხვა რელიგიურ საზოგადოებებზე გარკვეული ძირითადი უფლებების განვრცობა.

## E – 31, 314

**მეორე სენატის 1971 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება 1971 წლის 18 მაისს გამართულ ზეპირ განხილვასთან დაკავშირებით**  
- BvF 1/68, 2 BvR 702/68 -

... ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებზე გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლების განვრცობა (იხ. BVerfGE 15, 256 [262]). იგივე მოქმედებს საჯარო-სამართლებრივი რადიომაუწყებლობის მიმართაც. აღნიშნული უწყებები არის სახელმწიფო დანესებულებები, რომლებიც იმ სფეროში სარგებლობენ ძირითადი უფლებებით, სადაც ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლები არიან. სწორედ თავისუფალი რადიომაუწყებლობის ძირითადი უფლების

რეალიზებისათვის კანონის საფუძველზე შეიქმნა რადიომაუწყებლობა, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, თვითმმართველობის სისტემაზე აგებული საჯარო სამართლის უწყება; ეს უწყებები ისეა ორგანიზებული, რომ გამორიცხულია სახელმწიფოს მხრიდან დომინირებული გავლენა. ამგვარი კანონების გამოცემა და რადიომაუწყებელთა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნა წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის უშუალო მოთხოვნას (იხ. BVerfGE 12, 205).

მამასადამე, დასაშვებად მიიჩნევა რადიომაუწყებლის მიერ თავისუფალი რადიომაუწყებლობის ძირითადი უფლების დარღვევის საფუძველით აღძრული საკონსტიტუციო საჩივარი.

### **გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით:**

#### **E – 10, 264**

ნესი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში უნდა დანესდეს განმცხადებლის მიერ სახელმწიფო ბაჟის საავანსო თანხის გადახდა იმ შედეგით, რომ ავანსის გადაუხდელობა ჩაითვლება განცხადების უკან გამოთხოვად, არ ენიშნა აღმდგეგმა გერმანიის ძირითად კანონს.

#### **პირველი სენატის 1960 წლის 12 იანვრის განჩინება - 1 BvL 17/59 -**

გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოქალაქეების მიმართ აღკვეთს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ „თვითგანდიდებას“; აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთი აქტი, რომელიც ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს, არ შეიძლება არ დაექვემდებაროს მოსამართლის მიერ გადამოწმებას. თუმცა, სასამართლოებისაკენ მიმავალი გზა არ არის შეუზღუდავად „ღია“. როდესაც გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი მოქალაქეს ანიჭებს სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას ხელისუფლების ჩარევებისაგან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით იგი ძალადაკარგულად აცხადებს საპროცესო სამართლის იმ პრინციპებს, რომლებიც სამართლებრივად ან ფაქტობრივად ართულებენ სასამართლოებისადმი მიმართვის გზას. ეს პრინციპები უზრუნველყოფენ სამართლებრივ სტაბილურობას და ანესრიგებენ მართლმსაჯულების განხორციელების თანმიმდევრულობას, რითაც ასევე მიზნად ისახევენ მოქალაქის სამართლებრივად დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ ის გარემოება, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი მოქმედი საპროცესო სამართლის ფარგლებში უზრუნველყოფს საქმის განხილვას სასამართლო რეჟიმში და რომ სასამართლოსადმი მიმართვა დამოკიდებულია ამისათვის დადგენილი, გარკვეული ფორმალური წინაპირობების შესრულებაზე, როგორცაა: შესაბამისი ვადების დაცვა, სათანადო წარმომადგენლობა და სხვა (იხ. BVerfGE 9, 194 [199]). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო ნორმები შეუსაბა-

მოდ, უსაფუძვლოდ და სამართლებრივად გაუმართლებლად აძნელებენ სასამართლოსათვის მიმართვას, ისინი ეწინააღმდეგებიან გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის პირველ წინადადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებად მიიჩნეოდა და მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ გადასახადების დანესება სასამართლოთი სარგებლობისათვის. ასეთივე უსაფუძვლოა ეჭვი სახელმწიფო ბაჟისაგან უმწნოთა განთავისუფლების ნორმების არაკონსტიტუციურობის შესახებ მაშინ, როდესაც გადასახადისაგან განთავისუფლება დამოკიდებულია საქმის პერსპექტიულობის შემონგებაზე (იხ. BVerfGE 7, 53 [55]; 9, 256 [257]).

## **E – 24. 33**

**3. კანონმდებლობა არ წარმოადგენს „სახელმწიფო ხელისუფლებას“ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის გაგებით.**

**მეორე სენატის 1968 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება  
- 2 BvR 251/63 -**

კანონმდებლობა არ წარმოადგენს „სახელმწიფო ხელისუფლებას“ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის გაგებით.

გერმანიის ძირითადი კანონის ამოქმედებამდე, საერთო გერმანული სამართლებრივი და საკონსტიტუციო ტრადიციიდან გამომდინარე, ითვლებოდა, რომ მოქალაქეს არ შეეძლო კანონის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა სასამართლოში. ეს პრინციპი გამომდინარეობდა ხელისუფლების სამი განშტოების ურთიერთმიმართებიდან.

თუ ძირითადი კანონი მიზნად დაისახავდა ზემოხსენებული ტრადიციის შეცვლასა და მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით მოქალაქის მიერ თავისი უფლების დარღვევაზე მითითებით უშუალოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობის დამკვიდრებას, მაშინ აღნიშნული განზრახვა ნათლად და მკაფიოდ უნდა ასახულიყო კანონში. გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონი არის მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველი. თუ კანონი გამონაკლის შემთხვევაში თვითონ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილების საგანი, მაშინ ეს ერთმნიშვნელოვნად უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი დებულებიდან, რომლის მიხედვითაც, ამგვარი სარჩელი დაშვებულია, ხოლო გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ამ მიმართებით არ შეიცავს ზუსტ ნორმას. კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადამოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაკუთრებით ნათლად არის მოწესრიგებული ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტისა და მე-100 მუხლის პირველ პუნქტში. აღნიშნული ნორმები ამომწურავია, მიუხედავად იმისა, რომ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსათვის მიმართვის გარანტია განკუთვნილია ცალკეული ადამიანის უფლებათა დასაცავად. არ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ კანონის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმებასთან ერთად, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ წინაპირობებთან, ხოლო ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის შემთხვევაში შესაბამისი განცხადების შეტანა მხოლოდ გარკვეულ პირებს შეუძლიათ, ყველა მოქალაქეს უნდა შეეძლოს საერთო სასამართლოებისათვის მი-

მართვა კანონის წინააღმდეგ მიმართული სარჩელითა და განცხადებით, რომ თითქოს კანონი არღვევს მის უფლებებს, სადაც უმეტესად საუბარი იქნება ძირითად უფლებებზე. აღნიშნულის შედეგად საერთო სასამართლოს კანონის წინააღმდეგ მიმართულ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებას უნდა მიენიჭოს საერთო სავალდებულო ხასიათი; სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, საჭიროების შემთხვევაში დაადგინოს კანონის ბათილობა. სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საგანიც არის კანონის ძალა და მოქმედების საკითხი, ამგვარ წარმოებათა თავისებურების გამო, შესაძლოა არ შემოიფარგლოს კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილებით და დაკმაყოფილდეს მოსაზრებით, რომ სხვა, ჯერ კიდევ მოქმედი კანონი არღვევს მოსარჩელის უფლებებს და არ უნდა იქნეს გამოყენებული მის მიმართ. მაგრამ ამკარაა, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი მიზნად ისახავს ინდივიდუალური უფლებების დაცვას; აღნიშნული ნორმიდან არ გამომდინარეობს ცალკეული მოქალაქის უფლება, თავისი უფლებების დარღვევის საფუძველით აღძრას სარჩელი, რომლის საფუძველზეც საერთო სასამართლო მიიღებს საერთო ვალდებულებითი ძალის მქონე გადაწყვეტილებას კანონის მოქმედების შესახებ, მსგავსად 1946 წლის ბავარიის კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-4 წინადადებისა, რომელიც უკვე მოქმედებდა საპარლამენტო საბჭოს მუშაობისას და რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ამგვარი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას „პოპულარული სარჩელის“ [სარჩელი, რომელიც შეიძლება აღძრას ნებისმიერმა პირმა] შემთხვევაში.

## E – 35, 382

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მე-11 ქვეპუნქტი არ ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.
2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვა, მთელი თავისი მოცულობით, ასევე ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც.
3. მოთხოვნები დეპორტაციის განკარგულებათა დაუყოვნებელი აღსრულებისათვის სავალდებულო საზოგადო ინტერესისადმი გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის გარანტიასთან მიმართებით არ უნდა იყოს თავად გასახლების საფუძველთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ნაკლებად მკაცრი; უფრო მეტიც, საზოგადო ინტერესი უნდა მდგომარეობდეს სწორედ დაუყოვნებელ აღსრულებაში.
4. დაუყოვნებელი აღსრულების მიმართ საზოგადო ინტერესისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ქვეყანაში დარჩენასთან დაკავშირებული პირადი ინტერესის ურთიერთმეფარდებისას სავალდებულოა ასევე იმის გათვალისწინებაც, რომ დეპორტაციის განკარგულების დაუყოვნებელმა აღსრულებამ შესაძლოა, შეაფერხოს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ძირითადი სამართალწარმოების ფარგლებში თავისი უფლების დაცვა-განხორციელება.
5. თუ დეპორტაციის დაუყოვნებელი აღსრულებით მისი სასამართლოს მიერ გადამოწმებამდე გამოვლინდება სრულყოფილი ფაქტები, მაშინ ზემდგომი ორგანოები და ადმინისტრაციული სასამართლოები ვალდებული არიან, ძირითადი საქმეები განიხილონ მაქსიმალურად შესაძლო სისწრაფით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, რომ თითქოსდა გამართლებული განკარგულება დეპორ-

ტაციის დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ გახდეს კონსტიტუციის სანინა-  
ალმდეგო.

6. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მე-3 მუხლის მე-2 პუნ-  
ქტთან მიმართებით ითვალისწინებს, რომ დეპორტაციის დაუყოვნებელ აღსრულე-  
ბასთან დაკავშირებულ საზოგადო ინტერესს ასევე დაუპირისპირდეს გერმანელი  
მეუღლის პირადი ინტერესები.

პირველი სენატის 1973 წლის 18 ივლისის განჩინება  
- 1 BvR 23, 155/73 -

ერთ სამართალწარმოებად გაერთიანებული საკონსტიტუციო საჩივრები ეხება  
უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დეპორტაციის განკარგულების დაუყოვნებელი  
აღსრულებისას ძირითადი უფლების განხორციელებას და ადმინისტრაციული სა-  
სამართლოს შესახებ გერმანიის კანონის მე-80 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწი-  
ნებული სამართალწარმოების ფარგლებში დაუყოვნებელი აღსრულების შემოსწმა-  
განხილვას.

საკონსტიტუციო საჩივრები აღძრეს არაბმა სტუდენტებმა, რომელთა დეპორტა-  
ციაც დაკავშირებულია არაბებისა და პალესტინურ ორგანიზაციათა წინააღმდეგ გა-  
ტარებულ ადმინისტრაციულ ორგანოთა ზომებთან, რასაც საფუძვლად დაედო 1972  
წლის 4/5 სექტემბერს ქ. მიუნხენში პალესტინელი ტერორისტების მიერ ისრაელის  
ოლიმპიურ გუნდზე განხორციელებული ტერორისტული აქტი.

საკონსტიტუციო საჩივრები დასაბუთებულია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს საკონსტიტუციო საჩივრების წარ-  
მდგენ პირთა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვა-  
ლისწინებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და მე-19 მუხლის მე-4  
პუნქტიდან გამომდინარე ძირითად უფლებებს, ხოლო ერთ-ერთი მომჩივნის შემთხ-  
ვევაში ასევე დარღვეულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი  
პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლება.

I

გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინე-  
ბული პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლება, როგორც ზოგა-  
დად ადამიანის უფლება, ვრცელდება ასევე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში  
მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. თავისუფალი გადაადგილებისა და დამკვიდრე-  
ბის ძირითადი უფლების შეზღუდვა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-11 მუხლი) არ  
გამორიცხავს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში  
ცხოვრებასთან დაკავშირებით ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის  
გამოყენებას (იხ. BVerfGE 6, 32 [36]). თუმცა, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე,  
დაცვა მოცემულია მხოლოდ ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის  
და განსაკუთრებით – საკონსტიტუციო სისტემის ფარგლებში; საკონსტიტუციო  
სისტემას მიეკუთვნება ყველა სამართლებრივი ნორმა, რომელიც ფორმალურად  
და მატერიალურად შეესაბამება კონსტიტუციას (იხ. BVerfGE 6, 32 [37]; იხ. ასევე  
BVerfGE 10, 89 [99]; 21, 54 [59]). აღნიშნულის მიხედვით, კანონმდებელი უფლება-  
მოსილია, გამოსცეს ნორმები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გერმანიის ფედერაციულ  
რესპუბლიკაში ცხოვრებისა თუ მათი დეპორტაციის შესახებ.

## II

1. ზემოაღნიშნულ ნორმებთან მიმართებით კანონმდებელი თავისთავად ვალდებულია, გაითვალისწინოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი (იხ. BVerfGE 17, 306 [313]; 19, 342 [348]). ეს პრინციპი, პირველ რიგში, მოითხოვს, რომ ხელისუფლების მხრიდან ცალკეული ადამიანის შემზღვეველი ჩარევა საჭიროებს ნათელ და გარკვეულ კანონიერ საფუძველს და რომ ამასთან ერთად სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული თანაზომიერების პრინციპი. ის, თუ რამდენად შეესაბამება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის ყველა ნორმა აღნიშნულ მოთხოვნებს, არ საჭიროებს აქ გადაწყვეტას. ამ კუთხით ასევე არ არის ხარვეზიანი დებულებები, რომლებსაც ეფუძნება დეპორტაციისა და მათი დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ გამოცემული გასაჩივრებული განკარგულებები. მომჩივანთა განმარტებებისაგან განსხვავებით, იგივე მოქმედებს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით. როგორც უკვე გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ მართებულად აღნიშნა, ზემოთ ნახსენები ნორმის, განსაკუთრებით კი – განუსაზღვრელი სამართლებრივი მცნების – „ფედერაციული რესპუბლიკის არსებითი საჭიროება“ – შინაარსიცა და მიზანიც საკმარისად ჯეროვნად განისაზღვრება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„კ“ ქვეპუნქტების – დეპორტაციის მიზეზების დეტალური ჩამონათვალიდან გამომდინარე...

2. ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზეზების არსებობის შემთხვევაში, დეპორტაცია არ არის სავალდებულო, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტა ექვემდებარება შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს შინაგან რწმენას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ შემთხვევაში გამოყენებული ნორმები, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს გერმანიის ფედერალური მთავრობა, ითვალისწინებს საკმარის ასპარეზს, რათა მათი გამოყენებისას სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული თანაზომიერების პრინციპი, რომელშიც განსაკუთრებულ გამოხატულებას პოვნებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი (იხ. BVerfGE 17, 306 [314]).

აღნიშნული პრინციპის მიხედვით, რომელსაც მიენიჭა საკონსტიტუციო რანგი (იხ. BVerfGE 19, 342 [348]; 23, 127 [133]), ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის აუცილებლად საჭირო ნორმას; ამასთან, შერჩეული საშუალებები თანაზომიერად უნდა მიემართებოდეს დასახულ შედეგს. მაშასადამე, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის აღწერილობითი ელემენტების გამოყენებისას საჭიროა ცალკეული დებულებით დაცული საჯარო ინტერესისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადი ინტერესების ურთიერთშეფარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მითითებული ურთიერთშეფარდებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოქალაქის დეპორტაციის გავლენა და შედეგები მის ეკონომიკურ, პროფესიულ და პირად არსებობასთან, განსაკუთრებით კი – მის მეუღლესთან მიმართებით, რომელსაც არ სურს ან არ შეუძლია გაჰყვეს მას სხვა ქვეყანაში. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა სოციალური ურთიერთობები.

## III

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, საყოველთაო მოთხოვნა საჯარო ხელისუფლების მხრიდან უფლებათა დარღვევებისაგან სათანადო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, გამოხმაურებას

პოვეზს გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის პოზიტიურ ნორმაში, რაც ასევე მთელი თავისი მოცულობით ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც.

1. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული უფლების სრულყოფილი და ეფექტური დაცვა სასამართლოს მეშვეობით (იხ. BVerfGE 10, 264 [267]; 25, 352 [365]; 35, 263 [274]) ილუზია იქნება, თუ ადმინისტრაციული ორგანოები გაატარებენ გამოუსწორებელ ღონისძიებებს მანამ, სანამ მათ კანონიერებას შეამონშებენ სასამართლოები. ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება (საჩივრის სუსპენზიური ეფექტი) ადმინისტრაციული საჩივრის ან სარჩელის აღძვრის შემთხვევაში წარმოადგენს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის გარანტიის ადეკვატურ გამოხატულებასა და „საჯარო-სამართლებრივი პროცესის ფუნდამენტურ პრინციპს“ (იხ. BVerfGE 35, 263 [272]). მეორე მხრივ კი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ადმინისტრაციული წარმოებებისათვის არც ისე მარტივად ითვალისწინებს აქტის მოქმედების შეჩერებას (სუსპენზიურ ეფექტს) (იხ. BVerfGE 11, 232 [233]; 35, 263 [274]). პრიორიტეტული და გადამწყვეტი საჯარო ინტერესის შემთხვევებში და საფუძველზე შესაძლებელია იმის გამართლება, რომ ძირითადი უფლების სუბიექტის სამართლებრივ დაცვას დროებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭოს, რათა დროულად გატარდეს საზოგადო კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე ზომები. თუმცა, ასეთი შემთხვევები მხოლოდ გამოწვევის სახით უნდა დარჩეს. ადმინისტრაციის პრაქტიკა, რომელიც აღნიშნულ რელაციას შეაბრუნებს გამონაკლისსა და წესს შორის და ამგვარი სახის ადმინისტრაციულ აქტებს ზოგადად დაუქვემდებარებს დაუყოვნებელ აღსრულებას და ასევე სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც დაუშვებს და მოიწონებს ასეთ გამოცდილებას, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

მასადამა, ადმინისტრაციული აქტის დაუყოვნებელი აღსრულებისათვის საჭიროა ისეთი განსაკუთრებული საზოგადო ინტერესის არსებობა, რომელიც აჭარბებს იმ ინტერესსაც, რის საფუძველზეც გამოიცა თვითონ ეს ადმინისტრაციული აქტი. ამასთან, არ შეიძლება ზოგადად დადგინდეს, თუ როდის დგას ცალკეული ადამიანის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა საზოგადო მოთხოვნებისა და ინტერესების უკან და როდის უკრძალავს გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი აღმასრულებელ ხელისუფლებას, წინ გაუსწროს სასამართლოს მიერ მათი ღონისძიებებისა თუ ზომების შემონშებას. ყოველივე აღნიშნული უნდა დადგინდეს ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევაში. სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნებიდან და თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარეობს შემდეგი: თითოეული მოქალაქის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა მით უფრო ძლიერი და პრიორიტეტულია, რაც უფრო „მძიმეა“ მისთვის დაკისრებული შეზღუდვა და რამდენადაც უფრო შეუქცევად შედეგებს იწვევს ადმინისტრაციის მიერ გატარებული ზომები.

2. გასაჩივრებულ გადანყვეტილებათა დასაბუთებიდან არ გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა სრულყოფილად და მთელი მოცულობით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები გარკვეულ საკითხთა გადამონშებასთან დაკავშირებით...

... მოთხოვნები დეპორტაციის განკარგულებათა დაუყოვნებელი აღსრულებისათვის სავალდებულო საზოგადო ინტერესისადმი გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის გარანტიასთან მიმართებით არ უნდა იყოს თავად დეპორტის საფუძველბთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე

ნაკლებად მკაცრი; უფრო მეტიც, განსაკუთრებული საზოგადო ინტერესი უნდა მდგომარეობდეს სწორედ დაუყოვნებელ აღსრულებაში. უნდა არსებობდეს დასაბუთებული ეჭვი, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უკვე რეალიზდება უცხო ქვეყნის მოქალაქისაგან გამომდინარე საფრთხე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული მისი დეპორტაცია; ასეთ შემთხვევებში დეპორტაციისათვის არ ჩაითვლება საკმარისად ზოგადი ეჭვები უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესების შესაძლო შელახვასთან დაკავშირებით.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან ასევე არ გამომდინარეობს ის გარემოება, რომ სათანადოდ არ შეფასდეს ის მძიმე და გამოუსწორებელი ზიანი, რასაც გამოიწვევს მომჩივანთა დეპორტაციის განკარგულებების დაუყოვნებელი აღსრულება...

გ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად უფლებასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ დეპორტაციის განკარგულების დაუყოვნებელი აღსრულება უცხო ქვეყნის მოქალაქეს უზღუდავს თავისი უფლების დაცვის შესაძლებლობას, განსაკუთრებით კი დაუყოვნებელი აღსრულებით მისთვის შეუძლებელი ხდება საქმის ძირითადი ნარმოების ფარგლებში (სასარჩელო გზით) ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე (ზეპირ განხილვაზე) განახორციელოს თავისი საპროცესო უფლებები...

#### IV

და ბოლოს: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ფარგლებში, განსაკუთრებით კი მეორე განმცხადებლის შემთხვევაში, რომელიც დაქორწინებულია გერმანიის მოქალაქეზე, სათანადოდ არ შეაფასეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორივე მეუღლის მიმართ მოქმედი ძირითადი უფლების დაცვის მასშტაბი და მოცულობა. მართალია, უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ აღიარა, რომ განმცხადებლის ქორწინებისათვის განკარგულების დაუყოვნებელ აღსრულებას მძიმე შედეგები ექნებოდა, მაგრამ სასამართლო, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეყრდნობოდა იმას, რომ განმცხადებლის მეუღლე, მიუხედავად მისი საქმიანი თუ სოციალური ვალდებულებებისა და საქმიანობისა, გაჰყვებოდა მას უცხო ქვეყანაში და თანაც მანამდე, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდა განმცხადებლის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრების საკითხი. აღნიშნული არ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიის მნიშვნელობის დღევანდელ გაგებას, რომელიც, ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად, უზრუნველყოფს ქორწინების, როგორც თანასწორ პარტნიორთა თანაცხოვრების დაცვას... ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის დეპორტაცია იძულებს მის გერმანელ მეუღლეს, ოჯახის შენარჩუნების მიზნით, დატოვოს თავისი სამშობლო, ან სამშობლოში დარჩენის მიზნით, დაყაბულდეს მეუღლესთან დაშორებას. ასეთმა იძულებამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ოჯახს. აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს, რომ გერმანელ პარტნიორთან დაქორწინება უცხო ქვეყნის მოქალაქეს იცავს დეპორტაციისაგან. თუმცა, ინტერესთა ურთიერთშეფარდებისას აუცილებელია სასამართლომ თავისი ინიციატივით დაუპირისპიროს გერმანელი მეუღლის პირადი ინტერესები დეპორტაციის დაუყოვნებელი აღსრულების მიმართ არსებულ საზოგადოებრივ ინტერესს.



2. მართალია, კანონმდებელი არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 მუხლს, როდესაც იგი სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისა და სასჯელაღსრულების ფარგლებში წესის სახით ითვალისწინებს დაუყოვნებელ აღსრულებას, ხოლო გამონაკლისად – აღსრულების შეჩერებას, მაგრამ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სასამართლოს მეშვეობით უზრუნველყოს იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ინტერესია პრიორიტეტული – საზოგადოებრივი ინტერესი დაუყოვნებელ აღსრულებაზე თუ მისი, როგორც კონკრეტული ადამიანის, ინტერესი აღსრულების შეჩერებაზე შესაბამისი ზომის (აქტის) მართლზომიერების გადამოწმებამდე.

მეორე სენატის 1974 წლის 24 აპრილის განჩინება, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 24-ე მუხლის მიხედვით  
- 2 BvR 236, 245, 308/74 -

გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი აწესებს სასამართლოსადმი მიმართვის არა მხოლოდ ფორმალურ უფლებას და თეორიულ შესაძლებლობას, არამედ მოქალაქეს ანიჭებს ფაქტობრივი სასამართლო კონტროლის მოთხოვნის უფლებასაც. ძირითადი კანონის ამ გარანტიიდან იმედგეროულად გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპი, რომლის მიხედვითაც, რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რომ სახელმწიფო უწყების მიერ გატარებული ზომების (რომელიც თავისი მოცულობით, მაგალითად, პირის დაკავების მსგავსია) დაუყოვნებელი აღსრულებით წარმოიქმნას ისეთი გარემოებები, რომელთა აღმოფხვრაც შეუძლებელი იქნება მაშინაც, როდესაც ეს ზომები სასამართლო შემოწმების შემდეგ ბათილად იქნება ცნობილი (იხ: BVerfGE 35, 263 [274]; 35, 382 [401]).

თუმცა, კანონმდებელი არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს, როდესაც იგი სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისა და სასჯელაღსრულების ფარგლებში, ადმინისტრაციული საპროცესო ნორმისაგან განსხვავებით (ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის მე-80 მუხლი), წესის სახით ითვალისწინებს დაუყოვნებელ აღსრულებას, ხოლო გამონაკლისად – აღსრულების შეჩერებას, ვინაიდან იგი ძირითადად გატარებული ზომის დაუყოვნებელ აღსრულებას, საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად და საჭიროდ მიიჩნევს. მაგრამ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ სასამართლოს მეშვეობით უზრუნველყოს შემდეგი საკითხის გადაწყვეტა: მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ინტერესია პრიორიტეტული – საზოგადოებრივი ინტერესი დაუყოვნებელ აღსრულებაზე, თუ მისი, როგორც ცალკეული ადამიანის, ინტერესი აღსრულების შეჩერებაზე, შესაბამისი გატარებული ღონისძიების მართლზომიერების გადამოწმებამდე. აღნიშნულ ინტერესთა ურთიერთშეფარდებისას თითოეული მოქალაქის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა მით უფრო ძლიერი და პრიორიტეტულია, რაც უფრო „ძვირია“ მისთვის დაკისრებული შეზღუდვა და რამდენადაც უფრო გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გატარებული ზომები (იხ: BVerfGE 35, 382 [402]).

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პროფესიასთან დაკავშირებული გამოცდები ისე უნდა წარმოებოდეს, რომ ეფექტურად იქნეს დაცული თავისუფალი პროფესიის ძირითადი უფლება. შესაბამისად, გამოცდაში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, განაცხადონ პრეტენზიები საბოლოო ნიშნებთან დაკავშირებით. თუმცა, ამისათვის არ არის საჭირო მეორე ადმინისტრაციული ინსტანციის შექმნა, სადაც სადავო შედეგები ხელახლა შეფასდება.
2. ადმინისტრაციულ სასამართლოთა პრაქტიკა გამომცდელი ორგანოების მიერ თავისუფალ შეფასებასთან დაკავშირებით მხოლოდ მაშინ არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისი, თუ საუბარია სპეციფიკურ საგამოცდო შეფასებაზე. თუმცა, სასამართლო კონტროლი არ არის გამორიცხული გამომცდელსა და გამოსაცდელს შორის გარკვეულ პროფესიულ საკითხთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობისას.
3. გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტიდან პროფესიული გამოცდებისათვის გამომდინარეობს შეფასების ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება მცდარად შეფასდეს ანუ შეცდომად ჩაითვალოს ისეთი შედეგი, რომელიც ჩამოყალიბებულია გასაგებად, მისაღებად და ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დასაბუთებული მნიშვნელოვანი არგუმენტებით.

**პირველი სენატის 1991 წლის 17 აპრილის განჩინება  
- BvR 419/81 და 213/83 -**

საკონსტიტუციო საჩივრის ავტორებს საგამოცდო შედეგები მცდარად მიაჩნიათ. ამასთან, ისინი აპროტესტებენ იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული საჩივრისა და შემდგომ – სასარჩელო წარმოების ფარგლებში აღნიშნული შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ, არასრულყოფილად გადამონმდა.

... თუ ადმინისტრაციული ორგანოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოყენებულია განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები, მაშინ მათი დაკონკრეტება, ძირითადად, სასამართლოების საქმეა, ვინაიდან მათ ევალებათ, სრულყოფილად გადაამონმონ, თუ როგორ გამოიყენეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კანონი. შეზღუდულ, არასრულყოფილ სასამართლო კონტროლთან დაკავშირებული ნორმები არ ვრცელდება განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების გამოყენებასა და განმარტებაზე (იხ: BVerfGE 7, 129 [154]; 64, 261 [279]).

თუმცა, განუსაზღვრელი ცნებები, თავიანთი კომპლექსურობისა ან მოსაწესრიგებელი სამართლებრივი სიკეთის განსაკუთრებული დინამიკურობის გამო, შეიძლება ისეთი საორჭოფო იყოს და მათი დაკონკრეტება, მიღებული გადაწყვეტილების გაგებისა და განმარტების მიზნით, იმგვარად რთული აღმოჩნდეს, რომ აქ სასამართლო კონტროლის განხორციელებისას მართლმსაჯულებამ, შესაძლოა, თავის ფუნქციათა ზღვარს მიაღწიოს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში კანონის გამომყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება, მიეცეს გადაწყვეტილების მიღების გარკვეული (თუმცა, შეზღუდული) თავისუფლება (იხ: BVerfGE 54, 173 [197]; 61, 82 [114]; 83, 130 [148]; *Schmidt-Aßmann* in: *Maunz-Dürig, Grundgesetz, Art. 19 Abs. 4 Rdnr. 184*). თუმცა, აღნიშნული საკითხი აქ არ საჭიროებს საფუძვლიან განხილვას. ამა თუ იმ პროფესიულ განხილვასთან დაკავშირებული გამოცდების შეფასებაზე, რაც მოცემულ

შემთხვევაში წარმოადგენს გასაჩივრებულ გადანყვეტილებათა საგანს, ვრცელდება განსაკუთრებული წესები.

2. სახელმწიფო გამოცდები, რომლებიც ზღუდავს აკადემიურ პროფესიათა ხელმისაწვდომობას, დაკავშირებულია შეფასების რთულ პროცესთან, რომელიც უნდა წარმოადგინოს ყველა კანდიდატის შანსების თანასწორობისა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი) და გამოცდების საერთო სურათის გათვალისწინებით. ამასთან, ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში შეფასება გასაგები და ნათლად წარმოჩინებული უნდა იყოს ცალკეულ კანდიდატთან მიმართებითაც (ა). აღნიშნულიდან გამომდინარეობს საგამოცდო-სამართლებრივი შეფასების თავისუფლება (ბ), რომელიც შეზღუდულია სპეციფიკური საგამოცდო შეფასებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ ვრცელდება პროფესიულ საკითხებზე, რაც წარმოადგენს გამოცდის საგანს (გ).

ა) პროფესიულ განსწესებასთან დაკავშირებული გამოცდების შედეგების შეფასება წარმოადგენს გამოცდელის სამართლებრივად სავალდებულო გადანყვეტილებას. აღნიშნული გადანყვეტილება, როგორც გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიის თავისუფალი არჩევის ძირითადი უფლების შეზღუდვა, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე და თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში...

მიუხედავად გამოცდების შედეგების შეფასების ასეთი დიდი პრაქტიკული და კონსტიტუციური მნიშვნელობისა, კანონი ბუნდოვნად აწესრიგებს შეფასების კრიტერიუმებს. ცალკეული კითხვისა და ამოცანის შედეგის ფორმაც იუსტიციის ყველა საგანმანათლებლო განაწესში თემატურად და საკმაოდ ზედაპირულად არის დაყოფილი. შეფასებისათვის გათვალისწინებული ნიშნების სკალა მოძრაობს „არაღმაკმაყოფილებლიდან“ „ძალიან კარგამდე“, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ იყოფიან ცალკეულ პუნქტებად. აღნიშნულ განაწესებში არ არის განმარტებული ნიშნებისა და შეფასების სისტემა, არამედ მოცემულია მათი ზოგადი აღწერა...

აღნიშნულ სამართლებრივ მითითებათა მომწესრიგებელი ძალა შეზღუდულია. ამასთან, გამოცდელი თავისი საბოლოო შეფასებისას უნდა დაეყრდნოს და ზოგადად გამოიყენოს ის შეფასებები და გამოცდილება, რომელიც მას ჩამოუყალიბდა მსგავსი სახის გამოცდებისას თავისი საგამოცდო პრაქტიკის განმავლობაში. უფრო მეტიც, აღნიშნული მოთხოვნა ასახულია ნიშანთა განმარტებებში, როდესაც საუბარია საშუალო (ჩვეულებრივ გავრცელებულ) შედეგებზე. ასევე გამსვლელი ქულაც ანუ მინიმალური ზღვარიც არ წესდება საშუალო შედეგების გათვალისწინების გარეშე...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება საგამოცდო ნიშნის იზოლირებული აღქმა, ვინაიდან იგი არის იმ ურთიერთმიმართებათა სისტემის ნაწილი, რომელიც, გარკვეულწილად, არის გამოცდელთა გამოცდილებისა და წარმოდგენის პროდუქტი. ცალკეული კანდიდატის მიერ ინიცირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სასამართლო ექსპერტის დახმარებითაც ვერ შეძლებდა შეფასების იმ კრიტერიუმების დადგენას, რომლებიც მოქმედებდა მსგავსი გამოცდის მონაწილეთა ერთიანობის მიმართ. ამისათვის სასამართლოს უნდა შეემუშავებინა შეფასების საკუთარი კრიტერიუმები, რომლებითაც ჩაანაცვლებდა გამოცდელთა კრიტერიუმებს.

ბ) ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით, საქმე ეხება არა სამართლის (კანონის) გამოყენების პრაქტიკულ სირთულეებს, არამედ – საკონსტიტუციო-სამართლებრივ პრობლემას. შანსთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც დომინირებს მთელს საგამოცდო სამართალში (იხ: BVerfGE 37, 342 [352]; 79, 212 [218]), მსგავსი მონაცემების მქონე გამოცდის მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსგავსი

საგამოცდო პირობები და მოქმედებებს შეფასების მსგავსი კრიტერიუმები. აღნიშნულ პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა ისეთი პრაქტიკა, როდესაც ცალკეული კანდიდატი ადმინისტრაციული პროცესის ნარმოების გზით მიიღებდა ზემოთ აღნიშნული ურთიერთმიმართებისაგან დამოუკიდებელი შეფასების შანსს. ამით უხეშად დაირღვეოდა ყველა მსგავსი დონის კანდიდატის მსგავსი კრიტერიუმებით შეფასების პრინციპი. აღნიშნული პრინციპის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოებს სპეციფიკური საგამოცდო შეფასებისას დარჩებათ თავისუფალი ასპარეზი, ხოლო ამ მხრივ შეიზღუდება სასამართლო კონტროლი...

გ) საგამოცდო-სამართლებრივი შეფასების თავისუფლების ფარგლები გამომდინარეობს მისი საკონსტიტუციო-სამართლებრივი ლეგიტიმაციიდან. ამ ფარგლებით იმედროულად განისაზღვრება ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხორციელებული კონტროლის მოცულობა, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით. გამომცდელ ორგანოთა საბოლოო კომპეტენციას მხოლოდ სპეციფიკური საგამოცდო შეფასება მიეკუთვნება. თუმცა შეფასებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ არის ყოველგვარ კონტროლს მოკლებული. შეფასების თავისუფლებას აქვს ფარგლები, რომელთა დაცვასაც, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, ამონებს სასამართლო. სასამართლო კონტროლი პროფესიასთან დაკავშირებულ გამოცდებზე უნდა იყოს მიზანმიმართული, სათანადო და თანაზომიერი (BVerfGE 60, 253 [269]).

ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, შეფასების თავისუფლების ფარგლები მაშინ არის დარღვეული და საჭიროა სასამართლოს ჩარევა, როდესაც გამომცდელი ორგანოები უშეუბნებ პროცესულურ შეცდომას, არ ითვალისწინებენ გამოსაყენებელ ნორმას, ხელმძღვანელობენ არასწორი ფაქტობრივი გარემოებებით, არღვევენ შეფასების საყოველთაო მასშტაბებს, ან გადაწყვეტილებას იღებენ არაპროფესიონალური გარემოებების საფუძველზე...

მაშასადამე, არ უნდა არსებობდეს შეფასების საყოველთაო პრინციპი, რომელიც აკრძალავდა სწორის მცდარად და დასაშვები შეხედულებების დაუშვებლად შეფასებას (BVerwG, Buchholz 421.0 Nr. 121, გვ. 195; Seebass გვ. 527). აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოებისათვის შემორჩენილი თვითნებობის კონტროლი შეზღუდულია ისეთი ექსტრემალური შემთხვევების დროს, როცა შეფასება შესაძლებელია საგნის სპეციფიკაში ჩაღრმავების გარეშე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება ეყრდნობა „მეცნიერულ-პროფესიული მოსაზრებების ისეთ აშკარა და ყველანაირ გონივრულ ზღვარს გადამცდარ არასწორ გააზრებასა და შეფასებას, რომ მოსამართლისათვის შეფასების შედეგი უნდა იყოს ყოველად დაუსაბუთებელი და მიუღებელი“, გადაჭარბებულად ჩაითვლება თვითნებობის ფარგლები (BVerwG, Buchholz 421.0 Nr. 121, გვ. 195).

სასამართლო კონტროლის ამგვარი შემცირება მხოლოდ მაშინ ენიხაღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს, როდესაც საუბარია ისეთ გამოცდებზე, რომლებიც ზღუდავენ ამა თუ იმ პროფესიის მიხედვით პირის განწესებას...

ასეთ შემთხვევებში თვითნებური მცდარი შეფასება სახეზეა მაშინაც, როდესაც იგი შესაბამის ექსპერტებს მიუღებლად მიაჩნიათ. თუმცა, სასამართლო ამ საკითხის შეფასებას შეძლებს მხოლოდ ექსპერტის დახმარებით, მაგრამ მხოლოდ პრაქტიკული სირთულეები არ არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის შეზღუდვის საკმარისი საფუძველი.

დაპატიმრებით თავისუფლების დაკარგვა (აქ: საექსტრადიციო პატიმრობა) მოუთითებს პირის რეაბილიტაციის ინტერესზე, რომელზეც გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვა მიღებული ზომების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის დასადგენად მაშინაც ვრცელდება, როდესაც ეს ზომები უკვე გატარებული და ამონურულია. სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა აქ ვერ იქნება დამოკიდებული ვერც წარმოების კონკრეტულ მსვლელობასა და ზომების ამონურვის მომენტზე და ვერც იმ საკითხზე, შესაძლებელია თუ არა სამართლებრივი დაცვა განხორციელდეს პატიმრობის დასრულებამდე (BVerfGE 96, 27-ის ჩამატება).

**მეორე სენატის 2001 წლის 5 დეკემბრის განჩინება**  
**- 2 BvR 527/99, 2 BvR 1337/00, 2 BvR 1777/00 -**  
**საფუძვლები:**

**ა**

ერთ წარმოებად გაერთიანებული საკონსტიტუციო საჩივრები ეხება იმ საკითხის განხილვას, თუ რამდენად აქვს პირს, რომლის მიმართაც დაწესებული იყო საექსტრადიციო პატიმრობა, კონსტიტუციის საფუძველზე შესაძლებლობა, გამოიყენოს დაჩქარებული წესის საჩივრის სამართლებრივი საშუალება მაშინაც, როდესაც პატიმრობა დასრულებულია (ე.წ. პროცესუალური დაკვიანების შემთხვევები)...

**ბ**

საკონსტიტუციო საჩივრები დასაბუთებულია.

**1**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების აქტებისაგან სრულყოფილი სასამართლო დაცვის განხორციელების ძირითად უფლებას (იხ: BVerfGE 8, 274 [326]; 67, 43 [58]; 96, 27 [39]; მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეფექტურობა, პირველ რიგში, გამყარებულია საპროცესო კანონებით. ეს კანონები ითვალისწინებს მექანიზმებს, რათა თითოეულმა ეფექტურად მოახერხოს თავისი უფლებების განხორციელება და სასამართლო შემონგების გარეშე არ შეეგუოს სახელმწიფო ჩარევების შედეგებს (იხ: BVerfGE 94, 166 [213]; 96, 27 [39]). ამასთან, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი არ ითხოვს წარმოების ინსტანციურ რეჟიმს. ხოლო თუ შესაბამისი საპროცესო სამართალი ითვალისწინებს სხვადასხვა ინსტანციას, მაშინ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს აღნიშნულ ფარგლებში პირის სამართლებრივი დაცვის ეფექტურობას, რაც გამოიხატება ეფექტური სასამართლო კონტროლის განხორციელების უფლებაში. ზემდგომი ინსტანციის (სამართლებრივი საშუალების განმხილველი) სასამართლოს არა აქვს უფლება, უნაყოფოდ აქციოს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალება და „ტყუილად გასარჯოს“ საჩივრის ავტორი (იხ: BVerfGE 78, 88 [98]; 96, 27 [39]).

2. ეფექტური სამართლებრივი დაცვის განხორციელების პრინციპს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სამართლებრივი დაცვა დამოკიდებული იყოს შესაბამისი ინტერესის არსებობაზე (იხ: BVerfGE 96, 27 [39]). ის, რომ შესაბამისი განცხადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება წინაპირობად

ითვალისწინებს პირის სამართლებრივი დაცვის საჭიროებას, საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპია (იხ: BVerfGE 61, 126 [135]). საქმეში არსებითი გადანყვეტილების აღნიშნული წინაპირობა, რომელსაც იცნობს ყველა საპროცესო კანონმდებლობა, გამომდინარეობს რწმენისა და ნდობის (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი) პრინციპიდან, ასევე – საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვიდან და სახელმწიფოს მოქმედებათა ეფექტიანობის პრინციპიდან, რომელიც ასევე მოქმედებს სასამართლოების მიმართ. სამართლებრივი დაცვის ინტერესი მოცემულად მიიჩნევა, როდესაც პირს ახლანდელ დროში უშუალოდ ეხება ესა თუ ის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც იგი ითხოვს სამართლებრივ დაცვას და როდესაც მას შესაბამისი სამართლებრივი საშუალების გამოყენებით შეუძლია კონკრეტული, პრაქტიკული მიზნის მიღწევა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ საერთო სასამართლებმა წარმოების საგნის ამონურვის შემდეგ აღარ მიიჩნიონ მოცემულად სამართლებრივი დაცვის საჭიროება. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ასეთი შემთხვევებისათვის არ ითვალისწინებს სასამართლოებისადმი მიმართვის შესაძლებლობას შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, როდესაც სასამართლოსადმი მიმართვით რეალურად არაფრის მიღწევა აღარ შეიძლება. ეს გამომდინარეობს ასევე სასამართლოს განტიერთვის საჭიროებისგანაც, რათა მათ უფრო სწრაფად და ეფექტურად შეძლონ სამართლებრივი დაცვის განხორციელება.

3. ა) სამართლებრივი დაცვის თავდაპირველი მიზნის მიღწევის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა, კვლავაც არსებობდეს სასამართლო გადანყვეტილების საჭიროება, როდესაც პირის ინტერესი შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობის დადგენაზე მოითხოვს განსაკუთრებულ დაცვას. ასეთ შემთხვევებში სამართლებრივი დაცვის ინტერესი კვლავაც არსებობს, იცვლება მხოლოდ წარმოების საგანი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამართლებრივი დაცვის ინტერესი აგრძელებს არსებობას, როდესაც სასამართლოში საქმის წარმოებით შესაძლოა განმეორებითი საფრთხის თავიდან აცილება, ან თითქოსდა უკვე დასრულებული ჩარევის საფუძველზე – კვლავაც მოქმედი შეზღუდვების აღმოფხვრა (იხ: BVerfGE 96, 27 [40]).

ბ) აღნიშნულის გარდა, სამართლებრივი დაცვის ინტერესი არსებობას აგრძელებს ძირითადი უფლებების ძლიერი დარღვევების შემთხვევებში. აქ მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც თვითონ გერმანიის ძირითადი კანონი (მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი და 104-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები) ითვალისწინებს მოსამართლის დათქმას (იხ: BVerfGE 96, 27 [40]). ძირითადი უფლებების ამგვარი მძიმე დარღვევებისას გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ინტერესი მოცემულად მიიჩნია ისეთ შემთხვევებში, როდესაც გასაჩივრებული სახელმწიფო ხელისუფლების აქტის უშუალო ზემოქმედება შეზღუდულია დროის გარკვეული მონაკვეთით, რომლის ფარგლებშიც პირი ვერ მიიღებს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებას. ასეთად კოლეგიამ მიიჩნია მოსამართლის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე ბინის ჩხრეკის შემთხვევები.

გ) საექსტრადიციო პატიმრობის შემთხვევებში ე.წ. პროცესუალური დაგვიანების მიუხედავად, სამართლებრივი დაცვის ინტერესი მიიჩნევა ისეთი პატიმრობისას, რომლის ხანგრძლივობაც შეადგენს ან უნდა შეადგინოს 6 კვირა...

4. ა) პირის თავისუფლების უფლებას სხვა ძირითად უფლებათა შორის განსაკუთრებული რანგი უჭირავს. ყველა სახის დაკავება წარმოადგენს ამ უფლების მძიმე დარღვევას. თუნდაც აღნიშნულიდან გამომდინარე, პირს ხელყოფის დასრულების

შემდეგაც აქვს უფლება (თუნდაც დაგვიანებით), დადგინდეს ამგვარი ხელყოფის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. ამასთან, სამართლებრივი დაცვის ინტერესი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის (დაგვიანებით) დადგენასთან დაკავშირებით, რაც გასათვალისწინებელია გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში, ხშირად შესაძლოა, გამომდინარეობდეს გატარებული ზომების დისკრიმინაციული ხასიათიდან...

დაპატიმრების საფუძველზე თავისუფლების დაკარგვა მიუთითებს ამგვარი რეაბილიტაციის ინტერესზე. ფიზიკური გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს რეაქციას ცალკეული ადამიანის დადგენილ, დასაბუთებულად საეჭვო ან მოსალოდნელ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, ეხება ამ პირს.

ბ) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევებში მიიჩნევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საჭიროება. დაკავების, როგორც დეპორტაციის უზრუნველყოფის ღონისძიების, განკარგულება, რომელიც უხეშად ერევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ძირითად უფლებაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ გერმანიის კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაკავების მიზეზებიდან გამომდინარე, დაკავშირებულია ვარაუდთან, რომ დაპატიმრების გარეშე გართულდება ან შეუძლებელი გახდება უცხო ქვეყნის მოქალაქის დეპორტაცია, ან რომ აღნიშნული პირი ეცდება მიმალვას. სასამართლო განკარგულება დაკავების შესახებ იმავდროულად გულისხმობს იმ ბრალდებას, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქმედება (ან ამგვარი ქმედების განხორციელების საშიშროება) იძენდა კანონსაწინააღმდეგო ხასიათისაა, რომ იგი ამართლებს აღნიშნული პირის დაპატიმრებას. ამას გარდა, დაკავების განკარგულების გაცემით შესაძლებელია საზოგადოებაში პირის რეპუტაციის შერყევა. სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში არსებული რეაბილიტაციის ინტერესის გათვალისწინებით, ვერ იქნება დამოკიდებული ვერც წარმოების კონკრეტულ მიმდინარეობასა და ზომების ამონურვის მომენტზე და ვერც იმ საკითხზე, შესაძლებელია თუ არა დეპორტაციის შემთხვევებში სამართლებრივი დაცვა განხორციელდეს პატიმრობის დასრულებამდე.

5. თუ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპორტაციის უზრუნველყოფის მიზნით თავისუფლების აღკვეთისას არსებობს კანონიერი ინტერესი შესაბამისი ზომების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის (დაგვიანებით) დადგენაზე მაშინაც კი, როდესაც ეს ზომები უკვე ამონურულია, საერთო სასამართლოებმა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ეს უნდა გაითვალისწინონ სამართლებრივი დაცვის ინტერესის საკითხის განხილვისას. საერთო და საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას შორის ფუნქციითა გამიჯვნის მიხედვით, ძირითად უფლებათა დაცვა და განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, საერთო სასამართლოების მოვალეობაა (იხ: BVerfGE 47, 182 [191]; 49, 252 [258]; 63, 77 [79]; 73, 322 [327]; 96, 27 [40] და მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). პირი, რომლის თავისუფლების დაცვის ძირითადი უფლებაც ძლიერად შეილახა დაკავების განკარგულების საფუძველზე, არ შეიძლება ელოდოს მხოლოდ საკონსტიტუციო საჩივრის გზით თავის ძირითად უფლებათა ეფექტურად დაცვის მოთხოვნას, თუ შესაბამისი საპროცესო სამართალი ითვალისწინებს საერთო მართლმსაჯულების დამატებით ინსტანციას...

2. ოლდენბურგის ლანდის სასამართლოსა და ლანდის უმაღლესი სასამართლოების განჩინებები, სადაც ე.წ. პროცესუალური დაგვიანების გამო დაუშვე-

ბლად იქნა ცნობილი დაუყოვნებელი საჩივარი და ასევე – შემდეგი დაუყოვნებელი საჩივრები საექსტრადიციო პატიმრობის შესახებ სასამართლო განკარგულებების წინააღმდეგ, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს...

## გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლთან დაკავშირებით:

### ა) ფედერაციის ერთგულება

#### E – 12. 205

#### მორე სენატის 1961 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება - 2 BvG 1, 2/60 -

განსახილველია საკითხი: დაარღვია თუ არა გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ 1960 წლის 25 ივლისს შპს „გერმანიის ტელევიზიის“ დაფუძნებითა და ტელემაუწყებლობის სფეროში სხვა ღონისძიებების გატარებით გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 და 30-ე მუხლები, ასევე – 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი და ფედერაციის კეთილდღეობისათვის ზრუნვის ვალდებულება.

1960 წლის 25 ივლისს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომელიც წარმოდგენილი იყო გერმანიის ფედერალური კანცლერით და ფედერალური მინისტრით – შეფერით, ქალაქ კიოლნში დააფუძნა შპს „გერმანიის ტელევიზია“.

საზოგადოების ამოცანაა „სატელევიზიო და რადიოგადაცემების მომზადება, რომლებიც გერმანიისა და ასევე უცხო ქვეყნების მსმენელებსა და მაცურებლებს შეუქმნის სრულყოფილ სურათს გერმანიის შესახებ“ (ნესდების მე-2 მუხლი).

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკონსტიტუციო-სამართლებრივი ურთიერთობა ფედერალურ სახელმწიფოსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის და ასევე თვითონ ამ ერთეულებს შორის განპირობებულია დაუწერელი კონსტიტუციური პრინციპით, რომლის მიხედვითაც, ფედერაცია და ლანდები ვალდებული არიან, თავიანთი ქმედებებით იზრუნონ ფედერაციის კეთილდღეობისათვის. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ჩამოაყალიბა მთელი რიგი კონკრეტული სამართლებრივი ვალდებულებები. ე.წ. „პორიზონტალური ფინანსური თანაფარდობის“ კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული მოსაზრებების ფარგლებში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: „ფედერალურ-სახელმწიფოებრივი პრინციპი, თავისი არსიდან გამომდინარე, ითვალისწინებს არა მხოლოდ უფლებებს, არამედ ასევე – მოვალეობებსაც. ერთ-ერთი ასეთი მოვალეობაა ფინანსურად ძლიერი ლანდების მიერ სუსტი ფედერალური ერთეულებისათვის გარკვეული სახის დახმარების განევა“ (იხ: BVerfGE 1, 117 [131]). ამას გარდა, კონსტიტუციური პრინციპის საფუძველზე ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც კანონით გათვალისწინებულია შეთანხმება ფედერაციასა და ლანდებს შორის, წარმოიშვება ყველა სუბიექტის აქტიური მონაწილეობის ვალდებულება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ იმ ერთ საწინააღმდეგო აზრს, რომელიც ხელს უშლის ყველა სხვა მონაწილის ურთიერთშე-



თანხმებას, არ მიენიჭოს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა (იხ: BVerfGE 1, 299 [305]). ფედერაციის ერთგულების იდეიდან გამომდინარე, აღნიშნული უფრო მკაფიოდ იკვეთება საკანონმდებლო საქმიანობისას: „თუ კანონის რომელიმე ნორმის მოქმედება არ არის შეზღუდული ლანდის ტერიტორიით, მაშინ ამ ლანდის კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ლანდებისა და ფედერაციის ინტერესები“ (იხ: BVerfGE 4, 115 [140]). ფედერაციისათვის ზრუნვის კონსტიტუციური პრინციპის შესაბამისად, ლანდებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ფედერაციის მონაწილეობით გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები (იხ: BVerfGE 6, 309 255 [328, 361]). გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა ლანდი, ფედერაციისადმი ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე, ასევე იყოს ვალდებული, კომუნალური ზედამხედველობის გზით ჩაერიოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი ზომებით იჭრება ფედერაციის მონოპოლიურ კომპეტენციებში (იხ: BVerfGE 8, 122 [138]). ასევე ტელერადიო-მაუნყებლობის სფეროში ფედერალური კომპეტენციების განხორციელებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფედერაციაზე ზრუნვის პრინციპს.

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ ზემოთ აღნიშნული პრინციპი ლანდებისათვის წარმოშობს კონკრეტულ დამატებით მოვალეობებს ფედერაციის მიმართ და პირიქითაც: დამატებით მოვალეობებს წარმოშობს ფედერაციისათვის ლანდების მიმართ, რომლებიც სცდება ფედერალური კონსტიტუციით ნორმირებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოვალეობებს. ამას გარდა, ასევე წარმოიქმნება კონკრეტული შეზღუდვები, რომლებიც ვრცელდება ლანდებისა და ფედერაციის მიერ გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული კომპეტენციების განხორციელებაზე.

წინამდებარე შემთხვევა შესაძლებლობას იძლევა, ფედერაციისათვის ზრუნვის კონსტიტუციური პრინციპი სხვა კუთხითაც განვითარდეს: საერთო კონსტიტუციური ნესრიგის ფარგლებში ფედერაციასა და მის ერთეულებს, ასევე თვითონ ლანდებს შორის საჭირო და აუცილებელი მოლაპარაკებების პროცედურაც და სტილიც ექვემდებარება ფედერაციისათვის ზრუნვის პრინციპს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველა ლანდი ერთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს; ყველა მათგანი არის სახელმწიფო, რომელსაც ფედერაციასთან ურთიერთობის ფარგლებში აქვს თანასწორი მოპყრობის მოთხოვნის უფლება. ყოველთვის, როდესაც ფედერაცია იღვწის კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე შეთანხმებისათვის ისეთ საკონსტიტუციო საკითხთან მიმართებით, რომელიც ყველა ლანდს ეხება და აინტერესებს, მას (ფედერაციას) ფედერაციისათვის ზრუნვის პრინციპი უკრძალავს შეთანხმების დადებას ლანდების მხოლოდ ერთ ნაწილთან, ხოლო მეორე ნაწილთან – კონფრონტაციას სხვა ფედერალურ ერთეულებთან მიღწეული შეთანხმების შედეგებით, ასევე – ამ შედეგების აღიარებისა და გატარების იძულებას.

აღნიშნული პრინციპი ასევე კრძალავს ფედერალური მთავრობის მიერ ისეთი მოლაპარაკების ფარგლებში, რომელიც ყველა ლანდს ეხება, ლანდის მთავრობისადმი პოლიტიკურ-პარტიული მიმართულების მიხედვით განსხვავებულ მიდგომას, განსაკუთრებით კი – პოლიტიკურად გადამწყვეტ კონსულტაციებში საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებთან ახლოს მდგომი მთავრობის წარმომადგენლების ჩართვას და ოპოზიციის შეხედულებების გამზიარებელი მთავრობის წარმომადგენლების გამორიცხვას. თუმცა, ზემოთ აღწერილი სახის შემთხვევებში ფედერაციისა და ლანდების ერთი პარტიის წევრ პოლიტიკოსებს უფლება აქვთ, თავდაპირველად პოლიტიკური შეხვედრებისა და საუბრების ფორმატში ჩამოაყალიბონ და ერთმანეთს შეუთანხმონ თავიანთი მოსაზრებები ყველა ლანდისათვის საინტერესო და აქტუალური პრობლემის გადასაჭრელად და ასევე შემდგომში, ფედერაციასა და

ლანდებს შორის გამართული მოლაპარაკებებისას, ერთმანეთს შეუთანხმონ მომდევნო ერთობლივი ნაბიჯები. მაგრამ აუცილებელი მოლაპარაკებები ფედერაციასა და ლანდებს შორის უნდა წარიმართოს ზემოთ მოყვანილი პრინციპების საფუძველზე და გათვალისწინებით.

## ბ) სოციალური სახელმწიფო

### E – 40, 121

გერმანიის ძირითად კანონს არ ენიშნა აღმდგენების გარემოება, რომ უდგამამოებმა, რომლებსაც ფიზიკური ან სულიერი ნაკლის გამო არ შეუძლიათ საკუთარი თავის რჩენა, დასაქმებულთა სადაზღვევო ფონდიდან მიიღონ უდგამამოთა პენსია 26 წლის ასაკის მიღწევამდე (დასაქმებულთა დაზღვევის შესახებ გერმანიის კანონის 44-ე მუხლის მე-2 წინადადება).

### პირველი სენატის 1975 წლის 18 ივნისის განჩინება - BvL 4/74 -

დასაქმებულთა დაზღვევის შესახებ გერმანიის კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული წესი, რომელიც არის განხილვის საგანი, არ ენიშნა აღმდგენთა არც თანასწორობის ზოგად პრინციპს და არც სოციალური სახელმწიფოს პრინციპს.

ცხადია, იმ პირთა მხარდაჭერა, ვინც დახმარებას საჭიროებს, წარმოადგენს სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ საგულისხმო მოვალეობას (იხ: BVerfGE 5, 85 [198]; 35, 20Z [236]). ეს მოვალეობა ასევე მოიცავს იმ თანამოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების გაცემას, რომლებიც ფიზიკური ან სულიერი ნაკლის გამო ვერ ახერხებენ პიროვნულ და სოციალურ განვითარებას და არ შეუძლიათ საკუთარი თავის რჩენა. სახელმწიფომ ისინი უნდა უზრუნველყოს ადამიანური ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური პირობებით, იზრუნოს მათ მაქსიმალურ ინტეგრაციაზე საზოგადოებაში, ხელი შეუწყოს მათ სათანადო მოვლა-პატრონობას ოჯახებში ან მესამე პირების მიერ და შექმნას ამგვარი შემთხვევებისათვის საჭირო მზრუნველობითი დანესებულებები. აღნიშნული დაცვის ვალდებულება, ბუნებრივია, ვერ დასრულდება გარკვეული ასაკის მიღწევასთან ერთად; იგი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს სოციალური დახმარების საჭიროებას. მრავალნაირი საშუალება არსებობს ამ დახმარების განსახორციელებლად. კანონმდებელს აქ საკმაოდ დიდი ასპარეზი აქვს, არჩიოს მისი შეხედულებით უფრო ხელსაყრელი გზა, განსაკუთრებით კი, გააკეთოს არჩევანი ნაკლოვან ადამიანთა რჩენისა და მოვლის სხვადასხვა ფინანსურ საშუალებებს შორის და, შესაბამისად, მოაგვაროს პასუხისმგებლობის საკითხი. იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარი არ არის ზემოთ აღნიშნული მინიმალური პირობებით უზრუნველყოფაზე, მან, არსებული საშუალებებისა და სხვა მსგავსი რანგის სახელმწიფო ამოცანების გათვალისწინებით, უნდა გადაწყვიტოს, თუ რა მოცულობით არის საჭირო და შესაძლებელი სოციალური დახმარების გაცემა.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური პრინციპები ირღვევა მაშინ, როდესაც გაცემული დახმარება არ შეესაბამება სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებს; მაგალითად, როდესაც დახმარების მიმღებთა გარკვეულ წრეს არამართლზომიერად ჩამოაშორებენ განსაზღვრულ სახელმწიფო მომსახურებას ან როდესაც

საერთო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გარკვეული ჯგუფი არ არის უზუნველყოფილი სოციალური დაცვით. წინამდებარე შემთხვევაში ამგვარი დარღვევები არ მომხდარა.

## E – 59, 231

### **პირველი სენატის 1982 წლის 13 იანვრის განჩინება**

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ძირითადი უფლებების განმარტებისა და ასევე ძირითად უფლებათა შემზღვეველი კანონების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისათვის საკანონმდებლო დათქმის საფუძველზე. თუმცა, აღნიშნული პრინციპის საფუძველზე უშუალოდ, ანუ კანონმდებლის მიერ შესაბამისი დაკონკრეტების გარეშე, ვერ შეიზღუდება ძირითადი უფლებები. იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს სამართლიან სოციალურ სისტემაზე (იხ: BVerfGE 5, 85 [198]; 22, 180 [204]; 27, 253 [283]; 35, 202 [235]); ამ ვალდებულების შესრულებისას კანონმდებელს დამატებითი ასპარეზი ენიჭება (იხ: BVerfGE 18, 257 [273]; 29, 221 [235]). მაშასადამე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აძლევს დავალებას, მაგრამ არაფერს ითვალისწინებს იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად როგორ უნდა შესრულდეს იგი. ეს რომ სხვაგვარად ყოფილიყო, მაშინ იგი შეუთავსებელი იქნებოდა დემოკრატიის პრინციპთან, ვინაიდან არსებითად შეიზღუდებოდა ძირითადი კანონის თავისუფალი პოლიტიკური მოწყობისა და სისტემის დემოკრატიული წყობა, როდესაც გათვალისწინებული იქნებოდა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესისათვის შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების ერთადერთი საშუალება, სხვა ალტერნატივების გარეშე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ღიაა. შესაბამისად, იგი ვერ დაანებს უშუალო შეზღუდვებს ძირითად უფლებებთან მიმართებით.

## E – 100, 271

1. ნორმები, რომლებიც გარკვეული ვადის განმავლობაში დასაქმების ღონისძიებებისათვის უზრუნველყოფენ ფინანსური დანამატების გაცემას, გათვალისწინებულ ტარიფზე დაბალი ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში (სახელფასო დათქმა), მართალია, „იჭრებიან“ დასაქმებულთა კოალიციების ტარიფის ავტონომიაში, მაგრამ მაღალი უმუშევრობის პირობებში აღნიშნული ჩარევა გამართლებულია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

### **პირველი სენატის 1999 წლის 27 აპრილის განჩინება**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკონსტიტუციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

**საფუძვლები:**

ა

საკონსტიტუციო საჩივრები ეხება დასაქმების გარკვეული ღონისძიებების განხორციელებისას ანაზღაურებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებუ-

ლი მითითებების (სახელფასო დათქმის) შესაბამისობას. მომჩივანი პროფკავშირი - ინდუსტრიული პროფკავშირი „მეტალი“, მიიჩნევს, რომ ზემოთ აღნიშნული მითითებები არღვევს მათი ტარიფის ავტონომიას.

## I

საკონსტიტუციო საჩივრის საგანია: გერმანიის III სოცი ალური კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 265-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და ასევე – შრომის ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონის ე.წ. წინამორბედი დებულებები, რომელთა მოქმედებაც ნაწილობრივ გრძელდება.

1. გერმანიის III სოციალური კოდექსის 265-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება აწესრიგებს დასაქმების ფედერალური უწყების მიერ გასაცემი ფულადი დანამატის ოდენობას დასაქმების პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულის ფარგლებში ხდება იმ უმუშევართა დასაქმების ხელშეწყობა, რომელთა შრომითი მოწყობაც განსაკუთრებით რთულია.

მაქსიმალური ოდენობის დანამატი გაიცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთანხმებული გასამრჯელო არ აღემატება თავისუფალ ბაზარზე მსგავსი საქმიანობისთვის დადგენილი სატარიფო შემოსავლის 100-დან 80-ს.

## II

თავისი საკონსტიტუციო საჩივრით მომჩივანი მიიჩნევს, რომ ამ ნორმებით გათვალისწინებული სახელფასო დათქმა ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-3 მუხლის პირველ პუნქტს. საკონსტიტუციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ამ ნორმებით გათვალისწინებული მაქსიმალური ზღვარი ასევე უნდა გაითვალისწინოს იმ შემთხვევებშიც, როდესაც იგი მოლაპარაკებებს აწარმოებს დამსაქმებლებთან დასაქმების პროგრამაში მონაწილე დასაქმებულთათვის კოლექტიური ხელშეკრულების, სატარიფო შეთანხმების გაფორმებისას. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შესუსტდა მისი პოზიცია მოლაპარაკებების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, მომჩივნის განცხადებით, სადავო ნორმები მისთვის აქტუალურია და უშუალოდ ეხება მას.

## ბ

### II

საკონსტიტუციო საჩივრები უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. გასაჩივრებულ ნორმები არ ზღუდავენ საკონსტიტუციო საჩივრის ავტორის კოალიციის თავისუფლების უფლებას. საყოველთაო თანასწორობის პრინციპიდან (გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი) ამ შემთხვევაში არ გამომდინარეობს სხვა, დამატებითი მოთხოვნები.

1. გერმანიის III სოციალური კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი იცავს არა მხოლოდ ცალკეული ადამიანის უფლებას, სამუშაო და ეკონომიკური პირობების დასაცავად შექმნას, განეწინებს ან დატოვოს გაერთიანება, არამედ იცავს თვითონ კოალიციასაც – თავისი ორგანიზაციული ფორმითა და საქმიანობით იმდენად, რამდენადაც იგი ემსახურება სამუშაო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას (იხ: BVerfGE 50, 290 [373]; BVerfGE 84, 212 [224]). აღნიშნული დაცვა არ არის თავიდანვე გათვალისწინებული კოალიციის საქმიანობის ერთი ძირითადი

სფეროსათვის, არამედ ვრცელდება კოალიციისათვის დამახასიათებელ ქმედებებზე (BVerfGE 93, 352 [358]) და განსაკუთრებით კი – ტარიფის ავტონომიაზე, რომელიც წარმოადგენს კოალიციის მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას. ტარიფის შესახებ ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების მიღწევა კოალიციითა არსებითი მიზანია (BVerfGE 94, 268 [283]). კოალიციების მიერ მოსაწესრიგებელ საკითხებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გასამრჯელოსა და სხვა მატერიალურ სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს (BVerfGE 94, 268 12831).

ბ) ზემოაღნიშნულ დაცვის სფეროში იჭრება გერმანიის III სოციალური კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილი...

გ) თუმცა, აღნიშნული ჩარევა გამართლებულია საკონსტიტუციო-სამართლებრივი გზით ლეგიტიმირებული, საყოველთაო კეთილდღეობის უპირატესი საფუძვლებით.

აა) მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული კოალიციის თავისუფლება მოქმედებს კანონით გათვალისწინებული დათქმის გარეშე, იგი შესაძლოა, შეიზღუდოს საერთო კეთილდღეობიდან გამომდინარე კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნათა დაცვით (BVerfGE 84, 212 [228] და მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). როდესაც არსებობს ასეთი საფუძვლები, მაშინ კანონმდებელს შეუძლია, მოაწესრიგოს ის საკითხები, რომლებიც შესაძლოა იყოს ტარიფის შესახებ ხელშეკრულებების საგანი (BVerfGE 94, 268 [284]).

ძირითად უფლებათა მოქმედება კოალიციის ნებისმიერი საქმიანობის მიმართ არ არის თანაბრად ინტენსიური, არამედ ძლიერდება იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა მონესრიგებაც უმჯობესი და შესაძლებელია ტარიფის შესახებ ხელშეკრულების მხარეების მიერ, ვინაიდან კანონმდებლის წარმოდგენით, მხარეებს უკეთ და უფრო ვეროვნად შეუძლიათ ამ საკითხებთან დაკავშირებული ინტერესების გათანაბრება, ვიდრე – სახელმწიფოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ხელფასებისა და სხვა მატერიალური სამუშაო პირობების დანესებას. რაც უფრო ძლიერია გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, მით უფრო სერიოზული უნდა იყოს ის საფუძველი, რომელიც გაამართლებს აღნიშნული ნორმის სფეროში შეჭრასა და ჩარევას (BVerfGE 94, 268 [284]).

ბბ) გასაჩივრებული ნორმის მიზანი, რომელიც მდგომარეობს დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილების მხარდაჭერით მასობრივი უმუშევრობის დაძლევაში, კონსტიტუციური რანგისაა. კანონმდებელს შეუძლია, დაეყრდნოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი). ამას გარდა, იგი ეხმარება ცალკეულ ადამიანს შრომის შედეგად განავითაროს საკუთარი პიროვნება, მიაღწიოს პატივისცემას საზოგადოებაში და ასევე – საკუთარი თავის პატივისცემასაც. აქედან გამომდინარე, ეს მიზანი ასევე ეფუძნება გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტსა და მე-2 მუხლის პირველ პუნქტს.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოიცავს იმას, რომ კანონმდებელს დაევალოს ამ პრინციპის ფორმულირება (BVerfGE 50, 57 [108]). იგი ავალდებულებს მას, იზრუნოს სოციალური კონტრასტების გათანაბრებისათვის (BVerfGE 22, 180 [204]). ამას გარდა, ავალდებს სახელმწიფოს, იზრუნოს იმ ცალკეული ადამიანისათვის ან ადამიანთა ჯგუფებისათვის, რომელთაც, თავიანთი პირადი ცხოვრებისეული ვითარებიდან ან საზოგადოებრივი დანაკლისიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ პიროვნული თუ სოციალური განვითარება (BVerfGE 45, 376 [387]). საკითხი, თუ როგორ ასრულებს კანონმდებელი აღნიშნულ დავალებას, მისი კომპეტენციაა, ვინაიდან არ არის დაკონკრეტებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი (BVerfGE 1, 97 [105]; მუდმივი სასამართლო პრაქტიკა).

სახელმწიფო დახმარება უმუშევრებისათვის არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ფინანსური დახმარებით, იგი შეიძლება მიმართული იყოს ხელფასების დაფინანსე-

ბის გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ამის საშუალებით უმუშევრობის დაძლევისაკენ. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ამგვარ მისწრაფებებს ანიჭებს ლეგიტიმურ დატვირთვას, რაც ასევე ამართლებს ტარიფის ავტონომიის სფეროში მოქმედ შემზღუდველ შედეგებს.

გასაჩივრებული ნორმით კანონმდებელს სურს ნვლილი შეიტანოს უმუშევრობის დაძლევის საქმეში. იგი, პირველ რიგში, განკუთვნილია ძნელად დასასაქმებელი და, ამრიგად, უმუშევრობის პრობლემისაგან განსაკუთრებით დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად...

ის გასამართლებელი მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს გასაჩივრებული ნორმის შექმნას, დიდი მნიშვნელობისაა. 4 მილიონი უმუშევარი ადამიანის პირობებში სამუშაო ადგილების შექმნა მაღალი სოციალური რანგის მიზანია. უმუშევრობა ადამიანებს ხშირად უქმნის საარსებო კრიზისს. ეკონომიკური პირობების დაკარგვით შესაძლოა, დაქვეითდეს ადამიანის თვითშეფასების უნარი და ზიანი მიადგეს მის პიროვნებას (BVerfGE 84, 133 [155]). იმის განცდამ, რომ ადამიანი აღარ არის საჭირო და თანაც ისეთ საზოგადოებაში, სადაც ცალკეული პიროვნების ფასი, უმეტესწილად, დამოკიდებულია მის პროფესიულ საქმიანობაზე, შესაძლოა, იგი მიიყვანოს სულიერ ტრავმამდე. ყოველივე განსაკუთრებით მძაფრდება გრძელვადიანი უმუშევრობის შემთხვევაში, როდესაც დასაქმებაც განსაკუთრებულად რთულია და, აქედან გამომდინარე, ნაკლები შანსი აქვთ მიიღონ სამუშაო ადგილი. ყოველივე ამის გარდა, დასაქმების ღონისძიებებით შესაძლებელია ფედერაციის ტერიტორიაზე სტრუქტურული უთანასწორობის გათანაბრება.

გასაჩივრებული ნორმების თავისუფლებაში ჩარევის მეტად დაბალი ინტენსიურობისა და საყოველთაო კეთილდღეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათი მიზნების მაღალი მნიშვნელობის გათვალისწინებით, არ მიიჩნევა მოცემულად კოალიციის თავისუფლების არათანაზომიერი შეზღუდვა...

## გ) დემოკრატია

### E – 44, 125

1. სახელმწიფო ორგანოებს კონსტიტუცია უკრძალავს საჯარო ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, არჩევნებთან დაკავშირებით, მიემხრონ პოლიტიკურ პარტიებს, კანდიდატებს და მხარი დაუჭირონ ან დაუპირისპირდნენ მათ სახელმწიფო სახსრების გამოყენებით, განსაკუთრებით კი რეკლამის მეშვეობით გავლენა მოახდინონ ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე.
2. მოქმედი ფედერალური მთავრობის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს, მონაწილეობა განმეორებით არჩევნებში, რათა იგი „მთავრობის სახით კვლავ იქნეს არჩეული“, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ფედერალურ პარლამენტსაც და მთავრობასაც დროში შეზღუდული ამოცანა აკისრიათ.
3. პოლიტიკურ პარტიათა უფლება შანსთა თანასწორობაზე ირღვევა, როდესაც სახელმწიფო ორგანოები მიკერძოებულად ერევიან საარჩევნო პროცესებში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ ან მათ წინააღმდეგ.
4. ასევე დაუშვებელია საზოგადოებრივი საქმიანობის ფარგლებში სახელმწიფო ორგანოთა მიკერძოებული ჩარევა სახალხო წარმომადგენლობის არჩევნებში. მთავრობის საზოგადოებრივი საქმიანობის ზღვარი გადის იქ, სადაც იწყება საარჩევნო რეკლამა.

5. არც ფედერაციის კონსტიტუციურ ორგანოებს აქვთ უფლება, ჩაერიონ ლანდების საარჩევნო საქმიანობაში და არც ლანდების კონსტიტუციურ ორგანოებს აქვთ უფლება, ფედერალური პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით მიკერძოებულად ჩაერიონ საარჩევნო პროცესებში.
6. თუ ამკარაა, რომ ამა თუ იმ ბროშურის ინფორმაციული შინაარსი რეკლამის მიზნით „შეფუთულია“ მისი გარე გაფორმებით, მაშინ ეს შესაძლოა, იყოს იმის მანიშნებელი, რომ დარღვეულია დაუშვებელი საარჩევნო რეკლამის ზღვარი.
7. დაუშვებელი საარჩევნო რეკლამის ზღვრის დარღვევის მანიშნებელი შეიძლება ასევე იყოს არჩევნების ადგილის მახლობლად საზოგადოებრივი საქმიანობის გაზრდა-გააქტიურება, რაც შეიძლება გამოიხატოს საჭიროების გარეშე ცალკეული ღონისძიებების რაოდენობის გაზრდით, მათი მასშტაბურობითა და ამგვარი ღონისძიებებისათვის დამატებითი სახელმწიფო რესურსების გამოყოფით.
8. ფედერალური მთავრობის არჩევნებში ყოველგვარი მიკერძოებული ჩარევის აკრძალვის ვალდებულებიდან გამომდინარეობს მისი სხვა ვალდებულებაც, რომელიც გულისხმობს წინა საარჩევნო პერიოდში მაქსიმალურ თავშეკავებას და ბიუჯეტის ხარჯზე საზოგადოებრივი საქმიანობის სრულად აკრძალვას, რომელიც ხორციელდება სამუშაო პროცესების, მათი შედეგებისა და წარმატებების ამსახველი მოხსენებების ფორმით.
9. ფედერალურმა მთავრობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მათ მიერ საზოგადოებრივი საქმიანობის მიზნით გამოცემული ბროშურები თვითონ პარტიებმა ან მათმა მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა არ გამოიყენონ საარჩევნო რეკლამისათვის.

**მეორე სენატის 1977 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება**  
- 2 BvE 1/76 -

წარმოების საგანია საკითხის განხილვა: ჩაერია თუ არა ფედერალური მთავრობა მის მიერ საზოგადოებრივ საქმიანობად წოდებული ღონისძიებებით 1976 წლის ფედერალური პარლამენტის საარჩევნო პროცესებში და ამით დაარღვია თუ არა განმცხადებლის (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) კონსტიტუციური უფლებები ან უშუალო საფრთხე შეუქმნა მას (კონსტიტუციურ-სახელისუფლებო ორგანოთა დავა გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით)...

გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტიდან და მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

თავისუფალი დემოკრატიის სისტემაში, სადაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის შეიქმნა ძირითადი კანონი, ყველა სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ხორციელდება ხალხის მიერ არჩევნებისა და კენჭისყრის გზით, ასევე – საკანონმდებლო განსაკუთრებული ორგანოების, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)...

არჩევნებს მხოლოდ მაშინ მოსდევს დემოკრატიული ლეგიტიმაცია გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, როდესაც იგი თავისუფალია, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ თვითონ ხმის მიცემის აქტი იყოს თავისუფალი ყველანაირი იძულებისა და უკანონო ზეწოლისაგან, როგორც ამას გერმანიის ძირითადი კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, არამედ იმასაც, რომ ამომრჩევლებმა თავიანთი აზრი და არჩევანი ჩამოაყალიბონ ღია და თავისუფა-

ლი პროცესებისა თუ ინფორმაციის საფუძველზე (იხ: BVerfGE 20, 56 [97])...

გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის არსიდან გამომდინარე, არჩევნების პროცესში უნდა განხორციელდეს ხალხის ნება – სახელმწიფო ორგანოთა მიმართულებით და არა პირიქით, სახელმწიფო ორგანოების ნება – ხალხის მიმართულებით. რამდენადაც სახელმწიფო ორგანოთა ქმედება წარმოშობს გავლენას ამომრჩეველთა აზრისა და ნების ჩამოყალიბებაზე, იმდენად ეკრძალებათ სახელმწიფო ორგანოებს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში განსაკუთრებული ღონისძიებებით შეეცადონ საარჩევნო პროცესებში ჩართვასა და ხალხის ნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მოხდენას, ძალაუფლების შენარჩუნებისა თუ მისი შეცვლის მიზნით. მათ კონსტიტუცია უკრძალავს, საჯარო ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, არჩევნებთან დაკავშირებით, მიემხრონ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს და მხარი დაუჭირონ ან დაუპირისპირდნენ მათ სახელმწიფო სახსრების გამოყენებით, განსაკუთრებით კი რეკლამის მეშვეობით გავლენა მოახდინონ ამომრჩეველთა გადანყვეტილებაზე.

ზემოაღნიშნულისაგან დამოუკიდებლად, მოქმედი ფედერალური მთავრობის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს, განმეორებით მონაწილეობა არჩევნებში, რათა იგი „მთავრობის სახით კვლავ იქნეს არჩეული“, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ფედერალურ პარლამენტსაც და მთავრობასაც დროში შეზღუდული ამოცანა აკისრიათ.

გერმანიის ძირითადი კანონი, როგორც დემოკრატიული სისტემა, ითვალისწინებს, რომ ძირითადი სახელმწიფო გადანყვეტილებები მიღებულ იქნეს უმრავლესობის წესების დაცვით (გერმანიის ძირითადი კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 63-ე მუხლის მე-2-4 პუნქტები, 76-ე მუხლის პირველი პუნქტი, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი)... და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა აირჩა თავისუფალი, ღია, პერმანენტულად განახლებადი აზრისა და ნების ფორმირების პროცესების საფუძველზე, რომელშიც ყველა ამომრჩეველი თანასწორი უფლებებით მონაწილეობდა, თუ ეს უმრავლესობა გადანყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო კეთილდღეობას, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება უმცირესობათა უფლებებსა და ინტერესებს, ასევე არ ართმევს ან უმცირებს მათ იმის შანსს, რომ მომავალში თვითონ გახდნენ უმრავლესობა, ამ უმრავლესობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების განხორციელების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილებები მიიჩნევა ერთიანობის ნებად და ყველა მოქალაქის თავისუფალი თვითგანკარგვის იდეიდან გამომდინარე, საყოველთაო სავალდებულო ძალის მქონედ.

ფინანსური საშუალებები და ვალდებულებები, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს საარსებო წყაროს, როგორც წესი, მომდინარეობს ყველა მოქალაქისაგან, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა. ასევე აღნიშნული საშუალებებიც სახელმწიფომ უნდა მოახმაროს საერთო კეთილდღეობას. ამ მიზანს იგი, როგორც სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფო, ემსახურება მრავალნაირად, განსაკუთრებით კი – პლურალისტური საზოგადოების, მოსახლეობის ჯგუფებისა და მათი სხვადასხვაგვარი ინტერესის მხარდაჭერით, სადაც აღნიშნულთან მიმართებით გათვალისწინებულია გარკვეული ფარგლები, მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პრივილეგიების აკრძალვისას, არ არის საჭირო ზოგადად გადანყვეტილების მიღება. თუმცა, ზემოთ აღნიშნული სავალდებულო ძალა არ ვრცელდება მთელი სახელმწიფოსათვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიც არის სახალხო წარმომადგენლობის არჩევა, სადაც საზოგადოებრიობის მიერ გაღებული სახელმწიფოს ფინანსური საშუალებები და შესაძლებლობები გამოიყენება რომელიმე პოლიტიკური პარტიისა



თუ კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. გერმანიის ძირითადი კანონი ეგუება ხალხის პოლიტიკური აზრისა და ნების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესში, რომელიც გვირგვინდება არჩევნების აქტით, სამართლის მიღმა არსებულ უთანასწორობას ამომრჩეველსა და ასევე – პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. მაგრამ იგი სახელმწიფოს უკრძალავს, საარჩევნო პროცესებში რომელიმე მონაწილისადმი სოლიდარობის გამოვლენით გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ძალებს შორის არსებულ კონკურენციასა და მათ კონკურენტუნარიანობაზე. სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან, იზრუნონ ყველასათვის და არჩევნებისას შეინარჩუნონ ნეიტრალიტეტი.

თუ სახელმწიფო, როგორც ეს ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ალბათ, ხშირად გვხვდება, ერევა საარჩევნო პროცესებში როგორც რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მხარდამჭერი ან მონინალმდევე, მაშინ, დასახელებული მოვალეობების დარღვევის გარდა, ირღვევა არჩევნებისას შანსთა თანასწორობის კონსტიტუციური უფლებაც (გერმანიის ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი და 38-ე მუხლის პირველი პუნქტი).

## დ) სამართლებრივი სახელმწიფო

### აა) კანონისმიერი დათქმა და გათვალისწინება

## E – 8, 274

7. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე შესაბამისი კანონით იმგვარად უნდა იყოს შინაარსით, საგნით, მიზნითა და მოცულობით დაზუსტებული და შეზღუდული, რომ ამგვარი აღმჭურველი ღონისძიებები მოქალაქემ გარკვეულ დონეზე განჭვრიტოს და იყოს ხელმისაწვდომი. აღნიშნული გამომდინარეობს ადმინისტრაციის კანონიერებიდან, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან და სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებიდან, რომელთა მიხედვით, სასამართლოს მიერ განხორციელებული დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევისა და შეზღუდვისაგან უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი.

მეორე სენატის 1958 წლის 12 ნოემბრის განჩინება

- 2 BvL 4, 26, 40/56, 1, 7/57 -

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე შესაბამისი კანონით ისე უნდა იყოს დაზუსტებული და შეზღუდული შინაარსით, საგნით, მიზნითა და მოცულობით, რომ ამგვარი აღმჭურველი ღონისძიებები მოქალაქემ გარკვეულ დონეზე წინასწარ განჭვრიტოს და „გამოთვალოს“ (იხ: BayVfGH 1, 81 [91]; გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 1956 წლის 4 ივლისის განჩინება, BVerwGE 4, 24 [38, 35]).

აღნიშნული გამომდინარეობს ადმინისტრაციის კანონიერების პრინციპიდან და გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების არა მხოლოდ ნებისმიერ, არამედ – შეზღუდულ და კონკრეტულად განსაზღვრულ უფლებამოსილებას, აღმჭურველი ად-

მინისტრაციული აქტების გამოცემასთან დაკავშირებით; ყოველივე ეს კი მიმართულია იმისკენ, რომ საჯარო ხელისუფლების მხრიდან ჩარევა იყოს შეძლებისდაგვარად პროგნოზირებადი. კანონის მეშვეობით უნდა მოხდეს ადმინისტრაციის საქმიანობის შინაარსობრივი ნორმირება და არ შეიძლება იგი შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგადი პრინციპების დანესებით. არ არის საკმარისი კანონით ფორმულირებული, თუმცა, მხოლოდ ფორმალური ხასიათის სავალდებულოება ადმინისტრაციის მიმართ. დაუკონკრეტებელი და არამკაფიოდ განსაზღვრული ზოგადი ხასიათის დაქმნა, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალკეულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს თავისუფლების ფარგლები, არ შეესაბამება ადმინისტრაციის კანონიერების პრინციპს.

ამას გარდა, ზემომითითებული გამომდინარეობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდანაც. თუ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება არ არის საკმარისად ნათლად განსაზღვრული, მაშინ იგი აღარ არის კანონების აღმასრულებელი და კანონმდებლის დირექტივების გამტარებელი, არამედ მათ მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს, რაც არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

და ბოლოს, აღნიშნული ასევე გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებიდან, რომელთა მიხედვითაც, სასამართლოს მიერ განხორციელებული დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევისა და შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, როგორც ეს უზრუნველყოფილია გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით.

ამ ნორმით სასამართლოებისათვის დაკისრებული სამართლებრივი დაცვის ამოცანა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვა დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს. შეზღუდვის უფლებამოსილება კი ამ საფუძვლითაც საჭიროებს სათანადო განსაზღვრასა და დაკონკრეტებას.

## **E – 9, 137**

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნაა, თითოეულმა იცოდეს, რა მოცულობით აქვს ადმინისტრაციას მის უფლებებში ჩარევის უფლებამოსილება; თუმცა, აღნიშნული პრინციპი ადმინისტრაციას არ ავალდებულებს, რომ მან ყოველთვის განხორციელოს შესაძლო ჩარევა და არც იმას ითვალისწინებს, რომ კანონმდებელმა აღწერილობითი ელემენტების ზუსტი განსაზღვრით დააწესოს, თუ როდის შეუძლია ადმინისტრაციას თავი შეიკავოს დასაშვები, ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შედეგის საშუალებით ცალსახად განსაზღვრული ჩარევისაგან.

**მეორე სენატის 1959 წლის 3 თებერვლის განჩინება  
- 2 BvL 10/56 -**

წარმოება ეხება იმპორტის ლიცენზიის დაუსაბუთებელი გამოუყენებლობის აღმოფხვრის შესახებ 1951 წლის 27 დეკემბრის გერმანიის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის გერმანიის ძირითად კანონთან შესაბამისობის საკონსტიტუციო-სამართლებრივ განხილვას.

1951 წლის 27 დეკემბრის გერმანიის კანონი იმპორტის ლიცენზიის დაუსაბუთებელი გამოუყენებლობის აღმოფხვრის შესახებ

მუხლი პირველი

(1) იმ შემთხვევაში, თუ საიმპორტო საქმიანობის ფარგლებში გაცემული ლიცენზია სრულად ან ნაწილობრივ არ გამოიყენება, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ლიცენზიის მიმღებს დააკისროს ფულადი ჯარიმა.

(2) – (4) ...

მუხლი მე-4

(1) ფულადი ჯარიმა უნდა დაინიშნოს და განისაზღვროს ლიცენზიის მოქმედების გასვლის შემდეგ, არა უგვიანეს 2 თვისა, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

(2) გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ გერმანიის კანონის 131-ე მუხლის შემთხვევაში ფულადი ჯარიმა შეიძლება არ განისაზღვროს, თუ ლიცენზიის სრული ან ნაწილობრივი გამოუყენებლობა არ არის გამომწვეული მისი მიმღების ბრალეულობით.

(3) ფულადი ჯარიმის სახით შემოსულ თანხებს განკარგავს ფედერაცია.

ძირითადი პრეტენზია, რაც გაცხადდა ზემოთ მოყვანილი ნორმების მიმართ, მდგომარეობს მათ ფორმულირებაში, კერძოდ – ადმინისტრაციისათვის „მისი შინაგანი რწმენის მეტად ფართო ასპარეზის მინიჭების“ წინააღმდეგ, რაც გამოხატულია პირველი მუხლის პირველ პუნქტსა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვებით: „შეუძლია“ და „შეიძლება“.

თუმცა, აღნიშნული პრეტენზიები ვერ ითვალისწინებს, თუ საით არის მიმართული ადმინისტრაციის „შინაგანი რწმენის ასპარეზი“ და რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციისათვის ამ ასპარეზის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციას შეუძლია, იმოქმედოს სრულიად თავისუფლად, მხოლოდ საკუთარი მიხედვლების მიხედვით.

კანონის პირველი მუხლი ადმინისტრაციას არ აკუთვნებს უფლებაში ჩარევის ფორმისა და მოცულობის საკუთარი შინაგანი რწმენით განსაზღვრის უფლებამოსილებას, არამედ ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციას, განახორციელოს თუ არა კანონით ცალსახად მონესრიგებული ჩარევის შესაძლებლობა. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი არ შეიცავს ადმინისტრაციის მიერ პირის უფლებაში ჩარევის უფლებამოსილებას, არამედ ადმინისტრაციას ანიჭებს უფლებას, ცალკეულ შემთხვევაში პირის სასარგებლოდ თქვას უარი კანონით გათვალისწინებული ჩარევის განხორციელებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციას ენიჭება შინაგანი რწმენის გამოყენების შესაძლებლობა, იგი ვალდებულია, იმოქმედოს თავისი მოვალეობების გათვალისწინებით და აღნიშნული შესაძლებლობა გამოიყენოს კანონის მიზნებისათვის და მის ფარგლებში. სამართლის ასეთი გამოყენება გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს სავალდებულო პრინციპებიდან და განსაკუთრებით – თანასწორობის პრინციპიდან. შინაგანი რწმენის არასწორი გამოყენება ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ შემოწმებას. სასამართლოების ამოცანაა ასევე მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დავის შემთხვევაში განმარტოს მცნება „მიმღების ბრალეულობა“.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნების მიხედვით, ადმინისტრაციას მხოლოდ მაშინ აქვს თითოეულის სამართლებრივ სფეროში ჩარევის უფლება, როდესაც მას კანონი ანიჭებს ასეთ უფლებამოსილებას. ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილება საკმარისად განსაზღვრული და შეზღუდული უნდა იყოს მისი შინაარსის, საგნის, მიზნისა და მოცულობის მიხედვით, რათა ცალკეული

პირის უფლებაში ადმინისტრაციის ჩარევისას პირს გარკვეულ დონეზე შეეძლო მისი განჭვრეტა და გათვლა (იხ: BVerfGE 8, 276 [325]). ფორმულირების - „შეიძლება“ ან „შეუძლია“ კანონში გამოყენება, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციას ენიჭება ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევის უფლებამოსილება, შეესაბამება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთმიმართებას სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში: საკანონმდებლო ხელისუფლების ძალაუფლება იზრდება მისთვის უფლებამოსილების მინიჭებით, რომლის საფუძველზეც მას შეუძლია იმის გაკეთება, რაც არ შეეძლო ამ უფლებამოსილების მინიჭებამდე. აქედან გამომდინარე, უფლებამოსილების მიმნიჭებელ ნორმებში უმეტესად ვხვდებით ფორმულირებას, რომ ადმინისტრაციას „შეუძლია“ გარკვეული ზომების მიღება.

სამართლებრივი სახელმწიფოს პერსპექტივით, არსებითი მნიშვნელობა აქვს, საკმარისად ნათლად იყოს გათვალისწინებული, თუ რისი უფლება ენიჭება ადმინისტრაციას, რაც არ არის დარღვეული იმპორტის ლიცენზიის დაუსაბუთებელი გამოუყენებლობის აღმოფხვრის შესახებ 1951 წლის 27 დეკემბრის გერმანიის კანონის პირველი მუხლით. აქ ადმინისტრაციას არ ენიჭება „უფლებაში თავისუფალი ჩარევის უფლებამოსილება“, მას აქვს უფლება, თავისუფლად განსაზღვროს, განახორციელოს თუ არა ცალკეულ შემთხვევაში კანონით ზუსტად გათვალისწინებული ჩარევა. ფულადი ჯარიმის დანესება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, „თუ ... არ მოხდება საიმპორტო საქმიანობის ფარგლებში გაცემული ლიცენზიის გამოყენება“. საიმპორტო ლიცენზიის ცნება განმარტებულია კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რაც გამორიცხავს აღნიშნულთან დაკავშირებით გაუგებრობების წარმოშობას. ასევე ნორმის შემადგენელი ელემენტი - ლიცენზიის „გამოუყენებლობა“ ნათლად არის მოხაზული, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აძლევს თავისუფალი შეფასება-განმარტების უფლებას და დავის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სასამართლოებს ანიჭებს გადაამოწმების შესაძლებლობას. სამართლებრივი შედეგიც ისევე მკაფიოდ არის მონესრულებული, როგორც იმ ფაქტობრივი ელემენტების გამიჯვნა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ფულადი ჯარიმის დაკისრება. ფულადი ჯარიმის ოდენობა ცხრილის სახით მოცემულია კანონის მე-2 მუხლში, რაც ადმინისტრაციას ამ შემთხვევაშიც არ ანიჭებს გადაწყვეტილების თავისუფლებას.

კანონმდებელს, როდესაც იგი ადმინისტრაციას ანიჭებს ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევის უფლებამოსილებას, შეუძლია ასევე გაითვალისწინოს, რომ ადმინისტრაციამ ეს ჩარევა აუცილებლად უნდა განახორციელოს ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. თუმცა, უფლებაში ჩარევის უფლებამოსილების ამგვარ ფორმულირებას არ ითხოვს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი. საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს სამართლებრივი მოსაზრება მიგვიყვანდა იმ შედეგამდე, რომ იმპორტის ლიცენზიის დაუსაბუთებელი გამოუყენებლობის აღმოფხვრის შესახებ 1951 წლის 27 დეკემბრის გერმანიის კანონის პირველი მუხლი კონსტიტუციურად მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართული, თუ იგი ადმინისტრაციას დაავალდებულებდა ფულადი ჯარიმის დაკისრებას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული იქნებოდა ნორმის ფაქტობრივი ელემენტები. აქედან გამომდინარე, უფლებაში ჩარევის ვალდებულება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისათვის უფრო შესატყვისი იქნებოდა, ვიდრე - უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაცია მხოლოდ მაშინ განახორციელებს ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევას, როდესაც ამგვარი ღონისძიება, ადმინისტრაციის მოვალეობებზე დამყარებული

შინაგანი რწმენის შესაბამისად, აუცილებელია ადმინისტრაციის საქმიანობის მიზნების რეალიზებისათვის. სამართლებრივი სახელმწიფო სწორედ ცალკეულ ადამიანს იცავს საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან.

როდესაც კანონმდებელი ადმინისტრაციის ჩარევის უფლებამოსილებას აყალიბებს „შესაძლებლობის“ სახით, ამით იგი ადმინისტრაციას აღნიშნულ ჩარევას უწესებს როგორც საშუალებას, რომლის დახმარებითაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია თავისი მიზნების რეალიზება. თუმცა, ამით კანონმდებელი არ აიძულებს ორგანოს, ფაქტობრივ გარემოებათა არსებობის ყველა შემთხვევაში განახორციელოს ამგვარი ჩარევა, ვინაიდან სწორედ კანონმდებლის პოზიციითა და აზრით, ადმინისტრაცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად ყოველთვის არ საჭიროებს ასეთი აღმჭურველი ღონისძიებების გატარებას. შესაბამისად, იგი ზღუდავს ჩარევის შემთხვევებს და მიუთითებს ადმინისტრაციის მოვალეობებზე დამყარებულ შინაგან რწმენაზე. ადმინისტრაციამ კი, ყველა გარემოებისა და სამართალგამოყენებისას მოქმედი თანასწორობის ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით, უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენებს თუ არა მისთვის მინიჭებულ შესაძლებლობას. ადმინისტრაციისათვის გადაწყვეტილების თავისუფლების მინიჭება, რათა მან გადაწყვიტოს, სურს თუ არა კანონმდებლის მიერ მისთვის მკაფიოდ მოხაზული უფლებამოსილების (შეზღუდვის) განხორციელება, შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. აღნიშნული ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთმიმართების შესატყვისია და განსაკუთრებით კი – შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს მიერ თითოეულისადმი მინიჭებულ თავისუფლებას საჯარო ხელისუფლების არასაჭირო ჩარევების მიმართ. ამგვარი ნორმები ასევე შეესაბამება მიზანშეწონილობის პრინციპს, რომელიც დომინირებს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში... ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სამართლებრივი მდგომარეობა არ განსხვავდება იმ ვითარებისაგან, როცა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობის გამოყენება.

## **E – 17. 306**

### **სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები კანონმდებლის შესახებ პირველი სენატის 1964 წლის 7 აპრილის განჩინება**

აღნიშნულ დებულებებში წარმოდგენილი განსაზღვრება ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს. სადავო ნორმები ანესრიგებს მსუბუქი ავტომანქანებით მგზავრების გადაყვანისას ექსპლუატაციის ხარჯებზე მაღალი საერთო საზღაურის მოთხოვნის აკრძალვას იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი და მისი მგზავრი ერთმანეთს დაუკავშირდნენ საჯარო კომუტატორის ან რეკლამის მეშვეობით. ამ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში ნორმა ითვალისწინებს სანქციას.

აკრძალვა არღვევს მსუბუქი ავტომანქანის მესაკუთრეთა და სხვა განმკარგავების გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად უფლებას.

1. აკრძალვა ზღუდავს კერძო ავტომობილის მფლობელის მოქმედების ზოგად თავისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფილია გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით. იმისათვის, რომ ამგვარი აკრძალვა გამართლებული

იყოს, იგი უნდა თავსდებოდეს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში, რაც შესაძლოა, მოცემული იყოს „კონსტიტუციური ნესრიგის“ შეზღუდვის სახით. შესაბამისად, უფლების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს ე.წ. კონსტიტუციური ნესრიგის ნაწილი ანუ იგი ფორმალურად და შინაარსობრივად (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებს გარეთაც) სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას (იხ: BVerfGE 6, 32 [36, 41]).

2. აღნიშნული აკრძალვა არ ენიშნა დედას საკონსტიტუციო სამართლის კონკრეტულ ნორმას. თუმცა, იგი შეუსაბამოა კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპთან, კერძოდ – სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, მოქალაქის პიროვნული თავისუფლების უპირატესობის ვარაუდთან ერთად, როგორც ეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტშია მოცემული, მოითხოვს თითოეულის დაცვას საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული არასაჭირო, ზედმეტი შეზღუდვებისაგან; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უფლების ამგვარი ხელყოფა გამოწვეულია კანონით გათვალისწინებული პრინციპისა თუ აკრძალვის აუცილებლობით, მაშინ სავალდებულოა, მოქალაქეს განემარტოს მისი წინაპირობები და მისთვის გასაგები ფორმით მიენოდოს (იხ: BVerfGE 9, 137 [147, 149]). ამასთან, რაც უფრო მეტად ეხება კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა ადამიანის თავისუფალი მოქმედების გამოვლენის ელემენტარულ ფორმას, მით უფრო ზედმინევენითა და სიფრთხილით უნდა მოხდეს მოქალაქის თავისუფლების, უფლების, როგორც ძირითადი პრინციპისა, და აღნიშნული შეზღუდვის განამართლებელი საფუძვლების ურთიერთმეფარდება. ყოველივე აღნიშნული, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ შეზღუდვის საშუალებები შეესაბამებოდეს კანონით გათვალისწინებულ მიზანს და ზედმეტად არ ზღუდავდეს ცალკეულ მოქალაქეს.

3. მითითებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ნორმა არ აკმაყოფილებს დასახელებულ მოთხოვნებს.

ა) კანონით გათვალისწინებული აკრძალვის წინაპირობები და მისი შინაარსი იმდენად ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შეზღუდვის შესაძლო ადრესატებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, შეიცნონ შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობა და იმოქმედონ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე. თუმცა, ცხადია, რომ კანონის ნორმა თავიდანვე ვერ გამოიცხადეს ყველანაირ ეჭვებსა და გაუგებრობას. მაგრამ კანონმდებლის მოეთხოვება, რომ მან სრულიად ნათლად გადმოსცეს თავისი, როგორც კანონმდებლის, ნების მიზანი და ძირითადი მიმართულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება შედარებით მარტივი და ადვილად მოსაგვარებელი ცხოვრებისეული საკითხების მონესრიგებას, რომელიც არ საჭიროებს კანონის რთულ, კომპლექსურ ფორმულირებას და რომლის განსაზღვრაც შესაძლებელია ნორმის შემადგენელი მარტივი ელემენტებით. მოცემულ შემთხვევაში ყოველივე აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. პირთა ტრანსპორტირებისა და გადაყვანის შესახებ გერმანიის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი კანონს უქვემდებარებს საჯარო კომუტატორის მეშვეობით უზრუნველყოფილ დამგზავრების შესაძლებლობას ანუ ასეთი მგზავრობისთვის წარმოშობს ნებართვის ვალდებულებას. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს ნებართვის გაცემის წინაპირობებს, პროცედურასა და ფორმას. კანონის 46-ე და 49-ე მუხლების თანახმად, საერთოდ შეუძლებელია ამგვარი სახის მგზავრობაზე ნებართვის გაცემა. კანონის შინაარსის ასეთი ურთიერთგამომრიცხავი ელემენტები წარმოშობს გარკვეულ დაეჭვებას ზემოაღნიშნული სახის მგზავრობის სამართლებრივ განხილვა-დამუშავებასთან დაკავშირებით.

გერმანიის ფედერალური მთავრობის აზრით, მგზავრობის ამგვარი სახეობა [ფასიანი დამგზავრება] ექვემდებარება ნებართვის აუცილებლობას, რომლის გაცემაც,

მთავრობის აზრით, შესაძლებელია; თუმცა, სასამართლოები ამგვარი ნებართვის გაცემას, ზემოთ აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, აკრძალულად მიიჩნევენ. მთავრობასა და სასამართლოებს შორის გამართული დავა არ შეიძლება ტვირთად დაანეგეს ცალკეულ მოქალაქეს, რომელიც ფედერალური მთავრობის მოსაზრების გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლოა, აღმოჩნდეს სისხლისსამართლებრივი დევნის საფრთხის წინაშე, კერძოდ – ამ დევნის ობიექტი.

## **E – 48, 210**

1. საშემოსავლო გადასახადის შესახებ გერმანიის კანონის 34გ მუხლის მე-3 პუნქტი იმ შემთხვევაში შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს, თუ ფედერალური ერთეულების ფინანსთა სამინისტროები, ფინანსთა ფედერალური მინისტრის თანხმობით, სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლებენ უცხო ქვეყნის შემოსავლებს საშემოსავლო გადასახადისაგან ან გაითვალისწინებენ გადასახადის ერთიან თანხას, თუ ეს მიზანშეწონილია სახალხო-სამეურნეო საფუძვლებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე.  
„სახალხო-სამეურნეო საფუძვლები/პრინციპები“, შინაარსობრივი მიმართების, მიზნისა და ჩამოყალიბების ისტორიის გათვალისწინებით, საკმარისად არის დაკონკრეტებული საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონის 34გ მუხლის მე-3 პუნქტში.
2. მოთხოვნები გადასახადის შემამსუბუქებელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლებამოსილების განსაზღვრასთან დაკავშირებით ნაკლებად მკაცრია, ვიდრე – უფლების შემზღუდველი ადმინისტრაციული აქტების გამოცემის უფლებამოსილების შემთხვევაში, ვინაიდან უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია შემზღუდველი ადმინისტრაციული აქტის მიმართება გერმანიის ძირითად კანონთან. ეს კი მოქმედებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი სახის უფლებამოსილება გულისხმობს გამონაკლისი შემთხვევების მონესრიგებას ისე, რომ ხელშეუხებელი რჩება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების თანაბარი განაწილებისა და განვრცობის პრინციპი და ასევე არ იწვევს საკონკურენტო პირობების დარღვევას.

**მეორე სენატის 1978 წლის 19 აპრილის განჩინება**  
- 2 BvL 2/75 -

ფედერალური ფინანსური სასამართლოს მოსაზრების სანინაალმდეგოდ, რომელიც ასახულია 1966 წლის 13 იანვრის IV 166/61 (BFH 85, 399) გადაწყვეტილებაში, ზემოთ აღნიშნული კანონის ნორმა აკმაყოფილებს იმ წინაპირობებს, რომლებსაც გერმანიის ძირითადი კანონი ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადასახადის შემსუბუქების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

1. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი) გამომდინარეობს საკანონმდებლო დათქმის პრინციპი, რომელიც მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სამართლით დამკვიდრებული მოქალაქის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვასა და უზრუნველყოფას. ადმინისტრაციის უფლებამოსილების კანონით გათვალისწინებას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ

კანონმდებელმა მიიღოს ისეთი ძირითადი და პრინციპული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის სფეროს. აღნიშნულ მოთხოვნას შეესაბამება სამემოსავლო გადასახადის შესახებ გერმანიის კანონის 34 მუხლის (პირველი ალტერნატივა) მე-3 პუნქტი. ვინაიდან კანონმდებელმა თავად მოახდინა გადასახადის შემსუბუქების ძირითადი წინაპირობების ნორმირება, გადასახადისაგან განთავისუფლების ან გადასახადის ერთიანი თანხის განსაზღვრის წინაპირობაა, რომ ამგვარი ღონისძიება მიზანშეწონილი იყოს „სახალხო-სამეურნეო საფუძვლებიდან/პრინციპებიდან გამომდინარე“.

2. აღნიშნული უფლებამოსილების საგანი, შინაარსი, მიზანი და მასშტაბიც ასევე შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს, ვინაიდან ისინი საკმარისად მკაფიოდაა განსაზღვრული და იმავდროულად – შეზღუდული (იხ: BVerfGE 8, 274 [326-დან]; 13, 153 [161-დან]). და ბოლოს: აღნიშნული უფლებამოსილება ასევე შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს გადასახადის ვალდებულების თანასწორი განაწილების პრინციპს და, აქედან გამომდინარე – საგადასახადო სამართლიანობას.

ა) კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსაზღვრის მასშტაბი არ არის ზოგადი და ერთიანი ყველა შემთხვევისათვის, არამედ დამოკიდებულია მოსაწესრიგებელი სფეროს თავისებურებებზე, განსაკუთრებით კი იმაზე, თუ რა მასშტაბით, ფორმითა და ინტენსიურობით ზღუდავს ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება ადამიანის ძირითად უფლებებს. საშემოსავლო გადასახადის შესახებ გერმანიის კანონის 34 მუხლის მე-3 პუნქტი არ წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულების დამამკვიდრებელ ნორმას და, შესაბამისად, არ ანიჭებს ადმინისტრაციას მავალელებელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლებამოსილებას. პირიქით: აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ადმინისტრაციის უფლებამოსილებას, შესაბამისი ზომები მიიღოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესამსუბუქებლად. თუმცა, აღიარებულია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, ამგვარი უფლებამოსილების მინიჭებისას კანონისმიერი დათქმით გამოწვეული კანონმდებლისა და ადმინისტრაციის სამოქმედო სფეროთა გამიჯვნის აუცილებლობის გათვალისწინებითა და საგადასახადო სამართლიანობის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, სავალდებულოა კანონის ზუსტი განსაზღვრა (იხ: BVerfGE 23, 62 [73]). შესაძლოა, საგადასახადო სამართალში გადასახადის შემსუბუქება და გამკაცრება ერთმანეთთან მიახლოებულია, მაგრამ რაც შეეხება კანონის ზუსტი განსაზღვრის სავალდებულობის მასშტაბს, იგი პირის მდგომარეობის შემსუბუქების უფლებამოსილების განსაზღვრისას უფრო მცირეა, ვიდრე – მისი უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების გათვალისწინებისას, ვინაიდან ბევრად დიდია და არსებითი მისი მიმართება და გავლენა ადამიანის ძირითად უფლებებზე. ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც უფლებამოსილება აწესრიგებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებს და, აქედან გამომდინარე, ხელშეუხებელი რჩება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების თანაბარი განაწილებისა და განვრცობის პრინციპი და ასევე გამოირიცხება საკონკურენტო პირობების დარღვევა.

ბ) კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ზუსტი განსაზღვრის ვალდებულება კანონმდებელს არ ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ მან ნორმის ფორმულირებისას გამოიყენოს ზოგადი სახის დათქმები ან განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები. ნიშანდობლივია, რომ განსაკუთრებით საგადასახადო სამართალში კანონმდებელი ვერაფერს გახდება მათი გამოყენების გარეშე, რო-



დესაც მისი მიზანია კანონის ფორმულირებით საფინანსო – ადმინისტრაციული ორგანოებისათვის უზრუნველყოს მათ მიერ ცალკეული შემთხვევის თავისებურებებისა და კონკრეტული საკითხების გადაჭრის შესაძლებლობა და ამით ასევე განახორციელოს და დაიცვას გადასახადის გადამხდელის ძირითადი უფლებები.

აღნიშნული საფუძვლიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საგადასახადო სამართლის სფეროში დასაშვები და გამართლებულია კანონმდებლის მიერ საფინანსო – ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გარკვეული დოზით ქმედების თავისუფალი ასპარეზის მინიჭება.

3. ა) მცნება „სახალხო-სამეურნეო საფუძველი“ არ წარმოადგენს „ზოგადი ხასიათის ბუნდოვან დათქმას“, რომელიც, ფედერალური საფინანსო სასამართლოს აზრით (BFH 85, 399) „მოიაზრებს ყველა გარემოებას, რომელსაც უშუალო ან ირიბი გავლენა აქვს ეკონომიკაზე, ასევე – ინდივიდუალური მეურნეობის ყველა მიმართებასა და ვალდებულებებზე მათი ტერიტორიული ერთეულების მასშტაბით და ამ ყველაფრის ერთიანობას გამოხატავს ერთიან ვალუტაში“. შესაბამისად, ამ მოსაზრების თანახმად, აღნიშნული მცნება იმდენად მრავალშრიანი და მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მისი განჭვრეტა.

ზემოთ აღნიშნული განმარტება არ ითვალისწინებს იმას, რომ საშემოსავლო გადასახადის შესახებ გერმანიის კანონის 34გ მუხლის მე-3 პუნქტი მხოლოდ ისეთ სახალხო-სამეურნეო საფუძველს გულისხმობს, რომელიც არ არის სპეციფიკური ეკონომიკური ხასიათისა. ამას გარდა, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გადასახადის შემსუბუქება დამოკიდებულია იმაზე, რომ იგი ამგვარი საფუძველით და არა პირადი და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით იყოს ასევე მიზანშეწონილი.

## **E – 49, 89**

1. საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპიდან არ შეიძლება გამომდინარეობდეს პარლამენტისა და მისი გადანყვეტილებების უპირატესობა ხელისუფლების სხვა შტოთა მიმართ.
2. ნორმატიული ფუნდამენტური გადანყვეტილებები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების დასაშვებად ან მის წინააღმდეგ მოქალაქეებზე და განსაკუთრებით მათი თავისუფლებისა და თანასწორობის, მათი ზოგადი ცხოვრებისეული პირობების სფეროებზე დიდი გავლენისა და მნიშვნელობის, ხოლო ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარ დებულებათა ხასიათისა და ინტენსიურობის გამო, წარმოადგენს ფუნდამენტურ და არსებით გადანყვეტილებას კანონისმიერი დათქმის გაგებით. ამგვარი გადანყვეტილებების მიღება მხოლოდ კანონმდებლის კომპეტენცია და პრეროგატივაა.
3. თუ კანონმდებელმა მიიღო ისეთი გადანყვეტილება, რომლის საფუძველიც მოვლენათა ახლებური და კანონის მიღების დროისათვის არაპროგნოზირებადი განვითარების შედეგად არსებითად დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, კანონმდებელი, კონსტიტუციიდან გამომდინარე, შესაძლოა ვალდებული იყოს გადაამოწმოს, უნდა შენარჩუნდეს თუ არა თავდაპირველი გადანყვეტილება შეცვლილი ვითარებისა და გარემოებების პირობებში.
4. ისეთ ვითარებაში, როდესაც ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ზუსტად განსაზღვრული, პირველ რიგში, კანონმდებლისა და მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებ-

ლობის საგანია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნშენილია მიზნით. ამგვარ ვითარებაში სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს, თავისი შეფასებებით დაიკავოს ამ საკითხების გადაჭრაზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ორგანოების ადგილი, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს სამართლებრივი მასშტაბები.

5. ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის ლია ფორმულირება მიზნად ისახავს ძირითად უფლებათა დინამიკურ დაცვას. იგი, თავის მხრივ, ასევე უზრუნველყოფს იმავე კანონის პირველი მუხლის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაცვის მიზნის სრულყოფილ განხორციელებას.
6. კანონმდებლისაგან, მის მიერ შემუშავებულ დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ისეთი დებულების მიღების მოთხოვნა, რომელიც აბსოლუტური გარანტიის სახით გამორიცხავს ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საფრთხის წარმოქმნას, რომელიც შესაძლოა, გამომდინარეობდეს ტექნიკური მონოპოლიზა-დანადგარებისა და მათი ექსპლუატაციისგან, წარმოადგენს ადამიანური შემეცნების უნარის გაუაზრებლობასა და შეუგნებლობას. ამას გარდა, იგი აღკვეთდა სახელმწიფოს მხრიდან ტექნიკის გამოყენების დაშვების შესაძლებლობას. სოციალური წესრიგისა და სისტემის დამკვიდრება-მონოპოლისს შესაბამისად უნდა შემოვიფარგლოთ პრაქტიკული გონებრივი შეფასებებითა და განჭვრეტის უნარით. პრაქტიკული გონების ზღურბლს მიღმა არსებული გაურკვეველობები გარდაუვალია და იგი, როგორც სოციალურად ადეკვატური, შესაბამისი ტვირთი უნდა იტვირთოს ყველა მოქალაქემ.

### მეორე სენატის 1978 წლის 8 აგვისტოს განჩინება - 2 BvL 8/77 -

ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საქმეზე, რამდენადაც აღნიშნული დებულება საერთოდ ითვალისწინებს ატომური ელექტროსადგურის განსაკუთრებული სახეობის - სწრაფი ნეიტრონების მქონე გამამრავლებელ რეაქტორთან ე.წ. „ბრაიდერთან“ დაკავშირებული ნებართვის გაცემის შესაძლებლობას.

საქმის განმხილველი სასამართლოს მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ნორმა იმდენად ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ნინადადება), საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები) და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი), რამდენადაც იგი ითვალისწინებს სწრაფი ნეიტრონების მქონე გამამრავლებელი რეაქტორისათვის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას.

ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლი შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს (კონსტიტუციას).

1. ა) გერმანიის ძირითადი კანონი პარლამენტს არ აკუთვნებს ყოვლისმომცველ უპირატესობას (პრინციპს) არსებითი გადაწყვეტილებების მიღებისას, არამედ ანესებს მისი (პარლამენტის) უფლებამოსილების ფარგლებს ხელისუფლების სხვადასხვა განმტოებისთვის შესაბამისი კომპეტენციების მინიჭებით. მასშტაბური, არსებითი შედეგების მქონე და ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, მაგალითად, როგორცაა სახელმწიფო პოლიტიკის ხაზისა და ძირითადი მიმართულებე-

ბის განსაზღვრა ფედერალური კანცლერის მიერ (გერმანიის ძირითადი კანონის 65-ე მუხლის პირველი წინადადება), პარლამენტის დაშლა (გერმანიის ძირითადი კანონის 68-ე მუხლი), საკანონმდებლო კრიზისის გამოცხადება (გერმანიის ძირითადი კანონის 81-ე მუხლი) და ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პრეროგატივას საგარეო პოლიტიკის სფეროში, მაგალითად, დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებას, განახლებას ან შეწყვეტას, გერმანიის ძირითადი კანონი ითვალისწინებს სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციათა ფარგლებში. გერმანიის პარლამენტს კი, რომელიც შესაძლოა, უკმაყოფილებას გამოთქვამდეს ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მინიჭებული აქვს მხოლოდ ზედამხედველობის უფლებამოსილება. თუმცა, გერმანიის პარლამენტს აქვს შესაძლებლობა, აუცილებლობის შემთხვევაში აირჩიოს სხვა, ახალი ფედერალური კანცლერი და ამით მიაღწიოს ფედერალური მთავრობის შეცვლას. ამას გარდა, გერმანიის პარლამენტს შეუძლია, გამოიყენოს თავისი კომპეტენციები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონი მას არ ანიჭებს ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტის კომპეტენციასა და უფლებამოსილებას. სახელმწიფო ძალაუფლების განაწილებისა და დაბალანსების კონკრეტული სისტემა, როგორც ამას ითვალისწინებს გერმანიის კონსტიტუცია, არ შეიძლება დაირღვეს ან დაქვემდებარებული გახდეს დემოკრატიის პრინციპის მცდარი განმარტების შედეგად მიღებული ძალაუფლების მონოპოლიის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს პარლამენტის ყოველმხრივ დამატყვევებას. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ყველა წევრს პირდაპირ ირჩევს ხალხი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ინსტიტუტები და ფუნქციური ერთეულები მოკლებულნი არიან დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები ინსტიტუციურ და ფუნქციურ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას იღებენ კანონმდებლის მიერ გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბ) წინამდებარე შემთხვევაში საქმე ეხება კანონშემოქმედების სფეროს ანუ იმ სფეროს, რომლის მიმართაც გერმანიის ძირითადი კანონი ითვალისწინებს კომპეტენციათა განაწილებას. ამ შემთხვევაში ზოგადი კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ისეთი სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, რომლებიც არსებითად ეხება მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის უფლებებს, სავალდებულოა შესაბამისი კანონისმიერი [და არა ნორმატიული]<sup>21</sup> საფუძვლის არსებობა.

2. ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლი არ ეწინააღმდეგება კანონისმიერი დათქმის პრინციპს.

ა) თუმცა, კონსტიტუცია სიტყვიერად არ იხსენიებს კანონისმიერი დათქმის პრინციპს, მაგრამ იგი გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტიდან (იხ: BVerfGE 40, 237 [248]). აღნიშნული პრინციპის გაგება უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიცვალა, განსაკუთრებით მისი დემოკრატიული კომპონენტების შეცნობის შედეგად. დღეისათვის კი მართლმსაჯულების დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კანონმდებელი ვალდებულია, „უფლების შეზღუდვის“ ნიშნის არსებობის მიუხედავად, თვითონ მიიღოს ყველა არსებითი გადაწყვეტილება ფუნდამენტურ ნორმატიულ სფეროში, განსაკუთრებით კი – ძირითად უფლებათა განხორციელების სფეროში, თუკი იგი საერთოდ ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ

<sup>21</sup> კანონისმიერი დათქმა გულისხმობს ძირითადი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონით და არა – რომელიმე სხვა ნორმატიული აქტით. კანონისმიერი დათქმა არსებობს ზოგადი და განსაკუთრებული.

მონესრიგებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტი და 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება და ასევე განსაკუთრებული კანონისმიერი დათქმები არის აღნიშნული ზოგადი კანონისმიერი დათქმის გამოვლინება.

ის, თუ კანონისმიერი დათქმის პრინციპის მიხედვით, რომელ სამოქმედო სფეროში რამდენად არის სავალდებულო სამართლებრივი საფუძვლის არსებობა ფორმალური კანონის სახით, შესაძლებელია მხოლოდ დადგინდეს ცალკეული სფეროსა და დაგეგმილი ან შემუშავებული დებულების ინტენსიურობის მიხედვითა და საფუძველზე. კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმები აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის ფუნდამენტური პრინციპებიდან, განსაკუთრებით კი – ძირითადი კანონით აღიარებული და დამკვიდრებული ძირითადი უფლებებიდან.

იმავე მასშტაბებით ფასდება ისიც, თვითონ უზრუნველყო თუ არა კანონმდებელმა შესაძლებლად წარდგენილი ნორმით ყველა არსებითი ნორმატიული საფუძვლის დანესება, როგორც ამას კანონისმიერი დათქმის პრინციპი ითვალისწინებს და ხომ არ დაუქვემდებარა მათი მონესრიგება, მაგალითად, ადმინისტრაციას.

ბ) ნორმატიული ფუნდამენტური გადაწყვეტილებები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების დასაშვებად ან მის წინააღმდეგ მოქალაქეებსა და განსაკუთრებით – მათი თავისუფლებისა და თანასწორობის, მათი ზოგადი ცხოვრებისეული პირობების სფეროებზე დიდი გავლენისა და მნიშვნელობის, ხოლო ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ამგვარ დებულებათა ხასიათისა და ინტენსიურობის გამო, წარმოადგენს ფუნდამენტურ და არსებით გადაწყვეტილებას კანონისმიერი დათქმის გაგებით. ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ კანონმდებლის კომპეტენცია და პრეროგატივაა.

იგივე ვრცელდება ნორმებზე, რომლებიც, ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, ითვალისწინებენ დანადგარების თაობაზე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ ნებართვის გაცემას. ამგვარი დანადგარების თაობაზე ნებართვის გაცემა ან ნებართვაზე უარი წარმოადგენს ისეთ ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც შესაძლოა, მკვეთრად შეეხოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებების სფეროს...

გ) თუმცა, ზემოთ აღნიშნულით ჯერ არაფერი თქმულა იმასთან დაკავშირებით, თუ, საერთოდ, რამდენად და როდის უნდა დაანესოს კანონმდებელმა სწრაფი ნეიტრონების მქონე გამამრავლებელი რეაქტორის შექმნისა და ექსპლუატაციის სამართლებრივი წინაპირობები.

თუ კანონმდებელმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველიც მოვლენათა ახლებური და კანონის მიღების დროისათვის არაპროგნოზირებადი განვითარების შედეგად არსებითად დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, შესაძლებელია იგი, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ვალდებული იყოს გადაამოწმოს, უნდა შენარჩუნდეს თუ არა თავდაპირველი გადაწყვეტილება შეცვლილი ვითარებისა და გარემოებების პირობებში.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით ხარვეზს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ კანონმდებელმა სწრაფი ნეიტრონების მქონე გამამრავლებელი ტექნიკის გამოყენებასა და მის შედეგებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიცაა ნარჩენების უტილიზაციის საკითხი, ჯერ კიდევ არ ჩათვალა საჭიროდ და აუცილებლად, რომ ნორმა „გადაემუშაებინა“.

3. ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ასევე არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას კანონის სათანადო განსაზღვრის თაობაზე.

ატომური ენერჯიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ფართო მასშტაბით იყენებს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებებს. მართლმსაჯულების დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით დაშვებულია არაუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების გამოყენება (იხ: BVerfGE 21, 73 [79]; 31, 255 [264]; 37, 132 [142]). იმ საკითხის გადანეწყვისას, თუ, კერძოდ, რა კონკრეტული წინაპირობები უნდა იყოს მოცემული ნორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია კონკრეტული ნორმის საგნის თავისებურებანი და ასევე მისი ინტენსიურობა (იხ: BVerfGE 48, 210 [221]). შედარებით ნაკლები მოთხოვნები გავრცელდება მრავალფეროვანი ფაქტობრივი გარემოებების მომცველი დებულების მიმართ (იხ: BVerfGE 11, 234 [237]; 21, 1 [4]; 28, 175 [183]) ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია ფაქტობრივი ვითარების სწრაფი შეცვლა (იხ: BVerfGE 8, 274 [326]; 14, 245 [251])...

4. ატომური ენერჯიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები არ არღვევს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს ან ძირითადი უფლებების სისტემიდან გამომდინარე ობიექტურ-სამართლებრივი დაცვის ვალდებულებებს. იმის მიუხედავად, თუ აღნიშნული ნორმის განმარტებისას როგორ განისაზღვრება ისეთი ცნებები, როგორცაა ზრუნვა, ზიანი და მათთან მიმართებით ასევე – საფრთხე და რისკი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხედვით, კანონი ნებართვის გაცემას გამორიცხავს მაშინ, როდესაც შესაბამისი დანადგარის შექმნა ან მისი ექსპლუატაცია წარმოშობს ზიანს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ძირითად უფლებათა დარღვევას. ასეთ შემთხვევებში სასამართლო არ მიიღებს და არ დაყაბულდება დანადგარის ნიადაგზე გამონეული, ნებისმიერი სახის მინიმალური ზიანითაც კი, რომელიც, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და ასევე სხვა ძირითადი უფლებების რაკურსით, აღიქმება ძირითად უფლებათა დარღვევად. წინააღმდეგ შემთხვევაში ატომური ენერჯიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონით, ვინაიდან ზიანის სახეობიდან გამომდინარე საუბარია ძირითადი უფლების სრულიად ახლებურ და აქამდე უცნობ შეზღუდვაზე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად და გაცხადებულად უნდა შეზღუდულიყო შესაბამისი ძირითადი უფლება, როგორც ეს, მაგალითად, მოხდა ატომური ენერჯიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, იმავე მუხლის პირველი წინადადების მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, პირველი პუნქტის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებასთან მიმართებით.

## ბბ) კანონისა და სამართლის სავალდებულობა

### E – 34, 269

სამოქალაქო სასამართლოთა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ადამიანის პირადი უფლებების მძიმე დარღვევისას ასევე წარმოიქმნება მორალური (არამატერიალური) ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა, არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს.

მაშინ, როდესაც პირადი უფლება სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ ლიტერატურაში საკმაოდ სწრაფად დამკვიდრდა და განხორციელდა, სადავო დარჩა საკითხი: მოქმედი სამართლის მიხედვით, რამდენად არის შესაძლებელი არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად ფულადი საზღაურის მოთხოვნა. 1958 წელს გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ე.წ. „Herrenreiter“-ის გადაწყვეტილებით პირს, რომლის პირადი უფლებაც დაირღვა, მისთვის წარმოქმნილი არაქონებრივი ზიანისათვის მიაკუთვნა ამ ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (იხ. BGHZ 26, 349). 1954 წლის გადაწყვეტილებას (იხ. BGHZ 13, 334) თან ახლავს დასაბუთება, რითაც სასამართლო განმარტავს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი და მე-2 მუხლებიდან გამომდინარეობს არამხოლოდ პიროვნების პატივისცემა, არამედ ასევე – პირადი სფეროს ხელყოფისას წარმოქმნილი შესაბამისი ზიანისაგან დაცვის აუცილებლობაც. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეყრდნობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 847-ე მუხლის ანალოგიას.

მომჩივანი – გამომცემლობა „მსოფლიო“, რომელიც ეკუთვნის „აქსელ-შპრინგერ-კონცერნს“, წარსულში ასევე გამოსცემდა ყოველკვირეულ ჟურნალს სახელწოდებით „სასამართლოს კვირეულის სიახლეები“.

1961 – 1962 წლებში აღნიშნულ ჟურნალში იბეჭდებოდა ფოტომასალით ილუსტრირებული ინფორმაცია ირანის შაჰის ყოფილი მეუღლის – პრინცესა სორაიას შესახებ. 1961 წლის 29 აპრილის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა განსაკუთრებული მოხსენება სათაურით: „შაჰი აღარაფერს მწერდა“, მას ერთვოდა ე.წ. „ექსკლუზიური ინტერვიუ“, რომელიც, ჟურნალში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრინცესამ მისცა ჟურნალისტს. ინტერვიუ მოიცავდა პრინცესას განცხადებებსა და მოსაზრებებს მისი პირადი ცხოვრების შესახებ. გაირკვა, რომ აღნიშნული ინტერვიუ, რომელიც ჟურნალ „სასამართლოს კვირეულის სიახლეების“ ე.წ. თავისუფალმა თანამშრომელმა ჟურნალს მიჰყიდა, მისივე შეთხზული და გამოგონილი იყო.

ლანდის სასამართლომ დააკმაყოფილა პრინცესა სორაიას სარჩელი მისი პირადი უფლების დარღვევით წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და მოპასუხეებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს, პრინცესას სასარგებლოდ დააკისრა 15 000 გერმანული მარკის გადახდის ვალდებულება. მოპასუხეთა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

საკონსტიტუციო საჩივრით მომჩივნები ასაჩივრებენ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებითა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, ასევე 103-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და „პროფილაქტიკის მიზნით“ – გერმანიის ძირითადი კანონის მე-3, მე-12 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების დარღვევას, რასაც ასაბუთებენ შემდეგნაირად:

სამართლებრივი ნორმის ისეთი ფორმით გამოყენება, რომლის მიხედვითაც, პირადი უფლების დარღვევისას გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში სავალდებულოა მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ წესრიგსა და სისტემას, ვინაიდან ეს მოსაზრება წარმოიშვა გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განმტკიცებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევის შედეგად. შესაბამისად, მომჩივანთა განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების საშუალებით მოხდა დაუშვებელი ჩარევა მათი მოქმედების თავისუფლების სფეროში. მომჩივანთა გან-

ცხადებით, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება არის contra legem [კანონსაწინააღმდეგო], ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი შედეგი არც არაპირდაპირ და არც ანალოგიის გამოყენების გზით არ გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან.

საკონსტიტუციო საჩივარი უსაფუძვლოა:

1. მოსამართლისათვის კანონის ტრადიციული სავალდებულოება, რომელიც წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და, აქედან გამომდინარე, ასევე – სამართლებრივი სახელმწიფოს არსებით შემადგენელ კომპონენტს, გერმანიის ძირითად კანონში ოდნავ შეცვლილი ფორმულირებით არის ასახული, კერძოდ, აქ განსაზღვრულია „მართლმსაჯულებისათვის კანონისა და სამართლის სავალდებულოება“ (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი). მოსაზრებათა უმრავლესობით, ამით უარყოფილია კანონის პოზიტივიზმი ვინრო გაგებით. ეს ფორმულა მხარს უჭერს იმ აზრს, რომ კანონი და სამართალი ფორმალურად და ზოგადად, მართალია, ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ეს თანხვედრა არ არის სავალდებულო. სამართალი არ არის დაწერილი კანონების იდენტური. სახელმწიფოს პოზიტიური (დაწერილი) კანონების გარდა, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში არსებობდეს სამართალი, რომელიც შექმნილია კონსტიტუციური წესრიგისა და სისტემის, როგორც ერთი გონივრული მთლიანობის, ფარგლებში და აღიქმება დაწერილ კანონთა კორექციად. ამგვარი სამართლის წედომა და გადაწყვეტილებათა მეშვეობით განხორციელება მართლმსაჯულების ამოცანაა. გერმანიის ძირითადი კანონი მოსამართლეებს არ მიუთითებს, რომ მათ ცალკეულ შემთხვევაში გამოიყენონ კანონმდებლის მითითებები მათი შესაძლო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში. ამ მოსაზრების წინაპირობაა პოზიტიური სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის სრულყოფილება, რაც სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპული პოსტულატისა და მოთხოვნის სახით მისასაღმებელი, თუმცა, რეალობაში მიუღწეველია: სამოსამართლო საქმიანობა არ მდგომარეობს მხოლოდ კანონმდებლის გადაწყვეტილებათა შეცნობასა და გახმოვანებაში. მართლმსაჯულების ამოცანა შესაძლებელია, იყოს შემაფასებელი წედომის აქტი, რომელიც არ არის მოკლებული ნების ვლემენტებს, ასევე მისი ამოცანაა იმ არსებით ღირებულებათა გაშუქება, გამოაშკარავება, რომლებიც კონსტიტუციური წესრიგისა და სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ საერთოდ არ არის ასახული ან არასრულყოფილად არის გადმოცემული წერილობითი სახით, მან უნდა მოახერხოს ამ ღირებულებების რეალიზაცია გადაწყვეტილებების მეშვეობით. ამასთან, მოსამართლე სრულიად თავისუფალი უნდა იყოს თვითნებობისაგან: მისი გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს რაციონალურ არგუმენტაციას, ასევე ნათლად უნდა წარმოჩნდეს, რომ დაწერილი კანონი ვერ ასრულებს თავის პირველად ფუნქციას, რაც მდგომარეობს სამართლებრივი პრობლემის სამართლიანად გადაჭრაში. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის გადაწყვეტილება ავსებს კანონის ხარვეზს, პრაქტიკული გონების მასშტაბებითა და „სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული ზოგადი წარმოდგენების“ მიხედვით (BVerfGE 9, 338 [349]).

მოსამართლისათვის „შემოქმედებითი მართლმსაჯულების“ ამოცანისა და უფლებამოსილების განხორციელების საკითხი (განსაკუთრებით კი – ძირითადი კანონის მოქმედების პერიოდში) არასოდეს გამხდარა სადავო (იხ: R. Fischer: Die Weiterbildung des Rechts durch die Rechtsprechung, Schriftenreihe der Juristischen Studiengesellschaft Karlsruhe, Heft 100 [1971] – სამართლის განვითარება

სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით, იურიდიული საზოგადოების ნაშრომები, გამოცემა მე-100; ასევე Redeker: NJW 1972 – ახალი იურიდიული საკვირაო ჟურნალი, 1972, 409-ე გვერდიდან).

გერმანიის უმაღლესი სასამართლოები მას დასაბამიდან იყენებდნენ (იხ: BGHZ 3, 308 [315]; 4, 153 [158]; BAG 1, 279 [280]). გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ყოველთვის აღიარებდა მართლმსაჯულების აღნიშნულ უფლებამოსილებას (იხ: BVerfGE 3, 225 [243]; 13, 153 [164]; 18, 224 [237]; 25, 167 [183]). კანონმდებელმა გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს დიდ პალატებს ცალსახად მიანიჭა „სამართლის განვითარების“ ფუნქცია (მაგალითისათვის იხ: სასამართლო სტრუქტურის შესახებ გერმანიის კანონის 137-ე მუხლი). აღნიშნული ფუნქციის განხორციელებამ ისეთ სამართლებრივ სფეროებში, მაგალითად, როგორცაა შრომითი სამართალი, სადაც კანონმდებლობა ვერ მიჰყვება სოციალური განვითარების სწრაფ ტემპს, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

საკითხავი და გასარკვევი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონშემოქმედების ფარგლებში, რომელიც მართლმსაჯულებისათვის კანონისა და სამართლის სავალდებულოობის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის, გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. თუმცა, ეს ფარგლები არ შეიძლება და ვერც განისაზღვრება ერთი საერთო ფორმულით, რომელიც თანაბრად მოქმედებს და ვრცელდება ყველა სამართლებრივ სფეროსა და მათ შედეგად წარმოქმნილ და მათვე მიერ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

## გვ) კანონის უპუქცევითი ძალა

### E – 30, 367

მეორე სენატის 1971 წლის 23 მარტის განჩინება  
- BvL 2/66, 2 BvR 168, 196, 197, 210, 472/66 -

სამართალწარმოებათა საგანს წარმოადგენს კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის ცვლილება, რომელიც განხორციელდა 1965 წლის 14 სექტემბრის (BGBl. - ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, I გვ. 1315) კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის დასკვნითი კანონით.

ცვლილება იმაშია, რომ მოთხოვნის უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ დევნილებზე, რომელთა შემთხვევაშიც კანონის (უპუქცევითი ძალით) ამოქმედებისათვის, კერძოდ, 1953 წლის პირველი ოქტომბრისათვის ანუ წარსულში, მოცემული იყო ფაქტობრივი წინაპირობები (კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლი). კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის თავდაპირველი ვერსია ყოველ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად არ ითვალისწინებდა რაიმე კონკრეტულ ვადას.

კომპენსაციის შესახებ სხვადასხვა კანონით გათვალისწინებული თანხის ყველა მოთხოვნის წინაპირობაა ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის ძალადობრივი ზომების შედეგად მიღებული ზიანის არსებობა, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლესთან, ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან, ჯანმრთელობასთან, თავისუფლებასთან, საკუთრებასთან, ქონებასთან, პროფესიულ ან სამეურნეო-ეკონომიკურ წინსვლასთან.



კონკრეტული ვადის განსაზღვრა კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლში ენიანალმდებება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლი). საკონსტიტუციო საჩივრები დასაბუთებულია...

კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის ძველი ფორმულირების მიხედვით, მოთხოვნის უფლება იმ დევნილებსაც წარმოეშობოდათ, რომლებიც, დევნილთა შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ვადის, კერძოდ, 1953 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ გახდნენ დევნილები. 1965 წლის 14 სექტემბრის კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის დასკვნითმა კანონმა კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის მე-2 პუნქტში კონკრეტული ვადის (1953 წლის პირველი ოქტომბერი) შემოღებით უკუქცევითი ძალით შეცვალა აღნიშნული სამართლებრივი ვითარება, რის შედეგადაც პირთა გარკვეულ წრეს ფაქტობრივად ჩამოერთვა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ანუ ცვლილებით ანმყო დროში მოხდა წარსული დროისათვის მოქმედი სამართლებრივი სისტემის [წარსულშივე] ახლით ჩანაცვლება...

კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის ახალი ფორმულირებით სახეზეა ნამდვილი უკუქცევითი ძალის შემთხვევა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებებით არ არის გამართლებული.

აღსანიშნავია, რომ უკუქცევითი ძალის გათვალისწინება ყოველთვის არ ენიანალმდებება კონსტიტუციას. სისხლის სამართალში უკუქცევითი ძალის აბსოლუტური აკრძალვა არ ვრცელდება ზოგადად მთელ სამართლებრივ სისტემაზე. თუმცა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელი კანონები, რომლებიც უკუქცევითი ძალით ანუთრიგებენ უკვე ამონურულ გარემოებებს, როგორც წესი, „არ შეესაბამებიან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სამართლებრივი სტაბილურობა, რაც, პირველ რიგში, ცალკეული მოქალაქის ნდობის დაცვას გულისხმობს“ (BVerfGE 18, 429 [439]; ასევე 23, 12 [32]; 24, 220 [229]). ნამდვილი (რეტროაქტიური) უკუქცევითი ძალა, ზემოთ აღნიშნულის გაგებით, სახეზეა, როდესაც კანონი მოგვიანებით ანუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ახორციელებს წარსულში მონესრიგებული, ამონურული და რეალიზებული ფაქტობრივი ელემენტების ცვლილებას და ამით იჭრება მათ სფეროში. აღნიშნული სახის ჩარევა განსხვავდება ანმყო დროის, აქტუალური და ჯერ კიდევ ამონურავი ფაქტობრივი ელემენტების სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში ჩარევისა და მათზე ზეგავლენისაგან (ე.წ. არანამდვილი, რეტროსპექტიული უკუქცევითი ძალა) (იხ: BVerfGE 11, 139 [145], და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა). კონსტიტუცია იცავს ნდობას იმის მიმართ, რომ აღიარებული, უცვლელი დარჩება უკვე ამონურულ ფაქტობრივ ელემენტებსა და გარემოებებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები (იხ: BVerfGE 13, 261 [271])...

კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის დასკვნითი კანონი, რომელიც კონკრეტული ვადის, თარიღის შემოღებით უკუქცევითი ძალით ზღუდავს კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების განვრცობის ფაქტობრივ ელემენტებს იმ პირობისათვის, რომლებსაც ამ ცვლილებით ჩამოერთვათ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რაც ეკუთვნოდათ კანონის მანამდე არსებული ფორმულირების მიხედვით, წარმოადგენს დამამძიმებელ ნორმას. დამამძიმებელი კანონი არ არის მხოლოდ ისეთი კანონი, რომელიც ითვალისწინებს რაიმე სახის გადასახადს ან რაიმეს აკრძალვას,

არამედ აქ იგულისხმება ყველა მოქმედი ნორმა, რომელიც აუარესებს პირის/პირთა სამართლებრივ მდგომარეობასა და პოზიციას. მაშასადამე, ისინი, ვინც 1953 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ გახდნენ დევნილები, დევნილთა შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის პირველი მუხლის გაგებით და კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის ცვლილების შედეგად ველარ მიიღებენ კომპენსაციას. გასაჩივრებული ნორმა დამამძიმებელი [სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელი] ბუნებისაა.

აღნიშნული ნორმა ასევე შეიჭრა უკვე ამონურულ ფაქტობრივ ელემენტთა სფეროში, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც უკავშირდებიან და ანესრიგებენ კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის უფლების განმსაზღვრელი შესაბამისი ნორმები, ერთმნიშვნელოვნად არის წარსულის შემადგენელი და ამონურული ნაწილი: ისეთი სამართლებრივი ნორმების შემთხვევაში, რომლებიც ითვალისწინებენ სამართლებრივი მოთხოვნის უფლებას, „ამონურული ფაქტობრივი ელემენტი“ არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა „დაკმაყოფილებულია შესაბამისი ბრძანების საფუძველზე“, ვინაიდან აქ გადამწყვეტი და არსებითი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონის ფაქტობრივი ელემენტები და არა – ადმინისტრაციული ორგანოს აღმასრულებელი აქტები. იმისათვის, რათა უფლების დამამკვიდრებელ ნორმებზე ვისაუბროთ როგორც „ნამდვილ უკუქცევით ძალაზე“, საკმარისია, რომ კანონმდებელი ჩაერიოს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებში, რომლებიც უკვე დასრულებული და ამონურული იყო ამ კანონის მიღებამდე და რომლებიც აკმაყოფილებდნენ და შეესაბამებოდნენ იმ პერიოდისათვის მოქმედი ნორმის ფაქტობრივი ელემენტების წინაპირობებს.

დამამძიმებელი ნორმების უკუქცევითი ძალის პრინციპული აკრძალვა გამომდინარეობს მოქალაქეთა ნდობის დაცვის მოსაზრებებიდან, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც ნდობა გარკვეული სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ არ იმსახურებს დაცვას, ვინაიდან იგი არ არის შინაარსობრივად გამართლებული და დასაბუთებული (იხ: BVerfGE 13, 261 [271]). ამგვარი განსაკუთრებული გარემოებები მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

(ა) ზემოთ აღნიშნულ ნდობაზე დაცვა არ ვრცელდება მაშინ, როდესაც იმ მომენტისათვის, როდესაც დადგა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი შედეგი, მოსალოდნელი იყო ახალი ნორმის მიღება (იხ: BVerfGE 13, 261 [272])....

(ბ) მოქმედი სამართლის ნორმებს მოქალაქე იმ შემთხვევაშიც ვერ ენდობა, როდესაც აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი მდგომარეობა ბუნდოვანი, გაურკვეველი ან ხარვეზიანია (იხ: BVerfGE 7, 129 [151]; 11, 64 [73]; 13, 261 [272]), ან კი იმდენად ეწინააღმდეგება სისტემას და იმდენად არასამართლიანია, რომ საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება მათ კონსტიტუციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით (იხ: BVerfGE 13, 215 [224]; 19, 187 [197]). ასეთ შემთხვევებში თვითონ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ახალი, სრულყოფილი ნორმის უკუქცევითი ძალის მეშვეობით აღდგეს სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლიანობა...

(გ) მოქალაქეთა ნდობა მოქმედი სამართლებრივი ნორმის მიმართ იმ შემთხვევაშიც არ საჭიროებს დაცვას კანონის შინაარსობრივად გამართლებული და დასაბუთებული უკუქცევითი ძალის ცვლილებებთან მიმართებით, როდესაც არსებული სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილება საერთოდ არ გამოიწვევდა ან გამოიწვევდა მხოლოდ მინიმალურ ზიანს. არც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი იცავს მოქალაქეს ყველანაირი „გაცრუებისაგან“ (იხ: BVerfGE 14, 288 [299]);

22, 241 [252]). კანონის ნორმა ზოგადად უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ მისი მოქმედების გაგრძელებასთან დაკავშირებული ნდობა განაპირობებდეს ისეთი გადაწყვეტილებებისა და დისპოზიციების ჩამოყალიბებას ან მათზე ზეგავლენის მოხდენას, რომლებიც სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში წამგებიანი გახდება (იხ: BVerfGE 13, 39 [45]).

ზიანი, რომელიც წარმოეშვათ პირებს, ვისაც კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის ახალი ვერსიით ჩამოერთვათ მოთხოვნის უფლება, მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულებმა დაკარგეს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რომლის გაანგარიშებაც მათ შეეძლოთ მოქმედი კანონის მიხედვით და რომლის მიმართაც მათ უნდა გასჩენოდათ უტყუარი მოლოდინი არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნულთან მიმართებით ადმინისტრაციულ ორგანოებს არ გააჩნდათ გადაწყვეტილებისა და ქმედების თავისუფალი ასპარეზი. მაშასადამე, აღნიშნულ მოთხოვნათა მიმართ ჩამოყალიბებულმა ნდობამ, რომელიც არ წარმოადგენდა მხოლოდ ბუნდოვან იმედებს, ბუნებრივია, განაპირობა დისპოზიციები, რომელთა განმარტება და დასაბუთება ცალკეული დაზარალებულისათვის, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, არ იყო სავალდებულო. ამას გარდა, საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნა საკმაოდ სოლიდური თანხის თაობაზე წარმოადგენს გარკვეულ ქონებრივ ღირებულებას. გასათვალისწინებელია, რომ წამგებიანი ნორმა მაშინაც უნდა შემონმდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით, როდესაც იგი მხოლოდ მოქალაქეთა მცირე რაოდენობას ეხება, ვინაიდან მათ გაუცრუვდათ საფუძვლიანი ნდობა მოქმედი სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ თუნდაც რამდენიმე დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის არსებითმა გაუარესებამ შესაძლებელია, გამოიწვიოს უკუქცევითი ძალის მქონე ნორმის ბათილობა...

და ბოლოს: ასევე საკმარისია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული სფეროს ახლებურმა მონესრიგებამ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებს უნდა გაუმარტივონ კომპენსაციის მოთხოვნათა უზრუნველყოფის პროცედურები და მისი ფუნქცია არ გახლავთ უკუქცევითი ძალის პრინციპული აკრძალვის გამონაკლისის გამართლება.

ვინაიდან კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის ახლებური ვერსია განხილულის ფარგლებში, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დარღვევის გამო, უკვე ენინაალმდეგება კონსტიტუციას, გადამწყვეტი და არსებითი აღარ არის ის გარემოება, დაირღვა თუ არა ასევე გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები.

ვინაიდან, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპენსაციის შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის 150-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი ვერსია ენინაალმდეგება გერმანიის ძირითად კანონს, აღნიშნული ნორმა ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 78-ე მუხლის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდეს უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეყრდნობა არაკონსტიტუციურ ნორმას, ხოლო წარმოებები, რომელთა ფარგლებშიც გამოიცა აღნიშნული გადაწყვეტილებები, დაუბრუნდეს ლანდის სასამართლოს.

**E – 8, 51**

3. კანონმდებელი არ არის ვალდებული, გაათანაბროს და დააბალანსოს არსებული ფაქტობრივი, პოლიტიკურ პარტიათა სხვადასხვა სოციოლოგიურ სტრუქტურაზე დამყარებული ურთიერთგანსხვავებული საკონკურენციო შანსები. მაგრამ მას არ აქვს უფლება, შესაბამისი აუცილებლობის გარეშე, გამოსცეს ნორმა, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს და ამწვავებს უკვე არსებულ ფაქტობრივ განსხვავებებს საკონკურენციო შანსების მიმართ.
4. ცალკეული მოქალაქის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის კანონით გათვალისწინებული სხვადასხვაგვარი საგადასახადო რეჟიმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოქალაქის შემოსავლის ოდენობის მიხედვით პოლიტიკური პარტიებისათვის გაღებულ შემონიშნულობაზე დადგენილია საგადასახადო შეღავათები, არ შეესაბამება ფორმალური თანასწორობის პრინციპს, რომელიც განაპირობებს თავისუფალი დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური უფლებების განხორციელებას.

**მეორე სენატის 1958 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება**

იმ დიდი ფინანსური დანახარჯის გამო, რასაც მოითხოვს თანამედროვე საარჩევნო კამპანია, დღეისათვის ყველა პოლიტიკური პარტია დამოკიდებულია შემონიშნულობებზე; არც ერთ პარტიას არ ძალუძს თავისი მთლიანი ფინანსური მოთხოვნების (საარჩევნო პროპაგანდის ხარჯების ჩათვლით) დაფარვა მხოლოდ საწევრო გადასახადებით. დემოკრატიულ მრავალპარტიულ სახელმწიფოში ყველა პოლიტიკურ პარტიას თანაბრად აქვს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში, იქნება ეს მთავრობისა თუ ოპოზიციის მხარეს. თუმცა, სახელმწიფო არ არის ვალდებული, კანონის შესაბამისი ნორმების საშუალებით იზრუნოს პოლიტიკური პარტიების ფულადი მოთხოვნებისა და საჭიროების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ როდესაც კანონმდებელი გამოსცემს ისეთ დებულებებს, რომლებმაც მხარი უნდა დაუჭირონ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, აღნიშნული ნორმები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არღვევდეს პარტიათა ძირითად უფლებას თანაბარ შანსებთან დაკავშირებით...

გასაჩივრებული ნორმების შინაარსის მიხედვით, გადასახადის ყველა გადამხდელს, რომელსაც ევალება საშემოსავლო ან კორპორატიული გადასახადის გადახდა, შეუძლია, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისათვის გარკვეული ოდენობის შემონიშნულობის გაღების გზით შეიმსუბუქოს საშემოსავლო გადასახადი. ანუ, კანონი, მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით, ყველა პოლიტიკურ პარტიას აძლევს შემონიშნულობათა მიღების თანაბარ შანსებსა და შესაძლებლობებს.

თუმცა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც კანონი თავს არიდებს ყოველგვარ უთანასწორო მოპყრობას და თავის სამოქმედო სფეროსა და სუბიექტებს ზოგადად და აბსტრაქტულად განსაზღვრავს, მაინც ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს, თუ მისი (კანონის) პრაქტიკული განხორციელებიდან ვლინდება აშკარა უთანასწორობა და თუ ეს უთანასწორობა, როგორც კანონის პრაქტიკული გამოყენების შედეგი, დაკავში-

რებულია შესაბამისი ნორმების სამართლებრივ ფორმულირებასთან. ამასთან, ყურადღება არ ექცევა გარეგნულ ფორმას, აქ გადამწყვეტია მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი...

ვინაიდან დასაბეგრი შემოსავლის გაზრდასთან ერთად საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი იზრდება 53 პროცენტამდე და რადგან კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, როგორც წესი, შეადგენს 45 პროცენტს, ზემოთ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა – პოლიტიკური პარტიისათვის შემოწირულობის გაღების გზით გადასახადის შემსუბუქება – პირველ რიგში, განსაკუთრებით მომხიბვლელი ხდება მაღალი შემოსავლების მქონე და ასევე კორპორატიული გადასახადის გადამხდელებისათვის. კანონის ცვლილების შედეგად ამ პირებს შეუძლიათ (საგადასახადო შემსუბუქების გათვალისწინებით), ისე გააორმაგონ პოლიტიკური პარტიებისათვის გაღებული შემოწირულობები, რომ ამისთვის არც დასჭირდეთ ზედმეტი თანხის გადახდა იმასთან შედარებით, რასაც აქამდე იხდიდნენ. ხოლო მცირე შემოსავლების მქონე პირთათვის ამ მხრივ არაფრით არ არის მიმზიდველი შემოწირულობების გაღება, ვინაიდან ისინი, თავიანთი შემოსავლის სიმცირის გამო, ვერ გაიღებენ იმ ოდენობის თანხას, რაც შეიძლება მათ სასიკეთოდ აისახოს მათი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრისას.

ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ფულადი შემოწირულობები ძირითადად გაიცემა შესაბამისი ინტერესების საფუძველზე; პოლიტიკური მიზნით გაღებული შემოწირულობები ერთ-ერთ ბოლო ადგილზე დგას საზოგადოებაში. უმთავრესად გვხვდება შემოწირულობები საქველმოქმედო, რელიგიური და სამეცნიერო მიზნებისათვის, რომლებიც მეტწილად გაიცემა შესაბამისი შინაარსობრივი დატვირთვით, შესაბამისი მიზნების განხორციელების მხარდასაჭერად და არა იმ მიზნით, რომ მათი გაღებით შემოწირველს წარმოექმნას რაიმე სარგებელი. ამ საერთო ტენდენციების მიხედვით, მოქალაქე პოლიტიკური პარტიებისათვის ფულად შემოწირულობას გაიღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი, ამ პარტიის პროგრამიდან, ასევე საპარლამენტო და სამთავრობო საქმიანობიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ აღნიშნული პარტიის პოლიტიკა ემთხვევა და შეესაბამება მის განსაკუთრებულ ინტერესებს... მაშასადამე, გასაჩივრებული ნორმების შედეგი უნდა იყოს ის, რომ ის პარტიები, რომელთა პროგრამა და საქმიანობა მოსაწონია ძლიერი კაპიტალის მქონე წრეებისთვის, ფინანსურად უკეთ იქნებიან უზრუნველყოფილნი.

ცხადია, რომ კანონმდებელი არ არის ვალდებული, გაათანაბროს და დააბალანსოს არსებული ფაქტობრივი, პოლიტიკურ პარტიათა სხვადასხვა სოციოლოგიურ სტრუქტურაზე დამყარებული, ურთიერთგანსხვავებული საკონკურენტო შანსები. მაგრამ მას არა აქვს უფლება, შესაბამისი აუცილებლობის გარეშე გამოსცეს ნორმა, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს და ამწვავებს უკვე არსებულ ფაქტობრივ განსხვავებებს საკონკურენტო შანსებს შორის. წინამდებარე კანონი კი ისეა ჩამოყალიბებული, რომ სახელმწიფო თავისი წვლილით, რაც მდგომარეობს გადასახადის შემცირებაში, აძლიერებს გარკვეულ პოლიტიკურ პარტიათა მნიშვნელობასა და მდგომარეობას პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში.

საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონისა და კორპორატიული საგადასახადო კანონის ნორმები, წინამდებარე ინსტრუქციების მსგავსად, ასევე არღვევენ მოქალაქეთა თანასწორობის ძირითად უფლებას...

პროგრესული დაბეგვრის პრინციპს მიყვავართ იქამდე, რომ მოქალაქეები, რომლებიც პარტიებისათვის გაღებული შემოწირულობით იყენებენ თავიანთ დემოკრატიულ უფლებას და მონაწილეობენ სახელმწიფო ნების ჩამოყალიბების პროცესში, როგორც გადამხდელები, იღებენ სხვადასხვაგვარ მატერიალურ უპირატესო-

ბას. ვინაიდან, საარჩევნო სამზადისისას ფულს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, და ვინაიდან ფინანსურად ძლიერი პარტია რიგ შემთხვევებში მოახერხებს წარმართოს უფრო წარმატებული საარჩევნო პროპაგანდა, ვიდრე – მხირი ფინანსების მფლობელი, ამიტომ მაღალი შემოსავლის მქონე შემომწირველს შეუძლია, მეტად ეფექტურად უზრუნველყოს თავისი პოლიტიკური შეხედულების რეკლამა და პროპაგანდა, ხოლო აქედან გამომდინარე, მიაღწიოს უფრო ძლიერ პოლიტიკურ ზეგავლენას, ვიდრე – ნაკლები შემოსავლების მქონე შემომწირველს. რადგან პოლიტიკური პარტიებისათვის გაღებული შემომწირულობების შედეგად მაღალი შემოსავლების მქონე პირი მნიშვნელოვნად მეტ გადასახადს ზოგავს, ვიდრე – ნაკლები შემოსავლების მიმღები, შესაბამისად, პირველი ჯგუფის (მაღალი შემოსავლების მქონე პირების) პოლიტიკური აზრი უფრო პრივილეგიურია. კანონის საფუძველზე გამოწვეული ამგვარი სხვადასხვაგვარი საგადასახადო გადანყვეტა, რაც ქმნის ცალკეული მოქალაქის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას, გამოხატულს იმამი, რომ მოქალაქის შემოსავლის ოდენობის მიხედვით, პოლიტიკური პარტიებისათვის გაღებულ შემომწირულობაზე დადგენილია საგადასახადო შეღავათები, არ შეესაბამება ფორმალური თანასწორობის პრინციპს, რომელიც განაპირობებს თავისუფალი დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური უფლებების განხორციელებას.

## გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლთან დაკავშირებით:

### E – 1, 184

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიულ კონტროლს<sup>22</sup> ექვემდებარება მხოლოდ კანონები ფორმალური გაგებით და ასევე საკანონმდებლო აუცილებლობის მდგომარეობის დროს – გერმანიის ძირითადი კანონის 81-ე მუხლის მიხედვით გამოცემული კანონები.
2. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მოთხოვნა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც განმხილველი სასამართლო კანონს ცნობს არაკონსტიტუციურად. მხოლოდ ეჭვი არ არის საკმარისი.

### პირველი სენატის 1952 წლის 20 მარტის გადანყვეტილება - BvL 12, 15, 16, 24, 28/51 -

წარმოება: ნორდრაინ-ვესტფალენის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ პოლიციის შესახებ გამოცემული განკარგულების კონსტიტუციურობის შემოწმება...

ბილფელდის ლანდის სასამართლომ 1951 წლის 27 სექტემბრის განჩინებით (Qs 248/51) შეაჩერა სისხლის სამართლის საქმის წარმოება მლესაე ჰანს-ჰაინრიხ ლ-ს წინააღმდეგ გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლზე დაყრდნობით და მოითხოვა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადანყვეტილების

<sup>22</sup> კანონის ნორმების შემოწმება სასამართლოს (აქ: ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს) მიერ მათი კონსტიტუციურობის კუთხით.

მიღება. სასამართლო გამოთქვამს ეჭვს, თუ რამდენად შეესაბამება 1951 წლის 28 აპრილს გამოცემული პოლიციის შესახებ განკარგულება კონსტიტუციას, კერძოდ: გერმანიის ძირითადი კანონის მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-17 და მე-19 მუხლებს.

კანონის ბუნდოვანი ფორმულირებისა და იმ გარემოების გამო, რომ არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის წარმოშობის ისტორია და არც სასამართლო შემონმების უფლების ისტორიული განვითარება არ გვთავაზობენ ერთმნიშვნელოვან მითითებებსა თუ მინიშნებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიმარტოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის „კანონის“ ცნება, გადანყვეტილება: შეუძლიათ თუ არა სასამართლოებს კონკრეტულ შემთხვევებში ინციდენტურად უარყონ განკარგულებათა შესაბამისობა გერმანიის ძირითად კანონთან ან ასეთ შემთხვევებში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის მიხედვით, მოითხოვონ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ ნორმა-კონტროლის მნიშვნელობიდან გერმანიის ძირითადი კანონის ფარგლებში და ასევე – ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მინიჭებული ფუნქციებიდან.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, ნორმა-კონტროლის განხორციელებისას დომინირებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მცველის, ფუნქცია...

თუ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება რომელიმე განკარგულების კონსტიტუციურობის საკითხი, ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა უმაღლეს ორგანოს აქვს შესაძლებლობა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმართონ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის დამცველს.

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის მიხედვით, ნორმა-კონტროლის განხორციელებისას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მცველის, როლი იწვეს უკანა პლანზე.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის ფორმულირებიდანაც ჩანს, რომ მისი მიზანი არ არის საერთო სასამართლოების გამორიცხვა ცალკეული დავეების ფარგლებში ყველა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხის შემონმება-გადანყვეტისაგან და ამ ფუნქციის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიკუთვნება. პირიქით: საერთო სასამართლოებს შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან, შეამონმონ ის სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან გადანყვეტილების მიღებისას, მათი შესაბამისობის თვალსაზრისით გერმანიის ძირითად კანონთან. როდესაც საუბარია ლანდის კანონებზე, ასევე უნდა შემონმდეს მათი შესაბამისობა ფედერალურ კანონმდებლობასთან. სასამართლოებს შეუძლიათ, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში მიიღონ გადანყვეტილება აღნიშნული ნორმების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გადანყვეტილებით დაირღვეოდა გერმანიის ძირითადი კანონი, ვინაიდან სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი ნორმა მართებული განმარტების შედეგად უნდა ყოფილიყო არაკონსტიტუციური და შესაბამისად – ბათილი, მაშინ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, თუმცა, მხოლოდ ნორმა-კონტროლის ფარგლებში, გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, ამოქმედდებოდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციის მცველი, ხოლო ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა საკონსტიტუციო საჩივრის მეშვეობით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლიდან არ გამომდინარეობს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი იურისდიქცია.

აღნიშნული საგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის მიხედვით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა დაიცვას: რომ არც ერთმა სასამართლომ არ გაითვალისწინოს ფედერალური თუ ლანდის კანონმდებლის სურვილი და არ გამოიყენოს მათ მიერ გამოცემული კანონი, თუ იგი, სასამართლოს შეხედულებით, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს ან ფედერალური და ლანდის კანონმდებლობის ფედერალურ-სახელმწიფოებრივ იერარქიას.

შესაბამისად, მოსამართლის მიერ ზოგადი შემონმების უფლება შეზღუდულია ინციდენტურ შემთხვევებში კანონის კონსტიტუციურობის აღიარებით. რაც შეეხება კონსტიტუციურობის უარყოფას ანუ მის არაკონსტიტუციურად ცნობას, აქ სასამართლოს მხოლოდ წინასწარი შემონმების ფუნქცია და უფლება აკისრია, რითაც გამოირიცხება საკანონმდებლო ხელისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა.

სწორედ საკანონმდებლო ხელისუფლების ამგვარი საფრთხის წინაშე დაყენება სამოსამართლო ზედამხედველობის უფლების გაფართოებით, იყო ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ზოგადი სამოსამართლო კონტროლის უფლებამოსილების წინააღმდეგ...

თუმცა, ამგვარი არგუმენტები ზოგადი სამოსამართლო კონტროლის უფლებამოსილების წინააღმდეგ მიუღებელია განკარგულებების მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, ყოველთვის მიღებული და უდავო იყო ის, რომ სასამართლოებს ცალკეული დავის ფარგლებში შეეძლოთ, შეემონმებინათ განკარგულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ერთმხრივად იყო აკრძალული. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამოსამართლო კონტროლის უფლება ასევე განიერცო კანონებზეც (RGZ 111, 320), წარმოიშვა პრობლემა, თუ როგორ უნდა დაძლეულიყო ის საშიშროება, რომ ნებისმიერ სასამართლოს არ უგულებელეყო საკანონმდებლო ხელისუფლების აქტები. მხოლოდ ზოგადი სამოსამართლო კონტროლის უფლებამოსილების კანონებზე განვრცობის საფუძველზე დაისვა საკითხი, რათა მომხდარიყო ამ უფლებამოსილების განსაკუთრებული კონცენტრირება საერთო ან საკონსტიტუციო სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული სასამართლოს კონტროლის უფლება, თუკი მან შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივ ნორმათა მოქმედებისა და იურიდიული ძალის უარყოფა, დაკავშირებულია სამართლებრივი დესტაბილიზაციისა და სამართლებრივი ქაოსის წარმოშობის საფრთხესთან. ეს შესაძლოა იყოს იმის საფუძველი, რომ ასევე განკარგულებების კონსტიტუციურობის შემონმებაც დაევალოს მხოლოდ ერთ სასამართლოს...

თუმცა, გერმანიის ძირითადი კანონის მიხედვით, ცალკეული სასამართლოს მიერ განკარგულებათა გადამონმებისას არ არსებობს სამართლებრივი დესტაბილიზაციისა და სამართლებრივი ქაოსის წარმოშობის საფრთხე, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით დამკვიდრებული ნორმატიული კონტროლი ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვანი განკარგულების განხილვისას, დროული შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საყოველთაოდ სავალდებულო გადანყვეტილების მიღების საკმარისად რეალურ და ეფექტურ შესაძლებლობას.

თუმცა, ყოველივე სხვაგვარად არის კანონებთან მიმართებით. თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას, სადაც აისახებოდა ტენდენციები კონტროლის მონოპოლიის მიმართულებით, მართლაც სავარაუდოა, რომ სასამართლოების მიერ საერთო სამოსამართლო კონტროლის უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოიშვება სამართლებრივი დესტაბილიზაციისა და სამართლებრივი ქაოსის საფრთხე, ვინაიდან ლანდის [ფედერაციული ერთეულის] საკანონმდებლო ორგანოები, რომელთა გამოცემულ კანონებსაც საერთო სასამართლოები აღიარებდნენ და მიიჩ-



ნედნენ კონსტიტუციასთან ან ფედერალურ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, არ არიან უფლებამოსილები, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში მოითხოვონ გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმა-კონტროლი. სწორედ ნორმის კონტროლის განხორციელების თაობაზე განცხადების შეტანის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ ლანდის მთავრობებს, როგორც განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ ორგანოებს და არა-ლანდის პარლამენტებს, მთელი სიცხადით გვიჩვენებენ, რომ ნორმა-კონტროლის კონცენტრირება ერთ სასამართლოში, სამართლებრივი დესტაბილიზაციისა და სამართლებრივი ქაოსის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულო და აუცილებელია მხოლოდ კანონებთან და არა – განკარგულებებთან მიმართებით.

მამასადამე, ერთი მხრივ, არც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის დამცველის, პოზიცია და არც ნორმა-კონტროლის მთელი დებულებები არ მოიაზრებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლში განკარგულებებს; მეორე მხრივ კი, ამას ეწინააღმდეგება თავად გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლში ფორმულირებული ნორმა-კონტროლი. აღნიშნული ნორმა (მე-100 მუხლი) ასევე რომ ვრცელდებოდეს განკარგულებებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში კი არ უნდა მოითხოვოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც იგი ფედერაციისა თუ ლანდის რომელიმე განკარგულებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, არამედ მაშინაც, როდესაც ლანდის განკარგულება ეწინააღმდეგება რომელიმე ფედერალურ კანონს...

3. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ ფართო ფუნქციებისა და იურისდიქციის გათვალისწინებით, ზემოთ მოყვანილი განმარტებები ასევე შეესაბამება იმ პრინციპს, რომ ნორმა-კონტროლის ფარგლებში მოხდეს კონცენტრირება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შედარებით მნიშვნელოვან საკითხებსა და ამოცანებზე.

## E – 2, 124

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ ნორმა-კონტროლს არ ექვემდებარება ისეთი კანონები, რომლებიც გამოიცა გერმანიის ძირითადი კანონის ამოქმედებამდე ანუ 1949 წლის 24 მაისამდე.

პირველი სენატის 1953 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება

- BvL 21/51 -

... მიღებული დასკვნით თითოეულმა სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სამართლებრივი საკითხი, შეესაბამება თუ არა გერმანიის ძირითად კანონს მის ამოქმედებამდე მიღებული კანონები.

კონსტიტუციის ამოქმედებამდე მოქმედი [ე.წ. წინაკონსტიტუციური] კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ ეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას. როდესაც სასამართლო წინაკონსტიტუციურ კანონს მიიჩნევს „არაკონსტიტუციურად“ და არ იყენებს მას, ამით იგი იგნორირებას

არ უკეთებს კანონმდებლის თავდაპირველ ნებას, ვინაიდან სწორედ შემონმებას დაქვემდებარებული კანონის თავდაპირველი სამართლებრივი ძალა ანუ მისი ნამდვილობა წარმოადგენს კანონის მოგვიანებით მიღებულ კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით შემონმების წინაპირობას. კანონის შესაბამისობის საკითხი მოგვიანებით მიღებულ ძირითად კანონთან განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიჩნეულია მოქმედად. თუ არ დადასტურდება ასეთი შესაბამისობა, მაშინ ამით არ ილახება უწინდელი კანონმდებლის ავტორიტეტი, არამედ ობიექტურად დასტურდება მხოლოდ ის, რომ კანონმდებლის შედარებით უფრო მოგვიანებით გამოვლენილი ნება წინ უსწრებს [უპირატესია] უწინდელი კანონმდებლის განსხვავებულ ნებას.

### გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლთან დაკავშირებით:

#### E – 4. 412

1. გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის, არამედ ასევე – იმ მოსამართლის მიმართ, რომელიც ადგენს ძირითადი სხდომის თარიღს.
2. გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ირლვევა მაშინაც, როდესაც საქმეს ჩამოშორებული კოლეგიის თავმჯდომარე გავლენას ახდენს სხვა მოსამართლეზე, საქმის ჩანიშვნასა და განხილვის თარიღის დადგენასთან დაკავშირებით.
3. თუ გადაწყვეტილება ეფუძნება საქმის ამგვარ ჩანიშვნას, მაშინ იგი თვითონ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებას. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში ეფუძნება საქმის ამგვარ ჩანიშვნას, როდესაც არ არის გამორიცხული, რომ საქმის კონსტიტუციურად ჩანიშვნის შემთხვევაში სასამართლო სხვაგვარი შემადგენლობის იქნებოდა.

### პირველი სენატის 1956 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება - 1 BvR 479/55 -

1954 წლის 20 და 21 დეკემბერს გამართულ ძირითად სხდომაზე მომჩივანს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრულ საკასაციო საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ მას ჩამოაშორეს მისი კანონიერი მოსამართლე, ვინაიდან ლანდის სასამართლოს მოსამართლეები, დოქტორი „რ“ და „ო“ არ მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღებაში და ძირითადი სხდომის დანიშვნის შესახებ განკარგულება გასცა სისხლის სამართლის პირველი პალატის თავმჯდომარემ – ლანდის სასამართლოს დირექტორმა, დოქტორმა „მ“-მ, რომელიც ჩამოშორებულია ამ კონკრეტულ საქმეს; გარდა ამისა, საქმის განხილვის თარიღი დაადგინა ამისათვის არაუფლებამოსილმა მოსამართლემ, დოქტორმა „ლ“-მ, ლანდის სასამართლოს მოსამართლეების, დოქტორ „რ“-სა და „ო“-ს იგნორირების საფუძველზე.

საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია.

1. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ მოსაზრებებს:

1. პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი უნდა წარსდგეს თავისი კანონიერი მოსამართლის წინაშე, ისევე როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ემსახურება არაუფლებამოსილი პირების მხრიდან მართლმსაჯულებაში ჩარევის თავიდან აცილებას და სასამართლოს მიუკერძოებლობისა და მაღალი პროფესიონალიზმისადმი სამართლის მაძიებლებისა და საზოგადოების ნდობის დაცვას. აღნიშნულ პრინციპთან ისტორიულად დაკავშირებული საგანგებო სასამართლოების აკრძალვა უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს ამ ცნების იგნორირება. ვინაიდან აღნიშნული დებულებები მართლმსაჯულების სფეროში, კერძოდ – სასამართლოს სტრუქტურის ფარგლებში, უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელებას, მე-19 საუკუნეში მოხდა მათი დაფიქსირება ფედერალური ლანდების კონსტიტუციათა უმრავლესობაში, რითაც მათ მიენიჭა კონსტიტუციური პრინციპის რანგი. ვაიმარის კონსტიტუციის 105-ე მუხლმა გააგრძელა ეს ტრადიცია და სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების დახვეწასთან ერთად ასევე სრულყოფილი სახე მიეცა კანონიერ მოსამართლესთან დაკავშირებულ ნორმებს. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, საპროცესო კანონები და კანონი სასამართლოებში საქმეთა განაწილების შესახებ ადგენენ სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას, ასევე – მისი ცაკლესული განყოფილებების, პალატებისა თუ კოლეგიების შემადგენლობასა და მათ შორის საქმეთა გადანაწილებას. თუ წარსულში პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი უნდა წარსდგეს მის კანონიერ მოსამართლეს, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ე.წ. „სახელისუფლო იუსტიციის“<sup>23</sup> ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ, დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა და დაცვის მექანიზმი ასევე მოიცავდა პირის სასამართლოს შიდა სტრუქტურაში გატარებული ზომებისაგან დაცვას, რომელთა შედეგადაც იგი თავისი საქმის განხილვისას შეიძლება ჩამოშორდეს ამისათვის კანონით გათვალისწინებულ მოსამართლეს.

2. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება დარღვეულია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეს ასრულებს არა „კანონიერი“, არამედ – სხვა მოსამართლე. თუ მოსამართლის მოქმედება, რომელიც იწვევს ასეთ შედეგს, განპირობებულია საპროცესო შეცდომით (ლათ. *error in procedendo*), მაშინ გამოირიცხება გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების დარღვევა (იხ: BVerfGE 3, 359 [364]). ის, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან „საპროცესო შეცდომა“ და პირისათვის „კანონიერი მოსამართლის ჩამოცილება“, მოცემულ შემთხვევაში ვერ განიხილება და არც არის საჭირო, ვინაიდან, როდესაც საუბარია სასამართლოს მიღმა მდგომი პირისა თუ სამსახურის ჩარევასა და მის მიერ გარკვეული გავლენის მოხდენაზე, იქ უკვე გამოირიცხულია საპროცესო შეცდომა. მაგრამ იგივე ვრცელდება სასამართლოს სტრუქტურაში მოღვაწე პირებზე, მ აგალითად, საქმეს ჩამოცილებულ მოსამართლეებზე, რომლებსაც, ზოგადად, ან რომელიმე კონკრეტულ საქმეში არა აქვთ უფლება, განახორციელონ სამოსამართლო უფლებამოსილება...

3. ასეთ პირებს მართლმსაჯულებაში ისეთი ჩარევა, რომელიც ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებას, შეუძლიათ განახორციელონ არა მხოლოდ სამოსამართლო ფუნქციების მითვისებით, არამედ ასევე – თავიანთი ავტორიტეტის საფუძველზე მოსამართლის მოქმედებე-

<sup>23</sup> გერმ: კაბინეტის იუსტიცია — გულისხმობს ქვეყნის პირველი პირის აქტიურ ჩარევასა და მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ბზე მასშტაბური შინაარსობრივი გავლენის მოხდენის გზით. გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უზრუნველმყოფი ნორმის ფუნქციას, თუ იგი მართლმსაჯულებას იცავს ასეთი ჩარევებისგანაც.

4. გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის, არამედ ასევე – იმ მოსამართლის მიმართ, რომელიც ადგენს ძირითადი სხდომის თარიღს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სასამართლოს განსჯადობა, დაკომპლექტება და საქმეთა განაწილება მონესრიგებულია კანონით არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების, არამედ ასევე – მისი მოსამზადებელი სამოსამართლო მოქმედებების განხორციელების კუთხით. სხდომის თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებული ხარვეზი კი მთლიან გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვითონ გადაწყვეტილება ეფუძნება მას ანუ, როდესაც საპროცესო ხარვეზსა და გადაწყვეტილებას შორის მოცემულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ისეთი კავშირი და ურთიერთმიმართება, რომელიც იწვევს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, მოცემულია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საპროცესო ხარვეზს გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების შინაარსზე (იხ: Löwe-Rosenberg-ი, მე-18 და მე-20 გამოცემა, 337-ე მუხლი, შენიშვნა: 7 „ა“ და „ბ“). აღნიშნული სამართლებრივი მოსაზრების ისეთ შემთხვევებზე გამოყენება, როდესაც სხდომის თარიღის დანიშვნისას დაირღვა გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება, შეესაბამება ამ ნორმის ფუნქციას, რომელიც იცავს ნდობას სასამართლოს მიუკერძოებლობისა და პროფესიონალიზმისადმი; ანუ გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების დარღვევა მაშინაც იწვევს სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, როდესაც ამ დარღვევამ შესაძლო გავლენა მოახდინა გადაწყვეტილებაზე. ასეთი შესაძლებლობა კი ვერ გამოირიცხება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სასამართლოს შემადგენლობის მნიშვნელობას საქმის გადაწყვეტისათვის, სადაც სასამართლო კოლეგია, საქმის განხილვის თარიღის სათანადო, კანონიერი დანიშვნის პირობებში, სხვა შემადგენლობის იქნებოდა.

II. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, მომჩივნის წინააღმდეგ მიუხეხნის ლანდის სასამართლოს მიერ 1954 წლის 21 დეკემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებას, ვინაიდან მტკიცებულებათა შეგროვების მიხედვით:

1. დადგენილია, რომ ძირითადი სხდომის დანიშვნაზე გავლენა მოახდინა ამ საქმიდან ჩამოშორებულმა მოსამართლემ - სისხლის სამართლის პირველი პალატის თავმჯდომარემ, ლანდის სასამართლოს დირექტორმა, დოქტორმა „მ“-მ;

2. არ არის გამოირიცხული, რომ ძირითადი სხდომა, საქმიდან ჩამოშორებული მოსამართლის ჩარევის გარეშე, გაიმართებოდა სხვა სასამართლო შემადგენლობით.

## **E – 42, 237**

**მორე სენატის 1976 წლის 29 ივნისის განჩინება**  
**- 2 BvR 948/75 -**

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება საკითხს: ეწინააღმდეგება თუ არა კანონიერი მოსამართლის პრინციპს (გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნ-

ქტის მე-2 წინადადება), როდესაც ლანდის უმაღლესი სასამართლო იღებს გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას ამ სასამართლოსათვის საქმის წარდგენის ვალდებულების (სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ კანონის 121-ე მუხლის მე-2 პუნქტი) შესრულების გარეშე.

ლანდის უმაღლესმა სასამართლომ მომჩივანი იმიტომ ჩამოაშორა კანონიერ მოსამართლეს, რომ მან გერმანიის უზენაეს ფედერალურ სასამართლოს არ წარუდგინა მისი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკას (სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ კანონის 121-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების დარღვევა სახეზეა, როდესაც სასამართლო თვითნებურად არღვევს საქმის უზენაესი სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა აღნიშნული წინაპირობები.

ლანდის უმაღლესი სასამართლო ვალდებული იყო, საქმე წარედგინა უზენაესი ფედერალური სასამართლოსათვის...

აღნიშნული ვალდებულების გაუთვალისწინებლობა მოცემულ შემთხვევაში ობიექტური მიზეზებით არ არის გამართლებული (იხ: BVerfGE 2, 266 [281]; 4, 144 [155]; 42, 64 [72]); არ არსებობს ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი. ეჭვგარეშეა, რომ მოცემული იყო საქმის წარდგენის ვალდებულების ყველა წინაპირობა. ლანდის უმაღლეს სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა უზენაესი ფედერალური სასამართლოს სამართლებრივი პრაქტიკით და განაჩენი გაეუქმებინა ან საქმე წარედგინა აღნიშნული სასამართლოსათვის, თუ მას ჰქონდა განსხვავებული სამართლებრივი მოსაზრება. ასეთი მკაფიოდ განსაზღვრული ალტერნატივების ფონზე საკასაციო საჩივარზე უარის თქმით გაუმართლებლად დაირღვა უზენაეს ფედერალურ სასამართლოში საქმის წარდგენის ვალდებულება, რამაც გამოიწვია მომჩივნისათვის კანონიერი მოსამართლის ჩამოშორება.

## გერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლთან დაკავშირებით:

### **E – 18, 112**

გერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლი ავტომატურად არ კრძალავს დამნაშავეს გადაცემას იმ სახელმწიფოსათვის, სადაც მას ჩადენილი დანაშაულის გამო სიკვდილით დასჯა ემუქრება.

პირველი სენატის 1964 წლის 30 ივნისის განჩინება

- 1 BvR 93/64 -

1937 წელს იუგოსლავიაში დაბადებული მომჩივანი 1957 წელს უცხო ლეგიონის წევრი გახდა და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან (საკუთარი განცხადებით) პოლიტიკური მოსაზრებების გამო დატოვა თავისი სამშობლო. აღნიშნული პირის მიმართ საფრანგეთის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებენ სისხლის-სამართლებრივ დევნას; იგი აღიარებს, რომ 1962 წლის 12 ივნისს, მისდამი დაქვემდებარებულ სამ ლეგიონერთან ერთად, ლამით თავს დაესხა ალჟირის მოქალაქეებით

დასახლებულ სოფელს და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა რამდენიმე მცხოვრები, მათ შორის – ქალები და ბავშვები. დამნაშავემ მოახერხა საფრანგეთის ციხიდან გაქცევა და გადავიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საფრანგეთის რესპუბლიკამ თავისი საელჩოს 1963 წლის 22 აპრილის წერილით, მარსელის სამხედრო სასამართლოს მიერ 1962 წლის 3 დეკემბერს გამოცემული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიმართა დამნაშავეს გადაცემის თხოვნით – მის მიერ, სულ მცირე, თერთმეტი ადამიანის მკვლელობის, სხეულის განზრახ დაზიანებისა და ე.წ. კვალიფიცირებული, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობის გამო. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 302-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობა ისჯება სიკვდილით.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომჩივნის ძირითადი უფლება მისი გადაცემით არ ირღვევა მაშინაც კი, როდესაც, როგორც წინარე შემთხვევაში ანუ საფრანგეთში, მოსალოდნელია, რომ მას შეეფარდება სიკვდილით დასჯა და ეს სასჯელი აღსრულდება. გერმანიის ძირითადი კანონი არ უკრძალავს გერმანიის ხელისუფლებას, მეორე სახელმწიფოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ეს დახმარება გამოიწვევს ამ სახელმწიფოს მიერ გადაცემული პირის მიმართ სიკვდილით დასჯის შეფარდებასა და აღსრულებას.

გერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლში ფორმულირებული პრინციპი: „სიკვდილით დასჯა გაუქმებულია“ ნიშნავს, რომ გერმანელ კანონმდებელს არ აქვს უფლება, სასჯელის სახით გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა; გერმანელ მოსამართლეს არა აქვს უფლება, პირს, თუნდაც კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონის საფუძველზე, შეუფარდოს სიკვდილით დასჯა, ხოლო გერმანიის აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკრძალება, თუნდაც კონსტიტუციის ამოქმედებამდე გამოცემული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, აღასრულოს სიკვდილით დასჯა. მოცემულ შემთხვევაში განსახილველია საკითხი: უკრძალავს თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპი, ზემოთ აღნიშნულის გარდა, გერმანიის სახელმწიფოს, რაიმე ფორმით მონაწილეობდეს სხვა სახელმწიფოს მიერ სიკვდილით დასჯის შეფარდებასა და აღსრულებაში. აღნიშნული აკრძალვა არ დასტურდება.

1. მართალია, ნორმის ფორმულირება თავისი კატეგორიულობით („გაუქმებულია“), მიუთითებს იმაზე, რომ მისი მიზანი იყო პრინციპული, საბოლოო და განსაკუთრებული მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ეს არ წარმოადგენს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მისი მოქმედება სცდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს.

2. არც გერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლის კანონში სისტემური განთავსება მეტყველებს რაიმე სხვა განმარტებაზე. ნორმა განთავსებულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 თავში სახელწოდებით „მართლმსაჯულება“, ისეთ დებულებებსა და ნორმებს შორის, რომლებიც ანესრიგებენ გერმანიის შიდასამართლებრივ და პროცესუალურ საკითხებს. იმისათვის, რომ აღნიშნულ ნორმას შეეძინა სიკვდილით დასჯის საყოველთაო დაგმობის მასშტაბი და მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც, გერმანიის სახელმწიფოს უნდა ეკრძალებოდეს სხვა სახელმწიფოსათვის პირის გადაცემა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას ამ სახელმწიფოში ემუქრება სიკვდილით დასჯა, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული ნორმის ამგვარ მნიშვნელობაზე, სულ მცირე, მითითება მანაც გერმანიის კონსტიტუციის ძირითად უფლებათა სპეციალურ ნაწილში, პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული ნორმის ფარგლებში, კერძოდ, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში. ეს ნორმა წარმოადგენს

პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის კონსტიტუციური შეზღუდვის მონერსი-გებისა და გათვალისწინების ადგილს კანონში, სისტემური თვალსაზრისით. მაგრამ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი აწესებს გერმანიის მოქალაქეების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის აკრძალვას და ასევე – იმ უცხოელე-ბის გადაცემას, რომლებიც პოლიტიკურად იდენებიან.

3. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის საფუძველსა და შესაძლო მასშტაბის ანა-ლიზის შედეგებსაც არ მივყავართ რაიმე განსხვავებულ დასკვნამდე.

ა) თუმცა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის სიკვდილით დასჯის აკრძალვა მეტია, ვიდრე – სასჯელთა ტრადიციული სისტემით გათვალისწინებული სასჯელის ერთ-ერთი სახეობის გაუქმება მისი პოზიტიურ-სამართლებრივი ფორმუ-ლირებით. იგი წარმოადგენს დიდი სახელმწიფო და სამართლებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებას. სიკვდილით დასჯის აკრძალვა მოიცავს ადამიანის სიცოცხლის, როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების, აღიარებასა და სახელმწიფოს ისეთი პოზიციის ჩამოყალიბებასა და გამყარებას, რომელიც ხაზ-გასმით უპირისპირდება იმგვარ პოლიტიკურ რეჟიმს, სადაც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ადამიანის სიცოცხლეს და სადაც ბოროტად იყენებენ მოქალა-ქის სიკვდილისა და სიცოცხლის სახელმწიფოსათვის მიკუთვნებულ უფლებებს. აღ-ნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაცნობიერდეს იმ განსაკუთრებული ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე, რომლის პირობებშიც იგი მიიღეს. შესაბამისად, არ შეი-ძლება ეს გადაწყვეტილება მოიცავდეს და ეხებოდეს სხვა ქვეყნების ღირებულებების შეფასებას, რომლებსაც არა აქვთ უსამართლობის სისტემისა და რეჟიმის მოქმე-დების ზემოთ აღნიშნული გამოცდილება და რომლებმაც, სხვაგვარად განვითარე-ბული ისტორიული, სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოვლენებისა და სახელმწიფო-ფილოსოფიური მოსაზრებების გამო, საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში არ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

ბ) გერმანიის სახელმწიფოს მიერ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მიღებული კონსტიტუციური გადაწყვეტილების ამგვარი აბსოლუტიზაციისათვის [საერთაშორი-სო განზოგადებისათვის] არ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი. დღევანდელი კულ-ტურული სამყაროს კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების საფეხურის საფუძველზე არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიკვდილით დასჯა იმ-დენად შეუთავსებელია ცივილიზაციის დღევანდელ დონესა და მასშტაბებთან, რომ ის სახელმწიფოები, რომლებმაც გააუქმეს სასჯელის აღნიშნული ფორმა, უფლებამო-სილნი და უფრო მეტიც – ვალდებულნი არიან, სხვა ქვეყნებშიც აუცილებლად დაამკ-ვიდრონ თავიანთი შეხედულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამით მათ უნდა დაიკავონ, გარკვეულწილად, აღმატებული პოზიცია და შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით მოახდინონ სხვა სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემათა დისკრიმინაცია...

4. გერმანიის ძირითადი კანონის 102-ე მუხლის წარმოშობის ისტორია ამასთან დაკავშირებით არ შეიცავს არანაირ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მიდგომას...

*შენიშვნა: დღეისათვის პირის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სახელმწიფო იძლევა გარანტიას სიკვდილით დასჯის აღსრულებისაგან თავის შეკავების თაობაზე.*

*გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfGE 65, 348/354) ლიად ტოვებს იმ საკითხს, რჩება თუ არა ძალაში მისი წინამდებარე გადაწყვეტილება.*

ა) სასამართლო მოსმენა

**E – 9. 89**

1. წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ბრალდებულის სასამართლო მოსმენის გადადება არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითად კანონს. იგივე ვრცელდება ზემდგომ ინსტანციასზეც.

2. იმ შემთხვევაში, თუ ლანდის უმაღლესი სასამართლო, პროკურატურის საჩივრის საფუძველზე და ბრალდებულის წინასწარი მოსმენის გარეშე, გასცემს დაპატიმრების ბრძანებას, რომელზეც უარი თქვა ან რომელიც გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლომ, მან შესაძლებლობა უნდა მისცეს ბრალდებულს, წარადგინოს საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებზეც უნდა იმჯელოს სასამართლომ. ბრალდებულს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისი გამოყენების საშუალებით უნდა მიეთითოს ამის შესახებ.

პირველი სენატის 1959 წლის 8 იანვრის განჩინება  
- 1 BvR 396/53 -

მომჩივნის წინააღმდეგ ჩატარებული გამოძიების ფარგლებში, რომელიც აღიძრა თაღლითობისა და ცილისწამების რამდენიმე შემთხვევის გამო, ბადენ-ვიურტემბერგის ლანდის შვებიშ ქალის რაიონულმა სასამართლომ 1955 წლის 3 სექტემბერს, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებებისა და კვალის დაფარვის საფრთხეზე მითითებით, გამოსცა დაპატიმრების ბრძანება. ჰაილბრონის ლანდის სასამართლომ ბრალდებულის საჩივრის საფუძველზე 1955 წლის 8 სექტემბერს აღნიშნული ბრძანება გააუქმა.

1955 წლის 16 სექტემბერს შტუტგარტის ლანდის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ლანდის სასამართლოს განჩინება და ძალაში დატოვა 1955 წლის 3 სექტემბრის დაპატიმრების ბრძანება.

ამის შემდეგ არც მომჩივანს და არც მის ადვოკატს არ მიუღიათ შეტყობინება პროკურატურის სხვა საჩივრის შესახებ.

მომჩივნის მიერ დასმული საკითხი: ვალდებულია თუ არა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ქვემდგომი სასამართლოს მიერ უარყოფილი დაპატიმრების ბრძანების გაცემისას გადაწყვეტილების მიღებამდე მოისმინოს ბრალდებულის მოსაზრებები, მოითხოვს, ზოგადად, პირის სასამართლო მოსმენის მნიშვნელობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში, ბრალდებულის მოსმენის ინსტიტუტის განხილვას.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის სასამართლო მოსმენის პრინციპი, რომელიც ძირითადი, უფლების ტოლფასია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. სასამართლოების ამოცანა, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ საქმეზე ამომწურავი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებას, ძირითადად, პროცესის მონაწილეთა მოსმენის გარეშე ვერ განხორციელდება. ამას გარდა, ადამიანის ღირსება მოითხოვ-



ეს, რომ პირის უფლება დაუფიქრებლად არ განკარგოს ხელისუფლებამ; ცალკეული ადამიანი არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ ობიექტი, არამედ მას გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი აზრი, რათა გავლენა მოახდინოს წარმოებასა და მის შედეგზე (იხ: BVerfGE 7, 53 [57]; 7, 275 [279]).

ბრალდებულის მოსმენის უფლება დიდი ხანია აღიარებული და დაპყვიდრებულია საპროცესო სამართლის ფარგლებში. ცალკეულ საპროცესო კანონში აღნიშნული პრინციპი დაკონკრეტებულია მისი მოცულობისა და ფორმის მიხედვით. ამასთან, საჭირო იყო მისი შესაბამისობაში მოყვანა ცალკეული საპროცესო კანონის სპეციფიკასთან. პირის სასამართლო მოსმენის გათანაბრება ძირითად უფლებებთან ვერ შეცვლის ამგვარი საპირისპირო ინტერესების ლეგიტიმურობას, ასევე მათსა და ბრალდებულის მოსმენის ინტერესს შორის მედიაციის აუცილებლობას. გერმანიის ძირითად კანონში აღნიშნული პრინციპის დანერგვით უნდა გამორიცხულიყო მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა სასამართლო წარმოების ფარგლებში, როგორც ეს ხდებოდა ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის დროს და უნდა აღედგინა ხალხის ნდობა მიუკერძოებელი მართლმსაჯულების მიმართ. მაგრამ არ შეიძლება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულება იყოს ცალკეული წარმოების ფარგლებში გასათვალისწინებელი სხვადასხვაგვარი ინტერესისა და მათგან გამომდინარე პირის სასამართლო მოსმენის შეზღუდვების ურთიერთშეფარდების აღმოფხვრა.

გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი ეფუძნება იმას, რომ პირის სასამართლო მოსმენის კონკრეტული განსაზღვრა უნდა წარმოადგენდეს ცალკეული საპროცესო კანონის პრეროგატივას. ვინაიდან გერმანიის ძირითადი კანონის ამოქმედებისას მოქმედი საპროცესო კანონები ზოგადად აკმაყოფილებდა სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს პირის სასამართლო მოსმენის უფლების თვალსაზრისით, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას, ისევე როგორც იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ორმაგი სასაჯულის აკრძალვის განმარტებისას (იხ: BVerfGE 3, 248 [252]), უნდა გამოვიდეთ საპროცესო სამართლის წინაკონსტიტუციური ვითარებიდან...

2. ვინაიდან სასამართლო მოსმენის უფლებამ პირს უნდა მისცეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ძირითადად, მიზანშეწონილია მხოლოდ მისი წინასწარი მოსმენა. სასამართლო გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელი საბოლოოობა და შეუცვლელიობა მოითხოვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესის მონაწილეთა მოსმენას.

სასამართლოებს დაკისრებული აქვთ ასევე ამოცანები, რომლებიც არ მოიცავს საქმის საბოლოო სამართლებრივ შეფასებას, არამედ გულისხმობს დროებითი ზომების მიღებას შესაბამისი მდგომარეობის დროებითი მონესრიგების, ან კერძო ან საჯარო უფლებების დროებითი უზრუნველყოფის მიზნით...

მაგრამ საფრთხის ქვეშ მყოფი ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფა შესაძლოა, საჭიროებდეს დაუყოვნებელ ჩარევას, რომელიც გამორიცხავს არა მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას, არამედ რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის ასევე პირის წინასწარ მოსმენას. ასეთ შემთხვევებში, როდესაც სასწრაფო დგას მნიშვნელოვანი ინტერესები, შესაძლებელია, აუცილებელიც იყოს პირის შესაძლო მოსმენაზე უარის თქმა, რათა ამ გზით არ მოხდეს მისი გაფრთხილება (იხ: BVerfGE 7, 95 [99]). მოსამართლის საქმეში ჩარევა თავისთავად ამართლებს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას მონინალმდევე მხარის წინასწარი მოსმენის გარეშე. მაგრამ, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში ყოველთვის იზღუდება პირის უფლებები, წინ-

ნასწარი მოსმენის უფლების შეზღუდვა დასაშვები იქნება მხოლოდ იმ დროს, როდესაც ეს აუცილებელია მიღებული ღონისძიებების მიზნების უზრუნველსაყოფად და როდესაც წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ემუქრება მათ განხორციელებას. აღნიშნულიდან კანონმდებლისათვის გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ მან პირის უფლებებში ჩარევა, მისი წინასწარი მოსმენის გარეშე, დამოკიდებული გახადოს შეძლებისდაგვარად მკაცრ და ვინროდ განსაზღვრულ წინაპირობებზე. ამას გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ პირს, წინასწარ თუ არა, მოგვიანებით მაინც მიეცეს შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მის წინააღმდეგ გათვალისწინებულ ზომებსა და ღონისძიებებს.

## **E – 41. 246**

**მეორე სენატის 1976 წლის 21 იანვრის განჩინება ფედერალური საკონსტიტუციო სამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 24-ე მუხლის მიხედვით  
- BvR 941/75 -  
სარეზოლუციო ნაწილი:**

საკონსტიტუციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

### **საფუძვლები:**

საკონსტიტუციო საჩივრის საგანია საკითხის განხილვა: არღვევს თუ არა შტუტგარტის ბაადერ-მაინჰოფის პროცესის ბრალდებულის ძირითად უფლებებს ის ფაქტი, რომ საქმის ძირითადი განხილვა მიმდინარეობს მისი დასწრების გარეშე.

### **I**

1. საქმის ძირითადი განხილვა, ძირითადად, არ იმართება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ ესწრება ბრალდებული; თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც. სისხლის სამართლის პროცესის რეფორმასთან დაკავშირებული, 1974 წლის 20 დეკემბრის კანონის (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 3686) ცვლილებათა კანონი აწარმოებს ასეთ გამონაკლისთა წრეს და შემოაქვს შემდეგი შინაარსის ნორმა:

### **გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231ა მუხლი**

(1) იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული განზრახ და ბრალეულად ჩააყენებს საკუთარ თავს ისეთ მდგომარეობაში, რაც გამორიცხავს მის მონაწილეობას საქმის განხილვაში და თუ იგი ამ გზით შეგნებულად ცდილობს საქმის ჯეროვანი განხილვის ან მისი გაგრძელების შეფერხებას, მაშინ სხდომა იმ შემთხვევაში ჩატარდება ან გაგრძელდება მისი დასწრების გარეშე, თუ ჯერ ბრალდებული არ დაკითხულა ბრალდებასთან დაკავშირებით და თუ სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს მის დასწრებას პროცესზე. პირველი წინადადება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს მთავარი სხდომის გახსნის შემდეგ ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლოს წინაშე გამოეხატა თავისი აზრი ბრალდებასთან დაკავშირებით.

(2) როდესაც ბრალდებულს კვლავ დაუბრუნდება პროცესში მონაწილეობის უნარი, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, მას მიაწოდოს ძირითადი ინფორმაცია სხდომაზე განხილული საკითხების ირგვლივ, თუ სასამართლოს განაჩენის გამოცხადება არ არის დაწყებული.

(3) სასამართლო, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქმის ბრალდებულის დასწრების გარეშე განხილვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ექიმის, როგორც ექსპერტის, მოსმენის შემდეგ. განჩინება შესაძლებელია გამოტანილ იქნეს საქმის ძირითადი განხილვის დაწყებამდე, განჩინების წინააღმდეგ დასაშვებია საჩივარი...

2. აღნიშნული ნორმის საფუძველზე შტუტგარტის ლანდის უმაღლესმა სასამართლომ 1975 წლის 30 სექტემბერს გადაწყვიტა, რომ ბრალდებულის დასწრების გარეშე გაეგრძელებინა უკვე დაწყებული ძირითადი სხდომა.

## II

საკონსტიტუციო საჩივარი ამკარად დაუსაბუთებელია.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231ა მუხლი შეესაბამება კონსტიტუციას. იგი არ არღვევს ბრალდებულის უფლებას მის სასამართლო მოსმენასა (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი) და სამართლიან წარმოებაზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი).

თუ აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს ბრალდებულის უფლება, დაესწროს საქმის ძირითად განხილვასა და დაიცვას საკუთარი თავი, ამ უფლებას მას არ ართმევს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231<sup>ა</sup>-ე მუხლი. ის, ვინც განზრახ და ბრალეულად გამოიწვევს თავის უუნარობას, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, გაიგივებულია პირთან, რომელიც, მიუხედავად დასწრების შესაძლებლობისა, არ ცხადდება საქმის ძირითად განხილვაზე ან თვითნებურად ტოვებს მას (იხ: გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილი). როდესაც ბრალდებული, სხდომაზე დასწრების უფლების განხორციელების ნაცვლად, თვითონ ართმევს საკუთარ თავს საქმის ძირითად განხილვაზე დასწრების შესაძლებლობას, მაშინ მის დაუსწრებლად საქმის ძირითადი განხილვით არ ირღვევა ამ პირის ძირითადი უფლებები.

## E – 25, 158

მეორე სენატის 1969 წლის 21 იანვრის განჩინება  
- 2 BvR 724/67 -

ბრემენის პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივნის წინააღმდეგ, საგზაო მოძრაობისას სიჩქარის გადაჭარბების გამო, გამოსცა დაჯარიმების განკარგულება<sup>24</sup> 60 გერმანული მარკის ოდენობით, ან სანაცვლოდ – 2-დღიანი პატიმრობით.

მომჩივანს დაჯარიმების განკარგულება ჩაჰბარდა 1967 წლის 28 ივნისს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებითა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით, კერძოდ, ფოსტის მეშვეობით. მომჩივანი აცხადებს, რომ, ვინაიდან იგი 1967 წლის 17 ივნისიდან 8 ივლისამდე იმყოფებოდა დასასვენებლად, მხოლოდ 1967 წლის 10 ივლისს შეძლო ფოსტიდან დაჯარიმების განკარგულების წამოღება. 1967 წლის 11 ივლისის წერილით, რომელიც ბრემენის პირველი ინსტანციის სა-

<sup>24</sup> ასეთი განკარგულება დღეს აღარ არსებობს, მაგრამ არსებობს დაჯარიმების ბრძანება (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი).

სამართლოში შევიდა 1967 წლის 12 იელისს, მომჩივანმა თავისი ადვოკატის მეშვეობით გაასაჩივრა მის წინააღმდეგ გამოცემული დაჯარიმების განკარგულება და, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, იმედვრთულად მოითხოვა მისი აღდგენა.

1967 წლის 26 სექტემბრის განჩინებით (94 Cs (P) 94054/ 67) ბრემენის პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა ვადის აღდგენაზე.

ბრემენის ლანდის სასამართლომ 1967 წლის 7 ნოემბრის განჩინებით უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველის ინსტანციის სასამართლოს განჩინების წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი.

... ბრემენის ლანდის სასამართლოს 1967 წლის 7 ნოემბრის განჩინება ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველ პუნქტს, ვინაიდან სასამართლომ ვადის აღდგენის განხილვის ფარგლებში ბრალეულობის საკითხზე მსჯელობისას ვერ გაითვალისწინა პირის სამართლებრივი მოსმენის უფლების მნიშვნელობა და მასშტაბი (იხ: BVerfGE 7, 198 [LS 3 და გვ. 207]; 18, 85 [92]; 19, 303 [310]; 22, 93 [98]).

სისხლის სამართლის საქმის გამარტივებული წესით წარმოების არასრულყოფილება კონსტიტუციურ-სამართლებრივად მისაღებია, ვინაიდან პირის სამართლებრივი მოსმენის უფლება აქ უზრუნველყოფილია იმით, რომ მას აქვს შესაძლებლობა გასაჩივრების გზით მიაღწიოს საქმის ძირითად განხილვას (იხ: BVerfGE 3, 248 [253]). გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ კი ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, აღდგება თუ არა გასაჩივრების ვადა, რის წინაპირობებსაც განსაზღვრავს საპროცესო სამართლის ნორმები; თუმცა, აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველა წარმოებისათვის, მიუხედავად მათი თავისებურებებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ცალკეული საპროცესო კანონით, უზრუნველყოფს სამართლებრივი მოსმენის უფლების სავალდებულო მინიმუმს (იხ: BVerfGE 7, 53 [57]). ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ისეთ შემთხვევებში, როგორცაა ზემოაღნიშნული საქმე, საუბარია პირის სამართლებრივი უფლების დაცვაზე არა მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების შემთხვევაში ან ერთი ინსტანციის ფარგლებში, არამედ იმაზე, დაცულია თუ არა სამართლებრივი მოსმენის უფლება მთელი წარმოების ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, გადაჭარბებული არ უნდა იყოს მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იმოქმედოს პროცესის მონაწილემ თავისი სამართლებრივი მოსმენის უფლების დასაცავად (იხ: BVerfGE 17, 194 [197]; 18, 147 [150]).

ლანდის სასამართლომ მომჩივნისათვის უწყების მოსალოდნელ ჩაბარებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვისას ვერ გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი. პირი, რომელსაც გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და რომელსაც იგი, წინამდებარე შემთხვევის მსგავსად, ტოვებს 3-კვირიანი შევბულების განმავლობაში, არ არის ვალდებული, მიიღოს განსაკუთრებული ზომები ამ პერიოდში შეტყობინებისა თუ უწყების შესაძლო ჩაბარებასთან დაკავშირებით. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მისი მოთხოვნა ვადის აღდგენასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, როდესაც მას შევბულებაში ყოფნასთან დაკავშირებით სახლში არყოფნის პერიოდში, ფოსტაში დეპონირების გზით, ჩაჰბარდება დაჯარიმების განკარგულება და მან, იმის გამო, რომ არ იცოდა ამის შესახებ, გააცდინა გასაჩივრების ვადა.

საერთო სასამართლოების მიერ სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით პირის სასამართლო მოსმენის უფლების დარღვევის შემთხვევაში (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტი)

**პლენუმის 2003 წლის 30 აპრილის განჩინება**  
**- PBvU 1/02 -**

სამართლებრივ მოსმენაზე უარი, ისევე როგორც სხვა სამართლებრივი შეცდომები და დარღვევები, ექვემდებარება სამართლებრივი საშუალებით გასაჩივრებას. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საშუალება, პირს შეუძლია ისარგებლოს საკონსტიტუციო საჩივრით. სამართლებრივი მოსმენის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა შეადგენს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის დიდ ნაწილს (ასეთი საჩივრები ხშირად უფრო წარმატებულია, ვიდრე სხვა, ძირითად უფლებათა დარღვევის საფუძველით აღძრული საკონსტიტუციო საჩივრები). საკანონმდებლო სიახლე, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201ა მუხლის სახით, ვერ აღმოჩნდა დიდი განტვირთვის მომტანი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

როდესაც საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს საერთო სასამართლოების მეშვეობით სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობას ისეთ შემთხვევებში, როცა სასამართლო არღვევს პირის უფლებას სასამართლო მოსმენაზე და ამ დარღვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებისათვის, ეს ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა და გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველ პუნქტს.

**საფუძვლები:**

პლენარული წარმოების საგანია საკითხი: რა მასშტაბით მოიხზოვს გერმანიის ძირითადი კანონი მოსამართლის მიერ ძირითადი უფლების მსგავსი უფლებების, მაგალითად, სასამართლო მოსმენის (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის) უფლების დარღვევების აღმოფხვრას საერთო სასამართლოების მეშვეობით...

**ბ**

მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის ფარგლებში სასამართლო მოსმენის უფლების შესაძლო დარღვევების გადამოწმებისთვისაც ღიაა საერთო სასამართლოსათვის მიმართვის სამართლებრივი გზა. ეს გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტიდან. პლენუმი ცვლის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აქამდე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

**1**

ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის გარანტია არ არის გათვალისწინებული მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებისაგან მოქალაქის დაცვისათვის გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის გაგებით; იგი უფრო მასშტაბურია, მაგრამ არ უზრუნველყოფს სამართლებრივი საშუალებების ინსტანციურ სისტემას.

1. ეფექტური სამართლებრივი დაცვის გარანტია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი შემადგენელი ნაწილია (იხ: BVerfGE 88, 118 [123]; 96, 27 [39]). ძირითადი კანონი არის სასამართლოებში სამართლებრივი დაცვის გარანტია არა მხოლოდ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, არამედ – მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლების ფარგლებშიც. აღნიშნული გახლავთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ძირითად უფლებებთან, განსაკუთრებით კი – გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან (იხ: BVerfGE 93, 99 [107]). სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციური გარანტია მოიცავს სასამართლოების ხელმისაწვდომობას, სადავო საკითხის შემონმებას ფორმალური სასამართლო წარმოების გზით და სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებას.

2. გერმანიის ძირითადი კანონი, მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამართლებრივი გზის ხელმისაწვდომობას. თუმცა, სასამართლოს მეშვეობით სამართლებრივი დაცვის განხორციელება უფლების შესაძლო დარღვევის შემთხვევაში არ არის დაკავშირებული სამართლებრივი გზით სარგებლობის შეუზღუდავ შესაძლებლობასთან.

ა) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ სამართლებრივი სტაბილურობისა და სამართლებრივი მშვიდობიანობის მიზნით ნებისმიერი სამართლებრივი დავა ოდესღაც უნდა მოგვარდეს (იხ: BVerfGE 1, 433 [437]). თუ როდის უნდა მოხდეს ეს, ამას ითვალისწინებს კანონი. უკიდვანო და დაუსრულებელი სამართლებრივი გზის რისკი არ არსებობს ძირითადი კანონის მიხედვით, ვინაიდან კონსტიტუცია, როგორც მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლების ფარგლებში, უზრუნველყოფს მხოლოდ სასამართლოს ხელმისაწვდომობას. სამართლებრივი გზა ღიაა როგორც კერძო პირებსა და საჯარო ხელისუფლების სუბიექტებს შორის, ასევე – კერძო პირებს შორის არსებული დავების შემთხვევებში. აღნიშნული მოიცავს დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საკმარისია და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის სავალდებულო მინიმუმს წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებდეს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ერთჯერად შესაძლებლობას. კანონმდებლის ამოცანაა, სხვადასხვა ინტერესთა ურთიერთშეფარდებისა და გათანაბრების გზით გადაწყვიტოს: შესაბამისი საკითხის შემთხვევაში ერთი თუ რამდენიმე ინსტანცია უნდა იყოს მოცემული და რა წინაპირობების არსებობისას არის შესაძლებელი მათდამი მიმართვა (იხ: BVerfGE 54, 277 [291]). ინსტანციური სისტემა კონსტიტუციით არ არის გარანტირებული. არსებობს თუ არა დავები, რომელთა დამატებითი გადამონმება საჭიროა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო ინსტანციის მეშვეობით, წინამდებარე საქმის ფარგლებში არ საჭიროებს გადაწყვეტას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაუსრულებელი სამართლებრივი გზის რისკი არც ასეთ შემთხვევებში არსებობს.

ბ) ამა თუ იმ უფლებასთან დაკავშირებული ერთჯერადი სასამართლო გადაწყვეტილების გარანტია მიზნად ისახავს უფლების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული კონფლიქტების სასამართლოს მიერ შემონმება-გადაწყვეტისადმი დაქვემდებარებას. გარანტია არ სცდება აღნიშნულ ფარგლებს. კონსტიტუცია არ მოითხოვს სასამართლო აქტის იმ კუთხით გადამონმებას, დაირღვა თუ არა მის ფარგლებში არსებული სამართლებრივი დავის გადასაწყვეტად გათვალისწინებული სამართლებ-

ბრივი ნორმები. სამართლებრივი სტაბილურობისა და სამართლებრივი მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის სისტემა თავის თავზე იღებს სასამართლოს მიერ შესაბამისი საკითხის განხილვისას სამართლის არასწორი გამოყენების რისკს.

გ) სამართლებრივ სახელმწიფოში აღნიშნული მისაღებია ასევე იმ საფუძველით, რომ ინსტიტუციური ზომებითა და შესაბამისი საპროცესო მითითებებით მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი ასეთი სამართლებრივი შეცდომების თავიდან არიდება. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა (გერმანიის ძირითადი კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი) უზრუნველყოფს, რომ სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებს შეუსაბამებენ მხოლოდ კანონსა და სამართალს. ძირითადი საპროცესო უფლებები, გასაკუთრებით – გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება და 103-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს, რომ ყველანაირი თვითნებობისაგან თავისუფალ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრული ინსტანცია და იგი ეფუძნება სათანადოდ გამოკვლეულ, მყარ ფაქტობრივ საფუძველსა და მხარეთა განმარტებების გათვალისწინებით განხორციელებულ მიუკერძოებელ სამართლებრივ შეფასებას. თუ დამოუკიდებელი სასამართლოები ზემოაღნიშნულ ფარგლებში ამონებენ შესაბამის გარემოებებს სამართლებრივი შეცდომების კუთხით და ამასთან, არ არღვევენ კონსტიტუციურ საპროცესო გარანტიებს, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მისაღებია, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება აღარ ექვემდებარება დამატებითი ინსტანციის მეშვეობით მორიგ გადამონშებას.

3. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფარგლებში ერთმანეთისაგან განსხვავდება მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლება და გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტია, როგორც ამ პრინციპის სპეციალური ნორმა. სხვაობა მდგომარეობს მათი გამოყენების სფეროს კუთხით.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივი ლიტერატურის გარკვეული ნაწილის ფარგლებში გაგებულა იმგვარად, რომ იქ გამოყენებული საჯარო ხელისუფლების ცნება უნდა განიმარტოს ვინაროდ და გამოყენებულ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. აღნიშნული, ძირითადად, მოიაზრება იმ ფორმულაში, რომლის მიხედვითაც, გერმანიის ძირითადი კანონი უზრუნველყოფს სამართლებრივ დაცვას მოსამართლის მეშვეობით და არა – მოსამართლის წინააღმდეგ (იხ: BVerfGE 15, 275 [280]; 49, 329 [340]; 65, 76 [90]). ხოლო ამ ფორმულის მეორე ნაწილი მწვავე კრიტიკის ქარ-ცეცხლში ტარდება. კრიტიკის დასაბუთებისათვის განმარტავენ, რომ საჯარო ხელისუფლების ცნება ფართოა და მოიცავს მართლმსაჯულებასაც. არც გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შექმნის ისტორია და არც მისი მიზანი და დანიშნულება არ ამართლებს აღნიშნული ცნების ისეთ შეზღუდულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, იგი მოიცავს მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ბ) პლენუმის განმარტება პირველი პალატის მეშვეობით არ იძლევა გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის აქამდე არსებული განმარტებისაგან გადახვევის საფუძველს. პირველი პალატის მიერ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აქამდე არსებული სამართლებრივი მოსაზრების შეცვლა გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი საპროცესო უფლების დარღვევებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედების სფეროს ახლებურად

განსაზღვრას, ვინაიდან აღნიშნული ნორმა არ ეწინააღმდეგება ვარაუდს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლება სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს ნაწილობრივ განსხვავებული ფაქტობრივი წინაპირობების არსებობისას (გგ). შესაბამისად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო ხელისუფლების ცნების ვინაობა განმარტება (აა) სამართლებრივი სახელმწიფოს ასპექტით იმ შემთხვევაში არ არის გაუმართლებელი, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლება სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს ასევე იმ შემთხვევებშიც, რომლებიც არ მოიაზრება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში...

(1) ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმ სამოქალაქო-სამართლებრივ დავებში, რომლებზეც არ გამოიყენება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი, სამართლებრივი დაცვის განხორციელების საფუძვლად აღიარა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე და ძირითად უფლებებთან მჭიდროდ დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლება (იხ: BVerfGE 88, 118 [123]; 93, 99 [107]; 97, 169 [185]). ამ გზით უზრუნველყოფილია ის გარემოება, რომ სასამართლო სავალდებულო გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლება-მოვალეობის არსებობა-არარსებობის შესახებ.

(2) თუმცა, მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი მოთხოვნის უფლება მოიცავს სამართლებრივ დაცვას ასევე სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ იქ, სადაც ეს საჭიროა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე. ასეთი შემთხვევაა სასამართლოს მიერ ძირითადი საპროცესო უფლებების პირველადი [არა განმეორებითი] დარღვევა.

ძირითადი საპროცესო უფლებები და განსაკუთრებით გერმანიის ძირითადი კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტი და 103-ე მუხლის პირველი პუნქტი, ძირითად უფლებათა მსგავსი უფლების სახით, უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე მინიმალური სავალდებულო სტანდარტის დაცვას. სამართლებრივ სახელმწიფოში ძირითადი უფლების გარანტია მოიცავს მისი გათვალისწინებისა და დაცვის, სულ მცირე, ერთჯერადი სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას. თუმცა, განსაკუთრებით მაღალი რანგის სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით, კონსტიტუცია შესაძლოა უშვებდეს გამოწვევებსაც, როგორც ეს გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით არის გათვალისწინებული (იხ: BVerfGE 30, 1)...

გგ) აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს, რომ სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს „მხოლოდ“ მის ფარგლებში...

3. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს შეესაბამება ის, რომ სასამართლოს დარღვეულ სასამართლო მოსმენის უფლებას, პირველ რიგში, აღმოფხვრიან საერთო სასამართლოები. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მიზანია სამართლებრივი დაცვის ეფექტურობა. ამ მიზნის მიღწევა ყველაზე სრულყოფილად შესაძლებელია სასამართლო მოსმენის უფლების დარღვევის შეძლებისდაგვარად დროული აღმოფხვრით, რაც შეიძლება შესრულდეს საერთო სასამართლოების მეშვეობით, ყოველგვარი დამატებითი სირთულეებისა და გამრუდებების გარეშე.

4. მართლმსაჯულების განხორციელების მოთხოვნის უფლება ყველა ინსტანციაში უზრუნველყოფს სამართლებრივ დაცვას სასამართლო მოსმენის უფლების



დარღვევებისაგან ანუ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძირითადი საპროცესო უფლება პირველად დაირღვა შესაბამისი საჩივრის განხილვისას...

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ გათვალისწინებულია დამატებითი სამართლებრივი საშუალება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძირითადი საპროცესო უფლების შესაძლო დარღვევის შემომწევა-განხილვა, მაშინ საკმარისად არის უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების განხორციელების მოთხოვნის უფლების მთავარი არსი. თუ ძირითადი საპროცესო უფლება ირღვევა შესაბამისი საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ბოლო ინსტანციაში და თუ შეცდომა არსებით გავლენას ახდენს გადაწყვეტილებაზე, მაშინ შესაბამისი საპროცესო კანონი უნდა ითვალისწინებდეს ამ ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობას.

5. თუმცა, ზოგადად, საკმარისია სამართალწარმოების გზით სასამართლოს მიერ შესაძლო სამართლებრივი დარღვევის ერთჯერადად გადამონმების შესაძლებლობა...

### III

გასაჩივრების სისტემის მონესრიგებისას კანონმდებელი სარგებლობს ნორმის ფართო ასპარეზით...

ბ) სისხლისსამართლებრივ ნორმათა კანონით განსაზღვრის დადგენილება და უკუქცევითი ძალის აკრძალვა:

#### E – 14. 174

1. კანონებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დანაშაულის დასჯა, განეკუთვნება ასევე სამართლებრივი დადგენილებები, რომლებიც გამოიცა გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში.

კანონმდებელმა სასჯელის დაკისრების უფლებამოსილება ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს კანონში და ამასთან, იმდენად მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ამ უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და მოცულობა [მასშტაბი], რომ სასჯელის წინაპირობები და მისი სახეობა მოქალაქემ განჭვრიტოს თვითონ უფლებამოსილების ფორმულირებიდან და არა – მის საფუძველზე გამოცემული განკარგულებიდან.

2. თავისუფლების აღკვეთაც მოიაზრება თავისუფლების შეზღუდვად, გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების გაგებით. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული დათქმისათვის დამაკმაყოფილებელია მხოლოდ ფორმალური კანონები. კანონმდებელმა სათანადო სიზუსტით უნდა განსაზღვროს, თუ რა უნდა იყოს დასჯადი და ამას გარდა, სასჯელის სახეობა და მოცულობა გაითვალისწინოს ფორმალური კანონით; დადგენილების გამომცემ ორგანოსა თუ პირს კი კანონმდებელმა შესაძლოა, გადასცეს მხოლოდ სასჯელის შემადგენელი ფაქტობრივი ელემენტების სპეციფიკის განსაზღვრის უფლება.

მომჩივანს ალსფელდის პირველი ინსტანციის სასამართლომ, საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების მე-2 და 71-ე მუხლების თანახმად, შეუფარდა 3 - კვირიანი პატიმრობა.

მომჩივანი აცხადებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ ფორმალური კანონის საფუძველზე, როგორც არ არის დადგენილება საგზაო მოძრაობის შესახებ.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დანაშაულის დასჯა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების დასჯადობა მანამ იყო განსაზღვრული კანონით, სანამ ამ ქმედებას ჩაიდენდნენ. ვაიმარის კონსტიტუციის 166-ე მუხლისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მსგავსად, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტიც ითვალისწინებს სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპს. 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობა არ ამოიწურება სასჯელის ანალოგიური, ჩვეულებითი სამართლიდან გამომდინარე და უკუქცევითი დასაბუთებისა და გამძაფრების აკრძალვით. იგი სასჯელის განსაზღვრისათვის ერთმნიშვნელოვნად ითვალისწინებს კანონის აუცილებლობას [კანონის დათქმას]. მხოლოდ სისხლის სამართლის მოქმედი კანონის საფუძველზეა შესაძლებელი სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდება (BayVerfGH ტომი 1, 101 [109]).

გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით კანონთა რიცხვს განეკუთვნება არა მხოლოდ კანონები – ფორმალური გაგებით, არამედ ასევე, სამართლებრივი დადგენილებები, რომლებიც გამოიცა იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც აკმაყოფილებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. როგორც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა და როგორც გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ წინამდებარე წარმოებაშიც აღნიშნა, უფლების შემზღვეველი და დამსჯელი ნორმის გამოცემის უფლებამოსილების განსაზღვრა უნდა დაექვემდებაროს მკაცრ მოთხოვნებს. კანონმდებელმა სასჯელის დაკისრების უფლებამოსილება ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს კანონში და ამასთან, იმდენად მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ამ უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და მოცულობა [მასშტაბი], რომ სასჯელის წინაპირობები და მისი სახეობა მოქალაქემ წინასწარ განჭვრიტოს თვითონ უფლებამოსილებიდან და არა – მის საფუძველზე გამოცემული განკარგულებიდან (იხ: BVerfGE 1, 14 [60]; 2, 307 [334]; 186 5, 71 L76]; 7, 282 [302]; 8, 274 [307]; 10, 251 [238]).

ბრალდებულს სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ კანონის ან კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი დადგენილების საფუძველზე, რომელიც ადგენს დასჯადობას. სასჯელის შეფარდება ისეთი დადგენილების საფუძველზე, რომელიც არ არის გამოცემული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვერ გამართლდება იმით, რომ „დასჯადობა“ განსაზღვრული და დადგენილი იყო სხვა სამართლებრივი ნორმით.

2. თუ გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი ეხება ყველა სახის სასჯელის შეფარდებას სასამართლო განაჩენების საფუძველზე, 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება მიზნად ისახავს განსაკუთრებულ დაცვას აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ასევე სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოს მხრიდან თავისუფლების შეზღუდვებისას.

გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ფორმალური კანონის საფუძველზე და მხოლოდ ამ კანონით დადგენილი პირობების დაცვით.

გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლი მჭიდრო კავშირშია მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებით დაცულ პიროვნების თავისუფლებასთან. ამიტომაც თავდაპირველად განსაზღვრული იყო 104-ე მუხლისა და მე-2 მუხლის ნორმათა გაერთიანება. თუმცა, მოგვიანებით 104-ე მუხლი არა სისტემური, არამედ სარედაქციო მოსაზრებებიდან გამომდინარე, განთავსდა „მართლმსაჯულების“ თავში, რათა არ მომხდარიყო ძირითად უფლებათა ნაწილის გადამეტებული გაფართოება.

თავისუფლების აღკვეთაც მოიაზრება თავისუფლების შეზღუდვად გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების გაგებით. თუ სასჯელის შეფარდება, მისი იზოლირებულად განხილვისას, არ ზღუდავს პირის თავისუფლებას, სასჯელალსრულებასთან ერთად იგი ქმნის თავისუფლების აღკვეთის ერთიან აქტს.

გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული დათქმისათვის დამაკმაყოფილებელია მხოლოდ ფორმალური კანონები ანუ სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გამოიცა დაწესებული საკანონმდებლო პროცედურების დაცვით. დადგენილება მაშინაც არ არის ფორმალური კანონი გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, როდესაც იგი გამოცემულია ფორმალური კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე; აქედან გამომდინარე, „წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დასაშვებია უფლებაში ჩარევა და ასევე აღნიშნული ჩარევის ფორმა, განსაზღვრული უნდა იყოს თვითონ ფორმალურ კანონში“ (BGHZ 15, 61 [64]). თუ კანონმდებელი სათანადო სიზუსტით განსაზღვრავს, რა უნდა იყოს დასჯადი და სასჯელის სახეობასა და მასშტაბს ანესებს ასევე ფორმალური კანონით, ხოლო სასჯელის ფაქტობრივი ელემენტების დაზუსტებას მიანდობს სამართლებრივი დადგენილების გამომცემ ორგანოსა თუ პირს, ამით დაცულია ცალკეული პირის სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი მშვიდობა, გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მიზნისა და დანიშნულების მიხედვით და ამასთან, კანონმდებელს არ ჩამოერთმევა მისთვის კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა...

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ გერმანიის კანონის 21-ე მუხლი არ განიხილება ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებად; ის თვითონ არის სისხლისსამართლებრივი ნორმა, თუმცა, არ შეიცავს დადგენილების გამომცემი პირისა თუ ორგანოსათვის სასჯელის განმსაზღვრელი ნორმების გამოცემის უფლებამოსილებას და არც მსგავსი შინაარსის დებულებებს.

აქედან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების 71-ე მუხლს არ გააჩნია სავალდებულო სამართლებრივი საფუძველი და ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რის გამოც იგი ბათილია.

ვინაიდან საგზაო მოძრაობის შესახებ დებულების 71-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და არ არის ფორმალური კანონი, იგი ასევე შეუსაბამოა გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის დებულებები შესაძლებელია, შეიცავდეს სასჯელის განსაზღვრებებს, რომლებიც ეფუძნება ლანდის კანონმდებლის სპეციალურ უფლებამოსილებას. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი კანონის განსაზღვრასთან დაკავშირებით დაცულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქალაქისათვის თვითონ უფლებამოსილების შინაარსიდან გამომდინარეობს დასჯადობის ფარგლები, სასჯელის სახეობა და მისი უმაღლესი ფორმა.

### **მეორე სენატის 1972 წლის 23 თებერვლის განჩინება**

კანონები, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, არ არის მხოლოდ ფორმალური კანონები. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სასჯელთან დაკავშირებულ ნორმებს შეიძლება შეიცავდეს ასევე სამართლებრივი დადგენილებები, რომლებიც გამოიცა იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც აკმაყოფილებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს (იხ: BVerfGE 14, 174 [185]; 14, 245 [251]; 14, 254 [257]; 22, 21 [25]). იგივე ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილებებზე. თუმცა, ფორმალური კანონი, რომელიც ითვალისწინებს დადგენილების გამოცემის უფლებამოსილებას, ვერ განიხილება გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით; კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არც ანალოგიით გამოიყენება. აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ დადგენილების გამოცემის უფლებამოსილების განმსაზღვრელ ნორმებზე არ ვრცელდება კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვები. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა კანონის განსაზღვრასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ მოქალაქეს სასჯელის განმსაზღვრელი ნორმის საფუძველზე შესაძლებლობა აქვს შეიტყოს, თუ რა არის აკრძალული და რა სასჯელი ემუქრება მას ამ აკრძალვის დარღვევისათვის. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დადგენილების გამოცემა, იოგორც წინარე შემთხვევაში, დამოკიდებულია ლანდის კანონმდებლის მიერ სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებაზე, მაშინ არა მხოლოდ დადგენილება, არამედ თვითონ უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმაც უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს. უკვე ამ ნორმიდან გამომდინარე და არა შემდგომ მის საფუძველზე მიღებული დადგენილებიდან მოქალაქისათვის შესაძლებელი უნდა იყოს, განჭვრიტოს დასჯადობის ფარგლები და სასჯელის სახეობა.

სხვაგვარად ვერც მოქალაქე და ვერც მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ, განესაზღვრათ: იყო თუ არა დადგენილების მიმღები პირი თუ ორგანო საერთოდ უფლებამოსილი, გაეთვალისწინებინა შესაბამისი სასჯელი და საკმარისი იყო თუ არა ამისათვის მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ნათელი გახდეს, იყო თუ არა გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით შესაბამისი სისხლისსამართლებრივი საკითხის მონესრიგება.

თუმცა, უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმა დეტალურად არ უნდა ანესრიგებდეს სასჯელის ფაქტობრივ ელემენტებს. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა, როდესაც ნორმიდან გამომდინარე, იურიდიული განმარტების აღიარებული მეთოდ-

ბითა და წესით შესაძლებელია სასჯელის ფაქტობრივი ელემენტების, ბრალულობის სახეობის, სასჯელის სახისა და მისი უმაღლესი ფორმის დადგენა. ამასთან, როდესაც საქმე ეხება თავისუფლების ისეთ შეზღუდვებს, რომლებზეც, როგორც წინამდებარე შემთხვევაში, არ ვრცელდება გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული კანონის დათქმა (იხ: BVerfGE 14, 174 [186]), კანონმდებელს შეუძლია, დადგენილების მიმღებ ორგანოებსა თუ პირებს, უფლებამოსილებით გათვალისწინებული ფაქტობრივი ელემენტების ფარგლებში, ასევე მიანიჭოს გარკვეული ასპარეზო სასჯელის მოცულობასთან დაკავშირებით, რათა მისცეს მათ შესაძლებლობა, რომ აღნიშნული მოარგონ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკურ თუ სოციალურ სტრუქტურებს.

## **E – 26, 41**

სისხლისსამართლებრივი ნორმა ხულიგნობის შესახებ (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი [მეორე ალტერნატივა]) შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

### **მეორე სენატის 1969 წლის 14 მაისის განჩინება - 2 BvR 128/68 -**

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის<sup>25</sup> მიხედვით, 500 მარკამდე ოდენობის ჯარიმით ან პატიმრობით ისჯება ის, ვინც შეუფერებელი ფორმით იწვევს ხმაურს და არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან ხულიგნობს.

მომჩივანს 1967 წლის 29 სექტემბრის ღამეს თავის ნაცნობთან ერთად ტროტუარზე მიჰქონდა პარკის გრძელი სკამი, რის გამოც იგი ხელს უშლიდა ფეხით მოსიარულეებს. ვოლფსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლომ მას 1968 წლის 22 იანვარს ამ საქციელის გამო, ხულიგნობის საფუძველზე (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი), დააკისრა 100 მარკის ოდენობის ფულადი ჯარიმა ან სანაცვლოდ – 10-დღიანი პატიმრობა.

სისხლისსამართლებრივი ნორმა ხულიგნობის შესახებ შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დანაშაულის დასჯა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დასჯადობა კანონით მის ჩადენამდე უკვე განსაზღვრული იყო. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი სრულიად გამორიცხავს შესაბამისი ქმედების შემდეგ გამოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმების უკუქცევითი ძალით გამოყენებას და სასჯელის შეფარდების დასაბუთებას ანალოგიის ან ჩვეულებითი სამართლის მეშვეობით.

ამას გარდა, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ დასჯადობა იყოს „კანონით გათვალისწინებული და განსაზღვრული“. ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს იმის განჭვრეტა, თუ ამა თუ იმ ქმედების ჩადენისას რა სასჯელი ემუქრება (იხ: BVerfGE 25, 269 [285]). ის, თუ რომელი ქმედება ისჯება

<sup>25</sup> ეს ქვეპუნქტი გაუქმდა და მას ჩაენაცვლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის 117-ე და 118-ე მუხლები.

კანონით, იმ შემთხვევაშიც არ იქნება ნათელი, როდესაც კანონში სასჯელის ფაქტობრივი ელემენტები განუსაზღვრელად და გაურკვეველად არის ჩამოყალიბებული (იხ: BVerfGE 14, 245 [252]; ასევე BVerfGE 25, 269 [285]).

თუმცა, ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართალში საერთოდ არ შეიძლება ისეთი ზოგადი ცნებების გამოყენება, რომელთა განსაზღვრაც შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად ყველა შემთხვევისათვის და რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებს მოსამართლის მიერ განმარტებას (იხ: BVerfGE 11, 234 [237]). აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ გარკვეულნილად ანუ შესაბამის ფარგლებში მოითხოვს დასჯადობის განსაზღვრას კანონით.

ის, თუ კანონისმიერი განსაზღვრების რა მასშტაბს უნდა აკმაყოფილებდეს ცალკეული სასჯელის ფაქტობრივი ელემენტი, ვერ განისაზღვრება საყოველთაოდ და ზოგადად. სავალდებულო კანონისმიერი განსაზღვრების მასშტაბი დამოკიდებულია შესაბამისი სასჯელის ფაქტობრივი გარემოების თავისებურებასა და იმ გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვიეს კანონისმიერი ნორმების არსებობა. ყოველ შემთხვევაში კანონი მით უფრო ზედმინევი უნდა განსაზღვრავდეს დასჯადობის წინაპირობებს, რაც უფრო მძიმეა გათვალისწინებული სასჯელი (იხ: BVerfGE 14, 245 [251]).

2. ხულიგნობასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ნორმა სათანადო სიზუსტით არის ჩამოყალიბებული და განსაზღვრული.

ცალკეულ მოქალაქეს შეუძლია იმის განჭვრეტა, თუ რა შემთხვევებში გამოიყენებენ სასამართლოები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მეორე ალტერნატივას. თუმცა, აღნიშნული ნორმა ფართოდ არის განმარტებული, მაგრამ მისი თავისებურება ისაა, რომ იგი განეკუთვნება სისხლისსამართლებრივი ნორმების იმ ნაწილს, რომელსაც აქვს ხანგრძლივი ტრადიცია და, შესაბამისად, ათწლეულების განმავლობაში სათანადო სიზუსტით არის განსაზღვრული სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში.

## **E – 25, 269**

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ქმედების დასჯად ქმედებად მიჩნევა. აღნიშნული ნორმა კრძალავს როგორც უკუქცევითი ძალით სასჯელის შემოღებას, ასევე უკუქცევითი ძალით სასჯელის დამძიმებას.
2. ხანდაზმულობასთან დაკავშირებული ნორმები ანესრიგებს დასჯადად მიჩნეული ქმედების დევნის ვადას. ეს ნორმები არ ეხება ქმედების დასჯადობას, რის გამოც მათზე არ ვრცელდება უკუქცევითი ძალის აკრძალვა.
3. ხანდაზმულობის ჯერ კიდევ ამოუწურავი ვადის გაგრძელება ან გაუქმება ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომელთა ჩამდენ პირებს ემუქრებათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, არ ენიშნა აღმდგება არც სამართლებრივი სახელმწიფოს და არც თანასწორობის პრინციპს.

მეორე სენატის 1969 წლის 26 თებერვლის განჩინება  
- 2 BvL 15, 23/68 -

სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის შესახებ 1965 წლის 13 აპრილის გერმანიის კანონის (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ.

315) პირველი მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ შემოწმებასთან დაკავშირებით.

კანონმდებელს სურდა, თავიდან აეცილებინა ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმისა და ომის შემდგომი პერიოდის დროინდელი მკვლელობის დანაშაულების ხანდაზმულობა 1969 წლის 31 დეკემბრამდე.

სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის შესახებ გერმანიის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი კანონით გათვალისწინებული დანაშაულების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გასვლას ანესებს 1969 წლის 31 დეკემბრისათვის და ამით აგრძელებს ხანდაზმულობის მიმდინარე ვადებს.

III. სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის შესახებ გერმანიის კანონის საშუალებით იმ დანაშაულთა დევნის ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება, რომელთა ჩამდენ პირებს ემუქრებათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, არ ენიშნა აღმდგეგბა გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქმედება შესაძლებელია დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი დასჯადობა განსაზღვრული იყო კანონით მანამ, სანამ მას ჩაიდენდნენ. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლი, ისევე როგორც ვაიმარის კონსტიტუციის შესაბამისი 116-ე მუხლი, კრძალავს ადამიანის დასჯას ისეთი კანონის საფუძველზე, რომელიც არ მოქმედებდა ქმედების განხორციელების დროს ანუ, რომელიც ვერ იქნებოდა ცნობილი ქმედების განმარტებული პირისათვის (BVerfGE 7, 111 [119]). ამით კონსტიტუცია კრძალავს როგორც ახალი სისხლისსამართლებრივი ნორმების უკუქცევითი ძალით გამოყენებას, ასევე – სასჯელის დასაბუთებას ანალოგიის გამოყენების გზით...

გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს როგორც უკუქცევითი ძალით სასჯელის დასაბუთებას, ასევე – უკუქცევითი ძალით სასჯელის დამძიმებას.

2. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი არაფერს ამბობს იმ დროის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია კონსტიტუციის ძალით დასჯადად მიჩნეული ქმედების დევნა და გათვალისწინებული სასჯელის დაკისრება.

ყოველი სისხლისსამართლებრივი ნორმა შეიცავს პენალიზირებული [დაგმობილი] ქმედების სახელმწიფოს ავტორიტეტით აღჭურვილ უარყოფით შეფასებას. აღნიშნული უარყოფითი შეფასების კონკრეტული შინაარსი გამომდინარეობს სასჯელის ფაქტობრივი ელემენტებიდან და სისხლის სამართლის სანქციებიდან. მათი ერთობლიობა წარმოადგენს დასჯადობას გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. როდესაც რომელიმე ქმედებას გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისი და, ზოგადად, კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე ემუქრება სასჯელი, ამით იგი იქცევა „დასჯად ქმედებად“. მისი დასჯადობა განსაზღვრულია კანონით.

ქმედების დასჯადობა არის მისი დევნის წინაპირობა. ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების დასჯადობა მის განხორციელებამდე კანონით იყო განსაზღვრული.

გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ქმედების დასჯადად მიჩნევა, ხოლო ხანდაზმულობასთან დაკავშირებული ნორმები ანესრიგებს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა განხორციელდეს დასჯადი ქმედების სისხლისსამართლებრივი დევნა. ვინაიდან აღნიშნული ნორმები ეხება დევნას და არა – დასჯადობას, ამიტომ ისინი არ მოაზრება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფეროში;

აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადების გაგრძელება ან გაუქმება არ შეიძლება ენიხანალმდეგებოდეს კონსტიტუციის აღნიშნულ ნორმას (იხ: BVerfGE 1, 418 [423]).

3. ზემოაღნიშნულს ადასტურებს ასევე ნორმის წარმოშობის ისტორიაც...

III. სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის შესახებ გერმანიის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი არ ენიხანალმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

1. უკუქცევითი ძალის კანონი, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფეროს მიღმა, ძირითადად, არ არის დაუშვებელი. თუმცა, აქაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლები გამომდინარეობს სამართლებრივი სტაბილურობიდან, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილია.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი განეკუთვნება საყოველთაო პრინციპებსა და ძირითად იდეებს, რომელთაც კონსტიტუციურმა კანონმდებელმა არ მისცა სამართლებრივი ნორმის ფორმა და არ მოაქცია შესაბამისი ნორმის ფარგლებში, ვინაიდან მათ განაპირობებს ის კონსტიტუციური ხედვა და სურათი, რითაც ხელმძღვანელობდა კონსტიტუციის კანონმდებელი (იხ: BVerfGE 2, 380 [403]). აღნიშნული პრინციპი არ შეიცავს დეტალურად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ კონსტიტუციური რანგის მქონე აკრძალვებსა და მოთხოვნებს, არამედ წარმოადგენს ისეთ კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც, შესაბამისი საქმიდან გამომდინარე, საჭიროებს დაკონკრეტებას (იხ: BVerfGE 7, 89 [92]).

სამართლებრივი სტაბილურობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისათვის დამახასიათებელი ორგანული პოსტულატი, მოითხოვს, რომ მოქალაქეს ჰქონდეს მისთვის მოსალოდნელი შეზღუდვების განჭვრეტისა და ამისათვის სათანადოდ მომზადების შესაძლებლობა. მას უნდა ჰქონდეს იმის ნდობა, რომ კანონმდებელი წარსულში ამოწურულ და მონენსრიგებულ გარემოებებს არ დაუკავშირებს იმაზე უარეს შედეგებს, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო შესაბამისი ქმედების ჩადენის ანუ ამ გარემოებების დადგომის მომენტისათვის (პირდაპირი უკუქცევითი ძალა). რიგ შემთხვევებში მოქალაქეს შესაძლოა, ჰქონდეს ნდობის დაცვის მოთხოვნის უფლება, რომ მისი სამართლებრივი პოზიცია არ გაუფასურდეს ახალი ნორმებით, რომლებიც ვრცელდება ანმყოფი მიმდინარე, ჯერ კიდევ დაუსრულებელ და ამოუწურავ გარემოებებზე (არაპირდაპირი უკუქცევითი ძალა). სამართლებრივი სტაბილურობა მოქალაქისათვის, პირველ რიგში, ნიშნავს მისი ნდობის დაცვას (იხ: BVerfGE 13, 261 [271]; 14, 288 [297]; 15, 313 [324]).

თუმცა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს განეკუთვნება არა მხოლოდ სამართლებრივი სტაბილურობა, არამედ ასევე – მატერიალური სამართლიანობაც. კანონმდებელი ყოველთვის თანაბრად ვერ ითვალისწინებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ამ ორივე მხარეს (იხ: BVerfGE 3, 225 [237]; 7, 89 [92]). თუ სამართლებრივი სტაბილურობა დისონანსში იმყოფება თანასწორობასთან, მაშინ კანონმდებლის ამოცანაა, მიემხროს ან ერთ ან მეორე მხარეს. თუ აღნიშნული ხდება ყოველგვარი თვითნებობის გარეშე, მაშინ კანონმდებლის გადანყვეტილება არ ენიხანალმდეგება კონსტიტუციას (იხ: BVerfGE 3, 225 [237]; 291 15, 313 [319]).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნდობის კონსტიტუციური დაცვა არ არის შეუზღუდავი. მოქალაქეს არ შეუძლია მოითხოვოს ნდობის დაცვა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ელემენტის განხორციელება, როდესაც მისი ნდობა შესაბამისი ნორმის მოქმედების გაგრძელებასთან დაკავშირებით ვერ გაამართლებს და კანონმდებელი მას გაითვალისწინებს (იხ: BVerfGE 14, 288 [299]) ანუ, როდესაც საქმის ვითარებიდან გამომდინარე, გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია



ნდობა გარკვეული სამართლებრივი გარემოების მიმართ (იხ: BVerfGE 13, 261 [271] და მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამასთან გვაქვს საქმე.

2. სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის შესახებ გერმანიის კანონი უკუქცევითი ძალით არ ჩარეულა ნარსულში დასრულებული გარემოებების მონესრიგებაში. იგი არ ვრცელდება ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელთა დევნაც უკვე ხანდაზმული იყო კანონის ამოქმედების მომენტისათვის (პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ხანდაზმულობის მოქმედი ვადები მხოლოდ გაგრძელდა.

ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას, რომელთა ჩამდენ პირებს ემუქრებათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, შედეგად არ ჰქონია ნდობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური მნიშვნელობის ზიანი.

## **E – 92. 1 I**

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალმომრეობის ცნების ფართო განმარტება, მჯდომარე დემონსტრაციებთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

**პირველი სენატის 1995 წლის 10 იანვრის განჩინება**

**- 1 BvR 718, 719, 722, 723/89 -**

### **საფუძვლები:**

**ა**

მომჩივნებს შეეფარდათ სისხლისსამართლებრივი სასჯელი სამხედრო დანებებულების წინ მჯდომარე დემონსტრაციის გზით ჯგუფური იძულების განხორციელებისათვის. ისინი ასაჩივრებენ გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, ხოლო მე-3 და მე-4 მომჩივნები დამატებით ასაჩივრებენ გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას სამართლიან სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

**ბ**

საკონსტიტუციო საჩივრები დასაბუთებულია.

**1**

ლანდის სასამართლოსა და ლანდის უმაღლესი სასამართლოს გასაჩივრებული განწყვეტილებები ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთგზის განუმარტავს თავის გადანწყვტილებებში (იხ. ბოლოს: BVerfGE 71, 108 [114]; 73, 206 [234]).

აღნიშნული განმარტებების მიხედვით, იგი შეიცავს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ნორმების უკუქცევითი ძალით გამოყენების აკრძალვას, არამედ ასევე ავალდებულებს კანონმდებელს, იმდენად კონკრეტულად ჩამოაყალიბოს დასჯადო-

ბის წინაპირობები, რომ ფორმულირებიდან გამომდინარეობდეს სასჯელის ფაქტობრივი ელემენტების გამოყენების სფერო და მასშტაბი ან, სულ მცირე, შესაძლებელი იყოს მათი გამოვლენა განმარტების გზით. ეს ვალდებულება ემსახურება ორმხრივ მიზანს. ერთი მხრივ, ნორმის ადრესატებმა წინასწარ უნდა შეძლონ იმის პროგნოზირება, თუ რომელი ქმედებაა აკრძალული და ისჯება კანონით, ხოლო მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფს, რომ დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით გადანყვეტილება მიიღოს კანონმდებელმა და არა – შემდეგში უკვე აღმასრულებელმა ან სასამართლო ხელისუფლებამ. ამდენად, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს მკაცრ კანონისმიერ დათქმას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ზღუდავს კანონის გამოყენებით.

თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს ისეთ ცნებათა გამოყენებას, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებს მოსამართლის განმარტებას. კანონმდებელი სისხლის სამართალშიც დგას იმ ამოცანის წინაშე, რომ სათანადოდ მოერგოს და გაითვალისწინოს ცხოვრებისეული მრავალფეროვნება. ხოლო სისხლისსამართლებრივი ნორმების ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათიდან გამომდინარე გარდაუვალია, რომ ცალკეულ შემთხვევაში არ იყოს ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი, მოიაზრება თუ არა შესაბამისი ქმედება კანონის შემადგენელ ფაქტობრივ ელემენტებს შორის. მაგრამ, მიუხედავად ამ სპეციფიკისა, უმთავრეს შემთხვევებში ნორმის ადრესატს უნდა შეეძლოს იმის განჭვრეტა, არის თუ არა დასჯადი ესა თუ ის ქმედება. პრობლემატურ ანუ არაერთმნიშვნელოვან შემთხვევებში, სულ მცირე, გარკვეული რისკის არსებობა მაინც უნდა იყოს ადრესატისათვის ცხადი და ნათელი.

მართლმსაჯულებისათვის კი კანონისმიერი განსაზღვრის ვალდებულების შედეგია ანალოგიისა და ჩვეულებითი სამართლის მეშვეობით სასჯელის დასაბუთების აკრძალვა. ამასთან, „ანალოგია“ არ უნდა იქნეს გაგებული ვინაობა ანუ გამოირიცხება ისეთი კანონის გამოყენება, რომელიც სცდება ნორმის სანქციის შინაარსს. ვინაიდან კანონის დებულებების განმარტების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონის ტექსტი, იგი მიიჩნევა კიდევ არსებით კრიტერიუმად: კანონის ფორმულირება [სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა] არის მოსამართლის ინტერპრეტაციისა და განმარტების ფარგლები.

2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლი ძალის გამოყენების შესაბამისი ალტერნატივის კუთხით შეესაბამება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს...

3. აღნიშნულისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის სასამართლოთა განმარტება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ძალმომრეობის ცნების შესახებ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტს...

ა) გასაჩივრებული გადანყვეტილებები ეფუძნება ძალმომრეობის განმარტებას, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში...

სასამართლო პრაქტიკის დღევანდელი მდგომარეობა განპირობებულია გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს 1969 წლის Laepplé-გადაწყვეტილებით (იხ: BVerfGE 23, 46 [54]), რომლის მიხედვითაც, ძალმომრეობის (ძალის გამოყენების) საეალდებულო წინაპირობა არ არის „სხეულის ძალების უშუალო გამოყენება“, არამედ საკმარისია „დამნაშავემ სხეულის ძალის მინიმალური გამოყენებით მსხვერპლის მიმართ დაიწყო ფსიქიკურად დეტერმინირებული პროცესი“. დასჯადობის განსაზღვრისას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა

ენიჭება „ფსიქიკური ზემოქმედების სიმძლავრეს“. აღნიშნული ინტერპრეტაცია, რომელსაც ძალმომრეობის ცნების „დემატერიალიზაციასაც“ უწოდებენ, მიზნად ისახავს ნების თავისუფლების დაცვას ასევე ისეთი ზემოქმედებისგან, რომელიც, მართალია, ნაკლებად უხეშია, მაგრამ ისეთივე „შედეგიანი“ და მტკიცუნეულია, როგორც პირდაპირი გაგებით – ძალისმიერი ზეგავლენა (იხ: BGHSt 1, 145 [147]; 8, 102 [103]; BVerfGE 73, 206 [242]).

სასამართლო პრაქტიკის საშუალებით ძალმომრეობის ცნების ამგვარი გაფართოება სადავოა როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლიტერატურისა და ნაშრომების ფარგლებში (იხ: BVerfGE 73, 206 [232]). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს Mutlangen-ის გადაწყვეტილებამ, სასამართლო პალატაში ხმების ორად გაყოფის გამო, საბოლოოდ ვერ მოჰყვინა ნათელი ამ სადავო საკითხს...

ბ) საქმის ხელახალი გადამონმების შემდეგ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ხუთი ხმით სამის წინააღმდეგ დაასვენა, რომ ძალმომრეობის ცნების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს, შეუსაბამოა გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტთან...

გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს არა მხოლოდ ნორმის ფაქტობრივი ელემენტების ჩანაცვლების, არამედ ასევე მათი განმარტების გზით – განერცობის ფარგლებსაც. იმ ცნებების განმარტებამ, რომელსაც კანონმდებელი იყენებს პენალიზირებული საშუალებების სახელწოდებად, არ შეიძლება შედეგად გამოიღოს დასჯადობის ამ ცნებების საშუალებით მიღწეული შეზღუდვის გაუქმება.

ვინაიდან, იძულების ცნებაში მოიაზრება მესამე პირის ნებაზე იძულებითი ზეგავლენის მოხდენა, ხოლო გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილში იძულების საშუალებათა დასახელებას აქვს შესაძლო იძულების საშუალებათა შორის დასჯადი საშუალებების გამოყოფის ფუნქცია, ძალმომრეობა ვერ გაუტოლდება იძულებას, არამედ სცდება მას. სწორედ აქედან გამომდინარე, ძალმომრეობა, მუქარისაგან განსხვავებით, ყოველთვის დაკავშირებული იყო დამნაშავეის მიერ ძალის გამოვლენასთან. იძულების გამოვლინებები, რომლებიც გამოხატულია არა სხეულის ძალის, არამედ – ფსიქიკური ზემოქმედების საშუალებით, უფრო აკმაყოფილებს და შეესაბამება მუქარის და არა – ძალის გამოყენების ფაქტობრივ ელემენტებს. მართალია, მართლმსაჯულება დღესაც მიიჩნევს სხეულის ფაქტორს ძალმომრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად, მაგრამ აქ აღარ არის ყურადღება გამახვილებული ძალის გამოვლენის ფაქტორზე, რის შედეგადაც ძალმომრეობის ცნების ფაქტობრივი წინაპირობების შესრულებისათვის უკვე საკმარისად მიიჩნევა ფიზიკურად გარკვეულ ადგილას ყოფნა, თუ პირის/დამნაშავეის იქ ყოფნა ფსიქიკურად ზღუდავს, ავინროებს ადამიანს/მსხვერპლს და აფერხებს მას თავისი ნების გამოვლენა-განხორციელებაში.

ამით, გარკვეულწილად, იფიქტება ძალმომრეობის ცნების ხასიათი, რის შედეგადაც იგი ხშირ შემთხვევაში კარგავს კანონმდებლის მიერ ამ ცნებისათვის მიკუთვნებულ ფუნქციას, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულის ფარგლებში, მესამე პირის ნებაზე იძულების გარდაუვალ და ყოველდღიურ გამოვლინებებს შორის, უნდა განსაზღვრულიყო დასჯადი საშუალებები. შესაბამისად, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო ამ პროცესს შეენიწააღმდეგა იმგვარად, რომ მან არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიაკუთვნა ფსიქიკური ზემოქმედების „სიმძლავრეს“, რის შედეგადაც ზემოთ აღნიშნული ფუნქცია დამოკიდებული გახდა ისეთ ცნებაზე, რომელიც კიდევ უფრო ბუნდოვანია, ვიდრე – ძალა და

ძალმომრეობა. შესაბამისად, არც ის არის გარკვეული, თუ როდის არის მძლავრი ფსიქიკური ზემოქმედება.

უზენაესი სასამართლოს მიერ ძალმომრეობის ცნების ზემოთ აღნიშნული განმარტება იწვევს ისეთ შედეგებს, რომელთა არიდებასაც მიზნად ისახავს გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამგვარი განმარტების შედეგად შეუძლებელია იმის განსაზღვრა და პროგნოზირება, თუ რომელი ქმედებაა დასჯადი იმ ქმედებათა შორის, რომლებიც ფსიქიკური ზემოქმედების გზით ხელს უშლის მესამე პირის ნების გამოვლენა-განხორციელებას. აქედან გამომდინარე, ძალმომრეობის ცნების ისეთი განმარტების ფარგლებში, სადაც საკმარისად მიიჩნევა მხოლოდ ფიზიკური წარმომადგენლობა და მსხვერპლზე განხორციელებული ზეგავლენა ფსიქიკური ხასიათისაა, დასჯადობას განსაზღვრავს არა კანონმდებელი – დანაშაულის განხორციელებამდე და აბსტრაქტულად, არამედ დანაშაულის ჩადენის შემდეგ – მოსამართლე კონკრეტული შემთხვევისა და, კერძოდ, კონკრეტული ქმედების შეფასების გზითა და საფუძველზე. ეს ქმნის ფართო ასპარეზს იძულების სამართლებრივი დენისას, რასაც ადასტურებს, ერთი მხრივ, ატომური შეიარაღების, ხოლო, მეორე მხრივ, მოსაკრებელთა მომატების, სუბვენციების შემცირებისა და მოძრაობის ახალი განრიგის წინააღმდეგ მიმართული აქციებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს სისხლის სამართლის მე-4 კოლეგიამაც გაამახვილა ყურადღება. ის გაურკვეველობა და ბუნდოვანება, რაც ახასიათებს ძალმომრეობის გაფართოებულ ცნებას, არც ამ ცნების წლების მანძილზე დამკვიდრებული მნიშვნელობის ნაყოფია. ამასთან, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო რიგ შემთხვევებსა და სფეროებში, მაგალითად, გაუპატიურებასთან დაკავშირებით, ეყრდნობა ძალმომრეობის ცნების მეტად ვიწრო განმარტებას (იხ: BGH, NJW 1981, გვ. 2204). როგორც ამას ზემოაღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს, ბლოკადის აქციების, როგორც იძულების საშუალების დასჯადობის საკითხი კვლავ გაურკვეველი რჩება.

ძალმომრეობის ცნების გაფართოება ვერც იმით იქნება დასაბუთებული და გამართლებული, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯადობის საკითხის მიმართ გაჩნდებოდა ხარვეზები ანუ შეიქმნებოდა ვაკუუმი. მართებული რომც იყოს ის მოსაზრება, რომ ნორმის ფართო განმარტებაში მოქცეული ქმედება ისეთივე დასჯადია, როგორც მის ვიწრო განმარტებაში მოქცეული ქმედება, მაინც კანონმდებლის პრეროგატივად რჩება დასჯადობასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრა ანუ არსებული ვაკუუმის შევსება (იხ: BVerfGE 71, 108 [116]).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალმომრეობის ცნების აუცილებლად მიჩნეული შეზღუდვა-შევიწროება, პირველ რიგში, სისხლის სამართლის სასამართლოების პრეროგატივაა და არა – ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია. ამასთან, წინამდებარე გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესების მიხედვით მჯდომარე დემონსტრაციის მართლწინააღმდეგობის განსაზღვრაზე.

## **E – 105, 135**

1. კანონისმიერი განსაზღვრის ვალდებულება (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ვრცელდება ასევე სისხლისსამართლებრივ სანქციებზე. სასჯელი, როგორც სახელმწიფოს უარყოფითი რეაქცია ბრალეულ კრიმინალურ უსამართ-

ლობაზე, მისი სახისა და ზომის თვალსაზრისით, ნორმატიულად უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა, ხოლო სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევის შემთხვევებში დანებებული სანქცია ნორმის ადრესატისათვის უნდა იყოს პროგნოზირებადი.

2. სანქციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებელმა მიზნად არ უნდა დაისახოს მხოლოდ განსაზღვრის ვალდებულება და სამართლებრივი სტაბილურობა, არამედ ასევე სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ბრალეულობის პრინციპი და მოსამართლეს სანქციის შესაბამისი ფორმულირებით მისცეს საშუალება, რომ მან ცალკეულ შემთხვევაში დანიშნოს სამართლიანი და ადეკვატური სასჯელი. ბრალეულობის პრინციპისა და სამართლებრივი შედეგების განსაზღვრულობის დაძაბული ურთიერთკავშირის ფარგლებში სავალდებულოა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბალანსის მიღწევა.
3. კონკრეტულ შემთხვევაში დასანიშნი სასჯელის ზომასთან დაკავშირებით, კანონმდებელმა უნდა დაანსოს ამ სასჯელის ფარგლები, საიდანაც გამომდინარეობს სასჯელის ზომის უდაბლესი და უმაღლესი ზღვარი.
4. თუ კანონმდებელს, ისევე როგორც ქონებრივი სასჯელის შემთხვევაში, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლის მიხედვით, შემოაქვს სასჯელის ახალი სახე, რომელიც ამასთანავე ითვალისწინებს და უშვებს ძირითად უფლებაში ინტენსიურ ჩარევას, მაშინ იგი ვალდებულია, მოსამართლეს, სასჯელის შეფარდებისა და გამოთვლის არსებული პრინციპების გარდა, მიანოდოს დამატებითი ინსტრუქციები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოსამართლის გადაწყვეტილების პროგნოზირება, სანქციის შერჩევისა და მისი ზომის განსაზღვრის თვალსაზრისით.

მეორე სენატის 2002 წლის 20 მარტის  
- 2 BvR 794/95 -

საფუძვლები:  
ა - I

საკონსტიტუციო საჩივარში დაყენებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლის (ქონებრივი სასჯელი) შესაბამისობის საკითხი გერმანიის ძირითად კანონთან...

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლი შემდეგი შინაარსისაა:  
ქონებრივი სასჯელის დანიშვნა

(1) იმ შემთხვევაში, თუ კანონი მიუთითებს წინამდებარე ნორმაზე, მაშინ სამართლოს შეუძლია, უვადო ან 2 წელზე ხანგრძლივ ვადიან თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, პირს დააკისროს თანხის გადახდის ვალდებულება, რომლის ოდენობაც შეზღუდულია პირის ქონების ღირებულებით (ქონებრივი სასჯელი). ქონებრივი სარგებელი, რომლის კონფისკაციაც უკვე განსაზღვრულია, აღარ იქნება გათვალისწინებული ქონების შეფასებისას. შესაძლებელია ქონების ღირებულების ვარაუდიც.

(2) ასეთ შემთხვევებში ასევე გამოიყენება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი.

(3) სასამართლო დანიშნავს თავისუფლების აღკვეთას, რომელიც ჩაენაცვლება ქონებრივ სასჯელს მისი განუხორციელებლობის შემთხვევაში (ჩანაცვლებითი თავი-

სუფლები ალკეეთა). ჩანაცვლებითი თავისუფლების ალკეეთის მაქსიმალური ზღვა-  
რია ორი წელი, ხოლო მინიმალური – ერთი თვე...

### III

1. ლანდის სასამართლომ მომჩივანს გამაყურებელი საშუალებების არამცირე  
რაოდენობით დაუშვებელი ვაჭრობისათვის (დასჯადია გამაყურებელ საშუალებათა  
შესახებ გერმანიის კანონის 29ა მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახ-  
მად) შეუფარდა სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების ალკეეთა და ასევე ქონე-  
ბრივი სასჯელი – 600.000 გერმანული მარკის ოდენობით, რომელსაც მისი განუხორ-  
ციელებლობის შემთხვევაში უნდა ჩანაცვლებოდა თავისუფლების ალკეეთა 1 წლითა  
და ექვსი თვის ვადით...

### ბ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია.

### I

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლი, რომელიც გარკვეული წი-  
ნაპირობების არსებობისას, უვადო ან 2 წელზე მეტი ვადით თავისუფლების ალკეე-  
თასთან ერთად, ითვალისწინებს თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრებასაც,  
რისი ოდენობაც შეზღუდულია დამნაშავეს ქონების ღირებულებით, არ შეესაბამება  
გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გან-  
საზღვრულობის პრინციპს. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა ვერ მოახერხა  
აღნიშნული სასჯელის სახის შერჩევისა და გამოანგარიშების წინაპირობების კანო-  
ნისმიერი განსაზღვრა, რომელიც აკმაყოფილებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ  
მინიმუმს. ამით პირს, რომელსაც დაენიშნა ქონებრივი სასჯელი, სამართლებრივად  
მიუღებელი ფორმითა და მასშტაბით ურთულდება სანქციის იმ სახისა და ზომის  
პროგნოზირება, რისი საშუალებითაც სახელმწიფო, სავარაუდოდ, რეაგირებას მოახ-  
დენს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.

1. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს, რომ  
ქმედება შესაძლებელია, დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დასჯადობა კა-  
ნონით განსაზღვრული იყო მანამ, სანამ პირი ამ ქმედებას ჩაიდენდა. აღნიშნული კანონ-  
მდებელს ავალდებულებს, ისე ზუსტად ჩამოაყალიბოს დასჯადობის წინაპირობები, რომ  
მისი ფაქტობრივი ელემენტების დანიშნულება და გამოყენების სფერო ნორმის ადრე-  
სატიისათვის თვითონ კანონიდან გამომდინარე იყოს ნათელი და არა – მისი განმარტებე-  
ბისა თუ სხვაგვარი დაკონკრეტების მეშვეობით. გერმანიის ძირითადი კანონი ამ გზით  
უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ ადამიანს საკუთარი პასუხისმგებლობით შეეძლოს  
თავისი ქმედების წარმართვა და შესაბამისობაში მოყვანა არსებულ სისხლისსამართ-  
ლებრივ მდგომარეობასა და სისტემასთან ისე, რომ არ ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან  
მოულოდნელი რეაგირების შიში (იხ: BVerfGE 64, 369 [393]; 85, 69 [72]). სახელმწიფო  
ძალაუფლების სავალდებულო მჭიდრო კავშირი კანონთან, რასაც ითვალისწინებს კა-  
ნონისმიერი განსაზღვრის პრინციპი, უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას.  
იგი მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის მიზნით განამტკიცებს ასევე მათ ნდობას, რომ  
სახელმწიფო მხოლოდ ისეთ ქმედებას მიიჩნევს სისხლისსამართლებრივ დანაშაულად  
და, შესაბამისად, დენის და სჯის მას, რომლის დასჯადობაც ქმედების განხორციელე-  
ბის მომენტში განსაზღვრული იყო კანონით (იხ: BVerfGE 95, 96 [130]).

გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმავდროულად ზრუ-  
ნავს იმაზეც, რომ სისხლის სამართლის დარგში, სადაც ცალკეული ადამიანისათვის

გათვალისწინებულია მეტად მასშტაბური შედეგები, მხოლოდ კანონმდებელმა მიიღოს აბსტრაქტული და ზოგადი გადანაცვებები დასაჯადობასთან დაკავშირებით. საკანონმდებლო ხელისუფლებას კონსტიტუცია ავალდებულებს, თვითონ განსაზღვროს დასაჯადობის ფარგლები; მას არა აქვს უფლება, აღნიშნული გადანაცვებები მიანდოს ხელისუფლების სხვა შტოს, მაგალითად, სასამართლო ხელისუფლებას. მაშასადამე, კანონისმიერი განსაზღვრის პრინციპი წარმოადგენს მითითებებს კანონმდებლისადმი და იმავდროულად – სისხლის სამართლის სასამართლოსათვის მოქმედების შეზღუდვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეს უკრძალავს ბუნდოვანი და მკაფიოდ განუსაზღვრელი კანონის გაუმჯობესებას საკუთარი ინიციატივით (იხ: BVerfGE 47, 109 [120]; 64, 389 [393]; 73, 206 [235]).

2. კანონისმიერი განსაზღვრის პრინციპი ვრცელდება ასევე სანქციებზეც, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ბრალის პრინციპზე აგებულ სისხლისსამართლებრივ სისტემას (იხ: BVerfGE 86, 288 [313] და მუდმივი სასამართლო პრაქტიკა); იგი გვანდის ინფორმაციას სასჯელის იმ ფაქტობრივი ელემენტის დახასიათებასთან, შეფასებასა და განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც აღწერს დასჯად ქმედებას (იხ: BVerfGE 86, 269 [286]). სასჯელი, როგორც სახელმწიფოს რეაქცია ბრალეულ, კრიმინალურ უსამართლობაზე, მისი სახისა და ზომის თვალსაზრისით, ნორმატიულად უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა (იხ: BVerfGE 32, 346 [362]), ხოლო სახელმწიფოს დამსჯელი პასუხი სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევაზე პროგნოზირებადი უნდა იყოს ნორმის ადრესატისათვის (იხ: BVerfGE 26, 41 [42]; 45, 363 [370]).

ა) აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის დარღვევად არ მიიჩნევა, როდესაც კანონმდებელი სისხლის სამართლის შედეგების განსაზღვრისას უარს ამბობს სიზუსტის აბსტრაქტულ მაქსიმუმზე (რაც თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა აბსოლუტური სასჯელების სახით) და ამის მაგივრად მოსამართლეს მიანდობს ცალკეული სამართლებრივი შედეგის დანიშვნას სასჯელის კანონით დადგენილ ფარგლებში. ცალკეული შემთხვევის თავისებურებიდან და განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია შეაფასოს კონკრეტული სასჯელის ადეკვატურობა. გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტიც ემყარება იმ პრინციპს, რომ სასჯელის წინაპირობაა ბრალი (იხ: BVerfGE 25, 269 [285]).

აღნიშნულიდან გამომდინარეობს არა მხოლოდ ის, რომ კანონის ფაქტობრივი ელემენტი და სასჯელის ფარგლები, სამართლიანობის თვალსაზრისით, უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს, არამედ ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი სამართლიანი უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავეს ბრალის ხარისხთან მიმართებით. ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედებები ერთმანეთისაგან განსხვავდება ბრალის ხარისხითა და სამართალდარღვევის სიმძიმით, მოსამართლეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, დანიშნული სასჯელი „მოარგოს“ ამ განსხვავებულ შემთხვევებს. დაუშვებელია, რომ მოსამართლე კანონის მკაცრი და მოუქნელი ნორმის საფუძველზე იძულებული იყოს, დანიშნოს ისეთი სასჯელი, რომელიც, მისი შეხედულებით, არ შეესაბამება დამნაშავეს მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას და მის ბრალეულობას (იხ: BVerfGE 54, 100 [109]). აბსოლუტური სანქციები ვერ შეეთავსება კონსტიტუციურ-სამართლებრივად დამკვიდრებულ და უზრუნველყოფილ ბრალის პრინციპს, ვინაიდან ასეთი სანქციები სისხლის სამართლის მოსამართლეს არ აძლევს საშუალებას, სასჯელის ზომა განსაზღვროს უსამართლობიდან და ბრალიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში ისინი უნდა განიმარტოს კონსტიტუციასთან შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ პრობლემატურ, არაერთმნიშვნელოვან შემთხვე-

ვებშიც არ დაინიშნოს სამართალდარღვევასა და ბრალეულობასთან შეუსაბამო და არაადეკვატური სასჯელი (უვადო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 45, 187 [261]).

როგორც ბრალის პრინციპი არათანაზომიერი და უსამართლო სასჯელების თავიდან ასაცილებლად მოითხოვს სასჯელის ფარგლების განსაზღვრას, საიდანაც მოსამართლე ცალკეულ შემთხვევაში დანიშნავს ბრალისათვის ადეკვატურ სასჯელს (იხ: BVerfGE 73, 206 [254]), ასევე გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიზნად ისახავს, რომ გადანყევტილება შესაბამისი დანაშაულისათვის დასანიშნი სანქციის შესახებ (ასევე ზოგადი ორიენტაციისა და დასჯადობის ერთიანი მიდგომისა და სისტემის ჩამოყალიბების მიზნით), მისი ფარგლებისა და კრიტერიუმების თვალსაზრისით, იყოს და დარჩეს კანონმდებლის პრეროგატივა.

იმ საკითხის განხილვისას, თუ რა მოთხოვნები უნდა იქნეს გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმებით, ორ კონსტიტუციურ პრინციპს შორის წარმოიქმნება წინააღმდეგობა, რომელიც ვერ აღმოიფხვრება ვერც ზოგადად სასჯელის ფარგლებზე უარის თქმისა და ვერც მოსამართლისათვის სასჯელის დანიშვნისას მაქსიმალურად ფართო ასპარეზის მინიჭების გზით. აუცილებელია, ერთი მხრივ, ბრალეულობის პრინციპი და ცალკეულ შემთხვევებზე კონცენტრირებული სამართლიანობისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისა და სამართლებრივი სტაბილურობის ურთიერთშეფარდება, ასევე – კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბალანსის შექმნა, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად მოხერხდება სისხლის სამართლისათვის ამ ორივე აუცილებელი პრინციპის არსისა და დანიშნულების მაქსიმალური შენარჩუნება. სისხლის სამართლის კანონმდებელი მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას, როდესაც სანქციის შერჩევისას იმდენად ზუსტად მოახერხებს როგორც სისხლის სამართლის მოსამართლის, ასევე მოქალაქის ორიენტირებას, რომ მოქალაქისათვის შესაძლებელი გახდება მოსალოდნელი სასჯელის ზომის პროგნოზირება, ხოლო სისხლის სამართლის მოსამართლისათვის – ბრალისათვის შესაბამისი, ადეკვატური რეაქციის განსაზღვრა და გათვალისწინება.

ბ) კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადანყევტილებები საჯარაულო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბით დაკავშირებით და მოსამართლეს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი იმოქმედებს. ამასთან, მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა (იხ: BVerfGE 86, 288 [311]); ზოგადად, განსაზღვრულობის პრინციპთან და დასჯადობის წინაპირობებთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 14, 245 [251]; 26, 41 [43]; 41, 314 [320]; 75, 329 [342]. რაც უფრო მძიმეა შესაფარდებელი სასჯელი, მით უფრო მეტად არის კანონმდებელი ვალდებული, მოსამართლეს მიანოდოს დამატებითი ინსტრუქციები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება იმ სანქციების პროგნოზირება, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ფაქტობრივი ელემენტების არსებობისას. მან ასევე შესაძლებელი უნდა გახადოს მოქალაქისათვის მისთვის მოსალოდნელი სასჯელის განჭვრეტა.

გ) ცალკეულ შემთხვევაში კანონმდებლის მიერ მოსაწესრიგებელ საკითხებს ასევე მიეკუთვნება შესაბამისი, ცალკეული ფაქტობრივი ელემენტის სახეობისათვის გათვალისწინებული სანქცია. ამას მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივი ელემენტისა და სამართლებრივი შედეგის ადეკვატურობიდან გამომდინარე ბრალეულობის პრინციპი, არამედ ასევე – კანონისმიერი განსაზღვრულობის პრინციპიც, რომელმაც ნორმის ადრესატისათვის შესამჩნევი და პროგნოზირებადი უნდა გახადოს მოსალოდნელი სანქცია. სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალურ ნაწილში გათვალისწინებული ფაქტობრივი ელემენტების არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული სან-



ქციების ფარგლებში კანონმდებელმა უნდა დაანესოს სასჯელის ზღვარი, საიდანაც გამოვლინდება სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზომა და რაც წარმოადგენს მოსამართლის მიერ დანაშაულისა და ბრალეულობის შეფასების საორიენტაციო ჩარჩოს. ამასთან, კონკრეტულ სანქციასთან დაკავშირებით ზომის მინიმალური ზღვარი შესაძლებელია, გამოვლინდეს ასევე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში სასჯელის ცალკეული სახისათვის გათვალისწინებული დებულებებიდან (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე და მომდევნო მუხლები); თუმცა, სანქციის მაქსიმალური ზომის კუთხით ამან არ შეიძლება გამოიწვიოს სასჯელის ძალზე ვრცელი ფარგლების არსებობა. აღნიშნული შეიცავს საფრთხეს, რომ გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩეს, ერთი მხრივ, უსამართლობასა [დანაშაულსა] და ბრალეულობას შორის არსებული ნორმატიული ურთიერთმიმართება და, მეორე მხრივ, სანქცია და კონკრეტული სასჯელის განსაზღვრა – დანიშნა დამოკიდებული გახდეს მოსამართლის გადაწყვეტილების არაპროგნოზირებად აქტზე.

დ) კანონმდებელს კონსტიტუცია ასევე ავალდებულებს შეფასების კრიტერიუმების მითითებას, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ სასჯელის სახის შერჩევისა და სასჯელის კონკრეტული ფარგლების შევსებისას (იხ: Schmidt-Aßmann, in: Maunz/Dürig: კომენტარი ძირითად კანონთან დაკავშირებით, 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ამასთან, სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და მომდევნო მუხლები) ბრალეულობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის დაკონკრეტების პარალელურად (იხ: BVerfGE 86, 288 [313]), ასევე წარმოადგენს კანონისმიერი განსაზღვრის ვალდებულების წინაპირობას. მხოლოდ სასჯელის შეფარდების მომწესრიგებელი კოდიფიცირებული სამოსამართლო სამართლის ფარგლებში დაკონკრეტებული ნორმების საშუალებით იქნება შესაძლებელი ცალკეულ შემთხვევაში სასჯელის ფართო მასშტაბის გამართლება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების თვალსაზრისით. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდების ტრადიციული საფუძვლები და სასამართლოს მიერ მათი ჩამოყალიბება-გამოყენება ადასტურებს, რომ სასჯელი არ წარმოადგენს შეუზღუდავ სამოსამართლო კომპეტენციას/დისკრეციულ უფლებამოსილებას, იგი უნდა დაინიშნოს შესაბამისად სტრუქტურირებული ზღვრის ფარგლებში. მხოლოდ ამ გზით არის იგი პროგნოზირებადი – ნორმის ადრესატისათვის და კონტროლირებადი – სასამართლო ხელისუფლებისათვის. აქაც მოქმედებს ზემოთ აღნიშნული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო იზრდება, რაც მეტად ითვალისწინებს იგი ისეთ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც იწვევს განსაკუთრებულად ინტენსიურ ჩარევას ბრალდებულის ძირითად უფლებებში.

## II

1. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლი უნდა შემოწმდეს გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონისმიერი განსაზღვრის პრინციპიდან გამომდინარე; ქონებრივი სასჯელი, თავისი სამართლებრივი ბუნებისა და კანონისმიერი ფორმულირების მიხედვით, წარმოადგენს სასჯელს. ამით იგი, მიუხედავად ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აქამდე განუხილველი საკითხისა, კერძოდ: მოიცავს თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე გამოსწორებისა და უზრუნველყოფის ზომებს (იხ: BVerfGE 74, 102 [126]; 83, 119 [128]), ექვემდებარება სამართლებრივი შედეგების კანონისმიერი განსაზღვრის გარანტიას.

ა) კანონის ნორმის განმარტებისათვის არსებითია ნორმაში გამოხატული კანონმდებლის ნება, რომელიც გამომდინარეობს ნორმის ფორმულირებიდან და აზრიდან, მისი იმ კონტექსტუალური დანიშნულებიდან, რომლის ფარგლებშიც იქნა იგი გათვალისწინებული (იხ: BVerfGE 1, 299 [312]; 11, 126 [132] და ასევე მუდმივი სასამართლო პრაქტიკა). აღნიშნულისათვის მიზანშეწონილი და გამართლებულია განმარტების ყველა ტრადიციული საშუალება, რომელთა შორისაც არ არის დაწესებული ერთ-ერთი მათგანის სავალდებულო უპირატესობა მეორის მიმართ. თუმცა, სისხლის სამართალში მეტად მნიშვნელოვანია ნორმის გრამატიკული განმარტება; აქ ნორმის შესაძლო აზრი, სწორედ გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, აწესებს განმარტების ზღვარს, რომელიც გარდაუვალია (იხ: BVerfGE 85, 69 [73]; 87, 209 [224]).

ბ) ინტერპრეტაცია, რომელიც ითვალისწინებს კანონის განმარტების მეთოდთა ტრადიციულ წესებს, იწვევს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლის ასახვას სასჯელთა კატალოგში...

2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი სისხლისსამართლებრივი შედეგების მონესრიგების შემთხვევებისათვის. აღნიშნული ნორმა, თავისუფლების აღკვეთისა და ქონებრივი სასჯელის მიმართების საფუძველზე, რომელიც უშვებს მთელი ქონების ხელყოფას, ითვალისწინებს ძირითად უფლებაში ინტენსიურ ჩარევას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს შედარებით უფრო მკაცრ მოთხოვნებს კანონისმიერი განსაზღვრის კუთხით.

კანონის უზუსტობები თან სდევს სასჯელის შეფარდების მთელ პროცედურას, რომელიც იწვევს ქონებრივი სასჯელის გამოანგარიშებასა და შეფარდებას. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლი მოსამართლეს არ აწვდის შინაარსობრივ მითითებებს, რომელთა მიხედვითაც, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ 43ა მუხლზე მითითების რომელ შემთხვევებში უნდა დანიშნოს ქონებრივი სასჯელი და რომელ შემთხვევებში არ უნდა გაითვალისწინოს იგი. ქონებრივი სასჯელის ადეკვატურობისა და შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მოსამართლე, ყოველგვარი შინაარსობრივი მითითებების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლისათვის ყოველგვარი სირთულეების გარეშე იქნებოდა შესაძლებელი, ამისათვის გაეთვალისწინებინა შესაბამისი კრიტერიუმები. ამას გარდა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43ა მუხლი არ შეიცავს სასჯელის წინასწარ დადგენილ ფარგლებს და ამის განსაზღვრასაც მიანდობს მოსამართლეს. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ბრალდებულის ქონების ღირებულებას, როგორც ქონებრივი სასჯელის მაქსიმალურ ზომას, ვერ შეაფასებს სათანადო სიზუსტით, მაშინ კიდევ უფრო იზრდება ბუნდოვანება სასჯელის ფარგლების განსაზღვრისას, ვინაიდან აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში მოსამართლეს შეუძლია ქონება ისე შეაფასოს, რომ მას ამისათვის არ გააჩნდეს კანონის რაიმე მითითება.

თავისუფლების აღკვეთისაგან განსხვავებით, ქონებრივი სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით კანონი არ შეიცავს მითითებებს მოსამართლისათვის, რომელთა დახმარებითაც მას შეეძლება გამოითვალოს ქონებრივი სასჯელი, შეუსაბამოს იგი სასჯელის სახით შეფარდებულ თავისუფლების აღკვეთას და სწორად განსაზღვროს ჩანაცვლებითი თავისუფლების აღკვეთის ვადა...

**E – 105, 239**

1. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მოვალეობა, უზრუნველყოს განსჯადი მოსამართლის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით – დღის განმავლობაში და ამ მოსამართლეს მისცეს საშუალება საპროცესო ფუნქციების სათანადოდ განხორციელების საშუალება.
2. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ნინადადება პირის დაკავებას მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე უნესებს მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც იწურება დაკავების მომდევნო დღის დასასრულს, თუმცა, არ ათავისუფლებს სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებელი უზრუნველყოფის მოვალეობისაგან.

მეორე პალატის 2002 წლის 15 მაისის განჩინება  
- 2 BvR 2292/00 -

**საფუძვლები:**

ა

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე დაკავებასა და დაპატიმრებას დეპორტაციის მიზნისათვის ...

2 ა) მომჩივანმა ქალაქ ზიკეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოითხოვა აღიარება, რომ მისი დაკავება 1999 წლის 20 იანვარს, 15:30 საათზე და მომდევნო დაპატიმრება, მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე, იყო უკანონო; აღნიშნული განცხადება უშედეგო აღმოჩნდა...

ბ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვებია. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტაზე სამართლებრივი ინტერესის არსებობას არ გამორიცხავს ის გარემოება, რომ მომჩივანი დეპორტირებულია, ხოლო მისი თავისუფლების შეზღუდვა – დასრულებული. გერმანიის ძირითადი კანონით დაცული და გარანტირებული პიროვნული თავისუფლების მნიშვნელობისათვის შეუსაბამო იქნებოდა, თუ თავისუფლების შეზღუდვის მართლზომიერების საკითხის გარკვევის უფლება გამოირიცხებოდა პირისათვის თავისუფლების მინიჭებით...

გ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაბუთებულია. გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ნინადადებითა და 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მომჩივნის ძირითად უფლებას.

დ

გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ნინადადება პიროვნების უფლებას უნოდებს „ხელშეუხებელს“. აღნიშნული კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება თავისუფლების უფლებას ანებს უმაღლეს სამართლ-

ბრივ სიკეთედ და მასში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლით (იხ: BVerfGE 10, 302 [322]; 29, 312 [316]; 32, 87 [92]; 65, 317 [322]). დაცულია მოქმედი, ზოგადი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მოცემული ფაქტობრივი ფიზიკური მოძრაობის თავისუფლება სახელმწიფოს ჩარევებისაგან (იხ: BVerfGE 94, 166 [198]; 96, 10 [21]) ანუ დაპატიმრების, დაკავებისა და უშუალო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან (იხ: BVerfGE 22, 21 [26]).

1. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებითა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით დაცული და უზრუნველყოფილი პიროვნების თავისუფლება შესაძლებელია, შეიზღუდოს მხოლოდ ფორმალური კანონის საფუძველზე და მხოლოდ მასში გათვალისწინებული ფორმებისა და წესების დაცვით. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმალური გარანტიები უწყვეტ კავშირშია მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებასთან (იხ: BVerfGE 10, 302 [322]; 58, 208 [220]). გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი განაგრძობს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადებით გათვალისწინებულ კანონისმიერ დათქმას და აძლიერებს მას თავისუფლების ყველა შეზღუდვის მიმართ, როდესაც იგი, ფორმალური კანონის მოთხოვნის გარდა, კონსტიტუციური პრინციპის დონეზე განიხილავს და ითვალისწინებს კანონით განსაზღვრული ფორმებისა და წესების დაცვის მოვალეობას (იხ: BVerfGE 10, 302 [323]; 29, 183 [195]; 58, 208 [220]). თავისუფლების შეზღუდვები, კერძოდ, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა, საჭიროებს მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს (იხ: BVerfGE 2, 118 [119]; 29, 183 [195]), ამასთან, აქ საუბარია ლანდის ან ფედერალურ კანონზე. თავისუფლების შემზღუდველი კანონით გათვალისწინებული წესების შინაარსისა და მასშტაბის განმარტებისას სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ძირითადი უფლებისათვის შესაბამისი და ადეკვატური შედეგი (იხ: BVerfGE 65, 317 [322]; 96, 68 [97]).

2. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს თავისუფლების შეზღუდვასა (გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი) და თავისუფლების აღკვეთას (გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი), მათი ინტენსიურობის მიხედვით. თავისუფლების შეზღუდვა სახეზეა, როდესაც პირს, საჯარო ხელისუფლების ზემოქმედების გამო, თავისი ნების სანინააღმდეგოდ, არ შეუძლია გარკვეულ ადგილას გამგზავრება ან ამ ადგილას გაჩერება, მაშინ, როდესაც ეს ადგილი მისთვის (ფაქტობრივად და სამართლებრივად) ხელმისაწვდომია. თავისუფლების აღკვეთა მოცემულია მაშინ, როდესაც ფაქტობრივად და სამართლებრივად არსებული ფიზიკური მოძრაობა-გადაადგილების თავისუფლება აღიკვეთება ნებისმიერი მიმართულებით (იხ: BVerfGE 94, 166 [198]).

3. თავისუფლების აღკვეთის, როგორც პიროვნების თავისუფლებაში ყველაზე მძიმე ჩარევის შემთხვევისათვის, გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ფორმალური კანონის დათქმასთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების პროცესუალურ დათქმასაც, რომელიც არ ექვემდებარება კანონმდებლის დისპოზიციას (იხ: BVerfGE 10, 302 [323]). სამოსამართლო დათქმის მიზანია გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ძირითადი უფლების უზრუნველყოფა. ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია იზრუნოს, რომ სამოსამართლო დათქმა, როგორც ძირითადი უფლების გარანტი, იყოს პრაქტიკულად ეფექტური (იხ: გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით BVerfGE 103, 142 [151]). აქედან სახელმწიფოსათვის გამომდინარეობს მოვალეობა, უზრუნველყოს განსჯადი მოსამართლის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით

- დღის განმავლობაში და ამ მოსამართლეს მისცეს სამოსამართლო ფუნქციების სათანადოდ განხორციელების საშუალება.

ა) გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დასაშვებობისა და ხანგრძლივობის შესახებ მხოლოდ მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნულის მიხედვით, მოსამართლის გადაწყვეტილება, ძირითადად, წინ უნდა უსწრებდეს თავისუფლების აღკვეთას.

ბ) თავისუფლების აღკვეთის შემდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის დასაშვებობასაც, გამონაკლისის სახით, ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მისაღებია მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთის კონსტიტუციურად დასაშვები და გამართლებული მიზანი ვერ იქნებოდა მიღწეული იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის ბრძანება წინ გაუსწრებდა დაკავებას. ასეთ შემთხვევებში გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს პირის დაკავების შემდეგ მოსამართლის გადაწყვეტილების დაუყოვნებელ გამოტანას (იხ: BVerfGE 10, 302 [321]). „დაუყოვნებლივ“ განიმარტება ისე, რომ სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, რომელიც არ არის გამართლებული საქმის არსიდან გამომდინარე. გარდაუვალია გაჭიანურების ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება დიდ მანძილს, სირთულეებს ტრანსპორტირებისას, საჭირო რეგისტრაციასა და ოქმის შედგენას, დაკავებულის მხრიდან დაუმორჩილებლობას ან მსგავს გარემოებებს. ის გარემოება, რომ მოსამართლე არ არის ხელმისაწვდომი, სახელმწიფოს კონსტიტუციური მოვალეობის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც მას ევალება, სამოსამართლო დათქმის პრაქტიკულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი საორგანიზაციო ღონისძიებები, ავტომატურად არ მიიჩნევა სასამართლო გადაწყვეტილების შეფერხების გარდაუვალ საფუძველად (იხ: BVerfGE 103, 142 [151, 156]).

გ) სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა იმ შემთხვევაშიც სავალდებულოა, როდესაც თავისუფლების აღკვეთა სრულდება გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე. აღნიშნული ნორმა პირის დაკავებას მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე უწესებს მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც იწურება დაკავების მომდევნო დღის დასასრულს, თუმცა, არ ათავისუფლებს სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებელი უზრუნველყოფის მოვალეობისაგან...

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები იმდენად ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებასა და 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებას, რამდენადაც ისინი, ყოველგვარი განმარტებების გარეშე, მართლზომიერად მიიჩნევენ, რომ მომჩივანი თერთმეტი საათის განმავლობაში დაკავებული იყო პოლიციაში და არც მისი დაკავების შემდეგ მოუთხოვიათ სასამართლო გადაწყვეტილება...

2. გერმანიის ძირითადი კანონის 104-ე მუხლის მე-2 წინადადება მოითხოვს დაკავებამდე არარსებული სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებელ გამოტანას დაკავების შემდეგ. ის, რომ გათვალისწინებული იყო აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი, ვერ დასტურდება მოცემული ფაქტობრივი დასკვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე.

დაკავების შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა არ გაქარწყლებულა იმით, რომ მომდევნო დღის დილისათვის დაგეგმილი მომჩივნის დეპორტაციის შედეგად პროგნოზირებადი იყო თავისუფლების აღკვეთის დასრულება 1999

ნლის 21 იანვრამდე. დადგენილი გარემოებებიდან არ გამომდინარეობს ისეთი არსებითი ფაქტობრივი საფუძვლები, რომლებიც გაამართლებდა მომჩივნის დაკავებას 1999 წლის 20 იანვრის 16 საათიდან, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება აღნიშნული დაპატიმრების მართლზომიერებასთან დაკავშირებით...

## **E – 113, 348**

3. ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით სისხლისსამართლებრივ დანაშაულთა დევნასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსაზღვრულობისა და თანაზომიერების თაობაზე

პირველი პალატის 2005 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება  
- 1 BvR 668/04 -

### **საფუძვლები:**

ა

საკონსტიტუციო საჩივარი აღძრულია უშუალოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის (Niedersachsen) კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებისა და პოლიციისათვის უფლებამოსილების მინიჭების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, მათ უფლება აქვთ, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის დევნის ხელშეწყობის ან მისი თავიდან აცილების მიზნით, შეაგროვონ პირადი მონაცემები ტელეკომუნიკაციის მოსმენა-ჩანერისა და მეთვალყურეობის გზით.

...

ბ

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების გასაჩივრებელი ნორმები არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს და, შესაბამისად, ბათილია.

ი

კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონმების მასშტაბი წინამდებარე შემთხვევაში, თავისუფლების გასაჩივრებული შეზღუდვიდან გამომდინარე, არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლი. გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვითგანკარგვის უფლება უკან იხევს მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების სპეციალური უზრუნველყოფისა და შესრულების სასარგებლოდ, როდესაც ხდება ამ უფლებების ურთიერთგადაკეფა (იხ: BVerfGE 100, 313 [358]; 110, 33 [53]).

იგივე ვრცელდება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აზრის თავისუფალ გამოხატვაზე, როდესაც ხდება სახელმწიფოს ჩარევა ტელეკომუნიკაციის საშუალებებითა და ფარგლებში – გამოთქმული აზრის აღქმისა და შესაძლო დამუშავების სახით. სწორედ ამ განცხადებით შემოიფარგლება მომჩივნის საჩივარი.

3. გასაჩივრებული ნორმები არ შეესაბამება კონსტიტუციას. ნორმები არ არის სათანადოდ განსაზღვრული (ა) და ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებს თანაზომიერების პრინციპი ძირითადი უფლების შემზღუდველი კა-

ნონის მიმართ, გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით (ბ). კანონი ასევე არ ითვალისწინებს ზომებს პირადი ცხოვრების ორგანიზების ძირითადი, ბირთვული სფეროს დაცვისათვის (გ).

ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნას ნორმის განსაზღვრულობასთან დაკავშირებით.

აა) განსაზღვრულობის პრინციპის საფუძველი არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლი (იხ: BVerfGE 110, 33 [52]). აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს, რომ მოქალაქემ შეძლოს მოსალოდნელი აღმჭურველი ღონისძიებების პროგნოზირება; ასევე განჭვრიტოს, რომ აღმასრულებელი ადმინისტრაცია შესაბამისი ქმედებებისათვის ითვალისწინებს მოქმედების შემზღვეველ მასშტაბებს, ხოლო სასამართლოები უნევენ სამართლებრივ კონტროლს (იხ: BVerfGE 110, 33 [52]). ჩარევის საფუძველი, მიზანი და ფარგლები, შესაბამისი სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ზუსტად და ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული (იხ: BVerfGE 100, 313 [359, 372]; 110, 33 [53]).

(1) კანონის ნორმიდან პირისათვის ნათელი და გასაგები უნდა იყოს, თუ რა კონკრეტული გარემოებების საფუძველზეა მოსალოდნელი ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა. კანონი ასევე უკიდურესი დაკონკრეტებით უნდა აყალიბებდეს მოთხოვნებს ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებიც მიუთითებს დანაშაულის სამომავლო განხორციელების ვარაუდზე. ამგვარი ზუსტი დაკონკრეტების ფონზე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მისაღებია წინასწარი გამოძიების ფარგლებში გაკეთებული მცდარი პროგნოზი. ამას გარდა, ნორმა უნდა შეიცავდეს მოქმედების შემზღვეველ ელემენტებს, რომლებიც ქმნის პროგნოზირებისა და ზედამხედველობის სტანდარტს იმ უწყებებისათვის, რომლებსაც, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, აკისრიათ საფრთხის აღმოფხვრისა და დანაშაულის დევნის ფუნქცია (იხ: BVerfGE 110, 33 [56]).

გგ) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები არ შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს.

ნორმები არ ითვალისწინებს მოვლენათა კონკრეტულ განვითარებას ან მის დაგეგმვას (იხ: BVerfGE 110, 33 [56, 57, 58]). აღნიშნული ნორმების ფარგლებში საკმარისად არის მიჩნეული ფაქტებზე დაფუძნებული და არადაკონკრეტებული შესაძლებლობა, რომ ვინმემ ოდესღაც, მომავალში შესაძლოა, ჩაიდინოს მძიმე დანაშაული.

(3) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მეთვალყურეობის შესახებ სასამართლოს მიერ განკარგულების გამოცემის შესაძლებლობა არ ავსებს აღნიშნული ნორმების განსაზღვრულობის დეფიციტს, ვინაიდან ნორმები არც მოსამართლესა და არც პოლიციას არ უთითებს გადანყევტილების მასშტაბსა და სათანადო სასამართლო სამართალწარმოების უზრუნველყოფის საფუძვლებზე (იხ: BVerfGE 110, 33 [67]).

ბ) ყოველივე აღნიშნულის გარდა, უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს ტელეკომუნიკაციის ზედამხედველობას სისხლისსამართლებრივი დანაშაულის დევნის ხელშეწყობის ან მისი თავიდან აცილების მიზნით, არ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს ვინრო გაგებით.

აა) ძირითადი კანონით დაცული თავისუფლების შეზღუდვები არ შეიძლება იმ მიზნების არაადეკვატური იყოს, რომლებსაც ემსახურება ძირითადი უფლების შეზღუდვა. მართალია, ცალკეული ადამიანი, საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირისა და დამოკიდებულების გამო, ვალდებულია, მიიღოს და დაყაბულდეს თავისი ძირითა-

დი უფლებების შეზღუდვებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამომდინარეობს საყოველთაო უპირატესი ინტერესებიდან, მაგრამ კანონმდებელი ვალდებულია, შექმნას სათანადო ბალანსი საყოველთაო და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის. ამასთან, ძირითადი უფლებების მხარეს მნიშვნელოვანია განისაზღვროს: როგორი წინაპირობების არსებობისას, რომელი და რამდენი სუბიექტისათვის არის მოსალოდნელი ძირითადი უფლებების შეზღუდვა – როგორი ინტენსიურობითა და მასშტაბით. ტელეკომუნიკაციის მეთვალყურეობის სფეროში მნიშვნელოვანი და საინტერესოა: დაცულია თუ არა პირის ანონიმურობა, რა ინფორმაციებზეა შესაძლებელი ყურადღების გამახვილება, რა საფრთხე ემუქრება ძირითადი უფლების სუბიექტს აღნიშნული მეთვალყურეობის შედეგად, ან რა საფრთხეებია გამორიცხული. იმ მიზნის მხარეს კი, რომელსაც ემსახურება ძირითად უფლებაში ჩარევა, არსებითია ამ მიზნის ინტერესის მნიშვნელობა, რისთვისაც ხდება ტელეკომუნიკაციაზე მეთვალყურეობა. ასევე არსებითია იმის განხილვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება შესაბამისი ღონისძიება და რამდენად სავარაუდოა ამ სამართლებრივი სიკეთის მოსალოდნელი დარღვევა (იხ: BVerfGE 100, 313 [375]).

ბბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ნესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების მიხედვით, ტელეკომუნიკაციაზე მეთვალყურეობის განევა ითვალისწინებს სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობის უფლებაში მასშტაბურ ჩარევას.

(2) ძირითადი უფლებების კუთხით მნიშვნელოვანია ჩარევის ფართო მასშტაბი და არეალი. საუბრის შინაარსის მოსმენა, ჩანერა და მნიშვნელოვანი [მათ შორის საკონტაქტო] მონაცემების შეგროვება შესაძლოა, დაკავშირებული იყოს პირთა დიდ რაოდენობასთან ანუ აღნიშნული ჩარევა მოიცავს არა მხოლოდ შესაძლო დამნაშავეებს, არამედ – ყველა იმ პირსაც, ვისაც შესაბამისი დროის განმავლობაში სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა მასთან. ასეთ პირთა რიცხვს შეიძლება განეკუთვნებოდნენ ადამიანები (მაგალითად: საკონტაქტო პირები, შემთხვევითი ნაცნობები ან მესამე პირები – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ნესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33ა მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება), რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვთ იმ დანაშაულთან, რომელსაც იძიებენ ან რომლის გამოძიებასაც თავიდან იცილებენ შესაბამისი უწყებები.

(3) ჩარევის ინტენსიურობას იწვევს და კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ პირების მოსმენა მიმდინარეობს მათ მიერ კონფიდენციალურად მიჩნეულ გარემოთა და სიტუაციაში (იხ: BVerfGE 34, 238 [247]; 107, 299 [321]). სრული უცოდინარობა მიმდინარე ღონისძიებების თაობაზე მოცემულია ზემოთ აღნიშნული პირების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც არ არსებობს ეჭვი, რომ ისინი მოსალოდნელ დანაშაულს ჩაიდენენ.

გგ) გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლების მოცემული ჩარევები არ არის თანაზომიერი ვინრო გაგებით. პოლიციის მიერ წინამდებარე შემთხვევაში დასაცავი საყოველთაო სიკეთის ინტერესი არ გამოირჩევა იმდენად დიდი, განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომ გამართლებულიყო ასეთი მასშტაბური ჩარევები.

(1) მონაცემთა შეგროვება ემსახურება ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, კერძოდ: მძიმე დანაშაულთა თავიდან აცილებასა და დევნას. აღნიშნული ინტერესების მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთესა და მისთვის წარმოქმნილი საფრთხის ინტენსიურობაზე. ამასთან, დანაშაულის დევნას, რომელიც ემსახურება სამართლებრივი მშვიდობის შენარჩუნებასა და უზრუნველყოფას, დანაშაულის თავიდან აცილებისაგან დამოუკიდებლად, გააჩნია საკუთარი დატვირთვა და მნიშვნელობა (იხ: BVerfGE 107, 104 [118]).



როდესაც ტელეკომუნიკაციაზე მეთვალყურეობის უფლებამოსილება ემსახურება უკვე ჩადენილი დანაშაულის დევნას, იგი უნდა ემყარებოდეს ფაქტების საკმარის რაოდენობას, რომლებიც ასაბუთებს კონკრეტული დანაშაულის ეჭვს და იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მესამე პირებს, მოცემული უნდა იყოს კონკრეტული და მყარი საფუძველი, რაც ასაბუთებს, რომ ეს პირები დაკავშირებულნი არიან ეჭვმიტანილთან (იხ: BVerfGE 107, 299 [321]). ასეთი საფუძვლის მოძიების პრაქტიკული შესაძლებლობები მცირეა სამომავლოდ მოსალოდნელი დანაშაულების შემთხვევებში. ხოლო თუ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებაც ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრულობისა და მკაფიოობის მოთხოვნებს, სავალდებულო ფაქტობრივი ელემენტების დადგენის თვალსაზრისით, მაშინ ყოველივეს გავლენა აქვს თანაზომიერების პრინციპზე ვინრო გაგებით (იხ: BVerfGE 110, 33 [55]). ასეთ შემთხვევებში ჩარევის გამამართლებელი დასაცავი სიკეთე და მისთვის წარმოქმნილი საფრთხის სახეობა იმ ფორმით არ გამომდინარეობს კანონიდან, რომ ითვალისწინებდეს ჩარევის მასშტაბთან მათი ურთიერთშეფარდების შესაძლებლობას.

რაც უფრო უზუსტოდ არის კანონში აღწერილი და გათვალისწინებული უფლებამოსილების მიზნები და განსახორციელებელი ღონისძიების ფაქტობრივი წინაპირობები, მით უფრო დიდია ცალკეულ შემთხვევაში არასათანადო და არაადეკვატური ზომების გატარების რისკი. ვინაიდან ურთიერთშეფარდებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დასაცავი სიკეთის რანგსა და მისთვის წარმოქმნილი საფრთხის ინტენსიურობის შეფასებას, აუცილებელია საკმარისი საფუძველი [ე.წ. ხელმოსაჭიდი] საფრთხის ქვეშ მყოფი სამართლებრივი სიკეთისა და ასეთი საფრთხის გამომწვევი ქმედების ფაქტობრივი ელემენტების განსაზღვრისათვის (იხ: BVerfGE 110, 33 [55]; იხ. ასევე: იხ: BVerfGE 100, 313 [392]). გაურკვეველობა კონკრეტული საფრთხის ქვეშ მყოფ სიკეთესა და ამ საფრთხის წარმოქმნელ ქმედებასთან დაკავშირებით მოიცავს იმის რისკს, რომ შესაძლებელი იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით გათვალისწინებული ურთიერთშეფარდების შეზღუდვის ფუნქციის იგნორირება.

დანაშაულის დევნისა და საფრთხის თავიდან აცილებისათვის სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებულია ურთიერთშეფარდების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია წინასწარი გამოძიებისათვის. რაც უფრო მნიშვნელოვანია საფრთხის ქვეშ მყოფი სამართლებრივი სიკეთე და რაც უფრო მასშტაბურია შესაბამისი ქმედების საფუძველზე მოსალოდნელი ან განხორციელებული ჩარევა, მით უფრო ნაკლებია მოთხოვნები იმ ვარაუდის მიმართ, რომელიც უკავშირდება მოსალოდნელ ან უკვე ჩადენილ დანაშაულს და მით უფრო ნაკლებად დასაბუთებული შეიძლება იყოს ის ფაქტები, რომლებიც მიუთითებს სამართლებრივი სიკეთის საფრთხესა თუ დარღვევაზე (იხ: BVerfGE 100, 313 [392]; იხ. ასევე: BVerfGE 110, 33 [55, 60]). ამასთან, ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ის გარემოება, რომ ვარაუდები და დასკვნები ემყარებოდეს კონკრეტულად განსაზღვრულ საფუძველს. საფრთხის ქვეშ მყოფი სამართლებრივი სიკეთის ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში იზრდება მოთხოვნები პროგნოზის სიზუსტის მიმართ, რაც მოიცავს როგორც საფრთხის მოცულობასა და ხარისხს, ასევე – მის ინტენსიურობას.

(2) მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი ვერ აკმაყოფილებს დასაცავი სამართლებრივი სიკეთის რანგთან და მისთვის წარმოქმნილი საფრთხის ფაქტობრივ ელემენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

გ) ტელეკომუნიკაციაზე მეთვალყურეობის განმსაზღვრელი უფლებამოსილება, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის დევნის ხელშეწყობის ან მისი თავიდან აცილების მიზნით, ასევე არ ითვალისწინებს სათანადო და ადეკვატურ ზომებს პირადი ცხოვრების ორგანიზების ძირითადი, ბირთვული სფეროს დაცვისათვის.

ვერ გამოირიცხება ის, რომ კომუნიკაციის შინაარსის აღრიცხვისას (საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ნესრიგის შესახებ ქვემო საქსონიის კანონის 33<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ნინადადება) ხდება შეხება ისეთ პიროვნულ მონაცემებთან, რომლებიც განეკუთვნება პირადი ცხოვრების ორგანიზების აბსოლუტურად დაცულ სფეროს (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 109, 279 [311]). იმ საკითხის გარკვევა, მიეკუთვნება თუ არა კომუნიკაცია აღნიშნულ ძირითად სფეროს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმითა და ინტენსიურობით ეხება იგი სხვა ადამიანთა პიროვნულ სფეროს ან საზოგადოების ინტერესებს (იხ: BVerfGE 80, 367 [374]; 109, 279 [314]). აღნიშნულ სფეროს არ განეკუთვნება ისეთი კომუნიკაცია, რომელიც უშუალო კავშირშია დასჯად ქმედებასთან, მაგალითად, როგორცაა სამომავლოდ დაგეგმილ ან უკვე განხორციელებულ დანაშაულთან დაკავშირებული მონაცემები (იხ: BVerfGE 80, 367 [375]; 109, 279 [319]).

გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელი, მის მიღმა არსებული პირადი კომუნიკაციის გზით და ამით იმავდროულად იცავს ადამიანის ღირსებას (იხ: BVerfGE 67, 157 [171]; 110, 33 [53]). თუმცა, აღნიშნული დაცვა ფორმულირებულია სხვაგვარად, ვიდრე – გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ბინის ხელშეუხებლობის შემთხვევაში. ამ ძირითადი უფლების განსაკუთრებული სიახლოვის გამო ადამიანის ღირსებასთან, გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი ფართის ფარგლებში განხორციელებული ქმედების აბსოლუტურ დაცვას, როდესაც საქმე ეხება ადამიანის პირადი ცხოვრების ორგანიზების აბსოლუტურად დაცული სფეროს საზღვრებში მისი პიროვნების განვითარება-გამყვანებას (იხ: BVerfGE 109, 279 [313]). ამისათვის ყველა ადამიანს ესაჭიროება სივრცე [ე.წ. სივრცობრივი სუბსტრატი], სადაც იგი შეძლებს „თავისთვის“ ყოფნასა და საკუთარი მასშტაბების შესაბამისად თავისი პიროვნების განვითარებას ანუ საუბარია საკუთარი საცხოვრებელი ბინით, როგორც საჭიროების შემთხვევაში - ადამიანის ღირსების „უკანასკნელი თავშესაფრით“, საარგებლობის შესაძლებლობაზე (იხ: BVerfGE 109, 279 [314]).

პირადი კომუნიკაციის განხორციელებისათვის მოქალაქეები იმდენად არ არიან დამოკიდებული ტელეკომუნიკაციაზე, რამდენადაც – საცხოვრებელ ბინაზე. აქედან გამომდინარე, გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, მე-13 მუხლისაგან განსხვავებით, არ ახდენს ჩარევის სპეციფიკური ნინაპირობების ნორმირებას, არამედ მხოლოდ არაპირდაპირ მიუთითებს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, ზოგად მოთხოვნებზე. გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით მუდმივად გარანტირებული ადამიანის ღირსება მე-10 მუხლის პირველი პუნქტის სფეროშიც მოითხოვს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებელი სივრცის ფარგლებში მისი პიროვნების განვითარების უფლების დაცვისათვის შესაბამისი ზომების გატარებასა და გათვალისწინებას. აქედან გამომდინარე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია იმის ფაქტობრივი საფუძველი, რომ ტელეკომუნიკაციაზე მეთვალყურეობა მოიცავს ისეთ საკითხებსა და შინაარსს, რომლებიც განეკუთვნება ზემოთ აღნიშნულ აბსოლუტურად დაცულ სფეროს, მაშინ მეთვალყურეობა გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია და იგი უნდა აღიკვეთოს.

ვინაიდან ტელეკომუნიკაციაზე მეთვალყურეობის შესახებ განკარგულების გაცემისას ან ამ მეთვალყურეობის დროს ზუსტად არ არის პროგნოზირებადი, თუ რა შინაარსის იქნება შესაბამის ფორმატში გამართული საუბრები, ვერ გამოირიცხება რისკი, რომ მოსმენისას აღირიცხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ სფეროს მიკუთვნებული კომუნიკაცია. აღნიშნული რისკი კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით მისაღებია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ემუქრება განსაკუთრებით მაღალი

რანგის სამართლებრივ სიკეთეს და ამასთან, როდესაც მოცემული ვითარება განსაზღვრულია ისეთი კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლებითა და მაჩვენებლებით, რომლებიც მიუთითებს მოსალოდნელ დანაშაულთან უშუალო კავშირზე. აქვე გათვალისწინებული უნდა იყოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ არ ჩაინერგება და არ გამოიყენება საუბრის აბსოლუტურად დაცულ, პირად სფეროს მიკუთვნებული ინფორმაცია და მათ დაუყოვნებლივ ნაშლიან, თუ გამონაკლისის სახით მოხდება მათი აღრიცხვა.

წინამდებარე კანონი არ შეიცავს ასეთ ნორმებს.

## **E – 114, 339**

თუ მრავალმნიშვნელოვანი აზრის გამოხატვა არღვევს სხვა ადამიანის პიროვნულ უფლებას, მაშინ გამოირიცხება მომავალში ასეთი ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება, ვინაიდან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამი ასევე უშვებს და ითვალისწინებს მის ისეთ განმარტებას, რომელიც არ იწვევს პირის პიროვნული უფლების შეზღუდვასა თუ დარღვევას.

### **პირველი პალატის 2005 წლის 25 ოქტომბრის განჩინება - 1 BvR 1696/98 -**

#### **საფუძვლები:**

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნებს, შეუძრავ ცხმოფელი გარემოებების მტკიცების გამო.

(1) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო წარსულში გამოთქმული მოსაზრებების გამო გათვალისწინებული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სანქციების გადამონმებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპით: აზრის გამოხატვის თავისუფლება ირღვევა მაშინ, როდესაც სასამართლო მრავალმნიშვნელოვანი განცხადების შემთხვევაში ეყრდნობა ამ განცხადების ერთ-ერთ განმარტებას ისე, რომ არ განიხილავს და გამოირიცხავს გამონათქვამის შინაარსისა და დატვირთვის სხვა ისეთ შესაძლებლობებს, რომლებიც არ იწვევს და არ შეესაბამება გათვალისწინებულ სანქციას (იხ: BVerfGE 82, 43 [52]; 93, 266 [295]; 94, 1 [9]). იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ფორმულირებები ან გარემოებები შესაძლებელს ხდის მათ ისეთ განმარტებას, რომელიც არ იწვევს პიროვნული უფლების დარღვევას, მაშინ სისხლის სამართლის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან სამოქალაქო სასამართლოს გადანყევტილება, რომელიც მოპასუხეს აკისრებს ზიანის ანაზღაურების, საპირისპირო განცხადების გავრცელებისა, თუ გამოსწორების ვალდებულებას, ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას (იხ: BVerfGE 43, 130 [136]; 93, 266 [296] – სისხლისსამართლებრივ სანქციასთან დაკავშირებით; იხ: BVerfGE 85, 1 [18]; 86, 1 [11] – სამოქალაქო-სამართლებრივ სანქციასთან დაკავშირებით).

გამონათქვამის ავტორს არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ მისი განცხადების ისეთი განმარტების შემთხვევაში, რომელიც სცდება მის მიერ მინიჭებულ აზრსა თუ დატვირთვას, მას შეიძლება დაეკისროს სახელმწიფო სანქციები, ვინაიდან ამ შემთხვევაში, გარდა აზრის თავისუფალი გამოხატვის ინდივიდუალური უფლების შეზღუდვისა, ეს ასევე უარყოფით გავლენას ახდენს აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლების ზოგად და საყოველთაო განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო სანქცია, მისი მკაცრი და იმპერატიული ხასიათის გამო, შეეხებოდა თავისუფალი

სიტყვის, თავისუფალი ინფორმაციის, აზრის თავისუფალი ჩამოყალიბებისა და ყოველივეს შედეგად – აზრის თავისუფალი გამოხატვის არსსა და ძირითად დანიშნულებას (იხ: BVerfGE 43, 130 [136]; 54, 129 [136]; 94, 1 [9]).

(2) ინდივიდუალური ძირითადი უფლების განხორციელებისა და აზრის ჩამოყალიბების პროცესისათვის არ არის გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნულის მსგავსი დაცვის კანონიერი ინტერესი სასამართლოების მიერ სამომავლო განცხადებებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დადგენის შემთხვევებში. აქ აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებისა და პიროვნების დაცვის სამართლებრივი ინტერპრეტაციის ურთიერთშეფარდების ფარგლებში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განცხადების ავტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, უფრო გარკვევით და ერთმნიშვნელოვნად გამოხატოს თავისი აზრი და ამით განსაზღვროს, თუ რა დატვირთვა უნდა დაედოს საფუძველად მისი განცხადების საფუძველზე პიროვნული უფლების დარღვევის სამართლებრივ განხილვასა და შეფასებას. თუ გამონათქვამი შეიცავს ფაქტებზე მითითებას, მაშინ გადამწყვეტი იქნება, შესაძლებელია თუ არა ამ ფაქტების ნამდვილობის დამტკიცება. შეფასების შემთხვევაში კი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, საქმე ეხება შეურაცხყოფას, ფორმალურ შეურაცხყოფასა თუ ადამიანის ღირსების შელახვას, რის გამოც უნდა მოხდეს ასეთი ქმედებისაგან სამომავლოდ თავის შეკავება, ან თუ თავის შეკავების ვალდებულება არ დგინდება, გადასწონის თუ არა ეს უფლებები პიროვნულ უფლებას მათი ურთიერთშეფარდების ფარგლებში (იხ: BVerfGE 90, 241 [248]; 93, 266 [293]).

თუ გამონათქვამის ავტორი არ არის თანახმა, რომ თავის განცხადებას მიანიჭოს ერთი კონკრეტული მნიშვნელობა ანუ დააკონკრეტოს თავისი გამონათქვამის შინაარსი და აზრი, მაშინ არ არსებობს კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, არ უნდა დადგინდეს ქმედებისაგან სამომავლოდ თავის შეკავების ვალდებულება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პირის გამონათქვამი უშვებს და შეიცავს რამდენიმე მნიშვნელობას და მათ შორის – ისეთსაც, რომელიც არ იწვევს პიროვნული უფლების დარღვევას.

## E – 113, 63

1. ფედერალური ერთეულის [ლანდის] კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებაში პრესგამომცემლობის მხრიდან ანტიკონსტიტუციურ ქმედებებზე ინფორმაციის გავრცელება უტოლდება პრესის თავისუფლებაში ჩარევას და, შესაბამისად, საჭიროებს კანონიერ საფუძველს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. ასეთ კანონიერ საფუძველს წარმოადგენს ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.
2. პრესგამომცემლობის მხრიდან ანტიკონსტიტუციური მოღვაწეობის ვარაუდის დასაბუთებასთან დაკავშირებული მოთხოვნების თაობაზე

პირველი პალატის 2005 წლის 24 მაისის განჩინება

- 1 BvR 1072/01 -

...

საფუძველები:

ა – I

1. ბერლინში მცხოვრები მომჩივანი ქალბატონი გამოსცემს ყოველკვირეულ გაზეთს „ახალგაზრდა თავისუფლება“. ნორდრაინ-ვესტფალენის შინაგან საქმეთა სამინისტრო, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ყოველწლიურად გამოსცემს კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებს. აღნიშნული საქმიანობის სამართლებრივი

საფუძველია ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ 2002 წლის 18 დეკემბრის კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„კონსტიტუციური უსაფრთხოების ორგანოს შეუძლია ინფორმაციებისა და განსაკუთრებით – მისი ყოველწლიური მოხსენებების გამოქვეყნება, მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოლვანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით; პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გახმაურება აუცილებელია ინფორმაციის არსის ან ორგანიზაციის წარმოდგენისათვის და თუ საყოველთაო ინტერესი აღემატება პირის კანონიერ ინტერესს.“

ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი:

„კონსტიტუციური უსაფრთხოების ორგანოს ამოცანაა იმ საქმეებისა და პირების შესახებ ინფორმაციების, ცნობებისა და საბუთების შეგროვება – დახარისხება, რომლებიც დაკავშირებულია:

(1) ფედერაციის ან ფედერალური ერთეულის თავისუფალი, დემოკრატიული წყობილებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ მოლვანობასთან, ან ისეთ საქმიანობასთან, რომელიც მიზნად ისახავს ფედერაციის ან ფედერალური ერთეულის ან მათი წევრების კონსტიტუციური ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების განხორციელების უკანონო შეზღუდვას,

(2) - (4) ...

გერმანიის ძირითადი კანონის ფარგლებში, როდესაც მოცემულია ფაქტობრივი გარემოებები ამგვარი მოლვანობის ვარაუდისათვის.“

2. 1994-1995 წლებისა და ასევე მომდევნო წლების მოხსენებებში დანვრილებით არის განხილული გაზეთი „ახალგაზრდა თავისუფლება“, კერძოდ, იქ განთავსებული პუბლიკაციები მემარჯვენე-ექსტრემისტული ტენდენციებისა და მოძრაობების შესახებ. ფედერალური ლანდის შეფასებით, გაზეთის სტატიებში ასახული შეხედულებების საფუძველზე წარმოიშვა ვარაუდი გაზეთის ანტიკონსტიტუციური საქმიანობის შესახებ. 1994 წელს კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებაში ინფორმაცია დაიბეჭდა რუბრიკით: „მემარჯვენე ექსტრემიზმი“, ქვესათაურით: „მემარჯვენე-ექსტრემისტული პუბლიკაციები, გამომცემლობები და მედია“, ხოლო 1995 წელს – რუბრიკით: „მემარჯვენე-ექსტრემისტული ორგანიზაციები, დაჯგუფებები და მიმდინარეობები“.

## II

მომჩივანმა ადმინისტრაციულ სასამართლოში აღძრა სარჩელი ფედერალური ლანდის – ნორდრაინ-ვესტფალენის წინააღმდეგ.

## ბ

საკონსტიტუციო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია.

## I

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ მომჩივნის პრესის თავისუფლების ძირითად უფლებას.

1. ადმინისტრაციულმა სასამართლომ მომჩივნის სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოსაზრებითაც, რომ „ახალგაზრდა თავისუფლებასთან“<sup>28</sup> დაკავშირებული პასაჟების

<sup>28</sup> მომჩივანის მიერ გამოცემული გაზეთი.

ჩართვა ნორდრაინ-ვესტფალენის ლანდის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის 1994-1995 წლების მოხსენებებში არ ეხება პრესის თავისუფლების დაცვის სფეროს. იგივე სამართლებრივი მოსაზრება იყო უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები ვერ ითვალისწინებს პრესის თავისუფლების დაცვის მექანიზმის მასშტაბებს.

ა) მომჩივანი, ყოველკვირეული გაზეთის რედაქტორი და გამომცემელი, დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებით. ამას გარდა, იგი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, ასევე დაცულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით (აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლება) (იხ: BVerfGE 85, 1 [12]). აღნიშნულისაგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის თავისუფლება იცავს აზრის გამოხატვის ფორმასა და შინაარსს მაშინაც, როდესაც იგი ვრცელდება პრესის საშუალებით (იხ: BVerfGE 97, 391 [400]).

მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციური შემონმების მასშტაბი არის პრესის თავისუფლება. სახელმწიფო ღონისძიება უშუალოდ ეხება პრესის პროდუქციას და გავლენას ახდენს პრესსაქმიანობის პირობებზე. კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში მითითებულია ექვზე, რომლის მიხედვითაც, მომჩივანი თითქოს მონადინებულია, გაზეთის მეშვეობით აღმოფხვრას თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობა ფედერაციასა და მის ერთეულებში. კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში ამ ექვების დასასაბუთებლად მოყვანილია ცალკეული სტატიები გაზეთ „ახალგაზრდა თავისუფლებიდან“, რათა შექმნან საერთო სურათი, რომლის საფუძველზეც დაადასტურებენ გაზეთისა და მის მიღმა მდგომი ძალების ანტიკონსტიტუციურ მოღვაწეობას: მოხსენებებში უარყოფითადაა შეფასებული ორგანიზაცია, რომლის სიტყვიერ გამოხატულებასა და ფორუმს წარმოადგენს გაზეთი.

ამ მიმართებით კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში ცალკეული გამონათქვამები შეფასებულია ანტიკონსტიტუციურად, ხოლო მათ ავტორად მიჩნეულია მომჩივანი. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემონმების მასშტაბი შესაძლოა, იყოს გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლება. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი უპირისპირდება მხოლოდ მოხსენებებში ასახულ მოსაზრებებს მისი, როგორც გაზეთის გამომცემლის, ანტიკონსტიტუციური მოღვაწეობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, აზრის გამოხატვის უფლებას წინამდებარე წარმოებისათვის არ აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციური შემონმებისა და შეფასების კუთხით.

ბ) არც სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებასთან დაკავშირებით და არც სახელმწიფოს ყველანაირი მონაწილეობა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში არ უნდა შეფასდეს ძირითად უფლებებში ჩარევად (იხ: BVerfGE 105, 252 [265]) - გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით; 105, 279 [294, 299] - გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით). აქ გადაწყვეტია, მოხდა თუ არა შეხება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან და არის თუ არა ეს შეზღუდვა ჩარევა ან ჩარევის ტოლფასი ღონისძიება. აღნიშნული მოცემულად მიიჩნევა კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში მომჩივნის დასახელებით.

აა) პრესის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული სფერო განისაზღვრე-

ბა ძირითადი უფლების გარანტიის მიზნებიდან გამომდინარე, პრესის თავისუფლება კონსტიტუციურად განსაკუთრებით დაცულია იმ მიმართებით, რომ დამოუკიდებელი და საჯარო ხელისუფლების მართვისაგან თავისუფალი პრესა და პრესსაქმიანობა არის თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებითი ელემენტი და დემოკრატიული წყობის ერთ-ერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პრინციპი (იხ: BVerfGE 20, 162 [174]). აქედან გამომდინარე, პრესის ამოცანაა, უზრუნველყოს ფართო ინფორმაციების გავრცელება, არსებულ აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალფეროვნების გადმოცემა და ამას გარდა, თვითონაც ჩამოაყალიბოს და გამოთქვას აზრი (იხ: BVerfGE 52, 283 [296]). ყოველივე ეს წინაპირობად ითვალისწინებს პრესის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. აქედან გამომდინარე, პრესის თავისუფლება ძირითადი უფლების სუბიექტებს იცავს პრესის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციებზე სახელმწიფოს მიერ ზეგავლენის მოხდენისაგან, განსაკუთრებით კი – დადებითი და უარყოფითი სანქციებისაგან, რომლებიც უკავშირდება პრესის პროდუქციის შინაარსსა და ფორმულირებას (იხ: BVerfGE 80, 124 [133] – სუბვენციებთან დაკავშირებით).

შინაარსობრივი ჩარევისაგან დაცვა არ მოიცავს მხოლოდ ჩარევას ტრადიციული გაგებით (ჩარევის ტრადიციულ ცნებასთან დაკავშირებით იხ: BVerfGE 105, 279 [300]), იგი შესაძლებელია, გავრცელდეს პრესის მიმართ განხორციელებულ არაპირდაპირ ღონისძიებებზეც (იხ: BVerfGE 85, 1 [12] იხ: BVerfGE 52, 283 [296]), როდესაც ეს ღონისძიებები, მათი მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ჩარევის ტოლფასია (იხ: BVerfGE 105, 252 [273]). გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების სუბიექტებისათვის ითვალისწინებს ასევე ისეთი ზემოქმედებისაგან დაცვის უფლებას, რომლებსაც არაპირდაპირ ახორციელებს სახელმწიფო მესამე პირების ჩარევის საშუალებით, მაგალითად, როდესაც ამ მესამე პირების ქმედებები ისეთ გავლენას ახდენს პრესის ორგანოს პუბლიცისტურ შესაძლებლობებსა, თუ მის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც ჩარევის ტოლფასია. ის, რომ, საინფორმაციო საქმიანობის ფაქტობრივი უარყოფითი შედეგების გარდა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება დაკავშირებული უნდა იყოს ასევე სამართლებრივ შედეგებთან, როგორც ეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე პალატამ დაადგინა 1975 წელს გერმანიის ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მიმართ (იხ: BVerfGE 40, 287 [293]), აღნიშნულისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ კომუნიკაციის თავისუფლება შეიძლება იყოს შეზღუდული.

ბბ) გაზეთ „ახალგაზრდა თავისუფლების“ მოხსენიება კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში და მასთან დაკავშირებული კრიტიკული განხილვა და მოსაზრებები ემსახურება ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველ და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტებში ფორმულირებულ მიზნებს, რომლებიც ითვალისწინებს კონსტიტუციის დაცვას ფედერაციასა და მის ერთეულებში ანტიკონსტიტუციური მიმართებებისა და მოლვანეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მეშვეობით. ამ მიზნების განხორციელების ფარგლებში კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებით გამოწვეული შედეგები ჩარევის ტოლფასია.

კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახური არ არის სახელმწიფოს საინფორმაციო-საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი რიგითი ორგანო. მისი მიზანია განსაკუთრებული საფრთხის თავიდან აცილება (ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის პირველი მუხლი) და წარმოადგენს შესაბამის საკითხებზე სპეციალიზებულ და განსაკუთრებული უფლებამოსილებით (ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-5 და მომდე-

ვნო მუხლები), მათ შორის საინფორმაციო სამსახურით აღჭურვილ უწყებას. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებაში მოხვედრა არ ნიშნავს მხოლოდ საზოგადო მიმოხილვაში სახელმწიფოს მონაწილეობას ან სათანადო საინფორმაციო ბაზრის შექმნას, რომლის საფუძველზეც მოქალაქეს, როგორც საინფორმაციო ბაზრის ერთ-ერთ სუბიექტს, ჩამოუყალიბდება საკუთარი მოსაზრება (იხ: BVerfGE 105, 252 [267]). თავისი განსაკუთრებული დანიშნულებიდან გამომდინარე, მოხსენებაში მომჩივანზე მითითება წარმოადგენს კომუნიკაციის ფართო მასებთან დაკავშირებულ, არაპირდაპირ უარყოფით სანქციას მის წინააღმდეგ.

კონსტიტუციური უსაფრთხოების ორგანო თავის მოხსენებებში გაზეთის ცალკეულ რეცენზიებს აფასებს ანტიკონსტიტუციურად და მიუთითებს მომჩივნის ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაზე. მოხსენებებში გამოხატული მოსაზრება, ადმინისტრაციული სასამართლოს აზრით, წარმოადგენს ასევე საზოგადოების ერთგვარ გაფრთხილებას მომჩივნისა და მისი გაზეთის მიმართ. მართალია, კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში მოხსენიება გაზეთ „ახალგაზრდა თავისუფლების“ გამომცემლობასა და რედაქციას ხელს არ უშლის გაზეთის გამოცემა-გავრცელებაში და არც – გაკრიტიკებული სტატიების გამოქვეყნებაში, მაგრამ მისი საქმიანობის ეფექტურობასა და შედეგიანობაზე შესაძლოა, ყოველივე ამას უარყოფითად ემოქმედა. ზემოთ აღნიშნული მითითებების გამო, შესაძლოა, გაზეთის პოტენციურმა მკითხველებმა იგი აღარ შეიძინონ და აღარ ნაიკითხონ. ასევე წარმოსადგენია, რომ გაზეთში საკუთარი განცხადებების განმთავსებლებმა, ჟურნალისტებმა ან მკითხველთა წერილების ავტორებმა უარი თქვან ამ გაზეთთან თანამშრომლობაზე ანუ ბოიკოტი გამოუცხადონ მას.

კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებების ამგვარი არაპირდაპირი გავლენა კომუნიკაციის ძირითად უფლებაში ჩარევის ტოლფასია.

2. ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოების ვარაუდი, რომელიც ჩამოყალიბდა და გაჟღერდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შემომწივების ფარგლებში და რომლის მიხედვითაც, ამგვარი შეზღუდვა გამართლებულია და დასაბუთებულია, არ არის ყველა მიმართებით კონსტიტუციური.

ა) ზოგადად, სახელმწიფოს არ ეკრძალება ჯგუფებისა და მისი მონაწილეების შეფასება (იხ: BVerfGE 105, 252 [267]) - გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით). კონსტიტუციური პრინციპები და ღირებულებები სახელმწიფო ორგანოებმა და მისმა წარმომადგენლებმა შესაძლოა, ასევე დაიცვან საზოგადოების ინფორმირებისა და საჯარო განხილვებსა და მსჯელობებში მონაწილეობის გზით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს საინფორმაციო საქმიანობა იწვევს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც უტოლდება ძირითად უფლებებში ჩარევას (იხ: BVerfGE 105, 252 [273]), მაშინ ამისათვის აუცილებელია სამართლებრივი საფუძველი [სათანადო დასაბუთება] (იხ: BVerfGE 105, 279 [299]) - გერმანიის ძირითადი კანონის მე-4 მუხლთან დაკავშირებით).

აა) პრესის თავისუფლება არ არის უზრუნველყოფილი შეუზღუდავად. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასეთი შეზღუდვები გათვალისწინებულია საერთო კანონებით. საერთო კანონი, რომელიც არ არის მიმართული რომელიმე ძირითადი უფლებისა თუ გარკვეული აზრის გამოხატვის წინააღმდეგ და რომელიც ემსახურება შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის დაცვას, ყოველგვარი კონკრეტული აზრის გათვალისწინების გარეშე (იხ: BVerfGE 7, 198 [209]; 97, 125 [146]) და მუდმივი სასამართლო პრაქტიკა).

სწორედ ასეთი კანონია ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნული ნორმით გათვა-



ლისწინებული უფლებამოსილება, კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებების გზით ანტიკონსტიტუციური ტენდენციებისა და მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებით, ემსახურება ფედერაციასა და ფედერალურ ერთეულებში თავისუფალი, დემოკრატიული წესრიგის დაცვას, რაზეც მეტყველებს თვითონ მუხლში არსებული მითითება იმავე კანონის მე-3 მუხლზე. უფლებამოსილება არ არის მიმართული არც რომელიმე გარკვეული აზრის, არც – თავისუფალი აზრის ჩამოყალიბების პროცესის ან, ზოგადად, თავისუფალი ინფორმაციის წინააღმდეგ; მისი მიზანია სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, კერძოდ, კონსტიტუციით დანერგული სამართლებრივი სიკეთის დაცვა, რომლის განხორციელებაც არ არის დამოკიდებული იმაზე, ემუქრება თუ არა ამ სიკეთეს საფრთხე კონკრეტული აზრის გამოხატვით ან რაიმე სხვა ფორმით...

(1) კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში გამოქვეყნება, ზოგადად, წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირებისა და ამით ანტიკონსტიტუციური ტენდენციების მოგერიების სათანადო და ადეკვატურ ღონისძიებას. ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას საეკლექტულა შინაგანი რწმენის სამართლებრივი ზღვრის, განსაკუთრებით კი – თანაზომიერების პრინციპის დაცვა (იხ: ნორდრაინ-ვესტფალენის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებათა შესახებ კანონის მე-40 მუხლი). მართალია, აუცილებლობის არსებობის ვალდებულებას ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი სიტყვა-სიტყვით ითვალისწინებს მხოლოდ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნული წინაპირობა, როგორც თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, ასევე ყოველთვის მოცემული უნდა იყოს ძირითადი უფლების ნებისმიერი შეზღუდვისა თუ შეზღუდვის ტოლფასი ზომების გატარების შემთხვევებში. მაშასადამე, აუცილებლობა მოიაზრება ნორმის დაუნერგვად ფაქტობრივ ელემენტად.

(2) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე მოთხოვნები შეზღუდველი ღონისძიების თანაზომიერებასთან დაკავშირებით, ცალკეულ შემთხვევაში განისაზღვრება დასაცავი სამართლებრივი სიკეთის რანგისა და მისი შეზღუდვის საფრთხის ინტენსიურობის მიხედვით. ამას გარდა, ასევე განმსაზღვრელი და არსებითია პირის თავისუფლების შეზღუდვის ფორმა და სიმძიმე.

კონსტიტუციური უსაფრთხოების ორგანომ და სასამართლოებმა ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი (იმავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიმართ) განმარტეს იმგვარად, რომ ფაქტობრივი არგუმენტების არსებობა, რომელთა საფუძველზეც იქმნება ვარაუდი ანტიკონსტიტუციური ტენდენციების არსებობის თაობაზე, საკმარისია შესაბამისი ინფორმაციის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებებში განთავსებისათვის. აღნიშნულ განმარტებას ისინი ასაბუთებენ ნორდრაინ-ვესტფალენის კონსტიტუციური უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მეშვეობით, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციას ზოგადად ზღუდავს შემდეგი ფორმულირებით: „იმ შემთხვევაში, თუ მოცემულია ფაქტობრივი არგუმენტები, რაც ქმნის ამგვარი მოღვაწეობის ვარაუდს“. მიუხედავად ნორმის ასეთ გაგება-განმარტებასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკისა (იხ: Murswiek, NVwZ 2004, გვ. 769 [775]), ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული ღონისძიებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასები-

სას უნდა იხელმძღვანელოს საერთო სასამართლოების განმარტებით, ვინაიდან ეს არ ენიშნა დეკლარაცია კონსტიტუციას.

(ა) თუმცა, ფაქტობრივი არგუმენტები უნდა იყოს საკმარისად ძლიერი. თუ მათი მიხედვით შესაძლებელია არსებობდეს ეჭვი, მაშინ ისინი ამ განმარტების ფარგლებშიც ვერ იქნება მიჩნეული ძირითადი უფლების შეზღუდვის საფუძველად. თუ ასეთი ტენდენციების არსებობა ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებები ასაბუთებს შესაბამის ეჭვებს, მაშინ ამ ეჭვების სიმძაფრე და ინტენსიურობა იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ გაამართლოს და დაასაბუთოს კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის მოხსენებაში შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნება და ამით კონკრეტული პირისათვის ნარმოქმნილი უარყოფითი შედეგები.

(ბ) თუ სანქცია დაკავშირებულია აზრის გამოხატვასთან ან პრესსაქმიანობასთან, დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ აზრის გამოხატვა და პრესის თავისუფლება, თავის მხრივ, დემოკრატიის არსებითი პრინციპებია, რომლებიც ასევე უშვებს და ითვალისწინებს კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების კრიტიკულ განხილვას. კომუნიკაციის ძირითად უფლებათა დაცვითმა მექანიზმმა შესაძლოა, გააღწიოს იქონიოს როგორც ზემოთ აღნიშნული ტენდენციების ან შესაბამისი ვარაუდის დადგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და წინაპირობებზე, ასევე – გატარებული ღონისძიების სამართლებრივ შეფასებაზე, განსაკუთრებით კი – მისი ადეკვატურობის კუთხით.

(გ) იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ფაქტებზე დაფუძნებული ვარაუდი გარკვეული ჯგუფის ანტიკონსტიტუციურ ტენდენციებთან დაკავშირებით, თანაზომიერების პრინციპი არის მასშტაბი იმ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რა ფორმით შეიძლება გააშუქდეს აღნიშნული ვითარება.

ვინაიდან გატარებული ზომა უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დაცვისათვის აუცილებელი, საჭიროა, რომ ეჭვისა თუ ვარაუდის საფუძველზე მოხსენებებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისას არ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ, თითქოს, უკვე დადგენილია შესაბამისი ჯგუფის მხრიდან ანტიკონსტიტუციური ქმედებების ჩადენის ფაქტი. მაშასადამე, მოხსენების სათაურიდან და სარჩევიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ისეთი ორგანიზაციები, რომელთა მიმართაც არსებობს მხოლოდ ვარაუდი და ის ორგანიზაციები და დაჯგუფებები, რომელთა შემთხვევაშიც უკვე დადგენილია ანტიკონსტიტუციური აქტივობის არსებობა.

ამას გარდა, აუცილებლობის პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ ეჭვისა თუ ვარაუდის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული გამოქვეყნებისას განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები, რათა გაირკვეს, მართლაც დასტურდება თუ არა ეს ვარაუდი....

ბ) ზემოთ აღნიშნულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს ყოველმხრივ არ ითვალისწინებს და არ შეესაბამება ადმინისტრაციული და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებები.

## **E – 113, 273**

1. გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლი ძირითადი უფლების სახით ექსპატირაციისა და დეპორტაციის [გაძევების] აკრძალვით უზრუნველყოფს განსაკუთრებულ ურთიერთობას მოქალაქეებსა და იმ თავისუფალ სამართლებრივ სისტემას შორის, რომელთა მონაწილეებიც თვითონ არიან. მოქალაქესა და თავისუფ-

ფალ, დემოკრატიულ წესწყობილებას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობა კი გულისხმობს იმას, რომ მოქალაქე არ უნდა გამოირიცხოს ამგვარი ურთიერთობიდან.

2. ევროგაერთიანების ე.წ. „მესამე სექტის“<sup>27</sup> მიხედვით მიმდინარე თანამშრომლობა შეზღუდული ურთიერთალიარების ფარგლებში, ასევე სუბსიდიარული პრინციპიდან გამომდინარე (გერმანიის ძირითადი კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი), არის ფრთხილი და უმტკივნეულო გზა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ერთიან ევროპულ სამართლებრივ სფეროში.
3. კანონმდებელი ვალდებული იყო, ევროპის ფარგლებში გაცემული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-დადგენილებისათვის იმპლემენტირებადი კანონის გამოცემისას, ისე გადმოეტანა აღნიშნული ჩარჩო-დადგენილების მიზანი, რომ დეპორტაციის აკრძალვის უფლება თანაზომიერების პრინციპის დაცვით შეეზღუდა. კანონმდებელმა მოქალაქეთა ძირითადი უფლების ხელყოფისაგან დაცვის გარანტიის გათვალისწინებასთან ერთად უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სიკეთის შეზღუდვა შესრულდეს დიდი სიფრთხილით. ამასთან, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზეც, რომ დეპორტაციის აკრძალვასთან დაკავშირებულია დეპორტაციის კანდიდატი გერმანელი მოქალაქის სამართლებრივი სტაბილურობისა და ნდობის დაცვის უზრუნველყოფა.
4. პირის ნდობა საკუთარი სამართლებრივი სისტემის მიმართ გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტითა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით განსაკუთრებით მაშინ არის დაცული, როდესაც დეპორტაციის მოთხოვნას უშუალოდ ქვეყნის შიდა მოვლენებთან დაკავშირებული მოქმედება უდევს საფუძვლად.

მეორე პალატის 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება

- 2 BvR 2236/04 -

სარეზოლუციო ნაწილი:

ევროპის ფარგლებში გაცემული დაპატიმრების ბრძანებისა და დაკავებულთა ევროგაერთიანების წევრ – სახელმწიფოებს შორის გადაცემის შესახებ 2004 წლის 21 ივლისის (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I, გვ. 1748) ჩარჩო-დადგენილების იმპლემენტირებადი კანონი ენიშნა დედგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტს, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს, მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს და ცხადდება ბათილად.

<sup>27</sup> ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობა გადმოცემულია ასევე „სამი სექტის“ სახით. თითოეული მათგანი ითვალისწინებს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა ინტენსიურობით, შესაბამისი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის  
ძირითადი კანონი<sup>28</sup>

მიღებულია 1949 წლის 23 მაისს<sup>29</sup>

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1951, 1952, 1953, 1954, 1955, 1956, 1957, 1959, 1961, 1965, 1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1972, 1975, 1976, 1979, 1983, 1990, 1992, 1993, 1994, 1995, 1997, 1998, 2000, 2001, 2002, 2006, 2008, 2009, 2010 წლებში)

საპარლამენტო საბჭომ 1949 წლის 23 მაისს, ბონში, საჯარო სხდომაზე დაადგინა, რომ საპარლამენტო საბჭოს მიერ 1949 წლის 8 მაისს მიღებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი მიღებულ იქნა 1949 წლის 16 მაისიდან 22 მაისამდე, თანამონაწილე გერმანული მიწების სახალხო წარმომადგენლობების ორ მესამედზე მეტის უმრავლესობით.

აღნიშნულის საფუძველზე საპარლამენტო საბჭომ, რომელსაც წარმოადგენდა პრეზიდენტი, შეადგინა და გამოაქვეყნა ეს ძირითადი კანონი.

145-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, ძირითადი კანონი ქვეყნდება ფედერალურ კანონთა ჟურნალში.

### პრეამბულა

ღმერთისა და ადამიანების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით, შთაგონებული სურვილით, როგორც გაერთიანებული ევროპის თანასწორუფლებიანმა წევრმა, ემსახუროს მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში, გერმანელი ხალხი, საკუთარი კონსტიტუციური სადამფუძნებლო ხელისუფლების საფუძველზე, იღებს ამ ძირითად კანონს.

გერმანელებმა ბადენ-ვიურტენბერგის, ბავარიის, ბერლინის, ბრემენის, ჰამბურგის, ჰესენის, მეკლენბურგ-ფორპომერნის, ქვემო საქსონიის, ჩრდილოეთრაინ-ვესტფალიის, რაინლანდ-ფალცის, საარლანდის, საქსონიის, საქსონია-ანჰალტის, შლეზვიგ-ჰოლშტაინის და ტიურინგიის მიწებში, თავისუფალი თვითგამორკვევის გზით მიაღწიეს გერმანიის ერთიანობას და თავისუფლებას. აღნიშნულის შესაბამისად, ეს ძირითადი კანონი მოქმედებს მთელი გერმანელი ხალხისთვის.

<sup>28</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის წარმოდგენილი ტექსტი გამოქვეყნებულია 2004-2008 წლებში გამოცემული 5 ტომულის – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“-ს III ნაწილში (2006, თბილისი) რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი და შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელია სამართლის დოქტორი ვასილ გონაშვილი. კონსტიტუციის ტექსტი თარგმნა ა. ველთაურმა. 2006-2010 წლის ცვლილებები თარგმნა მ. მანჯგალაძემ.

<sup>29</sup> თარგმანისას გამოყენებულია გერმანიის ბუნდესტაგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის გერმანულენოვანი ოფიციალური ტექსტი და ფედერალური მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მისი გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები.

## I. ძირითადი უფლებები

### მუხლი 1.

(1) ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა.

(2) აღნიშნულის შესაბამისად გერმანელი ხალხი ადამიანის ხელშეუხებელ და განუსხვისებელ უფლებებს აღიარებს, როგორც მსოფლიოში ყოველი საზოგადოების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს.

(3) ქვემოთმოყვანილი ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის და მართლმსაჯულებისათვის.

### მუხლი 2.

(1) ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას ან ზნეობრივ ნორმებს.

(2) ყოველ ადამიანს გააჩნია სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელია. აღნიშნულ უფლებებში ჩარევა შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

### მუხლი 3.

(1) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

(2) მამაკაცები და ქალები თანასწორუფლებიანი არიან. სახელმწიფო ხელს უწყობს მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის რეალურ განხორციელებას და იღებს ზომებს არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

(3) არავის შეიძლება მიადგეს ზიანი ან მიენიჭოს უპირატესობა მისი სქესის, წარმოშობის, რასის, ენის, დაბადების ადგილის ან წარმოშობის, რწმენის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების გამო. არავის შეიძლება მიადგეს ზიანი მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

### მუხლი 4.

(1) რწმენის, სინდისის, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების თავისუფლება ხელშეუხებელია.

(2) რელიგიური ნეს-ჩვეულებების აღსრულების თავისუფლება გარანტირებულია.

(3) არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს, საკუთარი სინდისის საწინააღმდეგოდ, იარაღით ხელში იმსახუროს სამხედრო სამსახურში. დეტალებს ანესრიგებს ფედერალური კანონი.

### მუხლი 5.

(1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით და გამოსახულების საშუალებით და დაუბრკოლებლად შეიძინოს ცოდნა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. პრესის თავისუფლება და რადიოსა და კინოს საშუალებით ინფორმაციის მიღების თავისუფლება გარანტირებულია. ცენზურა არ არსებობს.

(2) აღნიშნული უფლებების საზღვრები დადგენილია ზოგადი კანონების ნორმებით, ახალგაზრდობის დაცვის შესახებ საკანონმდებლო დებულებებით და პიროვნული ღირსების უფლებით.

(3) ხელოვნება და მეცნიერება, კვლევა და სწავლება თავისუფალია. სწავლების თავისუფლება არ ათავისუფლებს კონსტიტუციისადმი ერთგულებისაგან.

#### **მუხლი 6.**

(1) ქორწინება და ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.

(2) ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა წარმოადგენს მშობელთა ბუნებრივ უფლებას და მათ უპირატეს ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულებების განხორციელებას მეთვალყურეობს სახელმწიფო.

(3) ბავშვები, მათ აღზრდაზე უფლებამოსილი პირების ნების სანინაალმდეგოდ, საკუთარ ოჯახს შეიძლება დააშორონ მხოლოდ კანონის საფუძველზე, თუ მათ აღზრდაზე უფლებამოსილი პირები არ ასრულებენ საკუთარ ვალდებულებებს, ან თუ ბავშვები სხვა მიზეზების გამო შეიძლება დარჩნენ ზედამხედველობის გარეშე.

(4) ყოველ დედას აქვს უფლება, საზოგადოებისაგან მოითხოვოს დაცვა და მზრუნველობა.

(5) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფილი არიან მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარების და საზოგადოებაში მათი მდგომარეობის ისეთივე პირობებით, როგორც ქორწინებაში დაბადებული ბავშვები.

#### **მუხლი 7.**

(1) მთელი სასკოლო საქმე იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ.

(2) ბავშვების აღზრდაზე უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ გადაწყვიტონ ბავშვების რელიგიურ სწავლებებში მონაწილეობის საკითხი.

(3) რელიგიური სწავლება სახელმწიფო სკოლებში, გარდა არაკონფესიური სკოლებისა, წარმოადგენს სავალდებულო საგანს. სახელმწიფოს ზედამხედველობის უფლების დარღვევის გარეშე, რელიგიური სწავლება მიმდინარეობს რელიგიური გაერთიანებების პრინციპების შესაბამისად. არცერთ მასწავლებელს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, საკუთარი ნების სანინაალმდეგოდ ჩაატაროს რელიგიური სწავლება.

(4) კერძო სკოლების გახსნის უფლება გარანტირებულია. კერძო სკოლები, როგორც სახელმწიფო სკოლების შემცველი დანესებულებები, საჭიროებენ სახელმწიფოს ნებართვას და ექვემდებარებიან ფედერალური მინების კანონმდებლობას. ნებართვა უნდა გაიცეს, თუ კერძო სკოლები თავიანთი სასწავლო მიზნებითა და ორგანიზაციით, ასევე, მათი მასწავლებლების კვალიფიკაციით არ ჩამოუვარდებიან სახელმწიფო სკოლებს და ხელს არ უწყობენ მოსწავლეების დიფერენცირებას მშობლების ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ნებართვა არ უნდა გაიცეს, თუ მასწავლებლების ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი.

(5) კერძო სახალხო სკოლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო მმართველობა აღიარებს განსაკუთრებულ პედაგოგიურ ინტერესს ან თუ ბავშვების აღზრდაზე უფლებამოსილი პირების მოთხოვნით იგი დაარსდება, როგორც საზოგადოებრივი, კონფესიური ან მსოფლმხედველობრივი სკოლა და თუ ამასთან, ასეთი სახის საჯარო სახალხო სკოლა თემში არ არსებობს.

(6) მოსამზადებელი სკოლები აკრძალულია.

### **მუხლი 8.**

(1) ყველა გერმანელს აქვს უფლება წინასწარი შეტყობინების ან ნებართვის გარეშე შეიკრიბოს მშვიდობიანად და უიარაღოდ.

(2) ღია ცის ქვეშ შეკრებისათვის აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან კანონის საფუძველზე.

### **მუხლი 9.**

(1) ყველა გერმანელს აქვს უფლება შექმნას კავშირები და საზოგადოებები.

(2) აკრძალულია გაერთიანებები, რომელთა მიზნები ან საქმიანობა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონმდებლობას ან მიმართულია კონსტიტუციური წყობილების ან ხალხთა შორის ურთიერთგაგების იდეის წინააღმდეგ.

(3) ყოველი ადამიანისათვის და ყველა პროფესიის წარმომადგენლისათვის გაბრუნებულია უფლება, შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით შექმნას გაერთიანებები. შეთანხმებები, რომლებიც ზღუდავენ აღნიშნულ უფლებას ან ართულებენ მის განხორციელებას, ბათილია, ხოლო აღნიშნულის განსახორციელებლად მიმართული ზომები – კანონსაწინააღმდეგო. მე-12ა მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცების, 87ა მუხლის მე-4 აბზაცისა და 91-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები არ შეიძლება იყოს მიმართული იმ შრომითი აქციების წინააღმდეგ, რომლებიც პირველ წინადადებაში აღნიშნული გაერთიანებების მიერ ტარდება შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვის ან ხელშეწყობის მიზნით.

### **მუხლი 10.**

(1) მიმონერის საიდუმლოება, ასევე, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოება ხელშეუხებელია.

(2) შეზღუდვები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. თუ აღნიშნული შეზღუდვები ემსახურება თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების დაცვას ან ფედერაციის ან რომელიმე ფედერალური მიწის არსებობის დაცვას ან უზრუნველყოფას. ასეთ შემთხვევაში კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ დაინტერესებულ პირს არ ეცნობება მათ შესახებ და რომ სასამართლო წესით შემონმების ნაცვლად, აღნიშნული შეზღუდვები შემონმდება სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დანიშნული ორგანოებისა და დამხმარე ორგანოების მიერ.

### **მუხლი 11.**

(1) ყველა გერმანელი სარგებლობს თავისუფალი გადაადგილების უფლებით მთელ ფედერალურ ტერიტორიაზე.

(2) აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს მის განსახორციელებლად საკმარისი პირობები და აღნიშნულის გამო მთელი საზოგადოებისათვის წარმოიშობოდა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, ან როდესაც ასეთი შეზღუდვები აუცილებელია იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება ფედერაციის ან მიწის არსებობას, ან მათი თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს, ან როდესაც შეზღუდვები აუცილებელია ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბუნებრივი კატასტროფების ან განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევების წინააღმდეგ ზომების მისაღებად, ახალგაზრდობის ზედამხედველობის გარეშე დარჩენისაგან დასაცავად ან დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად.

## მუხლი 12.

(1) ყველა გერმანელს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს პროფესია, სამუშაო ადგილი და განათლების მიღების ადგილი. პროფესიული განათლება შეიძლება დარეგულირდეს კანონით ან კანონის საფუძველზე.

(2) არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს შეასრულოს რაიმე განსაზღვრული სამუშაო, გარდა საყოველთაო და ყველასათვის თანაბარი საზოგადოებრივი ვალდებულებისა.

(3) იძულებითი შრომა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით პირისათვის თავისუფლების აღკვეთისას.

## მუხლი 12ა.

(1) მამაკაცებს თვრამეტი წლის ასაკიდან შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში, ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოში ან სამოქალაქო თავდაცვის კორპუსში.

(2) პირს, რომელიც სინდისის მოსაზრებების გამო უარს აცხადებს იარაღით ხელში იმსახუროს სამხედრო სამსახურში, შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, იმსახუროს ალტერნატიულ სამსახურში. ალტერნატიულ სამსახურში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადაზე მეტი. დეტალებს არეგულირებს კანონი, რომელიც არ უნდა არღვევდეს სინდისის თავისუფლებას და ასევე, უნდა ითვალისწინებდეს ისეთი ალტერნატიული სამსახურის გავლის შესაძლებლობას, რომელიც არ არის დაკავშირებული შეიარაღებული ძალების და ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოს ნაწილებთან.

(3) სამხედრო ვალდებულებს, რომლებიც არ არიან განვეულნი სამხედრო სამსახურში პირველი და მე-2 აბზაცების შესაბამისად, თავდაცვის მდგომარეობის დროს, კანონით ან კანონის საფუძველზე, თავდაცვის მიზნებისათვის, მათ შორის, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზნით, შეიძლება დაეკისროთ გარკვეული შრომითი ურთიერთობები. ვალდებულების დაკისრება საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში დასაშვებია მხოლოდ პოლიციური ამოცანების ან საჯარო ადმინისტრაციის ისეთი უმაღლესი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების ნესით. გარკვეული შრომითი ურთიერთობების შესრულების ვალდებულების შემოღებას პირველი წინადადების შესაბამისად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეიარაღებული ძალების მომარაგების სფეროში, ასევე, საჯარო ადმინისტრაციასთან. შრომითი ურთიერთობების დაკისრება სამოქალაქო მოსახლეობის მომარაგების სფეროში დასაშვებია მხოლოდ სასიცოცხლო მოთხოვნილებებზე სამოქალაქო მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ან მისი დაცვის უზრუნველსაყოფად.

(4) თუ თავდაცვის მდგომარეობის დროს სანიტარულ-სამკურნალო დაწესებულებების, ასევე, სტაციონარული სამხედრო ჰოსპიტალების მოთხოვნილება, მიიღონ სამოქალაქო მომსახურება, არ დაკმაყოფილდება ნებაყოფლობით სანყისებზე, კანონით ან კანონის საფუძველზე ასეთი სახის მომსახურების გასანევად შეიძლება განვეულ იქნენ თვრამეტიდან ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკის ქალები. მათ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება, იმსახურონ იარაღით ხელში.

(5) თავდაცვის მდგომარეობის წინა პერიოდში მე-3 აბზაცში აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ მე-80 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად. მე-3 აბზაცით გათვალისწინებული მომსახურების განევის მოსამზადებლად, რაც საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და უნარს, კანონით ან კანონის საფუძველზე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო ღონისძიებებში მო-



ნანილეობის ვალდებულება. აღნიშნულ შემთხვევაში ამ აბზაცის პირველი წინადადება არ გამოიყენება.

(6) თუ თავდაცვის მდგომარეობის დროს მე-3 აბზაცის მე-2 წინადადებაში მითითებულ სფეროებში სამუშაო ძალის საჭიროება არ დაკმაყოფილებდა ნებაყოფლობით სანყისებზე, აღნიშნული საჭიროების დასაფარად, კანონით ან კანონის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს გერმანელების თავისუფლება შეწყვიტონ პროფესიული საქმიანობა ან დატოვონ სამუშაო ადგილი. თავდაცვის მდგომარეობის დადგენამდე შესაბამისად მოქმედებს მე-5 აბზაცის პირველი წინადადება.

### **მუხლი 13.**

(1) საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია.

(2) ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსამართლის, ხოლო დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანოების განკარგულებით და მხოლოდ აღნიშნული კანონებით დადგენილი წესით.

(3) თუ გარკვეული ფაქტიური მონაცემები ასაბუთებენ ვარაუდს, რომ პირმა ჩაიდინა კანონით გათვალისწინებული, ერთ-ერთი განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული, ასეთ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებების გამოძიება სხვა საშუალებებით გაცილებით მძიმე ან უშედეგო იქნებოდა, მოცემულ სამართალდარღვევასთან ბრძოლისათვის სასამართლოს განკარგულების საფუძველზე დასაშვებია აკუსტიკური თვალთვალის ტექნიკური საშუალებების გამოყენება იმ საცხოვრებელ შენობებზე, რომლებშიც სავარაუდოდ იმყოფება ბრალდებული პირი. მიღებული ზომები შეზღუდული უნდა იყოს გარკვეული ვადით. განკარგულება გაიცემა სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ. დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში განკარგულება შეიძლება გასცეს ერთმა მოსამართლემაც.

(4) საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით, საზოგადოებისათვის ან სიცოცხლისათვის გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საცხოვრებელი შენობების თვალთვალის ტექნიკური საშუალებების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლო განკარგულების საფუძველზე. დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ზომების მიღებაზე განკარგულება შეიძლება გამოსცეს კანონით გათვალისწინებულმა სხვა ორგანომაც. შემდგომში აღნიშნული ზომების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა გამოიცეს სასამართლო განკარგულება.

(5) თუ ტექნიკური საშუალებები გათვალისწინებულია სპეციალურად იმ პირთა დასაცავად, რომლებიც იმყოფებიან საცხოვრებელ შენობებში, ასეთ შემთხვევაში ზომები შეიძლება მიღებულ იქნეს კანონით განსაზღვრული რომელიმე ორგანოს განკარგულების საფუძველზე. ამ დროს მოპოვებული მონაცემების სხვაგვარი გამოყენება შეიძლება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ან საფრთხის თავიდან აცილების მიზნებისათვის და დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზომების კანონიერება სასამართლოს მიერ წინასწარ არის დადგენილი. დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს განკარგულება.

(6) ფედერალური მთავრობა ბუნდესტაგს ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას ტექნიკური საშუალებების მე-3 აბზაცის შესაბამისად გამოყენების შესახებ, ხოლო ფედერალურ კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებთან დაკავშირებით — აღნიშნული საშუალებების მე-4 აბზაცის შესაბამისად გამოყენების შესახებ,

ასევე, მე-5 აბზაცის გამოყენების შესახებ, როდესაც კონტროლი უნდა განახორციელოს სასამართლომ. ბუნდესტაგის მიერ არჩეული კომისია აღნიშნული მოხსენების საფუძველზე ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს. ფედერალური მინიბი უზრუნველყოფენ ეკვივალენტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას.

(7) საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის და მისი შეზღუდვის სხვა შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საერთო საფრთხის ან ცალკეული პირების სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ასევე, კანონის საფუძველზე, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის და წესრიგისათვის გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით საცხოვრებელ ფართზე არსებული საჭიროების აღმოსაფხვრელად, ეპიდემიებთან საბრძოლველად ან ახალგაზრდობის საფრთხისაგან დასაცავად.

#### **მუხლი 14.**

(1) საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია. მათი შინაარსი და საზღვრები განისაზღვრება კანონებით.

(2) საკუთრება ავალდებულებს. საკუთრებით სარგებლობა ამავდროულად უნდა ემსახურობდეს საერთო კეთილდღეობას.

(3) საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საერთო კეთილდღეობისათვის. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ კანონით ან კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს ზიანის ანაზღაურების სახეს და ფარგლებს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა დადგინდეს საჯარო ინტერესების და მხარეთა ინტერესების სამართლიანი ბალანსის საფუძველზე. ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესახებ დავის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ოდენობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით, საერთო იურისდიქციის სამართლოში.

#### **მუხლი 15.**

მინა, ნიალი, ბუნებრივი რესურსები და წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებაში გადაცემის მიზნით, საერთო საკუთრებაში ან საერთო მეურნეობაში არსებული სხვა ფორმებით, შეიძლება გადაცემულ იქნეს კანონით, რომელიც არეგულირებს ზიანის ანაზღაურების სახეს და ოდენობას. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად მოქმედებენ მე-14 მუხლის მე-3 აბზაცის მე-3 და მე-4 წინადადებები.

#### **მუხლი 16.**

(1) გერმანიის მოქალაქეობის ჩამორთმევა შეუძლებელია. მოქალაქეობის დაკარგვა შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე, ხოლო დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი მოქალაქეობის დაკარგვის შედეგად არ გახდება მოქალაქეობის არმქონე პირი.

(2) არცერთი გერმანელი არ შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს. კანონით შეიძლება დადგინდეს ევროპული კავშირის წევრი რომელიმე სახელმწიფოსათვის ან რომელიმე საერთაშორისო სასამართლოსათვის პირის გადაცემის საკითხის განსხვავებული რეგულირება, რამდენადაც დაცულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები.

### **მუხლი 16ა.**

(1) პოლიტიკური დევნილი პირები სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით.

(2) პირველ აბზაცში აღნიშნულ უფლებას ვერ დაეყრდნობა პირი, რომელიც ქვეყანაში შემოდის ევროპული თანამეგობრობების წევრი ან სხვა რომელიმე მესამე ქვეყნიდან, რომელშიც გარანტირებულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციების გამოყენება. ევროპული თანამეგობრობების არანეკრ სახელმწიფოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველ წინადადებაში აღნიშნულ პირობებს, განსაზღვრავს კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. პირველ წინადადებაში მითითებულ შემთხვევებში პირის ქვეყანაში ყოფნის აღკვეთისაკენ მიმართული ზომები შეიძლება განხორციელდეს აღნიშნულის თაობაზე შეტანილი საჩივრისაგან დამოუკიდებლად.

(3) კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, შეიძლება განისაზღვროს სახელმწიფოები, რომლებშიც სამართლის ნორმების გამოყენების და საერთო პოლიტიკური პირობების საფუძველზე, არ არსებობს პოლიტიკური დევნა, არა-ადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. ივარაუდება, რომ უცხოელი რომელიმე ზემოაღნიშნული სახელმწიფოდან არ იქნება მიჩნეული პოლიტიკურ დევნილად იქამდე, სანამ ის არ წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ იგი, ზემოაღნიშნული ვარაუდების საპირისპიროდ, იდევნება პოლიტიკურად.

(4) ქვეყანაში ყოფნის აღკვეთისაკენ მიმართული ზომები, მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ და სხვა შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში ყოფნა აშკარად უსაფუძვლოა ან განიხილება, როგორც აშკარად უსაფუძვლო, როდესაც არსებობს სერიოზული ეჭვი აღნიშნული ზომების კანონიერებასთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადების შეტანის ვადის დარღვევისას კონტროლის მოცულობა შეიძლება შეიზღუდოს და დაგვიანებული შუამდგომლობები არ იქნეს გათვალისწინებული. დეტალები რეგულირდება კანონით.

(5) პირველი-მე-4 აბზაცები არ ეწინააღმდეგება ევროპული თანამეგობრობების წევრი სახელმწიფოების მიერ ერთმანეთთან და მესამე სახელმწიფოებთან დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხებიან თავშესაფრის მიცემის შესახებ შუამდგომლობების განხილვის შესახებ წესების გამოყენებას, მათ შორის, თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებების ურთიერთალსრულებას, იმ ვალდებულებათა დაცვით, რომლებიც გამომდინარეობენ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციებიდან, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოების მიერ.

### **მუხლი 17.**

თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, წერილობით, თხოვნით ან საჩივრით მიმართოს კომპეტენტურ დანესებულებებს და სახალხო წარმომადგენლობით ორგანოებს.

### **მუხლი 17ა.**

(1) სამხედრო სამსახურის და ალტერნატიული სამსახურის შესახებ კანონებით შეიძლება დადგინდეს, რომ პირებს, რომლებიც იმყოფებიან შეიარაღებულ ძალებში ან ალტერნატიულ სამსახურში, შეიარაღებულ ძალებში ან ალტერნატიულ სამსახურში ყოფნის პერიოდში შეეზღუდოთ საკუთარი აზრის ზეპირად, წერილობით და გამოსახუ-

ლების საშუალებით გამოხატვისა და გავრცელების ძირითადი უფლება (მე-5 მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების პირველი ნაწილი), შეკრების თავისუფლება (მე-8 მუხლი) და პეტიციის უფლება (მე-17 მუხლი) იმ ზომით, რაც იძლევა უფლებას, სხვებთან ერთად მიმართოს თხოვნით ან საჩივრით კომპეტენტურ დანებსებულებებს.

(2) კანონებით, რომლებიც ემსახურებიან თავდაცვის მიზნებს, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას, შეიძლება დადგინდეს თავისუფალი გადაადგილებისა (მე-11 მუხლი) და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის (მე-13 მუხლი) ძირითადი უფლებების შეზღუდვები.

### **მუხლი 18.**

იმ პირს, ვინც აზრის გამოთქმის თავისუფლებას, კერძოდ, პრესის თავისუფლებას (მე-5 მუხლის პირველი აბზაცი), სწავლების თავისუფლებას (მე-5 მუხლის მე-3 აბზაცი), შეკრების თავისუფლებას (მე-8 მუხლი), გაერთიანების თავისუფლებას (მე-9 მუხლი), მიმონერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოებას (მე-10 მუხლი), საკუთრების უფლებას (მე-14 მუხლი) ან თავშესაფრის უფლებას (მე-16 მუხლი) იყენებს ბოროტად თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩამოერთმევა აღნიშნული ძირითადი უფლებები. ამ უფლებების ჩამოერთმევა და ჩამოერთმევის მოცულობა განისაზღვრება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

### **მუხლი 19.**

(1) რამდენადაც ამ ძირითადი კანონის მიხედვით რომელიმე ძირითადი უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან კანონის საფუძველზე, ასეთი კანონი უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს და არ ეხებოდეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევას. გარდა ამისა, კანონში აღნიშნული ძირითადი უფლება დასახელებული უნდა იყოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის მითითებით.

(2) ძირითადი უფლების არსი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს.

(3) ძირითადი უფლებები, ასევე, ვრცელდება ადგილობრივ იურიდიულ პირებზე, რამდენადაც აღნიშნული უფლებები თავიანთი ბუნებით გამოყენებადია მათ მიმართ.

(4) თუ რომელიმე პირის უფლებები დაირღვა საჯარო ხელისუფლების მიერ, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. რამდენადაც დადგენილი არ არის სხვა განსჯადობა, აღნიშნულ საქმეებს განიხილავენ საერთო სასამართლოები. მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება ხელუხლებელი რჩება.

## **II. ფედერაცია და მინები**

### **მუხლი 20.**

(1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სოციალური ფედერაციული სახელმწიფო.

(2) მთელი სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. იგი ხალხის მიერ ხორციელდება არჩევნების და კენჭისყრის გზით და საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სპეციალური ორგანოების მეშვეობით.

(3) კანონმდებლობა შებოჭილია კონსტიტუციური წყობილებით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება – კანონით და სამართლით.

(4) თუ სხვა საშუალებების გამოყენება შეუძლებელია, ყველა გერმანელს აქვს უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერს, ვინც ცდილობს შეცვალოს აღნიშნული წყობილება.

### **მუხლი 20ა.**

შეგნებული აქვს რა საკუთარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობებისადმი, კონსტიტუციური წყობილების ფარგლებში კანონმდებლობის და კანონის და სამართლის შესაბამისად სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების მეშვეობით, იცავს ბუნებრივ სასიცოცხლო პირობებს და ცხოველებს.

### **მუხლი 21.**

(1) პარტიები ხელს უწყობენ მოსახლეობის პოლიტიკური ნების ფორმირებას. მათი დაფუძნება თავისუფალია. მათი სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიულ პრინციპებს. მათ უნდა წარმოადგინონ საჯარო ანგარიში საკუთარი სახსრების წარმოშობის წყაროებისა და მათი გამოყენების, ასევე, საკუთარი ქონების შესახებ.

(2) პარტიები, რომლებიც საკუთარი მიზნებით ან საკუთარი მხარდამჭერების ქცევით ისწრაფვიან ზიანი მიაყენონ თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს ან გააუქმონ იგი ან საფრთხე შეუქმნან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობას – არაკონსტიტუციურია. არაკონსტიტუციურობის საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო.

(3) დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონებით.

### **მუხლი 22.**

(1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქია ბერლინი. ფედერაციის ამოცანაა ერთიანი სახელმწიფოს წარმომადგენლობა დედაქალაქში. დეტალებს ანეს-რიგებს ფედერალური კანონი.

(2) ფედერაციის დროშა არის შავი-ნითელი-ოქროსფერი.

### **მუხლი 23.**

(1) გაერთიანებული ევროპის იდეის განსახორციელებლად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მონაწილეობს ევროპული კავშირის განვითარებაში, რომლის ვალდებულებებშიც შედის დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური და ფედერაციული სახელმწიფოს პრინციპების დაცვის გარანტირება, ასევე, სუბსიდიარობის პრინციპის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების დაცვას, რომლებიც არსებითად ემთხვევა ძირითად კანონში ასახულ ძირითად უფლებებს. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ფედერაციას შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, კანონის მეშვეობით საკუთარი სუვერენული უფლებების გადაცემა. ევროპული კავშირის დაარსებისათვის, ასევე, მისი სახელმწიფოებო საფუძვლების შეცვლისათვის და ანალოგიური რეგულირებებისათვის, რომლებიც ცვლიან ან ავსებენ ამ ძირითად კანონს ან შესაძლებელს ხდიან ასეთ ცვლილებებს ან დამატებებს, გამოიყენება 79-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები.

(1ა) ბუნდესტაგსა და ბუნდესრატს აქვს უფლება შეიტანოს სარჩელი ევროპული კავშირის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, თუ ევროპული კავშირის რომელიმე საკანონმდებლო აქტი ეწინააღმდეგება სუბსიდიარობის პრინციპს. ბუნდესტაგი ვალდებულია გააკეთოს ეს, თუ ამას ითხოვს მის წევრთა ერთი მეოთხედი. კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, შეიძლება დაშვებული იქნეს გამო-ნაკლისები 42-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადებისა და 52-ე მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადებებიდან იმ უფლებების განსახორციელებლად, რომლებიც ბუნდესტაგსა და ბუნდესრატს მინიჭებული აქვთ ევროპული კავშირის სახელმწიფოებო საფუძვლებში.

(2) ბუნდესტაგი უშუალოდ და მიწები ბუნდესრატის მეშვეობით, მონაწილეობენ ევროპული კავშირის საქმეებში. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ამომწურავად და დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ბუნდესრატს და ბუნდესტაგს.

(3) ფედერალური მთავრობა შესაძლებლობას აძლევს ბუნდესტაგს, ევროპული კავშირის ნორმატიული აქტების მიღებაში მის მონაწილეობამდე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები.

(4) ბუნდესრატი ფედერაციის ნების ფორმირებაში მონაწილეობს, რამდენადაც ის მონაწილეობას ლეზულობს ანალოგურ შიდასახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ან რამდენადაც მიწებს აქვთ შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებების გადაწყვეტის კომპეტენცია.

(5) რამდენადაც ფედერაციის განსაკუთრებული კომპეტენციის სფერო ეხება მიწების ინტერესებს ან რამდენადაც ფედერაციას გააჩნია კანონმდებლობის მიღების უფლება, ფედერაციის მთავრობა მხედველობაში იღებს ბუნდესრატის მოსაზრებებს. თუ მიწების საკანონმდებლო უფლებამოსილებების ძირითადი არსია მათი სამსახურების შექმნა ან მათი მართვის პროცესი, ასეთ შემთხვევაში ფედერაციის ნების ფორმირებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბუნდესრატის მოსაზრება. ამ დროს დაცული უნდა იქნეს ფედერაციის საერთო-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობაც. საქმეებში, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფედერაციის ხარჯების ზრდა ან შემოსავლების შემცირება, აუცილებელია ფედერალური მთავრობის თანხმობა.

(6) თუ მიწების განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებამოსილებები ირლევება სასკოლო განათლების, კულტურისა ან რადიომაუწყებლობის სფეროში, ასეთ შემთხვევაში იმ უფლებების განხორციელება, რომლებიც როგორც ევროპული კავშირის ნევრს, ეკუთვნის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ფედერაციის მიერ გადაეცემა ბუნდესრატის მიერ შერჩეულ მიწების ერთ-ერთ წარმომადგენელს. უფლებები ხორციელდება ფედერალური მთავრობის მონაწილეობით და მასთან შეთანხმებით; ამ დროს დაცული უნდა იქნეს ფედერაციის საერთო-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობაც.

(7) მე-4-6 აბზაცებთან დაკავშირებული დეტალები რეგულირდება კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

#### **მუხლი 24.**

(1) ფედერაციას შეუძლია კანონით თავისი სუვერენული უფლებები გადასცეს სახელმწიფოთაშორის დანესებულებებს.

(1<sup>+</sup>) რამდენადაც ფედერალური მიწები კომპეტენტური არიან განახორციელონ სახელმწიფო უფლებამოსილებები და შეასრულონ სახელმწიფო ამოცანები, მათ შეუძლიათ, ფედერალური მთავრობის თანხმობით, თავიანთი სუვერენული უფლებები გადასცენ მეზობელი რეგიონის დანესებულებებს.

(2) მშვიდობის უზრუნველსაყოფად ფედერაციას შეუძლია ჩაერთოს ურთიერთკოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში. ამით ფედერაცია თანხმობას განაცხადებს თავისი სუვერენული უფლებების ისეთ შეზღუდვებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობიანი და ხანგრძლივი წესრიგის დამყარებას ევროპაში და მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის.

(3) სახელმწიფოთაშორისი დავების დარეგულირებისათვის ფედერაცია უერთდება შეთანხმებებს საერთო, ყოვლისმომცველი, სავალდებულო საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ.

#### **მუხლი 25.**

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები წარმოადგენენ ფედერაციის სამართლის შემადგენელ ნაწილს. მათ გააჩნიათ უპირატესობა კანონ-

ბთან შედარებით და უშუალოდ წარმოშობენ უფლებებს და ვალდებულებებს ფედერალური ტერიტორიის მაცხოვრებელთათვის.

**მუხლი 26.**

(1) მოქმედებები, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და რომლებიც ხორციელდება ამ განზრახვით, განსაკუთრებით, აგრესიული ომის წარმოებისათვის მომზადება, არის არაკონსტიტუციური. აღნიშნული მოქმედებები უნდა იყოს დასჯადი.

(2) ომის წარმოებისათვის განკუთვნილი იარაღის წარმოება, გადატანა და გამოყენება შეიძლება მხოლოდ ფედერალური მთავრობის ნებართვით. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი.

**მუხლი 27.**

ყველა გერმანული სავაჭრო გემი ქმნის ერთიან სავაჭრო ფლოტს.

**მუხლი 28.**

(1) მიწების კონსტიტუციური წყობილება უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, ამ ძირითადი კანონის არსის ფარგლებში. მიწებში, ოლქებში და თემებში ხალხს უნდა ჰყავდეს საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული არჩევნების გზით შექმნილი წარმომადგენლობა. ევროპული თანამეგობრობის სამართლის შესაბამისად, მიწებში, ოლქებში და თემებში თანაბარი უფლებებით შეიძლება აირჩიონ და არჩეულ იქნენ პირები, რომლებსაც გააჩნიათ ევროპული თანამეგობრობის წევრი რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა. თემებში არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო შეიძლება შეიცვალოს თემთა კრებით.

(2) თემებს უნდა მიეცეთ უფლება, კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობით დაარეგულირონ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი. თემთა კავშირებს საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში და კანონის შესაბამისად, ასევე, აქვთ თვითმმართველობის უფლება. თვითმმართველობის გარანტია, ასევე მოიცავს, საკუთარი ფინანსური პასუხისმგებლობის საფუძვლებსაც. აღნიშნულ საფუძვლებს განეკუთვნებიან საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ თემების ეკონომიკურ საკმარისობას და გადასახადების განაკვეთების დადგენა.

(3) ფედერაცია უზრუნველყოფს, რომ მიწების კონსტიტუციური წყობილება შეესაბამებოდეს პირველ და მე-2 აბზაცებში აღნიშნულ ძირითად უფლებებს და დებულებებს.

**მუხლი 29.**

(1) ფედერაციის ტერიტორია შეიძლება ახლებურად დაიყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიწებს შეეძლოთ, საკუთარი ტერიტორიის ფართობისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ეფექტურად შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეგიონალური, ისტორიული და კულტურული კავშირები, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ასევე, ადგილობრივი და რეგიონალური დაგეგმარების მოთხოვნები.

(2) ფედერალური ტერიტორიის ახლებურად დაყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები ხორციელდება ფედერალური კანონის მეშვეობით, რომელიც საჭიროებს რეფერენდუმზე დამტკიცებას. დაინტერესებული მიწები მოსმენილი უნდა იქნენ.

(3) რეფერენდუმი ტარდება იმ მიწებში, რომელთა ტერიტორიიდან ან ტერიტორიის ნაწილიდან უნდა შეიქმნას ახალი მიწა ან მიწა ახალ საზღვრებში (დაინტერესებული მიწები). კენჭისყრა ტარდება საკითხზე, უნდა დარჩნენ თუ არა დაინტერესებული მიწები არსებულ საზღვრებში, თუ უნდა შეიქმნას ახალი მიწა, ან მიწა ახალ საზღვრებში. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება ახალი მიწის ან მიწის ახალ საზღვრებში შექმნის შესახებ ძალაში შევა, თუ აღნიშნულ, მომავალ ტერიტორიაზე და მთლიანად იმ დაინტერესებული მიწების ტერიტორიაზე ან ტერიტორიების ნაწილებზე, რომელთა მიწისადმი კუთვნილება შესაბამისად უნდა შეიცვალოს, უმრავლესობა გამოთქვამს თანხმობას აღნიშნულ ცვლილებებზე. გადაწყვეტილება ძალაში არ შევა, თუ ერთ-ერთი დაინტერესებული მიწის ტერიტორიაზე უმრავლესობა ცვლილებებს უარყოფს. უარყოფა მხედველობაში არ მიიღება, თუ იმ ტერიტორიის ნაწილზე, რომლის დაინტერესებული მიწისადმი კუთვნილებაც უნდა შეიცვალოს, ორი მესამედის უმრავლესობა გამოთქვამს თანხმობას ცვლილებებზე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული მიწის მთელ ტერიტორიაზე ორი მესამედის უმრავლესობა ცვლილებებს უარყოფს.

(4) თუ დასახლებით და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ, შეზღუდულ ტერიტორიაზე, რომლის ნაწილებიც განლაგებულია რამდენიმე მიწაზე და რომელზეც ცხოვრობს არანაკლებ ერთი მილიონი მოსახლე, იმ ამომრჩეველთა ერთი მეათედი, რომლებიც სარგებლობენ ბუნდესტაგში არჩევის უფლებით, სახალხო ინიციატივის გზით მოითხოვს, რომ აღნიშნული ტერიტორიისათვის შემოღებულ იქნეს ერთიანი მიწისადმი კუთვნილება, ასეთ შემთხვევაში ფედერალურმა კანონმა ორი წლის განმავლობაში ან უნდა დაადგინოს, რომ მე-2 აბზაცის შესაბამისად, შეიცვლება აღნიშნული ტერიტორიის განსაზღვრული მიწისადმი კუთვნილება, ან რომ დაინტერესებულ მიწებში ჩატარდება სახალხო გამოკითხვა.

(5) სახალხო გამოკითხვის მიზანი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ დადგინდეს, მხარს უჭერენ თუ არა შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ტერიტორიის მიწისადმი კუთვნილების შესახებ. კანონს შეუძლია სახალხო გამოკითხვაზე გამოიტანოს სხვადასხვა წინადადება, მაგრამ არა უმეტეს ორისა. თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს მიწისადმი კუთვნილების შემოთავაზებულ ცვლილებებს, ასეთ შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში ფედერალურმა კანონმა უნდა დაადგინოს, შეიცვლება თუ არა მიწისადმი კუთვნილება მე-2 აბზაცის შესაბამისად. თუ სახალხო გამოკითხვაზე გამოტანილი წინადადება, მე-3 აბზაცის მე-3 და მე-4 წინადადებების შესაბამისად მოიპოვებს შესაბამის მხარდაჭერას, ასეთ შემთხვევაში ასეთი გამოკითხვის ჩატარებიდან ორი წლის განმავლობაში გამოცემული უნდა იქნეს ფედერალური კანონი შემოთავაზებული მიწის შექმნის შესახებ. აღნიშნული კანონი რეფერენდუმზე დამტკიცებას არ საჭიროებს.

(6) რეფერენდუმზე და სახალხო გამოკითხვაზე უმრავლესობად მიიჩნევა მიცემული ხმების უმრავლესობა, თუ იგი მოიცავს ბუნდესტაგის არჩევნებში ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა არანაკლებ ერთ მეოთხედს. რეფერენდუმის, სახალხო ინიციატივის და სახალხო გამოკითხვის ჩატარების დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით. კანონმა ასევე შეიძლება გაითვალისწინოს, რომ სახალხო ინიციატივა განმეორებით შეიძლება ჩატარდეს არა უადრეს ხუთი წლის გასვლამდე.

(7) მიწების ტერიტორიული მდგომარეობის სხვაგვარი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს დაინტერესებულ მიწებს შორის სახელმწიფო ხელშეკრულებების ან ფედერალური კანონის მეშვეობით, ბუნდესტაგის თანხმობით, თუ იმ ტერიტორიაზე, რომლის მიწისადმი კუთვნილებაც უნდა შეიცვალოს, ცხოვრობს არანაკლებ 50 ათასი მაცხოვრებელი. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესტაგის თანხმობას და ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის თანხ-



მოზას. კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოსმენილი იქნება დაინტერესებული თემებისა და ოლქების მოსაზრებები.

(8) მინებს შეუძლიათ მათი ტერიტორიების ან ტერიტორიების ნაწილების ახლებურად დაყოფა განახორციელონ მე-2-7 აბზაცების დებულებებისგან განსხვავებულად, სახელმწიფო ხელშეკრულების მეშვეობით. ამ დროს მოსმენილი უნდა იქნენ დაინტერესებული თემები და ოლქები. სახელმწიფო ხელშეკრულება თითოეულ მინაზე საჭიროებს რეფერენდუმზე დამტკიცებას. თუ სახელმწიფო ხელშეკრულება ეხება მინის ტერიტორიის ნაწილს, მისი რეფერენდუმზე დამტკიცება შეიძლება შემოიფარგლოს ტერიტორიის მხოლოდ ამ ნაწილით. ასეთ შემთხვევაში მე-5 წინადადების მეორე ნაწილის დებულება არ გამოიყენება. რეფერენდუმზე გადაწყვეტილება მიიღება მიცემული ხმების უმრავლესობით, თუ იგი შეადგენს ბუნდესტაგის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ამომრჩეველთა არანაკლებ ერთ მეოთხედს. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით. სახელმწიფო ხელშეკრულება საჭიროებს ბუნდესტაგის თანხმობას.

### **მუხლი 30.**

სახელმწიფო უფლებამოსილებების განხორციელება და სახელმწიფო ამოცანების შესრულება არის მინების საქმე, რამდენადაც ეს ძირითადი კანონი არ ადგენს ან არ უშვებს სხვაგვარ რეგულირებას.

### **მუხლი 31.**

ფედერალურ სამართალს მინების სამართალთან მიმართებით გააჩნია უპირატესობა.

### **მუხლი 32.**

(1) საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების წარმართვა არის ფედერაციის საქმე.

(2) იმ ხელშეკრულების დადების წინ, რომელიც ეხება რომელიმე მინის განსაკუთრებულ მდგომარეობას, აღნიშნული მინა დროულად უნდა იქნეს მოსმენილი.

(3) რამდენადაც მინებს გააჩნიათ საკანონმდებლო კომპეტენცია, მათ შეუძლიათ, ფედერალური მთავრობის თანხმობით დადონ ხელშეკრულებები საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან.

### **მუხლი 33.**

(1) ყოველ გერმანელს, ყველა მინაზე გააჩნია თანაბარი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

(2) ყოველ გერმანელს გააჩნია თანაბარი შესაძლებლობა, საკუთარი მიდრეკილებების, შესაძლებლობების და პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა.

(3) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა, საჯარო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, ასევე, საჯარო სამსახურში შეძენილი უფლებები, დამოუკიდებელია რელიგიური მრწამსისაგან. არავის შეიძლება მიადგეს ზიანი მისი რომელიმე მრწამსის ან მსოფლმხედველობისადმი კუთვნილების გამო.

(4) სუვერენული უფლებამოსილებების განხორციელება, მუდმივი ფუნქციის სახით, უნდა გადაეცეთ საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან საჯარო-სამართლებრივ სამსახურეობრივ და ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებში.

(5) საჯარო სამსახურის სამართალი უნდა დარეგულირდეს და განვითარდეს პროფესიული მოხელეობის ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებით.

### **მუხლი 34.**

თუ რომელიმე პირი მისთვის მინდობილი საჯარო თანამდებობის განხორციელებისას დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს მესამე პირთან მიმართებაში, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს ან იმ კორპორაციას, რომლის სამსახურშიც იმყოფება პირი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობის შემთხვევაში შენარჩუნდება რეგრესული სარჩელის უფლება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და რეგრესული სარჩელის წარდგენისათვის არ უნდა გამოირიცხოს საერთო სამართლოსადმი მიმართვის წესი.

### **მუხლი 35.**

(1) ფედერაციის და მინების ხელისუფლების ყველა ორგანო ერთმანეთს უნეებს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დახმარებას.

(2) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან წესრიგის შენარჩუნების ან აღდგენისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, მიწას საკუთარი პოლიციის დასახმარებლად შეუძლია მოითხოვოს ფედერალური საზღვრის დაცვის ძალების და დანესებულებების გამოძახება, თუ აღნიშნული დახმარების გარეშე პოლიციას არ შეუძლია შეასრულოს თავისი ამოცანები ან მათი შესრულება დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან. სტიქიური უბედურების შემთხვევაში ან განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევისას დახმარების გასანეევად მიწას შეუძლია მოითხოვოს სხვა მიწის პოლიციური ძალების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ძალების და დანესებულებების, ასევე, ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოებისა და შეიარაღებული ძალების გამოძახება.

(3) თუ სტიქიური უბედურება ან უბედური შემთხვევა ზიანს აყენებს ერთზე მეტი მიწის ტერიტორიას, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, რამდენადაც ეს ეფექტური ბრძოლისათვის არის აუცილებელი, მინების მთავრობებს მისცეს მითითებები მათი პოლიციური ძალების სხვა მინების განკარგულებაში გადაცემის შესახებ. ასევე, პოლიციური ძალების მხარდასაჭერად გამოიყენოს ფედერალური საზღვრის დაცვისა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. ფედერალური მთავრობის მიერ პირველ წინადადების შესაბამისად განხორციელებული ზომები ნებისმიერ დროს უნდა გაუქმდეს ბუნდესტაგის მოთხოვნით, ხოლო სხვა შემთხვევებში, დაუყოვნებლივ, საფრთხის აღმოფხვრისთანავე.

### **მუხლი 36.**

(1) ფედერაციის უმაღლესი ორგანოები შესაბამისი პროპორციით სარგებლობენ ყველა მიწის მოხელეების სამსახურით. პირები, რომლებიც მსახურობენ ფედერაციის სხვა უმაღლეს ორგანოებში, როგორც წესი, პერჩეული უნდა იქნენ იმ მიწის მაცხოვრებელთაგან, რომელშიც აღნიშნული ორგანოები მოქმედებენ.

(2) თავდაცვის შესახებ კანონები უნდა ითვალისწინებდნენ ფედერაციის მიწებად დაყოფას და მათ განსაკუთრებულ მინათმფლობელობით ურთიერთობებს.

### **მუხლი 37.**

(1) თუ მიწა არ ასრულებს ძირითადი კანონით ან სხვა ფედერალური კანონით მასზე დაკისრებულ ფედერალურ ვალდებულებებს, ფედერალურ მთავრობას, ბუნდესრატის თანხმობით, შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები, რათა ფედერალური იძულების გზით, აიძულოს მიწა, შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები.

(2) ფედერალური იძულების განსახორციელებლად ფედერალურ მთავრობას ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მისცეს მითითებები ყველა მინას და მათი ხელისუფლების ორგანოებს..

### III. ბუნდესტაგი

#### **მუხლი 38.**

(1) გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატები აირჩევიან საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. ისინი არიან მთელი ხალხის წარმომადგენლები, არ არიან შეზღუდულნი დავალებებით და მითითებებით და ემორჩილებიან მხოლოდ საკუთარ სინდისს.

(2) ამომრჩევებს წარმოადგენს ის, ვინც მიაღწია 18 წლის ასაკს. არჩეული შეიძლება იქნეს ის, ვინც მიაღწია ასაკს, რომლის დადგომითაც იწყება სრულწლოვანება.

(3) დეპუტატები რეგულირდება ფედერალური კანონით.

#### **მუხლი 39.**

(1) ბუნდესტაგი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ქვემოაღნიშნული დებულებების დაცვით. მისი უფლებამოსილების ვადა მთავრდება ახალი ბუნდესტაგის პირველი შეკრებისთანავე. არჩევნები ტარდება უფლებამოსილების დაწყებიდან არა უადრეს ორმოცდაექვსი და არა უგვიანეს ორმოცდარვა თვისა. ბუნდესტაგის დათხოვნის შემთხვევაში ახალი არჩევნები ტარდება სამოცი დღის განმავლობაში.

(2) ბუნდესტაგი იკრიბება არჩევნებიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა.

(3) ბუნდესტაგი განსაზღვრავს თავისი სხდომების დასრულებისა და განახლების საკითხს. ბუნდესტაგის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს სხდომა უფრო ადრეც. იგი ვალდებულია სსდომა მოიწვიოს ბუნდესტაგის წევრების ერთი მესამედის, ფედერალური პრეზიდენტის ან ფედერალური კანცლერის მოთხოვნით.

#### **მუხლი 40.**

(1) ბუნდესტაგი ირჩევს თავის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და მდივნებს. იგი ლებულობს თავის რეგლამენტს.

(2) თავმჯდომარე ბუნდესტაგის შენობაში ფლობს განმკარგულებელ უფლებებს და პოლიციურ ძალაუფლებას. მისი ნებართვის გარეშე ბუნდესტაგის შენობაში არ შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკა ან დაპატიმრება.

#### **მუხლი 41.**

(1) არჩევნების სისწორის შემოწმება არის ბუნდესტაგის საქმე. იგი ლებულობს აგრეთვე გადანყვეტილებას დეპუტატის მიერ ბუნდესტაგის წევრობის დაკარგვის საკითხზე.

(2) ბუნდესტაგის გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში.

(3) დეპუტატები რეგულირდება ფედერალური კანონით.

#### **მუხლი 42.**

(1) ბუნდესტაგის სხდომები საჯაროა. მისი წევრების ერთი მეთედის ან ფედერალური მთავრობის წინადადებით, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, სხდომები

შეიძლება გამოცხადდეს დახურულად. გადანყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღება დახურულ სხდომაზე.

(2) ბუნდესტაგის მიერ გადანყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების უმრავლესობა, თუ ამ ძირითადი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. რეგლამენტით შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისები ბუნდესტაგის მიერ ჩატარებულ არჩევნებთან მიმართებით.

(3) ბუნდესტაგის და მისი კომიტეტების საჯარო სხდომების შესახებ დადასტურებული ანგარიშები თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

#### **მუხლი 43.**

(1) ბუნდესტაგს და მის კომიტეტებს შეუძლიათ მოითხოვონ ფედერალური მთავრობის ნებისმიერი ნევრის დასწრება.

(2) ბუნდესრატის ნევრებს და ფედერალური მთავრობის ნევრებს, ასევე, მათი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, უფლება აქვთ დაესწრონ ბუნდესტაგის და მისი კომიტეტების ყველა სხდომას. ისინი ნებისმიერ დროს უნდა იქნენ მოსმენილი.

#### **მუხლი 44.**

(1) ბუნდესტაგს უფლება აქვს, ხოლო მისი ნევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით, ვალდებულია შექმნას საგამოძიებო კომიტეტი, რომელიც საჯარო სხდომებზე აგროვებს საჭირო მტკიცებულებებს. სხდომები შეიძლება იყოს დახურული.

(2) მტკიცებულებების შეგროვების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესუალური დებულებები. მიმონერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კავშირის საიდუმლოება არ უნდა დაირღვეს.

(3) სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან საგამოძიებო კომიტეტს გაუწიონ სამართლებრივი და ადმინისტრაციული დახმარება.

(4) საგამოძიებო კომიტეტის გადანყვეტილება არ ექვემდებარება სასამართლო გასჯალობას. სასამართლოები თავისუფალნი არიან გამოძიების საფუძველში არსებული გარემოებების განხილვისა და შეფასებისას.

#### **მუხლი 45.**

ბუნდესტაგი ქმნის ევროპული კავშირის საქმეთა კომიტეტს. მას შეუძლია კომიტეტი აღჭურვოს უფლებამოსილებით, ფედერალური მთავრობის მიმართ განახორციელოს 23-ე მუხლით გათვალისწინებული ბუნდესტაგის უფლებები. მას ასევე შეუძლია აღჭურვოს იგი უფლებით, განახორციელოს ის უფლებები, რომლებიც ბუნდესტაგს მინიჭებული აქვს ევროპული კავშირის სახელშეკრულებო საფუძველებში.

#### **მუხლი 45ა.**

(1) ბუნდესტაგი ქმნის საგარეო საქმეთა კომიტეტს და თავდაცვის კომიტეტს.

(2) თავდაცვის კომიტეტს ასევე გააჩნია საგამოძიებო კომიტეტის უფლებები. კომიტეტის ნევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით, იგი ვალდებულია აწარმოოს გამოძიება კონკრეტულ საქმეზე.

(3) 44-ე მუხლის პირველი აბზაცი არ გამოიყენება თავდაცვის სფეროსთან მიმართებით.

#### **მუხლი 45ბ.**

ძირითადი უფლებების დაცვისათვის და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას ბუნდესტაგის დამხმარე ორგანოს სახით, ინიშნება ბუნდესტაგის

ნარმომადგენელი თავდაცვის საკითხებზე. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

#### **მუხლი 45გ.**

(1) ბუნდესტაგი ქმნის პეტიციის საკითხთა კომიტეტს, რომელიც ვალდებულია განიხილოს მე-17 მუხლის შესაბამისად ბუნდესტაგში შესული თხოვნები და საჩივრები.

(2) კომიტეტის უფლებამოსილება საჩივრების გადამონმებასთან დაკავშირებით რეგულირდება ფედერალური კანონით.

#### **მუხლი 45დ.**

(1) ბუნდესტაგი ქმნის კომიტეტს ფედერაციის ინფორმაციული საქმიანობის მონიტორინგის მიზნით.

(2) დეტალებს ანესრიგებს ფედერალური კანონი.

#### **მუხლი 46.**

(1) დეპუტატი არ შეიძლება დაექვემდებაროს დევნას სასამართლო წესით ან სამსახურეობრივად, ან სხვაგვარად მიეცეს პასუხისმგებლობა ბუნდესტაგის გარეთ, მის მიერ ბუნდესტაგში ან რომელიმე კომიტეტში ხმის მიცემის ან გამოთქმული მოსაზრებების გამო. აღნიშნული არ ეხება ცილისმწამებლურ შეურაცხყოფებს.

(2) სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისათვის დეპუტატის პასუხისმგებლობაში მიცემა ან დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ ბუნდესტაგის თანხმობით. გამოწვევისა და დაკავების შემთხვევები უშუალოდ ასეთი ქმედების ჩადენისას ან შემდგომი დღის განმავლობაში.

(3) გარდა ამისა, ბუნდესტაგის თანხმობა სავალდებულოა დეპუტატის პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვა შეზღუდვისას ან მის წინააღმდეგ მე-18 მუხლით გათვალისწინებული წარმოების დაწყებისას.

(4) დეპუტატის წინააღმდეგ მიმდინარე ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი წარმოება და მე-18 მუხლით გათვალისწინებული წარმოება, დაპატიმრება და მისი პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვაგვარი შეზღუდვა ბუნდესტაგის მოთხოვნით უნდა შეჩერდეს.

#### **მუხლი 47.**

დეპუტატებს უფლება აქვთ არ მისცენ ჩვენება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ენდნენ მათ, როგორც დეპუტატებს, ან რომლებმაც მათ, როგორც დეპუტატებს, მიანოდეს რაიმე ფაქტები, ასევე, ინფორმაცია ასეთი ფაქტების შესახებ. აღნიშნული უფლების მოქმედების ფარგლებში დოკუმენტების კონფისკაცია დაუშვებელია.

#### **მუხლი 48.**

(1) მას, ვინც წამოაყენა თავისი კანდიდატურა ბუნდესტაგში ადგილის მოსაპოვებლად, აქვს უფლება შევბუღებაზე, რაც აუცილებელია მისი არჩევნების მოსამზადებლად.

(2) არავის შეიძლება შეექმნას დაბრკოლება სადეპუტატო მანდატის მოპოვების და განხორციელებისას. აღნიშნულ საფუძველზე გაფრთხილება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ან სამსახურიდან გათავისუფლება დაუშვებელია.

(3) დეპუტატებს აქვთ მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფი შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლება. მათ უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ ყველა სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებით. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

#### IV. ბუნდესრატი

##### მუხლი 50.

ბუნდესრატის მეშვეობით მიწები მონაწილეობენ ფედერაციის კანონმდებლობასა და მართვაში და ევროპული კავშირის საქმეებში.

##### მუხლი 51.

(1) ბუნდესრატი შედგება მიწების მთავრობების წევრებისაგან, რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ მთავრობები. მიწები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ მათი მთავრობების სხვა წარმომადგენლებით.

(2) ყოველ მიწას გააჩნია არანაკლებ სამი ხმა. მიწებს, რომელთა მოსახლეობა ორ მილიონზე მეტია, აქვთ ოთხი ხმა, მიწებს ექვს მილიონზე მეტი მოსახლეობით - ხუთი ხმა, მიწებს შვიდ მილიონზე მეტი მოსახლეობით - ექვსი ხმა.

(3) ყოველ მიწას შეუძლია გაგზავნოს იმდენი წევრი, რამდენი ხმაც გააჩნია. ერთი მიწის ხმები შეიძლება მიცემული იქნეს მხოლოდ ერთად და მხოლოდ დამსწრე წევრების ან მათი წარმომადგენლების მიერ.

##### მუხლი 52.

(1) ბუნდესრატი თავის თავმჯდომარეს ირჩევს ერთი წლის ვადით.

(2) თავმჯდომარე იწვევს ბუნდესრატს. იგი ვალდებულია მოიწვიოს ბუნდესრატი არანაკლებ ორი მიწის წარმომადგენელთა ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით.

(3) ბუნდესრატი თავის გადანყვეტილებებს ლებულობს, სულ მცირე, ხმათა უმრავლესობით. იგი ლებულობს თავის რეგლამენტს. მისი სხდომები საჯაროა. სხდომები შეიძლება გამოცხადდეს დახურულად.

(3ა) ევროპული კავშირის საქმეების განსახილველად, ბუნდესრატს შეუძლია შექმნას ევროპული საქმეების პალატა, რომლის გადანყვეტილებებსაც აქვთ ბუნდესრატის გადანყვეტილებების ძალა. ფედერაციის მიწების მიერ ერთიანად მისაცემ ხმათა რაოდენობა განისაზღვრება 51-ე მუხლის მე-2 აბზაცით.

(4) ბუნდესრატის კომიტეტებში შეიძლება შედიოდნენ მიწების მთავრობების სხვა წევრები ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

##### მუხლი 53.

ფედერალური მთავრობის წევრებს უფლება აქვთ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ ბუნდესრატის და მისი კომიტეტების სხდომებში. მათ ნებისმიერ დროს უნდა მოუსმინონ. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ბუნდესრატი მიმდინარე საქმეების შესახებ ყავდეს საქმის კურსში.

#### IVა. ერთობლივი კომიტეტი

##### მუხლი 53ა.

(1) ერთობლივი კომიტეტი ორი მესამედით შედგება ბუნდესტაგის დეპუტატებისგან და ერთი მესამედით ბუნდესრატის წევრებისგან. დეპუტატები ინიშნებიან ბუნდესტაგის მიერ, ფრაქციების ძალთა განლაგების საფუძველზე. ისინი არ შეიძლება

შედიოდნენ ფედერალური მთავრობის შემადგენლობაში. ყოველი მინა წარმოდგენილი უნდა იყოს მის მიერ დანიშნული ბუნდესრატის ერთი წევრით. აღნიშნული წევრები შეზღუდულნი არ არიან მითითებებით. ერთობლივი კომიტეტის შექმნა და მისი საქმიანობის პროცედურა რეგულირდება რეგლამენტით, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ბუნდესრატის მიერ და საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(2) ფედერალური მთავრობა ერთობლივ კომიტეტს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას თავდაცვის მდგომარეობის დროს საკუთარი გეგმების შესახებ. აღნიშნული არ ეხება ბუნდესრატის და მისი კომიტეტების უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია 43-ე მუხლის პირველი აბზაცით.

## **V. ფედერალური პრეზიდენტი**

### **მუხლი 54.**

(1) ფედერალური პრეზიდენტი აირჩევა ფედერალური კრების მიერ დებატების გარეშე. არჩეული შეიძლება იქნეს ნებისმიერი გერმანელი, რომელსაც აქვს ბუნდესრატში არჩევის უფლება და მიაღწია ორმოცი წლის ასაკს.

(2) ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ხუთი წელი. ხელმეორედ ზედიზედ არჩევა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ.

(3) ფედერალური კრება შედგება ბუნდესრატის წევრებისგან და მიწების სახალხო წარმომადგენლობების მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ამავე რაოდენობის წევრებისგან.

(4) ფედერალური კრება იკრიბება ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ამონუწვიდან არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული მომენტიდან არა უგვიანეს 30 დღისა. კრება მოინვევა ბუნდესრატის თავმჯდომარის მიერ.

(5) ბუნდესრატის უფლებამოსილების ვადის ამონუწვისას მე-4 აბზაცის პირველ წინადადებაში დადგენილი ვადა იწყება ბუნდესრატის პირველი შეკრების დღიდან.

(6) არჩეულად ითვლება პირი, ვინც მიიღებს ფედერალური კრების წევრების ხმათა უმრავლესობას. თუ კენჭისყრის პირველ ორი ტურში ასეთი უმრავლესობა ვერ მიიღო ვერცერთმა პრეტენდენტმა, არჩეულად ითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც შემდეგ ტურში დააგროვებს ხმების მეტ რაოდენობას.

(7) დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

### **მუხლი 55.**

(1) ფედერალური პრეზიდენტი არ შეიძლება შედიოდეს ფედერაციის ან რომელიმე მინის მთავრობაში ან საკანონმდებლო ორგანოში.

(2) ფედერალურ პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ახორციელებდეს კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას ან შედიოდეს მოგების მიღების მიზნით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობაში ან სამეთვალყურეო საბჭოში.

### **მუხლი 56.**

ფედერალური პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნისას ბუნდესრატის და ბუნდესრატის შეკრებილი წევრების წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

„ვფიცავ, ჩემი ძალები მოვასმარო გერმანელი ხალხის კეთილდღეობას, ვიმოქმედო მის სასარგებლოდ, ავარიდო ზიანი და დავიცვა ძირითადი კანონი და ფედე-

რაციის კანონები, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობები და დავიცვა ყველას მიმართ სამართლიანობა. ღმერთი იყოს ჩემი შემწე“.

ფიცი შეიძლება დადებულ იქნეს რელიგიური დამონშების გარეშეც.

### **მუხლი 57.**

ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილებას, აღნიშნული უფლებამოსილებას განხორციელებისას რაიმე სახის დაბრკოლების ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ახორციელებს ბუნდესრატის თავმჯდომარე.

### **მუხლი 58.**

ფედერალური პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი თანახელმონერა ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ. აღნიშნული არ ვრცელდება ფედერალური კანცლერის დანიშვნაზე და გათავისუფლებაზე, ნ3-ე მუხლის შესაბამისად ბუნდესტაგის დათხოვნაზე და ნ9-ე მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ თხოვნებზე.

### **მუხლი 59.**

(1) ფედერალური პრეზიდენტი ნარმოადგენს ფედერაციას საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში. იგი ფედერაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, ახდენს ელჩების აკრედიტაციას და მიღებას.

(2) ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებენ ფედერაციის პოლიტიკურ ურთიერთობებს ან ეხებიან ფედერალური კანონმდებლობის საკითხებს, საჭიროებენ ფედერალურ კანონმდებლობაზე კომპეტენტური ორგანოების თანხმობას ან ხელშეწყობას, ფედერალური კანონის ფორმით. ადმინისტრაციული ხასიათის შეთანხმებებთან მიმართებით შესაბამისად გამოიყენება დებულებები, რომლებიც ეხებიან ფედერალურ ადმინისტრაციას.

### **მუხლი 59ა. (გაუქმებულია)**

### **მუხლი 60.**

(1) ფედერალური პრეზიდენტი, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მოსამართლეებს, ფედერალურ მოხელეებს, ოფიცრებს და უნტერ-ოფიცრებს.

(2) კონკრეტულ შემთხვევებში იგი ფედერაციის სახელით ახორციელებს შეწყალების უფლებას.

(3) მას შეუძლია აღნიშნული უფლებამოსილებები გადასცეს სხვა ორგანოებს.

(4) 46-ე მუხლის 2-4 აბზაცების დებულებები შესაბამისად გამოიყენება ფედერალურ პრეზიდენტთან მიმართებით.

### **მუხლი 61.**

(1) ბუნდესტაგს ან ბუნდესრატს შეუძლიათ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევის გამო, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში აღძრან ბრალდება ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ. წინადადება ბრალდების აღძვრის თაობაზე წარდგენილი უნდა იქნეს ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან ბუნდესრატის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მიერ. გადაწყვეტილება ბრალდების აღძვრის თაობაზე მოითხოვს ბუნდესტაგის წევრთა ორი მესამედის



ან ბუნდესრატის წევრთა ხმათა ორი მესამედის უმრავლესობის თანხმობას. ბრალდებას მხარს უჭერს ბრალდების აღმძვრელი ორგანოს წარმომადგენელი.

(2) თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ფედერალურ პრეზიდენტს ბრალი მიუძღვის ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დაზღვევაში, მას შეუძლია გამოაცხადოს, რომ პრეზიდენტმა დაკარგა თანამდებობა. ბრალდების აღძვრის შემდეგ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს დროებითი განკარგულებით დაადგინოს, რომ ფედერალურ პრეზიდენტს არ შეუძლია შეასრულოს თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებები.

## VI. ფედერალური მთავრობა

### მუხლი 62.

ფედერალური მთავრობა შედგება ფედერალური კანცლერისა და ფედერალური მინისტრებისგან.

### მუხლი 63.

(1) ფედერალური კანცლერი ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით აირჩევა ბუნდესტაგის მიერ, დებატების გარეშე.

(2) არჩეულად ითვლება ის, ვინც დააგროვებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის ხმებს. არჩეული პირი უნდა დანიშნოს ფედერალურმა პრეზიდენტმა.

(3) თუ შემოთავაზებული კანდიდატი არჩეული არ იქნა, ბუნდესტაგს შეუძლია არჩევნებიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში საკუთარი წევრების ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიოს ფედერალური კანცლერი.

(4) თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში არჩევა არ მოხდება, დაუყოვნებლივ ტარდება არჩევნების ახალი ტური, რომელშიც არჩეულად ითვლება ის, ვინც მიიღებს უფრო მეტი რაოდენობის ხმას. თუ არჩეულმა პირმა დააგროვა ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის ხმები, ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია, არჩევნებიდან შვიდი დღის განმავლობაში დანიშნოს იგი. თუ არჩეულმა პირმა ვერ მიიღო ხმების აღნიშნული უმრავლესობა, ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია, შვიდი დღის განმავლობაში ან დანიშნოს იგი, ან დაითხოვოს ბუნდესტაგი.

### მუხლი 64.

(1) ფედერალური მინისტრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური კანცლერის წინადადებით.

(2) თანამდებობაზე დანიშვნისას ფედერალური კანცლერი და ფედერალური მინისტრები ბუნდესტაგის წინაშე დებენ ფიცს, რომელიც გათვალისწინებულია 56-ე მუხლით.

### მუხლი 65.

ფედერალური კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და პასუხისმგებელია მათზე. აღნიშნული ძირითადი მიმართულებების ფარგლებში თითოეული ფედერალური მინისტრი მისთვის მინდობილ დარგს მართავს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ფედერალურ მინისტრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში სადაო საკითხს წყვეტს ფედერალური მთავრობა. ფედერალური კანცლერი მთავრობის საქმეებს წარმართავს ფედერალური მთავრობის მიერ მიღებული და ფედერალური პრეზიდენტის მიერ მოწონებული რეგლამენტის მიხედვით.

### **მუხლი 65ა.**

- (1) შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს თავდაცვის ფედერალური მინისტრი.
- (2) ამოღებულია

### **მუხლი 66.**

ფედერალურ კანცლერს და ფედერალურ მინისტრებს არ შეიძლება ეკავთ რაიმე სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ახორციელებდნენ კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას ან შედიოდნენ მოგების მიღების მიზნით შექმნილი სანარმოს ხელმძღვანელობაში, ხოლო ბუნდესტაგის თანხმობის გარეშე – მოგების მიღებაზე ორიენტირებული სანარმოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

### **მუხლი 67.**

(1) ბუნდესტაგს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს ფედერალურ კანცლერს იმით, რომ წევრთა უმრავლესობით აირჩიეს მის უფლებამონაცვლეს და ფედერალური კანცლერის გათავისუფლების თხოვნით მიმართავს ფედერალურ პრეზიდენტს. ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა და დანიშნოს არჩეული პირი.

(2) უნდობლობის გამოცხადების შესახებ წინადადების წარდგენასა და არჩევნებს შორის უნდა გავიდეს ორმოცდარვა საათი.

### **მუხლი 68.**

(1) თუ ფედერალური კანცლერის მიმართვა მისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ ვერ მოიპოვებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის თანხმობას, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური კანცლერის წინადადებით, ოცდაერთი დღის განმავლობაში დაითხოვოს ბუნდესტაგი. დათხოვნის უფლება ნყდება, როგორც კი ბუნდესტაგი თავისი წევრების უმრავლესობით აირჩიეს სხვა ფედერალურ კანცლერს.

(2) ნდობის გამოცხადების შესახებ მიმართვასა და კენჭისყრას შორის უნდა გავიდეს ორმოცდარვა საათი.

### **მუხლი 69.**

(1) ფედერალური კანცლერი ფედერალური მინისტრებიდან ერთ-ერთს ნიშნავს თავის მოადგილედ.

(2) ფედერალური კანცლერის ან ფედერალური მინისტრის უფლებამოსილება ყველა შემთხვევაში მთავრდება ახალი ბუნდესტაგის პირველი შეკრებისთანავე. ხოლო ფედერალური მინისტრის უფლებამოსილება – ასევე ფედერალური კანცლერის უფლებამოსილების ნებისმიერი საფუძველით შეწყვეტისთანავე.

(3) ფედერალური კანცლერი ფედერალური პრეზიდენტის თხოვნით, ხოლო ფედერალური მინისტრი ფედერალური კანცლერის ან ფედერალური პრეზიდენტის თხოვნით, ვალდებული არიან საქმიანობა განაგრძონ მათი უფლებამონაცვლეების დანიშვნამდე.

## **VII. ფედერაციის კანონმდებლობა**

### **მუხლი 70.**

(1) მიწებს საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვთ რამდენადაც ამ ძირითადი კანონით საკანონმდებლო უფლებამოსილება ფედერაციას არ აქვს მინიჭებული.

(2) ფედერაციის და მიწების კომპეტენციათა გამიჯვნა დგინდება განსაკუთრე-

ბული და კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენციის შესახებ ამ ძირითადი კანონის დებულებების შესაბამისად.

### **მუხლი 71.**

ფედერაციის განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენციის სფეროში მინებს აქეთ საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ისინი აღნიშნულზე პირდაპირ არიან უფლებამოსილი ფედერალური კანონით.

### **მუხლი 72.**

(1) კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენციის სფეროში მინებს აქეთ საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ფედერაცია არ სარგებლობს თავისი საკანონმდებლო უფლებამოსილებით.

(2) 74-ე მუხლის პირველი აბზაცის № 4, 7, 11, 13, 15, 19ა, 20, 22, 25 და 26-ში გათვალისწინებულ სფეროებში ფედერაციას აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება მაშინ და იმდენად, რამდენადაც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრების ერთგვაროვანი პირობების უზრუნველყოფის ან სამართლებრივი ან ეკონომიკური ერთიანობის დაცვის მიზნით, აუცილებელია ფედერალური კანონმდებლობით რეგულირება.

(3) თუ ფედერაციამ გამოიყენა თავისი საკანონმდებლო კომპეტენცია, მინებს კანონის საფუძველზე შეუძლიათ დაადგინონ განსხვავებული წესები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. ნადირობის ლიცენზიის უფლების გარეშე);
2. ბუნების დაცვა და ლანდშაფტზე ზრუნვა (ბუნების დაცვის ზოგადი პრინციპების, სახეობების დაცვის უფლების ან საზღვაო ბუნების დაცვის გარეშე);
3. მინების განაწილება;
4. რეგიონალური დაგეგმარება;
5. წყალმეურნეობა (სანვავზე ან დანადგარებთან დაკავშირებული რეგულირების წესების გარეშე);
6. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა და უმაღლესი განათლების მიღება.

ამ სფეროებს მიკუთვნებული კანონები ძალაში შედიან არა უადრეს 6 თვისა მათი მიღებიდან, თუ ბუნდესრატის თანხმობით სხვა რამ არ არის დადგენილი. პირველი წინადადებით გათვალისწინებულ სფეროებში ფედერალურ და მინის კანონებს შორის ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ კანონს.

(4) ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ ფედერალური საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც მე-2 აბზაცის დებულებების არსიდან გამომდინარე აღარ არის აუცილებელი, შეიძლება შეიცვალოს მინის სამართლით.

### **მუხლი 73.**

(1) ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია შემდეგ საკითხებზე:

1. საგარეო საქმეები, ასევე, თავდაცვა, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ჩათვლით;
2. ფედერაციის მოქალაქეობა;
3. თავისუფალი გადაადგილება, საპასპორტო რეჟიმი, რეგისტრაცია, იმიგრაცია-ემიგრაცია და ექსტრადიცია;
4. ვალუტა, ფულის მიმოქცევა და მონეტის მოჭრა, ზომის და წონის რეჟიმი, ასევე, ზუსტი დროის დადგენა;

5. ტერიტორიის საბაჟო და სავაჭრო ერთიანობა, ხელშეკრულებები ვაჭრობისა და საზღვარო ნაოსნობის შესახებ, საქონელბრუნვის თავისუფლება, საქონლის და გადარიცხვების ბრუნვა საზღვარგარეთ, საბაჟო და საზღვრის დაცვის ჩათვლით;

5ა. გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საზღვარგარეთ ემიგრაციისაგან;

6. საპაერო მიმოსვლა;

6ა. სარკინიგზო მიმოსვლა, რომელიც მთლიანად ან უმეტესწილად ეკუთვნის ფედერაციას (ფედერაციის რკინიგზა), სარკინიგზო გზების მშენებლობა, მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია, ასევე, აღნიშნული გზებით სარგებლობისათვის საფასურის მიღება;

7. ფოსტა და ტელეკომუნიკაცია;

8. იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც იმყოფებიან ფედერაციის და საჯარო სამართლის ფედერალური კორპორაციების სამსახურში;

9. სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვა, საავტორო სამართალი და საგამომცემლო სამართალი;

9ა. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეების თავიდან აცილება ფედერალური კრმინალური პოლიციის სამსახურის მიერ იმ შემთხვევებში, როცა იკვეთება საყოველთაო საფრთხე, მიწის პოლიციის იურისდიქცია არ არის აღიარებული ან მიწის უმაღლესი ორგანო აყენებს შუამდგომლობას ფედერაციის მიერ საკითხის საკუთარ თავზე აღების თაობაზე.

10. ფედერაციის და მიწების თანამშრომლობა

ა) კრიმინალური პოლიციის სფეროში,

ბ) თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების, ფედერაციის ან მიწის არსებობის და უსაფრთხოების დაცვაში (კონსტიტუციის დაცვა) და

გ) ფედერაციის ტერიტორიის დაცვაში მისწრაფებისგან, ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენებისაკენ მიმართული მოსამზადებელი ქმედებების გზით, ზიანი მიადგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ინტერესებს, ასევე, სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური უწყების დაარსება და ბრძოლა საერთაშორისო დამნაშავეობასთან,

11. სტატისტიკა ფედერაციის მიზნებისათვის;

12. იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების შესახებ სამართალი;

13. ომის ინვალიდებისა და ომის დროს გადარჩენილთა უზრუნველყოფა და ყოფილ სამხედრო ტყვეებზე მზრუნველობა;

14. ბირთვული ენერჯის წარმოება და მოხმარება მშვიდობიანი მიზნებისათვის, ისეთი მოწყობილობების აგება და ექსპლოატაცია, რომლებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურება,

დაცვა საფრთხეებისაგან, რომლებიც ბირთვული ენერჯის გამოთავისუფლებისას ან იონიზირებული გამოსხივების შედეგად წარმოიშობა, და რადიოაქტიური ნივთიერებების ჩამარხვა.

(2) პირველი აბზაცის № 9ა-თი გათვალისწინებული წესები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

#### **მუხლი 74.**

(1) კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენცია ვრცელდება შემდეგ სფეროებზე:

1. სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, სასამართლო წყობილება, სასამართლო წარმოება (წინასწარი პატიმრობის აღსრულების სამართლის გარდა), ადვოკატურა, ნოტარიატი და იურიდიული კონსულტაცია;

2. სამოქალაქო მდგომარეობის აქტები;

3. კავშირების/ასოციაციების უფლება;
4. უცხოელთა ქვეყანაში ყოფნისა და მუდმივად დასახლების უფლება;
5. (გაუქმებულია)
6. ლტოლვილთა და დევნილთა საქმეები;
7. სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა (თავშესაფრის უფლების გარდა);
8. (გაუქმებულია)
9. სამხედრო ზარალი და მისი ანაზღაურება;
10. დაღუპულ მებრძოლთა საფლავები, ომის სხვა მსხვერპლთა და ტირანიის მსხვერპლთა საფლავები;
11. ეკონომიკური სამართალი (სამთო საქმე, მრეწველობა, ენერგეტიკა, სახელობო საქმე, ვაჭრობა, საბანკო და საბირჟო საქმე, კერძო დაზღვევა) მალაზიების სამუშაო საათების განსაზღვრის, რესტორნების, სათამაშო დარბაზების, ადამიანების ექსპორტირების, გამოფენა-გაყიდვების, გამოფენებისა და ბაზრობების მოწყობის უფლების გარდა;
12. შრომის სამართალი, მათ შორის სანარმოთა ორგანიზაცია, შრომის დაცვა და შუამავლობა დასაქმებისას, ასევე, სოციალური დაზღვევა, უმუშევრობისაგან დაზღვევის ჩათვლით;
13. განათლებისათვის განკუთვნილი სუბსიდიების რეგულირება და სამეცნიერო კვლევებისთვის ხელშეწყობა;
14. საკუთრების ჩამორთმევის უფლება, რამდენადაც იგი ეხება 73-ე და 74-ე მუხლებში მითითებულ სფეროებს;
15. მიწის, წიაღის, ბუნებრივი რესურსების და წარმოების საშუალებების გადაცემა საერთო საკუთრებაში, ან საერთო მეურნეობაში არსებულ სხვა ფორმებში;
16. ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება;
17. წარმოებისათვის ხელშეწყობა სასოფლო და სატყეო მეურნეობაში (მიწების კონსოლიდაციის უფლების გარდა); სურსათით მომარაგების უზრუნველყოფა, სასოფლო და სატყეო მეურნეობის პროდუქტების შემოტანა და გატანა, თევზჭერა ღია ზღვაში და მიმდებარე წყლებში, სანაპიროს დაცვა;
18. მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული გარიგებები, მიწის სამართალი (მიწის ათვისებაში მონაწილეობის უფლების გარეშე) და საბინაო სუბსიდიის, ძველ ვალებთან დაკავშირებული დახმარების სამართალი, საბინაო მშენებლობებში ბონუსების სამართალი, მალაროელთა ბინათმშენებლობის სამართალი და მალაროელთა დასახლებების შესახებ სამართალი;
19. ადამიანებისა და ცხოველების საყოველთაოდ საშიში და გადამდები დაავადებების წინააღმდეგ დაცვის ღონისძიებები, საექიმო და სხვა სამედიცინო პროფესიებსა და თანამდებობებზე დაშვება, ასევე სააფთიაქო საქმის, ნამღების, სამკურნალო და ნარკოტიკული საშუალებებისა და შხამების შესახებ სამართალი;
- 19ა. საავადმყოფოების ეკონომიკური უზრუნველყოფა და მათ მიერ განუხლები დახმარების ტარიფების რეგულირება;
20. სურსათისა და კვების მრეწველობის სამართალი მათი წარმოებისათვის გამოყენებული ცხოველების ჩათვლით, საგემოვნებო/დელიკატესების წარმოების, პირველადი მოთხოვნილების საგნებისა და საკვები საშუალებების სამართალი, სასოფლო და სატყეომეურნეობრივი ნათესებისა და ნარგავების დაცვა ბრუნვისას, მცენარეთა დაცვა დაავადებებისა და მავნებლებისაგან, ასევე, ცხოველთა დაცვა;
21. ნაოსნობა ღია ზღვაში და მიმდებარე წყლებში, ასევე, საზღვაო სანავიგაციო ნიშნები, საზღვაო ნაოსნობა შიდა წყლებში, მეტეოროლოგიური სამსახური, საზღვაო არხები და საერთო დანიშნულების შიდა სანაოსნო გზები;

22. საგზაო მოძრაობა, საავტომობილო ტრანსპორტი, ავტოსტრადების აგება და მოვლა-პატრონობა, ასევე, სატრანსპორტო საშუალებებით საზოგადოებრივი გზებით სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებელების ან კომპენსაციების აკრეფა და განაწილება;

23. სალიანდაგო გზები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ფედერაციის სარკინიგზო გზებს გარდა ფუნიკულიორებისა;

24. სანარჩენო მეურნეობა, ჰაერის დაცვა დაბინძურებისაგან და ბრძოლა ხმაურთან;

25. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა;

26. ადამიანის სიცოცხლის მედიცინის დახმარებით შექმნა, გამოკვლევა და მემკვიდრეობითობის ინფორმაციის ხელოვნური შეცვლა, ასევე, ორგანოების, ქსოვილებისა და უჯრედების ტრანსპლანტაციის შესახებ რეგულაციები;

27. მინების, მუნიციპალიტეტებისა და საჯარო სამართლის სხვა ორგანოთა მუშაობა, ასევე მინების მოსამართლეების სტატუსთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები, გარდა მათ კარიერასთან, ხელფასთან და შეღავათებთან დაკავშირებული საკითხებისა;

28. ნადირობა;

29. ბუნების დაცვა და ლანდშაფტის მოვლა-პატრონობა;

30. მინების განაწილება;

31. რეგიონალური დაგეგმარება;

32. წყალმეურნეობა;

33. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა და უმაღლესი განათლების მიღება.

(2) პირველი აბზაცის 25-ე და 27-ე პუნქტების შესაბამისად მიღებული კანონები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 76.**

(1) კანონპროექტები ბუნდესტაგში შეიტანება ფედერალური მთავრობის, ბუნდესრატის ან ბუნდესტაგის წევრთა მიერ.

(2) ფედერალური მთავრობის კანონპროექტები თავდაპირველად წარდგენილი უნდა იქნეს ბუნდესრატში. ბუნდესრატს უფლება აქვს აღნიშნულ კანონპროექტებთან დაკავშირებით, ექვსი კვირის განმავლობაში გამოთქვას თავისი მოსაზრებები. როდესაც მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, განსაკუთრებით, კანონპროექტის დიდი მოცულობის გამო, ბუნდესრატი მოითხოვს ვადის გაგრძელებას, აღნიშნული ვადა შეადგენს ცხრა კვირას. ფედერალურ მთავრობას შეუძლია კანონპროექტი, რომელიც მან ბუნდესრატში წარდგენისას განსაზღვრა როგორც უაღრესად სასწრაფო, სამი კვირის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესრატი მე-3 წინადადების შესაბამისად დააყენებს ვადის გაგრძელების მოთხოვნას, ექვსი კვირის ამონაწერის შემდეგ წარუდგინოს ბუნდესტაგს, იმისდა მიუხედავად, ბუნდესრატის მოსაზრებები კანონპროექტთან დაკავშირებით არის თუ არა წარმოდგენილი. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ბუნდესრატის მოსაზრებები მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, წარუდგინოს ბუნდესტაგს. იმ კანონპროექტებთან მიმართებით, რომლებიც ინვევენ ცვლილებებს ამ ძირითად კანონში ან 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად სუვერენული უფლებების გადაცემას, მოსაზრებების წარდგენის ვადა შეადგენს ცხრა კვირას. მოცემულ შემთხვევაში მე-4 წინადადება არ გამოიყენება.

(3) ბუნდესრატის კანონპროექტები ბუნდესტაგს უნდა წარედგინოს სამი თვის ვადაში ფედერალური მთავრობის მეშვეობით. ფედერალური მთავრობა ვალდებულია კანონპროექტებთან დაკავშირებით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. რო-

დესაც მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას, განსაკუთრებით, კანონპროექტის დიდი მოცულობის გამო, ფედერალური მთავრობა მოითხოვს ვადის გაგრძელებას, აღნიშნული ვადა შეადგენს ცხრა კვირას. როდესაც ბუნდესრატმა კანონპროექტი განსაზღვრა, როგორც უაღრესად სასწრაფო, ვადა შეადგენს სამ კვირას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მთავრობა მე-3 წინადადების შესაბამისად დააყენებს ვადის გაგრძელების მოთხოვნას, ექვს კვირას. იმ კანონპროექტებთან მიმართებით, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ამ ძირითად კანონში ან 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად სუვერენული უფლებების გადაცემას, მოსაზრებების წარდგენის ვადა შეადგენს ცხრა კვირას. ამ შემთხვევაში მე-4 წინადადება არ გამოიყენება. კანონპროექტები ბუნდესტაგმა უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამის ვადაში.

### **მუხლი 77.**

(1) ფედერალური კანონები მიიღება ბუნდესტაგის მიერ. მიღებული კანონები ბუნდესტაგის თავმჯდომარის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ბუნდესრატს.

(2) ბუნდესრატს შეუძლია მიღებული კანონის მისთვის გადაცემიდან სამი კვირის განმავლობაში მოითხოვოს კომიტეტის მონევა, რომელიც კანონის ერთობლივი განხილვისათვის იქმნება ბუნდესტაგის და ბუნდესრატის ნევრთა მიერ. ამ კომიტეტის შემადგენლობა და მისი საქმიანობის პროცედურა რეგულირდება რეგლამენტით, რომელიც მიიღება ბუნდესტაგის მიერ ბუნდესრატის თანხმობით. კომიტეტში შემავალი ბუნდესრატის წევრები არ არიან შეზღუდულნი მითითებებით. თუ კანონის მიღებისათვის აუცილებელია ბუნდესრატის თანხმობა, ბუნდესტაგს და ფედერალურ მთავრობას შეუძლიათ მოითხოვონ კომიტეტის მონევა. თუ კომიტეტი წარმოადგენს წინადადებებს მიღებული კანონის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ბუნდესტაგმა უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

(2a) როდესაც კანონის მისაღებად ბუნდესრატის თანხმობა აუცილებელია, ბუნდესრატმა კანონთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დადგენილ ვადაში, თუ დაყენებული არ არის მე-2 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული მოთხოვნა ან თუ კომიტეტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას მიღებული კანონის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

(3) რამდენადაც კანონის მისაღებად ბუნდესრატის თანხმობა აუცილებელი არ არის, ბუნდესრატს შეუძლია მე-2 აბზაცში მითითებული პროცედურის დასრულების შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს პროტესტი ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონის წინააღმდეგ. პროტესტის შეტანის ვადა, მე-2 აბზაცის ბოლო წინადადებაში მითითებულ შემთხვევაში, აითვლება ბუნდესტაგის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების შემოსვლის დღიდან. ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, კომიტეტში პროცედურის დასრულების შესახებ მე-2 აბზაცში გათვალისწინებული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული შეტყობინების შემოსვლის დღიდან.

(4) თუ პროტესტი მიღებული იქნება ბუნდესრატის ნევრთა ხმების უმრავლესობით, ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება უარყოფილ იქნეს ბუნდესტაგის ნევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუ ბუნდესრატმა პროტესტი მიიღო თავისი ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, ასეთ შემთხვევაში ბუნდესტაგის მიერ მისი უარყოფისთვის საჭიროა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა, რომელიც შეადგენს, სულ მცირე ბუნდესტაგის ნევრთა ხმების ურავლესობას.

### **მუხლი 78.**

ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის, თუ ბუნდესრატის მას დაეთანხმება, 77-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად არ დააყენებს მოთხოვნას, 77-ე მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ ვადაში არ განაცხადებს პროტესტს ან გამოთხოვს აღნიშნულ პროტესტს, ან თუ პროტესტი უარყოფილი იქნება ბუნდესტაგის მიერ.

### **მუხლი 79.**

(1) ძირითადი კანონი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კანონით, რომელიც სპეციალურად ცვლის ძირითადი კანონის ტექსტს ან შეაქვს მასში დამატებები. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას, რომელთა საგანს წარმოადგენს მშვიდობიანი დარეგულირება, მშვიდობიანი დარეგულირების მომზადება, საოკუპაციო-სამართლებრივი რეჟიმის შეწყვეტა, ასევე, იმ ხელშეკრულებების დადებისას, რომელთა დანიშნულებაა ემსახურონ ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვას, იმის დასადასტურებლად, რომ ძირითადი კანონის დებულებები არ ეწინააღმდეგებიან ასეთი ხელშეკრულებების დადებას და ძალაში შესვლას, საკმარისია ამ ძირითადი კანონის ტექსტის დამატება, რომელიც იზღუდება ასეთი დადასტურებით.

(2) ასეთი კანონი საჭიროებს ბუნდესტაგის და ბუნდესრატის წევრთა ხმათა ორი მესამედის თანხმობას.

(3) დაუშვებელია ამ ძირითადი კანონის შეცვლა იმ საკითხთან მიმართებით, რომელიც ეხება ფედერაციის მიწებად დაყოფას, კანონმდებლობაში მიწების მონაწილეობის პრინციპებს ან პრინციპებს, რომლებიც დადგენილია პირველ და მე-20 მუხლებში.

### **მუხლი 80.**

(1) კანონმა ფედერალურ მთავრობას, ფედერალურ მინისტრს ან მიწების მთავრობებს შეიძლება მიანიჭოს სამართლებრივი დადგენილების გამოცემის უფლებამოსილება. ამასთან, კანონით უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და მოცულობა. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძველი. თუ კანონით გათვალისწინებულია უფლებამოსილებების შემდგომი გადაცემის შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილებათა გადაცემისთვის საჭიროა სამართლებრივი დადგენილების გამოცემა.

(2) თუ ფედერალური კანონით სხვა რამ არის დადგენილი, ბუნდესრატის თანხმობას საჭიროებენ ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრების სამართლებრივი დადგენილებები ფოსტის და ტელეკომუნიკაციების გამოყენების პრინციპების და ტარიფების შესახებ, ფედერაციის რკინიგზით სარგებლობის საფასურის მიღების ძირითადი დებულებების შესახებ, რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ, ასევე, სამართლებრივი დადგენილებები, რომლებიც მიიღება ისეთი ფედერალური კანონების საფუძველზე, რომლებიც საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას ან რომლებსაც მიწები ასრულებენ ფედერაციის დავალებით ან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

(3) ბუნდესრატს შეუძლია, ფედერალურ მთავრობას წარუდგინოს პროექტები იმ სამართლებრივი დადგენილებების გამოსაცემად, რომლებიც საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

(4) რამდენადაც მიწების მთავრობები ფედერალური კანონით ან ფედერალური კანონების საფუძველზე უფლებამოსილი არიან გამოსცენ სამართლებრივი დადგენილებები, იმდენად ენიჭებათ მიწებს უფლება რეგულირება განახორციელონ კანონების მიღების მეშვეობით.



### **მუხლი 80ა.**

(1) თუ ამ ძირითად კანონში ან თავდაცვის, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ჩათვლით, შესახებ ფედერალურ კანონში განისაზღვრება, რომ სამართლებრივი დებულებები შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ამ მუხლის შესაბამისად, მათი გამოყენება თავდაცვის მდგომარეობის გარდა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესტაგი დაადგენს დაძაბული მდგომარეობის არსებობას, ან გასცემს სპეციალურ თანხმობას ასეთ გამოყენებაზე. დაძაბული მდგომარეობის არსებობის დადგენა და სპეციალური თანხმობის გაცემა, მე-5 აბზაცის პირველ და მე-12ა მუხლის მე-ნ აბზაცის მე-2 წინადადებაში მითითებულ შემთხვევებში, მოითხოვს მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობას.

(2) ზომები, რომლებიც მიღებულია პირველ აბზაცში მითითებული სამართლებრივი დებულებების საფუძველზე, უნდა გაუქმდეს, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგი.

(3) პირველი აბზაცისაგან განსხვავებით, ასეთი სამართლებრივი დებულებების გამოყენება დასაშვებია საერთაშორისო ორგანოს მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ფარგლებში, ფედერალური მთავრობის თანხმობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და შესაბამისად. ამ აბზაცის საფუძველზე მიღებული ზომები უნდა გაუქმდეს, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგი თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით.

### **მუხლი 81.**

(1) თუ 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბუნდესტაგი არ იქნება დათხოვნილი, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური მთავრობის წინადადებით და ბუნდესრატის თანხმობით, გამოაცხადოს საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობა იმ კანონპროექტთან მიმართებით, რომელიც ბუნდესტაგმა უარყო, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა მთავრობამ აღნიშნული კანონპროექტი განსაზღვრა, როგორც გადაუდებელი. აღნიშნული პროცედურა გამოყენებადია ასევე იმ უარყოფილი კანონპროექტის შემთხვევაშიც, რომელსაც ფედერალური კანცლერი უკავშირებდა 68-ე მუხლში აღნიშნულ წინადადებას.

(2) თუ ბუნდესტაგი საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ისევ უარყოფს კანონპროექტს, ან მას მიიღებს ფედერალური მთავრობისათვის მიუღებელი რედაქციით, კანონი ძალაში შესულად ითვლება, თუ მას დაეთანხმება ბუნდესრატი. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც პროექტი მისი ხელახალი შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში არ იქნება მიღებული ბუნდესტაგის მიერ.

(3) ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ნებისმიერი სხვა, ბუნდესტაგის მიერ უარყოფილი კანონპროექტი ასევე შეიძლება მიღებულ იქნეს პირველი ან მეორე აბზაცების შესაბამისად, საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობის პირველი გამოცხადებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის ამონურვის შემდეგ თანამდებობაზე იმავე ფედერალური კანცლერის ყოფნის პერიოდში დაუშვებელია საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობის შემდგომი გამოცხადება.

(4) მე-2 აბზაცის შესაბამისად ძალაში შესული კანონის საფუძველზე ძირითადი კანონი არ შეიძლება შეიცვალოს, ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმდეს ან შეჩერდეს მისი მოქმედება.

### **მუხლი 82.**

(1) კანონები, რომლებიც ძალაში შევიდნენ ამ ძირითადი კანონის დებულებების საფუძველზე, თანახელმონერის შემდეგ მზადდება ფედერალური პრეზიდენტის მიერ და ქვეყნდება „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“. სამართლებრივი დადგენილებები

მზადდება მათი გამომცემი ორგანოების მიერ და თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი, ქვეყნდება „ფედერალურ კანონთა ურნალში“.

(2) ყველა კანონში და სამართლებრივ დადგენილებაში განსაზღვრული უნდა იყოს მათი ძალაში შესვლის თარიღი. ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში ისინი ძალაში შედიან „ფედერალურ კანონთა ურნალის“ გამოსვლიდან მე-14 დღეს.

## VIII ფედერალური კანონების აღსრულება და ფედერალური ადმინისტრაცია

### მუხლი 83.

მინები ფედერალურ კანონებს ასრულებენ როგორც საკუთარ საქმეს, რამდენადაც ამ ძირითადი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან დაშვებული.

### მუხლი 84.

(1) თუ მინები ფედერალურ კანონებს აღასრულებენ როგორც საკუთარ საქმეს, ასეთ შემთხვევაში ისინი თვითონ არეგულირებენ ხელისუფლების ორგანოების მოწყობასა და ადმინისტრაციულ წარმოებას. თუ ფედერალური კანონებით სხვა რამ არის დადგენილი, მინებს შეუძლიათ ამ წესებისაგან განსხვავებული წესების განსაზღვრა. თუ მინის მთავრობამ მე-2 წინადადების შესაბამისად სხვა რამ დაადგინა, მაშინ ამასთან დაკავშირებული ხელისუფლების ორგანოების მოწყობასა და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ფედერალური კანონები ამ მინისათვის ძალაში შედის არა უადრეს 6 თვისა მათი მიღებიდან, თუ ბუნდესრატის თანხმობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. 72-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-3 წინადადება გამოიყენება შესაბამისად. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ არსებობს ერთიანი რეგულირების განსაკუთრებული საჭიროება, ფედერაციას შეუძლია ადმინისტრაციული წარმოება დაარეგულიროს მინებისათვის განსხვავებული რეგულირების უფლებამოსილების მინიჭების გარეშე. ეს კანონები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას. არ დაიშვება ფედერალური კანონით მუნიციპალიტეტებსა და თემთა კავშირებზე ამოცანების განხორციელების გადაკისრება.

(2) ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები.

(3) ფედერალური მთავრობა ახორციელებს ზედამხედველობას მინების მიერ ფედერალური კანონების მოქმედი სამართლის შესაბამისად აღსრულებაზე. ამ მიზნით ფედერალურ მთავრობას შეუძლია, გაგზავნოს უფლებამოსილი პირები მინების უმაღლეს ორგანოებში, ხოლო მათი თანხმობით, ან ასეთ თანხმობაზე უარის თქმის შემთხვევაში ბუნდესრატის თანხმობით, ასევე ხელისუფლების ქვემდგომ ორგანოებშიც.

(4) თუ მინების მიერ ფედერალური კანონების აღსრულებისას ფედერალური მთავრობის მიერ აღმოჩენილი ნაკლოვანებები არ აღმოიფხვრება, ფედერალური მთავრობის ან მინის წინადადებით, ბუნდესრატი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაარღვია თუ არა მინამ სამართლის ნორმა. ბუნდესრატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში.

(5) ფედერალურ მთავრობას კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფედერალური კანონების აღსრულების თაობაზე გასცეს კონკრეტული მითითებები. აღნიშნული მითითებები მიმართული უნდა იყოს მინების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებისადმი, გარდა ფედერალური მთავრობის მიერ გადაუდებლად მიჩნეული შემთხვევებისა.

### **მუხლი 85.**

(1) თუ მიწები ფედერალურ კანონებს აღასრულებენ ფედერაციის დავალებით, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოების მოწყობა რჩება მიწების უფლებამოსილებას, რამდენადაც ფედერალური კანონებით, ბუნდესრატის თანხმობით, სხვა რამ არ არის დადგენილი. არ დაიშვება ფედერალური კანონით მუნიციპალიტეტებსა და თემთა კავშირებზე ამოცანების განხორციელების გადაკისრება.

(2) ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით, გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები. მას შეუძლია, ერთგვაროვნად დაარეგულიროს მოხელეებისა და მოსამსახურეების მომზადება. საშუალო ინსტანციის ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები უნდა დაინიშნონ მისი თანხმობით.

(3) მიწების ხელისუფლების ორგანოები ექვემდებარებიან ფედერაციის უმაღლესი კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მითითებებს. მითითებები მიმართული უნდა იყოს მიწების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებისადმი, გარდა ფედერალური მთავრობის მიერ გადაუდებლად მიჩნეული შემთხვევებისა. მითითების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიწების უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების მიერ.

(4) ფედერალური ზედამხედველობა ვრცელდება აღსრულების კანონიერებაზე და მიზანშეწონილობაზე. ამ მიზნით ფედერალურ მთავრობას შეუძლია მოითხოვოს ანგარიშები და დოკუმენტები, გაგზავნოს უფლებამოსილი პირები ხელისუფლების ყველა ორგანოში.

### **მუხლი 86.**

თუ კანონების აღსრულება ხორციელდება ფედერაციის მიერ, საკუთარი ფედერალური ადმინისტრაციის ან უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებული კორპორაციების ან საჯარო სამართლის დაწესებულებების მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში ფედერალური მთავრობა, თუ კანონში სპეციალური დათქმა არ არსებობს, გამოსცემს ზოგად ადმინისტრაციულ დებულებებს. იგი აწესრიგებს ხელისუფლების ორგანოების მოწყობას, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

### **მუხლი 87.**

(1) უშუალოდ ფედერალურ ადმინისტრაციას, საკუთარი ქვემდგომი ადმინისტრაციული რგოლებით, მიეკუთვნება საგარეო უწყება, ფედერალური ფინანსების მართვა და 89-ე მუხლის შესაბამისად – ფედერალური სანაწარმო გზების და ნაოსნობის მართვა. ფედერალური კანონით შეიძლება შეიქმნას ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოები, საპოლიციო საცნობარო და ინფორმაციის სამსახურის, კრიმინალური პოლიციის და კონსტიტუციის დაცვის და, ძალის გამოყენებით, ან ასეთი ძალის გამოყენებისაკენ მიმართული მოსამზადებელი მოქმედებების მცდელობებისაგან (რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ინტერესებს) ფედერაციის ტერიტორიის დაცვისათვის მონაცემთა შეგროვების ცენტრალური ორგანოები.

(2) უშუალოდ ფედერაციას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის კორპორაციების სახით მოქმედებენ სოციალური დაზღვევის ის დაწესებულებები, რომელთა კომპეტენციის სფერო სცილდება ერთი მიწის ტერიტორიის ფარგლებს. სოციალური დაზღვევის დაწესებულებები, რომელთა კომპეტენცია ვრცელდება ერთზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს სამი მიწის ტერიტორიაზე, პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, მოქმედებენ უშუალოდ მიწების დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის კორპორაციების სახით, თუ მათზე კონტროლის განმავლობაში მინა განსაზღვრულია დაინტერესებული მიწების მიერ.

(3) გარდა ამისა, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც ფედერაციას გააჩნია კანონმდებლობის მიღების უფლება, ფედერალური კანონით შეიძლება შეიქმნას უშუალოდ დამოუკიდებელი ფედერალური ორგანოები და ახალი, უშუალოდ ფედერაციის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის კორპორაციები და დანესებულებები. თუ ფედერაციის წინაშე დადგება ახალი ამოცანები იმ სფეროებში, რომლებშიც მას გააჩნია კანონმდებლობის მიღების უფლება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ბუნდესრატისა და ბუნდესტაგის უმრავლესობის წევრთა თანხმობით, შეიძლება შეიქმნას საშუალო და ქვედა ინსტანციების ორგანოები.

### **მუხლი 87ა.**

(1) ფედერაცია თავდაცვისათვის ქმნის შეიარაღებულ ძალებს. მათი რაოდენობა და ორგანიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები განერილი უნდა იყოს ბიუჯეტში.

(2) თავდაცვის გარდა შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ამ ძირითადი კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში.

(3) თავდაცვის ან დაძაბული მდგომარეობის შემთხვევაში შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან უფლებამოსილებით, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათ მიერ თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად, დაიცვან სამოქალაქო ობიექტები და გადაწყვიტონ მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები. გარდა ამისა, თავდაცვის ან დაძაბული მდგომარეობის დროს, პოლიციური ღონისძიებების მხარდაჭერისათვის შეიარაღებულ ძალებს შეიძლება გადაეცეთ სამოქალაქო ობიექტების დაცვის ფუნქცია. აღნიშნულის განხორციელებისას შეიარაღებული ძალები მოქმედებენ კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოებთან ერთად.

(4) იმ საფრთხის აღმოსაფხვრელად, რომელიც ემუქრება ფედერაციის ან რომელიმე მინის არსებობას ან თავისუფალი, დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, თუ არსებობს 91-ე მუხლის მე-2 აბზაცში მითითებული წინაპირობები და თუ პოლიციური ძალები, ასევე, ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოების ძალები არ არის საკმარისი, სამოქალაქო ობიექტების დაცვაში და ორგანიზებული და შეიარაღებული ფორმირების წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიციის და ფედერალური საზღვის დაცვის ორგანოების დასახმარებლად გამოიყენოს შეიარაღებული ძალები. შეიარაღებული ძალების გამოყენება უნდა შეწყდეს, როდესაც ამას მოითხოვს ბუნდესტაგი ან ბუნდესრატი.

### **მუხლი 87ბ.**

(1) ფედერალური სამხედრო მმართველობა ხორციელდება საკუთარი ფედერალური ადმინისტრაციის მიერ, საკუთარი ქვემდგომი ადმინისტრაციული რგოლებით. მის ამოცანაში შედის პირადი შემადგენლობისა და შეიარაღებული ძალების მატერიალური მოთხოვნილებების უშუალო უზრუნველყოფის საკითხები. დაზარალებულების უზრუნველყოფის და მშენებლობის ამოცანები ფედერალურ სამხედრო მმართველობას შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. ბუნდესრატის თანხმობას ასევე საჭიროებენ კანონები, რომლებითაც ფედერალურ სამხედრო მმართველობას ენიჭება უფლებამოსილება, ჩაერიოს მესამე პირების უფლებებში. აღნიშნული არ ეხება კანონებს, რომლებიც ეხებიან პირად შემადგენლობას.

(2) სხვა შემთხვევებში, თავდაცვის შესახებ ფედერალური კანონებით, მათ შორის, სამხედრო სამსახურის შეცვლის და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ფედერალური კანონებით, ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება დადგინდეს, რომ ისინი სრულად ან ნაწილობრივ აღსრულდებიან უშუალოდ ფედერალური ადმინისტრაციის

მიერ საკუთარი ქვემდგომი ადმინისტრაციული რგოლების მეშვეობით ან მინების მიერ, ფედერაციის დავალებით. თუ ასეთი კანონების აღსრულება ხორციელდება მინების მიერ ფედერაციის დავალებით, აღნიშნული კანონებით ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება დადგინდეს, რომ უფლებამოსილებები, რომლებიც 85-ე მუხლის საფუძველზე ეკუთვნის ფედერალურ მთავრობას და კომპეტენტურ უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს უმაღლეს ფედერალურ ორგანოებს. ამასთან შეიძლება დადგინდეს, რომ ამ ორგანოების მიერ 85-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების თანახმად გამოცემული ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები არ საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 87გ.**

კანონები, რომლებიც მიიღება 73-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-14 პუნქტის საფუძველზე, ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება ადგენდნენ, რომ მათი აღსრულება მინების მიერ ხორციელდება ფედერაციის დავალებით.

### **მუხლი 87დ.**

(1) საპაერო მიმოსვლის მართვა ხორციელდება ფედერალური ადმინისტრაციის მიერ. ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელება შეუძლიათ ასევე იმ უცხოელ ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებს, რომლებიც ევროპული ერთობის სამართლით არიან ნებადართული. დეტალებს აწესრიგებს ფედერალური კანონი.

(2) ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, საპაერო მიმოსვლის მართვის ამოცანები ფედერაციის დავალებით შეიძლება გადაეცეთ მინებს.

### **მუხლი 87ე.**

(1) სარკინიგზო მიმოსვლის მართვა ხორციელდება ფედერალური ადმინისტრაციის მიერ. სარკინიგზო მიმოსვლის მართვის ამოცანები, ფედერალური კანონის მიღების მეშვეობით, შეიძლება გადაეცეს მინებს, როგორც საკუთარი საქმე.

(2) ფედერალური კანონის შესაბამისად, ფედერაცია ახორციელებს სარკინიგზო მიმოსვლის მართვის ამოცანებს, რომლებიც სცილდება ფედერაციის რკინიგზის სფეროს.

(3) ფედერაციის რკინიგზა იმართება როგორც კერძო სამართლის სამეურნეო სანარმო. იგი იმყოფება ფედერაციის საკუთრებაში, რამდენადაც სამეურნეო სანარმოს საქმიანობა მოიცავს სალიანდაგო გზების მშენებლობას, შენახვას და ექსპლუატაციას. მე-2 წინადადების შესაბამისად სანარმოებში ფედერაციის წილების გადაცემა ხორციელდება კანონის საფუძველზე. აღნიშნულ სანარმოებში წილის უმეტესი ნაწილი რჩება ფედერაციას. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

(4) ფედერაცია უზრუნველყოფს, რომ ფედერაციის სალიანდაგო გზების შენახვისა და განვითარების, ასევე, აღნიშნულ გზებზე სატრანსპორტო მომსახურების განვითარების, მხედველობაში მიიღება საერთო კეთილდღეობის, განსაკუთრებით სატრანსპორტო საჭიროების მოთხოვნები, რამდენადაც აღნიშნული არ ეხება სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტს. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

(5) კანონები, რომლებიც მიიღება პირველი და მეოთხე აბზაცების საფუძველზე, საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას. ასევე, ბუნდესრატის თანხმობას საჭიროებენ კანონები, რომლებიც არეგულირებენ ფედერაციის რკინიგზის სანარმოების ლიკვიდაციას, შერწყმას ან გაყოფას, ფედერაციის რკინიგზის სალიანდაგო გზების მესამე პირებისთვის გადაცემას, ან რომლებიც გავლენას ახდენენ სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტზე.

### **მუხლი 87ე.**

(1) ფედერალური კანონის შესაბამისად, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ფედერაცია უზრუნველყოფს ფოსტის და ტელეკომუნიკაციის სფეროში არსებული შესაბამისი და საკმარისი მომსახურების გავრცელებას მთელ ფედერალურ ტერიტორიაზე.

(2) პირველ აბზაცში მითითებული მომსახურებების მიწოდება ხორციელდება კერძო სამენარმეო საქმიანობის წესით, გერმანიის ფედერალური ფოსტის სპეციალური ქონების ბაზაზე შექმნილი საწარმოების და სხვა კერძო მიმწოდებლების მიერ. ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის სფეროში მართვა ხორციელდება ფედერალური ადმინისტრაციის მიერ.

(3) მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების დებულებების მიუხედავად, ფედერაცია ფედერალური კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის ფედერალური დანესებულებების მეშვეობით ასრულებს გარკვეულ ამოცანებს იმ საწარმოებთან მიმართებით, რომლებიც ფედერალური კანონის მიხედვით შექმნილია გერმანიის ფედერალური ფოსტის სპეციალური ქონების საფუძველზე.

### **მუხლი 88.**

ფედერაცია, ფედერალური ბანკის სახით, ქმნის სავალუტო და საემისიო ბანკს. მისი ამოცანები და უფლებამოსილებები ევროპული კავშირის ფარგლებში შეიძლება გადაეცეს ევროპულ ცენტრალურ ბანკს, რომელიც არის დამოუკიდებელი და რომლის უპირატეს მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

### **მუხლი 89.**

(1) ფედერაცია წარმოადგენს ყოფილი საიმპერიო სანყლოსნო გზების მესაკუთრეს.

(2) ფედერაცია სანყლოსნო გზებს მართავს საკუთარი ორგანოების მეშვეობით. იგი ახორციელებს იმ შიდა ნაოსნობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ამოცანებს, რომელიც სცილდება ერთი მიწის ტერიტორიის ფარგლებს. სევე, საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ამოცანებს, რომლებიც მას გადაეცემა კანონით. რამდენადაც ფედერალური სანყლოსნო გზები გადის ერთი მიწის ტერიტორიაზე, ფედერაციას შეუძლია ამ მიწის თხოვნით, მათი მართვა, ფედერაციის დავალების სახით, გადასცეს აღნიშნულ მიწას. თუ სანყლოსნო გზა გადის რამდენიმე მიწის ტერიტორიაზე, ფედერაციას შეუძლია მისი მართვა დაავალოს იმ მიწას, რომელსაც აირჩევენ დაინტერესებული მიწები.

(3) სანყლოსნო გზების მართვის, განვითარებისა და აღჭურვისას, მიწებთან შეთანხმებით, დაცული უნდა იყოს ბუნების დაცვისა და სანყლოსნო მეურნეობის მოთხოვნები.

### **მუხლი 90.**

(1) ფედერაცია წარმოადგენს ყოფილი საიმპერიო ავტოსტრადების და საიმპერიო ტრასების მესაკუთრეს.

(2) ფედერალურ ავტოსტრადებს და სხვა შორეული მიმოსვლის ფედერალურ ტრასებს ფედერაციის დავალებით მართავენ მიწები ან მიწების სამართლის შესაბამისად განსაზღვრული კომპეტენტური თვითმმართველი კორპორაციები.

(3) ფედერაციას შეუძლია რომელიმე მიწის წინადადებით საკუთარი ფედერალური ადმინისტრაციის მართვაში მიიღოს აღნიშნული მიწის ტერიტორიაზე

არსებული ფედერალური ავტოსტრადები და სხვა ფედერალური შორეული მიმოსვლის ტრასები.

### **მუხლი 91.**

(1) საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება ფედერაციის ან რომელიმე მინის არსებობას ან თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს, მინას შეუძლია, მოითხოვოს სხვა მინების პოლიციური ძალების, ასევე, ადმინისტრაციების და ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოების ძალების გამოყენება.

(2) თუ მინა, რომელსაც ემუქრება საფრთხე, თვითონ არ არის მზად ან არ შეუძლია აღმოფხვრას აღნიშნული საფრთხე, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, საკუთარი განკარგულებით დაიქვემდებაროს აღნიშნული მინის პოლიცია და სხვა მინების პოლიციური ძალები. ასევე გამოიყენოს ფედერალური საზღვრის დაცვის ძალები და დანესებულებები. აღნიშნული განკარგულება უნდა გაუქმდეს საფრთხის ლიკვიდაციისთანავე. ასევე, ყველა შემთხვევაში, ბუნდესრატის მოთხოვნით. თუ საფრთხე ვრცელდება ერთზე მეტი მინის ტერიტორიაზე, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, რამდენადაც ეს აუცილებელია საფრთხესთან ეფექტური ბრძოლისათვის, მისცეს მითითებები მინების მთავრობებს. პირველი და მე-2 ნინადადებები ხელშეუხებელი რჩება.

## **VIII. საერთო ამოცანები, ადმინისტრაციული თანამშრომლობა.**

### **მუხლი 91ა.**

(1) თუ ამოცანებს აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ფედერაციის მონაწილეობა აუცილებელია ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად (საერთო ამოცანები), ფედერაცია მონაწილეობს მინების ამოცანების შესრულებაში, შემდეგ სფეროებში:

1. რეგიონალური ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესება;
2. აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება და მიმდებარე ზონების დაცვა.

(2) საერთო ამოცანები და კოორდინაციასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები დეტალურად რეგულირდება ფედერალური კანონით, ბუნდესრატის თანხმობით.

(3) პირველი აბზაცის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, ფედერაცია თითოეულ მინაზე გაიღებს ხარჯების ნახევარს. პირველი აბზაცის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, ფედერაცია გაიღებს ხარჯების არანაკლებ ნახევარს; მონაწილეობა დადგენილი უნდა იყოს ყველა მინისათვის საერთო საფუძველზე. დეტალები რეგულირდება კანონით. დაფინანსების დებულებები დათქმული უნდა იყოს ფედერაციისა და მინების საბიუჯეტო გეგმებში.

### **მუხლი 91ბ.**

(1) ფედერაციას და მინებს შეუძლიათ შეთანხმებების საფუძველზე, ტრანსრეგიონალური მნიშვნელობის შემთხვევებში ითანამშრომლონ შემდეგი საკითხების ხელშეწყობისას:

1. უნივერსიტეტების ფარგლებს გარეთ სამეცნიერო კვლევების დანესებულებები და პროექტები;

2. სამეცნიერო პროექტები უნივერსიტეტებში;
3. უნივერსიტეტებთან არსებული კვლევის ობიექტები დიდი ტექნიკის ჩათვლით

მე-2 პუნქტის პირველი წინანდადებით გათვალისწინებულ შეთანხმებებს ესაჭიროება ყველა ფედერალური მიწის თანხმობა.

(2) ფედერაციასა და მიწებს შეუძლიათ შეთანხმების საფუძველზე ითანამშრომლონ განათლების სისტემის საერთაშორისო დონეზე ეფექტიანობის დადგენის მიზნით და ამასთან დაკავშირებული შესაბამისი მოხსენებებისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

(3) ხარჯების განაწილება რეგულირდება ხელშეკრულებით.

### **მუხლი 91გ**

(1) ფედერაციასა და მიწებს შეუძლიათ ითანამშრომლონ მათზე დაკისრებული ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციულ-ტექნიკური სისტემების დაგეგმარების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროცესში.

(2) ფედერაციასა და მიწებს შეუძლიათ შეთანხმებების საფუძველზე დაადგინონ მათ ინფორმაციულ-ტექნიკურ სისტემებს შორის კომუნიკაციის განხორციელებისათვის საჭირო სტანდარტები და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები. პირველი წინადადების შესაბამისად შეთანხმებები თანამშრომლობის პრინციპების შესახებ შეიძლება ითვალისწინებდნენ, რომ რეგულირების დეტალური წესები ძალაში შევა ფედერაციისა და მიწებისათვის შეთანხმებაში განსაზღვრული კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში. ისინი საჭიროებენ ბუნდესტაგისა და მონაწილე მიწების ანხმობას: უფლება, შეწყვიტონ ეს შეთანხმება, არ არის გამორიცხული.

(3) მიწები ასევე შეიძლება შეთანხმდნენ ამ ინფორმაციულ-ტექნიკურ სისტემების ერთობლივ ექსპლოატაციაზე, ასევე საამისოდ განსაზღვრული ობიექტების/სტრუქტურების მშენებლობაზე.

(4) ფედერაციისა და მიწების ინფორმაციულ-ტექნიკური სისტემების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით ფედერაცია ქმნის ერთიან ქსელს. დეტალებს ასეთი ქსელის შექმნისა და ექსპლოატაციის შესახებ ანესრიგებს ფედერალური კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 91დ**

ფედერალურ მთავრობასა და მიწებს შეუძლიათ მათი ადმინისტრაციების ქმედუნარიანობის დადგენისა და მათთვის ხელშეწყობის მიზნით განახორციელონ შედარებითი კვლევები და გამოაქვეყნონ შედეგები.

### **მუხლი 91ე**

(1) სამუშაოს მაძიებელთა სოციალური დაცვის სფეროში არსებული ფედერალური კანონების შესრულებისას ფედერაცია და მიწები ან მიწების სამართლით საამისოდ უფლებამოსილი თემები და თემთა კავშირები თანამშრომლობენ, როგორც წესი, ერთობლივ სტრუქტურებში.

(2) ფედერაციამ შეიძლება დაუშვას, რომ თემთა და თემთა კავშირების შეზღუდულმა რაოდენობამ მიწის უმაღლესი ორგანოს შუამდგომლობითა და თანხმობით დამოუკიდებლად/მარტომ განახორციელოს პირველი აბზაცით გათვალისწინებული ამოცანები. აუცილებელი ხარჯი ადმინისტრაციული ხარჯის ჩათვლით ეკისრება ფედერაციას, თუ პირველი აბზაცით გათვალისწინებუ-



ლი კანონების შესრულებასთან დაკავშირებული ამოცანები ფედერაციამ უნდა განახორციელოს.

(3) დეტალებს ანესრიგებს ფედერალური კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

## IX. მართლმსაჯულება

### მუხლი 92.

მართლმსაჯულება მინდობილი აქვთ მოსამართლეებს. იგი ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ამ ძირითადი კანონით გათვალისწინებული ფედერალური სასამართლოებისა და მინების სასამართლოების მიერ.

### მუხლი 93.

(1) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს:

1. დაევბზე ამ ძირითადი კანონის განმარტების შესახებ უმაღლესი ფედერალური ორგანოს ან იმ სხვა დაინტერესებული სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის თაობაზე, რომლებიც ამ ძირითადი კანონით ან უმაღლესი ფედერალური ორგანოს რეგლამენტით აღჭურვილნი არიან საკუთარი უფლებებით;

2. ფედერალური სამართლის და მინის სამართლის ამ ძირითად კანონთან ან მინის სამართლის სხვა ფედერალურ სამართალთან ფორმალური და ფაქტიური შესაბამისობის თაობაზე უთანხმოების ან ეჭვის არსებობისას - ფედერალური მთავრობის, მინის მთავრობის ან ბუნდესტაგის წევრთა ერთი მეოთხედის წინადადებით.

2ა. კანონის ამ ძირითადი კანონის 72-ე მუხლის მე-2 აბზაცში მითითებულ პირობებთან შესაბამისობაზე უთანხმოების არსებობისას - ბუნდესრატის, მინის მთავრობის ან რომელიმე მინის სახალხო წარმომადგენლობის ორგანოს წინადადებით;

3. უთანხმოების არსებობისას ფედერაციის და მინების უფლებებთან და მოვალეობებთან მიმართებით, განსაკუთრებით მინების მიერ ფედერალური სამართლის აღსრულებისას და ფედერალური ზედამხედველობის განხორციელებისას;

4. სხვა საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დაევბზე, ფედერაციასა და მინებს შორის, სხვადასხვა მინებს შორის ან ერთი მინის ფარგლებში, რამდენადაც სხვაგვარი სასამართლო განხილვის პროცედურა არ არის გათვალისწინებული;

4ა. კონსტიტუციურ საჩივრებზე, რომლებიც შეიძლება შეტანილი იქნეს ნებისმიერი პირის მიერ, ვინც ამტკიცებს, რომ საჯარო ხელისუფლებამ დაარღვია ერთ-ერთი მისი ძირითადი უფლება ან ერთ-ერთი იმ უფლებათაგანი, რომელსაც ითვალისწინებენ მე-20 (მე-4 აბზაცი), 33-ე, 38-ე, 101-ე, 103-ე და 104-ე მუხლები;

4ბ. კანონის მიერ ძირითადი კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლების დარღვევის თაობაზე თემების და თემთა გაერთიანებების კონსტიტუციურ საჩივრებზე. ხოლო მინების კანონებთან მიმართებით საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეიძლება შეტანილ იქნეს მინის საკონსტიტუციო სასამართლოში;

5. ამ ძირითადი კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

(2) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ბუნდესრატის, რომელიმე მინის მთავრობის ან მისი სახალხო წარმომადგენლობის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ისევე არსებობს თუ არა

72-ე მუხლის მე-4 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში 72-ე მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული აუცილებლობა ფედერალური კანონით რეგულირებისა ან შესაძლებელია თუ არა გამოყენებულ იქნეს 125ა მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინანადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფედერალური სამართლის ნორმები. დასკვნას, რომ აუცილებლობა აღარ არსებობს, ან რომ ფედერალური კანონი ვეღარ მიიღება, ცვლის ფედერალური კანონი 72-ე მუხლის მე-4 აბზაცის ან 125ა მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინანადების შესაბამისად. პირველი წინანადებით გათვალისწინებული შუამდგომლობა მხოლოდ მაშინ დაიშვება, თუ კანონპროექტი უარყოფილ იქნა ბუნდესტაგის მიერ 72-ე მუხლის მე-2 აბზაცის ან 125ა მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინანადების შესაბამისად ან თუ იგი ერთი წლის განმავლობაში არ იქნა განხილული და მის შესახებ არ არსებობს დადგენილება ან თუ შესაბამისი კანონპროექტი უარყოფილ იქნა ბუნდესრატის მიერ.

#### **მუხლი 94.**

(1) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ფედერალური მოსამართლეებისაგან და სხვა წევრებისაგან. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები თანაბარი რაოდენობით აირჩევიან ბუნდესტაგის და ბუნდესრატის მიერ. მათ უფლება არ აქვთ შედიოდნენ ბუნდესტაგის, ბუნდესრატის, ფედერალური მთავრობის ან მინების შესაბამისი ორგანოების შემადგენლობაში.

(2) ფედერალური კანონი არეგულირებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მონყობას და სასამართლო წარმოების წესს და განსაზღვრავს, რომელ შემთხვევებში აქვს მის გადაწყვეტილებებს კანონის ძალა. კონსტიტუციური საჩივრის შეტანისათვის წინაპირობის სახით, კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ ჯერ ამონურული იქნეს ჩვეულებრივი სასამართლო წარმოებით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა. ასევე კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს კონსტიტუციური საჩივრის შეტანის სპეციალური პროცედურა.

#### **მუხლი 95.**

(1) საერთო, ადმინისტრაციულ, საფინანსო, შრომის და სოციალური იუსტიციის სფეროებში მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ფედერაცია უმაღლესი სასამართლო პალატების სახით ქმნის ფედერალურ სასამართლო პალატას, ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს, ფედერალურ საფინანსო პალატას, ფედერალურ შრომის სასამართლოს და ფედერალურ სოციალურ საკითხთა სასამართლოს.

(2) აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამის სფეროზე კომპეტენტური მინისტრი, მოსამართლეების არჩევის კომიტეტთან ერთად, რომელიც შედგება შესაბამის სფეროებზე კომპეტენტური მინების მინისტრებისგან და იგივე რაოდენობის სხვა წევრებისაგან, რომლებიც აირჩევიან ბუნდესტაგის მიერ.

(3) სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას პირველ აბზაცში მითითებული სასამართლოების ერთობლივი სენატი. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

#### **მუხლი 96.**

(1) ფედერაციას შეუძლია სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვის საქმეებზე შექმნას ფედერალური სასამართლო.

(2) ფედერაციას შეუძლია შეიარაღებული ძალებისათვის, ფედერალური სასამართლოების სახით შექმნას სამხედრო-სისხლისსამართლის სასამართლოები.

აღნიშნულ სასამართლოებს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ თავდაცვის მდგომარეობის დროს, ასევე, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, გაგზავნილი არიან საზღვარგარეთ ან იმყოფებიან სამხედრო გემებზე. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით. ეს სასამართლოები ექვემდებარებიან ფედერალური იუსტიციის მინისტრის მმართველობას. აღნიშნული სასამართლოების საშტატო მოსამართლეებს უნდა გააჩნდეთ სამოსამართლო კვალიფიკაცია.

(3) პირველ და მეორე აბზაცებში მითითებული სასამართლოებისათვის უმაღლეს სასამართლო პალატას წარმოადგენს ფედერალური სასამართლო პალატა.

(4) ფედერაციას შეუძლია პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან მასთან საჯარო-სამართლებრივ სამსახურებრივ ურთიერთობებში, დისციპლინური წარმოების და საჩივრებთან დაკავშირებული წარმოების საქმეების გადასაწყვეტად, შექმნას ფედერალური სასამართლოები.

(5) სისხლისსამართლებრივი წარმოებისათვის ფედერალურმა კანონმა ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება გაითვალისწინოს მიწების მიერ ფედერაციის იურისდიქციის განხორციელება შემდეგ სფეროებში:

1. გენოციდი;
2. საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;
3. ომის დროს ჩადენილი დანაშაული;
4. სხვა მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება იმ განზრახვით, რომ დაირღვეს ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება (მუხლი 26, პირველი აბზაცი);
5. სახელმწიფო დაცვა.

### **მუხლი 97.**

(1) მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

(2) მოსამართლეები, რომლებიც საშტატო თანამდებობაზე ინიშნებიან გეგმიურად და სამუდამოდ, უფლებამოსილების ვადის გასვლამდე მათი ნების საწინააღმდეგოდ შეიძლება განთავისუფლდნენ, დროებით ან სამუდამოდ ჩამოშორებულ იქნენ თანამდებობას ან გადაყვანილ იქნენ სხვა თანამდებობაზე ან გადაყენებულ იქნენ, მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით და მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლებით და წესით. კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევის შემდეგაც მოსამართლეები ტოვებენ თანამდებობას. სასამართლო წყობილების ან სასამართლო ოლქების ცვლილებისას მოსამართლეები შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სასამართლოში ან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მხოლოდ ანაზღაურების სრული ოდენობით შენარჩუნებით.

### **მუხლი 98.**

(1) ფედერალური მოსამართლეების სამართლებრივი მდგომარეობა უნდა დარეგულირდეს სპეციალური ფედერალური კანონით.

(2) თუ ფედერალური მოსამართლე სამსახურში ან სამსახურის გარეთ დაარღვევს ძირითადი კანონის პრინციპებს ან რომელიმე მიწის სასამართლო წყობილების საფუძვლებს, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ბუნდესტაგის წინადადებით, თავისი ნევრების ორი მესამედის უმრავლესობით, გამოცეს ბრძანება ასეთი მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. თუ დარღვევა ჩადენილია განზრახ,

შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

(3) მოსამართლეების სამართლებრივი მდგომარეობა მინებში უნდა დარეგულირდეს მინების სპეციალური კანონებით, თუ 74-ე მუხლის პირველი აბზაცის 27-ე პუნქტი სხვა რამეს არ ადგენს.

(4) მინებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ მინებში მოსამართლეების დანიშვნის შესახებ, მოსამართლეების არჩევის კომიტეტთან ერთად გადაწყვეტილებას ლეზულობს მინის იუსტიციის მინისტრი.

(5) მინებს შეუძლიათ მინების მოსამართლეებისათვის დაადგინონ მე-2 აბზაცის შესაბამისი რეგულირება. მინების მოქმედი კონსტიტუციური სამართალი რჩება ხელუხლებელი. მოსამართლის ბრალდების თაობაზე გადაწყვეტილებას ლეზულობს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

### **მუხლი 99.**

მინის კანონით ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიეკუთვნოს კონსტიტუციური დავების გადაწყვეტა ერთი მინის ფარგლებში, ხოლო 95-ე მუხლის პირველ აბზაცში მითითებულ უმაღლეს სასამართლო პალატებს - საბოლოო ინსტანციის სახით იმ საქმეთა გადაწყვეტა, რომლებიც ეხებიან მინების სამართლის გამოყენებას.

### **მუხლი 100.**

(1) თუ რომელიმე სასამართლო ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს კანონს, რომლის ნამდვილობის საკითხი დადგა აღნიშნული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, სასამართლო წარმოება უნდა შეჩერდეს და თუ საქმე ეხება მინის კონსტიტუციის დარღვევას, სასამართლო უნდა დაელოდოს მინის იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც კომპეტენტურია საკონსტიტუციო დავების გადაწყვეტაზე, ხოლო თუ საქმე ეხება ამ ძირითადი კანონის დარღვევას - ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს წესი ასევე მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მინის სამართლის მიერ ამ ძირითადი კანონის დარღვევას ან მინის კანონის ფედერალურ კანონთან შეუსაბამობას.

(2) თუ სამართლებრივ დავაში წარმოიშობა ეჭვი, წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო სამართლის ნორმა ფედერალური სამართლის შემადგენელ ნაწილს და უშუალოდ წარმოშობს თუ არა იგი ინდივიდისათვის უფლებებსა და მოვალეობებს (25-ე მუხლი), სასამართლო უნდა დაელოდოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

(3) თუ ამ ძირითადი კანონის განმარტებისას მინის საკონსტიტუციო სამართლო აპირებს გადაუხვიოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ან სხვა მინის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაელოდოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

### **მუხლი 101.**

(1) საგანგებო სასამართლოები დაუშვებელია. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სხვა მოსამართლეს, გარდა ქვემდებარეობით თავისი კანონიერი მოსამართლისა.

(2) სპეციალური იურისდიქციის სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კანონით.

### **მუხლი 102.**

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

### **მუხლი 103.**

(1) სასამართლოში ყველას აქვს უფლება, კანონის შესაბამისად იქნეს მოსმენილი.

(2) ქმედება დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დასჯადობა მის ჩადენამდე კანონით იყო დადგენილი.

(3) ერთიდაიმავე ქმედებისათვის არავინ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში მრავალჯონის, ზოგადი სისხლისსამართლებრივი კანონების საფუძველზე.

### **მუხლი 104.**

(1) პიროვნების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე და ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით. დაკავებული პირებისადმი მორალურად ან ფიზიკურად სასტიკი მოპყრობა დაუშვებელია.

(2) თავისუფლების აღკვეთის დასაშვებობისა და ხანგრძლივობის საკითხზე გადაწყვეტილებას ლებულობს მხოლოდ მოსამართლე. ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, რომელიც არ ეფუძნება მოსამართლის ბრძანებას, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. პოლიციას საკუთარი სახელისუფლებო უფლებამოსილებების შესაბამისად, უფლება აქვს პირი დაკავებული ამყოფოს არა უმეტეს დაკავების დღის შემდგომი დღის ბოლომდე. დეტალები უნდა დარეგულირდეს კანონით.

(3) ყოველი პირი, ვინც დასჯადი ქმედების ჩადენაში ეჭვის საფუძველზე წინასწარ არის დაკავებული, არა უგვიანეს მისი დაკავების მომდევნო დღისა, უნდა წარედგინოს მოსამართლეს, რომელიც ვალდებულია აცნობოს მას დაკავების საფუძველი, დაკითხოს იგი და მისცეს შეპასუხების შესაძლებლობა. მოსამართლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ გაამოსცეს მოტივირებული წერილობითი ბრძანება დაპატიმრების შესახებ, ან გასცეს განკარგულება დაკავებულის გათავისუფლების თაობაზე.

(4) თავისუფლების აღკვეთის ან დაკავების ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავებული პირის ნათესავებს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

## **X. ფინანსები**

### **მუხლი 104ა.**

(1) თუ ეს ძირითადი კანონი სხვაგვარად არ ადგენს, ფედერაცია და მინები, თითოეული თავისი მხრიდან, გასწევს ხარჯებს საკუთარი ამოცანების განსახორციელებლად.

(2) თუ მინები მოქმედებენ ფედერაციის დავალებით, ამ უკანასკნელს ეკისრება აღნიშნულიდან გამომდინარე ხარჯების განევა.

(3) ფედერალური კანონებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური სახსრების გადაცემას და რომლებიც სრულდება მინების მიერ, შეიძლება განისაზღვროს, რომ ფინანსური სახსრები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემული იქნება ფედერაციის მიერ. თუ კანონი ადგენს, რომ ფედერაცია გაიღებს ხარჯების ნახევარს ან ნახევარზე მეტს, ამ შემთხვევაში კანონი აღსრულდება ფედერაციის დავალებით.

(4) ფედერაციის კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწების მესამე პირთა მიმართ ფულადი ოპერაციების, ფულთან გათანაბრებული სანივთო შენატანებიდან ან ანალოგიური/შესადარებელი მომსახურებიდან წარმოშობილ მოვალეობებს და მიწების მიერ სრულდება, როგორც საკუთარი საქმე, ან მე-3 აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად სრულდება ფედერაციის დავალებით, საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას, თუ აქედან წარმოშობილი ფუნქციები მიწების მიერ უნდა იქნეს განხორციელებული.

(5) ფედერაციას და მიწებს აკისრიათ მათი ხელისუფლების ორგანოებში წარმოქმნილი ადმინისტრაციული ხარჯები და პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის მიმართ სათანადო მმართველობაზე. დეტალები განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) ფედერაციასა და მიწებს შიდასახელმწიფოებრივი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების გადანაწილების შესაბამისად ეკისრება გერმანიის სუპრანაციონალური და საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის პასუხისმგებლობა. ევროპული კავშირის ტრანსნაციონალური ფინანსური შესწორებების შემთხვევებში ფედერაცია და მიწები ამ ტვირთს ინაწილებენ შეფარდებით 15-ი 85-თან. ასეთ შემთხვევებში ყველა მიწა სოლიდარულად, განაწილების ერთიანი მეთოდის შესაბამისად, თავის თავზე იღებს საერთო ვალდებულების 35 %-ს; 50%, მიღებული ფულადი სახსრების პროპორციულად, მოდის იმ მიწების პასუხისმგებლობის წილად, რომლებმაც ეს ვითარება გამოიწვიეს. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელსაც ბუნდესრატის თანხმობა ესაჭიროება.

#### **მუხლი 104b**

(1) ფედერაციას შეუძლია, რამდენადაც მას ამ საკანონმდებლო უფლებამოსილებას ძირითადი კანონი ანიჭებს, გაუწიოს მიწებს ფინანსური დახმარება მიწებისა და თემებისათვის (თემთა გაერთიანებებისათვის) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინვესტიციებისათვის, რომლებიც საჭიროა:

1. მაკროეკონომიკური ბალანსის დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან
2. განსხვავებული ეკონომიკური განვითარების კომპენსირებისათვის ან
3. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის.

პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, ფედერაციას შეუძლია სტიქიური უბედურებების ან გაუთვალისწინებელი საგანგებო ვითარებებისას, რომლებიც არ არის მოქცეული სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და სახელმწიფო ფინანსებზე მნიშვნელოვნად მოქმედებენ, გასცეს მიწებზე ფინანსური დახმარება საკანონმდებლო უფლებამოსილების გარეშე.

(2) დეტალები, კერძოდ კი შემოთავაზებული ინვესტიციების სახეები, რეგულირდება ფედერაციის კანონით, რომელსაც ესაჭიროება ბუნდესრატის თანხმობა, ან ფედერაციის საბიუჯეტო კანონის საფუძველზე ადმინისტრაციასთან შეთანხმების გზით. ფულადი სახსრები გამოიყოფა გარკვეული ვადით და ისინი, მათი გამოყენების თვალსაზრისით, რეგულარულად (დროის გარკვეულ მონაკვეთებში) უნდა კონტროლდებოდეს. ფინანსური დახმარების პერიოდში წლიური თანხები კლების ტენდენციით უნდა იქნეს გამოყოფილი.

(3) ბუნდესტაგი, ფედერალური მთავრობა და ბუნდესრატი ვალდებული არიან მოთხოვნის შემთხვევაში, გააკეთონ ანგარიში ღონისძიებების გატარებისა და მიღწეული გაუმჯობესებების შესახებ.

### **მუხლი 105.**

(1) ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია საბაჟო და ფინანსური მეტროპოლიების კანონმდებლობაში.

(2) ფედერაციას გააჩნია კონკურენციული კანონმდებლობის გამოცემის კომპეტენცია სხვა გადასახადებთან დაკავშირებით, თუ მას მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის აღნიშნული გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ან თუ გამოყენებული უნდა იქნეს 72-ე მუხლის მე-2 აბზაცში განსაზღვრული პირობები.

(2ა) მიწებს გააჩნიათ უფლებამოსილება, გამოსცენ კანონმდებლობა ადგილობრივი, სამომხმარებლო და ხარჯების გადასახადების სფეროში, იქამდე და იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გადასახადები არ არიან ფედერალური კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების შესაბამისი. ისინი უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ საგადასახადო განაკვეთები უძრავი ქონების შეძენის გადასახადიდან.

(3) ფედერალური კანონები იმ გადასახადების შესახებ, რომელთაგან მიღებულ შემოსავალსაც მთლიანად ან ნაწილობრივ იღებენ მიწები ან თემები (თემთა გაერთიანებები), საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 106.**

(1) ფედერაციას ეკუთვნის ფინანსური მონოპოლიებისგან და შემდეგი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი:

1. საბაჟო მოსაკრებელი;

2. არაპირდაპირი სამომხმარებლო გადასახადი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი მე-2 აბზაცის შესაბამისად არ ეკუთვნის ფედერალურ მიწებს, ფედერაციას და ფედერალურ მიწებს ერთობლივად (მე-3 აბზაცის შესაბამისად) ან თემებს (მე-6 აბზაცის შესაბამისად);

3. სატვირთო ტრანსპორტის გადასახადი, საავტომობილო (ტრანსპორტის) გადასახადი და სხვა მოტორიზებულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული გადასახადები;

4. გადასახადი კაპიტალის ბრუნვაზე, სადაზღვევო გადასახადი და გადასახადი გაცვლით ოპერაციებზე;

5. ქონების ერთჯერადი გადასახადი და მიწების ხარჯების დასაბალანსებელი საკომპენსაციო მოსაკრებლები;

6. დამატებითი მოსაკრებლები საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადზე;

7. ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში ასაკრეფი გადასახადები.

(2) მიწებს ეკუთვნით შემდეგი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები:

1. ქონების გადასახადი;

2. სამემკვიდრეო გადასახადი;

3. სატრანსპორტო გადასახადი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი პირველი აბზაცის შესაბამისად არ ეკუთვნის ფედერაციას ან მე-3 აბზაცის შესაბამისად, ერთობლივად არ ეკუთვნით ფედერაციას და მიწებს;

4. ლუდის გადასახადი;

5. სათამაშო დანესებულებების გადასახადი.

(3) საშემოსავლო, საკორპორაციო და ბრუნვის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი (საერთო გადასახადები) ერთობლივად ეკუთვნით ფედერაციას და მიწებს, თუ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი მე-5 აბზაცის შესაბამისად და ბრუნვის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი მე-5<sup>ა</sup> აბზაცის

შესაბამისად, არ ეკუთვნით თემებს. საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ფედერაციასა და მიწებს შორის ნაწილდება თანაბრად. ფედერაციის და მიწების წილი ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. აღნიშნული წილის განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგი ამოსავალი პრინციპების საფუძველზე:

1. მიმდინარე შემოსავლების ფარგლებში ფედერაციას და მიწებს გააჩნიათ თანაბარი უფლება, დაფარონ თავიანთი აუცილებელი ხარჯები. ასეთ შემთხვევაში ხარჯების მოცულობა განისაზღვრება მრავალწლიანი ფინანსური დაგეგმარების გათვალისწინებით.

2. ფედერაციის და მიწების ხარჯების დაფარვის მოთხოვნილებები ერთმანეთთან მიმართებაში ისე უნდა დარეგულირდეს, რომ მიღწეულ იქნეს ეკონომიკური ბალანსი, თავიდან იქნეს აცილებული გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის უფრო დამძიმება და უზრუნველყოფილ იქნეს ცხოვრების თანაბარი პირობები ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. ბრუნვის გადასახადში ფედერაციის და მიწების წილის განსაზღვრისას დამატებით მხედველობაში მიიღება დაბალი საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც მიწებს წარმოეშობათ 1996 წლის 1 იანვრიდან, საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას ბავშვების გათვალისწინების გამო. დეტალებს განსაზღვრავს ფედერალური კანონი მე-3 აბზაცის შესაბამისად.

(4) ფედერაციის და მიწების წილი ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში უნდა განისაზღვროს თავიდან, თუ ფედერაციის და მიწების შემოსავლების და ხარჯების თანაფარდობა არსებითად იცვლება. ამოუღებელი გადასახადები, რომელთა აკრეფაც მე-3 აბზაცის მე-5 წინადადების შესაბამისად ხდება დამატებით – მხედველობაში არ მიიღება. თუ ფედერალური კანონი მიწებს აკისრებს დამატებით ხარჯებს ან აკლებს შემოსავლებს, აღნიშნული დამატებითი ხარჯების კომპენსაცია შეიძლება განხორციელდეს ფედერალური კანონის საფუძველზე, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ასევე, ამავე მიზნით ფედერალური სახსრებიდან ასიგნებების გამოყოფით, თუ აღნიშნული ხარჯები შემოიფარგლება მცირე დროის მონაკვეთით. კანონში დადგენილი უნდა იყოს აღნიშნული ფინანსური ასიგნებების ოდენობების განსაზღვრის და მიწებს შორის მათი განაწილების პრინციპები.

(5) თემები საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავლიდან იღებენ ნაწილს, რომელიც მიწებმა თემებს უნდა გადასცენ საშემოსავლო გადასახადის სახით თემების მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახდელების მიხედვით. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. აღნიშნულმა კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ თემები ადგენენ მათ მიერ გადასახდელი თანხების წილებს.

(5ა) 1998 წლის 1 იანვრიდან თემები იღებენ წილს ბრუნვის გადასახადიდან. აღნიშნული წილი მიწების მიერ თავიანთ თემებს გადაეცემათ ადგილობრივი და ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. დეტალები განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) მიწის გადასახადიდან და ხელობის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის თემებს. მოხმარების საგნებზე და ხარჯების განსაზღვრულ სახეებზე ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის თემებს ან მიწების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - თემთა გაერთიან-



ნებებს. თემებს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, კანონის შესაბამისად დაადგინონ მინის გადასახადის და ხელობის გადასახადის განაკვეთები. თუ მინის შემადგენლობაში თემები არ არსებობენ, მინის გადასახადიდან და ხელობის გადასახადიდან, ასევე, მოხმარების საგნებზე და ხარჯების განსაზღვრულ სახეებზე ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის მინას. ფედერაციას და მინებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის გაინაწილონ ხელობის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნული განაწილების დეტალები განისაზღვრება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. მინების კანონმდებლობის შესაბამისად მინის და ხელობის გადასახადები, ასევე თემის წილი საშემოსავლო და ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში შეიძლება მიჩნეულ იქნეს საგადასახადო დაბეგურისას გაანგარიშების საფუძველად.

(7) გადასახადებიდან მიღებულ საერთო შემოსავალში მინის წილიდან თემები და თემთა გაერთიანებები საერთო ჯამში ღებულობენ მინების კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცენტს. სხვა შემთხვევებში მინის კანონმდებლობა ადგენს, გადაეცემა თუ არა მინების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი თემებს (თემთა გაერთიანებებს) და თუ გადაეცემა, რა ოდენობით.

(8) თუ ფედერაცია მოითხოვს ცალკეულ მინებში ან თემებში (თემთა გაერთიანებებში) სპეციალური დანესებულებების შექმნას, რომელთა არსებობა და საქმიანობა აღნიშნული მინებისათვის ან თემებისათვის (თემთა გაერთიანებებისათვის) იწვევს ხარჯების უშუალო ზრდას ან შემოსავლების შემცირებას, ასეთ შემთხვევაში ფედერაცია უზრუნველყოფს მათ საჭირო კომპენსაციით, თუ არ შეიძლება ივარაუდებოდეს, რომ მინებს ან თემებს (თემთა გაერთიანებებს) აქვთ შესაძლებლობა, გასწიონ აღნიშნული ხარჯები. კომპენსაცია, რომელიც მომდინარეობს მესამე პირებისგან და ფინანსური უპირატესობა, რომელიც ამ მინებს ან თემებს (თემთა გაერთიანებებს) წარმოეშობათ მითითებული დანესებულებების შექმნის შედეგად, მხედველობაში მიიღება მინების ხარჯების დაბალანსებისას.

(9) მინების შემოსავლებად და ხარჯებად, აღნიშნული მუხლის აზრიდან გამომდინარე, განიხილება აგრეთვე თემების (თემთა გაერთიანებების) შემოსავლები და ხარჯები.

### **მუხლი 106ა.**

1996 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებრივი საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტის შესანახად მინებს გადაეცემათ წილი ფედერაციის საგადასახადო შემოსავლებიდან. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. პირველ წინადადებაში მითითებული წილი მხედველობაში არ მიიღება 107-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად ფინანსური შესაძლებლობების განსაზღვრისას.

### **მუხლი 106ბ.**

2009 წლის 1 ივლისიდან, საავტომობილო ტრანსპორტის გადასახადის ფედერაციაზე გადატანის შედეგად, მინებს ეკუთვნის წილი ფედერაციის საგადასახადო შემოსავლებიდან. დეტალებს ანესრიგებს ფედერაციის კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 107.**

(1) მიწების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი და საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მიწების წილი ცალკეულ მიწებს ეკუთვნით იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღნიშნული გადასახადები საფინანსო ორგანოების მიერ იკრიფება მათ ტერიტორიაზე (ადგილობრივი გადასახადები). დეტალები, რომლებიც ეხება განაწილებას, ასევე საკორპორაციო გადასახადიდან და შრომით გასამრჯელოზე არსებული გადასახადიდან ადგილობრივი შემოსავლების მიღების საშუალებები და განაწილების ფარგლები დადგენილი უნდა იყოს ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. კანონმა ასევე შეიძლება გაითვალისწინოს დებულებები სხვა გადასახადებიდან მიღებული ადგილობრივი შემოსავლების გამოიჯენისა და განაწილების შესახებ. მიწების წილი ბრუნვის გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში ცალკეული მიწებისათვის განისაზღვრება მათი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად; მიწების კუთვნილი შემოსავლების ნაწილისათვის, მაგრამ არა უმეტეს მიწების აღნიშნული წილის ერთი მეოთხედისათვის, ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი წილები იმ მიწებისთვის, რომელთა შემოსავლებიც თითოეულ მოსახლეზე მიწების გადასახადებიდან და საშემოსავლო და საკორპორაციო გადასახადებიდან და 106ბ მუხლის შესაბამისად, სხვა მიწებში არსებულ საშუალო მაჩვენებელზე უფრო ნაკლები აღმოჩნდება; უძრავი ქონების შეძენის გადასახადის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საგადასახადო წარმადობაც.

(2) კანონმა უნდა უზრუნველყოს, რომ მიწების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობები გათანაბრდეს შესაბამის დონეზე. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს თემების (თემთა გაერთიანებების) ფინანსური შესაძლებლობები და ფინანსური მოთხოვნილებები. გამოთანაბრებაზე უფლებამოსილი მიწების მოთხოვნის პირობები და პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნულ გადასახდელთან დაკავშირებით გამოთანაბრებაზე ვალდებული მიწების ვალდებულებებს, ასევე გამოთანაბრებითი სახსრების ოდენობის დადგენის პრინციპები, დგინდება კანონით. კანონმა ასევე შეიძლება განსაზღვროს, რომ ფედეარაცია საკუთარი საშუალებებიდან ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ მიწებს, მათი საერთო ფინანსური მოთხოვნილებების დამატებით დასაფარად, აძლევს სუბსიდიებს (დამატებითი სუბსიდიები).

### **მუხლი 108.**

(1) საბაჟო მოსაკრებლები, ფინანსური მონოპოლიები, ფედერალური კანონმდებლობით რეგულირებადი სამომხმარებლო გადასახადები, მათ შორის საიმპორტო გადასახადი, საავტომობილო ტრანსპორტის გადასახადი და სხვა მოტორიზებულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული გადასახადები, ასევე ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში აკრეფილი გადასახადები 2009 წლის 1 ივლისიდან რეგულირდება ფედერალური საფინანსო ორგანოების მიერ. ამ ორგანოების სტრუქტურა განისაზღვრება ფედერალური კანონით. თუ შექმნილია საშუალო ინსტანციების ორგანოები, მათი ხელმძღვანელები ინიშნებიან მიწების მთავრობების თანხმობით.

(2) სხვა დანარჩენი გადასახადები იმყოფება მიწების საფინანსო ორგანოების მმართველობაში. ამ ორგანოების სტრუქტურა, ასევე შესაბამისი მოხელეების ერთიანი მომზადება შეიძლება დარეგულირდეს ფედერალური კანონით.

ნით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. თუ შექმნილია საშუალო ინსტანციების ორგანოები, მათი ხელმძღვანელები ინიშნებიან ფედერალური მთავრობის თანხმობით.

(3) რამდენადაც გადასახადები მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის ფედერაციას, მიწების საფინანსო ორგანოები მოქმედებენ ფედერაციის დავალებით. 85-ე მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსთა მინისტრი მოქმედებს ფედერალური მთავრობის ნაცვლად.

(4) ფედერალურმა კანონმა, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, იმ შემთხვევებისათვის და იმდენად, რამდენადაც ფინანსური კანონების შესრულება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ან შემსუბუქდება, გადასახადების ადმინისტრირებისას შეიძლება გაითვალისწინოს ფედერალური საფინანსო ორგანოებისა და მიწების საფინანსო ორგანოების თანამშრომლობა, ასევე პირველ აბზაცში აღნიშნული გადასახადების მიწების საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრირება და სხვა გადასახადების ფედერალური საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრირება. იმ გადასახადების ადმინისტრირება, რომელთაგან მიღებული შემოსავალიც ეკუთვნის მხოლოდ თემებს (თემთა გაერთიანებებს) და რომელთა ადმინისტრირებაც შედის მიწების საფინანსო სამსახურების მმართველობაში, მიწების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეთ თემებს (თემთა გაერთიანებებს).

(5) ფედერალური საფინანსო ორგანოების მიერ გამოყენებული პროცედურა რეგულირდება ფედერალური კანონით. მიწების საფინანსო ორგანოების მიერ გამოსაყენებელი პროცედურა და მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებაში მითითებულ შემთხვევებში თემების (თემთა გაერთიანებების) მიერ გამოსაყენებელი პროცედურა შეიძლება დარეგულირდეს ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) იურისდიქცია საფინანსო საქმეებზე რეგულირდება საერთო საწყისებზე, ფედერალური კანონით.

(7) ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული დებულებები, თუ გადასახადების ადმინისტრირება დაკისრებული აქვს მიწების საფინანსო ორგანოებს ან თემებს (თემთა გაერთიანებებს).

### **მუხლი 109.**

(1) თავიანთ საბიუჯეტო მეურნეობაში ფედერაცია და მიწები არიან თავისუფალი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.

(2) ფედერაცია და მიწები ერთობლივად ასრულებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ევროპული კავშირის სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს ევროპული კავშირის დაარსების შესახებ ხელშეკრულების 104-ე მუხლის საფუძველზე საბიუჯეტო სამართლის დაცვის მიზნით და ამ ფარგლებში ანგარიშს უწვენ საერთო ეკონომიკური ბალანსის მოთხოვნებს.

(3) ფედერაციისა და მიწების ბიუჯეტები, როგორც წესი, კრედიტებიდან შემოსავლების გარეშე უნდა იქნეს დაბალანსებული. ფედერაციასა და მიწებს აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდში ნორმალური მდგომარეობიდან განსხვავებული კონიუნქტურული განვითარების სიმეტრიული გათვალისწინების მიზნით შეუძლიათ დაადგინონ პრინციპები, ასევე საგამონაკლისო წესები იმ სტიქიური უბედურებების ან გაუთვალისწინებელი საგანგებო ვითარებებისათვის, რომლებიც არ არის მოქცეული სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და სახელმწიფო ფინანსებზე მნიშვნელოვნად მოქმედებენ. საგამონაკლისო წესი-

სათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაფარვის სათანადო სქემა. დეტალურ განვითარებას ფედერაციის ბიუჯეტისათვის არეგულირებს მუხლი 115-ე იმ პირობით, რომ წინადადება 1 გამოიყენება, თუ შემოსავლები კრედიტიდან არ აჭარბებს ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 0,35%-ს. მინების ბიუჯეტების დეტალურ განვითარებას არეგულირებენ ესენი მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი კომპეტენციის ფარგლებში იმ პირობით, რომ წინადადება 1 მაშინ არის შესრულებული, თუ კრედიტიდან შემოსავლები არ იქნება დაშვებული.

(4) ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ფედერაციის და მინებისთვის შეიძლება დადგინდეს მეურნეობის კონიუნქტურასთან შეთავსების, ასევე, მრავალწლიანი ფინანსური დაგეგმარების, საბიუჯეტო სამართლისა და საბიუჯეტო პოლიტიკის წარმართვის საერთო პრინციპები.

1. ტერიტორიული კორპორაციებისა და მიზნობრივი კავშირებისათვის გასაცემი კრედიტის მაქსიმალური თანხა, პირობები და თანმიმდევრულობა და

2. ფედერაციისა და მინების ვალდებულება, საკუთარი უპროცენტო აქტივები შეინახონ გერმანიის ფედერალურ ბანკში (რეზერვები ბალანსის კონიუნქტურული დარღვევის შემთხვევისათვის). მხოლოდ ფედერალურ მთავრობას შეუძლია მიანიჭოს სამართლებრივი განკარგულებების გამოცემის უფლებამოსილება. აღნიშნული განკარგულებები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას. ისინი უნდა გაუქმდეს, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგი. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

(5) ევროპის გაერთიანების სანქციებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ფედერაცია და მინები ახორციელებენ პროპორციული შეფარდებით 65-ი 35-თან. ყველა მინა სოლიდარულად ახორციელებს საკუთარი მოსახლეობის პროპორციულად საერთო ვალდებულების 35%-ს; ვალდებულებების 65% მოდის მინებზე მათ მიერ გამონეული ვალდებულებების პროპორციულად. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელსაც ბუნდესრატის თანხმობა ესაჭიროება.

### **მუხლი 109ა.**

ბიუჯეტების კრიზისების თავიდან ასაცილებლად ფედერალური კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას, ანესრიგებს შემდეგ საკითხებს:

1. ფედერაციისა და მინების საბიუჯეტო მეურნეობაზე უწყვეტი მონიტორინგი ერთობლივი ორგანოს (სტაბილურობის საბჭოს) მიერ;

2. მოსალოდნელი საბიუჯეტო კრიზისის დადგენისათვის წინაპირობები და ნესი;

3. ბიუჯეტების კრიზისების თავიდან ასაცილებლად საჭირო პრინციპების დადგენა და აღდგენითი ღონისძიებების გატარება.

სტაბილურობის საბჭოს დადგენილებები და საფუძვლად აღებული სარეკომენდაციო მასალები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს.

### **მუხლი 110.**

(1) ფედერაციის ყველა შემოსავალი და ხარჯი უნდა აისახოს ბიუჯეტში. ფედერალური საწარმოების და სპეციალური ქონების შემთხვევაში უნდა აისახოს მხოლოდ დამატებითი ასიგნებები და დაქვითვები შემოსავლიდან. შემოსავლები და ხარჯები დაბალანსებული უნდა ბიუჯეტში.

(2) ბიუჯეტი მტკიცდება საბიუჯეტო კანონით, ერთი ან რამდენიმე საანგარიშო წლით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყოველი წლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველ წელს განცალკევებულად, პირველი საანგარიშო წლის დაწყებამდე. კანონმა საანგარიშო წლების მიხედვით შეიძლება გაითვალისწინოს ბიუჯეტის ზოგიერთი თავის მოქმედების განსხვავებული ვადები.

(3) მე-2 აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად მომზადებული კანონპროექტი, ასევე პროექტები საბიუჯეტო კანონში ცვლილების ან ბიუჯეტში შესწორებების შეტანის შესახებ, განმარტებით ბარათთან ერთად ერთდროულად შეიტანება ბუნდესრატში და ბუნდესტაგში. ბუნდესრატს უფლება აქვს, ექვსი კვირის განმავლობაში, ხოლო ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის შემთხვევაში – სამი კვირის განმავლობაში გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით.

(4) საბიუჯეტო კანონში უნდა აისახოს მხოლოდ ის დებულებები, რომლებიც ეხება ფედერაციის შემოსავლებს და ხარჯებს და საბიუჯეტო კანონის მოქმედების ვადას. საბიუჯეტო კანონით შეიძლება განისაზღვროს, რომ დებულებები ძალას კარგავენ მხოლოდ შემდეგი საბიუჯეტო კანონის გამოქვეყნებისთანავე ან უფრო გვიან, 115-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

### **მუხლი 111.**

(1) თუ მომდევნო წლის ბიუჯეტი საანგარიშო წლის დასრულებამდე არ არის დამტკიცებული კანონით, ასეთ შემთხვევაში შემდგომ, აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე, ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია გასწიოს ყველა ხარჯი, რომელიც აუცილებელია:

ა) კანონით განსაზღვრული დანესებულებების შესანახად და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად;

ბ) ფედერაციის იურიდიულად დასაბუთებული ვალდებულებების შესასრულებლად;

გ) მშენებლობების, შესყიდვების და სხვა სამუშაოების გასაგრძელებლად ან შემდგომში აღნიშნული მიზნებისათვის სახსრების გამოსაყოფად, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შესაბამისი თანხები გათვალისწინებული იყო წინა წლის ბიუჯეტით.

(2) თუ პირველ აბზაცში მითითებული ხარჯები არ იფარება სპეციალური კანონებით დადგენილი გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან და სხვა წყაროებიდან ან სანარმოთა სარეზერვო საშუალებებიდან მიღებული შემოსავლებით, ფედერალურ მთავრობას შეუძლია ეკონომიკის მდრადი განვითარების შენარჩუნებისათვის საჭირო საშუალებების მობილიზაცია მოახდინოს კრედიტების საშუალებით, მაგრამ არა უმეტეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის საერთო თანხის ერთი მეოთხედის ოდენობით.

### **მუხლი 112.**

ზეგეგმიური და არაგეგმიური ხარჯები საჭიროებენ ფედერალური ფინანსთა მინისტრის თანხმობას. ასეთი ხარჯების განევა შესაძლებელია ნებადართული იქნეს მხოლოდ გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით.

### **მუხლი 113.**

(1) კანონები, რომლებითაც იზრდება ფედერალური მთავრობის მიერ შემოთავაზებული საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ახალ ხარჯებს, ან მომავალში გამოინვევენ მათ, საჭიროებს ფედერალური მთავრობის თანხმობას. აღნიშნული ვრცელდება ასევე იმ კანონებზეც, რომლებიც ითვალისწინებენ შემოსავლების შემცირებას ან მომავალში გამოინვევენ მათ. ფედერალურ მთავრობას შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა გადადოს აღნიშნული კანონების თაობაზე გადანყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში ფედერალურმა მთავრობამ საკუთარი მოსაზრებები ბუნდესტაგში უნდა წარადგინოს ექვსი კვირის განმავლობაში.

(2) ფედერალურ მთავრობას ბუნდესტაგის მიერ კანონის მიღების შემდეგ ოთხი კვირის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა თავიდან განიხილოს საკითხი.

(3) თუ კანონი ძალაში შევიდა 78-ე მუხლის შესაბამისად, ფედერალურ მთავრობას შეუძლია მის მიერ გაცემულ თანხმობაზე უარი განაცხადოს მხოლოდ ექვსი კვირის განმავლობაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან წინასწარ გამოიყენა პირველი აბზაცის მე-3 და მე-4 წინადადებებით ან მე-2 აბზაცით გათვალისწინებული პროცედურები. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თანხმობა გაცემულად ჩაითვლება.

### **მუხლი 114.**

(1) ფედერალური ფინანსთა მინისტრი ვალდებულია ფედერალური მთავრობის დავალებით, ბუნდესტაგს და ბუნდესრატს წარუდგინოს ანგარიში მომდევნო საფინანსო წლისათვის ყველა შემოსავლის და ხარჯის, ასევე, სახელმწიფო ქონებების და ვალების მდგომარეობის შესახებ.

(2) ფედერალური საანგარიშო პალატა, რომლის წევრებიც სარგებლობენ მონამართლეთა დამოუკიდებლობით, ამონიშნავს ანგარიშებს, ასევე, მმართველობის რენტაბელურობას და მართულობიერებას ეკონომიკურ და საბიუჯეტო სფეროში. პალატა ვალდებულია საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად მიანდოს როგორც მთავრობას, ასევე უშუალოდ ბუნდესტაგს და ბუნდესრატს. ფედერალური საანგარიშო პალატის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება ფედერალური კანონით.

### **მუხლი 115.**

(1) კრედიტების აღება, ასევე ფინანსური პასუხისმგებლობის აღება იმ ვალდებულებებზე, გარანტიებზე და უზრუნველყოფის სხვა სახეებზე, რომელთაც შეუძლიათ გამოინვიონ ხარჯები მომავალ საანგარიშო წლებში, საჭიროებენ უფლებამოსილების საკანონმდებლო დონეზე დადგენას.

(2) შემოსავალი და ხარჯი დაბალანსებულ უნდა იქნეს, როგორც წესი, კრედიტებიდან შემოსავლების გარეშე. ეს პრინციპი შესრულებულად ითვლება, თუ შემოსავლები კრედიტებიდან არ აჭარბებს ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 0,35%-ს. აღმავლობისა და დაღმასვლის პერიოდში დამატებით სიმეტრიულად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნორმალური მდგომარეობიდან განსხვავებული კონიუნქტურული განვითარების დროს ზეგავლენები ბიუჯეტზე. კრედიტებისათვის პირველი და მე-3 წინადადებებით გათვალისწინებული ზედა ზღვარიდან გადახვევები ფაქტიურად აღებულ კრედიტებთან დაკავშირებით აისახება საკონტროლო ანგარიშზე: /ვალდებულებე-

ბი, რომლებიც 1,5%-ზე მეტია ნორმალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, კონიუნქტურის შესაბამისად უნდა დაბრუნდეს. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, კერძოდ კი ფედერაციის სპეციალურ ქონებასთან მიმართებით ფედერალური კანონით შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისები პირველი აბზაციდან.

## **Xა. თავდაცვის მდგომარეობა**

### **მუხლი 115ა.**

(1) ფედერაციის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტის ან ასეთი თავდასხმის უშუალო საფრთხის არსებობის (თავდაცვის მდგომარეობა) კონსტატაციას ახდენს ბუნდესტაგი, ბუნდესრატის თანხმობით. კონსტატაცია ხორციელდება ფედერალური მთავრობის ნინადადებით და საჭიროებს მიცემული ხმების ორ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ბუნდესტაგის ნევრთა ხმების უმრავლესობისა.

(2) თუ მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ მოქმედებას, ხოლო ბუნდესტაგის დროულ მონევეას ხელს უშლის გადაულახავი დაბრკოლებები ან ბუნდესტაგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები, ასეთ შემთხვევაში კონსტატაციას მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობით და არანაკლებ კომიტეტის ნევრთა უმრავლესობით, ახდენს ერთობლივი კომიტეტი.

(3) თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია, ფედერალური პრეზიდენტის მიერ 82-ე მუხლის შესაბამისად ქვეყნდება „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“. თუ აღნიშნულის დროულად განხორციელება შეუძლებელია, გამოქვეყნება უნდა მოხდეს სხვა საშუალებით. როგორც კი შეიქმნება შესაბამისი პირობები თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია უნდა გამოქვეყნდეს „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“.

(4) თუ ფედერაციის ტერიტორიაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა და კომპეტენტური ფედერალური ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, პირველი აბზაცის პირველი ნინადადების შესაბამისად დაუყოვნებლივ მოახდინონ თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია, ასეთ შემთხვევაში თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია ითვლება დადგენილად და გამოქვეყნებულად შეიარაღებული თავდასხმის დაწყების მომენტიდან. როგორც კი შეიქმნება შესაბამისი პირობები ფედერალურმა პრეზიდენტმა უნდა განაცხადოს აღნიშნული მომენტის შესახებ.

(5) თუ თავდაცვის მდგომარეობის კონსტატაცია გამოქვეყნებულია და ფედერაციის ტერიტორიაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა, ასეთ შემთხვევაში ფედერალურ პრეზიდენტს, ბუნდესტაგის თანხმობით, შეუძლია გააკეთოს საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათის განცხადება თავდაცვის მდგომარეობის არსებობის შესახებ. მე-2 აბზაცში მითითებული ნინაპირობების არსებობისას ბუნდესტაგს ცვლის ერთობლივი კომიტეტი.–

### **მუხლი 115ბ.**

თავდაცვის მდგომარეობის გამოქვეყნების მომენტიდან შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გადაეცემა ფედერალურ კანცლერს.

### **მუხლი 115გ.**

(1) თავდაცვის მდგომარეობის დროს ფედერაციას აქვს უფლება გამოსცეს კონკურენციული კანონმდებლობა იმ საკითხებზეც, რომელთა რეგულირებაც შედის მიწების საკანონმდებლო კომპეტენციაში. აღნიშნული კანონები საჭიროებენ ბუნდესრატის თანხმობას.

(2) რამდენადაც ამას მოითხოვს თავდაცვის მდგომარეობის დროს არსებული პირობები ფედერალური კანონებით შესაძლებელია:

1. დროებით, მე-14 მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადებისაგან განსხვავებულად, დარეგულირდეს საკუთრების ჩამორთმევისას ანაზღაურების საკითხი;

2. განისაზღვროს 104-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-3 და მე-3 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადისგან განსხვავებული ვადა, მაგრამ არა უმეტეს ოთხი დღისა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი უფლებამოსილება განახორციელოს მშვიდობიანი დროისათვის დადგენილ საერთო ვადაში.

(3) იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია რეალური ან უშუალო საფრთხის აღსაკვეთად, ფედერალური კანონით, ბუნდესრატის თანხმობით, თავდაცვის მდგომარეობის დროს შეიძლება ფედერაციის და მიწების მართვა და ფინანსები დარეგულირდეს VIII VIII<sup>o</sup> და X თავების დებულებებისაგან განსხვავებულად. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს მიწების, თემების (თემთა გაერთიანებების) სიცოცხლისუნარიანობის ინტერესები, განსაკუთრებით, ფინანსური თვალსაზრისით.

(4) პირველ აბზაცში და მეორე აბზაცის პირველ პუნქტში მითითებული ფედერალური კანონები, მათი აღსრულების მოსამზადებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს თავდაცვის მდგომარეობის დადგომამდე.

### **მუხლი 115დ.**

(1) თავდაცვის მდგომარეობის დროს ფედერალური კანონმდებლობისათვის მოქმედებს 76-ე მუხლის მე-2 აბზაცის, 77-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების და მე-2-4 აბზაცებისგან გასხვავებული, ამ მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებში მოცემული რეგულირება.

(2) ფედერალური მთავრობის კანონპროექტები, რომლებსაც მთავრობა გადაუდებლად მიიჩნევს, ბუნდესრატს და ბუნდესტაგს უნდა გადაეცეს ერთდროულად. აღნიშნულ კანონპროექტებს ბუნდესტაგი და ბუნდესრატი განიხილავენ დაუყოვნებლივ და ერთობლივად. რამდენადაც კანონის მიღებისათვის აუცილებელია ბუნდესრატის თანხმობა, კანონის ძალაში შესვლისათვის საჭიროა მისი ხმების უმრავლესობის თანხმობა. დეტალებს არეგულირებს რეგლამენტი, რომელსაც ბუნდესრატის თანხმობით იღებს ბუნდესტაგი.

(3) ამ კანონების გამოქვეყნებაზე შესაბამისად ვრცელდება 115ა მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება.

### **მუხლი 115ე.**

(1) თუ თავდაცვის მდგომარეობის დროს ერთობლივი კომიტეტი მიცემული ხმების ორი მესამედის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომიტეტის წევრთა უმრავლესობისა, დაადგენს, რომ ბუნდესტაგის დროულ შეკრებას ხელს უშლის გადაულახავი დაბრკოლებები, ან თუ ბუნდესტაგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ასეთ შემთხვევაში ერთობლივი კომიტეტი ცვლის ბუნდესტაგს და ბუნდესრატს და ერთიანი ორგანოს სახით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.



(2) ერთობლივი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონით არ შეიძლება შეიცვალოს ძირითადი კანონი, მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმდეს ან შეჩერდეს მისი მოქმედება. ერთობლივი კომიტეტი არ არის უფლებამოსილი, გამოსცეს 23-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადებაში, 24-ე მუხლის პირველ აბზაცში და 29-ე მუხლში მითითებული კანონები.

### **მუხლი 115ე.**

(1) თავდაცვის მდგომარეობის დროს, რამდენადაც ამას მოითხოვენ გარემოებები, ფედერალურ მთავრობას შეუძლია:

1. ფედერალური საზღვრის დაცვის ორგანოები გამოიყენოს ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე;

2. ფედერალური ადმინისტრაციის გარდა მითითებები მისცეს მინების მთავრობებს და თუ გადაუდებლად მიიჩნევს, ასევე მინების ხელისუფლების ორგანოებს და აღნიშნული მითითებების გაცემის უფლებამოსილება გადასცეს მის მიერ განსაზღვრულ მინების მთავრობების წევრებს.

(2) ბუნდესტაგს, ბუნდესრატს და ერთობლივ კომიტეტს დაუყოვნებლივ უნდა მიენოღოს ინფორმაცია პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ.

### **მუხლი 115ზ.**

დაუშვებელია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სტატუსის, სასამართლოს და მისი მოსამართლეების მიერ მათთვის კონსტიტუციით დაკისრებული ამოცანების შესრულების ხელყოფა. კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ერთობლივი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრითაც აუცილებელია სასამართლოს ფუნქციონირების უნარის შენარჩუნებისთვის. ასეთი კანონის გამოცემამდე ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს სასამართლოს მუშაობის უნარის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომები. მე-2 და მე-3 წინადადებების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიიღება დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.

### **მუხლი 115თ.**

(1) ბუნდესტაგის ან მინების სახალხო წარმომადგენლობების ორგანოების უფლებამოსილების პერიოდი, რომელიც იწურება თავდაცვის მდგომარეობის დროს, მთავრდება თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ. ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა, რომელიც იწურება თავდაცვის მდგომარეობის დროს, ასევე პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებისას მისი უფლებამოსილებების ბუნდესრატის თავმჯდომარის მიერ განხორციელების ვადა მთავრდება თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან ცხრა თვის შემდეგ. ფედერალური სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა, რომელიც იწურება თავდაცვის მდგომარეობის დროს, მთავრდება თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ.

(2) თუ აუცილებელია ერთობლივი კომიტეტის მიერ ახალი ფედერალური კანცლერის არჩევა, ერთობლივი კომიტეტი ახალ ფედერალურ კანცლერს ირჩევს საკუთარი წევრების უმრავლესობით. წინადადებას ერთობლივ კომიტეტს წარუდგენს ფედერალური პრეზიდენტი. ერთობლივ კომიტეტს ფედერალური კანცლერისათვის უნდობლობის გამოცხადება შეუძლია მხოლოდ საკუთარი

წევრების ორი მესამედის უმრავლესობით მისი უფლებამონაცვლის არჩევის გზით.

(3) თავდაცვის მდგომარეობის დროს ბუნდესტაგის დათხოვნა დაუშვებელია.

### **მუხლი 115ი.**

(1) თუ კომპეტენტური ფედერალური ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მიიღონ საფრთხის აღსაკვეთად საჭირო ზომები, ხოლო მდგომარეობა გადაუდებლად მოითხოვს ფედერალური ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებში დაუყოვნებლივ დამოუკიდებელ მოქმედებებს, ასეთ შემთხვევაში ფედერალური მინების მთავრობები ან მათ მიერ განსაზღვრული ხელისუფლების ორგანოები ან უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები უფლებამოსილი არიან, მათი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ 115ე მუხლის პირველ აბზაცში მითითებული ზომები.

(2) პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებული ზომები შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ფედერალური მთავრობის მიერ, ხოლო მინების ხელისუფლების ორგანოებისა და ქვემდგომი ფედერალური ორგანოების მიერ მიღებული ზომები - ასევე, მინების პრემიერ-მინისტრების მიერაც.

### **მუხლი 115კ.**

(1) 115გ, 115ე და 115ზ მუხლებით გათვალისწინებული კანონების და ამ კანონების საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი განკარგულებების მოქმედების პერიოდში არ მოქმედებს სამართალი, რომელიც მათ ეწინააღმდეგება. აღნიშნული არ ვრცელდება ადრე მოქმედ სამართალზე, რომელიც გამოცემული იყო 115გ, 115ე და 115ზ მუხლების საფუძველზე.

(2) კანონები, რომლებიც გამოსცა ერთობლივმა კომიტეტმა და სამართლებრივი განკარგულებების, რომლებიც გამოცემულია აღნიშნული კანონების საფუძველზე, ძალას კარგავენ თავდაცვის მდგომარეობის დასრულებიდან არა უგვიანეს ექვს თვეში.

(3) კანონები, რომლებიც შეიცავენ 91ა, 91ბ, 104ა, 106-ე და 107-ე მუხლების დებულებებისაგან განსხვავებულ რეგულირებას, მოქმედებენ არა უმეტეს თავდაცვის მდგომარეობის დასრულების შემდგომ მეორე საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. აღნიშნული კანონები, თავდაცვის მდგომარეობის დასრულების შემდეგ, VIIIა და X ნაწილებით გათვალისწინებულ რეგულირებაზე გადასასვლელად ბუნდესრატის თანხმობით შეიძლება შეიცვალოს ფედერალური კანონით.

### **მუხლი 115ლ.**

(1) ბუნდესტაგს შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, ნებისმიერ დროს გააუქმოს ერთობლივი კომისიის მიერ გამოცემული კანონები. ბუნდესრატს შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. ერთობლივი კომიტეტის ან ფედერალური მთავრობის მიერ საფრთხის აღსაკვეთად მიღებული სხვა ზომები უნდა გაუქმდეს, თუ აღნიშნულს გადაწყვეტს ბუნდესტაგი და ბუნდესრატი.

(2) ბუნდესტაგს შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, ნებისმიერ დროს გამოაცხადოს თავდაცვის მდგომარეობის დასრულება, რაც ქვეყნდება ფედერალური პრეზიდენტის მიერ. ბუნდესრატს შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. თავდაცვის მდგომარეობა დასრულებულად უნდა გამოცხადდეს დაუყოვნებლივ, თუ აღარ არსებობს მისი კონსტატაციისათვის აუცილებელი წინაპირობები.

(3) გადაწყვეტილება სამშვიდობო შეთანხმების შესახებ მიიღება ფედერალური კანონის მეშვეობით.

## **XI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 116.**

(1) ამ ძირითადი კანონის არსიდან გამომდინარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გერმანელად ითვლება ის, ვინც ფლობს გერმანიის მოქალაქეობას, ან როგორც ლტოლვილი ან გერმანელი ეროვნების დევნილი პირი ან აღნიშნული პირებიდან ერთ-ერთის მეუღლე ან შთამომავალი მიღებულ იქნა გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე, მისი 1937 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(2) ყოფილი გერმანიის მოქალაქეებს, რომლებსაც 1933 წლის 30 იანვრიდან 1945 წლის 8 მაისამდე პერიოდში, მოქალაქეობა ჩამოერთვათ პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური მოტივებით, ასევე, მათ შთამომავლებს, მოქალაქეობა აღუდგებათ მათი განცხადებით. ითვლება, რომ მათ მოქალაქეობა არ დაუკარგავთ, თუ 1945 წლის 8 მაისის შემდეგ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი მიიღეს გერმანიაში და თუ არ გამოუთქვამთ აღნიშნულის საწინააღმდეგო სურვილი.

### **მუხლი 117.**

(1) სამართალი, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის დებულებას, ძირითადი კანონის აღნიშნულ დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანამდე რჩება ძალაში, მაგრამ არა უგვიანეს 1953 წლის 31 მარტისა.

(2) კანონები, რომლებიც საცხოვრებელ ფართზე მოცემულ მომენტში არსებული საჭიროების გათვალისწინებით ზღუდავენ გადაადგილების თავისუფლებას, ძალაში რჩება მათი ფედერალური კანონით გაუქმებამდე.

### **მუხლი 118.**

იმ ტერიტორიის ახალი დაყოფა, რომელიც მოიცავს ბადენის, ვიურტენბერგ-ბადენის და ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლლერნის მიწებს, შეიძლება განხორციელდეს 29-ე მუხლის დებულებებისაგან განსხვავებულად, დაინტერესებული მიწების შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ტერიტორიის ახლებური დაყოფა რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სახალხო გამოკითხვას.

### **მუხლი 118<sup>b</sup>.**

იმ ტერიტორიის ახლებური დაყოფა, რომელიც მოიცავს ბერლინის და ბრანდენბურგის მიწებს, შეიძლება განხორციელდეს 29-ე მუხლის დებულებებისაგან განსხვავებულად, აღნიშნული მიწების ამომრჩეველების მონაწილეობით და ორივე მიწის თანხმობით.

### **მუხლი 119.**

ლტოლვილების და დევნილი პირების საქმეებზე, განსაკუთრებით მათ მიწებში განაწილებასთან დაკავშირებით, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, ფედერალურ საკანონმდებლო რეგულირებამდე გამოსცეს კანონის ძალის მქონე განკარგულებები. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში ფედერალურ მთავრობას შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, გასცეს ცალკეუ-

ლი მითითებები. აღნიშნული მითითებები, გარდა დაყოვნებისას საფრთხის არსებობის შემთხვევებისა, მიმართული უნდა იყოს მიწების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი.

### **მუხლი 120.**

(1) ფედერაციას ეკისრება საოკუპაციო და ომის შედეგებიდან გამომდინარე სხვა საშინაო და საგარეო ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები ფედერალური კანონების დეტალური განსაზღვრების შესაბამისად. რამდენადაც მითითებული, ომის შედეგებიდან გამომდინარე ვალდებულებები 1969 წლის 1 ოქტომბრამდე დარეგულირებულია ფედერალური კანონებით, ფედერაციას და მიწებს ხარჯები ამ კანონებით განსაზღვრული პროპორციულობით, ეკისრებათ იმდენად, რამდენადაც ომის შედეგებიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომლებიც ფედერალური კანონებით არ არის დარეგულირებული და არც დარეგულირდება, 1965 წლის 1 ოქტომბრამდე ეკისრებოდათ მიწებს, თემებს (თე მთა გაერთიანებებს) ან ამოცანების შემსრულებელ სხვა სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებდნენ მიწების და თემების ამოცანებს. ფედერაცია აღნიშნული თარიღის შემდეგაც არ არის ვალდებული თავის თავზე აიღოს აღნიშნული სახის ხარჯების დაფარვა. ფედერაციას ეკისრება სოციალური დაზღვევის, მათ შორის უმუშევრობისაგან დაზღვევის და უმუშევრობაზე შემწეობის ვალდებულებების სუბსიდირება. ფედერაციასა და მიწებს შორის ომის შედეგებიდან გამომდინარე ვალდებულებების განაწილება, რაც რეგულირდება მოცემული აბზაცით, არ ეხება ომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების საკანონმდებლო რეგულირებას.

(2) შემოსავლები ფედერაციას გადაეცემა იმ დროსათვის, როცა ფედერაცია თავის თავზე აიღებს ხარჯებს.

### **მუხლი 120ა.**

(1) ბუნდესრატის თანხმობით კანონებით, რომლებიც ემსახურება მიწების ხარჯების დაბალანსებას, შეიძლება განისაზღვროს, რომ აღნიშნული ხარჯების დაფარვა ხორციელდება ნაწილობრივ ფედერაციის და ნაწილობრივ ფედერაციის დავალებით მიწების მიერ და რომ 85-ე მუხლის საფუძველზე ფედერალური მთავრობისა და კომპეტენტური უმაღლესი ფედერალური ორგანოების კომპეტენციაში შემავალი უფლებამოსილება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა ხარჯების დაბალანსებაზე პასუხისმგებელ ფედერალურ უწყებას. ფედერალური უწყება აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას ბუნდესრატის თანხმობას არ საჭიროებს. მისი მითითებები, გადაუდებელი შემთხვევების გამოკლებით, მიმართული უნდა იყოს მიწების უმაღლესი ორგანოებისადმი (ხარჯების დაბალანსებაზე უფლებამოსილი მიწების უწყებები).

(2) 87-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება რჩება ძალაში.

### **მუხლი 121.**

ბუნდესტაგის და ფედერალური კრების წევრების უმრავლესობას, ამ ძირითადი კანონის არსიდან გამომდინარე, წარმოადგენს მათი წევრების კანონით დადგენილი რაოდენობა.

### **მუხლი 122.**

(1) ბუნდესტაგის შეკრების დღიდან კანონები მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ ძირითადი კანონით აღიარებული საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ.

(2) აღნიშნული მომენტიდან უქმდება საკანონმდებლო და კანონმდებლობის საკონსულტაციო კოლეგიები, რომელთა კომპეტენცია სრულდება პირველი აბზაცის შესაბამისად.

### **მუხლი 123.**

(1) სამართალი, რომელიც მოქმედებდა ბუნდესტაგის პირველ შეკრებამდე, აგრძელებს მოქმედებას, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება ძირითად კანონს.

(2) გერმანიის იმპერიის მიერ იმ საკითხებზე დადებული სახელმწიფო ხელშეკრულებები, რომლებზეც ამ ძირითადი კანონის მიხედვით, კომპეტენტურია მინების კანონმდებლობა, თუ ისინი ნამდვილია სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად და მონაწილეთა ყველა უფლებებისა და შეპასუხებების მხედველობაში მიღებით რჩება ძალაში, აგრძელებენ მოქმედებას, ვიდრე ამ ძირითადი კანონით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოების მიერ არ იქნება დადებული ახალი სახელმწიფო ხელშეკრულებები, ან ვიდრე აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედება, მათში ასახული დებულებების საფუძველზე არ შეწყდება სხვა საშუალებით.

### **მუხლი 124.**

სამართალი, რომელიც ეხება ფედერაციის განსაკუთრებული კომპეტენციის საკითხებს, თავისი მოქმედების სფეროში წარმოადგენს ფედერალურ სამართალს.

### **მუხლი 125.**

სამართალი, რომელიც ეხება ფედერაციის კონკურენციული კანონმდებლობის საკითხებს, თავისი მოქმედების სფეროში წარმოადგენს ფედერალურ სამართალს, თუ:

1. იგი ერთნაირად მოქმედებს ერთ ან რამდენიმე საოკუპაციო ზონაში;
2. საქმე ეხება სამართალს, რომლითაც 1945 წლის 8 მაისის შემდეგ შეიცვალა ადრე მოქმედი იმპერიის სამართალი.

### **მუხლი 125ა.**

(1) სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გამოცემულია როგორც ფედერალური სამართალი, მაგრამ 74-ე მუხლის პირველი აბზაცის ცვლილების, 84-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-7 წინადადების, 85-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების ან 106-ე მუხლის მე-2ა აბზაცის მე-2 წინადადების ჩასმის ან 74ა, 75-ე ან 98-ე მუხლის მე-3 აბზაციე მე-3 წინადადების გაუქმების შედეგად აღარ შეიძლება გამოიყენოს ფედერალური სამართლის სახით, აგრძელებენ მოქმედებას როგორც ფედერალური სამართალი. ისინი შეიძლება შეიცვალოს მინების სამართლით. აღნიშნული სამართლებრივი დებულებები შეიძლება შეიცვალოს მინების სამართალით.

(2) სამართლებრივი დებულებები, რომლებიც 72-ე მუხლის მე-2 აბზაცის საფუძველზე 1994 წლის 15 ნოემბრამდე არსებული რედაქციით არის გამოცემული, მაგრამ 72-ე მუხლის მე-2 აბზაცის ცვლილების შედეგად აღარ შეიძლება გამოიყენოს ფედერალური სამართლის სახით, აგრძელებენ მოქმედებას როგორც ფედერალური სამართალი. ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ აღნიშნული სამართლებრივი დებულებები შეიძლება შეიცვალოს მინების სამართალით.

(3) სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გამოცემულია როგორც მინების სამართალი, მაგრამ 73-ე მუხლის ცვლილების შედეგად აღარ შეიძლება გამოიყენოს როგორც მინების სამართალი, აგრძელებენ მოქმედებას როგორც მინების სამართალი. აღნიშნული სამართლებრივი დებულებები შეიძლება შეიცვალოს ფედერალური სამართლით.

### **მუხლი 125ბ**

(1) სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გამოცემულია 75-ე მუხლის საფუძველზე 2006 წლის 1 სექტემბრამდე არსებული რედაქციით და რომლებიც ამ მომენტიდან შეიძლება გამოიყენოს როგორც ფედერალური სამართალი, აგრძელებენ მოქმედებას, როგორც ფედერალური სამართლებრივი დებულებები. ამდენად, კვლავ მოქმედებენ კანონმდებლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები და მოვალეობები. 72-ე მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ სფეროებში მინებს შეუძლიათ დაადგინონ ამ სამართლებრივი დებულებებიდან განსხვავებული წესები, მხოლოდ 72-ე მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადების მე-2, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხოლოდ მაშინ, თუ ფედერაციამ 2006 წლის პირველი სექტემბრიდან გამოიყენა თავისი საკანონმდებლო უფლებამოსილება - მე-2 და მე-5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არა უგვიანეს 2010 წლის პირველი სექტემბრიდან, მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არა უგვიანეს 2008 წლის პირველი აგვისტოდან.

(2) მინებს შეუძლიათ სამართლებრივი დებულებებიდან, რომლებიც გამოცემულია 84-ე მუხლის პირველი აბზაცის საფუძველზე 2006 წლის 1 სექტემბრამდე არსებული რედაქციით, დაადგინონ განსხვავებული წესები, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესების 2008 წლის 31 დეკემბრამდე არსებულ რედაქციაში კი მხოლოდ მაშინ, თუ 2006 წლის პირველი სექტემბრიდან დღეს მოქმედ ფედერალურ კანონში ადმინისტრაციული სამართალწარმოების მარეგულირებელ წესებში შესულია ცვლილებები.

### **მუხლი 125გ**

(1) სამართლებრივი წესები, რომლებიც გამოცემულია 91ა მუხლის მე-2 აბზაცის და პირველი აბზაცის პირველი პუნქტის საფუძველზე 2006 წლის პირველი სექტემბრის რედაქციით, ძალაშია 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

(2) 104ა მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვით დადგენილი, 2006 წლის პირველ სექტემბრამდე არსებული რედაქციით მუნიციპალური ტრანსპორტის დაფინანსებისა და სოციალური საცხოვრისის განვითარების ხელშეწყობის სფეროებისათვის მიღებული სამართლებრივი დებულებები აგრძელებენ მოქმედებას 2006 წლის 31 დეკემბრამდე. სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გამოცემულია მუნიციპალური ტრანსპორტის დაფინანსების სფეროში სპეციალური პროგრამებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტის დაფინანსების შესახებ კანონის §6-ის პირველი აბზაცის შესაბამისად, ასევე სხვა 104ა მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვით დადგენილი, 2006 წლის 1 სექტემბრამდე არსებული რედაქციით მოქმედი დებულებები აგრძელებენ მოქმედებას, თუ გაუქმებისათვის არ არის ან არ იქნება დადგენილი უფრო ადრეული თარიღი.

### **მუხლი 126.**

თუ არსებობს უთანხმოება იმის თაობაზე, სამართლებრივი დებულებები აგრძელებენ თუ არა მოქმედებას ფედერალური სამართლის სახით, გადანყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

### **მუხლი 127.**

ფედერალურ მთავრობას შეუძლია დაინტერესებული მინების მთავრობების თანხმობით, ამ ძირითადი კანონის გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში, მინებში ბადენი, დიდი ბერლინი, რეინალდ-ჰფალცი და ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლლერნი, სამოქმედოდ შემოიღოს გაერთიანებული ეკონომიკური ზონის მართვის სამართალი, რამდენადაც აღნიშნული სამართალი 124-ე ან 125-ე მუხლების შესაბამისად აგრძელებს მოქმედებას ფედერალური სამართლის სახით.

### **მუხლი 128.**

რამდენადაც იმ სამართლით, რომელიც აგრძელებს მოქმედებას, გათვალისწინებულია მითითებების გაცემის უფლება 84-ე მუხლის მე-5 აბზაცის არსის შესაბამისად, საკითხის კანონით სხვაგვარად დარეგულირებამდე აღნიშნული უფლებები რჩება ძალაში.

### **მუხლი 129.**

(1) რამდენადაც სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ფედერალური სამართლის სახით აგრძელებენ მოქმედებას, შეიცავენ ნორმებს, რომლებიც იძლევიან სამართლებრივი განკარგულებების ან ზოგადი ადმინისტრაციული დებულებების გამოცემის, ასევე ადმინისტრაციული აქტების შესრულების უფლებამოსილებას, ეს უფლებამოსილება გადაეცემათ მოცემულ ეტაპზე კომპეტენტურ ორგანოებს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ეჭვების არსებობისას, გადანყვეტილებას ბუნდესრატის თანხმობით, იღებს ფედერალური მთავრობა. აღნიშნული გადანყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს.

(2) რამდენადაც ასეთივე უფლებამოსილებას შეიცავენ სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მინის სამართლის სახით აგრძელებენ მოქმედებას, აღნიშნული უფლებამოსილება ხორციელდება მინების სამართლის შესაბამისად განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოების მიერ.

(3) რამდენადაც სამართლებრივი დებულებები პირველი და მე-2 აბზაცების შესაბამისად შეიცავენ მათში ცვლილების ან დამატების შეტანის, ან კანონების ნაცვლად სამართლებრივი დებულებების გამოცემის უფლებამოსილებას, აღნიშნული უფლებამოსილებები უქმდება.

(4) პირველი და მე-2 აბზაცების დებულებები მოქმედებენ შესაბამისად, რამდენადაც სამართლებრივი დებულებები შეიცავენ დათქმას დებულებებზე, რომლებიც აღარ მოქმედებენ ან დაწესებულებებზე, რომლებიც აღარ არსებობენ.

### **მუხლი 130.**

(1) ადმინისტრაციული ორგანოები და საჯარო ადმინისტრაციის ან სხვა სამართალდამცავი დაწესებულებები, რომლებიც არ მოქმედებენ მინების სამართლის ან მინებს შორის დადებული სახელმწიფო ხელშეკრულებების საფუძველზე, ასევე, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რკინიგზის სანარმოების გაერთიანებები და ფრან-

გული საოკუპაციო ზონის ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციული საბჭო, ექვემდებარებიან ფედერალურ მთავრობას. ფედერალური მთავრობა ბუნდესრატის თანხმობით არეგულირებს მათ გადაცემას, გაუქმებას და ლიკვიდაციას.

(2) აღნიშნული ადმინისტრაციებისა და დანესებულებების თანამშრომლებისათვის უმაღლესი დისციპლინარული ხელმძღვანელია კომპეტენტური ფედერალური მინისტრი.

(3) კორპორაციები და საჯარო სამართლის დანესებულებები, რომლებიც არ იმყოფება მიწების უშუალო მმართველობაში და რომლებიც მოქმედებს მიწებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ექვემდებარება კომპეტენტური უმაღლესი ფედერალური ორგანოების ზედამხედველობას.

### **მუხლი 131.**

იმ პირების (მათ შორის ლტოლვილები და დევნილი პირები) სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც 1945 წლის 8 მაისიდან მსახურობდნენ საჯარო სამსახურში და რომლებიც გათავისუფლებული იქნენ არა სამსახურებრივი ან სატარიფო წესებთან დაკავშირებული მიზეზების, არამედ სხვა მიზეზების გამო და რომელთა გამოყენებაც დღემდე არ ხდება ან რომლებიც არ გამოიყენებიან მათი ადრინდელი მდგომარეობის შესაბამისად, უნდა დარეგულირდეს ფედერალური კანონით. აღნიშნული უნდა ასევე იმ პირებს (მათ შორის ლტოლვილებს და დევნილ პირებს), რომლებსაც 1945 წლის 8 მაისისათვის გააჩნდათ შესაბამისი დახმარების მიღების უფლება და არა სამსახურებრივი ან სატარიფო წესებთან დაკავშირებული მიზეზების გამო, არამედ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე აღარ იღებენ არანაირ დახმარებას. ფედერალური კანონის ძალაში შესვლამდე მათ არ შეუძლიათ წამოაყენენ არანაირი სამართლებრივი პრეტენზია, თუ მიწების სამართლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### **მუხლი 132.**

(1) მოხელეები და მოსამართლეები, რომლებიც ამ ძირითადი კანონის ძალაში შესვლის დროს თანამდებობაზე დანიშნული იყვნენ მუდმივი ვადით, ბუნდესტაგის პირველი შეკრებიდან ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება გადაყენებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, ჩაირიცხონ რეზერვში ან გადაყვანილი იქნენ დაბალ თანამდებობაზე უფრო დაბალი ანაზღაურებით, თუ ისინი პიროვნულად ან პროფესიული თვალსაზრისით არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას. აღნიშნული დებულება შესაბამისად ვრცელდება იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც იმყოფებიან მუდმივ სამსახურებში. იმ მოსამსახურეებისათვის, რომლებიც იმყოფებიან არამუდმივ სამსახურებში, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ის ვადები, რომლებიც სცილდება სატარიფო რეგულირების ფარგლებს, შეიძლება გაუქმდეს იმავე ვადაში.

(2) აღნიშნული დებულება არ გამოიყენება იმ საჯარო მოსამსახურეებთან მიმართებით, რომელთაც არ ეხებათ დებულებები „ნაციონალ-სოციალიზმისგან და მილიტარიზმისგან განთავისუფლების შესახებ“, ან რომელთა მიმართაც დადგენილია, რომ ისინი იდევნებოდნენ ნაციონალ-სოციალიზმის მიერ, თუ უშუალოდ მათი პიროვნება არ იწვევს მკვეთრ წინააღმდეგობებს.

(3) პირებს, რომლებსაც ეხებათ აღნიშნული დებულებები, უფლება აქვთ მე-19 მუხლის მე-4 აბზაცის შესაბამისად მიმართონ სასამართლოს.

(4) დეტალები განისაზღვრება ფედერალური მთავრობის დადგენილებით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.



### **მუხლი 133.**

ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს გაერთიანებული ეკონომიკური ზონის მართვასთან დაკავშირებულ უფლებებს და ვალდებულებებს.

### **მუხლი 134.**

(1) იმპერიის ქონება ხდება ფედერაციის ქონება.

(2) რამდენადაც ეს ქონება თავისი პირვანდელი დანიშნულებით უპირატესად განსაზღვრული იყო იმ მმართველობითი ამოცანებისათვის, რომლებიც ამ ძირითადი კანონის მიხედვით არ წარმოადგენს ფედერაციის მმართველობით ამოცანებს, იგი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს აღნიშნული ამოცანების განხორციელებაზე კომპეტენტურ ამოცანების შემსრულებელ სუბიექტებს და რამდენადაც აღნიშნული ქონება, თავისი ამჟამინდელი, გადაცემას დაუქვემდებარებელი სარგებლობით ემსახურება მმართველობით ამოცანებს, რომლებიც ამ ძირითადი კანონის შესაბამისად, ამიერიდან უნდა განახორციელონ მინებმა – გადასცეს მინებსაც. ფედერაციას შეუძლია მინებს ასევე გადასცეს სხვა ქონება.

(3) ქონება, რომელიც მინების და თემების (თემთა გაერთიანებების) მიერ იმპერიას გადაეცა უსასყიდლოდ, კვლავ ხდება მინების და თემების (თემთა გაერთიანებების) ქონება, რამდენადაც იგი ფედერაციას არ სჭირდება საკუთარი მმართველობითი ამოცანებისათვის.

(4) დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 135.**

(1) თუ 1945 წლის 8 მაისსა და ამ ძირითადი კანონის ძალაში შესვლამდე პერიოდში რომელიმე ტერიტორიის მიწისაღმი კუთვნილება შეიცვალა, ასეთ შეზღუდვაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული იმ მიწის ქონება, რომელშიც შედიოდა ეს ტერიტორია, გადაეცემა იმ მიწას, რომელსაც იგი ამჟამად მიეკუთვნება.

(2) იმ მიწების და საჯარო სამართლის სხვა კორპორაციების და დანესებულებების ქონება, რომლებიც აღარ არსებობენ, რამდენადაც იგი თავისი პირვანდელი დანიშნულებით განსაზღვრული იყო უპირატესად მმართველობითი ამოცანების შესასრულებლად, ან თავისი ამჟამინდელი, გადაცემას დაუქვემდებარებელი სარგებლობით ემსახურება უპირატესად მმართველობით ამოცანებს, გადაეცემა იმ მიწას, საჯარო სამართლის კორპორაციას ან დანესებულებას, რომლებიც ამიერიდან ახორციელებენ აღნიშნულ ამოცანებს.

(3) იმ ფედერალური მიწების მიწა, რომლებიც აღარ არსებობენ, მათ შორის, მიწის შემადგენელი ნაწილები, რამდენადაც იგი არ მიეკუთვნება პირველი აბზაცით გათვალისწინებულ ქონებას, გადაეცემა იმ მიწას, რომლის ტერიტორიაზეც არის იგი მოქცეული.

(4) თუ ფედერაციის უპირატესი ინტერესი ან რომელიმე ტერიტორიის განსაკუთრებული ინტერესი ამას მოითხოვს, ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს პირველი-მე-3 აბზაცებისაგან განსხვავებული რეგულირება.

(5) სხვა შემთხვევებში სამართალმემკვიდრეობა და ქონების გაყოფა, თუ იგი დაინტერესებულ მხარეთა ან საჯარო სამართლის კორპორაციების ან დანესებულებების შეთანხმებით არ განხორციელებულა 1952 წლის 1 იანვრამდე, რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

(6) ყოფილი მინის – პრუსიის მონაწილეობა კერძო სამართლის საწარმოებში გადადის ფედერაციაზე. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელმაც, შეიძლება დაადგინოს განსხვავებული რეგულირება.

(7) რამდენადაც ის ქონება, რომელიც პირველი-მე-3 აბზაცების შესაბამისად უნდა გადაცემოდა რომელიმე მინას ან საჯარო სამართლის კორპორაციას ან დაწესებულებას, უკვე განიკარგა ძირითადი კანონის ძალაში შესვლისას უფლებამოსილი სუბიექტის მიერ მინის კანონით, მინის კანონის საფუძველზე ან სხვა საშუალებით, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ქონება გადაცემულად ითვლება მის განკარგვამდე.

### **მუხლი 135ა.**

(1) 134-ე მუხლის მე-4 და 135-ე მუხლის მე-5 აბზაცებით ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებული კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს, რომ არ უნდა შესრულდეს ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს:

1. იმპერიის ვალდებულებები, ასევე ყოფილი მინის - პრუსიის და იმ სხვა საჯარო სამართლის კორპორაციების და დაწესებულებების ვალდებულებები, რომლებიც აღარ არსებობენ.

2. ფედერაციის ან საჯარო სამართლის სხვა კორპორაციების და დაწესებულებების ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია 89-ე, 90-ე, 134-ე და 135-ე მუხლების შესაბამისად ქონებრივი ფასეულობების გადაცემასთან, ასევე, აღნიშნული უფლებების მქონე სუბიექტების ვალდებულებები, რომლებიც დაფუძნებულია პირველ პუნქტში მითითებული უფლების მქონე სუბიექტების მოქმედებზე.

3. მიწების და თემების (თემთა გაერთიანებების) 1945 წლის 1 აგვისტომდე წარმოშობილი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა იმ ლონისძიებებიდან, რომლებიც იმპერიის კომპეტენციაში შემავალი ან იმპერიაზე დაკისრებული ადმინისტრაციული ამოცანების ფარგლებში, შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტების მიერ საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებების საფუძველზე ან საომარი მოქმედებების შედეგად გამოწვეული მდგომარეობის აღდგენისას განხორციელდა.

(2) პირველი აბზაცი შესაბამისად გამოიყენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ან მისი უფლებამოსილი სუბიექტების ვალდებულებების მიმართ, ასევე ფედერაციის, საჯარო სამართლის სხვა კორპორაციებისა და დაწესებულებების იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქონებრივი ფასეულობების ფედერაციის, მიწების და თემებისთვის გადაცემასთან. ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი უფლებამოსილი სუბიექტების მიერ განხორციელებულ ლონისძიებებზე დაფუძნებული ვალდებულებების მიმართ.

### **მუხლი 136.**

(1) ბუნდესრატი პირველად იკრიბება ბუნდესტაგის პირველი შეკრების დღეს.

(2) პირველი ფედერალური პრეზიდენტის არჩევამდე მის ფუნქციებს ასრულებს ბუნდესრატის თავმჯდომარე. მას არ აქვს ბუნდესტაგის დათხოვნის უფლება.

### **მუხლი 137.**

(1) მოხელეების, საჯარო სამსახურში მყოფი მოსამსახურეების, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეების, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების და ფე-

დერაციის, მინების და თემების მოსამართლეების პასიური საარჩევნო უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

(2) პირველი ბუნდესტაგის, პირველი ფედერალური კრების და ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ფედერალური პრეზიდენტის არჩევნისას მოქმედებს საარჩევნო კანონი, რომელიც მიღებული უნდა იქნეს საპარლამენტო საბჭოს მიერ.

(3) 41-ე მუხლის მე-2 აბზაცით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო-სათვის მიკუთვნებული უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნამდე ხორციელდება გაერთიანებული ეკონომიკური ზონისათვის გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს საქმის წარმოების საკუთარი პროცედურების შესაბამისად.

### **მუხლი 138.**

ნოტარიატის არსებული დანებებულებების ცვლილებები მინებში ბადენი, ბავარია, ვიურტენბერგ-ბადენი და ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლლერნი საჭიროებენ აღნიშნული მინების მთავრობების თანხმობას.

### **მუხლი 139.**

ამ ძირითადი კანონის დებულებებით არ უნდა დაირღვეს „გერმანელი ხალხის ნაციონალ-სოციალიზმისაგან და მილიტარიზმისაგან განთავისუფლებისათვის“ გამოცემული სამართლებრივი დებულებები.

### **მუხლი 140.**

1919 წლის 11 აგვისტოს გერმანიის კონსტიტუციის 136-ე, 137-ე, 138-ე 139-ე და 141-ე მუხლების დებულებები არის ამ ძირითადი კანონის შემადგენელი ნაწილი.

### **მუხლი 141.**

მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადება არ გამოიყენება იმ მიწაზე, რომელშიც 1949 წლის 1 იანვარს მოქმედებდა მიწის სამართლით გათვალისწინებული სხვაგვარი რეგულირება.

### **მუხლი 142.**

31-ე მუხლის დებულების მიუხედავად, მინების კონსტიტუციების დებულებები ასევე რჩება ძალაში, რამდენადაც ისინი ამ ძირითადი კანონის პირველი-მე-18 მუხლების შესაბამისად უზრუნველყოფენ ძირითად უფლებებს.

### **მუხლი 142. (გაუქმებულია)**

### **მუხლი 143.**

(1) სამართალი, რომელიც მოქმედებს გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებულ ტერიტორიაზე, არა უგვიანეს 1992 წლის 31 დეკემბრამდე, შეიძლება განსხვავდებოდეს ამ ძირითადი კანონის დებულებებისაგან, რამდენადაც განსხვავებული ურთიერთობების შედეგად, ამ ძირითადი კანონით დადგენილ კონსტიტუციურ წყობილებასთან სრული შესაბამისობა ჯერ კიდევ ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ზემოაღნიშნული განსხვავებები არ უნდა არღვევდეს მე-19 მუხლის მე-2 აბზაცის დებულებებს და უნდა შეესაბამებოდეს 79-ე მუხლის მე-3 აბზაცში მოცემულ პრინციპებს.

(2) II, VIII, VIIIa, IX, X და XI განყოფილებებისგან განსხვავებული დებულებები დასაშვებია არა უგვიანეს 1995 წლის 31 დეკემბრამდე.

(3) პირველი და მე-2 აბზაცების დებულებებისგან დამოუკიდებლად, გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 41-ე მუხლი და მისი ცხოვრებაში გატარების პროცედურები ასევე გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ისინი ითვალისწინებენ იმ ცვლილებების გაუქმების შეუძლებლობას, რომლებიც ეხება ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნულ საკუთრების უფლებას ტერიტორიაზე.

### **მუხლი 143ა.**

(1) ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია ყველა საკითხზე, რომელიც გამომდინარეობს ფედერალურ საკუთრებაში არსებული ფედერალური რკინიგზების სამეურნეო სანარმოებად გარდაქმნიდან. შესაბამისად გამოიყენება 87-ე მუხლის მე-5 აბზაცი. ფედერალური რკინიგზების მუშაკები, მათი სამართლებრივი სტატუსის და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვით, შეიძლება გადაყვანილ იქნენ კერძო-სამართლებრივად ორგანიზებული ფედერაციის რკინიგზის განკარგულებაში.

(2) პირველი აბზაცის შესაბამისად მიღებულ კანონებს ახორციელებს ფედერაცია.

(3) საგარეუბნო სამგზავრო მიმოსვლის სფეროში ყოფილი ფედერალური რკინიგზების ამოცანების შესრულება 1995 წლის 31 დეკემბრამდე წარმოადგენს ფედერაციის საქმეს. აღნიშნული ასევე ეხება სარკინიგზო ტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებულ შესაბამის ამოცანებს. დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონით, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

### **მუხლი 143ბ.**

(1) გერმანიის ფედერალური ფოსტის სპეციალური ქონება, ფედერალური კანონის შესაბამისად, გარდაიქმნება კერძოსამართლებრივი ფორმის სანარმოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე ყველა საკითხთან დაკავშირებით ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია.

(2) გარდაქმნამდე არსებული ფედერაციის განსაკუთრებული უფლებები გარდამავალი პერიოდისათვის ფედერალური კანონით შეიძლება გადაეცეს გერმანიის ფედერალური ფოსტის (POSTDIENST) და გერმანული ფედერალური ფოსტის (TELEKOM) საფუძველზე შექმნილ სანარმოებს. კანონის ძალაში შესვლიდან არა უადრეს ხუთი წლისა, ფედერაციას უფლება აქვს კაპიტალის უდიდესი ნაწილი გადასცეს გერმანიის ფედერალური ფოსტის (POSTDIENST) და გერმანული ფედერალური ფოსტის (TELEKOM) სამართალმემკვიდრე სანარმოებს. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა ფედერალური კანონის მიღება, ბუნდესრატის თანხმობით.

(3) გერმანიის ფედერალური ფოსტის ფედერალური მუშაკები, მათი სამართლებრივი სტატუსის და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვით, დასაქმდებიან კერძო სამართლის სანარმოებში. მენარმეები ახორციელებენ დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. დეტალებს განსაზღვრავს ფედერალური კანონი.

### **მუხლი 143გ**

(1) მიწებს 2007 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე ყოველწლიურად გამოეყოფათ ფინანსური თანხები ფედერალური ბიუჯეტიდან ფედერალურ-

რი დაფინანსების წილების გაუქმების გამო, რომლებიც გათვალისწინებული იყო უმაღლესი სკოლების რეკონსტრუქციისა და ახალშენებლობებისათვის მათი კლინიკებისა და საგანმანათლებლო დაგეგმარების ჩათვლით, ასევე ფინანსური დახმარებების გაუქმების გამო მუნიციპალური სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესებისა და სოციალური ბინათმონყობის ხელშეწყობისათვის.

(2) პირველი აბზაცით გათვალისწინებული თანხები 2013 წლის 31 დეკემბრამდე მიწებზე გადანაწილდება:

1. როგორც ყოველწლიური ერთჯერადი თანხები, რომელთა ოდენობაც გამოითვლება 2000 -დან 2003 წლამდე პერიოდში ყოველი მიწის საშუალო წილის მიხედვით;

2. მიზნობრივად დაკავშირებული მიმდინარე შერეული სახის დაფინანსებასთან.

(3) ფედერაცია და მიწები 2013 წლის ბოლომდე გადაამონმებენ, რამდენად შესაბამისია ჯერ კიდევ და ამ მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად გამოყოფილი რა ოდენობის ფინანსური საშუალებებია საჭირო მიწებზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის. 2014 წლის 1 იანვრიდან უქმდება პირველი აბზაცის შესაბამისად გამოყოფილი დაფინანსებისათვის ამ მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნობრიობა, არ იცვლება საშუალო მოცულობის საინვესტიციო მიზნობრიობა. სოლიდარობის II პაქტის ხელშეკრულებები უცვლელი რჩება.

(4) დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი, რომელიც საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას.

#### **მუხლი 143დ**

(1) 109-ე და 115-ე მუხლები 2009 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქციით ბოლოს გამოყენებულ იქნება 2010 წლის საბიუჯეტო წლისათვის. 109-ე და 115-ე მუხლები 2009 წლის 1 აგვისტოდან მოქმედი რედაქციით პირველად გამოყენებული იქნება 2011 წლის სამეურნეო წლისათვის; ხელუხლებელი რჩება 2010 წლის 31 დეკემბერს არსებული საკრედიტო უფლებამოსილებები უკვე შექმნილი სპეციალური ფონდებისათვის. 2011 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში/ვადაში მიწებს შეუძლიათ მიწების მოქმედი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად გადაუხვიონ 109-ე მუხლის მე-3 აბზაცით დადგენილი წესებიდან. მიწების ბიუჯეტები ისე უნდა შედგეს, რომ 2020 სამეურნეო წელს შესრულებული იყოს 109-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-5 წინადადებით გათვალისწინებული წესი. ფედერაციას შეუძლია 2011 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გადაუხვიოს 115-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადებით დადგენილი წესიდან. არსებული დეფიციტების შემცირება უნდა დაიწყოს 2011 წელს. ყოველწლიური ბიუჯეტები ისე უნდა დგებოდეს, რომ 2016 სამეურნეო წელს შესრულებული იქნეს 115-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული წესი. დეტალებს არეგულირებს ფედერალური კანონი.

(2) 109 მუხლი მე-3 აბზაცით გათვალისწინებული წესის შესაბამისად 2020 წლის პირველი იანვრიდან მიწებს ბერლინი, ბრემენი, საარლანდი, საქსონია-ანჰალტი და შლეზვიგ-ჰოლშტაინი 2011-დან 2019წლამდე პერიოდში შეიძლება გამოეყოს დახმარების სახით საკონსოლიდაციო დახმარებები ფედერალური ბიუჯეტიდან სულ წელიწადში 800 მილიონი ევროს ოდენობით. აქედან ბრემენი მიიღებს 300 მილიონ ევროს, საარლანდი 260 მილიონ ევროს და ბერლინი, საქსონია-ანჰალტი და შლეზვიგ-ჰოლშტაინი თითოეული 80 მილიონ ევროს. დახ-

მარებები გაიცემა ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე ფედერალური კანონის შესაბამისად ბუნდესრატის თანხმობით. დახმარების გამოყოფა ითვალისწინებს ფინანსური დეფიციტების სრულ გაქრობას 2020 წლის ბოლოსათვის. დეტალები, კერძოდ ფინანსური დეფიციტების კლების ყოველწლიური ეტაპები, სტაბილიზაციის საბჭოს მიერ დეფიციტების კლებაზე კონტროლი, ასევე შედეგები დეფიციტების კლების ეტაპების შეუსრულებლობის ჩემთხვევაში წესრიგდება ფედერალური კანონით ბუნდესრატის თანხმობით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. გამოირიცხება ერთდროულად დახმარების კონსოლიდაცია და სარეაბილიტაციო დახმარებები ბიუჯეტის ექსტრემალური/უკიდურესი კრიზისის საფუძველზე.

(3) დახმარების კონსოლიდაციის უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს შუაზე იყოფენ ფედერაცია და მინები, ამ უკანასკნელთა შემთხვევაში ვალდებულებები სრულდება მათი ბრუნვის გადასახადებიდან.

#### **მუხლი 144.**

(1) ეს ძირითადი კანონი უნდა იქნეს მიღებული გერმანიის იმ მინების ორი მესამედის სახალხო წარმომადგენლობების ორგანოების მიერ, რომლებშიც იგი შემდგომ უნდა ამოქმედდეს.

(2) რამდენადაც ამ ძირითადი კანონის გამოყენება 23-ე მუხლში ჩამოთვლილი მინებიდან ერთ-ერთ მინაზე ან ამ მინების ერთ-ერთ ნაწილში ექვემდებარება შეზღუდვებს, ასეთ მინას ან მის ნაწილს უფლება აქვს გააგზავნოს წარმომადგენლები ბუნდესტაგში (38-ე მუხლის შესაბამისად) და ბუნდესრატში (50-ე მუხლის შესაბამისად).

#### **მუხლი 145.**

(1) საპარლამენტო საბჭო დიდი ბერლინის დეპუტატების მონაწილეობით, საჯარო სხდომაზე ამტკიცებს ამ ძირითადი კანონის მიღებას, ამზადებს და აქვეყნებს მას.

(2) არსებული ძირითადი კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღის ამონურვისთანავე.

(3) ძირითადი კანონი უნდა გამოქვეყნდეს „ფედერალურ კანონთა ყურნალში“.

#### **მუხლი 146.**

ეს ძირითადი კანონი, რომელიც გერმანიის ერთიანობის და თავისუფლების მიღწევის შემდეგ, მოქმედებს მთელი გერმანელი ხალხისათვის, შეწყვეტს თავის მოქმედებას იმ დღეს, როდესაც ძალაში შევა გერმანელი ხალხის მიერ თავისუფალი გადანყვეტილებით მიღებული კონსტიტუცია.

1919 წლის 2 აგვისტოს გერმანიის კონსტიტუციიდან  
(ვაიმარის კონსტიტუცია)

**მუხლი 136.**

(1) კერძო და საჯარო სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები არ არის განპირობებული ან/და შეზღუდული რელიგიის თავისუფლების განხორციელებით.

(2) კერძო და საჯარო სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა, ასევე საჯარო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, მრწამსისგან დამოუკიდებელია.

(3) არავინ არის ვალდებული, განაცხადოს თავისი რელიგიური მრწამსის შესახებ. ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ, რომელიმე რელიგიურ საზოგადოებასთან პირის კუთვნილების შესახებ იკითხონ მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც აღნიშნულზე დამოკიდებულია უფლებები და მოვალეობები ან ამას მოითხოვს კანონით განსაზღვრული სტატისტიკური გამოკვლევა.

(4) არავინ შეიძლება იქნეს იძულებული, შეასრულოს საეკლესიო წეს-ჩვეულებები, მონაწილეობდეს რელიგიურ დღესასწაულებში ან დადოს რელიგიური შინაარსის ფიცები.

**მუხლი 137.**

(1) სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს.

(2) გარანტირებულია რელიგიურ საზოგადოებაში გაერთიანების თავისუფლება. რელიგიური საზოგადოებების გაერთიანება იმპერიის ტერიტორიის ფარგლებში არ ექვემდებარება არანაირ შეზღუდვებს.

(3) ყოველი რელიგიური საზოგადოება დამოუკიდებლად ადგენს და წარმართავს საკუთარ საქმეებს ყველასათვის საეალდებულო, კანონით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში. იგი თავის თანამდებობებს ანიჭებს სახელმწიფოს ან სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

(4) რელიგიური საზოგადოებები უფლებაუნარიანობას იძენენ სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

(5) რელიგიური საზოგადოებები რჩება საჯარო-სამართლებრივ კორპორაციებად, თუ მათ ადრე ჰქონდათ აღნიშნული სტატუსი. სხვა რელიგიურ გაერთიანებებს მათი მოთხოვნით უნდა მიენიჭოთ ასეთივე უფლებები, თუ ისინი საკუთარი სტრუქტურით და წევრების რაოდენობით იძლევიან ხანგრძლივი არსებობის გარანტიას. თუ რამდენიმე ასეთი სახის საჯარო-სამართლებრივი რელიგიური საზოგადოება გაერთიანდება კავშირში, ასეთი კავშირი ასევე წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ კორპორაციას.

(6) რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო-სამართლებრივ კორპორაციებს, უფლება აქვთ სამოქალაქო საგადასახადო სიების საფუძველზე, მიწების სამართლის დებულებების შესაბამისად, აკრიფონ გადასახადები.

(7) რელიგიურ საზოგადოებებს უთანაბრდება გაერთიანებები, რომლებიც თავიანთ ამოცანად ისახავენ რომელიმე მსოფლმხედველობის საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

(8) რამდენადაც მოცემული დებულებების განხორციელება მოითხოვს დამატებით რეგულირებას, აღნიშნული განეკუთვნება მინის კანონმდებლობის კომპეტენციას.

### **მუხლი 138.**

(1) რელიგიური საზოგადოებების სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც ეფუძნება კანონს, ხელშეკრულებას ან სპეციალურ სამართლებრივ საფუძველს, ნყდება მინების კანონმდებლობით. აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგად პრინციპებს ადგენს იმპერია.

(2) რელიგიური საზოგადოებებისა და რელიგიური კავშირების საკუთრება და მათი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მათ კულტურულ, სასწავლო და საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ დანესებულებებთან, შენატანებთან, ასევე სხვა ქონება, გარანტირებულია.

### **მუხლი 139.**

კვირა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დღესასწაულები, როგორც სამუშაოსაგან დასვენებისა და სულიერი ამალლების დღეები, დაცულია კანონით.

### **მუხლი 141.**

რამდენადაც ჯარში, საავადმყოფოებში, სასჯელალსრულებით დანესებულებებში ან სხვა საჯარო დანესებულებებში არსებობს ღეთისმსახურების და სულზე მზრუნველობის მოთხოვნილება, რელიგიური საზოგადოებები დაშვებული უნდა იქნენ რელიგიური მოქმედებების შესასრულებლად, ამ დროს ყოველგვარი იძულება აღკვეთილი უნდა იყოს.



**გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების  
მე-3 და 41-ე მუხლები**

**მუხლი 3. ძირითადი კანონის ძალაში შესვლა**

გაერთიანებასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (გამოქვეყნებული „ფედერალურ კანონთა ჟურნალში“ ნაწილი III, №100-1), უკანასკნელი ცვლილებებით, რომლებიც განხორციელდა 1983 წლის 21 დეკემბრის კანონით („ფედერალური კანონთა ჟურნალი“ ნაწილი I, გვერდი 148), მინებში ბრანდენბურგი, მეკლენბურგი-ფორპომმერნი, საქსონია, საქსონია-ანჰალტი და ტიურინგია, ასევე ბერლინის იმ ნაწილში, რომელშიც იგი არ გამოიყენებოდა, ძალაში შედის მე-4 მუხლიდან გამომდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, თუ ამ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 41. ქონებრივი დავების რეგულირება**

(1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების 1990 წლის 15 ივნისის ერთობლივი განცხადება ქონებრივი დავების მოწესრიგების შესახებ (დანართი II) არის ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

(2) ცალკეული სამართლებრივი რეგულირების შესაბამისად საკუთრების უფლების დაბრუნება მიწის ნაკვეთებზე და შენობა-ნაგებობაზე არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს მიწის ნაკვეთები ან შენობა-ნაგებობები აუცილებელია სასწრაფო საინვესტიციო მიზნებისათვის, კერძოდ, რომელიმე სამრეწველო საწარმოს განთავსებისათვის და აღნიშნული საინვესტიციო გადაწყვეტილების რეალიზაცია ემსახურება მთელი ეკონომიკის კეთილდღეობას, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილების შექმნისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ინვესტორმა უნდა წარმოადგინოს პროგრამა, რომელიც შეიცავს პროექტის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს და აღნიშნულის საფუძველზე თავის თავზე აიღოს პროგრამის განხორციელების ვალდებულება. კანონმა ყოფილი მესაკუთრისთვის უნდა დაადგინოს ადეკვატური კომპენსაცია.

(3) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ გამოსცემს რაიმე სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება პირველ აბზაცში მითითებულ ერთობლივ განცხადებას.